ალექსი ფარჯანაძე

ილია ჭავჭავაძე

წიგნი I

თბილისი

2016

ეს ნაშრომი ეძღვნება დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურს, ,,უგვირგვინო მეფეს“ და მწერალს ილია ჭავჭავაძეს.

პირველ წიგნში შეძლებისდაგვარად ნაწილობრივ განხილულია ილიას მოღვაწეობა და მისი განუსაზღვრელი მნიშვნელობა საქართველოში ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაში, პუბლიცისტური ნაწერებისა და წერილების მიხედვით მრავალმხრივი შეხედულებები სხვადასხვა საკითხების შესახებ.

ამავე დროს გაშუქებულია, საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ გამოცემული მასალების მიხედვით, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებული საკითხები.

მეორე წიგნში განხილულია ილიას მხატვრული შემოქმედება და მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში.

შესავალი

„ახალ მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართისი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“? გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე: მშვიდობით ძმაო! – გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა, მაგრამ ეჰ, არ ღირს პირადობაზე რაიმეს თქმა და ისიც ჩვენში დღეს!...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ. იმათ ჩვეულებრივ მითქმა-მოთქმა ველარც არას დააკლებს და ველარც რამეს მიუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილიც შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარს!.. და, ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს! მშვიდობით, ძმაო! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!...“

აკაკი
„სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“
(17, ტ.14, გვ.321)

აქ და შემდეგში პირველი ციფრით მითითებულია ლიტერატურის რიგის მაჩვენებელი, შემდეგ – გამოცემის ცალკეული წიგნი ან ნაშრომის გვერდი.

ბრძოლა იყო ილია ჭავჭავაძის სტიქიონი, როგორც მწერლისა და პატრიოტის. მის მთავარ საჭურველს მშობელი ხალხის სიმართლისა და ღირსებათა ურყევი რწმენა შეადგენდა...

საქართველოში, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი (1840–1912), ილია ჭავჭავაძის (1837–1907) შესახებ წერდა:

„იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენადაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ (3. გვ.11).

ლიტერატურათმცოდნე პავლე ინგოროყვა (1893–1983), შემდეგნაირად ახასიათებს ილიას:

„ქართველი ერის უკვდავ მოღვაწეთა შორის ჩვენ გვინათებს შარავანდედით მოსილი სახე ილია ჭავჭავაძისა.

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძე და მისი თანამედროვე აკაკი წერეთელი არიან დიდნი ფუძემდებელნი ახალი ქართული მწერლობისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა...

ილია ამავე დროს არის დიდი პუბლიცისტი, ასევე კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი, ღრმა მოაზროვნე.

ილია არის ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი.

ილია უდიდესი საზოგადო მოღვაწეა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოსი, ქართველი ერის დიდი მოჭირნახულე. ილია არის საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადი“ (9. გვ.365).

მწერალი ლეო ქიაჩელი (1884–1963) ასე ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს:

„არ კმარა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი პოეტია, მწერალი და მოაზროვნე. ის ქართველი ხალხის გენიაა.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ვლინდება ყველა დარგში, რაც კი კაცობრიობის სულს თავის მისწრაფებათა გამოსახატავად საასპარეზოდ გამოუყენებია. არც ერთი ჟანრი შემოქმედებისა მისთვის უცხო არ იყო...

ილია ჭავჭავაძე მთელი ნახევარი საუკუნე იდგა ხალხისა და ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე... მან იცოდა მხოლოდ თავდადების სიდიადე, რომლის ნათელი მას მთელი სიცოცხლე შარავანდედით მოსავდა“ (3, გვ.154).

კრიტიკოსი, ფილოლოგი და ლიტერატურათმცოდნე, შალვა რადიანი (1904–1977წწ.) ილიას შესახებ აღნიშნავდა:

„ილიას შემოქმედების მრავალფეროვნება, მისი ნიჭის მრავალნაირობა და გონებრივ ინტერესთა სიფართოვე, რაც ატარებდა ნამდვილ ენციკლოპედიურ ხასიათს, არც ისე ადვილად გასათვალისწინებელი საქმეა. ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობა გვიჩვენებს, რომ მისი ცოდნის საგანძურში და მისი მოღვაწეობის სფეროში შედიოდა არა მარტო პოეზია და ბელეტრისტიკა, არამედ ისტორია, იურისპრუდენცია, გეოგრაფია, პოლიტიკური ეკონომია, თეატრი და დრამატურგია, ესთეტიკა და კრიტიკა, ლიტერატურის თეორია და სხვა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მრავალხმრივ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ჩვენ მეორეს ვერ დავასახელებთ ქართულ ლიტერატურის ისტორიაში“ (43, გვ.18).

ხოლო, ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე აღნიშნავს:

„მსოფლიოში არც ისე ბევრია ერი, რომლის ცხოვრებაში ეპოქა მწერალს შეექმნას. ეპოქალურ ტეხილებს უფრო გამოჩენილი მხედართმთავრები, სახელმწიფო ან პოლიტიკური ლიდერები განსაზღვრავდნენ.

ახალი დროის საქართველოს ისტორიაში ერთი დიდი ეპოქა ილია ჭავჭავაძის სახელთან ასოცირდება. ტიციან ტაბიძის სიტყვით: „XIX საუკუნე საქართველოში ილიამ კიდეც მოიგონა, კიდეც შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდეც დაჰკირა“.

ილიას მასშტაბის მოღვაწე და მოაზროვნე ნებისმიერი სახელმწიფოს ღირსეული მეთაური იქნებოდა, მაგრამ მწერალს ბედმა საქართველოს იმ დროის შვილობა არგუნა, როცა ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობა საერთოდ არ გააჩნდა. ილია ჭავჭავაძისა და სხვა სამოციანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას სამშობლოს ცას „ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი“ გადაფარებოდა: „კუთხე-პროვინციებად“ დანაწევრებულ ერს საკუთარი სამშობლოს სახელიც რომ ვეღარ შეერჩინა, კონფორმიზმი მოსძალებოდა, ეროვნული სკოლა აღარ არსებობდა, ქართული ენა იდევნებოდა, ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას სხვები ეპატრონებოდნენ, ქართული მიწა-წყალი უცხოტომელთა კოლონიზაციის ასპარეზად გადაექციათ...

ილია ჭავჭავაძის თვალი და გონება ყველაფერს სწვდებოდა. იგი XIX საუკუნის 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მოთავე ან აქტიური მონაწილე იყო. ილია ბანკირიც იყო და რედაქტორიც, მომრიგებელი მოსამართლეცა და ერის უფლებათა დამცველიც, ქართველთა შორის წიგნიერების გამავრცელებელიცა და ათასი სხვა. „არც ერთი შესამჩნევი საზოგადო მოვლენა ისე არ ჩაივლიდა,

რომ ილიას არ მიეღო ასეთი თუ ისეთი მონაწილეობა. როცა კი საქართველოს ცხოვრებაში დიდი რამ წუთი დამდგარა, უთუოდ ის შიგ შუა გულში მდგარა და უტვირთნია როლი წინამძღოლისა, საზოგადოების აზრის ხელმძღვანელისა, თითქოს პაპია რომისა, თითქო მამამთავარია დაობლებულის საქართველოსიო", წერდა ილიას შესახებ გრიგოლ ყიფშიძე" (51, გვ.491–495).

ჩვენ შეგვიძლია დაუსრულებლად მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძის შესახებ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები, მისი დახასიათება და მის მიმართ გამოთქმული მოსაზრებები. ყველას უნდოდა გამოეხატა და გადმოეცა მისდამი აღფრთოვანება და სიყვარული, გარდა რევოლუციონერ-ბოლშევიკებისა.

ჩვენს მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს, არა ერთ ნაშრომებსა თუ მონოგრაფიებში აღწერილი აქვთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია, გვარის წარმომავლობა და დახასიათება. ამიტომ ჩვენ აღარ შეუდგებით ხელმეორედ მისი ბიოგრაფიის გამეორებას.

აღსანიშნავია, რომ (1902–1903)წწ. ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონშიც, რომელსაც გამოსცემდა პეტერბურგში, ფრიდრიხ ბროკჰაუზის (1772–1823) და ილია ეფრონის (1847– 1917) სააქციო საგამომცემლო საზოგადოება, {გამოიცა (1890–1907) წლებში 86 ტ.}, მოხსენებულია თვით ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილი ბიოგრაფია.

თანამედროვეთა გადმოცემით, ილია ჭავჭავაძე მუშაობდა ძალიან ბევრს. პროზაიკოსი და პედაგოგი სოფრომ მგალობლიშვილი (1851–1925) გადმოგვცემს:

„...ილია დიდი ჭკუითა და უსაზღვრო ნებით აღჭურვილი ადამიანი... კაცი, რომლის პიროვნებაში ტრიალებდა გოლიათისებური ნებისყოფა. ისეთივე ენერგია და ისეთივე სული...

ილია, რომელმაც სიკვდილამდე თვის უბით ატარა საქართველოს ბედი და უბედობა...

როცა გაჭირდებოდა საქმე რომელიმე საკითხის შესახებ, ილიას გაუშვებდნენ საბრძოლველად... მისი სიუტყვა მაშინ მეხი იყო...

ილია – დევის ბუნებისა იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ დაისზე დამჯდარა და მეორე დღის ცხრა საათამდე მჯდარა სამუშაოდ" (3, გვ.30).

ილიას თანამედროვენი აღნიშნავენ, რომ მისი ყველა სიტყვა, ყოველი გამოთქმა და ფრაზა, თუ წინადადება, იყო მის მიერ ათასჯერ მოფიქრებული და ათასჯერ შესწორებული.

ილიას უახლესი თანამშრომელი, ჟურნალისტიკის, ლიტერატურის და თეატრის ისტორიკოსი, ბიბლიოგრაფი, პუბლიცისტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, პედაგოგი და ილიას ბიოგრაფიის დამწერი გრიგოლ ყიფშიძე (1856–1921) აღნიშნავდა:

„საინტერესო და საგულისხმო დრო იყო ილიას ცხოვრებაში ეს დრო ყოველდღიურ გაზეთის რედაქტორისა. აქ იჩინა კვლავ თავი მისმა მზნეობამ, სალიტერატურო შრომისათვის დიდმა გონებრივმა მოქმედებამ, დაღალვა არ ემჩნეოდა, თითქოს რკინის კაცია და არა ხორცშესხმული ადამიანიაო. არავის არ ეგონა, რომ ილია ასე შეუფერებდა თავის დინჯ ხასიათს ასეთს ცოცხალს, ასეთს სასწრაფოსა და „ნერვებით“ საკეთებელს საქმეს, როცა თითეულს საათს და წუთსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს...

დიდს ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამისად სიტყვების დაწყობას, და დასურათებით ცოცხლად აზრის გამოთქმას. თვითონ ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოვლის ღონისძიებით სცდილობდა, რომ გაზეთში დასაბეჭდი წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი“ (9, ტ.I, გვ.465).

მისივე გადმოცემით, ილია „გაუტეხავი კაცი იყო და ჯაფაში ხომ მეტის-მეტი დაუღალავი“. წერდა მანამდე, „ვიდრე შინაარსითაც, კილოთიც, ელფერითა და იერითაც სრულად არ დაკმაყოფილდებოდა. ეს დრო მისის დაკმაყოფილებისა-კი მაშინ დადგებოდა, როცა მზე უკვე ამოსული იყო.“ იგი ტყუილ უბრალოდ დროს არ კარგავდა. მისთვის „თითოეულს საათს და წუთსაც კი დიდი მნიშვნელობა“ ჰქონდა (4. გვ.100).

ილიას უწოდებდნენ „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“. იგი ახალგაზრდობიდანვე გამსჭვალული იყო მისი დამონებული სამშობლოს სიყვარულით და მთელი მისი ცხოვრება შეალია ამ გრძნობას. მისი მთავარი საზრუნავი იყო მამული და მხოლოდ და მხოლოდ საქართველო. იგი იდგა ქვეყნის სადარაჯოზე და არავის არ აძლევდა უფლებას უდიერად მის ხსენებას.

ი. გოგებაშვილმა სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა მიერ გამართულ ნადიმზე, აღნიშნა:

„დღეგრძელობისათვის მადლობას მოგიძღვნით და გულახდილათ გეტყვით, თუ მართლა რამე გავუკეთე ქართველ ხალხს, ეს ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელის შეწყობით, როდესაც მე შევეცადე დამეცვა საქართველოს შელახული უფლებები, დამეცვა მისი კულტურა, ენა – ყვავ-ყორნებივით შემომესიენ პედაგოგების ქურქში გამოხვეული რეაქციის მსახურნი; სწორედ ამ დროს ჩემი

ერთადერთი იმედი და მფარველი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ლომივით ესხმოდა თავზე კატკოვს, იანოვსკის და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა მოჭორილი ამბებით ცდილობდნენ შეელახათ საქართველოს დიდი წარსული, მოესპოთ ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა (5, გვ.136).

პ. ინგოროყვა აღნიშნავდა:

„ილიამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ორი საბრძოლო საგანი დაისახა: ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ“ (9, გვ.409).

ისტორიიდან ცნობილია, რომ 1783 წლის 24 ივლისს, საქართველოსა და მის მეზობლად, ჩრდილოეთით მდებარე ერთმორწმუნე სახელმწიფოს, რუსეთს, შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ხელისუფლებას საქართველოსათვის მფარველობა უნდა გაეწია, საქართველოს მტრები თავის მტრებად მიეჩნია. მაგრამ, რუსეთმა მალე დაივიწყა ამ ხელშეკრულების არსი და გამოავლინა თავისი იმპერიალისტური ზრახვები: მან დაარღვია ხელშეკრულება და 1801 წ. გამოსცა მანიფესტი, რომლის მიხედვითაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამრიგად, საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და იგი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი სამხრეთი მხარე – გახდა რუსეთის კოლონია.

ო. ჯანელიძე აღნიშნავს:

„რუსულმა ისტორიოგრაფიამ ქართლ-კახეთის რომანოვთა იმპერიაში ინკორპორაცია ნებაყოფლობით შეერთებად მონათლა. კომუნისტურ-საბჭოური საისტორიო მეცნიერება, მართალია, მეფის რუსეთს „ხალხთა საპყრობილედ“ მიიჩნევდა, მაგრამ არსებითად, იზიარებდა აზრს, რომ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს.

ისტორიული ფაქტები სრულიად საპირისპიროს მოწმობენ“ (51, გვ.434).

„პავლე I-მა დაარღვია რუსეთ-საქართველოს შეთანხმებები (1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, 1799 წლის განახლებული ხელშეკრულება) და ქართული სახელმწიფოს ლიკვიდაცია თვითნებურად განახორციელა.

არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცულია არაერთი დოკუმენტი, რომლებიც ცხადყოფენ, რომ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებამ ქართლ-კახეთის სამეფო სამხედრო ძალით დაიპყრო“ (51, გვ.436).

„1801 წლის 12 სექტემბერს გამოიცა ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რომლის საფუძველზეც ქართლ-კახეთის ცალკე სახელმწიფოებრიობას სამუდამოდ ბოლო მოეღო“ (51, გვ.439).

„ასე დასრულდა ქართლ-კახეთის ინკორპორაცია რომანოვთა იმპერიის მიერ, რომელმაც მისი ფაქტობრივი ანექსია გაცილებით ადრე განახორციელა. ეს იყო არა ნებაყოფლობითი შეერთება, არამედ უხეში ძალმომრეობა, ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და საერთაშორისო სამართლის სრული უგულებელყოფა. მალე იგივე ბედი ეწია იმერეთის სამეფოსაც“ (51, გვ.440).

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს დაპყრობისთანავე დაამყარა თავისი მმართველობა, სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები ჩამოაშორა საქართველოს, ხოლო ვინც წინააღმდეგობა გაუწია ზოგი გადაასახლა რუსეთში, ზოგიერთს კი სასტიკად გაუსწორდა და საქართველო მოექცა რუსეთის იმპერიის მარწუხებში.

სწორედ ამ დროს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მოღვაწეობა დაიწყეს ილია ჭავჭავაძემ და ჩვენი ქვეყნის უდიდესმა პოეტმა, პროზაიკოსმა, დრამატურგმა, მთარგმნელმა, ლიტერატორმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა (1840–1915). რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ქართველ პატრიოტებს და სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან იღწვოდნენ ქართული კულტურისა და ქართული მწერლობის განვითარებისათვის; და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დახვეწისათვის, რეალისტური ლიტერატურის დამკვიდრებისა და ხალხურობისათვის.

ილია ჭავჭავაძე თავგამოდებით იცავდა ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას და ცდილობდა, რომ საქართველოს როგორმე რუსეთის იმპერიისაგან თავი დაეღწია.

რუსეთის მთავრობა თვალყურს ადევნებდა და მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა ილია, ვინაიდან მას თვლიდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ განწყობილ პოლიტიკურ მოღვაწედ. თუმცა, „დიდი ხნის თვალთვალის შემდეგ, როდესაც სპეცსამსახურები დარწმუნდნენ ილია ჭავჭავაძის უდანაშაულობაში, მათ ილიას საბოლოოდ მოუხსნეს საიდუმლო მეთვალყურეობა“ (28, გვ.228).

ილია ჭავჭავაძე იყო ქართველი ხალხის ბურჯი და მთავარი დასაყრდენი ძალა ქართველი პატრიოტებისათვის და ამიტომ ქართველი ხალხის მტრებმა (რევოლუციონერ-ბოლშევიკებმა), ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის გადაწყვიტეს მისი მოშორება და განადგურება; და აი, 1907 წ. 30 აგვისტოს (ახ. სტილით 12 სექტემბერს) როდესაც ილია მეუღლესთან და მოსამსახურესთან ერთად ეტლით მიემგზავრებოდა თბილისიდან საგურამოში, წიწამურთან თავს დაესხნენ. მოკლეს ილია და მოსამსახურე, ხოლო მეუღლეს თოფის კონდახი თავში ჩაარტყეს. ყველა გაძარცვეს და ტყეში მიიმალნენ. ასე გამოასალმეს

სიცოცხლეს გარეწრეებმა საქართველოსათვის თავდადებული მოამაგე ილია ჭავჭავაძე (იხ. ქვევით).

ილიას მკვლელობამ შეაძრწუნა მთელი საქართველო. არავის სჯეროდა ასეთი ვერაგული მკვლელობა.

დასტიროდა და გლოვობდა მთელი საქართველო.

საგურამოდან გადმოსვენებული ილია სამ დღეს ესვენა თბილისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარში. უკანასკნელად დაიტირა საქართველომ და 9 სექტემბერს, დილის 7 საათიდან სიონის ტაძართან უკვე შეკრებილი იყო ხალხი. 8 საათზე დაიწყო წირვა და პანაშვიდი, რომელიც გაგრძელდა 3 საათნახევარს. სიონიდან გამოასვენეს ილია, ხალხმა ხელით ატარა, შეჩერდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობასთან, საიდანაც აივნიდან ავადმყოფმა აკაკიმ უკანასკნელად მიმართა ილიას (იხ. ზევით). დიდი მგოსნის მიერ წარმოთქმული სიტყვები, შევიდა ქართულ მჭერმეტყველობის ისტორიაში. აქედან ხალხმა ისევ ხელით ატარა, გადაასვენეს, და სამუდამოდ მიწას მიაბარეს მთაწმინდის საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. აქვე, მის გვერდით, დაასაფლავეს 1927 წ. ილიას მეუღლე, საზოგადო მოღვაწე, ოლღა გურამიშვილ-ჭავჭავაძე (1842–1927).

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ (1876–1957), პარიზში 1911 წ. გამოაქანდაკა და ბრინჯაოსაგან ჩამოასხა ილიას ძეგლი. ამის შესახებ თვითონ იაკობი გვიამბობს:

„ილიას სიკვდილის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოებამ შემიკვეთა მისი ძეგლის გაკეთება.

ამ საქმისათვის საზოგადოებამ გადასდო 5 500 მანეთი. ეს თანხა ხელისმოწერით იქნა შეგროვილი საქართველოში.

ძეგლი პარიზში გავაკეთე. იქ ვცხოვრობდი, ვმუშაობდი, მარტო „მწუხარე ქალის“ ჩამოსხმა ექვსასი მანეთი დამიჯდა. მისი ანგარიშები ახლაცა მაქვს შენახული“ (5, გვ.8).

ილიასადმი მიძღვნილი ძეგლი, 1913 წელს, მთაწმინდაზე, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის პეტრე მამრაძის (1877–1937) გაფორმებით გაიხსნა.

ძეგლი წარმოადგენს დამწუხრებულ ქართველ დედას, რომელიც გადმოსცემს ხალხის გლოვას. ილიას თანამედროვე სოსიკო ფანცხავა გადმოგვცემს:

„სახალხო მოქანდაკემ, იაკობ ნიკოლაძემ, თავისი საკუთარი ატელიეს დათვალიერების დროს, როცა ჩემი ყურადღება ილიას მამადავითის პანთეონში

დადგმული ძეგლის მაკეტმა მიიქცია, მითხრა, რომ ქუთაისის მანდილოსანთა ჯვარის, როგორც მწუხრის გამოსახულება, როგორც ჭეშმარიტი იდეა სევდით შეპყრობილი ქართველი დედისა, დაედვა საფუძვლად და შინაარსად ილიას შესანიშნავ ძეგლს მთაწმინდაზე. დიდ პანთეონში ილიას ეს იშვიათი ძეგლი იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების შედევრია.

საბოლოოდ ამ იდეის ექსპოზიცია უნდა მივაწეროთ ქუთაისის მოწინავე ქალთა შემოქმედებას, ამგვარი ნაზი საგვირგვინო ნიშნის შექმნისათვის“ (5, გვ.141).

ჩვენმა დიდმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ (1861–1915) შემდეგი სიტყვებით დაიტირა ილია:

„მოგვიკლეს სუკეთესო, პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე, დიდი მოამაგე ქართველ ერისა... საშინელი, მეტისმეტად ბარბაროსული მკვლელობაა, რომლის მსგავსი არსად, არა ქვეყანაში არ მომხდარა და არც მოხდება! მხოლოდ საწყალს, უბადრუკს, უბადრუკის შვილების პატრონს საქართველოში შეიძლება ამისთანა მკვლელობა... რევოლუციის სახელით. საბრალო რევოლუციავ ჩვენს ხელში.

საზარელი ფაქტია, საზარელი მოქმედებაა. საშინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ“ (18, ტ.9, გვ.269). ხოლო დასაფლავების დროს წარმოთქმულ თავის სიტყვაში ვაჟამ აღნიშნა:

„მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა. იყო მისი დარაჯი; როგორც დედა ერთადერთს ჩვილს შვილსა, ისე დასძროდა და დაჰკანკალებდა, ან არ შემიცივდეს, არ მომიშივდესო. მოსეულს მტერს, ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს, შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა.

ეს მწერლობაში. მწერლობის გარეშე ხომ უთვალავია მისი ღვაწლი. ყველაფრის ჩამოთვლა მეტია, ვინაიდან ეს ღვაწლი ყველა ქართველმა კარგად უწყის“ (18, ტ.9, გვ.272).

მწერალი და ისტორიკოსი ლევან სანიკიძე (1925–2002) წერდა:

„საქართველოს ერისუფალი მისგანვე გაღმერთებულ ქართულ მიწაში ესვენებოდა...

დავითისა და თამარის შემდგომ, ასეთი მწარე, საყოველთაო ეროვნული დატირება აღარავის მოსწრებია საქართველოში“ (35, გვ.65).

მწერალი და ლიტერატურათმცოდნე გიორგი ნატროშვილი (1910–1998) შემდეგნაირად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს:

„გასული საუკუნის სამოციან წლებში ილია ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა ყველა ცოცხალ ძალას, ყოველივე ახალს, აღმოცენებადს; ის ამიერიდან თავისი ქვეყნის მესაჭე ხდება, რათა თავის ხალხს ისტორული მსვლელობის გზაზე წამოუძღვეს, ყველა წყალქვეშა ლოდს ააცილოს. ისტორიამ მეტად მძიმე ტვირთი წამოჰკიდა ილია ჭავჭავაძეს. ის არ იყო მარტო პოეტად, მარტო ბელეტრისტად დაბადებული; ცხოვრების ყოველი უბანი საჭიროებდა და მოელოდა მზრუნველ პატრონს, გულშემატკივარს და ისიც ათასად უნდა გაჭრილიყო, რომ ყველა უბანს გასწვდენოდა, თვალი ყველგან მიედევნებინა, ტანჯვის ცრემლი ჩამოეწმინდა დაჩაგრული მოძმისათვის, შებრძოლებოდა ქვეყნის მტერს ყველა ფრონტზე – ესთეტიკაშიც და არქეოლოგიაშიც, ისტორიაში და ეკონომიურ მეცნიერებაშიც.

თვითონ დრო, ისტორიული ეპოქა, რომელიც განაპირობებს, რა გინდ ბუმბერაზიც არ უნდა იყოს ის, მოითხოვდა ილიასაგან ყოფილიყო პოეტიცა და ფილოსოფოსიც, ისტორიკოსიც და ეკონომისტიც, ფინანსისტიც და ჟურნალისტიც...

მას უნდა ეწერა ესთეტიკის უღრმეს პრობლემებზე, ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის საკითხებზე, და იმავე დროს, ქართველ მევენახეთა გასაჭირზე, საქართველოს ისტორიაზე და იმავე დროს, საგლეხო გამსესხებელ – შემნახველ საზოგადოებაზე და მოკლევადიან კრედიტზე, და ყველგან მისი სიტყვა ბრძნული იყო და რჩევა სასიკეთო და საქმისათვის საჭირო და აუცილებელი.

ჩვენ განზრახ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ცალკე საკითხები, რომელნიც თითქოს დაშორებულნი არიან ერთიმეორისაგან. მაგრამ აქ იმ საკითხთა მეასედიც არ არის აღნუსხული, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე ეხებოდა. აბა დაასახელეთ ერთი უბანი ცხოვრებისა, სადაც არ სწვდებოდა მისი თვალი; უაღრესად ფართო იყო წრე საკითხებისა, რომელნიც მას აღელვებდნენ, აფიქრებდნენ, რომელნიც მის საზრუნავად გადაქცეულიყვნენ, არ იყო არც ერთი ტკივილი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, რომელიც ამ შესანიშნავ ადამიანს თავისად არ მიეღო, რომელიც მას საკუთარ ტკივილად არ მიეჩნია და მის დაყუჩებაზე არ ეზრუნა. მთავარი ის არის, რომ ყოველი ნაბიჯი მწერლისა, ყოველი მისი წერილი ზუსტად გამიზნულია, ყოველი სტრიქონი ერთი სუნთქვით არის გამთბარი, ერთ დიდ მიზანს ემსახურება, – ეს მიზანია ასწავლოს, ხალხს წინ სავალი გზა გაუნათოს. გრძნობთ, რომ ამას წერს ადამიანი, რომელსაც ცხოვრების უმაღლეს მიზნად ხალხის უფლებებისათვის ბრძოლა და მისი ტანჯვის შემსუბუქება

დაუსახავს, ამას წერს მგზნებარე მოყვარული თავის ქვეყნისა, გულმხურვალე პატრიოტი, და, იმავე დროს, გულწრფელი ინტერნაციონალისტი, რომელმაც იცის, რომ შენი ერი ბედნიერი ვერ იქნება უმძოდ და უმეგობროდ; მართლაც განსაცვიფრებელია ეს უნივერსალიზმი, ეს მრავალმხრივი განსწავლულობა, მრავალსაწყისიანობა, ეს აზრის სიძლიერე და პრაქტიკული გამჭრიახობა!“ (5, გვ.186).

მწერალი, კონსტანტინე გამსახურდია (1893–1975) შემდეგნაირად ახასიათებდა ილია ჭავჭავაძეს:

„ჩვენი დროის ახალი ეთოსით გაბრწყინებული იდეალიზმი ახალ მასშტაბებს ეძებს ხელოვნებაშიაც. ამ მხრითაც სულ ადვილია ილია ჭავჭავაძესთან კონტაქტის მოძებნა...

თუ ქართულის მასშტაბით მივალთ ილიასთან, აწ ყველაზე უწინ მისი პიროვნება გეცემათ თვალში.

არც ერთ ქართველ მწერალს გასულ საუკუნეში ისეთი ლოგიკურად გამიჯნული და მტკიცე მსოფლ-მხედველობა არა ჰქონია, როგორც ილია ჭავჭავაძეს. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ის, რაც მის საუკუნეში არამც თუ არც ერთ ქართველ მწერალს, არც ერთ ქართველს არა ჰქონია, ეს იყო პიროვნება.

პიროვნება უდიდესი სამკაულია ადამიანისა, პიროვნება დიდი და ძლიერი ხასიათის მატარებელი. მე მინდა ილია ჭავჭავაძე გამოვარჩიო მთელ ქართველ მწერლობაში სწორედ ამ ხასიათიანი პიროვნებით... უკულტურო ერს სწორედ თავის უხასიათობის მიზეზით იმორჩილებს კულტურული...

ილია ჭავჭავაძეშიაც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა. დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი, დიდი წინასწარმეტყველებისა. ღმერთიც დიდკაცს ირჩევს ყოველთვის თავის ურყევი ნებისყოფის ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდის ღმერთის საკურთხევლის ცეცხლის მატარებელი იყო.

ამიტომაც ილია ჭავჭავაძის პიროვნება მადლია საქართველოს გასული საუკუნის გაუხარებელ ისტორიაში“ (27, ტ.VII, გვ.235).

„ილიას გაუტეხელი ხასიათი სიბერემდის შერჩა. არც სახელმა, არც პატივმა, არც ლიტერატურულმა გამარჯვებამ მისი გაუტეხელობა ვერ შეარბილა“ (27, ტ.VII, გვ.238).

„ვერ დაივიწყებს ახალგაზრდა საქართველო, ილია ჭავჭავაძის სახელს, რომელიც 50 წელი ამაყი სარანგი იყო ქართული სულისა და სიცოცხლე თვისი მოწამებრივი სიკვდილით დაასრულა.

მიწა და ღმერთი ორივე სისხლს მოითხოვს ერის რჩეულთაგან, ამაშია ღრმა მისტერია ჩვენი აქ ყოფნისა“ (27, ტ.VII, გვ.240).

ფილოსოფოსი ვახტანგ გაგოიძე (1920–2003) ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულების შესახებ აღნიშნავს:

„ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური შეხედულებანი მისი რთული მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელის საფუძვლიანად შესწავლის გარეშე შეუძლებელია მისი მსოფლმხედველობის რამდენადმე დამაკმაყოფილებელი წარმოდგენა... ილიას ფილოსოფიური თვალსაზრისის შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ იგი არ ყოფილა სპეციალურად ფილოსოფიური მწერალი. მას არ დაუწერია გამოკვლევები ფილოსოფიის სპეციალურ საკითხებზე... იგი უაღრესად დიდი პრაქტიკული მოღვაწე იყო და თეორიულ-ფილოსოფიურ საკითხებს იმდენად და იმ კუთხით აყენებდა თავის შემოქმედებაში, რამდენადაც ისინი აუცილებელი იყო მისი პრაქტიკული მოღვაწეობის წარმატებისათვის... ილიას ფილოსოფიური კონცეფციის მიზანია თეორიულად დაასაბუთოს იმის აუცილებლობა, რის პრაქტიკულ განხორციელებასაც ის ცდილობდა“ (26, გვ.43).

„ვინც მოჰკვდება
განა ყველა ითქმება მკვდარად?
ზოგი ჩადის ბნელ საფლავში
ზოგი აქვე რჩება ლამპრად.
და ილია არ მომკვდარა
მამულისთვის რჩება ლამპრად
მაშინ როცა მისი გვამი
გადიქცევა მიწად და მტვრად.
რაც კი ჰქონდა მაღლით ნიჭი
ბუნებისგან მოცემული,
მთლად მიუძღვნა მისს სამშობლოს,
ფიანდაზად დასდვა გული!...“
აკაკი (17, ტ.3, გვ.217).

თავი პირველი

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება

1. საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობა ილიამდე. XIX ს-ის პირველი ნახევარი

როგორც ზევით აღვნიშნეთ, XIX საუკუნეში საქართველო წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის კოლონიას. საქართველოსა და საერთოდ მთელ ამიერკავკასიას რუსეთის მთავრობა თვლიდა როგორც იმპერიის განაპირა მხარეს. რუსეთის მეფის მთავრობა ცდილობდა ჩრდილოეთ კავკასია და საქართველოც გაერუსებინა და აქ ამიერკავკასიის ძირითადი დასაყრდენი ადგილი შეექმნა და ამისათვის ყოველგვარ ღონისძიებებს მიმართავდა. ხდებოდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის აყრა და გადასახლება, ხოლო მათ მიერ განთავისუფლებულ მიწებზე სხვადასხვა ხალხთა ჩამოსახლება. მეფის მთავრობის მოხელეთა თავხედური მოქმედება, თვითნებობა, მექრთამეობა, უსამართლობა და ადგილობრივი მოსახლეობის უხეში მოპყრობა და საერთოდ ხალხის აბუჩად აგდება, იწვევდა მოსახლეობის უკმაყოფილებას. ამავე დროს საოკუპაციო ჯარების შენახვა მოსახლეობის ხარჯით ხდებოდა და ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად დააწვა ხალხს, რასაც თვითონ რუსეთის მთავრობის მოხელეებიც აღნიშნავდნენ.

კავკასიაში შემოღებულ იქნა ახალი ადმინისტრაციული დანაყოფები, რომლის მიხედვითაც ამიერკავკასია გახდა ორი ადმინისტრაციული ერთეული: „კასპიის ოლქი“ და „საქართველო-იმერეთის“ გუბერნია. შემდეგში საქართველოს ხსენება საერთოდ გაუქმდა და გახდა თბილისის და ქუთაისის გუბერნია.

ამიერკავკასიას განაგებდა ამიერკავკასიის მთავარსარდალი, რომელიც იმყოფებოდა თბილისში, ვინაიდან თბილისი წარმოადგენდა ამიერკავკასიის მთავარ ქალაქს. ამიერკავკასიაში და საქართველოში რუსეთის მთავრობა ახორციელებდა გარუსების მიზნით, როგორც პოლიტიკურს ასევე ეკონომიურ ღონისძიებებს.

„პოლიტიკურ დარგში თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა ითვალისწინებდა ქართველი ხალხის უფლებების ყოველმხრივ შეზღუდვას, როგორც მართვა-გამგეობის, ისე განათლების საქმეში. ცარიზმმა კუდმოკვეცილი ერობაც არ აღირსა საქართველოს, სადაც ადგილობრივი მმართველობა და ადმინისტრაცია ბოლომდე დარჩა პოლიციური აპარატის ხელში. ქართველი ხალხი მოკ-

ლებული იყო მშობლიურ ენაზე საქმის წარმოებას სახელმწიფო დაწესებულებებში. ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან მეფის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროებდა ქართულ ენას სკოლებში, 90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართულად ლაპარაკიც იკრძალებოდა. დევნას განიცდიდა ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, რომლებსაც ცარიზმის მოხელენი ბრალად დებდნენ „ეროვნული გრძნობების“ გაღვივებას. 1882 წელს ოფიციალურად აკრძალეს ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ სავაროდ ხსენება. ქართველი ხალხის იმთავითვე ძლიერმა ეროვნულ-კოლონიურმა ჩაგვრამ 80-90-იან წლებში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. დიდმპყრობელური ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ტალღა სრულ წალეკვას უქადდა „ინოროდცებს“. ალექსანდრე მესამის რეაქციული მთავრობა სრულიად აღარ ცნობდა საქართველოს და კავკასიის რაიმე თავისებურებას. იგი აშკარად დაადგა ქართველი ხალხის სრული ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ქართული კულტურის საბოლოო მოსპობის გზას“ (10, ტ.V, გვ.460).

ი. გოგებაშვილი, ასე აღწერს მაშინდელ საქართველოს მდგომარეობას წერილში, „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“.

„მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველები უაღრესად თავდადებულ ერთგულებას იჩენდნენ მეფე იმპერატორის და თავიანთი ახალი სამშობლოს – რუსეთის მიმართ. თითქოს, სამართლიანობა მოითხოვდა, რომ სრული თანასწორუფლებიანობით ესარგებლნათ თავიანთ ერთმორწმუნე რუსებთან ერთად; მაგრამ ეს ასე არ იყო...

ანტიქართული მიმართულება ამოდის კალაპოტიდან და ფართო ნიაღვრად ედება ყველა უწყებას. და ამჟამად ქართველები ყველაზე დაჩაგრული, ყველაზე შეურაცხყოფილი ეროვნებაა რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნულ უმცირესობათაგან. აი ამის ურყევი ფაქტები...

მაზრის უფროსთა თანაშემწეების თანამდებობებსაც კი თანდათან იკავებენ მონათლული ებრაელები, გერმანელები, ფსევდორუსები, რომელთაც განათლების არავითარი ცენზი არა აქვთ...

სასამართლო უწყებაშიც ასეთივე სავალალო მოვლენას ვხედავთ... ქართველების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია სასწავლო უწყებაში. სამზრუნველო საბჭოს შემადგენლობაში ერთი ქართველიც აღარ არის... სოფლის სკოლების მასწავლებლებადაც კი უკანასკნელ ხანებში ნიშნავენ არაქართველებს...

კავკასიის სასწავლებლებში საღვთო სჯულს ასწავლიან დედაენაზე: გერმანელებს, პოლონელებს და საერთოდ ეროვნულ უმცირესობათა ყველა მოწაფეს

და ასწავლიან იმავე ტომის მასწავლებლები. ერთადერთ სამწუხარო გამონაკლისს შეადგენენ ქართველები, რომელთაც აიძულებენ საღვთო სჯული ისწავლონ რუსულ ენაზე, რუსებთან ერთად, რაც მეტისმეტად ცუდ გავლენას მოახდენს მათ რელიგიურ აღზრდაზე...

საღვთო სჯულის მასწავლებლის თითქმის ყველა ადგილიდან ქართველები განდევნილია რუსების მიერ და ქართველ მოსწავლეებს არასდროს არ ესმით არც ერთი ლოცვა მშობლიურ ენაზე...

ქართველი მოსახლეობა მიწის მხრივაც მეტად შევიწროებულია... დიახ, მიწა, რომელიც მთლად ქართველთა სისხლითაა გაჟღენთილი და რომელიც სანახევროდ ქართველთა ძვლებითაა მოფენილი, არ შეიძლება უკიდურესად გაჭირვებულ ქართველს მიეცეს დასამუშავებლად. შავი ზღვის სანაპიროზე სახელმწიფო მიწებს ადვილად ღებულობენ რუსებს გარდა გერმანელები, მოლდაველები, ესტონელები, ლიტველები და სომხები; – მხოლოდ ქართველებს ეუბნებიან კატეგორიულად უარს...

ქართველთა ჩაგვრა ისე მკაფიოდ არაფერში ჩანს, როგორც საეკლესიო სფეროში. რუსეთის ყველა სხვა ეროვნებას ჰყავს თავისი ეკლესიის მეთაური, თავისი სასულიერო იერარქია, აქვთ თავისი სასწავლებლები, ჰყავთ თავისი უფროსები, ახალგაზრდებს სასულიერო საგნებს დედაენაზე ასწავლიან, ამავე ენაზე ასრულებენ წირვას. სხვანაირად შეუძლებელიცაა. მაგრამ ის, რაც შეუძლებლად არის მიჩნეული ყველა სხვა ტომის მიმართ, სრულიად შესაძლებლად მიაჩნიათ ქართველთა მიმართ..“ (19, გვ.140–146).

ცნობილია, რომ XIX საუკუნეში, ჯერ თურქეთის, ხოლო შემდეგ რუსეთის იმპერიის მიერ, კავკასიაში დაიწყო მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებით გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში (რომელიც ცნობილია „მუჰაჯირობის“ სახელწოდებით).

საქართველოდან (ძირითადად: 1828–1829, 1877–1879 წწ.-ში, სამცხე-ჯავახეთიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან) უამრავი მკვიდრი მოსახლეობა იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო (დაახ. 150 ათასზე მეტი).

მუჰაჯირობის დროს, საქართველოს მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთიდან და საერთოდ მთლიანად კავკასიიდან რუსეთის მთავრობის მიერ, ადგილობრივი მოსახლეობის იძულებით აყრისა და გადასახლების შესახებ, ისტორიკოსი ანზორ თოთაძე წერს:

„თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუჰაჯირობის საკითხში რუსეთისა და თურქეთის ინტერესები ერთმანეთს ზედმიწევნით დაემთხვა. ამიტომ არ არის

შემთხვევითი, რომ 1858 წლიდან დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების საკითხი მეფის რუსეთისა და თურქეთის დიპლომატიური მიმოწერის მეტად მნიშვნელოვანი საგანი გახდა.

როგორც რუსეთის, ისე თურქეთის სახელმწიფოებს აფხაზების თავიანთი საცხოვრებელი მიწიდან აყრისა და თურქეთში გადასახლების საკითხში გამოკვეთილი მიზნები ჰქონდათ. რუსეთი დაინტერესებული იყო დაცარიელებულ ადგილებში კაზაკ-რუსები დაესახლებინა. მაშინდელი უმაღლესი რანგის ხელისუფალთა მიმოწერაში დაუფარავადაა ეს სურვილი გაცხადებული და ამისათვის საჭირო ღონისძიებებიცაა დასახელებული. 1861 წელს კავკასიის მეფისნაცვალი თავადი ბარიატინსკი წერდა: „უნდა გავანთავისუფლოთ კავკასიის ზეგანი მოსახლეობისაგან... და ამ მშვენიერ და ნაყოფიერ ადგილებში უნდა შევქმნათ კაზაკთა დასახლებები“. იმპერატორ ალექსანდრე მეორეს კი კავკასიის ომის დამთავრების მილოცვის წერილში იმასაც ატყობინებდნენ, რომ „დროის“ დაუკარგავად და რამდენადაც შესაძლებელია“ უნდა გადავასახლოთ მთიელები თურქეთში და „რაკი ქვეყანა მათგან გაიწმინდება დავამყარებთ იქ ჩვენს ბატონობას სამუდამოდ“. რუსეთის ხელისუფალთა მიზანი იყო მთლიანად გაესახლებინათ ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, უბიხები, აფხაზები და სხვა მთიელი ტომები. 1860-იან წლებში ძირითადად გადაასახლეს საძები, აბაზინები, უბიხები...

ამავე პერიოდში დაგეგმილი იყო აფხაზების თურქეთში გადასახლება. 1864 წელს, ე. ი. კავკასიის ომის დამთავრებამდე, მეფისნაცვალი ალექსანდრე მეორეს პირად წერილში წერდა: „ვიმოქმედებთ წინდახედულად, მაგრამ გაბედულად, რათა საბოლოოდ მთლიანად გავწმინდოთ შავი ზღვის სანაპირო“... მაგრამ იმ პერიოდში ამ აზრის განხორციელება არ იქნა მიჩნეული სასარგებლოდ და აფხაზები ადგილზე დარჩნენ...

მეფის რუსეთის უშუალო ხელშეწყობითა და მონაწილეობით ათასობით აფხაზი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა მშობლიური მხარე და გადასახლებულიყო თურქეთში. უფრო ტრაგიკული ბედი ერგოთ აფხაზებისა და ადიღეელების მეზობლად მცხოვრებ ხალხს – უბიხებს, რომლებიც მთლიანად გადასახლდნენ თურქეთში. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მირსკი ამის შესახებ აღნიშნავდა: თუ აფხაზების ნაწილი მოისურვებს ოსმალეთში გადასახლებას ჩვენ ამას არ უნდა შევუშალოთ. ჩვენ უნდა შევიძინოთ აფხაზეთის მამულები, რომლებიც მეტად ვრცელია და შევუდგეთ აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახ-რუსების საშუალებით.

აფხაზეთში საკოლონიზაციოდ გამოყოფილ მიწებზე ინტენსიურად ასახლებენ რუსებს, ხოლო ყველა სხვა მსურველს უარს ეუბნებიან, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობის ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებს და მოლდაველებსაც აძლევენ დასახლების უფლებას... უარს აქ დასახლებაზე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეზობელი მხარეების უმიწაწყლო ქართველ გლეხებს ეუბნებიან... მათ უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ „სოხუმის ოლქში ყველა თავისუფალი მიწა საბოლოოდ განკუთვნილია რუს კოლონიზატორთა დასაბინავებლად“ (16, გვ.65–71).

რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი ამ რუსულ აგრესიას დაუპირისპირდა და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდანვე,დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა.

1802 წელს, რუსეთის მთავრობამ, საქართველოს მთავარმართებლად და ასტრახანის გუბერნატორად დანიშნა, რუსეთის მომხრე და მისი პოლიტიკის გამტარებელი, რუსეთის სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) (1754–1806), რომელიც 1803 წელს ამბობდა:

„ქართველები საგარეო და საშინაო ამბოხებათა ქარიშხალში გახვეული ხალხია.“... და მართლაც, ასეთ ამბოხებათა ქარიშხალმა არაერთგზის დააყენა საფრთხის წინაშე მეფის იმპერიის ბატონობა ამიერკავკასიაში. ამრიგად, რომანოვთა სახელმწიფოს მიერ მოპოვებული გამარჯვებით ზეიმი ჯერ კიდევ ნაადრევი იყო“ (10, ტ.IV, გვ.819).

ქართველი პატრიოტები,მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები,გლეხობა, მაღალი წრის და სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენელნი არასოდეს შერიგებია დამოუკიდებლობის დაკარგვას და იბრძოდა სხვადასხვა გზითა და ხერხებით სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

მთელი XIX საუკუნე, საქართველო გამუდმებული შეთქმულებისა და ავჯანყების ქარცეცხლში იყო გახვეული. რუსეთის ხელისუფლება ახშობდა და სასტიკად უსწორდებოდა ავჯანყებულებს.

პირველი ავჯანყება მოხდა მთიულეთში 1804 წელს. ავჯანყება თანდათან გაფართოვდა, მოედო ხევსურეთს, ქსანს, არაგვსა და კახეთს. ავჯანყებაში მონაწილეობდნენ, ერეკლე II-ის (1720–1798) შვილი, ფარნაოზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1775–1852) და მისი მომხრე თავადები.

„ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ ცდილობდა ასეთი

დაჟინებით რუსული ხელისუფლება საქართველოს გაწმენდას სამეფო სახლის წარმომადგენლების, ბაგრატიონებისაგან, ყველა მათგანის რუსეთს გადასახლებასა და მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქცევას“ (11, ტ.IV, გვ.16).

აჯანყება ჩახშობილ იქნა. 1805 წელს ფარნაოზ ბატონიშვილი შეიპყრეს და რუსეთში – ვორონეჟში გადაასახლეს. ხოლო 300-ზე მეტი აჯანყებული თავადი ციხეში მოათავსეს. ამავე დროს, ლიახვის ხეობის აჯანყებული ოსებიც დაამარცხეს და სოფელი ლიახვი მთლიანად მოსპეს.

ფარნაოზი, 1801 წლიდან თავის უფროს ძმასთან იულონ ბატონიშვილთან (1760–1867) ერთად ებრძოდა რუსეთის ხელისუფლებას. იგი ვორონეჟის შემდეგ, ცხოვრობდა პეტერბურგში. ორივე ძმები დასაფლავებულნი არიან ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

მეორე აჯანყება 1812 წ. ახმეტაში დაიწყო, რომელიც მთელ კახეთს მოედო და ქართლშიც გავრცელდა.

აჯანყებულებმა საქართველოს სამხედრო გზაც გადაკეტეს. მეფედ გამოაცხადეს ერეკლე II-ის მეფის შვილიშვილი გრიგოლ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) იოანეს ძე (1789–1830).

1811 წლიდან საქართველოში რუსეთის ჯარის მთავარსარდალმა, გენერალმა ფილიპ პაულუჩმა (1779–1849) „1812 წლის 22 თებერვალს რუსეთის იმპერატორს მოახსენა, რომ მთელი კახეთი და არაგვის ხეობა აჯანყდა... აჯანყებები დაიწყო აგრეთვე დაღესტანში, შირვანში, შაქში. კახეთის მეფედ გამოცხადებული გრიგოლ ბაგრატიონი ცდილობს აჯანყების არეალის კიდევ უფრო გაფართოებას... „კახეთის რევოლუციის“ გაჩაღებაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საქართველოს ყოფილი სამეფო სახლის წევრებმა, რომელნიც ერთგული თავადების დახმარებით ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ თავადების დახმარებით ხალხის აჯანყებასო. ხალხს კი საამისო მიზეზი, აღიარებს პაულიჩი, საკმაოზე მეტი ჰქონდა: რუსეთის ადგილობრივი მოხელეების უზნეობა, ძალიან მძიმე საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, რუსეთის მოხელეთა ბოროტმოქმედება, რუსეთის სასამართლოს უვარგისობა და სხვა“ (11, ტ,IV, გვ.22). საბოლოოდ აჯანყება დამარცხდა. რუსეთის ხელისუფლებამ, დაღესტანში გადასული გრიგოლ ბატონიშვილი დაითანხმა მორჩილებაზე, ხოლო შემდეგ გადაასახლა რუსეთში (ქ. ოლონეცში), რამდენიმე ხნის შემდეგ კი გადაიყვანა ქ. პეტროზავოდსკში, სადაც მან დაიწყო ლექსების წერა და შემდეგში, როგორც მწერალი და მწიგნობარი, პეტერბურგის კოლონიის ერთ-ერთი ცნობილი წევრი გახდა. ფ. პაულიჩიმ გამოაცხადა, რომ მან აჯანყება ჩაახშო. მაგრამ მღელვარება მაინც

არ ცხრებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მთავრობამ, რუსეთის ჯარში მყოფი ქართლ-კახელ თავადთა დახმარებით მოახერხა ავჯანყების ჩახშობა.

როგორც ცნობილია 1812 წ. რუსეთსა და საფრანგეთს შორის ომი მიმდინარეობდა. რუსეთი ირანსაც ეომებოდა. ირანი ცდილობდა ამიერკავკასიაში თავისი დაკარგული ბატონობის აღდგენას და რუსეთისაგან მოითხოვდა ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანას. რუსეთი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ჩქარობდა ირანთან ზავის დადებას.

სწორედ ამ დროს (1812 წ.) ხელახლა ავჯანყდა კახეთი,რომელიც ქართლშიც დაიწყო გავრცელება. ავჯანყებულებმა მოიწვიეს მეფედ, ერეკლე II-ის ძე, ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1770–1844), რომელიც ებრძოდა რუსეთს, ქართული სამეფოს აღსადგენად. მან იცოდა, რომ ხალხი მას ემხრობოდა. იგი ერევნიდან საქართველოში ჩამოვიდა და ავჯანყებას სათავეში ჩაუდგა. დიდის მხნეობითა და მონდომებით შეუდგა საქმეს. მას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი საფრანგეთს ვერ გაუმკლავდებოდა და სპარსეთი გამოვიდოდა რუსეთის წინააღმდეგ, რომლის შემწეობითაც საქართველო შეძლებდა რუსეთის მარწუხებიდან თავის დახსნას. მაგრამ მისი იმედი არ გამართლდა. როგორც ვიცით, რუსეთი ამ ომში გამარჯვებული გამოვიდა. ასე, რომ ავჯანყებული კახეთი რუსეთთან პირისპირ აღმოჩნდა და გარედან დახმარების იმედი აღარსაიდან აღარ ჩანდა. ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთმა გადმოისროლა ახალი ძალები, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ რუსეთის ჯარში მყოფი ქართველებიც. „რუსთა ჯარს სამხედრო წყობითა და იარაღით დიდი უპირატესობა ჰქონდა ავჯანყებულ მოლაშქრეებთან შედარებით. ალექსანდრე ბატონიშვილმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ მოწინააღმდეგეს პარტიზანული ომი გაუმართა“ (10, ტ. IV, გვ.926).

ავჯანყებულებსა და რუსეთის ჯარს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა. თანდათან ავჯანყებულები მარცხდებოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილს თავადთა ნაწილიც ჩამოსცილდა. მანავთან ბრძოლის დროს, რუსეთმა შეძლო, ლეკთა რაზმისა და მოღალატე ქართველთა დახმარებით, ავჯანყების დამარცხება. ალექსანდრე თავისი მომხრეებით გადავიდა შატილში და იქ გამაგრდა. რუსეთის მთავრობის წარმომადგენელსა და ალექსანდრე ბატონიშვილს შორის მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ავჯანყებულმა ხევსურებმა, რუსეთის მთავარსარდლის არაერთგზის მოთხოვნას, „რომ ალექსანდრე ბატონიშვილი შეეპყროთ და რუსებისთვის გადაეცათ“, არ დაემორჩილნენ და უარი განუცხადეს ალექსანდრეს გადაცემაზე. საბოლოო ბრძოლა რუსეთის ჯარსა და ავჯანყებულებს შორის შატილთან

მოხდა 1813 წლის 31 მაისს. ხევსურთა მოთხოვნით ალექსანდრე ბატონიშვილი დაღესტანში გადავიდა.

„შატილის მისადგომებთან მოხდა იმ დროისათვის თითქმის განუმეორებელი უთანასწორო ბრძოლა მცირე რიცხოვან ხევსურებსა და კარგად შეიარაღებულ მრავალრიცხოვან რეგულარულ ჯარებს შორის.

700 ხევსური შეეწირა ამ უმაგალითო ბრძოლას; გადარჩენილმა ხევსურებმა 3 ივლისს შატილი დატოვეს.

დამსჯელმა ჯარმა ხევსურთა 20 სოფელი (მათ შორის შატილი) დაანგრია“ (10, ტ.IV, გვ.928).

საბოლოოდ აჯანყება დამარცხდა. რუსები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულ კახელებს: სოფლებს სწვავდნენ და მიწასთან ასწორებდნენ, ბაღვენახებს ანადგურებდნენ, აჯანყებაში მონაწილეებს ახრჩობდნენ და ციმბირში სამუდამო კატორღაში აგზავნიდნენ. აჯანყებაში მონაწილე თავად-აზნაურები გაასამართლეს და რუსეთში გადაასახლეს. კახეთის მოსახლეობას კონტრიბუცია დააკისრეს.

„ერთწლიანი ბრძოლების შედეგად კახეთი გაჩანაგდა. მოსახლეობა დიდად შემცირდა, ათასობით ხალხი ბრძოლაში დაიხოცა, სხვები კიდევ დასჯის შიშით სხვა ქვეყნებში გადაიხვეწნენ“ (10, ტ.IV, გვ.929).

ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთს არ შეურიგდა და 1819 წელს ირანში გადავიდა. მან მონაწილეობა მიიღო (1826–1828) წლებში რუსეთ-ირანის ომში. 74 წლის ასაკში გარდაიცვალა თეირანში და იქვე, სომხური ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს. ასე დამთავრდა ალექსანდრე ბატონიშვილის შეურიგებელი ბრძოლა რუსეთთან.

„კახეთის გრანდიოზულმა აჯანყებამ 1812 წელს ნათლად დაადასტურა, რომ ქართველი ხალხი ვერ მოითმენდა აღვირახსნილ უსამართლობასა და ეროვნულ ჩაგვრას, რომ მას კვლავაც დიდი ენერგია გააჩნდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“ (10, ტ.IV, გვ.930).

კახეთის შემდეგ, 1819 წელს აჯანყება დაიწყო ლიხსიქეთ საქართველოში. რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს დაპყრობისა და სამთავროების ავტონომიური სახით მიერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობის მიერ ჩატარებულმა რეფორმამ, განსაკუთრებით საეკლესიომ, გამოიწვია დასავლეთ საქართველოში მოსახლეობის უკმაყოფილება. საეკლესიო რეფორმის შედეგად მოსახლეობას გადასახადი გაეზარდა. მთავრობამ შემოიღო ფულადი გადასახადი, მოსახლეობას კი ფული არ ჰქონდა. დასავლეთ საქართველოში ამ დროს ძირითადად ნატუ-

რალური მეურნეობა იყო. მთავრობამ დაიწყო აღწერები. დაბეგრეს ისეთი სოფლებიც კი, რომლებიც ადრე სიღარიბის გამო გადასახადიდან განთავისუფლებულები იყვნენ. რეფორმა შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას, როგორც მაღალი წრის წარმომადგენლებს, ასევე სამღვდელოებას და გლეხობას. ხალხი აღელდა და ავჯანყდა. მალე ავჯანყება მოედო მთელ ლიხსიქეთ საქართველოს. ავჯანყებულებმა მეფედ მოიწვიეს ალექსანდრე ბატონიშვილი, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩამოსვლა. რუსებს ავჯანყების ჩაქრობა გაუჭირდათ, მაგრამ ბოლოს ძალა მოიკრიბეს და ავჯანყებულებს შეუტიეს. სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა შემოქმედის ციხესთან. ავჯანყება დამარცხდა (1816–1827) წლებში რუსეთის მიერ, კავკასიის კორპუსის უფროსად და საქართველოს მთავარსარდლად და ამავე დროს ირანის საგანგებო და სრულ უფლებიან ელჩად დანიშნული იყო ინფანტერიის გენერალი ალექსი ერმოლოვი (1777–1861). მისი ბრძანებით შემოქმედის ციხე მიწასთან გაასწორეს. როგორც კახეთში, აქაც ავჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდნენ. განსაკუთრებით დაზარალდა რაჭა. რუსებმა გადაწვეს და საერთოდ მოსპეს სოფლები და ციხესიმაგრეები. არავის არ ინდობდნენ. ტყვედ ჩავარდნილებს იქვე ახრჩობდნენ. დაპატიმრებულებს რუსეთის გუბერნიებსა და ციმბირში აგზავნიდნენ. „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ პირვანდელ მდგომარეობას“, – ასე იკვეხნიდა გაბოროტებული ერმოლოვი“ (10, ტ.IV, გვ.936).

ავჯანყებების დამარცხებებმა, ქართველ პატრიოტებს თვალნათლივ დაანახვა, რომ მამულის დასახსნელად საჭირო იყო სხვა გზების გამონახვა. მოწინავე ახალგაზრდობა და განათლებული საზოგადოების წარმომადგენელნი, რომლებიც მოღვაწეობდნენ ევროპაში და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ეცნობოდნენ, ითვალისწინებდნენ, აანალიზებდნენ იმ დროს ევროპაში და რუსეთში მომხდარ ამბებს. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ქართველ პატრიოტებზე XIX საუკუნის 30-იან წლებში მომხდარი ევროპის რევოლუციამ და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ, რუსეთში დეკაბრისტების გამოსვლამ და რევოლუციურმა მოძრაობამ.

ვინაიდან რუსეთის მთავრობა ამიერკავკასიას თვლიდა როგორც სახელმწიფოს განაპირა მხარეს, ამიტომ აქ, გადასახლებაში აგზავნიდა ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდებს და არასაიმედო პირებს. რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა (1796–1855), რომელიც ცნობილი იყო როგორც „ევროპის ჟანდარმი“ და თავისუფლად მოაზროვნეების სასტიკი მდევნელი, რომელმაც

უმოწყალოდ ჩაახშო (1830–31) წლებში პოლონეთის აჯანყება. ხოლო (1848–49) წლებში უნგრეთის რევოლუცია და 1825 წლის დეკაბრისტების აჯანყება, „თბილ ციმბირში“ გადმოასახლა ამ მოძრაობებთან დაკავშირებული პოლიტიკური, თუ საზოგადო მრავალი მოღვაწეები, ოფიცრები და ჯარისკაცები. ასე მოხვდნენ საქართველოში დეკაბრისტული მოძრაობის წევრები, „სლავთა გაერთიანებული წევრები“, პოლონელები და საზღვარგარეთიდან გადმოსახლებული საზოგადო მოღვაწეები. ამათ გარდა საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის იმპერიის მრავალათასიანი დამპყრობელურ ჯარში მომსახურე პირები და სახელმწიფო მთავრობის მოხელეენი.

ხდებოდა შეხვედრები ქართველ საზოგადოების წარმომადგენლებსა და უცხოელ მოღვაწეთა შორის.

ძირითადათ ეს შეხვედრები იმართებოდა პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786–1846) ოჯახში, თბილისსა და წინანდალში. ამ შეხვედრების დროს იყო საუბარი და მსჯელობები ლიტერატურულ საკითხებზე, ხელოვნებაზე და რაც მთავარი იყო, XIX საუკუნის პირველ ნახევრის საქრთველოს რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს: მწერალი და დეკაბრისტი ალექსანდრე ბესტუჟევ-მარლინსკი (1797–1837), მწერალი და დიპლომატი ალექსანდრე გრიბოედოვი (1795–1829), პოეტი და დეკაბრისტი ვილგელმ კიუხელბეკერი (1797–1846), დეკაბრისტებთან დაახლოებული გენერალი ნიკოლოზ რაევსკი (1771–1829), განმანათლებელი, ჟურნალისტი და ფილოსოფოს-ლოგიკოსი სოლომონ დოდაშვილი (1805–1836), პოეტი, გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ ორბელიანი (1804–1883) და სხვები.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში ჩამოყალიბდა სამშობლოს განთავისუფლების საზოგადოება, რომლის იდეური ხელმძღვანელი იყო თვითონ ა. ჭავჭავაძე.

ამ ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით, ვინაიდან ჯერ კიდევ არსებობდა ირან-ოსმალეთის საფრთხე, რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს გამოყოფა არ შეიძლებოდა. ჯერ საქართველოს უნდა მიეღო თვითმმართველობა და ამის შემდეგ ეზრუნა დამოუკიდებლობაზე, საგარეო ურთიერთობის გამოყენების გათვალისწინებით.

XIX საუკუნის დასაწყისში, პეტერბურგში, თანდათან თავი მოიყარეს ქართველმა მოწინავე ახალგაზრდებმა და მოღვაწეებმა. აქვე იმყოფებოდნენ საქართველოდან რუსეთში გადასახლებული სამეფო და მაღალი ფენის წარ-

მომადგენლები. მათ გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონდათ როგორც ერთმანეთთან, ასევე რუსეთისა და ევროპის მოწინავე საზოგადოებასთან. ამიტომაც ისინი კარგად იცნობდნენ როგორც რუსულ, ასევე ევროპის განმანათლებლების იდეებს. სწორედ აქ, პეტერბურგში 1825 წელს ჩამოყალიბდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი შეთქმულთა ჯგუფი, რომლის იდეური ხელმძღვანელი იყო, ერეკლე II-ის შვილიშვილი, დიმიტრი იულიონის-ძე ბატონიშვილი (XVIIIს.–XIXს-ნის 40-იანი წლები).

დიმიტრი„„ითვლებოდა განათლებულ და ჭკვიან კაცად, თავისიანებში სარგებლობდა დიდი პატივისცემით... დიმიტრის მებრძოლ სულისკვეთებას შეთქმულები ერთხმად ადასტურებდნენ... შეკრებათა მიზანი იყო არა მარტო საზოგადოების წევრის იდეურ-პოლიტიკური და კულტურული მომზადება, არამედ შეთქმულთა შეიარაღება ყოველივე იმით, რაც საჭირო იქნებოდა დასახული დიდი მიზნების გასაიდუმლოებისა და წრეობრივი მუშაობის გაფართოებისათვის“ (10, ტ.IV, გვ.941–942).

1826 წ. სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა კიდევ ერთი ჯგუფი ჩამოყალიბდა მოსკოვში, ოქროპირ ბატონიშვილის ხელმძღვანელეობით.

ოქროპირ ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1795–1867) იყო (1798–1800) ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის (1746–1800) შვილი. იგი რუსეთში XIX ს. 20-იანი წლებიდან ცხოვრობდა. ერთ-ერთ უმდიდრეს პიროვნებად ითვლებოდა. როგორც სენატორის სიძე, იგი რუსეთის სახელმწიფოს დიდ მოხელეებთან დაახლოვებული პირი იყო. ცდილობდა ქართველი ახალგაზრდები ჩაება რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

„მის გარშემო ქართველთა ერთი ნაწილის დაჯგუფება, როგორც სჩანს, მომავალი ბრძოლისათვის საჭირო სახსრებითაც აიხსნებოდა... ქართველ ბატონიშვილს შეთქმულნი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ“ (10, ტ.IV, გვ.943).

„მოსკოვის შეთქმულთა ჯგუფი შემდეგ ამოცანებს აყენებდა: სამშობლოსადმი სიყვარულის გაძლიერებას მოწაფეებსა და, საერთოდ, ახალგაზრდობაში და ამ გზით ჩაბმას თავისუფლების მომხრეთა ბანაკში, ქართული რეგულარული არმიის შექმნას და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენას, ამ უკანასკნელ საკითხზე შეთქმულთა მსჯელობიდან თითქოს ჩანდა, რომ ისინი უპირატესობას აძლევდნენ მაშინდელი საფრანგეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას“ (10, ტ.IV, გვ.942).

პეტერბურგიდან და მოსკოვიდან შეთქმულები თანდათან თბილისში გადმოვიდნენ და ის შეთქმულთა ძირითადი, მთავარი ადგილი გახდა.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1827 წელს, პეტერბურგიდან თბილისში ჩამოსვლის წინ, ს. დოდაშვილმა მოსკოვის ჯგუფისაგან დავალება მიიღო, სამშობლოში თანამოაზრეთა ჯგუფის ჩამოსაყალიბებლად. ხოლო 1830 წელს პეტერბურგიდან წამოსვლისას, შეთქმულების აქტიურმა მონაწილემ ელიზბარ ერისთავმა (1810–1870), დიმიტრი ბატონიშვილისაგან დავალება მიიღო: „თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანთავისუფლოთ“ (10, ტ.IV, გვ. 942).

თბილისში ჩამოყალიბდა საიდუმლო ორგანიზაციის შეთქმულთა ცენტრი. ხელმძღვანელები იყვნენ: ალექსანდრე ორბელიანი (1802–1869) (ერეკლე II-ის შვილიშვილი, პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, რომანტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი), ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი.

ალექსანდრე ორბელიანს დიდი გავლენა ჰქონდა შეთქმულთა წევრებზე და სინამდვილეში იგი იყო მათი აღიარებული ხელმძღვანელი.

„XIX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში სამი საზოგადოებრივ-პოლოტიკური მიმართულება გამოიკვეთა: მოსახლეობის მცირე ნაწილი შეურიგდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას. მას სასარგებლოდ მიაჩნდა იმპერიული ხელისუფლების ქვეშერდომობაში ყოფნა. მეორე ნაწილის იდეალი იყო 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მფარველობით – სამოკავშირეო ხელშეკრულების აღდგენა და ამის მიღწევას მშვიდობიანი გზით ვარაუდობდა; გათვითცნობიერებული ქართველი საზოგადოების უმრავლესობა შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკას ემხრობოდა. მათი აზრით, ავჯანყების გარეშე ავტონომიის აღდგენაც კი ვერ მოხერხდებოდა, მით უმეტეს შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობის მოპოვება.

შეთქმულთა საზოგადოებაში მესამე მიმართულება დომინირებდა. წევრთა დიდი უმრავლესობა ფარული საზოგადოების ძირითად ამოცანად თვლიდა ანტირუსული ომისათვის მომზადებას, სრული დამოუკიდებლობის მოპოვებას, ეროვნული სახელმწიფოს შექმნასა და სრულყოფას. აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ფორმისა და სტრუქტურის განსაზღვრის საკითხებში“ (11, ტ.IV, გვ.37).

შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილის პოდპორუჩიკის ანტონ აფხაზის (1806–1837) გადმოცემით, „ალ. ორბელიანი და ელ. ერისთავი ამბობდნენ –

„სადაც თავისუფლება არ არის, იქ უკვე სიცოცხლე არ არის“. ალ. ორბელიანი შეთქმულებას მეტად ფართო მიზნებს უყენებდა: „შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია, შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა.“ ქართველ შეთქმულთა მთავარი მიზანი, მისივე განცხადებით, „მამულის გამოხსნა“ იყო. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ცარიზმის მოხელეებმა ალ. ორბელიანი ერთ-ერთ მთავარ დამნაშავედ აღიარეს“ (10, ტ.IV, გვ.944).

ელიზბარ ერისთავი, პოლიტიკური მოღვაწის, შანშე ქსნის ერისთავის (XVII ს. ბოლო – 1783) შვილი იყო. პეტერბურგში, საარტილერიო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჩამოვიდა თბილისში და „1832 წელს შეთქმულებაში წამყვან როლს ასრულებდა... შეთქმულებს შორის იგი დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა.

ალ. ორბელიანი... ამბობდა: „თავადი ელიზბარ შანშეს-ძე... ჩვენზე უპირატესი მცდელი შეიქმნა... დიდად ცდილობდა და ყოველ ადგილს მიმომსვლელი ის იყო და შუა კაცი“ (10, ტ.IV, გვ.945).

ს. დოდაშვილი წარმოშობით გლეხი იყო. „იგი პირველი ქართველთაგანი იყო, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი... მას, საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა ქვეყნის განათლება, ქართული ენისა და ლიტერატურის, მშობლიური ისტორიის, ეროვნული შეგნებისა და კულტურის დაცვა“ (10, ტ.IV, გვ.945).

შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდა ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი, იულონ ბატონიშვილის ასული, ერეკლე II-ის შვილიშვილი, თამარ ბატონიშვილი (1791–1857). 20 წლის თამარი დანიშნული იყო რუსეთის დედოფლის, ალექსანდრე I-ის მეუღლის ფრეილინად. იგი ხშირად ღებულობდა მონაწილეობას პეტერბურგში სამეფო ზეიმებში. 1829 წელს ჩამოვიდა თბილისში და შეთქმულების ერთ-ერთი წამყვანი წევრი გახდა. მან, საზოგადოებაში რამდენიმე მაღალი წრის ქალბატონიც მოიყვანა. იგი ავჯანყების გეგმის შედგენაშიც ღებულობდა მონაწილეობას.

1829 წ. თბილისში ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილი, რომელიც ჩაება შეთქმულების მოწყობაში, ამის გამო მან აღმოსავლეთ საქართველოში იმოგზაურა.

„იგი განსაკუთრებით ფართო მუშაობას ეწევა: კრებს ძალებს, სწავლობს ადგილობრივ პირობებს, იძლევა მითითებებს ორგანიზაციული მუშაობის შესახებ“ (10, ტ.IV, გვ.943).

შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე და მოთავე იყო პოეტი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ფილადელფოს კიკნაძე (1794–1833), წერდა პატრიოტულ ლექსებს, თხზულებებში ცდილობდა ქართველი ხალხის ბრძოლის უნარიანობის გაღვივებას.

„საიდუმლო წრის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ფილადელფოს კიკნაძე ჯერ კიდევ 1826 წ. ფიქრობდა გაეცა პასუხი ყველასათვის საჭირბოროტო კითხვაზე,– „როგორ შეუძლია საქართველოს დაპყრობად თავის თვისისა?“, ე. ი. კიკნაძე და მისი თანამოაზრეები საქართველოს „თავის თვისისა“, ანუ დამოუკიდებელი არსებობის პრობლემებზე ფიქრობდნენ. სწორედ ეს იყო ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მაგისტრალური მიმართულება, რომელიც ჩვენში ძველთაგანვე მომდინარეობდა“ (10, ტ.IV, გვ.939).

1830 წელს ფ. კიკნაძემ შეადგინა შეთქმულთა ორგანიზაციის წესდება „აქტო გონიერი“, რომლის მიხედვითაც ხდებოდა საზოგადოების წევრად მიღება. სადაც განსაზღვრული იყო თვითეული წევრის მოვალეობა და საიდუმლეობის დაცვა. „1830 წ. შექმნა პროკლამაცია, „საქართველოს განთავისუფლებისათვის“, რომელსაც ავრცელებდა საქართველოს მთიან რაიონებში. ფარული საზოგადოების წევრთათვის შექმნა სპეციალური ანბანი და „ფარული და განუწყვეტელის მეგობრობის“ წესდება (რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია)“ (29, გვ.343).

ამათ გარდა, თანდათან შეთქმულების წევრები გახდნენ საქართველოს მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები:

გიორგი ერისთავი (1813–1864)წწ.,– დრამატურგი, პოეტი და თეატრალური მოღვაწე;

ვახტანგ ორბელიანი (1812–1890)წწ.,– პოეტი, ერეკლე II-ის შვილიშვილი;

მამუკა ორბელიანი (1800–1871)წწ.,– რუსეთის არმიის გენერალმაიორი;

მანანა ორბელიანი (1808–1870)წწ.,– ქსნის ერისთავის ასული. მის ბინაში უნდა მოეწყოთ წვეულება, სადაც მოხდებოდა სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთა განადგურება.

სოლომონ რაზმაძე (1797–1860)წწ.,– პოეტი და მთარგმნელი;

დავით ჯორჯაძე (1810–1866) – პრაპორშჩიკი. მონაწილეობდა ქართულ პრესაში;

ა. ჭავჭავაძე, ი. ერისთავი, ზ. ჩოლოყაშვილი, იესე ფალავანდიშვილი (გ. 1857) და სხვები. შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდნენ, საქართველოში მყოფი ზოგიერთი რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც.

შეთქმულები, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ძალებს იკრებდნენ არა მარტო საქართველოში არამედ, ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ რუსეთის მიერ დამონებულ ამიერკავკასიაშიც.

შეთქმულნი დამოუკიდებლობის მიღწევას მშვიდობიანი გზითაც ცდილობდნენ, მათი აზრით, თუ რუსეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდებოდა, მაშინ საქართველო დამოუკიდებლობას ადვილად მიაღწევდა.

შეთქმულნი დიდ იმედს ამყარებდნენ პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებაზედაც, რომელიც მოხდა 1830 წლის 29 ნოემბერს და გავრცელდა ლიტვაში, დასავლეთ ბელორუსიაში და უკრაინის მარჯვენა სანაპიროში. მათი აზრით, თუ პოლონეთი გაიმარჯვებდა და რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I დათანხმდებოდა პოლონეთის თავისუფლებაზე, მაშინ ევროპის ქვეყნების დახმარებით, საქართველო დამოუკიდებლობას ადვილად მიაღწევდა.

„აჯანყება შეთქმულებს უკიდურეს ღონისძიებად მიაჩნდათ და მხოლოდ მაშინ უნდა დაეწყოთ, როცა მშვიდობიანი გზით ბრძოლა ამოიწურებოდა“ (10, ტ.IV, გვ.952).

მაგრამ, მათი იმედი არ გამართლდა. 1831 წ. სექტემბერში პოლონეთის აჯანყება დამარცხდა. რუსეთის მთავრობამ სასტიკად დასაჯა აჯანყების მომხრეები, ხოლო აჯანყების მონაწილენი შორეულ ციმბირში გადაასახლა.

მიუხედავად პოლონეთის მარცხისა, დროებით შეჩერებულმა შეთქმულთა მოქმედება ისევ განახლდა. რადგან, ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანსა და ჩაჩნეთში, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ იფეთქა აჯანყებამ, იმამ ღაზი-მაჰომედის (1795–1832) მეთაურობით. აჯანყება წარმატებებს აღწევდა. შეთქმულებს იმედი მიეცათ. მათ ეს მდგომარეობა უნდა გამოეყენებინათ და დაიწყეს მზადება. მაგრამ, რუსეთმა შეძლო აჯანყების დამარცხება. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, უკან დახევისას 1832 წ. იმამ ღაზი-მაჰომედი, სოფელ გიმრისთან, დაიღუპა. რუსთა ჯარიც საქართველოში დაბრუნდა. ასე, რომ ეს იმედიც აჯანყებულებს გაუქარწყლდათ და დარჩათ ერთადერთი გზა – შეიარაღებული აჯანყება. შეთქმულები იმედს უცხოეთზეც ამყარებდნენ, მათი აზრით, საფრანგეთი ჯარითა და ფულითაც დაეხმარებოდა. ს. რაზმაძეს დავალებული

ჰქონდა ინგლისთან დაემყარებინა კავშირი. ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა სპარსეთ-თურქეთი თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა და ამიტომ შეთქმულებიც ირან-ოსმალეთზეც ამყარებდნენ იმედს.

გ. ორბელიანი, თავის დღიურებში, „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბულამდის“, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის ივანე აფხაზთან (1764–1832) საუბრის შესახებ ამბობს:

„ისტორია წარმოგვიდგენს მრავალჯერ საქართველოს გაოხრებულს და კვალად აღდგინებულს არარაისაგან. ესრეთთა საკვირველებათა აწარმოვებს მხოლოდ მხნეობა და სიყვარული მამულისა და სარწმუნეობისადმი. – გარდა ამისსა, აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოცა ხედვენ შეცთომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ, მათგან შეიწროებულმან, დაუმეზობლა ესდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი და არღა მოინდომებენ, რომელ საქართველომ კვლავაცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა. ყიზილბაშნი ჰწყევდნენ აღამაჰმად ხანს ტფილისის წახდენისათვის, რაიცა იყო მიზეზად რუსების გადმოსვლისა“ (20, გვ.173).

ფარული საზოგადოების წევრებს, აჯანყება უნდა დაეწყოთ თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევნების დღეს, 1832 წლის 6 დეკემბერს. აჯანყების გეგმას უწოდეს „პირველი ღამის განკარგულება.“ გეგმის თანახმად, შეთქმულები ერთი შეტევით ფიქრობდნენ თვითმპყრობელური მთავრობის დამხობას და ხელისუფლების ხელში აღებას.

გეგმის მიხედვით მათ, პირველ რიგში, არჩევის დღესთან დაკავშირებით საგანგებოდ გამართულ ნადიმზე უნდა მოეწვიათ უმაღლესი საიმპერიო მოხელენი და ჩამოეშორებინათ ხელისუფლებას, უნდა აეღოთ ციხე და რუსთა ჯარი გაენეიარალებინათ. უნდა დაეკავებინათ სტრატეგიული ადგილები და სასურსათო ბაზები. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რუსეთის მთავრობა, ზამთრის პირობების გამო, დამატებით ჯარის გადმოყვანას საქართველოში ვერ შეძლებდა. მაგრამ, ადგილობრივმა მთავრობამ თავადაზნაურთა წინამძღოლის არჩევის დღე 20 დეკემბრისათვის გადაიტანა. შეთქმულებმაც გამოსვლის დღე გადადეს. მაგრამ ამ დღემდე, ღალატის გამო, შეთქმულებმა ვეღარ მიაღწიეს.

შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ, იესე ფალავანდიშვილმა, 9 დეკემბერს, „მოინდომა თავისი ძმის, თბილისის გუბერნატორის ნიკო ფალავანდიშვილის ჩაბმა შეთქმულებაში, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ძმის გავლენით თვითონვე გასცა შეთქმულება“ (15, ტ.10, გვ.214) (1831–1837) მთავარმართებელის ბარონ, ინფანტერიის გენერლის გრიგოლ როზენის (1782–1841) განკარგულებით

შეთქმულების წევრები დააპატიმრეს. შედგა საგამომძიებლო კომისია და სასამართლო. შეთმულებაში 145 მონაწილე რუსეთის გუბერნიებში სხვადასხვა ვადით გადაასახლეს. გადასახლებას, ვერც ი. ფალავანდიშვილი გადაურჩა. უნდა აღინიშნოს, რომ:

„შეთქმულთა ერთსულოვნებისა და მკაცრი კონსპირაციულობის გამო საგამომძიებლო კომისიამ ვერ შეძლო დაესაბუთებინა შეთქმულების ანტიმონარქიული, დემოკრატიული, კავკასიაში რუსული, მფლობელობისათვის საშიში ხასიათი“ (15, ტ.10, გვ.704).

მართალია, გამცემლობის გამო, შეთქმულება ვერ განხორციელდა, მაგრამ 1832 წლის შეთქმულებამ საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვალი დატოვა. ეს იყო ქართველი ხალხის აშკარა გამოხატულება რუსული კოლონიური წყობის წინააღმდეგ.

„შეთქმულებამ სათავე დაუდო ცარიზმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში. მასში ჩაბმული იყო XIX ს. 30-იანი წწ. საქართველოს მოაზროვნე თაობა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე სასიქადულო მოღვაწენი, შეთქმულების იდეოლოგიით იყო გამსჭვალული პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება. შეთქმულების იდეოლოგია ასაზრდოებდა მომდევნო თაობასაც; იგი გააგრძელა, ახალ დონეზე აიყვანა და ხალხის მასების მისწრაფებებს დაუკავშირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა ახალმა თაობამ – „თერგდალეულებმა“ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით“ (15, ტ.10, გვ.704).

1832 წ. შეთქმულება დამარცხდა, მაგრამ, ამ დამარცხებამ ვერ გატეხა ქართველი ხალხი და ის მაინც განაგრძობდა რუსეთის იმპერიის, კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ო. ჯანელიძის თქმით: „1832 წლის შეთქმულებამ თავისი არსით მკვიდრი ნიადაგი შეუმზადა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს, რომლის მედროშეობა დიდმა თერგდალეულებმა იტვირთეს“ (51, გვ.462).

XIX ს. 30-იანი წლებიდან რუსეთის მთავრობამ გაამკაცრა კოლონიური მმართველობა. ხალხის ჩაგვრამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. რუსეთის ხელისუფლება აშკარა გარუსების პოლიტიკას დაადგა მთელს კავკასიაში და მით უმეტეს საქართველოში. რუსეთმა დაიწყო მმართველობის რეფორმების გატარება, რომლის შემწეობითაც უნდა მომხდარიყო ქართველი ხალხის სწრაფი

გარუსება. შეილახა მებატონეთა უფლებებიც. რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი ამას ვერ შეურიგდებოდა და ისევ დაიწყო გამოსვლები და ავჯანყებები.

1841 წ. ავჯანყდა გურია და იმდენად გამწვავდა მდგომარეობა, რომ რუსეთის მთავრობას გაუჭირდა ავჯანყების ჩახშობა, ვინაიდან ამ დროს დაღესტანშიც მარცხდებოდა. მაგრამ ხელისუფლებამ მაინც მოახერხა გურიაში დამატებითი ჯარის შეყვანა. ავჯანყებულთა შორისაც მოხდა განხეთქილება. მათ თანდათან ჩამოსცილდნენ თავად-აზნაურებიც, ვინაიდან ავჯანყებული გლეხები ფეოდალთა კარ-მიდამოს ანადგურებდნენ. თავად-აზნაურები მიემხრნენ ხელისუფლებას. რადგან:

„მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო კოლონიური ჩაგვრის, არამედ გურიაში მაშინ გაბატონებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ.

სამხედრო ნაწილებისა და თავად-აზნაურთა რაზმების ერთობლივი მოქმედების შედეგად, ავჯანყება ბოლოს და ბოლოს ჩაქრობილ იქნა. მოძრაობის მეთაურები (50 კაცი) ქუთაისის ციხეში ჩასვეს და მერე კი მოგვიანებით, გაასამართლეს... განაჩენი ძალიან მკაცრი იყო“ (10, ტ.V, გვ.186).

1842 წ. ავჯანყდა კახეთი. ეს ავჯანყებაც მთავრობამ ჩაახშო.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ:

„XIII – XIV საუკუნიდან მოკიდებული კავკასიონის გადაღმიდან ქართლში გადმოსული მომთაბარე ოსები, ქართველ თავადთა მიწებზე, ძირითადათ სამაჩაბლოში, სახლდებოდნენ. დროთა განმავლობაში ქართლში ოსები მომრავლდნენ და საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების მონაწილენი გახდნენ.

XIX ს. დამდეგიდან ოსმა გლეხებმა საქართველოს მშრომელებთან ერთად, თანაბრად განიცადეს მეფის რუსეთის კოლონიურ-პოლიტიკური რეჟიმის სუსხი“ (13, გვ.439).

1840 წლიდან სამაჩაბლოში იწყება ქართველი და ოსი გლეხების ბრძოლა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. მთავრობის ჯარმა ეს ავჯანყებებიც ჩაახშო.

1850 წელს სამაჩაბლო ხელახლა ავჯანყდა. რუსეთის არმიის გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი, თავადი, ი ვ ა ნ ე ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი (1798–1868) შეეცადა, რომ გლეხები მშვიდობიანი გზით დამორჩილებოდნენ მთავრობას, მაგრამ მისი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა და ბოლოს იგი იძულებული გახდა ძალით ჩაექრო ავჯანყება.

XIX საუკუნის 50-იან წლიდან საქართველოში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა. რაც გამოწვეული იყო მთავრობის მიერ გატარებული საგლეხო რეფორმის შედეგად, – ფულად-საგადახადო სისტემის შემოღებით. მთავრობა მოითხოვდა გადასახადის რუსული ფულით გადახდას, გლეხებს კი ეს ფული არ ჰქონდათ. ახალმა რეფორმამ გაზარდა ფულზე მოთხოვნილება. იმ დროს, მით უმეტეს დასავლეთ საქთველოში, ჯერ კიდევ ნატურალური მეურნეობა იყო. კლასობრივ გამწვავებას ხელი შეუწყო ყირიმის ომმა. ომის დროს გლეხთა მდგომარეობა გაუარესდა, ვინაიდან საქართველო და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო საომარი მოქმედების ასპარეზად იქცა. ავჯანყებები, შეიარაღებული გამოსვლები, ზედიზედ ხდებოდა მთელ საქართველოში.

განსაკუთრებით, გამწვავდა მდგომარეობა სამეგრელოში. აქ დათარეშობდნენ ოსმალო დამპყრობელები და ყველაფერს ანადგურებდნენ. მათი განდევნის შემდეგ, მებატონეებმა გლეხების „ექსპლუატაციის გაძლიერებით სცადეს ომისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება. გაიზარდა საბატონო სამუშაო დღეები და დაირღვა ძველი საგადასახადო ნორმები“ (13, გვ.459).

მოთმინებიდან გამოსული გლეხები, 1857 წელს ავჯანყდნენ. ავჯამყებულებმა ხელმძღვანელად მჭედელი უტუ მიქავა (1812–1878). აირჩიეს. ავჯანყება მთელ მხარეს მოედო და ძირითადათ მიმართული იყო მებატონეების წინააღმდეგ. გლეხები წვავდნენ, ანადგურებდნენ ბატონთა სახლ-კარს და მამულებს. უარს ამბობდნენ ყოველგვარ გადასახადზე. ავჯანყებულები დაკავებულ სოფლებსა და ადგილებში ქმნიდნენ დროებით მმართველობას.

აპრილის ბოლოს, პეტერბურგიდან ჩამოვიდა ეკატერინე დადიანი (1816–1882), ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი, ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი, რომელსაც ამის გამო მას, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის (1818–1881) მეფედ კურთხევის ზეიმზე მიენიჭა „სტატს დამის“ (სეფექალი) წოდება და წმინდა გიორგის მედალი. ეკატერინე დადიანმა მოლაპარაკება გამართა ავჯანყებულებთან, რომ დაშლილიყვნენ, პირდებოდა მათი პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ არ დაუჯერეს. 12 მაისს, ავჯანყებულებმა სამეგრელოს მთავარი ქალაქი, ზუგდიდიც, აიღეს. „ეკატერინემ ისევ სცადა ავჯანყებულთა დაწყნარება, მაგრამ მოლაპარაკება ხელჩართული შეტაკებით დამთავრდა. დედოფალი იძულებული გახდა დახმარება რუსეთის ხელისუფლებისათვის ეთხოვა. რუსეთის მთავრობა, ამ მოვლენის თავის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით, ეკატერინეს დახმარებას შეჰპირდა“ (15, ტ.8, გვ.712).

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კოლიუბაკინი (1810–1868) ჯარით სამეგრელოში შევიდა. შეხვდა ავჯანყებულებს, უტუ მიქავამ გააცნო გლეხების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ავჯანყების მიზეზი. მან, გუბერნატორს გადასცა 8 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნილება. ნ. კოლიუბაკინმა შეპირდა მათ დახმარებას, თუ ისინი დაიშლებოდნენ. გლეხებმა დაუჯერეს და დაიშალნენ, თუმცა იარაღი არ დაყარეს.

„გუბერნატორმა და კავკასიის მეფისნაცვალმა ეს დაპირება მხოლოდ იმით „შეასრულეს“, რომ სამეგრელოში მთავრის ხელისუფლება გააუქმეს. მას შემდეგ გლეხებს იარაღით აიძულებდნენ დამორჩილებოდნენ მებატონეებს და ხელი აეღოთ ავჯანყებაზე. ასე რომ, გლეხებს უკვე ბატონყმობის დამცველი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგაც მოუხდათ ბრძოლა“ (13, გვ.462).

მღელვარება კვლავ გაძლიერდა. ავჯანყებულებმა, სისხლისმღვრელი ბრძოლის შედეგად არაერთხელ რუსეთის ჯარის ნაწილები უკუაქციეს. ბოლოს, ხელისუფლებამ სამეგრელოში დამატებითი ჯარის ნაწილები შეიყვანა და ავჯანყება ჩაახშო. მთავრობა სასტიკად გაუსწორდა მოსახლეობას, ავჯანყებულ სოფლებში დამსჯელი რაზმები ჩააყენეს. ავჯანყებულნი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გაგზავნეს. უტუ მიქავა არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს.

სამეგრელოში ჯერ ავჯანყება არც იყო დამთავრებული, როდესაც იმერეთში დაიწყო ავჯანყება. ეს ავჯანყებაც სასტიკად ჩაახშეს.

საქართველოს სხვადასხვა ადგილებში, ხდებოდა გლეხთა გამოსვლები. ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისის 1865 წ. ავჯანყება, რომელიც ისტორიაში შესულია „ამქართა გამოსვლის“ სახელწოდებით.

ცნობილია, რომ საქართველოს ქალაქებში, და მით უმეტეს თბილისში, თავი მოიყარა სოფლებიდან დუხჭირი ცხოვრების გამო გამოქცეულმა გლეხობამ. ისინი ხდებოდნენ მუშები, ხელოსნები, მოვაჭრეები და წვრილ-წვრილი საქმის წარმოებლები. ისინი მძიმე ეკონომიკურ პირობებში მოხვდნენ, შრომით მოპოვებული თანხა იმდენად მცირე იყო, რომ თავის-თავის შენახვაც უჭირდათ. ბიუროკრატული მმართველობა, სხვადასხვა გადასახადები და ხელისუფლების არა წესიერი საფინანსო წყობილობა, მათ გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა.

განსაკუთრებით, თბილისის მოსახლეობა აღაშფოთა ხელისუფლების მიერ ახალი გადასახადების შემოღებამ, რომლის საშუალებითაც მთავრობა ცდილობდა ქალაქის ბიუჯეტის დანაკლისის დაფარვას. ახალი გადასახადების შემოღებით, დიდდებოდა ძველიც და მათ ემატებოდა კიდევ, მანამდე უცნობი ახალი გადასახადები. ამან თბილისის მოსახლეობა აღაშფოთა. ხალხმა მოითხოვა

გადასახადების გაუქმება. მიმართა მეფისნაცვლის მოადგილეს, შემდეგ თვითონ მეფისნაცვალს და ბოლოს საჩივარი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე II-ეს, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. მოთმინებიდან გამოსული ხალხიც ავჯანყდა. მთავრობის წარმომადგენლებმა სცადეს მშვიდობიანი გზით ხალხის დაშოშმინება, მაგრამ ვერ შეძლეს. ეს ავჯანყებაც მთავრობამ ჯარის შემწეობით ჩაახშო. მოთავეები დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

XIX წ. მეორე ნახევარში, მიუხედავად რუსეთის კოლონიური წყობილებისა და ავჯანყებების დამარცხებებისა, მოწინავე პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების წარმომადგენლებმა არ შეწყვიტეს ბრძოლა. თანდათან გადასახლებულებმაც შეძლეს სამშობლოში დაბრუნება და აქ გააგრძელეს ბრძოლა სოციალურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობისათვის. ოღონდ შეიცვალა ბრძოლის ფორმები და მსოფლმხედველობა.

ქართველმა მამულიშვილებმა შეძლეს ქართული თეატრის აღდგენა, გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოცემა, ხელოვნების გამოცოცხლება და განათლების განვითარება. საქართველოში დაბრუნებულმა რუსეთისა და საზღვარგარეთ გათვითცნობიერებულმა და ცოდნით აღჭურვილმა ახალგაზრდებმა შეძლეს მეცნიერული მუშაობის აღდგენა და განვითარება. ,,განსაკუთრებით თვალსაჩინო დონეს მიაღწია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ისეთმა დარგებმა, როგორიცაა: ფილოსოფია, ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორიოგრაფია და ეთნოგრაფია. საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებიდან საქართველოს შვილებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქიმიასა და ფიზიოლოგიაში“ (12, გვ.302).

საგანგებოთ უნდა აღინიშნოს ის ბრძოლები, რომელიც მიმდინარეობდა ლიტერატურულ სარბიელზე. ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, ზეგავლენა მოახდინა იმ დროს მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. ქართული ლიტერატურის წინსვლა ძირითადათ გამოიწვია მხატვრული ლიტერატურის განვითარებამ და სწორედ ქართულმა ლიტერატურამ შეძლო ერის გამოფხიზლება, სამშობლოსადმი სიყვარულის შთანერგვა და ერის სულიერი ცხოვრების ამაღლება.

ქართულ ლეტერატურაში რეალიზმისა და დემოკრატიული ლიტერატურის დამკვიდრება გახდა ის ძალა, რომელიც ხალხის მიზანს და მოთხოვნილებას გამოხატავდა.

ახალი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენდა XVIII საუკუნის ბოლო დროის ქართული მწერლობის გაგრძელებას,

როდესაც ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა და აისახა სინამდვილისადმი რეალისტური დამოკიდებულება, ახალი სალიტერატურო ენის და ახალი მსოფლმხედველობისკენ მისწრაფება.

ახალი ქართული ლიტერატურის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია პოეტმა დავით გურამიშვილმა (1705–1792). შეიძლება ითქვას, რომ იგი ახალი ქართული პოეზიის საწყისს წარმოადგენს და პოეზიაში ეგრეთწოდებული „ევროპეიზმის“ შემომტანად ითვლება.

ახალი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა უდიდესი განმანათლებელ-რეალისტი, პროზაიკოსი, მთარგმნელი, მწიგნობარი, ლექსიკოგრაფი და მეცნიერი, გიორგი XII-ის ძე, იოანე ბაგრატიონი (1768–1830 წწ.).

„იოანე ბაგრატიონმა თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყო ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას. მან ერთგვარ სისტემაში მოიყვანა ძველ ქართულ მწერლობაში შემუშავებული ცოდნა და ახალ ტენდენციებსაც დაუდო სათავე“ (29, გვ.290).

„XIX საუკუნის პირველ მესამედში ახალ ქართულ ლიტერატურას იოანე ბაგრატიონზე დიდი განმანათლებელ-რეალისტი არ ჰყოლია“ (10, ტ.V, გვ.784).

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართულ ლიტერატურაში, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, წარმოიშვა რომანტიზმის მიმდინარეობა. ქართული რომანტიზმი გამოხატავდა კოლონიური ჩაგვრით გამოწვეულ უკმაყოფილების გრძნობებს და ამავე დროს მომავლისადმი ბრძოლის პროგრესულ იდეებს, რეალისტურ მიმართულებას და იმდროინდელ სოციალურ პრობლემებს.

საქართველოში რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე. ზოგიერთი მას ამ მიმდინარეობის ფუძემდებელად თვლის. იგი როგორც პატრიოტი ლირიკოსი ილაშქრებდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და მისტიროდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. პირველად ქართულ ლიტერატურაში მან აგვიწერა ჩვენი ქვეყნის ბუნება და მშრომელი ხალხი. მის შემოქმედებაში ისმის პროტესტი სოციალური უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ ლიტერატურათმცოდნე ლევან ასათიანი (1900–1955) წერს:

„ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში თავისი დამთავრება ჰპოვა ძველმა ქართულმა პოეზიამ.

გამოჩნდა ახალი მძლავრი საწყისები ქართული პოეზიის შემდგომი განვითარებისათვის. ამ პოეტის შემოქმედებაში პირველად ამოშუქდა ელვარე ცისკარი მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურისა.

ალ. ჭავჭავაძე პირველი ქართველი რომანტიკოსი პოეტია. მის ლირიკულ ლექსებში, სხვადასხვა ძლიერებით, თავი იჩინა ყველა იმ თემამ და მოტივმა, რომელთაც უფრო ღრმა, მკაფიო და ყოველმხრივი გამოხატულება ჰპოვეს არა მარტო მომდევნო თაობის რომანტიკოს პოეტთა ნაწერებში, არამედ საერთოდ მე-19 საუკუნის ქართულ პოეტთა შემოქმედებაში“ (42, გვ.114).

„ალ. ჭავჭავაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, არისტოკრატული წრის პოეტმა, შესძლო წოდებრივი შეზღუდულობის ჩარჩოთა გარღვევა და ეპოქის მოწინავე იდეებისადმი, გამოხმაურება“ (42, გვ.122).

ხოლო, მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია (1940–2002) ალ. ჭავჭავაძეს შემდეგი სიტყვებით ახასიათებდა:

„ქართული რომანტიზმი რამდენიმე უნიჭიერესი პოეტით არის დამშვენებული. მათ შორის ქართული რომანტიზმის ფუძემდებლად მიჩნეულია ალექსანდრე ჭავჭავაძე. ბევრი ძვირფასი პოეტური თვისება გვიზიდავს მის შემოქმედებაში. დარდი დაკარგულ დამოუკიდებლობაზე, დარდი დიდებულ წარსულზე, დიდებულ დროზე – უპირველესი საგანი გახდა ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში. ეს დარდი ჭეშმარიტი პოეზიის ენაზე პირველმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ გააფორმა“ (33, გვ.153).

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი პოეზიის მთავარი არსი არის პატრიოტული ლირიკა, სადაც გამოსჭვივის სამშობლოს სიყვარული და ეს პატრიოტული მიმართულება, გახდა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ძირითადი საკითხი, რომელიც განავრცეს მომდევნო თაობის პოეტებმა.

მეორე, რომანტიკოსი პოეტია, ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, გრიგოლ ორბელიანი.

მისი შემოქმედების მთავარი თემაა სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარული. პოეტი გადმოგვცემს წინანდელ საქართველოს დიდებას და სიყვარულით იხსენებს მის გმირებს. მის პოეზიაში მკაფიოდ ჩანს საქართველოს წარსულით გამოწვეული სევდა. ამავე დროს იგი უმღერის სიყვარულის და მეგობრობის გრძნობებს, იგი გვევლინება ქართულ ლიტერატურაში როგორც ბუნების უდიდესი მომღერალი.

ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებს გრიგოლ ორბელიანს:

„პირველ ხანებში თ. ალექ. ჭავჭავაძის გზას დაადგა თ. გრ. ორბელიანიცა. ხოლო იმავე დროს პირველმან ამან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს...

თითქო იგრძნოო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი. მართალიც არის: აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, არც მომავალი აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, – „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. უწარსულოდ იგი უფესვ-უშტოა, რადგანაც ერთის მხრით უდედ-მამოა და მეორეს მხრით უშვილო...

ამ სახით თ. გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისეც ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა...

ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ უფრო მეტად არ დავასურათეთ მთელი სიმდიდრე თ. გრ. ორბელიანის პოეზიისა. მაგრამ ყოველ იქიდამ, რაც ზემოთ მოვიხსენიეთ, ცხადად დასანახია, რამოდენად ჩააღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლე პოეზიისა თ. გრ. ორბელიანმა. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენ საგნად აღებული გვაქვს არა განკითხვა ჩვენის მწერლებისა კრიტიკის თვალითა, არამედ იმის გამორკვევა, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთა-ხედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის“ (1, ტ.3, გვ.209).

ქართულ რომანტიზმს აგვირგვინებს დიდებული პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817–1845) რომელმაც „ქართული პოეზია უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. ახალგაზრდა მგოსანმა ღრმად მოფიქრებული პასუხი გასცა საქართველოს მაშინდელი ცხოვრების მიერ მწვავედ წამოყენებულ ურთულეს საკითხებს...

პოეტი პროტესტს უცხადებს არსებულ უსამართლობას და ქართველ ხალხს მომავლისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებს“ (12, გვ.261).

პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ წერს:

„ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი მემკვიდრენი ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან ფუძემდებელნი ახალი ქართული ლიტერატურისა. ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ქართულს მწერლობაში ახალს ერას ამკვიდრებს.

ნ. ბარათაშვილი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში არის პირველი ევროპელი პოეტი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით...

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თანდათანობით გზას იკვლევს და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ლიტერატურა.

საფუძველი ახალი ქართული მწერლობისა – არის ევროპეიზმი, ხოლო პირველი მწერალი, რომელიც მტკიცედ და საბოლოოდ ამკვიდრებს ახალ ერას ქართულს ლიტერატურაში, არის ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (9, გვ.321-322).

ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო ნ. ბარათაშვილის პოეზიით. წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, იგი წერდა:

„გრ. ორბელიანის თანამედროვე იყო ნ. ბარათაშვილი, რომელმაც თავისი პოეტური მოღვაწეობა დაიწყო ოცდაათიან წლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გაათავა 1845 წ. ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისა...

იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულის-თქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა...

ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოაზრედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდროებისა „არ არს სუბუქ“ (1, ტ.3, გვ.210-219).

ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და ფილოლოგი აკაკი გაწერელია (1910–1994) წერდა:

„ქართული რომანტიზმის მთავარი ფესვები თვითონ საქართველოს ისტორიულ სინამდვილეშია და ნაკვებია ეროვნული სოციალ-პოლიტიკური ვითარებით. განსაკუთრებით ეს ითქმის გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის მაგალითზე“ (20, გვ.013).

ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ალექსანდრე ორბელიანი და მისი ძმა პოეტი, გენერალ-მაიორი ვახტანგ ვახტანგის ძე ორბელიანი (1812–1890).

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურაში დაიწყო განვითარება ჩვენი ცხოვრების რეალისტურმა ასახვამ – კრიტიკულ-რეალისტურმა მიმდინარეობამ. მხატვრულ ლიტერატურაში თანდათან გამოჩნდა ნაწარმოებები, სადაც ნაჩვენები იყო ბატონყმური წყობილების დაშლა, სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარება, მთავრობის მოხელეთა თავხედობა, მათი ბოროტმოქმედება, გლეხთა დაბეჩავება და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა.

ლიტერატურაში დაიწყო განვითარება პროზამ, დრამატურგიამ, კრიტიკულ-პუბლიცისტურმა მიმართულებამ და ამან ყველაფერმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ახალი საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბებას.

კრიტიკული რეალიზმის განვითარებას საქართველოში საფუძველი ჩაუყარეს:

ლავრენტი არდაზიანმა (1815–1870) – მწერალი;

რაფიელ ერისთავმა (1824–1901) – მწერალი, ლექსიკოგრაფი და ეთნოგრაფი;

დანიელ ჭონქაძემ (1830–1860) – მწერალი და გ. ერისთავმა.

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1844 წელს, კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდლად დანიშნა თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი მიხეილ ვორონცოვი (1782/6–1856). მეფის ნაცვალი უშუალოდ ემორჩილებოდა იმპერატორს და იგი იყო კავკასიის მმართველი.

„რუსეთის მეფემ ნიკოლოზ პირველმა პირადად გააცნო ვორონცოვს თავისი მიზანდასახულება საქართველოსა და ამიერკავკასიაში: თავი და თავი იყო ამ ქვეყნის გარუსება და მისი შერწყმა რუსეთთან; შენარჩუნება რუსეთისაგან ამიერკავკასიის სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულებისა“ (13, გვ.441).

მ. ვორონცოვი, განათლებული, ჭკვიანი, მოხერხებული და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო. მან კავკასიაში იმპერატორის ძალდატანებითი პოლიტიკა შეცვალა. იგი მიხვდა, რომ აქ, კავკასიაში, მით უმეტეს, საქართველოში, საჭირო იყო მოქნილი, ფრთხილი, რბილი პოლიტიკის გატარება.

კავკასიის მეფისნაცვალი (1844–1854) მ. ვორონცოვი „ულმობელი კოლონიზატორი იყო, მაგრამ იგი, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, ქვეყნის კო-

ლონიზაციის პოლიტიკას მეტად მოქნილად და ელასტიურად ატარებდა. ახალ უფროსსაც თავის უმთავრეს ამოცანად მიაჩნდა რუსული წესების დანერგვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში, მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება, მისი აზრით, საჭირო იყო არა ერთბაშად და უხეშად, არამედ თანდათან და მოხერხებულად. ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად და მისი გარუსებისათვის ვორონცოვს უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნდა არა ადმინისტრაციულ, არამედ „კულტურულ“ ღონისძიებათა განხორციელება“ (10, ტ.V, გვ.134).

„ერთ-ერთ თავის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში ვორონცოვი აი რას მოახსენებს მეფე ნიკოლოზ I-ს: „ყოველი ცვლილება და ყოველი ახალი რეფორმა, რომელიც საუკუნეებით შექმნილ ჩვეულებებსა სცვლის, ყველგან არაჩვეულებრივ სიძნელეს წარმოადგენს ცხოვრებაში გატარების დროს. მაგრამ განსაკუთრებით ამ მხარეშია (ამიერკავკასიაში) ამისათვის ამგვარ შემთხვევებში საჭირო დიდის სიფრთხილით მოქმედება. ძალდატანებითი ზომები არამც თუ სიკეთეს არ მოიტანს, არამედ, შეიძლება, მეტად მავნე შედეგებიც კი მოგვცეს“ (45, გვ.12).

თანდათან, მ. ვორონცოვმა თავისი რბილი, შემპარავი პოლიტიკით, შეძლო მაღალ საზოგადოებასთან დაახლოება და მათი ნაწილის რუსეთის ერთგულ მსახურად გადაქცევა.

საქართველოსა და კავკასიის დამორჩილება და გარუსება, მ. ვორონცოვმა დაიწყო თავადაზნაურთა მოფერება-დამოყვრების გზით, რადგან მისი დასაყრდენი ძალა უნდა ყოფილიყო მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები. ამიტომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა მათ ხელის შეწყობას, მომადლიერებას და მათთან დაახლოებას, მათი უფლებების აღდგენა-განმტკიცებას, რომელიც ადრე ჩამორთმეული ჰქონდათ. აძლევდა წოდებებს, ჩინმედლებს და თანამდებობებს. თავადაზნაურთა შვილებს აგზავნიდა რუსეთის სამხედრო სამსახურში და სასწავლებლებში.

„ქართველ ფეოდალთა კლასის სიმპათიის მოსაპოვებლად, მისი მხარდაჭერისა და გულის მოსაგებად, ვორონცოვმა 1849 წელს მთავრობას მიაღებინა კანონი, რომელმაც მემამულეები გაანთავისუფლა სასამართლო ორგანოებში ყმების კუთვნილების შესახებ საბუთების წარდგენის მოვალეობისაგან. ამიერიდან თვითონ გლეხებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ ისინი თავისუფალნი იყვნენ და მემამულის საკუთრებას არ წარმოადგენდნენ“ (10, ტ.V, გვ.134).

მ. ვორონცოვი კულტურულ ღონისძიებებსაც ანხორციელებდა. მან ნება დართო ქართული თეატრის აღდგენას, საჯარო ბიბლიოთეკის გახსნას, ხელი

შეუწყო ჟურნალ „ცისკრის“ დაარსებას. მის დროს საქართველოში იხსნებოდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციები. მან შეუმსუბუქა მდგომარეობა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციასაც.

მ. ვორონცოვის ასეთმა მოქმედებამ, შეიძლება ითქვას, რომ თავისი ნაყოფი გამოიღო და ქართულ საზოგადოებაზე გავლენა იქონია. მან შეძლო თავადაზნაურთა ნაწილის მიმხრობა და მათი რუსეთის იმპერიის ერთგულ მსახურად გახდომა.

ქართველები ჩაებნენ რუსეთის სამხედრო სამსახურში და ბევრმა თავიც გამოიჩინა.

ცნობილია, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს (რომელსაც მეთაურობდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის გამაერთიანებელი, კავკასიელი ხალხის ნაციონალური გმირი, ხუნძი პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწე შამილი (1797–1871), რუსეთის ჯარში მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველებიც. ჯარს ხელმძღვანელობდა ავარიის მმართველი და დაღესტნის ჯარების უფროსი გ. ორბელიანი.

ა. გაწერელია, დაღესტანში, გ. ორბელიანის მოღვაწეობის შესახებ წერს:

„გრ. ორბელიანი დიპლომატიური უნარით აღჭურვილი მმართველი და იმავე დროს ულმობელი ოფიცერი იყო მთიულებთან ბრძოლაში. შუა აზიის საშუალო საუკუნეთა მუსლიმანური სექტის, ნაქშბენდიეს ორდენის მისტიკური მოძღვრების მიმდევარ მურიდების წინააღმდეგ გრ. ორბელიანი მოქმედებდა როგორც მეფის რუსეთის კოლონისტური არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი. მთიელთა ნაციონალურ-რელიგიური მოძრაობა, მურიდიზმის სახელით ცნობილი (1826–1859), ქართველი სარდლის სახით უდიდეს მტერს წააწყდა...

იშვიათად ჰყოლია ჰაზავათს მასავით დაუძინებელი მტერი. გრ. ორბელიანი მონაწილე ან უშუალო ხელმძღვანელი იყო მთელი რიგი აულების აღებისა შამილის დაღესტანში“ (20, გვ.09).

ქართველები მონაწილეობას ღებულობდნენ რუსებთან ერთად ყირიმის ომშიც (1853–1856), ოსმალეთის წინააღმდეგ. „ამ ომში საომარი მოქმედების ასპარეზად დასავლეთი საქართველოს მიწა-წყალიც იქცა. აქ მიმდინარე ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველთა სახალხო რაზმები. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთ საქართველოდან ოსმალთა განდევნის საქმეში“ (12, გვ.251).

გარდა სამხედრო სამსახურისა, ქართველები მონაწილეობდნენ როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც, სამოქალაქო სამსახურში.

მ. ვორონცოვის დროს კავკასია ახალ ადმინისტრაციულ ერთეულად გადანაწილდა. 1846 წელს შეიქმნა ოთხი გუბერნია: თბილისის, ქუთაისის, შემახისა და დარუბანდის; ხოლო, 1849 წელს მიემატა ერევნის გუბერნია. ამრიგად, კავკასია საბოლოოდ რუსეთის იმპერიის სამხრეთი ნაწილი გახდა.

უნდა ითქვას, რომ ერთის მხრივ, ამ გარემოებამ საქართველოს ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ჩვენი საზოგადოების ნაწილი მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის საზოგადოებას როგორც ეკონომიურად, ასევე მსოფლმხედველობის მხრივაც.

მოწინავე ქართველი ახალგაზრდები დაუახლოვდნენ რუსს მოღვაწეებს და მათთან ერთად იბრძოდნენ მეფის ხელისუფლების დასამხობად. მათთან ერთად გაეცნენ ევროპის მსოფლმხედველობის ახალ მიმართულებებსა და იდეებს.

საქართველოში თანდათან დაიწყო შემოჭრა კაპიტალიზმმა, რომელმაც ჩვენი ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. კაპიტალიზმმა თანდათან სოფლის თავად-აზნაურობა გააღატაკა, ფულად-სასაქონლო ურთიერთობის გამო. ის თანდათან ავიწროებდა თავადაზნაურთა საქმიანობას. მხოლოდ მცირე თავადაზნაურთა ნაწილმა აუღო ალღო ახალ ცხოვრებას და თავისი საქმიანობა, გონივრული, სხვადასხვა რაციონალური ღონისძიებების გატარების შედეგად, შეძლო მეურნეობის შემოსავლის გადიდება. ისინი იყენებდნენ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-დანადგარებს, დაქირავებულ მუშებს და თავიანთ წარმოებებში, ახალ მეცნიერულ მიღწევებს.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის მიერ გატარებულმა 1841 წლის რეფორმამ, ბატონყმობის გაუქმებამ, სოფლის მდგომარეობა გაუარესა, ვინაიდან გლეხობა უმიწოდ დატოვა. ამ რეფორმისა და სოფლად კაპიტალიზმის შემოჭრის გამო, გაღატაკებული მემამულენი და გლეხობა იძულებული იყო, თავისი საცხოვრებელი, სახლ-კარი მიეტოვებინა და ქალაქში გადასახლებულიყო, იქ ეძებნა სამუშაო.

უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმას „მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან ძირითად მწარმოებელ კლასს – გლეხობას – შეეძლო შედარებით უკეთეს პირობებში წარემართა თავისი სამეურნეო საქმიანობა. არ იყო რა ძველებურად ხელფეხშეკრული, მას უფლება ჰქონდა ქონება შეეძინა და ის სურვილისამებრ გამოეყენებინა, გაემართა ვაჭრობა-მრეწველობა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგი. გაძლიერდა გლეხის პირადი დაინტერესება, გაიზარდა მისი შრომის ნაყოფიერება. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა საწარ-

მოო ძალების განვითარება, ქვეყნის ეკონომიური დაწინაურება და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება“ (10, ტ.V, გვ.302).

ალექსანდრე II-მ, კავკასიის მეფისნაცვალი მ. ვორონცოვი 1854 წ. გადაყენა. მის შემდეგ, კავკასიის მთავარსარდლისა და მეფისნაცვალის მოვალეობას ასრულებდა (1856–1862) წლებში გენერალ-ფელდმარშალი ალექსანდრე ბარიატინსკი (1815–1879). რომლის დროსაც საქართველოს მდგომარეობა უფრო გაუარესდა, ვინაიდან ე. წ. რბილი პოლიტიკა შეიცვალა უხეშ ძალადობის პოლიტიკით. მის დროს გაძლიერდა ამიერკავკასიის კოლონიური ჩაგვრა. რუსეთის მთავრობა დაადგა სწრაფი გარუსების პოლიტიკას. დაიწყო ხალხის სოციალური, თუ ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისა და კულტურული მისწრაფებათა ყოველმხრივ შეზღუდვა და შევიწროება.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მოწინავე, პროგრესიულად მოაზროვნე მოღვაწენი საზოგადოების წარმომადგენლები, განაგრძობდნენ ბრძოლას რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ცდილობდნენ ხალხის გათვითცნობიერებასა და სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივებას და დამოუკიდებლობის მოპოვებას.

2. საქართველოს მდგომარეობა ილია ჭავჭავაძის დროს

XIX საუკუნის მეორე ნახევარი და განსაკუთრებით 80-იანი წლები, საქართველოს ისტორიაში წარმოადგენს გარდატეხის დროს. ეს არის ახალი ლიტერატურისა და საზოგადო ცხოვრების გარდაქმნის ხანა. ამ დროს, ლიტერატურულ-პოლიტიკურ სარბიელზე იწყებენ გამოსვლას ახალგაზრდები, რომლებმაც სწავლა-განათლება რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა სასწავლებლებში მიიღეს და რომლებსაც ძველი თაობის წარმომადგენლებმა **„თერგდალეულები“** უწოდეს. ხოლო ახალგაზრდების ამ თაობას, რომელთა შემოქმედებაც გამოხატავდა ახალ დემოკრატიულ და რევოლუციურ აზრებს, ლიტერატურაში **„სამოციანელთა“** სახელით არიან მოხსენებულნი.

„თერგდალეულებმა“ დიდი როლი შეასრულეს ქართულ ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში, კრიტიკული რეალიზმისა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებისათვის ბრძოლა მათ დაუკავშირეს მოწინავე ფილოსოფიურ-ესთეთიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას“ (15, ტ.4, გვ.657).

„თერგდალეულებმა“ ბრძოლა გაუმართეს ძველ თაობას („მტკვარდალეულებს“) ჟურნალების: „ცისკრისა“ და „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე, ქართული

ენისა და ლიტერატურის საკითხებზე და ეს ბრძოლა დაიწყო ი. ჭავჭავაძის წერილით, „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“. ამავე დროს, ბრძოლა მიმდინარეობდა ბატონყმური წყობილების მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შორის. ხოლო უმთავრესი საკითხი, რომელიც ამ ჟურნალების საშუალებით ბრძოლა მიმდინარეობდა, იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

„თერგდალეულთა“ მოღვაწეობა აღინიშნა, ქართული სალიტერატურო ენისა და ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებით. მათი შემწეობით მოხდა კულტურული საგანმანათლებლო საზოგადოებების დაფუძნება. ამავე დროს, საზოგადოების ინტელიგენციის ნაწილი იწყებს ბრძოლას, რუსეთის მონარქიული მმართველობის წინააღმდეგ „ხალხში გასვლით“, რომელთაც ლიტერატურაში უწოდებდნენ **„ხალხოსნებს“**.

„ხალხოსნების“ აზრით საჭირო იყო ხალხთან ახლო ურთიერთობა, ხალხის ცხოვრების შესწავლა, ხალხის კულტურული და ეკონომიური ცხოვრების გაცნობა. „ხალხოსნები“ ქალაქებში და სოფლებში დადიოდნენ და ავრცელებდნენ აკრძალულ ლიტერატურას, პროკლამაციებს. ეწეოდნენ რუსეთის მმართველობის საწინააღმდეგო პროპაგანდას. მათი აზრით საჭირო იყო ხალხზე მოქმედება, მათი დარაზმვა საბრძოლველად. ამავე დროს „ხალხოსნებმა“ კავშირი დაამყარეს რუსეთში ე. წ. „ნაროდნიკებთან“, აზერბაიჯანელებთან და სომხებთან. ფიქრობდნენ კავკასიაში ფედერაციის შექმნას, კავკასიაში კომუნის მოწყობას. ძირითადათ, „ხალხოსნები“ იყვნენ რუსეთის სასწავლებლებიდან დაბრუნებული სტუდენტები. როგორც ირკვევა საქართველოში „ხალხოსნების ორგანიზაცია შეიქმნა 1874 წელს“ (10, ტ.V, გვ.595).

„ხალხოსნები“-ს წევრები იყვნენ:

იოსებ ბაქრაძე (1850–1904) – პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და თეატრალური მოღვაწე;

ეგნატე იოსელიანი (1843–1926) – რევოლუციონერ-ხალხოსანი, ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

სოფრომ მგალობლიშვილი (1851–1925) – პროზაიკოსი და პედაგოგი;

ისიდორე ქიქოძე (1855–1916) – ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

ანტონ ფურცელაძე (1839–1913) – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

მიხეილ (მიშო) ყიფიანი (1846–1916) – რევოლუციონერ-ხალხოსანი, ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე;

ივანე ჯაბადარი (1852–1913) – რევოლუციონერ-ხალხოსანი და სხვები.

„ხალხოსნობა“ თავისი მცდარი ტაქტიკით, ისევე როგორც რუსეთში, უპერსპექტივო და დასაღუპავად განწირული მოძრაობა იყო და მეფის ხელისუფლება საქართველოშიც იოლად გაუსწორდა არალეგალურ ხალხოსნურ ორგანიზაციებს“ (36, გვ.290).

XIX საუკუნის 70-იან წლების ბოლოს „თერგდალეულთა“ ანუ „სამოციანელთა“ ჯგუფი დაიშალა და ჩამოყალიბდა ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება – ორი „დასი“.

საქართველოში ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ, გამოიწვია „თერგდალეულებს“ შორის კამათი, ბანკის საკითხების განხილვის გამო. მოხდა დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის.

ნიკო ნიკოლაძე (1843–1928) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ი. ჭავჭავაძის ერთერთი უახლოესი თანამებრძოლი.

როგორც ცნობილია, 1877 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა ახალი პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, ხოლო 1878 წელს ნიკო ნიკოლაძემ – ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი „ობზორ“-ი. ამ ორი გაზეთის ფურცლებზე გაიმართა მწვავე კამათი პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხების შესახებ. ამ გაზეთების მიმართულების გარშემო, ჩამოყალიბდა მხარდამჭერთა ორი საზოგადოება – ორი „დასი“. „პირველი დასი“ იყო ჰუმანისტურ დემოკრატიული მიმდინარეობა. პირველ დასში გაერთიანებულნი იყვნენ:

ივანე მაჩაბელი (1854–1898) – მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

დავით მიქელაძე (1843–1918) – ლიტერატორი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე;

ალექსანდრე ყაზბეგი (1848–1893) – მწერალი;

ალექსანდრე ყიფშიძე (1862–1916) – პუბლიცისტი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე;

იოსებ დავითაშვილი (1850–1893) – მუშა პოეტი;

კირილე ლორთქიფანიძე (1839–1919) – საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და კრიტიკოსი;

ბესარიონ ღოღობერიძე (1832–1879) – საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი;

ნიკოლოზ ხიზანიშვილი (1851–1906) – მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი;

ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი, გ. ყიფშიძე და სხვები.

„პირველი დასის“ წარმომადგენლების აზრით, მთავარი იყო ერის განთავისუფლება რუსულ იმპერიისაგან და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა, და ამ ეროვნულ ბრძოლაში, განურჩევლად სოციალური, თუ კლასობრივი წოდებისა, ყველანი ერთად უნდა მდგარიყვნენ, ვინაიდან კლასობრივი ურთიერთ დაპირისპირება და ურთიერთ ბრძოლა დაასუსტებდა ხალხს და ამით ისარგებლებდა რუსეთის იმპერია და საბოლოოდ გაანადგურებდა ქართველ ერს.

„სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ ისინი ქართველი ხალხის ერთიანობას, რათა მას შეძლებოდა უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაეწია მეფის თვითმპყრობელობის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკისათვის“ (12, გვ.295).

„მეორე დასში“, გაერთიანებულნი იყვნენ:

დავით ერისთავი (1847–1890) – მწერალი;

გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი) (1855–1917) – პუბლიცისტი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე;

გიორგი თუმანიშვილი (1854–1920) – პუბლიცისტი, თეატრალი ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე;

გიორგი ლასხიშვილი (1865–1931) – პუბლიცისტი, რედაქტორი და საზოგადო მოღვაწე;

სერგეი მესხი (1845–1883) – მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე;

იონა მეუნარგია (1852–1919) – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

პეტრე უმიკაშვილი (1838–1904) – საზოგადო მოღვაწე და ფოლკლორისტი;

გიორგი წერეთელი (1842–1900) – მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

ალექსანდრე ჯაბადარი (1851–1933) – პროზაიკოსი და ჟურნალისტი და სხვები.

„მეორე დასელები“ ანუ „ახალი ახალგაზრდობა“, წარმოადგენდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობის ჯგუფს.

ლ. სანიკიძის თქმით: ისინი „ერის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალად მიიჩნევდნენ არა თავად-აზნაურობას, არამედ ბურჟუაზიას. მეორე დასელები პროგრესს კაპიტალიზმის განვითარებაში ხედავდნენ და იმედსაც კაპიტალიზმის პირმშო კლასზე, ბურჟუაზიაზე ამყარებდნენ“ (36, გვ.291).

მეორე დასელებიც ებრძოდნენ ბატონყმობას და საერთოდ ყოველგვარ ჩაგვრას. ოღონდ, ისინი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ მომავალ, ახალ საზოგადოებაში, თავადაზნაურები გამხდარიყვნენ ხელმძღვანელები. აკრიტიკებდნენ კაპიტალიზმსაც. მთავარ მამოძრავებელ ძალად თვლიდნენ განათლებულ, მშრომელ, წვრილ მეწარმეებს, გლეხებს, წვრილ ვაჭრებს და საერთოდ წვრილ მესაკუთრეებს.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პირველ და მეორე დასებს შორის განსხვავება უმნიშვნელო იყო. ზოგი კი საერთოდ უარყოფდა მათ დაშლას.

„პირველი და მეორე დასი, მიუხედავად მათ შორის ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც ერთ ბანაკში იყვნენ – ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბანაკში. მათთვის, ორივესთვის, მთავარიც სწორედ ეს იყო – ჯერ ერის დახსნა და შემდეგ მისგან გამომდინარე ყოველგვარი სოციალური სიკეთე და კეთილდღეობა. ამიტომ იყვნენ ერთ ბანაკში პირველი და მეორე დასი...

პირველ-მეორედასელნი თოფისა თუ ხმლის (მათთვის – „ეროვნულ-ნაციონალური თოფისა და ხმლის“) აღებას ჯერ ნაადრევად მიიჩნევდნენ და სამომავლო ბრძოლისათვის ხალხს სიტყვით და კალმით ამზადებდნენ. იმავე საუკუნეში თითქოს ა მ ა ო დ ნ ა ქ ც ე ვ ი ეროვნული სისხლიც უკარნახებდა ილია ჭავჭავაძეს, მისი თანამედროვე ქართველობა ახალი სისხლისღვრისაგან შეეჩერებინა და თავისი გრძნეული სიტყვით მომავალი ქართველობის სწორედ აქტიური, პრაქტიკული გამოსვლისათვის უტყუარი ნაყოფის მომტანი ნიადაგი მოემზადებინა.

ამდენად, ილიას მოძრაობა უფრო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი „ხ მ ი ს ა მ ო ღ ე ბ ა“ იყო, ვიდრე „ხ მ ლ ი ს ა მ ო ღ ე ბ ა“ და ამ მოძრაობის სათავეში იდგა არა საომარ უნაგირზე აღმჯდარი და ხმალამართული გარიბალდი ან კოშუტი, ან ლევსკი, ან ბოლივარი, არამედ – ილია ჭავჭავაძე, ერის სულიერი მამა, გმირი სიტყვისა, აზრისა და კალმისა.

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რასაც ილია და სხვა სამოციანელები წარმართავდნენ, იყო ბრძოლა ქართველი ერის სულიერი და ნივთიერი აღორძინება-ამაღლებისათვის (ახალი ქართული სალიტერატურო ენის შექმნა, ეროვნული ისტორიისა და კულტურის დაცვა და ამაღლება, ბანკისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება), რომელშიც ილია ჭავჭავაძე თავის სამშობლოს ჭეშმარიტი მოქმედების გმირად მოევლინა...

სამოციანელთა შორის მაინც სამი იყო უძლიერესი, ვითარცა მძლავრი ტრიუმვირატი, ანუ სამება სამი სიკეთისა:

აზრი და გრძნობა – ილია ჭავჭავაძე

გრძნობა და აზრი – აკაკი წერეთელი

საქმე და აზრი – ნიკო ნიკოლაძე“ (36, გვ. 292–294).

3. რუსეთი, საქართველო და რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში განხორციელებული ცენზურა

ილია ჭავჭავაძეს მოუწია მოღვაწეობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს საქართველოში ხდებოდა როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური ძვრები.

როგორც ისტორიიდან ცნობილია, საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო, რომელიც XIX საუკუნეში საქართველოში შეიქმნა, მუსულმანური სამყაროს თავის დაღწევის მიზნით, საქართველოსა და ერთმორწმუნე რუსეთს შორის 1783 წ. დაიდო „მფარველობითი მოკავშირეობის“ ხელშეკრულება, ე.წ. „გეორგიევსკის ტრაქტატი“.

ქართული მეცნიერების პატრიარქი, ქართული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე, ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარი და ქართული დამწერლობის მეცნიერული კვლევის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი (1876–1940) ამ ხელშეკრულების შესახებ წერდა:

ხელშეკრულების თანახმად „რუსეთის ხელმწიფე პირადადაც და თავის შთამომავლობის მაგიერადაც აღთქმასა სდებს საქართველო რუსეთის სახელმწიფოსთან „მჭიდრო კავშირში და სრულს თანხმობაში მყოფად ჩასთვალოს“ და მისი მტრები თავის მტრებად მიიჩნიოს“ (8, გვ.92).

„მაშასადამე 1783 წ. ხელშეკრულება თვით ხელშემკვრელ მხარეებს „მფარველობითი მოკავშირეობის“ ტრაქტატად მიაჩნდათ და ჩვენც არავითარი

უფლება არა გვაქვს გვერდი ავუხვიოთ მათს ცხადად გამოთქმულს ამ ნებისყოფას და იმ ზოგიერთი განსხვავების გამო, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და მაშინდელ უფლებრივ შეხედულებათა შორის არსებობს, 1783 წ. ხელშეკრულება სხვა თვისების საბუთად ჩავთვალოთ“ (8, გვ.93).

ამ ხელშეკრულებას, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, საქართველოსათვის არავითარი სიკეთე არ მოუტანია. პირიქით, ის გახდა ჯერ მეფის რუსეთის კოლონია, ხოლო შემდეგ მოექცა კომუნისტური რუსეთის მარწუხებში.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატი“ ანუ ხელშეკრულება წარმოდგენილი იყო როგორც პროგრესიული ისტორიული მოვლენა. აღიარებული და მონათლული იყო როგორც მართებული, სწორად გადადგმული ნაბიჯი, რომელსაც მოჰყვა საქართველოსათვის და ქართველი ხალხისთვის მხოლოდ მრავალმხრივი სასიკეთო შედეგი.

საბჭოთა წყობილების დროს, რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ახსნა-განმარტება ლიტერატურაში ხდებოდა, ეგრეთ წოდებული მარქსიზმის, „ლენინიზმისა“ და „სტალინიზმის“ თვალსაზრისის გათვალისწინებით; და თუ კი ვინმე გაბედავდა ისტორიულ წერილობით საბუთებზე დაყრდნობით სიმართლის თქმას და სააშკაროზე გამოტანას, მას მონათლავდნენ როგორც ანტირუსულ, ანტიკომუნისტურ, ანტიმარქსისტულ შეხედულების მქონე პირად და ასეთ „ადგილობრივ ნაციონალისტს“ ისტორიკოსსა თუ საზოგადო მოღვაწეს არ გაახარებდნენ და მათი მდგომარეობა ყოველ მხრივ შეიზღუდებოდა.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის, ერთერთი უდიდესი დიქტატორის იოსებ სტალინის (ჯუღაშვილი) (1879–1953) თქმით:

„ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსს შეადგენს მისწრაფება – განცალკევდნენ და ჩაიკეტონ თავიანთი ეროვნული ნაჭუჭის ჩარჩოებში“ (59, გვ.394).

„ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს წინათ დაჩაგრული ერების დრომოჭმული კლასების უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, მათს მისწრაფებას – განკერძოვდნენ თავიანთ ნაციონალურ ბერჟუაზიულ სახელმწიფოდ და დაამყარონ იქ თავიანთი კლასობრივი ბატონობა.

ამ გადახრის საფრთხე ის არის, რომ იგი ნერგავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს სსრ კავშირის ხალხების მშრომელთა ერთიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს“ (59, გვ.403).

ამრიგად, იმ დროს ხდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიული სინამდვილის დამახინჯება. საბჭოთა, რუსული ორიენტაციის მეცნიერთა თქმით, რუსეთის იმპერიასთან საქართველოს შეერთების შედეგად ქართველი ხალხი განადგურებას გადაურჩა.

ი. ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ, 1919 წელს წერდა:

„1783 წ. ხელშეკრულებას საქართველოსათვის სარგებლობა არა მოუტანია რა. ზიანი-კი აუარებელი.

პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ საშინლად გაუარესდა. ხმა ამ ხელშეკრულებას და რუსეთის სახელმწიფოს მფარველობას დიდი ჰქონდა. საქმით კი ძალიან მცირედი იყო ის დახმარება, რომელიც რუსეთის მხრით საქართველოს აღმოეჩინა“ (8, გვ.93).

ნაცვლად პოლიტიკური მფარველობისა რუსეთის ხელისუფლების მესვეურებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს 1783 წლის ხელშეკრულებას და 1801 წლის, რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის (1777–1825) მანიფესტით, საქართველო რუსეთს შეუერთდა და იგი გახდა რუსეთის სამხრეთი მხარის ერთ-ერთი ოლქი. ამრიგად, საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა და როგორც ზევით აღვნიშნეთ, იგი გადაიქცა რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ სამხრეთი მხარის კოლონიად.

ი. ჯავახიშვილი იმ დროინდელი რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების შესახებ აღნიშნავდა:

„12 ენკენისთვეს 1801 წ. პეტერბურგში საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ ალექსანდრე I-ის მანიფესტი იყო გამოცხადებული, რომელშიაც ფარისევლურად ნათქვამი იყო, ვითომც ეს აქტი მხოლოდ საქართველოს კეთილდღეობის ძლიერი სურვილით ყოფილიყოს ნაკარნახევი. ლამაზს სიტყვებს რასაკვირველია არ შეეძლო მაინც გაექარწყლებინათ ის შთაბეჭდილება, რომ რუსეთის მთავრობის საქციელი შემაძრწუნებელი უპირობა, ფიცისა და აღთქმის დარღვევა და ძალმომრეობა იყო და სხვა არაფერი“ (8. გვ.119).

ქართველ მესვეურთა „პოლიტიკურმა გულუბრყვილობამ“ საქართველო რუსეთს ხელში ჩაუგდო. „ადვილი წარმოსადგენელია, რაოდენად თავზარდამცემი უნდა ყოფილიყო ეს ამბავი ქართველ მოწინავე, შეგნებულ წრეებისა და მთავრობისათვის. რაკი რუსეთის მთავრობამ იცოდა, რომ საქართველო ამის

გამო აღშფოთებული იქნებოდა, შვიდი თვის განმავლობაში ამ მანიფესტს საქართველოში არ აცხადებდა. ხოლო როდესაც მეტი დამალვა აღარ შეიძლებოდა და მისი გამოქვეყნება და ხალხის დაფიცება აუცილებელი შეიქმნა," – რუსეთის წარმომადგენელმა საქართველოში, რუსეთის ჯარების პირველმა მთავარსარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა (გარ. 1805 წ-ის შემდეგ), ,,გადაწყვიტა ეს საქმე მოტყუებით და მუქარით მოეხერხებინა. მან დაჰპატიჟა გავლენიანი წრეები, თავად-აზნაურობა და ქ. ტფილისის მოქალაქენი და როდესაც ყველამ თავი მოიყარა, მან ბრძანება გასცა, რომ მათთვის საერიშოდ განმზადებული („аки штурмомъ") რუსის ჯარი შემოერტყათ. მაშინდელი ერთი რუსული ცნობის მიხედვით ,,ლომების ხახასავით განხმული იყო" თურმე იქ ზარბაზნების პირი. გენ. კნორინგმა ამის მნახველს ხალხს წინადადება მისცა რუსეთის ქვეშევრდომობისა და ერთგულების ფიცი მიეღოთ. ქართველობა გაოცებული და აღშფოთებული იყო ასეთი უმსგავსო საქციელით. მოწინავე წრითგან მრავალმა იმოდენი გამბედაობა გამოიჩინა, რომ შემორტყმულ ჯარს არ შეუშინდა, ძალით ფიცი არ მიიღო და ეკლესიითგან გავიდა. მაშინვე გენ. კნორინგმა ბრძანება გასცა, რომ უკმაყოფილონი დაეჭირათ და ციხეში ჩაესვათ" (8, გვ.119).

,,რუსეთის მთავრობის გულის სიღრმეს არ მოჰხვედრია ქართველი ერის მისწრაფება, მისი დაწინაურებული, განათლებული ყოფაცხოვრების დაუშრეტელი წყურვილი და მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი. არა, რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგს იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ...

მაშინდელი ქართველობა... გულწრფელად დარწმუნებული იყო, რომ რუსთა ხელმწიფეს და მთავრობას საქართველოსათვის მართლაც გული შესტკივოდა და მის მწუხარებად მიაჩნდა. ამგვარი განუსაზღვრელი და დაუშრეტელი რუსებისადმი ნდობა იმაზე იყო დამყარებული, რომ საქართველოს იმდროინდელი მტრები სპარსეთ-ოსმალეთი მაჰმადიანები იყვნენ, რუსეთი კი, ვითარცა ქართველთა ერთმორწმუნე სახელმწიფო თავიანთ ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ.

ქართველებს შორითგან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულის კვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულს ბრძოლაში სპარსეთსა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა" (8, გვ.108).

„როცა რუსეთისათვის საჭირო იყო, მაშინ მას აგონდებოდა, რომ ქართველები მხურვალე ქრისტიანები იყვნენ და მაჰმადიან ძლიერი სახელმწიფოების მძლავრობისაგან უკიდურესად შევიწროებულნი იყვნენ... მაგრამ რა წამს რუსეთს თვისი პირადი მიზანი მიღწეულად მიაჩნდა, ან ომის გაგრძელებას თავისთვის ხელსაყრელად აღარა სთვლიდა, ის საქართველოს უყოყმანოდ მიატოვებდა ხოლმე და მაშინ მას ყველაფერი ავიწყდებოდა, ქართველთა ქრისტიანობაც და გაჭირვებაც. ასეთს შემთხვევაში ის იმაზედაც კი აღარ ფიქრობდა, რომ საქართველო სწორედ მის წყალობითა და მის მოქმედებით წინანდელზე უფრო უარესსა და უმწეო მდგომარეობაში ვარდებოდა ხოლმე“ (8, გვ.110).

ბოლოს, ი. ჯავახიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ:

„მაშასადემე ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რომ რუსეთის „დახმარებას“ დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგი-კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმული ქვეყნისა და ერისათვის“ (8, გვ.113).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რუსეთის მთავრობამ, დაპყრობილ საქართველოში თავისი კანონები, გასამართლების წესები, ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო ენა და თავისი მმართველობის წესები შემოიღო.

რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები, ყოვლად შეუფერებელ, აღვირახსნილ, არაადამიანურ დამოკიდებულებას იჩენდნენ ადგილობრივ მოსახლეობის მიმართ.

XIX საუკუნის 60-იან წლებიდან რუსეთის მთავრობამ დაიწყო როგორც ქართული ეკონომიკური დარგის, ასევე ქართული კულტურის მოსპობა, რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება. ამიტომ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საჭირო იყო მშობლიური ქართული ენის გაუქმება. აიკრძალა ქართულ ენაზე საქმის წარმოება დაწესებულებებში და სკოლებში ქართულ ენაზე სწავლა.

„90-იან წლებში კი ქართულ ენაზე სწავლებასთან ერთად ქართულად ლაპარაკიც იკრძალებოდა. დევნას განიცდიდა ქართული პრესა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი, რომლებსაც ცარიზმის მოხელენი ბრალად დებდნენ „ეროვნული გრძნობების“ გაღვივებას. 1882 წელს ოფიციალურად აკრძალეს ქართველთა სამშობლოს სახელის „საქართველოს“ საერთოდ ხსენება“ (10, ტ.V, გვ.460).

ამავე დროს რუსეთის მთავრობა ცდილობდა ადგილობრივი თავად-აზნაურების მომხრობას და მათ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებად ნიშნავდა. თანდათან შეიქმნა ადგილობრივი ბიუროკრატია და რუსიფიკატორული მმართველობა.

ამრიგად, რუსეთის მთავრობის მიერ გატარებული ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკა მთლიანად მოსპობას უქადდა ქართველ ხალხსა და საქართველოს.

თავისუფლების მოყვარე ქართველმა ხალხმა აღიმაღლა ხმა თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ და საქართველოში დაიწყო გამოსვლები, და გლეხთა აჯანყებები. რუსეთის მთავრობა ამ გამოსვლებს ახშობდა და აჯანყებულებს სასტიკად უსწორდებოდა. ამ ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში მთელი საქართველოს მოსახლეობა ღებულობდა მონაწილეობას, როგორც თავად-აზნაურობა, ასევე გლეხობაც.

ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 60-იან წლებში, როდესაც პოლიტიკურ სარბიელზე ახალი თაობის წარმომადგენლები გამოვიდნენ. მათი ქართული ენის შესახებ კამათი, თანდათან ლიტერატურულ-ეროვნული საკითხებიდან სოციალურ-კლასობრივში გადაიზარდა.

ნ. ნიკოლაძე წერდა:

„**გლეხები სრულიადაც არ მალავენ, რომ მათი აჯანყების ერთადერთი მიზეზი ბატონყმობა იყო. ერთადერთი მიზანი – მისი მოსპობა**. 1858 წელს რომ განთავისუფლების ხმა გავარდა, ამ ამბავმა ცეცხლს ნავთი დაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდა... საქართველოს **პოლიტიკური ცხოვრება განვითარდა რაღაც ათი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი სისწრაფით, თანდათან უკავშირებდა რა თავის ბედს გლეხთა საკითხის ამა თუ იმ გადაწყვეტას**“ (26, გვ.12).

რა თქმა უნდა, ძველი თაობის წარმომადგენლები, თავად-აზნაურობის ნაწილი, ძველ, დრომორჭმულ წესწყობილებას იცავდნენ და ყოველ სიახლეს ეწინააღმდეგებოდნენ. მათი მოთხოვნა იყო, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც (რომელიც რუსეთის მეფის მთავრობამ გამოაცხადა) მიწის მფლობელობის საკითხი ისევ თავად-აზნაურობის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. ხოლო დემოკრატების აზრით მიწა გლეხებს უნდა დარიგებოდათ, ოღონდ საჭირო იყო, რომ საქართველოს პირველ რიგში უნდა მოეპოვა დამოუკიდებლობა, რომლის შემდეგ ქვეყანა ეკონომიურად მომაგრდებოდა და ცხოვრებაც გაადვილდებოდა. და აი, სწორედ ამ დროს, ესე იგი XIX საუკუნის 60-იან წლებში იწყებს მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძე, რომელიც სალიტერატურო-პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად ეწევა საზოგადო საქმიანობას. მისი მთავარი მიზანი იყო, ბრძოლა ერის თავისუფლებისათვის და ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ილიას გარშემო იკრიბებიან ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც იბრძვიან ეროვნულ და სოციალურ საკითხების გადაჭრისათვის. ილია იყო ამ ახალი თაობის მეთაური სიცოცხლის ბოლომდე.

ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო, თუ საზოგადო საქმიანობის, მისი მსოფლმხედველობის განხილვის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს იმ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებას და ქართველ მოწინავე პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდობაზე მოწინავე იდეების, პროგრესიული ფილოსოფიური მოძღვრების გავლენას. ამავე დროს, ვ. გაგოიძის თქმით, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ილიას „თავისი იდეალების, თავისი სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისის პროპაგანდა მას პირდაპირ ენის კვნეტით უხდებოდა, რადგან ცენზურა უწყალოდ ანადგურებდა მის ყოველ დებულებას, რომელშიც კი ოფიციალური წყობილებისათვის რაიმე მიუღებელ აზრს შენიშნავდა. ასეთ ცენზურულ არტახებში იყო მოქცეული „საქართველოს მოამბეც“ და „ივერიაც“, ამიტომ ხშირად არაპირდაპირი გზების ძებნაა საჭირო ავტორის ნამდვილი აზრების აღდგენისათვის“ (26, გვ.319).

ცენზურის გამო, ილიას უხდებოდა თავისი აზრის გამოსახატავად სხვადასხვა შემოვლითი გზების ძებნა და იგი მაინც ახერხებდა ძირითადი მოსაზრების თქმას. ჟანდარმერიის მასალების განხილვიდან ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლებას 80-იან წლებში, საქართველოში უფრო გაუმკაცრებია ცენზურა. ილია, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი საქართველოში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ იყო აყვანილი. ცენზურის გამო ილიას ხშირად უხდებოდა თავისი წერილების, ნარკვევების და მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა გადაკეთება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ილიასთვის ნაწარმოების და წერილების ბეჭდვა და გამოქვეყნება ცენზურას საერთოდ აუკრძალავს. მისი ნაწარმოებებიდან ხდებოდა მთელი რიგი ადგილებისა და თავების ამოგდება, რის გამოც ეს ნაწარმოები მახინჯდებოდა, ან შემოკლებით იბეჭდებოდა.

პ. ინგოროყვას გამოკვლევით ცენზურა ილიას ხელს უშლიდა, მხატვრულ თხზულებათა გამოცემას. იგი წერს:

„ილიას ნაწერები ძალიან ხშირად დაბეჭდილა ცენზურის მიერ დამახინჯებული. მაგრამ ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში დამახინჯებულა ილიას დრამატიული პოემა „ქართლის დედა“. იგი დამახინჯებულია იმდენად, რომ თვით დედააზრი პოემისა სრულებით დაჩრდილულია“ (1, ტ.1, გვ.361).

ამგვარ დღეში ჩავარდნილა ილიას შესანიშნავი პოემა „აჩრდილიც“, რომელიც ცენზურის მიერ ორი თავი საერთოდ ყოფილა ამოგდებული და დაკარგულა კიდეც. ხოლო მეორე პოემა „კაკო ყაჩაღი“-ს დაბეჭდვა ცენზურას საერთოდ აუკრძალია. ხოლო „მგზავრის წერილების“ დაბეჭდვა ცენზურის გამო ილიამ შესძლო მხოლოდ ათი წლის შემდეგ და ისიც, პ. ინგოროყვას თქმით, ილიამ:

„როგორც ირკვევა, „მგზავრის წერილების“ მთლიანად აღდგენა მაინც ვერ შესძლო“ (1, ტ.2, გვ.580).

1896 წელს შემდგარა მთავარმართებლის საბჭოს სხდომა, რომლის დადგენილებით, აიკრძალა ილიას გაზეთი „ივერია“-ს გამოცემა.

1898 წელს ქართულ საზოგადოებას უნდოდა ილია ჭავჭავაძის 40-წლოვანი იუბილის გადახდა, მაგრამ ვინაიდან ილია „არაკეთილსაიმედოთა“ შავ სიაში იყო შეტანილი, ამ იუბილის გამართვა მთავრობამ აკრძალა“ (9, გვ.474).

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის განხილვის დროს, მისი ყოველი ნაშრომი, ლიტერატურული ნაწარმოები, თუ წერილები უნდა აიწონ-დაიწონოს, გაანალიზდეს და ისე გამოვიტანოთ საბოლოო დასკვნები (ცენზურის შესახებ იხ. ქვევით – „ილია რუსეთის შესახებ“).

4. ილია ჭავჭავაძის დროინდელი მარქსიზმი საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, საქართველოში დაიწყო კაპიტალიზმის შემოსვლა. კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას,ვინაიდან მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების გამო, ქალაქებს მოაწყდა სოფლის გაჭირვებული გლეხობა და თავად-აზნაურობაც.

„ამრიგად XIX საუკუნის მეორე ნახევარში,განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან მოკიდებული, საქართველოში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად სწრაფად ხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრის გაფართოება და სავაჭრო მიმოქცევის გაძლიერება; ძლიერდება ფულის ტრიალი და საქართველოს ყველაზე მიყრუებული კუთხეებიც კი ებმიან ვაჭრობაში“ (13, გვ.517).

თანდათან კაპიტალიზმის ზრდამ გამოიწვია საზოგადოების ახალი კლასის – სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა, პროლეტარიატის – ესე იგი მუშათა კლასის წარმოქმნა. შემდეგ კი, ქონებრივმა უთანასწორობამ ერთმანეთს დაუპირისპირა მუშათა კლასი და ბურჟუაზია. დაიწყო მუშათა არაორგანიზებული გაფიცვები და გამოსვლები. ძირითადათ მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას და სამუშაო დროის შემცირებას. 1898–1900 წლებში მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები თანდათან გახდა ორგანიზებული. მათ ხელმძღვანელობდა

ეგრეთწოდებული მუშათა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები.

XIX საუკუნის ბოლოს, საქართველოში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გავლენით, მოხდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება 1892 წ. ზესტაფონში, მარქსისტულად განწყობილთა კრებაზე. რომლის დამაარსებლები იყვნენ:

ეგნატე ნინოშვილი (1859–1894) – მწერალი და პუბლიცისტი;

მიხეილ (მიხა) ცხაკაია (1865–1950) – შემდეგში, კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე;

სილიბისტრო („სილვა“) ჯიბლაძე (1859–1922) – პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, შემდეგში გახდა მენშევიკი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დახვრიტეს.

კრებას ესწრებოდნენ:

ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილი (1872–1916), – პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე;

იოსებ კაკაბაძე (1864–1940) – რევოლუციონერი;

ნოე ჟორდანია (1865–1953) – პუბლიცისტი, შემდგომში მენშევიკი და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე;

ისიდორე რამიშვილი (1859–1937) – პუბლიცისტი, შემდგომში მენშევიკი (1922–37) წლებში იმყოფებოდა გადასახლებაში. 1937 წელს ბერიას ბრძანებით დახვრიტეს;

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე (1864–1926) – პუბლიცისტი, საქართველოს და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, შემდგომში საქართველოსა და რუსეთის მენშევიზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გარდაიცვალა პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს. ამათ გარდა კრებას ესწრებოდნენ სხვებიც.

„1894 წ. 8 მაისს ე. ნინოშვილის დაკრძალვაზე ჯგუფის სახელით სიტყვები წარმოთქვეს ს. ჯიბლაძემ, ლ. დარჩიაშვილმა და სხვებმა, აქვე გ. წერეთელმა რომელსაც ი. ჭავჭავაძის ჯგუფი პირველ დასად, ხოლო ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის ჯგუფი მეორე დასად მიაჩნდა, ამ ჯგუფს „მესამე დასი“ უწოდა. ამ სახელწოდებამ მალე მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სინონიმი გახდა. „მესამედასელები“ თანამშრომლობდნენ ლეგალურ გაზეთ „კვალში“, რომელიც 1898 დასაწყისიდან მთლიანად მათ ხელში გადავიდა და ისინი ხელს უწყობდნენ მარქსიზმის გავრცელებას საქართველოში“ (15, ტ.6, გვ.597).

ლ. სანიკიძის თქმით:

„ისინი თავის თავს უწოდებდნენ მარქსისტებს, სოციალისტებს, სოციალ-დემოკრატებს, ანუ – „გამორჩეულ“ სახელად – „მესამე დასელებს“.

ეს სახელი,„მესამე დასი“,როგორც აკაკი წერეთელმა სთქვა – ქართველ სოციალ-დემოკრატებს „სულსწრაფად“ დაარქვა გიორგი წერეთელმა“ (35, გვ.65).

აი, ჩამოყალიბდა საქართველოში ეგრეთ წოდებული მარქსისტული ორგანიზაცია „მესამე დასი“. რას წარმოადგენდნენ და რით გამოიჩინეს თავი საქართველოში მარქსისტებმა?

პირველი, იმით, რომ თუ პირველი და მეორე დასელებისათვის მთავარი იყო სამშობლო და მამული, და ერონულ-ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, მესამე დასელებისათვის იყო სოციალურ-კლასობრივი უთანასწორობის რევოლუციური გზით მოსპობისათვის ბრძოლა.

„სამშობლო?!

სამშობლოზე, მამულზე და მის დახსნაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი ძარღვებს უშლიდა „მესამე დასელებს“. ამ შემთხვევაში მათი „უტყუარი კოზირი“ იყო ფრაზა „კომუნიტური პარტიის მანიფესტიდან“: „მუშებს სამშობლო არა აქვთ“. მათთვის ეს ფორმულა, – რომელიც, რასაკვირველია, უფრო პოეტურ-სენტიმენტალური ფორმულაა, ვიდრე რეალურ-მეცნიერული – მაქსიმალისტური კანონის რანგში იყო აყვანილი. ასე გასინჯეთ, ყოველ ომში საკუთარი სამშობლოს მარცხის სურვილსაც („პორაჟენცობა“) აშკარად გამოხატავდნენ, – რასაკვირველია, მანამ სანამ, პროლეტარიატის დიქტატურის სახელით, თვითონ არ მოქცეულიყვნენ „სამშობლოდ ნაგულისხმევი“ სახელმწიფოს სათავეში.

არსად, არც რუსეთის და არც ევროპის სოციალ-დემოკრატთა შორის, არ ჰქონია ისეთი გასავალი და წამდაუწუმ ხმარების პრაქტიკა ამ ფორმულას – მუშებს სამშობლო არა აქვთო – როგორც ქართველ მარქსისტთა შორის“ (35, გვ.67).

„ჭირის დღესავით სძულდათ „ეროვნული“ და „ქართული“ ქართველ მარქსისტებს; ამიტომ არ უყვარდათ ამ ცნების ქვეშ ხაზის გასმა, არამედ – უფრო ხაზის გადასმა უყვარდათ და საკუთარი ეროვნული რევოლუციური „მასალის“ უკმარისობის გამოც, მთლიანად დიდი რუსეთის რევოლუციურ „მასალაზე“ იყვნენ ჩართულნი“ (35, გვ.69).

მეორე, იმით, რომ:

„მესამე დასელნი“ ილიას მტრები იყვნენ. დიახ, არა მხოლოდ „მოწინააღმდეგენი“, არამედ – სწორედ მტრები“ (35, გვ.65).

„მაშინ, – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის კვირაძალს – ქართველი სოციალ-დემოკრატები, „ბოლშევიკ-მენშევიკობის“ გამიჯვნის გარეშე, ერთად იყვნენ, ერთ ბანაკში – რუსეთის პროლეტარული რევოლუციის თავგადამკვდარ სამსახურში და ...ერთ ბანაკში – ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ თავგადამკვდარ ბრძოლაში.

მაშ, ებრძოდნენ ილიას და არ მიიჩნევდნენ (თუ არ ესმოდათ), რომ ეს ნიშნავდა ბრძოლას სრულიად ქართველი ერის წინააღმდეგ.

ილია ნებას არ იძლეოდა, მსოფლიო რევოლუციისათვის მისი სისხლდაწრეტილი ერის სისხლი დაქცეულიყო“ (35, გვ.81).

„და ესენი იყვნენ სწორედ მესამე დასელნი – ძლიერნი, ორგანიზებულნი, მიზნისთვის შეუპოვარნი და ფანატიკურად პრინციპულნი, გმირები 1905 წლის რევოლუციისა“ (36, გვ.294).

ბოლოს და ბოლოს, რუსეთში, როდესაც „მარქსისტებმა“ ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება, 1922 წლის 30 დეკემბერს, ჩამოყალიბდა სახელმწიფო, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი“ („სსრკ“), რომელიც, შემდგომში, კაცობრიობის უდიდესი დიქტატორის, სტალინის ხელმძღვანელობით, გარდაიქმნა პოლიტიკურად ერთ-ერთ მძლავრ ქვეყნად.

სტალინი, ეს სოციალისტური წყობილების „ფენომენი“ იყო, რომელიც წარმოქმნა რუსეთის რევოლუციამ. ხოლო, როგორც ცნობილია, ყოველი რევოლუცია იწვევს ხალხის ხოცვა-ჟლეტას, რომელიც გრძელდება მომხდარი რევოლუციის შემდეგაც. სტალინი, გახდა საბჭოთა კავშირში „ღმერთი“, მას ეთაყვანებოდნენ, მასზე ლოცულობდნენ, ხოტბას ასხამდნენ. იგი გამოცხადდა საბჭოთა ხალხის გენიოსად, მიუხედავად იმისა, რომ მის დროს და მისივე მითითებით იღუპებოდა უთვალავი მისივე მეხოტბე ხალხი.

პოეტი ვახტანგ ხარჩილავა წერს:

„სტალინის კულტი შექმნა დრომ, გარემოებამ, მოვლენათა განვითარებამ.

სტალინი ხალხის ოცნებას მიუხვდა, ის ზუსტად ჩასწვდა შექმნილ სიტუაციას და ასეთი გმირიც დროულად შექმნა – საკუთარი პერსონა.

მან ისიც კარგად იცოდა, რომ მთავარი იყო ხალხისთვის ეჩვენებინა, მიეთითებინა, მიეხვედრებინა, რომ მხსნელი გმირი ის იყო, დანარჩენს კი თვითონ ხალხი გააკეთებდა, თვითონ გამოძერწავდა ღმერთკაცს – თავის იმედს, თავის ბელადს, ხალხი თვითონ შექმნიდა, შეთხზავდა ზეკაცს – უჭკვიანესს, უბრძენესს, უძლიერესს, შეუმცდარს, მართალსა, პატიოსანს, სამართლიანს და ა. შ. ყველა

საუკეთესო თვისებას მიაწერდა მას, კერპად და ბომონად აქცევდა, რადგან თვითონ ხალხს სჭირდებოდა კერპიც და ბომონიც....

სტალინი ხალხის ოცნების ექოა. ხალხის ოცნების ლანდი, ორეული..“ (57. გვ.38).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქართველი მწერალ-მეხოტბენი, რომლებსაც ცაში აჰყავდათ და ამკობდნენ სტალინის „გენიას“. ვინაიდან და რადგანაც იგი წარმოშობით იყო ქართველი (თუმცა, ამ ბოლო დროს „ვაი მეცნიერების“ მტკიცებით იგი ყოფილა ოსიც, სომეხიც და სხ.?).

სტალინის სიკვდილის შემდეგ, „ერთ-ერთი ყოფილი მეხოტბეთაგანი იტყვის: სტალინზე ყველა წერდა – რუსიც და უკრაინელიც, ბელორუსიც და სომეხიც, მაგრამ იმდენი ლექსი, მოთხრობა, რომანი თუ პიესა, რაც ჩვენში, საქართველოში დაიწერა, არსად შექმნილა, და ეს არცაა გასაკვირი: ის ხომ ჩვენიანი იყო, ჩვენებური და დიახაც გვეამაყებოდა, გვიხაროდა ეს. ამ სიამაყით და სიხარულით იყო გამოწვეული მისდამი მიძღვნილი ნაწარმოებების სიუხვე.

ახლა სტალინის ხელით შევსებული ანკეტა გავიხსენოთ: „ეროვნება – ქართველი, მშობლიური ენა – რუსული“.

„ჩვენიანი იყო, ჩვენებური..“ (57, გვ.17).

ჩვენ არ შეიძლება, რომ არ დავეთანხმოთ ვ. ხარჩილავას მიერ დაწერილ სიტყვებს: „ისტორიას კარგი მეხსიერება აქვს, მას არაფერი ავიწყდება: დასაწყევლი დაიწყევლება, წასაწყმენდი წაიწყმენდება, შესაჩვენებელი შეჩვენდება. ეს ისეთი კანონზომიერებაა, რომელიც კაცობრიობის მანძილზე არასოდეს დარღვეულა“ (57, გვ.80).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოში მარქსისტული მოძღვრებისა და მარქსისტული მოძრაობის გავრცელება უკავშირდება –„მესამე დასს“.

სანამ საქართველოში „მესამე დასი“ შეიქმნებოდა, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში პრესაში უკვე იბეჭდებოდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის და საერთაშორისო პროლეტარიატის მეთაურის კარლ მარქსის (Marx) (1818–1883) და მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და საერთაშორისო პროლეტარიატის ხელმძღვანელის ფრიდრიხ ენგელსის (Engels) (1820–1895) მოძღვრების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მარქსიზმის გავრცელებას ხელი შეუწყო ერთის მხრივ რუსეთიდან სოციალ-დემოკრატების გადმოსახლებამ და მეორეს მხრივ, მარქსიზმის თეორეტიკოსის და პროპაგანდისტის, რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა

სოციალისტური მოძრაობის მოღვაწის, ლიტერატურის კრიტიკოსის გიორგი პლეხანოვის (ფსევდ. ნ. ბელტოვი) (1856–1918) ნაშრომების გავრცელებამ.

„პლეხანოვი იყო ენციკლოპედიურად განათლებული მეცნიერ-ფილოსოფოსი. „შეუძლებელია შეგნებულ, ნამდვილ კომუნისტად იქცეთ უიმისოდ, თუ არ შეისწავლეთ ყველაფერი, რაც კი ფილოსოფიის შესახებ პლეხანოვს დაუწერია, ვინაიდან ეს ყველაზე უკეთესია მარქსიზმის მთელ საერთაშორისო ლიტერატურაში“, – წერდა ვ. ი. ლენინი“ (15, ტ.8, გვ.108).

გ. პლეხანოვის მიერ დაარსებულმა რუსეთში პირველმა მარქსისტულმა ორგანიზაციამ, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფმა და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებამ თავისი ზეგავლენა იქონია საქართველოზეც. ამავე დროს ევროპაში ნამყოფმა ახალგაზრდებმა, რომლებიც გაეცვნენ კ. მარქსის, ფ. ენგელსის, გ. პლეხანოვის და სხვათა მარქსისტების ნამუშევრებს, საქრთველოში დაბრუნების შემდეგ, შეუდგნენ ამ მოძღვრების ქადაგებას და გავრცელებას.

ე. ნინოშვილი პუბლიცისტურ წერილებში ამტკიცებდა, რომ არსებული წყობილების შეცვლა შეეძლო მხოლოდ მუშათა კლასს – მუშათა მოძრაობას. ხოლო წინამძღოლად და მასწავლებლად თვლიდა კ. მარქს, ფ. ენგელსა და გ. პლეხანოვს.

ე. ნინოშვილის დასაფლავების დროს, 1894 წლის 7 მაისს, ს. ჯიბლაძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, „გ. წერეთელმა „მესამე დასის“ პროგრამა უწოდა და ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდა“ (15, ტ.11, გვ.563). ეს იყო – „მარქსისტული ახალგაზრდობის“ – მომავალი სამუშაო გეგმა.

„მესამე დასის“ წევრებს შეუერთდნენ ენერგიული წევრები:

ალექსი (საშა) გეგეჭკორი (1887–1928) – საბჭოთა სახელმწიფოს პარტიული მოღვაწე;

ევგენი გეგეჭკორი (1881–1954) – შემდგომში მენშევიკი. 1954 წლის 5 ივნისს გარდაიცვალა პარიზში.

ფილიპე მახარაძე (1868–1941) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე და ლიტერატორი;

სერგო (გრიგოლი) ორჯონიკიძე (1859–1937) – საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწე;

ნოე რამიშვილი (1881–1930) – შემდგომში მენშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1930 წლის 7 დეკემბერს პარიზში მოკლა ქართველმა დაქირავებულმა მოღალატე ემიგრანტმა. დასაფლავებულია ბანიოს სასაფლაოზე.

აკაკი ჩხენკელი (1874–1959) – იურისტი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე და შემდგომში მენშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

ირაკლი (კაკი) წერეთელი (1882–1959) – პოლიტიკური მოღვაწე და შემდგომში მენშევიკების ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე (1880–1918) – კომუნისტური პარტიის მოღვაწე;

ალექსანდრე (საშა) წულუკიძე – მარქსისტი, რევოლუციონერი, რუსეთში პირველი რევოლუციის მონაწილე, ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების დამაარსებელი საქართველოში და ამიერკავკასიაში – სტალინი და სხვები.

„და იყვნენ ილიას მტრები, ზედმეტნაკლებად: ყველაზე მეტად – ფილიპე მახარაძე და ნოე ჟორდანია, ყველაზე ნაკლებად – სოსო ჯუღაშვილი.

ხოლო სამტროდ, საბრძოლოდ და სავჯიგნად ქცეულიყო ორი უმთავრესი „საკითხავი“, ქვეყნისა და ხალხის სამომავლო ცხოვრებისთვის სამოქმედო ორი ქვაკუთხედი პოსტულატი: ნაციონალური ანუ ეროვნული და სოციალური ანუ საზოგადოებრივ-კლასობრივი“ (35, გვ.65).

დრამატურგი კიტა ბუაჩიძე წერს:

„სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა,
სხვა უდევთ გულში მათ დაფარული,
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური –
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

აკაკი.

ქართველები ნაციონალისტები არიანო...

ნეტავი ვიყოთ, ნეტავი ვიყოთ!

საუბედუროდ, ბუნებით, ჩვენ – ვიმეორებ! – ბუნებით, თანდაყოლილი სისხლით, ყოველგვარი „ზემოდან“ ჩაგონების, ყოველგვარ „პოლიტიკურ-იდეურ-აღმზრდელობითი“ აგიტაცია-პროპაგანდის გარეშე ინტერნაციონალისტები ვართ. ასეთნი ვიყავით მანამდეც კი, ვიდრე ეს სიტყვა მსოფლიოს რომელიმე ენაში შემოიჭრებოდა.

ეს ჩვენი დიდი ღირსება ამავე დროს ჩვენი დიდი ეროვნული უბედურებაა, – ამიტომ არის, რომ თბილისი, ჩვენი დედაქალაქი – ჯერ კიდევ როდის თქვა ეს გაბადრული სიხარულით მიქოიანმა ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე! – ინტერნაციონალური ქალაქია, ამიტომ არის, რომ საქართველოში ასამდე სხვადასხვა ეროვნება გულდამშვიდებით ცხოვრობს. ისინი მხოლოდ გუშინ, მხოლოდ

ჩვენს „ჰეროიკულ-ინტერნაციონალურ“ ხანაში არ ჩამოსახლებულან აქ, – ათეული და ასეული წლების წინათ, და არასოდეს მათ ქართველი ამოჟლეტით არ დამუქრებია, არ აუყრია, თითიც არ დაუკარებია...

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენი სამშობლო ასე არც აჭრელდებოდა.

მერედა, რით გვიპასუხეს ჩვენმა ერთხანს სტუმრებმა და მერე და მერე თანამოსახლეებმა? მადლობით?

ვითომ?!“ (56, გვ.21) (ზოგიერთი ჩვენი „მოძმე და მოსიყვარულე“ თანამოსახლეთა დამოკიდებულება ჩვენს, ქართველების, მიმართ იხილეთ ქვემოთ, „ილია ჭავჭავაძე და ისტორია“).

კ. ბუაჩიძე, ეროვნებების გაერთიანების, „საბჭოთა კავშირში, ერების ეთნიკურად ერთ ერად გარდაქმნის“ შესახებ წერს:

„თავის დროზე, სტუდენტობისას, ხუთიანი კი მივიღე, მაგრამ მე მაინც, სამწუხაროდ, არც თუ ზედმიწევნით ვიცნობ მარქსიზმს, და დღესაც არ ვიცი, ამბობს თუ არა საერთოდ მარქსი, და თუ ამბობს, სახელდობრ, სად ამბობს ერების სატაფამწვარე კვერცხივით ათქვეფაზე, ხალხთა ერთმანეთში შერწყმაზე...

და თუ მართლაც ამბობს ამას, – მე ბოდიშის მოწიწებით მოხდითა და არამონური ქედის მოხრით (მთელი თავისი სიცოცხლე მარქსი, თქვენც იცით, მონების განთავისუფლებისათვის იბრძოდა!) შევკადრებ მის დიად აჩრდილს:

– ეს არასოდეს არ მოხდება, და თუ მოხდება, სიცოცხლე არც ელირება: ქვეყნიერება ერთ დიდ საძოვარს დაემსგავსება, – გამოდი უთენია, პირუტყვივით, საბალახოდ და უყურე ზუსტად შენს მსგავს ორეულს – პირუტყვებს, როგორ ბალახობენ...

თეორია იმიტომ არის თეორია, რომ ის ყოველთვის არ მართლდება, პრაქტიკულად არ მართლდება...

თუკი ამაზე, საერთოდ, ვინმე ფიქრობს, საბოლოო ანგარიშით ფუჭად დაშვრება, თანაც, თუ აშკარად გამოხატულს არა, ფარულ სიძულვილს მილიონი ტონობით მოიმკის...)“ (56. გვ.74).

ამ ახალგაზრდების მიერ დაარსებული, „მესამე დასელები“, თავისთავს უწოდებდნენ მარქსისტებს, მაგრამ საკითხავია, იყვნენ კი სინამდვილეში მარქსისტები? ან თვით ეგნატე ნინოშვილი იყო-კი მარქსისტი?

ისტორიკოსი ლეონიდე (ლეო) გორგილაძე (1914–1989) ე. ნინოშვილის შესახებ წერს:

„საქართველოში მარქსისტული მოძრაობის სათავეებთან ეგ. ნინოშვილი დგას. მან ყველაზე რელიეფურად ასახა და გამოხატა გარდატეხის ხანა, როცა

მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა ძველ, ხალხოსნურ მსოფლმხედველობას ტოვებდა და ახალ, მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებას ითვისებდა. ნინოშვილი არ არის თავისუფალი უტოპიური, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის გავლენისაგან. უდროოდ სიკვდილმა არ მისცა მას საშუალება დასრულებულ რევოლუციონერ მარქსისტად ჩამოყალიბებულიყო. ნინოშვილი რევოლუციონერი მოძრაობის სწორი გზების ძიებისას, კავშირს წყვეტს რა ხალხოსნობასთან, თვალს აპყრობს მუშათა კლასს და მარქსის მოძღვრებაში ეძებს საზოგადოების მეცნიერული ახსნისა და რევოლუციური გარდაქმნის სწორ თეორიას“ (10, ტ.V, გვ.728).

ხოლო ისტორიკოსი პროკოფი რატიანი ე. ნინოშვილს შემდეგნაირად ახასიათებს:

„მან, გარს შემოიკრიბა იმდროინდელი მოწინავე რევოლუციური ახალგაზრდობა, რომელსაც აღარ აკმაყოფილებდა წინანდელი დემოკრატიული და ხალხოსნური შეხედულებანი და ცდილობდა სათავეში ჩასდგომოდა რევოლუციური მოძრაობის ახალ, მარქსისტულ ეტაპს“ (12, გვ.300).

ხოლო, რაც შეეხება ქართველ მარქსისტებს, ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ, მეცნიერის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, დასავლეთ ევროპის სამეცნიერო საზოგადოების საპატიო და ნამდვილი წევრის, პარიზში გადასახლებულ, ვიქტორ ნოზაძის (1893–1975) სიტყვები:

„როდესაც ჩვენ ქართულ ისტორიას ვუკვირდებით, ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ მაშინ, როცა ჩვენში მარქსიზმის ქადაგება დაიწყო და მის მომდევნო ხანაში (1890 წლებიდან), საქართველოს სამეურნეო ცხოვრება გამოდიოდა მხოლოდ წინაკაპიტალისტურ ასპარეზზე იყო ნიადაგი კაპიტალისტური განვითარების მხოლოდ დაწყებისათვის, ხანა, რომელიც კაპიტალიზმს წინ უძღოდა. და აი, ასეთ ხანაში, მეურნეობის კაპიტალისტურ საფეხურზე, მარქსიზმს რა ძალა და უნარი უნდა გამოეჩინა? სრულიად მისთვის შეუფერებელ პირობებში?

სამართლიანად ნათქვამია, რომ თითოეული ქვეყნის თავში მარქსიზმი თავისებურად გადატყდაო. – ეს თქმა ქართულ მარქსიზმსაც უდგება.

მარქსიზმის ქადაგება დაიწყო არა მისთვის შესაფერის პირობებში, არამედ ჩამორჩენილ და განუვითარებელ ნიადაგზე. ამით ეს გერმანული მარქსიზმი ქართულ მარქსიზმად გადაიქცა, – ესე იგი, დამახინჯდა და გადაგვარდა. და ეს გასაგებია: – გერმანული მარქსიზმი საქართველოში ხელოვნურად მოტანილი და დიდი შრომითა და უნარით არა შესაფერის მცენარეზე დამყნილი, – დაკნინდა და ისეთი მიმართულება მიიღო, რომელმაც ერის ინტერესები ძალზე

დააზიანა, ამისი ბრალი მხოლოდ ხელმძღვანელობას ეკისრება, იდეოლოგებს, რომელთაც უცხოეთში გამზადებული, უკვე გადაცოხნილი თეორია უკრიტიკოდ და იოლად ჩვენში გადმოიტანეს“ (44, გვ.7). ხოლო დამოკიდებულებას მარქსისტებისა საქართველოს შესახებ ვ, ნოზაძე, შემდეგნაირად ახასიათებს:

„მარქსიზმის „კარგად“ გამგებ მენშევიზმისა და „ცუდათ“ გამგებ ბოლშევიზმისათვის ქართველი ერი ამ სოციალური დოქტრინების მსხვერპლი შეიქმნა“ (44, გვ.21).

შემდეგ, მეორე ადგილას, ვ. ნოზაძე ისევ განაგრძობს ქართულ მარქსიზმზე მსჯელობას:

„მარქსისტული იდეოლოგია,ეს პროლეტარიატის ფილოსოფია,საქართველოს პირობებისათვის არა თუ მარტო შეუსაბამო, შეუფერებელი იყო, არამედ მავნებელიც; რომ ამ მარქსისტულმა იდეოლოგიამ საქართველოს პირობებში მიიღო რეაქციონური ხასიათი, ვინაიდან იგი ის იარაღი გახდა, რომლითაც კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე ძალები მის, კაპიტალიზმის დამკვიდრებას ებრძოდნენ. ხოლო სოციალიზმი გასაღებულ და შეთვისებულ იქმნა პრიმიტიულად, როგორც ქონების შეძენისა და გამდიდრების წყარო. ჩვენ დავინახეთ, რომ სოციალიზმის საკითხი, ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტურ ხანაში, არ უნდა მდგარიყო და უნდა ითქვას, არც დღეს დგას“ (44, გვ.23).

შემდეგ, ვ. ნოზაძე პირდაპირ აცხადებს:

„ყველამ ვიცით, რომ ქართული საკითხი და ერის საკითხი ჩვენში მარქსისტების მიერ აბუჩად აგდებული იყო; მათ უფრო აწუხებდათ „დიდი“ საკითხი, „დიდი“ საქმე: მსოფლიო და რუსეთის პროლეტარიატის ამბავი! ხოლო საქართველოს შესახებ მათ ჟურნალ „კვალი“-ში შემდეგი რამ იქმნა დაბეჭდილი:— საქართველოს წარსული გვძულს,აწმყო გვეზიზღება და მომავლისაგან არაფერს მოველით-ო! ასე!“ (44, გვ.37).

პარიზში, ვ. ნოზაძემ, 1934 წლის ჟურნალ „ორნატი“-სში გამოქვეყნებულ წერილს, ასეთი „ინგლისური თქმა“ წაუმძღვარა:

„თქვენ შეგიძლიათ ზოგიერთი ყოველთვის ასულელოთ, შეგიძლიათ ყველა ზოგჯერ ასულელოთ; მაგრამ არ შეგიძლიათ ასულელოთ მთელი ხალხი მუდმივად“ (44, გვ.3).

იმავე ჟურნალში, მეორე წერილში, იგი ასე ახასიათებს იმ დროინდელ ქართველ „მარქსისტების“ მიერ მომხდარ შედეგებს: „მარქსისტული პარტია, რომელიც ამიერკავკასიის ხელმძღვანელი იყო, მისთვის პოლიტიკის მიმცემი და

მისი გამტარებელი, მუდმივად, მძაფრად სინამდვილეს ებრძოდა და რუსეთისაგან ჩამოშორება არა სურდა“ (44, გვ.60).

ჩვენ, მოვიყვანთ, კიდევ ერთი ემიგრანტის, ცნობილი სწავლულისა და საზოგადო მოღვაწის, მკვლევარისა და პუბლიცისტის ისიდორე მანწკავას (1900–1944) სიტყვებს, რომელიც ეხება, „მესამე დასელების სულიერი მამის“ გ. წერეთლის მიერ წარმოსახულ „მესამე დასი“-ს დებულებებს, სადაც წერდა, რომ:

„ჩვენ თუ ჩვენს დაჩაგრულ მდგომარეობას არ მივაქციეთ ყურადღება და ვიყვირეთ საქართველოსა და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა იყოსო, ქართველი და რუსი ერთიაო, – ძალმომრეობაზე დამდგარი რუსები ისარგებლებენ და გვეტყვიან, როგორც ეხლა კიდევ გვეუბნებიან: თქვენ ადექით და ციმბირში გადასახლდით, იქ ბევრი ადგილებია და ფართედ იცხოვრებთო... რას მიქვია ეროვნება, რა საჭიროა ქართველობა, თქვენც რუსები, ჩვენც რუსები, მხოლოდ თანასწორად გავინაწილოდ ადგილმამულიო... ჩვენ ოთხმოცი მილიონი ვართ, და თქვენ ორი მილიონი ხართო, ორმა კაცმა ოთხმოცის გადაწყვეტილებას უნდა დაემორჩილოსო... მაშინ რა ვქნათ?... აი ამის გამო ჩვენ ნუ ვუმტყუვნებთ სოციალურ პრინციპს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს სოციალური პრინციპი არ გადაიქცევა ჩვენსავე დასაკლავ დანათ. ჩვენს ბედში მყოფი ხალხი ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას... და ამასთანავე ჩვენს ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რამენაირად მოვსპოთ...

ჩვენ რომ ბოლგარიის ან გერმანიის, ან იტალიის, ან რუსეთის მდგომარეობაში ვიყოთ პოლიტიკურათ, ე. ი. სრული განთავისუფლებული ვიყოთ, მაშინ დიახაც გავშლიდით კოსმოპოლიტურ ბაირაღს და მთელ ქვეყანას თანასწორ უფლების მქონე ძმებათ ვაღიარებდით... მაგრამ დღეს რომ პოლიტიკურ მონობაში ვართ გამოკლული, კოსმოპოლიტური სოციალური პრინციპი ყელში დანას გაგვიყრის და ჩვენს ლეშზე რუსის ხალხი გაიძლებს მუცელს (წერილი ეგ. ნინოშვილისადმი)“ (44, გვ.78-79).

ეს იყო, გ. წერეთლის მიერ ეროვნული სულისკვეთებით დაწერილი გეგმა, როგორ ფიქრობდა იგი, ამ გეგმის ცხოვრებაში გატარებას.

ამ წერილის შესახებ ი. მანწკავა აღნიშნავს, რომ:

„აქ მოცემულია მესამე დასის მთელი სოციალური და პოლიტიკური პროგრამის ძირითადი დებულებები, ისე როგორც ეს გიორგი წერეთელს ესახებოდა და ეს დებულებები საღ ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული“.

ი. მანწკავას გამოაქვს დასკვნა, რომელიც ეხება ქართველი მარქსისტების, მესამე დასელების, ცხოვრებაში გატარებულ შემდგომ შედეგებს:

„მაგრამ სამწუხაროდ, დასელების მოძრაობა ამ გზით არ წავიდა, არამედ კოსმოპოლიტური ხაზით და გამართლდა გ. წერეთლის წინასწარმეტყველება,— ამ მოძრაობამ ჩვენ ხალხს ყელში დანა გაუყარა და რუსის ძალამ ჩვენს ლეშზე გაიძღო მუცელი..“ (44, გვ.79).

ლ. სანიკიძე ქართველი მარქსისტების შესახებ აღნიშნავდა:

„მართლაც და, საცარი რამ იყო: მარქსიზმის მშობელი, ეროვნულად თავისუფალი ევროპის მარქსისტები და სოციალისტები ისე არ იკლავდნენ თავს საერთაშორისო ინტერნაციონალიზმისა და „მსოფლიო სოციალიზმისათვის“, როგორც თავისუფლება დაკარგული საქართველოს სოციალისტი შვილები. არავის უცხოთაგანს, არა შორეულსა და არა ახლო მეზობელს, ქართველი კაცის სიყვარული სამშობლოსადმი და ლტოლვა ეროვნული დამოუკიდებლობისადმი, არავის — თვითონ ქართველი სოციალ-დემოკრატების გარდა — არ ულანძღია „სოციალიზმის ღალატისა“ და „შოვინიზმის“ შეწამებით...

ერთადერთნი იყვნენ მხოლოდ ქართველი მარქსისტები, რომლებიც თავის „ეროვნულ სამრეკლოებს“ მარტო ეჭვით კი არა, პირდაპირ ზიზღითაც უცქერდნენ და მსოფლიო, „კოსმოპოლიტურ რევოლუციაში“ მთელის სისხლით და ხორცით კოსმოპოლიტობდნენ. თანაც ისე, რომ მათ მშობელ ქვეყანას, უცხოური უღლით დაუღლულს, არც „კოსმოპოლიტობა“ შეეძლო და არც ისეთი ეროვნული (ისევ ეს „ეროვნული“!) პროლეტარიატი გააჩნდა, იმ მსოფლიო რევოლუციის ჰეგემონთა რიგებში რომ ჩამდგარიყო!

ასეთ მოვლენას მსოფლიო ისტორიაში ალბათ ანალოგიაც არ მოეძებნება; ანუ თუ მოეძებნება, ისევ მხოლოდ საქართველოს ისტორიაში“ (35, გვ.124).

ლ. სანიკიძეს მოჰყავს მეცნიერის ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში, ფილოლოგის, პუბლიცისტის, სოციოლოგის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მიხეილ (მიხაკო) წერეთლის (1878-1965) (გარდაიცვალა მიუნხენში. დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე), სიტყვები ქართველი მარქსისტების შესახებ:

„ქართველ კაცს მართლაც საგანგებო გამორჩეულობით „ახასიათებს“ უცხო ნიადაგზე აღმოცენებულ საზოგადო„მსოფლიო იდეებისადმი“ ინტერესი და მისი განხორციელებისათვის — საკუთარი, ადგილობრივი ნიადაგის გაუთვალისწინებლად — თავგამოდებული ბრძოლა...

უცხოეთში შეთვისებული იდეალიც მას ჭეშმარიტება ჰგონია ყოველ კერძო შემთხვევისათვის, და თუ ქართული და თანამედროვე ცხოვრება ოდნავ მაინც არ ეთანხმება ამ უცხოეთში შეთვისებულ იდეალს, – თამამად და გულწრფელად წამოიძახებს, – წარსული მეზიზღება და აწმყო მეჯავრებაო! გულწრფელადვე მას ასეთი ყოვლად უაზრო სიტყვა სოციალიზმის რწმენის განმტკიცებად მიაჩნია, იდეალის სამსახურად“ (35, გვ.126).

„მესამე დასელებმა“, 1898 წლიდან ხელში ჩაიგდეს გაზეთი „კვალი“, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა მარქსისტული მოძღვრების გავრცელება და ბრძოლა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

ჩვენ, დაწვრილებით, საქართველოში მარქსიზმის ჩამოყალიბებას და განვითარების მიზეზებს, ისტორიას, ვ. ნოზაძის თქმით „ქართულ მარქსიზმს“, არ განვიხილავთ. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ილია ჭავჭავაძის შეხედულებას მარქსიზმზე და დამოკიდებულებას „მესამე დასისა“ ილიას მიმართ.

„მესამე დასის“ წარმომადგენლებმა დაიწყეს ლიტერატურული თავდასხმები ილიას წინააღმდეგ, მას უწოდებდნენ რევოლუციის მტერს, მებატონეს, მემამულეს, რომელიც პრინციპულად იცავდა კერძო საკუთრებას, ავაზაკობას და ცდილობდნენ მისი სახელის შებღალვას საზოგადოებაში და განსაკუთრებით გლეხობაში. მას ებრძოდნენ, ლანძღავდნენ, აკრიტიკებდნენ, მიწასთან ასწორებდნენ და ბოლოს როგორც ვიცით, კიდეც ფიზიკურად გაუსწორდნენ (იხ. ქვევით. თავი VI).

„მესამე დასის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ფ. მახარაძის შესახებ პ. რატიანი წერს:

„მესამე დასში“ იმთავითვე შედიოდნენ ისეთი მოღვაწეები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ნ. ჟორდანიას ოპორტუნისტულ შეხედულებებს. ასეთები იყვნენ ე. ნინოშვილი, მ. ცხაკაია და ფ. მახარაძე, მაგრამ იმ დროს არც მათ ჰქონდათ საფუძვლიანად შეთვისებული მარქსის მოძღვრება და ისინი ჟორდანიას ჯგუფს კი არ ებრძოდნენ, არამედ მასთან შემრიგებლობის ხაზს ატარებდნენ. ფ. მახარაძე თავის წერილებში თვითონაც სერიოზულ შეცდომებს უშვებდა და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას იმავე ვულგარული მარქსიზმის პოზიციებიდან აკრიტიკებდა, რომელსაც ნამდვილ, რევოლუციურ მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა“ (13, გვ.573).

ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდებოდა მისი სიკვდილის შემდეგაც. ხდებოდა შედარება დ. ჭონქაძისა და ი. ჭავჭავაძეს შორის. საერ-

თოდ, მესამოცე წლების მწერლებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს ე. წ. „ქართველი მარქსისტები“ არაფრად აგდებდნენ.

ფ. მახარაძე წიგნში, „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ წერდა:

დ. ჭონქაძეს „გამოყვანილი ყავს ვინმე ლ. დ., რომელსაც „კნიაზ ლიბერალის“ სახელით ნათლავს.

„კნიაზ-ლიბერალობა“ მეტად საინტერესო მოვლენაა. სამწუხაროდ, ცოტათ თუ ბევრათ სისრულით იმათ დახასიათებას ლიტერატურის საშუალებით ჩვენ დღემდისაც ვერ ვეღირსეთ. როგორც „სურამის ციხე“ მოწმობს, „კნიაზ-ლიბერალები“ ყოფილან დ. ჭონქაძის დროსაც, არიან ისინი, რა თქმა უნდა, დღესაც... უნდა ვიფიქროთ, ეს „კნიაზ-ლიბერალები“ დ. ჭონქაძის დროსაც ისეთები უნდა ყოფილიყვნენ, როგორიც არიან ისინი დღეს, ე. ი. სიტყვით „ლიბერალები“ და საქმით-კი ნამდვილი „კნიაზები“... დ. ჭონქაძისვე მეოხებით ვიცით, რომ იმათ ძლიერ უყვარდათ თურმე „მაღალი ფრაზები“. ეს ისეთი დამახასიათებელი ნიშანია, რომ „კნიაზ-ლიბერალებში“ ჩვენ პირველი შეხედულობითვე ვცნობილობთ ეგრედ წოდებულ მესამოცე წლების მოღვაწეებს. განა ვინ იყვნენ ესენი თუ არ „კნიაზ-ლიბერალები“, რომლებსაც ყოველთვის პირზე ეკერათ „მაღალი ფრაზები“, ჰუმანური იდეები, ხალხის კეთილდღეობისათვის თავის განწირვა და სხვა ამგვარები და საქმით კი სულ სხვა რამეს ემსახურებოდნენ. სხვისა რა მოგახსენოთ, ჩვენ-კი როცა „კნიაზ-ლიბერალს“ ვახსენებთ, მაშინვე ძველი „კნიაზ-ლიბერალი“ და იმავე დროს მესამოცე წლების მოღვაწეთა მებაირაღე, თ-დი ილია ჭავჭავაძე მოგვაგონდება ხოლმე“ (47, გვ.42).

„ვერც ერთი იმ დროის ქართველი მწერლის ნაწარმოები ვერც აზრის და ვერც შინაარსის მხრით ვერ შეედრება დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“. ილია ჭავჭავაძის ცნობილი „გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ გამოქვეყნებულ იქმნენ არა თუ „სურამის ციხის“ დაბეჭდვის შემდეგ, არამედ იმ დროს, როცა ბატონყმობა უკვე გაუქმებული იყო, და მაშასადამე ის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, თუმც ხსენებული ნაწარმოები ენის და სტილის მხრით მათ „სურამის ციხე“ სრულებით ვერ შეედრება; მაგრამ იმავე დროს ილ. ჭავჭავაძის ხსენებულ ნაწარმოებთ აკლიათ ისეთი რამ, რაც ენით ძნელი გამოსათქმელია, რაც მხოლოდ გრძნობით იცნობების; ერთი სიტყვით, იმათ აკლია ის მხურვალე გრძნობა, რომლითაც გამთბარია დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ არა თუ თითოეული სიტყვა, არამედ თითოეული მარცვალიც კი“ (47, გვ.100).

თუ გადავხედავთ იმ დროინდელ წერილებს და საერთოდ ლიტერატურას, ჩვენ დავინახავთ, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მესამე დასის“ წარმომადგენლები თავგამოდებით მიილტვოდნენ რუსეთისაკენ და ამავე დროს მათთვის საქართველო, ქართული ენა, ქართული ერი არაფერს წარმოადგენდა. ისინი ყოველგვარ ნაციონალურ შეხედულებებს ებრძოდნენ. ისინი, ჩვენს სათაყვანებელ შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანსაც“ კი ჰგმობდნენ.

„ჩვენში რომ ვისმეს კითხოთ: რომელი წიგნია ხალხში უფრო გავრცელებულიო? – უეჭველია პასუხს მიიღებთ, რომ „ვეფხვის-ტყაოსანიო“. მართალია, რომლისამე წიგნის გავრცელება მის შინაგან ღირსებას სრულებით არ ამტკიცებს, მაგრამ ამ გარემოებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ დროს მართლაც „ვეფხვის-ტყაოსანი“ დიდათ გავრცელებული იყო ჩვენში და თუ მივიღებთ მხედველობაში მის ხშირ გამოცემას ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ეს პოემა დღესაც საკმარისად გავრცელებული უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ დღევანდელი მშრომელი ხალხი ე. ი. რომელსაც დაბალი ხალხი ეწოდება თანამედროვე ენაზე, „ვეფხვის-ტყაოსანს“ ნაკლებად ეტანება, და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს. „ვეფხვის-ტყაოსანს“ უფრო ეტანება და გასავალი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს აღმოსავლეთის რაინდული ცხოვრება. თუ ოდესმე ხსენებული პოემა, როგორც ზღაპრული მოთხრობა, იპყრობდა ხალხის ყურადღებას, დღეს ეს სრულებით აღარ ითქმის... იქ გამოხატული და დასურათებული გმირები დღევანდელი მკითხველისათვის სრულებით გაუგებარი და უსარგებლოა; მას ესაჭიროება თანამედროვე ცხოვრების ახსნა და განმარტება, თანამედროვე ცხოვრების დახატვა. ჩვენი დროის გმირების გაცნობა მხოლოდ ის წიგნი, ის ლიტერატურული ნაწარმოები მიიპყრობს დღეს ხალხის ყურადღებას, რომელიც დააკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნილებათ...

დ. ჭონქაძის „სურამის ციხით“ იწყება ჩვენში თანამედროვე სახალხო წიგნების ხანა. ეს ერთად ერთი მოთხრობაა, რომელმაც პირველად დაიკვალა გზა ჩვენ ხალხში და პირველ გაცნობისთანავე მოიპოვა მის გულში მხურვალე თანაგრძნობა და მკვიდრი საბუდარი“ (47, გვ.77).

იგივეს იმეორებს ფ. მახარაძე სხვა ადგილას:

„ვეფხის-ტყაოსანში“ თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას; ის ზღაპრული პოემაა, აღმოსავლეთის კილოზე, სადაც გაღმერთებულია მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება. ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება

მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს“ (35, გვ.105).

ფ. მახარაძე იქამდე მივიდა, რომ საქვეყნოდ გამოაცხადა:

„ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“ (35, გვ.100).

ფ. მახარაძის გარდა, ილიას წინააღმდეგ გამოსვლებით თავი გამოიჩინეს სხვა პარტიულმა საბჭოთა მოღვაწეებმაც. მათ შორის, ჟურნალისტმა, პარტიულმა და საბჭოთა საზოგადო მოღვაწემ, 1934-37 წ-ში მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, 1936 წელს განათლების სახალხო კომისარმა, საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის წევრმა და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ბიუროს წევრმა მალაქია ტოროშელიძემ (1880–1937) (დახვრიტეს 1938).

ისტორიკოსი და პუბლიცისტი შოთა ბადრიძე აღნიშნავს, რომ:

„სამწუხაროდ ბრძოლა ამ შემთხვევაში არსებითად გასცდა თეორიული დისკუსიის ფარგლებს და ილიას დევნასა და დისკრედიტირებაში გადაიზარდა. თერგდალეულთა ჭაღარა ბელადს საერთოდ რევოლუციის მტრად თვლიდნენ, ილიას დიდ მემამულედ, გლეხების ამწიოკებლად და სასტიკ ექსპლოატატორად ხატავდნენ, უწოდებდნენ მას ჯაშუშს.

ბრძოლას არც ორგანიზაციული მხარე აკლდა. მაგალითად, სოციალ-დემოკრატებმა მუშების ხელით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, თბილისში ილიას ნაწერები საჯაროდ დაწვეს. ერთ-ერთი მოგონებით, ნაძალადევში ილიას თხზულებათა ასეთი კოცონი ილიას თვალწინვე ააბრიალეს“ (28, გვ.29).

როგორც ვხედავთ, ასეთ პიროვნებაზე და ასეთ ხალხზე, ასეთ „დაბალ ხალხზე“ ლაპარაკი და მსჯელობა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. მხოლოდ, მოვიყვანთ ვ. გაგოიძის სიტყვებს, სადაც აღნიშნავს იმ დროის ვითარებას:

„საყურადღებოა ისიც, რომ როდესაც ყველაფერი გავლენის საკითხზეა დაყვანილი, თავს იჩენს ერთგვარი ნიჰილიზმი, შეუფასებლობა, ჩვენი მოღვაწეებისა და, კერძოდ, კი ილია ჭავჭავაძის როლისა და მისი მსოფლმხედველობის ცალკეული მომენტის დადებითი მნიშვნელობისა...

ათეული წლების მანძილზე გასავალი ჰქონდა არასწორ წარმოდგენას ილიას შესახებ და საუბედუროდ ამ წარმოდგენებს ქმნიდნენ არა მარტო ჩვენი აზროვნებისა და კულტურის ისტორიის აშკარა გამყალბებ-

ლები, არამედ ისეთი გავლენიანი პირებიც, როგორიც იყვნენ ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე და სხვები“ (26, გვ.16).

„ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურებს წარმოადგენდნენ ფ. მახარაძე და ნ. ჟორდანია. ფ. მახარაძემ ხელაღებით უარყო არა მარტო ილია ჭავჭავაძისა და მისი მსოფლმხედველობის დადებითი როლი, არამედ უარყო საერთოდ 60-იანი წლების მოღვაწეთა დიდი მნიშვნელობა და ქართული აზროვნების განახლებისა და აღმავლობის დასაწყისი უფრო ადრე პერიოდში გადაიტანა“ (26, გვ.26).

ტარიელ სართანია თავის მონოგრაფიაში ილია ჭავჭავაძის შესახებ, გვაწვდის ერთ საგულისხმო ცნობას:

„მეტად საგულისხმოა საქართველოს თანამედროვე ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, აწ განსვენებულ მერაბ კოსტავას მიერ გაზეთ „მოძღვარში“ (1990 წ. 2 თებერვალი, №2) გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში – „ილია ჭავჭავაძე“ – გამოთქმული აზრი:

„ილია ჭავჭავაძის სიკვდილით საქართველოში მხოლოდ ის უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ვისაც იმჟამად მისი ავტორიტეტი უშლიდა ხელს პოლიტიკური ლიდერობის და პირველკაცობის მოპოვებაში. იმ ფაქტს კი ვერსად წავუვალთ, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ მწერალი იროდიონ ევდოშვილი დემონსტრაციულად რომ გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან, რადგან ილიას მკვლელობაში სოციალ-დემოკრატებს სდებდა ბრალს. იმჟამად, შემდგომშიაც და დღესაც, მრავალთა უწყოდნენ და უწყიან, რომ ილიას მკვლელობის უმთავრესი ორგანიზატორი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში, გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე არ შეუნელებია გესლიანი გამოსვლები დიდი მწერლის წინააღმდეგ“ (21, გვ.269).

მერაბ კოსტავას (1939–1989) (პოეტი, მუსიკათმცოდნე, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი, დისიდენტი, საქართველოს ეროვნული გმირი, დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში), მიერ მოხსენებულმა მწერალმა, იროდიონ ევდოშვილმა (ხოსიტაშვილი) (1873–1916) (ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, „მესამე დასის“ წევრი გახდა 1896 წელს), წიწამურის მახლობლად, სადაც ილია მოკლეს, წარმოთქვა სიტყვა, სადაც აღნიშნა, რომ:

„წელან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოკლეს, უნდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვროდაც. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქავე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავაწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი-მოძღვარი და საქართველოს მგოსანი!“ (4, გვ.161).

1937 წელს, ილიას მკვლელობის ადგილას, დაიდგა ობელისკი, რომლის ბარელიეფის ავტორი იყო იაკობ ნიკოლაძე, არქიტექტორი – მიხეილ შავიშვილი (1894–1958).

1911 წელს ი. ევდოშვილმა, აღმოსავლეთ ციმბირიდან, სადაც იგი ამ დროს გადასახლებაში იმყოფებოდა, გამოუგზავნა წერილი პოეტსა და დრამატურგს სანდრო შანშიაშვილს (1888–1979), სადაც წერდა:

„აქა ვარ, გამოვეცალე იქაურობას, მაგრამ ჩემს ლანდს მაინც უყეფენ და მოპარვით ზურგიდან მჩხვლეტენ. კარგა ხანია, რაც იმ გველებმა, „გადამთხვეულებმა“, როგორ დაახალეს ილიას მოხუც მოჭირნახულე გულს ტყვია. ეს მეც მომხვდა, როგორც სამგლოვიარო სევდა, მე ხმა ამოვიღე ლექსით, წერილებით და აქ გაწყდა ჩემსა და ამათ შორის შემაერთებელი ძაფი. მაგრამ მე მართალს არ ვამბობ, ძაფი კი არა, ნამდვილი ჯაჭვი. ჯაჭვი იმიტომ, რომ მათთან ვიყავი მეც მიჯაჭვული მთელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იდეურად... ილია დამეხმარა მე თავის სიკვდილით, იმ დღიდან კი სამუდამოდ ვიბრუნე პირი ქართველ სოციალ-დემოკრატებიდან და თუ მივბრუნდი დღეს მათკენ, მივბრუნდი მხოლოდ იმისათვის, რომ მივაფურთხო მათ. ვიმეორებ და შენ ყურადღებას მივაქცევ ორ სიტყვას: ქართველ სოციალ-დემოკრატებისაკენ-მეთქი. იმიტომ, რომ ისეთი უკუღმართი შეხედულება, როგორც მათ აქვთ ეროვნულ საკითხზე, არც ერთი ქვეყნის დემოკრატს არ აქვს“ (28, გვ.138).

არ შეიძლება, რომ არ დავეთანხმოთ პ. რატიანს, რომელიც წერს, რომ:

„მესამე დასის“ უმრავლესობის არასწორი შეხედულებანი ი. ჭავჭავაძის მიმართ, სამწუხაროდ, სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდნენ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც კი დიდხანს სწამლავდნენ ადამიანთა შეგნებას“ (24, გვ.267).

ჩვენ მხოლოდ დავამატებთ, რომ ი. ჭავჭავაძის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა შემდეგშიც. ზოგიერთი „მეცნიერების“, „მკვლევარების“ და ე. წ. „რუსოფილების“ მიერ, რომლებიც, მიუხედავად საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგაც, ჯერ კიდევ საბჭოური იდეებით არიან გაჟღენთილნი, ვერ ეგუებიან

დღევანდელ თავისუფალ ცხოვრებას, ისევ და ისევ განაგრძობენ რუსეთისაკენ ყურებას და ილიას აუგად ხსენებას.

როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლები როგორმე გაერთიანებინა და ერთად ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. ილია ჭავჭავაძე 1906 წელს არჩეულ იქნა სახელმწიფო საბჭოში და დაიწყო ბრძოლა საქართველოს ავტონომიის შექმნისათვის, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის.

1987 წელს შექმნილი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი პერიოდის შემსწავლელი სამთავრობო კომისიის ერთ-ერთი წევრი შ. ბადრიძე წერს:

ილია „სახელმწიფო საბჭოში მიეკედლება ე. წ. მემარცხენე, ანუ აკადემიურ ფრაქციას, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები – კადეტების პარტიის თვალსაჩინო მოღვაეები შედიან. ილიას იზიდავს მათი მისთვის მისაღები პროგრესული პოლიტიკური იდეები და ის, რომ კადეტები მცირერიცხოვან ერებს სამომავლოდ ავტონომიას ჰპირდებიან. ამავე განზრახვით ილია უახლოვდება ე. წ. ავტონომისტ-ფედერალისტთა ჯგუფს, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს დებუტატთა ბაზაზე ყალიბდება.

საქართველოს ავტონომიისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი, პეტერბურგში, სახელმწიფო სათათბიროში სამუშაოდ ჩასულ ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც კი შეხვდება (ნოე ჯორდანია, ის. რამიშვილი), სურს საერთო ეროვნულ ბრძოლაში მათი ჩაბმა, მაგრამ ამაოდ. ქართველ სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ რევოლუციის გლობალური ამოცანები აწუხებთ..“ (28, გვ.237).

„მესამე დასის“ წარმომადგენლები ხვდებოდნენ, რომ სანამ ილია ცოცხალი იყო, ისინი საქართველოში ვერ იბატონებდნენ და თუ საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, მის ხელმძღვანელად ხალხი ილიას აირჩევდა. ამიტომ გადაწყდა მისი ფიზიკურად განადგურება.

სხვადასხვა წერილების, საარქივო ლიტერატურული და გადარჩენილი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ი) ფონდების, მოგონებების, მეცნიერულ-მემუარული მასალების შესწავლითა და შეჯერებით, ირკვევა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები იყვნენ მესამე დასის კომიტეტის წარმომადგენლები: ფ. მახარაძე, ს. ჯუღაშვილი, ს. ორჯონიკიძე, ნ. ჟორდანია და სხვები.

ცნობილი გახდა, რომ იმ კრებაზე, სადაც ილიას მკვლელობის საკითხს იხილავდნენ, ნოე ჟორდანიაც ყოფილა მიწვეული, „მაგრამ როდესაც გაიგო რის

შესახებ იყო ის კრება სთქვა, მე ხელები დამიბანიაო ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდანია წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა, რომ გაეცა, მასაც მოკლავდნენ“ (35, გვ.101).

შემდგომში, „მესამე დასი“ გაიყო „ბოლშევიკებად“ და „მენშევიკებად“.

შ. ბადრიძე თავის გამოკვლევაში, ი. ჭავჭავაძის მკვლელობის შეასახებ წერს:

„სოციალ-დემოკრატები, მათი ორივე ფრთა – ბოლშევიკები და მენშევიკები – მსგავსად სხვა რევოლუციური პარტიებისა, ტერორს დიახაც რომ მიმართავდნენ. მათ ტერორისტული აქტები რევოლუციის გაგრძელებად მიაჩნდათ. მენშევიკები ამორალიზმად თვლიდნენ მხოლოდ ტერორისტული აქტებისა და ექსპროპრიაციების (ექსების) განხორციელებას მშვიდობიან წლებში. ბოლშევიკები და მათი თეორეტიკოსები, კერძოდ, ვ. ი. ლენინი კი ტერორსა და ექსებს ჩვეულებრივ მეთოდად მიიჩნევდნენ ყველა ვითარებაში, რადგანაც, მათი აზრით, როდესაც ომია, იმის დრო როდია, მეთოდები არჩიო მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში. ტერორისა და ექსების საკითხზე მწვავე დისკუსიები მიმდინარეობდა პარტიის IV და V ყრილობებზე და ვ. ი. ლენინმა თეორიული მხარდამჭერები ვერ იპოვნა. ეს შესანიშნავად აისახა რეზოლუციებზე კენჭისყრაშიც, მაგრამ ვ. ი. ლენინი ჯიუტად განაგრძობდა თავისი სქემის რეალურ ცხოვრებაში განხორციელებას. შემდგომში საამისოდ პარტიის ცკ-ის საგანგებო საიდუმლო ცენტრიც კი ჰყავდა, რომელიც ექსებსა და ტერორისტულ აქციებს მესვეურობდა. რადგანაც ვ. ი. ლენინის თვალსაზრისით ეს ღონისძიებები სხვა არაფერია, თუ არა „ნაძარცვის ძარცვა“...

ქართველი სოციალ-დემოკრატები, განსაკუთრებით ეს ბოლშევიკებზე ითქმის, სისტემატურად ახორციელებდნენ ექსებსა და სხვაგვარ ტერორისტულ აქტებს“ (28, გვ.233).

„ბოლშევიკი იყო ილიას ყველაზე დაუძინებელი მტერი ფილიპე მახარაძე, რომელიც ასე აღვირახსნილად იქცეოდა მუდამ ილიას მიმართ“ (28, გვ.235). მისივე აზრით:

„ალბათ მართებული არ იქნება იმაში დაეჭვება, რომ რამდენადაც ილია ბოლშევიკი ტერორისტების მონაწილეობით იქნა მოკლული, ეს აქტი ვერ განხორციელდებოდა კობას გარეშე, რომელიც 1906–1907 წწ. საქართველოში ბოლშევიკური ექსებისა და ტერორისტული ოპერაციების მომწყობი იყო. საქმე უბრალო ექსს როდი ეხებოდა. ილიას კლავდნენ, ილიას, რომლის მკვლელობაზე,

ილიას დასაცავად, კობას, ვიდრე არ დასჭირდა, დიდი ხნის მანძილზე, სიტყვა არ დაუძრავს, არც ავად, არც კარგად". განა ეს ცოტაა?" (28, გვ.236).

რუსეთის მეფის ხელისუფლებამ შეეცადა მკვლელების გამოვლინება. ჩაატარა გამოძიება. რის შედეგადაც გახდა ცნობილი, რომ მკვლელობაში მონაწილეობას ღებულობდნენ:

1. ბერბიჭაშვილი გიორგი – გლეხი.
2. ინაშვილი ივანე – გლეხი-მუშა;
3. ლაბაური თესო – ილიას მეეტლე;
4. ფშავლიშვილი (აფციაური) პავლე – გლეხი;
5. ხიზანიშვილი გიორგი (ლომა) – გლეხი;
6. „ვიღაცა იმერელი"?

ი. ინაშვილი, თ. ლაბაური და გ. ხიზანიშვილი, მიუხედავად ილიას ქვრივის, ოლღა გურამიშვილის, მკვლელების შეწყალების თხოვნისა, 1908 წლის 29 დეკემბრის კავკასიის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩამოახრჩვეს.

პ. ფშავლიშვილმა მოახერხა გაქცევა და იმავე წლის 18 დეკემბერს, პოლიციელებმა, სხვა ყაჩაღებთან ერთად მოკლეს. ხოლო გ. ბერბიჭაშვილის შესახებ ლ. სანიკიძე წერს:

„ის, კი ვინც მკვლელთაგან მთავარი იყო, ვის ბოროტ ხელს თვითონ ილია უშუალოდ ემსხვერპლა – გიგლა ბერბიჭაშვილი? მან ყველაზე ადრე უშველა თავს – გაიქცა ირანს, სხვა სოციალ-დემოკრატებთან ერთად, ვითომდა იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად (ამათ შორის იყო სერგო ორჯონიკიძეც).

ბერბიჭაშვილი ირანიდან დაბრუნდა 1919 წელს, როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობის სადავეები უკვე ხელთ ეპყრათ სწორედ „მისიან" სოციალ-დემოკრატებს, მენშევიკთა ნაკადით. ჩამოვიდა და ყოველ გზაშარაზე და გზაწვრილზე იკვეხნიდა: აი, ამ მარჯვენით ჩავაძაღლე ილია ჭავჭავაძეო!" (35, გვ.96). საბჭოთა ხელისუფლებამ 1941 წელს დააპატიმრა ი. ბერბიჭაშვილი. 23 მაისს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიიდან გარიცხა. იგი 1921 წელს „მიიღეს (ბორის ძნელაძის ხელმოწერით) კომუნისტური პარტიის წევრად, სტაჟით 1905 წლიდან" (35, გვ.97). სასამართლომ მას მიუსაჯა უმაღლესი ზომა – დახვრეტა, მაგრამ, შ. ბადრიძის ცნობით: „მოსკოვში გ, ბერბიჭაშვილი შეწყალებულ იქნა და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა შეუცვალეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით. გ. ბერბიჭაშვილი

შემდეგ პატიმრობაში, ციხეში მოკვდა“ (28, გვ.219). ხოლო, „ვიღაცა იმერელის“ ზუსტი ვინაობა დღემდე უცნობია. შ. ბადრიძე წერს:

„ილიას მკვლელობის კვალს ბოლშევიკებისაკენ მივყევართ და აი რატომ...

ბოლშევიკები იყვნენ, კაი ხნის განმავლობაში, 1921 წლიდან, ასე ერთგულად რომ უპატრონეს გიორგი ბერბიჭაშვილს. რატომ არ ჩანდა გ. ბერბიჭაშვილი მენშევიკების დროს და რაღა მაინცდამაინც 1921 წ. თებერვლის შემდეგ გამოჩნდა ასე საჯაროდ და მალე აღზევდა კიდევაც?...

და ბოლოს, ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, თუ როგორი მზრუნველობით და ფანატიზმით ცდილობდნენ მუდამ ბოლშევიკები „ვიღაცა იმერელის“ გასაიდუმლოებას. რისთვის გააკეთებდნენ ისინი ამას, თუ ტერორისტი მათი წრიდან არ იყო?“ (28, გვ.235).

ლ. სანიკიძე მიიჩნევს, რომ უშუალოდ მკვლელების ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო საბჭოთა სახელმწიფოს პარტიული მოღვაწე, კომპარტიის წევრი 1903 წლიდან, გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძე.

„ვინმე იმერელი“ (ჯერ კიდევ დაუდგენელი – სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც კარგა ხნის წინ, ბორჯომ-ბაკურიანის რკინიგზაზე სააგიტაციო „მიმოსვლის“ დროიდან, უკანსაყივარ სახელად შერქმეული ჰქონდა „იმერელი ბიჭი“).

მკვლელობის აქტიური მონაწილე აღმოჩნდება აგრეთვე მეეტლე თედო ლაბაური.

თავიდანვე გარკვეული კი ის გახლდათ, რომ მკვლელობის ყველა მონაწილე, თედო ლაბაურის გარდა, იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი“ (35, გვ.91).

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღიდანვე დაწყებული, მკვლელობა ბრალდებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ლ. სანიკიძე აღნიშნავს:

„ჟორდანიამ, მაშინდელმა პილატემ, მალე, ილიას დაკრძალვიდან სწორედ ერთი თვის თავზე, სოციალ-დემოკრატულ გაზეთში – „ჩვენი გზა“ – ასეთი წერილი გამოაქვეყნა:

„როგორც ხედავთ, მთელი ეს ბრალდება ეხება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ვთქვათ: ყველა ეს მართალია, ვთქვათ სოციალურ-დემოკრატების მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისათვის დასაგმობია თვით ნიადაგი?.. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია, და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება იქ ნაფოტებიც ცვივა? დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე, მარა ამიტომ რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“.

გულწრფელად იყო ნათქვამი: ილია ჩვენ მოვკალითო, ხეს (იგულისხმე ძველი საქართველო!) ვჭრით და ნაფოტები (იგულისხმე ილია ჭავჭავაძე!) ცვივაო და ვინც მათ მისტირის (იგულისხმე ქართველი ერი!), რეაქციონერებიაო.

მაგრად იყო ნათქვამი: უარესად, მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი, ფილიპე მახარაძეც ვერ იტყოდა, თუმცაღა თვითონაც ხომ გულწრფელად ამბობდა ფილიპე: „ილია ყველა პატიოსან ადამიანში ზიზღს იწვევს... ჩვენი და თ-დ ილია ჭავჭავაძის შეთანხმება ყოვლად შეუძლებელიაო“.

მაშ, ერთად იყო სიკვდილის ორივე კლასიკოსი – კაიაფა და პილატე“ (35, გვ.102).

ასე და ამგვარად, შეიძლება ვთქვათ, რომ ილიას მკვლელობის მთავარი ორგანიზატორები იყვნენ ფილიპე მახარაძე და კობა ჯუღაშვილი, ხოლო ჯგუფისა – სერგო ორჯონიკიძე. ხოლო უმთავრესნი – სოციალ-დემოკრატები, ანუ „მესამე დასელები“.

ასეთი იყო დამოკიდებულება „მესამე დასელებისა“ ილიას მიმართ.

რუსეთში, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რუსული თარგმანები, არალეგალურად გამოჩნდა XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. ხოლო, საქართველოში, ცნობილი ხდება 70-იან წლებში. პირველად კ. მარქსის შესახებ დაიწერა 1871 წ. გაზეთ „დროებაში“ და ამის შემდეგ თანდათან ხდება მისი თხზულებების გაცნობა. 1886 წ. ჟურნალ „თეატრში“ პირველად მოხსენებული იყო ფ. ენგელსიც (15, ტ.6, გვ.470).

1897 წ. არალეგალურად გამოიცა ქართულ ენაზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. შემდგომ წლებში, თანდათან ცნობილი ხდება ფ. ენგელსისა და კ. მარქსის შრომები.

ზოგიერთი თავგამოდებული ეგრეთწოდებული მარქსისტი მეცნიერი, დიდის ამბით იწყებს მტკიცებას, რომ ილია ჭავჭავაძე არ იყო ნამდვილი მარქსისტი. საინტერესოა, იმ დროს იყვნენ-კი საქართველოში ე. წ. „ნამდვილი მარქსისტები“?

ვინც გაეცნობა ილიას ნაწარმოებებს, წერილებს და განსაკუთრებით მის ხელთნაწერებს, დაინახავს, რომ იგი იცნობდა მარქსისტულ მოძღვრებას. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ჩვენი მეცნიერები და ლიტერატურათმცოდნეები.

პ. რატიანი წერს:

„ცნობნილია, რომ 90-იან წლებში თბილისში მარქსისტული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა. ცარიზმის აგენტები არა მარტო მარქსისა და ენგელსის ნაწერებს სდევნიდნენ, არამედ მათი სახელის ხსენე-

ბასაც კი კრძალავდნენ. ასეთ პირობებში გაკვირვებას იწვევს ფაქტი ილიას ბიბლიოთეკაში მარქსიზმის შესახებ ლიტერატურის სიმრავლისა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ილიას ბიბლიოთაკაში არის თვით კ. მარქსის სახელგანთქმული თხზულება „კაპიტალიც“.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ცხრაასიან წლებში ილია სერიოზულად შესდგომია მარქსიზმის შესწავლას...

ი. ჭავჭავაძე კარგად გრძნობდა მარქსიზმის სიდიადეს, მის სიღრმესა და ძალას, გრძნობდა, რომ მარქსიზმი არის ახალი მსოფლმხედველობა...

ილია ჭავჭავაძე იცნობდა მარქსიზმის შინაარს, მის ძირითად დებულებებს და, მართალია, არ მიაჩნდა თავი მის საფუძვლიან მცოდნედ, მაგრამ მაინც კარგად შეეძლო გაერჩია მარქსის ნამდვილი მიმდევარი ცრუ მარქსისტისაგან“ (24, გვ.274–277).

ვ. გაგოიძე გვაწვდის შემდგე ცნობას:

„90-იან წლებში იგი გულდასმით სწავლობდა მარქსიზმს, კითხულობდა თვითონ კ. მარქსს, გ. პლეხანოვს და სხვებს. საყურადღებო ის არის, რომ წაკითხული შრომების კონსპექტებში ყველგან აშკარად ჩანს მისი განსაკუთრებული ინტერესი მარქსიზმის ცენტრალური საკითხებისადმი. ამასთან იგი ხაზს უსვამს იმ ადგილებს, რომლებიც აშკარად უახლოვდებიან თვით მის შეხედულებებს“ (26, გვ.110).

ილია ჭავჭავაძის შეხედულება და დამოკიდებულება მარქსიზმზე, აშკარად გამოჩნდა ნოე ჟორდანიასთან კამათის დროს. მის მიერ გამოქვეყნებული წერილები „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან“, რომლის ბეჭდვა დაიწყო 1900 წ. გაზეთმა „ივერიამ“, ფსევდონიმით „ახალმოსული“. ის შესდგება ოთხი წერილისაგან.

პ. ინგოროყვა წერს:

„როგორც ირკვევა მოღწეული მასალებიდან, ილიას, დასახელებული საპოლემიკო წერილების წერის დროს, წინასწარ დაუმუშავებია და გამოუყენებია დიდი სამეცნიერო მასალა. ილიასეულ არქივში (რომლის ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში), მოიპოვება ორი ხელნაწერი რვეული, R/94 და R/97, რომლებიც შეიცავს ამონაწერებს (შენიშვნებით) მთელი რიგი წიგნებიდან და წერილებიდან, რომლებიც ილიას დაუმუშავებია 1899 წლის დასასრულსა და 1900 წლის დასაწყისში (ე. ი. ნოე ჟორდანიასთან პოლემიკის დაწყების წინა ხანაში).

დასახელებული ილიასეული ხელნაწერები R/94 და R/97 შეიცავს საერთო რიცხვით 85 გვერდს“ (1, ტ.6, გვ.301).

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე ცდილობდა გაცნობოდა მარქსისტულ ლიტერატურას, შეძლებისდაგვარად იძენდა მას, ეცნობოდა და იწერდა მისთვის საინტერესო ადგილებს, და ამავე დროს, იქვე კრიტიკულ შენიშვნებსაც იძლეოდა.

ილიას, წერილში, „პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან“, მოხსენებულია ზოგიერთი ავტორების მოსაზრებები:

არისტოტელე (Aristotelës) (ძვ. წ. 384–322) – ფილოსოფოსი და მეცნიერი;

ბემ-ბავერკი (Bohm-Bawerk) იოგენი (1851–1914) – ეკონომისტი;

ბერნშტაინი (Bernstein) ედუარდი (1850–1932) – რევიზიონიზმის იდეოლოგი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტუნისტული ფრთის ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

ბიუხერი (Bucher) კარლი (1847–1930) – ეკონომისტი, სტატისტიკოსი, სახალხო მეურნეობის ისტორიკოსი, პოლიტეკონომიის ახალი (ახალგაზრდა) ისტორიის სკოლის წარმომადგენელი;

დარვინი (Darwin) ჩარლზი (1809–1882) – ბუნებისმეტყველი;

ზომბარტი (Sombart) ვერნერი (1863–1941) – ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და ფილოსოფოსი;

კანტი (Kant) ემანუელი (1724–1804) – ფილოსოფოსი;

კონტი (Komte) ოგიუსტი (1798–1857) – ფილოსოფოსი;

ლაბრიოლა (Labriola) ანტონიო (1843–1904) – ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, მარქსიზმის თეორეტიკოსი და გამავრცელებელი, სოციალური მოძრაობის მოღვაწე;

ლანგე (Lange) ფრიდრიხი (1828–1875) – ფილოსოფოსი, ეკონომისტი. ნეოკანტიანელთა ერთ-ერთი ბელადი;

ლასალი (Lassale) ფერდინანდი (1825–1864) – გერმანიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე, სოციალისტი, პუბლიცისტი, ადვოკატი და ლასალიანელობის ფუძემდებელი;

მარშალი (Marshall) ალფრედი (1842–1924) – ეკონომისტი;

მილი (Mill) ჯონი (1806–1873) – ფილოსოფოსი, პოზიტივისტი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე;

ჟორესი (Jaures) ჟანი (1859–1914) – ისტორიკოსი, საფრანგეთისა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის მოღვაწე;

რიკარდო (Ricardo) დეივიდი (1772–1823) – ეკონომისტი;

როშერი (Roscher) ვილჰელმი (1817–1894) – ეკონომისტი;

სისმონდი (Sismond) ჟანი (1773–1842) – ეკონომისტი და ისტორიკოსი.

სმიტი (Smith) ადამი (1723–1790) – ფილოსოფოსი და ეკონომისტი;

სპენსერი (Spenser) ჰერბერტი (1820–1903) – ფილოსოფოსი და სოციოლოგი, პოზიტივიზმის ერთ-ერთი მამამთავარი;

სტრუვე (Struve) პეტრე (1870–1944) – ეკონომისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, „ლეგალური მარქსიზმის“ მამამთავარი;

ტარდი (Tarde) გაბრიელი (1843–1904) – სოციოლოგი და კრიმინალისტი;

უორდი (Ward) ლესტერი (1841–1913) – სოციოლოგი;

ფოიერბახი (Feuerbach) ლუდვიგი (1804–1872) – ფილოსოფოს-მატერიალისტი და ათეისტი;

ქსენოფონტი (Xenophontos) (ძვ. წ. 435/431– 355/354) – ისტორიკოსი, სწავლული და მხედართმთავარი;

შმოლერი (Schmoller) გუსტავი (1838–1917) – ეკონომისტი და პოზიტივისტი;

შტამლერი (Stammler) რუდოლფი (1856–1938) – სამართლის თეორეტიკოსი, ნეოკანტელი;

ჩერნოვი ვიქტორი (1873–1952) – პოლიტიკური მოღვაწე;

ჩუპროვი ალექსანდრე (1842–1908) – ეკონომისტი, სტატისტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე;

ჰეგელი (Hegel) გეორგი (1770–1831) – ფილოსოფოსი და სხვები.

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს, თუ როგორ საფუძვლიანად ემზადებოდა ილია წერილის დაწერისათვის.

ილია ჭავჭავაძე, ამ კრიტიკულ წერილში, ყოველგვარი მორიდების გარეშე, პირდაპირ ეუბნება ნოე ჟორდანიას, რომ მას, უვიცსა და უმეცარს შორის „თვალსაჩინო ადგილი“ უკავია, „თუმცა-კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბუებულა თავისის-თავის ქებითა“ (1, ტ.6,

გვ.242). და ამ სიტყვების დასადასტურებლად მოჰყავს ჟორდანიას სიტყვები, რომ: სათავადაზნაურო ბანკი არის „დაწესებულება ბურჟუაზიულ-ფინანსიური“.

ილია კითხულობს: „რას ნიშნავს აქ სიტყვა „ფინანსიური?“ და თვითონვე განმარტებას იძლევა: „ფინანსიური დაწესებულება“ იგია, რომელიც განაგებს „ფინანსებს“, ესე იგი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს. რა აქვს საერთო სათავადაზნაურო ბანკს „ფინანსურ დაწესებულებასთან“? სრულიად არაფერი. ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა და „ფინანსურ დაწესებულებასთან“ ისეთივე მსგავსება აქვს, როგორც ზღვასა და ხმელეთს, წყალსა და ცეცხლსა. განა აქედამ აშკარად არა სჩანს, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია – ეს თვალაბმული თუთიყუში – იმდენად უმეცარია, რომ ამ ორი სიტყვის – კრედიტის და ფინანსის მნიშვნელობაც-კი ვერ გაურჩევია, არა სცოდნია...

ეს ანბანი პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდით და ახლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია გაგებული და შიგ-ჩახედული მარქსისტია“ (1, ტ.6, გვ.245).

ნ. ჟორდანიას მეორე შენიშვნაზე, ილია დაცინვით წერს:

„მეორე მხრითაო,– ამბობს ჩვენი ბრძენი მარქსისტი:– ჩვენებური სათავადაზნაურო ბანკი თავად-აზნაურულ-წოდებრივიაო.“ რა საბუთით, ჩვენო ბრძენო პუბლიცისტო, ბრძანებთ ამას? – ილია იძლევა განმარტებას, – ბალღმაც-კი იცის, რომ ყოველივე „თავადაზნაურულ-წოდებრივი“ დაწესებულება მარტო თავად-აზნაურთაგან შესდგება და მარტო თავად-აზნაურთა გამგებლობის ხელთ არის. იქ სხვა წოდების კაცს არც ხმა აქვს და არც ადგილი. – და შემდეგ განაგრძობს, – ნ. ჟორდანიამ არ იცის და არც იცნობს ამ ბანკის წესდებას და კანონებს, და გამოაქვს დასკვნა, რომ ის, „რაც გინდ გაიბეროს და გაიჭიმოს, მწერლად ვერ გამოდგება“ (1, ტ.6, გვ.246).

შემდეგ, ილიას თქმით, ნ. ჟორდანიას ვერ გაუგია თუ რას ნიშნავს „მიწათმფლობელი“ და „მიწათ-მომქმედი“ და „ვალის ამღები“ და იუმორით განაგრძობს:

„ჯერ შეესწავლა,– რას ჰნიშნავს „დამფუძნებელი“ და რას – ვალის ამღები და მერე ელაპარაკნა, რაკი ენის ქავილი არ ასვენებდა...

რა ჰქმნას ბანკმა, რომ მის მიერ ნასესხი ფული ძალით არ დაიბრუნოს, თუ სესხის ამღები ნებით არ უბრუნებს ნასესხსა? ნუთუ მარქსი ოდესმე დამდურებია ბანკს, რომ მის-მიერ გასესხებულს ფულს ძალით იბრუნებს, თუ ნებით არ უბრუნებენ. რომელი ბანკია ქვეყანაზე, რომ ბარაქალა ან მადლობა უთხრას სესხის ამღებს, როცა ნასესხს არ უბრუნებს პირობისამებრ? აბა ერთი ბ-ნ ჟორ-

დანიამ გამობღერტოს თავისის უმეცრობის მაფრაშა, იქნება სადმე კუნჭულშია მივარდნილი ამისი პასუხი“ (1, ტ.6, გვ.253).

ილიას მოჰყავს ნ. ჟორდანიას სიტყვები, რომელიც ეხება კრედიტს, ფულს, წოდებას და საფინანსოს, ყველა ამ საკითხების განხილვისას იგი ძირითადათ ეყრდნობა კ. მარქს და ბოლოს გამოაქვს დასკვნა, რომ:

„ბ-ნი ნოე ჟორდანია, უცოდინარი, უვიცი კაცია და არც სურვილი აქვს იცოდეს რამე, არც უნარი რამ მწერლობისა ღმერთს იმისთვის მოუმადლებია... ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა“ (1, ტ.6, გვ.258).

ამავე წერილში, ილია ასე ახასიათებს მას:

„თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამისი დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა“ (1, ტ.6, გვ.244).

ილიას ეს წინასწარ მეტყველება დროთა განმავლობაში კიდეც დამტკიცდა და ნ. ჟორდანიას ცრუ მარქსისტობა კიდეც გამომჟღავნდა.

გაზეთ „ივერიაში“, გამოქვეყნდა, ილიას მეორე წერილი, „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, სადაც სასტიკად არის გაკრიტიკებული ნ. ჟორდანია და მარქსიზმზე დაყრდნობით და საკითხების ცოდნით, ამტკიცებს, რომ ნ. ჟორდანიას არ ესმის „ფინანსები“, „ფინანსური დაწესებულება“ და „კაპიტალი“-ს სიტყვების მნიშვნელობა და მას ამ სიტყვების, ლექსიკონში განმარტებაც ვერ გაუგია.

„ამ ჩვენს უმეცარს მარქსისტს კითხვა, ღვთის მადლით, სცოდნია და წაკითხულის გაგება-კი, ღვთის წყრომით, არა ჰქონია... მაგალითებრ, სიტყვა „კაპიტალი“ საყოველდღეო, საყველპურო საუბარში ხშირად იხმარება ვითარცა ფულადი ქონება ადამიანისა და განა მეცნიერული მნიშვნელობა ამ სიტყვისა ეს არის? განა იგი „კაპიტალი“, რომლის ახსნასაც სახელოვანმა მარქსმა სამი

ტომი თხზულება მოანდომა,და ეს საყველპუროდ ხსენებული „კაპიტალი“ ერთი და იგივეა?“ – და იქვე, ქვემოთ, შენიშვნის სახით, იძლევა განმარტებას:

„აი, თუ არ დაგიშლიათ, რას ნიშნავს სიტყვა „კაპიტალი“ მეცნიერულად: „კაპიტალი მდგომარეობს წარმოებაში და წარმოება კაპიტალში და აი ამიტომაც დღევანდელი წარმოება კაპიტალისტური წარმოებაა და ზედნაშენი წყობილება კაპიტალისტური წყობილებაა“ (1, ტ.6, გვ.266).

მესამე წერილში, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“, ილია წერს, თუ რატომ მოანდომა ამდენი დრო სიტყვების, „ფინანსები“-ს და „ფინანსიური“-ს შესახებ ახსნა განმარტებას. ამის გარდა იგი წერს, რომ მას სიტყვების: „ბურჟუა“, „ბურჟუაზია“ და აქედან წარმომდგარი „ბურჟუაზიული“ არ ესმის, ან მარტო ყური მოუკრავს, დაუსწავლია და მათ მიერ სახელწოდებული საგანი-კი ვერ გაუგია რა არის“ (1, ტ.6, გვ.274).

„ბ-ნი ჟორდანია მიწყრება, რომ მისს „ფინანსების“ არ ცოდნას გამოვეკიდე და ვეებერთელა ფელეტონები მოვანდომე. პირველ შეხედვით ეს ჩემი საქციელი მართლა წყრომის ღირსია... ვის რად უნდა, ვის რაში ეპრიანება, – „ფინანსები“ და „ფინანსიური“ გაეგება თუ არა გაუგებარს მეცნიერს ბ-ნ ჟორდანიას, მაგ სიტყვების მნიშვნელობა და თავისს ადგილას ხმარება. დღეს ბალღმაც კი იცის და თუ ბ-ნ ჟორდანიას არა სცოდნია, ეს მისი საკუთარი უბედურება და უილაჯობაა და ქვეყანას ამითი არცა სცხელა, რასაკვირველია, და არცა სცივა...

კაცი რომ თავმოწონებით მარქსისტობდეს და არ გაეგებოდეს-კი „ფინანსები“ რა ხილია, იგი სასაცილო მასხარაა და არა მარქსისტი. მას რა დაეჯერება? მას ვინ უნდა აჰყვეს, სულელის მეტი, როცა მაღალ ფარდების საგნებზე ჰლაპარაკობს? აი მიზეზი მისი, რომ ბ-ნ ჟორდანიას საანბანოდ საცოდნელ სიტყვების გამო გამოვეკიდე, თორემ მეც ვიცი, რომ „ფინანსების“ ასე თუ ისე ახსნა არავისათვის საჭირო არ არის და დიდი არაფერია“ (1, ტ.6, გვ.273). ამ სიტყვების ახსნა განმარტების შემდეგ, ილია აცხადებს, რომ იგი: „ბ-ნი ჟორდანია, მარქსისტი კი არა, პამპულაა მარქსისა, ჟღარუნებით მორთულ კაბაში“ (1, ტ.6, გვ.274)

ილია ჭავჭავაძე, ნ. ჟორდანიას, მასთან დაახლოებულ პირებსა და გაზეთ „კვალის“ რედაქციას, ადანაშაულებს იმაში, რომ ისინი ხალხის სახელით მსჯელობენ და, რომ მათ ამის უფლება არ აქვთ. და მოჰყავს ნ. ჟორდანიას სიტყვები:

„გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლით საძებარია, ხოლო უგუნურება ყოველგან და ყოველთვის ადვილად მისაგნებია. ცხადია, პირველის

ჭურჭელი – ინტელიგენცია – ძლიერ ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის-კი (ესე იგი, უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია“ (1, ტ.6, გვ.281). ამ გამოთქმით გაოცებული ილია წერს;

„ამაზე უარესად გაბიაბრუება, ამაზე მეტად გაუპატიურება და შეგინება, მერე ვისი? – მთელის ხალხისა, მთელის ერისა, განაღა იქნება!.. განა სასაცილო არ არის ეს ახალი მაგალითი ბ-ნ ჟორდანიას ორთავიანობისა, ორპირობისა, რომ ესე სამწუხარო და საზარო არ იყოს ზნეობის მხრითა!“ (1, ტ.6, გვ.281).

ვ. გაგოიძე, ილიასა და ნოე ჟორდანიას ამ პაექრობის შესახებ წერს, რომ:

„ილიას აზრით, არაფერი საერთო არ არსებობს „უმეცარ ჟორდანიასა და მეცნიერ მარქსს“ შორის. ილია ჭავჭავაძე ამ განსხვავებას იმაში ხედავს, რომ თუ მარქსი ისტორიული პროგრესის მთავარ ძალას თავისი მდგომარეობის შეგნებამდე ამაღლებულ ხალხში ხედავდა, ჟორდანია, პირიქით ხალხს განიხილავდა იმ თვალსაზრისით, რომელიც ხალხოსნურ თვალსაზრისს უფრო მოგვაგონებდა, ვიდრე მარქსისტულს“ (26, გვ.116).

საერთოდ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე ყოველ საკითხს სათანადოთ ამუშავებდა, ემზადებოდა და „დაუსაბუთებელი ბრალდებებით ბრძოლა ილიას ბუნებას არ შეეფერებოდა“ (24, გვ.270). ეს დასტურდება მისი წერილების განხილვისას. უმიზნოდ და ზერელე საუბარიც-კი მას არ უყვარდა. ყველას უფრთხილდებოდა და ტყუილ-უბრალოდ არავის არ შეურაცხყოფდა. წერილში „გაზეთ „ივერიის“ მარცხი“, ილია წერს:

„ადამიანს, კაცია თუ ქალი, პატიოსნების და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს-რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახავი. ადამიანი ადამიანობს მარტო პატიოსნებით და ნამუსითა და ვინც ეს იცის, იმისათვის შებღალვა ან ერთისა და ან მეორისა ყოველს დანაკლისზედ უმძიმესია, ყოველს მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა“ (1, ტ.8, გვ.250).

„ქურდბაცაცაზედ უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმების დაყრით ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თავის მოპირისპირეს პატიოსნებას და ნამუსსა... ნამუსის მპარავი ყოველ შიშს გარეთ არის, ყოველს განსაცდელს აცილებულია და მით არის იგი უფრო ბილწი და მაშასადამე უფრო საზიზღარი“ (1, ტ.8, გვ.251).

ადამიანის მიმართ მოპყრობას და პატივისცემას, ილია, 1877 წელს დაწერილ წერილში, „ივერიის“ წინასიტყვაობა“-ში, შემდეგნაირად აფასებს:

„პატივისცემა იმაში კი არ უნდა მდებარეობდეს, რომ ადამიანი ადამიანს პირმოთნეობით ექცეოდეს. ეგ ადამიანის პატივისცემა კი არა, ეგ შეურაცხყოფა

იქნება. ცუდია, თავის მეცნიერების შემაგინებელია, ადამიანის მოღალატეა ის ექიმი, რომელიც სნეულს უებარს წამალს არ ასმევს მარტო იმის გამო, რომ მწარეაო. არა, ჭეშმარიტი პატივისცემა ის არის, პირში, გულახდილად, ადამიანმა ადამიანს მართალი სიტყვა უთხრას. ისე უთხრას, რომ არ შეუგინოს, არ შეურაცხჰყოს მისი ადამიანობა, მისი კაცობრიული გრძნობა, ღირსება და პატივი, არ დაურღვიოს ის ძვირფასი და უკეთესი ზნეობითი კანონი, რომელიც კაცს კაცად ჰქმნის და რომლის მეოხებითაც იგი თავისთავს კაცად სცნობს და აღიარებს.

სხვა რა უფლებაა ადამიანისა იმაზედ უცილო, იმაზედ სანატრელი, იმაზედ წმინდა და უძვირფასესი, რომ კაცმა კაცისაგან პატივისცემა, ღირსეულად და მართებულად მოქცევა ითხოვოს?... სხვა რით არის ადამიანი სხვა ცხოველზედ წინ წამდგარი, თუ არ ამ ზნეობითის კანონით, რომ მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებსო?“ (1, ტ.3, გვ.260).

კიდევ ერთ ადგილს მოვიყვანთ, ილიას წერილიდან „შინაური მიმოხილვა“ XV, რომელიც მან დაწერა 1882 წელს, სადაც იგი ეხება ადამიანის ღირსებას და მომავალ თაობას ურჩევს მის დაცვას.

„ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემულ უნდა იყოს. სრულიად ხელშეუხებელი, ვიდრე ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავნებელად ხმარობს. ჭეშმარიტს ლიბერალობას ეს ძვირფასი კუთვნილება ადამიანის პიროვნებისა დიდის ასოებითა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ. მაშასადამე, ჩვენმა ახალმა თაობამ, თუ თვისდა სასახელოდ ჭეშმარიტის ლიბერალობის მიმდევარია, ეგევე უნდა დაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მომქცევი უნდა ზიზღით სდევნოს. გვერწმუნეთ, ამით თვითონ ლიტერატურას თავის სიმაღლეზედ დავაყენებთ, და ჩვენს მოქმედებას უფრო ადვილად ძლევით შევმოსავთ“ (1, ტ.5, გვ.167).

დრომ დაამტკიცა ილია ჭავჭავაძის შეხედულების სისწორე. „მესამე დასის“, ანუ „ბოლშევიკების“, „კომუნისტების“ და „სოციალისტების“ წარმომადგენლების მიერ ადამიანის ყოველგვარი ღირსებისა და ზნეობის გათელვამ და შეურაცხყოფამ, საქართველოს და ჩვენს ერს უბედურება მოუტანა და დამოუკიდებლობა დააკარგვინა.

როგორც ცნობილია, ნოე ჟორდანია გახდა კავკასიის მენშევიკების მეთაური. რუსეთსა და საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო ნ. ჟორდანიას და იგი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხელ-

მძღვანელი. ხოლო, შემდგომ, მისმა უნარს მოკლებულმა მოქმედებამ, გამოიწვია საქართველოში წითელი ჯარის შემოსვლა და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა. იგი იძულებული გახადა, მთავრობასთან ერთად საფრანგეთში გადახვეწილიყო და იქვე, 1953 წ. გარდაიცვალა. დაკრძალეს ლევილის ქართულ სავანეში. ხოლო საქართველოში მოხდა გასაბჭოება და ის საბჭოთა რუსეთის იმპერიას დაექვემდებარა და მის მარწუხებში მოექცა.

ყველა მკვლევარმა, ისტორიკოსმა, თუ ლიტერატორმა, რომელიც დაისახავს მიზნად ილიას შესახებ რამეს წერას, ჯერ იმდროინდელ საქართველოს მდგომარეობას უნდა გაეცნოს, მაშინდელი ხალხის ცხოვრების პირობები შეისწავლოს და ისე შეუდგეს ილიას შესახებ წერას.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილიასათვის პირველ რიგში, მთავარი იყო მამული და ყველა მოძღვრება თუ იდეა, აზრი, მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ქვეყნის სასიკეთოდ.

ილია ჭავჭავაძე გაეცნო-რა კ. მარქსის ნაშრომებს, იგი გახდა მისი დამფასებელი და თავის ნაშრომებში, თავისი აზრების დასასაბუთებლად, ხშირად იყენებდა კ. მარქსის დებულებებს, ოღონდ, მაშინდელი ცენზურის გამო, წერდა „სახელოვანი მეცნიერი“, ან „ერთი მეცნიერი“.

ტ. სართანია ამის შესახებ წერს:

„ილია ჭავჭავაძე მრავალგზის იშველიებს დებულებებს კ. მარქსისა, რომელსაც იგი პოლიტიკური ეკონომიის უდიდეს ავტორიტეტად სთვლის და „დიდად გამოჩენილ მეცნიერს“ უწოდებს, თუმცა თვით ვინაობას ამ მეცნიერისა და არც სახელწოდებას თხზულებისა, საიდანაც ამონაწერები მოჰყავს, ცენზურული პირობების გამო არ მიუთითებს“ (21. გვ.135).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად კ. მარქსისა და ილიას აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ილია დაინტერესდა კ. მარქსის ნაშრომებით.

1877 წლის, „ივერიის“ წინასიტყვაობაში“, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა ცხოვრებისა და ადამიანის ურთიერთობას.

„ადამიანები განა მარტო მაყურებელნი არიან ცხოვრებისა, არამედ მომქმედნი პირნიც. ცხოვრება არის თითონ ამ პირთა ქმნილება, ამ პირთა ნამოქმედარი და ჭირნახული“ (1, ტ.3, გვ.259). თითქმის იგივე აზრი გამოთქმული აქვს კ. მარქსს, სადაც ძველი მატერიალიზმის ერთ-ერთ მთავარ ნაკლზე ლაპარაკობს. ილიას ამოუწერია რუსულ ყოველთვიურ ჟურნალიდან „Русское Богатство“-დან 1899 წელს:

«Материалистическое учение о том, что люди представляют продукт обстоятельств... забывают, что обстоятельства изменяются именно людьми» [298, ფურცელი მე-2] (Рус. Бог. 158) (21, გვ.292).

ამდაგვარი არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ილიას ნაშრომების განხილვისას.

ჩვენ, პირველ რიგში, განვიხილავთ ილიას ზოგიერთ შეხედულებებს პროლეტარიატის (ძველ რომში უწოდებდნენ ღატაკ მოქალაქეთა წარმომადგენლებს, ხოლო ჩვენს დროში – დაქირავებულ მუშებს) გაჩენის მიზეზებისა და მათი ემიგრირების საკითხების შესახებ.

ილია ჭავჭავაძე წერილში „ირლანდია და ინგლისი", რომელიც დაწერა 1886 წ., ამ სახელმწიფოების ეკონომიური მდგომარეობის აღწერისას ამბობს, რომ შოტლანდიაში „დიდკაცობამ ხელთ იგდო მთელი მამულები, გლეხთა მიერ ნაჭერი, და გლეხკაცობა მამულებიდამ აჰყარა. ამ აყრილ გლეხთაგან, ვისაც ღონე და შეძლება ჰქონდა, ამერიკაში გადავიდა, და ვისაც არა, უალაგო-ალაგას ზღვის პირას კლდეებზედ ქოხები გაიკეთეს და თევზის ჭერით თავს ირჩენდნენ, ან არა-და ფაბრიკის და დღიურ მუშებად ჩაეწერნენ" (1, ტ.9, გვ.21).

ილიას თქმით, თითქმის იგივე მოხდა ირლანდიაშიც. იქ მთელი მიწები „ინგლისის ლორდებმა დაიჭირეს და ხალხს ხელიდამ გამოაცალეს... გარდა მაგისა, ირლანდიაში ერთი საოცარი ამბავი მოხდა, იმისთანა ამბავი, რომ მთელნი მეცნიერნი გააბრუა." აქ დაიწყო ხალხთა გამრავლება. „ამ საოცარმა და გარდამეტებულმა გამრავლებამ გაამრავლა, რასაკვირველია, მიწის საღალე მთხოვნელიცა და მიწის ფასი... ასწია ირლანდიაში." ილიას თქმით, ირლანდიაში, „ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა მიწათმოქმედება იყო და ფაბრიკები, ქარხნები და სხვა ამგვარი მრეწველობა არ არსებობდა." ამავე დროს იქ, ბუნებრივი პირობების გამო, ერთ-ერთი საარსებო წყაროს, კარტოფილს, 1847 წელს გაუჩნდა ჭია და დაიწყო საშინელი შიმშილობა, რომელიც სამ წელს გაგრძელდა, და „ირლანდია პირქვე დაამხო" (1, ტ.9, გვ.31-33).

ილიას თქმით, ინგლისში „ინგლისის ლორდებმა მშვიდობიანად და ტკბილად, ცოტ-ცოტაობით და ნელ-ნელა გამოაცალეს ხელიდამ მთელს ერს ინგლისისას მამულები" (1, ტ.9, გვ.14). მიწები, რომლებიც ადრე ეკუთვნოდა წვრილ მეკუთრეებს, ეხლა მიისაკუთრეს და მიიტაცეს მაღალი წოდების წარმომადგენლებმა, სამღვდელო და საეკლესიო მამულების გარდა. ფეოდალები – ლორდები წარმოადგენდნენ ინგლისის მოსახლეობის მცირე ნაწილს, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა, რომელნიც „სრულად უმამულონი" დარჩნენ, ისინი ან „უბინაოდ

დადიან დღიურ მუშად“ ან მოჯამაგირეობენ. ილიას მოჰყავს ერთი მეცნიერის გამონათქვამი:

„ამ თანდათანებრივმა დაჩემებამ მამულისამ მაღალ წოდების მიერ, ამ ხელში ჩაგდებამ მთელის ერის სიმდიდრისამ, მთელის ინგლისის ადგილ-მამულისამ, ისა ჰქმნა, რომ წვრილნი აზატნი მემამულენი და მესაკუთრენი ჯერ ვალდებულ გლეხებად გარდააქცია, ვალდებულნი გლეხნი მეიჯარადრეებად, მეღალეებად, და მეღალენი დღიურ მუშებად, პროლეტარიადაო“ (1, ტ.9, გვ.15).

პროლეტარიატის წარმოშობასთან დაკავშირებით, ილიას ამოუწერია რუსულ ყოველთვიურ სამეცნიერო-ლიტერატურულ და პოლიტიკურ ჟურნალიდან «Новое слово»-დან ვ. ზომბარტის ლექციიდან სიტყვები, სადაც იგი ამბობს:

«История возникновения пролетариата есть не что иное, как история капитализма. Последний не может существовать, не может развиваться, не поражая пролетариата (стр.114)» (20, გვ.305).

წერილში „ევროპა 1886 წელს“ ილია აღნიშნავს ინგლისის ძლიერებას და ამავე დროს, მუშათა მდგომარეობას, მის გაჭირვებას, და მის მომავალს. იგი წერს:

„დიდი და ძლიერი სახელმწიფო ევროპაში ეგრეთწოდებული დიდი-ბრიტანიაა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ინგლისი“. იგი „ზღვათა მფლობელად დღესაც სამართლიანად იწოდება.“ მთელი ინგლისის „ადგილ-მამული“ მოსახლეობის მცირე რიცხვის, უმაღლესი წოდების, ლორდების, ხელში არის. ხოლო:

„დანარჩენი მთელი ერი უადგილ-მამულოა. ამისთანა უსამართლოდ განაწილებას ადგილ-მამულისას ერთი სხვა უბედურებაც ზედ მოჰყვა, როცა ჟამთა ვითარებისა გამო მატყლმა მეტად აიწია და დიდი ფასი დაიდო, ბევრმა ადგილ-მამულის პატრონმა – საყანე, სახნავ-სათესი მამულები საძოვრებად გარდააქცია და აუარებელი მხვნელ-მთესველი ხალხი, რომელიც მაგ მამულებზედ ქირით თუ ივჯარით ჰცხოვრობდა, სულ ცარიელზედ დარჩა. აქედამ წარმოსდგა იგი შესაბრალისი ხალხი, რომელსაც საცხოვრებლად თვისი მარჯვენაღა აქვს და სხვა არაფერი და რომელსაც პროლეტარიატს ეძახიან. დასაწყისი ამ პროლეტარიატისა უმთავრესად ეს იყო, და თქმა არ უნდა, რომ დროთა მიმავლობაში ამ მიზეზს სხვა მიზეზებიც დაემატა და პროლეტარიატობა გააძლიერა. თუმცა აუარებელმა მრეწველობამ, ფაბრიკებმა და ქარხნებმა, როგორც ღრუბელმა შეიწურა ეს უბინაო ხალხი, მაგრამ საკმაო იყო ერთს რომელსამე მრეწველობაში კრიზისი მომხდარიყო... რომ დიდძალი მშიერი და უბინაო მუშახალხი ცის ანაბარას დარჩენილიყო. ეს ერთი. მეორეც ისა, რომ სიმრავლეს უმამულო მუშახელისას ვერ აუვიდა ინგლისის ძლიერი და აუარებელი მრეწ-

ველობაცა. მრავალი მუშა-ხალხი უსაქმოდ რჩება. ამის გამო წარმოუდგენელია ის სიღარიბე, ის სიღატაკე, ის განწირულება, რომელიც ასე გულსაკლავად ჰღაღადებს ინგლისის ყოველს დიდს ქალაქში და ნამეტნავად ლონდონში. ამ უშველებელს ბოღამს სახურავის ახდა უნდა, რომ გასვლის გზა მიეცეს, გავიდეს, თორემ როგორც ქვაბში მომწყვდეული ორთქლი, ქვაბსაც გახეთქს და გარეშამოსაც მილეწ-მოლეწავს. ეს კარგად იცის საქმიანმა და ჭკვიანმა ინგლისელმა და ამიტომაც ეტანება სხვა ქვეყნებში დაიჭიროს ადგილები, რომ მეტი ხალხი გაიზიდოს ინგლისიდამ და ბინა ახლად დაჭერილს ქვეყნებში მოიკიდოს“ (1, ტ.9, გვ.78).

ასევე აღწერს ილია საფრანგეთის მუშათა მდგომარეობას. შეიძლება ითქვას, რომ ილიამ წინასწარ იწინასწარმეტყველა, რომ ბოლოს და ბოლოს, მოთმინებიდან გამოსული პროლეტარიატი ხმას ამოიღებდა და მოხდებოდა რევოლუცია. იგი წერდა:

„საზოგადოდ, მუშათა საქმე ყველა სახელმწიფოს ტკივილია ევროპაში და ეხლა რომ ინგლისში მუშათა აღრევა მოხდა, შესაძლოა ცეცხლსავით მოედოს მთელს ევროპას, თუ არა უწამლეს რა“ (1, ტ.9, გვ.77).

საფრანგეთის მუშათა მდგომარეობის შესახებ მსჯელობისას, წერილში „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში“, წერს, რომ მშრომელი ხალხი მომხრე იყო რესპუბლიკისა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ, ვინაიდან ბურჟუაზია, „შემძლებელი ნაწილი ერისა“, რომელსაც ხელში უჭირავს საფრანგეთის მთელი მმართველობა და „რომელსაც მუშაკაცის ყელის საბელისა ხელიდამ გაშვება ზარალის მომასწავებლად მიაჩნია“, ამიტომ „ეკონომიური ცვლილება მუშაკაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება“ და არ ხდება (1,ტ.9,გვ.225).

ასეთივე მდგომარეობა ყოფილა ილიას დროს, გერმანიაშიც.

ილია ჭავჭავაძე ბურჟუაზიის წარმოქმნას უკავშირებს საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციას. წერილში, „ცხოვრება და კანონი“, წერს, რომ შუა საუკუნეებში მთავარი საქმე იყო მიწის დამუშავება. თანდათან ეს მიწა ხელში ჩაიგდო თავად-აზნაურობამ და სამღვდელოებამ. რაც „გამოისახა ფეოდალობაში“. შემდგომ, მიწათმფლობელი გახდა სახელმწიფოს გამგებელი. როდესაც ვაჭრობა გაჩნდა და თანდათან მომძლავრდა, წარმოიქმნა ფაბრიკა და ქარხნები, „მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში“. თანდათან დაიწყო „შეცილება“ ამ მოძრავი ქონების პატრონებსა და მიწის მფლობელთა (თავად-აზნაურთა, სამღვდელოებას) შორის. საზოგადოებრივსა და სახელმწიფოს შორის. „ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდ

რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგიერად დაადგინა მფლობელობა მოძრავი ქონებისა“ (1, ტ.6, გვ.54).

ილია ახასიათებს ბურჟუაზიას, ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის – პროლეტარიატის, ურთიერთ დამოკიდებულებას და მათ დაპირისპირებას. ამ ნარკვევიდან ჩანს, რომ ავტორი მშრომელთა მხარეს იცავს და ამავე დროს წინასწარ მეტყველებს მის გამარჯვებას. იგი წერს:

„ბურჟუაზიამ ისე წარმართა საზოგადო და სახელმწიფო საქმე, რომ ეჩოსავით სულ თავისკენ მოითალა და ის კი, რამაც საკუთრივ შექმნა იგი მოძრავი სიმდიდრე, წრეს გარეთ დარჩა, ის წრეს გარეთ დარჩომილი – შრომა არის და მისი წარმომადგენელი კიდევ მუშაკაცია. დღეს ეს მუშაკაცი იბრძვის ევროპაში, რომ უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არა ჰქონდეს განსაკუთრებული და ამისათვის ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს. ამ სახით, დღეს ევროპაში წარმომდგარია მეოთხე წოდებაცა, სახელდობრ მუშაკთა. დღეს ეგ წოდება იბრძვის, იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა. ჩვენ ეს მცირედი შენიშვნა იმის საჩვენებლად მოვიყვანეთ, რომ ევროპაში მიზეზია – და დიდ საბუთიანიც, – წოდებათა შორის დაჯახებისა, ერთმანეთთან შეხეთქებისა, ერთმანეთის ცილობისა“ (1, ტ.6, გვ.54).

ზოგიერთი, ეგრეთ წოდებული „მარქსისტები“, „მესამე დასელები“, საბჭოთა მეცნიერები და კრიტიკოსები, დიდის ამბით ამტკიცებდნენ, რომ ილიას მიმხრობა გლეხებისა და მუშებისადმი იყო თვალთმაქცობა, რადგან იგი მაღალ წოდებას – თავადთა წრეს ეკუთვნოდა, ხოლო თავადი არასდროს არ დაიცავდა გლეხს და მუშას და ამის დასამტკიცებლად რას არ იგონებდნენ. მაგრამ დრომ სიმართლე გამოააშკარავა და დაამტკიცა, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველთვის დაჩაგრული კლასის, გლეხობის და მუშების დამცველი იყო. ეს აშკარად ჩანს მის ნაწერებსა და სიტყვებში.

ილია, წერილში, „მუშათა ყოფაცხოვრების საქმე ევროპაში“, რომელიც მან დაწერა 1886 წელს, აღნიშნავს, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში, გერმანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში, ერთი ძირითადი „საკითხი საქმე“ აქვთ გადასაწყვეტი და ეს საკითხი ანუ საქმე – „მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმეა. საფრანგეთში დეკაეზელის არეულობამ წამოაყენა ეს საქმე, ინგლისში – მუშათა აღრევამ დიდ ქალაქებში, და გერმანიაში – სოციალ-დემოკრატების გაძლიერე-

ბამ პარლამენტში.“ იგი აღწერს თვითეულ ამ სახელმწიფოების შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას და დაძაბულობას, – მუშათა კლასსა და სახელმწიფოს მესვეურთა შორის.

ამავე წლის წერილში „მუშათა „ანღრევა“, ილია წერს, „ჩვენ წინადვე ვსთქვით, რომ ინგლისში მუშათა ანღრევა მარტო ინგლისით არ გათავდებაო. დასავლეთ ევროპის დიდნი თუ წვრილნი სახელმწიფონი დღეს დიდს საფრთხესა და განსაცდელში არიან. იმოდენა უმამულო, უბინაო ხალხი, რომელიც ცის ანაბარად დარჩა ევროპის ეკონომიურს უსამართლო განწყობილებას, იმოდენა ქარხნები, ფაბრიკები, რომელთაც წაიცდინეს და წაიტყუეს მრავალი მუშა-ხალხი და ქალაქებში შეაჯგუფეს, – შეიქმნა მიზეზად, რომ ხელი ბევრი გამოვიდა ბაზარში და საქმე კი ვერ გასწვდა. ამან ფასი მუშისა, უამისოდაც მცირე და არასაკმარისი, ძალიან ძირს დასწია, ასე რომ თვით ხელოვანს, გაწურთნულს და გამრჯელ მუშას ძლივს ეძლეოდა სახსარი ძაღლუმადურად თავი ერჩინა. ამ განწირულმა ყოფამ მუშისამ იძულებული გახადა მუშა ყოველს პირობაზედ დაჰყოლოდა საქმის პატრონსა. შიმშილი ძნელია და სული ტკბილი, სად წაუვიდოდა მუშა-კაცი, რომელსაც მარტო მისი მარჯვენა და საქმე აწვდის ლუკმასა, სამის პატრონებსა, რომელნიც ყოველთვის მარტო თავის საკუთარის თავის გამორჩობას ეძიებენ, ფასიც ხომ დაუწიეს მუშასა, ამასთანავე სამუშაო დღეც გაუგრძელეს და წაუმატეს“ (2, ტ.VII, გვ.469) მისივე თქმით, მუშის მდგომარეობა უფრო გაუარესდა „საქონლის გაუსაღებლობითა, ვაჭრობის და აღებ-მიცემობის შეფერხებითა, ქარხნები და ფაბრიკები აიძულა მოქმედება უფრო შეემცირებინათ, უფრო დაეკლოთ. სამუშავო საქმემ ამ მიზეზით იკლო და აუარებელი მუშახალხი დარჩა უსაქმოდ და უსაქმოდ დარჩენა მუშისათვის ულუკმაპუროდ დარჩენაა. ესეთი ნიადაგია ყველგან დასავლეთ ევროპაში და ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ დასავლეთს ევროპას ინგლისის მუშათა ანღრევა მუქთად არ ჩაუვლიდა“ (2, ტ.VII, გვ.470). ილია აღნიშნავს, რომ „ბელგიაც დღეს ამ მიზეზით დიდს საფრთხესა და განსაცდელშია“, ხოლო „საფრანგეთი ისეთს მოედანს წარმოადგენს, საცა მუშათა სატკივარი ყოველ ცის ამარა დღეს უამისოდაც ასე თუ ისე იჩენს ხოლმე თავსა.“ გერმანიაში, კი: „იმისთანა „რკინის კაცი“ როგორც ბისმარკია, რომელსაც, როგორც ამბობენ, შეუძლიან თოფქვეშ ორი მილიონი ჯარი დააყენოს, უფრთხის ამ მუშათა საქმეს და ცდილობს ხელახლად განაგრძოს ვადა მუშათამოთავეების წინააღმდეგ დადგენილ კანონებისა“ (2, ტ. VII, გვ. 470–471).

ამრიგად, ილიას აზრით, ევროპის სახელმწიფოების მთავარი გადასაწყვეტი საკითხი არის პროლეტარიატის – მუშათა მოძრაობის საქმე, რომლის პირობების დაკმაყოფილებას და ამ საკითხების გადაწყვეტას სამივე სახელმწიფო, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ცალ-ცალკე, თავისებურად ფიქრობს. ილია წერს:

„ამ სამის თეორისაგან რომელი დაიჭერს თავს ევროპაში, ევროპის შინაურს ცხოვრებაში, – ამას დრო გამოაჩენს. ჩვენ აქ მთელს ევროპას ვახსენებთ იმიტომ – რომ ამ შემთხვევაში ერთის ცდა მეორისათვის ჭკვაა, და ამ საბუთით გამარჯვება სამში ერთის თეორიისა მეტად საინტერესო უნდა იყოს ყველასათვის“ (1, ტ.9, გვ.189).

მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით ილიას ამოუწერია კ. მარქსის სიტყვები, ჟურნალიდან „Русское Богатство“-დან. „Всякая классовая борьба есть борьба политическая~, говорит Маркс, как это указывает Бельтов (Плеханов) на стр. 168“ (21, გვ.293).

ასევე, ილიას ამოუწერია ვ. ზომბარტის შეხედულება, ჟურნალ „Новое слово“-დან:

«Хотя Маркс и высказал одну из величайших истин, сказав, что `История всех до сих пор существующих обществ являлась историей классовой борьбы» (77)., но тем ни менее в словах его заключается неполная истина, так как нельзя сказать, чтобы вся история человечества сводилась к одной классовой борьбе (стр. 113)» (21, გვ.305).

მუშათა მოძრაობასთან დაკავშირებით, ილიას ამოუწერია ვ. ზომბარტის ლექციიდან შემდეგი სიტყვები:

«Под английским типом рабочего движения я, говорит Зомберт, подразумеваю движение, имеющее по существу неполитический, чисто профессионально-экономический характер. Типом французского движения я считаю, такое движение, в котором на первый план выступает то, что я называю революциониризмом, или бунтарством, для которого характерна конспирация и уличная борьба. И наконец немецкий тип (заключается) в рабочем движении, действующем на законной почве парламентской, политической борьбы» (138)“ (21, გვ.306).

ილია ჭავჭავაძის შეხედულებების გარკვევა პროლეტარიატის და კაპიტალიზმის შესახებ, მისი ნაწერებიდან, რთულია, ვინაიდან მის დროს და მით უმეტეს საქართველოში, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული მძვინვარებდა სასტიკი ცენზურა და ილია იძულებული იყო თავისი აზრები და სათქმელი, გამოეთქვა

შეფარვით. მაშინდელი მთავრობა მას თვლიდა ერის მეთაურად და იცოდა რომ მის ყოველ სიტყვას ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა. ამიტომაც პეტერბურგის ჟანდარმერიის ბრძანებით მასზე დაწესებული იყო საიდუმლო მეთვალყურეობა. მით უმეტეს, რომ ამ დროს, რუსეთის იმპერიაში მარქსიზმის შესახებ წერა, საერთოდ აკრძალული იყო.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმი არის ბურჟუაზიის შემდგომი განვითარების საფეხური. რომელიც გაბატონდა განვითარებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების განვითარებას კი კაპიტალიზმმა შეუწყო ხელი და ფაქტიურად ამ ქვეყნების მთელი ეკონომიკა, დროთა განმავლობაში, მის ხელში აღმოჩნდა.

ილიას ამოუწერია, ვ. ზომბარტის ლექციიდან, შემდეგი სიტყვები, რომელიც ეხება ბურჟუაზიას, კაპიტალისტურ წარმოებას და პროლეტარიატს.

„Носительницею капиталистического способа производства, классом представляющим его является буржуазия (209, გვ.50)“ (21, გვ.305).

შემდეგი ამონაწერის მიხედვით, ბიუხერის აზრით, არსებობს სამი ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური მეურნეობა: ნატურალური მეურნეობა, ქალაქებს შორის გაცვლითი მეურნეობა და თანამედროვე ფართო გაცვლითი კაპიტალისტური მეურნეობა.

1899 წლის 31 დეკემბერს დაწერილ წერილში, „მეცხრამეტე საუკუნე“, ილია ჭავჭავაძე, გადმოსცემს კაპიტალიზმის განვითარების დადებით მხარეს. ავტორი აღფრთოვანებულია ამ საუკუნეში მომხდარი ცვლილებებით. იგი წერს:

„რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის... რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველობაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, – დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით“ (1, ტ.5, გვ.7). დღევანდელ დღეს, წერს ილია, რკინის გზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა ერთმანეთს დააკავშირეს სხვადასხვა ქვეყნები და ქალაქები. დოსტაქრობამ და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ადამიანის აგებულებაში თითქმის „გამოუცნობი, დაუნახავი, გაუსწორებელი და შეუკეთებელი აღარა არის-რა.“ ის ჭირი, რომელიც ადრე მძვინვარებდა დღეს

წამალი უპოვეს და „ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც-კი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინეობით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი გონება ადამიანისა... ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით... ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას“ (1, ტ.5, გვ.8).

XIX საუკუნის მთავარ მამოძრავებელ ძალად, ილია ჭავჭავაძე სთვლის კაპიტალისტურ წესწყობილებას, რომელმაც ადამიანთა ცხოვრება მთლიანად გარდაქმნა და შეცვალა.

„ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატებაა და წინსვლაა“ (1, ტ.5, გვ.8).

მაგრამ, წერილის ბოლოს, ილია სვამს კითხვას, რომ მიუხედავად ასეთი კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებისა, მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებისა, დღევანდელ დღეს ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობს თუ არა? და თვითონვე იძლევა პასუხს, რომ – არა.

„მართალია დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, – უფრო უკეთ არის მოწყობილი... დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, – ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილებით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით“ (1, ტ.5, გვ.9).

მაშ, რა არის ის, რომელიც წარმოადგენს „ღარიბსა და მდიდარს შორის უფრო დიდი ზღვარი“? ეს არის სწორედ, კაპიტალიზმის უარყოფითი მხარე და ეს მხარე არის – ფული.

ილია ჭავჭავაძე, წერილში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“, შესანიშნავად და სწორად გადმოგვცემს დღევანდელი დღის ფულის სიძლიერეს და მნიშვნელობას. იგი წერს:

„ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ. ეხლა რაც არის – ფულია და სხვა არაფერი. უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ცალკე ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა.

ბევრიც რომ თავი მოვიწონოთ და ყელი მოვიღეროთ, აქაო-და მე ბრწყინვალე თავადი ვარ, კეთილშობილი აზნაური, მიწისმფლობელი, თუ მიწისმომქმედი, ტყუილი და სასაცილო დოინჯის შემოყრა იქნება. ყოველმა ამისთანამ ეხლანდელ დროში თავისი მშვილდი ძირს უნდა დასდოს გაბატონებულ ფულის წინაშე... ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით: საცა იქნება და როცა იქნება, მოგვასწრობს და ქეჩოში წაგვავლებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გეტყვის“ (1, ტ.7, გვ.10).

ავტორის თქმით, მართალია, ფული სულგრძელობას იჩენს, ორში ერთს „მეყმე ან სული ამოირთვიო“ გვარჩევინებს, მაგრამ „წყეულიც იყოს ამისთანა სულგრძელობა და ამისთანა გარემოება“, ვინაიდან „ამ ორს საარჩევნოს გარდა, სხვა გზას არ აძლევს ადამიანსა.“ მაგრამ, ფულს ეს სიძლიერე კანონით კი არ აქვს მინიჭებული, არამედ ცხოვრებამ მისცა, რომელიც ყველა კანონზე უფრო ძლიერია. ილია წერს:

„ჟამთა ცვლამ და ეკონომიურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიასი ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გააბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართებით, როგორც ბუზი აბლაბუდაში“ (1, ტ.7, გვ.11).

შემდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ:

„აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა და გარჯითა, თუ ერთი უეცარი ბედი რამ არ მოევლინა... მეტ ფულიანი ნაკლებ ფულიანს ყველგან სულსა ჰხდის, საცა კი მოასწროფს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ფული ფულთან მიდისო“ (1, ტ.7, გვ.12).

ილია ჭავჭავაძე, ფულთან დაკავშირებით განიხილავს საერთოდ კაპიტალიზმის არსს, მის ბუნებას. მას განიხილავს ერთის მხრივ, როგორც ფულის დაგროვების საშუალებას, რომლის შემწეობითაც ხდება წარმოების გაზრდა – წარმოებაში ფულის დაბანდების საშუალებით, სახელმწიფოში ფულის ბრუნვა, რომლის შემწეობითაც ხდება ქვეყნის გაძლიერება და ეკონომიკური სიძლიერე, რასაც ეწოდება სამრეწველო კაპიტალი; და მეორეს მხრივ, ფულის დაგროვებას კერძო პირთა მიერ, ქვეყანაში ფულის ბრუნვის გარეშე, რომელიც ხდება სხვისი ჩაგვრით, მოტყუებით, ქორვაჭრობით – რომელსაც უწოდებს „ჩარჩობას“,

ფულის დაგროვებას „პატიოსანი შრომითა და გარჯით“ გარეშე. მაგრამ ორივეს აერთიანებთ — ფული.

ილია სასტიკად ილაშქრებს ჩარჩების, ქორვაჭრების, წინააღმდეგ. რადგანაც იგი თვლის, რომ ფულის ამ ხერხით დაგროვება, ქვეყანას როგორც ეკონომიურად, ასევე პოლიტიკურადაც ძირს დასცემს და გაანადგურებს. ამიტომ საჭირო იყო, ჩარჩობის წინააღმდეგ ღონისძიებების მიღება და ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად იგი თვლიდა ერთობის, ანუ კოპერატივების შექმნას. ილია მიმართავდა საზოგადოებას, რომ ვინაიდან ცალკე პიროვნება მას ვერ მოერევა, ამიტომ საჭიროა:

„ერთიანის შეკრულ-შებოჭვილ ღონით ვიმოქმედოთ: თვითეულის ცალკე გროში ერთად შევაგროვოთ, ღონე ღონეს შევაკეცოთ, შრომა შრომას მივუყენოთ და ამგზით ბევრნი ერთად შევებნეთ უღელში ცხოვრების ავკარგიანობის საწევლად, რომ ჩვენი ნაოფლი, ჩვენი ნაღვაწი ჩვენვე გვრჩებოდეს, ჩვენვე გვრგებოდეს... ოღონდ ერთობით, ამხანაგობით ჩვენ ღონე მოვიცეთ და ჩარჩული ფული თავისს საკუთარს ბედისწერას გადაჰყვება, თითონ შესჭამს თავისს თავსა, საკუთარის გესლით მოიწამლება, როგორც ქვემძრომი მორიელი“ (1, ტ.7, გვ.13).

მისი თქმით, ჩარჩული ფული არავითარ დოვლათს, სარჩო-საბადებელს არა ქმნის, ის „ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია“. ითვლის მხოლოდ თამასუქებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს ვინ მოატყუოს და რაიმე „ასცინცლოს“ სხვას. ილია მოუწოდებს ხალხს, რომ სანამ ჯერ კიდევ დრო არის, სანამ „ჩარჩულს, ქურდბაცაცა ფულს“ ჯერ კიდევ „გული ხისა“ აქვს საჭიროა:

„ჩარჩს ყველგან, საითაც კი ხელს გაიწვდის, წინ კარგად შეკრული ამხანაგობა, ან სხვა რამე კრებული დავახვედროთ, ერთობით გაღონიერებული, და მაშინ იქნება ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედოს“ (1, ტ.7, გვ.14).

ილია ჭავჭავაძის წერილებისა და ნარკვევების კითხვისას, მკითხველი გაკვირვებული რჩება, იმ დროს, საქართველოში კაპიტალიზმის დასაწყისში, კაპიტალიზმის დამკვიდრებისას, თუ როგორ გაერკვა და მეცნიერულად სწორად განსაზღვრა კაპიტალიზმის რაობა, მისი ბუნება და კაპიტალიზმის არსი. მის მიერ დასმული კაპიტალიზმის ზოგიერთი საკითხების განსაზღვრა, თანხვდება კ. მარქსისა, ფ. ენგელსისა და სხვა მეცნიერების მიერ წამოყენებულ კაპიტალიზმის განვითარების ძირითად კანონებსა და საკითხებს.

წერილში„„შინაური მიმოხილვა“ XIX, რომელიც ილიამ დაწერა 1882 წელს, ბ-ნ მეისნერის პროექტთან დაკავშირებით, ეხება კაპიტალისტურ მეურნეობას, ანუ როგორც ავტორი უწოდებს „ურთიერთობითი ეკონომიკური დამოკიდებულება კაცთა შორის“, არის სასაქონლო მეურნეობა. მისი განმარტებით:

„ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გავსინჯოთ, ამღებია და გამცემი საქონლისა. მეცნიერება საქონლის (товар) სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც პირდაპირ სახმარად პატრონისათვის საჭიროა... ურთიერთობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმანეთს შეხვდებიან, ყოველი მათგანი ერთმეორის წინაშე ამღებიც არის და გამცემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც ერთი იღებს მას – რასაც მეორე გასცემს, და გასცემს მას – რასაც მეორე იღებს... ამ სახით, ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით, ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ. ეს არის ერთადერთი მხოლობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის“ (1, ტ.5, გვ.208).

ილიას აქვს ამასთან დაკავშირებით ჩანაწერი: „Только избыток продуктов обращается в товары“ (21, გვ.317). მისი განმარტებით, ეს საქმიანობა ხდება მაშინ, როდესაც საქონლის პატრონები ახდენენ გაცვლა-გამოცვლას საქონლისა-საქონელზედ, რასაც „აღებ-მიცემობა (обмен) ჰქვია და ეს არის მართივი გაცვლა-გამოცვლა. ასეთი საქმიანობა, ილიას თქმით, ყოველთვის არ არის მოსახერხებელი, რადგან ის დიდ დროს და „დიდ ჯაფას თხოულობს“. მით უმეტეს, „როცა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთულად მოეწყობა ხოლმე პროგრესის ზემოქმედების გამო. აქ საჭიროა ორი პირობა: ერთი – რომ ჩემი საქონელი სხვას უჭირდეს და მეორე – რომ სწორედ ის სხვის საქონელი მე მიჭირდეს. აღება (спрос) და მიცემა (предложение) ერთს დასახელებულ საქონელზეა მიქცეული, რომელიც თავისის თვისებით და სახით წინათვე განსაზღვრულია“ (1, ტ.5, გვ.209).

აღებ-მიცემობას, ილია შენიშვნაში იძლევა განმარტებას:

„ნუ დავივიწყებთ, რომ რა სახითაც უნდა იწარმოვოს აღებ-მიცემობამ, მართივსა თუ რთულის სახით, მაინც-და-მაინც ბოლო ისა აქვს, რომ საქონელი იმას უნდა მიუტანოს, ვისთვისაც იგი პირდაპირ სახმარად საჭიროა“ (1, ტ.5, გვ.210).

ავტორი განაგრძობს მსჯელობას, რომ ეს აღებ-მიცემა მანამდე მოქმედებდა, სანამდე „კაცობრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებული საშუალება“, რომელმაც ეს აღებ-მიცემა გაადვილა. ამ საშუალებას, „უსათუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი – საქონლის ღირებულების (ценность) ცხადი

გამომხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან... მეორე, – ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის აღებისა კი არა, არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალს სყიდვისას (всеобщая покупательная сила). მაგისთანა საშუალება – ფულია“ (1, ტ.5, გვ.210).

ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად ახასიათებს ამ „საშუალების“ – ფულის, დანიშნულაბას და ხასიათს. იგი წერს:

„აი, ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა, ამას გარეითად არც მოედანი აქვს მოქმედებისა და არც ფასი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც იცმევა, თავისთავად არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული – საყოველთაო ეკონომიაში ყოვლად უვარგისი საგანია ყოვლისფერში, გარდა იმისა, რომ საშუალებაა აღებ-მიცემისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდა აღებ-მიცემის საქმეს“ (1, ტ.5, გვ.211).

წერილში, „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“, ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს, თავის შეხედულებას, ადამიანის მიერ დაგროვილ სიმდიდრესა და ფულს შორის დამოკიდებულებას. იგი წერს:

„ბევრმა მაგალითებმა წინადაც და ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანების ღირსსახსოვარმა ამბებმა თვალნათლად დაგვანახვა, რომ ცხოვრების მოედანზე ძლიერი ისა ყოფილა, ვინც მდიდარია, და მდიდარიც იგია, ვისაც ბევრი ფული ჰქონია. რა თქმა უნდა, მეცნიერებისაგან გამორკვეული სიმდიდრე სულ სხვა არის, მაგრამ კერძო კაცთა ურთიერთობაში სიმდიდრის საწყაოდ მარტო ფულია და სხვა არა რა. დღეს ვეღარავინ იტყვის, რომ ამ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო გულში უსათუოდ ფულად განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი.

ხოლო გულში განაღდებული, გულში ფულად ქცეული ჯერ კიდევ შორს არის მართალი განაღდებაზე, მართალ ფულად ქცევაზე. სამწუხარო ის არის, რომ პურიდამ და ღვინიდამ ფულამდე დიდი და გასაჭირი მანძილია იმისათვის, ვისის ოფლითა და გარჯითაა მოპოვებული იგი პური, იგი ღვინო. იგი ფულის პატრონიც, რომელსაც პური უჭირს საჭმელად და არა გასასყიდად, ამავე დიდს მანძილზეა შორს პურის პატრონზე“ (1, ტ.7, გვ.7).

ილიას ამოუწერია ჯ. მილლის სიტყვები ფულის შესახებ:

«Деньги в общественной экономии по своему внутреннему значению самый ничтожный предмет во всех отношениях кроме того, что служит способом, уменьшающим трату времени и труда» (8-2) (см.9).

Деньги общая мера для ценности разного сорта (3-2).

Посредством денег гораздо легче узнать и запомнить отношение разных предметов к другому предмету, чем их бесчисленное отношение друг к другу (4-2)» (21, გვ.315).

კ. მარქსის მიერ აღწერილი, ,,კაპიტალში“, ფულსა და მის დანიშნულების შესახებ, თითქმის თანხვდება ილიას გამონათქვამს. კ. მარქსი წერს:

„როგორც ფულშია წაშლილი საქონელთა ყველა თვისებრივი განსხვავება, ასევე ფულიც, თავის მხრივ, როგორც რადიკალური ლეველერი, სპობს ყველა განსხვავებას.“ და მოჰყავს უილიამ შექსპირის ნაწარმოებიდან ,,ტიმონ ათენელი“-დან შემდეგი ადგილი:

,,ოქრო! ყვითელი, მოელვარე, ძვირფასი ოქრო!..
ამდენი ოქრო, თავმოყრილი, შავს გაათეთრებს,
გონჯს დაამშვენებს, მდაბალს აქცევს კეთილშობილად,
ბებერს – ჭაბუკად, ქალაჩუნას – მხნედ და მამაცად.
რად არის ასე, ჰე, ღმერთებო, რად არის ასე?
ის თქვენს ქურუმებს და მსახურებს განდევნის თქვენგან,
გულად ვაჟკაცებს გამოაცლის თავქვეშ ბალიშებს;
ყვითელი მონა
შეაკავშირებს და დაარღვევს სხვადასხვა რწმენას;
წყეულს აკურთხებს; ძველ კეთრს აქცევს სათაყვანებლად;
ქურდებს შემოსავს დიდებით და მაღალწოდებით
და დასხამს სკამზე სენატორთა გვერდით: დედაბერს,
დიდი ხნის წინათ დაქვრივებულს, კვლავ გაათხოვებს...
... გასწი, წყეულო მონავ,
– ქვეყნის ნათრევო დედაკაცო.“ და შემდეგ განაგრძობს:

„მაგრამ ფული თვითონ საქონელია, გარეგანი ნივთი, რომელიც შეიძლება ყოველი ადამიანის კერძო საკუთრება გახდეს. ამრიგად, საზოგადოებრივი ძალა კერძო პირის კერძო ძალად იქცევა.

ამიტომ ანტიკური საზოგადოება გმობს ფულს, როგორც მონეტას, რომელზეც მისი ეკონომიური და ზნეობრივი წყობილება ხურდავდება.“

ამის შემდეგ, შენიშვნაში, მოჰყავს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილი ძველი ბერძენი დრამატურგის სოფოკლეს (Sophoclës) (ძვ. წ. 497/496–406)წწ. ტრაგედია, ,,ანტიგონე“-დან, შემდეგი სიტყვები:

„ადამიანთა შორის არაფერს არ შეუქმნია ისეთი ცუდი ზნე-ჩვეულება, როგორც ფულს. იგი ანადგურებს ქალაქებს, აძევებს ხალხს სახლებიდან და რყვნის მის გონებას. კეთილ ადამიანს ცუდ საქმეზე აქეზებს და ყოველ მოქმედებაში უპატიოსნობა შეაქვს.“

თანამედროვე საზოგადოება, რომელმაც თავის სიყმაწვილეშივე თმით ამოათრია პლუტოსი (სიმდიდრის ღმერთი) დედამიწის წიაღიდან, მიესალმება ოქროს როგორც თავისი ყველაზე ძირითადი სასიცოცხლო პრინციპის ბრწყინვალე განსახიერებას“ (58, გვ.171).

როგორც ვხედავთ და როგორც ჩანს, ფული, ადამიანის ცხოვრებაში დიდ ადგილს იკავებს. ერთის მხრივ, მასზეა დამოკიდებული ადამიანის ცხოვრებისეული სიძლიერე, სიმდიდრე, მისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ცხოვრების წინსვლა; მეორეს მხრივ კი, იგივე ფული, ანადგურებს და ამახინჯებს ადამიანის ცხოვრებას, მის ხასიათს, და რაც მთავარია, თვითონ ფულს, ცალკე აღებულს, არ შეუძლია და არ ძალუძს ადამინისა და ქვეყნის გამდიდრება.

ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად გადმოგვცემს ადამიანის ურთიერთობას ფულზე, სიმდიდრეზე და ფულის დამოკიდებულებას ერის სიძლიერეზე, წერილში „კვალად თვითმოქმედების შესახებ“. ავტორი სვამს კითხვას: „კაცობრიობის ისტორიაში ფულმა შეჰქმნა ღონე და ძლიერება ადამიანისა, თუ ღონემა და ძლიერებამ შეჰქმნა ფული, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაცი ჰქმნის ფულსა, თუ ფული კაცსა?“ (1, ტ.8, გვ.319). და თვითონვე სცემს პასუხს: „ღონისა და ძლიერების მიზეზი სხვა რამ არის და არამც და არამც ფული“ (იქვე).

მისი თქმით, ფულის უქონლობა არის „შედეგი და არა მიზეზი უძლურებისა და უღონობისა“. ფულს აჩენს გარჯა და მხნეობა. ზოგიერთნი, ამბობს ილია, „ფულითაც და უფულოთაც უძლურია და უღონოა. ამიტომაც მართალზედ მართალია, ვისაც უთქვამს, რომ „ზოგი მდიდარია, თუნდ ერთის დღის მიწა ჰქონდეს, ზოგი ღარიბია თუნდ თავიდამ ფეხებამდე ოქროში იჯდესო.“ ვინც გულხელ დაკრეფილია და ფულს აბრალებს უღონობას და უძლურებას, ის თავის თავს ატყუებსო და დასკვნის სახით პირდაპირ ამბობს, რომ ერის სიძლიერე დამოკიდებულია გარჯაზე, მხნეობაზე და შრომაზე. იგი წერს:

„საცა ეგ მხნეობა გაქარწყლებულია, საცა გარჯა, ჯაფა, შრომა დავიწყებულია, იქ ერი უღონოა და უძლურია, თუნდა სულ თავიდამ ფეხებამდე ოქროში ჩასვა.“ და მოჰყავს მწერლის, ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ვ ო ლ ტ ე რ ი ს (Voltaire) (1694–1778) სიტყვები: „ფულის უქონლობა-კი არა, ნიჭიერთა და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერს უღონოდაო“ (1, ტ.8, გვ.320).

წერილში, „ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“, ილია აშუქებს ფულის დამოკიდებულებას წარმოებასთან, საერთოდ – საქმესთან. მისი თქმით, თუ წარმოება წესიერად არის აწყობილი, თუ საქმე გამართულად არის აგებული, მაშინ ფულის თვისების თანახმად, ის „თავისთავად ამოძრავდება“. იგი მსჯელობს საქართველოში ღვინის დაყენების შესახებ და წერს:

„ამბობენ, ყველაზედ უწინარეს ფული არის საჭიროო საქმის დაწყებისათვის. ჩვენ ეს აზრი შეცდომად მიგვაჩნია. ფული, როგორც ყოველივე ეკონომიური ძალ-ღონე, ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უქმად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიურის საგნისას და მაშასადამე ფულისაც.

ოღონდ ეს არის, რომ ფული ფრთხილია, წინდახედული და მარტო კარგად და საიმედოდ აგებულს საქმეს ენდობა. კარგად და საიმედოთ ააგეთ ეს საქმე ღვინის გამძლეობისა, საბუთი მიეცით ქვეყანას, რომ თუ ფული გექნებათ, ღვინოს საბაზრო საქონლად გახდით, რომ ყველასაგან ცნობილი სიკეთე აქაურის ღვინისა ღვინოს ხანგრძლივად რჩება, შორს გზას აიტანს, და მაშინ ფული თითონ დაგიწყებთ ძებნას, თითონ შემოგეხვეწებათ, საქმეში წილი დამიდეთო. იმიტომ რომ მაშინ ბაზარიც დიდი ექნება ღვინოს და მოგებასაც აღებმიცემობისას წინ ბევრი არა დაუდგება-რა. საცა მოგებაა, ფული დაკეტილ ზანდუკიდამაც თავისთავად ამოძვრება და თქვენ დაგიწყებთ ხვეწნას. ესეთია ბუნება ფულისა, როგორც ყოველ საეკონომიო ნივთისა, – იქით მიიზიდება, საცა გამორჩენა და ხეირია...

კიდევ ვიტყვით: ფულზედ ნუ ჰფიქრობთ, ოღონდ თითონ საქმეს საიმედო საფუძველი დაუდეთ და ფული თითონ მოგნახავთ“ (1, ტ.7, გვ.188-189).

ილია, წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XIX, აღნიშნავს და ახასიათებს ფულის ეკონომიურ ხასიათს და მის დამოკიდებულებას საქონლის პატრონს შორის.

„ფული ეკონომიებრივ იმისთანა საგანია, რომლის საშუალებითაც უფრო ადვილად და ხერხიანად საქონელი საქონელზედ იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანეთში სააღებ-მისაცემოდ მოქმედობენ, ესე იგი, ეკონომიებრივად ერთმანეთში მიიქცევ-მოიქცევიან. საცა მაგგვარი მიქცევ-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი (рынок) ჰქვიან და მთელი ჯამი აღებ-მიცემობისა საქონლის პატრონთა ერთმანეთში – შეადგენს მას, რასაც მეცნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას (обращение товаров)“ (1, ტ.5, გვ.212).

ავტორის თქმით, ფული ყოველთვის არ არის აღებ-მიცემის საშუალება, იგი თავის დანიშნულების მოვალეობიდან გადაიქცევა გაცვლის საგნად, ესე იგი ფაქტიურად ხდება საქონელი და ეს კი საშუალებაა ფულის ზრდისა. სადაც ხდება მიქცევ-მოქცევა საქონელსა და ფულს შორის, ესე იგი ბაზარში, ხდება ფულისა და საქონელს შორის გაწონასწორება. ამის შესახებ მას ამოუწერია ჯ. მილლის სიტყვები:

„Все находящиеся на рынке товары составляют запрос на деньги и наоборот, все находящиеся на рынке деньги составляют запрос на товары (11-2)“ (21, გვ.315).

მეისნერის პროექტის განხილვისას, ილია განიხილავს საკითხს, როდესაც ფული ფულზედ იცვლება. მეისნერი იყიდის ღვინოს საქართველოში, რომ მერე ეს ღვინო რუსეთში გაყიდოს. ილია ასე ხსნის ამ შემთხვევაში ფულის მოქმედებას:

„ღვინოს იყიდის, რომ ისევ გაჰყიდოს. რას ნიშნავს ეს? აქ ფული რა მოქმედებაშია? აი რა მოქმედებაშია: აქ ფული თითონ ხდება აღებ-მიცემობის საგნად და ღვინოს ამის საშუალებადა ხდის, აქ ფული გადის ფულისვე შემოსატანად ღვინის შემწეობით, ესე იგი, ფული ფულზედ იცვლება. აქ აღებ-მიცემობა არ არის, იმიტომ – რომ აღებ-მიცემობაში გასაცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სახე საგანი კი არა, როგორც აქ ფული ფულზედ, არამედ სხვადასხვა-გვარი, სხვადასხვა-სახე საგანი, მარტო ღირებულების რაოდენობით შეტოლებული“ (1, ტ.5, გვ.213).

ეს კი, არის ილიას თქმით, სინამდვილეში ვაჭრობა. რადგან, მყიდველი, ესე იგი „ფულის პატრონი“ ყიდულობს საქონელს არა თავისთვის მოსახმარებლად, არამედ იმისთვის, რომ მერე გაყიდოს და ფული მოიგოს. ესე იგი აქ ხდება „ფულით ფულის შოვნა“. ეს კი არის სესხება. როგორც ვხედავთ აქ გაცვლა არ ხდება. სესხების დროს „ფული ისე არ გაიცემა, რომ სარგებლით უკუვ არ მოექცეს. მაშასადამე, აქ ფული გადის, რომ მეტი ფული შემოვიდეს...

აქ ფული საშუალება აღარ არის აღებ-მიცემობისა, თავის ეკონომიურს მნიშვნელობას ჰკარგავს, აქ თითონ ფული აღებ-მიცემობის საგნადა ხდება“ (1, ტ.5, გვ.213).

თუ ბაზარი, ანუ ფულის გაცემა და მიღება ხდება ერთი და იმავე სახელმწიფოში, მაშინ ეს ნაკლებ საზიანოა, რადგან ფული აქვე რჩება და ფულის ნაკლებობა არ იგრძნობა. ხოლო, თუ „ფულის მომტანი და გამტანი“, ქვეყნის გარეთ არის, მაშინ ფული „უსათუოდ გაიზიდება, ჩვენს ბაზარს დააკლდება,

ჩვენში ფული დაცოტავდება. საზოგადო კანონია, რომ რამოდენადაც საგანი რამე ბევრია, იმოდენად მისი ფასი ძირს დადის, და რამოდენაც ცოტაა – მისი ფასი მატულობს, თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ ყოფაშია და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ფასის აწევ-დაწევა საკუთრივ საქონლის ფასის აწევ-დაწევაა. მაშასადამე, როცა ჩვენში ზემონაჩვენებ გზით ფული დაცოტავდება, ესე იგი გაძვირდება, საქონლის ფასი დაეცემა საერთოდ“ (1, ტ.5, გვ.214).

ილიას ამონაწერში, ამ საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

«Сумма цен товаров = количеству денег, служащих средствами обращения. Поэтому если число оборотов денег увеличивается, то уменьшается количество их, находящееся в обращении и наоборот. При замедленных денежных оборотах, деньги реже показываются, исчезают на всех пунктах сферы обращения и публика склонна объяснить это явление недостатком денег» (21, გვ. 316).

ილია წერს, რომ საქონელი, როგორც არ უნდა გაიცვალ-გამოიცვალოს, ერთის ხელიდან მეორეში რამდენიმეჯერ არ უნდა გადავიდეს, „მაინც ბოლოს იქ მივა, ვისაც პირდაპირ სახმარად ეჭირვება. დანიშნულება საქონლისა და საქონლის ქცევისა მარტო ეს არის და სხვა არარა, მაშასადამე, საქონელთა შუა ფული იტრიალებს, თუ არ იტრიალებს, მაინც ერთის ნამეტური მეორის ხელში გადავა და თვითეული მათგანი ამით შეივსებს მას რაც აკლია პირდაპირ სახმარად“ (1, ტ.5, გვ.215).

ამ საკითხის შესახებ, ილიას ჩაუწერია უბის წიგნაკში:

«Товар может перепродаваться несколько раз, но с последней продажей он все таки переходит из сферы обращения в сферу потребления» (21, გვ.316).

მეორე ამონაწერი, ეხება სიმდიდრეს და საქონლის ღირებულებას.

«Истинное богатство состоит из потреблённых стоимостей, так как конечная цель всякого продукта есть непосредственное потребление. В мелочной торговле господствует потребительная стоимость. Поэтому потребительная стоимость никогда не может быть рассматриваться как непосредственная цель капиталиста» (21, გვ.316).

ილია აღნიშნავს, რომ „მარტო ფულის გამრავლება არაფერია, როცა საქონელი არა მრავლდება“ (1, ტ.5, გვ.217).

სახელმწიფოში რაც არ უნდა ფული შევიდეს, თუ წარმოება არ განვითარდა, საქონლის მატება არ მოხდა, ის გამდიდრების მაგიერ, გაღარიბდება. და ამის დასამტკიცებლად წერს:

„ამისი ცხადი მაგალითი ის ოთხი მილიონი ფულია, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიამ მიიღო ყმების განთავისუფლების გამო, მერე ისე მიიღო, რომ მის სამაგიეროდ ჩვენის ქვეყნიდამ არა გასულარა. რა დააჩნივა ჩვენს ქვეყანას ამოდენმა ფულმა? მაგოდენა ფულის გამრავლებამ, განა გაგვამდიდრა?“ (იქვე). ამავე ნარკვევის ბოლოს, მეორე მაგალითიც მოჰყავს:

„იმოდენა ფულის სიმდიდრე არსად არ არის, როგორც ინგლისში და მის მზარდამზარ ისეთი სიღატაკეა უმრავლესობისა, რომ ამბადაც ძნელი დასავჯერია. პრუსიამ ხუთი ათასი მილიონი ბავჯაღლო ოქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხადა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შემოსვლისვე უმალ ხალხის გახიზნვამ პრუსიიდამ იმატა, რადგანაც არაქათი ცხოვრებისა აღარ იყო“ (1, ტ.5, გვ.230).

ილია ჭავჭავაძე წერს, რომ საქონლის სიმრავლე, არ იწვევს გასაღების გადიდებას. რადგანაც „საქონელი საქონელზედ კი არ იცვლება ფულის შემწეობით, არამედ საქონელი ფულზედ.“ და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს „დიდად გამოჩენილი მეცნიერის“ სიტყვები:

„რომელიმე ქვეყნის მთელი გამრჯელობა, მთელი მეცადინეობა, მთელი ქონება მიიქცევა ხოლმე რომელიმე წარმოების გასაძლიერებლად იმ იმედის გამო კი არა, რომ ბევრს ფარატინა ქაღალდს მივიღებო, არამედ იმ იმედისა გამო, რომ თავის ნაწარმოების საშუალებით მიიღებს ბევრს სხვადასხვა სარჩო საქონელს საზოგადოდ. სიმრავლე ფარატინა ქაღალდისა თუ ვისმე სიმდიდრე ჰგონია, რატომ იმას კი არა ხედავენ, რომ მთელის იმ სიმრავლით ვერა საგანს ვერ ყიდულობენ იმაზედ მეტს, რამოდენასაც წინად ყიდულობდნენ“ (1, ტ.5, გვ.218).

ამ საკითხის, ფულისა და საქონლის მიმოქცევის შესახებ ილიას ამოუწერია ჯონ მილლის შემდეგი სიტყვები:

«Результат обращения товаров - замена одного товара другим - обусловливается не переменой их формы, а функцией денег и прдставляет только выражение товарного обращения, само товарное обращение является только результатом движения денег» «Обращение есть сумма всех взаимных отношений владельцев товаров» (21, გვ.316).

ილია ჭავჭავაძე, წერილში XIX „შინაური მიმოხილვა. ბ-ნ მეისნერის პროექტი.“, მარტივად და გასაგებად განმარტავს ფულის დამოკიდებულებას მწარ-

მოებელსა და ნაწარმს შორის. ჩვენ არ შეუდგებით ამ განხილვის გადმოცემას, ვინაიდან ავტორის მიერ ისე არის, პურისა და ღვინის მაგალითზე დაყრდნობით გარჩეული თვითეული საკითხები, რომ ეს გამოიწვევდა ხელახლა ამ ნარკვევის გამეორებას.

ილია წერს, რომ რამდენიმე საქონლის „აღებ-მიცემობის შუამავლად ფული საჭიროა“ და მოჰყავს „ერთი გამოჩენილი მეცნიერი“-ს სიტყვები:

„ფასი იმ საქონელთა, რასაც რომელსამე ქვეყანაში ყოველ-წლივ ჰყიდიან და ყიდულობენ, ის ჯამია ფულისა, რაც საჭიროა საქონლის ქცევისა და მორიგებისათვის პირდაპირ მხმარებელთა შორის, და მაგაზედ მეტს ფულსა ის ქვეყანა საქმეს ველარ აუჩენსო და ველარაში გამოიყენებსო“ (1, ტ.5, გვ.220).

ამავე წერილში, იგი განიხილავს ბაზრის საკითხს და წერს, რომ როდესაც ბაზარი ველარ იტევს საქონელს, მაშინ ქვეყანამ, ან უნდა ახალი ბაზარი გამონახოს, ან უნდა თავისი წარმოება შეამციროს. თვითონ ბაზარი, მას მიაჩნია „როგორც საერთო, საყოველთაო სასწორი საქონელის ღირებულებისა“, რომელიც ემორჩილება „საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე, ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სივრცეზედ“ (1, ტ.5, გვ.224).

ილია ჭავჭავაძის ნაწერების გაცნობისას ჩანს, რომ იგი იცნობდა კაპიტალიზმის ძირითად კანონებს. აღნიშნავდა მის როგორც დადებითს, ასევე უარყოფით მხარეს. მისი აზრით, კაპიტალიზმის უარყოფით მხარეს წარმოადგენს, მისი მისწრაფება, რომ „ფულს აბარტყებს ფულით“ და ამის გამო ხდება ხალხის მდგომარეობის გაუარესება.

ილია, კაპიტალისტური წარმოების შესახებ წერს, რომ როდესაც ის სხვა ქვეყანაში იკიდებს ფეხს და ცდილობს ამ ქვეყანაში შევიდეს, იგი ისწრაფვის ამავე ქვეყნის სიმდიდრე ხელში ჩაიგდოს და ამ ქვეყანაში დაბანდებული ფული მოგებით აინაზღაუროს. ადგილობრივ საქონელზე ფასების აწევით ვაჭრობა თანდათან გააუარესოს და ამით მთელი სახელმწიფოს წარმოება და ვაჭრობა ხელში ჩაიგდოს. ეს რა თქმა უნდა სახელმწიფოს ეკონომიკას ძირს დასცემს და გააუარესებს. ამიტომ, მეისნერის პროექტის განხილვისას ილიას გამოაქვს დასკვნა, რომ თუ მეისნერი საქართველოდან ღვინოს გაიტანს რუსეთში გასაყიდათ, „თქვენი ხეირი ის იქნებაო, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვენი ღვინოო, იმას თქვენ კი არ დაგალევინებთ, რუსეთში გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნებაო და სახრავი კი ჩემიო. თქვენ მარტო ვენახების კეთებაც გეყოფათო“ (1, ტ.5, გვ.229).

ეს არის კაპიტალიზმის – კაპიტალის მიზანი და მისწრაფება, თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს მწარმოებელი და მისი შრომა გამოიყენოს. ამიტომ არის, რომ კაპიტალიზმის დროს ხდება მშრომელი ხალხის სიღარიბე. კაპიტალისტის გამდიდრება დამოკიდებულია ხალხის შრომაზე. სიმდიდრესა და შრომასთან დაკავშირებით, ილიას ამოუწერია ლ. უორდის სიტყვები:

«Богатство всегда составляет причину труда, но труд не всегда есть причина богатства» (21, გვ.314).

სხვა ქვეყანაში კაპიტალიზმის შესვლისა და კაპიტალობრივი წარმოების დანერგვის შესახებ, ილიას მოჰყავს „ერთი გამოჩენილი მეცნიერის" სიტყვები:

„კაპიტალობრივი წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელში არ არჩენს წარმოების საშუალებასაო და ცდილობსო მარტო მისის მარჯვენის ანაბარას დააგდოს და სხვა ყოველისფერი ჩამოართვასო" (1, ტ.5, გვ.229).

ილია აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარება იწვევს ერთის მხრივ სიმდიდრეს, ხოლო მეორეს მხრივ – მუშათა რაოდენობის გამრავლებას და სიღარიბეს. მას მოჰყავს ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწის უილიამ გლადსტონის (Gladstone) (1809–1898) სიტყვები:

„ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისი) ყოფა-ცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო" (1, ტ.5, გვ.230).

ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მიერ კაპიტალის დახასიათების შესახებ წერს:

„ასეთია ის შესანიშნავი დახასიათება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აძლევს უცხოეთის კაპიტალს ამა თუ იმ ქვეყნისათვის. ამ კაპიტალის კოლონიურ და ექსპლოატატორულ ხასიათსა და მიზნებს. ამიტომ იყო, რომ იგი იბრძოდა საქართველოში უცხოეთის კაპიტალის შემოჭრის წინააღმდეგ და საუცხოოდ ამხილებდა ასეთი კაპიტალის ჭეშმარიტ ზრახვებს. მაგრამ, როდესაც იგი ლაპარაკობდა უცხოეთის კაპიტალის მიზნებზე, მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ასეთი მიზნები გამომდინარეობდა თვით კაპიტალიზმის ბუნებიდან, მიუხედავად იმისა, იქნებოდა იგი უცხოეთისა თუ ადგილობრივი წარმოშობის" (26, გვ.379).

ილია ჭავჭავაძის წერილების განხილვისას ჩანს, რომ იგი დიდ ყურადრებას აქცევდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობას, რადგან მისი საშუალებით

ხდება საქონლის განაწილება, ქვეყნის ერთი ადგილიდან ნაწარმის გადატანა მეორე ადგილას. ესე იგი ხდება სხვადასხვა ადგილებში საქონლის მომხმარებლამდე მიტანა.

წერილში, ,,შინაური მიმოხილვა“ XVI-ში, რომელიც მან დაწერა 1882 წელს, იგი წერს:

,,ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამდენადაც იგი ეხიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ – საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან“ (1, ტ.5, გვ.174).

წერილში, ,,თბილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება“, ილია განიხილავს საქართველოში ვაჭრობის განვითარების საკითხს. საუბრობს სახელმწიფოსა და ვაჭრობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ.

ილია წერს, რომ სახელმწიფოსათვის საჭიროა ვაჭრობა. რომელ სახელმწიფოშიც უფრო მეტად იქნება განვითარებული ვაჭრობა, მით უფრო ის იქნება მდიდარი. ვაჭრობის განვითარება მოითხოვს მრეწველობის განვითარებას. ამიტომ საჭიროა მისთვის ხელის შეწყობა. ილიას აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს საკრედიტო დაწესებულებები. რომლებიც, სახელმწიფო იქნება თუ საზოგადო, სესხითა და კრედიტით, ხელს გაუმართავენ ,,ვინც ვაჭარია და ვინც სავაჭრო საქმეს და საქარხნო, თუ საფაბრიკო მრეწველობას მისდევს. ამ სახით ვაჭრობას დიდი და ფართო გზა აქვს მიცემული საჭირო ფული იშოვნოს თავის საქმეში სამოქმედოდ და სატრიალებლად“ (1, ტ.7, გვ.485).

ილია აღნიშნავს, რომ მარტო, ცალკე ვაჭრობა, არაფრის მაქნისია, თუ სახელმწიფოში არ განვითარდა მრეწველობა და ფაბრიკა-ქარხნები.

,,ვერავინ ვერ იტყვის, რომ ვაჭრობა, როგორც ერთი ძლიერი ღონე ერის ეკონომიურად წარმატებისა, ღირსი არ იყოს შემწეობისა და შველისა. ხოლო არ შეიძლება სახეში არ იქონიოს სახელმწიფომ, თუ საზოგადოებამ, რომ მარტო ვაჭრობა, რაც გინდ ბევრი ფული მიადინოთ, უღონოა სასურველ ზომამდე გაძლიერდეს. თუ მასთან ერთად არ აღორძინდება და არ წარიმატებს სხვა მრეწველობაცა, რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს“ (1, ტ.7, გვ.485).

ამავე დროს, ილია ჭავჭავაძე, ვაჭრობის შესახებ საუბრისას, ახასიათებს თვით ვაჭრებს შორის მეტოქეობას და ამბობს, რომ ვაჭრობა დამოკიდებული არის ადამიანის შრომის შედეგად მიღებული საქონლის სიმრავლეზე. ხოლო თავისთავად საქონლის მიღება კი დამოკიდებული არის, ადამიანის მეცნიერულ ცოდნაზე, მოსავლის გაძიდებაზე, ტექნიკის გაუმჯობესებაზე და ეს ყველაფერი

იწვევს შემოსავლის და ვაჭრობის გაძლიერებას. მაგრამ სავაჭრო შემოსავალი რომ გაძლიერდეს, მწერლის თქმით, თვითონ ვაჭარი უნდა იყოს პატიოსანი და ნამუსიანი. მხოლოდ ასეთი ვაჭარი ნახულობს მეტ მოგებას. მხოლოდ ასეთი ვაჭარი მოიპოვებს უპირატესობას. ყოველთვის ასეთი წესიერი ვაჭარი გამოდევნის უწესო და ხარბს ვაჭარს.

ილია წერს, რომ საგარეო ვაჭრობის დროს ხდება ერთი ქვეყნიდან მეორეში მოჭარბებული საქონლის გატანა. მაგრამ, ამავე დროს აღნიშნავს, რომ:

„ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს. არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვინოს, რაც აკლია ქვეყნის დანარჩენ სარჩოდ. – და მოჰყავს „გამოჩენილი მეცნიერის სიტყვები“:

„ვაჭრობის სარგებლობა, იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გაჰყიდოს საქონელი, როგორც აქამომდე ეგონათ, (აქვე, ილია შენიშნავს, რომ „მოძღვრება, რომელიც მერკანტილ-სისტემად ცნობილია მეცნიერებაში, ამას ჰქადაგობდა, და ეხლა ეგ მოძღვრება უარყოფილია.“), არამედ იმაში, რომ გასასყიდი საქონელი საშუალებად ხდება სასყიდის საქონლის შესაძენადაო“ (1, ტ.5, გვ.222).

საგარეო ვაჭრობის შესახებ, ილიას ამოუწერია კ. მარქსის შემდეგი სიტყვები:

«Капиталистическое производство не может существовать без внешней торговли» (21, გვ.293).

საგარეო ვაჭრობას შესანიშნავად ახასიათებს, ილია წერილში, „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედერობა და პროტექციონობა.“ იგი წერს:

„ქვეყანა ისეა განლაგებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტნაკლებობა იძულებული ჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანოს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია შემოიტანოს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტნაკლებობის გამო თვითეული სახელმწიფო სხვისი მუშტარიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთაშორისო აღებ-მიცემობა, ვაჭრობა.

რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას-კი ცოტას ჰყიდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი. ეგრეთწოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ

სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდულობაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა, და როცა არა, საზიანოაო.

აქედამ აშკარად სჩანს, რაზედ უნდა მიქცეული იყოს მეცადინეობა ყოველის სახელმწიფოსი საერთაშორისო აღებ-მიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა-კი თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოს. აი სწორედ აქა და აქედამ ჰმტრობენ ხოლმე ერთმანეთს სახელმწიფოები, როცა ერთმანეთს აეშლებიან“ (1, ტ.7, გვ.314).

ვაჭრობის დადებითი დანიშნულების გარდა, ილია აღნიშნავს მის უარყოფით მხარესაც. მისი თქმით, ქვეყანა მარტო ვაჭრობით ვერ იარსებებს, რადგან თვითონ ვაჭრობა, არ ქმნის გასაყიდ საქონელს და ერი, რომელიც მარტო „ვაჭრობაზეა მიქცეული“ და ამით ფიქრობს გამდიდრებას, საბოლოოდ განადგურდება, „სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს.“ ასეთ ერს, „ერად ყოფნისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროთი ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იმიტომ – რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა“ (1, ტ.5, გვ.174).

ილია ასე ახასიათებს ვაჭარს:

„დაშორება ცალკე პურის პატრონისა, რომელსაც ფული უჭირს, და ცალკე ფულის პატრონისა, რომელსაც პური უჭირს, მიზეზია იმისი, რომ შუაკაცი ჩნდება და იგი ერთისაგან პურს ჰყიდულობს, რომ მეორეს მიჰყიდოს. ამ ყიდვა-გაყიდვაში იგი ერთსაც ახდევინებს გასამრჯელოს და მეორესაც“ (1, ტ.7, გვ.7).

„რა არის ვაჭარი და რაში მდგომარეობს მისი საქმე. ვაჭარი შუა კაცია ჭირნახულის მომქმედთა და ჭირნახულის მხმარებელთა შორის; რაც მეტი აქვს ჭირნახულის მომქმედს, იმას ართმევს აღებ-მიცემობით და აწვდის მხმარებელს, რომელსაც ჭირნახული უჭირს საკვებად და სახმარად... ადამიანი საზოგადოდ და ვაჭარი განსაკუთრებით ხარბია და ამიტომაც ვაჭარი სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და რაც შიძლება მეტად გაჰყიდოს. ეს ცდა მოჭირნახულესაც ხელში ლუკმას უტეხს და მხარებელსაც.

ორივე ესენი ჰზარალობენ, და ამათს ზარალზე შენდება მოგება სინდისზედ ხელაღებულ ვაჭრისა“ (1, ტ.7, გვ.20).

ამიტომ არის, რომ ვაჭრების ხელში, ილიას თქმით, როგორც „გამსყიდველიც“, ასევე „მსყიდველნიც“, ორივე ზარალდებიან. ვინაიდან, ერთის მხრივ, უფულობის გამო, შრომის შედეგად მოპოვებული საქონლის გამყიდველი იძულებულია

თავისი ნაწარმი იაფად გაყიდოს და მეორეს მხრივ, „საყოველდღეო ცხოვრე-ბისათვის საჭირო“ საქონელი მყიდველმა ძვირად იყიდოს. ამიტომაც არის, რომ ვაჭრები ტყავს აძრობენ გამყიდველსაც და მყიდველსაც, ხოლო თვითონ კი ამათ ხარჯზე მდიდრდებიან.

ილია ჭავჭავაძე თავის ნაშრომებში, ახსნა-განმარტებას იძლევა საქონლის თვითღირებულების შესახებაც. საქონლის ღირებულების გაზრდისა და შემ-ცირების შესახებ.

ილიას აქვს ამონაწერი გამყიდველსა და საქონლის თვითღირებულების დამოკიდებულების შესახებ:

«Никакой продавец не может постоянно продовать свой товар выше их стоимости, не подчиняясь в тоже время необходимости самому платить дароже за товары других продавцов». მეორე ამონაწერი ეხება საქონლის ღირებულების ხელოვნურად გაზრდას. «Невозможность создавать самовозрастающую стоимость» (21, გვ.316).

ჩვენ აღარ შეუდგებით ილია ჭავჭავაძის ნაშრომების ეკონომიურ საკითხე-ბის შესახებ განხილვას, რადგან, შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგის, სხვადასხვა ეკონომიკური საკითხები, მას განხილული აქვს თავის ნაწერებში და მისი წერილებისა და ნარკვევების გაცნობის შემდეგ, მკითხველი დარწმუნდება, რომ იგი შესანიშნავად ერკვეოდა ეკონომიურ საკითხებში. ჩვენის აზრით, სწორია ტ. სართანია, როდესაც ილია ჭავჭავაძის კრიტიკოსების შესახებ წერს:

„უსამართლოდ აკრიტიკებენ ილიას ზოგიერთი თანამედროვენი, უფრო კი ამ საქმისაგან შორს მყოფნი, რომ ილია თითქოს ვერ სწვდებოდა მთელი რიგი ეკონომიკური საკითხების სიღრმეს და უტიფრად მიუთითებენ ილია ჭავჭავაძის რაღაც შეზღუდულობასა და აზროვნების ნაკლოვანებებზე. მაშინ, როცა თვით მოკრიტიკენი ამჟღავნებენ ამავეს და აშკარავებენ თავიანთ გაუთვითცნობიერე-ბლობას აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას“ (21, გვ.137).

„მეტად სამწუხაროა, როცა ილია ჭავჭავაძეს მკვლევარები აკრიტიკებენ მცდარი პოზიციებიდან, კერძოდ, ეკონომიური კატეგორიების გაგების საკითხში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, ილია ჭავჭავაძე სავსებით მოწოდების სიმაღლეზე დგას და ასეთი „კრიტიკა“ მოკრიტიკეთა გაუთვითცნობიერებლობაზე უფრო მეტყველებს ეკონომიკის საკითხებში, ვიდრე ილიას მცდარობაზე“ (21, გვ.239).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძის დროს, საქართველოში სას-ტიკად მძვინვარებდა ცენზურა და რა თქმა უნდა, მის დროს, სოციალიზმის შესახებ წერა სასტიკად იყო აკრძალული. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა,

ილიამ გაზეთ „ივერიაში“, მაინც შეძლო სოციალიზმის შესახებ რამდენიმე წერილის გამოქვეყნება, ოღონდ სიტყვა „სოციალიზმი“ შეცვლილი აქვს სხვა გამოთქმებით (მაგ. „სოციალურის წყობილების“ და სხვა). ამიტომ ყოვლად მიუღებელია ზოგიერთი მისი დროინდელი და შემდეგ, საბჭოთა ხანის ავტორთა კრიტიკა ილიას მიმართ, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ იგი სოციალიზმის დამცველი არ იყო.

გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძეს, როგორც განმანათლებელს ახასიათებს, ვ. ლენინის სიტყვებით, რომ მას: „სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს.“ და „ილია ჭავჭავაძის განმანათლებლობით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ იგი ყოველთვის მთელი ხალხის, მთელი ერის სახელით ლაპარაკობდა და არა რომელიმე კლასის ან რომელიმე წოდების სახელით, სწორედ ისე, როგორც საერთოდ (და აქ მოჰყავს ისევ ლენინის სიტყვები. ა. ფ.) „განმანათლებელები, მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოყოფდნენ, როგორც განსაკუთრებული ყურადღების საგანს. ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“ (22, ნაწ.I, გვ.5).

„ძნელია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის მიკუთვნება რომელიმე სკოლისა თუ მიმართულებისათვის. მისი მსოფლმხედველობა შეიცავს მატერიალიზმსაც (უფრო მეტად მატერიალიზმს) და იდეალიზმის ელემენტებსაც; იგი განმანათლებელიც არის და ზოგიერთ ნაროდნიკულ იდეებსაც მხარს უჭერს... ეს სირთულე უდავოდ აღიმართება იმის წინაშე, ვინც ცდილობს ილია ჭავჭავაძის მთელი მემკვიდრეობის კრიტიკულად შესწავლას, ვინც მიზნად დაისახავს იგი წარმოიდგინოს გარკვეული სისტემის სახით“ (22, ნაწ.II, გვ.433).

გ. ჯიბლაძე აღნიშნავს, რომ;

„მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ჩვენ ზოგჯერ ვპოულობთ მეტაფიზიკური და იდეალისტური შეხედულებების რეციდივებს, სამართლიანობა მოითხოვს აღიარებულ იქნას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მთელ ქართულ ლიტერატურას იდეალიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგ ყველაზე დიდი მებრძოლი ილია ჭავჭავაძის სახით ჰყავდა“ (22, გვ.63).

„თვით ერმა იგრძნო, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მოვიდა ცოცხალი, ენერგიით სავსე, ახალგაზრდა თერგდალეული, როგორც რუსეთში კარი შეაღო რაზნოჩინეცმა. გამოჩნდა საზოგადო მოღვაწეთა მთელი

ფალანგა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და ამ პლეადაში შედიოდნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე...“ (22, ნაწ.I, გვ.17).

„რაზნოჩინელების უტილიტარულმა შეხედულებებმა ხელოვნებაზე კვალი დააჩინეს 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის – თერგდალეულების ლიტერატურულ-ესთეთიკურ იდეალებსაც. ამ ინტელიგენციის ყველაზე ნიჭიერი და ტიპიური წარმომადგენელი იყო ილია ჭავჭავაძე“ (23, გვ.56).

ტ. სართანია აღნიშნავს, რომ:

„აკად. გ. ჯიბლაძის ვრცელი მონოგრაფიის („ილია ჭავჭავაძე“, თბ., 1966 წ., გვ.85) ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ „... წინამდებარე მონოგრაფია გვაძლევს სრულ წარმოდგენას XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი ქართველი მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ავტორი საინტერესო ანალიზს უკეთებს ქართველ რაზნოჩინცთა ბელადის მხატვრულ შემოქმედებას ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით“... ილია ჭავჭავაძე თვითონ არ იყო რაზნოჩინცი და არც მხოლოდ რაზნოჩინცი ინტელიგენციის ბელადი იყო. რაზნოჩინცებზე მეტი წვლილი ქართული კულტურის განვითარების საქმეში მიუძღვით ისეთ არარაზნოჩინცებს ქართველ სამოციანელთაგან, როგორიც იყვნენ აკ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ნ. ნიკოლაზე, დ. ყიფიანი და სხვები, რომელთა წინამძღოლიც ილია იყო“ (21, გვ.251).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ასეთ და ამდაგვარ კრიტიკოსების შესახებ საუბარს. რადგან ისინი წერდნენ საბჭოთა წყობილების, საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენის დროს.

ტ. სართანია, ილიას ზოგიერთ ამდაგვარ კრიტიკოსების შესახებ წერს:

„ზოგიერთი მკვლევარი ილია ჭავჭავაძეს არასწორ მოთხოვნებს უყენებს, ვერ ითვალისწინებს რა იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, რომელშიც ცხოვრება უხდებოდა და აკრიტიკებს მას თანამედროვე პოზიციებიდან“ (21, გვ.238).

ჩვენის აზრით, ეტყობა ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარნი, განგებ თვალს ხუჭავდნენ, ან ყურადღებით არ ჰქონდათ წაკითხული ილია ჭავჭავაძის ნაშრომი „აი ისტორია“, სადაც აღნიშნავდა:

„ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა და ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით დროების

შვილნიცა. ესე რომ არ იყოს, კაცი ვერც საბუთს უპოვნის, ვერც აზრს, თუნდ მთელს ჯგვაროსნობის ომებს, რომელსაც მთელმა ევროპამ კინაღამ თავი არ შეაკლა. ეს ხომ ანბანია ისტორიის ფილოსოფიისა, რომლის კალთას ხშირად გადააფარებენ ხოლმე ბალღების მოსატყუებლად გალაღებულნი უვიცნი, როცა ტყუილების ბადეში გაებმიან და სხვა გასამართლებელი არა აქვთ-რა“ (1, ტ.4, გვ.66).

საბჭოურ ლიტერატურაში, კერძოდ, რუსულ ენაზე გამოცემულ საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში სოციალიზმი შემდეგნაირად არის განმარტებული:

«Социализм, первая, или низшая, фаза комунизма... После 2-ой мировой войны 1939-45 образовалась мировая система социализма. В СССР построено развитое социалистическое об-во.

Социализм уничтожает частную собственность и эксплуатацию человека человеком...

Социалистическое об-во состоит из трудящихся: рабочего класса, кооперированного крестьянства и интеллигенции. Руководящую роль играют рабочий класс и его авангард – марксистско-ленинская партия» (61, გვ.1258).

ხოლო, საბჭოთა ფილოსოფიური ლექსიკონი, იძლევა შემდეგ განმარტებას:

„სოციალიზმი (ლათ. socialis – საზოგადოებრივი) – სოციალური წყობილება წარმოშობილი სოციალისტური რევოლუციის შედეგად, რომელიც ახორციელებს კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლას. სოციალიზმი ეფუძნება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას, რომელიც განაპირობებს ექსპლოატატორული კლასებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არარსებობას, საზოგადოების ურთიერთობებს“ (48, გვ.529).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში კი წერია:

„ჩვენი ეპოქა მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვების ეპოქაა. მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრება მოწინავე კაცობრიობის ფიქრთამპყრობელი გახდა და რევოლუციური პრაქტიკად, ცოცხალ სინამდვილედ იქცა. კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე კაცობრიობის განვითარების გზა მეცნიერული სოციალიზმის შუქით არის გასხივოსნებული“ (15, ტ.6, გვ.467).

როგორც ამ სოციალიზმის განმარტებებიდან ჩანს, რა თქმა უნდა ილია ჭავჭავაძე, საბჭოური დებულებების თანახმად, ვერასდროს ვერ გახდებოდა მარქსისტი და სოციალისტი, რასაც უსაყვედურებდნენ და აკრიტიკებდნენ ზოგიერთი საბჭოთა მკვლევარები.

ჩვენ მოვიყვანთ, საბჭოთა წყობილების დროინდელ, ზოგიერთი მეცნიერის გამონათქვამს ილია ჭავჭავაძის შესახებ.

პ. რატიანი წერდა:

„როგორც ცნობილია, მთავარი მარქსიზმში, სული და გული ამ მოძღვრებისა ესაა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურაზე, რომლისკენაც კლასთა შეჯახებას და პროლეტარულ რევოლუციას მივყევართ. მაგრამ სწორედ ეს მოძღვრება არ შეეძლო გაეზიარებია ი. ჭავჭავაძეს, თუ იგი წინასწარ ხელს არ აიღებდა თავის საკუთარ მოძღვრებაზე, რომლის დედააზრი, როგორც ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, საქართველოში კლასთა „შერიგებისა“ და ჰარმონიული შეთანხმების მიღწევაში მდგომარეობდა.

ამიტომ ილიას ცდა, როგორმე გადაერჩინა თავისი სათაყვანებელი იდეა ქართველი ხალხის ერთიანობისა და მისი ყველა კლასის „მორიგებისა“, – წინასწარვე განწირული იყო დასაღუპავად. მარქსისტულ თვალსა-ზრისზე დადგომა მოითხოვდა ილიას პოლიტიკური კონცეფციის უყოყმანოდ უკუგდებას და სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმას მუშათა კლასის მხარეზე, 1905 წლის რევოლუციის მხარეზე.

ეს იქნებოდა ერთადერთი გზა არა მარტო მუშათა კლასის ბედნიერებისათვის, არამედ მთელი კაცობრიობის და, მაშასადამე, ქართველი ხალხის ბედნიერებისათვისაც ბრძოლისა. მასთან ერთად, ეს იქნებოდა ილიას ოცნებათა განხორციელების ერთადერთი გზაც. მაგრამ, როგორც ვიცით, ი. ჭავჭავაძე ამ გზით არ წავიდა“ (24, გვ.279).

ხოლო, გ. ჯიბლაძე ასე ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს:

„თუ ჩვენ მთლიანად განვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას, არ შეიძლება არ ვიგრძნოთ, რომ მისი პუბლიცისტიკა, პოზიტიური გაგებით, ექსტენსიურია ფორმითაც და შინაარსითაც. არ დარჩენილა იმ დროისათვის არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც ილია არ შეხებოდეს. ღრმა ცოდნასთან ერთად, მას ჰქონდა მახვილი პოლემისტის მკაფიო უნარი. ფილიპე მახარაძემ ერთხელ მიუთითა, რომ ილია ჭავჭავაძეს ძლიერ ემარჯვება მოწინააღმდეგის არა მარტო დამცირება, არამედ თავისი თავის გამართლებაცო. მის მსჯელობას ყოველთვის თან ახლდა დიდი დამაჯერლობა. მაშინაც კი, როცა ილია ყალბ საფუძველზე დგას, მისი არგუმენტირება ისეთ ფორმას ატარებს, რომ არამახვილი მკითხველისათვის დამარწმუნებელია. სწორედ ამ დროს შესამჩნევია წინააღმდეგობათა რთული კონგლომერაცია, რასაც თავისი საფუძვლები უნდა მოენახოს“ (22, ნაწ.II, გვ.447).

„ჩვენთვის სავსებით გამორკვეულია ის საკითხი, რომ თავის მოძღვრებას ილია ჭავჭავაძე ჰუმანიზმის ისეთ მანტიაში ხვევდა, ისეთი ზოგადკაცობრიული მასშტაბით აყენებდა სოციალურ პრობლემებს, რომ თუ მკვლევარი ასო-ასო, ცალკე დებულებებს განყენებულად გამოეკიდება, შეიძლება იქ ბევრი რამ სრულად საწინააღმდეგო თეორიებსა და რადიკალურად დაპირისპირებულ სკოლებს მიაკუთვნოს“ (22, ნაწ.II, გვ.489).

„საერთოდ, ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში ინტეგრალური სოციალიზმის აღმოსაჩენად შეგვეძლო ციტატების ზღვა დაგვეყენებინა“ (22, ნაწ.II, გვ.496).

„კერძო საკუთრების ინსტიტუტი ილიას მიაჩნდა ხელშეუხებელ ტაძრად, სადაც სიმშვიდე არ იყო და უნდა დამყარებულიყო... იმ ეპოქაში, როცა ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა და დღევანდელ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მთელ სახელმწიფოებრივ წყობას, მართლაც, კერძო საკუთრება ჰქონდა და აქვს დადებული ქვაკუთხედად. მაგრამ თერგდალეულების ბელადს არ ესმოდა, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი სოციალური ჩაგვრისა, კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც თავის მიზნად კერძო საკუთრების მოსპობას ისახავს, რათა ის საყოველთაო ბედნიერების წყაროდ გადააქციოს. ამით ბოლო მოეღება ლეგიმიტაციურ კერძო საკუთრებას, როგორც დაკანონებული უკანონობის ფორმას. მაგრამ, ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძეს ასე არ აქვს წარმოდგენილი. პირიქით, როგორც მოვიხსენიეთ, მას დამწაშავედ მიაჩნდა ის, ვინც არღვევდა ლეგიტიმაციურ მფლობელობას... მისთვის კერძო საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის საბუთი სხვა არაფერია, თუ არა ის, „რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო.“ ეს ბრალდება უდიდესი შეცდომა იყო, რომელმაც ხელი შეუშალა ილია ჭავჭავაძეს მეცნიერულად განემარტა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა, უფრო ახლო მისულიყო მარქსიზმთან და არ დაკმაყოფილიყო მარტო იმით, რომ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსისათვის სახელოვანი ეწოდებინა, ზოგიერთი რამ მიეღო მისგან, მაგრამ მთავარი კი ხელიდან გაეშვა და უყურადღებოდ მიეტოვებინა“ (22, ნაწ.II, გვ.478).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ამ თემაზე საუბარს, მხოლოდ ერთს კი ვიტყვით, რომ მარქსიზმისა და სოციალიზმის საბჭოური იდეოლოგების მიერ განმარტებების სისუსტე, დღევანდელმა ცხოვრებამ, მით უმეტეს საბჭოთა წყობილების რღვევისა და დაშლის შემდგომმა წლებმა, ნათლად დაადასტურა.

საარქივო მასალებიდან აშკარად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე მიახლოებულიც იყო მარქსიზმთან, მისი მოძღვრება დამუშავებული და გაგებულიც ჰქონდა.

ტ. სართანია წერს, რომ ილია, იმ დროინდელ „ქართველ მარქსისტებს ხშირად უსწორებდა მათ მიერ მარქსისტული დებულებების მცდარ გაგებას, რისთვისაც არაიშვიათად მიმართავდა კ. მარქსის ავტორიტეტს და ამონაწერებს მისი „კაპიტალიდან“, მაგრამ ილიას ნათელ სახეს დიდხანს ჩრდილს აყენებდა ის მცდარი მიმართულება, რომელსაც ფართოდ ავრცელებდნენ და ნერგავდნენ ხალხში ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი უღირსი ადამიანები“ (21, გვ.255).

როგორც ცნობილია, სოციალური მდგომარეობის გადმოცემა სცადეს თავიანთ ნაშრომებში, ჯერ კიდევ XVI–XVIII საუკუნეებში ზოგიერთმა მეცნიერებმა:

ინგლისში:

თომას მორმა (More) (1478–1535) – გამოჩენილი ჰუმანისტი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე. „უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აღორძინების ეპოქის რაციონალისტ-ჰუმანისტი... იგი ოცნებობდა ახალი წყობილების მშვიდობიანი გზით განხორციელებაზე“ (48, გვ.390). მან 1516 წელს, ბელგიაში, გამოაქვეყნა უტოპიური სოციალიზმის იდეების ამსახველი ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაშრომი „უტოპია“, სადაც ასახული იყო არ არსებულ კუნძულ უტოპიაზე ფანტასტიკური წყობილება. მისივე მოგონილი სიტყვაა – „უტოპია“, რომელმაც შემდგომ პოვა ლიტერატურაში გავრცელება;

ჯერარდ უინსტენლიმ (Winstanley) (1609–1652) – სოციალ-უტოპისტი. „სოციალურ-პოლიტიკური იდეალის დასაბუთებისას მთლიანად ვერ განთავისუფლდა თეოლოგიისაგან, მაგრამ ძირითადად რაციონალიზმის პოზიციებზე გადავიდა და ბუნებრივი უფლების თეორიას კერძო საკუთრების გადაჭრით დაგმობის სულისკვეთებით ავითარებდა. ეთიკისა და მორალის საკითხები მატერიალისტურად ესმოდა“ (48, გვ.580). 1652 წელს გამოცემულ ნაშრომში, „თავისუფლების კანონი“, აღწერა უკლასო საზოგადოება.

იტალიაში:

თომაზო კამპანელმა (ჯოვანი დომენიკო – 1582 წ. ბერად აღკვეცამდე.) (Kampaneila) (1568– 1639) – ფილოსოფოსი, პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე. „ადრეული უტოპიური კომუნიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი... იბრძოდა სქოლასტიკის წინააღმდეგ, ავითარებდა, იმ დროისათვის მოწინავე სენ-სუალიზმისა და დეიზმის იდეებს... თავისუფალი აზროვნებისათვის ინკვიზიციისაგან იდევნებოდა“ (48, გვ.252). 1623 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში, „მზის ქალაქი“, აღწერა ქალაქი, სადაც საზოგადოება უზრუნველყოფილი იყო როგორც პოლიტიკურად, ასევე ეკონომიურად.

საფრანგეთში:

გრაკხ ბაბეფი (ფრანსუა ნოელი) (Babeuf) (1760–1797) – რევოლუციონერი. უტოპიური კომუნიზმის წარმომადგენელი. მისი აზრით კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ, უნდა დამყარებულიყო კომუნისტური საზოგადოება. „ბაბეფსა და მის მომხრეებს, ბაბუვისტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ მეცნიერული კომუნიზმის წინამორბედებს შორის. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ძირითადად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბაბეფის ნაწარმოებებს, რომლებიც პროლეტარიატის მოთხოვნებს ასახავდა (მარქსი კ. და ენგელსი ფ., კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974, გვ.52), მაგრამ ამასთანავე გმობდნენ ბაბუვიზმისათვის დამახასიათებელ უხეშ გამთანაბრებლობას. ამ მოძრაობის ისტორიული მნიშვნელობა პირველ ყოვლისა ის არის, რომ ბაბუვისტებმა პირველებმა სცადეს ავჯანყების საშუალებით განეხორციელებინათ კომუნისტური იდეალები“ (15, ტ.2, გვ.118).

დენი ვერასი (Vairasse d`Ailais) (დაახლ. 1630–დაახლ. 1700) – მან (1677–1679) გამოსცა რომან-მოგზაურობის „სევარამბების ისტორია“. „ეს იყო საფრანგეთში პირველი ნაწარმოები, რომელშიც მოცემულია უტოპიური სოციალიზმის იდეების პროპაგანდა“ (48, გვ.187). ამ ნაწარმოებში ასახა არ არსებული საზოგადოება, სადაც კანონდებელმა სევარისმა სოციალური რეფორმები გაატარა;

გაბრიელ ბონი დე მაბლი (Mably) (1709–1785) – ისტორიკოსი და პოლიტიკური მოაზროვნე. მისი აზრით კომუნისტური წყობილება ადამიანთა წარმოშობის დასაწყისში იყო და დღევანდელ დღეს კომუნისტური წყობილების შექმნას შეუძლებლად თვლიდა. „ყველა საზოგადოებრივი მანკიერების მიზეზად კერძო საკუთრების წარმოშობას თვლიდა... მაგრამ მაინც მისი სოციალური ფილოსოფიის მრავალმა მხარემ ხელი შეუწყო სოციალისტური იდეების გავრცელებას“ (48, გვ.325);

ჟან მელიე (Meslier) (1664–1729) – ფილოსოფოს-მატერიალისტი და ათეისტი. „ფრანგული უტოპიურ სოციალიზმში რევოლუციური მიმართულების ფუძემდებელი. მისი ძირითადი შრომა „ანდერძი“ საზოგადოებისა და მისი ბედის პირველი ნიმუშია... მელიეს კითხულობდნენ და მის იდეებს პროპაგანდას უწევდნენ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის სრულიად სხვადასხვა წარმომადგენლები – მე-18 ს. პირველი ნახევრისდეისტებიდან და ვოლტერიდან მოყოლებული მატერიალისტ-განმანათლებლებამდე და ბაბუვისტ

მარეშალამდე“ (48, გვ.356). იგი მოითხოვდა საზოგადოების გარდაქმნას რევოლუციის გზით. რელიგიას ხალხის მტრად მიიჩნევდა.

მორელი (Moreliy) (XVIII ს. – ფრანგი უტოპიური კომუნისტი). 1755 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, „ბუნების კოდექსი“, „თანამედროვე წყობას იგი განიხილავს როგორც არაგონივრულს, როგორც შეცდომის შედეგს. მას გონივრული წყობა წარმოუდგება ცენტრალიზებულ სამეურნეო კომუნად“ (48, გვ.389).

რობერტ ოუენი (Owen) (1771–1858) – რაციონალიზმის მიმდევარი და ათეისტი. „იდეალისტურად განიხილავდა ისტორიას როგორც თანდათანობით პროგრესს ადამიანის თვითშემეცნებაში; სოციალური ბოროტების ფესვებს ხედავდა ადამიანთა უვიცობაში“ (48, გვ.432);

კლოდ ანრი დე რუვრუა (de Rouvroy) სენ-სიმონი (Saint-Simon) (1760–1825) – მოაზროვნე და სოციოლიგი. „უტოპიური-სოციალისტი... სენ-სიმონი იზიარებდა ფრანგული მატერიალისტების შეხედულებებს, იბრძოდა დეიზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგ, უპირისპირდებოდა მათ „ფიზიციზმს“, ე. ი. ბუნების შესწავლას. იგი გადაჭრით იცავდა დეტერმინიზმს, ავრცელებდა მას ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისტორიული კანონზომიერების იდეის დაფუძნებას“ (48, გვ.512).

ფრანსუა მარი შარლ ფურიე (Fourier) (1772–1837) – „უტოპიური სოციალისტი. ფურიე საზოგადოების ღრმა და შთამბეჭდავი კრიტიკით გამოვიდა... ისე როგორც სხვა უტოპიური სოციალისტებისათვის, დამახასიათებელია პროლეტარიატის ისტორიული როლის ვერგაგება, უარის თქმა რევოლუციაზე, როგორც არსებული საზოგადოების გარდაქმნის საშუალებაზე. თავისი მიზნების განხორციელება მას განზრახული ჰქონდა სოციალისტური იდეების მშვიდობიანი პროპაგანდით, მათ შორის კაპიტალისტებშიაც“ (48, გვ.623). იგი უარყოფდა ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლას და რევოლუციას. მისი აზრით საზოგადოების გარდაქმნა უნდა მომხდარიყო მშვიდობიანი გზით, ახსნა-განმარტების გზით.

რუსეთში, უტოპიურ-სოციალისტებად ითვლებიან:

ალექსანდრე გერცენი (1812–1870) – მწერალი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, რევოლუციონერ-დემოკრატი, მოაზროვნე-მატერიალისტი, რუსეთში „ხალხოსნობის ფუძემდებელი... გერცენის იდეური გზა რთულია, მაგრამ მთელ მის წინააღმდეგობებით სავსე თეორიულ ძიებებში გზას იკაფავს ერთი მთავარი მისწრაფება: საზოგადოებრივ-ფილოსოფიური აზრის უმაღლეს მიღ-

წევებზე დაყრდნობით ახალი „რეალისტური“ მეცნიერული თეორიის შექმნა, რომელიც იდეურად დააფუძნებდა მომავალ სოციალურ გადატრიალებას“ (48, გვ.101).

ნიკოლოზ ჩერნიშევსკი (1828–1889) – მწერალი, კრიტიკოსი, ფილოსოფოს-მატერიალისტი, სოციალის-უტოპისტი. „ჩერნიშევსკი იყო რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ბელადი, რუსი სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი გამოჩენილი წინამორბედი, რომელიც თანმიმდევრულად ატარებდა „გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას“ (48, გვ.662). და სხვები.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, უტოპიურ-სოციალისტებად მოხსენიებულნი არიან: „ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე. სოციალ-უტოპისტებმა გააკრიტიკეს კაპიტალიზმი, იწინასწარმეტყველეს სოციალიზმის ზოგიერთი მხარე, მაგრამ ვერ დაუკავშირეს თავიანთი სოციალისტური იდეალი მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას და ვერ დაასაბუთეს სოციალიზმი მეცნიერულად“ (15, ტ.9, გვ.487).

ჩვენის აზრით, საბჭოთა იდეოლოგების მიერ, ზემოთ დასახელებული ჩვენი საზოგადო მოღვაწეების უტოპიურ-სოციალისტებად მოხსენება, არასწორია და შეცდომაა.

ტ. სართანია წერს:

„ილია ჭავჭავაძე იყო რევოლუციურ-დემოკრატი საქართველოში თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით. იგი მომხრე იყო რევოლუციური გზით სოციალიზმის გამყარებისა სხვა ქვეყანაში, სადაც კაპიტალიზმი საკმაოდ იყო განვითარებული და საქართველოსათვის – როგორც ჩამორჩენილი კოლონიური ქვეყნისათვის, იგი მიზანშეწონილად არ თვლიდა ასეთი გზით მშრომელთა გათავისუფლებისათვის ბრძოლას.

„ილია ჭავჭავაძე დგას თავისი დროის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეების სიმაღლეზე. იგი მატერიალისტური ფილოსოფიის საფუძველის ჩამყრელია გასული საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში“ (11, გვ.73)“ (21, გვ.241).

წერილში, „მეცხრამეტე საუკუნე“, ილია აღნიშნავს, რომ XIX საუკუნემ კაცობრიობას შესძინა „დიდი და სახელოვანი საქმე“, „და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი – ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი. მარ-

თალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად.“ ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენა არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად“ (1, ტ.5, გვ.8).

ილიას ამ ადგილას, მოყვანილი აქვს გ. შმოლერის სიტყვები წიგნიდან, „Наука о народном хозяйстве. Её предмет и методы.“ რომლის რუსული თარგმანი 1898 წელს გამოქვეყნდა. ოღონდ, ცენზურის გამო სიტყვა „სოციალიზმი“ შეცვალა „სოციალური წყობილებით“. ამ ადგილის შესახებ ვ. გაგოიძე წერს:

«Идеал социализма – устранение неравенства имуществ и доходов, уничтожения всякого классового господства, а по возможности и всех классовых различий: подъем и поддержка трудящихся классов – вот та законная цель, которой он служит, и на этом пути достиг уже многого». ეს უკანასკნელი ადგილი ილიას სიტყვა-სიტყვით შეუტანია თავის წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მსოფლ-მხედველობის განვითარების ერთგვარ დასკვნისა და ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილების ახლებურად გააზრების ცდას.

მართალია, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული წერილი ამტკიცებდეს ილიას სოციალისტობას, მაგრამ ერთი კი ცხადად ჩანს, რომ ილია თანაგრძნობით ეკიდება სოციალიზმის იდეას“ (26, გვ.114).

ამავე ნაშრომიდან, ილიას ამოუწერია კომუნიზმის ძირითადი სახელმძღვანელო დებულება:

«Каждому по его потребностям, от каждого по его способностям (Учение коммунизма)» (21, გვ.158). უბის წიგნაკში, ამავე წიგნიდან, ამოწერილი აქვს ადგილი, რომელიც ეხება ხალხთა ბრძოლას ახალი, უკეთესი მომავლისათვის.

«Люди борющиеся за лучшие условия труда, борются и за нравственные идеалы и, поднимаясь сами, поднимают нацию. Купцу и фабриканту

простительно не думать о далёком будущем, экономист же обязан иметь пред собою более широкие перспективы» (21, გვ.160).

წერილში, „ევროპა 1886 წელს“, ილია აღწერს გერმანიის „შინაურ საქმეებს“, გერმანიის სახელმწიფო მოღვაწის, იუნკრულ-ბურჟუაზიული გერმანიის იმპერიის დამაარსებლისა და რეიხსკანცლერის ოტო ედუარდ ლეოპოლდ ბისმარკის (თავადი ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი) (Bismarck) (1815–1898) დროს. ილია ბისმარკს უწოდებს „რკინის კანცლერს“, „რკინის კაცს“, „მეტად მოხერხებულ კაცს“, „უშიშარს“, „რკინის და სისხლის“ პოლიტიკოსს, რომელსაც „ეხლანდელის პოლიტიკის მავთულები ხელთ უპყრია“ და რომელმაც „1870 წელს ბისმარკმა თავზარი დასცა საფრანგეთსა, მთელი ნემენცობა გააერთა, პრუსიის კოროლი ვილჰელმი მთელის გერმანიის იმპერატორად დასვა“ (1, ტ.9, გვ.98).

ილიას მიერ მოხსენებული ფრიდრიხ ლიუდვიგ ვილჰელმ I ჰოენცოლერნი (1797–1888), იყო პრუსიის მეფე 1861-იდან, ხოლო 1871-იდან გაერთიანებული გერმანიის იმპერატორი. ილია წერს, რომ მას აქეთ რაც გერმანია გაერთიანდა „პირველობა და უპირატესობა გერმანიამ დაიჭირა ევროპაში და ბისმარკმა ისე შეჰბოჭა და შეკრა ევროპის საქმეები, რომ უიმისოდ თითქმის არც ერთი საქმე არ ასტყდება ხოლმე და არც ერთი საქმე არ გათავდება“ (1, ტ.9, გვ.98).

ილია გადმოგვცემს ო. ბისმარკის დამოკიდებულებას და შეხედულებას სოციალისტების მიმართ. ამავე წერილიდანვე ვიგებთ, თუ რა მადიდებელი არის თვითონ ავტორი, სოციალისტებისა და საერთოდ სოციალიზმის მოძღვრებისა. ილია წერს:

„არის კიდევ ერთი გამჭრიახი და მხნეობით აღჭურვილი დასი „სოციალ-დემოკრატებისა“, რომელიც დღედადღე ძლიერდება გერმანიაში და რომელიც ეგრეთწოდებულ მეოთხე წოდებას, ესე იგი მუშათა საკეთილდღეოდ იბრძვის. ეს გაძლიერება მეტად არ მოეწონა ბისმარკს და ჯერ კიდევ 1878 წელს პარლამენტს მიაღებინა ეგრეთწოდებული „კანონი სოციალისტების თაობაზედ“ იმ განზრახვით, რომ ამ გაძლიერებას გზა შეუკრას“ (1, ტ. 9, გვ. 106).

„ბისმარკი არაფერს არ ერიდება, რომ სოციალობას გერმანიაში აბრუ გაუტეხოს. ვერც მოძღვრება სოციალობისა შეუწყნარებია და ვერც უარ-უყვია. ვერ შეუწყნარებია იმიტომ, რომ დღევანდელ დღეს დაჰპატრონებია მარტო შეძლებული... რომელიც დღეს განაგებს თითქმის ყველგან შინაურ, თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას...

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრნი გულნაკლულად რჩებიან. აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა და დღევანდელს სატკივარსაც გერმანიისას.

ამ სახით, აშკარაა, ბისმარკი რატომ ვერ შეუწყნარებია მოძღვრება ამ მეოთხის წოდებისა და ან უარ ვერ უყვია. ერთის მხრით შეძლებაა და ფული, მეორეს მხრით მარჯვენა და ჯანი. ორგანვე ძალაა და წყლული“ (1, ტ.9, გვ.107).

ილია ჭავჭავაძეს ამოწერილი აქვს გ. შმოლერის სიტყვები, სადაც, „სოციალიზმის ფილოსოფიას“ იგი უკავშირებს მშრომელთა ფილოსოფიას...

«Философия Адама Смита - это философия богатых, философия социализма - философия бедных». იგი ამით ხაზს უსვამს მკვეთრ განსხვავებას ადამ სმიტისა და მარქსის ფილოსოფიას შორის“ (21, გვ.158).

ილია, სოციალიზმის მოძღვრებას, უწოდებდა „უმწეოთა მოძღვრებას“.

მკითხველი, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ ნაწარმოების, წერილების, ნარკვევებისა, თუ მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში, აშკარად დაინახავს, რომ იგი ყოველთვის იცავდა და ემხრობოდა დაჩაგრულ, „უმწეოთა კლასს“, გლეხებსა და მუშებს. იგი, ყოველთვის ცდილობდა ეს ორი წოდება დაეცვა ჩაგვრისაგან და ყოველთვის თანაუგრძნობდა ამ „შესაბრალისს ხალხს“.

ისმის კითხვა, კაპიტალიზმი უსათუოდ უნდა შეიქმნას თუ არა ქვეყანაში და ეს საფეხური, უსათუოდ უნდა გაიაროს საზოგადოებამ? ამ საკითხთან დაკავშირებით, ილიას ამოუწერია შემდეგი სიტყვები, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო შეიძლება განვითარდეს კაპიტალისტური წყობილების გარეშე.

«Представляет ли капитализм роковую, неизбежную стадию, через которую должно пройти всякое человеческое общество? (На страницах от 250-257, Белтов утверждает, что Маркс не признавал объязательности этой стадии.)» (21, გვ.158).

ილიას აქვს ამოწერილი კ. მარქსის სიტყვები, ამ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალ «Отечественные записки»-ს რედაქტორისადმი გაგზავნილ წერილიდან:

«Если Россия будет продолжать идти путем, избранным ею после 1861 г., он потеряет один из самых удобных случаев, который когда либо историчесский ход давал народу для минования всех перипетий капиталического развития» (21, გვ.295).

ამის გარდა, ილიას აქვს კიდევ მეორე ამონაწერი კ. მარქსის „კაპიტალი“-დან:

«Так как экономическое движение каждого общества имеет самобытный вид, вследствие самобытности условий, среди которых оно совершается, то не может быть никакой формулы прогресса, охватывающее будущее экономическое движение всех обществ» (21, გვ.295).

ამ ამონაწერებიდან ჩანს, რომ თვითეულმა ქვეყანამ, თვითეულმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ, უნდა გამონახოს თავისი განვითარების გზა და სრულებითაც არ არის საჭირო, რომ ყველამ გაიაროს კაპიტალიზმის განვითარების ყველა საფეხური. როგორც ამას ქადაგებდნენ საბჭოთა მესვეურები. ამიტომაც, ილიას აზრი, რომ ყოველივე საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო დროის შესაფერისად და ის გზა, რაც ევროპის სახელმწიფოებმა გაიარეს, სრულებითაც არ იყო საჭირო, რომ საქართველოს გაევლო, იყო სწორი.

როგორც ზემოთ ,აღვნიშნეთ, რომ ილია, პროლეტარიატის – ამ „შესაბრალისი ხალხი“-ს, წარმოქმნას, უკავშირებს ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას; ილიას აზრით, პროლეტარიატის გაჩენის მიზეზები, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა იყო. ჩვენთან, საქართველოში – პროლეტარიატის შექმნას უკავშირებს, ბატონყმობის გაუქმებას და კაპიტალიზმის შემოსვლას. ინგლისში, კი – საფეიქრო მრეწველობის განვითარებას.

წერილში, „ევროპა 1886 წელს“, ილია წერს, რომ „სიმრავლე უმამულო მუშახალხისას“ და სამრეწველო კრიზისმა, უამრავი მუშახალხი უსაქმოდ დატოვა, რამაც გამოიწვია სიღარიბე.

ილიას თავის უბის წიგნაკში აქვს ჩაწერილი:

„Обезземление кристьян (სოფლის გაქალაქება – ი. ჭ.) ведет приливу рабочих рук на фабрику – ამბობს ილია ჭავჭავაძე,– а это ведет к понижению заработной платы.

Обнищение населения ведет к ослаблению покупательных сил, а это порождает уменьшение спроса на фабричные продукты, а отсюда происходит изгнание рабочих из фабрик». ი. ჭავჭავაძე“ (21, გვ.294).

ილია აღნიშნავს, რომ როდესაც ინგლისში დაგროვდა ამდენი უმამულო, უმუშევარი, უსახსრო ხალხი, ინგლისის მთავრობას, რომ აეცდინა ამ „მუშახალხის აღრევა“, წამოიწყო კოლონიური პოლიტიკა, „რომ მეტი ხალხი გაეზიდა ინგლისიდამ და ბინა ახლად დაჭერილს ქვეყნებში მოიკიდოს.“ ამის გარდა მწერლის თქმით:

„დიდძალს საქონელს ჰქმნის ინგლისი. ამ საქონლის გასაღება უნდა. ევროპა ვეღარ იტევს სიმრავლეს საქონლისას და ერთმანეთში გაძლიერებული ცილობაც ხელს უშლის. ვაჭრობის გზის გასახსნელად, საქონლის გასასაღებლად სხვა უფრო შორეული ქვეყნებიღაა, ნამეტნავად ის ქვეყნები, რომელთაც ზღვა აქვთ შესავალად. ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები აზიაში, მთელი აფრიკა, სამხრეთი ამერიკისა და სხვანი – სულ კაი ლუკმაა საქონლის აღებ-მიცემობისათვის. ბოლოს დროს ასე გაუჭირა საქმე სხვა სახელმწიფოებსაც ამ საქონლის უმუშტრობამ, რომ საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამაც-კი საკოლონიო პოლიტიკას ჩაჰკიდეს მაგრად ხელი და ამ სახით ზღვათამფლობელსა ინგლისს მოცილედ გაუხდნენ“ (1, ტ.9, გვ.79).

როგორც ვხედავთ, ილია, ამ საკოლონიო პოლიტიკასაც უკავშირებს კაპიტალიზმის ეკონომიკას.

ეკონომიკასთან დაკავშირებით, ილიას ამოუწერია „კაპიტალიდან“ რამდენიმე ადგილი, რომელიც ეხება საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას და ექვემდებარება მატერიალური წარმოების წესს:

პირველი ამონაწერი ეხება საფაბრიკო კანონმდებლობას.

«Фабричное законодательство, говорит Маркс (Капитал. т. стр. 420) – это первое сознательное и целесообразное воздействие общества на самопроизвольные возникания формы процесса производства» (см. Бернштейн, пункт 3- ий, ფურცელი მე-3) (Это и есть не экономический фактор (мое замечание». ილია ჭავჭავაძე).“

მეორე ამონაწერში, კ. მარქსი ეხება არა ეკონომიურ მამოძრავებელ ძალას.

«Первым „не экономическим фактором» является политическая сила, которая по Марксу (капитал т. 1. 645) есть ничто иное, как „непосредственная сила, принадлежащая в неэкономической сфере (стр. 165)

В другом месте (капитал, 111, 645) Маркс вновь указывает, что политическая власть является не только „надстройкой“ над экономикою, но и «экономическим деятелем», говоря: «особенная хозяйственная форма в которой неоплаченный прибавочный труд извлекается из непосредственных производителей, определяет отношение господства и подчинения, как оно возникает непосредственно из самого производства и с своей стороны оказывает определяющее влиание на последних» [208, ფურცელი –3] (стр. 165)“.

მესამე ამონაწერში, განიხილება ფ. ენგელსის მიერ, ფილოსოფოსისა და პოლიტიკური ეკონომისტის კონრად შმიდტისადმი (Schmidt) (1863–1932) წწ., მიწერილი წერილი.

«Энгельс по мнению Берштейна говорит тоже самое. В письмах к Конраду Шмидту, говорит Берштейн: Фридрих Энгельс прекрасно выяснил, - каким образом общественные учереждения, сами являясь продуктами экономического развития, в свою очередь делаются самостоятельными, социальными силами, с своею собственною эволюциею, оказывают обратное влияние на экономическое развитие и могут то ускорить его, то тормозить, направлять по другому пути» (стр. 165) ფურცელი მე 3-4“ (21, გვ.292-293).

ილია ჭავჭავაძეს ეკონომიური თეორიების და კანონების მეცნიერული ცალ-ცალკე განხილვა არ აქვს მოცემული. იგი იმ დროის საქართველოს ვითარებასთან გამომდინარე, ყველაფერს განიხილავდა პრაქტიკული თვალსაზრისით, საზოგადოებასთან დაკავშირებით სოციალურს, პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მოვლენებს იხილავდა ერთად, რადგან მას მიაჩნდა, რომ სამივე ეს მოვლენა მოქმედებდა ცხოვრებაზე და მათი ცალ-ცალკე განხილვა არ იყო სწორი. ილია „ცხოვრებას“ იხილავდა, ერთის მხრივ, როგორც ადამიანის დაკავშირებას ბუნებასთან, მის სულიერ და პრაქტიკულ მოღვაწეობას; და მეორეს მხრივ, ადამიანის ურთიერთობას წარმოებასთან და მასთან დაკავშირებულ მატერიალურ მხარეს. მისი აზრით, ცხოვრებას, ისევე როგორც ბუნებას, აქვს თავისი კანონზომიერება და მამოძრავებელი ძალა. საერთოდ, საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად ილია თვლიდა ეკონომიურ-მატერიალურ მხარეს, რომელიც ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (ილია ჭავჭავაძის შეხედულება ცხოვრებაზე, ჩვენ აღვნიშნეთ ზემოთ, როდესაც ვიხილავდით წერილს, „საქართველოს მოამბეზედ“).

წერილში, „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“, ილია განიხილავს საქართველოსა და სახვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას. სიხარულით აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაშიც, „აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ“ (1, ტ.7, გვ.8).

სიამოვნებით წერს, რომ საქართველოში, ხალხი გამოფხიზლდა და ამ ბოლო დროს ხდება მსჯელობა კახეთის ღვინისა და იმერეთის სიმინდის საქმის წამოწყებაზე, სოფლის მეურნეობის წარმატებისათვის და კახეთის რკინისგზის მშენებლობისათვის. ეს კი:

„იმის მომასწავებელია, რომ ქართველობა ახალ და სწორ გზაზე გამოდის სამოქმედოდ, და იმედია, რომ იგი ბოლოსაც გაატანს, რადგანაც სწორე გზის პოვნა და მასზე სვლა ნახევრად გამარჯვებაა“ (1, ტ.7, გვ.9).

ილია თვლის, რომ ადამიანის ბედნიერება არ არის დამოკიდებული ბუნების მიერ მოცემულ სიმდიდრეზე. ადამიანის ცხოვრებაში, ეკონომიურ დასაყრდენს წარმოადგენს უფლება და მოვალეობა. ადამიანმა უნდა იცოდეს რა არის მისი საკუთარი და სხვისი. იქ სადაც საკუთრებაა, ესე იგი მოვალეობასთან ერთად უფლებაც გაქვს მისი ხმარებისა, ცხოვრება ვითარდება და წინ მიდის. ხოლო, როდესაც სხვისია და შენი კი არაფერია, ესე იგი საკუთრება არ არის, იქ ცხოვრება ფერხდება და არ ვითარდება. ამიტომ ცხოვრების განვითარება ხდება იმ საზოგადოებაში, სადაც მოვალეობა და უფლება თანაბრად არის განაწილებული.

ადამიანის უფლება-მოვალეობის შესახებ მსჯელობს ილია წერილში, „ცხოვრება და კანონი“:

„ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოობისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ“ (1, ტ.6, გვ.7).

ამ აზრის დასამტკიცებლად, ილია ადარებს ორ სახელმწიფოს, შოტლანდიას და სპარსეთს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდია ბუნებით ღარიბია და შოტლანდიელთ ამის გამო უხდებათ დღე და ღამის გასწორება, და ასეთი შრომით მოიპოვოს სარჩო-საბადებელი, ის უფრო ცხოვრებით კმაყოფილია და თავს უფრო ბედნიერად გრძნობს, ვიდრე სპარსელი, რომელიც ბუნებით უფრო მდიდარია და ბუნებით უფრო უხვია, „რომლისთვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოებისათვის“ (1, ტ.6, გვ.7).

აქაური მაცხოვრებელი უფრო ღარიბია ვიდრე შოტლანდიელი. ამის მიზეზი არის ის:

„რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდება და სხვისა აქ იწყებაო“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა,— ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია,— ეგ ჩემი უფლებაა...

რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის“ (1, ტ.6, გვ.8).

ილია ჭავჭავაძის ამ შეხედულების სისწორე, დაამტკიცა განვლილმა დრომ. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ერთ-ერთი უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო საბჭოთა კავშირი, სადაც ყველაფერი უნდა გამხდარიყო საერთო და სახალხო. რომელმაც 70 წელი ძლივს-ძლივობით გასძლო და უცებ დაიშალა.

ადამიანთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას, ილია ხედავს შრომაში. შრომას, გარჯას და მხნეობას, იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. შრომას მიუძღვნა მან არაერთი წერილი თუ ნარკვევი (ამის შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი).

წერილში, „თავად-აზნაურობის უქმობით ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა“, იგი ერთხელ კიდევ განიხილავს ამ საკითხს. შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი, ქებათა ქებაა, ხოტბაა, შრომის, გარჯის და მხნეობისა.

ილია ჭავჭავაძე საყვედურობს ზოგიერთ თავად-აზნაურებს, რომ ისინი უუნარობას იჩენენ, არ უვლიან და არ პატრონობენ თავიანთ ადგილ-მამულს და ამის გამო ხდება მიწების დაკარგვა.

„ადამიანის ცხოვრება, და ნამეტნავად ეკონომიური, გაუწყვეტელი ჭიდილია და გამარჯვებული მარტო იგია, ვინც მხნეა, საქმის კაცია და ხელიდამ რამ გამოსდის. ვისაც ეს ზნე არა სჭირს, იმას ამ ჭიდილში ფეხზედ არა დააყენებსრა, რაც უნდა ულოლიაოთ და უაროთ. კაცი, რომელიც მარტო მჭამელი და შთანთქმელია და არა მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედამიწის ზურგიდამ ასაგველად. იგი ყოველთვის უღონოა ჭიდილისათვის ბრძოლაში და ამიტომაც მარტო ერთი უბრალო შემთხვევა ჰკმარის ხოლმე ძირს დასცეს და პირქვე დაამხოს“ (1, ტ.8, გვ.325).

ვინც შრომობს, ირჯება და მხნეობს, ისინი არა თუ კარგავს თავიანთ მამულს, არამედ სხვა მიწებსაც იძენს. „ეს აუცილებელი შედეგია, გაუტეხელი ბუნებაა

ყოველგვარის სიმდიდრისა, რომელიც ყოველთვის უქმს მიურბის, რომ საქმიანს კაცს მიეცეს“ (1, ტ.8, გვ.327).

ხოლო, იმას ვისაც შრომა არ უყვარს, არასდროს მდიდარი არ იქნება. რადგან:

„სიმდიდრე იმისთანა ბუნებისაა, რომ ყოველთვის მიურბის ხელიდამ უუნაროს და უქმს და მიეზიდება უნარიან და საქმიან კაცისკენ. ეს ეკონომიური რკინის კანონია და ისე გარდაუვალი, აუცილებელი, დაურღვეველი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ვინც ამ რკინის კანონს ეჭიდება გასატეხად, ის უფრო ადრე თვითონ გადატყდება ამაო ბღაუჭობაში“ (1, ტ.8, გვ.326).

ილია შენიშნავს, რომ შრომას შედეგი აქვს მაშინ, როდესაც წინასწარ არის განსაზღვრული კანონით უფლება და მოვალეობა. ეკონომიურ წარმოებას, ილია განიხილავს ერთის მხრივ, როგორც ადამიანთა შორის ეკონომიკურ ურთიერთკავშირს, ხოლო მეორის მხრივ, თვით საწარმოო ძალისა და იარაღების განვითარებას; და სწორედ ამ ორი სახის ძალისხმევად ხედავს ილია საზოგადოების გაძლიერებას, ერის აღორძინებას, ერის ღონიერებას და ერის სიძლიერეს. ასე, რომ ცხოვრების, ეკონომიურ-მატერიალურ მხარეს მიიჩნევს საზოგადოების, როგორც საგარეო, ასევე საშინაო მდგომარეობის, წარმოსახვაში. ამის გამო მოითხოვდა ილია, რომ ვინაიდან საქართველო წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის ქვეყანას, აქ პირველ რიგში უნდა განვითარებულიყო სასოფლო სამეურნეო იარაღების დამამზადებელი წარმოებები და ეს წარმოებები უნდა ახალი ტექნიკით, მანქანებით, დანადგარებით, იარაღებით და სასოფლო სამეურნეო მცოდნე პირებით მომარაგებულიყო.

წერილში, „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“, ილია წერს;

„ჩვენი ეგრეთწოდებული ეკონომიური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზედ ნაკლებ ხელ-ხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეთ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლერებისა, შინა და გარეთ დამოკიდებულებისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა“ (1, ტ.7, გვ.36).

საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა, ილია ჭავჭავაძის თქმით, არის მოაზრე და მოსაქმე მხარე, რომლებიც ერთმანეთზეა დამოკიდებულნი და ერთად ქმნიან ცხოვრებას და თუ საზოგადოებას რომელიმე მხარე აკლია, მაშინ საზოგადოების განვითარება ფერხდება.

წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, იგი წერს:

„ცხოვრება ყოველთვის ორ დიდ ტოტად დადის. ერთი ტოტი მოაზრე ცხოვრებაა, (Идейная жизнь), მეორე – მოსაქმე, (Практическая), რომელნიც ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ხან ერთია მეორისაგან წარმოდგენილი, ხან მეორე პირველისაგან. თვით აზრიც არა არის რა გარდა იმისა, რომ საქმეა ჯერ განუხორციელებელი, და საქმეც – აზრია, უკვე განხორციელებული“ (1, ტ.3, გვ.204).

ვ. გაგოიძე, ილიას ცხოვრების შესახებ შეხედულებაზე, წერს:

„როდესაც ილია ლაპარაკობს ცხოვრებაზე, როგორც სახოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფუძველზე, ამ საფუძველს იგი გარკვეულად განსაზღვრავს, როგორც წარმოებით ურთიერთობათა და მწარმოებლურ ძალთა ერთობლიობას. მართალია მას ეს ტერმინები არ უხმარია, მაგრამ ილიას მთელი აზრთა მსვლელობა იმ შინაარსის გარშემო ტრიალებს, რომლებიც ჩვენს მარქსისტულ ლიტერატურაში ამ ტერმინებითაა გამოთქმული. ილია ჭავჭავაძეს არ დაუყენებია აგრათვე არც ის საკითხი, რომ საზოგადოების ეკონომიური ბაზისის შინაგან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს წინააღმდეგობა წარმოებით ურთიერთობასა და მწარმოებლურ ძალებს შორის, თუმცა 900-იან წლებში დამუშავებული ლიტერატურის კონსპექტში იგი არა ერთხელ უსვამს ხაზს ამ საკითხს“ (26, გვ.58).

ილიას ამოწერილი აქვს ი. კანტის სიტყვები, რომელიც ეხება კერძო და საზოგადო ეკონომიკას:

«Кант о свободе конкуренции.

Между частною экономией и общественной существует большая разница. Частная экономия руководствуется двумя стремлениями: наименьшее затратить и наибольшее выручить. Общественная экономия, получая деньги от населения, стремится возвратить ему его средства в форме выгод и удобств, недостижимых для отдельного лица (пред. губ. земс. управы Шкляревич)» (21, გვ.314).

ილია ჭავჭავაძე, კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების წარმოშობას, ეკონომიური ცხოვრების ბუნებრივ მოვლენად თვლის და ამ საზოგადოებების ჩამოყალიბების მიზეზად მიწა მიაჩნია. მისი აზრით, მიწაზე შრომა, წარმოადგენდა კერძო საკუთრების წარმოსახვის საბაბს, ხოლო კერძო საკუთრებამ ხელი შეუწყო საერთოდ საზოგადოების შექმნას.

ილიას დროს, კერძო საკუთრება წარმოადგენდა ძირითად სახელმწიფო წყობილების საფუძველს. ამიტომაც იყო, რომ კერძო საკუთრების შესახებ წერილში, „ნუთუ?“, აცხადებს:

„კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე. და თუ გლეხკაცობა დღეს თავისას მანდამაინც არ იშლის და კერძო საკუთრებას ხელს ატანს, ეს ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია იმით კი არა, რომ სამართალი რამ მიუძღოდეთ, არამედ იმით, რომ დღევანდელი მოძრაობა სოფლისა ცეცხლსავით მოედო მთელს საქართველოს და ყველა თუ უნებლიედ თან წაიყოლია...

კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“ (1, ტ.9, გვ.279).

ილია არ განიხილავდა საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების ცალ-ცალკე საფეხურებს. ძირითადად მას აინტერესებდა მხოლოდ ბატონყმობის დრო, ესე იგი თავად-აზნაურობისა და გლეხთა ურთიერთობა; ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის დროს საკუთრების ფორმები და მიწაზე მწარმოებელთა მდგომარეობა.

ილია ჭავჭავაძე კლასების ანუ წოდებების წარმოშობას უკავშირებდა ეკონომიურ მდგომარეობას. ეკონომიური ბატონობის მოპოვების შემდეგ, გაბატონებულმა საზოგადოებამ, თავისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, დაიწყო ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის. ესე იგი წარმოიშვა დაპირისპირება წოდებებს შორის: ფეოდალ-მებატონებსა და გლეხებს შორის; ბურჟუაზია-კაპიტალიზმსა და პროლეტარიატს შორის.

მწერლის აზრით, ფეოდალიზმსა და ბურჟუაზიის აღმოცენების საფუძველი განსხვავებული იყო, თუმცა, კერძო საკუთრების ძირითადი თავისებურება და სახელმძღვანელო დებულება იგივე დარჩა. ხოლო, კაპიტალიზმის დროს, უფრო მეტად გამწვავდა დაპირისპირება წოდებებს შორის. მთელი სიმდიდრე აღმოჩნდა ერთეულთა ხელში. ამის გამოც მოხდა წვრილ მესაკუთრეთა გაუქმება, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გაპროლეტარიატება და რაც მთავარია – დამყარდა ფულის ბატონობა. კაპიტალიზმა შექმნა ახალი ეკონომიური საფუძველი – კერძო საკუთრება მიწაზე, შეცვალა საქარხნო-საფაბრიკო საკუთრებამ და მოძრავმა ქონებამ.

კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნისა და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, ილიას აქვს მოხსენებული არა ერთ წერილსა და ნარკვევში. ნარკვევში, „ხიზნების საქმე,“ განხილული აქვს საზოგადოებრივისა ანუ თემობრივისა და კერძო საკუთრების წარმოშობის მიზეზები. მან შესანიშნავად ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი საკუთრების დაშლისა და კერძო საკუთრების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა. იგი წერს:

„რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მას მერმეთ დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაციობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერძოობითი. ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა მიმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა“ (1, ტ.6, გვ.122).

ილიამ, ეს საკუთრების წარმოქმნის პროცესები, დაუკავშირა ეკონომიურ მდგომარეობას. ილია არ შეეხო მონათმფლობელობის დროს და უშუალოდ გადადის ფეოდალიზმზე, რადგან თვლის, რომ კერძო საკუთრების იდეა და სახელმძღვანელო დებულება, ყველადროისათვის ერთი და იგივეა. იგი წერს:

„რომელი ერიც გინდა აიღოთ მთელს ქვეყნიერებაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ და ან მეორე. მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, – რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა-შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა“ (1, ტ.6, გვ.141).

ილია აღნიშნავს, რომ პირველყოფილი საზოგადოების დროს, „ზოგადს ელემენტს საკუთრებისას,.. უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში“. დროთა განმავლობაში, „საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო“, ზოგადმა საკუთრებამ, „გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა“ (1, ტ.6, გვ.142).

ილიას თქმით, ფეოდალიზმმა დაარღვია და მოშალა „ბუნებრივი მდინარება ეკონომიურის ცხოვრებისა, იმიტომ რომ, ერთ მხრივ დარჩა მუშახელი უმიწოდ და მეორე მხრივ – მიწა უმუშახელოდ“ (იქვე).

შუა საუკუნეებში, სახალხო მეურნეობის ჩამოყალიბების შესახებ, ილიას ამოუწერია კ. ბიუხერის წიგნიდან, «Происхождение народного хозяйства“ შემდეგი ადგილები:

«Образование народного хозяйства есть главным образом план политической централизации, касавшеися в конце средных веков (стр. 46)».

«Народнохозяйственное разделение труда вообще есть продукт исторического процесса, а не элементарное экономическое явление» (стр. 71)» (21, გვ.298).

ეკონომიკის შესახებ ილიას ამოუწერია გ. პლეხანოვის შემდეგი სიტყვები:

«Только в популярной речи можно говорить об экономии, как о первичной причине всех общественных явлений. Далёкая от того, чтобы быть первичною причиною, она сама есть следствие, «функция» производительных сил» (Бельтов, 173 стр.) (А производительные силы вырастают из земли, падают с неба или саморождаются что-ли? – კრიტიკულად შენიშნავს ილ. ჭავჭავაძე)“ (21, გვ.294).

გ. პლეხანოვის ნაშრომიდან, «К вопросу о развитии монистического взгляда на историю“, ილიას ამოუწერია ადგილი, სადაც გადმოსცემს ფსიქოლოგიის ზეგავლენას ეკონომიკაზე:

«Принимая, что психология приспособляется к экономии общества, Маркс тем самым признавал её огромное ни чем не заметное значение» (Бельтов, 172).“

ილიას ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ის ზოგიერთ საკითხებში არ ეთანხმებოდა გ. პლეხანოვს და არ იზიარებდა მის მოსაზრებებს.

«Экономия и психология общества, по мнению Бельтова (стр. 175), представляют две стороны одного и тогоже явления. В этом Бельтов расходится с Марксом, который полагает, что «экономия есть реальная основа, на которой возвышается идеологическая надстройка» (175 стр.). Но отчего зависит экономия? – კითხულობს ილია“ (21, გვ.294).

მეორე ამონაწერშიც, ეწინააღმდეგება ეკონომიკის საკითხების შესახებ გ. პლეხანოვს:

«И Бельтов не избег токого же противоречия себе. «У него постоянно [...] тезис вроде таких, что „экономия господствует над политикой», что правовые отношения и государственные... коренятся в материальных жизненных отношениях и что, «психология общества всегда целесообразна по отношению к его экономии, всегда соответствует ей, всегда **определяется ею** (ზაზგასმა ილიასია).

Тем не менее этот же самый Бельтов говорит: «И экономия общества и его психология представляет две стороны одного и тогоже явления (как же это «одна сторона» явления может «корениться» в «другой стороне» того же явления, быть целесообразной по отношению к ней и «определяться» - ею? იქვე შენიშნავს ილია ჭავჭავაძე), производства жизни людей и их борьба за существование в которой они группируются известным образом, благодаря данному состоянию производственных сил. Борьба за существование создаёт их экономию, на её же почве вырастает их психология. Экономия есть сама нечто производное, как психология (Книга есть сама нечто производное, как психология (Книга Бельтова. Монистический взгляд на историю. стр. 125-169, 171 и 172) (стр. 52 русское Богатство №1 за 1895г.)» (21, გვ.310).

კიდევ ერთი ჩანაწერიდან ჩანს, რომ ილია არ ეთანხმებოდა პ. სტრუვესაც ეკონომიურ საკითხებში და ეკონომიკურ შეხედულებების შესახებ.

«По мнению Струве: экономический материализм есть нечто иное, как «смелая попытка **из одного начала** объяснить весь исторический процесс“. И доказывает это с ссылкою на Энгельса, который говорит, что в последнем счете все сводяться на экономическую структуру».

А затем в книге своей (страница 45) тот же самый Струве говорит: возьмём понятие «товарное производство это весьма богатый содержанием, комплекс представлений... Товарное производство **не является каким-то внешним фактором**» (о. ჭ.) определяющим действия людей. Эта определенная форма удовлетворения главных потребностей**, предполагающая существование** известных правовых институтов и определенного правосознания. Это можно сказать, столько же психологическое, сколько и экономическое понятие.

Таким образом – შენიშნავს ილია ჭავჭავაძე, – по мнению Струве, с одной стороны экономическая структура есть «основа“, «фундамент“, или „базис“, на котором рождаются психологические, юридические и иные «надстройки“, а с другой стороны оказывается, что «основа“ эта имеет

столько же экономический, сколько психологический характер (стр. 52)~ (21, გვ.310).

ბელტოვის ზემოთ მოხსენებული ნაშრომიდან, კიდევ ერთი ადგილი ამოუწერია ილიას, სადაც ხდება შედარება არისტოტელეს, ქსენოფონტის და ა. სმიტის შეხედულებები ეკონომიკის შესახებ:

«Экономические взгляды Аристотеля и Ксенофонта сравниваются со взглядами Адама Смита и выходит огромная разница (177 стр)" (21, გვ.294).

ილია ჭავჭავაძეს ამოუწერია ე. ბერშტაინის წიგნიდან, „Die Vorausetzungen des Socialismus und die Aufgaben der Socialdemokratie" (Stutgart, 1899), რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ «Русское Богатство"-ში, სადაც იგი საუბრობს ეკონომიური მატერიალიზმის რამდენიმე საკითხის შესახებ.

«Берштейн: „Исторический материализм вовсе не отрицает самостоятельного движения политических и экономических сил. (209, 37)» (21, გვ.304).

«В статье говорится, что в последнее время теория „«Экономического материализма» все более и более отступает от своей первоначальной, резко выраженной формы.

Примеры к тому, что сами последователи этой теории заявляют, что не одной только экономике принадлежит в истории активная роль:

а) В статье «Базис и надстройка» – ამბობს ილია ჭავჭავაძე, – мы читаем: «Характерно, что новейшие теоретики экономического материализма, развивая свои взгляды, особенно подчеркивают именно историческую необходимость и важность надстроек и «идеологии»... иногда надстройка берёт верх, оказывается сильнее экономики (стр. 150) 209, 36, 37).

б) Берштейн: «исторический материализм вовсе не отрицает самостоятельного движения политических и экономических сил».. (209, 37).

в) Антонио Лабриола: «Мораль, искусство, религия, знание являются только продуктами экономических условий, они-только внешнее проявление этих условий. Дилетанты с удовольствием подхватывают такие грубые заявления...» Только страсть к парадоксам неразрывно связывается со слепым усердием узких приверженцев внущать тот ложный взгляд, будто материалистическое понимание истории стремится обнаружить только

«экономический момент“ а все остальное отбрасывает, как ненужный хлеб» ст. 150. [209, გვ.38, 39]“ (21, გვ.304).

ილიას ამოუწერია ე. ბერნშტაინის შეხედულება კ. მარქსზე და ფ. ენგელსზე.

«По мнению Берштейна, экономический материализм известен в двух различных формах. Первая это та форма, которую первоначально придали экономическому материализму его родоначальники Маркс и Энгельс. Вторая - это последнаяя, окончательная, другая форма, которая постепенно вырабатывалась путем различных дополнений, важнейшие из которых содержались в письмах Энгельса Конраду Шмидту, опубликованных „Der s. Aademiker“ 1895 сентябрь (Есть русский перевод этих писем в журнале «Мир Божий» 1897 | 4 стр. 157» (21, გვ.291).

შემდეგ ამონაწერში, ე. ბერნშტაინის შესახებ, ილია წერს, რომ ის ეწინააღმდეგება კ. მარქსა და ფ. ენგელსს;

«Вопреки Марксу и Энгельсу Берштейн доказывает, что завоевание политической власти пролетариатом, весьма трудно, ибо весьма мало оснований ожидать, чтобы в будущем все рабочие слои сплотились для захвата политической власти (стр. 650 и 651)» (21, გვ.303).

ილიას გამოქვს საბოლოოდ დასკვნა, რომ ე. ბერნშტაინმა საერთოდ უარყო მარქს-ენგელსის მსოფლ-მხედველობა და მატერიალიზმი.

«Берштейн, нападая на важнейшие положения учения Маркса-Энгельса, в заключении отказывается и от их мировоззрения-материализма: «я говорит он, действительно не ставлю победу социализма в зависимостьот внутренной экономической зависимости». Напротив того, я не считаю ненужным давать ему чисто материальное обоснование (178) Х. Я не могу подписаться под положением: «рабочему классу не приходится осуществлять никаких идеалов, - напротив, я вижу в нем (в этом положении) плоть самообмана (187 Берштейна), (стр.654. Русское Богатство) (209, 35)» (21, გვ.303).

პ. რატიანი აღნიშნავს, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ე. ბერნშტაინის შესახებ:

„ილია კარგად ამჩნევს, თუ როგორ თანდათან უვლის გვერდს და აკნინებს ბერნშტაინი მარქსიზმის უმნიშვნელოვანეს დებულებებს...

უკანასკნელ პუნკტებში ილია იმ დასკვნამდე მიდის, რომ ბერნშტაინი საბოლოოდ შორდება მარქსსა და ენგელსს, აყალბებს მათ და თავს ესხმის მათ თეორიას“ (24, გვ.287).

ილია ჭავჭავაძის მოსაზრება გამართლდა. მან დროთა განმავლობაში საერთოდ უარყო მარქსიზმი და „მან ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული სოციალიზმის თეორიის სფეროში მარქსიზმის ძირითადი დებულებების რევიზია მოახდინა. ბერნშტაინმა წამოაყენა ლოზუნგი „უკან კანტისაკენ“. უარი თქვა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის თანმიმდევრულ მატერიალისტურ გადაწყვეტაზე. აიგივებდა მარქსისტულ დიალექტიკას ჰეგელის დიალექტიკასთან“ (48, გვ.71).

ფილოსოფიის ისტორიიდან ცნობილია, თუ რა აურზაური ატყდა ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გამო, ყოფიერებისა და ცნობიერების, ესე იგი მატერიისა და იდეის გარშემო. ცნობილია ისიც, რომ სწორედ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა საბოლოოდ დაამტკიცეს მატერიალიზმის ძლევამოსილება იდეალიზმზე.

ილია ჭავჭავაძე, თავის ნაშრომებში, წერილებში და ნარკვევებში განიხილავს ცხოვრებას, ყოფიერებას და ცნობიერებას (ილიას შეხედულებას ცხოვრებაზე, ჩვენ ზევით ნაწილობრივ განვიხილეთ).

აქ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ილიასათვის ცხოვრება წარმოადგენდა ბრძოლას, დაუდგრომელ მოუსვენარ მოძრაობას და წინ სვლას. მისი აზრით, ცხოვრებას გააჩნია ზრდა, აყვავება, ნაყოფის მოცემა და შემდეგ ჭკნობა, რომ, როგორც მის ცნობილ წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ წერს: „თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ“ (1, ტ.3, გვ.57). და სწორედ მაშინ აქვს ცხოვრებას აზრი, როდესაც ახალი ყვავილი ამოდის და ვითარდება. ილია აცხადებს, რომ:

„ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, – აზრისა კი თავის-დღეში არა... ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობისა უკვდავებისა“ (1, ტ.3, გვ.58).

ცხოვრება ანვითარებს და „წინ მიჰყავს“ მეცნიერებას და ცოდნას, „რომელნიც თვით ცხოვრების ნაყოფნი არიან“ და სწორედ ამ დროს გამოჩნდება გენიოსი – უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი, – „ეს გოლიათი გონიერებისა“, რომელიც „ყოველს ცხოვრების კითხვას მისცემს

შესაფერ პასუხს... მეცნიერება და ხელოვნება – ეგ საკვირველნი სალარონი კაცის გონიერებისა – არიან კანონიერნი მემკვიდრენი გენიოსისა“ (1, ტ.3, გვ.61).

ილიას თქმით, გენიოსის მიერ ახსნილი და გადმოცემულნი ახალი აზრები ცხოვრებისაგან აღთქმულნი ისევ ცხოვრებას უბრუნდება და „ცხოვრებაც ამ ახალ აზრებით განახლებული, ისევ იზრდება, ჰყვავის, მოამწიფებს სხვა ახალ სათესლე ნაყოფსა“ (1, ტ.3, გვ.62). და ასე ხდება გამუდმებით.

ცხოვრებისაგან წარმოქმნილნი – მეცნიერება და ხელოვნება „ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ – ცნობიერებაზედ“ (1, ტ. 3, გვ.63).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VIII, ილიას თქმით, ცხოვრებაში დამკვიდრებული „გაუახლებელი“ ძველი წყობა, უარყო იმ წრემ, „რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე“ (1, ტ.5, გვ.88).

სწორედ ამ აზრთა ცვალებადობაში, ძველისა და ახლის ჭიდილში, ამ მოძრაობაში, ყოველთვის იმარჯვებს ახალი აზრი და ახალი ცხოვრება. სწორედ ძველის უარყოფა და ახლისკენ მისწრაფება წარმოადგენს ცხოვრების განვითარების ბუნებას.

საზოგადოების განვითარება, ერის განვითარება და საერთოდ ისტორიული განვითარება ხდება მაშინ, როდესაც ძველი წყობა იცვლება ახალი წყობით. ილია შემდეგნაირად აღწერს ამ ცხოვრების ცვალებადობას, წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VIII, რომელიც დაწერა 1881 წ.

„ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე ამოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის – რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა – ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, – მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდა-

პირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“ (1, ტ.5, გვ.89).

ილია ჭავჭავაძეს, ამოუწერია გ. პლეხანოვის წიგნიდან, „К вопросу о развитии монистического взгляда на историю. 1895г.“ შემდეგი ადგილი, რომელიც ემთხვევა, ზემოთ გამოთქმულ, მის აზრს.

„Одним выгодно поддержать старые порядки и они отстаивают их всеми зависящими от них средствами. Для других старые порядки стали уже вредны и ненавистны и они нападают на них со всею тою силою, какою они располагают~ (26, გვ.110).

ზემოთ გამოთქმული ილიას სიტყვებიდან ჩანს, რომ მას ცხოვრება მიაჩნდა იმ მთავარ საყრდენად, საიდანაც წარმოიქმნებოდა ადამიანის ცნობიერება და საიდანაც ადამიანის გონება ქმნის მეცნიერებას.

ვ. გაგოიძე, ილიას შეხედულების შესახებ ცხოვრებაზე წერს:

„ილიას აზრით ცხოვრება ის საფუძველია, რომელიც ქმნის ადამიანის ცნობიერების შინაარსს, საიდანაც ადამიანის გონებას გამოყავს კანონები, პრინციპები, ანუ დედა-აზრები, რომელთა სისტემა შეადგენს მეცნიერებას. მაშ, ადამიანის გონება, რაღაც თვითკმარი, დამოუკიდებელი, სამყაროს კანონმდებელი კი არაა, არამედ, პირიქით, თვითონ ადამიანის გონება, მისი ცნობიერება არის ცხოვრებით განსაზღვრული; ცხოვრების განვითარება განსაზღვრავს ადამიანის ცნობიერების განვითარებას“ (26, გვ.59).

ამრიგად, აქედან შეიძლება ვთქვათ, რომ ცხოვრება ზემოქმედებს ცნობიერებაზე, ხოლო თავის მხრივ თვით ცნობიერება გავლენას ახდენს ცხოვრებაზე.

ილიას ამოწერილი აქვს, კ. მარქსის წიგნიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ადგილი, სადაც იგი წერს, რომ ადამიანთა ცნობიერებები კი არ განსაზღვრავენ მათ ყოფიერების ფორმებს, არამედ, პირიქით, მათი საზოგადო ყოფიერების ფორმები განსაზღვრავენ მათ შეგნება-ცნობიერებას; და კ. მარქსის მიერ გამოთქმულ ამ აზრის გამო, ე. ბერნშტაინს გამოაქვს დასკვნა, რომ საწარმოთა ურთიერთობა არ არის დამოკიდებული ადამიანთა ნებისყოფაზე.

«А в предисловии к своей „Zur kritik der politischen Ekonomie“ Маркс по мнению Берштейна характеризует производственные отношения, как «независимые от воли» людей, приводя в доказательство фразу Маркса: «не сознание людей определяет формы их бытия, а наоборот, их формы общественного бытия определяют их сознание» (стр. 157)“ (21, გვ.291).

ილიას ამოუწერია გ. ტორდის წერილიდან, „Зависимость общественного прогресса от чувствований“. ჟურნალი, „Русская мысль“, 1894 г. ნებისყოფის შესახებ:

„Воля – это внутренняя сила, двигающая и толкающая нас к действию (стр. 40).“

აქვე ილია შენიშნავს, რომ:

3) „По теории Торда каждый прочный общественный строй держится не одними только взаимными интересами или общими идеями, но еще и **системами или аккордами различных чувствований (**ხაზგასმა ილიასია).

В этом отношении общество (или общественное сердце) напоминает музыкальный инструмент: через известные промежутки времени инструмент расстраивается и тогда нужен „настроифон“ (реформатор, проповедник) (см. 41).

4) ...Таким образом перед нами действительно развёртывается известная логика, цель которой ясна: **Заменить менее стойкие системы чувствований более прочными** и достигнуть этого посредством преобладания в **обществе дружественных чувств над враждебными,** (ხაზგასმა ილიასია). Какой же основой стимул или мотив направляет эту логику чувствований к определенной цели или результату, указываемому Тордом? – კითხულობს ილია.

В указанном выше сочинении Торда в разных местах находим на этот вопрос ясный ответ. Торд указывает, что этот основной мотив или стимул лежит в особом чувствовании симпатии, **альтруизме, врожденных человечеству помимо** всяких расчетов выгоды или интереса. И что такой собственно расчет пользы или выгоды, как не стремление получить боевые наслаждения (приятных чувствований) и меньше страдает (т. е. неприятных чувствований) [209, გვ.56[5) В прочности общества играет и то, чтобы солидные между собой интересы преобладали над враждебными, но этого мало: нужно и преобладание симпатичных чувствований над враждебными (43)~ (21, გვ.308).

ზემოთ, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე გაეცნო-რა კ. მარქსის ნაშრომებს, აღიარა იგი ერთ-ერთ დიდ მოაზროვნედ. მაგრამ, მისთვის დიდი პიროვნება, დიდი ადამიანი და საერთოდ, ეგრეთ წოდებული ავტორიტეტი არ წარმოადგენდა თაყვანისმცემელ კერპს. მისი აზრით, დიდ ადამიანს ქმნის ცხოვ-

რება, ხალხი და როდესაც დრო მოვა და „შემოქმედებითი ძალა ცხოვრებისა“ ამოქმედდება, მაშინ თვითონ ცხოვრება წარმოქმნის დიდ ადამიანს.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XIV-ში, ილია წერს:

„საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედებისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა... მაშინ ადამიანი თავის-თავს მართლა-და ადამიანადა სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და საბრძოლველად გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას – ეგ შემოქმედებითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს“ (1, ტ.5, გვ.151).

ილია ამბობს, რომ ცხოვრების ტალღა, ჩვეულებრივ პიროვნებას თან წარიტაცებს რაც არ უნდა წინააღმდეგობა გაუწიოს. მხოლოდ გენიოსს შეუძლია გაარღვიოს ეს წინააღმდეგობა, მხოლოდ ის „გულ-უშიშრად“ მიარღვევს ამ ტალღას და ხალხს „უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზას.“

ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბეში“, ასე ახასიათებს გენიოსს:

„არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილში მოუგდია ზედაპირზედა, – ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდსა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს“ (1, ტ.3, გვ.57).

ილია პიროვნებას, დიდ ადამიანს აფასებდა მისი მოქმედებით. თუ, მისი აზრები და იდეები რას გამოხატავდა და როგორ უწყობდა ხელს ხალხის ცხოვრების წინსვლას, მის განვითარებას.

წერილში, „პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“, ილია სიტყვა „ავტორიტეტი“-ს შესახებ წერს, რომ ავტორიტეტი:

„იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერებით (არის კიდევ ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული.) ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყევლად და უცილობლად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავდებია მისი აზრის შეუცდომელობისა. ამისთანა კაცები, კაცთა საბედნიეროდ... ცოტანი არ არიან ქვეყნიერობაზედ“ (1, ტ.6, გვ.108).

ილია განაგრძობს ავტორიტეტის შესახებ მსჯელობას:

„ავტორიტეტები, ესე იგი, ყველასგან ცნობილნი, სახელმოხვეჭილნი მეცნიერნი ყოველთვის არიან და იქნებიან, და ამათი თაყვანისცემა არ დაილევა ქვეყნიერებაზედ, ვიდრე ადამიანის ჭეშმარიტს ღვაწლს, ზედმიწევნილ ცოდნას, მეცნიერებას, სიბრძნეს და ამათით მოპოებულს სახელს კაცის თვალში პატივი, ფასი და დიდება ექნება. ხოლო ბრმად დაჯერება ყოველ იმისი, რასაც ავტორიტეტი ამბობს, რის შემოწმებასაც ყურისმგდებლის ჭკუა, გონება მისწვდება და რასაც ეს შემოწმება უარჰყოფს, – მართლა დიდი ხანია უგუნურობად არის მიჩნეული. თვით იკვლიე, თუ შეძლება და გარემოება გაქვს, მოსჩხრიკე, შეამოწმე, და ამ სახით შენს საკუთარ რწმენად გარდაქმენი... აქაო და არისტოტელმა სთქვაო, და რაც უნდა აშკარად დასარღვევი საბუთი გქონოდათ, არისტოტელს სიტყვას ვერ შეუბრუნებდით, ცოდვად ჩაგვითვლიდნენ, დიდი ხანია, ესე ბრმად აყოლა, ესე დაძაბუნება ჭკუისა და გონებისა, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩაილულის წყალს გაჰყვა“ (1, ტ.6, გვ.106).

„ნეტა რომელი კაცი იტყვის ქვეყანაზედ, რომ ნურას დაუჯერებთო ამ ჭკუით, ცოდნით, სიბრძნით, მეცნიერებით გამოჩენილს და მთელის ქვეყნისაგან ამ სახით ცნობილ კაცებს, და თუ დაუჯერებთ, უგუნურობა იქნებაო. მაშ ყველაფერი დავიჯეროთ ამათიო? – იკითხავთ თქვენ. დიახ, სწორედ ყველაფერი, ვიდრე წინააღმდეგის უეჭველი საბუთი ხელთ არა გაქვთ“ (1, ტ.6, გვ.109).

შემდეგ ადგილას, ილია წერს, რომ თუ ვინმე, ისეთი პიროვნებების, როგორებიც არიან:

ჰერბერტ სპენსერი (Spncer) (1820–1903) – ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი;

ტომას ჰენრი ჰაქსლი (Huxley) (1825–1895) – ინგლისელი ბუნების მეტყველი;

ერნესტ ჰეკელი (Haeckel) (1834–1919) – გერმანელი ბიოლოგი-ევოლუციონისტი.

ავტორიტეტობას საეჭვოთ დააყენებს, ეს არის მხოლოდ „უგუნურობა“, სასაცილო და წინდაუხედავობაა. შემდეგ, ილია ამბობს, რომ რა თქმა უნდა კრიტიკა საჭიროა და აუცილებელიც არის, მაგრამ უნდა იცოდე ვის აკრიტიკებ და რას აკრიტიკებ. მისი აზრით:

„კრიტიკით და მთელი დღევანდელის მეცნიერების ძალით რომ იერიში მიიტანონ, ვსთქვათ, ჰეკლსა და ჰეკელზედ, ნუთუ ჰგონიათ, რომ ამით მათი ავტორიტეტობა დადნება, შეიმუსრება და არა უფრო მოემატება ერთსაცა და

მეორესაც! განა სასაცილო არ იქნება, რომ კაცს თაყვანისცემა სწორედ მაშინ მოაკლო, მისი სახელი მაშინ შეჰმუსრო, როცა უტყუარად და კარგად შემოწმებულის საბუთით დამტკიცდება, რომ მისი ნათქვამი გამართლდა. აქ, პირიქით, ავტორიტეტობამ უფრო უნდა იმატოს, თაყვანისცემა და პატივი უფრო უნდა გაძლიერდეს. სწორედ ესეც არის ამ წუთის-სოფელში, და არ ვიცით,— ეს ამბავი რათ უნდა მიაჩნდეს ვისმე უგუნურობად...

სწორედ კრიტიკით შემოწმებულთა და გამართლებულთა მეცნიერთა მოიპოვეს იგი სახელი და თაყვანისცემა“ (1, ტ.6, გვ.109).

აქვე, ილია წერს, რომ ავტორიტეტისადმი მონური თაყვანისცემა და მორჩილება, ჭკუას და გონებას აძაბუნებს და ალაჩრებს. იგი კრიტიკულად აფასებდა დიდი ადამიანის მოქმედებას და იდეებს. მისთვის მთავარი იყო ხალხი, ხალხის კეთილდღეობა და წინსვლა; და აქედან გამომდინარე, იგი აფასებდა დიდ ადამიანსა და ავტორიტეტს. მაგრამ თუ კი დარწმუნდებოდა, რომ ესა თუ ის იდეა ხალხის სასარგებლოდ იყო გათვალისწინებული და ცხოვრების წინსვლას ხელს უწყობდა, მაშინ ამისთანა კაცს თაყვანსა და პატივს სცემდა, მაშინ ასეთი მეცნიერი იყო მისთვის ავტორიტეტი. ილია წერს:

„თუმცა ბრმად მინდობა და აყოლა სხვისა ძალიან ცუდია, მაგრამ არც კი ბრმად დაჟინებაა კარგი იმისი, რომ დიდსახელოვანის, სახელგანთქმულის მეცნიერის პატივი და თაყვანისცემა უგუნორობა იყოს. არა, ბატონო, სწორედ ამისთანა კაცს უნდა პატივი და თაყვანისცემა, თუნდა იმით, რომ იმისი სიტყვა, თუნდ შეუმოწმებლადაც კი, სხვისაზედ წინ დააყენო, თუ გამტყუნებული არ არის უეჭველის საბუთითა“ (1, ტ.6, გვ.111). ამ წერილს, ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ავტორიტეტობა ყოველთვის იქნება მეცნიერებაშიაც და ცხოვრებაშიაც. სნეული რომ მკურნალს მიჰმართავს ხოლმე, რა მოქმედობს აქ, თუ არ რწმენა, რომ მკურნალი მკურნალობის უკეთესი მცოდნეა, და ეს რწმენა რა არის, თუ არ იგივე ავტორიტეტობა კაცისა, რომელსაც მკურნალობაში იმოდენა უკეთესობის სახელი და ნდობა მოუპოვებია, რომ ეს სახელი და ნდობა ყველასათვის საკმაო თავმდებია მისის ამ საქმეში უპირატესობისა? მოდით და ამას იქით სულელი დაუძახეთ მას, ვინც ამ შემთხვევაში მკურნალს ენდობა და უჯერებს. თუ გვკითხავთ, იგი „კერპთმსახურება“ და იგი „თაყვანისცემა“... აქ უფრო საგულისხმოა. რადგანაც ამ შემთხვევაში ბრმად დანდობას, ბრმად დაჯერებას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე სხვა რაშიმე და თითქმის აუცილებელიც არის“ (1, ტ.6, გვ.112).

ავტორიტეტის, დიდ კაცზე და დიდ პიროვნებაზე მსჯელობას, ჩვენ დავასრულებთ, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ უშესანიშნავი მცირე მოცულობის წერილით, „დავით აღმაშენებელი“, სადაც მწერალი გადმოგვცემს დიდი პიროვნების დამოკიდებულებას ხალხის, ერის მიმართ და ერისა – დიდი ადამიანის, ავტორიტეტის მიმართ.

„არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანი, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს...

უკეთესნი და უდიდესნი მომქმედნი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოქმედობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა. ამიტომაც ეს ამისთანა მომქმედნი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათი – საკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისია?... თუ გუშინ იყვნენ ჩემის სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მომქმედთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ვსულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულსა, თავის მწვრთნელსა, თვის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსა სცემს სასოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა. – ილიას მოჰყავს, რომაელი ფილოსოფოსის, დრამატურგისა და პოლიტიკური მოღვაწის ლუციუს ანეუს სენეკას (Lucius Annaeus Seneca) (ძვ. წ. 4–ახ. წ. 65) წწ. სიტყვები:

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, – ამბობს ბრძენი სენეკა, – იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“ (1, ტ.4, გვ.179).

მწერალი განაგრძობს გამოჩენილი პიროვნების შესახებ მსჯელობას და აღნიშნავს:

„აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა...

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო – ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ, აღამაშენებელის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“ (1, ტ.4, გვ.183).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე თვითეული ადამიანისა და საზოგადოების ღირსებას და მის დანიშნულებას, უკავშირებდა მთლიანად ერის ღირსებას. წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXIX-ში, იგი წერს:

„ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა“ (1, ტ.5, გვ.342).

ილიას აზრით, ადამიანის ღირსება დამოკიდებულია მის მოქმედებაზე, მის სიკეთეზე, მის სათნოებაზე, რადგან, სწორედ კეთილი საქმის კეთებას მოსდევს თვითეული კაცის სახელის მოხვეჭა. „გლახის ნაამბობში“ წერს:

„იქნება გეგონოს – ვინც კაი საქმესა ჰშვრება, სახელისათვის ჰშვრება? არა, სახელი თავის-თავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედა ჰყიდიან“ (1, ტ.2, გვ.73). ხოლო. ის ვინც სიკეთეს სჩადის იმისათვის, რომ სახელი მოიხვეჭოს, მწერლის აზრით, ეს უზნეობაა. კაცმა უნდა გაისარჯოს, იშრომოს, „თავის პატარა ქვეყნისათვის და არა“ იყვიროს „დაფითა და ნაღარითა“. არ უნდა ეძებოს „სხვის ქებასა და დიდებას“, „და სწორედ ამისთანა კაცია მართლა ღირსი

ქებისა და დიდებისა. იმიტომ რომ „მარტო ცუდ-მედიდობა ეძებს სხვის ქებას და ჭეშმარიტი საქმიანობა-კი – ჩუმს მოწმობას სინდისისას“ (1, ტ.4, გვ.249).

ილიას ამოუწერია გ. პლეხანოვის ნაშრომიდან, «К вопросу о развитии монистического взгляда на историю», 1895 г. შემდეგი ადგილი:

«Если говорить в смысле идеалов, то надо сказать, что теория Маркса есть самая идеалистическая теория, которая когда-либо существовала в истории чедовеческой мысли. Это одинаково верно как по отношению к её чисто научным так и по отношению к её практическим задачам (Бельтов 207) «что в развитии человеческой мысли, точнее сказать в сочетании человеческих понятий и представлений есть свои особенные законы – этого насколько нам известно, не отрицал ни один из экономических материалистов (196).

«У Маркса и Энгельса был идеал и очень определенный идеал: подчинение необходимости – свободе, слепых экономических сил – силе человеческого разума» (Бельтов, стр. 247)» (21, გვ.294).

ილია ჭავჭავაძე ცხოვრების, საზოგადოების, ჩამოყალიბების მამოძრავებელ ძალად თვლიდა სოფლის მეურნეობის მშრომელ ხალხს – გლეხობას, მის შრომას, მის საწარმოო წესებს. რომლის საშუალებითაც იგი ამუშავებდა „მიწასა და გუთანს“. იგი აცხადებს, რომ „მიწა და გუთანი“ ქმნიდა ისტორიას, ცხოვრებას, საზოგადოებას და რომელ ერსაც ხელთ ეპყრა გუთანი, მხოლოდ ის გადაურჩა დროთა ვითარებას.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XVI-ში, აღნიშნავს:

„თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც“ (1, ტ.5, გვ.176).

წერილებში, ილიას არა ერთხელ აქვს აღნიშნული საწარმოო წესების, ხერხების, მიწის დამუშავებისა და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესახებ.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XX-ში, ილია წერს:

„ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მომქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი – იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთან. ეს არის ერთად-ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა“ (1, ტ.5, გვ.237).

სასოფლო სამეურნეო თემას, ილიამ მთელი რიგი წერილებისა და ნარკვევები მიუძღვნა, სადაც ასახავდა სოციალურ-ეკონომიურ პრობლემებს, აგრარულ და

სასოფლო მრეწველობის საკითხებს. აღწერდა და იძლეოდა მითითებებს ახალი სასოფლო საწარმოო მანქანა-დანადგარების შემოღებისა და დანერგვის, სხვადასხვა დარგების განვითარების მეთოდების, მელიორაციის, მევენახეობის და მეღვინეობის, მებამბეობის, პურეულის, მესაქონლეობის, სამეურნეო საქმეების, გზებისა და სოფლის მეურნეობის ბაზრის საკითხებს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ჩამოყალიბებისა და საერთოდ სასოფლო მრეწველობის საქმეების შესახებ.

ილიას ამოუწერია კ. მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ შესავალი ნაწილიდან, საწარმოო წესების შესახებ, შემდეგი სიტყვები:

«Маркс говорит в предисловии «К критике политической экономии»: «Способ производства материальных средств жизни обусловливает социальный, политический и духовный процесс вообще. Не сознание людей определяет их бытие, а наоборот, их общественное бытие определяет их сознание» (21, გვ.301).

ამავე ნაწარმოებიდან, ილიას ამოუწერია მეორე ადგილი, რომელიც ეხება წარმოების წესს:

«По указанию Берштейна Маркс говорит: „Вообще от способа производства находится в полной зависимости ход общественной, политической и духовной жизни» (21, გვ.291).

როგორც ცნობილია, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გამოჩენამ პოლიტიკურ და განსაკუთრებით ფილოსოფიურ სარბიელზე, გარდატეხა შეიტანა ფილოსოფიურ აზროვნებაში. მოხდა ფილოსოფიური მეცნიერების ორ ბანაკად, ანუ ორი აზროვნების მიმდინარეობის გაყოფა:

ერთნი – მარქსამდელი ფილოსოფიისა, ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური მიმდინარეობის, იდეალიზმის წარმომადგენლები, რომელთა აზრით იდეა, აზრი, ცნობიერება არის სამყაროს პირველადი საწყისი, რომ სული ბუნებაზე ადრე გაჩნდა; და მეორენი – მარქსისტები, რომლებიც ფილოსოფიის ძირითადი მიმართულების მატერიალიზმის წარმომადგენლები, რომლებიც ბუნების პირველობას აღიარებდნენ.

მარქსამდელი ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი იყო ლ. ფოიერბახის „ანთროპოლოგიური“ მატერიალიზმი. ეს იყო ამ ფილოსოფიური ფორმის განვითარების უმაღლესი მწვერვალი. ამავე დროს, თვითონ ლ. ფოიერბახი წარმოადგენდა ეგრეთ წოდებული „მ ჯ ვ რ ე ტ ე ლ ო ბ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ს“.

„მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ო ბ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი“ სინამდვილეს განიხილავდნენ, „მხოლოდ შემეცნების, ჭვრეტის, მაგრამ არა გარდაქმნის ობიექტის სახით. „მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა – ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით – ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ო ბ ი ე ქ ტ ი ს, ანუ გ ა ნ ჭ ვ რ ე ტ ი ს, ფორმაში განიხილავს და არა როგორც ა დ ა მ ი ა ნ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს, პ რ ა ქ ტ ი კ ა ს, არა სუბიექტურად“ (მარქსი კ. და ენგელსი ფ., რჩეული ნაწერი სამ ტომად, ტ.1, თბ., 1975, გვ.1)“ (15, ტ.6, გვ.489).

ილიას ამოუწერია კ. მარქსის თეზისებიდან ფოიერბახის შესახებ შემდეგი ადგილი:

«Маркс в тезисах статьи о Фоейрбахе видит главный недостаток созерцательного (теоретического – И. Ч.) материализма в том, что он (материализм теорический) рассматривает мир «лишь в форме объекта или в форме созерцания, а не в форме конкретной человеческой деятельности, не в форме практики, не объективно» [208, ფურცელი 3]“ (21, გვ.292).

„ფოიერბახის მოძღვრების მსოფლიო-ისტორიის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი იქცა მაქსისტული ფილოსოფიის მატერიალისტური პრინციპების წარმოშობის უშუალო თეორიულ წყაროდ“ (15, ტ.10, გვ.354).

მარქსამდე და მის დროსაც, წარმოებდა ფილოსოფიურ შეხედულებათა თეორიების სხვადასხვა მიმართულებათა შორის მწვავე შეხლა-შემოხლა და მათს შორის სადავო საკითხთა საჯარო განხილვები და პაექრობები. ძირითადათ კამათი მიმდინარეობდა სულისა და ცხოვრების, შემეცნების, გრძნობების, აზროვნების, ბუნების და საზოგადოების თანმიმდევრული განვითარების შესახებ და საერთოდ საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების შესახებ. საბოლოოდ აზროვნების ისტორიაში თანდათან დაიხვეწა და ჩამოყალიბდა ფილოსოფიური მოძღვრება.

კაპიტალიზმის და პროლეტარიატის წარმოქმნის და განვითარების თეორიების განხილვის შედეგად, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შემწეობით, ჩამოყალიბდა მარქსიზმი.

ილიას აქვს ამონაწერი, ძველი ფილოსოფიური მიმდინარეობის შეხედულების შესახებ, ჟურნალიდან «Русское Богатство» 1895 წ. №1-დან, შემდეგი ადგილი:

«Все прежние школы по вопросу о том, какой из элементов душевной жизни нужно считать господствующим, сделали то, что новая школа могла ... сказать: нет познания без воли, нет чувства без познания и воли,

нет воли без чувства и без познания. И только с этого времени старые школы потеряли свой raison d' etre – их роль оказалась сыгранною. Это в психологии. Тоже самое и в социологии, она стоит сейчас перед задачею – твёрдо, определённо, рази навсегда выяснить отвлеченный характер тех разграничений, за которыми прежние школы видели какие-то особые «факторы» – экономический фактор, юридический, умственный (59)~ (21, გვ.312).

აქვე აქვს მეორე ამონაწერი, რომელიც ეხება ძველი ფილოსოფიური სკოლის მიმართულებას:

«Хотя воззрения прежних школ не выдерживают критики, тем не менее нельзя считать их работу безплодною: каждая из них стремясь доказать новое мощное присутствие того фактора, который она считала преобладающим, имела свои методы разработки, исследования исторических данных, метод, дававший положительные результаты (611)» (21, გვ.312).

ისტორიიდან ცნობილია, რომ როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც, XIX საუკუნის 80-იან წლამდე კაპიტალიზმის განვითარება მიმდინარეობდა ნელა. საზღვარგარეთ, კაპიტალიზმის დასაწყისში, აგრარულ კაპიტალიზმის დროს, მსხვილი კერძო ადგილ-მემამულენი, ე. წ. – ლატიფუნდები, წარმოადგენდნენ ძირითად ძალას. ყოველგვარი უპირატესობა და ძალაუფლება ხელთ ეპყრად მემამულეებს, ხოლო საწარმოო ძალთა განვითარება კი ნელა მიმდინარეობდა. შემდგომ დროს, ბერჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მემამულეთა ძალაუფლებას ფრთები შეუკვეცა და კაპიტალიზმმა დაიწყო განვითარება. კაპიტალიზმის დროს მიწათმოქმედების მთავარ ძალად გადაიქცა ფერმერი; რომელმაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას.

ჩვენ ზევით ვთქვით, რომ მემამულეთა ძალაუფლების დაკარგვამ და მემამულეების დამხობამ, გამოიწვია გლეხთა განთავისუფლება ბატონყმობისაგან და გლეხთა გაღატაკება, რის გამოც, გლეხი იძულებული შეიქმნა წასულიყო ქალაქში სამუშაოს საძებრად. წრმოიქმნა მუშათა კლასი – პროლეტარიატი.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ისევე როგორც რუსეთში, საქართველოშიც დაიწყო სწრაფი განვითარება კაპიტალიზმმა. საზღვარგარეთის ზეგავლენით, საქართველოში შემოიჭრა ახალი იდეები, ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობები და ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილებები დააყენა ქართული ცხოვრების წინაშე.

წერილში, „ახალი დასის მოლოდინში“, რომელიც დაწერა ილიამ 1886 წელს, ამ ახალი ცხოვრების ცვლილებების შესახებ, წერს:

„ცხოვრებამ ჩვენში ცოტად თუ ბევრად ფეხი იცვალა. ახალმა დრომ ახალი მოთხოვნილება დაჰბადა ხალხის ცხოვრებაში. ძველი ცხოვრება თავის ნაკვალევიდამ გამოვიდა და ახალი გზა-კი ჯერ ვერ გაუკვლევია, ახალის ცხოვრების კვალი ვერ მიუგნია. ძნელია, თუ კაცს გზა აერივა: უკან დაბრუნება უძნელდება და წინ წასვლაც ვერ მოუხერხებია...

უმრავლესობას შეიძლება თვალნათლად არც-კი ჰქონდეს გამორკვეული ეს ცვლილება, მაგრამ არ შეიძლება კი რომ თვით უმეცარიც ბუნდად მაინც არ ჰგრძნობდეს ამასა“ (1, ტ.3, გვ.290).

ილია რა თქმა უნდა ხედავდა და გრძნობდა, რომ კაპიტალისტურმა სამყარომ საქართველომდეც მოაღწია და აქაც იკიდებდა ფეხს. კაპიტალიზმი ცვლიდა ძველ წესწყობილებას და ცხოვრებაც ახლებურად უნდა წასულიყო. პოლიტიკურ და ცხოვრებისეულ სარბიელზე ახალი თაობა, ახალი იდეები, ახალი აზრები, მიმდინარეობები, ახალი საზოგადოება იქმნებოდა. „აქ იწყება ახალი ხანა ჩვენის ვითარებისა“, წერდა ილია.

„შეხედეთ სხვა ქვეყნებს... ერთობ ყოველ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყანაში თითქმის ყოველ ათს წელში ცხოვრება ფერს იცვლის... ყოველ ამგვარ მოძრაობას... ახალი მოთხოვნილება მოსდევს და საქვეყნო სარბიელზე ახალის დასის ხალხი გამოდის. ძველ თაობას ახალი სცვლის, ან გვერდში უდგება. ახალი – ახალის ცოდნით, ახალის ცხოვრების გამოცდილებით. მეტის ჯანის და ღონით, ცხოველის ძალით არის შეჭურვილი და ამიტომ ცხოვრების მიმდინარეობის შესამჩნევ მოძრაობას აძლევს ამ მოძრაობის ტალღები ვრცლად გადის და ცხოვრების ვარამსა და ვაგლახსა ჰრეცხს... სანუგეშოდ ის მაინც რჩება, რომ ცხოვრება იქ დახავსებულ გუბედ არ გადაიქცევა. საცა მოძრაობაა, იქ სიცოცხლეც არის“ (1, ტ.3, გვ.291).

ილია ჭავჭავაძე ხედავდა რა, მაშინდელი საქართველოს ყოველმხრივ ჩამორჩენილ მდგომარეობას, და ვინაიდან საქართველოში მთავარ მამოძრავებელ ეკონომიურ ძალას წარმოადგენდა სოფელი და სოფლის მეურნეობა, ამიტომ იგი ცდილობდა პირველ რიგში სასოფლო მეურნეობაში ხელი შეეწყო კაპიტალიზმის განვითარებას. თუმცა, ამავე დროს ილია ხედავდა, რომ კაპიტალიზმი სოფლად რაციონალურ მიწათ-მოქმედებას აფერხებდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნაშრომებში ილია, კაპიტალიზმის შესახებ მსჯელობისას, თავისი აზრის დასამტკიცებლად, იმოწმებდა კ. მარქსა და მარქ-

სიზმს. თავის ხელნაწერებში, მას აქვს ამოწერილი კ. მარქსის სიტყვები, სადაც იგი ამბობს, რომ კაპიტალიზმი ვერ ეგუება რაციონალურ მიწათმოქმედებას.

«Маркс: „Мораль, которую мы можем извлечь из исследования, заключается в том, что капиталистическая система противодействует рациональному земледелию, или что рациональное земледелие не совместимо с капиталистической системой и требует рук или самодеятельных мелких крестьян, или контроля объединившихся производителей». Капитал III, стр.83 (Рус. бог.)" (21, გვ.293). მეორე ამონაწერში, კ. მარქსის „კაპიტალიდან", საუბარია წარმოებაში, ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება და გამოყენებაზე:

«Необходимость установить общественный контроль над извней силой природы для её эксплуатации в больших размерах, для подчинения человеку посредством организованных чедовеческих усилий, играет самую решительную роль в истории промышленности (Маркс, Капитал, 524 – 526 стр. немецкого издания) (Бельтов 131)» (21, გვ.295).

კიდევ ერთ ამონაწერში, აღნიშნულია, რომ კაპიტალიზმის დროს, სამრეწველო დარგებში, მსხვილი მრეწველობის განვითარებისას, ხდება უმუშევართა და სიღატაკის ზრდა. ეს კი იწვევს მუშა-მოსამსახურეთა ნაკლებობას წარმოებებში.

«Чем больше совершенствуется крупная промышленность, тем больше растет безработица, тем менее становится число занятых в промышленных предприятиях рабочих, что это действительно так, доказывается тем обстоятельством, что указанные бедствия имеют только в промышленных отраслях, земледельческие государства их не знают (270)» (21, გვ.295).

ილია ჭავჭავაძის ნარკვევების, წერილების და ხელნაწერების გაცნობისას, იგრძნობა, რომ იგი დიდ ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულიყო სააქციო საზოგადოებები, კოოპერატივები ანუ როგორც მას იგი უწოდებდა, „ამხანაგობები" და სხვადასხვა საზოგადო გაერთიანებები.

რადგან მისი აზრით, ამ გაერთიანებულ ამხანაგობებს შეეძლო კაპიტალისტური წეს-წყობილების დროს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიერი პირობების გაუმჯობესება.

ვ. გაგოიძის გადმოცემით, ილია ჭავჭავაძე, სიცოცხლის ბოლო წლებში, დაინტერესებულა კოოპერატიული სისტემებით, ამხანაგობებით. მას მოჰყავს, ისტორიკოსისა და ფილოლოგიის ქრისტეფორე რაჭველიშვილის (1894–1937) ნაშრომიდან ერთი ადგილი, სადაც აღწერლია ილიასა და ი. ჯავახიშვილს შორის საუბარი.

„ილიას რომ ძალიან ეინტერესებოდა კოოპერატიულ-არტელური საწყისი ჩვენს ეკონომიკაში, ამას მოწმობს ის ფაქტი, – წერს იგი – რომელიც პატივცემულმა პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა გადმოგვცა. 1907 წელს ილია ჭავჭავაძეს, როდესაც ის ჩავიდა პეტერბურგს, როგორც სახელმწიფო საბჭოს არჩევითი წევრი, ერთ-ერთი შეხვედრისას უთქვამს ივ. ჯავახიშვილისათვის: მე გადაწყვეტილი მაქვს დავწერო წიგნი კოოპერაციაზე და საამისო მუშაობას უკვე შევუდექი. მე მაინტერესებს იყო თუ არა ამის მსგავსი რამ ჩვენს წარსულშიო. როდესაც ივ. ჯავახიშვილს უპასუხნია, რომ საამისო ისტორიული ფაქტები საკმაოდ მოიპოვება, ილიას უთხოვნია: იკისრეთ თქვენ ამ საერთო წიგნისათვის ისტორიული ნაწილის დაწერაო. ეს ყოფილა 1907 წლის ზაფხულს. პროფ. ივ. ჯავახიშვილი დათანხმებულა ხსენებული შრომის შესრულებას, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ილიას უკვე განუგმირეს გული ქართველი ხალხის მტრებმა“ (26, გვ.386).

ვ. გაგოიძე განაგრძობს ილიას შესახებ საუბარს და წერს:

„საყურადღებოა ისიც, რომ ილია სასტიკად წინააღმდეგი იყო ხოლმე, საქართველოს თავს მოხვეოდა სამეურნეო თუ პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რაც მას ეუცხოებოდა და რაც ასე თუ ისე არ იქნებოდა გამოყვანილი მისი საკუთარი ბუნებიდან...

ძირითადი ამოცანა, რომელსაც იგი კოოპერატივებს ან ამხანაგობებს უსახავდა პირველ საფეხურზე, ეს იყო ის, რომ საქართველო ფულადი მეურნეობის გზაზე დამდგარიყო, საკუთარ ხელში ჩაეგდო ქვეყნის ეკონომიური საქმიანობა და როგორც წარმოების, ისე მოხმარების სფეროდან გამოედევნა უცხო კაპიტალი, გამოედევნა ჩარჩი ვაჭარი. კოოპერატივებს, ამხანაგობებს უნდა განეხორციელებინათ უშუალო კონტაქტი მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და ამ გზით ზედმეტი გაეხადა მათ შორის ყოველგვარი შუამავალი. ბოლო მოეღო კაპიტალისტური ექსპლოატაციისათვის და მოგება თანაბრად გაენაწილა მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის“ (26, გვ.387).

ვ. გაგოიძეს საბოლოოდ გამოაქვს დასკვნა და წერს, რომ ილია ჭავჭავაძე:

„ამხანაგობებს იგი პოლიტიკურ მნიშვნელობასაც აძლევდა. **მეურნეობის ამხანაგური, კოოპერატიული სისტემა უნდა გამხდარიყო მისი იდეალური საზოგადოების სამეურნეო ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც უნდა დაეძლია როგორც კერძო-მემამულური, ისე კერძო-კაპიტალისტური ძალმომრეობა და შეექმნა სამართლიანი ურთიერთობა ადამიანთა შორის** (ხაზგასმა ავტორისაა). ამიტომ, ძირითადი მიზანი მთელი ამ საორგანიზაციო ღონისძიებებისა

იმაში მდგომარეობდა, რომ გაენთავისუფლებინა გლეხი, – ეს საქართველოს ცხოვრების ბურჯი – მემამულური და კაპიტალისტური ძალმომრეობისაგან. შრომა გაენთავისუფლებინა მონობისაგან და ამ გზით შეექმნა თანასწორუფლებიანი მშრომელთა საზოგადოება“ (26, გვ.393).

ილია თავის ნაშრომებში აღწერდა ამ საზოგადოებების დადებით შედეგებს, როგორც მწარმოებელთათვის, ისე მომხმარებელთათვის. იგი ხალხს მოუწოდებდა ამ საზოგადოებების ჩამოყალიბებას და მოუთხრობდა ამხანაგობების ჩამოყალიბების სხვადასხვა საშუალებებს.

წერილში, „ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ“, ილია აღწერს გერმანიაში მომქმედ „ღვინის დამყენებელთა ამხანაგობას“. მისი გადმოცემით, „ამხანაგობა დღეს გერმანიაში გამართულია“. „იმ აზრზე არის აგებული, რომ ღვინის მუშტარს – მხმარებელს პირდაპირ თვითონ უშუაკაცოდ მიაწვდინოს ღვინო, და რაც მოგებაა, ღვინის პატრონს ხელში დაუნარჩუნოს... მთავრობამაც, რაკი შეჰნიშნა, რომ საქმე რიგიანად დაეწყო, მიაშველა სესხით ფული, და დღეს იმ დონეზე დამდგარა ეგ ამხანაგობა, რომ მთავრობისგანაც ნასესხი ფულიც გადაუხდია და ამხანაგთაგან კერძო ფულის შემოტანაც მოუსპია, და პირიქით, დიდ მოგებასაც იძლევა“ (1, ტ.7, გვ.21).

კოოპერირების საკითხთან დაკავშირებით, ილიას ამოუწერია ე. ბერნშტეინისა და სხვთა აზრები, სადაც ისინი ამტკიცებნენ, რომ სააქციო საზოგადოებებმა გაზარდეს კაპიტალის დაგროვება ცალკეულ კაპიტალისტთა ხელში. იგი არ ეთანხმება ამ გამონათქვამს და თავისი აზრის დასამტკიცებლად იმოწმებს „კაპიტალიდან“ კ. მარქსის სიტყვებს, სადაც მსჯელობა მიმდინარეობს სააქციო საზოგადოებების შესახებ.

«Сам Маркс признаёт, что развитие акционерных, т. е. мелких и средних капиталов является существенною задержкою и для сосредоточения капиталов «в немногих руках», что однако по теории, должно предшествовать хозяйственному преобразованию капиталистической страны (смотри: Маркс, т.2, отдел третий). Конкуренция между капиталами и сужение рынков сбыта понижает доходность капиталов, а в то же время медкие и средние капиталисты стали объединяться в обширные компании с огромными компанейскими капиталами, успешно конкурирующими с единоличными капиталистами – гигантами. Кроме того, в эти компании стали принимать участникам и лиц, вовсе не обладающих капиталами,

но способных организаторов и администраторов, а также выдающихся рабочих» (21, გვ.156).

ჩვენ მოვიყვანთ კიდევ ერთ ადგილს მისი ამონაწერიდან, სადაც გადმოცემულია ვ. ზომბარტის აზრი კ. მარქსზე:

«Марксизм, говорит Зомбарт действительно является в высокой степени неупорядоченным нагромождением до некоторой степени противоречащих друг другу учений (152).

Известно, что Маркс, стоит на почве диалектики Гегеля, которая в настоящее время может считаться отжившей свой век. Поэтому диалектический характер доказательства... не может нас больше удовлетворить. Мы требуем психологического объяснения социальных явлений, а о последнем Маркс не достаточно позаботился (154)». ილია იქვე იძლევა შენიშვნას:

«Зомбарт историческое значение учения Маркса для социального движения видит в том, что Маркс «провозгласил обобществление – средств производства, – целью движения и классовую борьбу – средством, заложил оба существенных основания, на которых можно было построить все знание (160) (Всеобще следует прочесть» (стр. 156 – 161) [209, გვ.53] (21, გვ.308).

ჩვენ, რა თქმა უნდა, ზოგადად განვიხილეთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება კ. მარქსთან და საერთოდ მარქსიზმთან; და დავინახეთ, რომ იგი იცნობდა კ. მარქსის მოძღვრებას და მარქსიზმის ძირითად დებულებებს. აგრეთვე მისი აზრი, ზოგიერთ მეცნიერთა დამოკიდებულებასა მარქსიზმთან.

ამრიგად, საბოლოოდ, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე თანაუგრძნობდა მარქსიზმს, სოციალიზმის იდეას, „მეოთხე წოდებას“ – მუშებს ანუ პროლეტარიატს.

ჩვენ ვეთანხმებით ტ. სართანიას, რომელიც წერს, რომ:

„რა თქმა უნდა, იმ დასკვნის გაკეთება არ შეიძლება, რომ ილია მარქსისტი იყო, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ იგი თავის საქმიანობაში და აზრების გამოხატვისას არ იყენებდა მარქსისტულ დებულებებს. მაგრამ რაკი, მისი თქმით, „ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა“-ო, უსამართლობა იქმნებოდა მისთვის მოგვეთხოვა საქართველოში ჯერ კიდევ ფაქტიურად არ არსებული პროლეტარიატის ჰეგემონიის როლის განსაზღვრა მომავალ სოციალურ რევოლუციაში. 1905 წლის რევოლუციას იგი უნდობლობით შეხვდა და ამბობდა, რომ მეფე ჯერ კიდევ ძლიერია და ვერ

მოვერევითო. ამიტომაც, ახლანდელ დროში ილიას გაკრიტიკება მარქსიზმის პოზიციებიდან როგორც ილიას ცოდნის და უნარის, ისე საქართველოს (თვით რუსეთისა) იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების აშკარა შეუფასებლობა და დამახინჯება იქნება“ (21, გვ.164).

ასევე, დრომ აჩვენა, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულება რევოლუციაზე გამართლდა.

1905 წლის რევოლუცია, რომელიც დაიწყო ბოლშევიკების მეთაურობით, საქართველოში, გაზაფხულზე, მუშათა გაფიცვებით, და მას მიემხრნენ რევოლუციურად განწყობილი გლეხები, და რომელსაც რუსეთის პროლეტარიატის სახელით მიესალმა ლენინი, რუსეთის მეფის მთავრობამ, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც სისხლში ჩაახშო. საქართველოში მკაცრი მმართველობა დააწესეს. ასობით მეამბოხეები ჩამოახჩვეს, ათასობით გააციმბირეს და კატორღაზე სამუშაოდ გაგზავნეს. თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ გლეხთა სახლ-კარს წვავდნენ და ნაცარტუტად აქცევდნენ ავჯანყებულ სოფლებს.

„საქართველოში არ დარჩენილა ქალაქი და სოფელი, რომელსაც მეფის ჯალათების რისხვა და გაპარტახება, ხანძარი და განადგურება, დაპატიმრება და დახვრეტა, მოსახლეობის აწიოკება და სხვ. თავს არ დატყდომოდა“ (10, ტ.VI, გვ.263).

ასე, რომ ამ ავჯანყებამ, რევოლუციამ, საქართველოს მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა.

თავი მეორე

ქართული ენა და ილია ჭავჭავაძე

გრიგოლ ორბელიანი ენის შესახ წერდა:

„ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით:
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..“ (20, გვ.70).

კ. გამსახურდია ასე ახასიათებს ენას:

„ენა ურთულესი ფენომენია. მრავალი საუკუნის მანძილზე იბრძვის და იღწვის ესა თუ ის ერი, რათა თავისი წარმოდგენათა კომპლექსი გააფართოვოს, ყოველ მოვლენას ბუნებისას, ადამიანისა და ცხოველის ყოველგვარ ქცევას, უნივერსუმის უდიდესსა და უმცირესს თავისი შესაბამისი შესატყვისი გამოუძებნოს.

რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაურ ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთჯერი სიცოცხლეც მოკლეა“ (27, ტ.VIII, გვ.208).

ქართულ ენას, არაერთი წერილები,სამეცნიერო ნამუშევრები და გამოკვლევები მიუძღვნეს როგორც საზღვარგარეთის, ასევე ქართველმა ენათმეცნიერებმა, ისტორიკოსებმა და მკვლევარებმა. ქართულ ენას გარკვეული ადგილი უკავია მსოფლიო ენათა შორის.

მეცნიერების მიერ დადასტურებულია და საბოლოოდ დადგენილია, რომ ქართულმა ენამ, წარმოშობის დროიდან, თავისი განვითარების და აღორძინების გრძელი და რთული გზა გაიარა.

ენათმეცნიერს, ბასკოლოგს, ქართული ენისა და დიალექტების მკვლევარს შოთა ძიძიგურს (1911–1994) მოჰყავს, წარმოშობით შოტლანდიელის, ცნობილი ენათმეცნიერის, ფილოლოგის, კულტურის ისტორიკოსის, ორიენტალისტისა და არქეოლოგის ნიკოლოზ (ნიკო) მარის (1864–1934) სიტყვები:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა,

რომ არათუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას...

ასე მდიდარია ქართული,შეიძლება ითქვას,შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“ (40, გვ.3).

„ქართულ ენას შეუძლია სრულფასოვნად და დაუმახინჯებლად გადმოგვცეს განყენებული აზროვნების ცნებები. ქართულად ადვილად ითარგმნება როგორც აზიური, ასე ევროპული კულტურული საზოგადოების მთელი პროდუქცია. მას საკმაოდ მდიდარი საშუალებები მოეპოვება გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ნაციონალიზაციისათვის. ამასთანავე, იგი უდიდესი შრომით მოპოვებული ინტერნაციონალიზმის ჩანასახსაც შეიცავს. ქართული ადვილად უნათესავდება ან უახლოვდება უცხო წარმოშობის ენას, ადვილად ითვისებს მეზობელი და უცხო ხალხების აზროვნებისა და მეტყველების მიღწევებს.“ ქართული ენა არის „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და ცოცხალი სამწერლობო ენაა“ (40, გვ.6). და კიდევ:

„შოთას ენა არათუ ადგილობრივი არ არის, იგი უკვე მსოფლიო ენაა“ (40, გვ.92).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა მრავალ საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მოძალადე მტრებისაგან დევნა, რბევა და ჭირ-ვარამი გადაიტანა და ბოლოს, როდესაც რუსეთის იმპერიის კოლონიური მმართველობის დროს, მას საბოლოოდ განადგურება ელოდა, მან მაინც შეძლო ქართული ენის შენარჩუნება, განეახლებინა, განევითარებინა და დაეხვეწა.

„1906 წ. ნიკო მარი პეტერბურგში გამოსულ წიგნში „საქართველოს ისტორია (კულტურულ-ისტორიული მონახაზი)“ წერდა: „ქართული ენის სისტემატურმა დევნამ... შეაფერხა მეცნიერების ნორმალური განვითარება ლინგვისტურად ფრიად საინტერესო და მდიდარ ქართულ ენაზე, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია არა მარტო თეორიისათვის, არა მარტო ენათა წარმოშობის საკითხისა და ზოგადი ენათმეცნიერებისათვის ან წინა აზიის უძველესი ისტორიისათვის... მაგრამ ამ შეფერხებათა მიუხედავად, ქართულ აზროვნებას, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში იხვეწებოდა სხვადასხვა გონებრივი მიმართულების სკოლაში, არ დაუკარგავს კულტურისუნარიანობა, ის სერიოზული კულტურისუნარიანობა, რომელიც ერთ დაკვირვებულ ევროპელს, მისივე სიტყვებით, თვითნაბად ნიჭად ეჩვენებოდა. სისტემატურმა დევნამ სრულიადაც ვერ წაართვა

ქართულ ენას ძველთაგანვე შემუშავებული, მისთვის დამახასიათებელი უნარი – ყოფილიყო მრავალტომობრივი ქართული ხალხის წიაღში ახალ იდეათა და მოძღვრებათა წერილობითი თუ ზეპირად დამკვიდრების მძლავრი იარაღი. და უკანასკნელი ორი ათეული საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი აზრი დუღდა და მწიფდებოდა ქართველი ხალხის ფართო ფენებში"; „ნანგრევები და ნაშთები ამ მხარის საოცარი სულიერი კეთილდღეობის ეპოქის თვალსაჩინო მოწმენი არიან. ყოველივე ეს და აგრეთვე მრავალი სხვა, რაც ხდება ქართული ლიტერატურის დღემდე შემორჩენილი წერილობითი ძეგლებიდან, ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძალა შესწევდა პატარა ქართველი ხალხის გენიას, როდესაც იგი დროდადრო მაინც ახერხებდა თავისი კულტურული ძალების მშვიდობიანსა და თავისუფალ განვითარებას" (40, გვ.7).

არ შეიძლება, რომ არ გავიხსენოთ, სამშობლო ენის შესახებ, იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწერილი სიტყვები:

„ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა. ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე. თუ ენა ერთ წერტილზეა შეჩერებული, ერის წინ მსვლელობაც მოსპობილია. თუ ენა უკან-უკან მიდის და ღატაკდება, აზროვნებაც ერისა ქვეითდება, უძლურდება, ღარიბდება. სამაგიეროდ, თუ ენა წინ მიდის, დღითი-დღე იფურჩქნება, ვითარდება, მდიდრდება ფორმებითა, ერის აზროვნებაც წელში იმართება, ძალღონეს იძენს, აჰყვავების ხანა უდგება. არა უცხო ენას არ შეუძლიან გაუწიოს ერს სამშობლო ენის სამსახური, როგორც დედინაცვალს არ შეუძლიან დასდოს ბავშვს ღვიძლი დედის ამაგი, საშინელს მდგომარეობაში ვარდება ერი, როდესაც მის ენას პატივი და უფლება აქვს აყრილი... ამის გამო სრული მეტყველება ერში იკარგება, და იგი წარმოადგენს ნახევრად დამუნჯებულ ბრბოსა. სუსტი ენა ჰბადავს სუსტს გრძნობას, სუსტს აზრსა, სუსტს ხასიათსა და ერის ცხოვრებაში დგება უბედური ხანა... ამ უბედურ ხანას... თავის სასარგებლოდ იყენებენ მოცილე ერნი და ნახევრობით დამუნჯებულს, დაქვეითებულს ხალხს ხელიდგან აცლიან მიწა-წყალს, დოვლათს და ყველა ეროვნულს საუნჯეს" (19, გვ.246).

ჩვენი და სხვადასხვა ქვეყნების ქართველოლოგ მეცნიერთა მიერ გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქართული ენა უძველესი ენაა და განსაკუთრებით აღნიშნავენ ქართულ ანბანს, რომელსაც მსოფლიო ანბანთა შორის ცალკე, დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს.

ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის მეცნიერულად შესწავლა დაიწყო და საფუძველი ჩაუყარა დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა.

ი. ჯავახიშვილის მეცნიერული გამოკვლევები და მისი ღვაწლი ამ დარგში, ქართული დამწერლობის შესწავლის საქმეში, წარმოუდგენლად დიდია. ვერც ერთი ენათმეცნიერი, თუ მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს მის ნაშრომს, რომელიც მან დაიწყო ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს 1914 წელს და გამოაქვეყნა თბილისში 1926 წელს, საფუძვლიანი და ღრმა შინაარსიანი ნაშრომი: „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“.

„ივანე ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის წარმოშობას მიახლოებით ძ. წ. VII–III საუკუნეთა პერიოდით განსაზღვრავდა. ქართული დამწერლობის მონუმენტური გრაფიკული არქიტექტონიკის მიგნების შემდგომ რამდენადმე დაზუსტდა ივანე ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი“ (38, გვ.595).

ფილოლოგ ზურაბ ქაფიანიძეს, მოჰყავს ი. ჯავახიშვილის სიტყვები:

„სამუდამოდ უკუგდებულ უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V საუკუნეში გამოგონების შესახებ ქრისტეს შემდეგ და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მციერე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ.. (მცირე აზია კი შუამდინარეთია)... ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანისა არ იყოს. ქართული დამწერლობა არამცთუ წარმართული ხანისა არ უნდა იყოს, არამედ უუძველეს ხანას ეკუთვნის... გზა, სადაც უნდა ვეძიოთ უძველესი ქართული დამწერლობა და დამწერლობის ძეგლები, უკვე გამოკვლეულია: პალიმფსესტები და დედამიწის სიღრმეში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და საინტერესოს გვიქადიან. მე დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევა-ძიება ქართულ მეცნიერებას ბრწყინვალე აღმოჩენათა შესაძლებლობას უქადის, რომელიც ჩვენი ისტორიის უძველესი ხანის საუკუნეთა სიღრმის წყვდიადის გაფანტვას შეაძლებინებს“ (39, გვ.11).

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ქართული ანბანი დღევანდელ დღეს ცნობილ ანბანთა შორის ყველაზე უფრო სრულყოფილია. ქართულ ანბანში სამეტყველო ბგერა-ფონემა, ანუ სამეტყველო ბგერა, თავისი სათანადო გრაფემით აღინიშნება და ყოველთვის თვითეული ფონემა დამოუკიდებელ ცალკე ნიშნით აღინიშნება. ამავე დროს ქართულ ანბანში არ გვხვდება ფონემათა ჯგუფის აღნიშვნა, როგორც ეს ხდება ინგლისურში, ფრანგულში, გერმანულში, რუსულში, ბერძნულში, სომხურში და სხვა ენებში.

ი. გოგებაშვილი ქართულ ანბანის შესახებ წერს:

„ჩვენი ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია ყველა ანბანთა შორის და ხმის მეთოდი (звуковой метод) არც ერთს სხვა ანბანზედ არ არის ისე გამოჭრილი, როგორც ქართულზე“ (46, გვ.21).

ხოლო, გ. ორბელიანი შემდეგნაირად ახასიათებს ქართულ ენას:

„იშვიათსა ენასა აქვს ისეთი სრული ანბანი, როგორცა ქართულსა. ჩვენს ანბანში თვითეულსა ხმის ბგერასა აქვს, საკუთრივ გამოხატული თვისი ნიშანი, ასო, რომლითაცა წარმოითქმის ის ბგერა“ (20, გვ.316).

რუსი ენათმეცნიერი და კავკასიურ ენათა მკვლევარის პეტრე უსლარის (1816–1875) თქმით:

„ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის. ყოველი ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართველისათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილობის მეოხებით, ეს დაბრკოლება არ არსებობს“ (46, გვ.21).

ფილოლოგი რამაზ პატარიძე ქართული ანბანური დამწერლობის შესახებ წერს:

„რაც შეეხება ქართულ ანბანურ დამწერლობას, როგორც ისტორიულ წარსულში, ისე ამჟამად, ყველაზე მეტად სრულყოფილ ანბანურ დამწერლობად უნდა ჩაითვალოს...

არც ერთ ერს ისტორიულ წარსულში არ შეუქმნია იმდენად სრულყოფილი ანბანური დამწერლობა, როგორიცაა ქართული ანბანური დამწერლობა. ეს ვითარება შემთხვევითობად არ შეიძლება ჩაითვალოს“ (38, გვ.56).

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და ქართველოლოგი უილიამ ედუარდ დეივიდ ალენი (Allen) (1901–1973) ქართული ანბანის შესახებ წერდა:

„ქართული ანბანი სავსებით სრულყოფილი ინსტრუმენტია ქართული ენის მრავალფეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად. ასოები გადმოსცემენ ყოველ ცალკე ბგერას ზუსტად და ნათლად, და ვერც ერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება მას ამ მხრივ“ (46, გვ.21).

ქართულმა დამწერლობამ თავისი განვითარების გზაზე სამჯერ განიცადა ცვლილება, მან სამი საფეხური გაიარა. პირველი საფეხური გრძელდებოდა უძველესი დროიდან ჩ. წ. IX საუკუნემდე, ეწოდება მრგლოვანი ანუ ასომთავრული; საშუალო საფეხური არის ნუსხური ანუ ნუსხა-ხუცური, იგი გრძელდებოდა IX

საუკუნიდან XI საუკუნემდე და ახალი საფეხური – მზედრული ანუ საერო, XI საუკუნიდან ჩვენს დრომდე.

„თავისი ისტორიული ფესვებით ქართულ დამწერლობას უკავშირებენ ფინიკურ-სემიტურ, ძვ. არამეულ, ძვ. ბერძნულ დამწერლობებს“ (15, ტ.10, გვ.474).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ენას და ქართულ ანბანურ წარმომავლობას, არა ერთმა ცნობილმა ენათმეცნიერმა მიუძღვნა თავიანთი შრომები, გამოკვლევები და წერილები. ჩვენ აქ არ შეუდგებით ენათმეცნიერების ამ საკითხების განხილვას, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და ერთ ნარკვევში ამ საკითხების ზოგადადაც მოთავსება შეუძლებელი არის. საზღვარგარეთის ზემოთ დასახელებულ მეცნიერების გარდა, ქართველური ენების შესახებ, თავიანთი ნაშრომები მიუძღვნეს მეცნიერებმა:

გერმანიაში:

ბოპ (Bopp) ფრანცი (1791–1867) – ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ენათმეცნიერი;

დეეტერსი (Deeters) გერჰარდტი (1892–1961) – ქართველოლოგი და კავკასიოლოგი;

ლაიბნიცი (Leibniz) გოტფრიდი (1646–1716) – ფილოსოფოს-იდეალისტი, ლოგიკოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი, თეოლოგი და დიპლომატი;

მეკელაინი (Meckelein) რიხარდი (1880–1948) – ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, სლავისტი, ლექსიკოგრაფი და სხვები.

ინგლისში:

მიულერი (Müller) მაქსი (1823–1900) – ენათმეცნიერი და რელიგიის ისტორიკოსი და სხვები.

ავსტრიაში:

ბლაიხშტაინერი (Bleichsteiner) რობერტი (1891–1954) – ენათმეცნიერი, მთარგმნელი და ეთნოგრაფი;

მიულერი (Müleer) ფრიდრიხი (1834–1898) – ენათმეცნიერი და ეთნოგრაფი;

შუხარდტი (Schuchardt) ჰუგო (1842–1927) – ენათმეცნიერი და სხვები.

საფრანგეთში:

ბრეიერი (Breuer) მორისი (1881–1960) – აღმოსავლეთმცოდნე და ქართველოლოგი;

ბროსე (Brosset) მარი (1802–1880) – ისტორიკოსი, ორიენტალისტი და ქართველოლოგი;

ლაფონი (Lafon) რენე (1899–1974) – ენათმეცნიერი, ბასკოლოგი, ქართველოლოგი და კავკასიოლოგი;

მეიე (Meillet) ანტუანი (1866–1936) – ენათმეცნიერი და სხვები.

ჩეხოსლოვაკიაში:

იედლიჩკა (Iedlicka) იარომირი (1901–1965) – ქართველოლოგი, კავკასიოლოგი და მთარგმნელი და სხვები.

რუსეთში:

ტრუბეცკოი ნიკოლოზ (1890–1938) – ენათმეცნიერი და სხვები.

საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის გარდა, ქართული ენის სხვადასხვა საკითხებს განიხილავდნენ მეცნიერები და მკვლევარები:

აბულაძე ილია (1901–1968) – ფილოლოგი, ძველი ქართული ენისა და მწერლობის მკვლევარი, პალეოგრაფი და ლექსიკოლოგი;

ახვლედიანი გიორგი (1887–1973) – ენათმეცნიერი;

ბაქრაძე დიმიტრი (1826–1890) – ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი;

თოფურია ვარლამი (1901–1968) – ენათმეცნიერი;

იმნაიშვილი ივანე (1906–1988) – ფილოლოგი, ქართული ენის მკვლევარი, ლექსიკოგრაფი და ტექსტოლოგი;

კარიჭაშვილი დავითი (1862–1927) – მწერალი, ენათმეცნიერი, და ისტორიკოსი;

კეკელიძე კორნელი (1879–1962) – ფილოლოგი და ლიტერატურათმცოდნე;

ქავთარაძე ივანე (1920–1984) – ენათმეცნიერი და ფილოლოგი;

შანიძე აკაკი (1887–1987) – ენათმეცნიერი;

ჩიქობავა არნოლდი (1898–1985) – ენათმეცნიერი;

ჩხენკელი კიტა (პეტრე) (1895–1963) – ენათმეცნიერი და ლექსიკოგრაფი;

ცაგარელი ალექსანდრე (1844–1929) – ფილოლოგი და ისტორიკოსი;

წერეთელი გიორგი (1904–1973) – ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელი;

წერეთელი მიხეილი (მიხაკო) (1878–1965) – ფილოლოგი და პუბლიცისტი და სხვები.

ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებული ქართული დამწერლობათმცოდნეობის დარგის მეცნიერ-მოღვაწეებს, განხილული აქვთ ქართული ენის სხვადასხვა საკითხები და ქართული ანბანური დამწერლობის ნაირსახეობები. ქართულ ასომთავრულს არა ერთი ფუნდამენტალური, ღრმა შინაარსიანი მეცნიერული გამოკვლევები, მოხსენებები და ნაშრომები მიუძღვნეს ჩვენმა შემდგომი თაობის მეცნიერებმა.

ჩვენამდე მოღწეულია ქართული დამწერლობის სალიტერატურო ენის ძეგლები, რომლებიც უძველესია დღემდე ცნობილ ქართულ წარწერათა შორის. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ქართული მონასტრების ნანგრევების გათხრების დროს, ბეთლემის მახლობლად პალესტინაში, აღმოჩნდა იატაკზე ოთხი მოზაიკური ფილა ასომთავრული წარწერით, რომელიც მეცნიერების გამოკვლევებით ჩ. წ. 430 წელს არის შესრულებული; ბოლნისის ტაძარზე წარწერა, რომელიც 494 წლით თარიღდება; და ქართული მონასტრების წარწერები სირიასა და ეგვიპტეში და სხვა.

მართალია ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები ჩვენ ჩ. წ. V საუკუნიდან შემოგვრჩა, მაგრამ ი. ჯავახიშვილმა და სხვა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქართული მწიგნობრობა გაცილებით ადრე, ჩვენს საუკუნემდე არსებობდა. მათ დაამტკიცეს, რომ ყოვლად შეუძლებელია ასე ერთბაშად, უცებ, შექმნილიყო ასეთი დახვეწილი ქართული ანბანი. მას უნდა გაევლო საკმარისად დიდი დრო. მხატვრული თვალსაზრისით ჩვენს დრომდე შემორჩენილი ქართული ლიტერატურული ძეგლები, იმდენად ენობრივად დახვეწილია, რომ შეუძლებელია ასე უცებ V საუკუნეში შექმნილიყო ასეთი სრულყოფილი ნაწარმოებები, როგორიც არის: მწერალისა და ჰაგიოგრაფიის, იაკობ ცურტაველის (ხუცესი) (V ს-ის II ნახევარი) „შუშანიკის წამება“, რომელიც დაწერილია 476–483 წლებს შუა, V საუკუნეში თარგმნილი ბიბლიური თხზულებები და სხვა.

გ. წერეთელი პალესტინის წარწერების შესახებ წერდა:

„პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით ჩვენ მივადექით იმ მიჯნას, რომლის იქით, ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, ისიც საქართველოდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში, როგორც პალესტინაა... ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა

იქნეს. V საუკუნეზე ადრე ქართული დამწერლობის არსებობა... ამჟამად უფრო შესაძლებელი და რეალური ჩანს“ (40, გვ.71).

ძველი საისტორიო ლიტერატურული ძეგლების განხილვიდან მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს უძველეს დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონიათ დამწერლობა.

შ. ძიძიგური წერს, რომ:

„არის საბუთები ვიფიქროთ, რომ ძველ კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“ (40, გვ.65). „ბერძნულ წყაროებში მოიპოვება ცნობები კოლხური (ე. ი. ქართული) უძველესი დამწერლობის შესახებ“ (38, გვ.66).

რ. პატარიძე წერს, რომ:

„დამწერლობის ანბანურ სისტემას მხოლოდ ერთმა ერმა მიაგნო და ამდენად ანბანური დამწერლობა კაცობრიობამ მხოლოდ ერთხელ შექმნა. „C’est ta une invention qu’on ne peut faire deux fois“ – „ეს არის მიგნება, რაც არ შეიძლება ორჯერ მოხდეს“,– ამბობს ცნობილი პალეოგრაფი მორის დიუნანი“ (38, გვ.49).

„ქართული ასომთავრული ერთ-ერთი ყველაზე მეტად სრულყოფილი ანბანური დამწერლობაა მსოფლიოში“ (38, გვ.55).

„ქართული ანბანური დამწერლობა ძვ. წ. 412 წელს შეიქმნა;

სრულიად ქართული სახელმწიფო დამწერლობა შემოღებულ იქნა ძვ. წ. 284 წელს“ (38, გვ.523).

„ქართული წარმართული კალენდარი, რომელიც შემოღებულ იქნა საქართველოში ქართველ ქურუმთა მიერ ძვ. წ. 412 წელს, ერთ-ერთმა ქართველ ქურუმთაგანმა შეჰქმნა მარადიული და უკვდავი ძეგლი – ქართული ასომთავრული ანბანი“ (38, გვ.527).

მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგი გიორგი ციციშვილი (1922–2005) წერს რომ:

„აღმოჩენილია კაცობრიობის პირველი ანბანი, რომლის შემქმნელები არიან შუმერები. ქართველები ამ ანბანს ასომთავრულს უწოდებენ და იგი შორეულ წარსულში გამოყენებაშიც ჰქონდათ. იგი კოსმოსური ანბანია, სადაც მთვარე და მზე ასო ნიშნებადაა გამოყენებული. თითოეული ასო-ნიშანი (სულ 35) ფილოსოფიური წიგნივით იკითხება. მათშია დაუნჯებული სამყაროსეული საიდუმლებანი, მათ შორის მზისა და მთვარის კალენდარი წამების სიზუსტით, რაზედაც აქამდე მეცნიერებას წარმოდგენაც არ ჰქონდათ. შუმერული ენა, რომელიც დაახლოებით ოთხი ათასი წელი მკვდარ ენად ითვლება, კვლავაც ცოცხლობს

ქართული ენის უძველეს სვანურ-მეგრულ დიალექტებში. საქართველოს მთიანეთში მცხოვრები სვანები დღემდე ინახავენ შუმერულ ღვთაებათა პანთეონის რელიგიურ კულტებსაც. ამ უდიდესი აღმოჩენით არაერთ ცხოვრებისეულ საიდუმლოებას ეხდება ფარდა“ (39, გვ.2).

შუმერების ანბანის შესახებ ზ. ქაფიანიძე ამბობს:

„აღმოჩენილია შუმერების ანბანი.

დედამიწაზე სამყაროსეული ცივილიზაციის პირველი მკვდარი, აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციის სათავე.

აღმოჩენილია ანბანის რიცხვიერი ფორმულა, რომელიც საოცარი ზეწესრიგით განაგებს ასოთა მოხაზულობას, რიცხვებს, მათემატიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას...

ამ ანბანშია სამყაროსეული ღვთაებათა პანთეონი – საკრებულო, რომლისგანაც შეიქმნა დედამიწაზე კაცთა მოდგმის ყველა რელიგიური მიმდინარეობა.

ქართული ასომთავრული ანბანი შუმერების ანბანია!“ (39, გვ.3).

„აქ, კავკასიონის მთის საცავებში, გადარჩა სამყაროსეული ცივილიზაციის ის უდიდესი კულტურა, რაც მთელ აღმოსავლეთში რელიგიამ დამარხა. ეს უძველესი კულტურა საქართველოში ქრისტიანობამ გაანადგურა. მთელ მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში კი მაჰმადიანურმა მოსპო იგი.

თავდაპირველ უძველეს შუმერულ სიტყვებს საოცარი სიზუსტით ხსნის საქართველოში შემონახული ენები: მეგრული, სვანური და თავად ქართული“ (39, გვ.5).

ამავე საკითხის შესახებ, ისტორიკოსი თეიმურაზ მიბჩუანი წერს:

„როგორც ჩანს, საქართველოს მთიანეთში ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მთლიანად ვერ წალეკა წარმართული სულიერი კულტურა და იგი გადმონაშთის სახით დღემდე შემორჩა სიმღერებში, ჰიმნებში, საწეს-ჩვეულებო რიტუალებში, ხელოვნებაში, ქრისტიანულ რელიგიაში“ (39, გვ.92).

შ. ძიძიგური აღნიშნავს, რომ:

„ქრისტიანობის გავრცელებამ საქართველოში (ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნეობად იქცა უკვე IV საუკუნის დასაწყისში) უთუოდ მოსპო და გაანადგურა წარმართული კულტურის ძეგლები. ცნობილია,რომ საქართველოში ქრისტიანობის პირველ დღეებშივე აუტოდაფეს უმართავდნენ არათუ „წარმართულ“ ლიტერატურას, არამედ ქრისტიანობიდან გადახრილ „ერეტიკულ“ იდეების შემცველ თხზულებებსაც“ (40, გვ.82).

ქართული სამწერლობო ენა, ძველი დროიდან მოყოლებული, თანდათან გახდა ძირითადი ენა ყველა ქართველ ტომთათვის. მან შეაკავშირა ქართველი ხალხის ძირითადი ტომები: ქართები, სვანები და მეგრელ-ჭანები, რომელთა გარშემო გაერთიანდა სხვა ქართველთა ტომები.

„ქართული ენა ქართველი ერის ნიშანთა შორის ყველაზე ძველი ნიშანია: ის მრავალი საუკუნით ადრე არსებობდა, ვიდრე ერთიანი ტერიტორია, ეკონომიკა და ფსიქიკური წყობა ქართველი ერის ერთიანობას განსაზღვრავდა. ქართული ენა ძველი მწერლობის მქონე ერთადერთი ენაა იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის...

სალიტერატურო ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი ქართული გონითი კულტურის პროდუქტიც არის და ამ კულტურის განვითარების მძლავრი იარაღიც. უკვე XI–XII სს-თვის ქართული ენა იმდენად განვითარებული იყო, რომ ფილოსოფიურ თხზულებათა ქართულად თარგმნა და ინტერპრეტაცია დაუბრკოლებლად ხდებოდა(ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი...). მაშინ კულტურულ კერებს მონასტრები წარმოადგენდა. დღეს ქართული ენა სახელმწიფო ენად არის აღიარებული“ (15, ტ.10, გვ.475).

„ცნობები ქართული კილოების შესახებ გვხვდება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის უცმებში (ალტერი, გიულდენშტედტი, ბროსე, როზენი, ერკერტი, შუხარდტი და სხვ.). ქართული დიალექტების მეცნიერული შესწავლა XX საუკუნის დამდეგიდან დაიწყო...

დიალექტური თავისებურებანი გამოვლენილია ძვ. საუკუნეების წერილობით ძეგლებში – ძვ. ქართულ თარგმანებში, ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაში, ისტორიულ საბუთებში და სხვ. მოგვეპოვება წინა საუკუნეებში ფიქსირებული ცოცხალი მეტყველების ტექსტებიც, რომლებიც დაცულია ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (XII ს.)“ (15, ტ.10, გვ.477–478).

ქართული დიალექტებია: ქართლური, კახური, თუშური, მოხეური, ფშაური, ხევსურული, მთიულურ-გუდამაყრული, ინგილოური, ყიზლარ-მოზდოკური, იმერული, აჭარული, რაჭული, გურული, იმერხეული, მესხური, ლეჩხუმური, ჯავახური, ფერეიდნული.

ქართული სალიტერატურო ენის შესახებ პ. ინგოროყვა აღნიშნავს:

„ქართული სალიტერატურო ენა, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, როგორც ძველი ქართული, ისე საშუალო ქართული და ახალი ქართული, საერთო ენაა ქართველი ხალხისა, უმაღლესი ფორმა ენისა,– რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები. სალიტერატურო ქართული

ენა მთელი ისტორიის მანძილზე საერთო ენა იყო მთელი ქართველობისათვის, ყველა ქართველი ტომისათვის, როგორც ქართლელისათვის, ისე გურულისათვის, როგორც კახელისათვის, ისე მეგრელისა და ჭანისათვის, როგორც თუშ-ფშავ-ხევსურისათვის, ისე სვანისათვის, როგორც იმერლისათვის, ისე მესხისათვის.

ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე ის გარემოება, რომ ქართული სალიტერატურო ენისათვის – მისი განვითარების ყველა სტადიაზე დამახასიათებელია ხალხურობა. ამით აიხსნება, რომ თვით ძველ-ქართულ მწერლობის ისეთი ძეგლები, რომლებიც თხუთმეტი საუკუნით არის დაშორებული ჩვენი დროიდან, როგორც, მაგალითად. მე-5 საუკუნის ძეგლი „წამება შუშანიკისი“, თითქმის დაუბრკოლებლად გასაგებია თანამედროვე მკითხველისათვის. ხოლო რუსთავ-ელის „ვეფხის-ტყაოსნის“ ქართული – იმდენად აღბეჭდილია ნამდვილი ხალ-ხურობით, იმდენად ნათელია და გამჭვირვალე, რომ ამ ენას შერჩენილი აქვს, თვით პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „სილბვო ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“, რუსთაველის ენა, მიუხედავად ზოგიერთი სტრუქტურული სხვაობისა, საუკუნეთა მანძილზე ცოცხლობს, იგი ინარჩუნებს თავის უჭკნობელ მშვენიერე-ბას“ (9, გვ.427).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი ქართული სალიტერატურო ენა, იწყება XI საუკუნიდან. იგი თანდათან ვითარდებოდა და XVIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებულ სახეს ღებულობს. ეს არის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი სახეობა. იგი წარმოდგენილია, მწერალის, მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის, „სიბრძნე-სიცრუის“ ავტორის, სულხან-საბა ორ-ბელიანისა (1658–1725) და დავით გურამიშვილის „დავითიანი“-თ.

ამ ორი თვალსაჩინო მწერლებით თავდება ახალი ქართული ლიტერატურის ძველი დრო.

ახალი ქართული ლიტერატურის ძველი დროის წარმომადგენელმა სულ-ხან-საბა ორბელიანმა თავის შემოქმედებაში, ძველ მწიგნობრულ ენასთან ერთად, პირველად გამოიყენა ხალხური სასაუბრო ენა. ხოლო, რუსთაველის შემდეგ, და-ვით გურამიშვილი, პირველი პოეტია, რომელმაც პოეზიაში, დახვეწილ სალიტე-რატურო ენასთან ერთად უხვად იყენებს ხალხურ სასაუბრო მეტყველებას. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებამ გავლენა იქონია ქართული პროზისა და პოეზიის შემდგომ განვითარებაზე.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარება შეჩერდა. ეს ის დროა, როდესაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და მოექცა რუსეთის იმ-

პერიის კოლონიურ მარწუხებში. ეს ის დროა, როდესაც, განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან იდევნებოდა ქართული ენა და ქართულ ერს გადაგვარება ელოდა. როდესაც ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა აღარ არსებობდა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მიმოწერა და საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე ხდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ადრე ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შეფერხება, ხდებოდა ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მიმდევრების გამოც. საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი, ვახტანგ VI-ის ძმის მეფე იესესა და მეფე ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის (ელენე) ასულის შვილი ანტონ I კათალიკოსი (თეიმურაზ ბაგრატიონი) (1720–1788) უნიჭიერესი განათლებული პიროვნება იყო, რომელიც ცდილობდა საქართველოს სახელმწიფოს, მეფის ხელისუფლების და საეკლესიო ძალაუფლების გაძლიერებას. მის მიერ ჩატარებულმა რეფორმებმა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგავლენა იქონია. მაგრამ, ქართულ ლიტერატურაში, ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის მაგივრად შემოიღო სამი სახის თეორია და დააკანონა სამი სალიტერატურო მეტყველება. რომლის მოძღვრების თანახმად, „მაღალ მატერიაზე“, ესე იგი, ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებზე „მაღალი სტილით“ უნდა ეწერათ; ისტორიული ნაწარმოებები – „საშუალო სტილით“, ხოლო დანარჩენი, ესე იგი საყოფაცხოვრებო მოვლენები კი – „დაბალი სტილით“ უნდა შესრულებულიყო. სინამდვილეში, „მაღალი სტილი“ წარმოადგენდა ძველი ქართულის დამახინჯებულ ენას, ხოლო დანარჩენი ორის ენა წარმოადგენდა საშუალო ქართული ლიტერატურის ენას.

პ. ინგოროყვას თქმით:

„ანტონ კათალიკოზის სკოლის მოღვაწეობის შედეგად ქართული სალიტერატურო ენა მოსწყდა ხალხურობას, რაც ყოველთვის შეადგენდა ქართული სალიტერატურო ენის საფუძველს მისი განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე. ანტონ კათალიკოზის სკოლამ ამასთან ერთად დააკანონა რთული ორთოგრაფია ქართული სალიტერატურო ენისათვის, გადმოიტანა ხუცური დამწერლობიდან მხედრულ ანბანში ზედმეტი ასოები, რაც მხედრულში თავიდანვე არ არსებობდა, და ამას გარდა შემოიტანა ახალი ზედმეტი ასოებიც კი.

ასეთი იყო ის ვითარება, რაც დამყარდა ქართულს მწერლობაში ანტონ კათალიკოზის სკოლის მოღვაწეობის შედეგად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში“ (9, გვ.428).

როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, მთავარი ნაკლი ანტონ კათალიკოსის შემოღებული ლიტერატურის თეორიისა, იყო ის, რომ ქართული სალიტერატურო ენა დაშორდა ხალხს და ლიტერატურა აღმოჩნდა ხალხურობის გარეშე. მაგრამ მიუხედავად ამ შეფერხებისა, ქართული სალიტერატურო ენა, თანდათან ისევ ძალას იკრებს და იწყებს განვითარებას.

1. ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები ენის შესახებ

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პოეტები: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებულ თეორიებს აღარ ემორჩილებიან და ხალხურობისკენ მიისწრაფიან.

პ. ინგოროყვა წერს, რომ:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ისევე ვერ გამოეთიშება ახალი ქართული სალიტერატურო ენის წრიდან, როგორც ვერ გამოეთიშება ამავე რკალიდან ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ (9, გვ.429).

XIX საუკუნის 60-იან წლებიდან სამწერლო ასპარეზზე იწყებენ გამოსვლას ახალი თაობის მწერლები, რომლებიც ცდილობენ ქართული სალიტერატურო ენის განახლებას, ხალხთან დაახლოებას და ამავე დროს იწყებენ ბრძოლას ანტონ კათალიკოსის მიერ შემოღებულ და დამკვიდრებულ ორთოგრაფიისა და ქართული სალიტერატურო ენის გარდაქმნისათვის.

60-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოდიან ქართული ენის გარდამქმნელები: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, და მათ გარშემო შემოკრებილი მწერლები.

ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის ბუმბერაზი მწერალი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული ენის შემოღებას და ენის ხალხურობას. მის მიერ შექმნილი ნაწარმოებები დაწერილია ხალხური ენით. როგორც ცნობილია, ილიას კრიტიკულმა წერილებმა, სადაც განიხილავს ენის ორთოგრაფიისა და ლიტერატურულ საკითხებს, გამოიწვია საზოგადოებაში მწვავე ლიტერატურული პაექრობა ძველ თაობასა და ახალ თაობას შორის. როდესაც ილიამ დაიწყო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემა, საბოლოოდ გადაწყდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბედი და ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი ქართული ორთოგრაფია და ლიტერატურული ენა.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში, ჩვენი სახალხო უსაყვარლესი

კლასიკოსი მწერალი აკაკი წერეთელი და ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი და მათ გარშემო შემოკრებილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები:

ბერიძე ივანე (1833–1890) – პოეტი, პროზაიკოსი და პუბლიცისტი;

ნაკაშიძე პეტრე (1838–1895) – ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე;

ყაზბეგი გიორგი (1839–1921) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, გეოგრაფი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი;

ყიფიანი დავითი (1835–1892) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, პედაგოგი და მთარგმნელი;

ყიფიანი მიხეილი (1833–1891) – პუბლიცისტი;

ჩიკვაიძე (ჩიკოიძე) მიხეილი – მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე;

ჩიქოვანი გიორგი (1841–1887) – ჟურნალისტი და მთარგმნელი;

წინამძღვრიშვილი ილია (1834–1920) – ლიტერატორი, პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ვაჟა-ფშაველა, კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები.

ქართული ენის მოამაგენი იბრძოდნენ იმისთვის, რომ ქართული სალიტერატურო ენა უნდა ყოფილიყო ერთი და ხალხური.

ილია ჭავჭავაძე წერილში „პასუხი“ აცხადებს:

„წინათვე მოგახსენეთ, ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“ (1, ტ.3, გვ.43).

ილიას პოეზია, პროზა, თუ კრიტიკული წერილები დაწერილია სანიმუშო, ყველასათვის გასაგები ენით.

გრიგოლ ყიფშიძე ილიას შესახებ აღნიშნავდა:

„საგაზეთო მასალის გადაკითხვას, წერილების და კორესპონდენციების გასწორებას ენისა და შინაარსის მხრივ, დიდს ყურადღებას აქცევდა უფრო ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამად სიტყვების დაწყობას და დასურათებით აზრის გამოთქმას გლეხკაცურს კილოზედ. თვით ღრმად მცოდნე იყო ქართულისა და ყოვლის ღონისძიებით ცდილობდა, რომ გაზეთში ყოველივე წმინდა ქართულით ყოფილიყო დაწერილი“ (4, გვ.99).

შანიძეს მოჰყავს, საზოგადო მოღვაწის, მწიგნობარის და ისტორიკოსის ზაქარია ჭიჭინაძის (1853–1931) სიტყვები:

„ქართული ენის ცოდნაში ილია ჭავჭავაძეს ცალი არ ჰყავს, ამის ენის ცოდნით აღტაცებული იყო დ. ბაქრაძე. იგი ილია ჭავჭავაძის ენას ნამდვილ

საჭირო ენად სთვლიდა. ასე ლაპარაკი და წერა არც ერთ ქართველს მწერალს არ შეუძლიანო. მისი ენა შუქია ბინდისაო, იგი ცხოველ სიცოცხლით სავსეა; მან დასძლია ყველაფერი, ქართული ენა ძლევამოსილის ძალით შემოსა. გაზეთ „ივერიაში“ როცა კი ამის წერილი იბეჭდება რამე და ამ წერილს თუმცა სახელი და გვარი არ აქვს მოწერილი, იგი წერილი მაინც ცხადად აჩენს ილია ჭავჭავაძის ქართულ ენას და შნოს, იგი იკითხება დიდის აღტაცებით, დიდის სიამოვნებით. რამდენი ბრწყინვალე წერილი დაუწერია ამ პირს, რამდენი წერილი მოურთავს თავის მშვენიერის მოქარგულის ქართული ენით, ყველა ამეებს კაცი ვერ მოთვლის, ყველა ამეებს კაცი ვერ აღნუსხავს“ (ილია ჭავჭავაძე როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი, გვ.71)“ (3, გვ.135).

ილია ჭავჭავაძის პოეზიისა და პროზის განხილვისას, ჩვენ აღვნიშნავთ ნაწილობრივ მის მოსაზრებებს ქართული ლიტერატურისა და ენის შესახებ. აქ, განვიხილავთ მხოლოდ იმ წერილებს, რომლებიც ეხება ქართული ენის საკითხებს და დავინახავთ, რომ ა. შანიძის თქმით:

„მე-19 საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის განხილვით და ახლო გაცნობით უეჭველი ხდება, რომ ახალი სალიტერატურო ენის მესვეური, მისი სულის ჩამდებელი დიდი ილია არის“ (3, გვ.94).

ქართული ენის შესახებ კ. გამსახურდია აღნიშნავდა:

„ქართული ენა არც ამერლებს შეუქმნია და არც იმერლებს, ცალ-ცალკე არც ერთს და არც მეორეს.

არც თუ მარტოოდენ ქართლის მეტროპოლიას შეუქმნია იგი.

ქართული ენა შექმნილია ყველა ქართულ დიალექტებზე მეტყველ ქართულ ტომებისა და მათ ნაშიერების მიერ.

ყოველი დიდი ოსტატი ქართული ენისა უწინარესს ყოვლისა თავის კუთხეში დაგროვილი სიტყვის მარაგით ამდიდრებდა და ამკობდა ქართულ მეტყველებას“ (27, ტ.VIII, გვ.206).

„ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიდარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურული ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი.

აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული“ (27, ტVIII, გვ.207).

ი. ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც მან დაწერა პეტერბურგში სტუდენტობის დროს, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, გახდა ლიტერატურული

დავის სათავე, ძველ თაობას, „მამებსა“ და ახალ თაობას, „შვილებს“ შორის. ეს წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“, 1861 წელს, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე კერესელიძე (1829–1893). მის დროს ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის წარმომადგენელთა ნაწარმოებები, პუბლიცისტური წერილები კი ნაკლებად.

ძველი თაობა, რომელიც აღზრდილი და გამსჭვალული იყო ანტონ I-ის მიერ შემოღებული, ქართული ლიტერატურული წესებითა და კანონებით, ვერ ეგუებოდა ახალი თაობის მიერ ლიტერატურულ ამ წესებიდან გადახვევას და უგულებელყოფას, განსაკუთრებით ვერ ეგუებოდა ძველად მიღებულ ორთოგრაფიის ზოგიერთი ნიშნების ხმარებიდან ამოღებას. ახალი თაობის აზრით ეს ნიშნები ქართულ სალიტერატურო ენისათვის ზედმეტი იყო და ამ ნიშნების ამოღებით ქართული ენა ხალხისათვის უფრო ადვილად გასაგები ხდებოდა.

ილიას წინააღმდეგ გაილაშქრეს ძველი თაობის წარმომადგენლებმა: მწერალმა ბარბარე ჯორჯაძემ (1811–1895), მთარგმნელმა, კრიტიკოსმა გიორგი ბარათაშვილმა (XIX ს-ის 50–60-იანი წლები) და ჟურნალ „ცისკარის“ თანამშრომელმა, პოეტმა და მთარგმნელმა რევაზ ერისთავმა (1827–1899). რომლებმაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნეს საპასუხო წერილები, სადაც ისინი აკრიტიკებდნენ ილიას ენას და განსაკუთრებით აღიზიანებდათ მათ ორთოგრაფიის შეცვლა.

ილია წერილში „ორიოდე სიტყვაში“ აკრიტიკებდა რევაზ ერისთავის თარგმანს, უწოდებდა მას როგორც „უხელოვნო“ თარგმანს, რადგან, მას „გულმოდგინედ და მსგავსად უნდა გადმოეთარგმნა და არა ისე უწყალოდ გაეფუჭებინა“ დედანი (1, ტ.3, გვ.14). მისი აზრით, ამ თარგმნის მთავარი ნაკლი იყო ის, რომ: „თარგმანი – როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავს“ (1, ტ.3, გვ.15).

ილიასთვის მთავარი იყო ქართული ენა და ამ ენის სიწმინდისათვის, დახვეწისათვის იბრძოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. სწორედ ამას უსაყვედურებდა რ. ერისთავს. ილია წერდა:

„სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაიღიღინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხვის-ტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ

დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლა-და ზეგარდმო შთაგონებული წვრილი ლექსები!.. გვიკვირს კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუტანია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობა და სიძულვილია. რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“ (1, ტ.3, გვ.15).

ამის შემდეგ, ილია განიხილავს რ. ერისთავის თარგმანს და კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ:

„თავად ერისთავის ენა კი სწორედ ნაღველს გაუხეთქავს კაცს; ძალიან მოთმინება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ „შეშლილი“ თავიდამ ბოლომდე წაიკითხოს“ (1, ტ.3, გვ.17).

ილია განაგრძობს, რუსი პოეტის და რომანტიზმის დროის მთარგმნელის ი. ი. კოზლოვის (1779–1840) ლექსის, „შეშლილის“, შესახებ მსჯელობას და ამბობს, რომ რითმები არა სწორადაა დალაგებული და საერთოდ „ბრახაბრუხია რითმებისა“, ლექსებში რა „აზრი უნდა იყოს“ არ ჩანს, „უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში“ უამრავი გრამატიკული და ნიშნების ხმარებაშიც შეცდომებია. ილიას ამოწერილი აქვს თარგმანიდან ადგილები და სტრიქონები. თითოეულს განიხილავს ცალ-ცალკე და საბოლოოდ გამოაქვს დასკვნა, რომ:

„თავიდამ იქამდი, სადამდინაც მე წავიკითხე ეს „შეშლილი“, სულ ამისთანა შეცდომებია, მაგრამ ჩვენ სულ ყველა იგი რომ ამოგვეწერა, ხელახლად დაბეჭდვა მოუნდებოდა თითქმის.

ის არ ეყოფა ამ საშინელს თარგმნას, რომ ერთხელ ეღირსა დაბეჭდვა, რომ მეორედაც არ დაბეჭდილიყო? ჩვენც თითონ ისე დავიღალენით, დავიქანცენით, დავყრუვდით რითმების უთავბოლო რახარუხით, რომ ვერ შევძელით „შეშლილის“ ბოლომდე წაკითხვა...

მართლა, რომ კაზლოვის „შეშლილი“ სრულად შეშლილია ქართულს ენაზედ; ერთი ბეწო შებრალება და სიყვარული არა ჰქონია იმის მთარგმნელს – არც იმისი, რაც უთარგმნია, არც თავისივე ამორჩეულ პოეტისა, არც ხელოვნებისა, არც თავის მშობლიურ ენისა. მარტო ჩანს, რომ საკვირველად ჰყვარებია თ. ერისთავს რითმების რახარუხი“ (1, ტ.3, გვ.25).

ამ წერილის ბოლოს, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე წარმოსთქვამს სიტყვებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა საშვილიშვილოდ. მკითხველი

გაკვირვებული რჩება, თუ როგორ, ასე ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ სტუდენტმა, შეძლო ასეთნაირად გამოეხატა მამულის, სამშობლოს და ენის სიყვარული.

„ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი. მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა. თუნდ რომ იწყინოს თავად რ. შ. ერისთავმა ჩვენი პირ-მოუფერებელი სტატია, რა უყოთ? მისი ნებაა! სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა და სარწმუნეობა. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს. იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა. ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით. რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრება და უხეიროდ მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ.

დასასრულ, თუ მკითხველი ეყოლება ჩვენ სტატიას, მასთან ბოდიშს ვითხოვთ ჩვენ: იქნება იგი ჩვენს სტატიაში ერთს ჭკვიანურს განხილვას ელოდა და ვერა ჰპოვა. რა უყოთ? როგორიც მღვდელია, ისეთიც ერიაო, ამბობს ქართული ანდაზა. როგორიც პოემა იყო ნათარგმნი, იმისთანაც, ღვთის წყალობა თქვენა გაქვთ, გამხილავიც შეხვდა. ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია, თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა?“ (1, ტ.3, გვ.26).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ წერილს, ძველი თაობის წარმომადგენლები აგრესიულად შეხვდნენ და ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდეს საკამათო წერილები.

ილიამ ამავე ჟურნალში გამოაქვეყნა მეორე წერილი „პასუხი“. ამ კრიტიკულ წერილში, ავტორი მკაფიოდ, ნათლად და დასაბუთებით ამტკიცებს, თავის შეხედულებას ქართული ენის, ლიტერატურის და ორთოგრაფიის შესახებ.

ბარბარე ჯორჯაძე (1811-1895) კრიტიკულ წერილში „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“, წერს:

ილია „გვიწერს, რომ ვითომ ჩუჩნ ვახდენდეთ ენას, არამც თუ ვაკეთებდეთ. თუ უკაცრავად არ ვიქნებით, მგონია თითონ უფრო ახდენს... ყოვლის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ქლოვნებითის სიტყუერებისა. ეს რომ ყურადღებით წაეკითხა, უეჭველია არ იტყოდა, ჳ, ჳ, ჩ, ჲ, ჯ და ჴ-ის ხმარება საჭირო არ არისო. რატომ არ იცის თავად ილია ჭავჭავაძემ, რომ ბუნებით მომზადებულთა სიტყუითათვის ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიცა არიან მართალნი და რომელთაცა გამოცლა დიდი გმობა უნდა იყოს“ (30, გვ.499).

ილია ჭავჭავაძე, როგორც ყოველთვის, საფუძვლიანად ამტკიცებს თავის შეხედულებას, თუ რატომ არის წინააღმდეგი ზოგიერთი ძველი ორთოგრაფიის ნიშნების ხმარებისა. იგი წერს:

„ჩვენი მწერალი ქალი დასცინის ქცევას, რომ მე უ, ჩ, ჴ, ჯ, ჲ, ჭ, ჱ არა ვხმაროб. იმის მაგივრად, რომ მწერალმა ქალმა დაამტკიცოს ჩემი შეცდომა მაგაში, მოჰყოლია და თეორეტიკის ზღაპრებს გვიამბობს. ეგენი ბრძანებენ, რომ ბუნებას მოუციაო ხმა სიტყვის გამოსახატავად; ხმა მხეცებისათვისაც მიუცია ბუნებას, მაგრამ არა მხეცი არა მგონია ლაპარაკობდეს, თუმცა ბევრი მაგალითები ზოოლოგიაში გვიმტკიცებენ, რომ, კაცის გარდა, სხვა ცხოველნიც ამცნებენ ურთიერთს თავის სურვილს, განზრახვას, ერთის სიტყვით, აზრსა; მაგრამ ესეც ყველამ კარგად ვიცით, რომ ისინი ამცნებენ აზრსა ურთიერთს არა სიტყვის საშვალობით; მაშასადამე, ბუნებას, ხმის გარდა, სხვა ნიჭიც მოუცია კაცისათვის; ეს ნიჭი არის ნიჭი სიტყვიერებისა. მაგ ნიჭს შეუდგენია ენაცა, სიტყვაცა და მხოლოდ სიტყვას შეუდგენია ხმოვანიც და უხმო ასოცა. აბა, ერთი მიბრძანეთ, რომელ ბუნების კუნჭულში სცხოვრობს ასო: ა, ბ, გ, დ, ე, ვ? ეგენი მხოლოდ სიტყვებში სცხოვრობენ, სიტყვის მიხედვით არიან შემდგარნი და მხოლოდ სიტყვის ძალით არსებობენ ქვეყანაში. სიტყვა რომ არ იყოს ქვეყანაზედ, არც ასოები იქნებოდნენ. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენ მწერალ ქალს შინიდგან კარში ფეხი არ გამოუდგამს და, ანბანთ თეორეტიკის გარდა, არა უკითხავს-რა, თორემ გაიგებდა, რომ მაგას ამბობენ უკეთესი ფილოლოგები. ჩვენი მწერალი ქალი მოჰყოლია და, დამტკიცების მაგივრად, ზღაპრებს გვიბრძანებს თეორეტიკის სახელითა“ (1, ტ.3, გვ.38).

ამის შემდეგ, ილია იძლევა ახსნას თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ასოების გამოთქმისა და ხმოვანების შესახებ და ამბობს, რომ თუ ამ ასოებს არ ვიხმართ, ამით „ჩვენი ანბანი ეფრო განმარტივდება და მართლ-წერა გაადვილდება... კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება,

როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთის დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“ (1, ტ.3, გვ.39).

„ეს ასოები, რომლების ხმაც გამოითქმება სხვა ასოებითაც, ეგ ასოები სულ ტყუილად არიან ჩვენს ანბანში, თუ სულ არა, უფროსთაგანი მაინც; ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, აძნელებენ მართლწერასა და სხვა არაფერს არ შეგვძინებენ. თუ მართლა ეგ ასოები არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაიგდონ? შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? და თუ ისმის, მაგ ასოების ხმარების კანონს რატომ არ ვეძებთ ენაში, რომ ყველამ ერთნაირად ვიხმაროთ?... მთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის განმარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისაც და მართლწერისასაც... ჩვენთვისაც ურიგო არ იქნება, რომ ხმარებულნი, ამოიშალონ, როგორც უხმარნი; ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გაუადვილებდა წერასა“(1, ტ.3, გვ.41).

ილიას წინააღმდეგ გაილაშქრა, კიდევ ერთმა ძველი თაობის წარმომადგენელმა კრიტიკოსმა, მთარგმნელმა და სამხედრო ექიმმა სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა (მესხიევი) (1814–1868) წერილში „უსტარი, ანტიკრიტიკული“, სადაც წერდა:

„ასოებს უ, ჲ, ჴ, ჯ აქვსთ მართლწერის მნიშვნელობა: რომ ხელსა (ჭკვიდამ შეშლილსა) არ განარჩევთ თქვენ ელისაგან (სხეულის წევრისაგან)“ (1, ტ.3, გვ.447)

ამ შენიშვნაზე, ილია შემდეგნაირ პასუხს აძლევს:

„თუ აქვს ამ კანონებს მართლწერის მნიშვნელობა, რატომ არ გვიბრძანებთ, რა დღისთვის ინახავთ. თუ ამბობთ, რომ ხელსა და ჴელს ვერ განარჩევთ ერთი-ერთმანეთისაგანო, თუ ეგ ასოები არ იხმაროთო, განა ასო აძლევს აზრსა სიტყვასა? თუ ეგრე არის, მაშ „დაარიგე“ (ქაღალდის დარიგება), და „დაარიგე“ (დარიგების მიცემა) სხვადასხვა „დ“-ებით უნდა დაიწეროს. „ააგე“ (ააშენე) და „ააგე“ (ვთქვათ, მწვადი ააგე) სხვადასხვა ასოებით უნდა დაიწეროს. „გავეცი“ (მითამ სხვას მივეო) და „გავეცი“ (ხმა ამოვიღეო) სხვადასხვა ასოებით უნდა იწეროს. ესე რომ მოჰყვეთ, ათასს სხვა მაგალითს გიჩვენებთ, მაშასადამე, თქვენის თეორიით ათასი სახვადასხვა ასო უნდა შემოვიტანოთ, და ჩვენი ახალი მოსწავლენი ძალიან მადლობელნი იქნებიან“ (1, ტ.3, გვ.447).

ილია ჭავჭავაძე, ერთ-ერთ მის შესანიშნავ წერილშიც „აი ისტორია“-ში, მსჯელობს ანბანის მეტ-ნაკლებობაზე.

„ეხლა დროა ვიკითხოთ, – რა დამოკიდებულება აქვს ენის წარმატებას ანბანის მეტ-ნაკლებობაზედ. სლავიანური ენა კირილესა და მეთოდეს დროს განა უფრო განვითარებული იყო და წარმატებული, რომ მაშინაც ჰქონდა „რთული ხმოვანები“, როგორც მაგალითებრ – „я“, „ю“, რომელთაც ჩვენ „რთულს“ ვეძახით, ანუ უკეთ ვსთქვათ, ორ-ხმოვანებს, რადგანაც სხვა ხმის მოუშველებლად ვერ გამოითქმებიან. ინგლისური ანბანი დღესაც სხვა ანბანზედ უფრო ნაკლულია, უფრო უკან ჩამორჩენილი. ინგლისელნი ერთსა სწერენ და სულ სხვას ამოიკითხავენ ხოლმე. იქ სიტყვა წერით ერთია, წაკითხვით სხვა და ხშირად ისეც არის, რომ სამი სხვადასხვანაირად დაწერილი და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის, ასე რომ მნიშვნელობას მაშინ გაიგებთ, როცა დაწერილსა ჰნახავთ. მაგალითებრ, write = წერა, right = უფლება (право), rite = წესი (обряд). ამ სამსავე სიტყვას ერთნაირად ჰკითხულობენ ინგლისელნი და გამოითქმის როგორც „რაიტ“, სახვადასხვანაირად კი იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობისაა“ (1, ტ.4, გვ.84). ილია წერს, რომ ცნობილი ინგლისელი ეთნოგრაფი, კულტუროლოგი, პირველყოფილი ხალხის სარწმუნოებრივი წესჩვეულებებისა და ქცევების მკვლევარი, ერთ-ერთი ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის დამაარსებელი ედვარდ ტაილორი (ტეილორი) (Tylor) (1832–1917) „ამ ამბავს დიდ ნაკლად უთვლის ინგლისურს ანბანს, მაგრამ განა ამითი ითქმის, რომ ინგლისური ენა განუვითარებელია? ჩვენ მოვიყვანეთ ორი მაგალითი, რომ ანბანის მეტ-ნაკლებობა არაფრად შეეხება ენის წარმატებას არც მაშინ, როცა „რთული“ ხმოვანებია ანბანში, არც მაშინ, როცა ანბანი ნაკლულია... აშკარაა, რომ ენის წარმატებასთან ანბანის მეტ-ნაკლებობას არავითარი კავშირი არა აქვს“ (1, ტ.4, გვ.84).

ამავე წერილში ილია მსჯელობს „რთული ხმოვანების“ შესახებ და წერს, რომ:

„თუ ენას არ ესაჭიროება, რად უნდა ტყუილ-უბრალოდ ის რაღაც „რთული ხმოვანება“! სხვა ენის სიტყვების დასაწერად და გამოსათქმელად თუ? თუ ესეა, ეს რა თავში საცემია ქართულის ენისათვის, რომელსაც იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისთვის. თუნდ ესეც არ იყოს, რა საბუთია ენის წარმატებულობისა და განვითარებისა რთული ხმოვანები? ან რა არის ეგ რთული ხმოვანები? ამისთანა ტერმინი ჩვენ არსად შეგხვედრია. მეცნიერებაში ხმარობენ ამისათვის სულ სხვა ტერმინს, სახელ-

დობრ, ორკეცი, ანუ ორმარცვლოვანი ხმოვანიო... არის ბევრი იმისთანა ენა, რომელსაც ძველად ორკეცი ხმოვანები ჰქონია და, რაოდენადაც წარმატებაში შესულა, იმოდენად ცდილა ორკეცი ხმოვანი ერთხმოვანად გადაექცია“ (1, ტ.4, გვ.82).

ანბანის შესახებ ილია აღნიშნავს, რომ:

„ყველა ენას თავისი საკუთარი ანბანი იმიტომა აქვს, რომ თავისი სიტყვები წერით გამოათქმევინოს ასოებს... ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების კრებულია, რომელთაც ენა საჭიროებს თავის სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან, გამოიხატებიან ასოებით. ანბანი წარმოდგენილია მარტო იმ ხმებისა, რომელნიც ენაში არსებობენ. ანბანის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენის სავსეობითა და სისრულით ჰშველის ენას – მისი სიტყვები განგებ შემოღებულ ნიშნებით, ესე იგი ასოებით, გამოსთქვას წერითა“ (1, ტ.4, გვ.81).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული აზრი, ქართული ორთოგრაფიის სახეცვლილების შესახებ, დამაჯერებელია და თანდათან კიდეც გატარდა ცხოვრებაში. ეს ასოები: უ, ჱ, ჲ, ჳ ჴ და ჾ ხმარებიდან ამოღებულ იქნა.

ილია მოურიდებლად და პირდაპირ ეუბნება ბ. ჯორჯაძეს, რომ მას:

„არც ხელოვნება ესმის ჩვენს მწერალს ქალს და არც სიტყვიერება. ასოს ხმარების გამსაზღვრელი საგანი ტყუილადა სჩემობს ხელოვნების სწავლის სახელსა. ასოს ხმარებას სწავლა არ უნდა; თითონ სიტყვა გვასწავლის, სად უნდა ვიხმაროთ რომელი ასო. მერე თვით ასოს ხმარება გარეგანი საგანია, – ეგ მეხანიკური მიკერ-მოკერებაა ენაში, როგორც კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსები; ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნება. ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია – ესენიო სულ სახეში გამოსთქვამენ იდეისა, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა – ხმასა, მხატვრობა – ხაზსა, პოეზია – სიტყვასა. სიტყვიერიებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან, რადგანაც სიტყვის საშუალებით და შემწეობით აღასრულებს ხელოვნების მნიშვნელობასა. მაშასადამე, კნ. ჯორჯაჯისას არ უნებებია გაგება მისი, რაც წაუკითხავს და რაც თავის გულწრფელობით უხმარია“ (1, ტ.3, გვ.30).

ილიას თქმით:

„ლიტერატურა – ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია“ (1, ტ.3, გვ.37). და ამიტომაც, იგი შეუპოვრად ებრძვის, აკრიტიკებს ყველას, ვინც ამ ლიტერატურას ულირსად ეპყრობა.

„მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღავჯნის, აღარა ბღავჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბღავჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირ-მოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის!“ (1, ტ.3, გვ.37).

ბ. ჯორჯაძე, კრიტიკულ წერილში „თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ“, წერს, რომ:

„თუ რომ უფ. ჭავჭავაძეს ჰსურს ახალის ენის დაბადება, ეს კი არ ვიცით. სხუჱბზედ ბრძანებს: რითმების ტრფიალებისათვის აზრსა სწირამენო. თუ უკაცრაოთ არ ვიქნებით, მგონია ენასაც თითონ ახდენს და რითმების ტრფიალებით სიტყუჱბსაც ამახინჯებს, აჲ რომ ჩუჱნის ენის მნიშვნელობა სრულებით აღარა აქუს“ (30, გვ.500).

ილიას პასუხი არის მტკიცე და საფუძვლიანი. იგი წერს:

„ჩვენი მწერალი ქალი ბრძანებს, ვითომც მე ვამბობდე, რომ ეგენი ქართულს ახდენენ. ტყუილია თუ?

სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას, – ყველანი, ვისაც რამ ესმის, ამას ამბობენ, და თქვენის ანბანთ თეორიტიკისა-კი არ ვიცი, რას იტყვის. უთუოდ წინააღმდეგს ამბობს, რომ თქვენი ლექსები სწორედ მის გაკვალებულ გზაზედ მიდიან. უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას. ამას ჩვენ მწერალ ქალს არ მივაწერთ, რადგანაც მაგათ არც წახდენა შეუძლიანთ რისამე და არც გაკეთება“ (1, ტ.3, გვ.38).

როგორც ამ ხსენებულ წერილში, ასევე შემდგომ კრიტიკულ წერილებშიც ილია განიხილავს ახალი სალიტერატურო ენის ფორმებს, ნორმებს, გრამატიკულ და სხვა ენის საკითხებს.

ილია ეკამათება ბ. ჯორჯაძეს სიტყვის ფორმების შესახებაც და ამბობს, რომ „სუბუქ ფრთითა“, „თვალ დაკვირვებით“, „თეთრ“, „უმწედ“, „უნუგეშ“, ასეთი გამოთქმები „სწორე ქართულია“ და ეს სიტყვები, ასეთივე ფორმით, თვითონ ბ. ჯორჯაძესაც, ჩახრუხაძესაც და გ. ბარათოვსაც აქვთ ნახმარი. – შემდეგ განაგრძობს, – ხომ ხედავთ, რომ ნიჭიანებს და უნიჭოსაც კი უხმარია ეგ ფორმა. აქედამა სჩანს, რომ ხალხიცა ხმარობს, რომ ენაში არის ეგ ფორმა, რომელსაც

ანბანთ თეორეტიკოსები ვერასდროს ვერ შეარყევენ მაგ ძვირფას თვისებას ჩვენის ენისას. ვისაც ღვთისაგან განაჩენისა არა ესმის-რა, ის თუ წაართმევს, თორემ სხვა არავინა! სახელი არსებითი რომ ბრუნვაშია, მის ზემოთ მდგარი, მის ზედშესრული და ნაცვალსახელი შეიძლება რომ ბრუნვაში არ იყვნენ, რადგანაც ერთი და იგივე მარცვლის განმეორება ზედიზედ არ არი სასიამოვნო სასმენი, მაგ. „ჩემმა ბედნიერმა ხვედრმა“. აქ მარცვალი „მა“ სამჯერ ზედიზედ განიმეორება და ამით უკარგავს კეთილხმოვანებას ენასა; რომ ამბობენ, ეს და ეს ენა პოეტურიაო, სხვათა შორის, იმ საფუძვლითაც ამბობენ, რომ ენას მაგისთანა ფორმები და თვისებაები აქვს: მაგ-გვარებში, ესე იგი, მარცვლების და ხმოვან ასოების მოკლებაში და დამატებაში ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ. ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე. ეს ძვირფასი თვისება ჩვენის ენისა! ცოდვაა, სასიკვდინო ცოდვაა მაგ-გვარი წინდაუხედავი მასხარაობა ლიტერატურაში ენაზედა და ენის უკეთეს თვისებაზედ! მაგრამ თავის მოყვანილ სიტყვებითვე გავამართლებ მაგ-გვარ ქცევასა: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არ იციან, რას იტყვიან“ (1, ტ.3, გვ.42).

ილიას მტკიცება შეუვალია და საფუძვლიანი, მისი კრიტიკა მკაცრია, მოურიდებელი, მაგრამ სამართლიანი. მის მიერ გამოთქმული ყოველი სიტყვა მკაფიოდ და ნათლად გამოხატავს აზრს. იგი პირდაპირ აცხადებს:

„მე ყიზილბაშობა არც მყვარებია და არც მიყვარს, მე როგორც მესმის, ისე ვლაპარაკობ და პირდაპირ ვეუბნები კაცს: ეს ცუდია და ეს კარგია-მეთქი. ჩემს განხილვას ლანძღვას ისინი დაარქმევენ, ვისაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა წიგნი არ უნახავს თვალით და ვისაც მართალი სიტყვა, პირდაპირ ნათქვამი, არ გაუგია თავის-დღეში... ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზეც საწყენია პატიოსან კაცისათვის, მე რაც ვსთქვი, ის დავამტკიცე კიდეცა, როგორც შემეძლო; რომ დავამტკიცე, ამის მოწმად მომყავს ის ფაქტი, რომ არც ერთი ჩემი კრიტიკოსები არ არღვევენ არც ერთს ჩემს აზრსა. რაც დამტკიცებულია, ის მართალია; რაც მართალია, ის ლანძღვა არ არის“ (1, ტ.3, გვ.47).

საერთოდ, ილია ჭავჭავაძე ცნობილი იყო, როგორც შრომის მოყვარე, შეუპოვარი მოპაექრე და მოკამათე. იგი თვითეულ წერილს პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მისი დაწერისათვის საგანგებოდ ემზადებოდა და ღამეებსაც ათენებდა. გაზეთის „ივერიის“ თანამშრომლის ვლადიმერ მიქელაძისადმი (1856–1926) ილიას მიერ გაგზავნილ წერილში, ვკითხულობთ:

„ძმაო ვლადიმერ! დღეს საღამოზე „სამეურნეო საზოგადოებაში“ საზოგადო კრება არის და კირიმ-გირეის მოხსენება იქნება შესახებ აქაურ ენების ხმარებისა აქაურ სკოლებში. მე მინდა წინა-აღვუდგე, თუ აქაურ ენების წინააღმდეგი ლაპარაკი იქნება. რადგანაც ჩვეულებად მიღებული მაქვს მოუმზადებლად არსად წავეჩხირო, ამიტომ დღეს სამსახურიდან რომ შინ წავალ, მაშინვე ამის სამზადისს შევუდგები. ამის მიზეზით დღეს შენთან სადილად ვერ ვისიამოვნებ და დიდსა და დიდს ბოდიშს ვიხდი“ (1, ტ.10, გვ.161).

გ. ყიფშიძე ილიას დასაფლავების დღეს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა:

„საზოგადოდ განსვენებული გაუტეხავი კაცი იყო და ჯაფაში ხომ მეტისმეტი დაუღალავი. ხშირად დასთენებია წერაში და მეორე დღეს მისულ თანამშრომელს გაუხსენებია: „ბატონო, შუადღეა, რაღა დროს ლამფაზე მუშაობაო.“ არა იშვიათად გაუთენებია ილიას სულ პატარა მეთაურის დაწერაზედ. ისეთი მეთაურის დაწერაზე, რომელიც რაიმე მწვავე საზოგადო საგნის შესახები და ამიტომ მეტად პასუხისმგებელი ყოფილა. უკვე დაწერილს, თუ არ მოეწონებოდა რაიმე მიზეზით, ჰხევდა შეუწყალობლივ და იწყებდა ხელახლად წერას, და ასე განაგრძობდა, ვიდრე შინაარსითაც, კილოთიც, ელფერითა და იერითაც სრულიად არ დაკმაყოფილდებოდა. ეს დრო მისი დაკმაყოფილებისა-კი მაშინ დადგებოდა, როცა მზე უკვე ამოსულიყო“ (3, გვ.100).

ილია ჭავჭავაძე ითვლება ქართული ენის კანონმდებლად.

ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისას, ასე ემშვიდობებოდა იონა მეუნარგია:

„მშვიდობით, ჩვენო ენის კანონმდებელო, დიდო მამულის შვილო“ (4, გვ.195).

ა. შანიძის თქმით:

„ენის კანონმდებლის სახელი ილიას იმის გამო დაერქვა, რომ მას ჰბაძავდნენ და მის გზა-კვალზე დადიოდნენ, თორემ რაიმე თეორიული ნარკვევი გრამატიკისა და სპეციალურად შემუშავებული სალიტერატურო ქართულის ნორმების სახით მას არ დაუტოვებია“ (3, გვ.104).

წერილში „პასუხი“, ილია განიხილავს რ. ერისთავისა და გ. ბარათაშვილის ზოგიერთ მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნას:

„თ. ერისთავი ბრძანებს: „ჩაფლვა ოცნებაში“ დიდ ჩირქიანად მიაჩნია ჭავჭავაძესაო; ვგონებ „წირპლიანობა და ბრახა-ბრუხი“ უფრო უვარგისი ლექსები იყვნენო. „ოცნებაში ჩაფლვა“ შეუძლებელია, ჩემის ფიქრით, თორემ ძალიან კადნიერია. თუ ჩემი ლექსები, თქვენის სიტყვით, უფრო უვარგისნი და უკადრისნი არიან თქვენს „ოცნებაში ჩაფლვაზედა“, მაშასადამე, თქვენი ოცნებებში ჩაფლვაც უვარგისი ყოფილა; მეც უნდა ეგ მეთქო და სხვა არაფერი. ამასაც მოგახსენებთ,

რომ უკადრისი სიტყვები ქვეყანაზედ არ არიან, მხოლოდ აზრი იქნება უკადრისად გამოთქმული სიტყვებთაგან. უვარგისი სიტყვაც არ არის ქვეყანაზედ. თუ ხალხი ხმარობს, მაშასადამე ვარგისიანია. მე რომ სხვის გემოვნებითა ვსცხოვრობდე, როგორც უფ. ბარათოვი ანტონ კათალიკოზის გემოვნებითა, მე თქვენ მოგიწონებდით მაგ-გვარ აზრის განსახოვნებასა, რადგანაც თვით ალექსანდრე ჭავჭავაძეს აქვს ხმარებული თითქმის სწორედ ეგრე: „ფიქრებში ჩაფლული“, მაგრამ ეგ ჩაფლვა არც იქ მომწონს და არც აქა. „ჩაფლვა“ მხოლოდ იმაზედ ითქმის, სადაც საფლობი საგანი აგრძნობინებს მას, რაც იფლვება, რაიმე სიმაგრესა (плотность). წყალშიაც არ ითქმის ჩაფლვა, თორემ ოცნებაში ხომ უფრო არა. მწერალს აქვს უფლება თქვას ისრე, როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსსა — შენიშნოს, და ხალხსა — მიიღოს მწერლის ნათქვამი: მხოლოდ ეს უფლება ხალხს ეკუთვნის. თუ ხალხმა მოიწონა ეგ ოცნებაში ჩაფლვა, ხომ მიიღებს კიდეცა, თუ არ მოიწონა, ბევრიც რომ იყვიროს უფ. გ. ბარათოვმა, რომ თ. ერისთავი ცუდად არას ამბობსო, მაინც კიდევ ხალხი არ მიიღებს“ (1, ტ.3, გვ.49).

კრიტიკული წერილი „პასუხი“, იმითაც არის საინტერესო, რომ ილია ეხება ენის თვისებას და ენის გრამატიკის საკითხებს, — კერძოდ ზმნებს.

ა. შანიძე წერს: „ილიას რომ მოენდომებინა, უთუოდ კარგ გრამატიკასაც დაგვიწერდა“ (3. გვ.106).

ილია ზმნების შესახებ წერს:

„არსებითი ზმნის დაკლებაზედ კი ნურასა ბრძანებთ, ეგ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩვენს ენაში.

თუნდ თეორეტიკასა ჰკითხეთ. იქ აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, იქ თვით აზრიც არ არის, იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილებ შორის მარტო ზმნა არის აზრის გამომეტყველი. სადაც ძმნა არ არი, იქ ხომ წინადადებაც არ არი, მაშასადამე, არც აზრია, რადგანაც წინადადება გამოთქმაა აზრისა“ (1, ტ.3, გვ.52).

ქართული ენის თვისების შესახებ, ილია ჭავჭავაძე წერილში „აი ისტორია“-ში წერს:

„ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნატრებენ, — ამას ეჭვი არ უნდა“ (1, ტ.4, გვ.87).

ილია იმოწმებს ენათმეცნიერის და ისტორიკოსის ე ბ ე რ ხ ა რ დ შ რ ა დ ე რ ი ს (1836–1908) ცნობას, რომ ქართულ ენაში მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად

აქვს სუფიქსი „ები“ და იბრუნება როგორც მხოლობითი. მაგალითად: კაც-ები, კაც-ებისა, კაც-ებსა, კაც-ებმა, კაც-ებითა და სხვანი. „ამ სახით, ჩვენს ენაში სუფიქსი სიტყვისა და ფლექსიას შუა მოექცევა ხოლმე, შრადერის სიტყვისამებრ, და იბრუნება როგორც მხოლობითი, ეს ენის ღირსებად მიაჩნია შრადერს.“ ილიას აზრით, ქართული ენის მეორე განსაკუთრებული თვისებაა, რომელიც „ენის წარმატებულობის მომასწავებელია“, არის ზმნები და „ნამეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები. ამ მრავალ-გვარ ფორმების წყალობით, მარტო ერთის ზმნით, სხვა სიტყვის ნაწილების დაუხმარებლად, გამოითქმის პიროვნებაც მომქმედისა, მიმართულებაც მოქმედებისა, სხმით-გარდასხმითობაც. მაგალითებრ, „ვაკეთებინებ“, და ბევრი სხვა გარემოება მოქმედებისა თუ მდგომარეობისა, არა გვგონია სხვა ბევრმა ენამ გამოსთქვას ერთის ზმნით, სხვა სიტყვის დაუხმარებლად თუნდ, მაგალითებრ, ეს ქართული: „წავაღებინებ, წამოვაღებინებ, გადააზომინა, გადმოაზომინა“ და მებრვე სხვა“ (1, ტ.4, გვ.87–88).

ილია იმოწმებს ენათმეცნიერის, ესთეტიკოსის, ფილოსოფოსის, სახელმწიფო მოღვაწის და ბერლინის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის ვ ი ლ ჰ ე ლ მ ჰ უ მ ბ ო ლ დ ტ ი ს ა (1767–1835) და კარიერის გამონათქვამებს ზმნების შესახებ „როცა მრავალფერობა ზმნების ფორმებისა შესაძლოდა ჰხდის მოქმედებასა და მდგომარეობას საგნისას ბევრ-გვარი გარემოება გამოუთქვამს სხვა სიტყვების დაუხმარებლად.“ და თავის მხრივ დასძენს:

„რომ მრავალფერად მიმოხვრა და, მაშასადამე, მრავალ შემთხვევაში გამოყენება იმ სიტყვისა, რომელიც სული და გულია მეტყველებისა, სიმდიდრეს ენისას უნდა მოასწავებდეს. ზმნების ფორმების სიუხვით ბევრი სხვა ენა წინ ვერ წაუვა ჩვენს ენას. თუ, კარიერისა და ჰუმბოლტისა არ იყოს, მეტყველების ღონე და ძლიერება ზმნა არის, მაშ ქართული ენა ზედგამოჭრილი ყოფილა ამ ნათქვამზედ, იმიტომ რომ ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით. მაგალითად, მოვიყვანთ რუსთაველს, რომლის ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოგვიდგენს. დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა“ (1, ტ.4, გვ.89).

ილია აღნიშნავს კიდევ ერთ ქართული ენის განსაკუთრებულ თვისებას. იგი წერს:

„ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი - არსებითი არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნის-ზედა აიღეთ, თუნდ თანდებული,

თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცვალსახელი და თუნდ თითონ ზმნაც, როცა უღვლილების ფორმაშია. მაგალითებრ, „შენის ხვალი-სა (ზმნის-ზედა) მე არა ვიცი რა, ან შენმა გუშინ-მა (ზმნის-ზედა) ყური გამომიჭედა; შენის შინა-თი (თანდებული) თავი მობეზრებული მაქვს, ან შენს შინა-ს ვინ გაუძლოს; ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდა-ს (ზმნა); შენს მე-ს (ნაცვალსახელი) მე ვერსად წაუველ; შენმა ახ-მა და უხ-მა (შორისდებული) ჩემს ვაი-ს და ვიშ-სა ავჯობა“ და სხვანი.

ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ენას არ ეხამუშება, არ ეუცხოება თუნდ მთელი ფრაზა დააბრუნოს, როგორც ცალკე სიტყვა. მაგალითებრ, „სჯობს სოცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი-ს მაგიერ რუსთაველი უკეთესს ვერას იტყოდა“; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-მ მთელს ქვეყანას მოჰფინა რუსთაველის სახელი“; ან „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია-ს არა შეედრება რა“. მართალია, იშვიათი შემთხვევაა, როცა კაცს დასჭირდება ამისთანაებში ესეთი ფორმა მოიშველიოს, მაგრამ, თუ მოიშველია, ჩვენის ენის წინააღმდეგი არ იქნება, მით უფრო, რომ თითონ ამ-რიგად მიმოხრილი აზრიც ადვილად გასაგებია. ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად და აუჭრელებლად, მარტო ერთის ფლექსიის შემწეობით, ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხვრისა და განცხადებისათვის“ (1, ტ.4, გვ.89).

როგორც ვხედავთ, ამ კრიტიკული წერილების განხილვიდან, ილია ჭავჭავაძე მოითხოვს ახალი სალიტერატურო ენის, მეტყველების, მართლწერის და ორთოგრაფიის დარგში გარდაქმნებს. საერთოდ, სალიტერატურო ენის, ძველად აღიარებული წესების შეცვლას და ახალი ლიტერატურული წესების შემუშავებას და დაკანონებას; და რაც მთავარი იყო, ერთიანი სალიტერატურო ენის შემოღებას, რომლის შემწეობითაც მოხდებოდა ხალხთან დაახლოება.

ა. ჩიქობავა წერდა:

„ზედმეტი ასოების ამოღებამ ქართული ანბანისა და მართლწერის ძირითადი სიკეთე აღადგინა თავის უფლებებში“ (3, გვ.275).

როგორც ცნობილია, ჟურნალ „ცისკარში“, 1861 წელს გამოქვეყნებულ ილიას წერილის „პასუხის“ შემდეგ, ამავე ჟურნალში დაიბეჭდა სარდიონ მესხიევის წერილი „უსტარი, ანტიკრიტიკული“.

პ. ინგოროყვა წერს:

„ცისკრის“ იმავე მე-6 ნომერშივე დაიბეჭდა ახალი საპოლემიკო წერილი, მიმართული ილიას ნოვატორული იდეების წინააღმდეგ – „უსტარი, ანტიკრი-

ტიკული“ სარდიონ ალექსი-მესხიევისა (ალექსი მესხიშვილისა „ცისკარი“, 1861 წ., №6, გვ.252-268.).

ილიას საჭიროდ დაუნახავს პასუხი გაეცა ამ უკანასკნელისათვისაც და „ცისკრის“ რედაქციისათვის გაუგზავნია წერილი „სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო“ (1, ტ.3, გვ.480).

„მაგრამ რედაქციამ ეს წერილი არ დაბეჭდა, ვინაიდან „ცისკრის“ თანამშრომელთა უმრავლესობა ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. „ამიტომ, რაკი პოლემიკამ ილიასა და „ცისკრის“ თანამშრომელთა შორის თავიდანვე შეურიგებელი ხასიათი მიიღო, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა, საფიქრებელია, რომ ილიას აღარ დაუბეჭდეს ეს მესამე წერილი, სადაც იგი არჩევდა მესხიევის ამ „უსტარს ანტიკრიტიკულს“ (1, ტ.3, გვ.506).

ილია წერილს იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„როცა შორიდამ შევიტყე, რომ უფ. სარდიონ მესხიევი ჩემზედ კრიტიკას სწერს, გამიხარდა ძალიან, იმიტომ, – რომ მეგონა, ერთი იმისთანა კრიტიკა მაინც იქნება მეთქი, რომ ღირდეს წაკითხვადა, არ ვიცი კი რა მიზეზით მეგონა ეს ესრეთ, მაგრამ მეგონა კი. ეხლა, როცა გადავიკითხე „უსტარი ანტიკრიტიკული“ უფ. მესხიევისა, ვცანი რომ ძალიან შევცდი, და მომაგონდა თვით უფ. მსხიევის სიტყვები, – სჯობდა მაგისთანა სუსტი ფარ-ხმალით არ გამობრძანებულიყავით“ (1, ტ.3, გვ.445).

ს. მესხიევი წერილში, ილიას საყვედურობს, რომ იგი ენას აფუჭებს, ვინაიდან უნდა ერთი ენის შემოღება. ს. მესხიევი უბრუნდება ადრე წამოჭრილ ენის საკითხს და წერს, რომ „წერა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და დაბალი.“ ილია უპასუხებს:

„გონიერი და ჭკვის მისაღები საფუძველი მიჩვენეთ, რომ დავიჯერო ეგრეთი განყოფა მისი, რაც ბუნებით განუყოფელია. ჩვენ მარტო ეს ვიცით ძალიან კარგად, რომ ლიტერატურას შეჰყავს წარმატებაში ენა, ესეც კარგად ვიცით, რომ ლიტერატურის განზრახვაც ის არის, რომ ერთგვარი ენა შესდგეს და არა მრავალშტოიანი. უწინ რომ ჰყოფდნენ მაგ-რიგად, იმ საფუძვლითა ჰყოფდნენ, რომ არიანო ქვეყნად სამგვარნი საგანნი: მაღალი, საშუალო და დაბალი, რომელთ გამოსახატავად უნდა იყოს კიდეცო სამგვარი ენაო; მაღალ საგნისთვის – მაღალი, საშუალო საგნისთვის – საშუალო და მდაბლისთვის – მდაბალი. აბა ეხლა ერთი მიბრძანეთ, არიან ქვეყნიერობაზედ ეგ სამგვარნი საგანნი? განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი?... არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი სა-

განი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზე და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა. მაშასადამე ყოველი საგანი [ღირსია] ერთნაირად გამოთქმისა. ეგ სამგვარად განყოფა ენისა ძველი უსაფუძვლობაა, და გთხოვთ ნუღარ გაალვიძებთ კანონს. რომელიც დიდი ხანია რაც დაიმარხა და რომელიც, ვიდრე იყო თვის მოქმედებაში, რკინის სალტესავით ავიწროვებდა კაცის მეტყველებასა და აზრსა“ (1, ტ.3, გვ.445).

ამ კრიტიკულ წერილს, ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ყოველ ჩემ კრიტიკოსების სტატია ერთ და იგივე ანბანს მამეორებინებს და მომწყინდა მაგ-გვარებზე წერა. თუმცა ვამბობ, რომ ანბანზედ, მაგრამ ჩვენში იმისთანანიც ყოფილან,— დიდი ხნის გამოჩენილნი და დაძველებულნი ჭეშმარიტებანი ასეთი ახალი ამბავი ჰგონიათ, რომ ზეფიროსან ლანდებადაც მიუღიათ. დასასრულ, ამას ვიტყვი, რომ აღარავის პასუხს არ გავცემ იმ დრომდინ, [ვიდრე] ერთი შესანიშნავი და გონიერი სტატია არ დაიწერება ჩემზედ“ (1, ტ.3, გვ.449).

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძეს ქართულ ლიტერატურაში შემოჰქონდა უცხოური წარმოშობის სიტყვები, მაგრამ მხოლოდ ისეთი ახალი უცხო სიტყვები, რომლებიც გავრცელებული იყო ყველგან და ამავე დროს ქართულ ენაში მისი შესატყვისი სიტყვები არ მოიპოვებოდა, ან ისეთი სიტყვები, რომლებიც დროთა ვითარებაში დაკარგული იყო და რომელიც გამოხატავდა ამა თუ იმ დარგის ცნებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ისეთი უცხო სიტყვების და გამოთქმების შემოღების მიმართ, რომელთა შესატყვისი ქართულ ენაში მოიპოვებოდა.

კრიტიკულ წერილში, „პასუხი“, ილია უცხო სიტყვებს უწოდებს „გარმიანულ სიტყვებს“. ის ჟურნალ „ცისკრის“ შესახებ წერს:

„თუმცა უწინაც „ცისკარში“ შეგხვედრია ქართულ სტატიაში რაღაც გარმიანული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები, მაგრამ ეს სიტყვები ისე სასაცილონი იყვნენ თავის უშვერობითა, როგორც თვით მათემატიკური სტატია იყო სასაცილო ჟურნალში თავის განუზომელ ღრმა აზრითა. ჩვენ გვიკვირს, უფ. რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავით“ და უფრო შეშლილ „ზადაჩებსავით“ გამოუსადექ სტატიებსა? მაგრამ უფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელის-მომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრე ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედა-

ვად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბღავჯნიან, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“ მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, ალაგას მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიებსა“ (1, ტ.3, გვ.15).

საერთოდ, სატერმინოლოგიო დარგი, მეტად რთული საქმეა. ენაში უცხო სიტყვების შემოტანა და დამკვიდრება დიდ სიფრთხილესთანაა დაკავშირებული. ამიტომაც ილია ჭავჭავაძე ეძებდა ისეთ უცხო სიტყვებს, რომლებიც თავისი შინაარსით ეთანადებოდა ამა თუ იმ მეცნიერებასა და ტექნიკის სხვადასხვა დარგს; და თვითეულ ამ ახალ სიტყვას ნათლად და გასაგებად ასაბუთებდა და ხსნიდა ამ სიტყვების შემოღების საჭიროებას.

ბ. ჯორჯაძესთან კამათისას, ილია შემდეგნაირად ასაბუთებს და განმარტავს სიტყვა „კრიტიკას“:

„კრიტიკა“ – ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა – რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, შინჯავს შიგნიდამ და გარედამ საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ. ამ ორგვარ თვისებებს საგნისას ზოგიერთი კრიტიკოსი, რა განარჩევს ცუდს და კარგსა, სასწორს დაუთმობს ხოლმე თითონ მკითხველს, ზოგიერთიც თითონვე ასწონავს ხოლმე“ (1, ტ.3, გვ.34).

ერთ-ერთ წერილში ილია აღნიშნავს, რომ:

„ყველაზე დიდი ნაკლი ჩვენის ქართულის ლიტერატურისა ის არის, რომ ეგრეთ წოდებული სალიტერატურო კრიტიკა სრულიად არ არსებობს ჩვენში. ბევრნი იმდურებიან და სამართლიანადაც, რომ ეს ასეა, მაგრამ კრიტიკა ჩვენში მაინც ვერ იშვა და ვერ, უკრიტიკოდ კი სვლა და წარმატება ლიტერატურისა, თუ არ რიცხვით, ღირსებით მაინც ძნელია და, რომ ვთქვათ, შეუძლებელია, არც ეს იქნება, ვგონებთ, მეტი. ცხოველმყოფელობა ლიტერატურისა, მისი სიცოცხლე, მისი სული და ხორცი თავს იჩენს არა მარტო მით, რაც იწერება, არამედ ნაწე-

რების განკითხვითაცა. რაც უფრო ბევრი ნაწერია და მაღალისა თუ დაბალის ხარისხისა, მით უფრო საჭიროა კაცს ხელთ ეჭიროს იგი სანათური, რომელსაც კრიტიკა წაროადგენს. კრიტიკა სწორედ სანათურია ლიტერატურისა, იგი სწორედ სამტკიცია, რომელიც ფქვილს არჩევს ქატოსაგან.

რამდენადაც ამ უწმიდეს დანიშნულებაზე ახლოა კრიტიკა, იმდენად იგი დიდს სამსახურს უწევს მკითხველს საზოგადოებას და თვით ავტორებს, რომელთ შორის იგი მოციქულიც არის და ხელმძღვანელიც ერთსა და იმავე დროს...

კრიტიკამ რომ თავი იჩინოს, კრიტიკამ რომ აღმოცენდეს და თავისი სანატრელი ფრთა გაშალოს, ამისათვის საკმაო არ არის მარტო ერთი – სურვილი. კრიტიკა ერთი დიდი საფეხურია ზეაღსვლისა კაცთა საზოგადოების წარმატების გზაზედ. კრიტიკა საზოგადოების გონებისათვის ასაკის საქმეა. როგორც ბავშვს ვერ მოეთხოვება წვერ-ულვაში ჰქონდეს, ისეც საზოგადოებას – კრიტიკა, თუ გონების უასაკობით ხსენებულ ზეაღსავლის საფეხურამდე არ მიუღწევია. კრიტიკა ციდამ ვერ ჩამოვარდება მანანასავით, რაც გინდა ხელები ბევრი ვიშვიროთ ცისკენ. მისი მშობელი და გამჩენელი თვით საზოგადოებაა და იგივეა მისი მზრდელი და ძუძუმწოებელი“ (2, ტ.5, გვ.577).

წერილში, ,,სფირიდონის და თადეოზის ბაასი“-ში კრიტიკასა და ლანძღვაზე ილია აღნიშნავს:

,,კრიტიკა და ლანძღვა ძალიან შორისშორ არიან ერთმანეთზედა თავისი მნიშვნელობითა. ლანძღვა არ შეშვენის კაცსა არას დროს, არც პირად თქმითა და არც ქაღალდზედ გამოცხადებითა. კრიტიკა ნურას დროს ნუ გგონიათ ლანძღვა, ნურცა გგონიათ დაცინება; ის არის დარიგება, შეცდომილების ცხადად ჩვენება, ბუნდიანი საქმისა გამორკვევითა და ნათლად ჩვენება... კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა, კრიტიკოსი არის ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში, ან ყოველივე მოქმედებაში, ის არის დამრიგებელი და მსაჯული... ვერც ერთი ჟურნალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს, კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისი წინამძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელი. იმან უნდა გამოარჩიოს ავი და კარგი ყოვლის სიმართლით და დაანახოს ყველა ჟურნალი წამკითხველსა“ (2, ტ.5, გვ.72-73).

წერილში, ,,პასუხი“, ქართულში, უცხო სიტყვების შემოღების შესახებ ილია წერს:

,,ორიგინალი, სენტიმენტალური და სხვანი მაგ-გვარი სიტყვები, ხმარებული ჩემს აპრილის სტატიაში, თქვენ უცხო სიტყვებად მიგიღიათ. ეგ, მართალია,

ქართული სიტყვები არ არი, მთელი კაცობრიობა კი ხმარობს. ყოველ ხალხსა, ცოტა-ოდენ განვითარებულს და ფეხშედგმულს ევროპის განათლებაში, შემოუტანია და მიუღია ეგ სიტყვები, როგორც თავის ღვიძლი ენის ლექსნი; მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ჩვენც ვიხმაროთ... მე „ოსტროვები“, „ლინიები“ და სხვა გარმიანული სიტყვები (და არა გარმონიული, როგორც რედაქციას გადაუსხვაფერებია) ამისთვის დავძრახე, რომ მაგის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვები არიან ჩვენს ენაში და ისინი, რომელნიც ჩემს აპრილის სტატიაში მე მიხმარია, ვერ იპოვიან თავიანთ მნიშვნელობის სიტყვებს. მე რომ ახალი სიტყვები მომეგონა და შემედგინა მაგ სიტყვების მნიშვნელობისათვის, ისინიც ისე გაუგებარნი იქნებოდნენ ყველასათვის, როგორც ეხლა ეგენი არიან გაუგებარნი ზოგიერთისთვის: განათლებულს კაცს მაინც ესმის ეგ სიტყვები და იმ ქართულსა, რომელსაც მე შევადგენდი, ვერც განათლებული გაიგებდა და ვერც გაუნათლებელი. თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოღიკა და სხვანი მრავალნი. ეგ არა ხალხს არ დაეძრახება, ის სცრუობს, – რომელიცა ძრახავს მაგ-გვარ სიტყვების შემოტანას ენაში“ (1, ტ.3, გვ.52).

ნარკვევში, „აი ისტორიის“ IX წერილში, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს ქართული ენის ნაკლს.

„ჩვენ ვშიშობთ, რომ რაც წინა წერილში ვთქვით ქართულის ენის შესახებ, ის იმაში არ ჩამოგვართვან, ვითომც ჩვენ ჩვენის ენის ნაკლულევანების დანახვა არ გვინდოდეს და სრული გვეგონოს. ჩვენი ენა, მართალია, წარუმატებელია, ჩვენის ფიქრით, და განუვითარებელი, ხოლო იმ მხრით კი, რომ ჯერ მომზადებული არ არის დღევანდელს აზრს კაცობრიობისას საზოგადოდ და თუნდ ჩვენებურ ინტელიგენციისასაც აღებ-მიცემობა გაუწიოს გაუჭირებლად და საკმაო განცხადებით. დღეს ჩვენი ენა იმ ხანაშია, რომ ამ მხრით შეიძინოს რამ და წარიმატოს. ამისთვის ქართულს ენას მასალა საკმაო აქვს და მხოლოდ სიმარჯვე და მოხერხება-ღაა საჭირო, რომ ეს თავისი დიდი ნაკლი შეივსოს“ (1, ტ.4, გვ.92).

1937 წელს, ილია ჭავჭავაძის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში, „ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“, ა. შანიძე წერდა:

„ილია ჭავჭავაძემ მრავალი ახალი ტერმინი შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში. ბევრი მათგანი უკვე საბოლოოდ დამკვიდრდა და დღესაც ვხმარობთ. ილიას ამ მოღვაწეობაში ორი რამეა აღსანიშნავი: ერთი მხრით, უცხო სიტყვების

შემოტანა და, მეორე მხრით, ქართული ენის წიაღში დაძებნა ისეთი სიტყვებისა და გამოთქმებისა, რომლებიც საჭიროა მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგისათვის. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისას 60-იან წლებში ილია არ მოერიდა უცხო სიტყვების შემოტანას და გაბედულად ხმარებას“ (3, გვ.120).

კ. გამსახურდია ენის შესახებ წერდა:

„საკუთარი ენის გაღრმავება და გაალმასება, ისეთივე დიდი საქმეა, როგორც ხმალშემართულად დაცვა მამულისა. მხოლოდ ეგაა, მეომარი ერთ ომში იცავს თავის ქვეყანას, ხოლო შემოქმედი ნაციონალური ენისა, ამას მიელტვის – სამარადჟამო სადენი გაუკეთოს საკუთარი ხალხის შემეცნებას და მსოფლგაგებას“ (27, ტ.VIII, გვ.213).

„ლექსიკური სიმდიდრე ენის განვითარების შედეგია“ (27, ტ.VIII, გვ.220).

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ეძებდა დროთა განმავლობაში დავიწყებულ სიტყვებს, ქმნიდა ახალს და ცდილობდა შემოეტანა ის სიტყვები რომლებიც მისი აზრით მიესადაგებოდა შინაარსითა და აზრით ამა თუ იმ დარგსა და მის ნაწილებს. იგი ხედავდა, რომ დღევანდელ დღეს, ამ ახალი სიტყვების გარეშე, შეუძლებელი იყო ერის განვითარება და ცხოვრების წინსვლა. ილია წერდა:

„ჩვენ წინათვე ბოდიშს ვიხდით ჯერ ჩვენის პირდაპირის საგნიდამ გადახვევისადმი და მერე იმისათვის, რომ აქ იძულებულნი ვიქნებით ბევრი იმისთანა სიტყვები – ქართული თუ უცხო – ვიხმაროთ, რომელთაც ჯერ ადგილი არ დაუჭერიათ ჩვენს ენაში. ტერმინების უქონლობა ამ შემთხვევაში მეტის მეტად აბრკოლებს კაცსა და, იმის გარდა, რომ აძნელებს გაგებას ნათქვამისას, სიტყვასაც ძალაუნებურად აგრძელებს, თითონ ენასაც აჭრელებს, ამძიმებს. ეს აჭრელება და დამძიმება არ უხდება არც წერასა, არც ლაპარაკსა და ამიტომაც, როგორც საკითხავად, ისეც სასმენლად, მოსაწყენია. ჩვენი ნუგეში ამ შემთხვევაში ის არის, რომ ვინც სიტყვაში აზრს ეძებს და არა მარტო გართობასა და სიამოვნებას, ის არ შეუშინდება ამ მოწყენასა და გაირჯება ძალაუნებური სიმძიმე ენისა აიტანოს აზრის გაგების სურვილით“ (1, ტ.4, გვ.27).

ახალი სიტყვების შემოტანის გამო, ილია მკითხველის წინაშე ისევ ბოდიშს იხდის წერილში „ხიზნების საქმე“. იგი წერს:

„ბოდიშს ვიხდით ჩვენ მკითხველებთან, რომ სიტყვა ჩვენი მძიმეა და ადვილად გასაგები არ არის: იმ საგნისათვის, რომლის გამოც ჩვენ მოგვიხდა ამჟამად ლაპარაკი, ტერმინები და თვით წყობა სიტყვიერებისა ჯერ არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენს ენაში შემოტანილი და გაშინაურებული. სიმძიმე სიტყვისა

იქნება ჩვენ მიერ ენის უცოდინარობის მიზეზითაც იყოს; არც ამაზედ ავუხირდებით ვისმე, მხოლოდ ჩვენ გვსურს დავარწმუნოთ მკითხველნი, რომ ჩვენ ჩვენის მხრით ყოველი ღონე ვიხმარეთ, ჩვენი აზრი ადვილად გადაგვეცა სხვისთვის და სწორედ მოგახსენოთ, ზოგან თვით აზრს მისი მნიშვნელობა მოვაკელით, რომ სიტყვა ადვილად გასაგები ყოფილიყო“ (1, ტ.6, გვ.140).

წერილში, „შინაური მიმოხილვა. 1882 წელი, დეკემბერი. ბ-ნ მეისნერის პროექტის შესახებ“, ილია, მეისნერის პროექტის განხილვისას, ამბობს, რომ იგი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა მეცნიერულად საპოლიტიკო ეკონომიის განხილვის დროს. რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ქართულ ენაში არ იყო დადგენილი ტერმინები და არც ფრაზეოლოგია. იგი წერს:

„რა სიტყვებით გამოვსთქვათ. ჩვენდა სამწუხაროდ,— მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თითონ ეგრეთწოდებული ფრაზეოლოგია.

ამიტომაც, ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ „შინაურის მიმოხილვისას“, ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვიერებისა შეადგენს.

მაშასადამე, დღეს ჩვენის „მიმოხილვის“ უმთავრეს გაჭირვებას შეადგენს ორი საგანი: ერთი — ისა, რომ როგორ ავცდეთ და არ გავებათ საპოლიტიკო ეკონომიის რთულს კანონების გამოკვლევაში, როცა იგი კანონები საჭირონი იქნებიან, და მეორე — როგორი სიტყვიერება ვიხმაროთ, რომ ჩვენი წერილი ადვილად გასაგებიც იყოს და თვით საგანიც უნაკლოდ აგვიხსნას. თქმა აღარ უნდა, ამ ორსავე შემთხვევაში ბევრი ნაკლი შემოგვერევა და წინათვე ბოდიშს ვიხდით“ (1, ტ.5, გვ.207).

ახალი სიტყვის შემოღება ენაში, ილიას აზრით, დიდი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს. თვითეული ახალი სიტყვა აზრობრივად უნდა გამართლებული იყოს და რაც მთავარია, ხალხმა უნდა მიიღოს და ხალხში უნდა გავრცელდეს.

ერთ-ერთ დაუმთავრებელ წერილში, ილია შემდეგნაირად ახასიათებს ახალი სიტყვების შემოღებას.

„... სიტყვა შემოიტანა. ვსთქვათ მოიგონა შესაფერი სიტყვა, წმინდა ქართული, ან სთარგმნა, ან კიდევ უცხო ენის სიტყვა იხმარა, მაინც-და-მაინც არც ერთს შემთხვევაში მწერალი დაჯერებული არ არი, რომ აზრი, რომელსაც მიანდობს იმ სიტყვას, ადვილად გასაგები იქნება. რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართულიც იყოს, რაკი იმ სიტყვას ახალს მნიშვნელობას მისცემ, ისიც ისე გაუგებარი იქნება ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა...

რასაკვირველია, ამ სიტყვების აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ მინამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონნი. რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაში. – შემდეგ განაგრძობს, – ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია; თუ მეტია – მეტი აზრიც ექნებოდა... თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჭელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება. ვინც იძახის, ნუ იხმარებთ ახალს სიტყვებსა, იმან არ იცის, რას ამბობს. ის ამით ამბობს, რომ აზრს ნუ გვმატებთო, გონებას მხედველობას ნუ უვრცელებთო, წინ ფეხს ნუ გვადგმევინებთო, ერთი სიტყვით – კაცნი კაცობას ნუ ჩემობთო“ (1, ტ.3, გვ.471).

ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, პროზაში, ნარკვევებსა და წერილებში გაბნეულია მის მიერ შექმნილი და გამოგონილი სიტყვები, რომელთა უმრავლესობა დამკვიდრებულია ქართულ ლიტერატურასა და ქართულ მეტყველებაში.

კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი ი პ ო ლ ი ტ ე ვ ა რ თ ა გ ა ვ ა (1872–1967) ილიას შესახებ აღნიშნავდა:

„ვინ მოსთვლის თუ რამდენი საკუთარი შემოქმედებისათვის საჭირო დრო ეხარჯებოდა ილიას თუგინდ ისეთი წვრილმანი, მაგრამ ქართული ენისა და ლიტერატურისათვის უაღრესად საჭირო, სასარგებლო საქმისათვის, როგორიც მაგალითად, იყო საკითხი ახალი სტილის დამკვიდრება ქართულ მწერლობაში: ილია გვევლინება ჩვენ, როგორც ქართული ორთოგრაფიის რეფორმატორი, ქართული ტერმინოლოგიის დამდგენი და სხვა“ (43, გვ.15).

ა. შანიძეს მოჰყავს პ. უმიკაშვილის სიტყვები:

„ილია ჭავჭავაძემ მისცა ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურას. იმის კრიტიკულ სტატიამდი არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურასა და კაცისაო და, თავის მხრივ, დასძენს „თვით ამ სიტყვის შემოღება „მიმართულება“ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნისო. მიმართულების მსგავსად, აგებულებაც ილიას შემოტანილი სიტყვებიაო, მიმართავს ი. მეუნარგია ილიას დასაფლავების დღეს“ (3, გვ.122).

ლიტერატურათმცოდნემ და პედაგოგმა ს ო ლ ო მ ო ნ ც ა ი შ ვ ი ლ მ ა (1900–1957) შეაგროვა და ამოკრიფა გაზეთ „ივერიიდან“, ილიას მოსწრებული სიტყვები, მცირე მოცულობის მოხდენილი კითხვა-პასუხები და 1938 წ. ცალკე წიგნად გამოსცა სათაურად „**ნაკვესები**“. თვითონ სიტყვა „**ნაკვესი**“-ს შესახებ ს. ცაიშვილი შემდეგს გადმოგვცემს:

ილიას, „ყოველი აზრი და სიტყვა ნაპერწკლებსა ჰყრიდა, მტერს სწვავდა და მოყვარეს გონებას უნათებდა. ასეთ ნაპერწკლებს ის სხვებისგანაც მოითხოვდა, ჰკრეფდა მათ და მოხდენილად აზარნიშებდა თავის გაზეთში, სხვადასხვა აზრისა და გამოთქმის ირგვლივ. მას ილიამ „ნაკვესი“ უწოდა, მოხდენილი შინაარსი ჩააქსოვა, ახალ, სალიტერატურო ტერმინად გახადა, სიტყვის გადანათვლა მოახდინა. ილია ხომ სიტყვაზე იყო შეყვარებული, ხალხურ სიტყვაზე“. – მოჰყავს ი. მეუნარგიას სიტყვები,– მას „ყოველს შეყრაზედ და გამოლაპარაკებაზე სოფლის ხალხთან, როგორც ფუტკარს, საზრდო გამოჰქონდა ხალხიდამ თავის სიტყვიერებისათვის...ხალხი იყო ილიასათვის წყარო მოკამკამე ენისა და გამოთქმის“ (32, გვ.9).

ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილ ახალი სიტყვების შესახებ პოეტი და საზოგადო მოღვაწე იოსებ გრიშაშვილი (მამულაშვილი) (1889–1965) წერდა:

„ილიამ ბევრი ახალი სიტყვა შესძინა ქართულ ლიტერატურას. იონა მეუნარგიას ცნობით, „სულთა სწრაფვა“ და „თვალთა ხედვის ისარი“ პირველად ილიამ იხმარა თავის ნაწერებში. გარდა ამისა, ილია როგორც რედაქტორი, თავის გაზეთში ასე ასწორებდა სხვათა წერილებს: „ვიღებ“ ნაცვლად „ვღებულობ“ და „ამგვარად“ ნაცვლად „ამნაირად“. ილიას შემოღებულია აგრეთვე შემდეგი სიტყვები: „ნაკვესი“, „დამაკვირდი“, „სრა-სასახლე“, „მიმართულება“, „შინაარსი“, „ლიანდაგი“, „უღელტეხილი“, „მებრვე“ და სხვა“ (41, გვ.479).

ი. გრიშაშვილი სიტყვა „მებრვე“-ს შესახებ წერს:

„ილიას გამოსროლილ სიტყვას ჩვენი მწერლები მაშინვე იტაცებდნენ და ხელწაყრით აწვდიდნენ თავიანთ მკითხველებს. ისე როგორც რუსმა მწერლებმა პირველად შემოიტანეს და ხალხში ფეხი მოაკიდებინეს ქვემორე მოყვანილ სიტყვებს: Нигилист (ტურგენევმა), Стущеваться (დოსტოევსკიმ), Интеллигенция (ბობორიკინმა) და სხვ. ილიას ახალმა სიტყვებმაც „სრა-სასახლე“ – Дворец, „უღელტეხილი“ – Перевал და სხვა უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება და ახლაც ჭარბად იხმარება, მაგრამ „მებრვემ“ კი ვერ მოიკიდა ფეხი.

სიტყვა „მებრვე“ თავისთავად ძველი სიტყვაა და უნდა აღნიშნავდეს მსგავსს, თანაგვარს. ზოგიერთ სიტყვაში ახლაც უცვლელად არის დატოვებული (მაგ., „ჩვეულებისამებრ“, „დანიშნულისამებრ“ და სხვა). აქედან მისი პარალელი ფორმაა „ებრი“ (მაგ., „სომაღლით სებრი“ და სხვა). ეს ფორმა დღესაც ცოცხლობს; ჩუბინიშვილიც ასე განმარტავს: „მებრვე მზგავსადვე – также“. ილიამ

კი ეს სიტყვა „მებრვე“ იხმარა «и тому подобный»-ს საბადლოდ, მაგრამ იგი ქართულმა მწერლობამ არ მიიღო და შემდეგში „ივერიაც“ იძულებული იყო მებრვეს ნაცვლად შემოეღო საბა სულხან-ორბელიანის „და მისთანათა“ (41, გვ.480).

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი შესანიშნავი პოემის სათაურის **„განდეგილი“**-ს შესახებ, საინტერესო ცნობას გვაწვდის ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და ფილოლოგი სარგის ცაიშვილი (1929– 1992). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ილიას პირველად პოემისათვის დაურქმევია „მეუდაბნოე“, შემდეგ „ბეთლემი“.

ს. ცაიშვილი წერს: ილიას, „როგორც ჩანს, ორივე ეს ვარიანტი ძალზე ზოგადი შინაარსის მქონედ მოსჩვენებია და მის ცნობიერებაში, ალბათ, ისევ და ისევ ძველი ქართული სიტყვის საბადოების მოძიების შედეგად ამოტივტივებულა უფრო კონკრეტული შინაარსის მქონე სიტყვა „განდეგილი“.

მაგრამ აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც. იმ მასალების მიხედვით, რომელიც ჩვენ დღესდღეობით მოგვეპოვება, ასეთი ფორმით ამ სიტყვას ძველი ქართული მწერლობა არ იცნობს. მაგრამ ძველი ქართული ძეგლების გაცნობა გვიდასტურებს, რომ ანალოგიურ შინაარსს გამოხატავს შუა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული სიტყვა „განდგომილი“. იგი ნაწარმოებია სიტყვიდან „განდგომა“ და ნიშნავს განცალკევებულს, განყენებულს, განშორებულს...

რაც შეეხება ფორმას „განდეგილი“, იგი ფაქტიურად ნეოლოგიზმის ტიპის სიტყვაა და ძველ-ქართულ „განდგომილის“ საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული. იგი მე-19 საუკუნის შუა წლებიდან დასტურდება კანტიკუნტად და, როგორც ჩანს, სწორედ ილიას დიდმა ავტორიტეტმა განაპირობა, რომ იგი ძველ-ქართული „განდგომილის“ ნაცვლად ასე ფუნდამენტურად დამკვიდრდა თანამედროვე ქართულ მეტყველებაში“ (31, გვ.261).

კ. გამსახურდია წერდა:

„განა აკაკისა და ილიას არ შემოუტანიათ ახალი სიტყვები თავიანთ ტომების დიალექტებიდან ჩვენს ლიტერატურაში?..

ვაჟა-ფშაველამ მრავალი სიტყვა შემოიტანა ფშავ-ხევსურთა დიალექტებიდან და თამამად შემოუშვა დედა-ქართულში. ილიამ მრავალი საკუთარი კომპოზიტი შესძინა ქართულ ენას. სიტყვა „შინაარსი“ ილიამ შემოიღო პირველად“ (27, ტ.VIII, გვ.220).

არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ ილიას ნაწერებში გაბნეულია ხალხური შემოქმედებისა და ხალხური მჭერმეტყველების ნიმუშები. ილია შესანიშნავად

იცნობდა ხალხურ პოეზიას, ხალხურ სიტყვიერებას და მას აფასებდა. მის ნაწერებში ხშირად არის მოცემული ქართული სალიტერატურო მეტყველებაში ხმარებული ზოგიერთი სიტყვების თავისებური ახსნა-განმარტება, ამ სიტყვების მნიშვნელობა და ცვალებადობა.

წერილში, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“, ილია წერს:

„რას ჰნიშნავს ეს ორი სიტყვა — სიბრძნე-სიცრუე, ერთმანეთზე გადაბმული?...

საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი — ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს-კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე-კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე-კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნილი ყოველ პატიოსან კაცისაგან...

საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. თუ საბა ორბელიანისებური ზღაპარი, არაკი ამას არა სჩადის, განზრახვად, საგნად-კი სწორედ ეს უნდა ჰქონდეს, თორემ ზღაპარი, არაკი, იგავი თავისს მიზეზს არსებობისას მოკლებულ იქნება. ამ მხრით ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე — შიგ ჩასახული აზრია. ერთიც, მეორეც და მესამეც ხელოვნური ხორცთსხმაა საჭკუო, საზნეო სწავლა-შთაგონებისა, განსახოვნებაა აზრისა, ისეთი განსახოვნება, რომელიც მარტო შემოქმედებითის ნიჭის საიდუმლოებას შეადგენს.

ჩვენი ზღაპარი ტყუილად-კი არ იწყება „იყო და არა იყო რათი“. „იყო“ შიგ ჩასახული აზრია და აზრი ხომ ყოველთვის ყოფილა, არის და იქნება. „არა-კი იყო რა“ ეკუთვნის თვით ამბავსა, რომელიც არც ყოფილა და არც

არის. ამიტომაც არაკი, რომელშიაც, ცოცხლად, ცხოვლად არის ჩასახული აზრი, იზიდავს ადამიანის გულის-ყურს იმდენად, რომ თვით არაკის სიცრუეც-კი მართალი გგონია და სულ გავიწყდებათ, რომ ყურს უგდებთ მოგონილ ამბავსა. ამ სასწაულს სჩადის ხელოვნება.

მე მგონია, რომ თვით სიტყვა „არაკი“ წარმომდგარია „არა-კი იყოდამ“, მხოლოდ შემოკლებულია“ (1, ტ.3, გვ.406–407).

წერილებში ილია იძლევა სიტყვის **„მამულის“** განმარტებას. წერილში, „ხელოვნება და მეცნიერება“, შემდეგნაირად განმარტავს:

„მამული“ უწინ იხმარებოდა როგორც მარტო დედულ-მამულის სახელი, ეხლა ეგრც იხმარება და ისეც, როგორც მთელი სამშობლო ქვეყნის საზოგადო სახელი, მაგ. ჩემი მამული საქართველო“ (1, ტ.3, გვ.471). ხოლო წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ამ ჩვენთვის შესანიშნავ სიტყვის „მამული“-ს შესახებ, შემდეგ ცნობას გვაწვდის:

„სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა. ვისაც-კი რაიმე ნიშანწყალი ჰქონდა ღმრთის მიერ მინიჭებულ მადლისა და კალამი ხელთ ეპყრა, თითქმის ყველანი იმ გზას დაადგნენ, რომ ქართველს გულში ჩაუსახონ მამული, რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა. აგრე გაუპატიურებულმა სიტყვამ სამოციან წლების მოღვაწეთა მეოხებით და ღვაწლით კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰფინა მთელს სივრცეს ჩვენის ცხოვრებისას...

აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა“ (1, ტ.3, გვ.225).

წერილში, „ზოგიერთი რამ“, შემდეგნაირად გამოხატავს „მამულის“ მნიშვნელობას:

„მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება – ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა – დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის“ (1, ტ.3, გვ.77).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში სამშობლოსა და მამულთან ერთად, ყოველთვის წინ დგას ქართველი ქალისა და დედის სახე. მისთვის ქალის, დედის, სახე ამაღლებულ, უაღრესად შთამაგონებელ აღფრთოვანებას იწვევს. მის მიერ ასახული ქალი ძირითადათ გაიდიალებულია სამშობლოსა და თავისუფლებასთან.

ილიას პოეზიაში და პროზაში ასახული ქალი გამორჩეული და დასამახსოვრებელია.

ფელეტონში, „პატარა საუბარი“, ილია განმარტავს სიტყვების, „**ქალის**“, „**დედა-კაცის**“ და „**დედის**“ მნიშვნელობას ქართულ ცნობიერებაში. მწერალი საყვედურობს ქალებს, რომ მათ დაკარგეს „დედაკაცობა“, რომელიც დღევანდელი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ ნაკლს წარმოადგენს და „ქალებად“ გადაიქცნენ. ილია წერს:

„ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“... ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედასა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს.

აშკარაა, კაცობა დედათა ისეთივე საპატიო და დიდი სახელია ქართველის აზრით, როგორც კაცობა ერთობ ადამიანისა. დედაც კაციაო, გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო...

ეხლა დედაკაცად თქვენი ხსენება საწყენია, სათაკილოა. ეს დიდი სახელი დაიფუჭა, შეიკუმშა, დაპატარავდა. საგანი დადნა, დადნა სახელიცა. დღეს დედა დედაკაცი კი არ არის, ქალია... ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ დავკარგეთ და „ქალი“ შევიძინეთ!.. ეს რას ჰნიშნავს, წინსვლას, თუ უკან დაწევას? აბა დაუკვირდით, დაუფიქრდით...

ქალი და ვაჟი ყმაწვილებს გვიქვიან და არა მოზრდილებს, არა დამთავრებულს სულითა და ხორცით ადამიანებს, არა უკვე კაცამდე მოყრილს, კაცად დასრულებულს. როგორც კვირტი ჯერ ხილი არ არის, ისეც ქალი, ან ვაჟი, ჯერ კაცი არ არის. ქალი თუ ვაჟი ისევ მოზარდია, კაცი — უკვე გაზრდილი... ქალი გასათხოვარია, თუ გათხოვილი, შვილებიანია, თუ უშვილო, — მარტო სულიერ ასაკოვანებით მიაღწევს „დედაკაცობამდე“ და მინამ არ მიუღწევია, იგი ქალია და არა „დედაკაცი“.

ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრესს ბურჯს — „დედა-

ბურჯს“, სამთავრო აზრს – „დედა-აზრს“. გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი – „გუთნის-დედას“. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და თავმოსაწონებული!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც-კი აღნიშნულია დედობით!.. ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“!...

ქალი უფარ-ხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან! – და ბოლოს, გულის ტკივილით აღნიშნავს ავტორი – ვაი, რომ „დედაკაცნი“ წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო „ქალები“-ღა დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა“ (1, ტ.3, გვ.427).

მეორე წერილშიც „გიორგი თუმანოვისა და მისი ამქრის აზრები“, ილია ისევ უბრუნდება სიტყვებს: „დედა“ და „დედაკაცს“ და წერს:

„მინამ დედაკაცობა ჩვენში მართლა დედაკაცობდა, მამაკაცებს დიდი ზურგი ჰქონდათ, მტერსაც და მოყვარესაც, როგორც იყო, უძღვებოდნენ სახელგაუტეხლად, ჩვენი ოჯახი მაგრად იდგა და მაგრად იდგა ჩვენი ქვეყანაცა. შინ დედაკაცი ჰპატრონობდა ოჯახს, ქვეყანას, და გარეთ მამაკაცი; დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა, და მამაკაცი ზღუდე, გალავანი. სწორედ ამან შეგვინახა, სწორედ ამან შეგვარჩინა ჩვენი მიწა წყალი.

დღეს ეს ბურჯი, ეს ციხესიმაგრე ჩვენის ოჯახისა, ჩვენის ქვეყნისა, მისუსტდა, დადნა, თითქმის გაუქმდა. თითო-ოროლა იშვიათ მაგალით გარდა, დღეს აღარც ოჯახისათვის გვყავს „დედაკაცი“, აღარც ქვეყნისათვის. ეს იმისთანა ნაკლად ჩავსთვალეთ, რომელსაც დიდი წილი უდევს ჩვენს დღევანდელ უბედურებაში“ (1, ტ.8, გვ.282).

წერილში, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, ილია აღნიშნავს ძველ სიტყვას „**საკომლო**“-ს და განმარტავს მის მნიშვნელობას.

„დღესაც დარჩენილი და ძველ გუჯრებში ყოველთვის ხმარებული სიტყვა „საკომლო“ იმისი საბუთია, რომ მამულის ჭერის საქმეშიაც ნიშანში ამოღებული კომლი ყოფილა და სხვა არა-რა. „საკომლო“ ნიშნავდა ცალკე კომლის მიერ დაჭერილს და მის სამყოფს მამულსა და მამულის უდიდეს ზომასაც. სხვადასხვა ადგილას ეს „საკომლო“ სხვადასხვა ზომისა იყო... კომლი ჩვენს სოფელში წარმოადგენდა არამცთუ საზოგადოებრივს სხეულს, არამედ ეკონომიურსაცა“ (1, ტ.6, გვ.187).

ამავე წერილში, ილია იძლევა სიტყვების; **„მკვიდრი“**, **„დგმური“** და **„საშვილიშვილო“**-ს განმარტებებს.

„ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვიან და არა „დგმური“, როგორც ზოგიერთ ენაშია. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, უნდა ჯერ გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისის ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძეგლი თვითეული ვაზია, თვითეული ხეა, მამა-პაპის ხელით დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“ (1, ტ.6, გვ.189).

„თითონ სიტყვაც „საშვილიშვილო“, გლეხკაცისაგან ასე შეყვარებული და ასე ხშირად ხმარებული, სხვა არა არის რა, გარდა ორის თაობის დროთა სიგრძის აღნიშვნისა: შვილისა და შვილისშვილისა, თითქო ამას იქით გლეხკაცის თვალი აღარ სწვდებაო“ (1, ტ.6, გვ.190).

ილია ჭავჭავაძის წერილებში მრავლად არის იმ დროსათვის ახალი სიტყვები მოცემული, რომელთა ახსნა-განმარტებას იქვე იძლევა რუსულ ენაზე, ან ამ სიტყვების მნიშვნელობას აშუქებს და განმარტავს. ამ სიტყვების უმრავლესობა დამკვიდრდა ქართულ მეტყველებაში.

ჩვენ ეს სიტყვები მოგვყავს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მიხედვით.

ტ. III-ში აღნიშნულია:

უსაქმო საქმიანები – бездельники деловые. გვ.46;

რაიმე სიმაგრისა – плотность. გვ.49;

დრამატებური ყელში ლაპარაკი – драматический шопот. გვ.104;

ხლართი – интрига გვ.121;

ნასკვი – завязка. გვ.127;

მოაზრე ცხოვრება – идейная жизнь. გვ.204;

მოსაქმე – практическая. გვ.204;

უარყოფა, უარყოფელობა – отрицание. გვ.301;

შემდეგ ჩამოთვლილ სიტყვების შესახებ ილია წერს, რომ: „ამ უკანასკნელ დროს რამდენი ახალი სიტყვა შედგა წმინდა ქართული:

შიგ-მდებარება (содержание). გვ.471;

მიქცევ-მოქცევა – (отношение не в смысле математического отношения). გვ.471;

წარლტოლვილი – (отвлечённый). გვ.471;

მოთხოვნილება – (требование), გვ.471;

გავლენა – (влияние), გვ.471;

მიმართულება – (направление), გვ.471;

მეცნიერება – (наука). გვ.471; და თვით „მამული“.

ამ სიტყვების შესახებ ილია წერს, რომ „ეს სიტყვები ხომ წმინდა ქართულია, მაგრამ მაინც კიდევ ადვილად გასაგებნი არ არიან, იმიტომ რომ ახლები არიან, ე. ი. ახალის აზრით და მნიშვნელობით იხმარებიან. რასაკვირველია, ამ სიტყვების აზრს შევეჩვევით თავის დროზედ, მაგრამ მინამ შევეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ბნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონნი. რაც ხალხი უფრო ნაკლებ განათლებულია, მით უფრო ცოტა სიტყვა აქვს თავის ენაშია.“ გვ.471. „თუ ხალხი ცხოვრობს, განვითარებაში არის, ე. ი. აზრიანობა, გამსჯელობა ემატება, სიტყვაც მოემატება, ენაც გაუმდიდრდება.“ გვ.472.

ტ. IV-ში:

გაკვრით – бегло. გვ.17;

მოქალაქობრივად – гражданский. გვ.17;

შედარებითი მეთოდი კვლევისა – сравнительный метод. გვ.26;

რწმუნება – верования. გვ.28;

ფქვა – молоть. გვ.33;

კარშეკეტილობა – замкнутость. გვ.59;

საშუაგულო კაცი – центральная личность. გვ.61;

წერა-კითხვა – грамота. გვ64;

სიბერეში – в преклонных летах. გვ.64;

ორკეცი ანუ ორმარცვლოვანი – двусложные. გვ.82;

უფლება – право. გვ.84;

წესი – обряд. გვ.84;

მგონიაობა – вероятно-ба. გვ.94;

ძვლებში ჩამდგარი სიმსუქნე – студень. გვ.101;

უეჭველი – беспристрастие. გვ.102;

უცილობელი – обективизм. გვ.102.

ჩონჩხი – скелет. გვ.120;

ეგულვნა – предположить. გვ.121;

თქვლეფა – пожирать. გვ.121;

შინაგან-გარეგნობა – весь уклад. გვ.134;

გამოთვლისა – вычитание. გვ.147;

„წყაზარი გაზეთი“ – „живая газета“. გვ.163;

საერო სკოლა – народная школа. გვ.274;

დედათა უფლების საქმე – женский вопрос. გვ.371;

ტ. V-ში:

ნაფიცთა მსაჯულება – суд присяжных. გვ.134;

ერობა – земство. გვ.134;

საქონელი – товар. გვ.208;

აღება – спрос. გვ.209;

მიცემა – предложение. გვ.209;

აღებ-მიცემობა – обмен. გვ.209;

ღირებულება – ценность. გვ.210;

საყოველთაო ძალს სყიდვისას – всеобщая покупательная сила. გვ.211;

ბაზარი – рынок. გვ.212;

ქცევა საქონლისა – обращение товаров. გვ.212;

ფასი – цена. გვ.215;

ყადაღა – запрещение. გვ.254;

ტ. VI-ში:

ცილება – соперничество. გვ.14;

მონახევრობა – половинчество (metayage). გვ.15;

მომრიგებელი შუამდგომელი – мировой посредник. გვ.29;

საერთოდ-სასოფლო – мирское. გვ.29;

შინაგანი მმართველობა – внутреннее управление. გვ.35;

თვითმმართველობა – самоуправление, децентрализация. გვ.36;

დიდკაცობა – аристократия. გვ.37;

მოხელე – чиновник. გვ.38;

ადგილობრივი თვითმართველობა – местное самоуправление. გვ.39;

უმაღლესი მთავრობა – верховное правление. გვ.39;

ხელისუფალი – исполнительный. ამ სიტყვის შესახებ ილია შენიშნვაში წერს:

„Исполнительный. „ხელისუფლება“ სწორედ ამ აზრით არის ხმარებული ჩვენს დასტულამაში. აქედამ არის წარმომდგარი სიტყვა „მოხელე“. თითონ დასტულამაში მეფის და მდივანბეგის განჩინების აღმასრულებელნი კაცნი საერთოდ „ხელისუფალად“ წოდებულ არიან.“ გვ.41;

მაზრა, გუბერნია – земство. გვ.42;

სოფლობა – сход. გვ.52;

ხელთმოქმედება – промышленность, производство. გვ.53;

მამულისშვილი – гражданин. გვ.55;

წვრილმანი დანაშაულობანი – маловажные проступки. გვ.68;

ბუნებრივი სიმართლე – естественная справедливость. გვ.93;

ყოველთა წოდებათა საერთო სასოფლო თემობა – всесословная волость. გვ.102;

მართლიერება – право. გვ.119;

საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე – аграрный вопрос. გვ.142;

ღალა – рента. გვ.153;

რჯულიერება – право. გვ.157;

საეჭვი – предположение. ილია შენიშვნაში წერს: „ამ აზრით არის ხმარებული ეს სიტყვა ვისრამიანში. იხილეთ გვერდი 32, 35 და 131.“ გვ.185;

ცალი – единица. გვ.185;

„საკომლო“ – ამ სიტყვის შესახებ ილია წერს: „სიტყვამ „надел“-მა მოედანი დააცლევინა „საკომლოსა“. გვ.188.

უბინაოდ ტანტალი – бродяжничество. გვ.189;

მკვიდრთა ბარბაროსობა – дикое население, дикая страна. გვ.202;

მეურნეობა – хозяйство. გვ.269;

ტ. VII-ში:

კერძი – пай. ამ სიტყვის შესახებ ილია გვაწვდის შემდეგ ცნობას:

„ძირის – ფული, ესე იგი, ღავნი, უნდა შესდგეს ათასი თუმანი. ეს ათასი თუმანი 400 კერძად არის გაყოფილი, თითო კერძი 25 მანეთია“. გვ.28;

თავნი – капитал. გვ.32; ილია ამ სიტყვასთან დაკავშირებით წერს:

„ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ფულიანი და უფულო ერთმანეთში გარიგდებიან ასე, რომ ერთიმეორეს ფულს ასესხებს... აზრის ადვილად გაგებისათვის სიტყვას „ფულსა“ ვხმარობ და არა „თავნსა“ (капитал). გვ.328;

თაბაშირი – гипс. გვ.81;

ლუდი – пиво. გვ.84;

ღვინის სუნი – букет. გვ.85;

გოგირდის მჟავა – серная кислота. გვ.87;

მჟავე კირი – суперфосфат. გვ.89;

საქაჯავი – пресс. გვ.95;

სადუღარი ბოჭკა – „чан“. გვ.96;

კლერტში ერთგვარი ნაწევარი – дубильное вещество. გვ.100;

ბაქანი – ტერასა. გვ.117;

ერთგვარი ხელის სიმსივნე – პოდაგრა. გვ.135;

გადაწმენდილი არაყი – სპირტი. გვ.136;

ვედრო, სამი თუნგია ანუ 16 ბოთლი. გვ.157;

საბაზრო საქონლის თვისება – свойство рыночного товара. გვ.187;

აღება და მიცემა (ეკონომიური) – спрос и предложение. გვ.190;

ჩეტვერტი – ათი ფუთი. გვ.209;

ბუშელი – 1 ჩეტვერტი. გვ.213;

აკრი – იმერულ ქცევაზედ 41 ოთხკუთხი საჟენით ნაკლებია. გვ.215;

ინგლისური მილი – 1,5 ვერსტია. გვ.218;

ბუნებით მეურნეობა – натуральное хозяйство. გვ.220;

წყობა მოძრაობის – подвижной состав. გვ.243;

წასასმელი ზეთი – смазочные масла. გვ.278;

ვაზელინი, ერთგვარი სურნელოვანი ზეთი – ароматический углеводород. გვ.278;

ნაკეთარი – продукт. გვ.290;

სახელმწიფო გადასახადი ადგილ-მამულისა – государственный поземельный налог. გვ299;

საერობო ადგილ-მამულის გადასახადი – поземельный налог земского сбора. გვ.299;

შემოსავლის გადასახადი – подоходный налог. გვ.300;

სახის – ტიპის (მამული). გვ.303;

საგუბერნიო კრებული გადასახადისა – губернское податное присутсвие. გვ.308;

სამაზრო კრებული გადასახადისა – уездное податное присутствие. გვ.309;

კონვენცია – ხელშეკრულება. გვ.320;

მოსარჩლეობა – პროტექციონობა. გვ.320;

საბაჟო – ტამოჟნა. გვ.322;

მიწისსამოქმედო – земельный. გვ.328;

ძირის ფული – основной капитал. გვ.333;

სარგებელი სამატისა – процент роста. გვ.362;

სარგებელი საფრთხილობელი – процент риска. გვ.362;

სათემო – волостной. გვ,423;

ნარჩენი – недоимка. გვ.426;

სამწერლო მასალები (გადასახადი) – канцелярские пошлины. გვ.427;

საკომლო – надел. გვ.431;

სარჩიელი ხმა – совещательный голос. გვ,498;

ტ. VIII-ში:

მოხელე – чиновник. გვ.44;

ქალაქის შენობათა განყოფილება – городское строительное отделение. გვ.68;

სათემო – волость. გვ.212;

სათემო მმართველობა – волостное управление. გვ.218;

ქურდობა – პარვა – вороство – кража. გვ.219;

ქურდობა – მოტყუება – воровство – мошенничество. გვ.219;

გლეხთა მმართველობის სამაზრო ზედამხედველობა – уездный по крестьянскому вопросу надзор. გვ.222;

გლეხთა საქმეთა საგუბერნიო გამგეობა – губернское по крестьянским делам присутствие. გვ.223;

შინ დათხოვნილ ჯარისკაცად შერიცხული – состоящие в запасе. გვ.298;

წმინდა ადგილი – святые места. გვ.310;

შავი-ზღვის ოლქი – Черноморский Округ. გვ.321;

დედათა უფლების სქმე – женский вопрос. გვ.334;

სოფლობის დაწესებულება – земские учреждения. გვ.340;

მშობლობის უფლება – родительская власть. გვ.348;

ტ. X-ში:

მოთავენი – учредители. გვ.41;

შემოსავალ-გასავლის წიგნი – приходо-расходная книга. გვ.360.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვებისა, ილია იძლევა მივიწყებული ქართული სიტყვების, უცხო სიტყვების და საზომი ერთეულების ქართულ ენაზე ახსნა-განმარტებას.

წერილში, ,,ცისკარი 1857 წლიდან – 1862 წლამდინა“, ილია წერს სიტყვა ,,ჭრიანტელი“-ს შესახებ:

,,ჩვენი საზოგადოება სწორედ ჭრიანტელია, მერე რუსული ჭრიანტელი, რომელსაც აკროშკას ეძახიან, და რომელშიც კიტრიც არის, ისვრიმიც და უფრო რუსული კვასი (რომლის ხმარება ჭრიანტელში თანდათან უფრო მოდაში შედის, ასე რომ დღესა თუ ხვალე ჩვენი საკუთარი ისვრიმის სახელიც

გაქრება, არამც თუ გემო), ძმარიც, ხარდალიც, ყინულიც, ხორციც და თევზიც და ათასნაირი სხვა რაღაცაები, მაგრამ არც ერთი მათგანი იმოდენა არ არის, რომ სხვაზედ ნამეტნავად გამოჩნდეს: სუყველანი ხორცით თუ სულით, დაკეპილნი და დანამცეცებულნი არიან“ (1, ტ.3, გვ.451).

წერილში, ,,აი ისტორია“, ილია მსჯელობს საქართველოში წარმართული ღმერთის **„ბოჩის“** შესახებ.

„ეს „ბოჩი“ დღესაც დარჩენილია ჩვენში, მაგალითებრ ქვემოიმერეთში დღესაც ბალღებს აშინებენ და ეუბნებიან, როცა გაჭირვეულების დაწყნარება სურთ, დაჩუმდი, თორემ „ბოჩია მოდის, ბოჩიაო“. საკვირველი არა არის-რა, რომ ძველთაგან დარჩენილი იყოს ეს საშინელი სახელი ძველის, ზოგჯერ მრისხანე ღმერთისა“ (1, ტ.4, გვ.114).

წერილში, „ცხოვრება და კანონი“, ილია განიხილავს სიტყვა **„წილზედ-ჭერას“**.

„ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწისმომქმედს წილში უდგას, ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრეობას“ ეძახიან, ჩვენში კი „წილზედ-ჭერას“ იტყვიან. სიტყვა „მონახევრეობა“ ევროპაში წარმოსდგა იქიდგან, რომ უფრო ბევრგან პატრონის წილად – ღალა ნამუშევრის ნახევარი იყო. ეხლა კი ეგ სახელი საზოგადოდ „წილზედ-ჭერას“ ჰქვიან. ნახევარი იქნება, მესამედი, თუ მეოთხედი – სულ ერთია... ჩვენი სიტყვა „წილზედ-ჭერა“ უფრო მართლად გამომთქმელია“ (1, ტ.6, გვ.15).

ამავე წერილში, ილია, სიტყვა „сословие“-ს შესახებ წერს:

„ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословие“ ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება“ გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის – ვარგა სახმარად, თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შევხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დას-დასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა“ (1, ტ.6, გვ.52).

ილია წერილში, ,,პოლემიკური წერილები „ცხოვრება და კანონის“ გამო“, იძლევა სიტყვის **„ავტორიტეტის“** განმარტებას:

„ავტორიტეტი,... იმ გავლენიან სახელოვანებასა ჰქვიან, რომელსაც ადამიანი მოიპოვებს ხოლმე დიდის სიბრძნით, დიდის გამოცდილებით, დიდის მეცნიერებით. ავტორიტეტი მეცნიერებაში იგი კაცია, რომელსაც მის მიერ შეთვისებულს მეცნიერებაში გაუთქვამს სახელი და მოუპოვებია ნდობა იმოდენად შეურყეველად

და უცილობელად, რომ ერთიც და მეორეც საკმაო თავმდებია მისის აზრის შეუცდომელობისა.“ შენიშვნაში წერს:

„არის კიდევ ერთგვარი ავტორიტეტობა, ავტორიტეტობა უფლებისა, რომლის მნიშვნელობა უფლების მნიშვნელობაზეა დამოკიდებული“ (1, ტ.6, გვ.108).

წერილში, „ხიზნების საქმე“, ილია სიტყვა „**ხიზნობას**“ შემდეგნაირად ხსნის:

„ხიზნობაც ერთგვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალის გლეხისა მიწის მეპატრონესთან“ (1, ტ.6, გვ.115).

ძველი ქართული სიტყვის „**საბელი**“-ს შესახებ აღნიშნავს:

„ვინც ცარიელს უხმარს მიწას სათემოში, ანუ ტყეს, შემოღობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი. ამგვარი მიწები თემის ხელქვევითობიდამ გამოდიოდა, ასე რომ თემს მათზედ აღარაფერი უფლება არა ჰქონდა. თვით სათემო გარდასახადისაგანაც თავისუფალი იყო.

ეს მიწები სათემო მიწებიდამ გამორჩეული იყო, ცალკე მოიზომებოდა ხოლმე საბლით და ცალკე დაიმიჯნებოდა. შემდეგ, შენიშნავს:

დღესაც ჩვენში გლეხისაგან დაჩემებულს და განსაკუთრებულს მამულს „საბლის მამულს“ ეძახიან, გასარჩევად სათემო მამულებისაგან. საბლის მამულს ჩვენში სწორედ იმისთანავე სათავე უნდა ჰქონდეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. გერმანიაში და ნამეტნავად დანიაში ეგ საბლით მიზომვა დაჩემებულის მამულებისა ჩვეულებად იყო“ (1, ტ.6, გვ.120–121).

ამავე წერილში, ილია იძლევა სიტყვების „**ჰექტრისა**“ და „**მორგენის**“ განმარტებას.

„ჰექტარი ჩვენებურს ორს დღიურზედ ცოტა ნაკლებია.

მორგენი დილაა ნემენცურად. როგორც ჩვენში, რაც ერთს დღეს მოიხვნის, ერთს დღიურს ეძახიან, ისე ნემენცებიც ერთის დილის ნახნავს მორგენს ეძახიან და უდრის ჩვენს ნახევარს დღიურს, რადგანაც დილის ხვნა შუადღემდი იგულისხმება. ჩვენს მთიულებში, ნახევარს დღიურს ერთს საშაბათოს ეძახიან, რადგანაც შაბათობით მარტო შუადღემდინ ჰხვნენ, და დანარჩენი დრო-კი კვირაძალია“ (1, ტ.6, გვ.123).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნოე ჟორდანიასთან კამათისას, ილია ჭავჭავაძე წერილებში, „უმეცრობის ფართი-ფურთი“ და „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ჟორდანიასი“, იძლევა სიტყვების: „**კაპიტალის**“, „**კრედიტის**“, „**ფინანსების**“ და „**ფინანსურ დაწესებულების**“ მნიშვნელობების ახსნა-განმარტებას.

„რას ნიშნავს სიტყვა „კაპიტალი“ მეცნიერულად: „კაპიტალი მდგომარეობს წარმოებაში და წარმოება კაპიტალში და აი ამიტომაც დღევანდელი წარმოება

კაპიტალისტური წარმოებაა და ზედნაშენი წყობილება კაპიტალისტური წყობილებაა“ (1, ტ.6, გვ.266).

„ფინანსური დაწესებულება“ იგია, რომელიც განაგებს „ფინანსებს“, ესე იგი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეს... ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა და „ფინანსურ დაწესებულებასთან“ ისეთივე მსგავსება აქვს, როგორც ზღვასა და ხმელეთს, წყალსა და ცეცხლს“ (1, ტ. 6, გვ.245).

ილია ჭავჭავაძე წერილებში ხშირად ახსენებს სიტყვას **„ვაჭარს“** მისი განმარტებით:

„ჯერ ყველაზე უწინარესად უნდა გამოვარკვიოთ, რა არის ვაჭარი და რაში მდგომარეობს მისი საქმე. ვაჭარი შუა კაცია ჭირნახულის მომქმედთა და ჭირნახულის მხმარებელთა შორის; რაც მეტი აქვს ჭირნახულის მომქმედს, იმას ართმევს აღებ-მიცემობით და აწვდის მხმარებელს, რომელსაც ჭირნახული უჭირს საკვებავად და სახმარად. ამ შუაკაცობაში ვაჭარი იღებს თავის ხარჯს გარეთად, თავის გასამრჯელოს, თავის სადალალოს; ეს სადალალო იმოდენად ბევრია, რამოდენადაც ჭირნახული ნაკლებ ნაყიდია და მეტად გაყიდული. ადამიანი საზოგადოდ და ვაჭარი განსაკუთრებით ხარბია და ამიტომაც ვაჭარი სულ იმის ცდაშია, რაც შეიძლება ნაკლებ იყიდოს და რაც შეიძლება მეტად გაჰყიდოს. ეს ცდა მოჭირნახულესაც ხელში ლუკმას უტეხს და მხმარებელსაც. ორივე ესენი ჰზარალობენ, და ამათს ზარალზე შენდება მოგება სინდისზე ხელაღებულ ვაჭრისა“ (1, ტ.7, გვ.20).

როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ილიამ შესანიშნავად დაახასიათა ვაჭრის საქმიანობა და ბუნება.

„სავაჭრო ბალანს“ და **„ფრიტრედერობა“**-ს ილია შემდეგნაირად განმარტავს:

„სავაჭრო ბალანსი იმას ჰქვიან, როცა შეწონილია შემოტანილის და გატანილის საქონლის ფასი, და თუ შემოტანილისა აღემატება გატანილისას, მაშინ ამბობენ, ბალანსი საზარალოაო“ (1, ტ.7, გვ.195).

„ფრიტრედერობა წარმომდგარია ინგლისურის სიტყვისაგან free frade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, ჰნიშნავს: აღებ-მიცემობის თავისუფლებას. მოძღვრება მეცნიერობისა, რომელიც ჰქადაგებს აღებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ სააღებ-მისაცემო საქონელი, შინაური თუ გარედამ შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელისამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქმნას. ეს მოძღვრება იმაზეა დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული

არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალობისაგან, ყველასათვის ადვილად მოსაპოვებელია და მისაწვდენი, – ჯერ იმის გამო, რომ გახშირებულია, და მერე იეფია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ ფასაწეული არ არის“ (1, ტ.7, გვ.317).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საქართველოში თითქმის არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, ილიას რომ არ განეხილოს და თავისი აზრი არ გამოეხატოს. წერილში, „ღვინის ქართულად დაყენება“, ავტორი აღწერს ღვინის დაყენების წესს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ და იძლევა სიტყვა „**ჩანის**“ განმარტებას.

„რაკი ყურძენი დაიწურება ხოლმე ასე თუ ისე, ტკბილს მიუშვებენ ხოლმე ბოჭკაში. თითქმის ყველა ევროპიელნი ღვინის ჭურჭლად, ამ შემთხვევაში და საზოგადოდაც, ბოჭკასა ჰხმარობენ, რასაკვირველია, შესანახავად სხვა სახის ბოჭკაა და სადუღარად სხვა სახისა, და ამ უკანასკნელთ რუსულად ჰქვიან „ჩანი“ (1, ტ.7, გვ.96).

შემდეგ განაგრძობს: ღვინის დუღილის შეჩერების შემდეგ, „ჭაჭა ზევით წამოვა და თავზედ ისე მაგრად შეიკვრის, რომ კეტით გასარღვევი გახდება ხოლმე. ამას, როგორც ჩვენში, ასეც საფრანგეთში, ქუდს ეძახიან“ (1, ტ.7, გვ.106).

ამავე წერილში ილია წერს:

„ლიტრი – ფრანგული საწყაოა, ჩვენებურად თითქმის ორ ბოთლ ნახევარი“ (1, ტ.7, გვ.141).

წერილებში, უცხოეთის საპოლიტიკო ცხოვრების შესახებ, ილია იძლევა სიტყვების: „**აკრი**“, „**მაიორატობა**“, „**ლენი**“ და „**უაიტბოი**“-ს განმარტებას.

„აკრი ორი მესამედია ჩვენის დღიურისა, ესე იგი, 800 ჩორსო საჟენია“ (1, ტ.9. გვ.15).

„მაიორატობა – უფროსთმფლობელობად თუ ითარგმნება ქართულად. სახლში უფროსი მარტო დაირჩენს მამულს, სხვა მემკვიდრეებს ფულით, თუ სხვა რამით შეიჯერებს. მაიოროტობაში ჩავარდნილი მამული ვერც გაიყიდება, ვერც დაგირავდება, ვერც უფროსს შვილს ჩამოერთმევა“ (1, ტ.9, გვ.17).

„ლენი“ ერთგვარი მიწისმფლობელობა იყო საშუალ საუკუნეებში. „ლენი“ იმისთანა მამულს ერქვა, რომელიც ბოძებული იყო მეფეთა და კოროლთაგან საშვილიშვილოდ, თითქმის საკუთრებად, იმ პირობით კი, რომ ზოგიერთი სამსახური გაეწიათ იმ მეფისათვის (სუზერენი), რომლისაგანაც მოძებული ჰქონდათ“ (1, ტ.9, გვ.24).

„უაიტბოი“ ქართულად „თეთრი ბალღია“, ამას იმიტომ ეძახდნენ „უაიტბოი“-ებს, რომ გარედამ თეთრს პერანგებს ატარებდნენ“ (1, ტ.9, გვ.25). „უაიტბოი“-ები, ილიას თქმით ებრძოდნენ ადგილობრივ მემამულეებს.

ს. მესხიევის კრიტიკისას, ილია იძლევა სიტყვა **„სენტიმენტალური“**-ს განმარტებას:

„სწავლაში და ესტეტიკაში მაგ სიტყვით აღნიშნავენ იმ მწერალთ, რომელნიც მეტად სჭიმავდნენ გრძნობას, ძალად ტიროდნენ, როგორც თქვენი მარმონტელი“ (1, ტ.3, გვ.449).

წერილში, „უარმყოფელობა ჩვენში“, ილია განიხილავს სიტყვის **„უარმყოფელობის“** მნიშვნელობას. იგი წერს:

„ჯერ ეს ვიკითხოთ, – რა არის ბუნებითად ეგრეთ-წოდებული უარმყოფელობა? ამას რომ გამოვარკვევთ, თავისთავად გამომზევდება, რა წითელი კოჭია თითონ უარყოფილი მიმართულებაცა.

თითონ სიტყვა რო ასო-ასოდ გამოვწლათ, დავინახავთ, რომ უარყოფელობა „არას“ თქმაა, ანუ,– მდაბიოდ რო მოგახსენოთ, ჩვენებურად, ქართულად,– ჰაშას კვრაა და სხვა არაფერი. არ ვიცით, იქნება ეს სიტყვა ჯეროვანად არ არის შედგენილი ქართულად, ხოლო ეს-კი უეჭველია, რომ იგი თარგმნილია რუსულისაგან. რუსულად ამ უარყოფას, ანუ უარმყოფელობას, отрицание ჰქვიან. თითონ რუსულადაც, საიდამაც ნათხოვარსავით გადმოგვიღია ეს „отрицание“, ჰაშას კვრაა... „ჰაშას კვრა“ მტყუანისა და სულელის ხელობაა და არა მართლისა და ჭკვათა-მყოფელისა“ (1, ტ.3, გვ.300).

სიტყვის „არ“ ნაწილაკის შესახებ, ა. შანიძე შემდეგს გადმოგვცემს:

„სხვათა შორის, რუსთაველის გავლენით ილიამ გააცოცხლა უარყოფითი „არ“ ნაწილაკის ხმარება სიტყვათა საწარმოებლად. მაგალითად, „ვეფხის-ტყაოსანში“ ერთ ადგილას ვკითხულობთ:

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა.“

ილია ხშირად ხმარობს მსგავს ფორმებსა: არ-გაკითება (ტ. 6, 211), არ-ხმარება (ტ. 5, 30), არ-შესაძლებელი (ტ. 5, 17, 18), არ-ქონა (ტ. 5, 113) და სხვა“ (3, გვ.125).

წერილში, „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“, ილია ჭავჭავაძე მსჯელობს ქართულ ენასა, პოეზიასა და ლექსის შესახებ. სკოლის მოსწავლეებს, პოეზიის მოყვარულთ, რომლებიც იწყებენ ლექსების წერას, ურჩევს, რომ ჯერ თავიანთი მოვალეობა სწავლისა შეასრულონ, და ვიდრე არ იგრძნობენ „სიმაღლეს სა-

გნისას“ და „არ შეისრულებთ სწავლასა“, მანამდე ნუ ჩქარობენ პოეზიაში ნიჭის გამოჩენას. იგი წერს:

„ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით, და თითონ პოეზია რა არის — ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია...

პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიოს სული — ზღვაა უძირო... ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი — აფრა და მეცნიერება — საჭე, გემის მიმართველი... ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად“ (1, ტ.3, გვ.90).

XVIII საუკუნის ბოლოსა და განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ცხოვრება დღითი დღე იცვლებოდა. ხდებოდა არსებული წეს-წყობილების გარდაქმნა, ახალი აზრების, ახალი ჩვეულების დამკვიდრება. ხდებოდა ყველაფრის განახლება და შეცვლა. ვითარდებოდა მეცნიერება, ხელოვნება, ტექნიკა და ხალხის აზროვნება. მაგრამ, ილიასთვის მთავარი იყო მაინც ქართული ენისა და ლიტერატურის განახლება და განვითარება. ამიტომაც, ილია ჭავჭავაძემ 1863 წელს დაარსა ყოველთვიური საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“; რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა ქართული აზროვნების, ლიტერატურის, ქართული ენის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების საქმეში. იბრძოდა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის.

წერილში, „საქართველოს მოამბეზედ“, ილიამ ჩამოაყალიბა ჟურნალის მიზანი და დანიშნულება. მსჯელობს ქართული ლიტერატურისა და ქართული ენის შესახებაც. იგი წერს:

„ბოლოს დროს, თითქმის ჩვენ საუკუნის პირველ ნახევრის დასასრულში, შეატყეს, რომ თვით ეს ლიტერატურაც ისე სწრაფად არ ავრცელებს მეცნიერებასა ხალხშია, შეამცნივეს, რომ ლიტერატურა თუმცა დღე-და-დღე მდიდრდება, ივსება ახალის ნაყოფითა, ახალის იდეაებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით ლიტერატურის ენა დაუშორდა ხალხის ენასა, ხალხს ისე ადვილად არ შეეძლო გაგება მისი, რასაც კითხულობდა – და ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ თუ ხალხი ვერ გაიგებს, არც ცხოვრებაში შეიტანს. რა წამსაც მიხვდნენ, რომ ლიტერატურა თუმცა უფრო ვრცლად მოქმედობს ბეჭდის შემწეობითა, მაგრამ მაინც კიდევ ხალხს იმისი გაგება ეძნელება, მაშინვე გამოჩნდა საჭიროება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად უნდა ასრულებდეს ზემოთქმულს შუამავლობასა მეცნიერების და ცხოვრების შორის. მაგ-გვარ ლიტერატურას ჰქვიან: „პოპულარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო, რამოდენადაც შეიძლება, გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთავო გასაგებად გაამარტივოს, გააადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამ-გვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“. აი, რა-რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცა“ (1, ტ.3, გვ.64).

ილია ჭავჭავაძე, ნარკვევებში, პუბლიცისტურ, თუ კრიტიკულ წერილებში, მოურიდებლად ებრძოდა ყველას ვინც სამშობლოსა და მით უმეტეს ქართულ ენას შეურაცხყოფდა. ილია დაუნდობლად, შეუბრალებლად ამათრახებდა, დასცინოდა და სააშკაროზე გამოჰყავდა ის პირები რომლებიც ეროვნულ საკითხს უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა. იგი იბრძოდა იმისათვის, რომ ხალხი გამოეფხიზლებინა თვითკმაყოფილებიდან, მიძინებულ მდგომარეობიდან. ეგრძნოთ და გამსჭვალულიყვნენ მომავლის იმედით.

უსათაურო ლექსში, რომელიც მან დაწერა 1861 წელს ყვარელში, აღნიშნავდა:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?

რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,

ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოდ ხალხში
ბოროტთ საკლავად, – მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.
– –
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“ (1, ტ.1, გვ.75).

1868 წელს ილია ჭავჭავაძე წერს წერილს „ზოგიერთი რამ“. ცენზურის გამო დაიბეჭდა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, 1876 წ. გაზეთ „დროებაში“, ისიც იმიტომ, რომ იმ დროს ცენზორად მუშაობდა მისი მეგობარი და თანამებრძოლი დიმიტრი ბაქრაძე.

წერილს წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

„თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდების.“

ეს წერილი ეხება მაშინდელი საზოგადოების მდგომარეობას, ლიტერატურას, მწერლობას და ქართულ ენას. ილია შემდეგი სიტყვებით იწყებს ამ კრიტიკულ წერილს:

„რაკი ჩვენს ლიტერატურაზედ და ეხლანდელს მწერლობაზედ დაიწყებ სადმე ლაპარაკსა, მაშინვე რაღაც მოდუნებულის პირის მთქნარებითა და, თითქო რაღაც სიმზაკვრით სავსეს სიხარულითა, მოგახლიან ხოლმე: ეხლანდელს მწერლობას ენა არ უვარგათო.

მეც, ცოტად თუ ბევრად, ამაზედ თანახმა ვარ, მაგრამ ერთი ეს მინდა ვიკითხო: გვაქვს კი ენა, რომ ვიწუნებთ კიდეც?“ (1, ტ.3, გვ.72).

შემდეგ განაგრძობს მსჯელობას და ეს კრიტიკა არის მკაცრი და შეუბღალავი. იგი ამხელს მთელ საზოგადოებას და ადარებს მის ცხოვრებას „ხავსმოკიდებულს გუბეს“, „რომელშიაც ჩვენ რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“, – ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღაო!“ (1, ტ.3, გვ.73).

ამ წერილის ბოლო, X და XI თავები ეხება ქართულ ენას. იგი წერს:

„სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდაღა ქართული, როცა ჩვენ თითონ ჩვენდა დასაღუპავად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ვცხოვრობთ, ქართულს ენას აზრს როგორღა გამოათქმევინებთ? ერთობისათ-

ვის რომ აღარა ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოათქმევინოთ, ვის რად გინდათ, ენას აზრს ვინღა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცალიერდით გუდაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიღა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშტვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქ ა რ თ ვ ე ლ ი კერძოობითად გავხადეთ, მ ა მ უ ლ ი დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პ ა ტ ი ვ ი — ნეხვად, თ ა ვ ი — გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კ ა ც უ რ ი არ დავუმატეთ, და მის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?“ (1, ტ.3, გვ80).

ილია, გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ რადგან ჩვენ „ერთი-ერთმანეთს გადუდექით“, რა თქმა უნდა „ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა“. რადგან „მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა“, და ვინაიდან „ჩვენ განკერძოების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია“ და ენას კი „მაინც პირში ტოკვა უნდა“, „ავიღეთ და უაზრო ხმები“, „საქალაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ“. აივსო აზრმოკიდებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა?“ და ილიას უნდა, ქართველ ხალხს გააგებინოს და შეაგნებინოს: ეს იმის გამო მოხდა, რომ „ქართველობა გათავ-თავდა, მამული — აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზროვნობისათვის? კიდევ იმას ვიტყვი, რაც ზემოთა ვსთქვი: მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდბით“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდესღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ — მე, და მე — შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!“ (1, ტ.3, გვ.81).

აი, ასე გამოხატა ილია ჭავჭავაძემ თავისი გულის ტკივილი მაშინდელი საზოგადოების მიმართ, რომელიც ქართულ ენას უგულებელყოფდა და აბუჩად იგდებდა.

სხვათა შორის, დღევანდელ დღესაც იგივე მდგომარეობა მეორდება, ჩვენდა საუბედუროდ, დღევანდელი საზოგადოება არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქართულ ენას. ქართული სიტყვებისა და გამოთქმების მაგივრად, ქართულად საუბრისას, ხშირად ისმის გამოგონილი და დამახინჯებული უცხოური წარმო-

შობის გამოთქმები და სიტყვები. ხოლო, რუსეთის ბატონობის დროიდან შემოგვრჩა დამახინჯებული რუსული სიტყვები.

1889 წელს, ჟურნალ «Северный Вестник»-ში დაიბეჭდა, ი. ჯაბადარის „Н. Д.“ ფსევდონიმით წერილი «Письма о Грузии», „რომელშიც ფალსიფიცირებული იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ლიტერატურა და კულტურა. ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილმა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვ. მეთაურობით გამოაშკარავა ჯაბადარის ნიჰილიზმი და მისი წერილის სრული უსაფუძვლობა“ (15, ტ.11, გვ.523).

ი. ჯაბადარი წერილში, განიხილავდა საქართველოს ისტორიას. მაგრამ მან ამ ნარკვევში გამოავლინა უცოდინარობა. მის მიერ აღწერილი საქართველოს ისტორია, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები, იყო მცდარი და არა სწორად გადმოცემული. ვინაიდან ი. ჯაბადარის წერილი მკითხველს არა სწორ შეხედულებას უქმნიდა საქართველოს შესახებ, ამიტომ ილია ჭავჭავაძემ, გაზეთ „ივერიაში“ 1889 წელს გამოაქვეყნა საპასუხო ვრცელი წერილი „აი ისტორია“. სადაც დაწვრილებით განხილული იყო ი. ჯაბადარის ნაშრომში წამოყენებული ყველა საკითხი და მისთვის ჩვეული კრიტიკულ-ირონიული ფორმით, დაამტკიცა ავტორის მიერ წამოყენებული ყველა საკითხის უვიცობა და უცოდინარობა.

ილიას მოჰყავს ი. ჯაბადარის სიტყვები, სადაც იგი მოგვითხრობს, თუ რისთვის დაწერა ეს ნარკვევი. მას უნდოდა, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინა „ქართველთა სულიერი და ნივთიერის ცხოვრება“, საქართველოს ისტორია, ლიტერატურა, ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა, „რომლის ჩამომდინარეობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უუმეცნიერესს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო“ (1, ტ.4, გვ.17).

აქ, ჩვენ შევეხებით მხოლოდ ილიას კრიტიკას, ლიტერატურისა და ენის საკითხების შესახებ.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ «Письма о «Грузии»-ს ავტორის, ი. ჯაბადარის თქმით, ქართულმა ლიტერატურამ „არ იცის – რა არის „შედარებითი მეთოდი კვლევისა“-ო (сравнительный метод) და კრიტიკით არ შეჰხებია საქართველოს ისტორიასაო“ (1, ტ.4, გვ.26).

ილია,მოკლედ განმარტავს, თუ რას წარმოადგენს „შედარებითი მეთოდი“ და რისთვის გამოიყენება ფილოლოგიაში, რა არის „სოციალური ძალ-ღონე“ და რისთვის არის საჭირო ენის გამოკვლევა, „რა სამსახურს უწევს ისტორიასა“ მეცნიერება – ფილოლოგია.

ილიას, თავისი აზრის დასამტკიცებლად, მოხსენებული ჰყავს და მოჰყავს იმ დროინდელი ცნობილი ენათმეცნიერების და ფილოსოფოსების ნაშრომებიდან გამონათქვამები:

ბაიერნი (ბაიერი) (Bayern) ფრიდრიხი (1817–1886) – ბუნებისმეტყველი და არქეოლოგი;

ბეკონი (Bacon) ფრენსისი (1561–1626) – ფილოსოფოსი;

ვებერი (Weber) ალფრედი (1868–1958) – სოციოლოგი და ეკონომისტი;

კლაპროთი (Klaproth) ჰენრიხი (1783–1835) – ლინგვისტი და ორიენტალისტი;

მარი ნიკოლოზი (ნიკო) (1864–1934)წწ. – ენათმეცნიერი, არქეოლოგი, ფილოლოგი და კულტურის ისტორიკოსი;

მილი (Mill) ჯონი (1806–1873)წწ. – ფილოსოფოსი, ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე;

სპენსერი (Spenser) ჰერბერტი (1820–1903) – ფილოსოფოსი და სოციოლოგი;

ტეილორი (Taylor) ედუარდი (1832–1917) – ეთნოგრაფი და ანტროპოლოგი;

უსლარი პეტრე (1816–1875) – ენათმეცნიერი;

ფრიმანი (Freeman) ედუარდი (1823–1892) – ისტორიკოსი;

შლოსერი (Schlosser) ფრიდრიხი (1776–1861) – ისტორიკოსი;

შრადერი (Schrader) ებერხარდი (1836–1908) – ენათმეცნიერი და ისტორიკოსი;

ხვოლსონი დანიელი (1819–1911) – აღმოსავლეთმცოდნე-სემიტოლოგი, ფილოსოფოსი;

ჰუმბოლტი (Humboldt) ვილჰელმი (1767–1835) – ენათმეცნიერი, ესთეტიკოსი, ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე და სხვები.

ილია წერს, რომ დღევანდელ დღეს შესაძლებელია ,,ადამიანის გონებამ" გამოიკვლიოს, ,,თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეული ერი ცალკე – იმ დროს, რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია. ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა, მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედებენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ ერში ცალკე.

ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან“ (1, ტ.4, გვ.28), და ამ გამოკვლევის დროს, დიდ ადგილს იკავებს ენა რადგან:

„თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ, ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მოსულა“ (1, ტ.4, გვ.23).

ილია ეყრდნობა ე. ტეილორის მოსაზრებას და წერს რომ:

„რამდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნეობას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადედე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ ჰხვევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი – სულ უდიდესს პროგრესსა“ (1, ტ.4, გვ.29).

ვინაიდან ენაში ჩანს ისტორიის ცივილიზაცია და „ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას“, ილია იზიარებს ჯ. მილის აზრს და წერს:

„რამდენადაც ბევრია საერთო სახელები ენაში და ახლოა ერთმანეთზედ მათი მნიშვნელობა, იმოდენად შესაძლოა გამოვარკვიოთ ცოდნა ეპოქისა“ (1, ტ.4, გვ.29). და იქვე აღნიშნავს, რომ ენის გამომკვლევ მეცნიერებას ფილოლოგია ეწოდება. ფილოლოგია და ისტორია ერთმანეთს „ჰშველიან“ და ენა, ყველაზე უფრო მეტად გამოხატავს ცივილიზაციის ისტორიას. იგი წერს:

„ფილოლოგია და ისტორია მხარ-და-მხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავლისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისაო“ (1, ტ.4, გვ.30).

აქედან ჩანს, რომ ფილოლოგიის საშუალებით შეიძლება გავიგოთ ერის ისტორიის წარსული დრო. ერის ძველის-ძველი განვლილი დროს გასაგებად გამოიყენება „შედარებითი მეთოდი“ ანუ შედარებითი ფილოლოგია. ილია იშველიებს ე. ფრიმანის სიტყვებს და წერს:

„შედარებითი მეთოდი ერთი უდიდესი ძლევამოსილობაა ჩვენის საუკუნისაო“. მისი სიტყვით, ამ მეთოდმა იმისთანა გზა გაგვიჭრა, რომლის შემწეობითაც დღეს შესაძლოა მთლად და უეჭვოდ დავრწმუნდეთ იქ, საცა უწინ მარტო

ამოცანებით და ეჭვით ლაპარაკი იყო. ამ მეთოდმა მოგვცაო, ამბობს იგი, ღონე და სახსარი შინაგანის საბუთებით დავამტკიცოთ უფრო ცხადად და უტყუარად ის, რასაც გარეგანი საბუთები არა აქვსო.

პირველი, რომელმაც ეს მეთოდი იშვილა, ფრიმანის სიტყვით, არის ფილოლოგია, და მას აქეთ ფილოლოგია, ანუ უკეთ ვსთქვათ – შედარებითი ფილოლოგია, ისეთს მაგარს საფუძველს დაებჯინა, რომ ვერა ძალი ველარ შეარყევსო... საბუთები შედარებითის ფილოლოგიისა უფრო საიმედონი არიან, ვიდრე ბევრი რამ იგი, რასაც იძლევა წერილობითი ნაშთი ისტორიისაო. ამ გზით ჩვენ იმისთანა ამბებს ვცნობულობთო, რომელთ შესახებ შეუძლებელია გარეგანი საბუთი, მაგრამ შინაგანი საბუთი-კი, რაკი ერთხელ ნაპოვნია და დადგენილი, შეურყეველია და ყოველს ეჭვს უკარგავს ადამიანსაო (1, ტ.4, გვ.30–31).

სიტყვა „შედარებას", ილია შემდეგნაირად განმარტავს:

„თითონ სიტყვა „შედარება", ცოტად თუ ბევრად გვამცნევს – რა უნდა ვიგულისხმოთ, როცა ვამბობთ „შედარებითი მეთოდი". შედარება იმ მოქმედებას გონებისას ჰქვიან, როცა ორს ანუ რამდენსამე საგანს ერთმანეთს წაუყენებს, დაუპირისპირებს, რომ აღმოჩნდეს, რაში აქვთ მსგავსება, ერთნაირობა, და რაში სხვაობა და სხვანაირობა" (1, ტ.4, გვ.31).

აქვე დასძენს, რომ სიტყვა „შედარება" არ შეეფერება ამ მეთოდის „კვლევის საგანს".

ილიას თქმით, შედარება, ეს არის როდესაც კვალში ჩაუდგები რომელიმე საგანს, ან მოვლენას, გამოიკვლევა და შეისწავლება მისი „ყოველივე დრო, ყოველივე ადგილი, სადაც კი ან საგანს, ან მოვლენას თავი გამოუჩენია" (1, ტ.4, გვ.32).

ილია ჭავჭავაძე, „შედარებითი ფილოლოგიის" განმარტების დროს, შესანიშნავად იყენებს ლექსიკურ ანალიზს და არკვევს ქართველი ხალხის სხვა ერებთან ურთიერთობას. იგი წერს:

„ვსთქვათ, შეგვხვდა ქართული ბავშური სიტყვა „აჩუა". საიდამ არის ეს სიტყვა, რის მომასწავებელია და ნიშნავს იმას თუ არა – რასაც ბავშვი ამ სიტყვით ასახელებს? ჩვენს ენაში ამ სიტყვის ასახსნელს ვერაფერს ვიპოვნით. თუ კვალში ჩავუდგებით და სხვა ენებს ამ განზრახვით მოვჩხრეკთ, დავინახავთ, რომ სანსკრიტულად (ძველის-ძველი ენაა) acva, ზენდურად (ძველის-ძველი სპარსული) aspa, ლათინურად eguus, ირლანდიურად ech, ლიტოვურად aszwa – ცხენსა ნიშნავს და ყველგან ისმის ცხადად და ნათლად ჩვენებური „აჩუა". ცხადი არ არის ეხლა, რის ნაშთია და საიდამ წარმომავალია ეს სიტყვა „აჩუა",

რომელსაც დღეს ჩვენში მარტო ბავში ჰხმარობს, ან ბავშისათვის ვხმარობთ ცხენის მაგიერ?“ (1, ტ.4, გვ.32).

ილია ჭავჭავაძე, ი. ჯაბადართან კამათისას წერს, რომ ენის შემწეობით შესაძლებელი ხდება ისტორიული ერის წარსულის აღდგენა და წარმოსახვა.

„ერთგან ჩვენი ავტორი ამბობს, რომ მარტო ერთს ისტორიას ენისას შეეძლო აღედგინა ჩვენთა თვალთა წინ სრული სურათი ისტორიის წინათ-დროინდელ ქართველებისაო. დალოცვილს ის კი დავიწყებია, რომ თითონ ენაა იგი სარკე, გადმომცემელი ცოტად თუ ბევრად მაგნაირ სურათისა... განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან, მაგალითებრ: „წყალობა, მიწყალე, შემიწყალე, მოწყალება“. აქ ყველგან „წყალი“ ისმის და ეს ამისთანა ცოცხალი მოწმე განა არ გვეუბნება, რომ პირვანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყლობა“ ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა აღარ ვიტყვით, მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებულა ქართველი და საცა დღესაც „წყლობა“ მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ-კი არა მოჰყავს-რა. ან სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულად გაარარებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმისაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან. ან ქალის „გათხოვება“, „მითხოვება“ განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას“ რაღაც ადგილი სჭერია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ. ბევრს ამისთანა მაგალითს წარმოგვიდგენს ჩვენი ენა“ (1, ტ.4, გვ.91).

წერილში, „მორწყვის საქმე წინათ და ეხლა“, ილია ისევ უბრუნდება სიტყვა „წყალს“ და მის გავლენას ერზე. იგი წერს:

„თვითონ ჩვენმა ენამაც-კი შეირჩინა იმისი კვალი, თუ რა ძვირფასად მიაჩნდათ ჩვენებს უწინ წყალი.

„წყალობა, შემიწყალე, მიწყალობე, მიწყალე“ – ყველა ამ სიტყვებს დასაბამი აქა აქვს, ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. წყალის შევედრება, წყალის მომადლება, ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც, საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველე-

ბელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია თბილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ... ეს ამბავი გვაუწყებს, – რამოდენად ძვირად დასჯდომია ხალხს ეს დიდებული საქმე...

გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს, და გულ-ამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი... და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს – რანი ვყოფილვართ და რანი ვართ დღეს“ (1, ტ.7, გვ.67).

ი. ჯაბადარი წერს, რომ ძველი წელთაღრიცხვით მეექვსე საუკუნემდე ქართველების ხსენება არ იყოო. ამის პასუხად ილია წერს, რომ „ისტორიამ ბევრი რამ ახალი და უტყუარი საბუთები შეიძინა“, და დღეს ცნობილია, რომ ქართველთა მონათესავე ტომები მოხსენებულნი არიან „ყველაზედ ძველ ლურსმულ“ წარწერებში, რომელიც „ეს მთელი ხანა ჩვენის ისტორიისა გამოჰპარვია ჩვენსა კრიტიკით და შედარებითის მეთოდით მოსილს ავტორსა.“ ილია აღნიშნავს, რომ ასსურ-ბან-აბალის წარწერაში მოხსენებულია „ქალდუ“, „რომელიც ვინ იცის – იქნება ჩვენი „ქართლიც“ გამოდგეს, თუმცა ამას ჩვენ მარტო ვვარაუდობთ და დიდის სიფრთხილითაც ვახსენებთ, ისიც ჯერ იმიტომ, რომ სიტყვამ მოიტანა, და მერე იმიტომ – რომ ეგ „ქალდუ“ არმენიაშივეა ნაჩვენები, ვითარცა ბინა ქართველთა ნათესავის ცალკე თემისა“ (1, ტ.4, გვ.49).

მეორე ადგილას, ილია განაგრძობს ლურსმულ წარწერების შესახებ საუბარს და აღნიშნავს, რომ მახლობელ აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს ურარტუს (ძვ.წ. IX–Xის.ს.) პანთეონში აღმოჩენილ წარწერაში მოხსენებულია უზენაესი ღვთაება ქალდი და გამოთქვამს მოსაზრებას:

„ძალიან ჭკუასთან ახლოა და ადვილად საფიქრებელი, რომ ლურსმულ წარწერილში მოხსენებული „ქალდი“, „ქალდისი“ იგი „ქართლისი“ იყოს, რომელიც მერე, ბიზანტიის ზედგავლენით, „ქართლოსად“ გადაკეთდა და რომელიც ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველყოფილ წინაპრად. და რომელსაც ქართველნი მერეც თაყვანსა სცემდნენ, როგორც ჩვენი მატიანე გვაუწყებს. რასაკვირველია, ამ ჩვენს ნათქვამს, ჩვენს დაახლოვებას ჩვენის მატიანის „ქართლოსისა“ ლურსმულ წარწერილის „ქალდისთან“ უფრო ძლიერი დასაბუთება სჭირია და ჩვენ ძალიან შორსა ვართ ამას რაიმე უცილობელი

მნიშვნელობა მივცეთ. ჩვენ აქ ეს ამბავი მოვიხსენიეთ მარტო იმისთვის, რომ ამ მხრით ყურადღება მიექცეს და ეს საგანი გამოძიებულ იქმნეს ჩვენზედ უკეთ მცოდნეთაგან“ (1, ტ.4, გვ.113).

ილია მოუწოდებს „ისტორიის მკვლევარებს“ გამოიყენონ ეს შედარებითი მეთოდი რადგანაც „იგი ანიშნებს ზედგავლენას, დამოკიდებულებას ერთმანეთზე სხვადასხვა ერებისას“ (1, ტ.4, გვ.33).

ქართული ენის შესახებ მსჯელობისას, ილია გადმოგვცემს, რომ ქართული ენა, ევროპის ლინგვისტების მიერ აღიარებულია როგორც განსაკუთრებული ენა. მას მოჰყავს მეცნიერის გატტერიასის სიტყვები „ლინგვისტური ეტიუდი ქართული ენის შესახებ“, რომელიც მას გამოუცია 1881 წ. და წერს:

„ეხლა შეგვიძლიან დავასკვნათ,– ამბობს იგი – რომ მომეტებული ნაწილი ქართულ სახელ-არსებითისა და ყველა იმის ფესვთა ეკუთვნიან განსაკუთრებულს გვარსა, რომელსაც ჩვენ „ქართულს გვარს“ ვუწოდებთ“ (1, ტ.4, გვ.75).

ილია ჭავჭავაძე განიხილავს ი. ჯაბადარის წერილიდან ადგილს, სადაც ის ამტკიცებს, რომ ქართული ენა მიეკუთვნება არიულ-სემიტურ და თურანულ ოჯახების ენებს. ილია ამ მტკიცებას სასაცილოდ იღებს და წერს:

„ეს რა არის: ბოდვაა, თუ ჭკუათა-მყოფელის დალაგებული საუბარი!... გაგონილა დამტკიცება რისამე იმ საბუთით, რომელიც მართალი არ არის? თუ არ გაგიგონიათ, ეხლა გაიგონეთო, გვეუბნება ავტორი...

ერთი ამგვარი გენიოსი-ღა აკლდა Новое Обозрениес-ს და დახე, ყოვლად მოწყალე ღმერთმა ამ გენიოსსაც იქ ამოაყოფინა თავი, ამაზეა ნათქვამი: მიეცეს და მიემატოსო“ (1, ტ.4, გვ.72).

დღევანდელ დღეს, ენათმეცნიერების მიერ მიღებულია შემდეგი ენები:

იბერიულ-კავკასიური, ინდოევროპული, სემიტურ-ქამიტური, ჩინურ-ტიბეტური, დრავიდური, ალთაური, ურალური, პალეოაზიური (პალეოციმბირული) და სხვა.

თვითეული ეს ოჯახი შეიცავს ენათა ჯგუფებს.

იბერიულ-კავკასიურ ოჯახში შემავალი ენათა ჯგუფებია: ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ნახური და დაღესტნური;

ინდოევროპული ენების ჯგუფებია: ინდური ანუ ინდოარიული, ხეთურ-ლივიური ანუ ანატოლიური, ფრიგიული, ირანული, ბერძნული, თრაკიული, ილირიული, სომხური და სხვა;

სემიტურ-ქამიტურში შედიან: სემიტური, ქუშიტური, ბერბერული და ჰაუსა-კოტოკოს ჯგუფები;

ალთაურ ენათა ჯგუფში შედიან: თურქული, მონღოლური, ტუნგუსურ-მანჯურული ენათა ჯგუფები;

პალეოაზიური ენათა ჯგუფებია: ჩუკოტკურ-კამჩატკური, ესკიმოსური, იუკაგირულ-ჩუვახური და სხვა;

ურალური ოჯახი შეიცავს: ფინურ-უნგრულსა და სამოდიურ ჯგუფებს და სხვა;

სემიტურში შემავალი ქვეჯგუფებია: ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის მოსახლე მონათესავე ენები, რომლებიც ექვს ათას წელს მოიცავენ;

ქამიტურსა და თურანულ ენათა ჯგუფებს დღევანდელ დღეს აღარ ხმარობენ.

სახელწოდება თურანული ლინგვისტური ენა შემოიღო ენათმეცნიერმა და რელიგიის ისტორიკოსმა მაქს მიულერმა (Müller) (1823–1900). მან ამ ოჯახში გააერთიანა ჩრდილო ურალ-ალთაური, სამხრეთ დრავიდული, ტიბეტური, კოლარიის, ტაის, მალაი-პოლინეზიური ენები. ამავე ჯგუფს მიაკუთვნა კავკასიური ენები და ქართული ენაც. დღეს ცალკე გამოყოფილად ამ ენას, თურანულს, აღარ ხმარობენ. სწორედ, ამის შესახებ მსჯელობს ილია, ი. ჯაბადართან კამათისას. იგი დაცინვით წერს:

„დღეს გაბათილებულია წინანდელ ლინგვისტების დანასკვნი, რომ ქართულს ენას აკუთვნებდნენ ხან არიულს, ხან სემიტურს, ხან თურანულს ოჯახს ენებისას. ევროპის უკეთესმა ლინგვისტებმა და იმათ შორის ჩვენის ავტორის კლაპროტმაც წინანდელ ლინგვისტებს ჩაილულის წყალი დაალევინეს და ქართული ენა ყველა ამ ენებისაგან განსაკუთრებულ ენად ჩასთვალეს. თუ ესეა, რომ ქართული ენა რაღაც განსაკუთრებული ენაო, უკეთესთა მეცნიერთა აზრით, – სხვა რაღა უნდოდა ავტორს? უსათუოდ ჩვენი ავტორი ევროპის უკეთესთა ლინგვისტებზე უფრო უკეთესი ყოფილა, თორემ – თქვენგან არ გვიკვირს – Новое Обозрение-ში, ამ ბრძენთა ბრძნულ გაზეთში, ის ფეხს მოიკიდებდა და ქადაგად ჩავარდებოდა?!“ (1, ტ.4, გვ.72).

ჯაბადარი, ნარკვევში, თითქოს იკვლევს ქართველთა წარმოშობას. მისი თქმით, ქრისტეს რჯულის მიღებამდე ქართველებს არ ჰქონიათ თავისი ანბანი, მწიგნობრობა და არც ფული. ენაც კი არ ჰქონიათ ქართველებს და ამიტომაც, ისინი სახელმწიფო ენათ ალბათო (вероятно) სპარსულ ენას ხმარობდნენო, ვინაიდან საქართველოს მმართველები სპარსელები იყვნენო.

რა თქმა უნდა ილია ჭავჭავაძემ, ეს ყოვლად მიუღებელი სისულელე, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ჩვენის ერისა და ქართული ენისა, მკაცრად გააკრიტიკა და სასაცილოდ აიგდო. ილია წერს:

„როგორ? მაშინაც სპარსულ ენას ჰხმარობდნენ ქართველები, როცა ჯერ სპარსელების საისტორიოდ ხსენებაც თითქმის არ იყო, თუნდ იმ ხანებში, მაგალითად, როცა მოსე წინასწარმეტყველი, ავტორისავე სიტყვით, ახსენებს მოსოხებსა და თუბალებს! ან როცა მთელი რვაას-ცხრაასი წელიწადი, ფარნავაზედ კიდევ წინათ, ქართველებს მთელი დიდი არმენია სჭერიათ, როგორც ეხლა დამტკიცებულია, თავიანთი სამეფონი, სამთავრონი, თუ სამასახლისონი ჰქონიათ, მას სპარსულს ენას ჰხმარობდნენ ეს მეფენი, მთავრები, მამასახლისები? დავანებოთ ამასაც თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: ეს „вероятно“ საიდამ და რა საბუთი არის „вероятно“? იქიდამაო, რომ ქართველების მმართველნი სპარსთა ჩამომავლნი იყვნენო. მაშ, უწინდელი მამასახლისები და მერე ფარნავაზი და მის შემდეგნი სულ სპარსები იყვნენ ჩამომავლობით? თუ ესე ჰგონია ავტორს, მისი „მგონიაობა“ საბუთი არ არის. ამ სპარსთაგან ჩამომავლობას დამტკიცება უნდა და არა ცარიელ სიტყვების ფქვა და რახარუხი. თუნდ ფარნავაზი და მისი შემდეგნი ჩამომავლობით სპარსნი ყოფილიყვნენ, აქედამ განა ის გამოდის, რომ უსათუოდ სპარსულს ენასაც შემოიტანდნენ სახელმწიფო საქმეებისათვის? განა როცა უცხო თესლის დინასტია დაიჭერს სამეფო ტახტსა რომელსამე ერისას, უსათუოდ უცხო ენასაც შეიტანს ხოლმე სახელმწიფო საქმეთათვის?... საზოგადო აზრია, რომ რაკი ერს თავისი სახელმწიფო აქვს, თავისი ენაც ექნება ყოველგვარ საქმეთათვის. ამ ზოგად აზრს მგონიაობით, вероятно-ებით ვერავინ უარჰყოფს, თუ ამისათვის უცილობელი, უტყუარი, ზედმიწევნილი საბუთი ხელთ არა აქვს, იმიტომ რომ ყოველივე მგონიაობა, вероятно-ბა ამ შემთხვევაში ამ ზოგად აზრისაკენ არის, თუ ჭკუის მართულები არა აქვს, კაცს მოშლილი. თუნდ ეგეც არ იყოს, ჯერ ჩვენის ავტორის „положительно“ რა არის, რომ მისი „вероятно“რა იყოს.

საქმე ის არის, რომ ავტორს, რაკი ერთხელ და ერთხელ აუკვიატებია აზრი – ქართველებს არა ჰქონდათ რაო, უნებებია ენაც-კი გაუბათილოს“ (1, ტ.4, გვ.93).

ილია ჭავჭავაძეს, თავის შესანიშნავ კრიტიკულ ნარკვევში, „ქვათა ღაღადში“, ქართულ ენაში სპარსულის გავრცელების შესახებ, მოჰყავს „დიდებული ლენორმანის“ შემდეგი სიტყვები:

„სრულიად შესაწყნარებელია, რომ დიდი ნაწილი ამ (ქართულის) სიტყვებისა ეკუთვნის სპარსულს ენას და ქართულში შემოსულია შედარებით ახალ

დროს არა საჭიროების ძალდატანებით, არამედ ისტორიის მოქმედებით. დანარჩენი ნაწილი-კი ქართულ სიტყვებისა უძველესის დროებისანი და ზედმიწევნით ქართულის თვისებანი არიან, როგორც ეს დაამტკიცა ჩვენმა დიდებულმა ლინგვისტმა ეჟენ ბიურნუფმაო“ (1, ტ.8, გვ.121).

ამ ამონაწერში მოხსენებული ეჟენ ბიურნუფი (Burnouf) (1801–1852), იყო ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე.

ხოლო. რაც შეეხება ი. ჯაბადარის მოსაზრებას, სომხური ენის გავლენას ქართულ ენაზე, ილია უპირისპირებს ფრანგი მეცნიერის გატტე რიასის მტკიცებას, რომ:

„თუ მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებისა იპოება სომხურს ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენისაგან, რომელიც ოდესღაც დიაღ გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ვიდრე არიელები შემოვიდოდნენ. შესაძლებელია, რომ თვით ენას ალბანელებისას კავშირი ჰქონოდა ქართულის ენის ნათესაობასთან. და თუ ეს უკანასკნელი ჰიპოთეზი შესაწყნარებელია, შესაწყნარებელი უნდა იყოს ის აზრიცა, რომ თავდაპირველად ქართველების მეზობლად უცხოვრიათ ალბანელებს, რომელნიც ბოლოს დროს დაუშორებიათ სომხებს-არიელებს. სომხურის ენის ლექსიკონი, ღარიბი სემიტურის სიტყვებით, შეიცავს მრავალს სიტყვას, შეთვისებულს ქართულისაგან და სხვა კავკასიურ ენებისაგან, რომელთაც უმოქმედნიათ იმის სინტაქსის წარმატებაზედაც. ამის გამო შეუძლებელია ზედმიწევნით სომხურის ენის შესწავლა, თუ რომ წინათვე შესწავლილი არა გაქვთ ქართული და სხვა კავკასიური ენები... ქართულის შესწავლით მე ვცან დიდი მნიშვნელობა ამ ენისა სომხურის ენის გამოკვლევისათვის და ვიდრე სომხურის ენის გრამატიკას გამოვცემდი, შევუდეგ, თვით ედ. დელორიეს (განთქმული არმენოლოგია) რჩევით, ქართულის შესწავლასა იმ განზრახვით, რომ გამომეკვლია, – რა ეკუთვნის სომხურში ქართულს ენასა, უამისოდ სომხური გრამატიკა მოკლებული იქნებოდა მეცნიერულ საძირკველსა და მეთოდს“ (1, ტ.4, გვ.75).

ამავე საკითხს, ქართულ და სომხურ ენებს, ეხება, ილია ჭავჭავაძის მეორე ნარკვევი „ქვათა ღაღადი“. ავტორი განიხილავს ნიკო მარის გამონათქვამს, სადაც იგი ამბობს, რომ სომხები რომ არ ყოფილიყვნენ, ქართველებს არც კულტურა და არც ენა არ ექნებოდათო.

ნიკო მარის შემოქმედება განხილული აქვს ივანე ჯავახიშვილს.

ნ. მარი სწავლობდა კავკასიურ ენებს, კერძოთ ქართულ და სომხურ ენებს. ბიბლიური მითოლოგიის თანახმად, ნოეს შვილის – იაფეტის სახელთან დაკავ-

შირებით, ქართველურ ენებს მან იაფეტური ენები უწოდა. შემდეგში, მან იაფეტურ ენებს დაუკავშირა მთის კავკასიური ენები და მკვდარი ენებიც. იაფეტურ ენებს დაუკავშირა სემური ენებიც. ნ. მარი წერდა:

„ქართული ენა ყველაზე უფრო დამახასიათებელ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ **ენათა შტოისა**, რომელიც თავის მხრივ შთამომავლობით **სემიან ენათა შტოის** მონათესავეა. ამ **განსაკუთრებულს ენათა შტოს**, ქართულისა და ქართულთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ **კილოკავებს** (наречий) გარდა, ე. ი. ეგრეთ-წოდებულ ქართულ, ან ივერიული ჯგუფის გარდა (უფრო სწორად რომ ვსთქვათ ქართების, ივერიულ და სვანურ ჯგუფების გარდა), მკვდარი ენებიც ეკუთვნიან.“ მეორე ადგილას აცხადებს:

„ქართულის მონათესავე ენები, რომელნიც ქართულთან ერთად ერთ **იაფეტურ შტოს** შეადგენენ... შთამომავლობითი ნათესავობით დაკავშირებულნი არიან მეორე, **სემურ შტოსთან**“ (6, ტ.X, გვ.50).

ნ. მარი თავის შეხედულებებს დროთა განმავლობაში ხშირად იცვლიდა. ამას აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი მის შესანიშნავ ნაშრომში, „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“. იგი, ნ. მარის შესახებ მსჯელობის დროს ერთ ადგილას წერს:

„საფიქრებელია, რომ პროფ. მარრმა წინანდელი დებულება იმიტომ შესცვალა, რომ ქართული და ქართველური ენების გაღრმავებულმა შესწავლამ აგრძნობინა, რომ „იაფეტურ“ და სემურ ენათა იმგვარად მახლობელი ნათესაობა, როგორც მას თავდაპირველად ეგონა, საქმის ნამდვილს ვითარებასა არ შეესაბამებოდა, რომ პირიქით „იაფეტურ“ ენებს ურთიერთს შორის ისეთი საერთო დამახასიათებელი თვისებები აქვთ, რომელნიც მათ სხვა ენათა ოჯახებს თვალსაჩინოდ აშორებენ და ცალკეულ, განსაკუთრებულ ენათა ოჯახად ხდიან. მაგრამ რაკი ასეთი დასკვნა თითქმის მთელი თეორიის გაქარწყლებას მოასწავებდა და ამის მკაფიოდ გათვალისწინება ავტორისათვის, რასაკვირველია ადვილი არ იყო, ამიტომ პროფ. მარრი ცდილობდა თავისი თავიცა და მკითხველიც დაერწმუნებინა, რომ მისი თეორიის ცვლილება არსებითი-კი არა, არამედ სრულებით უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი იყო.

აზრთა დიდი სხვადასხვაობა და ცვალებადობა ემჩნევა პროფ. ნ. მარრს **ქართულისა, მეგრულ-ჭანურისა, სვანურისა და აბხაზურის თავისებურებათა და ურთიერთისადმი დამოკიდებულების დახასიათების დროსაც**“ (6, ტ.X, გვ.53).

ნ. მარის შეხედულებათა ცვალებადობას აღნიშნავდნენ სხვა ენათმეცნიერებიც.

ქართული და ქართველური ენების ძირფესვიანად შესწავლის შემდეგ, მან იაფეტური და სემური ენები, დამოუკიდებელ ენების შტოდ გამოაცხადა, რომლებიც შეადგენდნენ, თვითეული შტოს მრავალრიცხობრიობის გამო, ერთ იაფეტურ ოჯახს.

ვინაიდან ქართული სამწერლო ენა იყო, მას თვლიდა ძირითად ენად, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ: ქართების, სვანების, მეგრულ-ჭანურის და სხვა ელემენტთა დიალექტები. თუმცა შემდეგ, სვანური, მეგრული და ჭანური დამოუკიდებელ ენებად ჩათვალა. შემდგომში ეს შეხედულებაც შეცვალა და გამოაცხადა, რომ:

ქართული ენა, „არსებითად შესდგება **ხალხების სამი ისეთი ჯგუფებისაგან, რომელნიც სამს სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ენას ლაპარაკობენ,** სხელდობრ, **ქართველებისა, იბერთა (აწ მეგრელებისა და ლაზებისაო) და სვანებისაგან. ამ სამ ხალხს ერთ-ერთმანეთს შორის ტომობრივადაც** და **ენის მხრივაც დაახლოვებით იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს, მხოლოდ ერთი ეროვნული კულტურით არიან შეკავშირებულნი-ო“** (6, ტ.X, გვ.54).

ნ. მარის ამ განცხადების შესახებ, ივანე ჯავახიშვილი წერს:

„აკად. ნ. მარრის დებულებათა ესოდენი ცხადი წინააღმდეგობა, ახალი ნაშრომის გამოქვეყნების დროს თავისივე წინანდელი ნაწერების შინაარსის მივიწყებისა და ზოგადი ენათმეცნიერების ამ საკითხის შესახები მოძღვრების სრული გაუთვალისწინებლობის შედეგია. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, ზოგად ენათმეცნიერებაში ვრცლად არის გაშუქებული“ (6, ტ.X, გვ.54).

შემდგომში, ნ. მარმა თავისი დებულება და შეხედულება ისევ შეცვალა და როგორც ქართული, ასევე კავკასიური ენები, იაფეტურ ენათა ოჯახს მიაკუთვნა. დროთა განმავლობაში, იაფეტური ხალხის და ენის ოჯახის წარმომავლობამ ისე გაიტაცა, რომ მან წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის მკვდარი ენებიც: ეტრუსკული და პელაზგური ენებიც მას მიაკუთვნა. ნ. მარის შეხედულებათა ცვალებადობა მოკლედ ასეა დახასიათებული:

„ნ. მარის თეორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იაფეტური ენების მოცულობა სხვადასხვაგვარი იყო: ჯერ ამ ჯგუფში შედიოდა მხოლოდ ქართველური ენები (1908–16), შემდეგ – აფხაზურ-ადიღეური, ჩაჩნური (ნახური) და დაღესტნური ენებიც (1916–20), ბოლოს მათ მიემატა წინა აზიისა და ხმელთა-

შუა ზღვის მკვდარი ენები (პელასგური, ეტრუსკული) და ცოცხალთაგან – ბასკური და ბურიშკული (1920– 23). თუ თავდაპირველად იაფეტური ენები ნ. მარს მონათესავე ენებად მიაჩნდა, შემდეგ მან უარყო ენათა ნათესაობა და იაფეტური ენებიც ენათა განვითარების ერთ-ერთ უძველეს საფეხურად გამოაცხადა“ (15, ტ.5, გვ.64).

დროთა განმავლობაში ენათმეცნიერებმა დაადასტურეს, რომ იაფეტიზმი არა სწორი დაბულება იყო და ნ. მარმა თვითონვე ეს ენათმეცნიერული დებულება, იაფეტიზმი, უარყო.

ივანე ჯავახიშვილი ამის შესახებ გადმოგვცემს:

„**1920 წ. აკად. ნ. მარრი იძულებული იყო თვითონვე აღეარებინა, რომ იაფეტური ენათმეცნიერების თეორია ისე, როგორც ის მანამდე ჰქადაგებდა, შეუწყნარებელი გამოდგა და თვითვე უნდა უარეყო**“ (6. ტ.X, გვ.58). მეორე ადგილას წერს:

„ამგვარად, **1920 წ. იაფეტური ენათმეცნიერების ოცდაათი წლის ნაგები შენებულება თვით მისი ხუროთმოძღვრისა და ამგებელის** აკად. ნ. მარრისაგან **იქმნა დამსხვრეული. თვით იაფეტურივე თანამედროვე მეცნიერების ფაქტებისათვის შეუფერებელი და შეუწყნარებელი აღმოჩენილა. მას აღარც საძირკველი ჰქონია, აღარც კედლები**“ (6, ტ.X, გვ.59).

იქვე, ქვემოთ, განაგრძობს ი. ჯავახიშვილი, ნ. მარის შესახებ საუბარს და წერს:

„შეუმცდარი, უეჭველია, არავინ არის. რა თქმა უნდა შესაძლებელია მეცნიერი, ყველა გარემოებათა გაუთვალისწინებლობის გამო, შესცდეს, მაგრა, თუ მკვლევარი თავის დებულებებს მუდამ სცვლის და ბოლოს ოცდაათი წლის შემდგომ იძულებული ხდება მთელი თავისი მთავარი მოძღვრებაც თვითვე შეუწყნარებლად და შეუფერებლად აღიაროს, სრულებით ბუნებრივია, რომ ამას მკითხველთა წინაშე მის ნაწერებს ნდობა დაუკარგოს, რათგან არავითარი გარანტია არ არის, რომ იგივე პირი შემდეგში იძულებული არ იქნება, თავისი მერმინდელი, ახალი დებულებებიც წინანდელებივით უარყოს“ (6, ტ.X, გვ.59).

როგორც ჩვენ დავინახეთ, ნ. მარი იცვლიდა ხოლმე თავის შეხედულებებსა და აზრს. მან, როგორც ეტყობა დაივიწყა ადრე გამოთქმული მოსაზრებები ქართული ენისა და ქართული კულტურის შესახებ და ნაშრომში, „Братская помощь Армянам“ სულ სხვანაირად გააშუქა ქართველებსა და სომხებს შორის კულტურული დამოკიდებულება. ილია ჭავჭავაძემ სასტიკად დაგმო და გააკრიტიკა მისი მოსაზრებები. ილია წერს:

„თუ რამე კულტურის ნასახი გააჩნიათ ქართველებსაო, თითქმის სულ სომხების მოწყალებითაო, სომხების კულტურა რომ უარჰყონ, ნახევარი კულტურა ქართველებისა თქვენს ჭირს წაიღებსო, ამბობს ეს ახლად ამომავალი მნათობი მეცნიერებისა. იქნება ესეც იყოს, არც აქ ავუხირდებით, იმიტომ რომ ჩვენ სახეში სულაც არა გვაქვს ვიძიოთ, ქართველი სჯობია სომეხს, თუ სომეხი — ქართველს. ამაებზე საუბარი ბრიყვის საქმეა და ჩვენ შორს ვუვლით ამისთანა აბდაუბდას. ჩვენ მარტო ამას ვჩივით, — როცა იმისთანა მეცნიერნი, როგორც ბ-ნი მარია, ამისთანაებს ჰღაღადებენ, საბუთი მაინც უნდა დაგვანახვონ.

ბ-ნი მარი ჩვენს ენასაც კი სწვდა თავისის ბასრის ხმლითა. ენის მრავალ-სიტყვაობა ერის მრავალ-აზროვნებას მოასწავებს, და როცა ისტორია ორს ენას ერთმანეთს მოახვედრებს, უფრო სუსტი და უძლური ენა ზედ-იჩნევს გავლენას უფრო წინწასულ და უფრო კულტუროვან ენისას.

ნუთუ ამ აზრით, ამ განზრახვით ბ-ნი მარი გვიცხადებს, რომ ქართულმა ბევრი სიტყვა სომხურისა მიითვისაო და ამით შორიდამ გვანიშნებს, — აი ერთი საბუთიც სომხების კულტურისა და ამ კულტურის ზედგავლენისა ქართველებზეო.

„ბანაკი, მუშაკი, სპეტაკი, ჟამი, ქალაქი, სენაკი, წესი, მატიანე, პატივი, ჭეშმარიტი“ და ბევრი სხვა სულ სომხური სიტყვებია ქართულში გადატანილიო. ესეც იქნება მართალი იყოს, ხოლო ჯერ კიდევ ღმერთმა იცის — ეს სიტყვები სომხებისაგან მიუღიათ ქართველებს, თუ ქართველებისაგან სომხებს. ჩვენ აქ არც ერთის დამტკიცება გვინდა, არც მეორისა, ხოლო გვიკვირს ასე გადაწყვეტილად ლაპარაკი იქ, საცა არავინ იცის, ჯერ რა გამოვა რისაგან, და ბ-ნმა მარმა რად ინება ასეთი ლაპარაკი?“ (1, ტ.8, გვ.120).

„უძველესი დრონი ქართველებისა და მათის კულტურისა ასურულ ლურსმულ ნაწერებშია მოხსენებული ჯერ კიდევ 1 300 წელს ქრისტეს წინათ, როგორც ამას მერე უფრო ცხადად დავინახავთ, და სომხების ხსენება მეშვიდე საუკუნის დასასრულამდე ქრისტეს წინათ არც კი იყო. მაშ უფრო საგულვებელი არ არის, რომ სომხებს ქართველებისაგან შეევსოთ თავისი სიტყვა-ნაკლულოვანება, რაკი ამ საგანზე მივარდა საუბარი?“ (1, ტ.8, გვ.121),

„მთელს ამ საუბარს ბ-ნ მარისას ერთ ქრთილადაც არ ვიყიდით. ენის გამდიდრება სხვისა სიტყვებითა ერს არ დაამდაბლებს, თუ არ აამაღლებს. რუსული очаг და ჩვენებური „ოჯახი“ მონგოლური სიტყვაა, башка თათრულია, თუ სპარსული, სიტყვიდამ „ბაშ“, сакля — „სახლი“ ქართულია, религія, профессія, поэзія, литература და ათასი სხვა მაგისთანა, სულ სხვა ენის სიტყვებია, — და

ამით მითამ რაო? ინგლისის ენაში თითქმის ნახევარი სიტყვები ფრანგულია, მოდით და წინ გადაუდგეს ან ენაწმინდა ქართველი, ან ენაწმინდა სომეხი და დაიჟინოს,— ჩვენ გვჯობივართო. მართალია, ბ-ნს მარს მიზეზი სხვამ მისცა ამაების ლაპარაკისა, მაგრამ უნდა სცოდნოდა, რომ ამაებზე საუბარი წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი“ (1, ტ.8, გვ.122).

ქართულ და სომხურ ენების ურთიერთ გავლენის შესახებ, ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი და კავკასიოლოგი ჰანს ფოგტი (Vogt) (1903–1986) წერს რომ „ძველი სომხური ენა თავის პირველსავე ტექსტებში შეიცავს მრავალ სესხებას ქართველური ენებისაგან, რომლებსაც უკვე ამ დროისათვის ჰქონდათ ერთმანეთისაგან ფონეტიკური განსხვავებანი, რაც დღესაც ახასიათებს ამ ენებს“ (40, გვ.57).

ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი ენათმეცნიერის მიერ გამოთქმული მოსაზრება შეიძლება მოვიყვანოთ. ამის შესახებ, ნაწილობრივ, ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი.

განსაკუთრებით, სასტიკად, გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ ნ. მარი, როდესაც იგი შეეხო ჩვენს სათაყვანებელ ქმნილებას „ვეფხის-ტყაოსანს.“ ილია წერს:

„ბ-ნი მარი სხვაფრივაც ირჯება, თითქო ჩვენზე გულმოსულია და ჯავრს იყრის. კარგა ხანია, რაც დაიქადა, რომ დამაცადეთ, ეგ თქვენი რაღაც „ვეფხის-ტყაოსანია“, — სულ თავზე დაგაფხრეწოთო, ინგლისში ერთი მანუსკრიპტი მეგულება, იმას ვიპოვი და დაგიმტკიცებთ, რომ იქიდამ არის ეგ ნათარგმნი, ან გადმოღებულიო. ვაი ჩვენო თავმოსაწონებელო რუსთაველო! თურმე ქურდი ყოფილხარ და სომეხთა მეცნიერთამებრ სხვისი შენად გაგისაღებია! ჩვენ-კი რა დიდებულ კაცად მიგიჩნიეთ, შენს სახელს შევხაროდით! ბ-ნი მარი, რომელიც ვითარცა დიდგულა მეცნიერი, შუბლზე ბუზსაც არ ისვამს, უბრალო სიკვდილის-შვილი ხომ არ არის, ტყუილად დაიქადოს რამ და არ იცოდეს, რომ „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს“. დაიქადა და აკი... აი ის დღეა და ეს დღე, მას აქეთ შვიდი-რვა, თუ არ მეტი, წელიწადი გავიდა,— მაგრამ ქადილი ქადილად დარჩა. ბ-ნმა მარმა კარგად იცის,— რა განძია ჩვენთვის „ვეფხის-ტყაოსანი“; კარგად იცის,— რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცხები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგვცხოს, აქედამ შეგვინგრიოს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა. თუ არა ამან, სხვა რა გულთაძვრამ უნდა აგვიხსნას ეს ამისთანა თავდაუჭერავი მუქარა და ქადაგება მეცნიერისა, ფსიქოლოგიურად რომ ჩავუკვირდეთ?

რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აიღოს და მთელს ერს შეუგინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი, შეუბღალვოს იგი თითქმის წმიდათაწმიდა, რომელსაც შვიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის, შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი!.. რა საკადრისია! კიდევ ვიტყვით: ამისი საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა, მართალს წინ რაღა დაუდგებოდა!...

მოდით და გულზე ნუ მოხვალთ ამისთანა თავგასულ და შეუნანებელ საქციელისაგან! ვშიშობთ, მაგრამ მაინც ვიტყვით: ნუთუ ამისთანა ქედმაღალმა მეცნიერმა, როგორიც მარია, თითონ რომ ჰკითხოთ, მართალი არა სთქვა? და თუ არა სთქვა, რას გვემართლებოდა? რათ დაიქადა ასეთის გაბედულის რიხით, და თუ დაიქადა, რათ არ აასრულა ქადებული? რა ანგარიშია, რომ ჰლამის ხელიდამ გამოგვაცალოს ჩვენ ჩვენი საუნჯე და ამისათვის ცარიელ მუქარის და ქადილის დალაბრებული, პირგადაღეჭილი ხმალი მოგვიღერა. ვისთვის და რისთვის ირჯება, რომ ასე უსაბუთოდ გვეტანება და ხელიდამ გვაცლის ჩვენს „ვეფხის-ტყაოსანსა“? ვის შერჭმია თვალში ეკლად ეს ქართველების ეროვნულ ღირსებისა და ვინაობის სახსოვარი, რომ ბ-ნი მარი აგრე თავზე ხელაღებულად იღვწის ამ ეკლის გამოღებისათვის? ყოველივე ეს თქვენ გამოიცანით და ჩვენკი დიდი ხანია ვიცით, რომ „ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო“ (1, ტ.8, გვ.123).

როგორც ზევით აღვნიშნეთ და როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე, ქართული ერისა და ქართული ენის ღირსების აუგათ ხსენებას არავის არ შეარჩენდა.

1888 წელს, გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი „თერგ-დალეულნი“ და ახალი თაობა“, სადაც იგი აკრიტიკებდა ი. ჯაბადარს, რომელმაც ამავე გაზეთში გამოაქვეყნა ფელეტონი, „ფიქრი და შენიშვნა გარეთყოფილისა“, „გ-ლ ნ.“ ხელმოწერით. სადაც იგი ადარებდა ძველ და ახალ თაობას, ძველ და ახალ „ორ ხანას ჩვენის მწერლობისას“.

ვინაიდან ფელეტონში განხილული საკითხები ეხებოდა ჩვენი ქვეყნისათვის „მრავალს საგულისხმო და თან სავალალო საგანს ჩვენის ცხოვრებისას“, და იგი სხვაგვარად აშუქებდა ფელეტონში წამოჭრილ საკითხებს, რაც სინამდვილეში იყო, ამიტომ ილიამ გადაწყვიტა პასუხი გაეცა ავტორისათვის.

ილია, სხვადასხვა საკითხებს შორის, წერილში აშუქებს ახალი თაობის დამოკიდებულებას მწერლობისა და ქართული ენის მიმართ, და აღნიშნავს, რომ ჩვენი ახალი თაობა,ც ნაკლებად იცნობს ქართულ ენას და ქართულ ლიტერატურას. ის ცოდნა რაც დღეს გვაქვს, ძირითადათ ძველი მწერლობის დამსახურებაა, და ჩვენ ,,ჯერჯერობით ენა და მწერლობა იმდენად ვერ შეგვიმუშავებია, რამდენადაც საჭიროა და სანატრელია“ (1, ტ.3, გვ.313).

ილია განიხილავს ჩვენში, უცხო და რუსული ენისა და ლიტერატურის ცოდნის შესახებ და წერს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ:

,,უცხო მწერლობა და ვითარება ბევრად უფრო კარგად ვიცით, ვიდრე საკუთარი. განა თვითოეულმა განათლებულმა ქართველმა უცხო მწერლობა საკუთარზე უკეთ არ იცის, რადგანაც სწავლის დაწყებიდანვე თვით დასრულებამდე უცხოსა სწავლობს და არა საკუთარს? ბევრს შეხვდებით, რომლებსაც გადაკითხული და გაცნობილი აქვსთ მთელი, მაგალითად, რუსული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, მაშინ როდესაც სრულიად წაკითხული არა აქვსთ საუკეთესო ნაწერები ქართულის ლიტერატურისა. იგივე ითქმის უცხო და საკუთარს ისტორიასა და ცხოვრებაზედ... რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით“ (1, ტ. 3, გვ.314).

ამ წერილიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა და რა მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ქართულ ენას და მის შესწავლას. რადგან იგი თვლიდა, რომ ,,არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ (1, ტ.5, გვ.80).

ილია ჭავჭავაძე აღტაცებით აღნიშნავდა, ქართული ენის სწავლების შესახებ, 1879 წლის ,,შინაური მიმოხილვა“ I-ში.

,,მადლობა ღმერთს, ეს შკოლის მნიშვნელობის წაბილწების და წარყვნის შიში ჩვენში ეხლა არამც თუ შეფერხდა, არამედ სანუგეშო იმედად შეიცვალა. შარშანდელმა კრებამ სასოფლო შკოლების მასწავლებელთა ეს ცხადად დაგ-

ვიმტკიცა. ჩვენმა ქართულმა ენამ, აქამომდე შკოლებიდამ გამოდევნილმა, ისევ ფეხი შესდგა ჩვენს შკოლებში“ (1, ტ.5, გვ.24).

„სოფლის შკოლის მასწავლებელთა კრებამ უარჰყო უწინდელი მიმართულება ჩვენის შკოლებისა და აღიარა, რომ ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა. იმ კრებამ კანონად დასდვა, რომ მთელის სწავლის მსვლელობა სასოფლო შკოლებში ქართულს ენაზედ უნდა იყვესო და დააწესა სრული კურსი პირველდაწყებითის სწავლისა... ესე იგი კურსის შესრულებამდე, უნდა ისწავლებოდეს ქართულს ენაზედ. რუსულს ენასაც კი უნდა ჰქონდესო ადგილი, მაგრამ როგორც ცალკე საგნისა და არა სახსარს, ანუ საშუალებას სწავლისასაო“ (1, ტ.5, გვ.25).

ბოლოს, ამ წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„საზოგადოდ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამიერიდგან ხალხის განათლების საქმეს ექნება უფრო ნაყოფიერი მსვლელობა“ (1, ტ.5, გვ.26).

ილია ჭავჭავაძემ მთელი რიგი წერილები მიუძღვნა სახალხო განათლების სხვადასხვა საკითხებს. მისი მთავარი მოთხოვნა იყო და ამას ამტკიცებდა, რომ ბავშვს სწავლა და განათლება მიეღო მშობლიურ – ქართულ ენაზე.

80-იან წლებში, ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ მოიწადინა სკოლებიდან ქართული ენის გაუქმება. იანოვსკის ამ გეგმას წინ აღუდგა ილია ჭავჭავაძე და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეძლო სკოლებში ქართული ენის დაცვა.

1881 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“. ამ წერილის დაწერისათვის ჩანს, რომ ილია, როგორც ყოველთვის, სათანადოთ მომზადებულა. წერილში მოჰყავს იმ დროინდელი ისეთი ცნობილი მეცნიერებისა და პედაგოგების სიტყვები, როგორიც იყვნენ:

ბრეალი (Breal) მიშელი (1832–1915) – ფრანგი ენათმეცნიერი და ფილოლოგი;

დისტერვეგი (Diesterweg) ადოლფი (1790–1866) – გერმანელი პედაგოგი-დემოკრატი;

ვესელი ნიკოლოზი (1837–1908) – რუსი პედაგოგი და პუბლიცისტი;

პესტალოცცი (Pestalozzi) იოჰანი (1746–1827) – შვეიცარელი პედაგოგი-დემოკრატი;

უშინსკი კონსტანტინე (1812–1871) – რუსი პედაგოგი-დემოკრატი და სხვები.

წერილში ილია, იანოვსკის მიერ გამოთქმულ ყოველ მოსაზრებას, ცალ-ცალკე განიხილავს, ძირითადი მოთხოვნილება, რაზედაც ილია ყურადღებას ამახვილებს, არის ის რომ მოზარდმა სასწავლებელში უნდა ისწავლოს მშობლიურ დედა-ენაზე და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს კ. უშინსკის სიტყვები:

„ბავშვი რომ სწავლობს დედა-ენას, იგი სწოვს სულისათვის სიცოცხლეს და ღონეს ღვიძლის ენის ღვიძლის ძუძუდამო... დედა-ენა ისე უხსნის ბუნებას ყმაწვილს, როგორც ვერც ერთი ბუნების მცოდნე კაცი; ისე აცოდინებს ხასიათს იმ ხალხისას და საზოგადოებისას, რომელთა შორისაც ბავშვი სცხოვრობს, მათს ისტორიას, თვისებას და მიდრეკილებას, როგოც ვერც ერთი ისტორიკოსიო“ (1, ტ.4, გვ.277). თავის მხრივ დასძენს:

ცხადია, რომ დედა-ენა ცნობილია არამც თუ უკეთეს და აუცილებელ სახსრად, რომ სკოლამ თავისი დანიშნულება აასრულოს, არამედ უპირველეს საგნადაც, რომელიც ბავშვმა უნდა შეისწავლოს და იცოდეს. მაშასადამე, სკოლამ საზოგადოდ და საერომ საკუთრივ ეგ სამსახური უნდა გაუწიოს ერსა“ (1, ტ.4, გვ.278).

ილია ამტკიცებდა, რომ როდესაც მოზარდი დაწყებით სასწავლებელში აითვისებს მშობლიურ ენას, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეისწავლოს უცხო ენები.

რუსული ენის შესახებ, ილია ამბობდა, რომ ქართველისათვის მისი შესწავლა აუცილებელია. დედა-ენა და რუსული ენა ისე უნდა ისწავლებოდეს სასწავლებელში, რომ „შინაც გამოიყენოს და გარეთაც.“ იგი წერს:

„ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად. ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ“ (1, ტ.4, გვ.287).

წერილოს ბოლოს, ილიას თქმით, იანოვსკის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა და მეთოდი არის მცდარი და არა სწორი. იგი წერილს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას

გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს. ამ ორივე – სულ სხვადასხვა საგნის – შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა“ (1, ტ.4, გვ.288).

ქართული ენის აკრძალვას სასწავლებლებში ეხება ილია ჭავჭავაძის კიდევ ერთი წერილი, რომელიც მან დაბეჭდა კვირეულ „ივერიაში“, 1877 წ. „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“.

ავტორის გადმოცემით, შუაგულს ქართლში, გორში, მთავრობის მიერ გახსნილ სემინარიაში, ქართულ ენას არ ასწავლიან, ვითომცდა იმ საბაბით, რომ თურმე ქართველი მოწაფენი მცირე რაოდენობით არიანო. სემინარიის დირექტორის აზრით იქ სწავლობენ „თორმეტი გვარტომების“ მოსწავლეები: რუსები, პოლიაკები, სომხები, ბერძენი, ჩერქეზი, უდინი, ქართველები, იმერლები, გურულნი, ფშავნი და აბხაზი. ამის შესახებ ილია წერს:

„ამგვარად, ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი – ქართველად არ უცვნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. დირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი, – რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუთუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო, იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი, რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ, ოცდა-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო.“ ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ“ (1, ტ.4, გვ.316). – კითხულობს ავტორი.

მეორე სასწავლებელშიც, რომელიც დაარსებული ყოფილა მხოლოდ ქართველებისათვის, იქაც არ ასწავლიდნენ თურმე ქართულ ენას. ილიას გადმოცემით, ამ სასწავლებელში, ქართული ენის მასწავლებელს ნათიევს თავისი ჭკუით, შეუქმნია „ახალი მეთოდი“, რომლის შემწეობითაც: „ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკვეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები. საწყალო ბავშვებო! – წერს ილია, გაკვირვებული, – თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის აშენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენს ბუნების ძლიერებას!“ (1, ტ.4, გვ.317).

ამის გარდა, ამ ქართული ენის მასწავლებელს, გამოუგონია ახალი ანბანი, რომლის შემწეობითაც ქართულ სიტყვებს რუსული ასოებით წერდა და ვინაიდან რუსული ანბანის საშუალებით ჩვენი ხმების გამოსახვა შეუძლებელი იყო, ამიტომ მან გამოიგონა ახალი ასოები, რომელიც, „არც რუსულია, არც ქართული, არც იმ მთისა, არც ამ მთისა, და იმ ახალის ასოებით შეუვსია რუსული ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია“ (1, ტ.4, გვ.318).

ილია სასაცილოდ იგდებს სემინარიის გამგეობასაც, ამ ანბანის შემქმნელ ნათიევსაც და მიმართავს ბავშვებს:

„ვაი თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვებო! არ გეყოფათ განა იმდენი ანბანები, რომ „ნათიური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო?! ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ“ (1, ტ.4, გვ.318).

ილიას წერილებიდან, სადაც მან განიხილა განათლების საკითხები, ნათლად ჩანს, რომ რუსეთის მთავრობის მოხელეები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ სასწავლებლებში ქართული ენა გაეუქმებიათ და ამით მოეხდინათ ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება.

ილია ნაშრომებში აღნიშნავდა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ყოველთვის ცდილობდა, რომ განათლება მიეღო. ამიტომაც მიემგზავრებოდა რუსეთსა და საზღვარგარეთ.

„ბევრნი მათგანი, გატაცებულნი უმაღლესის სწავლის სიყვარულითა, უქონლობას არ შეუშინებია და ყმაწვილ-კაცობის ხალისით და გაბედულობით გასდგომიან შორს და სანატრელს გზას სწავლისას... ეს კეთილშობილური სითამამე, ეს პატიოსანი თავგამომეტება, ეს, თუ გნებავთ, ვაჟკაცური წინდაუხედაობა – უკეთესი სამკაულია ყოველის კაცისა და ყმაწვილ-კაცობის ხომ უკეთესი და აუცილებელი ღირსება და კუთვნილებაა“ (1, ტ.4, გვ.334).

ი. ჭავჭავაძე ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა საქართველოში ახალ წამოწყებებს: საზოგადოებების გახსნას, რომლებიც ცდილობდნენ კულტურის, ხელოვნების და სხვადასხვა დარგებში წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას, თეატრის დამკვიდრებას, სამეურნეო სასწავლებლების, „სატექნიკო და სახელოსნო“ სასწავლებლების გახსნას და სხვა.

ილია დიდ ყურადღებას აქცევდა თეატრს. მას მიაჩნდა და თვლიდა, რომ თეატრი იყო ეროვნული შეგნებისა და ქართული ენის აღორძინების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ II, ილია მადლიერებით აღნიშნავდა იმათ ვინც მონაწილეობა მიიღო ქართული თეატრის შექმნისა და დამკვიდრების საქმეში. იგი წერდა:

„არ ვიცით, რა მადლობა უნდა გადაუხადოს ქართველობამ იმ კაცთ, რომელთ მეოხებითაც ამ ბოლოს დროს ჩვენში გაძლიერდა სამუდამო ქართულის სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აიდგა კიდეც, რომ სისრულეში მოვიდეს... დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის... დიდი რამ არის-მეთქი სცენა: ძლივს ერთი სავჯარო ადგილი მაინც გვექნება, სადაც ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინალვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა.

ამას გარდა, სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა... ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი – რომ მართლა განწმენდილი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე – იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს სავჯაროდ, საქვეყნოდ“ (1, ტ.5, გვ.40).

როგორც ვხედავთ, ილია დიდ იმედს ამყარებდა და დიდს მნიშვნელობას ანიჭებდა თეატრს, ქართული ენის აღორძინება-განახლების საქმეში.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის აღნიშნავდა იმათ, ვინც ხელს უწყობდა ქართული კულტურის და ენის განვითარებს. ილიამ, წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXIV-ში, აღნიშნა საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და პედაგოგის ილია წინამძღვრიშვილის (1834–1920) საშვილიშვილო საქმის წამოწყება, რომელმაც საზოგადოების შემწეობით, სოფელ წინამძღვარიანთ კარში, 1883 წელს დააარსა ექვსწლიანი, თავის მიწის ნაკვეთზე, ქართული სასოფლო-სამეურნეო სკოლა, შენობითა და სასკოლო მოწყობილობით. რომელმაც გარკვეული მნიშვნელობა შეასრულა სასოფლო-სამეურნეო განათლების დარგში და რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სასწავლებელი ტექნიკუმად გადაკეთდა.

სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, სკოლის კურთხევის დროს, ილიამ შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც მოკლედ განმარტა ცოდნისა და სწავლის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარების საქმეში.

„თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია

წინამძღვრიშვილია, ის აკვანი – აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ქვიან. აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ“ (1, ტ.5, გვ.291).

დიდის პატივისცემით მიმართავს ილია ჭავჭავაძე ენათმეცნიერს, ლექსიკოგრაფსა და ლიტერატურათმცოდნეს დავით ჩუბინაშვილს (1814–1891) ქართველი ხალხის „უხუცესს მოღვაწეს სალიტერატურო სარბიელზედ“, 1881 წელს მის საპატივსაცემოდ გამართულ ზეიმზე, სიტყვაში, ილია განსაკუთრებით აღნიშნავს მის დამსახურებას ქართული სიტყვიერების დარგში.

„ბატონო დავით, თქვენ, რომელმანცა შეძლებისამებრ თქვენი სამსახური გაუწიეთ თქვენს სამშობლო ქვეყანასა და ღვაწლი დასდევით. ბევრს არაფერს ვიტყვი, მე მხოლოდ ვახსენებ თქვენს ორ ღვაწლს სხვათა მრავალთა შორის: თქვენ ჩვენს სიტყვიერებას სამუდამო სალარო აუშენეთ, ჩვენის ჭკუისა და გულის მონაგარს, ჩვენის სულიერს განძს ბინა დაუდევით, თქვენ შეგვიდგინეთ ლექსიკონი, და შეგვიკრიბეთ ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა. ამით სამართლიანი საბუთი მოგვეცით ხელში, რომ საქვეყნოდ თავი მოვიწონოთ ჩვენის ენისა და მწიგნობრობის სიმდიდრითა და ჩვენცა ვსთქვათ, რომ ჩვენც ოდესმე ვყოფილვართ, ჭკუით და გულით გვიცხოვრია. ღმერთმა ჰქმნას, რომ არც ერთი და არც მეორე ღვაწლი თქვენი არ დაეკარგოს საქართველოს, რომელიც თქვენ გიყვართ და რომელიც დღეს თავის გულითადს პატივისცემას ჩვენის პირით მოგახსენებს“ (1, ტ.9, გვ.259).

ჩვენ ნაწილობრივ განვიხილეთ, წერილების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ქართული ენის შესახებ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მიუხედავად ძველი თაობის დიდი წინააღმდეგობისა, ძველ ქართულ ენაში დამკვიდრებული, ორთოგრაფიული ნიშნები: უ, ჱ, ჴ, ჲ,ჶ, ჯ, ილიას შემწეობით, ახალ ქართულ ენაში, ხმარებიდან ამოღებულ იქნა, ამით ქართული ენა გამარტივდა და ხალხისათვის ადვილი გასაგები გახდა. ჩანს, რომ მის დროს უკვე ქართული ენა თხოულობდა გამარტივებას.

კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, ილია წერდა:

„ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია“ (1, ტ.10, გვ.27).

ა. ჩიქობავა წერილში, „ილია ჭავჭავაძე და სალიტერატურო ქართული ენის ერთიანობის საკითხი“, წერდა:

„ენის უფლებებს იცავდა ილია ჭავჭავაძე და ამით თავის ხალხს, მშობელ ქვეყანას ესარჩლებოდა.

ენის საკითხი ეროვნების სასიცოცხლო საკითხებს უკავშირდება: ერის ჩამოყალიბება ეროვნულ ენას გულისხმობს;

ერის კულტურული ცხოვრება ენას საჭიროებს განვითარების იარაღად; ერის მეობას, პირველ ყოვლისა, ენა არკვევს (და შემდეგ – ხალხური სიმღერა, ხალხის განცდათა მესაიდუმლე).

ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ მწერალი – **კლასიკოსია**, არა მხოლოდ სალიტერატურო ქართული ენის ხალხურობის დამცველი და დამფუძნებელი.

ილია ჭავჭავაძე **მწერალი მოქალაქეა;** მას თავისი ხალხი უყვარდა ოთარაანთ ქვრივის პირუთვნელი სიყვარულით.

იგი თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა კატკოვებისაგან იმ შეუდრეკლობით, რაც ქვეყნის სახელით მოლაპარაკეს შეჰფერის და იმ შეუპოვრობით, რაც თავის სიმართლეში დარწმუნებულ ადამიანს ახასიათებს“ (3, გვ.280).

ჩვენ ამ მიმოხილვას ვამთავრებთ ა. შანიძის მიერ ილიას დახასიათებით.

„„ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ბრძოლა ქართული ენისათვის ერთი ძირითადი საზთაგანია. ეს ბრძოლა სხვადასხვა გარემოებაში სხვადასხვა სახეს იღებს: ორიგინალურ ბელეტრისტულ ნაწერებში ის ქმნის უკვდავ სახეებს, წარმტაც სურათებს, ჭედს ქართულ სიტყვას, ნათარგმნ რომანში იძლევა მისაბაძავ ნიმუშსა იმისას, თუ როგორ უნდა იქმნეს გადმოქართულებული რომელიმე ნაწარმოები; ცისკრელებთან ბრძოლისას ერთი კალმის მოსმით აუქმებს ახალი სალიტერატურო ენისათვის ზედმეტად გამხდარ ასოებს; იანოვსკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოდებით იცავს ქართული ენის უფლებას და სხვა და სხვა. ილიას აზრით, სკოლა, თეატრი, ბანკი და სხვა დაწესებულება ჩვენში, ყველაფერი უნდა ემსახურებოდეს ქართველი ერის წინსვლას და ამ ერის ყველაზედ მეტი ეროვნული ნიშნის უფლებათა დაცვას და წარმატებას,

ე. ი. ქართული ენის მოვლასა და მზრუნველობას, ზრდასა და განვითარებას, აღორძინებასა და აყვავებას...

ყველაფერი, რაც შეუქმნია ილიას მადლიან კალამს... ჯერ კიდევ არ არის ყველა მასალა გამოქვეყნებული, ერთად თავმოყრილი და ადვილად ხელმისაწვდომი. მაგრამ რაც ცნობილია, ისიც სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ იშვიათი სიცხადით წარმოგვიდგეს ილიას დიდი და განუზომელი ღვაწლი ქართული ენის აღორძინების საქმეში“ (3, გვ.92-93).

2. ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი

სტუდენტობის დროს ილიაზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია, მის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, XIX საუკუნის პირველი ნახევრის, ქართული რომანტიზმის მწვერვალმა, გენიოსმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (1817–1845). ნიკოლოზ ბარათაშვილმა, როგორც მოაზროვნემ და პოეზიის მხატვარმა საფუძველი ჩაუყარა და მიმართულება მისცა, ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებას საქართველოში.

კ. გამსახურდია წერილში „გასაუბრება ღამეულ სტუმართან“ აღნიშნავს, რომ: „გარდა დიდი გემოვნებისა, ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდა, დღესაც მრავალ მწერლისათვის სანატრელი: სიყვარული და პატივისცემა თავის თანამედროვისადმი. მან აღმოაჩინა ქართველობისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის ტალანტი და ვაჟას გენია“ (27, ტ.VII, გვ.267).

საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე კონსტანტინე (კოტე) აფხაზი (1867–1923) იხსენებდა:

„მახსოვს, ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქალბატონ დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს ბარათაშვილის საკუთარი ხელით ნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით“ (9, გვ.395).

აი, რას წერს ილია ჭავჭავაძე 1860 წელს ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ.“

„როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!...
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცის განუბნივოს შავი ღრუბლები,

ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!...
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა“ (1, ტ.1, გვ.291).

ხოლო, ამავე წელსვე დაწერილ, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, ილია შემდეგი სიტყვებით გამოხატავს მისი სიკვდილით გამოწვეულ სინანულს:

„ვაი დავკარგეთ!... უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?
არა დედ-მამა, – მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!...
გინდა მოგვითხრას ჩვენი ურვამ ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღადგენს შენა“ (1, ტ.1, გვ.58).

ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების დროს, 1893 წლის 25 აპრილს, წარმოთქმულ სიტყვაში, ილიამ აღნიშნა:

„პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა...

ამ მადლს, ამ ტვირთს, დიდი ძალ-ღონე უნდა სულისა და ხორცისა. და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდვა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად, და უბრძანა, – წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთეო...

ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე... მე არ ვეტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითეულის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია.

„სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვავნი მყივარნი მივალალებენო.“ აღსრულდა ეს წინასწართქმული მისი მაშინ, და დღეს-კი მის მტვერს, მის ნეშტს, მის კუბოს, მის საფლავს, დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელის საქართველოსი“ (1, ტ.3, გვ.250).

ილია ჭავჭავაძემ განაგრძო, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ნ. ბარათაშვილის მიერ დაწყებული ქართული მწერლობის განახლების საქმე. ილიას არაერთხელ ჰყავს მოხსენებული ნ. ბარათაშვილი თავის შემოქმედებაში. ზევით აღვნიშნეთ, რომ წერილში, „ორიოდე სიტყვა „შეშლილი“-ს თარგმანზედა“ ილია ეხება რა ქართულ ენას, იგი აღნიშნავს ა. ჭავჭავაძესა და ნ. ბარათაშვილის ენას და კითხულობს: „რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“ (1, ტ.3, გვ.15).

კრიტიკულ წერილებში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1892 წელს, ილია განიხილავს XIX საუკუნის ქართული მწერლობის განვითარების გზებს. ამ წერილის IV თავში, მწერალი ასე ახასიათებს ნ. ბარათაშვილის პოეტურ შემოქმედებას:

„ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოაზრედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა, „არ არს სუბუქ.“

ჩვენდა საუბედუროდ, უდროოდ ჩვენთვის დაკარგული პოეტი, ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზე უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ ვალ-გადაუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისი,

„სად სულსა სული თვისად მიაჩნის

და გულსა გულის პასუხი ესმის“ (1, ტ.3, გვ.219).

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მთავრდება ძველი საზოგადოებრივი აზროვნებისა და ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ამ დროს მოღვაწეობდნენ ჩვენში თვალსაჩინო შესანიშნავი პოეტები: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი, რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც ქართული რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლები.

ლ. სანიკიძე წერს:

„მეცხრამეტე საუკუნე ქართული მხატვრული ლიტერატურის აყვავების ხანა იყო. სიტყვაკაზმულობის პირველი მძლავრი ნაკადი რომანტიზმის სახით მოგვევლინა. რომანტიზმის მამამთავარი გახდა პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786–1846). იგი თავისი სევდიანი ლირიკით მისტირის საქართველოს გარდასულ დიდებას და ილაშქრებს მეფის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

რომანტიზმის კლასიკოსია დიდებული პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე გრიგოლ ორბელიანი (1804– 1883). საქართველოს აპოლოგიას წარმოადგენს შესანიშნავი პოემა „სადღეგრძელო“, ასევე პატრიოტული მოტივით და სამშობლოს სამომავლო ფიქრებით არის განსჭვალული უმრავლესი მისი ლირიკული ლექსები.

ქართული რომანტიზმის მწვერვალზე დგას ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817–1845). მისი პოემა „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ ეძღვნება რუსეთთან საქართველოს შეერთების პრობლემებს... სიცოცხლეს განიხილავს როგორც „აღვსებულ საწყაულს“ და „მერანზე“ ამხედრებული ცდილობს გაარღვიოს და გაშორდეს ავ ბედისწერად გარშემორტყმულ უსულგულო ადამიანურ სამყაროს“ (36, გვ.285).

ქართული რომანტიზმის წარმომადგენლების შემოქმედებებმა ხელი შეუწყო ჩვენში XIX ს. „სამოციანელთა“ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც გამოიხატა ქართული ეროვნული ცნობიერების, თვითშეგნებისა და პოლიტიკურ მიმართულებაში.

თავი მესამე

ილია ჭავჭავაძე და ისტორია

ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველი საკითხის განხილვისას, ეს იქნებოდა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური, ლიტერატურული თუ სხვა, საფუძვლიანად ეცნობოდა, აკვირდებოდა, სწავლობდა, კითხულობდა იმდროინდელ ცნობილ მეცნიერთა ნაშრომებს და ისე წერდა ამა თუ იმ წერილსა და ნარკვევს.

მისი ნამუშევრების, უბის წიგნაკისა, რვეულებისა და სხვადასხვა არქივების გაცნობისას, გაკვირვებას იწვევს, თუ როგორ ასწრებდა ილია ამ ზღვა მასალის შესწავლას და დამუშავებას. მას, ხომ არც ერთი წერილი, ნარკვევი და მიმოხილვა, ზერელედ, დაუსაბუთებლად არ დაუწერია და არ განუხილია.

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ იმ დროს როდესაც ილია იწყებდა მოღვაწეობას, სწორედ მაშინ ხდებოდა მეცნიერების მრავალი დარგის ჩამოყალიბება და განვითარება; და ასეთ დროს მის მიერ ჩამოყალიბებულმა შეხედულებებმა და მოსაზრებებმა დროთა ხანგრძლივობას გაუძლო და დღესაც კი გამართლებულად ითვლება.

არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიოგრაფიის დარგში. სწორედ მის დროს ხდებოდა ისტორიის დარგის ჩამოყალიბება და დახვეწა, მის დროს ხდებოდა საქართველოს ისტორიოგრაფიის დაფუძნება და ისტორიის მეთოდების შექმნა.

1. ილია ჭავჭავაძე და ისტორიის საკითხები

ქართული მეცნიერების და ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარმა ივანე ჯავახიშვილმა 1937 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე განაცხადა:

„ვინც მომავალში ქართველი ისტორიოგრაფიის თავგადასავლის მე-19 ს. ამბების შესწავლასა და აღწერას შეუდგება, ის ვალდებული იქნება ისიც აღნიშნოს, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ანდა კიდევ მარტო ვითარცა ახალი სალიტერატურო ქართულის შემქმნელიც კი არა, არამედ რომ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის

დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს“ (3, გვ.92).

წერილში, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, ილია ჭავჭავაძეს შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული საერთოდ ისტორიის და ისტორიოგრაფიის მნიშვნელობა.

„ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ. წინა-კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ“ (1, ტ.3, გვ.12).

ნარკვევში, „ოსმალოს საქართველო“, ილიას ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი აზრი, ისტორიის დარგის, ისტორიოგრაფიის და ერის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

„ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თვისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნეობისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმხიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს“ (1, ტ.4, გვ.9).

ი. ჭავჭავაძე არაერთხელ შეხებია და განიხილავდა თავის წერილებში ისტორიოგრაფიის ზოგად საკითხებს. ამასთან ერთად წამოყენებული აქვს საისტორიო მეცნიერების ზოგადი თვალსაზრისი, რომელიც ეხება ისტორიის ფილოსოფიას.

წერილში, „დავით აღმაშენებელი“, ილია იძლევა თვითონ ისტორიის მცნების განხილვას და მის მნიშვნელობას ერის ცხოვრებაში. იგი წერს:

„არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის

ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს – ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, – რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვალადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“ (1, ტ.4, გვ.179).

ი. ჭავჭავაძე, არა ერთხელ უბრუნდება ისტორიის საკითხებს და უფრო თანდათან აზუსტებს და ანვითარებს ისტორიის დამოკიდებულებას ერის, როგორც წარსულის, ასევე მომავლის შენების საქმეში.

ილიას წერილი, „ერი და ისტორია“, რომელიც მან მიუძღვნა ჩვენს სასიქადულო მამულიშვილს, ისტორიკოსს, ეთნოგრაფსა და არქეოლოგს დიმიტრი ბაქრაძეს (1826–1890) არის ერთ-ერთი შესანიშნავი ნარკვევი, რომელშიც განხილულია ისტორიის სხვადასხვა საკითხები.

ნარკვევის მთავარი აზრი გამოიხატება იმაში, რომ ხალხმა, ერმა თავისი წარსული, თავისი ისტორია არ უნდა დაივიწყოს. ისტორიაზეა დამოკიდებული ერის მომავალი. ეს მოსაზრება ილიას ისე აქვს მხატვრული ხერხებით გამოხატული, ისე აქვს სიტყვები დალაგებული და მძივებივით ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილი, ისე აქვს წინადადებები ერთმანეთთან დაწყობილი, რომ შეუძლებელია მათი განცალკევება და რომელიმე სიტყვის ამოღება. ამ წერილს, ილია იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული – მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო. ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“ (1, ტ.4, გვ.200). ილიას

თქმით, თუ ერს არ აქვს წარსული, ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ ჰქონია ისტორია და ასეთ ხალხს არ გააჩნია მომავალი. ერი, რომელსაც არ ჰქონია წარსული, „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის – ვინ არის, რისთვის არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ამიტომაც ესეთი ხალხი ბევრით არ გამოირჩევა პირუტყვთაგან და იქნება ბევრში უკანაც ჩამორჩება. ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელს დროში, და სხვა უფრო ძლიერის ერის ისტორიის მქონე ერი დაეძგერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხსა“ (1, ტ.4, გვ.201).

ერს, რომელსაც თავისი ისტორია არ აქვს და არც ჰქონია, რომელმაც არ იცის უწინ რა იყო და დაუვიწყნია თავისი წარსული, ასეთ ერს მომავალი არა აქვს. ვინაიდან, ილიას თქმით:

„რა არის – არც ის იცის, არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა. ფეხ-ქვეშიდამ გამოცლილი აქვს ის მაგარი მიწა, იგი ტანი თავის ვინაობისა, რომელსაც ისტორია შეადუღებს ხოლმე მამა-პაპათა ნაღვაწ-ნამოქმედარისაგან საშვილიშვილოდ ფეხმოსაკიდებლად და მოსამაგრებლად“ (1, ტ.4, გვ.201).

ყოველ ერს თავისი სახე აქვს, თავისი მე გააჩნია და თვითეულ ერს თავისი წარსული და მომავალი აქვს. ილია ჭავჭავაძე ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა და სხვისგანაც მოითხოვდა სხვა ერის ღირსებით ხსენებას. ნარკვევში, „ქვათა ღაღადში“, ილია ამ აზრს შემდეგნაირად გამოხატავს:

„ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ შემთხვევაში, და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება – დიდად სათაკილო საქციელია. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა“ (1, ტ.8, გვ.97).

ყველა ერს თავისი ისტორია აქვს და თვითეული ადამიანი ცდილობს თავისი ერის უძველესი მდგომარეობა გაიგოს, ცდილობს გაიგოს ერის საწყისის ის დრო, რომელიც ისტორიას არ შემოუნახავს და არ დაუხსომებია. ილიას თქმით, ადამიანი ცდილობს გაიგოს ის მდგომარეობა, „რასაც „ცივილიზაციას“ ეძახიან. ცივილიზაცია, ანუ წარმატებულობა ადამიანისა, მიზეზი-კი არ არის, არამედ შედეგია ყოველ იმ ძალ-ღონისა, რომელნიც ერთად კრებულად მოქმედობენ კაცობრიობაში საზოგადოდ და თვითოეულ ერში ცალკე. ამგვარს ძალ-ღონეს სოციალურ ძალ-ღონეს ეძახიან. ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი

აღმატებულება, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წესწყობილება ოჯახური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს მომქმედნი, ჰქმნიან იმას. რასაც რომელსამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტნაკლებობით“ (1, ტ.4, გვ.28).

ილიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიას არ შემოუნახია ჩვენამდე თვით ერის დასაწყისი, ადამიანმა მაინც შესძლო „ცოტად თუ ბევრად“ ძველი დროის ამბების გაგება. ზღაპრებში და თქმულებებში, ხშირად გადმოცემული არის ამა თუ ერის ზნე-ჩვეულებანი. სასაფლაონი და სამარხებიც იძლევიან ძველი დროის ამბების გაგებას. „თითონ ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა ცალკე და კაცობრიობისა საზოგადოდ. ეთნოლოგიური აღწერა კაცთა ნათესავისა, ყოველის ცალკე თესლისა მთელს დედამიწის ზურგზედ. ბევრს რასმე მოგვითხრობს მასზედ, თუ ვინ და რა საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა“ (1, ტ.4, გვ.29).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევს ენას. იგი წერს, რომ ენის გამოკვლევით, შეიძლება თვითეული ერის წინაპრის ისტორიის აღდგენა და წარმოსახვა.

„ენა, როგორც გასაღები დაკეტილისა, ყველაზედ უფრო შემძლებელია და ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის... ენის მკვლევარი მეცნიერება – ფილოლოგიაა და ამიტომაც მართალს ამბობენ, რომ ფილოლოგია და ისტორია მხარ-და-მხარ დადიან, ერთმანეთს ჰშველიან, რადგანაც ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზევებულია მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოველის მისის თავგადასავლისა და ყოფაცხოვრების ცვალებადობისაო.

აქედამა სჩანს, ენის გამოკვლევა რა დიდი ღონეა ადამიანის გონებისათვის და ფილოლოგია, როგორც ენის მკვლევარი მეცნიერება, რა სამსახურს უწევს ისტორიასა მის წინადროთა აღსადგენად და საცნობელად“ (1, ტ.4, გვ.30).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ენის გამოკვლევისას, მეცნიერები იყენებენ, „შედარებით მეთოდს“. ფილოლოგიის ამ დარგის,ანუ შედარებითი ფილოლოგიის გამოყენების საშუალებით ხდება იმის დადგენა, რაც ადრე მეცნიერებს მხოლოდ ეჭვი ჰქონდათ და ვარაუდით მსჯელობდნენ. ილიას თქმით, „ენაა იგი სარკე“, გადმომცემელი ცოტად „თუ ბევრად“ ერის „წინათ-დროინდელ“ ისტორიისა.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VII-ში, იგი აცხადებს:

„არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული – ენაა“ (1, ტ.5, გვ.80).

ამიტომაც ასე თავგამოდებით იცავდა ილია ქართულ ენას, ჩვენი ერის უძვირფასეს განძს და არავის ანებებდა მის აუგად ხსენებას. იგი ყოველ მხრივ ცდილობდა მის დაცვას, დახვეწას, განვითარებას და გამდიდრებას, რადგან მისი აზრით:

„ენის მრავალსიტყვაობა ერის მრავალაზროვნებას მოასწავებს“ (1, ტ.8, გვ.120).

რა თქმა უნდა, ყოველ ერს თავისი ენა და ისტორია აქვს. ამავე დროს ერი, თვითონ ქმნის თავის ისტორიას. მაგრამ ყოველი ადამიანისათვის რას წარმოადგენს თვითონ ისტორია? ილიას მოჰყავს ერთ-ერთი მწერლის გამონათქვამი და წერილში, „ცხოვრება და კანონი“, წერს:

„ისტორიაო, – ამბობს ერთი მწერალი. – ბრძოლაა ბუნებასთან, სიღარიბესთან, გონების სიბნელესთან, ღონემიხდილობასთან, მაშასადამე ყოველგვარ შევიწროებასთან, რომელსაც ადამიანი პირისპირ შეემთხვევა ხოლმე, როცა ისტორიის ასპარეზზედ გამოდისო“ (1, ტ.6, გვ.57).

ესე იგი, ერად ჩამოყალიბება ხდება მაშინ, როდესაც ხალხი, საზოგადოება, თვითეული ადამიანი იწყებს ბრძოლას ბუნებასთან და ამ ბრძოლამ აიძულა ადამიანი დაკავშირებულიყო მიწას, დაემუშავებინა ის და ამით ერჩინა თავი. ამაზე იყო დამყარებული მისი სიმდიდრეც, მისი მერმისი და მისი მომავალი ისტორიაც. ილიას თქმით, ვინც ეს ვერ შეძლო, „ეგ მუქთი, ბუნებისგან მონიჭებული კუთვნილება“, ვერ მოიხმარა, ის გაქრა და განადგურდა. ამ აზრს, მიწასა და გუთანს, ილია თავის ნაწერებში არაერთხელ უბრუნდება და ყველგან ამტკიცებს, რომ ადამიანის ცხოვრება და ცხოვრების სიკეთე დამოკიდებულია მიწაზე.

ერთ-ერთ წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XVI-ში, იგი წერს:

„კიდევ ვიტყვი, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, – მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა – იღწვიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ – თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა.

რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, – მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა. დიდს ისრაელს, დიდს საბერძნეთს, დიდს რომს ამითი მოელო ბოლო“ (1, ტ.5, გვ.173).

ილიას აზრით, ერის სიძლიერე დამოკიდებული არის ერის ეკონომიკაზე. ხოლო თვითონ ეკონომიკა კი – მიწაზე, მიწის განაწილებასა და მიწის საკუთრებაზე. ერთის მხრივ, მიწის პირად საკუთრებაზე და მეორეს მხრივ, მიწის ზოგადზე. ამ ორთა ურთიერთ ბრძოლაზე იყო და არის დამოკიდებული ერის მომავალი და მისი ისტორიაც. ამის შესახებ საუბრობს წერილში, „ხიზნების საქმე“.

„რომელი ერიც გინდა აიღოთ მთელს ქვეყნიერებაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე. მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, – რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა – შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა“ (1, ტ.6, გვ.141).

ილიას აზრით, მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ყველა ერს ერთი და იგივე წესი ჰქონიათ მიწის სარგებლობისა, ოღონდ სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, „ჩვენში-კი-ხიზნობა“ ჰქვიან და რა თქმა“ უნდა ჩვენშიაც, ისე როგორც სხვა ქვეყნებში პირველყოფილ დროს, „როცა თავდაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი“, „ზოგად ელემენტს საკუთრებისას“ იგივე იყო.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერის ეკონომიკური მხარე განსაზღვრავს მის მომავალს, მის არსებობას. ხოლო, ეკონომიური სიძლიერე ერისა თვითეული ადამიანის შრომაზე, გარჯაზე და მხნეობაზეა დამოკიდებული. ილია წერს:

„თვითეული ამისთანა ადამიანი, ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწვრთნელია ყველასი, ვისაც-კი კაცობისათვის გული ერჩის. საცა ამისთანანი გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი სულითაც და ხორცითაც“ (1, ტ.4, გვ.262).

ი. ჭავჭავაძე, არა ერთ წერილში, ამტკიცებს და უნდა, ხალხს შეაგნებინოს, რომ ერის სიძლიერე დამოკიდებულია მშრომელ, ნიჭიერ და მხნე ხალხზე. რაც უფრო ცხოვრების სარბიელზე მეტი გამოჩნდება მხნე კაცი, მით უფრო ერი მძლეველი იქნება. ილიას მოჰყავს ფრანგი მწერლის, ისტორიკოსისა და ფილოსოფოსის ვოლტერის (Voltaire) (1694–1778) შემდეგი სიტყვები:

„ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. უფულობა და უქონლობა-კი არა, ნიჭიერ და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერსა უღონოდაო“ (1, ტ.4, გვ.248).

როგორც ცნობილია, საზოგადოდ, ერის მდგომარეობა, ერის სიძლიერე, დამოკიდებული არის თვითეული ადამიანის მოქმედებაზე. ერის არსებობა, ერის მომავალი ცალკეულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული. წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXIX, რომელიც ილიამ დაწერა 1895 წელს, აღნიშნავს:

„დიდ-ბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის-მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის, კაცურ-კაცობისა. მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითეულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა... ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი“ (1, ტ.5, გვ.341).

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მიიჩნევდა და აღნიშნავდა წერილებსა, თუ ნარკვევებში, რომ ისტორია ერისა დამოკიდებულია თვით ხალხის შრომაზე, გარჯაზე და თვით ერის მომავალი, ერის ისტორია დამოკიდებულია, თვით ხალხის მოქმედებაზე. იგი წერს:

„ისტორია და წარმატება – მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისა თვის მებრძოლი კუთვნილია“ (1, ტ.9, გვ.114).

2. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია.

ილია ჭავჭავაძე, მრავალ წერილსა თუ ნარკვევში განიხილავს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ მის დროს საქართველოს ისტორიის განხილვა და შესწავლა ახალი დაწყებული იყო.

ი. ჯავახიშვილი წერდა:

„როდესაც რომელიმე ერის ისტორია შესწავლილი არ არის, ისტორიის მაგიერ ხშირად, ერთი მხრით, უგეგმოთ წარმოებული კვლევა-ძიებაა ხოლმე გაბატონებული, მეორე მხრით კი მიმბაძველობასა და რწმენაზე დამყარებული სქემატიზმი იპყრობს ხოლმე ასპარეზს. პირველი დამაღონებელია თვისი უსისტემობითაც და თანაც არც გულსა და გონებას არას ეუბნება. მეორემ კი, თუმც შესაძლებელია გამოუცდელი მკითხველი თავისი აღნაგობითა და გარკვეულობით უფრო მოხიბლოს, მაგრამ მავნებელია იმდენად, რამდენადაც, წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სურათის მაგიერ, რეალურ შინაარსს მოკლებული სქემა არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე იყო საქართველოშიც, ჩვენში წარსული საუკუნის 90-იან წლების დამლევამდე და შემდეგაც არსებითად უგეგმო, შემთხვევითი ხასიათის, ისტორიოგრაფია ბატონობდა, რომელიც, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს ვერც მოეწონებოდა და ვერც დააკმაყოფილებდა“ (3, გვ.75).

„ვინც ილ. ჭავჭავაძის ამ დარგის საკმაოდ მრავალრიცხოვან წერილებს გულდასმით გადაიკითხავს, მას საშუალება ექმნება, როგორც მისი კონცეფცია გამოარკვიოს ისტორიის ზოგად საკითხებზე, ისევე ისიც გაითვალისწინოს, თუ რა წვლილი აქვს ილ. ჭავჭავაძეს საქ. ისტორიის შესწავლაშიც შეტანილი“ (3, გვ.77).

საქართველოს ისტორიის განხილვისას, ილიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ ჩვენს ისტორიაში, მოვლენები ასახული იყო ზოგადად, და არ იყო ასახული ძირითადი არსი. წერილში, „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“, იგი ასე ახასიათებს საქართველოს ისტორიას:

„ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და, თუ არის კანტი-კუნტად სადმე, ისიც მეტად საეჭვოა. ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზედ, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავისთავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში.

ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ

არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქო ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია. თითონ მეფეთა მოქმედებაც ნაჩვენებია საგარეო საქმეთა შესახებ და არა შესახებ შიდა-საქმეთა.

ამის გამო არც ერთი უეჭველი საბუთი არ უდევს სარჩულად არც ერთს ისტორიულს ფაქტს ჩვენი ხალხის ცხოვრებისას“ (1, ტ.4, გვ.175).

საქართველოს ისტორიის შესწავლა, ილია ჭავჭავაძის დროს იდგამდა ფეხს. მაშინ ხდებოდა ისტორიის კვლევის წესების ჩამოყალიბება და სწორედ ილიამ დაიწყო, ისტორიის მეთოდების შესწავლის საქმეში საკითხების დაყენება. მანამდე ჩვენი ისტორიის შესწავლა ხდებოდა კანტი-კუნტად, ყოველგვარი წესისა და გეგმაზომიერების გარეშე. მან პირველად მიაქცია ყურადღება საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ მოვლენას – ეკონომიურ საკითხს, რომლის გამოკვლევას იგი ფრთხილად ეკიდებოდა.

ქართველი ხალხის ისტორიის განხილვისას, ილიას წინაშე წამოიჭრა საკითხი, თუ რამ გააძლებინა ქართველებს, ყოველ მხრივ მტრებით გარს შემორტყმულს, როგორ მოახერხა თავის დაღწევა და მოაღწია დღემდე. რა იყო ამის მიზეზი, რა ასულდგმულებდა და საიდან გამოინახა ის ძალა, რომელიც მტერს წინ აღუდგა, ამოდენა ჭირ-ვარამს გადაურჩა და სხვა ერსავით არ განადგურდა? ილიას აზრით, ეს შეძლო ქართველმა ხალხმა, იმის გამო, რომ:

„არის ერთი იმისთანა ისტორიული მოვლენა, რომელსაც ვერავის უარს ვერა ჰყოფს და რომელიც დღესაც უკვირს ყველას, ვისაც კი ამ მოვლენისათვის თვალი დაუკვირვებია.

უეჭველია, რომ ჩვენს ხალხს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია თავისის ცხოვრებითა და თვითმოქმედებითა. უეჭველია, რომ ამ ორი ათას წელს იმისთანა ხანა ისტორიისა არ დასდგომია, რომ მტრისაგან მოსვენებული ყოფილიყოს ზედ-მიყოლებით და განუწყვეტლივ ასი წელიწადი მაინც ერთად.

საქართველო დღე-და-ღამ იარაღით ხელში იდგა, მტერი ყოველ მხრიდამ მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა, და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი

თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?

ყოველს ამ საგანზედ უეჭველი და გულდადებითი პასუხი მეტად ძნელია. ამ შემთხვევაში ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხელს ვერაფრით შეგვიწყობს. ერთს იმისთანას არას გვანიშნებს, რომ საბუთად ვიხმაროთ უეჭველის დასკვნისათვის. მხოლოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი ეკონომიური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდამ ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომელთაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში. აი, საგანი ღირს შესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ეს საგანი რომ თვალ-წინ ჰქონდეს ჩვენს ეხლანდელს მეისტორიეს, ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმე, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა. ჩვენგან დიდი კადნიერება იქნებოდა, რომ ამ მძიმე საქმის გამოკვლევას შევსდგომოდით გაზეთის მოკლე წერილშია. სწორედ მოგახსენოთ, ამისათვის არც მომზადება გვაქვს და არც საჭირო წყარო“ (1, ტ.4, გვ.175).

მაგრამ, აქ ისმის კიდევ ერთი კითხვა, სხვა ერსაც, სხვა ქვეყნებსაც ხომ ჰქონდათ თავისი ეკონომიკა, სხვებიც ხომ ეკონომიკას ეყრდნობოდნენ? რა განსხვავება იყო ჩვენსა და მათ ეკონომიკას შორის?

ილიას აზრით, მართალია ჩვენი ეკონომიური წყობა, იყო როგორც სხვაგან: სასოფლო და საკომლო, მაგრამ მთავარი განსხვავება იყო ის, რომ ჩვენი ეკონომიური წყობა, ისე იყო მოწყობილი, „რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს – აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო“ (1, ტ.4, გვ.177).

ჩვენთან, ისე როგორც სხვაგან, ორი ეკონომიური წყობა იყო: სასოფლო და საკომლო. ილია შემდეგნაირად ახასიათებს ამ წყობებს; სასოფლო „მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე, – საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის –

მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა“ (1, ტ.4, გვ.177).

ილია განაგრძობს და ყურადღებას ამახვილებს, შემდეგ გარემოებაზე, რომ ჩვენი მეფეები და ხალხი, როგორც ეტყობა, „სამსოფლოს“ უჭერდა მხარს და „ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას.“ საკომლო სხვადასხვა იყო და დამოკიდებული იყო მიწის ნაყოფიერებაზე. ამიტომაც სხვადასხვა სოფელსა და სხვადასხვა ადგილას განსხვავდებოდა დაწესებული მიწის ზომები და ამ დაწესებულ მიწის ზომაზე მეტს კომლი მიწის ნაკვეთს ვერ დაიჭერდა.

„ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სასოფლო“ (1, ტ.4, გვ.177).

ილიას გადმოცემით, ჩვენის ქვეყნის დაქვეითება დაიწყო მას შემდეგ, როდესაც სწორედ ამ ეკონომიურ წესწყობილებას ყურადღება არ მიაქციეს და უგულველყოფეს. მისი თქმით:

„ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძლოლია მტერს ასე თუ ისე“ (1, ტ.4, გვ.177).

„ბოლოს-და-ბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც... არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსასი დღის სამსოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სოფელი, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან და საით წავიდნენ“ (1, ტ.4, გვ.178).

ილია ჭავჭავაძე მოუწოდებს ყველას, რომ შეისწავლოს თავისი ერის ისტორია, გაიგოს რა იყო უვარგისი და რა იყო კარგი, რა იყო ჩვენი ცხოვრების სიმაგრე და რა იყო ჩვენში სუსტი მხარე.

წერილში, „ერი და ისტორია“, იგი ჩვენი ქვეყნის წარსულსა და გამძლეობის შესახებ, წერს:

„ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც სა-

ქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უუარგისი და ფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“ (1, ტ.4, გვ.202).

ისტორია ჩვენ გვაუწყებს და გვაგებინებს ჩვენი ერის სისუსტესა და სიძლიერეს. ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის არ ცოდნა, ან მისი დავიწყება, ყოვლად შეუძლებელია. სწორედ ამას გვიქადაგებს და გვარიგებს ილია:

„რომელია სიმაგრე ჩვენის ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე მარტო ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვივიწყნია ჩვენის ცხოვრების სათავეც, ჩვენის ცხოვრების ფესვი, ჩვენის ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი?“ (1, ტ.4, გვ.202).

ისტორიის დავიწყება და არ ცოდნა იწვევს ერის გულ-გატეხილობას და საბოლოოდ ერის „სრულად განადგურებას.“ ილია აღნიშნავს და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „ისტორია იგი დიდებული ტაძარია“, ისტორიის ცოდნა საჭიროა, მით უმეტეს ჩვენთვის, რადგან ჩვენი ისტორია, საუკუნეების განმავლობაში იყო თავდაცვისა და ერის გადარჩენისათვის ბრძოლის ისტორია და თუ მცირედი შესვენება გვქონდა, როგორც მაგალითად: დავით IV აღმაშენებლისა და თამარ მეფეთა-მეფის დროს, ვეწეოდით განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერ ცხოვრების დარგების სხვადასხვა აღმშენებლობას.

წერილში, „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, ილია წერს:

„ოც საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში, ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო. თუ შიგა-და შიგ, ჭრელად, რამდენიმე წელიწადი მოსვენება შეხვედრია, მაშინვე ის მოსვენების დრო შეუწირავს სწავლისა და განათლებისათვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მეფობა ამ შემთხვევაში მეტად სანუგეშო მაგალითებს წარმოადგენს“ (1, ტ.4, გვ.321).

წერილში, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“, რომელიც დაწერილი აქვს მისთვის ჩვეული ლიტერატურული ხერხებით, ბრწინვალე, მშვენიერი და რაც მთავარია წმინდა ქართული ენით, მოკლედ და სხარტად გადმოგვცემს საქართველოს ბუნების სილამაზეს, მის ისტორიას, მის წარსულსა და დღევანდე-

ლობას. იგი წერს, რომ საქართველო ბუნებრივი პირობებით ყოველმხრივ არის უზრუნველყოფილი და შემკული. ეს „მშვენიერი ქვეყანა“, სადაც:

„რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ“ (1, ტ.5, გვ.11). ამ ბუნების მიერ მოცემულ სილამაზეს, ამ ბუნებრივ პირობებსა და სიმდიდრეს ესაჭიროება მოვლა-პატრონობა, გარჯა, შრომა და „ნაშრომის გაფრთხილება“. ჩვენ, ამდენ ომებს, ამდენ გაჭირვებას გაუძელით და დღემდე შევინახეთ ჩვენი მამული და ჩვენი მიწა-წყალი შევინარჩუნეთ. ილია განაგრძობს:

„რა არ გადაგვხდომია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი.“ ვინ არ გამოილაშქრა ჩვენზე, შუააზიელი, მხედართმთავარი თემურლენგი (1333–1405), ირანის შაჰები: აბას I (შაჰ-აბას დიდი) (1571–1629) და აბას II (1633–1666); და ბოლოს აღა-მაჰმად-ხანი (აღა-მოჰამედ-ხანი) (1742–1797), რომლებმაც, „ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანავეს“, „ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი“, „პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ“ (1, ტ.5, გვ.11). და ილია სვამს კითხვას:

„ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ (1, ტ.5, გვ.11).

ჩვენ, ჩვენი სარწმუნეობისათვის „ჯვარს ვეცვით“, „თავი გავიწირეთ“ და „ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით... ცოდვა არ არის, ეს ერნი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრნას როგორც

მძოვრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის?“ (1, ტ.5, გვ.12). – კითხულობს ავტორი.

ამავე საკითხს ეხება ილია წერილში, „ასის წლის წინათ“, სადაც ისევ განიხილავს საქართველოს მდგომარეობას განვლილი დროის განმავლობაში.

„წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგ-მოანგრიეს, ჩა-მოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეინარჩუნა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა“ (1, ტ.4, გვ.209).

ყველაფერს ამ უბედურებას გაუძელით, ყველაფერი გადავიტანეთ და იგი სვამს კითხვას: „რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა?“ და თვითონვე სცემს პა-სუხს. მისი აზრით:

„მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. – ეს იყო წინათ. ხოლო დღევანდელ დღეს, დღეს რა ხდება? – და გულდაწყვეტილი მწერალი განაგ-რძობს,– წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟ-კაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომე-ლიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?“ (1, ტ.5, გვ.12). – კითხულობს ილია და განაგრძობს, – ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა...

ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე...

არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით!... არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის“ (1, ტ.5, გვ.13).

მეორე წერილშიც, „შინაური მიმოხილვა“ XXI, რომელიც დაწერა 1883 წელს, ილია განიხილავს მის დროინდელ ყოფასა და ვითარებას. იგი თვლის, რომ საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი წარმოადგენდა – გულგრილობა და უდარდელობა; და ეს ნაკლი, „ეს საუბედურო თვისება?“ არის ის, „რასაც „ჩემობის ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“. ილია წერს:

„ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავა-ფრთხობდით. და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღველობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს „მეს“ უკან დააყენებდა“ (1, ტ.5, გვ.243).

ეს გულგრილობა, ეს სენი, ილიას აზრით გამოიხატებოდა ჩვენს დღევანდელ ყოფიერებაში იმით, რომ თვითეულმა დაიწყო ფიქრი: „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.“ იქვე.

აი, ასე მკაცრად და შეუბრალებლად გაკიცხა ილიამ მისი დროინდელი საზოგადოება. მაგრამ, მან კარგად იცოდა, „რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი“ (1, ტ.8, გვ.102).

ამავე დროს, ილია ყოველთვის სიხარულით აღნიშნავდა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სასიკეთო ძვრები ხდებოდა, როდესაც გარჯით, შრომით, ჭკუით და გონებით ხდებოდა ჩვენი ქვეყნის გაძლიერება და თანდათან ფეხზე დადგომა. იგი აღნიშნავდა, რომ ჩვენი ერი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, „რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ,

თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში – არსებობისათვის და საპატიო ადგილის დაჭერისათვის“ (1, ტ.5, გვ.336).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საქართველოში XIX საუკუნეში, თანდათან დაიწყო კაპიტალიზმის შემოჭრა და დაიწყო ჩვენში წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. სასაქონლო-ფულად ურთიერთობა და ბაზრის გაფართოება დიდ გავლენას ახდენდა საქართველოს მოსახლეობის ეკონომიურ ცხოვრებაზე და ჩვენი ქვეყნის ისტორიაზეც.

ი. ჭავჭავაძე არაერთ წერილში აღნიშნავდა ამ ცვლილებას, სოციალურ-ეკონომიურსა და კულტურულ-ეთნოგრაფიულ წინსვლას. იგი წერდა:

„მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და-მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისე ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი უღლადი, ყოვლთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“ (1, ტ.5, გვ.337).

ილია გახარებით ხვდებოდა ჩვენს ქვეყანაში, ქართული კულტურის განახლებას და აღორძინებას. მატერიალური ცხოვრების განვითარებამ, თანდათან, საშუალება მისცა ჩვენს ხალხს, რომ ეროვნული კულტურა განვითარებულიყო. მის დროს, ხდებოდა ახალი ქართული კულტურის ჩამოყალიბება. ვითარდებოდა ახალი ქართული ლიტერატურა, არსდებოდა ჟურნალ-გაზეთები, იზრდებოდა ქართული წიგნის გამოცემაც, იქმნებოდა სკოლები, სხვადასხვა სასწავლებლები და თეატრები, ყალიბდებოდა და საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე დარგებს: პროფესიულ მუსიკას, ხუროთმოძღვრებას და სახვით ხელოვნებას, დაიწყო აღორძინება მეცნიერებამაც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს დაიწყო ქართველი ხალხის კულტურულ ურთიერთობათა დაახლოება და გაფართოება, როგორც მეზობელ, ასევე შორეულ ხალხებთან.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, სიონის ეკლესიაში საისტორიო მუზეუმის გახსნას. იგი მოუწოდებს ყველას, რომ მადლობა გადაუხადოს იმას, „ვინც ეს ფრიად სასარგებლო საქმე ითავეს და შესრულებამდე მიიყვანეს“ (1, ტ.4, გვ.205). ილია კმაყოფილებას გამოხატავს იმ ჩვენი ქვეყნისათვის სასიკეთო საქმის გამო, რომ ამ შენობაში შეიკრიბება ყველა ის გურჯები, სიგელები და ნაწერები,

რომლებიც აქა-იქ ჩვენს ეკლესიებსა, ტაძრებსა და მონასტრებში ეყარა და ფუჭდებოდა. ის განძი, რომელიც იკარგებოდა და გამოუქვეყნებელი იყო. იგი წერს, რომ ამიერიდან, ყველა ჩვენი ქვეყნის ისტორიის „მაძიებელთ და მკვლევართ“, საშუალება ექნებათ აქ, ადგილზევე გაეცნოს და შეისწავლოს მისთვის საინტერესო საკითხი. იგი საერთოდ დიდ ყურადღებას აქცევდა ძველ ქართულ ხელნაწერებს, სიგელ-გუჯრებს და ისტორიულ მნიშვნელობის ყველა განძებს. მოუწოდებდა ყველას, რომ შეეკრიბათ და აღწერა ჩაეტარებიათ და ამავე დროს მოითხოვდა, რომ ეს ყველაფერი გამოექვეყნებინად.

წერილში, „საქართველოს ძველი ისტორიისა და მწერლობის განძი“, ილია აღნიშნავს:

„ვინ არ იცის, რომ ჩვენს მონასტრებსა და ძველის-ძველს ეკლესიებში მრავალი საისტორიო განძი მოინახება, რომ გული გულობდეს. ჩვენი ისტორია, ჯერ კრიტიკის ცეცხლში არ გატარებული და არ-გადახალისებული, ბევრს საბუთს და მოწმობას მოიპოვებდა, მრავლის ბნელის ადგილების შუქმოსაფენად, რომ ცნობილი და გამოქვეყნებული იყოს ყოველი იგი ნაშთი ჩვენის განვლილი ცხოვრებისა, რომელიც დღეს კიდევ ზედ აჩნევია ჩვენთა მამა-პაპათა ხელთნაქმართა და ჭკუით ნამოქმედართა“ (1, ტ.4, გვ.189). და ეს ყველასაგან მივიწყებული, „თვალთაგან დაფარული“, ეკლესიებსა და მონასტრებში მყოფი განძისათვის, საჭირო იყო, რომ ვინმეს ხელი მოეკიდა, აღენუსხა და გამოექვეყნებინა. იქვე აღნიშნავს, რომ არანაკლებ საქებნი და სადიდებელნი იქნებიან ერის-კაცნიც, რომელნიც არ დაიზარებენ და გამოაქვეყნებენ, სად და ვისთან ეგულებათ ქართული ხელნაწერი წიგნები, გუჯრები, სიგელები და თუ ხელი მიუწვდებათ, ყოველ ამის სიას შეადგენენ და გადასცემენ რომელსამე გაზეთს დასაბეჭდათო და იქვე შენიშნავს, რომ:

„ნუ ვინ იფიქრებს, რომ ეს ამისთანა შრომა დიდის მადლობის ღირსი არ იყოს და დიდად საქებურიც მისთვის, ვინც თავის სასახელოდ ამას იკისრებს და გულმოდგინებით შეასრულებს. დაგვიჯერეთ, ეგ დიდი საქმეა და დიდი სამსახურია ჩვენის ქვეყნის წინაშე“ (1, ტ.4, გვ.190).

მეორე წერილში, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, ილია ჭავჭავაძე ხალხს სთხოვს, რომ შეკრიბოს და გამოაქვეყნოს არა მარტო ხალხური პოეზია, არამედ სხვა „საგნები“, რომლებიც წარმოადგენენ „ხალხურ საუნჯეს“.

„ამ გვარია, მაგალითებთ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას.

ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს“ (1, ტ.4, გვ.191).

ილიას, შესანიშნავად აქვს გადმოცემული და აღწერილი ხალხის ცხოვრების შესწავლის აუცილებლობა. მისი აზრით, „ყველა შეგნებულმა ქართველმა“, უნდა იცოდეს, თუ „რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ“ და ამის შესწავლის შემდეგ ჩვენს საზოგადოებას ეცოდინება ხალხის „ავი და კარგი“, ხალხის დამოკიდებულება სამართალზე და საერთოდ ურთიერთ დამოკიდებულებაზედ.

„სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ,– რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ (1, ტ.4, გვ.192).

ილია მოუწოდებდა ხალხს, რომ დროზედ მიექციათ ამისთვის ყურადღება და დროზედ დაეწყოთ ამ საკითხების შესწავლა.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ 1889 წელს, გაზეთ „ივერიაში“, დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მეცნიერულ-პუბლიცისტური ვრცელი ნარკვევი „აი იატორია“, სადაც იგი პასუხს აძლევდა ი. ჯაბადარს, რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ წერილში, არა სწორად აშუქებდა საქართველოს ისტორიას და მკითხველს ყალბ ცნობებს აწვდიდა.

ი. ჯავახიშვილი ი. ჯაბადარის ამ წერილის გამო წერდა:

„ივ. ჯაბადარის წერილების უყურადღებოდ და განუხილავად დატოვება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ქართულ ისტორიკოსთა მოვალეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ისინი სდუმდნენ, ვითარცა ქართ. საზოგადოებრივი აზრის მესაჭეს, ისტორიკოსის მოვალეობის ასრულებაც უნებლიედ ასევე ილ. ჭავჭავაძეს მოუხდა. მან ივ. ჯაბადარის ნაშრომი ვრცლად განიხილა თავის წერილებში, რომელთაც სათაურად „აი ისტორია“ უწოდა. ფრიად საგულისხმოა როგორ მოეპყრო იგი ამ საქმეს და რა გააკეთა მან ამ დარგში.

რაკი ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადღება არ მიექცია, და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა“ (3, გვ.76).

ილია განიხილავს ჯაბადარის მიერ ყველა წამოჭრილ საკითხს და დასაბუთებულ პასუხს აძლევს.

წერილის დასაწყისშივე ი. ჯაბადარი მკითხველს მოახსენებს, რომ ეს ნაშრომი მან იმისთვის დაწერა, რომ რუსეთის ინტელიგენციას გააცნოს საქართველოს ისტორია, ლიტერატურა და ეხლანდელი ყოფა-ცხოვრება. იმ ერისა, რომელიც „ამიერ-კავკასიის ტომებზე უმრავლესია და უფრო განვითარებულია მოქალაქობრივად და რომლის ჩამომდინარობა და ენა დღესაც უცნაურ საგნად მიაჩნიათ უუმეცნიერეს ანტროპოლოგებსა და ლინგვისტებსაო“ (1, ტ.4, გვ.17).

ავტორი ეყრდნობა ერთ დროს გავრცელებულ აზრს, რომ ყოველ ერს გააჩნია ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და ბოლოს სიბერე, „რომელსაც სიკვდილი მოსდევს.“ ავტორი იკვლევს, სინამდვილეში ქართველი ერი დაბერდა, ძალ-ღონე გამოელია, თუ აქამომდე არ დაუწყია თავისი გაძლიერებული ცხოვრება და შეინარჩუნა ძალები მომავალი ცხოვრებისათვის.

ილიამ, ეს მცდარი შეხედულება, სასაცილოდ აიგდო და სვამს კითხვას, „რა აზრი აქვს ერის სიბერეს? რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის ეთიოპელისა... ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად?“ ის ერნი, რომლებიც დღეს აღარ არიან, მეცნიერები ხომ სიბერეს არ აბრალიან, არამედ „შინაურ საქმეთა მოუწყობლობას, ურიგობას და გარეშე მიზეზებს“ (1, ტ.4, გვ.19).

ილია აცხადებს, რომ მას ვერც წარმოუდგენია „სიბერე ერისა“ და წერს:

„სიბერე ერისა არამც თუ ბუნებური მოვლენაა, არამც თუ არსებობს, წარმოდგენითაც-კი ყოვლად შეუძლებელია. ამაზედ სიტყვის გაგრძელება მეტი იქნება.“ ცოტა ქვევით, განაგრძობს:

„სიბერე ერისა“, ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის. თუ ესეა, რის მაქნისია კაცმა ეგ უქმი, არაფრის მომასწავებელი, სრულებითაც არ-არსებული საგანი იძიოს, ან მსოფლიო ისტორიაში

საზოგადოდ ან საქართველოში ცალკე. რაც არ არის და არც ოდესმე იქნება, იმისი ძებნა ტყუილი მოცდენაა, წყლის ნაყვაა“ (1, ტ.4, გვ.20).

ი. ჯაბადარის გამოთქმაზე, რომ ქართველ ერს ჯერ არ დაუწყიაო სრული ინტენსიური ცხოვრებაო, ამ უპასუხისმგებლო და მცდარ აზრს ილიამ დამცინავი, გამანადგურებული პასუხი გასცა, რომელმაც გამოამჟღავნა ამ იდეის სრული უსუსურობა. იგი განმარტავს „ინტენსიური ცხოვრების“ მიზნებს და ერის მისკენ მისწრაფებას.

„ინტენსიური ცხოვრება“ ერთსა და იმავე დროს სათავეც არის და შედეგიც კულტურისა, რომელიც ათასის წლობით შენებულა, აგებულა, მართალია კაცობრიობის დაულალავ და დაუძინებელ ჯაფით, გარჯითა და მხნეობით, მაგრამ იმისთვის კი არა, რომ ღონისაგან დაიცალოს, არამედ იმისთვის, რომ უფრო გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოფოლადდეს, გამოჯიქდეს არსებობისათვის საჭიდაოდ. ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია, ქვაკუთხედია. იგია თითონ დაუშრობელი სათავე ღონისა, იგი ღონის-ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის, – იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში. თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისაგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიდოს კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის“ (1, ტ.4, გვ.22).

შემდეგ, განაგრძობს ილია, ი. ჯაბადარის მიერ გამოთქმულ მოსაზრებების კრიტიკას:

„აბა, ერთი გვითხარით, ეს «сберег свои силы для будущего» რა ჭკუაში მოსასვლელი საკითხია? ყველა-ყველა და ამისთანა საკითხს-კი არ მოველოდით არავისგან. ვინც ამისთანა საკითხს იძლევა და ამრიგად, იმას ორი რამ უნდა რწმენად მოღებული ჰქონდეს, ერთი მეორეზედ უფრო საოცარი, უფრო საკვირველი, რომ სხვა არა ვსთქვათ რა; ერთი ისა, რომ „სრული ინტენსიური ცხოვრება“ ღონისაგან სცლის ერსა, ესე იგი ასუსტებს, აუძლურებს, და მეორე – არა-ინტენსიური ცხოვრება-კი ანახვინებს ღონეს მერმისისათვის. დააკვირდით ზემო მოყვანილს სიტყვებს ავტორისას და დაინახავთ, რომ, თუ ამ სიტყვებში რაიმე ლოღიკაა, მისი საკითხი სწორედ ამ ორგვარ რწმენისაგან მომდინარეობს. სხვა სათავე არა აქვს მის საკითხსა. გაგონილა ეს სადმე და ვისგანმე? მაშ რაღაზედ იხოცვენ თავს ევროპიელნი „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის“, თუ იგი ღონეს არა ჰმატებს და ღონისაგან სცლის! სულელები!.. მოსულიყვნენ და ჩვენგან ჭკუა ესწავლათ!.. ის არა სჯობია – ჩვენ, ქართველებს, მოგვბაძონ,

ინტენსიურ ცხოვრებას ჩვენსავით თავი არიდონ და ამით ღონე შეინახონ მერმისისათვის. აი, ესეც თქვენი ახალი ამბავი! მოდით და ამას იქით ინატრეთ „სრული ინტენსიური“ ცხოვრება!..“ (1, ტ.4, გვ.21).

როგორც ყოველთვის, ილიას შეფარული დაცინვა, გაქირდვა, ი. ჯაბადარის დებულებების გამო მკაცრია და შეუბრალებელი.

„ღონე შეინახება მერმისისათვისო, გვანუგეშებს ავტორი. კაი ნუგეშია, კაცმა პური აღარა სჭამოს, რომ კბილები არ გაუცვდეს და მერმისისათვის შეინახოს. რა ოხრობისათვის-ღაა საჭირო. რიღას მაქნისია ის შენახული ღონე, თუ არ იმავ ინტენსიური ცხოვრებისათვის. თუ ესეა, ან ინტენსიური ცხოვრება რის მაქნისია, თუ ღონისაგან სცლის ერსა, ასუსტებს, აუძლურებს! ეს რა ბაბილონის გოდოლია, არ გვესმის, და იქნება ავტორმა შემდეგს წერილებში აგვიხსნას“ (1, ტ.4, გვ.22).

ილია ჭავჭავაძე,ავტორის შესახებ წერს,რომ რუსულ ციტატაში გამოთქმული აზრები, „აშკარად გვეუბნება, რა განძის პატრონი ყოფილა ჩვენი ავტორი“ (1, ტ.4, გვ.23) და ამავე დროს მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, თვლის სლავოფილების მოძღვრების ასახვად.

როგორც ისტორიიდან ცნობილია, XIX საუკუნის 30-იან წლებში, წარმოიშვა სლავოფილების ფილოსოფიური მოძღვრება და განვითარება ჰპოვა 40–50-იან წლებში. ეს იყო, რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი მიმართულება, კონსერვატიული და იდეალისტური ფილოსოფიური მიმდინარეობა. სლავოფილები ამტკიცებდნენ რუსული ისტორიის თვით განვითარებას. უარყოფდნენ ყოველგვარ დასავლეთ ევროპულს. ისინი მიიჩნევდნენ რუსი ერის საწყისს, ჩამოყალიბების,ძირითად ცნებად, თემურ წყობას და მართლმადიდებლობას. მათი სრულყოფის განსახიერება იყო თემური ყოფა. ისინი თვლიდნენ, რომ მეცნიერება ეკლესიას უნდა დამორჩილებულიყო. შემდეგში, სლავოფილების წარმომადგენლებს შორის მოხდა განხეთქილება და მალე დაიშალა.

ილია ჯაბადარის მიერ გამოთქმულ აზრების შესახებ წერს:

„ესეც გამოვიდა სლავიანოფილების მოძღვრება, მერე მარტო იგი ნაწილი ამ მოძღვრებისა, რომელიც დიდისა და პატარისაგან სასაცილოდ აგდებულია“ (1, ტ.4, გვ.23).

„აი ისტორიის“ მეორე წერილში,ილია განიხილავს ი. ჯაბადარის მიერ წამოყენებულ საკითხებს: „შედარებითი მეთოდისა“ და ენის შესახებ. ამ საკითხებს, ჩვენ ზევით შევეხეთ. აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ილიას აზრით, „შედარებითი მეთოდის“ არსი თვითონ ი. ჯაბადარსაც არ ესმის, და ამბობს, რომ შედარებითი

მეთოდი და ფილოლოგია დიდ დახმარებას უწევს ისტორიული მოვლენების კვლევა-ძიებას. ენის გამოკვლევამ ზოგიერთი ისტორიული მოვლენები ახსნა და გასაგები გახადა.

ილია, შედარებითი მეთოდის გამოყენებით ცდილობს სხვადასხვა ერის ჩვეულებები ერთმანეთს დაუკავშიროს და გამოაქვს დასკვნა, რომ ჩვეულებების შედარება:

„იმას გვაუწყებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ერთისა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირს შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება... ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან“ (1, ტ.4, გვ.35).

ი. ჯაბადარის თავხედობა იქამდე მიდის, რომ აცხადებს, თითქოს ქართველებს ისტორიული არავითარი საბუთი და წყარო არ გააჩნიათ და რაც არის ისიც მასალათ არ ვარგაო. „აქვთ ერთი რაღაც მატიანე, „ქართლის ცხოვრება“, და თითქოს, იმასაც „პირველყოფილი სახე არ შერჩენია“-ო, რადგანაც მე-XVIII საუკუნეში, ქართლის მეფემ, ვ ა ხ ტ ა ნ გ VI (1675–1737), „რაღაც კომისიას“ გადააკეთებინაო სპარსული და სომხური წყაროებიო, და არაფერს გვეუბნება ქართველი ერის შესახებო.

ჩვენი მატიანეს ასე უდიერად და ცილისწამების გამო, ილია აღნიშნავს:

„ამ სახით, ავტორი გვარწმუნებს, რომ თითქმის არავითარი მასალა და წყარო არა ჰქონია არც ევროპიული, არც რუსული და არც ქართული, მაშ საიდამ-ღა შეგვიდგინა თავისი მითამ-და ისტორია? ისტორია ხომ ალალ-ბედად მოსაგონი და მოსაქსოვი არ არისო,— ამბობს თვითონვე ავტორი, და ჩვენ იმას ვაძლევთ მკითხველს, რაც მიგვიღიაო. თუ ამ შემთხვევაში ამნაირი თავის გამართლება ჭკუაში მოსასვლელია, დღეს-აქამომდე არ ვიცოდით... ჩვენ კი ასე გვგონია, რომ, თუ ჩვენის ისტორიის დასაწერად არაფერი არ მიულია, რადგანაც ამისათვის თითქმის არც მასალა ჰქონია, არც წყარო, არც უნდა ხელი მიეყო ისტორიის წერისათვის; ლოღიკა საქმისა ამას ითხოვს, რადგანაც „არარაისაგან არ იქმნება არარაიცა“, შექსპირისა არ იყოს ნეტა ძალას ვინ ატანდა, მაგრამ არა: საღერღელი წერისა აშლია და თითქო ამით ჰმართლულობს თავს, რომ არა მიმიღია-რა და არას გაძლევთო. მერე მკითხველისა რა ბრალია, რომ ავტორს არა მიეღოს-რა, არც ამ მთისა, არც იმ მთისა“ (1, ტ.4, გვ.38).

ი. ჯაბადარი, ერთგვარ წუხილს გამოთქვამს იმის თაობაზედ, რომ ქართველებს თითქოს, საისტორიო წყაროები სიღარიბეს განიცდისო, და რომ „მეცამეტე

საუკუნეზედ ადრე ქართველებს მატიანე არა ჰქონიათო“ (1, ტ.4, გვ.39) და ამ სიღარიბის-და მიუხედავად, „შესწავლა საქართველოს ერის ეხლანდელ ცხოვრების ფორმებისა დიდს სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიასაო, რადგანაც, არა მგონია სხვა იმისთანა ერი, რომლის წარსული ჯერ კიდევაც ისე ცოცხლად იყოს აწმყოში, როგორც ქართველებსა აქვთო“ (1, ტ.4, გვ.40).

ილია გაკვირვებული კითხულობს, თუ კი ასეთი „ცოცხალი მასალა და წყარო თვალ-წინა სდებია“, რაღას სჩივის უმასალობას? „სხვა რაღა მასალა უნდა ამაზედ მდიდარი, როცა წარსული ცოცხალია აწმყოში, როცა, მაშასადამე, ცოცხალი მთხრობელი და მოწამე გვყავს? აქ რაღაც უთავბოლო ლაპარაკია ავტორისა, თორემ ჯერ იმის თქმა რა არის, არა ვიპოვე რაო, და მერე იმისა, რომ საქართველოს ერის აწმყოში წარსული ისე ცოცხლად არისო, როგორც, მგონია, არსადაო“ (1, ტ.4, გვ.40).

ჯაბადარის თქმით, ქართველთა ტომები: თორგომი, თუბალები და მოსოხები, პირველად მოხსენებული ყოფილა, იუდაისტურ და ქრისტიანული რელიგიების „საღვთო“ წიგნების კრებულ „ბიბლია“-ში, ძველი ებრაელთა სჯულმდებელი და წინასწარმეტყველი, ებრაელთა გამანთავისუფლებელისა და ბელადის მოსეს (ძვ. ებრ. მოშე; ბერძნ. Mosë) (ძვ. წ. XIII ს-ში?) მიერ, ხოლო, ამის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვით VII საუკუნემდე, ქართველთა ხსენება საისტორიო წყაროებში აღარ ყოფილაო.

ვინც საქართველოს ისტორიას ზოგადად მაინც იცნობდა, იგი ადვილად მიხვდებოდა, რომ ამის დამწერი საისტორიო საკითხებში, სრულ უცოდინარობას და უვიცობას ამჟღავნებდა. რადგან, იმ დროს, მართალია, ზოგიერთი ისტორიული საკითხები საქართველოს შესახებ ჯერ კიდევ დაზუსტებული, გარკვეული და გამოვლენილი არ იყო, მაგრამ საისტორიო ლიტერატურაში, მაინც საკმარისი მასალა მოიპოვებოდა.

ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, ი. ჯაბადარის ამ გამონათქვამს აკრიტიკებს და უამრავ მაგალითებს ასახელებს საისტორიო წუაროებიდან, საქართველოსა და ქართველთა ტომების ხსენების შესახებ. მას, თავის სიტყვებისა და აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს იმ დროინდელი ცნობილი მეცნიერების, ისტორიკოსების და ფილოსოფოსების გამონათქვამები. ისეთები, როგორიც იყვნენ:

ბარათაშვილი სულხანი (1821–1866) – ისტორიკოსი;

ბაქრაძე დიმიტრი (1826–1890) – ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი;

ოქრომჭედლიშვილი ილია (1838–1898) – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი;

ბაიერნი (ბაიერი) ფრიდრიხი (Bayern) (1817–1886) – არქეოლოგი და ნატურალისტი;

ბეკონი (Bacon) ფრანსისი (1561–1626) – ფილოსოფოსი;

დრეპერი (Draper) ჯონი (1811–1882) – ისტორიკოსი და ბუნების მკვლევარი;

ვებერი (Weber) მაქსი (1864–1920) – ისტორიკოსი. სოციოლოგი, ეკონომისტი და იურისტი;

კორში თევდორე (1843–1915) – ფილოლოგი;

ლებბოკი (Lubbock) ჯონი (1834–1913) – არქეოლოგი, ეთნოგრაფი და ზოოლოგი;

ლენორმანი (Lenormand) ფრანსუა (1837–1883) – აღმოსავლეთმცოდნე;

მილი (Mill) ჯონი (1806–1879) – პოზიტივისტი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი;

ოპპერტი (Oppert) ჟიული (იულიუსი) (1825–1905) – აღმოსავლეთმცოდნე;

რაულინსონი (როლინსონი) (Rawlinson) ჰენრი (1810–1895) – ორიენტალისტი;

სტრაბონი (Strabo'n) (ძვ. წ. 63–ახ. წ. 24) – ისტორიკოსი და გეოგრაფი;

ტეზენჰაუზენი ვლადიმერი (1825–1902) – არქეოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე და ნუმიზმატი;

ტეილორი (ტაილერი) (Tylor) ედვარდ (1832–1917) – ისტორიკოსი;

ფრიმანი (Freeman) ედუარდი (1823–1892) – ისტორიკოსი;

შლოსერი (Schlosser) ფრიდრიხი (1776–1861) – ისტორიკოსი;

შრადერი (Schrader) ებერხარდტი (1836–1906) – ისტორიკოსი და ენათმეცნიერი;

ხვოლსონი დანიელი (1819–1911) – აღმოსავლეთმცოდნე, სემიტოლოგი;

ჰინკსი (Hinks) ედუარდი (1792–1866) – აღმოსავლეთმცოდნე; და სხვები.

ჭავჭავაძე, წერს, რომ ი. ჯაბადარს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ისტორიული ამბები და დრო,,,დომხალივით აურევია“ და ,,თითონ კი ისიც ვერ გამოურკვევია, რაც სამეცნიერო კრიტიკას უკვე გამორკვეული აქვს“ (1, ტ.4, გვ.45).

ილია აღნიშნავს, რომ როდესაც იგი გაეცნო ი. ჯაბადარის მიერ დაწერილ ისტორიას და შეუდგა ,,ავტორის დაბნეულ აზრების ანუსხვას ხელი მივყავით. ასეთს სკუპ-სკუპებს, ასეთს უეცარს კამარებს, ასეთს ასკინკილად ხტომას განგებ ამისათვის დაწერილს წერილში თუ ჰნახავს კაცი. ჩვენს ისტორიას ნუღარ იკითხავთ: აქ კაცს დაუსჯელად შეუძლიან თავის ნებაზედ ნავარდი. ავტორს მსოფლიო ისტორიაც-კი თავდაყირა გადაუტრიალებია და იმისთანა ამბები გამოჰპარვია, რომ დღეს მეოთხე კლასის შეგირდისათვის შეუნდობელია“ (1, ტ.4, გვ.42).

ამის შემდეგ ილია იწყებს, ჯაბადარის მიერ დაწერილ ისტორიის დაწვრილებით განხილვას, და ცხადად ასაბუთებს მის მცდარ შეხედულებსა და შეცდომებს.

ქართველ ტომთა ხსენების შესახებ, ილია წერს, რომ ,,მარტო არგონავტების კოლხიდაში მოსვლა რომ ფიქრად მოსვლოდა ავტორს, ამას არ იტყოდა“, (1, ტ.4, გვ.46) რადგან, შლოსერის თქმით, არგონავტების მოსვლა კოლხიდაში, მომხდარა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1263 წელს. ,,მართალია, – განაგრძობს ავტორი იუმორით, – დიდი არაფერი ადგილი გვჭერია მსოფლიო ისტორიაში, მაგრამ იმოდენად-კი მაინცა ვართ ჩაგდებული მაჩანჩალად, რომ ისტორია გაუწყვეტლივ გვიხსენიებს.“ ამ ბოლო დროს, ,,ისტორიამ ბევრი რამ ახალი და უტყუარი საბუთები შეიძინა“ (1, ტ.4, გვ.47), რომლის თანახმად, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღევანდელ სომხეთის ადგილას, ,,არმენიაში“, ,,ესე იგი ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ“, ,,ქართველთა უძველესი დედა-ბინა“ ყოფილა, და ,,დამტკიცდა, რომ ძველად წოდებული ,,არმენია“, გეოგრაფიული სახელია და აქ უცხოვრიათ ქართულ ტომებს: ,,მანნა“, ,,მუსასირი“, ,,მილდისი“, ,,ურარტი“ ანუ ,,არარატი“ და ,,ნაირი“. ხოლო მათ შორის უდიდესი და უძლიერესი ყოფილა ,,ნაირი“.

ლენორმანის თქმით სომხები, ანუ ჰაოსიანნი, ,,ფრიგიელთა ნათესაობისა“ ყოფილან. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში, სპარსეთის მეფის კ ი რ ო ს ი ს (გ. ძვ. წ. 530 წ.) ,,დროს მოსწყვეტიან ფრიგიას“, გადმოსახლებულან ,,არმენიაში“ და ადგილის სახელი თავიანთ სახელად გაუხდიათ“. რასაც ადასტურებს ბერძენი ისტორიკოსი, ,,იტორიის მამად“ წოდებული, ჰ ე რ ო დ ო ტ ე (Herodotos) (დაახლ. ძვ. წ. 485 – დაახლ. ძვ. წ. 424) (1, ტ.4, გვ.47).

ილია წერს, რომ ქართველთა ტომები მოხსენებულნი არიან ძველისძველ ლურსმულ წარწერებში:

თუგლათ-პალასარი I (ტიგლათფილესერი I, ტიგლატ-პილასარი I). ასურეთის მეფე ძვ. წ (1114–1076) – ახსენებს „მუსკაებს“, („მუსკები“), ანუ მესხებს, („მოსხები“);

თუგლათ-პალასარი II (ტიგლათფილესერი III, ტიგლაატ-პალასარ III), ასურეთის მეფე (ძვ. წ. 745–727) – ახსენებს „თუბალებს“, („ტიბარები“, „ტიბარანები“, „ტაბალები“, „ტუბალი“, „თობალი“, „ურარტს“, „ზიქართის“, „მანას“ და სხვა);

ასურ-ნაზირ-აბალი (ასურნასირფალ II), (ასურეთის მეფე 885–860) – ილია წერს, რომ „ჩვენ გვიხსენებს... და აქედამ ჩვენი ხსენება არ შეწყვეტილა.“

სინაქერიბი (სინახერიბი, სინახერბა, ასურეთის მეფე ძვ. წ. 705–680) – ახსენებს „ქალდს“;

ასურ-ბან-აბალი (ასურბანიფალი, ასურბანიპალი, აშურბანიპალი, ასურეთის მეფე ძვ. წ. 669– დაახლ. ძვ. წ. 631-627); ურარტის მეფე – ახსენებს „სადურს“ და „ქალდს“.

ილია მოგვითხრობს, რომ „მეთორმეტე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნემდე, სახელდობრ, 625 წლამდე, „არმენია“ ასურეთის საომარი მოედანი ყოფილა. ამ დროთა მანძილზედ ასურთა მეფენი თითქმის განუწყვეტლივ გვიხსენიებენ ასე, რომ ლურსმულნი ნაწერნი ღონისძიებას გვაძლევენ თვით ჩვენთა თემთა მთავრების სახელებიც ჩამოვთვალოთ.“ ხოლო, „ამის შემდეგ ხომ მიდ-სპარსნი, ესე იგი ირანი გამოდის და ირანს კი ხომ ენაზედ აკერია ჩვენი ხსენება“ (1, ტ.4, გვ.48).

ილია ჭავჭავაძე, ურარტუს მეფეების შესახებ წერს, რომ ფ. ლენორმანის მიერ დასახელებულ მეფეთა „შორის დასახსომები არიან „არამ, ანუ არან და აზო“. დასახსომები არიან იმიტომ, რომ ჩვენს ახლად ნაპოვნ ქართულ მატიანესაც მეცხრე საუკუნისას დახსომებია ეს სახელები და თუმცა ქრონოლოგია მატიანესი ამ შემთხვევაში არ ეთანხმება ლურსმულ ნაწერისას, მაგრამ თვით მაგ სახელების შერჩენაცა და დახსომებაც ჩვენის მატიანესაგან უმნიშვნელო არ არის“ (1, ტ.4, გვ.48).

ილია ჭავჭავაძე, გამოთქვამს მოსაზრებას ასსურ-ბან-აბალის ლურსმულ წარწერაში მოხსენებულ „ქალდუ“-ს შესახებ:

„ვინ იცის – იქნება ჩვენი „ქართლიც“ გამოდგეს, თუმცა ამას ჩვენ მარტო ვვარაუდობთ და დიდის სიფრხილითაც ვახსენებთ, ისიც ჯერ იმიტომ, რომ სი-

ტყვამ მოიტანა, და მერე იმიტომ – რომ ეგ „ქალდუ“ არმენიაშივეა ნაჩვენები, ვითარცა ბინა ქართველთა ნათესავის ცალკე თემისა“ (1, ტ.4, გვ.49).

ი. ჯავახიშვილის თქმით:

„სიტყვები ნაირი, ბიაჲნა და ურარტუ მხოლოდ ქვეყნების საკუთარი სახელებია, თითონ ხალხი კი თავის თავს ქალდის ანუ ხალდის უძახდა. ჩვენ ვიცით, რომ ეს სახელი ქართველი ტომების საზოგადო სახელწოდება იყო (ქართუ-ელი, კარდუ-ხი); ამოტომ საფიქრებელი იყო, რომ ეს ქალდები ქართველების ღვიძლი ძმები ყოფილიყვნენ. მართლაც, თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერებს ურარტელები ან ქართველების წინაპრებად, ან მონათესავე ერად მიაჩნიათ“ (7, ტ.I, გვ.438).

ამავე დროს, „ქალდი“, იყო „უზენაესი ღვთაება ურარტუს პანთეონში. გამოსახავდნენ როგორც ლომზე ამხედრებულ მეომარს. ერებუნისა და მუსასირის ტაძრების გათხრებისას მრავლად აღმოჩნდა ქალდის გამოსახულებები“ (15, ტ.10, გვ.448).

ი. ჯაბადარის თქმით, ასურეთი არც პოლიტიკურად და არც გეოგრაფიულად არ ეხებოდა საქართველოსო და ერთ უცნაურ განცხადებას აკეთებს, რომ თითქოს მცხეთა დარიალის ხეობის შესავალში მდებარეობსო. ამის პასუხად ილია წერს, რომ ავტორმა დაიდოს ისტორიის ძველი რუკა და დაინახავს, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ასურეთია, სამხრეთ-აღმოსავლეთით მიდ-სპარსეთია, ხოლო „სატახტო ქალაქი ასურეთისა, ნინევია, უფრო ახლო სჩანს, ვიდრე მიდიის – ეკბატანი და სპარსეთის პერსეპოლი“ (1, ტ.4, გვ.50) და მცხეთა ხომ „ბავშვმაც-კი იცის ჩვენში, რომ არაგვის ხეობის შესავალშია“; და დაცინვით წერს, რომ „ნუთუ ამის საცოდნელადაც ხელი ვერ მიაწვდინა კრიტიკითა და შედარებითის მეთოდით შეჭურვილმა ავტორმა! დალოცვილი, პირველ შეხვედრილ მეურმეს მაინც ჰკითხავდა!

აი, რაგვარ მეცნიერთან, რაგვარ ცოდნის პატრონთან გვაქვს საქმე, ჩვენდა სამწუხაროდ და მკითხველის მოსაწყენად. ეს იქონიეთ სახეში და შეგვიბრალეთ ჯერ ჩვენ, რომელსაც წილად გვხვდა გარჩევა ავტორისა, და მერე რუსული ჟურნალი „Сев. Вестник“-ი, რომელმაც დაჰბეჭდა ამ ავტორის ორი წერილი“ (1, ტ.4, გვ.50).

ილია აკრიტიკებს ი. ჯაბადარის წერილის იმ ადგილს, სადაც მისი თქმით, თუბალები და მოსოხები, ქართველთა შტოს განეკუთვნებიანო, რადგანაც მათ, ძველი სპარსეთის, აქემენიდთა სახელმწიფოს მეფის ქსერქსე I (ძვ. წ. 486–465) ლაშქარში, ერთი მხედართუფროსი ყავდათო.

ილია ამის შესახებ წერს:

„მოდით და შეშალეთ-ღა, მოდით და ამისთანა ჭკუათა-უქმნელს ფილოსოფიას გაექეციით სადმე. მაშ, ყალმუხები, ყაზანის თათრები, ებრაელნი, ქართველები, რუსები და სხვა მრავალის ტომის კაცნი სულ ერთის ნათესაობისანი ყოფილან, რადგანაც რუსეთის იმპერიაში, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც ერთის მხედართუფროსის ხელში არიან. ამას გვიქვიან შედარებითის მეთოდით კვლევა სხვადასხვა ერთა ნათესაობითისა! ამას იქით, თუ გნებავდეთ შეიტყოთ, სიპაები და ინგლისელნი როგორ მოხვდებიან ერთმანეთსა, მარტო ის გამოიძიეთ – ერთის მხედართუფროსის ხელში არიან, თუ არა. ეს გახლავსთ შედარებითი მეთოდი ავტორისა. რადგანაც ენას ბრწკალი არ მოედება, შესაძლოა გვითხრან, – ეჰ, თქვენ რა იცით, რა არის ფილოსოფია ისტორიისაო. ჩვენ ამაზედ ვიტყვით, რომ თვით ისტორიის ფილოსოფიამაც არ იცის ეს ამისთანა ფილოსოფია ავტორისა“ (1, ტ.4, გვ.52).

დასავლეთ საქართველოს შესახებ, ი. ჯაბადარი აღნიშნავს, რომ თითქოს კოლხეთში, ეგვიპტელთა ფარაონი რამსეს დიდი 3200 წლის წინ მოსულა და აქ, „რამდენიმე ეგვიპტელთა სოფელი გააშენაო“ და ვითომდა კოლხებს ეგვიპტელებისაგან უსწავლიათ მიწის დამუშავება: „ხვნა-თესვა და ზოგიერთი სხვა ხელობა“.

დღევანდელ დღეს, მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ეგვიპტელები საქართველოში საერთოდ არ ყოფილან. ეს ცნობები და ლეგენდები მომდინარეობს ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტედან რომელიც წერდა, რომ:

„კოლხები ეგვიპტელები არიან... ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასევე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგვრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინადაცვეთას...

კიდევ სხვა რამის თქმაც შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ ხელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის“ (53, ტ.I, გვ.156).

როგორც ჩანს, ჰეროდოტეს აზრით (რაც არ არის სიმართლე), კოლხები არიან შთამომავალნი ეგვიპტის მეფის სესოსტრისის (ძვ. წ. XIII ს.) ჯარის ნაწილისა, რომელთაც მოუღწევიათ მდინარე **ფაზისადმე** (რიონი) და

უკან დაბრუნებისას აქ დარჩენილან. ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც, კოლხების მეზობლად მყოფი, იბერიელებიც, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის I (ნაბუ-ქუდურიუცური) (ძვ. წ. 1146–1123) დროს, თითქოს გადმოსახლებულან ესპანეთიდან, რომელსაც უწოდებდნენ იბერიას (ასევე არ არის სიმართლე).

რაც შეეხება ი. ჯაბადარის ცნობას ეგვიპტის ფარაონის რამზეს დიდის შესახებ, რომ თითქოს იგი კოლხიდაში იყო შემოსული, არ შეეფერება სიმართლეს. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ეგვიპტელი სარდლის, რამსეს I-ის გამეფებით (ჩვ. წ-მდე 1304–1303) იწყება ეგვიპტის XIX (რამესიდების) საგვარეულო. ამ ფარაონებს შორის, ყველაზე უფრო გამორჩეული იყო რამსეს II (ჩვ. წ-მდე 1290–1223), „დიდ რამსესად“ წოდებული, რომელიც გამოირჩეოდა როგორც მხედართმთავარის, აგრეთვე დიპლომატიური ნიჭით. მის დროს ეგვიპტე წარმოადგენდა ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოს. ეგვიპტის ბოლო ფარაონი ამ საგვარეულოდან, იყო რამსეს XI (ჩვ. წ-მდე 1110–1080)წწ. მიუხედავად მისი ხანგრძლივი მეფობისა, „უფერულად დასრულდა რამსეს XI მეფობა და მასთან ერთად ეგვიპტის ისტორიის, თავის დროზე, ბრწყინვალე ახალი სამეფოს პერიოდი. ამის შემდეგ ქვეყანამ, რომლის ისტორია უკვე დასასრულისაკენ მიიწევდა, ვეღარასოდეს შეძლო ძველი ბრწყინვალების დაბრუნება“ (54, გვ.170).

რამსეს XI-ის გარდაცვალების შემდეგ, ეგვიპტე ორ ნაწილად დაიშალა, სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეებად.

ილია ჭავჭავაძე, ი. ჯაბადარის, ზევით აღნიშნული ცნობის შესახებ წერს, რომ:

„დამტკიცებულია და ყოველ ეჭვ-გარეთაც დაყენებულია, რომ ეგვიპტელნი საზოგადოდ, და რამზეს დიდი საკუთრივ, თავის დღეში არ გადმოსცილებიან ორონთას, მდინარეს ასურეთის დასავლეთზე, რომელზედაც იდგა ქალაქი კადეში, ან რა ჭკუაში მოსასვლელი იქნებოდა ეგვიპტელთათვის კოლხიდაში გამოსვლა, როცა მათი ერთად-ერთი ტკივილი და ნაღველი ის იყო, რომ ევფრატის მხრით უშიშარ ყოფილიყვნენ.

მათი პოლიტიკა აქ სულ იმაზედ ჰტრიალებდა, რომ ასურეთი დაემხოთ და დაემორჩილებინათ ზღვის პირი სირიისა, (ილია იმოწმებს ვებერს), საიდანაც მტერნი მოსვენებას არ აძლევდნენ. ან თუნდ ესეც არ იყოს, როგორ გასცილდებოდნენ ამ ქვეყნებს და შევიდოდნენ კოლხიდაში, როცა ასურელებისა და სირიელებისთანა დაუძინარნი მტერნი ზურგთ უკან დარჩებოდათ. რა თქმა

უნდა, მხედართმთავრად, ან ბედის გამგებლად ეგვიპტელებს რომ ჩვენი ავტორი ჰყოლოდათ, უფრო შორსაც წავიდოდნენ. ვითომც ნახტომი შეეშლებოდათ თუ! მაგრამ ეგვიპტის ბედზედ სულ სხვა კაცები, უფრო წინდახედულები შესწრებიათ, თორემ მალე გადაიჩეხებოდნენ სადმე კლდეში.

ან რაღა შორს წასვლა გვინდა: ლენორმანმა, ამ სახელგანთქმულმა მცოდნემ აღმოსავლეთისამ, რომლის ავტორიტეტი ამისთანაებში შეურყეველია, კარგა ხანია თვით ჰიეროგლიფურ ნაწერებით დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ეგვიპტელნი კავკასიაში არასოდეს არა ყოფილან“ (1, ტ.4, გვ.53).

ილია ჭავჭავაძე აკრიტიკებს და სასაცილოდ იგდებს, ი. ჯაბადარის ერთ უცნაურ გამოთქმას, რომ თითქოს სპარსეთის დიდი მეფის, აქემენიდების სახელმწიფოს დამაარსებლის კ ი რ ო ს II-ის მეფობის (ძვ. წ. 558–530) დროს საქართველოში შემოსულან ხაზარები, რომლებიც თურმე „დღეს ჩვენში არიან ცალკე მოსახლობანი (колонии) ხაზარებისა“, და რომელთაც „ვითომც-და თავისი ენა შეუნახავთ ისე როგორც მათთა ძველის ძველ წინაპართა ჰქონიათ“ (1, ტ.4, გვ.60).

ი. ჯაბადარის მიერ ჩვენში, ხაზარების აღმოჩენის შესახებ, ილია წერს:

„მეცნიერებს პატარა ბუნდოვანება აქვთ წარმოდგენილი ამ ხაზარების ვინაობა და, რადგანაც ჩვენში ესენი ისე კარგად დაბინავებულან, რომ თავისი ძველის-ძველი ენაც თითქმის შეუცვლელად შეუნახავთ, რა დიდი სიხარული აუტყდებათ სწავლულთა და მეცნიერთა, რომ ასეთი შემთხვევა ეძლევათ ზედმიწევნით შეიტყონ ამ ერის ვინაობა. სამწუხარო ეს არის მარტო, ვაი თუ ჩვენს ავტორს ცოტაოდენად გაუჭირდეს ამ ხაზარების ბინაზე მიყვანა ვისიმე“ (1, ტ.4, გვ.60).

ი. ჯაბადარი, როგორც მისი ნარკვევიდან ჩანს, საქართველოს ისტორიას საერთოდ არ იცნობდა, რადგან მთელ რიგ საკითხების განხილვისას უვიცობას ამჟღავნებდა. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა, როდესაც მან დაიწყო საქართველოს ისტორიის ჩვენს წელთაღრიცხვიდან განხილვა.

ილია სასაცილოდ იღებს ავტორის მთელ რიგ გამოთქმებს და მოსაზრებებს, რომლის უმეცრება უმაღლეს მწვერვალს აღწევდა.

ი. ჯაბადარის გადმოცემით, თითქოს ფარნავაზის წარმომავლობა და შთამომავლობაც „ჯანღითა და ბურუსით“ მოცულია, და „სპარსი იყო, აქემენიდების ნატამალიო“. წარმოადგენდა „საშუალო კაცს (центральная личность)“ და ზღაპრულ თქმულებასო. ფარნავაზის შემდეგ არაბებამდე, ესე იგი ახ. წ. VII ს-მდე საქართველო ფეხზე არ დამდგარაო.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ფარნავაზიანები ქართლის, იბერიის, სამეფო დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ (ძვ. წ. IV ს. მიწურული – ახ. წ. VI ს. 20-იანი) წლებში. პირველი წარმომადგენელი იყო, ქართლის მეფე ფარნავაზ I (ძვ. წ. IV ს. ბოლო – III ს. დასაწყისი).

ილია წერს, რომ ფარნავაზი მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“-შია მოხსენებული და თუ სადმე გვიპოვის „რაიმე ხსენებას ფარნავაზისა ჩვენს ხალხში და, თუ გვიპოვის, მადლობით მუხლს მოვიყრით“ (1,ტ.4, გვ.62).

ფარნავაზის შესახებ,„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს,რომ მან,„შეაერთა მთელი საქართველო, ერთმთავრობა დააფუძნა, წესწყობილება ჩამოაგდო, საერისთაონი გააჩინა და რიგი და წესი დაუდო. ნუთუ ეს ფეხზედ დადგომა არ არის! ამიტომაც ამბობს „ქართლის ცხოვრება“:

„იყო განსვენება და სიხარული ყოველსა ქართველსა ზედა და მეფობისათვის ფარნავაზისა იტყოდეს ყოველნი: „ვმადლობთ სვესა ჩვენსა, რამეთუ მოგვცა ჩვენ მეფე ნათესავისაგან ჩვენთა და აღგვეხადა ხარკი და ჭირი უცხოთა ნათესავთაგან“ (1, ტ.4, გვ.63).

ი. ჯაბადარი უმართებულოდ და უდიერად ახსენებს, ჩვენს მეფეებს. იმ მეფეებს, რომელთა დრო და მათი სახელი ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელია. ავტორის თქმით, ქართლის მეფე ვახტანგ I გორგასალი (ფარნავაზი) (V ს. 40-იანი – 502) ძველი დროის გმირი იყოო, და „ძველის დროთა გმირებს მიეგვანებაო. მაგრამ ამისთანა კაცების მნიშვნელობა არ იყო ხანგრძლივიო. ესენი უბრალოდ იხოცებოდნენ უნაყოფო ბრძოლაში და ვერაფერი მტკიცედ ვერ ააგეს და დაამყარესო“ (1, ტ.4, გვ.63).

ილია ჭავჭავაძე, ამის პასუხად წერს, რომ ქართლის მეფის მირიან III, რომელიც მეფობდა IV საუკუნეში (დაახლ.280–330) და რომელმაც ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნეობად გამოაცხადა და რომლის შემდეგ,„მაშ, მტკიცედ ვერ ააგეს და დაამყარეს მირიანიდამ დაწყებული ქრისტეს რჯული, რომლისთვისაც მეცხრამეტე საუკუნემდე მთელი ათას ხუთასი თითქმის წელიწადი ჯვართ ეცვა მთელი საქართველო?!“ და ჩამოთვლის ვახტანგ გორგასლის მიერ გაწეულ საქმეებს:

„მაშ, უნაყოფო იყო ბრძოლა ვახტანგ გორგასლისა, რომ ჩრდილო-კავკასიელთ თავზარი დასცა იმოდენად, რომ მას მერმედ თითქმის ველარა შემოჰბედეს-რა საქართველოს და მას აქეთ ჩრდილოეთიდამ საქართველო სამუდამოდ უშიშარ იქმნა? მაშ, არც ის ჩაითვლება საგულისმყოფელ საქმედ, რომ ვახტანგმა მიანიჭა ჩვენს ეკლესიას თვითმყოფელობა, დაიხსნა ანტიოქიის დამოუკიდებლობისაგან?

ეს ორი-სამი მაგალითიც საკმაოა კაცმა დაასახელოს, რომ შევიტყოთ გულმართლობა ამ, მაგალითების განგებ არ დამნახველობა, ჩვენ ვამბობთ „განგებ“, იმიტომ რომ წარმოუდგენელია ავტორს არ წაეკითხოს „ქართლის ცხოვრება“ მაინც, როცა საქართველოს ისტორიის წერას მოისურვებდა, და თუ წაუკითხავს, ამ უეჭველს ამბებზედ განგებ დახუჭავდა თვალს, თორემ სხვაფრივ მოუფიქრებელია ამაების შეუნიშნავობა“ (1, ტ.4, გვ.63).

ჩვენ, ზევით აღვნიშნეთ ილიას შეხედულება გამორჩეულ, ცნობილი პიროვნებების შესახებ, და ვთქვით, რომ იგი ყოველთვის აღნიშნავდა მათს საქმიანობას ხალხისა და ერის წინაშე. მან არა ერთი წერილი მიუძღვნა ერისათვის თავდადებულ მოღვაწეებს და მათ საქმიანობას.

1882 წელს დაწერილ წერილში, „შიანაური მიმოხილვა“ XVII, იგი წერს:

„როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოველს საზოგადო მნიშვნელობისას – გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს, – ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, – მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის. ეს ნიშანი მაშინ უფრო ნამეტანად უტყუარია, როცა ესეთი ყურადღება ერისა მიიქცევა ხოლმე იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია.

განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ“ (1, ტ.5, გვ.183).

ილია სიხარულით აღნიშნავდა, რომ ჩვენთანაც, საქართველოშიც, „ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი – ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულისა“ (1, ტ.5, გვ.185) და მაგალითად მოჰყავს ჩვენი სასიქადულო მამულისშვილის, აკაკი წერეთლის საქართველოში მოგზაურობის დროს, ხალხის აღფრთოვანებული სიყვარულის გამოხატვა. ილიას აზრით, ხალხმა ყოველთვის უნდა აღნიშნოს და მოიხსენიოს „დიდ-ბუნებოვანი“ და გამორჩეულნი მოღვაწენი. წერილში, „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, წერს:

„ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და „სამარისკენ ფეხი არ გაუშვერია“ (1, ტ.4, გვ.266).

ილიას თქმით, საერთოდ, ყოველი ადამიანი თავის სახელს უნდა უფრთხილდებოდეს, ვინაიდან:

„კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი: – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა–წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“ (1, ტ.4, გვ.183).

ხოლო, ი. ჯაბადარი კი, ყველა ქართველისათვის სათაყვანებელ მეფეზე, დავით აღმაშენებლის შესახებ წერს, რომ იგი ნიჭიერი კაცი ყოფილა, „უყვარდა დაახლოება მეცნიერ კაცებთანა, თუმცა თითონ წერა-კითხვა (грамота) მარტო სიბერეში-ღა (в преклонных летах) ისწავლაო.“

ი. ჯაბადარის ამ განცხადების გამო, აღშფოთებული ილია წერს:

„ჯერ ესა, რომ დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა სულ ორმოც-დათორმეტის წლისა და ამას არ ეთქმის „преклонные лета“. თუნდ ესეც არ იყოს, საიდამ გამოატყვრინა ავტორმა ესეთი ამბავი! კაცი, რომელიც წიგნს თვალიდამ არ იშორებდა მაშინაც, როცა საომრად და სანადიროდ დადიოდა, და ამის გამო კინაღამ საშინელ განსაცდელსაც არ შეემთხვია ტფილისის პირს, როცა არაბებს ჩაუსაფრდა, კაცი, რომელმაც სომეხთა სამღვდელონი გააკვირვა თავისის ცოდნითა და მწიგნობრობითა, კაცი, რომელმაც ღირსშესანიშნავი ფსალმუნები დასწერა და რომელიც, ავტორისავე სიტყვით, ქართველ ყმაწვილებს ჰგზავნიდა სამეცნიეროდ ათონს, ეს კაცი სიბერემდე უვიცი იქნებოდა წერა-კითხვისა?! ყოველს ამას ხომ მისი მნახველი, მასთან ყოფილი მთხრობელი მოგვითხრობს. ნუთუ მნახველის სიტყვაც აღარა სჯერა ჩვენს ყოვლად უჯერო ავტორს, რაღაც უცნაურის ჯადოთი მოჯადოებულს, რომ იქ „არა“ სთქვას უსათუოდ, საცა „ჰო“ არის სათქმელი უტყუარის საბუთითა“ (1, ტ.4, გვ.64).

დავით აღმაშენებელს ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებული, საგანგებო წერილი მიუძღვნა მოსახსენებელი დღისათვის (26 იანვარი). წერილში, ილიას მოჰყავს რომაელი ფილოსოფოსის, დრამატურგისა და პოლიტიკური მოღვაწის ლუციუს ანეუს სენეკას (ძვ. წ, 4–ახ. წ. 65) სიტყვები:

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროა,... იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამტკიცებაო. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც ამა თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო“.

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისათვის... ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას. აოხრებული ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს. დიდება სახელსა მისსა!..“ (1, ტ.4, გვ.180).

ილია, დავით მეფეს ახასიათებს, როგორც დიდბუნებოვან პიროვნებას, ერისათვის თავდადებულსა და ერის მოყვარეს. ამავე დროს მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვადასხვა ერების მბრძანებელი გახდა, შემწყნარებელი და „დიდი პატივცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა.“ იმ დროს, „როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ზოგავდა.“ ილია განსაკუთრებულად აღნიშნავს და ამბობს, რომ:

„ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნეობისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“ (1, ტ.4, გვ.181).

ამას ადასტურებს როგორც ჩვენი, ასევე სხვა ერის მემატიანეები, რომლებიც განსაკუთრებით აღნიშნავენ დავით აღმაშენებლის დიდსულოვნებას და სულგრძელობას. ილიას მოჰყავს არაბი მწერლის ალ-აინის (1360–1451) სიტყვები დავითის შესახებ:

„დავითი თავის შვილის დიმიტრითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზავრობის ღონისძიებას აძლევდა ფულით. დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“ (1, ტ.4, გვ.182).

ი. ჯავახიშვილი ეყრდნობა არაბი მწერლის სიბტ იბნ ალ-ჯაუზის (1186–1257) სიტყვებს, დავით აღამაშენებლის შესახებ და წერს:

„დავით აღმაშენებელი საქართველოს ეკონომიურს წარმატებაზეც დიდად ზრუნავდა და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ აღებმიცემობა გაცხოველებულიყო. იგი მფარველობას უწევდა არაბ და სპარსელ ვაჭრებს; მაჰმადი-

ანებს საზოგადოდ ხომ საქართველოში ისეთი ხელშემწყობი პირობები შეუქმნა, რომ თვით მაჰმადიანთა მეფეებს არ გამოუჩენიათ თავიანთი ერთმორწმუნე ქვეშევრდომებისადმი იმოდენი პატივისცემა, რაოდენს მზრუნველობასაც იჩენდა და პატივისცემით ეკიდებოდა საქართველოს ქრისტიანი მეფე. პარასკევობით იგი ზოგჯერ თვით და შვილებითურთ მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში ჯამეში შედიოდა, ლოცვას, კორანის კითხვას და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელოებას ბევრს ოქროს უწყალობებდა ხოლმე“ (7. ტ.II, გვ.217).

ილია წერს, რომ დავითი ყოველმხრივ ცდილობდა საქართველო გაეძლიერებინა, ხალხს დახმარებოდა. მან „სნეულთა, უღონოთა და საპყართათვის“ „ააშენა სამკურნალო, თითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.“ და წერილის ბოლოს, წერს:

„აი ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვივლენს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენებაა გამაცოცხლებელი ერისა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოზარდა. ჩვენმა დამცველმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გავიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებული მეფე, დიდებული კაცი“ (1, ტ.4, გვ.183).

ი. ჯაბადარი, დავით აღმაშენებლის შემდეგ, წერს თამარ მეფისა და მის დროინდელ საქართველოზე, რომ თითქოს-და, მიუხედავად მისი ბრწყინვალებისა და საგარეო დიდებულებისა, სწორედ ამ დროიდან დაიწყო ზნეობრივი გახრწნა და სახელმწიფოს პოლიტიკური დაცემა.

ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ი. ჯაბადარის თქმით, თურმე თამარის დროს:

„აუარებელი ფული იხარჯებოდა სასახლის მორთულობაზე, მონასტრების და ტაძრების მშენებლობაზე, რომელზედაც უამისოდაც, უცხოელთა სიტყვითო, მიდიოდა სამი მეოთხედი მთელის სახელმწიფო შემოსავლისაო“ (1, ტ.4, გვ.65) და თამარ მეფეს გაულაშქრია ყარსზე მხოლოდ იმისთვის, „რომ თავის ახლად დაბადებულის შვილის გიორგის ბედი გამოსცადოსო და ამისთვის აუარებელი სისხლი დაიღვარა ტყუილ-უბრალოდაო“ (1, ტ.4, გვ.67).

„ავზნეობით ხსენება თამარის დროებისა მტკნარი ტყუილია, თუ უკაცრავად არ ვიქნებით ავტორთან, და სხვებრ კი იქნება თამარის მეფობა მისაჩნევი იყოს დასაბამად დასასრულისა. ხოლო ამის დამტკიცებას იმისთანა საბუთები კი არ უნდა, როგორც ავტორს მოჰყავს, საჭიროა ამ შემთხვევაში პატარა ღონიერად დასძრას ტვინის ძაფები. „თამარ მეფეო,– ამბობს ერთი გერმანელი,– იმისთანა

სახელია საქართველოში, რომ კლდე, ღრე, ხე, ქვა, რასაც ხელს ახლებ და თვალს მიაკარებ, ყველა იძახის ამ სახელოვანის მეფის სახელსაო.“ ეს მართალიც არის. რაკი ესეა, ამისთანა სახელის გაუქმებას და დამდაბლებას პატარა მეტი საფანელი უნდა, ვიდრე ავტორს ჰქონია“ (1, ტ.4, გვ.65).

ხოლო, თამარის დროს ტაძრებისა და მონასტრების მშენებლობას, ილია ამას შემდეგნაირად ხსნის. იმ დროს, „ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნეობისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელი არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნეობისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განადიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად“ (1, ტ.4, გვ.65).

რაც შეეხება თამარ მეფის დროს, ქართველების ყარსზე გალაშქრებას, ილია ჭავჭავაძე ამას მაშინდელი პოლიტიკური ვითარებიდან ხსნის. მისი თქმით, ქართველ ხელმძღვანელთა მცდელობას, პირველ რიგში წარმოადგენდა სახელმწიფო საზღვრების დაცვა და ხალხის მშვიდობის მოსაპოვებლად საჭირო იყო, მოსაზღვრე ქვეყნების მომხრობა ან დამორჩილება. ამიტომაც იყო, რომ ქართველი მეფეები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ სამხრეთის საზღვრები რაც შეიძლებოდა საქართველოდან შორს ყოფილიყო.

ილია, ი. ჯაბადარის ზემოხსენებულისა და ჩვენი მატიანეს, „ქართლის ცხოვრების“ შესახებ წერს:

„გაგონილა – ასეთი მალე დაჯერება დაუჯერელისა იმ კაცისაგან, რომელიც მართალსაც არ იჯერებს ვითომ-და უკრიტიკოდ! იქნება გვითხრან,– „ქართლის ცხოვრებაში“ ესე სწერიაო. თუნდ რომ ეწეროს, რა დასაჯერია?! ნუთუ ძველის-ძველ საქართველოს მეისტორიემ ეს ანბანი არ უნდა იცოდეს, რომ მას შემდეგ, რაკი სომხეთი შეიმუსრა, სამხრეთი ჩვენი ღია დარჩა მტერთათვის

შემოსასევად. ამ მიზეზით, სომხეთის შემუსვრის შემდეგ, არც ერთი მეფე არ ყოფილა ღირსეული ამ სახელისა, რომ თვალი სამხრეთისაკენ არა სჭეროდეს და აქეთ საბრძოლველად არ გასულიყოს, რომ ან ჩვენი მიჯნა სამხრეთისა საქართველოზედ შორს გაედგა მოსვენებისა და უშიშროებისათვის, ან მტრისათვის ისეთი ზარი დაეცა, რომ დიდხანს აღარა შემოებედნა-რა საქართველოსათვის. ეს იყო პოლიტიკური საჭიროება, რომელიც ეთავდებებოდა ჩვენს მშვიდობით ყოფნასა და არსებობასა. შამქორის ომსაც განჯისაკენ ესევე აზრი ჰქონდა და საჭიროება. ამ მხრით გალაშქრება და განზედ გაწევა ჩვენი – დიდი ხანია ერთს უპირველესს საქმეს შეადგენდა ჩვენის ისტორიისას“ (1, ტ.4, გვ.67).

ამ საკითხის შესახებ, ილიას გამოაქვს დასკვნა, რომ:

„ერთის სიტყვით, რაშიაც ღრმად გამსინჯავი კაცი თამარის სიკეთეს დაინახავდა, იქ ჩვენი ავტორი წუნსა და ცუდსა ჰხედავს.“ ი. ჯაბადარი აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოში, თამარის დროს, „იღვიძებს წყურვილიო სწავლისა და ცოდნისაო“, „მაგრამ ყოველივე ეს წარსულის შუქი უფრო იყოო, ვიდრე საკუთარი ნათელი თამარის დროებისაო. – ილია განაგრძობს,– ამბობს ყოველს ამას და არაფრით კი არ ამტკიცებს, არაფრით ასაბუთებს, პირიქით, იმისთანა საბუთები მოჰყავს, რომელნიც უფრო თამარ მეფის საქებარად გამოდგებიან და არა საწუნარად.

დაანებეთ ყოველს ამასაც თავი და მარტო ეს იკითხეთ: რაღა ეს დაუჯერებელი დაიჯერა თამარ მეფეზედ ავტორმა და მთელი ქება-დიდება მემატიანესი ყურთ იქით აიცილა. თუ ცუდს უჯერებს მემატიანეს, კარგს მაინც ყურს რატომ არ ათხოვებს, თუნდ მემატიანის გასამტყუნებლად და ქადებულ კრიტიკაში გასატარებლად. რა ჰქვიან ამისთანა ქცევას,– ეს თქვენ გამოიცანით“ (1, ტ.4, გვ.68).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XIV, ცხოვრების შემოქმედებითი ძალის შესახებ მსჯელობისას, ილია აანალიზებს მის მნიშვნელობას ცხოვრებაში და საერთოდ ისტორიაში და წერს, რომ ამ ძალამ ჩვენში სწორედ თამარ მეფის დროს უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მწერლის თქმით, როდესაც „სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედობს, მაშინ სიტყვა ძალაა და ძლიერებაა.

რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედობითი ძალი... რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეს შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო. უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაცა გვქონდა. აკი გმირებიცა გვყვანდა, აკი დიდი მწერლებიც და

პოეტებიც აღმოგვიჩნდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულებამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახდა ჩვენთვის“ (1, ტ.5, გვ.151).

საქართველოს ისტორიის გადმოცემას, ი. ჯაბადარი თამარ მეფით ამთავრებს. ამის შემდეგ, ის განიხილავს ჩვენი ქვეყნის კულტურის სხვადასხვა საკითხებს: ქართველი ერის წარმოშობას, ქართულ ენას, ადრინდელ სარწმუნეობას, ქართველთა ზნე-ჩვეულებებს, ილიას თქმით, „სახელმწიფო და საზოგადოებურ აგებულებას, ერთის სიტყვით, ყოველს ცალკე ელემენტს კულტურისას თვითოეულად“ (1, ტ.4, გვ.70) და ყოველი გამოკვლევის დროს საოცარ უვიცობას ამჟღავნებს.

ქართული ენის განხილვის დროს,ჩვენ აღვნიშნეთ ილიას პასუხი ენის შესახებ და აქ ამის შესახებ აღარ შევაჩერებთ ყურადღებას. ხოლო არქეოლოგიისა და ანტროპოლოგიის შესახებ ილია წერს, რომ ავტორი ანტროპოლოგიას „ორი სტრიქონით ათავებს“, ანთროპოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და ანატომმა პოლ ბროკმა (Broca) (1824–1880), „რომელსაც ვითომ აქედამ გაუგზავნეს ორი თავის სარქველი, გასინჯა და სთქვაო, რომ იგი ეკუთვნის კიმვრებსაო. ეს არის და ეს. სხვაგან ავტორი არც-კი ახსენებს ანტროპოლოგიას“ (1,ტ.4,გვ.98). ხოლო არქეოლოგიისათვის ი. ჯაბადარს უფრო მეტი ადგილი დაუთმია. იგი ეყრდნობა ფ. ბაიერნის, „რომელმაც სამთავროს სასაფლაო მცხეთაში გასთხარა და ბევრი არქეოლოგიური ნაშთი იპოვა. ეს ბაიერნი ცნობილია, – როგორც კარგი მთხრელი საფლავებისა და საფლავებში ნაპოვნის კეთილსინიდისიერი და უტყუარი აღმწერელი, ხოლო მისი საისტორიო დასკვნა და განსჯა-კი ყველასაგან სასაცილოდ არის აგდებული. მოდით მართლა და ნუ გაგეცინებათ, რომ ეს ბატონი ბაიერნი ალექსანდრე მაკედონელის საფლავს სადღაც ავლაბრის ხევში ეძებდა, და სემირამიდისას, რომელიც ეხლა მითიურ არსებად მიჩნეულია, წიწამურში, მცხეთის პირდაპირ, არაგვ-გაღმა“ (1, ტ.4, გვ.98).

ი. ჯაბადარი იმდენად გაიტაცა ახალი მასალების აღმოჩენებმა, რომ რას წერდა და რას ამტკიცებდა თვითონაც აღარ იცოდა. ბაიერნზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ ქართველებს ორი სახის საფლავები ჰქონიათ: ერთი ქვის სამარხები, რომლებიც ძველ ქართველებს ეკუთვნოდათ, და მეორე-კი აგურის, რომლებიც ბერძნების ყოფილა; და რაც მთავარია, წერდა, რომ მცხეთის მკვიდრნი ადამიანს კლავდნენ კერპის შესაწირად, ადამიანების მჭამელები იყვნენ და ლეშსაც-კი თურმე მიირთმევდნენ და ეს ყველაფერი, თითქოს ქართველთა მატიანეშიც კი აღნიშნული ყოფილა.

ცნობილია, რომ კავკასიაში და კერძოდ საქართველოშიც არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა არქეოლოგმა, პრასკოვია უვაროვამ (1840–1924). იგი იყო არქეოლოგის, გრაფის, ალექსი უვაროვის (1825–1884) მეუღლე. ა. უვაროვი „იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1881 თბილისში ჩატარებული არქეოლოგიური ყრილობისა, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა კავკასიის არქეოლოგიის განვითარებაში“ (15, ტ.10, გვ.106). პ. უვაროვამ „რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და ხევსურეთში შეკრიბა ქრისტიანული ხანის ძეგლები და ნაწილი გამოაქვეყნა („Материалы по археологии Кавказа“, IV, М.)“ (15, ტ.10, გვ.106).

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძემ საკადრისი პასუხი გასცა ი. ჯაბადარს. იგი წერს, „ავტორს ბევრი რამ გამოჰპარვია ჩვენის ქვეყნის არქეოლოგიის შესახებ“. მას „არა სცოდნია“, რომ საქართველოში აღმოჩენილია ახალი „ბევრი და შესანიშნავი არქეოლოგიური ნაშთები“, რომელიც აღმოაჩინა უვაროვმა, და წაეკითხა მისი წერილი: „Взгляд на Мцхетский могильник“, სადაც „სამთავროს საფლავები ძალიან კარგად გამოძიებულნი არიან იმისთანა მცოდნესაგან, როგორიც უვაროვია. ამ გამოძიებისაგან სჩანს, რომ სამთავროს საფლავები ორ-გვარნი კი არ არიან, როგორც ჩვენს ავტორს მოსჩვენებია, არამედ სამგვარნი. უუძველესი საფლავები რიყის ქვით არის აგებული და მოწყობილი, მეორეა – აკლდამები დიდროვანის კლდის ქვისა და მესამე – უშველებელის აგურისა“ (1, ტ.4, გვ.102).

ქართველთა კაცივამიაობის შესახებ, ილია ასეთ პასუხს აძლევს:

„ამ ხანად-კი ჩვენ იმას ვიტყვით, რომ ეს ზღაპრები ავტორისა იმიტომ არ მოგვიყვანია, ვითომც არა გვჯეროდეს, რომ ოდესმე ქართველებს ჩვეულებად არა ჰქონოდეთ ადამიანის ხორცის ჭამა. იქნება იყო ამისთანა დრო და საკვირველიც არ არის, იმიტომ რომ ქვეყანაზედ თითქმის არც ერთის ერის პირველყოფილ წინაპართ არ დაეფიცებათ ამ საზარელ ჩვეულების არ-ქონა. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეჩვენებინა, რომ ქართველების სახელის შეთითხნისათვის რა სასაცილომდე უცნაურს სახსრებსა ხმარობს ჩვენი ავტორი, რა-რიგად ადვილად ემყარება არასარწმუნო კაცებს და მოწმობას, და ამავე დროს რა რიგად ყურს იყრუებს, თვალსა ჰხუჭავს იქ, საცა პირდაპირი, უტყუარი საბუთია ქართველის ასე თუ ისე კეთილად ხსენებისა... სამთავროს საფლავებმა ბევრი რამ იმისთანა აღმოაჩინა, რომელიც ჰმოწმობს უწინდელ ქართველების კულტურის ასე თუ ისე სიდიდეს და სიმაღლეს და, აბა, თუ ერთი სიტყვა წასცდენოდეს ამაზედ; პირიქით, მკითხველის თვალი შეაყენა თითქმის მარტო იმაზედ, რომ ქართველები კაცის-მჭამლები იყვნენო. მერე ვისის ავტორიტეტობით? აი ამაზეა ნათქვამი,

ქოთანმა იგორა, იგორა და თავის სარქველი იპოვაო. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს“ (1, ტ.4, გვ.103).

ი. ჯაბადარმა, მოამთავრა-რა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ მსჯელობა, ჩვენს რჯულსაც გადასწვდა და დიდის ამბით გამოაცხადა, რომ ქართველები საბაიზმს მისდევდნენო.

ილია ჭავჭავაძემ ეს საკითხი უყურადღებოთ არ დატოვა და პასუხი გასცა ავტორს.

„საბაიზმი,– წერს ილია,– რომელსაც ესე ხშირად იხსენებს ხოლმე ჩვენი ავტორი, ჰქვიან მნათობთა თაყვანისცემას და განსაკუთრებით უფრო ვარსკვლავებისას და ცთომილებისას“ (1, ტ.4, გვ.108).

ცნობილია, რომ საბაიზმი, ანუ საბეიზმი, გავრცელებული იყო ბაბილონსა და ასურეთში, სადაც ტაძრები, რომელშიდაც ხდებოდა ვარსკვლავებისა და ცის მნათობებისადმი თაყვანისცემა, წარმოადგენდა ამავე დროს ობსერვატორიასაც. ასეთები იყო ინდოეთში, აზიაში, არაბეთში, სირიაში, მცირე აზიაში და სხვა ადგილებში. აქ, უძრავ ვარსკვლავებს გარდა, თაყვანს სცემდნენ პლანეტას, ცთომილებს. განსაკუთრებით იმ ციურ სხეულებს, რომელნიც მათი წარმოდგენით, მოქმედებდნენ დედამიწაზე, ბუნებაზე და ადამიანზე. ვარსკვლავთმისნობა ანუ ასტროლოგია, ჯადოქრობა და საერთოდ ყოველგვარი მკითხაობა, წინასწარ-მეტყველება, ჰოროსკოპი, უშუალოდ დაკავშირებული იყო საბეიზმთან. დროთა განმავლობაში, მეცნიერების მიერ, სახელწოდებების მსგავსების გამო, ხდებოდა საბეიზმისა და საბაიზმის აღრევა.

საბაის, აბეის, საბა, საბაელთა სამეფო, (არაბულად Sb', Saba), ჩამოყალიბდა სამხრეთ არაბეთში, მაინის სამეფოს დაცემის შემდეგ, ძვ. წ. VIII საუკუნეში და იარსება ძვ. წ. IV საუკუნემდე, რომლის შემდეგ წარმოიქმნა ჰიმიარიტების სამეფო. საბაელთა სამეფოს დედაქალაქი იყო მარიბში. სამხრეთ არაბეთში (იემენში), სემიტურ (აზიის სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მოსახლე ტომები), ხალხებს შორის ყველაზე უფრო მძლავრი საბას ტომი იყო. არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილია მრავალი ძეგლი, საიდანაც ირკვევა, რომ სემიტურ ტომებს ჰქონიათ თავიანთი საკუთარი დამწერლობა. ანტიკურ წყაროებში სამხრეთ არაბეთი მოხსენებულია როგორც ერთ-ერთი მდიდარი მხარე, სადაც განვითარებული იყო ვაჭრობა. იემენს უწოდებდნენ „ბედნიერ არაბეთს“. აქ ჩამოყალიბდა, ეგრეთ წოდებული „სამხრეთ-არაბული ცივილიზაცია“.

საბაელები პირველად მოხსენებულნი არიან ასურეთის მეფის სარგონ II (ასურ. შარუქინი, ებრ. Sargon) (ძვ. წ. 722–705) ლურსმულ წარწერებში, ძვ.

წ. 715 წ. საბას დედოფალი მოხსენებულია ბიბლიის ლეგენდაშიც, ისრაელის სამეფოს, სოლომონ მეფის (ძვ. ებრ. შელომო) (გ. დაახლ. ძვ. წ. 928) დროს (ბიბლია, წ. I, მესამე მეფეთა, თ. 10, 1).

ევროპელი და მუსულმანი მეცნიერები, ისტორიკოსები და მწერლები, სხვადასხვა დროში მცხოვრებ და სხვადასხვა ტომებს, მათი სახელწოდებათა თანაჟღერადობის გამო, აკუთვნებდნენ საბიებს.

ფილოსოფოსმა და აღმოსავლეთ მცოდნე-სემიტოლოგმა დანიელ ხვოლსონმა (1819–1911), თავის ნაშრომში: „Die Ssabier und der Ssbismus“, სხვადასხვა დასახელებულ ტომებიდან გამოჰყო ნამდვილი – ისტორიული საბი და ცალკე მოათავსა არანამდვილი, ყალბი, საბი ტომები.

დ. ხვოლსონმა, ნამდვილ, ისტორიულ საბის, მიაკუთვნა ის სემიტი ტომები, რომლებიც, ბინადრობდნენ ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში, მდინარე ტიგრისა და ევფრატის ქვემო დინების მიდამოებში. ეს ტომები ცნობილნი არიან ქალდეელების (Kaldu) სახელწოდებით. მათი სასაუბრო ენა იყო არამეული, ან სამხრეთ არაბული ერთ-ერთი დიალექტი.

ქალდეელები, პირველად მოხსენებულნი არიან ძვ. წ. 878 წ. ასურეთის მეფის ასირნასირფალ II (ძვ. წ. 883–859) ანალებში.

ჩვენამდე მოღწეული ჟამთააღმწერლების ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ ქალდეელები ძვ. წ. „IX ს-ში მტკიცედ დამკვიდრდნენ ბაბილონის სამხრეთით. ეწეოდნენ ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას, მისდევდნენ მესაქონლეობას, მეთევზეობას, ნაწილობრივ მიწათმოქმედებას. ძვ. წ. 626 ბაბილონი ასურეთის წინააღმდეგ აჯანყდა წარმოშობით ქალდეელი ასურეთის მხედავრთმთავრის ნაბოფალასარის წინამძღოლობით. იმავე წელს ნაბოფალასარი ბაბილონში გამეფდა და საფუძველი ჩაუყარა ქალდეურ... დინასტიას (ნაბუქოდონოსორ II, ნაბონიდი და სხვ.). რომლის დროსაც ბაბილონი დამოუკიდებელი გახდა. ქალდეელები ეზიარნენ ბაბილონურ რელიგიას და კულტურას. ძველ საბერძნეთსა და რომში ბაბილონური წარმოშობის ქურუმებსა და მკითხავებს „ქალდეელებს“ ეძახდნენ. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში ტერმინი „ქალდეელები“ ისტორიულ ლიტერატურაში შეცდომით იხმარებოდა შუმერების აღსანიშნავად“ (15, ტ.10, გვ.448).

ზემოთ დასახელებული ბაბილონის მეფეების შესახებ, ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ცნებებიდან, ცნობილია, რომ:

ნაბოფალასარი მეფობდა (ძვ. წ. 626–605), აქედან იწყება ახალი ბაბილონური სამეფოს დრო, რომელიც გაგრძელდა (626–538);

ნაბუქოდონოსორ II მეფობდა (ძვ. წ. 604–562) და იყო ნაბოფალასარის ძე. მის დროს აშენდა, ძველი ბერძენთა გადმოცემით, მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი საოცრება, „ბაბილონის კიდული ბაღი“;

ნაბონიდი (ნაბუნაიდი) (ძვ. წ. 555–538), იყო ბაბილონის უკანასკნელი მეფე. სპარსეთის მეფემ კიროს II აიღო ბაბილონი ძვ. წ. 538 წ., ნაბონიდი დაატყვევა და აღმოსავლეთ ირანში, კარმანიაში გადაასახლა. ქალდეელები მაჰმადიანთა „წმინდა წიგნში“, ყურანში, მოხსენებულნი არიან როგორც გასპარსებულნი წარმართნი, რომლებიც ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურის მიდამოებში, საუბრობდნენ დამახინჯებულ ქალდეურ-არამეულ კილოზე და წარმოადგენდნენ წმ. იოანეს ქრისტიანებს. მაჰმადიანები მათ უწოდებენ საბის, ან სუბბას.

ჩვენამდე მოღწეულია საბის ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც დაწერილია სირიულ-არამეულ კილოზე. დანარჩენ, ყალბ საბიებს, დ. ხვოლსონმა, მიაკუთვნა საბიები, რომლებიც წარმოადგენდნენ უძველეს სირიელ ტომებს.

ჩვენამდე შემორჩნენ ის სირიელი ტომები, რომლებმაც დაახლოებით ჩვ. წ. 830 წ. მიიღეს ბერძნული კულტურა და რომელთა სარწმუნეობა წარმოადგენს: ქალდეელების, სპარსელების, იუდაიზმის, ქრისტიანულის, ნეოპლატონიზმისა და გნოსტიციზმის ნარევს.

ეს ტომები, ცხოვრობდნენ მესოპოტამიის ჩრდილოეთ მხარეში. XII საუკუნის შემდეგ, ისტორიულ ლიტერატურაში, მათ შესახებ ცნობები აღარ გვხვდება.

საბეიზმისა და საბიზმის სახელწოდებაში იგულისხმება ის ზოგიერთი ტომები და სექტები, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ვარსკვლავებს და ცთომილებს.

ილია ჭავჭავაძე წერს, რომ ყველგან, პირველდაწყებით რჯულად მეცნიერებაში ცნობილია თაყვანისცემა ცისა და „ეს ცის თაყვანისცემლობა ერთ ღმერთობას მოასწავებდა.“ მას მოჰყავს ცნობილი მეცნიერის კარიერის სიტყვები:

„ამ პირველყოფილ ერთ-ღმერთობას, მოჰყვა მრავალ-ღმერთობა, სახელდობრ, თაყვანისცემა მნათობთა – მზისა, მთვარისა და ვარსკვლავებისა. ეს მნათობთა გაღმერთება და თაყვანება შეადგენს შემდეგს ხანას სარწმუნოებურ გრძნობის განვითარებისას“ (1, ტ.4, გვ.108).

ილიას თქმით, ამ დროს ადამიანი ღმერთებს ხილულ სახეს არ აძლევს, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ, ადამიანი ღმერთებს წარმოსახავს ხილულად, მას გამოსახავს სხვადასხვა სახით. ილიას მოჰყავს ჯ. ლებბოკის სიტყვები:

„კერპთ მსახურებაო, – ამბობს ლებბოკი, – უცილობლად წარმოადგენს უკვე უმაღლესს ხარისხს სარწმუნეობისასა და ერთობ მოასწავებს გონე-

ბის განვითარებას, აღმატებულებას, იმაზედ გაცილებით შორს, რასაც წარმოადგენს პირუტყვთა და ცის მნათობთა თაყვანისცემა. კერპობა არისო ნივთიერად გამოხატულება ღმერთებისა და კერპთმსახურება კაცობრიობის წარმატებულობის უმაღლეს ხარისხს გვიმტკიცებსო“ (1, ტ.4, გვ.109).

ასურელთა ლურსმულ წარწერებიდან, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ძვ. წ. IX საუკუნიდან დაწყებული V საუკუნემდე, „ქართველების სარწმუნეობა კერპთმსახურება ყოფილა.“ ილიას მოჰყავს ფ. ლენორმანის მონათხრობი:

„ლურსმული წარწერანი ვანისა, Palou და არზრუმის გარეშემოსი გვიმტკიცებს, რომ იქაურნი მკვიდრნი, რომელთაც ლენორმანი ქართველებად ჰრაცხს, არამც თუ ენითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ სარწმუნეობითაც ერთნი იყვნენო, თუმცა-კი პოლიტიკურად ცალ-ცალკე დაყოფილ თემებს წარმოადგენდნენო. ამ წარწერილებში მოიხსენებიან აუარებელი რიცხვი როგორც იქაურების ღმერთებისა, აგრეთვე სხვებისაცაო...

ლენორმანის სიტყვით, ეს სარწმუნეობა იმაში მდგომარეობდა, რომ თაყვანსა სცემდნენო ერთს უზენაესს სამეულს (ტრიადას). ყველა წარწერა ჯერ იწყება ამ სამსამობის, თუ სამეულ ღმერთების მიმართ სავედრებელითა და მერე იხსენებიან სხვა უმცირესნი, მეორე ხარისხის ღმერთებიო. ამ სამეულის უპირველეს ღმერთს ეწოდება „ქალდი“, „ქალდისი“-ო... უკანასკნელი ორნი ღმერთნი წარმოადგენენ: ერთი – ატმოსფეროსა, ეთერს, ბრწყინვალე ცას, მეორე – მზეს, და „ქალდი“ შესავსებლად სამეულისა – მთვარეს. რომ ეს ღმერთები კერპის სახედ იყვნენ, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ასურელნი მეფენი, როცა მოგვითხრობენ თავიანთ გამარჯვების ამბავს მაშინდელ ქართველებზედ, სხვათა შორის ამბობენ, დავატყვევეთო იმათი ღმერთი „ქალდი“ ანუ „ქალდისი“ და წამოვიღეთ ასურეთშიო“ (1, ტ.4, გვ.109).

ილია წერს, რომ მეცნიერთა მტკიცებით, „ორი სამეულნი ღმერთნი სჩანან ჩვენს პანთეონში, ერთი ასურელთა ეპოქისა და მეორე – მცხეთისა“ (1, ტ.4, გვ.112).

ილია შენიშვნაში იძლევა განმარტებას, რომ:

„შედარებითი მითოლოგია ბევრს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, რომ ზოგი ერი ღმერთს მთვარისას უფრო დიდ პატივს აძლევდა, ვიდრე ღმერთს მზისას. მაგალითებრ, ძველ ქალდეველთა სარწმუნეობაში ღმერთი მთვარისა უმაღლესი და უდიდესი იყო მზის ღმერთზედ“ (1, ტ.4, გვ.110).

ჩვენი მატიანეც გადმოგვცემს, რომ ქართველები თავდაპირველად ერთ ღმერთს სცემდნენ თაყვანს, ხოლო შემდეგში მრავალ ღმერთობა შემოუღიათ.

ილიას თქმით, ამ დროის ქართველები თაყვანს სცემდნენ რამდენიმე ღმერთს: „არმაზი“, „გაცი“, „ბობი“, „ზადენი“, „აინინა“, „დანინა“ და ახალი წლის მესამე საუკუნეში „აფროდიტეს“, რომელიც ეტყობა საბერძნეთიდან შემოსულა. აქედან მთავარი ღმერთი ყოფილა „არმაზი“.

ილია წერს, რომ „სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, – თვითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენენ“ (1, ტ.4, გვ.115).

აქედან ჩანს, რომ ქართველებს, სარწმუნეობის მხრივ, ყველა საფეხური გაუვლია და კერპთმსახურეობაც ჰქონიათ.

ილიას გადმოცემით, ი. ჯაბადარი წერილში, ქართველების შესახებ მსჯელობისას იქამდე მიდის, რომ დიდის ამბით აცხადებს: „ქართველებს თავიდამ ბოლომდე თავისი არა ჰქონიათ-რა და სულ ყოველისფერი სპარსელების ნაწყალობებიაო.“ და „რომ მაშინდელ დროში მცხეთის მკვიდრნი ცეცხლმსახურნი იყვნენო“ (1, ტ.4, გვ.139). ისე, როგორც სპარსელებიო.

ილია წერს, რომ ამის დამტკიცება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შევადარებთ ქართველებისა და სპარსთა რჯულს. ამისათვის ზედმიწევნით კარგად უნდა ვიცოდეთ ორივე ქვეყნის რჯული. ხოლო, ი. ჯაბადარი კი, ამ საკითხის განხილვისას, სრულ უვიცობას ამჟღავნებსო.

ილიას თქმით, მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ყველა ქვეყანაში გავრცელებული იყო ცეცხლ-მსახურება და რა გასაკვირია, „რომ ეგ რჯული ჩვენშიაც ყოფილიყოს.“ ხოლო სპარსელები ცეცხლს განსაკუთრებული მორიდებით ეპყრობოდნენ და მოჰყავს მ. ვებერის შემდეგი სიტყვები:

„სპარსელნი ისეთი პატივცემელნი იყვნენ ცეცხლისაო, რომ ჰშიშობდნენ, ამოსუნთქულის ჰაერითაც არ წაებილწებინათო. ამისათვის ცეცხლთან ხელსახოცით პირაკრულები მიდიოდნენ, ვითომ ხელსახოცი სუნთქვას დაიჭერს და ცეცხლს არ მიაკარებსო“ (1,ტ.4,გვ.142).

ილია წერს, რომ:

ვისაც „სპარსელების რჯულის ცოტა რამ გაგება ჰქონოდა... უნდა დაეჯერებინა, რომ ჩვენ ცეცხლ-მსახურება სპარსელებისაგან არ უნდა გვქონოდა გადმოღებული. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ სპარსელნი ისეთის სასოებით ეპყრობოდნენ ცეცხლს, არაფერს მიაკარებდნენ. მკვდრებს არცა ჰმარხავდნენ, დედამიწა არ წავმურტლოთო და არცა ცეცხლში სწვავდნენ, ცეცხლი არ შევაგინოთო. მკვდარს ხეზედ დასდებდნენ, ან ჩამოჰკიდებდნენ ფრინველთა შესაჭმელად“ (1,

ტ.4, გვ.141). ხოლო, თვითონ ავტორის, ი. ჯაბადარის რწმუნებით, ქართველები თურმე ადამიანსაც და მის ლეშსაც სწვავდნენ.

ამ წერილს, ილია ჭავჭავაძე ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ახლა იფიქრეთ, ცეცხლ-მსახურება ქართველებისა რაში ჰგვანებია სპარსელებისას, როდესაც პირველნი ცეცხლში სწვავდნენ ადამიანის გვამსა, თუ ლეშსა, და მეორენი სუნთქვასაც არ აკარებდნენ, არ წავბილწოთ ცეცხლიო. მარტო ეს მაგალითი საკმარისი იყო, რომ ავტორს ქართველების ცეცხლ-მსახურება სპარსთაგან გადმოღებულად არ მიეჩნია“ (1, ტ.4, გვ.142).

კამათი, „Письма о Грузии“-ს ავტორთან ამით არ დამთავრებულა, ვინაიდან ი. ჯაბადარს გამოესარჩლა რუსული ჟურნალი „Новое обозрение“. ილია ჭავჭავაძემ ჟურნალს პასუხი გასცა ორი წერილით: „გზა და გზა და სხვათა შორის“ და „Новое обозрение-ს წერილის გამო“. ყოველ დასმულ საკითხზე, იგი იყო მტკიცე და შეუვალი; და აშკარად დაანახვა მკითხველს, ავტორის, ი. ჯაბადარის, „თუ სადამდე მივა ხოლმე ლაღი კადნიერება თავმომწონე და თავგასულ უმეცრებისა“ (1, ტ.4, გვ.145). ჩვენ, ამ წერილებში, ილიას მიერ განხილულ საკითხებს აღარ შევეხებით, ვინაიდან იგი ჩვენს თემას აღარ ეხება.

ჩვენ, ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე წერილებში, დიდ ყურადღებას უთმობდა ჩვენს გამოჩენილ მეფეებსა და იმ პიროვნებებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ სამშობლოსადმი სიყვარულით, თავდადებით, პატიოსნებით და რომლებმაც თავიანთი შრომით გარკვეული წვლილი მიუძღვნეს ერსა და მამულს.

ლ, სანიკიძე, გამოჩენილი პიროვნებების შესახებ, 1989 წელს აღნიშნავდა, რომ:

„ჩვენებურ („მარქსისტულ-ლენინურ-სტალინურ-საბჭოურ“) საისტორიო აზროვნებაში კვლავაც ხელუხლებლად სუფევს ყბადაღებული ფორმულა-დოგმა – ისტორიას ხალხი ქმნის, ხალხი მართავს, ხალხი განაგებს. ხოლო ცალკე პიროვნებანი, გმირები, გამოჩენილი ადამიანები, უკეთეს შემთხვევაში, ოდენ ისტორიის ანტურაჟს წარმოადგენენო და სხვას არაფერს.

და, ეს „სახელმძღვანელო დებულება“ განსაკუთრებული დაჟინებით (და დაშინებით!) ითქმოდა სწორედ იმ „ცალკე პიროვნების“ მონოკრაიტული მმართველობის ჟამს, როცა მთელი მსოფლიო, მასში შემავალი „ისტორიის შემოქმედი“ ხალხებით, მაინცდამაინც იმ ერთი პიროვნება-აბსოლუტის წარბისა და ულვაშის ქვეშ მოიჩრდილებოდა, როცა სრულიად ოიკუმენეს ყოველ ხალხთა საოცნებო საისტორიო რეკვიზიტს მაინცდამაინც იმ ერთი კაციშვილის ხელში მბოლავი ჩიბუხი წარმოადგენდა.

მანამდეც, სრულიად კაცობრიობის ისტორია, დასაბამიდგან მოაქჟამამდე, სრული ფაქტობრივი სიუხვით გვიჩვენებს და გვიმტკიცებს, რომ ისტორიის შემოქმედნი, წარმმართველნი, მესაჭენი, კორიფევსნი – არიან სწორედ პიროვნებანი, კაცნი ძლიერნი, გამოჩენილნი ნებისანი და გონებისანი.

ხოლო, ხალხი?!

ხალხი მასალაა ისტორიისა – მდიდარი, ნაირსახოვანი, აქტიური (და არა „ინერტული“) მასალა, რომლის მადლიანი სხეულისაგან ისტორიას აშენებენ სწორედ ძლიერი პიროვნებანი – ნიჭიდან, ტალანტის გავლით, გენიალობამდე ამაღლებულნი.

ამიტომ „უპიროვნებოდ“ ისტორია არც იქმნება, არც იწერება. ან თუ დაწერილა (ჩვენში რომ მეგატონობით დაწერილა!), არ წაკითხულა, არც არასოდეს წაიკითხება...

როგორც საისტორიო გამოცდილება სრული უცდომელობით გვიჩვენებს, ყოველი მსოფლიო იმპერია ზედმეტ-ნაკლებად ეფემერულია და, „როგორც წესი“, ბოლოს და ბოლოს უნდა დაინგრეს“ (37. გვ.3).

როგორც დრომ დაგვანახვა, საბჭოურმა – ყოვლის შემძლე იმპერიამ, 70 წელი ძლივს გაძლო და ქარის ერთი შემობერვისთანავე უცებ დაიშალა.

ილია ჭავჭავაძე, ერთ-ერთ წერილში, რომელიც მან მიუძღვნა დიმიტრი ყიფიანს წერს:

„როცა ამისთანა კაცი სამუდამოდ მიდის, თითქო ჩემი და თქვენი წილადხდომილი სინათლე მზისა თან მიაქვსო, თითქო თვითეული ჩვენგანი გრძნობს, რომ თან ჩემი, თქვენი ნაწილი, ჩემი, თქვენი ბედნიერება წაიღო, თითქო ვგრძნობთ, რომ ამისთანა კაცთან ერთად ჩვენს საკუთარს ბედნიერებასაც ვკარგავთ, და ამის შემდეგ რაღა საკვირველია, რომ მივტირით ამ დაკარგულს ბედნიერებასა“ (1, ტ.4, გვ.226). შემდეგ განაგრძობს:

„რაკი ადამიანს არ შეუძლიან კაცთა კრებულის გარეთ იცხოვროს ცალკედ და მიუკარებლად, რაკი ერთმანეთობა ბედისწერასავით თვითეულს ჩვენგანს – გვინდა თუ არა – სხვის გამკითხველად ჰხდის და უამისოდ კაცი კაცს ვერ შეხვდება, ვერ შეეყრება, ვერ გაეყრება, აქედამ ცხადია – რა დიდძალი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს გრძნობას განკითხვისას კაცთა საზოგადოების არსებობისათვის. ხოლო ისიც ცხადია, რომ ვერ-გამკითხველი თავის-თავისა სხვის განკითხვასაც ვერ შესძლებს, და სწორედ აქ არის სათავეც ყოველის უბედურებისა. იმიტომ რომ მაშინ მართალი აღარ ჰტრიალებს საზოგადოებაში და ყოველივე უბედურება ხომ უმართლობისაგან არის წარმომდგარი“ (1, ტ.4, გვ.229).

ილიამ, ისტორიკოსის, არქეოლოგის და ეთნოგრაფის, 1879 წლიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის დიმიტრი ბაქრაძის (1826–1890) გარდაცვალებას გამოეხმაურა 2 წერილით. სადაც აღნიშნავდა მის დამსახურებას ერის წინაშე.

„დიმიტრი თითქმის მარტორდმარტო შეეჭიდა ამ ორმოცის წლის წინად დიდსა და ძნელს საქმეს ჩვენის წარსულის გამორკვევისა და გამოძიებისას და სიკვდილამდე მარტომ ჰზიდა ეს ტვირთი... მარტომ გადასწმინდა გამოცდილის ხელით მტვერი ძველ ხელნაწერებს, ეტრატებს, ძველისძველ გუჯრებსა და სიგელებს და მკვდართა ამა მოწამეთა ხმა ამოაღებინა, აალაპარაკა მოსათხრობლად ძველისა. არ დარჩა ძველი ტაძარი, ძველი ეკლესია, არ დარჩა თითქმის არც ერთი ქვა წარწერილი, არც ერთი ნაშთი, რომ მის მიერ ნახული და გამოძიებული არ იყოს...

შენ წახვედ და საქმენი შენნი დაგვრჩნენ ჩვენ შენდა სახსოვრად. ჩვენ არ დაგივიწყებთ არც შენ და არც შენს ღვაწლს, არც შენს ამაგს, არც შენს თავდადებას ისტორიისათვის იმიტომ, რომ გვახსოვს სახელოვანის მიშლეს ნათქვამი: ისტორია აღდგომა არის და შენ ისტორიით აღვადგინე“ (2, ტ.V, გვ.478).

„იმ კაცმა... მთელი ორმოცი წელიწადი იღვაწა და დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ნამყო გვქონდა, აწმყო გვაქვს და მომავალი გვექნება. იმედი ხვალისა მან მოგვამადლა ჩვენ. თვითონ წავიდა და ჩვენ ხელთ მოგვცა მწვანე შტო იმედისა, სასოებისა, რომელიც მან ხეს მეცნიერებისას და ცნობადისას მოჰკვეთა და ნოეს მტრედსავით მოგვიტანა და გვახარა: ნუღა გეშინისთ წარღვნისაო. სხვაგან ამისთანა კაცის საფლავი სალოცავია მამულისა“ (2, ტ.V, გვ.481).

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ილია წინამძღვრიშვილის და დიმიტრი ბაქრაძის შესახებ დაწერილი მისი წერილები. ნარკვევში, „ლუარსაბ წამებული“, ავტორი ლუარსაბს წარმოგვიდგენს, როგორც სამშობლოსადმი თავდადებულ, ერისა და სარწმუნეობის დამცველ მეფედ. ქართლის მეფე (1606–1615) ლუარსაბ II (1592–1622) 14 წლის იყო, როდესაც მეფედ დაამტკიცა, საქართველოში მყოფმა, სეფიანთა დინასტიის წარმომადგენელმა, ირანის შაჰმა აბაზ I დიდმა (1571 –1629), რომლის დროსაც ირანი მძლავრ სახელმწიფოდ იქცა.

როგორც ცნობილია, იმ დროინდელ საქართველოში მომხდარი პირობების გამო, ლუარსაბ მეფე იძულებული გახდა გამგზავრებულიყო ირანში და ხლებოდა შაჰ-აბასს, მიუხედავად იმისა, რომ მას ურჩევდნენ არ წასულიყო. ილია ასე აღწერს ამ ამბავს და იმ დროს მომხდარ ამბებს:

„ბევრი ურჩიეს წარჩინებულთა და დიდებულთა, ნუ მიენდობი ყეენსა და ნუ წახვალო, მაგრამ მეფემ ასე უპასუხა: „უკეთუ არა წავიდე, ამიყრის ქვეყანასა და მოაოხრებს, რა მადლი არს ჩემდა“ (1, ტ.4, გვ. 186).

მაზანდარანს ჩასულ მეფეს, შაჰმა გამოუცხადა, რომ მას უნდა უარეყო ქრისტეს რჯული და გამაჰმადიანებულიყო. სამაგიეროდ დიდ პატივსა გცემო და „დიდებითა განგიტეო ქვეყანად შენდაო“. ახალგაზრდა მეფემ უარყო ეს მოთხოვნა და უპასუხა:

„უკეთუ ყოველი ქვეყანთ ჩემდა იყოს, არა თავს ვიდვა სიტყვათა და ქადაგებათა შენთა მორჩილებაი, არამედ მეუფისა და ღვთისა მიერ ჩემისა ნათელ-მიღებიეს, და მის მიმართ დამიძს სასოება ჩემი და თვინიერ მისა სხვა ღმერთი არავინ ვიცი“ (1, ტ.4, გვ.186).

გაბრაზებულმა შაჰმა, იგი ციხეში დაამწყვდია სადაც მან 7 წელი გაატარა, მაგრამ მეფე „ესრეთ მტკიცედ და შეურყევლად ჰდგა, ვითარცა კლდე ანდამატი, და ესრეთ იხილვებოდა მშვენიერი და ბრწყინვალე პირი მისი — ვითარცა ოქრო გამოდნობილი ბრძმედსა შინა, და განკვირვებულ იყვნენ სიმხნისა და ახოვნებისა მისისათვის.“ ბევრს ურჩევდნენ მეფეს შეებრალა თავისი მშვენიერება და სიჭაბუკე, და მწარითა სიკვდილითა არ მომკვდარიყო შაჰ-აბაზის უწყალო ხელითა, მაგრამ მეფემ არ უღალატა თავისის ქვეყნისა და ერის რჯულსა და არ შეუდრკა სიკვდილსა“ (1, ტ.4, გვ.187).

1622 წ. შაჰის ბრძამებით, ჯალათებმა „დაარჩვეს მშვილდის საბლითა.“ „გვამი ესრეთ ქვეყნისა და რჯულისათვის წამებულის მეფისა ჰმარხია შირაზს“ (1, ტ.4, გვ.187).

ლუარსაბ მეფის თავგანწირვას, ილიამ შემდეგი სიტყვები მიუძღვნა:

„მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე. ამიტომაც მეტად არა ვსთვლით, რომ დღეს ერთი საქართველოს გმირთაგანი გავიხსენეთ, იგი გმირი, რომელმაც სთქვა: რა მადლია თავი გადავირჩინო და ჩემი ქვეყანა მტერს ავაოხრებინოო, — წავიდა და წამებულის გვირგვინით შეიმოსა სახელოვანი თავი ქვეყნისა და ქრისტეს სახელითა. და დღეს ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა გარდა იმისა, რომ ბესარიონ კათალიკოზთან ერთად ქება-დიდებით წარმოვსთქვათ:

„ყოფადთა მცნობი, ბრძენი და ახოვანი

მეფე ლუარსაბ დღეს იდიდებოდენ“ (1, ტ.4, გვ.187).

საქართველოში, ისე როგორც ყველგან, სხვა ქვეყნებში, ხდებოდა მტრომა, ღალატი, შური, ფეოდალთა გამოსვლები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ურთიერთ მტრობა და სხვა. ამ შინააშლილობამ ქვეყანა დაცემის პირამდე მიიყვანა.

ჯერ კიდევ ადრე, ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი პოეტი დავით გურამიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს მდგომარეობის შესახებ, „დავითიანში“ წერდა:

„შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა,
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება — ქვრივთა, ობოლთა, მწირისა.
— — — — — — — — — — — — — — — — — — — —
ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას საცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორნივე დაღალულნი ძაღლმა ნახოს, პირი ჰკიდოს, —
ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“ (34, გვ.75).

საქართველოს ამ ვითარების გამო, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ჩვენს ისტორიის საძირკველში მაგარ ქვებთან ერთად, ფხვიერი ქვებიც იყო ჩადებული. სხვათა შორის, ეს „ფხვიერი ქვებიც“ თავს იჩენს დღევანდელ დღესაც. ზოგიერთი ჩვენი რუსოფილები ვერაფრით ვერ ურიგდებიან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას და მისტირიან ადრინდელ დროს — საბჭოურ წყობილებას.

ცნობილია, რომ ლუარსაბის დროს, მოღვაწეობდა უდიდესი პიროვნება, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გიორგი სააკაძე (1570–1629), რომელიც იბრძოდა მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის. გიორგი წარმოშობით სამეფო აზნაურებს ეკუთვნოდა. იყო ნიჭიერი, განათლებული და სამხედრო საქმის დიდი მცოდნე. ლუარსაბის დროს ის თბილისის, ცხინვალის და დვალეთის მოურავი იყო. ცდილობდა ფეოდალთა შინა ომები აღეკვეთა და თავგასული თავადების ცენტრალური ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი, ორი ბანაკი: გიორგი სააკაძის, რომელსაც მხარს უჭერდნენ აზნაურები, ზოგიერთი თავადები, ვაჭარ-ხელოსნები და გლეხობა. ხოლო მეორე ბანაკში იყვნენ, შადიმან ბარათაშვილი (XVI ს. ბოლო-XVIII ს. I მესამედი, პოლიტიკური მოღვაწე, ლუარსაბის გამზრდელი, მეფის სუფრაჯი) და მისი მომხრე ფეოდალები. თავდაპირვე-

ლად, ლუარსაბ მეფე, გიორგის მხრს უჭერდა, მაგრამ შადიმანმა მოახერხა თავის მხარეზე გადმოებირებინა და საბოლოოდ გიორგიც და ლუარსაბიც დაღუპა.

საერთოდ, გიორგი სააკაძე რთული პიროვნება იყო. მის შესახებ დღესაც კი არაერთგვაროვანი აზრია ჩამოყალიბებული. ერთი კი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ წარმოებული ომების შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა.

ი. ჭავჭავაძე, გიორგი სააკაძის პიროვნებას შემდეგნაირად ახასიათებს:

ლუარსაბის „დროს იყო იგი სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენთა ისტორიკოსთაგან, და რომელიც, იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებითა, დღეს-აქამომდე არც ავად არის ჩვენ მიერ დაფასებული და არც კარგადა. მისი ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი, – ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელს გამკითხველსა. ეს კი გულდაჯერებით საღიარებელია, რომ მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირველი და გასაოცებელი...

დიდ მოურავს სააკაძეს, როგორც ერთს უპირველესს კაცს იმ დროში, დიდი გავლენა და ზედმოქმედება ჰქონდა მეფის ლუარსაბის სვე-ბედზედ და თვით მთელ საქართველოზედაც.

ჯერ ვსთქვათ ის, რომ დაი სააკაძის ცოლად შეირთო ლუარსაბ მეფემ... დიდი მოურავი თუმცა ყოვლად ნიჭიერი კაცი იყო, ყოვლად მხნე სახელმწიფო კაცი და წარჩინებული მეომარი და სარდალი, მაგრამ ყოველივე ეს ვერ იპატიებდა მას მდაბალ-ბუნებიანთა კაცთა შურისაგან. ეს ნაძირალი გრძნობა ადამიანის ავზნეობისა ბევრს მეტოქეს და მოშურნეს მოუპოვებდა მაშინდელ დიდებულთა შორის, რომელთაც მოდგმა უფრო დიდ ღირსებად მიაჩნდათ, ვიდრე ნიჭიერი დიდ-ბუნებიანობა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ ამ სახელოვანს დიდ მოურავსა მრავალი მტერი აუჩნდა“ (1, ტ.4, გვ.184).

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, დიდ ფეოდალთა მტრობის გამო, იგი იძულებული გახდა ჯერ შეჰკედლებოდა შაჰ-აბაზს, ხოლო შემდგომ, გადახვეწილიყო ოსმალეთში და იქაც შურისა და მტრობის გამო დაიღუპა.

ილია ჭავჭავაძეს წერილებში, აღნიშნული ჰყავს XVIII ს. გამოჩენილი ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720–1798)წწ., რომელსაც ხალხმა „პატარა კახი“ შეარქვა და რომელიც, მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ისტორიიდან ცნობილია, რომ XVIII ს. საქართველო, ყოველმხრივ გარშემორტყმული იყო მტრებით და ერეკლეს უხდებოდა დღე და ღამ მტრების მოგერიება.

წერილში, „ასი წლის წინათ“, ილია წერს, რომ:

„11-ს იანვარს 1798 წელს თელავში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული სახელოვანი მეფე ერეკლე...

დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა“, უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს“ (1, ტ.4, გვ.207). ხოლო, მეორე წერილში, „ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“, ილია წერს, რომ 1898 წლის 22 თებერვალს სრულდება 100 წელიწადი რაც ერეკლე მეფე მიწას მიაბარეს და მოჰყავს პოეტის, პუბლიცისტის და კრიტიკოსის ჰაინრიხ ჰაინეს (Heine) (1797–1856) შემდეგი სიტყვები:

„თვითეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, – ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, – დამარხულია მთელი ქვეყნიერობის ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითოეულად, მაშ უფრო ბევრ-რიგად მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო“. უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლმოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“... „ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი, აი მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვა ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?...

ხმა ერისა და ხმა ღვთისაო ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებშია, იმიტომ რომ ერის მიერ ქება უდიდ-ღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია, და ბევრი სახელდებული ისტორიასი კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს“ (1, ტ.4, გვ.267).

ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძის წერილების განხილვა:

„იმედია, დაარწმუნებს ყველას, თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ილ. ჭავჭავაძის მოღვაწეობა ისტორიის დარგში: როგორც ამ მეცნიერების ზოგადს ამოცანებსა და მეთოდოლოგიაზე, ისევე

კერძოდ საქართველოს ისტორიისა და ისტორიკოსთა ამოცანებსა და სწორი მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვების შესაძლებლობაზეც ჩვენს დაუვიწყარს მოამაგეს ფრიად საგულისხმო მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული. მაგრამ ქართულს მაშინდელ ისტორიოგრაფიაში ისეთი უმწეო მდგომარეობა იყო, რომ არამცთუ არსად ჩანდა მკვლევარი, რომელსაც თვითონვე ნათლად გაეთვალისწინებინა, თუ რა იყო უპირველესად გასაკეთებელი და შესასწავლი, როგორის თანდათანობითა და რა საშუალებით უნდა ყოფილიყო საქართველოს ისტორიის უამრავი მასალები განხილული, არამედ, ილ. ჭავჭავაძის ზემო-აღნიშნული წერილების შემდეგაც არავინ აღმოჩენილა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი მგოსნისა და პუბლიცისტის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება ეცადოს და მეთოდების გამოყენება შეძლებოდეს. ქართველ ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“-ო. და, ჩვენდა საუბედუროდ, მაშინ ილ. ჭავჭავაძეს კარგი გამგონე არ გამოსჩენია, მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არ არის?! თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელ ბელადად ითვლებოდა, წარსული საუკუნის დამლევითგან მოყოლებული, როგორც ცნობილია, თავი იჩინა ისეთმა მიმართულებამ, რომელიც არამცთუ საზოგადოებრივი აზრის მის ბელადობას სრულებით უარყოფდა და მიწასთან გასწორებას ცდილობდა, არამედ პოეზიის დარგშიც კი მისი ღვაწლის მთლიანად გაქარწყლებას ლამობდა“ (3, გვ.91).

3. ილია ჭავჭავაძე და რუსეთი

ილია ჭავჭავაძე მრავალ წერილსა თუ ნარკვევში, განიხილავს და აღწერს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთ დამოკიდებულებას და ამ ურთიერთობის ისტორიას. საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთ შორის კავშირი, როგორც ცნობილია ისტორიიდან, ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეში დამყარდა და ეს კავშირი მომდინარეობს დღემდე.

როგორც ცნობილია, საქართველო რუსეთს დაუკავშირდა ძირითადად ერთმორწმუნეობის გამო.

რუსეთის იმპერიისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ, უნდა ითქვას, რომ: ერთის მხრივ, (მით უმეტეს, საბჭოთა იდეოლოგიის დროს), ეს იყო მეგობრული, ძმური, ურთიერთ მოყვრული, ხელი-ხელ ჩაკიდებული, კულტურული და რაც მთავარია – უფროსი ძმის (რუსეთის) მიმართ, მადლიერების გრძნობის გამომხატველი.

მეორეს მხრივ, რაც სინამდვილეში ხდებოდა, ეს იყო – კოლონიური, მონური, მბრძანებლური და დამპყრობლური; და თუ გადავხედავთ რუსეთის ისტორიას, იგი ყოველთვის ისწრაფვოდა სხვისი მიწების მიტაცებას და სხვა ერის დამონებას, რაც ახასიათებდა, ყველა დიდ ერს.

საბჭოთა კავშირის დროს ვერავინ გაბედავდა „უფროსი ძმის“ წინააღმდეგ ხმის ამოღებას, სიმართლის თქმას. საქართველოსათვის, როგორც ამას ზოგიერთი პარტიული მუშაკები ქადაგებდნენ, რაღაც მიზეზების გამო, „მზე ჩრდილოეთიდან ამოდიოდა“. „Великий Русский Народ“, ეს იყო მთავარი იდეოლოგია, საბჭოეთში შემავალი ყველა ერისათვის, ხოლო რევოლუციამდე, რუსებისათვის ყველა სხვა ერნი წარმოადგენდნენ „ტუზემცებს“ და მათთან შედარებით, გაუნათლებელ და მდაბიო ხალხს.

ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა და საგაზეთო-პუბლიცისტურ ნაწერებში, არა ერთხელ შეხებია რუსულ ლიტერატურას, ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას და რუსულ ენას. არა ერთხელ აღუნიშნავს რუსული საზოგადოებრივი აზრის, ლიტერატურისა და მეცნიერების გავლენა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებასა და საერთოდ ქართულ ცხოვრებაზე.

საბჭოურ უამრავ ნაშრომებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებში, რომელნიც ეხებოდა ილია ჭავჭავაძეს, ყველგან აღნიშნავდნენ რუსული საზოგადებრივი აზრის, რუსული ლიტერატურის გავლენას მასზე და ისე წარმოადგენდნენ, თითქოს ილიას მთელი თავისი ლიტერატურული შემოქმედება, მხოლოდ რუსული ლიტერატურისა და მეცნიერულ-ფილოსოფიური აზროვნების ზეგავლენით დაეწეროს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველთვის აფასებდა რუსი ხალხის ლიტერატურას, ხელოვნებას, ფილოსოფიურ აზროვნებას და საერთოდ რუსულ კულტურას. მის ნაწერებში, ვხვდებით რუსულ ხალხურ ზეპირსიტყვაობის ნიმუშებს, პროგრესულ მწერლების გამოთქმებს, რევოლუციონერ-დემოკრატი მოაზროვნეების შეხედულებებს.

ჩვენ, ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძემ სტუდენტობის წლები, გაატარა პეტერბურგში და ეს ოთხი წელი, სტუდენტობის დრო, მისთვის იყო სულიერად ჩამოყალიბების დრო. ამ დროს იგი ეზიარა, როგორც ევროპულს, ასევე რუსულ ლიტერატურას, იდეებს, ფილოსოფიურ მიმდინარეობებს და მეცნიერებას.

პეტერბურგში ჩამოყალიბდა იგი იდეურად და აზრობრივად, და მიიღო ის ცოდნა, რომელიც შემდგომში მან მოახმარა თავის ხალხს და სამშობლოს.

მის შესანიშნავ ნაწარმოებში, ,,მგზავრის წერილებში", ასე გამოხატა პეტერბურგში გატარებული დრო:

,,ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა" (1, ტ.2, გვ.10).

როგორც ვხედავთ, პეტერბურგში გატარებულ სტუდენტობის დროს ილია ჭავჭავაძე დიდათ აფასებდა. რა თქმა უნდა, პეტერბურგს გადამწყვეტი ადგილი უკავია ილიას ცხოვრებაში, მის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. აქ გახდა იგი როგორც შემომქმედი და მოაზროვნე.

მის დროს, პეტერბურგი ითვლებოდა და მართლაც წარმოადგენდა, მთელი რუსეთის იმპერიის კულტურისა და უმაღლესი მმართველობის უდიდესს ქალაქს. ვინაიდან მაშინდელ დროს, საქართველოში არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო, ადრინდელი საღვთო და საერო სასწავლებელნი რუსეთის ხელისუფლების მიერ გაუქმებული იყო, ამიტომაც იყო, რომ ქართველი ახალგაზრდობა, ვისაც შეძლება ჰქონდა და უნდოდა ცოდნის შეძენა და გაღრმავება, იძულებული იყო გამგზავრებულიყო რუსეთში, ან საზღვარგარეთ. იქ ეცნობოდნენ ისინი როგორც რუსეთის, ასევე უცხოეთის მოწინავე მეცნიერებას, ლიტერატურას, ისტორიას, ფილოსოფიას, ეკონომიკურ აზროვნებას და საერთოდ, აქ ხდებოდა ამ ახალგაზრდების რწმენის ჩამოყალიბება, რომლის შემწეობითაც ამ ახალგაზრდებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონიეს საქართველოს ისტორიაში.

სწორედ ეს ის დრო იყო, როდესაც XIX საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთში შემოაღწია ახალმა მოწინავე იდეებმა. ევროპაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა, შეარყია მთელი ძველი დახავსებული რუსული ცხოვრება.

ილია და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები დაეწაფნენ ამ ახალ აზრებს და დაიწყეს ცხოვრებაში პრაქტიკულად მისი გატარება. 1881 წლის

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VIII, ილია შემდეგნაირად ახასიათებს იმ დროინდელ რუსეთს:

„ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზე თუ არა სულ სხვა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭულმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის-თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა, ნახა რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუბებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც გონებით მცხოვრებ საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველ ვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო — გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნათლად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობა, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „Современник-и“ (1, ტ.5, გვ.87).

ამავე წერილში, ილია განიხილავს რუსეთის კონსერვატორებსა და ლიბერალებს. იგი წერს:

„დღეს რუსეთმა ბევრით წინ წაიწია. თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადაიქცა რეტროგარდობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავი გაიტანა, თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი: ხელოვნებაზედაც, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხებსა და თავადზედაც; ყოველს

ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელ-ქვეშ ცხოვრების შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი საგანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის განსადევნად“ (1, ტ.5, გვ.94).

„Современник“-ი წარმოადგენდა ლიტერატურულ, საზოგადოებროვ-პოლიტიკურ ჟურნალს, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში (1836–1866) წწ-ში. დააარსა, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებელმა ა. პუშკინმა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1838 წლიდან ჟურნალს გამოსცემდნენ:

ანტონოვიჩი მაკსი (1835–1918) – პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და რევოლუციონერ–დემოკრატი;

ბელინსკი ბესარიონი (1811–1848) – კრიტიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი და ფილოსოფოს-მატერიალისტი;

დობროლიუბოვი ნიკოლოზი (1836–1861) – პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და რევოლუციონერ-დემოკრატი;

ნეკრასოვი ნიკოლოზი (1821–1877/78) – პოეტი;

ნიკიტენკო ალექსანდრე (1804–1877), – ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი;

პანაევი ივანე (1812–1862) – მწერალი და ჟურნალისტი;

პლეტნიოვი პეტრე (1792–1865) – პოეტი და კრიტიკოსი;

ჩერნიშევსკი ნიკოლოზი (1828–1889) – მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მეცნიერი და რევოლუციონერ-დემოკრატი;

ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა რუსეთის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება:

ვიაზემსკი პეტრე (1792–1878) – პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი;

გერცენი ალექსანდრე (1812–1870) – მწერალი, ფილოსოფოსი და რევოლუციონერი;

გოგოლი ნიკოლოზი (1809–1852) – მწერალი;

გონჩაროვი ივანე (1812–1891) – მწერალი;

გრიგოროვიჩი დიმიტრი (1822–1899) – მწერალი;

ელისეევი გრიგოლი (1821–1891) – პუბლიცისტი და ჟურნალისტი;

ოგარიოვი ნიკოლოზი (1813–1877) – პოეტი, პუბლიცისტი და რევოლუციონერი;

ოდოევსკი ვლადიმერი (1804–1869) – მწერალი და მუსიკის კრიტიკოსი;

სალტიკოვ-შჩედრინი მიხეილი (1826–1889) – მწერალი-სატირიკოსი, განმანათლებელი;

ტოლსტოი ლევი (1828–1910) – მწერალი;

ტურგენევი ივანე (1818–1883) – მწერალი, პოეტი და კრიტიკოსი;

უსპენსკი გლები (1843–1902) – მწერალი და სხვები.

ილია, რუსულ მწერლობას შემდეგ ნაირად ახასიათებს:

„რუსეთის მწერლობა ღირსშესანიშნავია, რამდენადაც ღირსშესანიშნავია თვით რუსეთის ცხოვრება, მისის ჭკუისა და აზრის მიმართულება და წარმატება. რაც ხეირიანი და გამოსადეგი რამ აბადია რუსულს აზრს და ჭკუა-გონებას, არსებობს სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებში. ეს არის რუსის საზოგადოების აღმზრდელი და იმავე დროს მისის სურვილისა და მიდრეკილების გამომთქმელი, მაშასადამე, თუ საჭიროა ჩვენთვის რუსეთის ცხოვრების გაცნობა, საჭიროა იმავე საბუთით იმ ლიტერატურის გაცნობაც, რომელიც დასტრიალებს მას და სულს უდგამს.

რასაკვირველია, რუსეთის ლიტერატურაში მოიპოვება ზოგჯერ ბევრი იმისთანა რამ, რომელიც ერთგვარად შესანიშნავია, რა ენაზედაც და რა საზოგადოებაშიც უნდა გადატანილ იქმნას. ამაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის. მისი მნიშვნელობა ცხადია, როგორადაც ცხადია ახალის ცოდნისა და აზრის შეთვისების საჭიროება, ვისიც და სადაურიც უნდა იყოს იგი აზრი“ (1, ტ.3, გვ.266).

ილია თავის ნაწერებში აღნიშნავდა რუსეთის მოწინავე მეცნიერებისა და ლიტერატურის გავლენას ქართველ ახალგაზრდებზე. ამის შესახებ იგი აღნიშნავს ერთ-ერთ წერილში, „დედათა საქმე და ქალთა განათლება“, სადაც რუსული ლიტერატურის შესახებ წერს:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა... რუსულმა სკოლამ – მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა“ (1, ტ.4, გვ.369). აქვე შენიშნავს, რომ ამ გავლენამ სიკეთე მოუტანა მხოლოდ იმათ, რომლებმაც ბრმად არ გადმოიღეს ეს სიახლეები და შეძლეს ყოველი საკითხი კრიტიკულად განეხილად.

„ყოველი აზრი, – წერდა ილია, – მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარყვიათ... ლიტერატურა, რომელსაც მადლი ცხოველმყოფელობისა სძრავს და ამოქმედებს, ერთი გაუწყვეტელი გრეხილია აზრთა ზედმიყოლებით განვითარებისა და წარმატებისა. ამისთანაა რუსული ლიტერატურაცა“ (1, ტ. 4, გვ.370).

ილია ახალ თაობას აფრთხილებდა და აღნიშნავდა, რომ ამ ახალმა მოძღვრებებმა, ახალმა ლიტერატურამ არ უნდა გაგვიტაცოს და ყოველივე „განათლებულმა ქართველმა“, პირველ რიგში, საკუთარი ერის ისტორია, საკუთარი ენის შესწავლა უნდა დაუდოს სარჩულად. იგი წერილში, „თერგ-დალეულნი“ და ახალი თაობა“ წერდა:

„ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ რუსულის მწერლობის შესწავლა და ცოდნა ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრება იმდენად საინტერესო და განსაკუთრებულის ხასიათისაა, რომ ორისავე შესწავლა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მართლაც, რუსეთი ყოველის მხრით იმდენად შესანიშნავია, რომ დაწინაურებული ევროპა, საიდანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარს ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარსა განათლებისას, ჰკვირობს რუსულის მწერლობის სიმდიდრეს და თავისებურებას. ჩვენც, რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო, ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულმა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისედ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით“ (1, ტ.3, გვ.314).

ილია გულისტკივილით აღნიშნავდა წერილებში, რომ საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა რუსულ ენას, რუსულ ლიტერატურას, რუსულ ისტორიას და სწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ რუსულად. იგი აცხადებდა, „რომ უცხო

მწერლობა და ვითარება ბევრად უფრო კარგად ვიცით, ვიდრე საკუთარი. განა თვითეულმა განათლებულმა ქართველმა უცხო მწერლობა საკუთარზე უკეთ არ იცის, რადგანაც სწავლის დაწყებიდანვე თვით დასასრულამდე უცხოსა სწავლობს და, არა საკუთარს? ბევრს შეხვდებით, რომლებსაც გადაკითხული და გაცნობილი აქვსთ მთელი, მაგალითად, რუსული სიტყვაკაზმული ლიტერატურა, მაშინ როდესაც სრულიად წაკითხული არა აქვსთ, საუკეთესო ნაწერები ქართულის ლიტერატურისა. იგივე ითქმის უცხო და საკუთარის ისტორიასა და ცხოვრებაზედაც“ (1, ტ.3, გვ.314).

ილიას დამოკიდებულებას რუსული ენის შესახებ, ჩვენ არა ერთხელ შევეხეთ, როდესაც ვიხილავდით ენის საკითხებს. ამიტომ, აქ აღარ შევეხებით ამ თემას. ჩვენ ერთს აღვნიშნავთ, რომ მის პირველივე კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვაში...“, როდესაც მსჯელობდა ნ. კარამზინის შესახებ, იგი წერდა, რომ რუსეთში ნ. კარამზინს „მხოლოდ იმისთვის სიამაყით ახსენებენ მაგის სახელსა, რომ რუსული ენის აღდგინება მაგან დაიწყო. რუსეთში და პირველად მაგან დაამუშავა თავის ქვეყნის ისტორია. აი, რა მნიშვნელობა აქვს კარამზინსა რუსეთისათვის. სულ ეგ ორი დიდი საქმე რუსეთისათვის – უქმია ქართველებისათვის. კარამზინმა რუსეთის ენა აღადგინა და რუსეთის ისტორია დაიმუშავა, მაგითი ქართველებს რა შეგვემატა? კარამზინს მარტო ხელოვნებითის სიტყვების მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისა და ეგ მნიშვნელობა რუსეთშიაც დაცინებულია“ (1, ტ.3, გვ.54).

ასევე ახასიათებს ზოგიერთ სხვა მწერლებსაც, რომლებიც თვით რუსებისათვისაც მიუღებელნი იყვნენ: ალექსანდრე სუმაროკოვს (1717–1777) და მიხეილ ხერასკოვს (1733–1807) და „სხვა მათებრ გაბერილები თავიდან ფეხამდინ უნიჭოებითა“ (1, ტ.3, გვ.11).

ხოლო, რუს პოეტსა და მთარგმნელს ივანე კოზლოვს (1779–1840) ილია ახასიათებს როგორც მეორე ხარისხოვან უნიჭო პოეტს და აღნიშნავდა, რომ ის რაც დაწერა მის შესახებ, „ისა ვსთქვი, რასაც მთელი განათლებული რუსეთი ამბობს“ (1, ტ.3, გვ.34). საბოლოოდ, ილია ი. კოზლოვის შესახებ წერს, რომ იგი „იმისთანა მწერალია, რომ არაფერი დაეწერა, რუსეთს იმითი არა დააკლდებოდა-რა, და რადგანაც დაუწერია, იმითიც არა მოჰმატებია-რა“ (1, ტ.3, გვ.19). ჩვენ ი. კოზლოვის შესახებ, ზევით გვქონდა მსჯელობა და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ.

ი. ჭავჭავაძე, საერთოდ, არ თვლიდა საჭიროდ რუსეთში მიღებული, „წარსულ დროთა სიცრუე და ცდომილების“, „ცრუ-კლასიკური“ სენტიმენტალური

მიმართულების გადმოღებას და გავრცელებას ქართულ ლიტერატურაში. მისი თქმით, რუსეთში ეს მიმართულება შემოიღო ნ. კარამზინმა.

ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა და პატივისცემით აღნიშნავდა რუსი ხალხის მოწინავე მწერლებსა და მოღვაწეებს. „ორიოდე სიტყვაში...“ პოეტებს: ა. პუშკინსა და მ. ლერმონტოვს, იგი უწოდებს „უპირატესნი ვარსკვლავნი რუსის ლიტერატურისა“-ს. ხოლო, წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VII, ა. პუშკინის შესახებ წერდა, რომ მან, „პირველად დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლექსისა და სიტყვიერებისა“ (1, ტ.5, გვ.185).

წერილში, „გოგოლის „რევიზორის“ საიუბილეოდ“, ილია აღნიშნავს, რომ რუსეთმა „იცის თვისთა უკეთესთა კაცთა დაფასება“ და „მისნი უკეთესნი შვილნი“, „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, და განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა“ (1, ტ.3, გვ.86).

ილია ნ. გოგოლს უწოდებს რუსეთის „სახელოვან კაცს“ და „რუსეთის სახელოვან მწერალს“.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XVII-ში, პატივისცემით იხსენებს ჟურნალ „Современник“-სა და მის რადაქტორს ნ. ნეკრასოვსა და აგრეთვე, მწერალს, თევდორე დოსტოევსკის (1821–1881). აღნიშნავს რუსი ხალხის მათდამი პატივისცემას და სიყვარულს. ნ. ნეკრასოვს უწოდებს „საქვეყნოდ მოღვაწე კაცს“.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VIII-ში, რევოლუციონერ-დემოკრატის, პუბლიცისტის, ლიტერატურისტ-კრიტიკოსისა და ფილოსოფოს-მატერიალისტის დიმიტრი პისარევის (1840–1868) შესახებ წერდა, რომ მას მხარს უჭერდნენ მარქსისტები და „თერგდალეულებში“ საყოველთაო პატივისცემით

სარგებლობდა, რომ იგი უარყოფდა ესთეტიკას და ეგრეთწოდებულ „წმინდა ხელოვნებას“. ადიდებდა ი. ტურგენევის „ბაზაროვს“, ხოლო ა. პუშკინს „მოძველებულ კერპად“ თვლიდა.

როგორც საქართველოში, ასევე რუსეთშიც, საზოგადოება იყო ორ ბანაკად გაყოფილი: „მამებად“ და „შვილებად“. ილია წერს, რომ „მთელი რუსეთი გაიყო ორ ბანაკად“. ერთნი – „მამები“, არსებული წყობილების მომხრენი და მეორენი – „შვილები“, რომლებიც ძველს, არსებულ წეს-წყობილებას უარყოფდნენ და ახალი აზროვნების, ახალი წყობილების და ახალი საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ მიისწრაფებოდნენ. „მამები“ და „შვილები“, „რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად“ (1, ტ.5, გვ.89).

ევროპაში ძველის წყობის დამცველებს კონსერვატორებს, ხოლო მეორეს, ახალი აზროვნების დამცველებს კი – ლიბერალებს ეძახიან. ილიას თქმით:

„ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მოქმედებს, მეორე ის – რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა – ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება,– მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე, ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის იტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა“ (1, ტ.5, გვ.89).

ილიას აზრით, რუსეთში „მამებმა“, „ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა“. ხოლო ამაზე გაგულისებულმა „შვილებმა“ უარყვეს „არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო“ (1, ტ.5, გვ.92).

როგორც ჩვენთან, ასევე რუსეთშიც „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ბრძოლა გამწვავდა. „მამებს“ იცავდა გაზეთი „Московские ведомости“ და ჟურნალი „Русский вестник“, ხოლო „შვილებს“ – ჟურნალი „Современник“-ი. ილია წერდა, რომ ამ ახლებს, „შვილებს“, შორის მოღვაწეობდა დ. პისარევი. ილია ასე ახასიათებს მას:

„უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარმყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტი და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით, ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადაურჩნენ...

პისარევის უარყოფა დიდ მოდათ შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე – ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე – ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე – ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალები იყავით და ლიბერალი... ტურგენევმა რომ ყოვლის უარმყოფელი ბაზაროვი გამოხატა... პისარევმა ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია... ამ სახით, პისარევმა ჭეშმარიტს ლიბერალობას წინ კი არ გაასწრო, არამედ გვერდზედ გაუხტა, მის მოძღვრებას ნახტომი შეეშალა, ფეხი მოუსხლტა და დაეცა. დაძველდა ის ახალიცა“ (1, ტ.5, გვ.92).

ი. ჭავჭავაძე პატივისცემით იხსენებდა: ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვს, ბ. ბელინსკის, ა. გერცენს და სხვა რუსეთის მოაზროვნეებს. მათი რევოლუციონურ-დემოკრატიული იდეების გამო. თავის წერილებში, არაერთხელ აქვს ნახსენები და მათი აზრები მოყვანილი. ხშირად მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, თანხვდებოდა, მათ მიერ გამოთქმულ აზრებსა და იდეებს.

ილია ჭავჭავაძე, წერილებში, ცენზურული ვითარების გამო, ხშირად არ ასახელებდა რევოლუციონერ-დემოკრატებს. მათს შესახებ წერდა როგორც „ძველის უარყოფელთა და ახლის მესვეურთ“ და სხვა.

ილია, ერთის მხრივ რუსეთში ხედავდა ჩვენის ქვეყნის დამცველს, რომელმაც საქართველო იხსნა სპარსეთისა და ოსმალეთის დამპყრობელურ ომებისაგან,

ხოლო, მეორეს მხრივ, იგი ხედავდა და გრძნობდა, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში, ვითომდა ჩვენი ქვეყნის „დამცველს“, რა ამოძრავებდა, რა სურდა, და რას აპირებდა დიდი რუსეთის „ერთმორწმუნე“ იმპერია, რა ჰქონდათ დასახული და რის განხორციელებასაც ცდილობდნენ „ჩვენი მოყვრები“, რუსთა მესვეურები.

საერთოდ, ყველაფერს აქვს ორი მხარე, ორი სახე. ერთი — რაც სჩანს, რასაც ვხედავთ და გვგონია, რომ ეს ის არის, რასაც უყურებ და შენს თვალწინ დევს; და მეორე — რასაც ვერ ვხედავთ, რაც არ ჩანს და უნდა წარმოიდგინო, უნდა მიხვდე, უნდა განსჭვრიტო, თუ რას ხედავ, რას უყურებ და სინამდვილეში რას წარმოადგენს ის, რაც შენს წინ თვალნათლივ დევს და თუ მიხვდი, გაუგე, გაარკვიე ის მეორე უხილავი მხარე, ის დაუნახავი სინამდვილეში არსებული მოვლენა, აი მაშინ არის თვითეული ადამიანის მოქმედება სწორი და დასაფასებელი. და ილია ჭავჭავაძე სწორედ ის პიროვნება გახლდათ, რომელიც შესანიშნავად მიხვდა, გაერკვა იმ მოვლენებში რაც სინამდვილეში ხდებოდა საქართველოში და რაც ჩვენს ქვეყანას ელოდა. მან იცოდა რასაც უპირებდნენ „ერთმორწმუნე“ რუსეთის იმპერიის მოხელეები საქართველოს და მთელს კავკასიას, და მისი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა დაეცვა ქართველი ერი ტკბილად მოუბარ, ჩვენივე თხოვნით, „ძმობით“, მოსულ დამპყრობელისაგან.

ის რაც ვერ შეძლეს მრავალი საუკუნეების განმავლობაში გარს მომდგარმა მტრებმა, და საქართველომ გაუძლო ამდენ ჭირვარამსა და ომებს, ის განახორციელა ძმობით, სიამტკბილობით მოსულმა ერთმორწმუნე რუსეთმა; და ფეხქვეშ გათელა ქართველი ერის თავმოყვარეობაც და მთლიანად დაიპყრო ჩვენი ქვეყანაც. და ღონეგამოცლილმა, ამდენი ბრძოლებით დაუძლურებულმა ერმა თავისი თავი ვეღარ დაიცვა, საბოლოო გაბრძოლებისას, იგი დამარცხდა; და იგი გაირინდა, თავი მოიმკვდარუნა, ბედისწერას მიენდო, მომავლის იმედით.

ილია ჭავჭავაძე შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა რუსეთის კოლონიური წყობისა და რუსი მოხელეების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ ქართველი ერის გადაგვარებას, მის მოსპობას. ისინი სდევნიდნენ ქართულ ეროვნულ სკოლას და ქართულ ენას. მის წერილებში, სადაც განხილულია სახალხო განათლების საკითხები, თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს საზღვარგარეთის და თვით რუსეთში ცნობილი მოწინავე პედაგოგ-მეცნიერთა იდეები. და პირველ ყოვლისა რუსეთში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პედაგოგ-დემოკრატის, კონსტანტინე უშინსკის (1823–1870) მოსაზრებები.

წერილში, „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ ილია პ. უშინსკის შესახებ წერს, რომ იგი არის „გამოჩენილი რუსი პედაგოგი“ და რომ საერო სკოლის გამარ-

თვის შესახებ აზრი ეკუთვნის – „იმისთანა გამოჩენილის პედაგოგისა, რომლის ტოლიც რუსებს ჯერ აქამომდე არა ჰყავთ“ (1, ტ.4, გვ.276).

წერილში, „ასი წლის წინათ“, სადაც აღწერს საქართველოს მდგომარეობას, ერეკლე II მეფის გარდაცვალების შემდგომ დროს, როდესაც ხალხი და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე, გიორგი XII (1798–1800) ზარზეიმით შეეგება რუსულ ჯარს. იგი წერს:

„დიდის ყოფით და ამბით დახვდა რუსეთის ჯარს მეფე და ერი. სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნომბერს 1799 წელს, კვლავ სასოება-გაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული“ (1, ტ.4, გვ.216).

წერილში, „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა“, იგი წერს:

„მეთვრამეტე საუკუნის თავზარმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ საქართველოს ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედიც-კი დააკარგვინა და, რასაკვირველია, რომ როცა შემთხვევა მოეცა, ერმა თავი თითქო მოსვენებას მისცა და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილ სვე-ბედსა. მაგრამ ამ ილაჯ-გაწყვეტილის, ღონე-მიხდილის ერის ხმა-ამოუღებლობა ემჩნევა მარტო ამ საუკუნის პირველ მეოთხედის წლებსა. მთელი ეს მეოთხედი საუკუნისა ისე გავიდა, რომ თვითეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება საერთოდ თავბრუ დასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არც ღონე არ გამოუჩენია – არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის, თითქო დიდი ნისლი მიხვევიათ და ელიან, აცა გადაიყაროსო, ან თავზარი დასცემიათ და გამოურკვეველ ელდას შეუკრავსო“ (1, ტ.3, გვ.237).

ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქსაქსულობამ და ურთიერთშორის მუდმივმა შუღლმა და მტრობამ, ხელი შეუწყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას და დამონებას.

რუსეთის იმპერიამ უშუალოდ შეიერთა 1801 წლის 12 სექტემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს სამთავროები, ქართლ-კახეთი. შემდეგში თანდათან დაიპყრო დასავლეთ საქართველო: 1828 წ. – გურიის სამთავრო, 1857 წ. – სამეგრელოს, 1857–1859 წლებში სვანეთის, ხოლო 1864 წ. – აფხაზეთის სამთავრო.

ცნობილია, რომ 1857 წლის 24 ოქტომბერს, სვანეთის სამთავროს მთავარს კონსტანტინე (მურზაყან) დადეშქელიანსა (1826–1857) და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს ალექსანდრე გაგარინს (1801–1857) შორის, სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის უფლების ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით, მოხდა შელაპარაკება და აღელვებულმა კონსტანტინემ ა. გაგარინი სასიკვდილოდ დაჭრა, იქვე მყოფი ორი მოხელე მოკლა, მცველიც დაჭრა და გაიქცა. იგი მალე შეიპყრეს და სასამართლოს გადაწყვეტილებით 1857 წელს დახვრიტეს. ამის შემდეგ, სადადეშქელიანო სვანეთი რუსეთის ხელისუფლებას დაექვემდებარა.

საქართველოს სამთავროების დამორჩილებამ, ხელი შეუწყო რუსეთის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. ხოლო, როდესაც:

„1859 წლის 25 აგვისტოს აიღეს შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ღუნიბი და ამით დასრულდა ჩრდილოეთ კავკასიის დასაპყრობად წარმოებული მრავალწლიანი ომი. ამის შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცა უფრო მეტი ძალებისათვის მოეყარა თავი დასავლეთ კავკასიის მთიანეთის დასამორჩილებლად.

1863 წ. რუსებმა დაიმორჩილეს ყუბანის მხარე, 1864 წლის მარტში დაიმორჩილეს უბიხები, ხოლო იმავე წლის 21 მაისს ახჩიპსხუს ცენტრში, სოფელ კბაადაში მეფის რუსეთის ჯარებმა ზეიმით აღნიშნეს კავკასიის დამორჩილებისათვის წარმოებული თითქმის საუკუნოვანი ომის დასასრული“ (10, ტ.V, გვ.225).

ასე და ამგვარად, თანდათან, რუსეთის იმპერიამ მთლიანად დაიპყრო კავკასია და მათ შორის საქართველო. მან თავისუფლებაც დაკარგა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთის სამხრეთი მხარის გუბერნია გახდა. ხოლო, საბჭოთა ხელისუფლების დროს, რომელიც დამყარდა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში, ჩვენმა ქვეყანამ ხელმეორედ თავისუფლებაც დაკარგა და თავისი მიწა-წყლის ნაწილიც, „ძმურად“ გადასცა რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს.

სამეფო ხელისუფლებას და ქართველ ერს, ძვირად დაუჯდათ რუსთა ჯარის შემოსვლით გამოწვეული სიხარული. „ქრისტეს მოყვარე“ ერთმორწმუნე რუსეთმა, მეფის ხელისუფლებაც და ავტოკეფალიაც გააუქმა. დადამდაბლებული, დამცირებული საქართველო „მფარველობის“ საბაბით საბოლოოდ შეიერთა და აქ, მკაცრი კოლონიური მმართველობა დაამყარა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა „საქართველოს“ ხსენებაც კი აიკრძალა.

დღევანდელ დღეს, უამრავი საბუთია აღმოჩენილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, რომლის გამოქვეყნება და გამხელაც დღემდე აკრძალული იყო, მით უმეტეს საბჭოური წყობილობის დროს. ეს თემა, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა“, ფართე თემაა და ამიტომ ჩვენ ამის განხილვას არ შეუდგებით.

ერის ასეთ გაყუჩებულ, „მიძინებულ“ მდგომარეობაში ყოფნა, შეუძლებელია, რომ ხანგრძლივად გაგრძელებულიყო. ისტორიაში ცნობილია, რომ დაჩაგრული, სხვის უღელ ქვეშ მყოფი, დამონებული ერი, ან საბოლოოდ განადგურდებოდა და აღიგვებოდა „მიწისა პირისაგან“, ისე რომ მისი სახელის ხსენებაც-კი აღარ იყო, ან დიდი ბრძოლის შედეგად მოიპოვებდა ნანატრ თავისუფლებას.

აქ, მოვიშველიებთ, დიდი ილიას სიტყვებს, რომელიც ჩვენს დღევანდელ ყოფას შესანიშნავად მიესადაგება, როდესაც იგი მსჯელობს ქართველი ერის გაყუჩებისა და „ხმა-ამოუღებლობის“ შესახებ. იგი წერს:

„ასეთი მდგომარეობა დიდხანს თავს ვერ დაიჭერდა და ამ ხანგრძლივ სვენაში უნდა რამ გამონასკულიყო. იმიტომ, რომ ძნელია ერის ცხოვრების მაჯის-ცემა ისე შეწყდეს, რომ არა მოქმედებდეს-რა ასე თუ ისე სახვალიოდ. ჯერ კიდევ იყო, როგორც წინად ვსთქვით, თითო-ოროლა ოჯახი, თითო-ოროლა მამულის-შვილი, რომელთაც ასულდგმულებდა ჩვენის ძველის ცხოვრების ანდერძები. აქა-იქ შერჩათ კიდევ ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანწირულ გმირთა, რომელთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნეობით აღტაცებულ ჭაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს. თუმცა ყოველი ეს კარჩაკეტილი იყო, ხმა-ამოუღებელი, დაქსაქსული, აქა-იქ ცალ-ცალკე ბჟუტავდა, მაგრამ არ შეიძლება თავისი საქმე-კი არ ეკეთებინა, თავისი ნასკვი არ გამოეკვა და ადრე თუ გვიან არ წამოეყენებინა ცხოვრებისათვის გამოსახსნელად“ (1, ტ.3, გვ.237).

დრომ გვიჩვენა, რომ ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვები გამართლდა, ქართველ ერში მამულისადმი სიყვარული არ ჩამკვდარა და რუსეთის იმპერიის 200 წლიან და საბჭოეთის 70 წლიან ბატონობას ქართველმა ხალხმა გაუძლო

და დამოუკიდებლობა როგორც იქნა მოიპოვა; და მოხევის – ლელთ ღუნიას წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ აგვისრულდა. თუმცა, ისტორიული სხვადასხვა ვითარების გამო, ის დიდება, „ნიკოფსიიდან – დარუბანდამდე“ და ის წოდებაც, რასაც, თამარ მეფე ატარებდა: „აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შირვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი“ სამუდამოდ დავკარგეთ.

ცხოვრებაშიც, ერისა და ქვეყნის ისტორიაშიც, საერთოდ ასე ხდება: თუ ერი გადაურჩა განადგურებას, გაქრობას და მან მოიპოვა დამოუკიდებლობა, მიუხედავად ზოგჯერ „ჩავარდნებისა“, ხდება მისი თანდათან აღორძინება და მიაღწევს-რა გარკვეული დროის განმავლობაში აყვავებისა, განდიდებისა და ძლიერების უმაღლეს წერტილს, ამის შემდეგ ხდება თანდათან მისი შესუსტება, დაცემა და ერთ დროს მოპოვებულ იმ დიდებას, მეორედ ვეღარ მიაღწევს.

სტუდენტობის დროიდანვე ჩანდა, რომ ილია ჭავჭავაძის სახით, საქართველოს ეზრდებოდა და ყალიბდებოდა დიდი განმანათლებელი და მამულის მოსიყვარულე, რომელიც შეეცდებოდა საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრების გარდაქმნას. ამავე დროს მოინდომებდა მისი ერის დახსნას რუსეთის იმპერიის მარწუხებისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ „უარყოფელობის“ სულის გამოვლინების გამო მოხდა 1861 წლის 12 ოქტომბერს, ილიას უნივერსიტეტიდან გარიცხვა, სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობისათვის.

ცნობილია, რომ პეტერბურგში მოღვაწე ქართველი სტუდენტების მიერ ჩამოყალიბდა „თერგდალეულთა“ წრე, რომლის ხელმძღვანელი გახდა ილია ჭავჭავაძე. ეს იყო პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდების, თავის გულის ნადების გამოხატულება.

აქედან მოყოლებული, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ოცნებობდა ილია სამშობლოს თავისუფლებაზე – რუსეთის კოლონიური წყობილებიდან თავის დახსნაზე.

თავისუფლებისადმი სწრაფვა, – მან შესანიშნავად გამოხატა, ჯერ კიდევ, 1861 წელს დაწერილ, მცირე მოცულობის ლექსში, „გაზაფხული“.

„ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულა მთები:
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“ (1, ტ.1, გვ.73).

ხოლო, ცნობილ უსათაურო ლექსში, რომელიც დაწერა მესამე კურსის სტუდენტმა ილიამ, იტალიის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლით აღფრთოვანებულმა, ცხადად გამოხატა მან თავისი ნატვრა, – სამშობლოს დამოუკიდებლობისა.

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში“ (1, ტ.1, გვ.62).

მომავლისადმი იმედს, ოღონდ შენიღბული ფორმით, გადმოსცემს ილია 1885 წელს დაწერილ წერილში,

„შინაური მიმოხილვა“ XXVII, სადაც, ერთ ადგილას იგი წერს:

„დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალ-წინ და არა მშორდება... ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავი უცბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი.

ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღლილი და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!.“ (1, ტ.5, გვ.332).

ილია ჭავჭავაძე წერილებში, ბევრ ადგილას აშკარად გამოხატავს თვითმპყრობელობისაგან თავის დახსნის იმედს.

რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა, მას უხდებოდა მეტად მძიმე პირობებში. მისი მთავარი ბრძოლის იარაღი იყო ლიტერატურა და სწორედ აქ იყო მთავარი დამაბრკოლებელი წინააღმდეგობა და ეს წინააღმდეგობა იყო –

უმკაცრესი ცენზურა (ცენზურის შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა მსჯელობა, როდესაც ვიხილავდით ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცენზურა იყო სასტიკი და მკაცრი. ვინაიდან რუსეთის მთავრობა ხედავდა, რომ ის კრიტიკა, რასაც ეწეოდა ილია, მიმართული იყო ეროვნული ღირსების დაცვისაკენ და თვითმპყრობელობიდან გათავისუფლებისაკენ. ცენზურის გამო, გამოწვეული ცვლილებები, ხშირად წერილს ხდიდა გაუგებარს, რადგან გამოტოვებული ადგილები, წერილის სათაურს აღარ შეესაბამებოდა. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, ზემოთ ნახსენები წერილი, „შინაური მიმოხილვა“ XXVII, რომელშიც, სინამდვილეში შინაური მიმოხილვა საერთოდ აღარ არის განხილული. ეს წერილი წარმოადგენს სატირულ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ნაწარმოებს. ხოლო, მეორე წერილის, „შინაური მიმოხილვა“ XXIV, რომელიც ილიამ დაწერა 1883 წელს, ცენზურამ გამოქვეყნება საერთოდ აკრძალა. ლიტერატურის მცოდნე პ. ინგოროყვა ამ წერილის შესახებ გადმოგვცემს:

„ეს შინაური მიმოხილვა“, რომელიც ავტორს დაუმზადებია „ივერიის“ 1883 წლის აგვისტოს ნომრისათვის, ცენზურამ აკრძალა. ამის გამო ავტორი იძულებული გამხდარა გადაემუშავებია წერილი და ამოეგდო ტექსტიდან მთელი რიგი ადგილებისა; ეს შემოკლებული და დამახინჯებული ტექსტი მიმოხილვისა დაიბეჭდა „ივერიის“ 1883 წლის სექტემბრის ნომერში“ (1, ტ.5, გვ.274).

„ილიას საერთოდ, მეტად ძნელ საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი მდგომარეობა იყო შექმნილი მისთვის როგორც შინაური მიმომხილველისათვის, ავტორს აქ სისტემატურად უხდებოდა შეხებოდა საზოგადოებრივ ცხოვრების აქტუალურს, განსაკუთრებით მტკივნეულს მიმდინარე საკითხებს და ამიტომ ცენზურაც აქ დიდ სისასტიკეს იჩენდა. ილია ერთ თავის მიმოხილვას ასეთი ირონიული შენიშვნებით აბოლოებს:

„ეს წვრილფეხობაა რაღაცა, დაუჟინია და ჰყვირის: „იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფიო. სტყუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და მისი ჯანი!... ამის მაგალითი თითონ ეს წერილი გახლავთ“.

საერთოდ იშვიათი იყო ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც ავტორს საშუალება ჰქონოდა აზრის ცოტათ თუ ბევრად თავისუფალი გამოთქმისა. მწერალს, თვით ილიას სიტყვით, „ენის კვნეტით“ უხდებოდა ლაპარაკი, იგი იძულებული იყო მხოლოდ გაკვრით, იგავის ენით შეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საარსო მხარეებს: „თქმაც ძნელია,— ამბობს ერთგან ილია,— იმიტომ,

რომ წყლით გივსებენ პირსა, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს“ (1, ტ.5, გვ. 382).

„შინაური მიმოხილვის“ წერილებისათვის, პ. ინგოროყვას გადმოცემით, თვითონ ილიას დაურქმევია „საქართველოს მატიანე“. ამ წერილების შესახებ იგი აღნიშნავს:

„მეტად დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომ არ შენახულა შინაურ მიმოხილვათა არც თვით ილიას ხელნაწერები და არც საცენზურო კომიტეტის არქივია მთლიანად მოღწეული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ძნელს საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა ილიას, და შინაურ მიმოხილვათა ტექსტები, როგორც ირკვევა, ხშირად შემოკლებული იბეჭდებოდა ცენზურის მიერ. აქ ადგილი ჰქონია არათუ ტექსტის შედარებით უმნიშვნელო შესწორებასა და შეკვეცას, არამედ დედააზრის პირდაპირ დაბნეულობასა და დამახინჯებასაც“ (1, ტ.5, გვ.406).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VII, ილია ეხება ცენზურას და გადმოსცემს მის დამოკიდებულებას ცენზურის მიმართ. იგი წერს, რომ იძულებულია საუბარი შეწყვიტოს, ვინაიდან შებოჭილია და მკითხველისათვის თავისი აზრის გადმოცემას ცდილობს დაცინვისა და მხატვრული გამოსახვის ხერხით. იგი წერს:

„აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ. ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს: ან ეგ რაცა სთქვი, რათა სთქვიო, რათა ვსთქვი!.. პირველი, იმიტომ – რომ ენა ცოტად მექავებოდა; მეორე იმიტომ – რომ... მეორეს-კი, უკაცრავად, ვერ მოგახსენებთ, და იცით რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ ჩვენც თვითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენში. ამას კი ვიტყვით, – ამ წერილს თირკმლები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა, საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო. იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან, – რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ – რატომ არას ამბობო. აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქცევი – ქარიანი მქვიან და დავდგები – ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა“ (1, ტ.5, გვ.83).

ჩვენ, კიდევ მოვიყვანთ ერთ ადგილს, ცენზურის შესახებ, ილიას ერთ-ერთ წერილიდან, რომელიც გაუგზავნია საზოგადო მოღვაწისათვის, პუბლიცისტსა

და ჟურნალისტიკის კრიტიკოსისათვის, კირილე ლორთქიფანიძისათვის (1839–1919), სადაც იგი წერს:

„რამდენიმე სურათი“ ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ. ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს“ (1, ტ.10, გვ.26).

ილია ჭავჭავაძე, ამ რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ვინაიდან ცენზურის გამო, პირდაპირ ვერ გამოთქვამდა თავის სათქმელს, ამიტომ იგი ყურადღებას ამახვილებდა და შეიძლება ითქვას მოურიდებლად და შეუპოვრად თავს ესხმოდა და ამხელდა ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათს საქმიანობას, რომლებიც ცდილობდნენ ქართველი ერის გარუსებას, მისი ისტორიის შებღალვას და საერთოდ ქართველი ერის მოსპობას. ამ მხრივ საინტერესოა, მისი ერთ-ერთი წერილი „კატკოვის პასუხად.“ სადაც იგი აუგათ მოიხსენებდა საქართველოს და ქართულ დროშას.

ილიასთან ერთად, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ხმა აღიმაღლეს ჩვენმა მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებმა: ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, დ. ყიფიანმა, ნ. ნიკოლაძემ, გ. ყიფშიძემ და სხვებმა.

ჟურნალ „Русский вестник“-ის და გაზეთ „Московские ведомости“-ის გამომცემელმა, პუბლიცისტმა, რეაქციონერმა, მიხეილ კატკოვმა (1818–1887) არა ერთ წერილს აქვეყნებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ. 1882 წ. გაზეთ „Московские ведомости“-ში კატკოვმა დაბეჭდა, ქართველი ხალხის ღირსების შემლახველი წერილი. მ. კატკოვის ეს თავხედური, ცინიზმით გამსჭვალული კორესპონდენცია წარმოადგენდა, დრამატიული ნაწარმოების „სამშობლოს“ ქართულ ენაზე დადგმასთან დაკავშირებით.

დ. ერისთავმა, ფრანგი დრამატურგის ვიქტორიო სარდუს (Sardou’) (1831–1908) დრამა „სამშობლო“ გადმოაქართულა და მას ქართული სული და იერი შესძინა. პიესის ძირითად თემას, სამშობლოსათვის თავდადება და მამულისათვის სიყვარულს წარმოადგენდა. „სამშობლოს“ წარმოდგენამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია საზოგადოებაში.

ეს იყო ეროვნული თეატრის აღორძინების დასაწყისი; და სწორედ ამან გამოიწვია მ. კატკოვის გაღიზიანება. მან ქართული თეატრის წინააღმდეგ გამოილაშქრა. სასაცილოდ აიგდო და შეურაცხყო ქართული თეატრი, და რაც მთავარი იყო ხალხის ღირსება – **ქართული დროშა**.

ილია ჭავჭავაძემ, 1882 წ. გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა, მისთვის დამახასიათებელი გაბედულებით, საპასუხო წერილი „კატკოვის პასუხად“. სადაც გამანადგურებელი პასუხი გასცა, რუსეთის მთავრობის მიერ დაქირავებულ ამ ლაქიას და მის მესვეურებს.

წერილში, ილიამ, კატკოვის მოქმედებას „პოლიტიკური ბეზღობა“ უწოდა. მან წერილს წაუმძღვარა შოთა რუსთაველის აფორიზმი:

„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია.“

ილიას თქმით, ერის უბედურებაა, როდესაც საზოგადოებაში გზა გაეხსნება ბეზღობას, მით უმეტეს პოლიტიკურ ბეზღობას. იგი წერს:

„ყველაზედ საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულისნადები, სულისწყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მაბეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი“ (1, ტ.8, გვ.8).

ილიას გადმოცემით, მ. კატკოვი და მისი დამქაშები რუსეთში სწორედ ასეთ მაბეზღარს წარმოადგენდნენ. მ. კატკოვს წერილში, ქართველები და სომხები გამოყვანილი ჰყავს როგორც სეპარატისტები, და ამას ადასტურებს იმით, რომ ქართველებსა და სომხებს, თეატრში წარმოდგენების დროს შენობა განათებული და გამთბარი ქონიათ. ქართველებს თურმე „სამშობლოს“ ავტორი სახლამდე მიუცილებიათ და სომხებს კი თავის მსახიობისათვის საჩუქრები მიურთმევიად. ქართულ და სომხურ თეატრში ხალხი დადისო, ხოლო რუსულში კი არაო. მაგრამ, ქართველებისათვის ყველაზე უფრო დამამცირებელი იყო ის, რომ მან შეურაცხყო ჩვენი დროშა. ილია წერს:

„ჩვენ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მაბეზღარს არ შეეგინებინოს, უპატიურება არ მიეყენებინოს მთელ ქართველებისათვის და მის ეროვნების ღირსებისათვის. იგი ამბობს, რომ „სამშობლოს“ წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო, და ქართული დროშები რომ გოდფრუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზამენო.

გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის – არამცთუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან

დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია,— იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებაში შევრიცხოთ“ (1, ტ.8, გვ.12) და ამ წერილს ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც-კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც – კი ითაკილებდა.

„ეხლა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა?!“ (1, ტ.8, გვ.13).

ცნობილია, რომ რუსეთი, იმპერიად წარმოიქმნა იმის შედეგად, რომ მან შესძლო ზოგიერთი მის გარშემო მდებარე სახელმწიფოების დაპყრობა იარაღის საშუალებით და ზოგიერთი ერის, სხვადასხვა ვითარებისა და მდგომარეობის გამო „ნებაყოფლობით“ შეერთებით, და ამრიგად იგი გახდა მრავალ ეროვნული იმპერია. ილიას თქმით, მრავალ ეროვნება რუსეთისათვის გახდა „თავსატეხი“. 1881 წლის წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VII, ილია შემდეგნაირად ახასიათებს რუსეთს:

„რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოაწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებულ შეიქმნებოდა დაენიშნა სამზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორსმხედველობა დამჯდარი ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ

ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, – თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“ (1, ტ.5, გვ.79).

რუსეთში შემავალი ეროვნებების მოთხოვნილებათა გაუთვალისწინებლობამ გამოიწვია ის, რომ ილიას თქმით, ყოველმა ერმა, შეიძულა „რუსეთის სახელი“ და ყოველ ღონეს ხმარობდა და ცდილობდა მისგან თავის დაღწევას. ეს იყო შედეგი რუსეთის მთავრობის იმ მოხელეებისა, რომლებიც „თავის ქეიფზედ“ მართავდნენ ამ ქვეყნებს. თუმცა, ილია აღნიშნავს, რომ რუსეთის საზოგადოების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, ამ ბოლო დროს „ეროვნების დევნის“ „წინააღმდეგ საფუძვლიანად ხმა ამოიღო“ (1, ტ.5, გვ.81). ამის მაგალითს იძლევაო რუსული „ჭკუადამჯდარი“ ჟურნალი „Вестник Европы“-ო („ვესტნიკ ევროპი“). ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა, დაგმეს ასეთი მოპყრობა არა რუსი ეროვნებებისა, რადგან ასეთნაირი მოპყრობა, გამოიწვევს რუსეთის სახელმწიფოს რღვევასო. მათი თქმით, „ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნეობისა და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის“-ო (1, ტ.5, გვ.81).

ილიას იმედი აქვს, რომ მოვა დრო და „ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრმანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად“ (იქვე).

ილიას მოჰყავს, ამ საზოგადოების წარმომადგენელის, იურისტის ვლადიმერ სპასოვიჩის (1829– 1916) სიტყვები:

„საჭიროა სამართალი იმ ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნება, როგორც თვით სარწმუნეობაცა პირადი გრძნობაო. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. „თქვენი ხელმწიფება,– უთქვამს სპასოვიჩს,– დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება რაო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის ენა არ ამოუგლეჯნიაო“ (1, ტ.5, გვ.82).

ყველა სახელმწიფო, რომელიც შესდგება რამდენიმე ეროვნებისაგან, აწყდება დიდ რთულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტას, რომელიც თხოულობს თვითეული ერის მოთხოვნილების, ხასიათის, შესწავლას, ახსნას და გამოკვლევას; და მით უმეტეს ისეთ სახელმწიფოში, რომელიც წარმოადგენდა იმ დროს რუსეთის იმპერია. და სხვათა შორის, შემდეგაც, როდესაც ჩამოყალიბდა მის შემდეგ საბჭოეთის მძლავრი სახელმწიფო, ეროვნების საკითხის გაუთვალისწინება გახდა ერთ-ერთი მიზეზი, მისი 70 წლიანი ბატონობის ასე სწრაფი დაშლისა.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა თავისი ერის მოთხოვნილებათა საკითხებში და წარმოადგენდა თავისი ხალხის თავდადებულ პატრიოტს, ამავე დროს გულწრფელად გამოხატავდა სხვა ხალხებისადმი პატივისცემას და მეგობრულ დამოკიდებულებას. იგი, პუბლიცისტურ წერილებში, იცავს სხვა დაჩაგრულ ერს და მის ღირსებას.

რუსეთში, ეროვნების საკითხის განხილვის შესახებ, წერს:

„ეროვნების საქმე რუსეთში ეხლა იმ მორიგ საგნად გახდა, რომელსაც რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება, თავისის მწერლების და მოღვაწეების შემწეობით, წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნების სასარგებლოდ. თუმცა ჯერ მარტო ენის თაობაზედ არის ლაპარაკი და სხვა მხარეს ეროვნების საქმისას ბევრითად არ ჩასჭიდებიან, მაგრამ ენის შესახებაც ვხედავთ, რომ რუსეთის აზრმა ეროვნების საქმეში ერთის ბიჯით კიდევ წინ წადგა ფეხი. წინათ ენის უფლების აღდგენას მარტო სკოლის საქმეში თხოულობდნენ, და ეხლა ეგ აზრი იმოდენად განვითარდა და გაივსო, რომ ერის შინაურ საქმეთა წარმოებასა და გამგეობაშიაც ითხოვენ“ (1, ტ.5, გვ.83).

ილია ილაშქრებს ისეთი დიდი მოხელის წინააღმდეგ, როგორიც იყო, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი, კავკასიის სასწავლო ოლქის რწმუნებული (1878–1899) რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი, კირილე იანოვსკი (1822–1902). რომელმაც 1880 წელს გამოსცა სპეციალური დადგენილება, საერო სკოლებისათვის პროგრამა, სახელწოდებით: „ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის გარემოში დაწყებითი სკოლების სასწავლო გეგმა და მათში რუსული ენის დადგენის შესახებ, 12 დეკემბერი 1880 წ“ („Об учебном плане начальной школы в среде туземного населения и о постановке в ней русского языка. Протокол заседания попечительского совета Кавказского учебного округа, 12 декабря 1880 г.“). სადაც ნათქვამი იყო, რომ „სწავლება უფრო უმეტესად რუსულს ენაზედ უნდა მიდიოდესო“ (1, ტ.5, გვ.85).

სწორედ, ამის წინააღმდეგ გაილაშქრა ი. ჭავჭავაძემ და იმ „მეტიჩარები“ ქართველებისა (ჩვენის აზრით, ე. წ. „რუსეთუმეები“, რომლებიც დღესაც იმყოფებიან ჩვენში და რუსეთისათვის მამულსაც კი გასწირავენ), რომლებიც ეთანხმებოდნენ ამ გეგმის განხორციელებას. ილია იბრძვის იმ სასწავლო გეგმის წინააღმდეგ და იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მიზნათ ისახავდნენ საქართველოს კუთხურ დაქსასვას და საერთოდ ქართულ სკოლებში ქართული ენის განდევნას, სამეგრელოში ქართული ენის მოსპობას. იგი პირდაპირ და მოურიდებლად ამხელს იანოვსკის და წერს, რომ:

„ჩვენც ვიცით, რომ რუსულის სწავლა უნდა ხალხსა და ხალხის სურვილის ასრულება დიდად საქებარია, მაგრამ ამ საშუალებით, რა საშუალებასაც ახალი პროგრამა გვიქადაგებს, ეს შეუძლებელია“ (1, ტ.5, გვ.362). შემდეგ ასაბუთებს თავის აზრს. ილიას დამოკიდებულებაზე ქართული ენის შესახებ, ჩვენ ზევით ვთქვით, ამიტომ ამის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ი. ჭავჭავაძე, არა ერთ წერილში გადმოგვცემს თავის შეხედულებებს რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოში დანიშნულ მოხელეებზე. სააშკაროზე გამოაქვს მათი უხამსი კაძნიერება ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ II, ილია წერს, რომ რუსეთის მთავრობის მოხელეების უმგვანო საქმიანობის გამო, ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას უხდება თავისი მამულის, ბინის, „თავის დედულის“ დატოვება და იძულებული ხდება გარდაიხვეწოს „ვინ იცის სად“; და ეს ხდება იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობა აგზავნის „ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგს“, ხარბს, გაუმაძღარს, სამსახურიდან გამოგდებულებს, „გამოუსადეგ, უხეირო, თავზედ-ხელაღებულ“ მოხელეებს და რა თქმა უნდა, ეს „წვრილი ჩინოვნიკები“ ადგილობრივ ხალხს სიკეთეს არას მოუტანს. ილიას აზრით, სახელმწიფოში, მთავრობის ღირსებაზე და სიკეთეზეა დამოკიდებული, მისდამი ხალხის სიყვარული და „საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და მისი გადამსხვრევა ერთია“ (1, ტ.5, გვ.34).

ილიას მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები, ეხება ყველა სახელმწიფოს ხელისუფალთ, ყველა ხელისუფლების მოხელეებს, რომელთა შემწეობითაც იქმნება ქვეყნის მმართველობა და ქვეყნის ძლიერება.

ამავე წერილში ილია ამბობს, რომ:

„ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხს შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს

მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ...

კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, – შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის“ (1, ტ.5, გვ.34).

ილიას აზრით, მთავრობის ეს მოხელეები უნდა იყვნენ ადგილობრივი ენის და მათი ცხოვრების მცოდნენი. ვინაიდან რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნულ მოხელეებს, „მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი“ (1, ტ.5, გვ.37).

ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა და ამტკიცებდა, რომ მთავრობის მიერ დანიშნულმა მოხელემ პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის ენა უნდა შეისწავლოს, უნდა გაიგოს მისი ზნე-ჩვეულებანი, რათა ურთიერთობა დაამყაროს ხალხთან. იგი წერდა:

„აშკარაა, რომ მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულების გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგდოებასაც. ეს კარგად იციან ევროპიელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰნდომობს“ (1, ტ.5, გვ.38).

ამავე საკითხს ეხება ილიას წერილი, „ცხოვრება და კანონი“. სადაც წერს, რომ თუ მთავრობის მიერ დანიშნულმა მომრიგებელ მოსამართლემ არ იცის ადგილობრივი ავკარგიანობა, მისი ეკონომიური ყოფა-ცხოვრება, ხალხის ჩვეულება და რაც მთავარია ხალხის ენა, ასეთი მოხელე-მოსამართლე, აქ ვერაფერს გააწყობს და „უქმად დარჩება“.

„სხვაგნით მოყვანილი კაცი, რაც უნდა კარგი იყოს, ვერ იზამს იმისთანა მოსამართლობას, რომლის აზრიც კანონმდებელთა ჰქონდათ. პირველი, რომ იმის სიტყვას, როგორც უცნობის და ხამის კაცისას, ისეთი ზედმოქმედება არ ექმნება, როგორიც შინაურის კაცის რჩევას; მეორე, რომ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და ჩვეულების უცოდინარი იმისთანა მორიგების გზას ვერ უჩვენებს მოდავეებს, რომ შეეფერებოდეს საქმის ჭეშმარიტს და არა ფორმალურს გარემოებასა...

აბა როგორ უნდა ივარგოს ჩვენში კაცმა, სრულიად ხამად მოსულმა უცხო ხალხში, ჩვენთან არავითარის კავშირის მქონებელმა, ჩვენის ენისა, ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების მთლად უცოდინარმა? თუ რუსს რუსეთში უძნელდება საქმის მორიგება, სხვათა შორის იმითაც, რომ ადგილის მკვიდრი მცხოვრებელი არ არის და ადგილობრივის ვითარების უცოდინარია, ჩვენში ხომ უფრო უარესად უნდა გაუძნელდეს? აკი უძნელდებათ კიდეც“ (1, ტ.6, გვ.91).

არა ერთ წერილსა და ნარკვევში, ი. ჭავჭავაძე ტუქსავდა მთავრობის მიერ დანიშნულ მოხელეებს, რომლებიც თავიანთი უვიცობით სჩაგრავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამავე დროს, რუსეთის მთავრობას აძლევდა რჩევას, თუ როგორი მოხელეები გაეგზავნა მასში შემავალ ქვეყნებში. თუმცა, რუსთაველის აფორიზმია: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“.

ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ისტორიული უბედურების მიზეზს, რის გამოც ასეთ დღეში ჩავვარდით და „ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან“ და რუსეთის იმპერიის უღელის ქვეშ მოვექეცით, ხედავდა არა მარტო გარეშე მტრებში, რომლებიც გამუდმებით თავს გვესხმოდნენ და იძულებულნი ვიყავით მუდამ ხელში გვჭეროდა იარაღი და თავი დაგვეცვა, არამედ იმაში, რომ ჩვენ ვერ შევძელით სხვადასხვა მიზეზის გამო ერთობის შენარჩუნება და ღალატში. ეს იყო ჩვენი ყველაზე უფრო დიდი ნაკლი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე მდგომარეობა, როგორც ადრე იყო, დღესაც გრძელდება. გავიხსენოთ ისევ შოთას აფორიზმი: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ და ლ. სანიკიძის სიტყვები: „ქართველი კაცის დამარცხება არავის ისე არ ემარჯვება, როგორც ქართველ კაცსო“ (36, გვ.13).

სწორედ ამის შესახებ მსჯელობს ი. ჭავჭავაძე 1879 წლის ნარკვევში, „ვისს ნათესსა ვმკით?!“ იგი წერს:

„ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოსა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ თვითეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხებამდე, იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა

მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, – ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ველარ აქნევინეს“ (1, ტ.5, გვ.73).

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენ რუსეთის იმპერიის მარწუხებში აღმოვჩნდით. ხოლო, შემდგომ, რაც რუსეთთან შეერთების შემდეგ თავს დაგვატყდა, ამას ხელი შეუწყვეს იმ რენეგატმა ქართველებმა, რომლებიც ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ, რუსეთის წინაშე თავი გამოიჩინონ და რომელთაც რუსეთის გარეშე „ცხოვრება“ არ შეუძლიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მეშვეობით, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რაშიც მეტად დიდი წვლილი მიუძღვის ქართველობას, რომელიც იბრძოდა თავისი მიწის დასაბრუნებლად, დაგვიბრუნდა თურქეთის მიერ მიტაცებული, საქართველოს კულტურის ერთ-ერთი მიწა-წყლის, აჭარის ნაწილი და შემოგვიერთდა.

1877 წელს, როდესაც მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლა, კვირეულ ჟურნალ „ივერიაში“, გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი შესანიშნავი ნარკვევი, „ოსმალოს საქართველო“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ერთ-ერთ შესანიშნავ მხარეს აჭარას. ეს არის აჭარის ისტორიის აღწერა, მისი წარსული და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში; რომელმაც საქართველოს ჭირ-ვარამი გაიზიარა და მისი ბედის უკუღმართობის გამო, საბოლოოდ აჭარის ნაწილი ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა. ილია წერს:

„ოსმალოს საქართველოსას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენის ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუნთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვით-არსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალო ამ ჩვენს მშვენიერს ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალოს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნეობის, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინებისათვის და მათდა და ჩვენთა სასახელოდ ძლევითაც მოსილ იქმნა“ (1, ტ.4, გვ.9).

„ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თვისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი

ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“ (1, ტ.4, გვ.11).

ამდენმა ომებმა, ჭირ-ვარამმა, დაქსაქსულობამ, მტრის სიმძლავრემ, თავისი გაიტანა და ეს ჩვენი უმშვენიერესი მხარე, საქართველოს ჩამოსცილდა. იქაურ ქართველობას, ძალდატანებით, მოტყუებით და „მაცთურობით“ მიაღებინეს მაჰმადიანობა. მაგრამ ეს სარწმუნეობის სხვადასხვაობა, ილიას თქმით, „ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნეობისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნეობისაც... სხვა ქვეყანაში სარწმუნეობისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა,“ (1, ტ.4, გვ.13).

ილია ოცნებობდა საქართველოს გამთლიანებას, ეროვნული მთლიანობის აღდგენას და გამტკიცებას. იგი ნატრულობდა ამ დღის დადგომას. ამიტომაც წერდა იგი, რომ ჩვენ „არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნეობა უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა..“ (1, ტ.4, გვ.13).

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის (1877–1878) ომის დროს, სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში. რუსეთის რეგულარულ ჯარში იბრძოდნენ კავკასიელები. ამ ომში თურქეთი დამარცხდა. რუსეთის ჯარის მოქმედებას ხელი შეუწყო საქართველოს მოსახლეობამ, ვინაიდან ამ ომის შედეგად ხდებოდა თურქებისაგან, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზთა გამო მის მფლობელობაში მოქცეული ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება. ამიტომ, მიუხედავად რუსეთის მთავრობისადმი მტრულად განწყობილებისა, საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა რუსეთს. სამხედრო მოქმედებებში, ენერგიული, მხურვალე მონაწილეობის გარდა, რუსეთის ჯარს ეხმარებოდა როგორც ეკონომიურად, ასევე ცოცხალი ძალით;

იქმნებოდა ქართული ლაშქარი – მილიციის სახით, იქმნებოდა ცხენოსანთა პოლკები, ქვეითი საჯარისო რაზმები. ხოლო, თვითონ რუსეთის ჯარის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველები: რიგითი მოლაშქრეები, ოფიცრები და გენერლები. ამის გარდა, მოსახლეობა ცდილობდა ჯარისთვის რაიმე დახმარების გაწევას, ეხმარებოდნენ სურსათით, მატერიალურად, ბინებით, ფურაჟით, ტვირთების გადაზიდვით და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადათ სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა საქართველოს მიწა-წყალზე, დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში, მთელი საქართველო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად. როგორც ვიცით, რუსეთი ამ ომში ქართველთა ხელშეწყობით გამოვიდა გამარჯვებული და 1878 წლის 13 ივნისს ბერლინში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის შედეგადაც რუსეთს გადაეცა, ყოფილი საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, რომელიც აქამომდე თურქეთს ჰქონდა დაპყრობილი: აჭარა, ოლთისი, იმერხევი, კოლა-არტაანი, კლარჯეთი და შავშეთი. თუმცა, შემდგომში, სხვადასხვა მოვლენების გამო, აჭარის ნაწილი და ყველა ეს მიწა-წყალი ისევ ოსმალეთს დაექვემდებარა და დღესაც თურქეთს ეკუთვნის.

ი. ჭავჭავაძე, სიხარულით შეხვდა საქართველოს მიწა-წყლის დაბრუნებას. წერილში, „შინაური მიმოხილვა“ I-ში, იგი წერდა:

„ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, – დღეს ჩვენ შემოგვიერთდა. და თუ კარგად მოექცევიან – ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქმნება კიდეც სამუდამოდ“ (1, ტ.5, გვ.18).

ილია მოუწოდებს ყველას, რომ:

„ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველიფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ. როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, – ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ! რა გაგვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა სთქვა და ჩვენც ვიტყვით, რომ ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება! სწავლა, ცოდნა, მეცნიერება – ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება“ (1, ტ.5, გვ.19).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით გაძლიერდა, რუსეთის იმპერიის მიერ კოლონიური ჩაგვრა, მასში შემავალ არა რუს ხალხთა მიმართ. ხელისუფლებამ დაიწყო სასტიკი გარუსების პოლიტიკის განხორციელება.

მთელ საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვისპირეთში ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოველგვარი უფლებების შეზღუდვა. მათი აყრა, გადასახლება და მათ ადგილას კოლონისტების ჩამოსახლება და მათი უზრუნველყოფა.

„1817–1819 წლებში, უმთავრესად, აღმოსავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აზერბაიჯანშიც ჩამოასახლეს გერმანელთა 500-ზე მეტი ოჯახი. მაშინ, როცა ქართველ ყმა გლეხთა ყოველ კომლს 4-ოდე დესეტინა მიწა ძლივს ჰქონდა, კოლონისტების თითო კომლს 35 დესეტინა საუკეთესო მიწა გამოუყვეს. გარდა ამისა მკვიდრ მოსახლეობას აიძულებდნენ მიწები დაეხნათ და საბინაო საშენი მასალა მიეწოდებინათ ჩამოსახლებულ ახალმოშენებისათვის.

1828–1829 წლების ომის შემდეგ მეფის მთავრობამ საქართველოში ჩამოასახლა ოსმალეთიდან გადმოხვეწილი ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების 6 000-ზე მეტი ოჯახი, რომელთა უმეტესობა ახალციხე-ახალქალაქისა და წალკის რაიონებში დასახლდნენ.

1837 წლიდან საქართველოში არსდება რუსული სამხედრო კოლონიებიც. ეს კოლონიები შედგა იმ ჯარისკაცთაგან, რომელთაც 15 წლის სამსახურის შემდეგ დაოჯახების უფლება ჰქონდათ. ასე წარმოიშვნენ ჩვენში რუსული სოფლები თბილისის ახლოს: წალკაში, თეთრწყაროზე, წითელწყაროზე, გომბორში, მანგლისში, კოჯორში და სხვაგან. გარდა ამისა, მეფის მთავრობა ჩვენს ქვეყანაში ასახლებდა იმპერიის ქრისტიანული ეკლესიის მიერ დევნილ „მწვალებლებს“ ან სექტანტებს – დუხობორებს, მოლაკნებს, სკობცებსა და სხვებს. 1845 წ. მათი რაოდენობა 10 ათას სულს აღწევდა“ (12, გვ.245).

ამავე დროს ცდილობდნენ ერთა შორის შუღლის გაღვივებას, სარწმუნეობის მხრივაც – მუსულმანებსა და ქრისტიანებს შორის. აჭარელ და აფხაზ მუსულმანებს, იძულებულს ხდიდნენ დაეტოვებინათ თავიანთი კარ-მიდამო და გადახვეწილიყვნენ.

წერილი, „შინაური მიმოხილვა“ II, რომელიც ილიამ დაწერა 1879 წელს, ეხება აჭარლებსა და ქობულეთელებს, მათს „საშინელს ყოფასა და გაჭირვებას.“ ამ წერილიდან ცენზურის მიერ ამოღებულია მთელი რიგი სიტყვები და ადგილები, რადგან ილია ეხება ისეთ საკითხს, რასაც რუსეთის ხელისუფ-

ლების წარმომადგენლები ატარებდნენ ფარულად, ისეთნაირ საქმიანობას, რომ აჭარლები აეძულებინად გადახვეწილიყვნენ თურქეთში. ილიას თქმით, რუსულ გაზეთ „გოლოს“-ში („Голос“), დაბეჭდილი ყოფილა კორესპონდენცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ „აჭარლები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო. ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა, კორესპონდენტმა, მაგრამ გამჟღავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიო სახელმწიფოს წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ?“ (1, ტ.5, გვ.32).

1881 წლის დეკემბრის თვის წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XII, ილია დაცინვით ახასიათებს თვითონ მთავრობას, მის მოხელეებსა და მათ მიერ გატარებულ რეფორმებს.

„იქნება ვსცდებოდეთ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ აქაურ მოხელეებში ერთიც არ გვეგულება იმისთანა, რომელსაც არამც თუ შეესწავლოს ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონდეს და ამისი საჭიროება ეგრძნოს. ჩვენს ქვეყანას დიამბეგების მიწერ-მოწერით იცნობენ და დღეს-აქამომდე ყველანი ერთად და თვითეული ცალკე ამ ცნობებით იკვებებიან. რა ხეირი დაგვაყარა ამ მხრით შესწავლამ ჩვენის ქვეყნისამ, ეგ აშკარად ზედ ატყვია ყოველს რეფორმას, რომელიც შემოტანილ იქმნა ჩვენში ამ ოც წელიწადში. არ-ცოდნა ქვეყნისა განა მარტო იმ საგნებს დაეტყო, რასაც რეფორმა შეეხო; ათასი სხვა ტკივილია ჩვენში, რომლისათვისაც ჯერ ყურიც არ უთხოვებიათ, რომელიც ჯერ სმენითაც არ გაუგონიათ. ქვეყნის მცოდნეს კი ეგ ტკივილები არ გამოეპარებოდა და, თუ წამალს ვერას დასდებდა, დავთარში მაინც მოაქცევდა საღაღადებლად“ (1, ტ.5, გვ.131).

ილია აღნიშნავს, რომ სანამ რაიმე ცვლილებას და რეფორმას გაატარებს მთავრობა ჩვენთან, ჯერ უნდა გაიგონ და შეისწავლონ „თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ“. ყური უნდა დაუგდონ ზოგიერთი თვითონ რუსი მოღვაწეების გამონათქვამებს, რომლებიც ქართველ ხალხს იცნობდნენ, და ამიტომ მას იცავდნენ. მას მოჰყავს, რუსი მწერლის, პუბლიცისტის, ბელეტრისტის და კრიტიკოსის ევგენი მარკოვის (1835–1903) ჟურნალ „რუსკაია რეჩ“-ში („Русская речь“) 1881 წელს გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ ნარკვევიდან, „კავკასიის წერილებიდან“ („Из Кавказских писем“), ერთი ადგილი, სადაც იგი აღწერს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

„ჩვენ, რუსებმაო, – ამბობს იგი, – არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს იჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნეობამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა – იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველსფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში – რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება“ (1, ტ.5, გვ.133).

ა. კენჭოშვილის თქმით:

„მარკოვი ახასიათებს რა სიძველეებს, ეხება სოციალურ-პოლიტიკის საკითხებსაც, კერძოდ, იგი კიცხავს იმ რუს მოხელეებს, რომლებიც ავიწროებდნენ კავკასიელებს, ამავე დროს აქებს ერმოლოვს, ვორონცოვს და სხვ“ (25, გვ.117).

ილიას აზრით, იმ სახელმწიფოში, სადაც უნდა ჩატარდეს რეფორმა, სადაც უნდა განხორციელდეს ცვლილებები, ჯერ უნდა შეისწავლონ ის ერი, მისი ხასიათი და მოთხოვნები, უნდა გათვალისწინებული იყოს, თუ რისთვის და რა მიზნით უნდა მოხდეს ეს რეფორმა და თუ ყველაფერი, რაც ერს სჭირდება მზედველობაში მიღებული იქნება, მაშინ ეს რეფორმა ნაყოფს გამოიღებს. სხვა შემთხვევაში „წყლის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო.“

მეორე წერილშიც, „შინაური მიმოხილვა“ XIII-ში, ილია ისევ ეხება ამავე საკითხს, რეფორმას, და ისევ აღნიშნავს, რომ თუ არ იქნება გათვალისწინებული ერის თვისებები და ჩვეულებები, მაშინ: „ყოველივე ცვლილება სახელდახელო საქმე იქნება, უსულო, უგულო, უსიცოცხლო და გამოუსადეგი ქვეყნისათვის ცალკე და სახელმწიფოსთვის საზოგადოდ. მაშინ ცვლილება ჩინოვნიკის ერთის სკამიდამ მეორეზედ გადახტუნება იქნება, კანცელარიების სახელების შეცვლა, და ბევრ-ბევრი – ორიოდ გროშის გამოზოგვა და სხვა არაფერი“ (1, ტ.5, გვ.144).

ყველა ცნობები ერის შესახებ, უნდა მიაწოდოს მთავრობას, რუსეთის ხელისუფლებლის მიერ დანიშნულმა იმ მოხელეებმა, „დიდკაცობამ“, რომელნიც დაახლოვებულნი არიან მთავრობასთან. მაგრამ, ილიას თქმით:

„ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი დიდკაცობა შორს მანძილზედ არის დარჩომილი ამ მხრით და ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მხოლოობით საწყაოდ მიაჩნია, არამც თუ ჭეშმარიტის პატივმოყვარეობის საგნად უღიარებია, არამედ მის ცხოვრების დავთარში სახსენებელადაც მოხსენებული არ არის“ (1, ტ.5, გვ.145).

ილია არ ერიდებოდა „დიდ მოხელეებსაც“ და თვითონ, რუსეთის უმაღლეს სახელმძღვანელო მთავრობაში მოკალათებულ მოხელეებსაც.

სწორედ ასეთ ჩინოვნიკებს და მოხელეებს დასცინის და აუგად იხსენიებს ილია წერილში, რომელიც გამოუგზავნა რუსეთიდან მეუღლე ოლღას 1874 წელს.

„დასწყევლოს ღმერთმა აქაურობა თავის სამინისტროებითა და უნუგეშობითა. არ იქნა, არა და ჩვენი უსტავი ვერ გადავიდა „გოსუდარსტვენნი სოვეტში“. არ ვიცი, ღმერთმა იცის, რა ვქნა. რაც ღონისძიება ხელთა მაქვს ყოველის ფერსა ვხმარობ, მაგრამ რას უზამ იმისთანა ხალხს, რომლებისათვისაც ღმერთს არც მოტვლეპილს კეფაში ტვინი ჩაუდვია და არც მყრალს გულში გრძნობა. მატყუებენ, მატყუებენ და მაგ მოტყუებას ბოლო არა აქვს. ღმერთმა დაიხსნას ყოველი ქრისტიანი ამათ ბრჭყალებიან ხელში ჩავარდნისაგან. ვერ წარმოიდგენ, რა ხალხია. ღმეჭია, ღრეჭია, ფლიდი და მურტალი, ერთი-ერთმანეთს ასხედან და რუსეთის იმპერიის საქმეს აწარმოებენ... ოხ, მუხთალო სოფელო!.. ამ დღეებში კიდევ მოვიცდი და თუ არა გახდა რა, უნდა ვიჩივლო. მეტი გზა არ არის. რაც მოგვივა, მოგვივა. ჯანი გავარდეს, მე კი ჩემი დამემართა მაგათ ლოდინშია და ვერ წარმოიდგენ, გიმეორებ, – ამ საძაგელს ჩინოვნიკობას.

ჩვენებს კიდევ რა უჭირთ, ამათთან ანგელოზები არიან. თუ რუსეთს დაღუპავს რამე, სწორედ ეს მსუნაგი, ნამუსმიხდილი, მტაცებელი, ბრიყვი ჩინოვნიკობა დაღუპავს“ (1, ტ.10, გვ.338).

ზემოთ ჩვენ ვსთქვით და ამ განხილულ წერილებიდანაც ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე მოურიდებლად ამხელდა და გაბედულად ილაშქრებდა იმ რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნულ მოხელეებზე, რომლებიც ცდილობდნენ ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის შეურაცხყოფას, დამცირებას და დამახინჯებას. მათი წაქეზებითა და ხელშეწყობით, თვით მათი წარმომადგენლების მიერ ხდებოდა არა რუსი ერის აბუჩად აგდება, ცილის წამება, ეროვნებების ერთმანეთზე გადაკიდება, მათი ისტორიის შებღალვა და დამცირება. ილია 1859 წლიდან ერთ-ერთ ყოველდღიურ რუსული გაზეთის „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ის („Московские ведомости“) (1756–1789) შესახებ წერდა, რომ ამ გაზეთში

მოიკალათა კატკოვმა და მისმა „დამქაშებმა“, და სულ იმის ცდაში არიან, რომ „ორგულობა შესწამონ რომელსამე ერს რუსეთისას“ (1, ტ.8, გვ.10).

განსაკუთრებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ისინი თავს ესხმოდნენ საქართველოს, ქართველ ხალხს და ცდილობდნენ როგორმე დაექსაქსათ, დაეშალათ ქართველი ერი, ერთმანეთს წაეკიდათ საქართველოში მცხოვრები ეროვნებები და სხვადასხვა სარწმუნეობის მიმდევრები და ამით სამუდამოდ მოესპოთ ქართველთა ხსენება.

თბილისში, 1846 წლიდან დაიწყო გამოსვლა ყოველდღიურმა ლიტერატურულ-პოლიტიკურმა გაზეთმა რუსულ ენაზე „კავკაზ“-მა („Кавказ“) (1846–1918), რომელიც 1850 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიას დაექვემდებარა.

წერილში, „გაზეთი „კავკაზი“ და ქართველი ხალხი“, ილიას სააშკაროზე გამოჰყავს და ამხელს ამ გაზეთს და მის ერთ-ერთ წარმომადგენელს ზელინსკის, რომელიც წერილში მსჯელობს ქართველების შესახებ. ილიას მოჰყავს წერილიდან ადგილი (რუსულ ენაზე) სადაც იგი წერს, რომ „სრულიად ჯერ კიდევ ადრეა, მაგალითად სვანების და მეგრელების, აგრეთვე ბევრი სხვა ტომების მიკუთვნება ქართველებთან. თუ მათ შორის და უკანასკნელთან არსებობს, შეიძლება ზოგიერთი საერთო ზნე-ჩვეულებები, სიტყვები, ეს არ არის საკმარისი ასეთი დასკვნის მიღებისათვის. პირიქით, ეს ტომები, აგრეთვე და ბევრი სხვები წარმოადგენენ ისეთ მკვეთრ განსხვავებულ ტიპებსა და ენას და აგრეთვე ადათ-წესებს და ნაციონალურ ტანსაცმელებს, რომ მათი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიკუთვნება ქართველებთან“ (1, ტ.8, გვ.18). რა თქმა უნდა, ილიამ პასუხი გასცა ზელინსკის მიერ წამოყენებულ ამ სულელურ თეორიას და თავისებური ფარული დაცინვით შეამკო გაზეთი „კავკაზ“-იც და წერილის ავტორიც.

„რას იტყვით ამაზედ? მართლა-და ბ-ნს ზელინსკის ეს რა ჭორი მოუგონია, რომ ქართველი ქართველიაო. მერე როგორ? ეს წიგნშიაც დაუბეჭდია, წიგნში! ჭორი ხომ ჭორია, მაგრამ ეხლა დააკვირდით, რა სიბრძნეა, რა ლოღიკაა, რა ჭკუადამჯდარი მეცნიერებაა „Кавказ“-ის პუბლიცისტისაგან...

როგორ მოგწონთ ეს „კოსტიუმების“ თეორია? თუ „კოსტიუმების“ თეორიას გავყვებით, არა გვგონია თითონ „Кавказ“-ის ბედნიერი პუბლიცისტი გამოდგეს იმ თესლისა, რა თესლსაც თითონ ეკუთვნის.

არა, ბ-ნო პუბლიცისტო! ამ ჯაგლაგ თეორიით შორს ვერ წახვალთ და თუ მაინცდამაინც დაიჟინებთ, იქამდე მიხვალთ, რომ ტულის გუბერნიის გლეხ-

კაცსაც ჩამოართმევთ რუსობას, იმიტომ რომ ტულის გუბერნიაში სხვანაირ ქუდებს ატარებენ და მოსკოვისაში სხვანაირს. ეგ ახალი გაზანდრის ადლი აგიღიათ ხელში და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ; ჩვენ-კი მაგით ვერას გაგაზომინებთ“ (1, ტ.8, გვ.19).

ზელინსკის წერილის დაწერისა და გამოქვეყნების მიზან-დასახულებას ძალიან კარგად გრძნობს და ხედავს ილია. მან იცის, თუ რაზე და რის გამოც არის ატეხილი ეს „ლაყბობა“ და „როშვა“. ეს არის, საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ, მიზანმიმართული, წინასწარ დასახული გამოლაშქრება. ასეთი მწერლების შესახებ ილია წერს:

„რაებს არა ჰბოდვენ? რაებს არა ლაყბობენ?

რა დაემართა ადამიანს? არ ვიცით. უჭკვონი, ულოღიკონი, სულელნი განა წინათ-კი არა ყოფილან, მაგრამ სულელს თავის-დღეში სულელი ჰრქმევია და ყური არავის უთხოვებია. ეხლა კი სულელობას თითქო კაი ბაზარი აქვს, თითქო კაი ფასად გადის და ვისაც ეს განძი ბლომად ჰქონია, საპალნეებით ზედი-ზედ ეზიდება გასასაღებლად, თითქო დროს ეხარბება, მაზანდა არ წაჰხდეს, ფასი არ დაჰვარდეს და არ დავიღუპოვო“ (1, ტ.8, გვ.19).

ასეთი პიროვნება, რომელიც ამდაგვარ სისულელეებს წერს, ილიას თქმით, ან მართლა სულელია, ან განგებ ისულელებს თავს. „ხუმრობა ნუ გგონიათ ასე სამარცხვინოდ თავის გაწირვა, ასე გაბიაბრუება, გაუპატიურება საკუთარის თავისა, საკუთარის კაცობისა. ამასაც ღონე უნდა, მართალია ღონე საზიზღარი, თავლაფდასხმული, შემაძრწუნებელი, მაგრამ მაინც ღონე. ვაი რომ ამისთანა ღონესაც ფასი აქვს და მუშტარი ჰყავს!“ (1, ტ.8, გვ.20).

ამავე საკითხს ეხება, ილიას მეორე წერილი, „ისევ გაზეთ „კავკაზის“ გამოლაშქრების გამო“. სადაც ილია სასტიკად კიცხავს თვითონ გაზეთს. მისი გადმოცემით, ამ გაზეთში გამოქვეყნებული ყოფილა, ყოვლად უსინდისო და უნამუსო კაცის მიერ დაწერილი წერილი, რომელიც „ყოველგვარს საძაგლობას კადრულობს, ყოველგვარ უკადრის იარაღს ხელსა ჰკიდებს. რას უნდა ეკრძალებოდეს და ერიდებოდეს!“ (1, ტ.8, გვ.22).

როდესაც წაუკითხავს ილიას, ამ გაზეთის „მეთაური წერილი“, იგი აღშფოთებული წერს:

„წაიკითხეთ ამ სასაცილო გაზეთის მეთაური წერილი, დათარიღებული 21-ს იანვრითა? ჩვენ წავიკითხეთ და უნებლიეთ წამოვიძახეთ გაოცებულებმა: ერიჰაა!.. აი, დაუშტვინეს რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. თქვენ ვინა ჰყრიხართო, ჰყროყინებს „Кавказ“-ი თავმოწონებულის ყროყინითა: მართალია, ივერია

ძველისძველათგანვე ცნობილია კაცობრიობის ისტორიისაგან, მაგრამ თქვენ, ქართველებს, ამით რაო? თქვენ ვინა ხართო? გუშინდელი მოსულები, საიდღანაც მოთრეულხართ და იძახით ორი ათასი წლის ისტორია გვაქვსო? სადა გაქვთ თქვენ ისტორიაო? თქვენი ისტორია სულ გუშინდელი ამბავია და ტყუილად მოგაქვთ თავიო“ (1, ტ.8, გვ.22).

ასე და ამგვარად, გაზეთმა „Кавказ“-მა, ქართველ ხალხს ისტორიაც მოუსპო, მიწა-წყალიც და ქართველობაც. ასე ურცხვად გაზეთმა უარყო „მეცნიერებაც, ისტორიის უეჭველნი ნაშთნიც, სამღთო და საერო მატიანეთა მოწმობაც, თავის-თავიც და სხვაცა!“ (1, ტ.8, გვ.23).

ილია გაოცებული წერს:

„თუ კაცს ღმერთი გასწყრომია და ყური დახშული აქვს სმენისათვის, თვალთახედვის უნარი სად ჯანაბაშიღა დაჰკარგვია, რომ თავის გარეშემო ვეღარა ჰხედავს ათასის წლების ნაშენებს და ნაკეთებსა. ჩვენში ხომ ისე ფეხსაც არ გადასდგამთ, რომ ამისთანა უტყუარნი მოწმენი თვალწინ არ აღგემართონ თავისის დიდებითა და სახელოვანებითა. ჩვენში ქვებიც, ქვებიც-კი ჰღაღადებენ, რომ საქმე ისე არ არის, როგორც „Кавказ“-ს მოსწყურებია. ჩვენში ეგ მკვდარი, უსულო, უგულო და უენო მოწმენიც-კი მოგვითხრობენ ათასის წლების ამბებსა, მაგრამ პირმეტყველი, სულოვანი და გულოვანი „Кавказ“-ი ქვაზედ უფრო ქვა ყოფილა“ (1, ტ.8, გვ.23).

„შინაური მიმოხილვა“-ში რომელიც 1882 წელს გამოქვეყნდა, ილია რუსეთის ხელისუფლების მიერ დანიშნულ მოხელეების შესახებ აღნიშნავს, რომ „საკვირველია მოხელეობის ბედი, ნამეტნავად ჩვენში. არის თუ არა თავის ადგილას მოხელე... არც იმისი ყოფნა გვმატებს რასმეს, არც იმისი არყოფნა გვაკლებს. ჰსცვლიან ძველს, ნიშნავენ ახალს...

ტყუილია, – ვერა მოხელემ თავის ადგილას თავის ყოფნა სახეიროდ და, მაშასადამე სხვის სასიამოვნოდაც ვერ გახადოს, თუ რომ საცა ზის, თავის ცხოვრების ძირიც აქ არა აქვს და თუ რომ იქაური ავკარგიანობა ძირით თხემამდე შეცნებული, შეტყობილი და შესწავლული არა აქვს. თუ პირველი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით მეტისმეტი ჰგონია ვისმე, მეორე სიკეთე მაინც აუცილებლად უნდა მოეთხოვებოდეს ხოლმე მოხელეს...

ჩვენს ხსოვნაში ერთი მოხელე არ ვიცით, რომ აქაურობის ცოტაოდენი ცოდნა ჰქონდეს და ამ ცოდნით აღჭურვილი შესდგომოდეს მისდამი მინდობილის თანამდებობის აღსრულებას...კიდევ ვიმეორებთ: ვიდრე მოხელე, საქაოდ დანიშნული, აქაურობის ცოდნით არ შეუდგება აქაურს სამსახურს, იმ დრომდე

შეუძლებელია – ან მოხელემ სიკეთე რამ მოუტანოს, ან ერმა მადლობით მოიხსენიოს...

აქაურობის უცოდინარი მოხელეობა არამც თუ არ გაუწევს სახელმწიფოს იმ სამსახურს, რომლის სურვილიც აქვს უმაღლესს მთავრობასა, პირიქით, სახელს გაუტეხს სახელმწიფოსა და უმაღლესის მთავრობის კეთილს სურვილს სხვა თვალით დაანახვებს. სურვილი იყოს, თორემ ამისი წამალი ადვილია: ვიდრე მოხელე დაინიშნებოდეს, გაისინჯოს, – საკმაო ცოდნა აქვს იმ ქვეყნისა, საცა ინიშნება, თუ არა. ეს ერთი. მეორე – იცის თუ არა იქური ენა. სხვა ყოველიო ღირსება უქმია, თუ მოხელეს ეს ორი აუცილებელი სიკეთე არა სჭირს" (2, ტ.VII, გვ.11–13).

ამ წერილებიდანაც აშკარად ჩანს თუ, ილიას დროს, საქართველოში, რა მდგომარეობა ყოფილა. რეაქციის შემოტევამ განსაკუთრებით იმძლავრა და ქვეყანას მოსპობა ემუქრებოდა. გარუსებას და გადაგვარებას, ხელს აღარაფერი უშლიდა. რუსეთის იმპერიამ შეუტია როგორც განათლებას, ასევე ქართულ ეკლესიასაც.

ცნობილია, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, რუსეთთან შეერთების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოში გაუქმდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1814 წელს. კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაც გააუქმეს და დაუმორჩილეს რუსეთის სინოდის საეგზარქოსოს. ამის შემდეგ, საქართველოში ეგზარქოსებად ინიშნებოდნენ მხოლოდ რუსი მღვდელმთავრები, რომლებიც ეროვნულ შუღლს აღვივებდნენ და კოლონიზატორულ პოლიტიკას ატარებდნენ (1882–1887) წლებში, საქართველოში დანიშნულმა ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა (1827–1892) აშკარად დაიწყო გარუსების პოლიტიკის გატარება. მან თბილისის სასულიერო სემინარიაში აკრძალა ქართულ ენაზე სწავლება და ასევე ქართული საერო ლიტერატურაც. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველოს ყველა სასულიერო დაწესებულება. მან დაითხოვა ქართველი მასწავლებლები, ზედამხედველები და შეცვალა რუსებით. ამიერიდან მთელ საქართველოს მიწა-წყალზე საეკლესიო ქადაგება, წირვა-ლოცვა, მიმდინარეობდა ხალ-ხისათვის უცხო – რუსულ ენაზე. ამავე დროს დაიწყო საქართველოს ეკლესია-მონასტრების ძარცვა-რბევა, კირით შეთეთრება და ამით ძველი ღირსშესანიშნაობების დაზიანება და დაფარვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს, რუსეთში აღმოჩნდნენ თითო-ოროლა საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ამხელდნენ რუსი მოხელეების მოქმედე-

ბებს საქართველოში. ერთ-ერთ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა, ნიკოლოზ დურნოვო (1876–1937) – ცნობილი რუსი ენათმეცნიერი, სსრკ-ის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1924), ბელორუსიის სა-ის აკადემიკოსი (1928). 1930 წელს იგი აკადემიიდან გარიცხეს. 1933 წელს დაიჭირეს და 10 წლით გადაასახლეს განსაკუთრებული დანიშნულების სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში, ხოლო 1937 წელს ხელახლა გაასამართლეს და დახვრიტეს (ერთი წლის შემდეგ მისი ორივე შვილიც დახვრიტეს).

პუბლიცისტი, ქუთაისის საისტორიო საზოგადოებისა და მუზეუმის დამაარსებელი, ამავე მუზეუმის პირველი დირექტორი ტრიფონ ჟაფარიძე (1876–1937); (1937 წელს დააპატიმრეს, წამების შედეგად ავადმყოფობის გამო, ქუთაისის ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა. 1956 წ-ს უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა) ნ. დურნოვოს შესახებ წერდა:

„შეგნებულ ქართველთა წარმოდგენილებაში დურნოვო საქართველოს ეკლესიის მედგარ დარაჯათ ისახება. რუს მწერალთა შორის ასეთი მაგალითი არა თუ იშვიათი – ერთათ ერთი შემთხვევაა...

მისი პიროვნება და მისი პოზიცია საქართველოს ეკლესიის საკითხში მართლაც საყურადღებოა. სწორეთ თითით საჩვენებელია.

ნ. დურნოვო არის საფუძვლიანი მცოდნე ღვთის მეტყველებისა, განსაკუთრებით საეკლესიო ისტორიისა და კანონმდებლობისა, როგორც კანონისტი დურნოვო ავტორიტეტია არა მარტო რუსეთში – მთელ მართლმადიდებელ ეკლესიაში. დურნოვო გულწრფელი პატრიოტია, მიმართულებით მემარჯვენე. კერძო ცხოვრებაში იშვიათი ქველმოქმედი, გულკეთილი მოქალაქე და თავდადებული დამცველი სიმართლის ყოველ სფეროში. აღსანიშნავია მისი უანგარო მოღვაწეობა მწერლობაში...

დურნოვოსთანა კაცები ცოტაა ქვეყანაზე და მეტადრე რუსეთში“ (გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“, 1917 წ.).

1907 წელს მოსკოვში გამოცემულ „რუსსკიი სტიაგ“-ის მიერ გამოცემულ წიგნში „საქართველოს ეკლესიის ბედი (ქართული საეკლესიო ავტოკეფალიის საკითხის გამო)“, ნ. დურნოვო აღნიშნავდა:

„ქართველ ხალხზე უბედური არავინ არაა. როგორც მართლმადიდებელი ხალხის უფლებეს არასდროს არ დაიცავს მემარცხენე ებრაული პრესა, როგორც თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისათვის მისწრა-ფებულ და გარუსების მოწინააღმდეგეს, მას მხარს არ უჭერს მემარჯვენე პრესაც კი.

„ნოვოე ვრემია“, რომელიც ყველგან თავის პატრიოტიზმს ქადაგებს, იმავე დროს ყოველნაირად იცავს სომეხ ხალხს, რომელიც ახრჩობს ქართველთა კეთილდღეობას. სხვათა შორის, თუ არა სომეხი კრეზები, ვინ კვებავს კავკასიელ ჩინოვნიკებს. სომხები, რომლებმაც გაყვლიფეს ქართველი ხალხი და რუს ჩინოვნიკებთან ერთად ხელს უწყობენ მათ გარევოლუციონერებას, ამჟამად თავიანთ ნაყოფს კრეფენ. „როსიას“ სიტყვებით რომ ვთქვათ, სომხებმა ამას წინათ ბრწყინვალე საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს მეფის ნაცვალს ეჩმიაძინში. ყველაფერი სომხებისათვის და არაფერი ქართველებისათვის ან ყველაფერი ებრაელებისათვის და არაფერი რუსი ხალხისათვის.

სურთ რა ყველაფერი იცოდნენ საქართველოს შესახებ, რომელიც საერო და სასულიერო ბიუროკრატიზმმა გაარევოლუციონერა, ახლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაში ხედავენ სეპარატიზმისაკენ მიმავალ გზას. ავტოკეფალია, მათი აზრით, რელიგიური კი არა, პოლიტიკური მიზანია. მაგრამ რამდენადაც ჭკვიანები არ უნდა იყვნენ სასულიერო მამები, რაც არ უნდა იეშმაკონ, როგორი ჰიპნოზითაც და ტკბილი სიტყვით არ უნდა მოისყიდონ მსმენელები, ისინი ვერ გადაარწმუნებენ ქართველი ხალხის იმ მეგობრებს, რომლებმაც იციან, თუ როგორ იტანჯებიან ქართველები რუსი ადმინისტრაციისა და სამართლისაგან, რუსი ეგზარქოსებისა და რუსიფიკატორებისაგან. ისინი არ მიეკუთვნებიან იმ რუს პატრიოტებს, რომლებიც ხალხის ძალდატანებითა და ჩაგვრით იკეთებენ კარიერას. ისინი მართლმადიდებლობას იცავდნენ და არასოდეს ივიწყებდნენ მოციქულის მცნებებს, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში არ არიან არც ელინები, არც იუდეველები და არ არის სიყვარული იმაზე მეტის, ვიდრე კაცი თავის სულს დადებს მეგობართა თვისთა. ეს ღვთიური ბრძანება დავიწყებული რომ არ ჰქონდეთ ჩვენს რუსიფიკატორებს საქართველოში, საქართველოს რუს მმართველებს ყოველთვის თვალწინ რომ ედგათ იმპერატორ ალექსანდრე I მანიფესტი და იმპერატრიცა ეკატერინე II, იმპერატორების პავლე I და ალექსანდრე I ქართველი ხალხისადმი მიცემული დაპირებები, მაშინ, არა მგონია, ქართველი ხალხის ერთგულებაში რაიმე ეჭვი შეგვეტანა. ამ მრავალტანჯული ხალხისადმი სიყვარული ჩვენმა სამოქალაქო, სასწავლო და სასულიერო ბიუროკრატიამ ზიზღით შეცვალა; სამართალი – უკანონობითა და ძალადობით, სამართლიანობა – შევიწროებითა და ტანჯვით..“ (60).

კოლონიზატორულ პოლიტიკას და რეაქციონერების ამ შემოტევას, წინ აღუდგენ და ხმა აღიმაღლეს ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა: ი. ჭავჭავაძემ,

ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ნ. ნიკოლაძემ, ს. მესხმა, დ. ყიფიანმა და სხვებმა. მიუხედავად მკაცრი საცენზურო პირობებისა, ქართველი პატრიოტები მაინც ახერხებდნენ თავის სიტყვის თქმას.

რუსეთის რეაქციის შემოტევა, განსაკუთრებით იგრძნობოდა საქალაქო მმართველობაშიც. თვითმმართველობის შემოღების შემდეგ, საქალაქო საბჭოში, ქართველები მცირე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი.

მთავრობის ხელშეწყობით, საქართველოს ქალაქების თვითმმართველობის ყველა დაწესებულება, XIX საუკუნის 80-იან წლებში, ხელში ჩაიგდეს მდიდარმა სომხებმა, ძირითადათ ვაჭრებმა.

საქართველოს ქალაქების მოსახლეობა მრავალეროვნული იყო და აქ ადვილი იყო შინაკლასობრივი და ეროვნებათა შორის ურთიერთ წაქეზებით, ბრძოლის გამწვავება, რასაც რუსიფიკატორები ახერხებდნენ კიდეც.

„ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა ფენა მტრულად უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ყოველი მათგანი ცდილობდა თვითმმართველობაში გაბატონებას და ამ დაწესებულების თავის ინტერესებისათვის გამოყენებას. საქალაქო სათათბიროები, გამგეობები და ქალაქის თავები უმეტესწილად მოსახლეობის ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდნენ და იცავდნენ. ქალაქის მოსახლეობის დაბალი მასა კი, არსებული საარჩევნო სისტემის პირობებში, თავის წარმომადგენელთა სათათბიროში გაყვანას იშვიათად ახერხებდა“ (10, ტ.V, გვ.698).

განსაკუთრებით გამწვავდა დაპირისპირება სომეხ და ქართველ ბურჟუაზიას შორის, რომელიც გადაიზარდა შინაკლასობრივ და ნაციონალურ წინააღმდეგობაში.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობაში, „ქალაქის თავის სავარძელი 1878-დან 1891 წლამდე შეუცვლელად ა. მატინოვს ეკავა და გამგეობის წევრებადაც უმეტეს შემთხვევაში სომხები ირჩეოდნენ.

1890 წელს წინასაარჩევნო ბრძოლამ თბილისში მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ბრძოლის ასპარეზზე ძირითადად სამი დაჯგუფება გამოვიდა. პირველს თანამედროვენი უწოდებდნენ „გამგეობის პარტიას“, რადგან მას მეთაურობდნენ ქალაქის თავი მატინოვი და გამგეობის ყველაზე გავლენიანი წევრი პ. იზმაილოვი. მეორე დაჯგუფება მონათლეს „დვორცოვი ნომრების“ (ისიც სომხური ბურჟუაზიის დაჯგუფება იყო) პარტიის სახელწოდებით. მესამე დაჯგუფებას კი ქმნიდა სათათბიროს მემარცხენე ფრთა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი „დვორცოვი ნომრებისადმი“ და უკანასკნელ ხანს ოპოზიციაში ჩაუდგა გამ-

გეობას. ამიტომ ეს პარტია პრესაში „ოპოზიციის“ სახელწოდებით იხსენიება. ზოგი პუბლიცისტი მას „ქართველთა პარტიას“-აც უწოდებდა.

„დვორცოვი ნომრებისა“ და „გამგეობის პარტიის“ სამოქმედო პროგრამა ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ამ დაჯგუფებათა სოციალურ საყრდენს წარმოადგენდა თბილისის მსხვილი და ნაწილობრივ საშუალო ბურჟუაზია, რომელიც ნაციონალური შემადგენლობით ძირითადად სომხური იყო. სომეხ ბურჟუაზიას ქალაქის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და თბილისის მართვა-გამგეობაშიც პირველობას იჩემებდა“ (10, ტ.V, გვ.699).

სომხები, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ ცდილობდნენ ქალაქის მმართველობაში არ დაეშვათ სხვა ეროვნებისა და სარწმუნეობის წარმომადგენლები. მათ ხელში აღმოჩნდა ხაზინაც და როგორც უნდოდათ ისე განაგებდნენ. თანდათან მათ ხელში გადადიოდა თვითმმართველობის სხვა დაწესებულებებიც.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა სარწმუნეობებს, მართლმადიდებლებსა და გრიგორიანებს, შორის. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მართლმადიდებლები და კათოლიკები, მათ შორის სომეხი კათოლიკებიც, მოითხოვდნენ თვითმმართველობის გაუქმებას და ისევ საპოლიციო მმართველობის აღდგენას.

ილია ჭავჭავაძემ, არა ერთი წერილი მიუძღვნა თბილისის გამგეობის საქმეს.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სხვა ერის, მათ შორის სომეხი ერის მიმართ. ხოლო იმ სომხებს, „იმ მწიგნობარ მეცნიერებს“, რომელნიც ქართველების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და ცდილობდნენ საქართველოს ისტორიის გაყალბებას და ქართველი ერის დამცირებას, საკადრის პასუხს აძლევდა და მიწასთან ასწორებდა.

საერთოდ, ყოველ ადამიანში არის ჩაქსოვილი მეტ-ნაკლებად სიკეთეც და სიბოროტეც. გააჩნია მდგომარეობას, ამა-თუ იმ პირობების დროს როდის რას გამოავლენს. თუ ადამიანში სიბოროტე სჭარბობს და სხვადასხვა მიზეზის დროს ერთხელ მაინც დაჯაბნა სიკეთე, მაშინ მისი შეჩერება მეტად ძნელია და მაშინ ეს პიროვნება, უნდა თუ არ უნდა, მიჰყვება ამ სიბოროტეს. პირველად ჩადენილი ავკაცობაა ძნელი, თორემ შემდეგ – ადვილია.

ადამიანთა ავ-კარგიანობის შესახებ წერს ერთ-ერთ წერილში ილია:

„ბუნება ადანიანისა – ქართველია თუ გარმიანელი – ავ-კარგიანობით არის საავსე და ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მიწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი, ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში. თუნდ ეგრეც არ იყოს, თითონ

ცალკე, თვითეულ ადამიანის ბუნების ავ-კარგიანობაშია იგი მოძრაობა სულისა და გულისა...

ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაცდურია ყოველ გაუწურთნავ და გონება-გაუხსნელ კაცისათვის“ (1, ტ.3, გვ.189).

სწორედ ასეთ ავებად, გამყაბლებლად, და „წაწყმედილ“ ხალხად თვლის ილია იმ ერთ მუჭა, „იგი გუნდი“, „ტერაცუებს“, სომხებისას, რომლებიც ქალაქის თვითმმართველობაში მოკალათდნენ და იმ ვაი-მეცნიერებს, „უმეცართა მეცნიერთა“, ვითომდა მწიგნობრებს და იმ ქორ-ვაჭრებს, რომლებიც არა თუ ქართველების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, არამედ თვით სომეხ ხალხსაც ავიწროებდნენ.

წერილში, „ავლაბრის საქმე“, ილია იცავს ავლაბრელ სომეხ გლეხებს, რომლებსაც აყრას უპირებდა ქალაქის გამგეობა.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ შამქორის ომიდან დაბრუნებულ ერეკლე მეფეს, თან ჩამოუყვანია ყიზილბაშებისაგან გამოქცეული რამდენიმე სომეხი ოჯახი და დაუსახლებია თბილისის ერთ-ერთ უბანში, ავლაბარში და მათთვის უბოძებია „ავლაბრის გარშემო მდებარე მამული სახნავ-სათესად და საძოვრად“ (1, ტ.8, გვ.29).

გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ვიღაც შაღუბათოვს მოუნდომებია ამ მამულების ხელში ჩაგდება. ავლაბრელთა წინააღმდეგობის გამო ეს საქმე სენატამდე მისულა. მას განუხილია და მამული ისევ გლეხებისათვის დაუტოვებია. „ავლაბრელებს ეს დავა კარგა ფული დასჯდომიათ, და რაკი მაინც თავისად ჰგულებიათ, სხვა ხარჯიც არ დაუზოგავთ ამ მამულების განკარგებისათვის.“ რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ მამულების ხელში ჩაგდება მოუნდომებიათ სამ სომეხ „მეორე გილდის“ ვაჭრებს: ყაზარ ახნაზაროვს, ავეტიკ ახნაზაროვს და იაკობ ქიშმიშოვს. ეს საქმე განუხილია ქალაქის გამგეობას და რა თქმა უნდა ავლაბრის მამულები ამ სომეხ ვაჭრებისათვის გადაუციათ. ავლაბრელები, რომლებისათვისაც ეს მამულები წარმოადგენდათ „ცხოვრების სახსარს“, ცარიელ-ტარიელი დაუტოვებიათ. მიუხედავად იმისა, „რომ მთელი სინდისიერი სიმართლე ავლაბრელების მხრივ იყო.“ ილია წერს:

„არ გაგონილა ასე ხელაღებით უარყოფა ყოველის რიგისა და წესისა... ეს ისეთი ამოცანაა, რომლის ასახსნელად ყოველივე კაცური ღონე უქმია და ვერ შემძლებელი“ (1, ტ.8, გვ.50).

1891 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში, ილია ჭავჭავაძე განიხილავს ქალაქში ჩატარებულ გამგეობის არჩევნებს. მისი თქმით, თუ აქამდე ქალაქის თვითმმართველობაში განაგებდნენ მხოლოდ „შემძლებელები“ და ესენი ძირითადათ იყვნენ სომხები, ამჯერად საბჭოში მოხვდნენ თბილისის მოსახლეობის „შეუძლებელთა მცხოვრები“, „რომელთა შორის ქართველობა დიდს უმრავლესობა შეადგენს“ და „ყველა ქართველი თუ სომეხი მიეგება ამ არჩევნებს, როცა მისი შედეგი გამოცხადდა“ (1, ტ.8, გვ.57).

ილია გადმოგვცემს, რომ ის სომხები, „ტერაცუები“, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ არჩევნები ჩაეშალათ და არჩევნების შედეგები დაემალათ. ილია წერს, რომ გამგეობაში მოკალათებულმა ამ სომხებმა:

„ზოგიერთებმა ხელი ჩაჰკიდეს იმისთანა საგანს, როგორც მაგალითებრ, ეროვნებაა, რომელსაც დიდი გზა და ავალა აქვს ყოველგვარ ქსელის გასაბმელად, და ეს არაფერს შუაში მყოფი ეროვნება ხიდად გაიდეს, რომ სხვადასხვა თესლის მცხოვრებნი ერთმანეთს დააჯახონ სამტროდ, ერთმანეთის წეწვა-გლეჯად და მით მათი თვალი საერთო საქმეს ქალაქისას მოაშორონ. ამ ვაჟბატონებს მით უფრო მოუხერხდათ ამ სამარცხვინო ხიდის გადება, რომ ამ არჩევნებმა დიდი მონაწილეობა მისცა ქართველებს საბჭოში, რიგიანმა სომეხმა ამ ქართველებს საბჭოში შესვლა, რასაკვირველია, საამურად მიიღო და არამცთუ იხამუშა, არამედ ჰკვირობდა კიდეც, რატომ აქამდისაც არ იყო ესეო, ხოლო ტერაცუები შესდგნენ ყალხზედ, ვაჰ, ქალაქი ჩვენია და ქართველებს ქალაქში რა ხელი აქვთო. ამათ ისე შეჰხედეს ამ არჩევნებს, რომ ჩვეული ბატონობა ქალაქში გვერთმევა და ქართველები იჩემებენო.

შეჰხტა და შემოტრიალდა ტერაცუობა, რომელთანაც ჭკუა დამჯდარსა და რიგიანს სომხობას არავითარი ურთიერთობა არა აქვს,— და სხვა რო ვერა იხერხა-რა, ბოლოს ისა სთქვა, რომ აბა ქალაქის საქმეში რა შესატანია ეროვნება, ეროვნებაზე აქ კრინტიც არ უნდა დაიძრასო. ეს, რასაკვირველია, იმ ანგარიშით უნდა იყოს თქმული, რომ აქამომდე ტფილისში გაბატონებულს ეროვნებას არავინ იერიშის მიტანა არ გაუბედოს და ტერაცუებსაც ხომ სხვა არა უნდათ-რა. ამ სახით, ამისი მთქმელი თუმცა სოროში ჰძვრება, მაგრამ კუდი-კი გარედა ჰრჩება და საქმეც ეს კუდია: ოღონდ-კი ხალისი იყოს, თორემ როცა გნებავთ ხელს წაავლებს კაცი და სოროში შემძვრალს ჩხავილით გარედ გამოათრევს“ (1, ტ.8, გვ.56).

ქართველები და სომხები, ეს ორი ერი, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, საუკუნეების განმავლობაში ისტორიის ქარტე-

ხილს ერთად, მხარდამხარ ებრძოდნენ და ცხოვრების ჭაპანს ერთი მეორის მხარდაჭერით ეზიდებოდნენ, რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთის მესვეურთა მხარდაჭერით, მდგომარეობა შეიცვალა. რუსეთის კოლონიური იმპერია იყენებდა რომის იმპერიის მეთოდს: „გათიშე და იბატონე“-ს. რომ ორივე ერი, ქართველები და სომხები, მორჩილი ყოლოდათ, ამიტომ, ცდილობდა ამ ორი ერის ერთმანეთთან გადაკიდებას. რუსეთის იმპერიის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა მხარდაჭერითა და წაქეზებით, საქართველოს წინააღმდეგ, დაიწყო ბეჭდვა ჟურნალ-გაზეთებში, ზოგიერთი რუსი და სომეხი ვაი-მეცნიერებისა და ლიტერატორების წერილები და ნარკვევები, სადაც ხდებოდა საქართველოს ისტორიის გაყალბება და ქართველი ერის დამცირება.

ილია ჭავჭავაძე, ასეთი ვაი-ლიტერატორებისა და უხეირო „მეცნიერების“ წინააღმდეგ ილაშქრებდა და ამხელდა მათ უმგვანო, გამყიდველურ საქციელს.

ილია, წერილში, „გაბრიელ სუნდუკიანის „პეპო“ და სომხის ლიტერატორები“, მისთვის დამახასიათებელი მოურიდებლობითა და პირდაპირობით, ამხელს ასეთ ავად მხსენებელ, ერთი მუჭა სომხების წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობდნენ ამ ორი ერის წაკიდებას. იგი ასე ახასიათებს მათ:

„ერთი არა-სასიამოვნო თვისება დაეკვება აქაურს სომხურს ლიტერატურას და სომხის ლიტერატორებსა, თუ ყველას არა, უფროს-ერთს მაინცა. საცა-კი შემთხვევა ეძლევათ ქართველი ახსენონ, ისე ვერ მოურჩებიან, რომ ქართველი და ქართველობა არ გაჰკინწლონ ცოტად თუ ბევრად. ღვთის წინაშე, უნდა ითქვას, რომ არც ჩვენ, ქართველები, ვაკლებთ რასმე სომხებს და ჩვენც ხელიდამ არ ვუშვებთ შემთხვევას ასე თუ ისე ავად არ ვახსენოთ. ხოლო ჩვენდა გასამართლებლად ესეც უნდა ითქვას, რომ ჩვენ, ქართველები, ავად ვიხსენიებთ ხოლმე მარტო იმ ჯურის სომხებს, რომელნიც წურბელებსავით მოჰკიდებიან აქაურობას, სწოვენ ქვეყანას და რომელთაც ჰკიცხავენ და ავად იხსენიებენ თითონ გონიერნი და პატიოსანნი სომეხნი. ვერც ჩვენს ლიტერატურაში, ვერც ჩვენს საზოგადოებაში ერთს მაგალითსაც ვერ გვიჩვენებენ, რომ ქართველი ავად იხსენიებდეს მთელს სომხობასა, მის ინტელიგენციას, რომელზედაც დამყარებული აქვს სომხობას მთელი თავისი სამართლიანი სასოება და რომელიც ხსენებულ ჯურის სომხების წრეს გარეთა ჰდგას თავის სასახელოდ და თავის მოძმეთა ნუგეშად. ჩვენში ჩვენგან მთელი სომხობა, როგორც ერი, თავის-დღეში არც გაკითხულა, არც გაკიცხულა და არც ავად ხსენებულა. სულელობაც იქნებოდა ეს ჩვენ მიერ, იმიტომ რომ ქვეყანაზედ არ მოიპოვება იმისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის. პირიქით, არა ერთი და ორი

მაგალითი ყოფილა, რომ ყოველს კარგს სომხისას პატივისცემით დაჰხვედრია ქართველობა და მისი ინტელიგენცია. ამის საბუთს იპოვით როგორც ჩვენს ლიტერატურაში, ისეც ცხოვრებაში.

სამწუხაროდ ჩვენდა, ესე არ იქცევიან აქაური სომხის ლიტერატორები. ვიმეორებთ, ყველაზედ ამას ვერ ვიტყვით და უფროს-ერთი-კი სწორედ უკუღმართად იქცევა ყოველს ამისთანა შემთხვევაში“ (1, ტ.3, გვ.179).

ილიას, მაგალითისათვის მოჰყავს, ახლად დაარსებული სომხური ჟურნალი „მურჯი“, რომელმაც გამოსვლისთანავე დაბეჭდა, მსახიობის, რეჟისორის, თეატრალური მოღვაწისა და მთარგმნელის გევორქ ჩიმიშკიანის (1837–1916) წერილი, სადაც იგი აღწერდა, მწერლის, დრამატურგის და სომხურ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის გაბრიელ სუნდუკიანის (1825– 1912) ბიოგრაფიას.

ილია, აღნიშნავდა, რომ წერილის ავტორი, ერთ ადგილას წერდა, რომ გ. სუნდუკიანის პიესამ „პეპომ“ იმოდენად გაითქვა სახელი, რომ პირველ წარმოდგენის შემდეგ გავიდა მცირეოდენი ხანი და ქართველთა ინტელიგენციის ყმაწვილკაცობამ, მოისურვა-რა გამოცოცხლება ქართულის თეატრისა, რომელმაც დიდი ხანია დალია სული, ამ პიესით აღადგინა მკვდრეთით უკვე მიცვალებული ქართული სცენაო“ (1, ტ.3, გვ.180).

ილია გაკვირვებული ამბობს, რომ ამ პიესამ თუ ესეთი სასწაული მოახდინა და აღადგინა ქართული თეატრი, „სომხებს რაზედ შემოსწყრა, რომ მის ხელში ცოცხალი სომხური სცენა ეგრე უდროვოდ მოკვდა და დღესაც მკვდარია?... აქ ან ის უნდა ვიგულვოთ, რომ რაც ქართველისათვის მაცოცხლებელია, ის სომხისათვის მომაკვდინებელია, ან ის, რომ ბ-ნ ჩიმიშკიანცის აზრი თავიდამ ფეხამდე ტყუილია. ქართველებიც და სომხებიცა დაგვეთანხმებიან, რომ უკანასკნელი საგულვებელი უფრო ჭკუაზედ ახლოა. ბ-ნი ჩიმიშკიანცი ტყუილად გაუჭირვეულებია წყურვილს ქართულის გაკინწვლისას და მოუფიქრებლად ტყვედ მისცემია თავის გაჯანჯღლებულს გულისნადებსა“ (1, ტ.3, გვ.180).

შემდეგ, გ. ჩიმიშკიანი წერს, რომ:

„პეპო“ იმოდენად გაქართველებულია ეხლა, რომ დღესაც კი მოიპოვება იმისთანა ქართველი, რომელსაც ძნელად დააჯერებთ, რომ „პეპო“ სომხურს ენაზეა დაწერილი და სომხის პოეტის გენიოსობით შექმნილიო“ (1, ტ.8, გვ.181). ამ სიტყვებით გაკვირვებული ილია იუმორით აღნიშნავს:

„არ ვიცით ბ-ნს ჩიმიშკიანცს საიდამ აჰკვიატებია ამისთანა უცნაური აზრი. ჩვენ დაუშოშმანებთ ატკივებულს გულს ბ-ნს ჩიმიშკიანცს და დავარწმუნებთ,

რომ მაგისთანა ქართველს მარტო თავის საკუთარს ფანტაზიაში თუ იპოვის. თუნდ რომ ეგრეც იყოს, რა ცუდი უქმნია ქართველს, რომ სომხის კარგი შეუთვისტომებია, საკუთარ შვილად მიუჩნევია. ეგ მარტო ჩვენს სიტყვას ამტკიცებს, რომ ყოველივე კარგი სომხისა ჩვენში ჰპოულობს პატივისცემას და სიყვარულს იმოდენად, რომ თავისას და სომხისას ერთმანეთშიაც აღარ არჩევს. თუ ესეა, ბ-ნი ჩიმიშკიანციც საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველი არ არის დამწყვდეული თავის გვარტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულგაშლით ეკიდება ყოველს სხვა გვარტომსა. ესეთი თვისება საქებურია და არა საწუნარი...“ – ჩიმიშკიანი კითხულობს: „რათ იშვილეს სომხური ქართველებმაო?“ – ილია წერს:

ჩვენ არ ვიცით, ქართველებმა იშვილეს თუ არა და თუნდაც ეშვილათ, ვის რა დააკლეს ამითა? აქ ცუდი რა არის? გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ჭკუის უღონობას მოასწავებს და სხვას არა-რას. ხელოვნებასა და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარტომობა არა აქვს. ერთიცა და მეორეც მთელის კაცობრიობისაა და ამ აზრს ვერ მისწვდენია დაქვეითებული ავტორი ბ-ნ სუნდუკიანცის ბიოგრაფიისა“ (1, ტ.3, გვ.181).

ილიას მოჰყავს, გ. ჩიმიშკიანის ბრალდებების თითქოსდა დამამტკიცებელი საბუთები:

„პირველი, თავის-დღეში, როცა „პეპო“ ქართულად წარმოუდგენიათ, აფიშაზედ არა წერებულა, რომ თარგმანია სომხურიდამა; მეორე გარემოება, შეურაცხმყოფელი სომეხთა ერის თავმოყვარეობისა, გარემოება, რომელიც საზოგადო მაგალითია ქართველის ბაქიაობისაო, იმაში მდგომარეობს, რომ ქართულს სცენაზედ თითონ „პეპოს“, ამ ზოგად გმირს სომხის „პაჟარნისას“, ქართველ აზნაურად მორთვენ ხოლმე მაშინ, როდესაც ხალხის მყვლეფავი სომხის ვაჭარი-კი, მდიდარი არუთინა, უთუოდ სასაცილო სომხის ვაჭრად გამოჰყავთ. ამ გარემოებათა მიზეზით, რამდენსამე წელიწადს შემდეგ, ვინ იცის მოიპოვება-ღა თუნდ ერთი იმისთანა ქართველი მთელს საქართველოში, რომელსაც დააჯერებთ, რომ „პეპო“ სომხურს ენაზეა დაწერილი და არა ქართულზედ“ (1, ტ.3, გვ.182).

გაკვირვებული ილია წერს, რომ:

„სად უნახავს და როდის ბ-ნს ჩიმიშკიანცს, რომ წარმოდგენის დროს „პეპო“ ქართველ აზნაურშვილად მოერთვათ და გადაეკეთებინოთ? ჩვენ ბევრჯელ დავსწრებივართ „პეპოს“ წარმოდგენას და ეს არც ერთხელ არ შეგვინიშნავს. ან რას ეგვანებოდა ქალაქელი კინტო მეთევზე, მებადური, ქართველ აზნაურშვილად

მორთული! თითონ ბ-ნი ჩიმიშკიანცს არაერთხელ უთამაშნია „პეპო“ ქართულ სცენაზედ და ნუთუ ქართველ აზნაურშვილად ირთვებოდა? ტყუილი იქნება და ასე მოკლე-ფეხებიანი!“ (1, ტ.3, გვ.182).

თვითონ „სომეხთ პოეტის გენიოსობით“ შექმნილ პიესის შესახებ ილია წერს, რომ:

„განა თითონ პიესა იმდენად სახარბიელო-კია, რომ კაცმა მის დაჩემებისათვის თავი იტკინოს. ვის რად უნდა? ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს სომხობას თავისის „პოეტის გენიოსობით“ შექმნილი პიესა. დაგვიჯეროს ბ-ნმა ჩიმიშკიანცმა, რომ მაგ პიესაზედ ხელს არავინ წაიწვდენს და სომხებს ქვეყანაზედ არავინ შეეცილება. ნუთუ ბ-ნს ჩიმიშკიანცს ჰგონია, რომ რაკი „პეპო“ „სომეხთა პოეტის გენიოსობით“ შექმნილია, მართლა გენიოსური რამ არის! სხვა რომ არა იყოს-რა, ჯერ თითონ პიესის გმირი „პეპო“ გასინჯეთ. რა არის „პეპო“? ეგ ზოგადი სახე-კი არ არის, „სომხის პაჟარნისა“, როგორც ჰგონია ბ-ნს ჩიმიშკიანცს, ეგ ერთი აბელას ფეხებზედ შეყენებული ორფეხია, განგებ გაბერილი და გატენილი მაღალ ფარდების ფრაზებით. სხვას რას ჰხედავთ „პეპოში“?... ეგ პიესა თავის-თავად ბევრი არაფერია და არავის არ მოჰგვრის არც შურს, არც სიხარბეს დაჩემებისას. კიდევ დავიფიცებთ ბ-ნს ჩიმიშკიანცს, რომ მისი შიში ტყუილი მოლანდებაა: მარხვას არავინ გასტეხს დოსთვისა და ქურდობას არავინა იქმს ხბოსთვისა“ (1, ტ.3, გვ.183).

ილია გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ ჟურნალმა გამოსვლისთანავე ასეთი წერილი გამოაქვეყნა. ამის გამო „გვგონია ყოველი გონიერი სომეხიც შეწუხდება.“ მით უმეტეს, რომ მას სუნდუკიანცის ბიოგრაფიასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ამ წერილს ილია შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„ბ-ნ ჩიმიშკიანცს კიდევ ეპატიება ამისთანა საქციელი, იმიტომ რომ ამისი ჟინი ჰქონია და ჟინს ყველა კაცი ვერ დაიმორჩილებს ხოლმე. რედაქცია-კი, როგორც კრებული მოღვაწეთა, ამისთანაებში უნდა ჰფრთხილობდეს, რადგანაც ეს ერთი იმისთანა საგანია, რომლის გამოც ნათქვამი სიტყვა მიმართულების მანიშნებელია, და თუ ამ-გვარს მიმართულებას იჩემებს ეს ახალი სომხური ჟურნალი, გზა დაგვილოცნია: ბევრს ეგ ერთიც მოემატოს. როგორც იქნება გავუძლებთ“ (1, ტ.3, გვ.184).

ი. ჭავჭავაძის რამდენიმე კრიტიკული წერილი, ეხება რუსულ ყოველდღიურ გაზეთ, „ნოვოე ობოზრენიე“-ს და მის გამომცემელს, საზოგადო მოღვაწესა და პუბლიცისტს გიორგი თუმანიშვილს (1854–1920). ილია წერილებში საჯაროდ ამხელს გ. თუმანიშვილის ფარულ ზრახვებს. მისი დახასიათებით, გ.

თუმანოვს, „არამც თუ საკუთარი აზრი არა აქვს, სხვისის აზრის გაგების უნარიც არა ჰქონია. ორში ერთი: ან მართლა ამ უნარს მოკლებულია, ან ცოტა თუ ბევრი ლიტერატურული კუდიანობა სცოდნია და ამასთან მელურად მიცოცვა და გველურად კბენა. ჩვენ წინათაცა ვთქვით, რომ იგი რაღაც განსაკუთრებულ ბედზეა გაჩენილი. იგი ცალის ყბით, რომელიც ჩვენკენა აქვს მოქცეული, მითამ ჩვენთვისა სტირის და სწუხს, და მეორეს ყბით, რომელიც თავის ამჭრებისათვის მიუშვერია, იცინის და ჰხარობს, მითამ, ნუ გეშინიანთ, სულელებს ვაბრიყვებო. არ გვიკვირს: ნათქვამია – „ყოველი ბუნება გვართაკენ მიიზიდებაო“ (1, ტ.8, გვ.281).

ილია, გ. თუმანოვის შესახებ წერს, რომ:

„ჩვენ თ. გ. თუმანოვს იმას-კი არ ვუწუნებთ, რომ იგი სომეხია. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ორპირი კაცია, რომ იგი ჩვენთან ჰკაკანებს და კვერცხს-კი სხვაგან ეზიდება“ (1, ტ.8, გვ.287). ილია წერს, რომ თუ კი გ. თუმანოვი ნამდვილად გულით ქადაგებდა ჩვენს ძმობას და ერთგულებას, მაშინ როდესაც მან დაინახა, რომ ქალაქის საბჭოში არც ერთი ქართველი „არ გააჭაჭანეს“, იმის მაგივრად, რომ უარი ეთქვა საბჭოში მონაწილეობაზე და „ამისთანა საბჭოს ზურგს შეაქცევდა, არც-კი მიეკარებოდა და ნამდვილი „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ ეს იქნებოდა“ (1, ტ.8, გვ.287). მან პირიქით, მოურავობაც მოიწადინა.

ილიამ გაიხსენა ადრე გამოთქმული, ამავე გაზეთში, მისი სიტყვები:

„ტფილისი არც დღეს არის თქვენი და არც ოდესმე ყოფილაო“. „თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილი –კია, რომ სატახტო ქალაქი მაშინ შეადგენდა მთლად სომხის საკუთრებასა.“ გ. თუმანოვის თქმით, აქ, თბილისში, მხოლოდ 19 ოჯახი ცხოვრებულა ქართველი.

ილია გაკვირვებული ამბობს, რომ:

„19 სახლი ხომ მარტო მეფეების თავლასაც არ ეყოფოდა, რაც გინდა ღარიბნი ყოფილიყვნენ. ის ლოღიკა, რომელსაც დღეს თ. გ. თუმანოვი ასე თმაგლეჯით გაჰკივის, „სადა ხარო“ მართლა სად იყო, რომ ეს სასაცილოდ ასაგდები ციფრები დაიჯერა და სხვასაც დასაჯერად მიართვა? ორპირობა არ არის, მაშ სხვა რა ჯანაბაა! კაცი გუშინ იჭაჭებოდა იმისთვის, რომ დაამტკიცოს ტფილისი სომხებისა ყოფილა და არისო, და დღეს კი გვეფიცება, „როგორც პეტერბურგი ნემეცებისა არ არის, ისეც ტფილისი სომხებისაო“. ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო, განა? ორპირობა სხვა რაღაა!“ (1, ტ.8, გვ.289).

გ. თუმანოვის ორპირობის დასამტკიცებლად, ილიას კიდევ მოჰყავს მაგალითი. იგი წერს, რომ ერთი კვირის წინ, ქართველობამ, ერეკლე მეფის გარ-

დაცვალებიდან 100 წლის თავი გადაიხადა და ყველამ, განურჩევლად ეროვნებისა, აქაურმა მცხოვრებლებმა, პატივი სცეს „სახელოვან მეფის სახელს“. მხოლოდ გ. თუმანოვი და მისი ამქარნი არ დაესწრნენ, „ცხვირი ზევით აიწიეს, აინუნშიაც არ გაიტარეს... ეს ამბავი სამართლიანის გულის წყრომით და რისხვით შენიშნა ყველამ, და თ. გ. თუმანოვმა აქაც თავისებურად მოიქნია კუდი“ (1, ტ.8, გვ.289). მან, გაზეთში ქება-დიდებით მოიხსენია ერეკლე მეფე, აღნიშნა, რომ ევროპაშიც, ცნობილმა პრუსიის მეფე ფ რ ი დ რ ი ხ (Friedrich) II-აც (1712–1786 წწ.), კი შეაქოო და შემდეგ კი ვითომ დანანებით აღნიშნა, რომ თვითმმართველობამ ვერ შეიტყოო ეს ამბავიო, და „დროა დავივიწყოთ წვრილმანი ანგარიშებიო“ (1, ტ.8, გვ.290).

„რომელი ანგარიშები „წვრილმანი“? – კითხულობს ილია, – მისი არ-ხსენება აქ, ტფილისში, მისს სატახტო ქალაქში, რათ უნდა იყოს „წვრილმანი“ და არა სხვილმანი ამბავი?“ ილიას აზრით, „მეფე ერეკლე დიდი სახელოვანი კაცი იყო, თვით ფრიდრიხ დიდმაც ევროპაში გასთქვა მისი სახელი, და ხსენება-კი მისი, იმავ სახელგანთქმულ მეფისა, „წვრილმანი“ ამბავია. სწორედ ეს... სთქვა თ. გ. თუმანოვმა. ეს რა არის, თუ არ ორპირობა?“ (1, ტ.8, გვ.290).

ამ წერილებიდანაც ჩანს, თუ როგორ ებრძოდა ილია ჭავჭავაძე ყველა ჩვენს არაკეთილ მსურველებს, ვითომდა მოყვრებს და სინამდვილეში კი მოღალატეებსა და მტრებს.

1899 წელს გაზეთმა „ივერიამ“ დაიწყო, ილია ჭავჭავაძის ვრცელი ნარკვევის „ქვათა ღაღადის“ ბეჭდვა. იმავე წელსვე გამოსცა ცალკე წიგნად. ხოლო 1902 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე.

ილიას ერთ-ერთ ნარკვევს, საქართველოს ისტორიის შესახებ, წარმოადგენს სწორედ „ქვათა ღაღადი“.

ამ ნაწარმოების გაცნობისას, გაკვირვებას იწვევს ავტორის შრომის უნარიანობა. როგორც ეტყობა იგი სათანადოთ მომზადებულა. ილია თვითეულ სიტყვას, ყოველ აზრს ამტკიცებს სხვადასხვა მეცნიერთა გამონათქვამებით. ამ ისტორიულ ლიტერატურულ ნაწარმოებში, მოცემულია მთელი საქართველოს ისტორია, დაწყებული უძველესი დროიდან, დამთავრებული დღემდე. ილია ჭავჭავაძის მიერ განხილული და გაკრიტიკებული ყველა მეცნიერთა გამონათქვამი, არის ხელშეუვალი და დამაჯერებელი, დამტკიცებული იმდროინდელ ცნობილ მეცნიერთა ახალი აღმოჩენებითა და გამოკვლევებით.

პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი ილია აგლაძე (აღლაძე) (1872–1948) რომელიც (1894–1902) წლებში მუშაობდა „ივერიაში“, იხსენებს, რომ:

„ილია თავის შრომას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ წერის პროცესში ბეჭდავდა ფელეტონების სახით (1899წ.).

მე მაშინ „ივერიის“ რედაქციაში ვმუშაობდი, მახსოვს, ავიდოდი ხოლმე მასთან დილით კაბინეტში „ქვათა ღაღადის“ შემდეგი თავის წამოსაღებად.

ილია ვიწრო, გრძელ ფურცლებზე წერდა თავის შრომას. ათი-თორმეტი დაწერილი ფურცლიდან ის ამოარჩევდა ოთხ-ხუთ ფურცელს და გადმომცემდა ხოლმე ასაწყობად.

როგორც ჩანს, ის ბევრჯერ ასწორებდა, აშალაშინებდა, ასუფთავებდა თავის ნაწარმოებს.

მთელი ღამეობით მუშაობდა.

როდესაც კორექტურას მივუტანდი ამ წერილისას, ის კვლავ შეუდგებოდა სწორებას.

ხშირად კორექტურაში იმდენი შესწორებები შეჰქონდა, რომ ანაწყობს ველარა ვცნობდით“ (5. გვ.6).

„ქვათა ღაღადი“ არის ისტორიული ნაწარმოები, სადაც ამეტყველებული არის მთელი საქართველოს და ქართველი ერის ისტორია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაწყებული დღემდე.

ამ ნაშრომით ილიამ პასუხი გასცა ყველა იმ მოლაყბე ვითომდა მეცნიერებსა და ლიტერატორებს, რომლებიც შეეცადნენ ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის დამცირებასა და გაყალბებას. ამავე დროს, აღნიშნა ქრთველი ერის დამოკიდებულება მოძმე ერის – სომხების მიმართ. ის უდიდესი ურთიერთ პატივისცემა და მეზობლური ურთიერთობა, რაც ამდენი საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთთან გვაკავშირებდა. „ქვათა ღაღადს“ ილია ჭავჭავაძე იწყებს შოთას სიტყვებით:

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარესა – მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინარობს“ (1, ტ.8, გვ.95).

ამ ნაწარმოების დასაწყისიდანვე ილია იწყებს მსჯელობას მის დროინდელ საქართველოს მდგომარეობის შესახებ, როგორ ცდილობენ ზოგიერთები მის დამცირებას და მისი ისტორიული სინამდვილის გაყალბებას. იგი წერს;

„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესაც ვართ... სულით დაბალნი, ჭკუაგონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, სულელნი, უსწავლელნი, გაუნათლებელნი, გაღატაკებულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი-ლაჩარნი – აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლადიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასე თვისდა სასარგებლოდ მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება. წერით თუ სიტყვით, შინ თუ გარეთ წელებზე ფეხს იდგმენ, რომ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ჩვენ სწორედ ასეთი უხეირონი და უღირსნი ვყოფილვართ და დღესაც ასეთნივე ვართ, თუ არ უარესნი“ (1, ტ.8, გვ.95).

ქართველი ერის მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ,მისი სახელის გატეხვას არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიც, „საცა-კი ენა და კალამი მიუწვდებოდათ“.

ილიას თქმით, იყვნენ ისეთებიც, ვისაც თვითონ გაუცვნია და „საკუთარის თვალით მოუჩხრეკია ჩვენი ავი და კარგი“, ისინი „ჩვენთვის სანუგეშოსაც ამბობენ“, მაგრამ ასეთნი ცოტანი არიანო.

ამ ვაი მეცნიერების მტკიცებით, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე მხოლოდ არმენია, ესე იგი სომხეთი ყოფილა „და თუ სადმე ვიღაც „ვრაცები“ ყრილან – ერთი ათიოდე ბოსლის ადგილი თუ სჭერიათ და ისიც თითქმის სომეხთა მოწყალებით“ (1, ტ.8, გვ.96).

ამ ერთი მუჭა სომეხი „მეცნიერების“ შესახებ ილია წერს:

„ამ სახით ხომ გვართმევენ ყოველს ეროვნულს ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენ ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლით-მოსილს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა, და ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენ-გამოძვრენითა“ (1, ტ.8, გვ.96).

ავტორის აზრით, „ეს ფუქსავატი ჭექა-ქუხილი“, იმისათვის არის ატეხილი, რომ ყველას დააჯერონ, ვითომ ამიერკავკასიაში მხოლოდ ერთადერთი „სომხის ერია რომელიც ძველის-ძველადაც ყოფილა, დღესაც არის, და ამის გამო მომავალიც მისთვის უფრო უპრიანია“ (1, ტ.8, გვ.97). ჩვენს მიწასთან გასწორებას ცდილობენ „ეს ერთი გვარის გუნდი სომხებისა“ და „იმ გუნდის

მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნის“, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან, და იქვე შენიშნავს, რომ მის მიერ გამოთქმული ეს სიტყვები, ყველა სომეხს არ ეკუთვნის. იგი წერს:

„ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა – მთელს ერს სომხისას შევწამოთ.“

სომხების ეს „გუნდი“ „მეცნიერებისა“, შეეცდება ამ წერილში მათს შესახებ გამონათქვამი, როგორც ადრე სჩვევიათ, „მთელს ერს მოახვიოს თავზე, მთელს სომხობაზე გადაიტანოს“. რადგან კარგად იციან, რომ ერის სახელით ბრძოლა ადვილია. ერის სახელით „მოიბირებენ მსმენელს“, „მოისყიდიან“ და შეეცდებიან ერთა შორის განხეთქილების დათესვას და ერთმანეთზე გადაკიდებას.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის აცხადებდა და აქაც, ამ ნარკვევშიც, არა ერთხელ აღნიშნავს, რომ იგი არ ეხება მთელს ერს.

„მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია. იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია – ვაჭრობაა თუ ხვნა-თესვა – და ფიქრადაც არ მოსდის და არც ეჭირება პასუხისმგებელი იყოს იმ ზოგიერთთა ცოდვების გამო, რომელნიც არამკითხე მოამბესავით მეტიჩარობენ და გარს დასტრიალებენ, როგორც მუმლი მუხასა“ (1, ტ.8, გვ.98).

ილია ამბობს, რომ „ერმა კარგად იცის“, რომ მისი ქვეყნის ღირსება საქმით უნდა ჩანდეს და არა ყვირილით, ბუკითა და ნაღარით, არა სხვა ერის დამცირებითა და ძაგებით და მას მოჰყავს ფშაური ხალხური გამონათქვამი: „კარგი ვარ, ამას ნუ იტყვი, თავს ნუ დაუწყებ ქებასა“, ან „ვაჟკაცი წყნარი სჯობია, ჩალად არა ჰღირს მკვეხარი,– განა გლეხკაცის ნათქვამი არ არის?“ (1, ტ.8, გვ.99).

ილია წერს, რომ ამ ლექსის სიბრძნე, ერთი მუჭა ამ სომხის ვაი-მეცნიერებს, ვერ გაუგიათ და მათ გონებამდე „ვერ მიუღწევიათ“. ისინი „ქებადიდებას სომხებისას საყვირით ჰყვირიან და ამასთან, საცა გინდათ და არ გინდათ, ქართველებს მიწასთან გვასწორებენ და დედა-ბუდიანად გვთხრიან... ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არა გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ, იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა საშურველი...

ჩვენ მარტო იმას ვჩივით, რომ სომხის მაქებ-მადიდებელი გუნდი ჩვენ, ქართველებს, გვთხრის, სულიერად და ხორციელად გვაბათილებს და სამარისაკენ გვიშვერს ხელსა, თითქოს მარტო ჩვენი არარაობაა მათის ღირსების მომასწავებელი, მათის ღირსების მანიშნებელი“ (1, ტ.8, გვ.99).

ილია ამბობს, რომ გვეყო ამდენი მოთმინება და გაჩუმება. ბოროტება ძირშივე უნდა მოისპოს და აილაგმოს, და ამ გუნდის სომეხ მეცნიერთა მოქმედებას

ფარდა უნდა აეხადოს. და იმის შიშით, რომ „ეროვნულ შფოთის“ ატეხვას ჩვენ დაგვაბრალებენო, ამის გამო გაჩუმება არ შეიძლება და არ არის სწორი. „დროა ნიღაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს სომხებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს დიდისა და პატარის გამოუკლებლად. დროა გავითვალისწინოთ იგინი ისე, როგორნიც ნამდვილ არიან უნიღაბოდ, უფერ-მარილოდ. დროა ვიცოდეთ, საიდამ დაგვყეფს ჩვენ ჩვენი შავი ყორანი, საიდამ მოდის ეს ქვის-სეტყვა ჩვენს თავზე. დროა ჭკუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ იმ ცრუპენტელა ლიბერალებს, იმ ჭეშმარიტის ლიბერალობის ბერიკეებს, რომელნიც განგებ პირში ბურთსა გვჩრიან, რომ თავისი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფუჩეჩონ და ზედ ლიბერალობის წმინდა კალთა გადააფარონ. ნუ გვამხილებთო, ჩვენს ცუღლუტობას, ოინბაზობას, თორემ ეროვნულ შფოთის აღდგენას დაგწამებთ, რეტროგრადობის ბანაკში თავს ამოგაყოფინებთო“ (1, ტ.8, გვ.100).

ამიტომაც არის, რომ ილია პირდაპირ მოითხოვს, ვამხილოთ და სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ, ეს „ყოველის ფარულის და არა ფარულის ბოროტება“, რადგან „აქ პატიოსანი, პირდაპირი დგომაა საჭირო, პირდაპირი მხილება და არა გაქცევა და უკუდგომა მხდალსავით და ლაჩარსავით.“ მაგრამ, აქვე ამბობს, რომ „მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი, – და სამდურავისა, ან წყენის, ან შფოთის ატეხის შიშით ნურავინ გაიხეთქს გულს“ (1, ტ.8, გვ.102).

ისე გამოდის სომეხ ვაი-მეცნიერთა ქცევის შედეგად, რომ ისინი რასაც კადრულობენ, რასაც ქართველებს უკეთებენ და რასაც იტყვიან, ქართველმა უნდა მოითმინოს, ხმა არ უნდა ამოიღოს და ეს „ლანძღვა-თრევა“ ხმაამოუღებლივ უნდა აიტანოს, იმის შიშით, რომ ჩვენ არაფერი დაგვწამოს. მაგრამ, ილიას თქმით, ჯერ კიდევ ჩვენ:

„გული იმოდენად კიდევ შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ და ქართველობის სახელი სალანძღავ-სათრევად არ დავანებოთ არავის“ (1, ტ.8, გვ.103).

ილიას აზრით, სომეხ მეცნიერთა, ჩვენს წინააღმდეგ, ასეთი გამოლაშქრებები და „მათთა ამქართა ოინები“ უკვე 60 წელია რაც გრძელდება და რაც დრო გადის უფრო და „უფრო მეტის კადნიერებით, უფრო მეტის გაბედვით“ და უფრო მეტის თავხედობით, „ჩვენს ვინაობას ერჩის“. ილია გაკვირვებული წერს, რომ:

„საცარი აქ კიდევ ის არის, რომ ეს სამოცის წლის მთელი ხანა რუსის მწერლისაგან იწყება და რუსის მწერლითვე თავდება. ამათ შუა მთელი

მწკრივია სომეხთა მეცნიერთ-მწიგნობრებისა ასე, რომ თავიდამ ბოლომდე ერთი ლარი გასჭიმოთ, სულ ყველას იგი ლარი მხარზე გადაუვლის, ასე მწყობრად მღაღადებელნი არიან ერთისა და იმავე განგებ აკვიატებულ აზრისა, თითქო ერთხორც და ერთსულ იყვნენ და ერთნაირად წინათვე გაჩარხულნი ერთისა და იმავე ანგარიშის ჩარხზე“ (1, ტ.8, გვ.104).

გავიხსენოთ, ჩვენი ისტორიის მამამთავარის, დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები, ილია ჭავჭავაძის შესახებ:

„ილ. ჭავჭავაძეს ისტორიის უაღრესი მნიშვნელობა კარგად ესმოდა და შეგნებული ჰქონდა, ცხადია, მას არ შეეძლო საქართველოს წარსულის შესწავლის სავალალო მდგომარეობისათვის ყურადრება არ მიექცია. და მართლაც, ჩვენს დიდებულს მგოსანსა და პუბლიცისტს წინათაც და შემდეგშიც არა ერთხელ თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის თავი დაუნებებია და ისტორიული კვლევა-ძიების საკითხებში ჩარეულა“ [3, გვ. 77].

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რუს მწერალს, აღმოსავლეთმცოდნეობის ერთერთ ფუძემდებელს, რომელიც რედაქტორობდა და თავის ნაშრომებს ბარონ ბრამბეუსის ფსევდონიმით აქვეყნებდა ჟურნალ (1822–1847) «Библиотека для чтения», ოსიპ სენკოვსკის (1800–1858), რომელმაც თავის ჟურნალში, 1838 წ. დაბეჭდა წერილი, „ზოგიერთი ეჭვი საქართველოს ისტორიის თაობაზე“, სადაც, ილიას გადმოცემით, იგი წერდა, რომ „ქართველებს ვახტანგ მე-VI-მდე არა ჰქონიათ მატიანეო, თითონ ქართველები არც-კი არსებობდნენ მეთორმეტე საუკუნემდეო. ქრისტეს შემდეგ, იბერთა სახელით ცნობილ იყვნენ სხვადასხვა თესლის მთიულნიო; მთელი ქვეყანა მტკვარს იქით, საცა ეხლა ტფილისია, და სხვა უფრო დიდი ნაწილი საქართველოსი – მუდამ და ყოველთვის ეკუთვნოდა სომხეთს და აქ მოსახლეობდნენ სომეხნი, მიდიელნი, მასაგეთნი ანუ ოსმალნი და რამდენიმე შტო ალბანელებისაო“ (1, ტ.8, გვ.104).

ი. ჭავჭავაძე, გაკვირვებული წერს, რომ უკვე 37 წელია გასულა რაც რუსეთს საქართველო შეუერთდა და ამ ხნის განმავლობაში ნუთუ რუსები ვერ გაერკვენ, „რა ქვეყანა შეუერთდა – საქართველო, თუ სომხეთი, ან ტფილისი ვისი სატახტო და დედაქალაქი იყო. თითონ სენკოვსკი პროფესორი იყო აღმოსავლეთის ენებისა, მწერალი და ჟურნალ-მეგაზეთე რუსეთისა, და ნუთუ დასაჯერია, რომ ეს, მისთვის თითქმის გუშინდელი ამბავი, არ იცოდა ისე, როგორც ნამდვილია! ნუთუ დასაჯერია, რომ სენკოვსკიმ ამბად მაინც არ გაიგო ასეთი რუსეთისათვის შესანიშნავი საისტორიო საქმე! ნუთუ მის ყურამდე არ მიაღწია, – რუსეთმა ვისგან ვისი ქვეყანა მიიღო თვისდა მფარველობის ქვეშ! თუ ესეა,

ვინ და რამ შეათითხნინა იგი უცნაური ისტორია და გეოგრაფია, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ?“ (1, ტ.8, გვ.105).

ილიას აზრით, სენკოვსკი ასეთ ისტორიას, ასეთ მატიანეს, ვერსად ნახავდა და ცხადია, რომ ასეთი ტყუილი მან ვიღაცის გამო დაწერა, ან ვიღაცამ დააწერინა. ქართველი ამას არ „აქმნევინებდა“ და არც რუსი, რადგან მაშინ გამოდის, რომ რუსმა ვერ გაიგო რა ქვეყანა მიიღო, „ქართველებისა თუ სომხების“. „მაშ ვინ?“ – კითხულობს ილია და განაგრძობს:

„ყველამ იცის ცხონებული სენკოვსკი რა კაცი იყო.“

რომ გავიგოთ და ვუპოვოთ „ამ განგებ მოგონილს ისტორიასა და გეოგრაფიას დამალული სათავე“, „ვისი ეშმაკობა უნდა იყოს ამისთანა ისრების სროლა, უნდა მშვილდი მოვნახოთ, ვის ხელში აღმოჩნდება“, – წერს ილია და სომეხ მწიგნობრებს შემდეგნაირად ახასიათებს:

„ის დღეა და ეს დღე, სომხის მწიგნობარნი იმის ცდასა და მეტყველებაში არიან, რომ საქართველო, რაც შეიძლება ამიერკავკასიაში ავის თვალით დაანახვონ ქვეყანას, რაც შეიძლება მეტი წილი ჩამოათალონ და თვით მიითვისონ, რაც შეიძლება გაუუქმონ წარსულიც, შეუბღალონ აწმყოცა“ (1, ტ.8, გვ.106).

ამ სიტყვების დასამტკიცებლად, ილიას მოჰყავს ზოგიერთი სომეხი მწიგნობრების გამონათქვამები და აღნიშნავს, რომ ძველთაგანვე ზემო ქართლის ნაწილს ეკუთვნოდა ჭოროხის ხეობა. ცნობილია, რომ იგი წარმოადგენდა ისტორიულ მხარეს სამხრეთ საქართველოში, რომლის სახელწოდება იყო და დღესაც არის სამცხე. რომელიც წარმოსდგა უძველესი ქართველთა ტომის მესხებისაგან (სა-მესხე, სა-მცხე). ზოგიერთი მეცნიერთა მტკიცებით, ამ მხარეს ეწოდებოდა ოძრხე, რომლის მთავარი დასახლებული ადგილები იყო ოძრხე და აწყური. აქ ჩამოყალიბდა სამცხის სამთავრო. ხოლო, შემდეგში, ამ სამთავროს გაფართოების შედეგად, XIV საუკუნის I ნახევრიდან ჩამოყალიბდა, საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი სამთავრო, სამცხე-საათაბაგო. რომლის საზღვრები XIII საუკუნის 80-იან წლებში, ვრცელდებოდა შავი ზღვიდან დაწყებული, ტაშისკარსა და არზრუმამდე. XVI ს. II ნახევრიდან ოსმალეთმა თანდათან შეძლო მისი დაპყრობა. დღევანდელ დღეს, ამ ადგილების მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვრჩა. და სწორედ, რომ ამ მხარის შესახებ სომეხი მწერლები: „ემინი, ხუდაბაშოვი, ერიცოვი სწორედ ამ ადგილებს გვეცილებიან და ამტკიცებენ, რომ მტკვრის სათავის ადგილები, მთელი ჭოროხის ხეობა – დიდს სომხეთს ეკუთვნოდნენო. თითქმის ერთის სახტომის ადგილს-ღა გვარჩენენ. ამ მოწყალებისათვისაც მადლობელნი ვართ“ (1, ტ.8, გვ.106).

ილია გაკვირვებული წერს, „იმას რაღას ეუბნებიან, რომ მთელ იმ ადგილებს, რომელსაც გვედავებიან, ქრისტეს წინა ხანებიდამ დღევანდლამდე ქართული სახელები შერჩენია. მაგალითებრ, ჭოროხის ხეობაში: კლარჯეთი, ლიგანის-ხევი, ტაოს-კარი, შავშეთი, აჭარა და მტკვრის სათავეში: კოლა, არტაანი, ერუშეთი, სამცხე და ჯავახეთი. ამ ადგილებში მეშვიდე თუ მერვე საუკუნიდამ მეთოთხმეტე საუკუნემდე ქართველებს ტაძრები და მონასტრები უშენებიათ, რომელნიც დღესაც არიან, მაგალითებრ, კოლაში – დადეშისა, არტაანში – ნაქალაქევისა, სამცხეში – აწყურისა, ზარზმისა, საფარისა, ჯავახეთში – წყაროსთავისა, შავშეთში – ტბეთისა, კლარჯეთში – ხახულისა, აჭარაში – სხალტბისა და სხვანი და სხვანი“ (1, ტ.8, გვ.106).

დავუშვათ, რომ ამ უტყუარ საბუთებს არ მიაქციეს ყურადღება სომხის მეცნიერ-მწერლებმა, მაგრამ: „ევროპიელ მეცნიერს სენ-მარტენს რაღას ეტყვიან, იმ სენ-მარტენს, რომელიც ცნობილია ვითარცა კაცი უფრო მწყალობელი სომხებისა, ვიდრე ქართველებისა, და რომელიც ხშირად მოჰყავთ სომეხთა მწიგნობართ, როცა ქართველების ავად ხსენება და სახელის გატეხა ჰსურთ იმისის მოწმობითა. ეს ამისთანა სომეხთა მომხრე კაციც-კი ამტყუნებს ამ შემთხვევაში სომეხთა მწიგნობართა და ამტკიცებს, რომ იგი სერი მთებისა, რომელიც ჭოროხისა, მტკვრისა, ეფრატისა და არაქსის წყალგამყრელია, მუდამი საზღვარი იყო ქართველთა და სომეხთა შორისო. ამ სახით ჭოროხის ხეობასა და მტკვრის სათავეებში სულ მთლად ხელს აბანინებს სომხებსა“ (1, ტ.8, გვ.107).

ილია წერს, რომ მიუხედავად ამ მეცნიერისა და სხვათა მეცნიერთა მტკიცებით, რომ ეს ადგილები ქართველებს ეკუთვნოდათ, „სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰქონიათ.“ და თავისი სიცრუის დასამტკიცებლად ცდილობენ, სადაც კი ხელი მიუწვდებათ და შესაძლებელია, „ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველ შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფხიკონ ქვაზედ ნაწერი ქართული, ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდამ ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის წარწერითა“ (1, ტ.8, გვ.108).

ილიას თქმით, არა ერთი და ორი მაგალითი ამისთანა ოინებისა ყოფილა აღწერილი აქაურ და რუსულ გაზეთებში. ერთ-ერთი ამდაგვარი მაგალითი აღწერილი აქვს ჩვენს ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს, რომელიც მოგვითხრობს, რომ უძველეს ქართულ დასახლება ართვინში მდებარეობს ერთ-ერთი დიდი ქართული უძველესი ეკლესია „იქაურს სომხობას მოუწადინებია მზამზარეულად ამ ეკლესიის დაჩემება...

ამ ეკლესიას მართლმადიდებლობის ნიშნად ზედა ჰქონია ქვა ქართულის წარწერითა.

სომხებს აღარც უციებიათ, აღარც უცხელებიათ, აუღიათ და იგი ქვა სადღაც წაუბრძანებიათ და მიუმალავთ. ამ გზით იგი ეკლესია მართლმადიდებელთათვის ხელიდამ გამოუტაცნიათ და დღეს სომხებს დაუჩემებიათ“ (I, ტ.8, გვ.109).

ეს მონათხრობი, ილიას ამოწერილი აქვს რუსულ ენაზე გამოცემულ დ. ბაქრაძის წერილიდან „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, გვ. 41.

ართვინი, ბათუმიდან 50 კმ-ითაა დაშორებული. მდებარეობს მდ. ჭოროხის სანაპიროზე. ცნობილია, რომ აქ ჯერ კიდევ ადრე, გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში გაჩენილა დასახლება. ართვინი ძველთაგანვე კოლხეთის ბრინჯაოს ხანაში მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა. თანდათან (VIII-IX სს-ში) ფეოდალური საქართველოს ქართველთა საკურაპალატოს მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა. შემდეგ გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში მოექცა. საქართველოს სამთავროებათ დაშლის შემდეგ, ის სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვან ქალაქად ითვლებოდა. XVI ს. ბოლოდან სამხრეთ საქართველოში ოსმალთა შემოსევების შედეგად, მოექცა თურქეთის საზღვრებში და თანდათან დაქვეითდა. 1878-იდან ის საქართველოს დაუბრუნდა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა და ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის ოლქის ართვინის ოკრუგის მთავარი ქალაქი გახდა. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში იმყოფებოდა. ჩვენი ბედუკუღმართობის გამო, 1921 წლიდან ყარსის ხელშეკრულების გამო არტაანის, ყარსისა და იგდირის მხარეებთან ერთად, ართვინის კუთხეც ისევ თურქეთის საზღვრებში მოექცა და გახდა ართვინის ვილაეთის (ყოფილი ლაზისტანის) მთავარი ქალაქი, რომელიც 2012 წლის აღწერით 23 157 მცხოვრები ირიცხებოდა. ართვინის ვილაეთი იყოფა არტანუჯის, არჰავის, ართვინის, ბორჩხას, ხოფას, მურგულის, შავშათისა და იუსუფელის რაიონებად.

ილია შენიშნავს, რომ:

„განა ამისთანა ოინი ფიქრად მოუვა უბრალო სომეხს კაცსა? თუნდაც საქმე უბრალო კაცისა იყოს, შთაგონება და წაქეზება ამისთანაებში, აშკარაა, გაბრძნობილის მეცნიერისაგან არის. ამიტომაც საბუთი გვაქვს, ეს უკადრისი საქციელი, და ყოველი სხვა ამისთანა, სომეხ მწიგნობართა მანქანებას მივაწეროთ და არა მთელს ერს სომხისას...

სომეხთა მწიგნობარნი ამისთანა საქციელს არა ჰთაკილობენ და წაშლა, გაბათილება, ან გადაკეთება საბუთებისა იმათი ხელობაა“ (1, ტ.8, გვ.109).

ი. ჭავჭავაძე ამხელს სომეხი ისტორიკოსების მოქმედებას. რადგან გარდა ასეთი საქციელისა, ისტორიული „ტაძარ-მონასტრებისა და ქვების“ გადაკეთებისა და შეცვლისა, ეს სომეხი მწიგნობარნი ცდილობენ ჩვენი „ისტორიული საბუთები“, „მატიანენი და ქრონიკები როგორღაც „გააქარწყლონ“. ამისათვის ყოველგვარ სიყალბეს კადრულობენ.

ილია ასახელებს დ. ბაქრაძის ნაშრომს: „პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიული წყაროები“, სადაც იგი ამხელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, სომხური ისტორიის წყაროებისა და ლიტერატურის ისტორიის მკვლევარსა და აღმოსავლეთმცოდნეს, ქ ე რ ო ბ პ ა ტ კ ა ნ ო ვ ს (პატკანიანი) (1833–1889) რომელიც, ვითომდა, იკვლევდა ჩვენი მატიანის, „ქართლის ცხოვრებასთან“ დაკავშირებულ საკითხებს.

ილია წერს, რომ ქ. პატკანოვის აზრით, „ქართლის ცხოვრება“, „ვახტანგ VI დროს არის შეთითხნილიო და არავითარი ცნობა არ არის, რომ ვახტანგის წინად „ქართლის ცხოვრება“ ყოფილიყოსო. ერთადერთი წერილია „სომხური ქრონიკა“ ჰქვიანო და თუ რამ მასალაა ქართველების ისტორიისა, იქ თუ იპოვებაო. მართალია, ეს „ქრონიკა“ ქართულიდამ ნათარგმნიაო, მაგრამ დედანი უნდა იყოს შეთხზული, ანუ შედგენილი, უსწავლელისა და უმეცარის სომხისაგან მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც ქართველებმა იგრძნეს ისტორიის საჭიროებაო. – და ილია იქვე დასძენს, – ჰხედავთ, სენკოვსკის თქმულმა სად გამოჟონა!.“ (1, ტ.8, გვ.109). შემდეგ ილია განაგრძობს:

„ამ სახით გამოდის, რომ თუ უმეცარსა და უსწავლელს სომეხს ისტორიის საჭიროების გრძნობა ჰქონია, რამოდენად უსწავლელი და უმეცარნი უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომ ამისი შნოც არა ჰქონიათ. საწყალი ქართველები! – წერს ილია – უსწავლელი და უმეცარი სომეხიც-კი თქვენზე წინა ყოფილა ჯერ მაშინ და ეხლა ხომ რაღა თქმა უნდა. ისტორიის საჭიროების გრძნობაც-კი არა გქონიათ, ღმერთმა უშველოს პატკანოვის უმეცარსა და უსწავლელს სომეხს, რომ წყალობა უქნია და მოგშველებიათ“ (1, ტ.8, გვ.110).

„მართალია, სომეხთა პროფესორია, სომეხთა მეცნიერია, მაგრამ ნუთუ აქაოდა სომეხია, მართალი არ უნდა სთქვას, მართალი არ უნდა დაინახოს? – კითხულობს ილია და განაგრძობს, – განგებ თვალებზე ხელი რად აუფარებია მეთორმეტე, ან მეთერთმეტე საუკუნეების ქართველებზე, ესე იგი იმ ერზე, რომელსაც სტრაბონი ჯერ კიდევ პირველ საუკუნის დასაწყისში აღყვავებულს

მდგომარეობაში გვიხატავს, რომელმაც გასაოცარის ხელოვნების ეკლესიებით და მონასტრებით მოჰფინა ძველის-ძველათგანვე თავისი მხარე, რომელმაც გაავსო როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით, რომელმაც ძველადვე ჰთარგმნა ფაჰლაურ ენაზე შედგენილი სანსკრიტული მოთხრობა „ქილილა და მანა“, „ვისრამიანი“ და შეჰქმნა დიდებული პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, რომ სხვა არა იყოს-რა.

ვინც განგებ გონებადახშული არ არის, ან განგებ თვალებზე ხელაფარებული, ვინც კითხვა იცის და გაგება წაკითხულისა, განა იკადრებს თქმას, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ შემქმნელი ერი იმოდენად ბრიყვი იყოო, რომ ისტორიის საჭიროების გრძნობაც არა ჰქონიაო. ვის მოუვა ამისი თქმა ფიქრად, თუ არ სომეხთა ფილოსოფოსებსა და პროფესორებს. მელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდაო, სწორედ სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერებზე ითქმის. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, ჩვენ-კი ვიტყვით, რომ „ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა ბასრისა ცელითა“ (1, ტ.8, გვ.110).

ი. ჭავჭავაძე, ქ. პატკანოვის შესახებ წერს, რომ იგი არ იკადრებდა „ვეფხის-ტყაოსნის“, „ამისთანა ლათაიების წაკითხვას“. მაგრამ, „ქართლის ცხოვრება“ არაფრის მაქნისიაო“, ამის შესახებ ასეთი სჯა ყოვლად შეუძლებელია, რადგან:

„ამისთანა საქმეებში სახელდადებულნი სწავლულნი ჟან სენ-მარტენი, ვივიან დე-სენ-მარტენი, დუბუა დე-მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართულნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირსშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიის ისტორიისათვისო. ამასთან დუბუა დე-მონპერე იხსენიებს ქართველებს, ვითარცა ძველისძველ ერს, რომელიც უხსოვარ დროთაგანვე ამიერკავკასიას დარაჯად სდგომია და ყველა სხვა ცნობილთა ერთა თანა ურთიერთობა ჰქონიაო“ (1, ტ.8, გვ.111).

ილია წერს, რომ ქ. პატკანოვი თავისი აზრის დასამტკიცებლად იმოწმებს მეცნიერებს: კოხს, სენკოვსკის და ლანგლუას. მაგრამ, „რამოდენა ავტორიტეტები არიან ამისთანა საქმეში სენკოვსკი და კოხი, რომელთა შორის უკანასკნელი მარტო ბოტანიკოსად არის ცნობილი და არა ისტორიკოსად,— ეს თითონ პატკანოვის მართლმოყვარეობას მივაჩემოთ“ (1, ტ.8, გვ.112).

კარლ ჰენრიხ ემილ კოხი (Koch) (1809–1879) იყო ცნობილი გერმანელი ბოტანიკოს-დენდროლოგი. რომელმაც იმოგზაურა კავკასიაში. გაეცნო და შეისწავლა საქართველოსა და ჩრდილოეთ სომხეთის ბუნება. ხოლო, შარლ ლანგლუა (Langlois) (1863–1929) იყო გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი, პალეოგრაფი და ბიბლიოგრაფი.

ილია წერს, რომ „თურმე ლანგლუაც იმასვე ამბობს, რასაც სენ მარტენი და სხვები... რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა“ ზღაპარიაო“ (1, ტ.8, გვ.112). და იქვე გამოთქვამს ილია თავის მოსაზრებასაც: „სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლოს, კახოს და სხვა ამისთანაები, რასაკვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, და რომელი ერია ქვეყანაზე, რომ თავისი ისტორია ამისთანა ზღაპრით არა ჰქონდეს დაწყებული“ (1, ტ.8, გვ.112).

ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს, ქ. პატკანოვის კიდევ ერთ სიყალბეს. იგი „ამტკიცებს, რომ „ქართული ლიტერატურა ღარიბია ძველის წყაროებითაო და თვით სტეფანოზი მეცამეტე საუკუნეში უჩივისო ამ ნაკლულევანებას“-აო (1, ტ.8, გვ.112).

სომხური ისტორიოგრაფიის შესანიშნავი წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველი, სტეფანოზ ორბელიანი, მოღვაწეობდა XIII საუკუნის II ნახევარში (გ. 1304). თავის გამოკვლევაში, „სიუნიქის ისტორია“-ში, იგი მოგვითხრობს ორბელთა წარმომავლობას და თავგადასავალს. ქ. პატკანოვს გადაუსხვაფერებია სტეფანოზ ორბელიანის სიტყვები, სადაც იგი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმის გამო, რომ „ორბელიანთ გვარის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ ბევრს არას გვეუბნებაო. ჩვენ განვიხილეთო აქა-იქ გაფანტულად გადარჩენილი ნაშთები და მხოლოდ ეს მცირე რაიმე ვიპოვეთო.“ აშკარაა, – განაგრძობს ილია, – სტეფანოზი აქ მთელ ქართულ წყაროების სიღარიბეს-კი არა სჩივის, არამედ იმას, რომ ორბელიანთ გვარის შესახებ სრული ცნობები არ არის ქართულ მატიანეებშიო... ამ სახით სომეხთა მეცნიერმა კერძო საქმის შესახები სიტყვა სტეფანოზისა განაზოგადა, გადააკეთა თავისებურად და ნაკლი, ერთის ცალკე ამბის შესახები, მთელს ჩვენს ისტორიულ წყაროებს ზედ დააკეცა“ (1, ტ.8, გვ.113).

როგორც ვხედავთ, ამ მაგალითებიდანაც ჩანს, თუ როგორ გადააკეთა ქ. პატკანოვმა ჩვენი ისტორია, „რომელსაც ხელსა სჭიდებენ სომეხთა მეცნიერმწიგნობარნი ჩვენდა გასათელავად“ (1, ტ.8, გვ. 113).

ილია წერს, რომ „სომეხთა მეცნიერნი“ ვერ შერიგებიან იმას, რომ ზოგიერთი უცხოელი ქართველებს მოიხსენიებს როგორც გულკეთილს, „შესახვედრად საყვარელ“, „სასიამოვნო“ და „თავაზიან“ ხალხს; და ამიტომ ქ. პატკანოვი „გვწამებს ფანატიკოსობას“-აც.

როგორც ცნობილია V საუკუნეში, აღმოსავლეთისა და ბიზანტიის ქრისტიანულ რელიგიაში, თანდათან ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: მონოფიზიტობა და დიოფიზიტობა.

მონოფიზიტობის მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ ქრისტეში შეირწყა ორბუნებიანობა, ღვთაებრივი და ადამიანური. ღვთაებრივმა ბუნებამ თანდათან შთანთქა ადამიანური და იგი გახდა ერთბუნებიანი, მხოლოდ ღვთიური.

დიოფიზიტებს კი მიაჩნდათ, რომ ქრისტეში მოცემულია ერთმანეთისაგან განსხვავებული და განუყოფელი ორი ბუნება – ღვთაებრივი და ადამიანური. ადამიანური ბუნებით იგი არსებობს ადამიანთან ერთად ცოდვათა გარეშე.

ამ ორ ქრისტეანულ მიმართულებას შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ 451 წლის 8 ოქტომბერს ქალკედონში შესდგა მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, სადაც 640-მდე საეკლესიო წარმომადგენელი ესწრებოდა. კრებამ, მონოფიზიტობა (ერთბუნებიანობა) დაგმო და მწვალებლობად (ერესად) გამოაცხადა. ხოლო, მართლმადიდებელი სარწმუნეობის ჭეშმარიტ სავალდებულო ძირითად წესდებად – ქრისტეს ორბუნებიანობა (დიოფიზიტობა) გამოაცხადა.

მონოფიზიტური მოძღვრების მიმდინარეობა გავრცელდა ახლო აღმოსავლეთის მხარეებში. მას მიემხრნენ და აღიარეს ქრისტიანების ნაწილმა: სომხებმა, კოპტებმა (ეგვიპტელი ქრისტიანები, რომლებიც ცხოვრობენ სუდანში, თურქეთში, ისრაელში, იორდანიაში და სხვ.), ნაწილობრივ სირიელებმა და სხვებმა.

ქალკედონის კრების შემდეგ, ატყდა ამ ორ მიმდინარეობას, დიოფიზიტებსა (ქალკედონებსა) და მონოფიზიტებს (ანტიქალკიდონებს) შორის შეურიგებელი შეხლა-შემოხლა.

ქართველებმა დიოფიზიტობა აღიარეს. ხოლო სომხებმა – მონოფიზიტობა.

მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ვინაიდან ქართველების სახელმწიფო და საეკლესიო მიმართულება ბერძნულ-რომაული ბიზანტიისკენ იყო მიმართული, ხოლო, ბიზანტიის პოლიტიკით უკმაყოფილო სომხეთი, აღმოსავლეთს, სპარსეთს მიემხრნენ, თანდათან მათ შორის გამწვავდა მდგომარეობა.

VI საუკუნის დასაწყისში, 506 წელს, სომხეთის საეკლესიო ადგილსამყოფელში ქალაქ დვინში, ბიზანტიის თაოსნობით, მოწვეულ იქნა ქართლის, ალბანეთის და სომხეთის ეკლესიების საერთო კრება, რომელიც საეკლესიო განხეთქილებით დამთავრდა. ქართველთა და ალბანელთა საეკლესიო წარმომადგენლები ქალკიდონიანების მომხრე დარჩნენ. მატიანეთა და საეკლესიო წყაროთა განხილვიდან ჩანს, რომ მონოფიზიტებსა და ქალკიდონებს შორის გამწვავებული ბრძოლა, VI საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში ქალკიდონების გამარჯვებით დამთავრებულა. მიუხედავად ამისა, ადრე, მათ ნორმალური ურთიერთობა ჰქონიათ.

ი. ჯავახიშვილის გადმოცემით:

„VI ს. დამლევსა და VII ს. დამდეგს ცურტავის სამწყსო ქართველ და სომეხ ქრისტიანთაგან შესდგებოდა... ცურტაველ ეპისკოპოზებადაც ზოგი ქართველი, ზოგი კიდევ სომეხი იყო ხოლმე. შუშანიკის სახელობის სამარტვილოში წირვა-ლოცვა 607 წლამდე სომხურად ყოფილა და ცურტაველ ქართველ ეპისკოპოზებსაც ამიტომაც სომხური წირვაც უნდა სცოდნოდათ.

ქართველებსა და სომხებს ერთმანეთში კარგი დამოკიდებულება ჰქონიათ. მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა. საქართველოში დამოყვრებული სომეხი აზატები შუშანიკის ხსენების დროს ცურტავში სალოცავად მოდიოდნენ იმგვარადვე, როგორც მცხეთის ჯვარშიაც და იქ ეზიარებოდნენ ხოლმე. ქართველები თავის მხრით სომხეთში მიემგზავრებოდნენ ხოლმე იქაურ კათოლიკე ეკლესიაში სალოცავად და ისინიც იქ წრფელი გულით ეზიარებოდნენო. ამნაირად, ქართველთა და სომეხთა შორის სიყვარული და კეთილი მეზობლური დამოკიდებულება არსებობდა“ (6, ტ.I, გვ.418).

მაგრამ, თანდათან პოლიტიკური ვითარებისა და საეკლესიო მესვეურთა მოქმედების გამო, მათს შორის მდგომარეობა გართულდა და გამწვავდა.

ი. ჯავახიშვილი გადმოგვცემს, რომ:

„VII ს. დამლ. უსახელო თხზულებაში, რომელსაც ეწოდება Narratio de rebus Armeniae, აღნიშნულია, რომ 574 წელს ბიზანტიიდან სომხეთში დაბრუნებულმა მონოფიზიტმა სომხებმა ქართველებსა და ალბანელებს სთხოვეს მათთან ერთად ქალკიდონიანობას წინააღდგომოდნენ, მაგრამ ალბანელებსაც და ქართველებსაც უარი უთქვამთ. უკვე ეს გარემოება საქართველოში მომხდარი ცვლილების მაუწყებელია.

მონოფიზიტობასა და ქალკიდონიანობას შორის გამწვავებული ბრძოლის დაღი თვით მატიანებსაც ეტყობა“ (6, ტ.I, გვ.386).

მატიანეთა და საეკლესიო წყაროთა განხილვიდან ჩანს, რომ მონოფიზიტებსა და ქალკიდონებს შორის გამწვავებული ბრძოლა, VI საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოში ქალკიდონების გამარჯვებით დამთავრებულა. 599 წ. ქართლის კათალიკოსად არჩეულ იქნა კირიონი, „რომელიც მანამდე სომხეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. კირიონი პოლიტიკურად შორსმჭვრეტელი და ფართოდ განათლებული პოროვნება იყო. ქართულმა ეკლესიამ მისი სახით ქალკიდონიზმის ძლიერი და ენერგიული პროპაგანდისტი პოვა“ (10, ტ.II, გვ.276).

კ ი რ ი ო ნ ი ს შესახებ ცნობები წყაროებში მცირეა. ცნობილია, რომ კათალიკოსად არჩევამდე, „სწავლის დასამთავრებლად იძულებული გამხდარა წა-

სულიყო მცირე აზიის ქალაქ ნიკოპოლში, სადაც 15 წელიწადი დაჰყო და საფუძვლიანი საღვთისმეტყველო განათლება შეიძინა“ (10, ტ.II, გვ.279).

ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლეს (Hërakleios) (575–641) კავკასიაში ლაშქრობისას, 627 წ. თბილისის აღების შემდეგ, ვარაუდობენ, რომ „ქართლიდან გადახვეწის შემდეგ, კირიონი ეგრისში გადავიდა და იმ ქვეყნის მიტროპოლიტის საქმიანობას შეუდგა, რომლის ხელსაც ის ადრეც ითვისებდაო. ეს კირიონი უნდა იყოს... ის კიროს ფაზისის მიტროპოლიტი, რომელიც 623 წლიდან ჩნდება ბერძნულ წყაროებში“ (10, ტ.II, გვ.279).

607 წელს სომხეთის კათალიკოსად არჩეულ იქნა აბრაჰამ ალბათანეცი (აბრაჰამ აღბათანეცი, ალბათანელი). კათალიკოსად იმყოფებოდა (607–615) წლებში. „სომხეთის გაქალკედონიტებული საეპისკოპოსოთა უმრავლესობა მის დროს (607) ირანის შემწეობით დვინის საპატრიარქო საყდარს დაემორჩილა და ერთიანი საკათალიკოსო აღდგა. ა. ა. აქტიური მონაწილე იყო ქართლისა და სომხეთის ეკლესიების დოგმატური კამათისა და საეკლესიო განხეთქილებისა (607–610)“ (15, ტ.1, გვ.33).

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ ქართველ და სომეხ კათალიკოსების „ორივე მხრით მიწერ-მოწერას ისეთი კატეგორიული კილოთი აწარმოებდნენ, საკითხები ისე მწვავედ იყო წამოყენებული, რომ ატეხილი უთანხმოების დაცხრობა და მშვიდობიანობის დამყარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო მოსალოდნელი, თუ რომ ერთ-ერთი მათგანი თავის რწმენას დასთმობდა. მიწერ-მოწერის დასაწყისშივე ეტყობოდა, რომ სომეხთა ეკლესიის მესვეურთ განხეთქილების ჩამოგდება გადაწყვეტილი ჰქონიათ, თუ რომ საქმე მათი სურვილისამებრ არ მოგვარდებოდა“ (6, ტ.I, გვ.427).

ქართველ და ალბანელ კათალიკოსებთან კამათის შეწყვეტის მაგიერ, სომეხთა კათალიკოსმა აბრამმა, მათთან საბოლოოდ კავშირი გაწყვიტა და 608 წელს „საყოველთაო ეპისტოლე“ გამოსცა. აბრამის მიერ გამოქვეყნებული ამ „ეპისტოლეს“ შესახებ ი. ჯავახიშვილი შენიშნავს:

„ამიერიდან ქართველთა და სომეხთა შორის ის სარწმუნოებრივი კავშირიც გაქრა, რომელიც წინათ მათ აერთებდათ და ასე თუ ისე აძლიერებდათ: პოლიტიკურ-კულტურული გეზისა და სიმპატიების გაყრასთან ერთად მათი სარწმუნოებრივი სარბიელის გზებიც ერთმანეთს დაშორდნენ“ (6, ტ.I, გვ.428).

ამ „ეპისტოლეს“ შესახებ ცნობებს იძლევა სომეხი ისტორიკოსი, „ალვანთა ისტორიის“ ავტორი მოვსეს კალანკატვაცი (დასღურანცი, მოსე კალანკატუელი, კაღანკატვაცი) (ზოგიერთი მკვლევარის აზრით VII საუკუნის, ზოგიერთის – X საუკუნის იტორიკოსი იყო).

ი. ჭავჭავაძე „ეპისტოლეს“ შესახებ წერს:

„ამ განაჩენის ძალით სომეხთა მაშინდელმა პატრიარქმა აბრაამმა ასე შეაჩვენა და კრულვა-წყევლას მისცა ქართველობა: „ჩვენ დავწყევლეთ და პირქვე დავამხეთ ქართველთა კათალიკოზი კირიონი და ქართველებზედ ვბრძანებთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ არავითარი მისვლა-მოსვლა ქართველებთან, არავითარი ურთიერთობა, არც ლოცვითა, არც ჭამა-სმითა, არც მეგობრობითა და არც შვილების აღზრდითა; არ გაბედონ წასვლა სალოცავად არც სახელგანთქმულ მცხეთის ჯვარისა, არც მანგლისის ჯვარისა, არ მისცენ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში, ერიდნენ იმათთან დამოკიდებულებას ცოლ-ქმრობისას, ნება ეძლევათ მხოლოდ აღებმიცემობა იქონიოს, როგორც ურიებთან. ვინც ამ ბრძანებას გადავა, წყეულიმცა არს იგი სულითა და ხორცითა და ყოველის ცხოვრებითა“ (1, ტ.8, გვ.115).

ილიას გადმოცემით, მ. კალანკატვაცის ეს ისტორიული ნაწარმოები „ალვანთა ისტორია“, თვითონ ქ. პატკანოვს „რუსულად გადაუთარგმნია“. ილია, სომეხთა კათალიკოსის, აბრამის მიერ ქართველების წყევლა-კრულვისა და შეჩვენებას, და ქ. პატკანოვის ცილისმწამებლური განცხადების, ქართველთა ფანატიკოსების შესახებ წერს:

„სართი დასწრებისაო, სწორედ ამას ჰქვიან. ამაზე უდიდესი ფანატიკოსობა არა გვგონია სხვა იყოს სადმე. ამ სახელოვანის განაჩენის პატრონს განა ხმაღა ამოელებოდა ჩვენს ფანატიკოსობაზე, რომ ქვეყანაზე გამკითხავი ვინმე იყოს! რატომ აგრე საქებურად გაუჩუმდა ამისთანა წრეს გადასულს ფანატიკოსობას, რაკი აქამდე მიიყვანა საუბარი“ (1, ტ.8, გვ.115).

ილიას მოჰყავს დ. ბაქრაძის სიტყვები ქ. პატკანოვის შესახებ, რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებს:

„პატკანოვი უკვე დასკვნილს ქართულს აზრს ან უჩუმდება, ან თუ იგი მოჰყავს, მოჰყავს გადასხვაფერებით, იმგვარად, რომ ბინდი მოჰფინოს მის წინააღმდეგ აზრს, ქართულ ისტორიის წყაროს, თვით ჩვენთა წინაპართა ხასიათს“ (1, ტ.8, გვ.115). და იქვე, ილია დასძენს, რომ თუ კი „ამისთანა ოინებსა და თვალთმაქცობას კადრულობენ და არა ჰთაკილობენ სომეხთა ქებულნი და თავმოსაწონებელნი პროფესორნი, რაღა უნდა მოვთხოვოთ სხვა სომხებს,

რომელთაც ცარიელ დიპლომებით თავი მოაქვთ, ქადულობენ და ყურებს გვიჭედავენ“ (1, ტ.8, გვ.115).

ილია წერს, რომ პატკანოვი „გვეფიცება, რომ „მოსხები და კოლხები“ ქართველის ნათესაობისანი არ არიანო, და არავითარს საბუთს ამისას არ იძლევა-კი ეს საოცარი მოფიცარი. ბალღო, რადა სტირიო? გამიდის და ვტირიო, სწორედ ეს არის“ (1, ტ.8, გვ.116).

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ეგვიპტელების მიერ მოხსენებულნი „მუშენი“, დაბადების „მოსოხნი“ ანუ „მოსხნი“, ჰეროდოტის „ტიბარენნი“, სტრაბონის „ტიბერნი“ და „კოლხნი“ შეადგენენ ქართველ ნათესაობის ერსა“ (1, ტ.8, გვ.116). და ამ ქართველურ ტომებს სჭერიათ შავი ზღვისპირეთის აღმოსავლეთი მხარე და მდინარეების მტკვარ-არაქსის მიდამოები.

ილია იმოწმებს დ. ბაქრაძეს და მოჰყავს მემატიანის და მაკედონელთა დინასტიის წარმომადგენლის, ბიზანტიის იმპერატორის 913-იდან, კონსტანტინე VII პორფიროგენეტის (Porpbyrogennëtos) (905–959) გამონათქვამს „რომ მეათე საუკუნეზე წინათ ქართველთ ბაგრატიდთა ეჭირათ ჭოროხის ხეობა.“ ჭოროხის ხეობა მოფენილი არის VIII-X საუკუნის ქართული ეკლესიებითა და მონასტრებით, „ქართულისავე ზედწარწერებით“. ყველა ესენი მოუნახულებია (1843–1853) წწ-ში და ყოფილა აღწერილნი „თვით სომეხის ვარდაპეტ სარგისიანისაგან“, „ბროსსესაგან განხილულნი და აკადემიის მემუარებში დაბეჭდილნი.“ თვითონ სარგისიანი, „მწუხარებით ამბობს, რომ ღონისძიება არა მქონდა გადამეღო იგი მრავალი ქართული ზედწარწერანი, რომელნიც მე იქა ვნახეო.“ ამასვე ამბობენო: გეოლოგი, კავკასიის მკვლევარი ვილჰელმ აბიხი (Abich) (1806–1886), აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და დიპლომატი ნიკოლოზ ხანიკოვი (1819–1878) „და თვით იგი კოხი, რომელიც ერთს შემთხვევაში პატკანოვმა იმოწმა“ (1, ტ.8, გვ.117).

ქ. პატკანოვი ასახელებს V ს. სომეხ ისტორიკოსს, რომელსაც უწოდებდნენ „სომხეთის ისტორიის მამას“, მოვსეს ხორენაცს, (მოსე ხორენელი) და აცხადებს, რომ მოსეს მიერ მოხსენებული „ჭანივ“ (ჭანეთი), ანუ „ქალდეა“, სომხეთის სამეფოს ეკუთვნოდაო. ზოგიერთი მკვლევარი ხორენაცს მიიჩნევს VI–VII სს., ზოგიერთი VII ს. სხვები კი VIII–IX სს-ის მოღვაწედ. ჩვენთვის საინტერესოა მისი თხზულება „სომხეთის ისტორია“, სადაც საყურადღებო ცნობებს იძლევა საქართველოს შესახებ.

გაკვირვებული დ. ბაქრაძე კითხულობს: „როდის და სად არის ამისი ისტორიული საბუთიო?“

ილია მოვსეს შესახებ წერს:

„თუ მოსე ხორენელი სწერს, რომ იმ ადგილებში, რომელსაც „ქალდეა“ ერქვა, ჯერ თითქმის ორი ათასის წლის წინათ სომხები იყვნენო, ეხლა ხომ ყველამ იცის, რომ ეს აშკარა ტყუილია. ისიც ეხლა ყველამ იცის, რომ სომეხთა მეისტორიეთა მამამთავარი მოსე ხორენელი ისე სარწმუნო და საქებ-სადიდებელი არ არის, როგორც სომხებსა ჰგონიათ“ (1, ტ.8, გვ.117).

ამ საკითხის შესახებ, ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს:

„ჩვენის ეროვნების სხვადასხვა ტომთა სახელებში ჩვენი ერის უუძველეს ბინადრობისა და სამშობლოს სახელია შენახული...

კარდუხი, როგორც ვიცით, ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური შტოის ტომების სახელია.

ამგვარად, დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქართ-მეგრული შტოს ტომების საკუთარ სახელებში (ქართუელი, კარდუხი) ერთი და იგივე ქვეყნის სახელი გვხვდება: იგი არის ქართუ ანუ კარდუ. რაკი ამ ქვეყნის სახელი ორივე შტოის ტომების სახელწოდებაში მოიპოვება, უეჭველია იგი ქართველების თავდაპირველი საერთო სამშობლო უნდა ყოფილიყო.

ამ სამშობლოს ხსოვნა ქართველების მესამე შტოს წარმომადგენელს სვანებსაც აქვთ შერჩენილი. სვანეთში ეხლაც მოიპოვება რამდენიმე სოფლის საზოგადოება, რომელსაც „ჴალდე“ ანუ ხალდე ჰქვია. ერთი სიტყვით ხალდე, ანუ ქართუ ჩვენი ეროვნების თავდაპირველ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. ეს ქართუ ანუ ქართუ განთქმული ქვეყანა ქალდეა არის; ტუკლატ-ადარ I-ის 1275 წლის (ქრ. წ.) წარწერაში იგი „ქვეყანა კარდუ“-დ იწოდება სწორედ ისე, როგორც ამ ქვეყნის სახელი კარდუხების საკუთარ სახელწოდებაშია შენახული.

რასაკვირველია ქართველებს ქალდეაში უუძველეს დროს უნდა ეცხოვრათ... ქართველი ტომების სხვადასხვა დროინდელი ბინადრობის ადგილის გამორკვევა შეიძლება ჯერჯერობით მხოლოდ XI საუკ (ქრ. წ.) მოყოლებული; ისიც იმიტომ, რომ ასურული წყაროები ამ მხრივ ძვირფასს და უხვს ცნობებს გვაძლევენ. ამ მასალების საშუალებით მკვლევარს ადვილად შეუძლია განსაზღვროს, თუ სადა ცხოვრობდნენ ძველად ქართველი ტომები“ (7, ტ.I, გვ.411).

ილიას მოჰყავს ფ. ლენორმანის სიტყვები სომხეთზე, მოსე ხორენელის, და მარაბაზ კატინის შესახებ:

„შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არარიგი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის

თანამედროვე იყო. რაც შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მოსე ხორენელის წიგნისაგან, და ეს წიგნიც, როგორც თვით ხორენელისაგანაც სჩანს, არის უბრალო ასლი (კოპიო) მარაბაზ კატინის ცრუსიტყვაობისა, კომპილაციისა. ეს ბატონი კატინა სცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერატორობის ხელობას, ეკუთვნოდა ედესის სკოლას და ამან შეადგინა კომპილაცია, საცა სიმართლეზე მეტი სიცრუე შეიტანა და სულ ეს ააშენა კტეზიის ქრონოლოგიურ სისტემის მზგავსად და, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ამ სისტემის მიბაძვას უნდა გაეფუჭებინა საქმე, გაეშორებინა ჭეშმარიტებისაგან. გულუბრყვილო მკითხველის მოსატყუებლად კატინამ ეს ხერხიც მოიხმარა, რომ თავისი კომპილაცია მიაწერა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კატინის დროს ამისთანა ხერხიანობა ძალიან გავრცელებული იყო და ამ გვარის ყალბის წერილებით, ფალსიფიკაციებით მოჰფინეს მთელი ქვეყანა“ (1, ტ.8, გვ.118).

ი. ჭავჭავაძე, ამ ნაშრომში ეხება ნიკო მარსაც, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, რომელიც თავისთავს პატკანოვის მოწაფედ თვლიდა. იგი აკრიტიკებს ნ. მარს, მის მოსაზრებებსა და გამონათქვამებს საქართველოსა, ქართველი ხალხისა, ქართული ენისა და ისტორიის შესახებ და წერს, რომ:

„ბ-ნი მარი, თუმცა პატკანოვისამებრ ოინებში ჯერ თავი არ უჩენია და ღმერთმაც ნუ ჰქმნას, რომ იჩინოს, – სხვაფრივ-კი იმის გზაზე დამდგარა და დიდის რიხით იჭიმება, თითქო მაღლა ფრინველს არ გადაიფრენს და დაბლა ჯინჭველას არ გაიტარებსო“ (1, ტ.8, გვ.119).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნ. მარი დიდის ამბით აცხადებს, რომ რაც „ქართველებს კულტურის ნასახი გააჩნიათ“,თურმე სულ „სომხების მოწყალებით“ შექმნილა და ქართველებს სიტყვებიც-კი სომხებისაგან შეუთვისებიათო. ილია გაკვირვებული კითხულობს:

„ქართველი სჯობია სომეხს, თუ სომეხი – ქართველს. ამაებზე საუბარი ბრიყვის საქმეა და ჩვენ შორს ვუვლით ამისთანა აბდაუბდას. ჩვენ მარტო ამას ვჩივით, - როცა იმისთანა მეცნიერნი, როგორც ბ-ნი მარია, ამისთანაებს ჰღაღადებენ, საბუთი მაინც უნდა დაგვანახვონ“ (1, ტ.8, გვ.120).

ილიას თქმით ისეთი ცნობილი მეცნიერი, როგორც გატერიასია, რომელიც ქართულ და სომხურ ენებს კარგად იცნობდა, „ამანაც-კი გამოსთქვა, რომ სომხურ ენის შინაგან თვისებას ნათლად ვერ მივუხვდი, მინამ ქართული ენა არ ვისწავლეო, რადგანაც სომხურის ენის ბევრი ძირკვები წმინდა ქართულ

ელემენტებისაგან სწარმოებენო და უქართულოდ იმათი ახსნა შეუძლებელიაო“ (1, ტ.8, გვ.121).

ილიას მოჰყავს ჰ. რაულინსონის სიტყვებიც:

„სომხების არმენიაში შემოსევამ (მეშვიდე საუკუნის დასასრულს) ბევრი ალაროიდული (ქართული) ჩანთქაო“ (1, ტ.8, გვ.122).

აქ, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ დღეს, მეცნიერთა მიერ, გამოკვლეულია და დადგენილია, რომ ქართველი ხალხისა და მეზობელ ქვეყნებთან თუ ეთნიკურ ჯგუფებთან ურთიერთობის დროს, ქართულ ენაში შემოიჭრა უცხოური წარმოშობის სიტყვები და ამავე დროს მათთაც მრავალი ქართული სიტყვაც შეუთვისებიათ.

შ. ძიძიგური აღნიშნავს, რომ:

„ისევე როგორც სომხურს გაუმდიდრებია ქართული ენის ლექსიკური მარაგი, ქართულ ენასაც მიუწოდებია სომხური ენისათვის არა ერთი და ორი სიტყვა.

სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პროცესში ქართულიდან შესულა სომხურში ისეთი სიტყვები, როგორიცაა ველი, ყრმა, ცხვარი, პირი, საუნჯე, ვარდნა და სხვ (ნ. მარი, ჰ. ფოგტი). ამ ქართულ სიტყვებს სომხურში ფონეტიკური ცვლილებანი განუცდია.“

იმ დროს „როდესაც ყალიბდებოდნენ სომხური და ქართული ეთნიკური ერთეულები, ნ. მარი ამტკიცებდა, რომ იმ უძველეს ხანებში ქართველური ენებიდან ბევრი სიტყვაა შესული უძველეს სომხურ ენაში“ (40, გვ.108).

აღსანიშნავია, რომ „უძველეს ქართველ ტომებს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ მეტალურგიული ინდუსტრიის განვითარებაში.

ნ. მარის სიტყვით, ქართველ ტომებში – მოსხებში, ხალიბებში, ჭოროხის აუზში უძველეს დროს „აყვავებული იყო მეტალურგიული ინდუსტრია“.

„ყველა მადნის სახელი ქართული წარმოშობისაა. არც ერთი ნასესხები არ არის რომელიმე ენიდან (გარდა ერთისა)... ერთადერთი კალა არ არის ქართული წარმოშობისა. იგი წარმოდგება მალაკკას ქალაქ კალაჰ-დან, რადგან საშუალო საუკუნეებში ეს მადანი იქიდან მოჰქონდათ. ძველ ქართულში ეს სიტყვა არ გვხვდება. ძველად ხმარობდნენ სიტყვებს: ბრპენი, პრპენი.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ო. შრადერი აღიარებს, რომ მადნების სახელწოდებები სხვა ერებს ქართველი ტომებისაგან შეუთვისებიათ“ (40, გვ.119).

მადნების სახელწოდებებთან დაკავშირებით, შ. ძიძიგურს მოჰყავს ივ. ჯავახიშვილის სიტყვები: „უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილე-

ბლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სატომო სახელწოდებისაგან არის წარმომდგარი. ამით ცხადად მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით“ (40, გვ.120).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ნ. მარის შესახებ საუბარს, ვინაიდან ზევით უკვე შევეხეთ ამ თემას.

რუსების ხელშეწყობით, სომეხი ვაი-მწიგნობარ-მეცნიერები თანდათან უფრო და უფრო გათამამდნენ, გაკადნიერდნენ და გათავხედნენ. სხვადასხვა ხერხებითა და ოინებით, უსირცხვილოდ, თვალთმაქცურად თავისთავს აქებდნენ და ქართველებსა და საქართველოს მიწასთან ასწორებდნენ.

ჭავჭავაძის გადმოცემით, სომეხთა ეს გუნდი დაამშვენა კიდევ ერთმა „მწიგნობარ-მეცნიერმა“, გენერალმა ქიშმიშოვმა. რომელმაც გამოსცა წიგნი სათაურით, „უკანასკნელნი წელნი საქართველოს სამეფოსი“. ილიას მოჰყავს ერთი ადგილი ამ წიგნიდან, სადაც იგი წერს, რომ „მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. – ბრძანებს ღენერალი, – საქართველო ჰგავდა ზღვიდამ რიყეზე გამოგდებულს ხომალდსა, და ვისაც ღონე ჰქონდა და მკლავი უჭრიდა, რაც უნდოდა, იმას ათლიდაო... მშიერ-მწყურვალს ბატონიშვილებსა და თავადებს ინახავდნენ, აჭმევდნენ, ტფილისის ბაყლები და მედუქნეებიო“ (1, ტ.8, გვ.137).

როგორც ვხედავთ, „ღენერალ“ ქიშმიშოვის ამ განცხადებიდანაც კარგად ჩანს რომ სომეხთა ეს მწერლები ყველაფერს კადრულობდნენ, რომ როგორმე ქართველი ერი დაემცირებინათ და გაეშავებინათ. რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძემ საკადრისი პასუხი გასცა. იგი წერს:

„დალოცვილს ეს მაინც მოჰგონებოდა, რომ მეთვრამეტე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი თითქმის ერეკლეს ხანა იყო და ამ ხანაში გაითქვა სახელი ამ სახელოვანმა მეფემ მტრებზე გამარჯვებით. თვით სომხების დედაბუდე ერევანი და განჯა, საცა სახანოები იყო, საქართველოს ხარჯს აძლევდა, თუნდა იმას ნუღარ ვიტყვით, რომ თითქმის ყველა ახლომახლო ხანები ფიანდაზად ფეხქვეშ ეგებოდნენ ძლევამოსილს მეფესა და რუსეთიც იწვევდა საშველად ოსმალებთან ომებში. ერეკლე მეფემ შეაერთა დიდის ხნის გაყრილი ქართლ-კახეთი... განა ისე უპატრონო, გარიყული ხომალდი იქნებოდა მაშინ საქართველო, როცა მის მეფეს ამოდენა შესძლებია... მართალია, მეფე ერეკლეს შემდეგ დავუძლურდით, ღონე მიგვეხადა შინაურ არეულობისაგან, მაგრამ საჭე ხომალდისა კვლავ ხელთ გვეჭირა და ზღვის ღელვას არ დავამსხვრევინეთ, არ გამოვარიყინეთ, და

გიორგი მეფემ, როგორც მიიღო მამისაგან, ისე ჩააბარა რუსეთს საქართველო, მთლად და დაუგლეჯელად,– უპატრონე და შეინახე შენი ერთმორწმუნე ერიო...

ეს ბატონიშვილებსა და თავადიშვილებს რომ ტფილისის ბაყლები ინახავდნენო, რაღაა? რომელი სიტყვის ნაწილია? ვინ ვისის მოწყალებით აქ, საქართველოში, ლუკმასა სჭამენ, ან სჭამდნენ წინათ, – ეს ღმერთმა იცოდეს, ადამიანის გულთამხილავმა ნამუსმა, ან-და ადამიანისავე გაბოროტებულმა უმადურობამ“ (1, ტ.8, გვ.138).

„კიდევ კარგია და მადლობელნი უნდა ვიყვნეთ,– განაგრძობს ილია დაცინვით, – რომ ცხონებულმა ქიშმიშოვმა საქართველო სამეფოდ მაინც აბსენა და ეს ცოტად თუ ბევრად საპატიო ხარისხი შეარჩინა ჩვენს დაბრიყვებულ ქვეყანას. სხვა მეცნიერნი სომხებისა ამასაც კი არ იმეტებენ ჩვენთვის, თითქო იწყინეს, რომ ქიშმიშოვმა, ამ სომეხმა კაცმა, როგორ გაჰბედა და საქართველო და ქართველები საპატიო სახელით მოიხსენიაო. თუმცა დღეს ბავშვმაც-კი იცის, რომ საქართველო ცნობილი იყო ვითარცა სამეფო“ (1, ტ.8, გვ.139).

ილია ჭავჭავაძეს მოხსენებული ჰყავს, კიდევ ერთი „ახალი მეცნიერი სომხებისა, ბ-ნი გ. ა. ეზოვი“, რომელმაც გამოსცა „უშველებელი წიგნი“, „პეტრე პირველის ურთიერთობა სომეხ ხალხთან“ („Сношения Петра Великого с Армянским народом“), სადაც იგი „საქართველოს სპარსეთის სახანოდ ჰნათლავს და მის მეფეებს ხანებად“ (1, ტ.8, გვ.140). ილია წერს, რომ დაუშვათ ეზოვს იმის უნარი არ აღმოაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიას გასცნობოდა „უცხო ენით დაწერილ წიგნებიდამ, თავისი სომხური წიგნები მაინც წაეკითხა. აქ რა იმისთანა ალალმა დაჰქროლა, რომ ჭკუა-გონება დაჰბნევია. სხვა არა იყოს-რა, სომხების მეისტორიეთაგან მაინც უნდა შერცხვენოდა!“ და ილიას მოხსენებული ჰყავს ცნობილი სომეხი ისტორიკოსები: მოვსეს ხორენაცი, (მოსე ხორენელი) – V ს; სტეფანოზ ტარონეცი (ასოღიკი) – X-XI ს; არისტაკეს ლასტივერტცი (ლასტივერტელი, ლასტივერი) – XI ს.; მათეოს ურჰაეცი (მათე ურჰაელი, ედესელი) – XII ს. I ნახევარი; ვარდან ბარძბერდეცი (ვარდან ბარძრბერდელი, ვარდან აღმოსავლელი, ვარდან დიდი) (გ. 1271). რომლებიც საქართველოს სამეფოდ იხსენიებენ „და მისთა მპყრობელთ – მეფეებად“, ესენი „აღტაცებით მოგვითხრობენ საქართველოს მეფეების მზრუნველობას სომხების კეთილდღეობისა და მათის მონასტრებისათვის. ახია ჩვენზე, ახია!“ (1, ტ.8, გვ.140).

ილია ეზოვის შესახებ წერს, რომ მას, ქართველების შესახებ „რაც კეთილი თქმულა, ყველა ეს საქებურად მიუმალავს“, ხოლო, „რაც-კი სადმე ქართველებზე

ცუდი თქმულა, ბ-ნს ეზოვს ყველა თითქო რაღაც სიხარულით მოუკრებია და გულში გვახლის.“ როგორც ეტყობა იგი „წყალ-წყალა მეცნიერი“ ყოფილა, „რომელსაც ქართველების ხსენებაზე პირზე მარტო შხამი მოსდის და სხვა გზა არ არის, უნდა გადმოანთხიოს“ (1, ტ.8, გვ.143).

ეზოვს ამოკრეფილი აქვს, ცნობილი ფრანგი მოგზაურის, იუველირის და ძვირფასი ქვებით მოვაჭრის ჟან შარდენის (Chardin) (1643–1713) თხზულებიდან „მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, მხოლოდ ის ადგილები, სადაც აუგათ ახსენებს და აძაგებს ქართველებს.

ილია წერს, რომ „განა იგივე შარდენი არ ამბობს, რომ ქართველები ზრდილნი არიან, მოსიყვარულენი, საკუთარის ღირსების გრძობისანი, სომხებზე უფრო ძლიერნი, გულმაგარნი ვაჟკაცნი და თავგანწირულნი მეომარნი თავისის თავისუფლებისათვისაო.

თუ მარტო ჩვენი ძაგება არა ჰქონია ფიქრად, თუ მარტო ჩვენის სახელის გატეხა არ მოსწყურებია, განა შარდენის მეტი სხვა არავინ რას ამბობს ქართველებზედ?“ (1, ტ.8, გვ.142).

ილიას მოჰყავს, ცნობილი გერმანელი მწერლისა და მთარგმნელის ფრიდრიხ ბოდენშტედტის (Bodenstedt) (1819–1892) წიგნიდან „კავკასიის ერნი“, (1847), საქართველოსა და ქართველი ერის შესახებ, სიტყვები.

როგორც ცნობილია ფრიდრიხი „1844 ჩამოვიდა საქართველოში. თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა ფრანგულ ენას. მოიარა საქართველოს მრავალი კუთხე (მესხეთი, იმერეთი, გურია და სხვ.). გერმანიაში დაბრუნებულმა გამოაქვეყნა წიგნი „კავკასიის ხალხები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთის წინააღმდეგ“ (1848). ამ წიგნში მწერალი აშუქებს რუსეთისა და კავკასიის ხალხების ურთიერთობას. აღწერს ქართველთა გარეგნობასა და სულიერ თვისებებს. მიმოიხილავს ჩვენი ქვეყნის წარსულს, ცნობებს თამარ მეფისა და სხვა ისტორიულ პირების შესახებ. წიგნში „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“ (ტ. 1–2, 1849–50) ბოდენშტედტი სხვა ამბებთან ერთად მკითხველს აცნობს თბილისელთა ყოფასა და ადათ-წესებს, ქართულ მწერლობას, „ვეფხისტყაოსანს“, საქართველოს ბუნების მრავალფეროვნებასა და სილამაზეს. „მირზა შაფის სიმღერებში“ (1851), რომელიც შეიცავს ბოდენშტედტის მიერ თარგმნილ ან გადაკეთებულ აღმოსავლურ ლექსებს, შესულია ლექსები თბილისისა და თბილისელების შესახებ“ (15, ტ.2, გვ.441).

ილია წერს: ფ. ბოდენშტედტი „რასა სწერს ჩვენს ავკარგიანობაზე: „ქართველი უზრუნველია, სახვალიოდ არა ჰფიქრობს, დიდს ფასს არა სდებს

მიწიერს მოსახვეჭსა, არა აქვს დაუძინებელი წყურვილი მოხვეჭისა, ამიტომაც ვაჭრობა განსაკუთრებით სომეხის ხელშია. სამაგიეროდ, ქართველები ყველაზე უფრო ზნეობიანნი, ყველაზე უფრო პატიოსანნი კაცნი არიან ამ მხარეში. სტუმართ-მოყვარეობა დიდი იციან – როგორც სხვა კავკასიელთაც, ერთგულნი არიან – როგორც მათნი ხმალნი, სწრაფნი და მარდნი – როგორც მათნი ტაიჭნი, ვაჟკაცნი ომში, შინ თავაზიანნი და საამურნი“ (1, ტ.8, გვ.142).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ეზოვის მიერ გაუთავებელ, გამოგონილ, „ვითომდა ისტორიულ სიგელთა“ ჩამოთვლას. ილიას მოჰყავს ჟურნალ „მოამბის“ მიერ ეზოვის შესახებ თქმული სიტყვები. რომელიც ამხელს ეზოვის სიყალბეს.

„სითამამე და აღვირახსნილობა ბ-ნ ეზოვისა იმდენად დიდია, რომ გვეუბნება, ეს ცნობები ამოვკრიბე აქტებიდამ და იხილე ესა და ეს ნომრებიო, სახელდობრ, 529, 530, 531 და 532. გადავშალეთ პირველი ტომი, ათჯერ წავიკითხეთ ეს ნომრები და ვერაფერი მიმსგავსებული ეზოვისა ვერა ვპოვეთ“... „საიდამ მოსჩმახა ეზოვმა, – ამბობს მერე „მოამბე“, – რომ მხოლოდ მარტო სამი სომეხი იცნეს ღირსად ჯილდოსი და ბატონიშვილები მუჟიკებსა ჰგვანანო? ზღაპარს მაშინ გამოიცნობთ, როცა გაიხსენებთ ეზოვის დაფარულს აზრსა: **საქართველო საქართველო-კი არ არის, ძველი სომხეთიაო**. ეს მაცდური და წყეული სურვილი გზას უბნევს ბ-ნს ეზოვს და სისულელეს აროშვინებს მეცნიერების სახელით“ (1, ტ.8, გვ.156).

ილია აღნიშნავს, რომ სომხების ეს ერთი მუჭა მეცნიერ-მწიგნობრები, რომლებსაც ხელს უწყობს და აქეზებს რუსეთის წარმომადგენლები, ცდილობენ დაამცირონ ქართველი ხალხი და საქართველო, „ჩვენი ხსენება და სახელი ლაფში ამოსვარონ და თვითონ სომხებს ჩვენი თავი შეაძულონ, შეაზიზღონ“, „ერთი ერი მეორეს მიუსიონ“ (1, ტ.8, გვ.157).

„სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერნი რომ ასე იქცევიან და ოინბაზობენ, – ადვილად გამოსაცნობია რადა და რისთვის. ხოლო გვიკვირს, რომ ამ რიგადვე ეპყრობიან ისტორიულს საბუთებს რუსის ზოგიერთი მწერლებიცა“ (1, ტ.8, გვ.158).

ზოგიერთი რუსი „მწერლების“ და „მეცნიერების“ წარმომადგენლები, ქებადიდებით იხსენიებენ სომეხ ერს, ხოლო ქართველების მიმართ აგრესიულად არიან განწყობილნი და ყოველმხრივ ცდილობენ მათ დამცირებას და შეურაცხყოფას, ხოლო სომხების განვითარებისათვის ხელის შეწყობას.

ილიას თქმით, „ერს, რომ გზა შეუკრან წარმატებისა, – რაც გინდ პატარა ერი იყოს – არავისათვის არც მოსაწონია, არც გამოსაყენებელი. არ არის ქვეყა-

ნაზე იმისთანა ერი, რომელიც, თუ ცოტაოდნად მაინც გონებად მოსულია, ცოტაოდენი ისტორია ჰქონია და კულტურაში ცოტაოდნად ფეხი მოუკიდებია, რითიმე გამოსადეგი არ იყოს სახელმწიფოში, რაც გინდ დიდი სახელმწიფო იყოს და მორჭმული თვისის სულიერ და ხორციელ ძალ-ღონითა“ (1, ტ.8, გვ.158).

ყოველმა ერმა თავისი ღირსება, თვისება, სიდიადე, სიკეთე, თვითონვე უნდა გამოავლინოს და დიდი ერის მიერ მცირე ერის ნიჭისა და განვითარების შეფერხება დაუშვებელია და თუ ერთი ერის ნიჭი, მეორეს „წაემატება“, ამით არაფერი დაშავდება და მეორისათვის „ზედმეტი ბარგი“ არ იქნება.

„დიდი ცოდვაა ადამიანს,– განაგრძობს ილია,– თუნდა ცალკე პატარა ერს, ნიჭი შეუკრა, შეუბოჭო, სიკეთის ღონე შეუხუთო. არა ნაკლები ცოდვაა ერთის ღვაწლი, თუ კია სადმე, მეორეს მიაკერო და მართლად ღვაწლდამდები ჩრდილში მიაყენო და სხვისით სხვა გამოამზეო საქებ-სადიდებლად. თუ თავმოსაწონებელია სადმე, ყველამ თავისით უნდა მოიწონოს თავი, ყველას თავისი უნდა ეკუთვნოს“ (1, ტ.8, გვ.159).

მაგრამ, სამწუხარო და სავალალო ის არისო,– ამბობს ილია,– რომ ზოგიერთ რუს მწერალ-მეცნიერთ, ეს ვერ შეუგნიათ და ცდილობს, ერთი ერის, კერძოდ ქართველი ერის, სიკეთე და სიდიადე, მეორე ერს, სომხეთის ერს, მიაკუთვნოს და თვითონ ის ერი დაამციროს.

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს და სიყალბეში ამხელს რუსულ გაზეთში, „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ (გამოდიოდა 1728–1917) დაბეჭდილ ვ. გოლსტრემის ერთ-ერთ წერილს, სადაც ავტორი აქებს და ადიდებს ურარტელებს და ბოლოს აკეთებს დასკვნას, რომ „ეხლანდელნი სომხები მათი სისხლ-ხორცია, მათის მოდგმისაა.“ ესე იგი, დღევანდელი სომხების შთამომავალნი ყოფილან ურარტელნი.

ილია წერს, რომ მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ სომხებს არავითარი კავშირი არ აქვთ ურარტუს სახელმწიფოსთან და მის ერთან; და რომ ძირითადათ ურარტელები იყვნენ ქართველები ან მათი მონათესავე ერი და თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს ცნობილი მეცნიერების გამონათქვამები:

ფრანსუა ლენორმანის (გ. 1883) – არქეოლოგი,

მიხეილ ნიკოლსკის (1848–1917) – ასირიოლოგი,

გასტონ კამილ შარლ მასპეროს (1846–1916) – ეგვიპტოლოგი,

დიმიტრი ანუჩინის (1843– 1923) – ანთროპოლოგი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი და გეოგრაფი,

ეჯენ ბიურნუფის (1801–1852) – ორიენტალისტი,
ინგლისელი რ. ანდერსონი და სხვ.

ამავე დროს, ი. ჭავჭავაძე ამხელს ვ. გოლსტრემის მიერ, ცნობილი მეცნიერების გამოთქმულ აზრებისა და სიტყვების, თავის ნებაზე გადასხვაფერებას. მათი თქმით, ეს სომეხი მეცნიერები იმასაც კი კადრულობენ, რომ ეკლესიებისა და მონასტრების ძველ ქართულ წარწერებიან ქვებს აცლიან, წარწერებს ფხეკენ და სომხურ ენაზე ახდენენ გადაკეთებას, რათა დაემტკიცებინათ, რომ სომხები ამ ადგილების თავდაპირველი ბინადარნი არიან.

ამ ნარკვევის ბოლოს, ილია ვ. გოლსტრემის შესახებ წერს:

„კიდევ ბევრს, ბევრს სხვას ჰღაღადებენ არმენიაში ნაპოვნი ქვებიო“, იძახის დიდის პათოსით ბ-ნი გოლსტრემი. მართალია, ბევრს რასმე ჰღაღადებენ და ვაი რომ იმათს ღაღადს ყურებში ბამბადაცმული მსმენელი შეჰხვედრია. ბევრს რასმე ჰღაღადებენ, მხოლოდ მთლად და ხელაღებით იმის წინააღმდეგს, რაც ბ-ნს გოლსტრემს ურარტელთა გასომხებისათვის წამოულაგებია „Петербургские Ведомост“-ში. კიდევ ვიწვევთ ბ-ნს გოლსტრემს: თუ ჩვენ მართალს არ ვამბობთ, აბა ერთი საბუთი, აბა ერთი მართალი სწავლული, მართალი მეცნიერი, აბა ერთი ქვა და მისი ღაღადი წამოგვიყენოს პირში, მაშინ ჩვენ ჩვენს მშვილდს ძირს დავდებთ და ბ-ნ გოლსტრემის წინაშე ქედს მოვიხრით, ჩვენს შეცდომას შევინანებთ საქვეყნოდ“ (1, ტ.8, გვ.189).

ილიას მოჰყავს ვ. გოლსტრემის კიდევ ერთი გამონათქვამი. სადაც იგი ამბობს, რომ:

„ამ ერმა (სომხობამ) საუკუნეთა განმავლობაში დაამტკიცა თვისი შეურყეველი ერთგულება ქრისტიანულ მართლმადიდებელ აღთქმებისაო“ (1, ტ.8, გვ.190).

ილია ამ სიტყვებს აკრიტიკებს და ამბობს, რომ იგი აქაც არ ამბობს სიმართლეს, რადგან ისტორიიდან ცნობილია, რომ სომხები მართლმადიდებლობას მეექვსე საუკუნეში „გაეცალნენ“... და მას აქეთ სარწმუნეობით ცალკე გავიდნენ. სად იგი სარწმუნეობა, რომელსაც სომხები აღიარებენ, და სად იგი, რომელიც მართლმადიდებელად წოდებულია რუსეთში და რუსის მწერლობაში“ (1, ტ.8, გვ.190).

ამის შემდეგ ილია წარმოსთქვამს იმ შესანიშნავ სიტყვებს, რომლითაც ახასიათებს სომხებს და მათ დამოკიდებულებას ქრისტიანულ სარწმუნეობის მიმართ. მათ თავდადებას, მათს სიყვარულს სამშობლოსა და სარწმუნეობისადმი. ეს არის ის ჭეშმარიტი სიტყვები, სადაც ილიამ ჩააქსოვა არათუ თავისი შეხედულება,

არამედ მთელი ქართველი ხალხის დამოკიდებულება მოძმე მშრომელი და პატიოსანი, თავისი სამშობლოსადმი თავდადებული სომეხი ერის მიმართ. ილია წერს:

„რასაკვირველია, სომეხთა სარწმუნეობაც ქრისტიანულია და სომეხთ ვერ დავუკარგავთ დიდს ღვაწლს, ქრისტიანობისათვის მათ მიერ დადებულსა. ქრისტიანობისათვის ბევრი რამ გაუწირავთ, ბევრი სისხლი უღვრიათ და მეტი არ იქმნება ვთქვათ, რომ ქრისტიანობას ანაცვალეს მათ თითქმის მთელი თვისი ისტორია, თვისი სამეფო, თვისი მამული, თვისი სამშობლო და ამით, თვისდა მართლადა სასახელოდ, შეინახეს თვისი რჯული, ენა და ყოველმა ამან შეანახვინა თვით მათი ვინაობაცა, მათი ეროვნული არსებობა. ვერც ისტორია და ვერც კაცობრიობა ვერ დაივიწყებს სომეხთა ღვაწლს, სომეხთა თავგანწირვას ქრისტიანობისათვის... კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნეობისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს... სომხებს რაც გინდ დააბრალეთ, – განაგრძობს ილია, – და ორგულობას სარწმუნეობისას-კი ვერავინ შესწამებს. პირიქით, მათ, თვისდა სასახელოდ, კარგად იციან ფასი თავისის სარწმუნეობისა და ამისათვის უღელი ყოველ გვარის უბედურებისა გულგაუტეხელად უტარებიათ და ჯვარცმულან“ (1, ტ.8, გვ.190).

„სენკოვსკიდამ დაწყებული ბ-ნ გოლსტრემამდე, ამ სამოცი წლის მანძილზე... საოცარის ერთგულებით და ერთსულობით“, სომეხთა მეცნიერ-მწიგნობრები, „ხუდაბაშოვები, პატკანოვები, ქიშმიშოვები, ეზოვები, არწრუნები და ერთობ იგი ერთი გუნდი სომხებისა“, ერთი გეგმით, ერთი „პროგრამით“ მოქმედებენ. მათ უნდათ, რომ „ქვეყანას დაანახვონ, რომ სომეხსზე უკეთესი, გამძლე ერი, ყოვლის ნიჭითა და უნარით შემკობილი სხვა არავინ არის მცირე აზიაში და ნამეტნავად ამიერკავკასიაში. მართალია, ამიერკავკასიაში ეს რაღაც „ვრაცები“ ჰყრიან და ცოტად თუ ბევრად ამათაც ახსენებენ, მაგრამ ასეთს საქმეს დავმართებთ, ასე გავუბიაბრუებთ სახელს, რომ სახსენებელიც კი აღარ დარჩეთ. თუ ისტორია აქვთ, გავუყალბებთ, ან ჩვენ დავიჩემებთ, მიწა-წყალი აქვთ და ჩვენ ჩამოვართმევთ, და ქვეყანას, ტყუილი იქნება თუ მართალი, დავაჯერებთ, რომ ქართველობა გადაშენების გზაზეა შემდგარი და დღესა თუ ხვალე ან ამოწყდებიან დედა-ბუდიანად, ან გასომხდებიან“ (1, ტ.8, გვ.192).

ამ სომეხი მწიგნობრების საპასუხოდ, ილია მტკიცედ აცხადებს, რომ ამ მეცნიერებს: „ღმერთმა მოახმაროთ თავიანთ-თავის ქება-დიდება და ჩვენს მოთხრას-კი – ნურას უკაცრავად! – ვერ შევარჩენთ, ვერ დავანებებთ და ამაში, იმედია, ყველა ჭკვათამყოფელი სომეხი დაგვეთანხმება“ (1, ტ.8, გვ.193).

ილიას წერილების განხილვიდან, ჩანს, რომ იგი ყოველთვის მოწიწებით, პატივისცემით, სიფრთხილით, რიდით, და სათუთად მოიხსენიებდა სხვა ერს და ყოველთვის ხმას იმაღლებდა ნაციონალისტურ-შოვინისტურ გამოსვლების წინააღმდეგ. მით უმეტეს, ჩვენს მოსაზღვრე ერებს, როდესაც ხდებოდა სომეხ--ქართველთა ისტორიული სინამდვილის გაყალბება და დამახინჯება.

ამ, ისტორიულ მეცნიერულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებში, ,,ქვათა ღაღადში", ილია ახასიათებს ქართველებისა და სომეხი ხალხის ისტორიულ ურთიერთ დამოკიდებულებას. იმ ხალხისა,რომლებიც ჩვენთან ერთად იტანდა ყოველ გაჭირვებასა და ჭირ-ვარამს. ამდენ ვაი-ვაგლახს გაუძელით და დღემდე მოვაღწიეთ, შევინარჩუნეთ ჩვენ ჩვენი მეობა და ჩვენი სულისკვეთება. ხოლო, ქართველთა შეურაცხყოფაში დამნაშავე ის ,,ჯურის" სომხები და რუსი მწერალ-მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ ამ ორი ერის დაპირისპირებას, ილიას თქმით, ამას ვერ მოესწრებიან. ამ ნაწარმოებს, ილია შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

,,სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნეობისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ,და თუ დღეს ეს ურთიერთობა ასე შერყეულია,სომეხთა მეცნიერთა გულნამცეცობას, უვიცობას, ნაცარქექიაობასა და ოინბაზობას უნდა მიეწეროს...

ჩვენ სომხებისა არა გვშურს-რა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღითაგან, როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. მას აქეთ, რაც ვახტანგმა გორგასლანმა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველ ჰყო მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი. მინამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოსევოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუჭირდებოდათ... დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად... მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვღალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონემიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დაჰნებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა.

განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენი სახელის გატეხით ნუ ცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შემკობას.

ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობია“,— ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი“ (1, ტ.8, გვ.194).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რა თქმა უნდა სომეხთა ამ ერთი ჯგუფის გამოხდომები ქართველების წინააღმდეგ, ხდებოდა მაშინდელი რუსეთის მთავრობის მხარდაჭერით, წაქეზებითა და ხელის შეწყობით. რუსეთის ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა შეეზღუდა ქართველთა უფლებები, რომ ამიერკავკასიაში თავისუფლად ებატონათ.

მთავრობის მიერ ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ადგილმამულების ჩამორთმევა და ამ ადგილებში უცხო ტომთა, უცხო ხალხის ჩამოსახლება. მთავრობის მიერ შემოღებული კანონები, ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელი იყო.

რუსეთის ხელისუფლების მიერ შემოღებული კანონების შესახებ, ილია წერს:

„მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“ (1, ტ.9, გვ.265).

„რადგან რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისთვის მავნე იყოს“ (1, ტ.9, გვ.264).

რუსეთის იმპერიის მოხელეების მიერ, საქართველოში გატარებული, ქართველი ხალხისათვის მიუღებელ კანონების შესახებ, რასაც აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე თავის სიტყვაში, ეხმაურება ემიგრანტი პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე პეტრე სურგულაძე. 1918 წელს სტამბოლში გამოცემულ ნარკვევში, „საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“, იგი წერს:

„რუსის ბატონობამ საქართველოში დაამყარა რუსის სამართალი, რომელიც მეტად დაშორებულია ქართველი ერის შეგნებას და მოთხოვნილებას. ამის გამო ჩვენ ვიტანჯებით, ჩვენი განვითარება ფერხდება და ჩვენშიაც მეტად სუსტია ერთი უდიდესი ელემენტთაგანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა — ესაა პატივისცემა კანონმდებლობისადმი. რა საკვირველია, ვერავინ უსაყვედურებს ქართველ

ერს რუსის კანონმდებლობას თუ არ სცემს პატივს, რადგან ის როგორც თავისი შინაარსით, აგრეთვე თავისი პრაქტიკული განხორციელებით სრულიად ჩვენი ცხოვრების გარეშე დგას და მხოლოდ მთელი ხალხის ტანჯვის და უბედურების წყაროა. როდესაც ქართველ ერს თავისი სახელმწიფო ექნება და ის თავის საუკეთესო არჩეულ შვილთა შემწეობით შეჰქმნის თავის მოთხოვნილებათა შესაფერ სამართალს, მაშინ ქართველი ერიც აღარ დაიტანჯება, კერძო ავკაცობათა და ბოროტმოქმედებათა რიცხვიც შემცირდება ხალხში, სამართლიანობის შეგნებაც ფეხს გაიდგამს ჩვენში და ქართველ ერსაც შეძლება მიეცემა თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრიო შემოქმედების ერთს უმნიშვნელეს დაგში“ (8, გვ.136).

როგორც ილიას ზემოთ განხილულ, გამოსვლიდანაც ჩანს, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მოურიდებლად ამხელდა რუსეთის იმპერიის ფარულ დამყრობლურ პოლიტიკურ ზრახვებს საქართველოს მიმართ და მის მიერ წაქეზებულ და შეგულიანებულ რუს და სომეხ ვაი-მეცნიერებსა და ლიტერატორებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მოქმედებით გამოწვეული დაძაბული მდგომარეობა ერებს შორის, ილიას შემდეგაც გაგრძელდა და დღესაც გრძელდება. ერთმორწმუნე და „მოძმე“ დიდი რუსეთი, და საერთოდ, ყველა, მისი მოსაზღვრე სახელმწიფოები, მიისწრაფებოდა საქართველოსკენ და ცდილობდა მის დაპყრობას და დამორჩილებას. ეს განპირობებული იყო და დღესაც ასევე რჩება, მისი გეოგრაფიული მდგომარეობით, ადგილ-მდებარეობის გამო. საქართველო ხომ შუამავალია ევროპასა და აზიას შორის. კავკასიონის ქედი, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვიდან აზოვის ზღვამდე, ყოველთვის წარმოადგენდა ბუნებრივ ღობეს, რომელიც იმაგრებდა ჩრდილოეთიდან მოწოლილ ხალხთა ტომებს, მცირე აზიაში შემოჭრისაგან; და ეს ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი გზები საქართველოს ხელში იმყოფებოდა.

პეტრე სურგულაძის თქმით: „ქართველებს რომ ნებით დარიალის ხეობა არ გაეხსნათ რუსებისათვის, ვინ იცის, ჩვენი ბედიც და ჩვენი ახლო მეზობლებისაც სხვანაირად დატრიალებულიყო“ (8, გვ.126).

ხოლო, მეცნიერი, იურისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე, ემიგრანტი ზურაბ ავალიშვილი (1876–1944) მონოგრაფიაში „საქართველოს რუსეთთან შეერთება“ წერდა:

„საქართველოს რუსეთთან შეერთება, გარდა მისი ისტორიული მნიშვნელობისა რუსული ძლიერების გაზრდის საქმეში, თვითონ საქართველოსათვის თავისი გარდუვალი შედეგით საბედისწერო მოვლენა იყო“ (62, გვ.111.).

როგორც ვიცით, საქართველოს დასაპყრობად, ეცილებოდნენ ერთმანეთს სპარსეთი, არაბები, ირანი და ოსმალეთი. სხვადასხვა პოლიტიკური ვითარების შედეგად, XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში, საქართველო მოექცა გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მიზნების მოქმედების გარემოცვაში, ხოლო ჩვენი ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რუსეთის იმპერიამ და მასში მომხდარმა ამბებმა. ამ საკითხს ჩვენ აქ, არ განვიხილავთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საბოლოოდ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება რუსეთის, მისი ხალხის მოღვაწეებისა, მწერლობის, მეცნიერების, ენისა და ლიტერატურისადმი, მრავალფეროვანი კულტურის მიმართ იყო კეთილგანწყობილი და დამფასებელი. იგი ხომ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთში გატარებულ წლებს. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ პეტერბურგში ილიას ჩამოუყალიბდა ის ფილოსოფიური და რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებები, რომლითაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა, რომ ცხოვრებაში, მაშინდელი საქართველოს პირობებში, პრაქტიკულად განეხორციელებინა. აქ გაეცნო რუსეთისა და ევროპის მატერიალიზმის ძირითად მოძღვრებებს და ახალ ფილოსოფიურ შეხედულებებს. აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც მებრძოლი და ქართველი ერის დაუცხრომელი მოამაგე. აქ გაეცნო იგი რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობის გამოჩენილ რუსეთისა და საზღვარგარეთის იდეოლოგებს — ბელინსკის, გერცენს, დობროლიუბოვს, ჩერნიშევსკის, პლეხანოვს, მარქსს, ენგელსს, ჰეგელს, ბეკონს და სხვებს.

ილია ჭავჭავაძე წერდა:

„თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თვისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან, საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით

გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“ (1, ტ.8, გვ.332).

ასე ახასიათებდა და აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე, ერთის მხრივ, რუსეთის ზეგავლენას ქართულ საზოგადოებრივ აზროვნების განვითარებასა და საქართველოს ისტორიულ ვითარებაზე.

მეორეს მხრივ, თვით ილია ჭავჭავაძე, იბრძოდა იმპერიალისტური რუსეთიდან თავის დაღწევაზე და დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძვირად დაუჯდა გიორგი XII-ეს რუსული ჯარის შემოსვლა საქართველოში. რადგან, ის რაც საუკუნეების განმავლობაში ვერ მოახერხეს გარს მომდგარმა დამპყრობლება, ის განახორციელა, ჩვენივე ნებით და თხოვნით შემოსულმა, ერთმორწმუნე და „მოძმე“ რუსეთმა. მან მთლიანად დაიპყრო საქართველო და თავის კოლონიურ ერთ-ერთ გუბერნიად გაიხადა.

ვ. გაგოიძე წერს:

„იმ ლეგალურ ბრძოლას, რომელსაც ილია ჭავჭავაძე აწარმოებდა, მიზნად უდრო სხვა ჰქონდა, ვიდრე ზომიერი რეფორმები. და ეს მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლო მოღებოდა საქართველოს მიმართ თვითმპყრობელობის ძალადობას და საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნილიყო საკუთარი პარლამენტით. ამ მიზნის განხორციელებაში ბრძოლის ლეგალური ფორმა მხოლოდ საშუალება იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნული სიძულვილის შექმნისა და გარკვეული ეროვნული უფლებების მიღებისათვის, რაც შესაძლებელს გახდიდა ერის შეკვრისა და შემჭიდროებას ერთი აზრით, ერთი იდეით – საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეით“ (26, გვ.246).

ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოზე და ამიტომ იყო, რომ იგი ებრძოდა რუსეთის მიერ საქართველოში დანიშნულ მოხელეებს, ლიტერატორ-მწერლებს და უხეირო მეცნიერებს, რომლებიც ქართველებსა და საქართველოს აბუჩად იგდებდნენ.

ამიტომ, იგი მოითხოვდა, რომ ყველა გაერთიანებულიყო და ერთად ებრძოლათ მამულის დასაცავად. მისთვის მამული იყო მთავარი და კიდევაც მამულის სიყვარულს შეეწირა.

4. ილია ჭავჭავაძე უცხოეთის ქვეყნების შესახებ

ილია ჭავჭავაძის მიერ ისტორიის საკითხების გახილვის დროს არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს მის ნაწერებს, რომლებიც იბეჭდებოდა „ივერიაში“ (1877–1898) წლებში და ეხებოდა უცხოეთის ქვეყნებს: ევროპის, აზიის და ამერიკის საპოლიტიკო ცხოვრებას, ამ ქვეყნების ისტორიასა და ეკონომიკას. იგი ცდილობდა მიეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის ის ვითარება, რაც ხდებოდა მის დროინდელ საპოლიტიკო სამყაროში, ამ ქვეყნების ისტორიულ-ეკონომიკურ ცხოვრებას და ამავე დროს ახასიათებდა ამ ქვეყნებს, მის პოლიტიკას და ზოგიერთი სახელმწიფოს წარმომადგენელთა აგრესიულ სამხედრო წრეების მისწრაფებებს.

1886 წლის 12 თებერვლის მოწინავე უსათაურო წერილის, შესავალში, ილია ჭავჭავაძე წერს:

„სახელოვანის ინგლისის მეცნიერის – დარვინის მიერ ეჭვგარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც „ბრძოლას არსებობისათვის“ ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაც-კი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც მეტი არ იქნება თვალი გაკვრით მაინც გადავავლოთ თვითოეულს სახელმწიფოს ევროპისას, და იმოდენად, რამოდენადაც გაზეთის მეთაური წერილი ნებას მოგვცემს, აღვნიშნოთ, ვის რა ტკივილი აქვს შინ, თუ გარეთა, ვის რა იმისთანა „წვრილი“ აქვს, რომელიც გასაფრთხილებელია, რომ არ გასწყდეს“ (1, ტ.9, გვ.75).

ამ წერილების განხილვიდან კარგად ჩანს, რომ ილია შესანიშნავად ერკვეოდა, სწორად და სამართლიანად განსაზღვრავდა თვითეული, მის მიერ განხილული ქვეყნის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას; და ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ გამოთქმული ვარაუდი და მოსაზრებები, ამ ქვეყნების მომავლის შესახებ, დრომ დაადასტურა მისი წინასწარმეტყველება.

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „წერილები უცხოეთზე“, „ივერიაში“, იბეჭდებოდა ხელმოუწერლად. მეცხრე „ტომში მოთავსებული წერილებიდან უცხოეთზე ავტორის მიერ დასათაურებულია მე-6, მე-7 და 25-ე წერილები, დანარჩენი წერილები: 1–5, 8–24, 26–29, „ივერიაში“ იბეჭდებოდა მოწინავე უსათაურო წერილების – „მეთაურის“ – სახით.

ეს წერილები დასათაურებულ იქმნა ჩვენ მიერ“ (1, ტ.9, გვ.320).

წერილში, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, რომელიც ილიამ 1889 წელს დაწერა, ამერიკის შეერთებული შტატების მომავლის შესახებ წერს:

„ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი კი თანდათან ვალებში სცვივიან.

რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება. ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადასწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგეობითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა“ (1, ტ.9, გვ.56).

ილიას ეს წინასწარმეტყველება გამართლდა და დღეს, როგორც ვხედავთ, ამერიკის შეერთებული შტატები მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენს.

ილია ჭავჭავაძემ არა ერთი წერილი მიუძღვნა **გერმანიას,** მის ისტორიას, მის წარსულსა და მის აწმყოს. მან წინასწარ განსჭვრიტა მისი მომავალი და მისი აგრესიული მოქმედებაც.

1889 წლის წერილში, „მილიტარობა ევროპაში“, აღწერს მის დროინდელ ევროპის მდგომარეობას, ამ ქვეყნების როგორც ეკონომიურ, ასევე კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას. განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს გერმანიაზე, მის, ევროპისათვის აგრესიულ დამღუპველ პოლიტიკაზე.

ილიას თქმით, ევროპა წარმოადგენდა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილ სახელმწიფოებს, რომლებიც ერთმანეთს ემუქრებიან და ვითომდა მშვიდობის დასამყარებლად თვითეული ქვეყანა სინამდვილეში იარაღდება. ამავე დროს კი მათი ხალხის ცხოვრება კი თანდათან უარესდება და ეს ყველაფერი

გამოწვეულია გერმანიის მიერ, მისი „ძლევამოსილი „რკინის კანცლერი“ ბისმარკის“ პოლიტიკის გამო.

გერმანიის სახელმწიფო მოღვაწე, პირველი რაიხსკანცლერი ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი (Bismarck) (1815–1898) დიდ საქმიანობას ეწეოდა მაშინდელ ევროპაში.

„1871 წ. 18 იანვარს ვერსალში ოფიციალურად გამოცხადდა გერმანიის იმპერიის ჩამოყალიბება. გერმანიის ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანება ისტორიულად პროგრესული მოვლენა იყო. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რაკი გაერთიანება ვერ მოხერხდა რევოლუციურად, იგი განხორციელდა კონტრრევოლუციურად, იუნკრიულად და სწორედ ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად გააკეთა პროგრესული საქმე“ (15, ტ.2, გვ.414).

1889 წლის „ივერიის“ №11-ში ილია წერდა:

„დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესა. მართლა-და მთელი ევროპა რომ მოიაროთ, ერთ სახელმწიფოს ვერა ჰნახავთ, რომ გული გულის ადგილასა ჰქონდეს. ყველას მუშტი მოღერებული უჭირავს მტრის თვალის დასაყენებლად, და ამავე დროს გულში რომ ჩაჰხედოთ, ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება. გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება. უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღეყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალის ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულის მშვიდობიანობას ეძახიან.

ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა და ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ“ (1, ტ.9, გვ.49).

ილიას თქმით: ევროპაში ყველა იარაღდება, ხდება ჯარის შეგროვება, შეიარაღება, და ამავე დროს, „გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მეტი გულში არა გვაქვს-რაო“ (1, ტ.9, გვ.49). მაგრამ, საქმე ის არის, რომ ამ შეიარაღებისათვის და ჯარისათვის, „აუარებელი ფული ამოდის ევროპის მკვიდრთა ჯიბისაგან... ვერაფერი მშვიდობიანობაა, თუკი კაცი იძულებულია ხელი ხმალზედ ევლოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავის-თავსა.“ ილიას მოჰყავს ფრანგი განმანათლებლის, ფილოსოფოსის, სამართლისმცოდნე და მწერლის მონტესკიეს (Moniesquieu) შარლ ლუი დე სეკონდა, ბარონი დე ლა ბრედი და დე

მ (1689–1755) სიტყვები: „სჯობია უბედურის ომის განსაცდელს მიეცეს კაცი, ვიდრე ფული გაიღოს მშვიდობიანობის დასაცავადო“ (1, ტ.9, გვ.50).

ო. ბისმარკის შესახებ, ილია წერს: ბისმარკმა იცის, რომ გერმანიის გარშემო მყოფი ყველა სახელმწიფო ელოდება მის განსაცდელს, რომ თავი დააღწიონ და „ჯავრი იყარონ“ მასზე და „ამიტომაც მთელი გერმანია ერთს უშველებელ კაზარმადა აქვს გადაქცეული“, და „სიმძიმე დღევანდელის დღისა ყველას ერთნაირად კისერზედ აწევს და ყველას ერთნაირად აკვნესებს. ეს სულ ბისმარკის ეგრეთწოდებულ „მილიტარობის“ ბრალია, და დიდხანს აიტანს ამას ევროპა თუ არა, ღმერთმა უწყის“ (1, ტ.9, გვ.100).

წერილიდან, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი გრძნობდა ევროპაში ომის მოახლოებას. ეს ჩანს მისი სიტყვებიდან, რომ მართალია დღევანდელ დღეს, ევროპის თვითეული სახელმწიფო გაჩუმებულია და თავისთავშია ჩაკეტილი, მაგრამ, ეს გავს თივაში ჩაფლულ ცეცხლსო. მისთვის ნათელი იყო, რომ გერმანია უომრად არ გაჩერდებოდა, ელოდებოდა დროს და გარემოების დადგომას, „რომ გერმანიისათვის გამარჯვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად...

ეს ამბავიც საკმარისია, რომ დღევანდელს მიყუჩებულს ყოფას ევროპისას კაცმა სანდო თვალით არ უყუროს“ (1, ტ.9, გვ.54).

ილია წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „მეცნიერებისა და მწერლების წარმომადგენელთ“, „შეგნებული აქვთ“, რომ „ომი და სისხლის ღვრა“, „კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპველია“, ევროპის სახელმწიფოები ომისათვის ემზადებიან და ამისათვის „არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ზოგავენ... ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს“ (1, ტ.9, გვ.55).

1882 წლის, იანვრის, „საპოლიტიკო მიმოხილვაში“, ო. ბისმარკის მოქმედების შესახებ ილია წერს, რომ იგი დაინტერესებულია აღმოსავლეთის ქვეყნებით.

„აღმოსავლეთის საქმეს კაცი რომ დააკვირდეს დღეს და ევროპის დღევანდელს პოლიტიკას კვალში ჩაუდგეს,“ ჩანს, რომ ვინმე უნდა „გაიჭყლიტოს შუაში“ და ეს რომელი აღმოჩნდება, „უნდა ეკითხოს ბატონს ბისმარკს, რომელსაც „რკინის კაცს“ ეძახიან“. გერმანია და მისი კანცლერი ო. ბისმარკი, ცდილობდა თავის გავლენას დაექვემდებარებია სამხრეთ-აღმოსავლეთის ევროპის ქვეყნები და თურქეთი. იგი ყოველგვარი ხერხებითა და საშუალებებით

ცდილობდა თურქეთი თავის მხარეზე გადმოებირებინა და ამვე დროს მას აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, ავსტრიის საშუალებით თურქეთს ართმევდა მის მიერ მიტაცებულ ევროპის მიწა-წყალს და ამით მას ასუსტებდა. ილიას თქმით:

„ეხლანდელის პოლიტიკის მავთულები ხელთ უპყრია ამ რკინის კაცსა. ბისმარკი სწორედ რაღაცას ცულლუტობს, რაღაცას ამზადებს და რიღაცისათვის ემზადება“ (1, ტ.9, გვ.65).

ო. ბისმარკი ცდილობდა და ცდილობს, რომ როგორმე მის მეზობლად მდებარე სახელმწიფოები: საფრანგეთი, იტალია და ინგლისი, დაესუსტებინა და ამისათვის სხვადასხვა ხერხს იყენებდა. საფრანგეთი და მისი მომხრე იტალია, ტუნისის გამო წაეკიდებინა. მან რომის პაპი თავის მხარეზე გადმოიბირა და ამით იტალიასა და საფრანგეთს შინაური საქმეები „აუქოთა“ და გაურთულა. ვინაიდან კათოლიკური სამღვდელოება ფეხზე წამოაყენა. თუმცა, კათოლიკურ სარწმუნეობას საფრანგეთის „რესპუბლიკამ კრიჭა ძალიან შეუკრა.“ ამავე დროს, შეეცადა ეგვიპტის გამო საფრანგეთი და ინგლისი, „რომელიც ყოველთვის ალმაცერად უყურებს ბისმარკის პოლიტიკას“, ერთმანეთს წაეკიდებინა.

„ესეთი ქსელია დღეს გაბმული ევროპაში ბისმარკის ოსტატობითა. – წერდა ილია, – სად არის ის წვრილი, რომელიც უნდა გაწყდეს, ადვილად მისახვედრია, თუმცა ბუნდად ნათქვამი კია ამ წერილში. ტყვია-წამლის სუნი ჰაერში ტრიალებს. ვინ იცის? იქნება ბევრი ხანიც არ გავიდეს და ჯეზიერმა დაიჭექოს კიდეც. ამ ამბების მაყურებელისათვის გასაკვირველი არა არის-რა“ (1, ტ.9, გვ.67).

„საპოლიტიკო მიმოხილვის“ მეორე წერილში, რომელიც ილიამ დაწერა იმავე წლის თებერვალში, იგი უფრო დარწმუნებითა და დაჯერებით საუბრობს ევროპაში ომის შესახებ.

„დღეს თუ ევროპაში ლაპარაკია რაზედმე, სალაპარაკო საგანთა შორის ომის (და დიდი ომისაც) მოლოდინს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. არ არის ევროპაში არც ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო – ომის ფიქრში არ იყოს და იმის ცდაში, თუ მხედრობა როგორ ისე მოაწყოს – კაცით, ტყვია-წამლით, თუ თოფ-იარაღით, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს. გერმანია, რომელმაც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბატონობა დაიჩემა ევროპის საქმეებში, დიდი ხანია შემდგარია – თავისი გამოჩენილი მხედრობა უფრო გააძლიეროს, და ეს საქმე უჩუმრად ისე მიჰყავს, რომ ძილს და მოსვენებას უფრთხობს მოსაზღვრეებსა“ (1, ტ.9, გვ.68).

ამავე წერილში ილია განიხილავს გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობას. მისი გადმოცემით, ამ ორ ქვეყნებს შორის მდგომარეობა გართულებული იყო და ეს ურთიერთობა უფრო გამწვავდა რუსი გენერლის მიხეილ სკობელევის (1843–1882) პარიზში, სერბიელი სტუდენტობის წინაშე, წარმოთქმული სიტყვის შემდეგ. ილიას მოჰყავს ამ სიტყვის შინაარსი:

„სკობელევმა პირდაპირ უთხრა სტუდენტებს, რომ რუსეთმა ვერ დაეხმარა სლავიანებს, რადგან მტერმა „ხელთ იგდო ბედი მთელის რუსეთისა“, და „ის მტერი ნემეციაო. დღეს იქნება, თუ ხვალე, რუსეთი დაეჯახება მაგ მტერსაო, ასტყდება ძლიერი ბრძოლა და სისხლი ღვრა, და იმედი მაქვს გამარჯვებული ჩვენ ვიქნებითო. „გახსოვდეთო, – უთხრა თურმე ბოლოს სკობელევმა, – ჩვენი, სლავიანების, მტერი, ნემეციაო. მშვიდობით იმ დრომდის, ვიდრე მე და თქვენ საომარს ველზედ ერთმანეთს შევხვდებით და ერთმანეთს ძმურად მხარში ამოვუდგებითო.“

ამისთანა გაკადნიერებულმა სიტყვამ და მუქარამ, – წერს ილია, – ძალიან გააწბილა გერმანია და ევროპაც შეაფუცხუნა“ (1, ტ.9, გვ.70).

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობამ გამოაცხად, რომ გენერალ სკობლევის „სიტყვებთან არავითარი კავშირი არა აქვს თითონ მთავრობასაო... ეხლა თვითეული სახელმწიფო ევროპაში იმის იდუმალ ცდაშია, რომ მომხრენი და მოზავენი იშოვოს და ომმა ისე არ მოასწროს, რომ განმარტოებული დარჩეს და უამხანაგოდ იძულებულ იქმნას საომრად გავიდეს... თუ ვინიცობაა ომი ატყდა“ (1, ტ.9, გვ.71).

გერმანიასა და რუსეთის ურთიერთობას, ასე ახასიათებს ილია:

ბისმარკი სიხარბითა და შიშით იყურებოდა რუსეთისაკენ. მას აშინებდა რუსეთის ძლიერება და ცდილობდა მის დასუსტებას. „ბალტიის ზღვის პირას იმოდენა ნემენცობაა, რომ საკმაოა სიხარბე ბისმარკისა გაახელოს. გარდა ამისა, ძლიერება რუსეთისა ბევრს უშლის ბისმარკსა. რუსეთი რომ არ ყოფილიყო, ბისმარკს ხელმეორედ უნდოდა დასჯახებოდა საფრანგეთსა, და რაც პირველში დააკლო, ის მეორედ შეესრულებინა, მაგრამ რუსეთმა თავი გამოიდო და ბისმარკი დასცხრა“ (1, ტ.9, გვ.102).

ილია გრძნობდა და იცოდა, რომ გერმანიის სამხედრო შეიარაღების გაძლიერება, ბოლოს და ბოლოს გამოიწვევდა ომს. მან წინასწარ განსჭვრიტა ამ ომის დროს ძალთა გადანაწილება და სწორად წარმოიდგინა და ახსნა, თუ რომელი სახელმწიფოები გამოვიდოდნენ გერმანიის მხარეზე და მისი მომხრეების პოლიტიკის წინააღმდეგ. იგი წერს:

„რუსეთისა და საფრანგეთის დაზავების შიში რომ არა ჰქონდეს ბისმარკს, ვინ იცის რას არ იქმოდა ევროპაში... ვიდრე საფრანგეთი და რუსეთი ასე ძლიერნი არიან – არც შეიძლება ჯარის შეცოტავება, ამიტომაც გერმანიისათვის აუცილებელი საჭიროებაა ერთისაც და მეორის დასუსტებაც. თვითო მათგანს ცალ-ცალკე კიდევ გაუბედავს რასმე ბისმარკი, ორივეს ერთად-კი ძნელად თუ გაემკლავოს“ (1, ტ.9,გვ.102).

ილია წერს, რომ რუსეთი და საფრანგეთი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ადრე, რუსეთის მთავრობა საყვედურს გამოთქვამდა საფრანგეთის მიმართ, რომ იგი იფარავდა ემიგრანტებს. როგორც მაგალითად, ცნობილ რევოლუციონერს ვერა ზასულიჩს (1849–1919) და ფილოსოფოსს, პუბლიცისტს, სოციოლოგსა და რევოლუციონერ ნაროდნიკობის იდეოლოგს პეტრე ლავროვს (1823–1900). მაგრამ, ეხლა, გერმანიის შიშით, რუსეთი და საფრანგეთი, იძულებულნი არიან, ერთმანეთს დაუახლოვდნენ. საფრანგეთს უნდა, რომ რუსეთის გული მოიგოს და ამიტომ ყველა ემიგრანტი გამოყარა საფრანგეთიდანო.

საფრანგეთი, ბისმარკის შიშით, ცდილობს, რომ დაუახლოვდესო ინგლისსა და იტალიასაც. ადრე, თუ კი იგი იფარავდა ირლანდიის რესპუბლიკის მომხრეებს, რომლებიც ინგლისის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი, ამჯერად, მათ საფრანგეთი დაატოვებინეს. ილიას თქმით, საფრანგეთმა, რომ იტალია მოიმადლიეროს, ამიტომ მან იტალიისათვის „უსიამოვნო კაცი“ მოაშორა ტუნისიდან. „ამის გარდა, ამბობენ, საფრანგეთმა რვა იტალიის გაზეთი იყიდაო, რომ მათის შემწეობით იმოქმედოს იტალიის ერზედ თავის სასარგებლოდ და გერმანიის წინაარმდეგ.“

ასე, რომ ილიას აზრით, გერმანიის მიერ წამოწყებულ ომში, ევროპის ძალთა გადანაწილება შემდეგნაირად მოხდებოდა:

„ამ სახით, თუ უეცარი მიზეზი რამ არ ჩამოერია ევროპის საპოლიტიკო საქმეში, ევროპა ორ დიდ ბანაკად შესაძლოა გაიყოს. ერთის მხრით გერმანია, ავსტრო-ვენგრია და ოსმალეთი, მეორეს მხრით – რუსეთი, საფრანგეთი და იტალია. საფრანგეთი და იტალია იმისთვის კი არ ჩაერევიან საქმეში, რომ რუსეთს უშველონ, არამედ იმისათვის, რომ პირველმა გერმანიას ჩამოართვას ელზას-ლოტარინგია, და მეორემ ავსტრიას იტალიის საკუთნო ადგილები. ერთიცა და მეორეც ჩამოეცლება რუსეთს, რომ ეს გულისწადილი როგორმე სხვა გზით აუსრულდეთ“ (1, ტ.9, გვ.74).

როგორც ცნობილია, ილიას ეს წინასწარმეტყველება გამართლდა და გერმანიის მიერ (1914–1918) წლებში წამოწყებულ ომში, რომელიც პირველი

მსოფლიო ომად არის ცნობილი, სწორედ ძირითადათ სახელმწიფოები ისე დაჯგუფდნენ, როგორც ილიას ჰქონდა წარმოდგენილი.

ილიას არა ერთ წერილში ჰყავს დახასიათებული, გერმანია და მისი კანცლერი ოტო ბისმარკი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოტო ბისმარკმა შესძლო გერმანიის გაერთიანება და სწორედ მან დასვა გერმანიის იმპერატორად ვილჰელმი. სინამდვილეში, გერმანიის იმპერიის მმართველი იყო ოტო ბისმარკი. მის დროს გერმანია ევროპაში უძლიერესი სახელმწიფო გახდა.

„ბისმარკმა, – წერს ილია, – ისე შეჰბოჭა და შეჰკრა ევროპის საქმეები, რომ უიმისოდ თითქმის არც ერთი საქმე არ ასტყდება ხოლმე და არც ერთი საქმე არ გათავდება.

ძვირად უზის ევროპასა ბისმარკის, ანუ უკეთ ვსთქვათ, გერმანიის ასეთი ყოფა. გერმანიამ ასე მოაწყო თავისი საქმე, რომ, როგორც ამბობენ, ორ კვირაზედ თუნდა ერთ მილიონ ჯარს გამოიყვანსო... ამის გამო, ყველანი, რომელნიც კი ჰმეზობლობენ გერმანიას, ჰცდილობენ, რომ ყოველთვის მზად იყვნენ დასახვედრად, რადგანაც იციან, ბისმარკს ყოველთვის მადა აქვს უპატრონოდ დაგდებულს ლუკმას დაეპატრონოსო. ესეც იციან, რომ ბისმარკი მეტად მოხერხებული კაცია; საქმეს ისე მოიყვანს ხოლმე, რომ როცა ერთის მტრის, თუ მოპირდაპირის, გათახსირება უნდა, მეორე მტერს, თუ მოპირდაპირეს, გაიმეგობრებს ხოლმე, და პირველს რომ ანდერძს აუგებს, ეხლა გამეგობრებულს დაეჯახება და ტყავს აძრობს“ (1, ტ.9, გვ.98).

ილია ოტო ბისმარკს ახასიათებს, როგორც ჭკვიანს, შორსმხედველ და გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეს. მისივე გადმოცემით, მას აქეთ, რაც გერმანიამ წაართვა საფრანგეთს ელზას-ლოტარინგია, საფრანგეთი ცდილობს ამ მიწა-წყლის დაბრუნებას და ელოდება იმ დროსა და დღეს, რომ ხელახლა გერმანიას გაუმკვლავდეს და სამაგიერო გადაუხადოს.

„ბისმარკმა ეს ძალიან კარგად იცის. ისიც იცის, რომ ეს დღე გერმანიისათვის აუცილებელია, როცა იქნება მოვა. იგი, როგორც ჭკვიანი და შორსმხედველი კაცი, იმას კი არ ჰსცდილობს – აუცილებელი აიცილოს, არამედ იმას, რომ იმ დღემ ან მარტოდმარტო შეახვედროს საფრანგეთს, ან მაშინ, როცა საფრანგეთს სხვა მტერიც აუჩნდება“ (1, ტ.9, გვ.76).

ილიას თქმით, ბისმარკის, მისი „რკინისა და სისხლის“ პოლიტიკის გამო, მთელი ევროპა, „ერთს დიდს სამხედრო ბანაკად“ აქცია და „დღეს მთელის ქვეყნის ბედსა თითქმის მარტო ევროპა განაგებს და ატრიალებს.“ ხოლო ევროპაში კი, ბისმარკის შემწეობით, უპირატესობა გერმანიას ეკუთვნის. „ბისმარკს

ჯერ კიდევ ბევრი რამ საფიქრებელი აქვს, რომ ის დიდებული შენობა გერმანიისა, რომელიც ამოდენა სიმაღლემდე უკვე ამოიყვანა, არ დაირღვას და თავზედ არ წამოენგრეს“ (1, ტ.9, გვ.101).

„ბისმარკს გაჩერება აღარ შეუძლიან. გერმანიას საზღვრების შესწორება ეჭირვება კიდევ.“ რადგან, ჩრდილოეთ-დასავლეთით იგი ებჯინება „ერთ პატარა ქვეყანას“, „რაღაც ნიდერლანდიას“ და „არ შეიძლება, რომ ეს ქვეყანა ერთს დროს გერმანიამ არ გადალახოს და ზღვისაკენ აქედანაც გზა არ გაიხსნას“. ავსტრიაში და რუსეთის ბალტიის ზღვის პირას „ბევრი ნემენცობა“ შერჩა და რასაკვირველია „ამ ნემენცების მიჯნის შიგნით შემოგდება არ უნდა ეუცხოებოდეს იმისთანა კაცს, როგორც ბისმარკია“ (1, ტ.9, გვ.102).

როგორც ცნობილია, ო. ბისმარკმა საკოლონიო პოლიტიკას მიჰყო ხელი და ამას ილია შემდეგი გარემოებით ხსნის:

„ეკონომიური განუწყობელობა გერმანიაში, ადგილ-მამულის ვიწროობა, რომელიც ვეღარ იტევს მკვიდრთა სიმრავლეს, საყოველთაო სამხედრო ბეგარა, მძიმე გადასახადები,– ბევრს ნემენცს ერეკება თავის სამშობლოდამ... ჯერ ხომ ხალხი ეკარგება ამ სახით გერმანიას, და მერე თან რასაც ფულს და სხვა სიმდიდრეს გაიყოლებენ, ესეც ხომ დანაკლისია გერმანიისათვის. ამ გარემოებამ აიძულა ბისმარკი, სხვაგან, ევროპის გარეთ, დაიჭიროს ადამიანის ცხოვრებისათვის შესაფერი ქვეყნები და მეტი ხალხი გერმანიისა იქ დაასახლოს, ბინა აუჩინოს. და ამ სახით ისევ გერმანიის მფლობელობის ქვეშ ამყოფოს. საკოლონიო პოლიტიკა, რომელსაც ბისმარკმა ამ ბოლოს ხანებში ასე ხალისიანად ხელი მიჰყო, უფრო ამ გარემოებისაგან არის წარმომდგარი, ვიდრე ვაჭრობის მოედნის გაფართოებისათვის.“ ილია წერს, რომ ბისმარკის ამ კოლონიურმა პოლიტიკამ ინგლისის უკმაყოფილება გამოიწვია და ერთ დროს „კიდეც შეატაკა ინგლისი და გერმანია ერთმანეთს, მაგრამ საქმემ მშვიდობით ჩაიარა“ (1, ტ.9, გვ. 103).

ილია მოკლედ განიხილავს ო. ბისმარკის დროს, გერმანიის შინაურ საქმეებს. „შინაური საქმეები გერმანიას მეტად ბევრი აქვს. ბისმარკი, როგორც გარეთ, ისეც შიგნით, მეტად დაუცხრომელი და დაუღალავია“ (1, ტ.9, გვ.104).

ილია წერს, რომ გერმანიის პარლამენტში ერთი „ყოფაა“ ატეხილი ერთის მხრივ „ბისმარკსა და მის დამქაშებსა“ და მეორეს მხრივ „გერმანიის ერის გულშემატკივართა“ შორის. ბისმარკის, ანუ სახელმწიფოს გამგებლები, იძახიან, „რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო.“ ხოლო, „ერის მოყვარენი-კი“ იძახიან, რომ „პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო.“ ილიას გამოაქვს დასკვნა, რომ „მთელი

პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი“ (1, ტ.9, გვ.51).

ილიას აზრით, ო. ბისმარკი ემხრობა მოძღვრებას, „ჯერ პოლიტიკა და მერე ერიო“ და ამის გამო არის, რომ განწირული ერი, „ზოგან ჰტოკავს“ და „ზოგან შფოთავს“-ო.

ბისმარკმა მართალია შესძლო გერმანიის გაერთიანება, მაგრამ მისი ჩრდილოეთი მხარე, პრუსია, გერმანიის საქმეს მარტო განაგებს და „მისი ბატონობა და მძლავრობა ბევრს უმძიმს... განსაკუთრებით ბავარიასა და ჰანოვერში, ჯერ-აქამომდე არა აქვთ დავიწყებული, რომ ერთ დროს თვითმყოფელნი სახელ–მწიფონი ყოფილან“ და ვერ ეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვასო; და მათი წარმომადგენლები პარლამენტში, „დასი პარტიკულარისტებისა, ერთ ჯგუფად მომქმედნი, თავს გამოიდებენ და გულდაგულ იბრძვიან“, „რომ როგორმე შეაკვეცონ მეტად ფართოდ გადაშლილი ფრთები“ პრუსიას.

მართალია, გერმანიამ საფრანგეთს წაართვა ელზას-ლოტარინგია, მაგრამ მისი ჯერჯერობით მტკიცედ შემოიერთება ვერ შეძლო და იგი „კარია მტრის შემოსევისა საფრანგეთის მხრით“.

გარდა ამისა, ბისმარკს ეწინააღმდეგება „ეგრეთწოდებული „კრელიკალთა“ დასი, – რომელსაც ბისმარკი ხან ტყავს აძრობს და ხან დაუყვავებს ხოლმე.“ ეს არის კათოლიკური დასი, რომელიც ებრძვის „პროტესტანტულ პრუსიის ჰეგემონიას გერმანიაში“. ბისმარკმა გამოსცა „მაისის კანონები“, რომლის საშუალებითაც „პირდაპირ ომი გამოუცხადა ამ დასს, რადგანაც მით ყოველი ძალი და უფლება ჩამოართვა კლერიკალობას.“ წარმოიშვა ამ დასსა და ბისმარკს შორის ბრძოლა, რომელიც „კულტურულ ბრძოლად“ არის ცნობილი.

გერმანიაში წარმოიშვა კიდევ ერთი „მეტად ფხიანი“, „თავისუფალ მოაზრეთა“ დასი. რომელსაც ხელმძღვანელეობდა ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე რუდოლფ ვირხოვი (Virchow) (1821–1902) იგი ეწინააღმდეგებოდა ო. ბისმარკს. განსაკუთრებით მის იმ პოლიტიკას, „რომელიც-კი „რკინისა და სისხლის“ სუნს აუშვებს ხოლმე.“ და იმ შინაურ პოლიტიკას, „რომელიც „სახელმწიფო სოციალიზმად“ დღეს წოდებულია“ (1, ტ.9, გვ.106).

ილია ჭავჭავაძე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, გერმანიაში ჩამოყალიბებულ, „ეგრეთწოდებულ მეოთხე წოდების“, „გამჭრიახსა და მხნეობით აღჭურვილ“, „სახელმწიფო სოციალიზმად“ წოდებულ დასს, „რომელიც დღედადღე ძლიერდება“ და „მუშათა საკეთილდღეოდ იბრძვის“.

ილიას გადმოცემით, სწორედ ეს ორი წოდება წარმოადგენდა გერმანიაში მთავარ ძალას. ამ ორ წოდებაზე იყო დამოკიდებული გერმანიის შინაური ამბები „და ეგ შინაური ამბები მით უფრო მწვავნი და საფრთხილონი არიან, რომ ეკონომიურ განწყობილების საძირკველს ეხებიან“ (1, ტ.9, გვ.106).

ილია ასე ახასიათებს ამ ორ დასსა და მათდამი ბისმარკის დამოკიდებულებას:

„ბისმარკი არაფერს არ ერიდება, რომ სოციალობას გერმანიაში აბრუ გაუტეხოს. ვერც მოძღვრება სოციალობისა შეუწყნარებია და ვერც უარ-უყვია. ვერ შეუწყნარებია იმიტომ, რომ დღევანდელს დღეს დაჰპატრონებია მარტო შემძლებელი, სულ თავისკენ მოუთლია, ზედ დასჯდომია და მაგრად ჩაუჭიდნია ხელი. წყობა დღევანდელის დღისა, წარმომდგარი 1848 წლის რევოლუციისაგან, ეგრეთწოდებული „ბურჟუათა“ წყობაა. ეს მესამე წოდებად ცნობილი ნაწილი ერისა, რომელიც დღეს განაგებს თითქმის ყველგან შინაურ, თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას, მოძრავის თავნისა და შეძლების პატრონების ნაწილია.

საცა კი მიიხედავთ, ყველგან ეგენი არიან: ქვეყნის გამგებლობას იკითხავთ — ეგენი არიან, კანონმდებლობას, მრეწველობას, ვაჭრობას, — სულ ყველგან ეგენი არიან ობსავით მოკიდებულნი, და რაც საიდან გამორჩომაა — არავითარს შემთხვევას არ ჰკარგავენ, რომ არ გამორჩნენ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ბევრნი გულნაკლულად რჩებიან. აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა და დღევანდელს სატკივარსაც გერმანიისას.

ამ სახით, აშკარაა, ბისმარკს რატომ ვერ შეუწყნარებია მოძღვრება ამ მეოთხის წოდებისა და ან უარ ვერ უყვია. ერთის მხრით შეძლებაა და ფული, მეორეს მხრით მარჯვენა და ჯანი. ორგანვე ძალაა და წყლული ორგნითვე სტკივა“ (1, ტ.9, გვ.107).

ილიას გადმოცემით, როგორც ჩანს, ო. ბისმარკის წინაშე იდგა მტკივნეული, მესამე და მეოთხე წოდებათა საკითხი. ამ დაძაბული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ბევრი ფიქრის შემდეგ, ბისმარკმა „მოიგონა ეგრეთწოდებული „სახელმწიფო სოციალიზმი“ რომლის შემწეობითაც, „ორი კურდღლისა კი არა, სამისა ერთად დაჭერა მოინდომა“. მან მსხვილი საწარმოები ბურჟუაზიას ჩამოაშორა და რკინისგზებიც სახელმწიფოს დაუმორჩილა. „შემოიღო თამბაქოსა“ და „არყის მონოპოლიაც“. ამით ბისმარკმა ბურჟუაზიის ძლიერება შეარყია. ამიერიდან სახელმწიფო თვითონ დაასაქმებდა მუშებს, და ისინი „სახელმწიფო-

საგან დავალებულნი, ძალაუნებურად სახელმწიფოს დაემორჩილებიან, მიემხრობიან.“ „და მესამეს მხრით – რაც გამორჩომა იქნება, სახელმწიფოს ერგება“ (1, ტ.9, გვ.108).

ი. ჭავჭავაძემ მეოთხე წოდების მუშათა საკითხს, მიუძღვნა წერილი, „მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმე ევროპაში“. სადაც წერს, რომ:

„დღეს ევროპაში სამი უმთავრესი სახელმწიფოა, – გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც დროთა ვითარებამ თითქმის ერთნაირი შინაური საქმეები აუჩინა გადასაწყვეტად... ეს ერთი და იგივე საქმე, ამ სამს სხვადასხვანაირ სახელმწიფოში ერთსა და იმავე გადაწყვეტილებას ვერ მოელოდინება. ხოლო თითონ გადაწყვეტილება ისე საინტერესო არ არის, როგორც ის საფუძველი, სისტემა, რომელსაც ამ შემთხვევაში თვითოეული მათგანი დაადგება. საქმე იმისთანა თვისებისაა, რომ უსათუოდ თეორია პრაქტიკით უნდა განახორციელონ, განყენებული აზრი ცხოვრებაში გადმოიტანონ და საფუძვლად დაუდონ. ეს საქმე – მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმეა. საფრანგეთში დეკაზვილის არეულობამ წამოაყენა ეს საქმე, ინგლისში – მუშათა აღრევამ დიდ ქალაქებში, და გერმანიაში – სოციალ-დემოკრატების გაძლიერებამ პარლამენტში“ (1, ტ.9, გვ.187).

ილია ო. ბისმარკის შესახებ წერს, რომ ბისმარკის მიერ წამოყენებულ „სახელმწიფო სოციალიზმის“ თეორიას, „მარცხი მოუვიდა ამაებში, როგორც ამ უკანასკნელ დროს გვაუწყებენ გაზეთები არაყისა და სპირტის მონოპოლიის თაობაზედ“ (1, ტ.9, გვ.189).

მწერლის თქმით, ო. ბისმარკმა „ერთი საოცარი ამბავი მოახდინა ამ ბოლოს დროს. ეს ამბავი პოლიაკთა განდევნაა პრუსიის საზღვრებიდამ; 100 მილიონი ფული გამოითხოვა, რომ არამცთუ დროებით მოსულნი პოლიაკები განდევნოს, არამედ პრუსიისავე ქვეშევრდომნი და მკვიდრნი მოსახლენი პოზნანისა აჰყაროს, მათგან მამულები ძალაუნებურად შეისყიდოს და ნემენცებს დაურიგოს“ (1, ტ.9, გვ.109).

ო. ბისმარკის მიერ პოლონელების განდევნას გერმანიიდან, დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო მთელს ევროპაში, არამედ თვითონ გერმანიაშიც. წერილში, „პოლიაკების განდევნა პრუსიიდამ“, ილია მოგვითხრობს, რომ გერმანიის პარლამენტში გაიმართა ამ საკითხის გამო, მღელვარე და მწვავე კამათი. „მთელი განათლებული“ გერმანელები, შეძრწუნებული იყო ბისმარკის ამ გადაწყვეტილებით. „ამისთანა გაფიცხებული, ფხიანი და რიხიანი პარლამენტი

გერმანიას დიდი ხანია არ უნახავს.“ პარლამენტის ამ ყრილობამ, „ღრმა ხნული და კვალი დაამჩნია“ გერმანიის ისტორიაში.

ილია წერს, რომ პარლამენტის სხდომის დაწყებისას, „ყველა წინათვე დარწმუნებული იყო, რომ ეხლანდელი პარლამენტი დიდს რიხსა და ფხას გამოიჩენს და ყოველთვის ძლევამოსილი „რკინის კანცლერი“ ბისმარკი და ერის წარმომადგენელნი ერთმანეთს თავგამეტებით გაემკლავებიან.

მიზეზი ამისთანა მოლოდინისა და იმედებისა არის ერთი შინაური საქმე გერმანიისა, რომელიც უშიშარმა და თამამმა ბისმარკმა კისრად იდვა, აღსრულებაში მოიყვანა და ამით შეაძრწუნა მთელი განათლებული გერმანია. ეს საქმე არის პოლიაკთა განდევნა პრუსიიდან“ (1, ტ.9, გვ.239).

ილია ყოველთვის დაჩაგრულ ერს თანაუგრძნობდა და ამ წერილშიც, განსაკუთრებული გულშემატკივრობით გადმოგვცემს დეპუტატების მიერ, პარლამენტში წარმოთქმულ მოხსენებებს, რომლებიც იცავდნენ „პოლიაკებს“. ავტორს მოჰყავს გერმანიის დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის მოღვაწის ვილჰელმ ლიბკნეხტის (Liebknecht) (1826–1900) მიერ „საოცარის მჭერმეტყველობით“ წარმოთქმული სიტყვები, სადაც იგი ერთ ადგილას ამბობს:

„განა სახელმწიფო ბისმარკის მოწყალებით არსებობსო? არა, მისი ძალღონე თითონ ერია. სახელმწიფო ბისმარკზედ უფრო ძლიერიაო. უცხოთა ქვეშევრდომთა განდევნას ჩვენ სულ სხვა თვალით ვუყურებთ. ჩვენი თვალი – თვალია კულტურისა, კაცთმოყვარებისა და უფრო უზენაესის პოლიტიკისა. ამბობენ, პოლიაკთა განდევნა საჭიროა, რომ ჩვენი ეროვნება თავის სიწმინდით დაცულ იქნასო. რაო? ცივილიზაციის სახელით ერთა შორის ღობეები უნდა გამართონ! ეგ ბარბაროსობაა. ჩვენი ეროვნებური აღმატებულება, ჩვენი განათლება, ჩვენი კულტურა ვერ შეიწყნარებს მაგ უჯერო და უსამართლო ქცევასაო“ (1, ტ.9, გვ.240).

საბოლოოდ, გერმანიის პარლამენტმა დაგმო ბისმარკის ეს გადაწყვეტილება. ილიას თქმით, „არამცთუ გერმანიამ, თითონ მთელმა ევროპამაც წუნი დასდო ამისთანა შინაურ პოლიტიკას „რკინის კამცლერისას“. ყველა დღესაც განცვიფრებულია, – ამისთანა ჭკვიანმა სახელმწიფო კაცმა, როგორიც ბისმარკია, ესეთი ცხადი შეცდომა როგორ ჩაიდინაო. მაგრამ ყველამ ესეც იცის, რომ ბისმარკი, ეგრეთი ძლიერი და ღრმად გამსჭვრეტელი გარეშე საქმეებისა, შინაურ საქმეებში მეტად სუსტია და ხშირადაც თითქო ბრმა არისო. ესეა თუ ისე, დღეს ეს განდევნის საქმე კლდეა, რომელსაც ასე თუ ისე დაეჯახა ბედნიერი ხომალდი

აქამომდე ძლევამოსილის ბისმარკისა. კლდე შეიმუსრება, თუ ხომალდი, დრო გამოაჩენს“ (1, ტ.9, გვ.244).

ილია გადმოგვცემს, რომ ო. ბისმარკის დროს, გერმანია ჩინეთსაც მისწვდა. მას „უნდოდა გასამრჯელო რამ დაეცინცლა დამარცხებულ ჩინეთისათვის და დაცინცლა კიდეც ზოგიერთი ადგილი – სადგურად დიდ ოკეანეში მოარულ გერმანიის ხომალდებისათვის“ (1, ტ.9, გვ.163).

მიუხედავად ჩინეთში ინგლისის წინააღმდეგობისა, ინგლისს „ყველა მეცადინეობამ უქმად ჩაუარა და ზღვიდამ ჩინეთში შესავალი კარი გაიღო გერმანიამ, ნავსადგური კიაო-ჩოუ დაიჭირა და თავისი ხომალდები დააბინავა“ (1, ტ.9, გვ.170).

ილიას თქმით, გერმანია აფრიკასაც მისწვდა და „აფრიკა თითქმის სრულიად გაინაწილეს. ინგლისმა დაიჭირა აქ დიდი ადგილი და ჩრდილოეთიდამ სამხრეთამდე ჰლამის ხელთ იგდოს ეს ქვეყანა, საფრანგეთი იჭერს აღმოსავლეთიდამ თითქმის დასავლეთამდე, გერმანიამაც წილი დაიდო, იტალიამაც... ქსელი ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებისა აქ, აფრიკაში, გაიბა დღეს და, არავინ იცის, დაპირისპირება და შეჯახება ამ ინტერესებისა რას მოავლენს მერმისს“ (1, ტ.9, გვ.175).

როგორც წერილებიდან კარგად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე შესანიშნავად ერკვეოდა და ხვდებოდა გერმანიისა და მისი კანცლერის ოტო ბისმარკის, როგორც საშინაო, ასევე მის საგარეო, დამპყრობილურ პოლიტიკას და მისწრაფებებს.

ილია ჭავჭავაძემ არა ერთ წერილში განიხილა და აღწერა **საფრანგეთის**, როგორც საშინაო ასევე საგარეო მდგომარეობა. იგი წერს, რომ საფრანგეთი 1870 წლამდე ევროპაში წარმოადგენდა ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოს და ის „სათავეში ედგა ყველაფერს ევროპაში და რომლის სიტყვასაც ყველა მოწიწებით და რიდით ისმენდა“ (1, ტ.9, გვ.75).

მაგრამ, 1870 წელს, ოტო ბისმარკის პოლიტიკამ და პრუსიისა და გერმანიის სამხედრო მოღვაწემ და მთავარსარდალმა, გრაფმა, ჰელმუთ მოლტკემ (უფროსი) (Moltke) (1800–1891) შეძლეს საფრანგეთის დამარცხება და ელზასის ორი დეპარტამენტი – ქვემო და ზემო რაინი, ელზას-ლორენი, გერმანიის შემადგენლობაში შევიდა. შეიქმნა ელზას-ლოთარინგიის „საიმპერიო მიწა“ და უშუალოდ რაიხსკანცლერს დაექვემდებარა. რამაც, გერმანიასა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა გაამწვავა (დღევანდელ დღეს, ეს მიწა-წყალი

ისევ საფრანგეთის შემადგენლობაშია. ა. ფ.) ილია წერილში, „ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები“, აღნიშნავს, რომ:

„საფრანგეთმა ვერც იმისთანა მომხრეები იშოვა, რომ მათის იმედით გამკლავებოდა გერმანიას და ჯავრი ამოეყარა, და ვერც მარტოკამ იგრძნო თავი ესოდენ ღონიერად, რომ სამაგიეროდ გადახდის სურვილი მოეკლა“ (1, ტ.9, გვ.173).

წერილში, „ევროპა 1886 წელს“, ილია წერს, რომ ამ მიწა-წყლის დაკარგვის შემდეგ, „საფრანგეთი დიდის გულისტკივილით გაიყურება რეინისაკენ და გერმანიისაგან წართმეულს ელზას-ლოტარინგიას გასტირის. ჯერ ეს ზარალი ნივთიერი და მერე თავმოწონებული სითამამე საფრანგეთის ერისა, შეგინებული, დამარცხებული და დამცირებული ქვეყნის წინაშე სიამაყე ამაყის საფრანგეთისა, — ორივ ერთად წყლულსავით ჩასდგომია გულში საფრანგეთს და მოსვენებას არ აძლევს. არ არის არც ერთი კაცი საფრანგეთში, რომ არ ნატრულობდეს ხელახლად გამკლავებას, ხელახლად შეჭიდებას. მაგრამ საფრანგეთმა კარგად იცის, რომ დრონი მეფობენ. უმთავრესი ტკივილი ეს არის საგარეო საქმეებში, ყველასაგან ცნობილი, ყველასაგან აღიარებული“ (1, ტ.9, გვ.75).

წერილში, „ომის საფრთხის წინ“, ისევ უბრუნდება იგი ელზას-ლოთარინგიის საკითხს და წერს:

„საფრანგეთი დღეს-აქამომდე გასტირის მშვენიერს ელზას-ლოტარინგიას, რომელიც წაართვა მას გამარჯვებულმა მტერმა. თითონ ელზას-ლოტარინგიაც შემოჰბღავის და შემოსტირის თავის ადრინდელს მამულს — საფრანგეთსა, რომელსაც იგი ძალმომრეობით მოაშორეს და რომლისათვისაც ელზას-ლოტარინგიას ბევრი ჭირი და ლხინი გაუზიარებია და თავისი უკეთესნი შვილნი შეუწირავს საფრანგეთის დიდებულ დღეებისათვის. არა ერთი და ორი ბრწყინვალე ფურცელია საფრანგეთის ისტორიისა შემკული და შარავანდედით მოსილი ელზას-ლოტარინგიის შვილთა სახელითა, ღვაწლითა და თავგანწირულობითა. ამიტომაც მას აქეთ, რაც საფრანგეთი დამარცხდა პრუსიისაგან, არ არის ერთი ფრანსიელიც, რომ სამაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას არა ჰფიქრობდეს“ (1, ტ.9, გვ.217).

ილია ამბობს, რომ საფრანგეთს, ჯერჯერობით ძალა არ შესწევს, რომ სამაგიერო გადაუხადოს გერმანიას და ამიტომ, დაელოდება დროს. მანამდე კი, საფრანგეთმა დაიწყო, როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო, ჯარის შეგროვება და შეიარაღება. საფრანგეთის მთავრობას ხელთა ჰყავს გამოსაწვევად გამზადებული და კარგად გაწვრთნილი, „მთელი მეხუთედი ნაწილი მამაკაცთა და

მეათედი მთელის საფრანგეთის მკვიდრთა“ და მას ამის შენახვა უჯდება „მე-ექვსედი ნაწილი მთელის სახელმწიფოს შემოსავლისა“ (1, ტ.9, გვ.220).

იქვე, ილია წერს, რომ საფრანგეთის ასეთ შეიარაღებასა და მასზე დახარჯულ ხარჯს, რომ ხედავს გერმანია, და „რომ ამოდენა სიმძიმეს იტანს,“ „უდრტვინელად და უსაყვედუროდ“, „აფრთხობს და მოსვენებას არ აძლევს საფრანგეთი თავის მეზობელს გერმანიას, რომელმაც კარგად იცის, ვისთვის არის ყოველი ეს სამზადისი“ (1, ტ.9, გვ.221).

ილიას აზრით, საფრანგეთის საშინაო საქმეები მოუგვარებელია. ვინაიდან ბონაპარტელები, ორლეანელნი და სხვა მონარქისტები, რომლებიც „ერთმანეთს შესაჭმელადაც არ დაინდობენ“, ყველანი იბრძვიან რესპუბლიკის წინააღმდეგ, მის დასამხობად. ამიტომაც რესპუბლიკელებმა „პალატას სთხოვეს კიდეც, გააძევეთ საფრანგეთიდან ყველანი, ვინც კი სამეფო გვარეულობას ეკუთვნიანო. თუმცა ამისათვის ამორჩეულმა კომისიამ პალატისამ არ შეიწყნარა ეს თხოვნა, მაგრამ მარტო ეს ამბავი საკმაო საბუთია ვიგულისხმოთ, რომ შიში მონარქიელებისა ასე თუ ისე არსებობს საფრანგეთში“ (1, ტ.9, გვ.77).

მაგრამ, ყველაზე უფრო საფრანგეთში, „მწვავე ტკივილს შეადგენს“ მუშათა საქმე, – წერს ილია, – „აუარებელი უსახლ-კარო, უბინაო ხელცარიელი მუშა“, „ბევრს ავს მოასწავებს საფრანგეთისათვის“. „საზოგადოდ, მუშათა საქმე ყველა სახელმწიფოს ტკივილია ევროპაში. – აღნიშნავდა ილია და განაგრძობს – ესეთი შინაური ამბები ნებას არ აძლევენ საფრანგეთის გამგებელთა მთელის სულით და გულით საგარეო საქმეებს მიეცნენ და ღონე ამ საქმისათვის სრულად მოიკრიბონ“ (1, ტ.9, გვ.77).

საფრანგეთში მუშათა საკითხი გამწვავდა მას შემდეგ, როდესაც დეკაზვილის-ქვანახშირის საბადოების მუშები გაიფიცნენ და მოითხოვეს სამუშაო დღის შემცირება და ხელფასის მომატება. მუშათა დასის წარმომადგენლებმა პარლამენტში წამოაყენეს მუშათა საკითხები განსახილველად. ილია გადმოგვცემს, რომ:

„მუშების მოსარჩლე დასი, როგორც მთელს საფრანგეთსა, ისეც თითონ პარლამენტში – რიხიანი, ფხიანი და კარგა მოზდილი დასია. იმოდენად აქვს ამ დასს ყოველივე ეს თვისება, რომ შეუძლებელია ეხლანდელი სამინისტრო და პარლამენტი თავის მოძღვრებისაკენ არ გადმოხაროს. ამ სახით, საფრანგეთი მუშათა საქმეს საფუძვლად ამათს მოძღვრებას დაუდებს, ცოტად თუ ბევრად. ეს, ჩვენის ფიქრით, უეჭველია“ (1, ტ.9, გვ.188).

წერილში, „პრეზიდენტისა და მთავრობის შეცვლა საფრანგეთში და მისი საზოგადოებრივი მიზეზები“, ილია წერს, რომ ყველა სახელმწიფოში დადგება ისეთი დრო, როდესაც გარემოება აიძულებს სახელმწიფოს გააკეთოს პოლიტიკურ ეკონომიური ცვლილებები და „დღეს თითქმის მთელს ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში სწორედ ეკონომიურ წესწყობილების ცვლილებათა საჭიროების ხანაა“ (1, ტ.9, გვ.223).

ილია ახასიათებს ამ ცვლილებების გამომწვევ მიზეზებს და საფრანგეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობას.

„უნუგეშოდ დარჩენილი მშრომელი და გამრჯელი ხალხი გულმოდგინე მომხრეა რესპუბლიკისა, მაგრამ ამასთან გულნატკენიცა, რომ ამ რესპუბლიკამ არ გაუმართლა იმედები. ამათის ფიქრით, პირველი და უაღრესი საგანი რესპუბლიკის მმართველობისა უნდა ყოფილიყო კეთილდღეობა ერისა, უნდა მშრომელისათვის საშრომი გაეჩინა და ამით მუშაკაცისათვის სახსარი მიეცა – ჯეროვანი გასამრჯელო მიეღო, რომ ადამიანურად ეცხოვრა; თითონ რესპუბლიკას უნდა გაეჩინა ფაბრიკები და ქარხნები ან სხვა რაიმე საქმე, რომ მოჭარბებულ რიცხვს მუშაკაცისას სამუშაო ჰქონოდა, კარგად მოეწყო იქ მუშაკაცის ბედი, რომ სხვებისათვის მაგალითი ყოფილიყო; უნდა სამუშაო დღე შეემოკლებინა და გაეჩინა რაზედ ნაკლებ არ უნდა მისცემოდა ფასი მუშაობისა, მოხუცნი, დაშავებულნი, საპყარნი, ქვრივ-ობოლნი შეევრდომა, და მეშაკაცის მოზარდის თაობისათვის კარი გაეხსნა სწავლისა, გონების გახსნისა და რაიმე ხელობის ცოდნისა“ (1, ტ.9, გვ.224).

ილია გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თუ საფრანგეთის მთავრობამ და პრეზიდენტმა არ განახორციელა ეკონომიური ცვლილებები და „გამწვავებული ტკივილი საფრანგეთისა არ განჰკურნა“, „მისი ბედი და ხანგრძლივობა ყოველთვის ბეწვზე ეკიდება. ესეც-კი საფიქრებელია, რომ ვაითუ ძაფი მოთმინებისა გაუწყდეს თითონ ერსა და ერთი ასეთი ალიაქოთი ასტეხოს, რომ თავ-ბედისა ველარა გაიგონ-რა“ (1, ტ.9, გვ.226). ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტმა „ნებით, ან უნებურად“, ისეთი ხალხი მოიყვანა მთავრობაში, „რომელთგანაც არც ჰოს იმედი იქნება, არც არასი“, მაშინ, „საეჭვოა, რომ საფრანგეთის ერმა დიდ ხანს ითმინოს ამისთანა ამბები“ და ასეთი მთავრობის „დღეგრძელობაც დღეებით იქნება დასათვლელი“ (1, ტ.9, გვ.230).

საფრანგეთის საგარეო მდგომრეობის განხილვისას იგი ამბობს, რომ „ვაჭრობის ცილობამ ევროპაში“, საფრანგეთი აიძულა კოლონიურ პოლიტიკას დასდგომოდა, რომ თავისი წარმოებული საქონელი გაესაღებინა და საკუთარი

წარმოება არ ჩაეკლა. ჯერ „ტუნისს წაავლო ხელი“, რის გამოც იტალია „მოინდურა“; შემდეგ „ტონკინისკენ გაიწია“, ამის გამო ჩინეთი და ინგლისი გადაიმტერა და აფრიკაშიც ადგილები დაიკავა. ილიას თქმით: „საფრანგეთის ადგილები აფრიკაში აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ არის“ გადაჭიმული (1, ტ.9, გვ.175). და ინდოეთსა და „ბევრს იმისთანა ადგილებს“, „ინგლისსა და საფრანგეთს, უშველებელი ახალშენები აქვთ უკვე დაჩემებული“ (1, ტ.9, გვ.159).

საფრანგეთი ცდილობდა, რომ თავის გავლენის ქვეშ მოექცია ეგვიპტე და იქედან როგორმე ინგლისი გამოეძევებინა. „ინგლისი თანდათან მძლავრობდა ეგვიპტეში“ და რა თქმა უნდა, მას სრულებითაც არ სურს „ეს ბატონობა გაუზიაროს ვისმე.“ მაგრამ, ეგვიპტე ემორჩილებოდა თურქეთს, აქედან გამომდინარე, ინგლისი გამოდიოდა თურქეთის წინააღმდეგ და ამიტომაც საფრანგეთმა მხარი დაუჭირა ოსმალეთს, რომ „ვითარცა პატრონის სახელით, მეტი საბუთი იქონიოს ეგვიპტიდამ ინგლისის გამოსვლისათვის.“ ამრიგად, ეგვიპტე გახდა „ინგლისსა და საფრანგეთს შორის ერთი უდიდესი მიზეზი უთანხმოებისა და უსიამოვნებისა“ (1, ტ.9, გვ.165).

ასე ახასიათებდა ილია ჭავჭავაძე საფრანგეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას.

ილია ჭავჭავაძემ არაერთი წერილი მიუძღვნა **დიდ ბრიტანეთს**, მის ისტორიას, მის როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობას, მის დამოკიდებულებას შოტლანდიასთან, და განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს მის დამოკიდებულებას ირლანდიასთან.

წერილში, „ევროპა 1886 წელს“, ილია წერს:

„დიდი და ძლიერი სახელმწიფო ევროპაში ეგრეთწოდებული დიდი-ბრიტანეთია, ანუ უკეთ ვსთქვათ, ინგლისი. ინგლისი, შოტლანდიით და ირლანდიით, ევროპისაგან მოწყვეტილი უშველებელი კუნძულია. იმისი შესავალი და გასავალი ოთხსავ კუთხივ ზღვა არის. ამისთანა მდებარეობამ ინგლისის საგარეო ისტორია ისე წარმართა, რომ ზღვით და ზღვებით უნდა ეცხოვრა. ამიტომაც, როცა შინ ცოტაოდნად მაინც ფრთები შეისხა, მაშინვე საკოლონიო პოლიტიკას დაადგა. თუმცა აქ მოცილენი გაუჩნდნენ, მაგალითებრ, ისპანია, პორტუგალია და ჰოლანდია, და ამა მოცილეთა არა ერთხელ დაასწრეს ზღვის პირების დაჭერა აზიასა, აფრიკასა თუ ამერიკაში, მაგრამ ინგლისმა მაინც იმოდენა დიდი ლუკმა მოიგდო ხელში, რომ ზღვათა მფლობელად დღესაც სამართლიანად იწოდება“ (1, ტ.9, გვ.78).

საკოლონიო პოლიტიკაში, ბოლო დროს, ინგლისს მეტოქეობა გაუწიეს: საფრანგეთმა, გერმანიამ და იტალიამაც. მაგრამ, ინგლისმა მაინც შეძლო, ,,ევროპის გარეთ", ,,ყველაზედ დიდი ადგილები"-ს დაჭერა. ამ კოლონიებს შორის, ილიას თქმით, ,,ერთი უდიდესი მათგანი ინდოეთია. როგორც თავის ორის თვალის ჩინს, ისე უფრთხილდება ინგლისი არამცთუ მარტო ამ დიდს ინდოეთს, არამედ სხვა კოლონიებსაც" (1, ტ.9, გვ.79).

ილია წერს, რომ ,,ევროპამ ჩინეთისაკენ მიიხედა და ნასკვი დღევანდელის პოლიტიკისა იქ შეიკრა.

ამ საზით, ახლო აღმოსავლეთის საქმე შორ აღმოსავლეთზე მიიმართა. ევროპა ჰხედავს ჩინეთის სისუსტეს, ,,სნეულ კაცად" ეხლა ჩინეთი გადაიქცა... გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია – ეხლა იმის ცდაში არიან, რომ, იქ, ჩინეთის საზღვრებზე, ზღვიდამ ჩინეთში შესავალი ადგილი ხელთ იგდონ ყოველ ანაზდეულად მოსალოდნელ შემთხვევისათვის. აბა უზარმაზარი, მაგრამ უღონო ჩინეთი რას გაუძლებს ამათს ზედმოსევას, და სხვა არა დარჩენია-რა, რომ ყველას დღესვე საკმაო ლუკმა მიაწოდოს" (1, ტ.9, გვ.165).

ინგლისმა, ,,შორ აღმოსავლეთში", ყველაზე მეტი მოზრდილი ადგილები დაიჭირა და ამ მხარეში ბატონ-პატრონად თვლიდა თავს და რა თქმა უნდა არ შეურიგდებოდა სხვა, რომელიმე სახელმწიფოს გამოჩენას.

ამის შესახებ, ილია წერილში, ,,ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები", წერს:

,,შორი აღმოსავლეთი, საცა ინგლისს მთელი იმპერია ინდოეთისა უჭირავს და საიდამაც იხვეჭს მთელს თავის სიმდიდრესა და საცა ასეთი გაშლილი ბაზარი ჰქონდა თავისის უთვალავის საქონლისა, – მეტისმეტი სასურველი ლუკმაა ინგლისისათვის. აქ რომელსამე სხვა სახელმწიფოს გაძლიერება – დაუძლურებაა ინგლისისათვის, რომელიც დღევანდლამდე თითქმის მარტო ბატონობდა იქ" (1, ტ.9, გვ.170).

როგორც ზევით აღვნიშნეთ ჩინეთში, ინგლისს უწევდნენ მეტოქეობას: გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი. გერმანიამ შეძლო ნავსადგურის კიაო-ჩოუშის ხელში ჩაგდება; ,,საფრანგეთმაც გაიწივ-გამოიწივა კარგა საგრძნობლად და ამ გარემოებამ შეჰხუთა ინგლისის ინტერესები. ამის გამო ინგლისი ძალიან ამრეზილია საფრანგეთზე" (1, ტ.9, გვ.177). მაგრამ, ინგლისისათვის ყველაზე უფრო ,,საფიქრებელი" იყო რუსეთი, რადგან ის ხმელეთით უკავშირდება ჩინეთს. ილია წერს, რომ ინგლისი ,,გერმანიას ისე არ უფრთხის ჩინეთში, როგორც რუსეთს და მისს მომხრეს საფრანგეთსა" (1, ტ.9, გვ.178).

ჩინეთის გამო ისე გამწვავდა მდგომარეობა, რომ ინგლისმა დაიწყო შეიარაღება. ილიას თქმით, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე ჯოზეფ ჩემბერლენი (Chamberlain) (1826–1914) და სხვა „წარჩინებულნი სახელმწიფო კაცნი“, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები, იძახდნენ, რომ „ყოველ განსაცდელისათვის მზად ყოფას ვრჩეობთო, ვშიშობთ – განსაცდელი უეცრად კარზედ არ მოგვადგეს და თავდარიგს ეხლავ ვიჭერთო“ (1, ტ.9, გვ.178).

ი. ჭავჭავაძე ინგლისის შესახებ წერს, რომ მისი სადარდებელი არის რუსეთი, რადგან ზღვაში მას ვერავინ გაუმკლავდება, ხოლო თუ „ჩინეთში ასტყდა რამე, ისიც მაშინ, როცა დიდი გზა ციმბირისა თავიდამ ბოლომდე გაყვანილ იქმნება“, მაშინ ინგლისს გაუჭირდება, რადგან „მარტო რუსეთს შეუძლიან ხმელეთით მიიშველიოს ჯარი“. გარდა ამისა, ჩინეთის ომის დროს, „შესაძლოა ინგლისი იძულებულ იქმნას ხმელეთზე საომრად, თუ სახეში მივიღებთ ინგლისის სამფლობელოს ინდოეთში და ამ მხრით რუსეთის ზედმისევას. აქ, რასაკვირველია, ხმელეთის ჯარის ძლიერება ანგარიშშია მისაღები და ამ მხრით მარტო რუსეთია მისთვის ყველაზე მეტად საფიქრებელი.“

ხოლო „ზღვაში-კი ინგლისს ვერავინ გაუმაგრდება. არავინ არის ზღვაში ძლიერი ისე, როგორც ინგლისი, არავისა აქვს იმოდენი საომარი ხომალდები და გემები, არც ისე კარგად მოწყობილი ზღვის ჯარი ჰყავს, როგორც ინგლისს. აი ეს არის მიზეზი, რომ დღეს ინგლისი ასეთის რიხით და ქადილით გამოვიდა მოედანზე და თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხურით ლამის ყურები გამოუჭედოს ქვეყანას...

ამ გარემოებისაგან, რომელმაც დღეს ასეთი მნიშვნელობა მისცა ზღვაში ძლიერსა, ინგლისი ყველაზე წინ წამოდგა, ინგლისი გაკადნიერდა და გათამამდა იმოდენად, რომ მუქარად შეექმნა ყველას. მისმა საომრად გაფიცხებულმა მზადებამ მთელს დიპლომატიას ევროპისას ძილი დაუფრთხო, ააყაყანა და შიშით აქეთ-იქით მიახედა“ (1, ტ.9, გვ.178).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიას თქმით, ინგლისმა აფრიკაშიც დაიჭირა ადგილები.

„ჩრდილოეთიდამ სამხრეთადმე ჰლამის ხელთ იგდოს ეს ქვეყანა“. „ნუ დაგავიწყდებათ, რომ საფრანგეთის ადგილები აფრიკაში აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ არის და ინგლისისა ჩრდილოეთიდამ სამხრეთისაკენ“, – წერს ილია, და შემდეგ განაგრძობს, – „აფრიკის საქმემაც“ „შეუძლიან სულ ახალი მტერ-მოყვრობა ჩამოაგდოს ევროპის დიდთა სახელმწიფოთა შორის“ (1, ტ.9, გვ.176).

1704 წელს, ინგლისმა, ესპანეთს წაართვა პირენეს (იბერიის) ნახევარკუნძულის სამხრეთით მდებარე, გიბრალტარის სრუტესთან, ციხე-სიმაგრე გიბრალტარი. გაამაგრა ის და საზღვაო ნაოსნობის, კოლონიური დაპყრობების დასაყრდენ ადგილად აქცია. როდესაც, 1869 წელს სუეცის არხი გაიყვანეს, მისი მნიშნელობა უფრო გაიზარდა, რადგან მან შეამოკლა საზღვაო გზა ევროპიდან ინდოეთის ოკეანემდე. ვინაიდან „სათავე ხმელთა-შუა ზღვისა“ ინგლისის ხელში იყო და მასზე იყო დამოკიდებული გემების გატარება ხმელთა-შუა ზღვაში, ხოლო, სუეცის არხი ადგილ-მდებარეობით ეგვიპტეს ეკუთვნოდა, ინგლისი შეეცადა ეგვიპტის ხელში ჩაგდება და მან, მართლაც, 1882 წელს მოახერხა ეგვიპტის დაკავება და ამით „ბოლო ხმელთაშუა ზღვისა თვით დაიჭირა.“ ამის შემდეგ, სუეციის არხი იქცა მთავარ სამხედრო დასაყრდენ ადგილად ახლო აღმოსავლეთში.

მანამდე ეგვიპტე საფრანგეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ როდესაც საფრანგეთი დაუძლურდა, „ინგლისს არ ეძინა, თავის საქმეს ჰჩარხავდა ეგვიპტეში იმ აზრით, რომ აქ თავიდამ როგორმე მოიშოროს საფრანგეთი და მარტო თავისის გავლენის ქვეშ იყოლიოს ეგვიპტე და აქედამ სუეცის არხს გაუბატონდეს.“ ხოლო, როდესაც „ეგვიპტის საქმენი ძალიან აიწეწნენ, ამ აწეწილობამ ინგლისს ხელი შეუწყო და ეგვიპტეში ჯარებით ჩადგა, ვითომდა დასამშვიდებლად. ევროპამაც და თვით ოსმალეთმაც, რომელსაც ეგვიპტე ეკუთვნის, დასტური დასცა, მხოლოდ იმ პირობით, რომ დამშვიდების შემდეგ ინგლისმა ისევ გამოიყვანოს თავისი ჯარები.

იმ დღიდამ ამ დღემდე ინგლისს არამცთუ ჯარები არ გამოჰყავს, უფრო მაგრა ებღაუჭება ეგვიპტეს და არავის მუქარა აინუნშიაც არ მოსდის“ (1, ტ.9, გვ.161).

ილიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გავლილი დროის შემდეგ, რუსეთმა, ევროპის სახელმწიფოებმა და იმათი წაქეზებით თურქეთმაც ინგლისს მოსთხოვეს ეგვიპტიდან ჯარების გამოყვანა, „მაგრამ ინგლისი ყურსაც არ იბღერტავს“, მას „არავისი შიში არ აქვს“ და „ხელსა სჭიდებს ამ სხვის სამფლობელოს.“

ილიას გადმოცემით, ინგლისს საგარეო საქმეში წარუმატებლობაც ქონდა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ის ცდილობდა ჩინეთის მთლიანად ხელში ჩაგდებას, რომ ის მისი მორჩილი ყოფილიყო. მაგრამ მას წინ აღუდგნენ გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი, რომლებმაც შეძლეს მისი უფლებების შეზღუდვა ჩინეთში.

ილიას თქმით, როდესაც რუსეთმა დაინახა, რომ მიუხედავად ინგლისის წინააღმდეგობისა, გერმანიამ ჩინეთში ნავსადგური კიაო-ჩოუ ხელში ჩაიგდო და იქ, „თავისი ხომალდები დააბინავა“, „ამანაც ხელი გაიწოდა მეორე ნავსადგურზედ, რომელსაც პორტ-არტური ჰქვიან და რომელიც კაი მოზრდილი კარია ზღვიდამ ჩინეთში შესასვლელად. ინგლისი აქაც მიესია მთელის თავისის ხერხითა, რომ ჩინეთს არ დაათმობინოს არაფერი რუსეთისათვის, მაგრამ აქაც ვერა გახდა რა. მაშინ დიდის რიხით შეუტია ჩინეთს, თუ პორტ-არტურში რუსებს დააყენებენ, ნავსადგური ტალიენვანი ღია იყოს საყოველთაო შესავალ-გასა-ვალად ჩინეთში ზღვიდამაო. ეს ისეთის რიხით დაუდვა პირობად ინგლისმა ჩინეთს, რომ თითქმის მუქარას მოასწავებდა. ვერც ამან გასჭრა, როგორც ვხედავთ, რუსეთი თავისის ხომალდებით დაბინავდა პორტ-არტურში და არც ნავსადგური ტალიენვანი დასთმო საყოველთაო გზად ზღვიდამ ჩინეთში. ინგლისის მუქარამ, სჩანს, ტყუილად ჩაიარა, რადგანაც, რაკი ვეღარას გახდა-რა, ამ ტალიენვანს ინგლისმა თავი დაანება, თითქო თავის დღეში არ ეხსენებინოსო“ (1, ტ.9, გვ.170).

ილიას გადმოცემით, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისმა ნაწილობრივ მარცხი განიცადა ოსმალეთთანაც. ადრე, რუსეთის შიშით, ოსმალეთი ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და „წყალობა ინგლისისა თუმცა ძვირად უჯდებოდა“, ხმას არ იღებდა. მაგრამ როდესაც საფრანგეთი და რუსეთი ერთმანეთს დაუკავშირდნენ, და ინგლისს მოსთხოვეს ეგვიპტიდან ჯარების გაყვანა, „ოსმალეთმაც ხმა მოიმატა და გაუთამამდა ინგლისსა“. ილია წერს, რომ:

„დღეს ოსმალეთში ინგლისს აბრუ გატეხილი აქვს მთლად, და ცალ მხრით რუსეთი და საფრანგეთი და მეორეს მხრით გერმანია – ჰცდილობენ გავლენა ოსმალეთზე დაისაკუთრონ“ (1, ტ.9, გვ.164).

ილიას დროს, ევროპაში ისე იყო ჩახლართული საქმეები, რომ ვინ ვისთან მეგობრობდა და ვინ ვის მტრობდა, ძნელი გასარჩევი იყო, მდგომარეობა გამუდმებით იცვლებოდა. ამიტომაც ილია წერდა:

„გუშინდელს მტერს, – ვინ იცის, – იქნება მტრობა დაავიწყებინოს და ინგლისის მომხრეობა ანატრებინოს. ყველაფერი შესაძლებელია; ძალა აღმართის მხვნელიაო, ნათქვამია. თვითოეულ სახელმწიფოს საქმეები ისე ჩახლართულია ერთმანეთში, რომ საკვირველი არ იქნება, საცა წვრილია, იქ გასწყდეს, და საცა არა გვგონია – ნასკვის წვერმა იქ ამოჰყოს თავი გამოსახსნელად“ (1, ტ.9, გვ.179).

მაგრამ, ერთი კი ცხადი იყო, რომ ევროპის სახელმწიფოებს შორის, მაინც ყველაზე უფრო ძლიერად, ინგლისი ითვლებოდა. ამიტომაც იყო, რომ დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე ჯ. ჩემბერლენი ამაყად, „რიხითა და ქადილით“, გაიძახოდა, „რომ არავითარი კოალიცია ჩვენთვის საშიში არ არის ზღვაშიო; ძალა შესწევს ქადილისა, ეს აშკარაა“ (1, ტ.9, გვ.179). აქვე, ილია დასძენს, რომ: „რა თქმა უნდა, არც ინგლისს ჩაუვლის მუქთად და ამაოდ დღევანდელი თოფ-იარაღის ჩხარა-ჩხური და რიხიანი ქადილი, – არავისი გვეშინიან და ყოველ განსაცდელისათვის სამზადისში ვართო“ (1, ტ.9, გვ.180).

ინგლისის საკოლონიო პოლიტიკის გამომწვევ მიზეზთა შორის, მისი ადგილ-მდებარეობის გარდა, ილია აღნიშნავს, მის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებსაც. ინგლისის ერთ-ერთ მთავარ საკითხად, თვლის მის მიწათმფლობელობას. იგი წერს:

„მთელის ინგლისის ადგილ-მამული თითქმის მარტო 30 000 კაცს ეკუთვნის. დანარჩენი მთელი ერი უადგილ-მამულოა. ამისთანა უსამართლოდ განაწილებას ადგილ-მამულისას ერთი სხვა უბედურებაც ზედ მოჰყვა. როცა ჟამთა ვითარებისა გამო მატყლმა მეტად აიწია და დიდი ფასი დაიდო, ბევრმა ადგილმამულის პატრონმა – საყანე, სახნავ-სათესი მამულები საძოვრებად გარდააქცია და აუარებელი მხვნელ-მთესველი ხალხი, რომელიც მაგ მამულებზედ ქირით თუ ოჯარით ჰსცხოვრობდა, სულ ცარიელზედ დარჩა. აქედამ წარმოსდგა იგი შესაბრალისი ხალხი, რომელსაც საცხოვრებლად თვისი მარჯვენაღა აქვს და სხვა არაფერი და რომელსაც პროლეტარიატს ეძახიან“ (1, ტ.9, გვ.78).

შემდეგ, ილია გადმოგვცემს, რომ მართალია, ეს უმუშევარი ხალხი ქალაქებში უამრავ ფაბრიკა-ქარხნებს მიაწყდა, მაგრამ, „სიმრავლეს უმამულო მუშახელისას ვერ აუვიდა ინგლისის ძლიერი და აუარებელი მრეწველობაცა. მრავალი მუშახალხი უსაქმოდ ჰრჩება. ამის გამო წარმოუდგენელია ის სიღარიბე, ის სიღატაკე, ის განწირულება, რომელიც ასე გულსაკლავად ჰღაღადებს ინგლისის ყოველს დიდს ქალაქში და ნამეტნავად ლონდონში“ (1, ტ.9, გვ.79).

ამიტომ, „საქმიანმა და ჭკვიანმა ინგლისელმა“, დაიწყო „სხვა ქვეყნებში ადგილების დაჭერა“, რომ ეს უმუშევარი ხალხი დაასახლოს.

ამის გარდა, საკოლონიო პოლიტიკის ერთ-ერთ მიზეზად, ილია სთვლის ინგლისის „აუარებელ მრეწველობას“. იგი წერს, რომ:

„დიდძალ საქონელს ჰქმნის ინგლისი. ამ საქონელს გასაღება უნდა. ევროპა ვეღარ იტევს სიმრავლეს საქონლისას და ერთმანეთში გაძლიერებული ცილობაც ხელს უცრის. ვაჭრობის გზის გასახსნელად, საქონლის გასასაღებლად

სხვა უფრო შორეული ქვეყნებიღაა, ნამეტნავად ის ქვეყნები, რომელთაც ზღვა აქვთ შესავალად“ (1, ტ.9, გვ.79).

ამ საკოლონიო პოლიტიკის გამო, სხვა ქვეყნები „ზღვათამფლობელსა ინგლისს მოცილედ გაუხდნენ.“ ინგლისს საშინაო საქმეში, „ბევრი ტკივილი აქვს და მათ შორის სამი მეტად დიდი“ – წერს ილია და ჩამოთვლის ამ ტკივილებს:

„ერთი ის აღონებს ინგლისს, რომ კოლონიები როგორღაც ვერ ემორჩილებიან“. და მაგალითად მოჰყავს კანადა, სადაც, „ადამიანის მუდამი სურვილის უკეთობისაკენ“ გამო მოხდა აჯანყება და „ინგლისის მფლობელობას ცოტა არ იყოს საძირკველი შეერყა“ (1, ტ.9, გვ.79).

ილია წერს, რომ მეორე „დიდი სატკივარი“ ინგლისისათვის არის, მის გვერდით მდებარე ირლანდიის საქმე. რომელიც ყოველთვის მტკივნეული იყო (სხვათა შორის, ეს ვითარება დღევანდელ დღესაც გრძელდება ა. ფ.). ილია მოგვითხრობს, რომ ირლანდიის შესახებ ინგლისში, „ორნაირი აზრი ჰბრიალებს“ და ეს აზრი ეკუთვნის, ლიბერალების მეთაურს, ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც „შინაურ საქმეებში ტოლი არა ჰყავს თითქმის მთელს ქვეყანაზედ“ და „ირლანდიელების თანაგრძნობია“, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეს, ინგლისის პრემიერ-მინისტრს (1868–74, 1880–85, 1886, 1892-94) წლებში უილიამ იუარტ გლადსტონს (Gladstone) (1809–1898). მისი აზრით, ირლანდიის „დაწყნარება და დამშვიდება“ შეიძლება „ორის საშუალებით“: „ერთი, მიწების გამოსყიდვა მიწათმფლობელთაგან და მიწათმომქმედთათვის განაწილება სასყიდლითვე, და მეორე – ირლანდიისათვის თვითმართველობის მინიჭება, ისე-კი, რომ ერთობას ინგლისისას არა ევნოს რაო“ (1, ტ.9, გვ.81).

ილია გადმოგვცემს, რომ ამ აზრის წინააღმდეგნი არიან რადიკალები და კონსერვატორები და ამიტომ ეს საკითხი, ინგლისის პარლამენტმა უნდა განიხილოსო.

დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მეფესა და პარლამენტს.

პარლამენტი შესდგება: ზედა პალატისაგან, რომელიც წარმოადგენს ლორდებს (საერო და სასულიერო პირები) და ქვედა, ანუ თემთა პალატისაგან, რომელიც შესდგება მოსახლეობიდან, 6 წლით არჩეული დეპუტატებისაგან.

ინგლისის პარლამენტის შესახებ იგი წერს, რომ ინგლისის პარლამენტი სამი წყობის დასისაგან შესდგება და წარმოადგენს ორ პალატას: ქვედა და ზედას.

ქვედა პალატაში ძირითადათ ლიბერალები არიან, რომლებიც უილიამ გლადსტონის კანონის თანახმად სოფლებში არჩეული დეპუტატებია.

მსხვილ მიწათმოქმედ თავად-აზნაურთა პარტიაა – ტორები. რომელიც ჩამოყალიბდა XVII საუკუნეში. XIX საუკუნის შუა წლებში, განვითარების შედეგად, გადაკეთდა კონსერვატორულ პარტიად; და მესამე დასს წარმოადგენდნენ ირლანდიის წარმომადგენლები, რომელთა ხელმძღვანელი იყო, ირლანდიის პოლიტიკური მოღვაწე, ჰომრულის (ჰოუმრული) (ირლანდიის თვითმმართველობისათვის მოძრაობა) ხელმძღვანელი, ჩარლზ პარნელი (Parneli) (1846–1891).

წერილში, „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გამო“, ილია ჭავჭავაძე საუბრობს ინგლისის პარლამენტისა და პარტიების შესახებ. მისი თქმით, „ინგლისს ჰმართავს ორი დიდი დასი ვიგებისა და ტორიებისა.“

ცნობილია, რომ ვიგების პარტია ჩამოყალიბდა XVII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და წარმოადგენდა გაბურჟუაზებულ დიდგვაროვანთა ფენას, რომელიც იცავდა მსხვილ სავაჭრო და ფინანსისტების მოთხოვნილებებს. ილია წერს, რომ:

„ინგლისის სვე-ბედის გამგებელი და მმართველი პარლამენტია, რომელშიაც ინგლისის ერს თავისი წარმომადგენელნი ჰყავს არჩევანითა. ეს ორი უდიდესი დასი, რომელთაც ხელთ უპყრია თითქმის მთელის ინგლისის სვე-ბედის წარმომადგენლობა, ერთი მეორეს ებრძვის ხოლმე იმ ანგარიშით, რომ პარლამენტში ერთმა მეორეზედ მეტი მომხრე იყოლიოს, ერთმა მეორეზედ მომეტებულად თავისი კაცები დასხას“ (1, ტ.9, გვ.196).

მთელი ინგლისი არის ორ ბანაკად გაყოფილი. არის კიდევ მესამე დასი, „ირლანდიელთა დასი“, რომელსაც მმართავს ჩ. პარნელი, მაგრამ იგი მცირე რიცხოვანია, პარლამენტში სულ 86 წარმომადგენელია, მაგრამ „ისე მოქმედებენ პარნელის ბრძანებისამებრ, როგორც ერთი კაცი“ და ის ვისაც მიემხრობა პარლამენტში, ის იმარჯვებს.

ილია წერს, რომ პარლამენტზეა დამოკიდებული ინგლისის სამინისტროების ბედი და „რომელს დასსაც უნდა ეჭიროს სამინისტრო, ვიგები იქნებიან, თუ ტორები, ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა, რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოუწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა, უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს. ამ სახით გამოდის, რომ ინგლისის მინისტრის დამყენებელი და დამთხოვნელი თითქმის პარნელია, რომელიც ამისათვის თავის 86 ირლანდიელს დიდი ოსტატობითა ხმარობს“ (1, ტ.9, გვ.197).

ინგლისსა და ირლანდიის დამოკიდებულებას, ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა ვრცელი საისტორიო-საეკონომიო ნარკვევი, „ირლანდია და ინგლისი“, რომელიც XI წერილისაგან შესდგება. იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1886 წელს; და ამავე წელსვე, „ივერიაში“ დაიბეჭდა ოთხი წერილი, „ინგლის – ირლანდიის ურთიერთობის გარშემო“, ხოლო მეხუთე წერილი გამოქვეყნდა, ისევ „ივერიაში“ 1889 წ.

ილია ჭავჭავაძე, ნარკვევში, „ირლანდია და ინგლისი“, განიხილავს ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ზოგადად მათს ისტორიას და ძირითადათ ყურადრებას ამახვილებს ამ ქვეყნების ეკონომიურ წყობაზე და მათ მიწათმფლობელობაზე.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ დიდი ბრიტანეთი, რომელიც მდებარეობს ევროპის ჩრდილო-დასავლეთში და რომლის სახელმწიფოს შემადგენლობაშია გაერთიანებული კუნძული ბრიტანეთი, ირლანდიის კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და შედარებით მცირე მოცულობის კუნძულები: ენგლსი, ერანი, მენი, ნორმანდიის, უაიტი, შეტლენდიის, ჰებრიდის და სხვა კუნძულები, ადრე ყოფილა შეერთებული ევროპასთან და ძვ. წ. V ათასწლეულში მოხდა მისი ხმელეთიდან გამოყოფა.

დიდი ბრიტანეთის მიწა-წყალზე, აღმოჩენილია ადგილობრივი მოსახლეობის, **კრომანიონის**, ნაშთები. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, დიდ ბრიტანეთში ძვ. წ. III ათასწლეულში დაწყებულა ევროპის ხმელეთიდან სხვადასხვა ტომების გადმოსახლება. ძვ. წ (800–700) წლებში, ბრინჯაოსა და რკინის ხანის დროს, გადმოსახლებულან **კელტური** ტომები, რომლებიც დროთა განმავლობაში შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას. კელტების ერთ-ერთი ტომი, **ბრიტები**, წარმოადგენდნენ ძირითად მოსახლეობას, აქედან წარმოიქმნა დასახელება „ბრიტანეთი“. ისინი მედგრად იცავდნენ თავს და დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ, ახ. წ. I შუა საუკუნიდან დაწყებული V საუკუნის დასაწყისამდე, რომაელ დამყრობლებს.

ახ. წ. V–VII სს-ში, ბრიტანეთში დაიწყეს გადმოსახლება ევროპიდან გერმანელმა ტომებმა: **ანგლებმა, იუტებმა, კოტტებმა, საქსებმა, ფრიზებმა** და სხვა ტომებმა. თანდათან გადმოსახლებულებმა შეძლეს ბრიტების დაპყრობა. ბრიტების ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი მონებად და ლეტებად (ნახევრად თავისუფალ მოქალაქეებად) აქციეს. ბრიტების ნაწილი გაიხიზნა უელსში, შოტლანდიასა და არმორიკის (არემორიკა) ნახევარ კუნძულზე, ახლანდელ **ბრეტანში**.

თანდათან, გადარჩენილი კელტური ტომები, შეერივნენ გადმოსახლებულ გერმანულ ტომებს, ანგლოსაქსებს და დაიწყო ინგლისური ერის ჩამოყალიბება.

ამავე, ახ. წ. V–VII სს-ში, ბრიტანეთზე დაიწყეს თავდასხმები სკანდინავიელებმა – **ნორვეგიელებმა** და **დანიელმა** ტომებმა. დასავლეთ ევროპაში მათ უწოდებდნენ **ნორმანებს**, თვითონ სკანდინავიელები მოლაშქრეებს ეძახდნენ **ვიკინგებს**, ხოლო რუსები – **ვარიაგებს**.

ნორმანებმა შეძლეს ბრიტანეთის ნაწილის ხელში ჩაგდება. ამ ბრძოლებმა გამოიწვია სამეფო ხელისუფლების გამტკიცება და ქვეყნის გაერთიანება.

საქსებმა VI საუკუნის დამდეგს შექმნეს **უესექსის სამეფო**, ხოლო ამავე დროს ანგლებმა დააარსეს **მერსიას სამეფო** და წარმოიქმნა სხვადასხვა ანგლოსაქსური მცირე სამეფოები. მერსიას სამეფო თანდათან გაძლიერდა და VIII საუკუნეში ანგლოსაქსური სამეფოები დაიმორჩილა. 740 წ. უესექსის სამეფოც დაამარცხა და მთელი შუა ინგლისი, ჰამბერის ყურედან დაწყებული მდინარე ტემზამდე, მის ხელთ აღმოჩნდა. შემდგომში, მერსიას ძლიერება შესუსტდა და 825 წ. უესექსის მეფემ ეგბერტმა (Egbert) (802–839) მერსია დაამარცხა, მისი მიწა-წყლის ნაწილი შეიერთა და ამის შემდეგ, ამ გაერთიანებულ სამეფოს ეწოდა „**ინგლისი**“.

871 წელს უესექსის მეფე ხდება ალფრედ დიდი (Alfred the Great) (848/9–დაახლ.900). მან რეფორმები გაატარა როგორც სამოქალაქოში, ასევე ჯარში. გარდაქმნა ჯარის შემადგენლობა როგორც ქვეითი, ასევე ცხენოსანთა ლაშქარში. შემოიღო მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანთა რაინდთა ლაშქარი. დაიწყო ფლოტის მშენებლობა. ეწეოდა სკანდინავებთან და დანიელებთან ბრძოლებს. ალფრედ დიდმა დაიპყრო ინგლისის სამხრეთ-დასავლეთი და ბოლოს 886 წელს აიღო მნიშვნელოვანი სავაჭრო და პოლიტიკური ქალაქი ლონდონი. ასე, რომ უესექსი გახდა ანგლოსაქსთა ერთიანი სამეფო. ალფრედ დიდიდან იწყება ერთიანი სახელმწიფოს „ინგლისის“ ისტორია.

V-VI საუკუნეში სამხრეთ შვეციელმა ვიკინგებმა დაიკავეს დღევანდელი დანიის მიწა-წყალი და თანდათან შეერწყმნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

X საუკუნეში, ნორმანებმა და დანიელმა ვიკინგებმა დაიპყრეს საფრანგეთში სენის შესართავი და იქ დააარსეს ნორმანდიის საჰერცოგო, რომლის დედაქალაქი გახდა რუანა. ნორმანდიელებმა და დანიელებმა დაიწყეს თავდასხმები ინგლისზე და შეძლეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის ხელში ჩაგდება.

დანიის მეფემ კნუდ I დიდმა (Knud den Store) (995–1035) შეძლო ინგლისის დაპყრობა და 1016 წელს გახდა ინგლისის მეფე. ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ინგლისის სამეფო სწრაფად დაიშალა საგრაფოებად.

ნორმანდიის ჰერცოგი ვილჰელმ II (1027–1087) ნორმანდიელთა, ფრანგთა და იტალიელ ფეოდალთა ჯარით შეიჭრა ინგლისში. 1066 წლის 14 ოქტომბერს, სასექსის საგრაფოში, პა-დე-კალეს სრუტის ნაპირას, ქალაქ ჰეისტინგთან, დაამარცხა ანგლოსაქსების, ინგლისის, უკანასკნელი მეფე ჰაროლდ II (Harold II) (?–1066) და გახდა ინგლისის მეფე. ამის შემდეგ ის მოხსენებულია ისტორიაში როგორც უილიამ I დამპყრობელი (William the Conqueror). მან 1070 წლისათვის პოლიტიკურად გააერთიანა ინგლისი და დასაბამი მისცა ინგლისში ნორმანდიელთა საგვარეულოს. ინგლისის სახელმწიფოს ნაწილი გახდა ნორმანდია და ამიერიდან ინგლისის მეფეები ნორმანდიის ჰერცოგებიც იყვნენ.

ინგლისში ფრანგ-ნორმანდთა ბარონები გაბატონდნენ. ოფიციალური ენა ფრანგული გახდა, ხოლო ხალხმა ანგლოსაქსონური ენა შეინარჩუნა. უილიამმა, დიდგვაროვან ანგლოსაქსებს ჩამოართვა მიწები და თავის ხელქვეითებს დაურიგა. ფეოდალები დაიმორჩილა. სამეფო ხელისუფლება გაძლიერდა.

თანდათან, ხალხისა და ენის შერევის შედეგად, ინგლისში, XVI საუკუნეში ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა, როგორც სალაპარაკო, ასევე სალიტერატურო ინგლისური ენა. XVII ს. საბოლოო სახე მიიღო ინგლისურმა ერმა.

VI საუკუნის ბოლოს ინგლისში დაიწყო გავრცელება ქრისტიანულმა სარწმუნეობამ. XVI საუკუნემდე ინგლისში ძირითადათ გაბატონებული იყო კათოლიციზმი. როდესაც ინგლისში დაიწყო განვითარება სავაჭრო კაპიტალიზმმა და თვითეულ მიწის ნაკვეთს ფასი დაედო, რადგან ხდებოდა მიწების შეერთება და გამსხვილება; ამის გამო ფეოდალებმა და სამღვდელოებამ დაკარგეს შემოსავალი, თავადაზნაურობა იძულებული გახდა ხელისუფლებასთან და სავაჭრო ბურჟუაზიასთან კავშირი დაემყარებინა. მეფე ხედავდა, რომ ხელისუფლების გამტკიცებისათვის საჭირო იყო ფეოდალების მოთოკვა და მათი დამორჩილება, მაგრამ, ვინაიდან ფეოდალები, იყვნენ კათოლიკური სარწმუნეობის წარმომადგენლები და კათოლიციზმი უპირისპირდებოდა ხელისუფლებას, საჭირო გახდა სარწმუნეობის რეფორმა.

XVI საუკუნის დასაწყისში ინგლისში, დაიწყო გავრცელება, კათოლიციზმის საწინააღმდეგო, ერთ-ერთი პროტესტანტული ეპისკოპალური, ანუ „ანგლიკანური ეკლესია“, რომელიც დაუპირისპირდა კათოლიციზმს.

ინგლისის მეფემ 1509 წლიდან, ტიუდორების დინასტიის წარმომადგენელმა ჰენრი VIII (Henry) (1491–1547) გამოიყენა კათოლიციზმთან ეს დაპირისპირება და როდესაც რომის პაპმა, რეფორმაციისა და პროტესტანტიზმის დაუძინებელმა მტერმა, პავლე III (ალექსანდრე ფარნეზე) (Alessandro Farnese) (1468–1549) ჰენრი VIII-ეს უარი უთხრა ეკატერინე არაგონელთან (Cathorine of Aragon) (1485–1536) განქორწინებაზე, იგი მიემხრო „ანგლიკანურ ეკლესიას“ და განახორციელა რეფორმაცია. 1534 წელს გააუქმა რომის პაპის ხელისუფლება ინგლისში. ინგლისის ეკლესია გამოეყო რომის კათოლიკურ ეკლესიას და პარლამენტმა ჰენრი VIII „ანგლიკანური ეკლესიის“ ხელმძღვანელად გამოაცხადა.

მონასტრებსა და ეკლესიებს მიწები ჩამოერთვათ, კათოლიკური ხატები დაწვეს, გაუქმდა ცელიბატი (დაუქორწინება კათოლიკურ სარწმუნეობაში) და მონაზნობა. საეკლესიო და სამონასტრო საკუთრება გადაეცა ხელისუფლებას. ჩამორთმეული მიწები დაურიგდათ „ახალ თავადაზნაურობას“, ამით ისინი მეფის მორჩილნი გახდნენ. ხოლო, მათი შემწეობით პარლამენტიც ჰენრის ხელში აღმოჩნდა. ჰენრი VIII სასტიკად უსწორდებოდა ყველას, ვინც ახალ შემოღებულ წესებს ეწინააღმდეგებოდა.

მაგრამ, კათოლიციზმს ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ მისი მოსპობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ის ჯერ კიდევ მძლავრობდა ინგლისში. როდესაც ჰენრი VIII-ის ასული მარიამ I (მერი) ტიუდორი (Mary I Tudor) (1516–1558) 1553 წელს ინგლისის დედოფალი გახდა, მან 1554 წ. აღადგინა კათოლიციზმი და დაუწყო სასტიკი დევნა რეფორმაციის მომხრეებს. გამოსცა მკაცრი კანონები „ანგლიკანური ეკლესიის“ მიმდევრების წინააღმდეგ. სასულიერო პირები, რომლებიც უარს ამბობდნენ კათოლიკობაზე იდევნებოდნენ და წვავდნენ კოცონზე. ამიტომ მარიამ კათოლიკეს, მარიამ სისხლიანი შეარქვეს. კათოლიკები და რომის პაპი მოითხოვდნენ ძველი საკუთრების აღდგენას. ყველაფერმა ამან გამოიწვია ახალი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის უკმაყოფილება. ამას დაემატა ინგლისის საგარეო საქმეების გართულებაც. მარიამის დროს, ფრანგების წინააღმდეგ წარმოებულ ომში ინგლისმა, საფრანგეთის მიწა-წყალზე უკანასკნელი ნავსადგური – **კალეც** დაკარგა. ამიტომ, შოტლანდიელი ლორდებისა, უკმაყოფილო ინგლისელებისა და საფრანგეთის მთავრობის შემწეობით, დაიდო ხელშეკრულება, „კოვენანტი“, რომლის მიხედვით მარიამი უნდა ჩამოეგდოთ ტახტიდან და გაემეფებინათ ჰენრი VIII-ისა და მისი მეორე ცოლის ანა ბოლეინის (Boleyn) (1507–1536) ასული ელის-

აბედ (ელიზაბედ) I ტიუდორი (Elizabeth) (1533–1603). მაგრამ მარიამის სიკვდილის გამო, აჯანყება არ შედგა და გამეფდა ტიუდორთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი ელისაბედი. მან განაგრძო ჰენრი VIII-ის მიერ დაწყებული რეფორმა. ისევ აღადგინა „ანგლიკანური ეკლესია“, რომელიც საბოლოოდ სამეფო ხელისუფლებას დამორჩილდა. მის დროს ინგლისი გაძლიერდა, როგორც საშინაო, ასევე მისი საგარეო მდგომარეობაც. წარმოიქმნა ბრიტანეთის იმპერია. ინგლისის კულტურული აღორძინების გამო, ისტორიკოსები, ელისაბედის ხანას უწოდებენ: „ოქროს ხანას“, „ელისაბედის საუკუნეს“.

1791 წ. კათოლიკებმა ინგლისში მიიღეს რწმენის თავისუფლება, ხოლო 1829 წ. აღიდგინეს თავისი უფლებები და ისინი გათანაბრებულ იქმნენ „ანგლიკანურ ეკლესიასთან“.

„ანგლიკანური ეკლესია“, გარდა ინგლისისა, გავრცელებულია **შოტლანდიაში, ირლანდიაში, უელსში, აშშ-ში, ავსტრალიაში, კანადაში, აფრიკაში** და სხვა სახელმწიფოებში.

ილია ჭავჭავაძე ნარკვევში, „ირლანდია და ინგლისი“-ს, მეორე წერილში, განიხილავს ინგლისის მიწათმფლობელობის ისტორიას.

„ჩვენ საჭიროდ ვხედავთ მოკლედ გავიხსენოთ ისტორია მიწათმფლობელობისა თვით ინგლისისა, იმიტომ, რომ აქედამ შესეულმა მართლიერებამ მიწათმფლობელობისამ დიდი ზედმოქმედება იქონია ირლადიის მიწათმფლობელობის განწყობილებაზედ“ (1, ტ.9, გვ.12).

ილია წერს, რომ ადრე, სანამ ნორმანები გამოჩნდებოდნენ ინგლისში, ადგილობრივი „მცხოვრებნი ინგლისისანი ორგვარს წყობას წარმოადგენდნენ: ერთი აზატი, რომელიც მიწასა ჰფლობდა, და მეორე მონა, რომელიც მიწათმფლობელს ემსახურებოდა და საქმეს უკეთებდა“ (1, ტ.9, გვ.12).

როდესაც ნორმანებმა ინგლისი დაიპყრეს, „1086 წელს გამოცემულ საერთო სამამულე სიგელიდან (Domesday book)“ ჩანს, რომ XI საუკუნეში მეფეს დაუარსებია „ეგრეთ წოდებული საბატონო მამული“. ინგლისის მეფემ უილიამ I დამპყრობელმა, ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოართვა მამულები და გაუნაწილა საეკლესიო წარმომადგენლებსა და რაინდებს. „იმ პირობით, რომ ამ წყალობის სამაგიეროდ კოროლს სამსახური გაუწიონ და სამხედრო ბეგარა იხადონ. ამ მებატონეებს ლორდებს ეძახდნენ.“ ბრიტტები და ინგლის-საქსონები, სახელმწიფო ბეგარისაგან იყვნენ განთავისუფლებულნი, ესენი თავიანთი მიწებით ემორჩილებოდნენ მებატონეებს. ეს აზატნი მემამულენი (socmen) „ბევრი არა ყოფილან“. ამათ გარდა ყოფილან „მოღალე და ვალდებული (villani)“ და

„წინანდელ მკვიდრთა შორის ყოფილან ისეთნიც, რომელთაც, ჩვენებურ ხიზნებსავით, სხვა მებატონის მამულზედ ჰქონიათ ბინაც და სახმარი მიწაც (bordarii, cotarii); გარდა ამისა ყოფილან მონანიც, (servi), რომელთაც მებატონეთაგან ჰქონიათ მიწები მიცემული საკეთებლად“ (1, ტ.9, გვ.13).

1676 წელს, ინგლისის მეფემ, სტიუარტთა საგვარეულოდან, ჩარლზ II (Charles) (1630–1685) ლორდებსა და „წვრილ მესაკუთრეს თავისის სტატუტით დაუმტკიცა განსაკუთრებულ კუთვნილებად ერთხელ კოროლისაგან ბოძებული მამულები. ამ დღიდამ მიწათმფლობელობა ლორდებისა და წვრილთა მესაკუთრეთა ხელში უფრო გამტკიცდა და გამაგრდა. სხვა ყველაფერში, ესე იგი, კანონისა, სამართლისა და სახელმწიფოს წინაშე, ყოველი კაცი თავისუფლად დარჩა, თანასწორის უფლებისა იყო. იმ 23.000 წვრილთა მესაკუთრეთაგან შესდგა ის ერთი წყობა მიწათმფლობელისა, რომელსაც „ჯენტრი“ ეწოდა და რომელიც შეიქმნა ერის წარმომადგენელად ქვედა პალატაში, და ლორდებმა კი, ესე იგი სხვილთა მებატონეთა, ზედა პალატა ჩაიგდეს ხელში მემკვიდრეობით და არა არჩევანითა“ (1, ტ.9, გვ.16).

ილია ამბობს, რომ „იმ წინანდელმა რიცხვმა რაინდებისამ, რომელთაც XI საუკუნეში კოროლისაგან ებოძათ მამული, არც იმატა და არც იკლო, დღეს თითქმის იგივე დარჩა, სახელდობრ 30 766 სახლი; მამულები სულ შემოიკრიბა და თავის ხელში დაინარჩუნა და თავის ახლო წვრილნი მეპატრონენი და სხვა მფლობელნი მიწისა არ ახეირა“ (1, ტ.9, გვ.18).

პარლამენტის შესახებ ილია წერს;

„მთელი ლორდობა განგებ, და ამათზე დამოკიდებული ფერმერობა ძალაუნებურად, ქვეშ უდგია საკუთრების ხელშეუხებლობას, და უფრო მეტი ძალა კანონმდებლობისა ამ ორ წოდებათა ხელშია, რადგანაც ლორდები ქვედა პალატაში თავიანთ კაცებს არჩევინებენ ლორდების მამულებზედ დასახლებულ ფერმერებსა“ (1, ტ.9, გვ.19).

ილია აღნიშნავს, რომ ინგლისში, მიწისადმი დამოკიდებულება და საერთოდ მიწათსაკუთრებისადმი ხელშეუხებლობა, რომელიც ჯერ კიდევ, ინგლისის პირველმა ნორმანმა მეფემ (1066–1087) უილიამ I დამპყრობელმა (ფრანგ. Guillaume de Normandie, ინგლ. William the Conqueror) (1027/28–1087) საფუძველი ჩაუყარა, დღევანდელ დღემდეა შერჩენილი და „მთელს ეკონომიურს აგებულებას ინგლისისას ძვალსა და რბილში გაუჯდა და სიმართლედ აღიარებული იყო“ (1, ტ.9, გვ.38). მიუხედავად იმისა, რომ მიწათმოქმედი „ამ მოძღვრებამ გაათახსირა და ცარიელზედ ულუკმაპუროდ დასვა,“ (1, ტ.9, გვ.39).

XV–XVI საუკუნეებში, ინგლისის ხელისუფალნი შეეცადნენ, რომ როგორმე ლორდთა მიწათმფლობელებისათვის უფლებები შეეზღუდათ და მცირე ფერმერებისათვის რაიმე შეღავათი მიეცათ. ლორდებს არ გაეუქმებინათ მცირე ფერმერები და ამით „საიჯარო და საღალო ადგილები საძოვრებად“ არ გადაექციათ. მაგრამ, ილიას თქმით:

„ეს კეთილი განზრახვა იმით დამთავრდა, რომ წვრილი საღალე მამულები სულ გაუქმდა და მარტო მოდიდო ფერმერებიღა დარჩა და მის გამო წვრილნი მიწათმოქმედნი ცის ანაბარად დარჩნენ; და ეს მით უფრო შესამჩნევი იყო, რომ ამისთანა წვრილნი მიწათმომქმედნი უმრავლესობას შეადგენენ“ (1,ტ.9,გვ.39).

ამ საკითხების მოსაგვარებლად მთავრობას შეუქმნია კომისია, რომელსაც შეუსწავლია ეს საკითხები და მთავრობისათვის რჩევა მიუცია: ლორდებს, რომ არ გაეუქმებიათ ფერმერები, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილიყო კანონით მიწის რაოდენობა ფერმერებისათვის, რომ გლეხს საშუალება ქონოდა „იჯარით მაინც აიღოს ხოლმე მამულის საკეთებლად და თავის-თავის სარჩენად, ამაზედ შეტანილი კანონპროექტი პარლამენტმა უარ-ჰყო. საკვირველიც არ არის. მაშინ პარლამენტში ბურთი და მოედანი ეჭირათ მიწათმფლობელთა და მათგან ეკონომიურად დამონავებულთა ფერმერთა“ (1, ტ.9, გვ.39).

გლეხებს, 1549 წელს მოუწყვიათ „აღრეულობა, მაგრამ ამაოდ და უქმად ჩაიარა.“ მაგრამ ლორდების წინააღმდეგ მოძრაობა არ შეწყვეტილა.

1841 წელს, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწემ, პრემიერ მინისტრმა (1841–1846) ტორების პარტიის წარმომადგენელმა რობერტ პილმა (Peel) (1758–1850) ილიას თქმით:

„შესანიშნავი ეკონომიური ცვლილება მოახდინა, რომელმაც დედააზრი საკუთრების ხელშეუხებლობისა ზოგადის სახით შეარყია და ამით ტორები შეაფუცხუნა. ერთხელ აღძრული აზრი არ შეჰფერხდა და საზოგადოებაში გზას იხსნიდა თანდათან“ (1, ტ.9, გვ.40).

1847 წელს, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწემ, გრაფმა, პრემიერ-მინისტრმა (1846–1852) ვიგების წინამძღოლმა ჯონ რასსელმა (Russell) (1792–1878) გამოაცხადა:

„რომ სათემო მამულები სყიდვით გამოვიხსნათ ლორდების ხელიდამო და ღარიბს მიწათმოქმედებს დავურიგოთო“ (1, ტ.9, გვ.40). ილია შენიშნავს, რომ „ამ დროს „სათემო“ მამულებს იმისთანა მამულებს ეძახდნენ, რომელნიც ლორდების ხელში იყო საკუთრებასავით და სოფლელთ მარტო საძოვრად ხმარების ნება ჰქონდათ“ (1, ტ.9, გვ.40).

1848 წ. ინგლისში გამოსცეს კანონი, (Encumbered Estates Act), „რომლის ძალითაც ირლანდიაში სამაიორატო მამულებს ყადაღა ახსნეს გაუსყიდველობისა და ნება მიეცათ სამაიორატო მამულები ეყიდნათ მსურველთა“ (1, ტ.9, გვ.400). ილიას თქმით, ეს კანონი, ირლანდიისათვის „ღვთის წყალობა“ ყოფილა.

გლეხებისა და მცირე ფერმერების, ცხოვრების პირობების შემსუბუქების გამო არა ერთი გამოსვლები და მიტინგები გამართულა. მიწათმფლობელობის საქმის შესახებ, თავიანთი მოსაზრებები გამოუთქვამთ, ინგლისის გამოჩენილ ორატორებს, ეკონომისტებს, მეცნიერებს, მწერლებს, სახელმწიფო მოღვაწეებს და ჟურნალ-გაზეთებს.

ილია წერს, რომ ინგლისში მიღებული ყოფილა მიწათმფლობელობის ერთგვარი ჩვეულება, რომელსაც „ოლსტერის ჩვეულებას“ ეძახიან და „ფეხი მოიკიდა“ სტიუარტების საგვარეულოს პირველი წარმომადგენელის, (შოტლანდიის დედოფლის 1542 წლიდან, ფაქტობრივად 1561-იდან–1567), მარიამ (მერი) სტიუარტის (Mary Stuart) (1542–1587) ვაჟის, ინგლისის მეფის 1603 წლიდან ჯეიმზ I (James) (1566–1625) (შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VI 1567 წ-დან), დროს. „ამ ჩვეულების ძალით ფერმერი მივიდოდა, იჭერდა მამულის პატრონის ნებადართვით მიწას, ბინას იკეთებდა, სიტყვიერად ურიგდებოდა ფასს იჯარისას და არავითარს ხელშეკრულებას ერთმანეთს არ აძლევდნენ. ერთსაც ნება ჰქონდა – როცა სურდა აყრილიყო, მეორესაც – როცა უნდოდა აეყარნა და დაეთხოვნა, ხოლო ორსავე შემთხვევაში ფერმერს ეძლეოდა იმისი ფასი, რაც გაეკეთებინა და ჩაეყარა მამულში. ამ ფასსა ფერმერი იღებდა არა მამულის პატრონისაგან, არამედ იმ კაცისაგან, ვინც მის სანაცვლოდ მის დანაჭერს მამულში შემოდიოდა დასაბინავებლად. ეს ჩვეულება შეწყნარებული იყო თვითონ ერის მიერ და გაკანონებული კი არ ყოფილა“ (1, ტ.9, გვ.43).

ამ ჩვეულებაზე დაყრდნობით ინგლისის პრემიერ-მინისტრს უილიამ გლადსტონს (ილია უწოდებს დიდსა და სახელოვანს), 1872 წელს, პარლამენტში შეუტანია განსახილველად ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახებ „სახელოვანი ბილი“ და გაუყვანია კიდეც, „რომელსაც Irish land-bill-ს ეძახიან“ და იქვე დასძენს, რომ ეს ბილი სინამდვილეში „დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ, ინგლისის დუღაბით გაქვითკირებულის მიწათმფლობელობის აგებულება რომ ვნახეთ, ეს კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მიტანილი. მით უფრო შესანიშნავია იგი კანონი, რომ მისი მეოხებით ცვლილება აზრისა მიწათმფლობელობის შესახებ თეორებრივი კი აღარ არის დღეს ინგლისში,

არამედ თქმული ქმნულად არის გადაქცეული და საქმით არის განხორციელებული“ (1, ტ.9, გვ.43).

ავტორი განაგრძობს ამ კანონის შესახებ მსჯელობას, მას ახასიათებს და შემდეგ წერს, რომ:

„მაგ კანონს, თუმცა სიფრთხილით, მაგრამ აშკარად დიდმნიშვნელობიანი საგანი უდევს სარჩულად – არა მარტო ინგლისისათვის, არამედ მთელ დასავლეთ ევროპისათვისაც. ქონებრივი წყობილება ეხლანდელის საზოგადოებისა დასავლეთ ევროპაში... უნდა იმ საფუძველზედ აშენდეს, რომ ფერმერმა, ღალით მიწების მჭერელმა, უმამულო მუშაკაცმა საკუთრებად შეისყიდონ მამულნი, რომელზედაც დროებითად და ვადით დგანან“ (1, ტ.9, გვ.45).

ამ წერილს, ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„დასავლეთი ევროპა ესე გულმოდგინედ შეჰყურებს დღეს ინგლისის შინაურს საქმეს და თვალს არ აშორებს მოხუცებულს კაცს გლადსტონს, რომელმაც სიჭაბუკის სითამამით და მხნეობით დღეს ჭიდილი გაუბედა.. (აქ, ცენზურას ტექსტი ამოუღია), წყობასა, და მოხუცებულობისაგან დღემიწურვილი არ შეუშინდა არც კიცხვას, არც ლანძღვას, არც მუქარას, მარტო სიმართლით სურს ჩავიდეს საფლავში“ (1, ტ.9, გვ.46).

წერილში, „ირლანდია და ინგლისი“, ილია ჭავჭავაძე ზოგადად განიხილავს შოტლანდიის მიწათმოქმედების საკითხებს და შოტლანდიისა და ინგლისის ურთიერთ დამოკიდებულებას.

ცნობილია, რომ შოტლანდიაში ადგილობრივი მოსახლეობა ყოფილა **პიქტები**, რომლებიც ძირითადათ ბინადრობდნენ ჩრდილოეთ მხარეში. შოტლანდიის სამხრეთში, ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისში, ირლანდიიდან გადმოსახლებულან სკოტების კელტური ტომები – **გალები**, (გაელები, გოიდელები).

შოტლანდიას გამუდმებით უხდებოდა სხვადასხვა ტომთა თავდასხმისა და შემოსევების მოგერიება. ახ. წ. დასაწყისში, **კალედონიელები**, (შოტლანდიის ძველი დასახელებაა), განსაკუთრებით კალედონიის ჩრდილოეთი მხარე, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რომაელებს, რომლებიც, ბრიტანეთის დაპყურობის შემდეგ, ცდილობდნენ მათი მიწების ხელში ჩაგდებას.

ახ. წ. V ს. დასასრულსა და VI ს. დასაწყისში ირლანდიიდან დაიწყეს გადმოსახლება კელტების ერთ-ერთმა ტომებმა – **სკოტებმა**, რომელნიც დასახლდნენ შოტლანდიის სამხრეთში. აქედან წარმოსდგა სახელწოდება „შოტლანდია“ Scotland, ანუ „სკოტების ქვეყანა“.

V–VI სს. ჩრდილოეთ გერმანელმა ტომებმა, ანგლოსაქსებმა ბრიტანეთი დაიპყრეს. ბრიტების ნაწილმა თავი შეაფარა შოტლანდიას. ბრიტანეთის დაპყრობის შემდეგ, VI ს. ბოლოსა და VII ს. დასაწყისში,

ანგლები შეიჭრნენ შოტლანდიაში და დასახლდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეში.

IX საუკუნეში, შოტლანდიაზე დაიწყეს თავდასხმა სკანდინავიელმა ნორმანებმა და მათ შეძლეს შოტლანდიის ჩრდილოეთი მიწა-წყლის დაპყრობა და იქ დასახლება.

თანდათან, ჩამოსახლებულნი და ადგილობრივი მოსახლეობა ერთმანეთს შეერივნენ და შეერწყმნენ. წარმოიშვა გვაროვნული თემები, სამთავროები და მცირე სამეფოები. რომელთა შორის, თანდათან, ყველაზე უფრო მძლავრნი აღმოჩნდნენ **სკოტებისა** და **პიქტების** სამეფოები.

XI საუკუნეში, სკოტების სამეფომ საფუძველი ჩაუყარა შოტლანდიის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. აქედან მოყოლებული შოტლანდია გამუდმებით თავს იცავდა სკანდინავებისა და განსაკუთრებით ინგლისელთა თავდასხმისაგან.

შოტლანდიის მეფის ხელისუფლება იყო სუსტი და ხშირად მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. მსხვილ გვარეულობებს შორის ხშირად იმართებოდა ბრძოლები და ფეოდალური დაპირისპირება. ამავე დროს დაიწყო გლეხთა გამოსვლები და აჯანყებები, რომლებიც მოითხოვდნენ თავიანთი მდგომარეობისა და უფლებების გაუმჯობესებას. შოტლანდიაში მკვეთრად გამოიკვეთა, გეოგრაფიული პირობების გამო, ორი ურთიერთ საპირისპირო ოლქი: **ჩრდილოეთის, მთიანი მხარე**, სადაც შეფერხებული იყო ფეოდალიზმის განვითარება. ნელა ხდებოდა გვაროვნული წყობილების დაშლა და ძირითადი შემოსავლის წყარო იყო მესაქონლეობა; და **სამხრეთის, დაბლობი**, ვაკე მხარე, სადაც შედარებით სწრაფად მიმდინარეობდა ფეოდალიზმის განვითარება.

შოტლანდიაში გლეხობა მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული: ძირითადათ იყვნენ ვილანი-ყმები, რომლებიც თავიანთი ბატონების ნებისმიერ სურვილს ასრულებდნენ, იხდიდნენ მძიმე საბატონო ბეგარას და შეზღუდული ქონდათ მიწის ნაკვეთიდან წასვლის უფლება; გლეხობის ნაწილს წარმოადგენდნენ თავისუფალი მოქალაქეები, რომელთაც არაფერი არ გააჩნდათ და არანაკლები იყვნენ, ეგრეთ წოდებულნი სერვები, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ ფეოდალებზე და შეზღუდული ქონდათ როგორც სამოქალაქო ასევე სამეურნეო უფლებები.

შოტლანდიის ამ მდგომარეობით ისარგებლა ინგლისის მეფემ (1272–1307) ედუარდ I-მა (Edward I) (1239–1307) პლანტაგენეტთა საგვარეულოს წარმომადგენელმა და 1296 წელს შეიჭრა შოტლანდიაში. თავად-აზნაურთა უმრავლესობა ინგლისელებს დაემორჩილა. მაგრამ, შოტლანდიის მოსახლეობა, გლეხობა და დანარჩენი თავადაზნაურობა ავჯანყდა (1296–1314). ავჯანყება, შოტლანდიის ისტორიაში შესულია „ომი დამოუკიდებლობისათვის“ სახელით. ეს ავჯანყება იყო ერთსა და იმავე დროს როგორც გლეხთა უფლებების დაცვისა, ასევე ნაციონალური თავდაცვისა. პირველი ავჯანყება 1305 წელს დამარცხდა. მაგრამ 1306 წელს დაიწყო ახალი ავჯანყება დამოუკიდებლობისათვის, რომელსაც მიემხრნენ თავადაზნაურთა ნაწილი, სამღვდელოება და ქალაქებიც. სათავეში ჩაუდგა რობერტ ბრუსი (ინგლ. Robert the Bruce) (1274–1329). იგი მეფედ გამოაცხადეს 1306 წ. და ისტორიაში შევიდა რობერტ I-ის სახელით. მან 1314 წელს ბანოკბერთან ბრძოლაში დაამარცხა ინგლისელები. 1322 წ. ინგლისელების ახალი უშედეგო ლაშქრობისას რობერტმა, ინგლისელებთან დროებითი ზავი დადო. ხოლო, 1328 წელს ინგლისი იძულებული გახდა შოტლანდიის დამოუკიდებლობა ეღიარებინა. თუმცა, დაპყრობილი მიწები ისევ ლორდებს დარჩათ.

1366 წელს შოტლანდიაში ერთ პალატიანი პარლამენტი შეიქმნა, რომელიც მსხვილი და წვრილი თავად-აზნაურების, სასულიერო და ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. XIII–XIV სს-ში, ხდება შოტლანდიის ეროვნების ჩამოყალიბება.

XIV საუკუნიდან შოტლანდიაში იწყება ფეოდალების მომძლავრება, ურთიერთ დაპირისპირება და მტრობა. რომელიც ქვეყანას ასუსტებდა და ანადგურებდა მეურნეობას. სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა მოჩვენებით ძალაუფლებას. ქვეყანას სინამდვილეში მართავდნენ დიდგვაროვანი ფეოდალების წარმომადგენლები: **ჰამილტონები, დუგლასები, ბოკლეილები, სოტერლანდები** და სხვები. ისინი აწყობდნენ ავჯანყებებს და თავის შეხედულებისამებრ ცვლიდნენ მათთვის მიუღებელ მეფეებს.

საგარეო ურთიერთობაც შოტლანდიას გაურთულდა, ვინაიდან მან გაწყვიტა კავშირი ინგლისთან და დაუკავშირდა საფრანგეთს. ამ დროს (1327–1453), კი მიმდინარეობდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ეგრეთ წოდებული „ასწლიანი ომი“. მართალია საფრანგეთი შოტლანდიას ხანდახან ეხმარებოდა ინგლისის წინააღმდეგ, მაგრამ მისი მდგომარეობა ამით არ გამოსწორებულა, რადგან ის

ხშირად გამოუვალ პოლიტიკურ მდგომარეობაში ვარდებოდა. ასე რომ, შოტლანდია საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის მხრივ ფაქტიურად იყო დაუცველი.

XVI საუკუნის შუა წლებში, საეკლესიო რეფორმაციის მოღვაწის, კალვინიზმის მამამთავრის, ჟან კალვინის (Calvin, Calvinus) (1509–1564) მოწაფემ, შოტლანდიაში კალვინიზმის გამავრცელებელმა, ჯონ ნოქსმა (Knox) (1505/14–1572) შოტლანდიაში ჩაატარა რეფორმაცია. მან დააარსა პრესვიტერიანობა, რომელიც წარმოადგენდა პურიტანების ერთ-ერთ განშტოებას. პურიტანებს უწოდებდნენ ინგლისში XVI ს. 60-იან წლებიდან ინგლისელ პროტესტანტებს, „რომლებიც მიზნად ისახავდნენ ნახევრად პროტესტანტული ანგლიკანური ეკლესიის „განწმენდას“ რომის კათოლიციზმის „ნარჩენებისაგან“... პურიტანები უბრალოდ იცვამდნენ, მოკლედ იკრეჭდნენ თმას... მთელ დროს შრომასა და გარჯაში ატარებდნენ, უქმობდნენ მხოლოდ კვირა დღეს, როცა სახლში ისხდნენ და თავს ბიბლიის კითხვით იქცევდნენ“ (15, ტ.8, გვ.233). 1592 წ. პრესვიტერიანობა შოტლანდიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ხოლო, 1644 წ. პრესვიტერიანობა პარლამენტმა დაამტკიცა. პრესვიტერიანები ებრძოდნენ კათოლიკებს. განსაკუთრებული სისასტიკით ილაშქრებდა ჯონ ნოქსი შოტლანდიის კათოლიკე დედოფლის მარიამ I-ის წინააღმდეგ. 1567 წ. მან, დიდ-გვაროვანთა შემწეობით მარიამი სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო და იძულებული გახდა მარიამი, სამეფო ხელისუფლება გადაეცა მისი შვილის ჯეიმზისათვის. 1568 წ. მარიამი გაიქცა ინგლისში. ინგლისის დედოფლის (1558–1603) ელისაბედ I-ის (ელიზაბეთ) (Elizabeth) (1533–1603) ტიუდორის (მისი მმართველობის დროს „ელისაბედის საუკუნეს“, „ოქროს ხანას“ უწოდებენ) ბრძანებით მარიამი ფოთერინგეის ციხეში მოათავსეს. აქ ელისაბედ დედოფლისა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, სასამართლოს გადაწყვეტილებით 1587 წ. მარიამი სიკვდილით დასაჯეს.

1603 წელს, ელისაბედ I-ის გარდაცვალების შემდეგ, ინგლისის მეფე გახდა, შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VI, ჯეიმზ I-ის სახელწოდებით, ჯეიმზ I სტიუარტის (James I, James VI Stuart) (1566–1625) დროს, ინგლისი და შოტლანდია დამოუკიდებელნი რჩებოდნენ, ერთი მმართველის ქვეშ. მის შემდეგ, ინგლისის მეფის (1625–1649) ჩარლზ I (Charles) სტიუარტის (1600–1649) დროს, შოტლანდიაში ანგლიკანობის გავრცელებამ, გამოიწვია აჯანყება და დაიწყო ე. წ. „ინგლისის რევოლუცია“, რომელსაც „ინგლისის სამოქალაქო ომს“ (ინგლ. English Civil War), ზოგჯერ „პურიტანულ რევოლუციასაც“ უწოდებენ. 1638 წელს სტიუარტების წინააღმდეგ, შოტლანდიის

რეფორმაციის მომხრეებმა, პრესვიტერიანებმა, ხელი მოაწერეს ეროვნულ შეთანხმებას („კოვენანტს“). 1639 წელს შოტლანდიის ჯარი ლონდონისაკენ გაემართა. შოტლანდიასა და ინგლისს შორის ომში (1639–1640), ჩარლზ I დამარცხდა და იგი იძულებული გახდა, რომ წასულიყო დათმობებზე და ამიერიდან არ ჩარეულიყო შოტლანდიის სამღვდელოების საქმეებში და ამავე დროს გადაეხადა შოტლანდიისათვის სამხედრო დანახარჯები. ამავე ხანებში, ჩარლზ I-სა და პარლამენტს შორის იმდენად დაიძაბა მდგომარეობა, რომ ჩარლზ I-მა პარლამენტი დაითხოვა. ამან გამოიწვია ხალხის უკმაყოფილება. 1642 წელს მეფე ლონდონიდან იორკში გაიქცა. მეფემ და პარლამენტმა დაიწყეს საკუთარი ჯარის ჩამოყალიბება. დაიწყო სამოქალაქო ომი. დასაწყისში, მეფის ჯარმა წარმატებას მიაღწია, მაგრამ, შემდეგ, ინგლისის რევოლუციის პოლიტიკურმა მოღვაწემ, პოლიტიკური პარტიის – ინდეპენდენტების მეთაურმა, ოლივერ კრომველმა (Cromvell) (1599–1658) პარლამენტის კარგად გაწვრთნილი ჯარი ჩამოაყალიბა და 1645 წელს, ნეიზბისთან, ჩარლზ I სასტიკად დაამარცხა. მეფე იძულებული გახდა 1647 წელს შოტლანდიაში გაქცეულიყო. იგი შეიპყრეს და ხეპტონ კორტის ციხეში ჩასვეს. მაგრამ, იგი გაიქცა და დაიწყო ხელახლა ძალების მოგროვება. მან შეძლო შოტლანდიელების გადმობირება. 1648 წელს კრომველმა, პრესტონთან შოტლანდიელები დაამარცხა და მეფე ხელახლა შეიპყრეს. 1649 წლის 27 იანვარს სასამართლომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და 30 იანვარს იაიტჰოლის სასახლის წინ მეფეს თავი მოჰკვეთეს. ინგლისი გახდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა (Commonwealth of England). 1650 წელს ოლივერ კრომველმა გაილაშქრა შოტლანდიის წინააღმდეგ და 1652 წ. მთელი შოტლანდია დაიპყრო. ხოლო, 1654 წელს ო. კრომველის ბრძანებით, ორდონანსით, შოტლანდია ინგლისს შეუერთდა.

ო. კრომველის გარდაცვალების შემდეგ, ინგლისში დაიწყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა. 1660 წელს პარლამენტმა გადაწყვიტა ისევ აღედგინა მონარქია და მოიწვია მეფედ ჩარლზი, ჩარლზ I-ის უფროსი შვილი. ინგლისის მეფის ჩარლზ II-ის (1630–1685) დროს, ინგლისსა და შოტლანდიაში სტიუარტების ძალაუფლების აღდგენისას, (1660–1688) შოტლანდიაში პარლამენტი აღსდგა, რომელმაც გააუქმა „კოვენანტი“ (1679–1685). ინგლისის საწინააღმდეგოდ მომხდარი აჯანყებები დამარცხდა.

ინგლისთან შეერთებამ, შოტლანდიაში გამოიწვია სოფლის მეურნეობის, წარმოებისა და ვაჭრობის აღმავლობა და განვითარება. მაგრამ, სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლიდა მდიდარი მემამულეების, ფეოდალების, დაქსაქსუ-

ლობა და ურთიერთ მტრობა. მთელი XVIII საუკუნის განმავლობაში, შოტლანდიის გვაროვნული თემები, კლანები, ცდილობდნენ თავიანთი უფლებების აღდგენასა და შენარჩუნებას. მათი მცდელობა, შოტლანდიის სამეფო ტახტზე აღედგინათ ჩარლზ I-ის ვაჟი, შოტლანდიის მეფე ჯეიმზ VII, (ინგლისის მეფე ჯეიმზ II), (James) (1633–1701) და ამით თავიანთი უფლებები განემტკიცებინად, მარცხით დამთავრდა. ჯეიმზი 1688 წ. საზღვარგარეთ გაიქცა. 1707 წლის უნიით (ხელშეკრულებით) ინგლისის სამეფოს და შოტლანდიის გაერთიანებით წარმოიქმნა დიდი ბრიტანეთი (დიდი ბრიტენეთის სამეფო).

შოტლანდიის პარლამენტი გაუქმდა. ამიერიდან შოტლანდიას თავისი არჩეული წარმომადგენლები უნდა გაეგზავნა ინგლისის პარლამენტში. შოტლანდიის პრესვიტერიანობის სარწმუნეობამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, შოტლანდიაში იყვნენ სტიუარტების საგვარეულოს მომხრეები. მათი (1709–1715, 1745–1746) აჯანყებებიც, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ფეოდალების გარდა შოტლანდიის მთიანი მხარის თემების გლეხებიც, ინგლისის ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს ჩაახშო. კლანური წყობილება და ფეოდალური გასამართლება და განკითხვა გაუქმდა. ამან გამოიწვია შოტლანდიაში კაპიტალიზმის განვითარება და საბოლოოდ, სოფლის მეურნეობისა და წარმოების, ინგლისთან გათანაბრება. ინგლისსა და შოტლანდიაში ჩამოყალიბებული ერთობლივი ადმინისტრაციული და პოლიტიკური ურთიერთობები ხელს უწყობდა შოტლანდიელების გამრავლებას და აღმავლობას. XIX საუკუნეში დაიწყო ქალაქების სწრაფი ზრდა და სხვ.

ილია ჭავჭავაძე წერილში, „ირლანდია და ინგლისი“-ს მეოთხე ნაწილში, შოტლანდიის მიწათმოქმედების შესახებ შემდექს გადმოგვცემს:

„მეორე ნაწილი ეხლანდელის ინგლისისა – შოტლანდიაა. შოტლანდიაში, საცა 20 მილიონზედ მეტი აკრი მიწაა და სამს მილიონზედ მეტი მცხოვრები, ყველაზედ მდიდარი მამულის მეპატრონენი არიან მთელს დედამიწის ზურგზედ“ (1, ტ.9, გვ.20).

ზოგიერთებს, „ერთ მილიონ ნახევარი აკრი მამული“ ჰქონიათ. ამის მიზეზად ილია თვლის იმ გარემოებას, რომ აქაური მეფეები, „შოტლანდიის მებატონეთა ერთგულების გამო, აქ უფრო მწყალობელის თვალით უყურებდნენ დიდთა მებატონეთაგან მამულების დაჩემებას, ვიდრე ინგლისში“ (1, ტ.9, გვ. 20).

შოტლანდიაში, მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობდა მსხვილ ფეოდალებს. დაპყრობილ და დაკავებულ მიწებს საშვილიშვილოდ უმტკიცებდა მემამულეებს. საკომლო მამულები გლეხებს ერთმეოდათ და ულუკმაპუროდ დარჩე-

ნილი გლეხები იძულებულნი იყვნენ, „ვისაც ღონე და შეძლება ჰქონდა“, სხვა ქვეყნებში, ძირითადათ ამერიკაში, წასულიყვნენ, ან „უალაგო-ალაგას ზღვის პირას კლდეებზედ ქოხები გაიკეთეს და თევზის ჭერით თავს ირჩენდნენ, ან არა-და ფაბრიკის და დღიურ მუშებად ჩაეწერნენ...

ჩრდილოეთი შოტლანდია მეტად მთიანი ქვეყანაა, აქ ხვნა და თესვა ბევრს არას იძლევა, და ამიტომაც „განწმენდილ მემამულეთა“ აქ უფრო პირუტყვის მოშენება ირჩიეს. პირუტყვთა მოშენებას ფართო ადგილები უნდა და ამის გამო აქ, ჩრდილოეთ შოტლანდიაში, შიგადაშიგ ჩაჩხირებული სოფლები გლეხკაცობისა უფრო უშლიდა დიდთა მებატონეთა, ვიდრე სხვაგან. ამ „მამულების განწმენდის“ წესმა, აქ უფრო ძლიერ და სასტიკად იმოქმედა, ნამეტნავად წარსულ საუკუნეში“ (1, ტ.9, გვ.21). აქ, მთელი სოფლები გააჩანაგეს, აყარეს და „სოფლების ნაოხარზედ წმინდა ბეწვიანი ცხვარიღა დადიოდა... პირუტყვთა საძოვრად გადაიქცა ამოდენა ხალხის ნაჭერი მამულები. ამ სახით, ჩრდილოეთ შოტლანდიაში სხვილი მებატონობა ჩამოვარდა სხვილ-სხვილ ფერმებითა... ფერმის გარშემო სულ ტიტველა საძოვარი მინდვრებია თავიდამ ბოლომდე. სამხრეთს შოტლანდიაში უფრო შუათანა მებატონობა დარჩა და ფერმები წვრილ-წვრილნი არიან, იჯარით გაცემულნი. აქ მიწათმოქმედება მაღალ ხარისხზეა დაყენებული და დიდს შემოსავალსაც იძლევა“ (1, ტ.9, გვ.21)

წერილში, „ირლანდია და ინგლისი“ ილია დაწვრილებით ახასიათებს ირლანდიის მიწათმოქმედების საკითხებს, მის ისტორიას, სარწმუნეობას და დამოკიდებულებას ინგლისთან.

მეცნიერთა ვარაუდით, ირლანდიის მიწა-წყალზე, ძვ. წ. VI ათასწლეულში, პირველყოფილ ადამიანს უცხოვრია. ხოლო ნეოლითის ხანის დასასრულს აქ ჩამოსახლებულან სემიტური წარმოშობის ესპანელ ბინადართა მონათესავე ტომები – **იბერები**. ხოლო, ძვ. წ. IV საუკუნეში, ირლანდიაში ჩამოსახლებულან კელტური ტომები – **გოიდელები**; ძვ. წ (300–150) წლებში: **ბრიტები, ბელგები და პიქტები**. თვითეულ ტომს ჰყავდათ **რიაგები** – მეფეები.

ახ. წ. I საუკუნეში, ირლანდიაში იწყება ფეოდალური გაერთიანებების წარმოქმნა. მოსახლეობიდან ხდება თანდათან სხვადასხვა წოდებათა ფენების გამოყოფა, შეძლებულების, მშრომელების, მონების და ამავე დროს ხდება კლანური, გვაროვნული დაჯგუფებები, რომელთა გადმონაშთები თითქმის XIX საუკუნემდე შემორჩა. ახ. წ. II საუკუნიდან იწყება ტომების მიწა-წყლის გაერთიანებები ეგრეთ წოდებული **ტუატები**, რომელთა შემწეობითაც იქმნებოდა ადრე ფეოდალური ცალკეული სახელმწიფოები.

ახ. წ. 430 წელს, ირლანდიაში ქრისტიანობა გაავრცელა წმინდა პატრიკმა, რომელიც შოტლანდიიდან გადმოსულა. იგი ნახევრად ლეგენდარული პიროვნებაა. წმ. პატრიკი ირლანდიის პირველი ეპისკოპოსი იყო. ირლანდიის ეკლესია დამოუკიდებელი იყო. იგი არ ემორჩილებოდა პაპს და ხელს უწყობდა ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებას.

დასავლეთ ევროპაში, ირლანდია ერთადერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც გადაურჩა რომის იმპერიის დაპყრობით ომებს.

VIII საუკუნეში, ირლანდიაზე დაიწყო თავდასხმები ნორმანთა ვიკინგებმა, რომლებმაც შეძლეს ირლანდიის აღმოსავლეთ მხარის დაპყრობა და იქ გამაგრება, თუმცა, მათ მთლიანად ირლანდიის დაპყრობა და აქ, სახელმწიფოს შექმნა ვერ შეძლეს.

ირლანდიის რიაგმა, მიუნსტერის საგვარეულოს წარმომადგენელმა, ბოროიმბრიანმა (Brian, Boro-imhe) (926/941–1014) შეძლო ირლანდიის გაერთიანება და 1002 წელს გახდა ირლანდიის მეფე. მან, 1014 წ. დუბლინთან ახლოს კლონტარფთან, საშინელ სისხლისმღვრელ ბრძოლაში დაამარცხა, ირლანდიაში შემოჭრილი, დანიელ ნორმანთა გაერთიანებული ლაშქარი, თუმცა, თვითონ კი ამ ბრძოლაში დაიღუპა. ამის შემდეგ ნორმანებს ირლანდიის წინააღმდეგ აღარ გაულაშქრნიათ. ირლანდიის მიწა-წყალზე დარჩენილი ნორმანები დროთა განმავლობაში შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ი. ჭავჭავაძე ირლანდიის შესახებ გადმოგვცემს, რომ ირლანდიის მკვიდრნი, თავის ადგილ სამყოფელს „ერინს უწოდებენ“, და მათი „ზოგიერთი ნაშთი ძველადძველის ირლანდიის ყოფა-ცხოვრებისა“ გადმოცემულია „შოტლანდიის ჰომირის ოსიანის ლექსებში“ (I, ტ.9, გვ.22).

ილიას მიერ მოხსენებული „ოსიანი“ არის ოსიანი (ოისინი, ოზინი) (Ossian, Oisin), ინგლისურ ენაზე დაწერილი პოემა, რომლის ავტორად ითვლებოდა III საუკუნეში ირლანდიაში და შოტლანდიაში მცხოვრები ლეგენდარული მეომარი და კელტების ბარდი – გელი-ოსიანი. ჩვენამდე შემორჩენილია რამდენიმე სასიმღერო ნაწყვეტი, სადაც გადმოცემულია ფინგალის მეფე ფინისა და მისი მეომრების, ფიანების, საგმირო თავგადასავლები. ამ პოემამ დიდი გავლენა იქონია ევროპაში რომანტიზმის განვითარებაზე. შემდეგში დადგინდა, რომ ევროპაში გავრცელებული პოემა „ოსიანის სიმღერები“, არის ლიტერატურული მისტიფიკაცია, რომელიც გამოსცა 1765 წელს შოტლანდიელმა პოეტმა ჯეიმზ მაკფერსონმა (Macpherson) (1736-1796). იგი იძიებდა ძველ ლექსებს და თარგმნიდა გელური ენიდან.

ილია წერს, რომ „თუ ოსსიანის ლექსებს დავუჯერებთ, ირლანდია ცოტად თუ ბევრად განათლებული ყოფილა უწინდელთა დროთა შედარებით. მაგრამ რაკი სკანდინავებმა ირლანდიაზედ გამოლაშქრება დაიწყეს, ამ გამოლაშქრებას აკლება და რბევა ქვეყნისა თან მოჰყვა და ირლანდიის კულტურა სრულად გააქრო“ (1, ტ.9, გვ.22).

XII საუკუნის შუა დრომდე ირლანდიაზე თავდასხმები აღარ განხორციელებულა, მაგრამ, თვითონ ირლანდიაში მიმდინარეობდა რიაგებს შორის დაუნდობელი ბრძოლები. ირლანდიაში შექმნილი ამ მდგომარეობით ისარგებლა ინგლისის მეფემ 1154 წლიდან, პლანტაგენეტების საგვარეულოს პირველმა წარმომადგენელმა ჰენრი II ანჟუელმა (Henry) (1133–1189), რომელმაც ინგლისში თავისი ძალაუფლების გამტკიცების შემდეგ, დაიპყრო საფრანგეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი, 1169 წელს ირლანდიაში გაგზავნა თავისი ხელქვეითი ფეოდალები, ხოლო, 1172 წ. როდესაც თვითონ ჰენრი II გადავიდა ირლანდიაში თავისი ჯარით, ანგლო-ნორმანებმა შეძლეს აღმოსავლეთი მხარის დაპყრობა. ის გახდა კოლონიის, ეგრეთწოდებული პეილის („ღობე“) დასაყრდენი ადგილი. მთლიანად ირლანდიის დაპყრობა მან ვერ შეძლო.

ინგლისელებმა დაპყრობილ ადგილებში შემოიღეს მანორული წყობილება. მთელი მიწები საშვილიშვილოდ გაუნაწილდათ ლორდებს,რომელსაც ამუშავებდნენ ყმები (ვილანები) და თავისუფალი ფრიჰოლდერები – მიწათმფლობელი, რომელსაც სამხედრო სამსახური ევალებოდა.

ილია წერს, რომ ჰენრი II-ემ „1171 წელს შემოიკრიბა ჯარი და მთელი ირლანდია, რა ინგლისის პროვინციად გახადა, გაუნაწილა თავის ბარონებს და ინგლისის კანონი თავს მოახვია“ (1, ტ.9, გვ.24).

ირლანდიელებს არ შეუწყვეტიათ ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლები (1315–1318) ირლანდიისა და შოტლანდიის გაერთიანებულმა ჯარებმა, ზევით მოხსენებული რობერტ ბრუსის ძმის, უკანასკნელი ირლანდიის მეფის ედუარდ ბრუსის (Edward Bruce) (დაახლ. 1275–1318) მეთაურობით, არაერთხელ დაამარცხეს ინგლისელები და ისინი, ჩრდილოეთ ირლანდიიდან – ოლსტერიდან განდევნეს. მაგრამ, 1318 წ. გადამწყვეტ ბრძოლისას, როდესაც ირლანდიელები შეეცადნენ ინგლისის მთავარი ციხესიმაგრის დუბლინის აღებას და ამით სამუდამოდ თავის დაღწევას ინგლისელებისაგან, ირლანდიაში მყოფ ინგლისელებს დამატებითი ძალა შეემატა და ამავე დროს, ზოგიერთი ირლანდიელი ფეოდალის ღალატის წყალობით, გამარჯვება ინგლისელებს დარჩათ. ამ ბრძოლის დროს ედუარდი დაიღუპა, ხოლო შოტლანდიელები სამშობლოში დაბრუნდ-

ნენ. ამის შემდგომ ინგლისელებმა დაიწყეს ირლანდიის დამორჩილება. მაგრამ, ჩრდილოეთი ირლანდია ინგლისელებმა ვერ დაიპყრეს. ირლანდიელ ტომთა ხელმძღვანელები არ ცნობდნენ და არ ემორჩილებოდნენ ინგლისელებს.

ირლანდიის რიაგმა (1375–1417) არტ ოგ მაკ მორროუ კავანაგამ, შეძლო გაერთიანებინა ირლანდიელთა ტომთა ბელადები და სიცოცხლის ბოლომდე ებრძოდა ინგლისელებს. 1394 წელს ინგლისის მეფე (1377–1399) რიჩარდ II (Richard) (1367–1400) შეიჭრა ირლანდიაში და დაიკავა დედაქალაქი დუბლინი. მაკ მორროუს განდიდების შიშით ბარონები და ეპისკოპოსები მიემხრნენ რიჩარდს. მორროუც ბოლოს იძულებული გახდა დამორჩილებოდა რიჩარდს. 1395 წელს რიჩარდ II-ემ დატოვა ირლანდია. მაგრამ, 1399 წელს, მაკროუს ხელმძღვანელობით, ირლანდიის ერთ-ერთ ოლქში ლენსტერში დაიწყო აჯანყება და რიჩარდს ხელახლა მოუწია ირლანდიაში შეჭრილიყო. მაკ მორროუმ გაუმართა პარტიზანული ომი და ინგლისელებს საშუალება არ მისცა, რომ ირლანდია დაეპყროთ. რიჩარდ II, ვინაიდან ინგლისშიც არეულობა დაიწყო, სასწრაფოდ დატოვა ირლანდია. ამ ომების დროს ირლანდიაში თანდათან ჩამოყალიბდა ინგლის-ირლანდიის უმაღლესი წოდების დიდგვაროვანი საზოგადოება, რომელიც ემორჩილებოდა ინგლისის მთავრობას.

ისტორიიდან ცნობილია, რომ XV საუკუნეში, (1455–1485) ინგლისი მოიცვა ფეოდალურმა არეულობამ. ორ საგვარეულოს, პლანტაგენეტებსა და ლანკასტერებს შორის ტახტისათვის ამტყდარი ომი, მთელ ინგლისს მოედო. ეს ომი ცნობილია, როგორც „ვარდების ომის“ სახელწოდებით. ვინაიდან ლანკასტერების გერბზე ალისფერი ვარდი იყო გამოსახული, ხოლო იორკებისაზე კი – თეთრი ვარდი. „ლანკასტერებს უმთავრესად მხარს უჭერდნენ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ჩრდილოეთის და უელსის ოლქების ბარონები, იორკებს – ეკონომიკურად განვითარებული სამხრეთ-აღმოსავლეთის ინგლისის დიდ ფეოდალთა ნაწილი, აგრეთვე ახალი თავადაზნაურობა და მდიდარი მოქალაქენი, რომელთაც ვაჭრობისა და ხელოსნობის შეუფერხებლად განვითარება, ფეოდალური ანარქიის ალაგმვა და ძლიერი სამეფო ხელისუფლების დამყარება სურდათ“ (15, ტ.4, გვ.299).

1485 წელს ბოსუორთის ბრძოლაში დაიღუპა, ინგლისის მეფე 1483 წლიდან, იორკების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი, რიჩარდ III (Richard) (1452–1485). 1485 წელს, ინგლისის მეფე გახდა, ტიუდორების საგვარეულოს ლანკასტერების პირველი წარმომადგენელი, ჰენრი VII (Henry) (1457–1509). რომელმაც გამეფებისთანავე, ცოლად შეირთო, იორკების საგვა-

რეულოს პირველი წარმომადგენლის, ინგლისის მეფის (1461–1470, 1471–1483) ედუარდ IV-ის (Edward IV) (1442–1483) ასული და თავის გერბზე გამოსახა ორივე ვარდი. ამით დამთავრდა „ვარდების ომი“ ინგლისში.

ჰენრი VII შეეცადა ირლანდიაში ინგლისის ძალაუფლების აღდგენა. 1495 წელს, ირლანდიის პარლამენტი, რომელიც 1295 წლიდან მოქმედებდა, ინგლისის პარლამენტსა და მეფეს დაექვემდებარა.

XV–XVII საუკუნეებში, ირლანდიელები გამუდმებით განაგრძობდნენ ინგლისელების წინააღმდეგ გამოსვლებსა და ბრძოლებს. თანდათან ამ ავჯანყებებმა და ბრძოლებმა რელიგიური ხასიათი მიიღო. ირლანდიის კათოლიკები დაუპირისპირდნენ ინგლისელ პროტესტანტებს, რომელიც გადაიზარდა რელიგიურ-ნაციონალურ პოლიტიკურ ბრძოლაში. ყველა ავჯანყებები და გამოსვლები ინგლისელებმა სასტიკად ჩაახშეს.

1541 წელს, ინგლისის მეფე (1509–1547) ჰენრი VIII (Henry) (1491–1547) ირლანდიის მეფეც გახდა. განსაკუთრებით გაძლიერდა ირლანდიაზე თავდასხმები და ირლანდიელების დევნა, ირლანდიის მიწა-წყლის დაპყრობა და კოლონიზაცია, ჰენრი VIII-ისა და ანა ბოლეინის ასულის, ტიუდორთა საგვარეულოს ბოლო წარმომადგენელის, ინგლისის დედოფლის 1558 წლიდან, ელისაბედ (ელიზაბედ) I-ის (Elizabeth) (1533–1603) დროს. 1558 წელს გამოცხადდა სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც ირლანდიისა და ინგლისის სარწმუნეობები გათანაბრდნენ და გაერთიანდნენ. კათოლიკური ეკლესიები გაუქმდა და დაიწყო კათოლიკების დევნა. სარწმუნეობებს შორის მდგომარეობა უფრო გამწვავდა, როდესაც განრისხებულმა რომის პაპმა (1566–1572) პიუს V-ემ (მიკელე გისლიერი) (Ghislieri) (1504–1572) 1570 წელს გამოსცა საგანგებო ბულა – ბრძანებულება, სადაც დასწყევლა ინგლისის დედოფალი ელისაბედი და ეკლესიისაგან განკვეთა. სამაგიეროდ დედოფალმა კათოლიკური ეკლესიები გააუქმა. კათოლიკურ ეკლესიებს ჩამოერთვათ მიწები და დაიწყო კათოლიკების დევნა. ამან უფრო მწვავე ხასიათი მიიღო ირლანდიაში. განხორციელდა ირლანდიელთა როგორც კათოლიკების, ასევე მთელი მოსახლეობის დევნა, ირლანდიელებს ჩამოერთვათ მიწები და მათ მაგიერ დაიწყეს ინგლისელებისა და შოტლანდიელების ჩასახლება. თანდათან, ისევე როგორც ინგლისში, აქაც ჩამოყალიბდა მსხვილი მიწათმფლობელები – **ლენდლორდები** და ახალი თავადაზნაურობა, ეგრეთ წოდებული – **ჯენტრი**, რომლებმაც თავიანთი მეურნეობები სწრაფად გარდაქმნეს კაპიტალისტურ საწყისებზე.

ინგლისის მთავარი დასაყრდენი ციხესიმაგრე ირლანდიაში გახდა ოლსტერი.

ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებს ამ დროს:

„1558 წელს ელისაბედი, გამოჩენილი ხელმწიფე ინგლისისა, ბევრს ეცადა, რომ კათოლიკეთა რჯული დაეგდებინებინა ირლანდიისათვის და პროტესტანტული გაევრცელებინა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. ამ ამბავმა არია ქვეყანა და ელისაბედმა ძალით ხელახლად დაიმორჩილა“ (1, ტ.9, გვ.24).

მიუხედავად ინგლისელების მიერ დამყარებული ასეთი მკაცრი მმართველობისა ირლანდიაში, კოლონიური წყობილების წინააღმდეგ გამოსვლები არ შეწყვეტილა.

ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა (1641–1654) წლებში. აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა უმიწაწყლოდ დარჩენილნი კლანები და კათოლიკური სარწმუნეობის წარმომადგენლები. აჯანყება დაიწყო ოლსტერნში, მაგრამ მალე მთელ ირლანდიას მოედო. 1642 წელს შესდგა აჯანყებულთა კრება. თათბირის შემდეგ, აჯანყებულებმა სთხოვეს საფრანგეთსა და ესპანეთს დახმარება. საფრანგეთის კარდინალმა 1622 წლიდან არმან რიშელიემ (Richelien) (1586–1642), სიკვდილის წინ აჯანყებულებს აღუთქვა დახმარება. რომის პაპმა (1644–1655) ინოკენტი (ჯამბატისტა პამფილი) (Innocentius) X-ემ (1574-1655), რომელსაც უნდოდა ირლანდიის ინგლისისაგან ჩამოშორება და მისი დამორჩილება, მხოლოდ იმით დაეხმარა, რომ 1645 წ. აჯანყებულებს გაუგზავნა თავისი წარმომადგენელი. უნდა აღინიშნოს, რომ აჯანყებულებმა და განსაკუთრებით კათოლიკებმა, ბრძოლის დროს, გამოიჩინეს საშინელი სისასტიკე პროტესტანტების მიმართ. ინგლისელებისა და იეზუიტების გადმოცემით, მთელს ირლანდიასა და ოლსტერში, სადაც ძირითადათ იმყოფებოდნენ ახალმოსახლენი – ინგლისელები და შოტლანდიელნი – მოკლულთა რაოდენობამ დაახლოებით 150 ათასს გადააჭარბა.

აჯანყებულთა ეს მოქმედება, ოლსტერში დატრიალებული ტრაგედია, საბაბად გამოიყენა, რევოლუციის ბელადმა, ოლივერ კრომველმა და როდესაც ირლანდიელ აჯანყებულებს შეუერთდნენ მეფის ხელისუფლების მომხრენნი – **როიალისტები**, (1649–1650), მოაწყო სამხედრო მსვლელობა ირლანდიაში და სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. იგი ცდილობდა საბოლოოდ გაენადგურებინა როგორც როიალისტები და რეაქციონერები, ასევე ირლანდიის პატრიოტები, რომ შემდგომში ირლანდიელებს აღარასოდეს ჰქონოდათ გარეშე ძალების დახმარებისა და აჯანყების სურვილი. თვით, ო. კრომველის განცხადებით, ორი ციხე-სიმაგრე – **უექსფიორდი** და **დროედი** – მიწასთან გაასწორა და დამცველები უმოწყალოდ გაანადგურა. ათასობით ირლანდიელები იქნენ გაყიდულნი

როგორც მონები და გადასახლებულნი ვესტინდოეთის კუნძულებზე კატორღულ სამუშაოებზე. ყველა ციხესიმაგრე, გამაგრებული ადგილები, იქნა დანგრეული. გარდა ამისა ნადგურდებოდა მოსავალი და სათესი მინდვრები. მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული გახდა გაქცეულიყო და გადასახლებულიყო საზღვარგარეთ. ო. კრომველს სურდა, ირლანდიის სამხრეთში მცხოვრებნი ირლანდიელები გადაესახლებინა ჩრდილოეთში. ჩამორთმეული მიწა-წყალი, სახნავ-სათესი მიწები გადაეცათ ინგლისელ ჯარისკაცებს და იმ ირლანდიელებს, რომლებიც განუდგნენ ინგლისის მეფეს ჩარლზ I-ეს, რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ინგლისის პარლამენტის უმაღლესი ტრიბუნალის განაჩენით სიკვდილით დასაჯეს.

ომმა და ომის შედეგად გამოწვეულმა შიმშილობამ და ეპიდემიამ, მთელი ირლანდიის ეკონომიკა ძირს დასცა და მოსახლეობა, რომელიც 1646 წელს ითვლებოდა 1.500 ათასზე მეტი მცხოვრები, 1652 წლისათვის გახდა 850 000, აქედან 150 000 იყვნენ შოტლანდიელნი და ინგლისელები.

ირლანდიის ამ დროის შესახებ ი. ჭავჭავაძე წერს:

„ჰენრი II-იდამ დაწყებული 1649 წლამდე არა ერთხელ აღუდგა ირლანდია ინგლისს პოლიტიკურ მიზეზთა გამო, ხოლო კრომველმა 1648 წელს ასეთი თავზარი დასცა ირლანდიელებს, დაიმორჩილა და ასე უწყალოდ მოექცა, რომ დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ, ფესვი დაუძინებელის მტრობისა, თითქმის კრომველის უღმერთო მოქმედებამ დანერგა. კრომველმა, რაკი დაამარცხა ირლანდია, თავისი სიძე აირტონი დააგდო გამგებლად ირლანდიისა. ამან, კრომველის ხელმძღვანელობით, ბევრს ჩამოართვა მამულები, მთელი მხარეები დააცარიელა, აჰყარა ხალხი, გადაასახლა სხვაგან, მრავალი ირლანდიელი გაჰყიდა ინდოეთში“ (1, ტ.9, გვ.24).

ო. კრომველის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში, სტიუარტების საგვარეულო დაბრუნდა, ირლანდიის მდგომარეობა არ შეიცვალა. სტიუარტების, ჩარლზ II და ჯეიმზ II დროს ხდებოდა ო. კრომველის პოლიტიკის გაგრძელება. ირლანდიელები საშინელ სიდუხჭირეს განიცდიდნენ. მათ არ ჰქონდათ საარსებო ის უმცირესი რაოდენობაც კი, რაც საჭირო იყო ადამიანის არსებობისათვის. ინგლისის მთავრობა, ყოველ მხრივ ავიწროებდა როგორც ეკონომიკურად ასევე პოლიტიკურადაც. ირლანდიის მიწათმოქმედთა საარსებო წყაროს წარმოადგენდა მხოლოდ მატყლის თვითნაკეთი ნაწარმი, რომელიც გაჰქონდათ ინგლისში; ირლანდიის მესაქონლეობაც დამოკიდებული იყო ინგლისზე, ვინაიდან იქ ხდებოდა ცოცხალი საქონლის გაყვანა. მაგრამ ინგლისში

ამ ნაწარმისა და საქონლის ფასების დაწევა იწვევდა ინგლისელ მეწარმეთა და მემამულეთა უკმაყოფილებას, ამიტომ ინგლისის პარლამენტმა 1666 წელს აუკრძალა ირლანდიელებს ამ საქონლის შემოტანა და მალე ირლანდიელების ეს ვაჭრობა ჩაკვდა. 1663 წელს ირლანდიელ მეზღვაურებს აეკრძალათ საერთოდ საზღვარგარეთ გასვლა. ინგლისელები თვლიდნენ ირლანდიას, როგორც დაპყრობილ მტრულად განწყობილ ქვეყანას.

ილია განიხილავს ინგლისის მეფის (1685–1688) ჯეიმზ II-ის დროს (ჯეიმზ II ილიას მოხსენებული ჰყავს, როგორც რუსულ სალიტერატურო წყაროებშია წოდებული – იაკობი) და წერს:

„იაკობ მეორის დროს, როცა მეორე რევოლუცია მოხდა ინგლისში, ირლანდიელნი მიემხრნენ იაკობს, რადგანაც იაკობი სულ იმის ცდაში იყო, რომ გაეძლიერებინა კათოლიკობა (თვითონ იაკობი კათოლიკე იყო) და დაემხო პროტესტანტობა ინგლისში. ამან თითქმის მთელი მოხელეობა ირლანდიისა, ჯარის უფროსნი ირლანდიაში სულ კათოლიკეთა აღსარებისა დანიშნა, და ირლანდიელებს, რადგანაც კათოლიკეთა სარწმუნეობისა იყვნენ, ეგონათ, ჩვენი დრო მოვიდაო, მაგრამ ხელახლად დამარცხდნენ და ამ დღიდამ ინგლისმა უფრო შეჰხუთა ირლანდია“ (1, ტ.9, გვ.25).

XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, ინგლისმა უფრო გააძლიერა ირლანდიელთა მიმართ მოქმედებები. ირლანდიელები, ქედს არ უხრიდნენ ინგლისელებს და განაგრძობდნენ ბრძოლას. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ირლანდიაში იქმნება გლეხთა ნახევრად ტერორისტული საიდუმლო საზოგადოებები: ჩრდილოეთში – **„ფოლადის გულები“** (Steel Hearts), და სამხრეთში – **„სამართლიანი ბიჭები“** (Right Boys). ამ საზოგადოებებში ერთიანდებოდნენ როგორც კათოლიკები, ასევე პროტესტანტები და სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები. ესენი ებრძოდნენ როგორც დამპყრობლებს, ასევე ირლანდიელ სახელმწიფო მოხელეებს, მემამულეებს და საეკლესიო წარმომადგენლებს, რომლებიც ავიწროებდნენ და აჩანაგებდნენ მოსახლეობას.

საფრანგეთის რევოლუციამ და ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს, 1781 წლის 19 ოქტომბერს იორკტაუნთან, ჯორჯ ვაშინგტონის (Washington) (1732–1799), ხელმძღვანელეობით და საფრანგეთის ფლოტის დახმარებით ინგლისის მთავარი ძალების დამარცხებამ, ბიძგი მისცა ირლანდიაში და აგრეთვე ევროპის ქვეყნებში, პატრიოტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, რომლებიც ცდილობდნენ ძველი წყობილების დამხობას. 1791 წელს ირლანდიაში, ბელფასტში, ჩამოყალიბდა პატრიოტულ-

რევოლუციონერთა საზოგადოება „გაერთიანებული ირლანდიელები“, რომელსაც ხელმძღვანელობდა უოლფ ტოუნი (Tone) (1763–1798). იგი დაუკავშირდა ინგლისში მომქმედ დემოკრატიულ საკორესპონდენტო საზოგადოებას, საფრანგეთის იაკობინელებსაც და სთხოვდა, რომ მათ ეღიარებინად ირლანდიის დამოუკიდებლობა. ინგლისის მთავრობის მიერ ამ საზოგადოების აკრძალვის შემდეგ, საზოგადოება გადავიდა იატაკქვეშეთში, ხოლო უ. ტოუნი გაიხიზნა საფრანგეთში. მიუხედავად მათი ზოგიერთი ხელმძღვანელების დაპატიმრებებისა, ისინი ემზადებოდნენ ავჯანყებისათვის. 1796 წელს საფრანგეთიდან გამოგზავნილმა დახმარებამ ქარიშხლის გამო, ირლანდიამდე ვერ ჩამოაღწია. ხოლო, 1798 წლის ავჯანყება, მიუხედავად ფრანგთა დახმარებისა, ინგლისის მთავრობამ სასტიკად ჩაახშო. ავჯანყებულები ზოგი სიკვდილით დასავჯეს, ზოგი გადაასახლეს. უოლფ ტოუნმა სიკვდილით დასჯის წინ თავი მოიკლა. 1801 წელს „უნიის შესახებ აქტით“ ირლანდიის პარლამენტი გაუქმდა თვით ირლანდიელ პარლამენტართა მოთხოვნით, ზოგიერთნი იყვნენ მოსყიდულნი, ხოლო დანარჩენნი კი იყვნენ შეშინებულნი ხალხთა გამოსვლების გამო. ირლანდიელთ ნება ეძლეოდათ თავიანთი წარმომადგენლები ჰყოლოდათ ინგლისის პარლამენტში. ირლანდია გადაიქცა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. ირლანდიელები განაგრძობდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ილია წერდა:

„1800 წელს ირლანდია ინგლისმა სრულად დაიმორჩილა და თავისთან შემოიერთა, პარლამენტიც გააუქმა და ყველა ნიშან-წყალი თვითმართველობისა. დღეს ინგლისის აღსარებაა გამეფებული ირლანდიაში, თუმცა იქ ამ აღსარებისა მარტო ერთი მეოთხედია, და დანარჩენი სამი მეოთხედი კათოლიკეთა აღსარებისანი არიან. დღეს ირლანდიის გამგებელად ინგლისიდამ ინიშნება მთავარმართებელი. ირლანდიას ინგლისის სამინისტროში ცალკე მინისტრი ჰყავს და ინგლისის საერთო ქვედა პარლამენტში ას ხუთის დეპუტატის ადგილი აქვს, და ზედა პალატაში 28 პერისა და 4 ეპისკოპოსისა“ (1, ტ.9, გვ.26).

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ირლანდიაში შეინიშნებოდა ერთგვარი ეკონომიკური წინსვლა. ინგლის-საფრანგეთის ომის დროს, ირლანდია გახდა ინგლისისათვის მთავარი ხორბლისა და კარტოფილის მიმწოდებელი. ასე, რომ ირლანდიის მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა სოფლის მეურნეობას მოჰკიდა ხელი. მაგრამ სასოფლო იარაღის ნაკლებობის გამო, გლეხს ხელით მუშაობა უხდებოდა. ირლანდია აგრარული ქვეყანა იყო და დღესაც ასეთივე დარჩა. მისი მიწის ფართობის 70%-ზე მეტი სოფლის

მეურნეობას უკავია, ხოლო, ამ ფართობის ნახევარზე მეტი, საძოვრებსა და მინდვრებს უჭირავს. სოფლის მეურნეობაში, უმთავრესად მსხვილი რქოსანი საქონელი არის განვითარებული და შეიძლება ითქვას, რომ დღესაც, ამ დარგში ირლანდიას, ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს.

XIX საუკუნის შუა წლებში ირლანდიაში წარმოიქმნა მსხვილი ფერმერული მეურნეობები. რის გამოც დაიწყო წვრილი მოიჯარებისა და მცირე ფერმერების თავიანთი ადგილებიდან აყრა და გაძევება. ამას თან დაემთხვა (1845–1848) წლებში სტიქიური უბედურება. ამ სამი წლის განმავლობაში მოუსავლიანობამ გამოიწვია საშინელი შიმშილობა, რის გამოც სიღარიბემ მიაღწია უმაღლეს ზღვარს. გლეხობა მოჯამაგირე ხდებოდა, ან იძულებული იყო სხვა ქვეყანაში გადახვეწილიყო. იმ დროინდელი მონაცემებით, შიმშილობის გამო დაიღუპა 1 მილიონზე მეტი ირლანდიელი და მოსახლეობის 1,5 მილიონზე მეტმა დატოვა თავისი ადგილ-სამყოფელი, ძირითადათ, გაიხიზნა ამერიკაში.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ირლანდიაში აგრარული მოძრაობები, გამოსვლები და ავჯანყებები არ წყდებოდა. ამ დროს პოლიტიკურ სარბიელზე იწყებს გამოსვლას ირლანდიის მუშათა კლასი. იქმნება სხვადასხვა კავშირები – **ტრედუნიონები**.

ირლანდიის ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელმა ცნობილმა ადვოკატმა, კრიმინალისტმა და ორატორმა, დენიელ ო'კონელმა (O'Konnell) (1775–1847), რომელიც ილაშქრებდა საიდუმლო საზოგადოებებისა და ძალდატანებითი მოქმედებების წინააღმდეგ, 1823 წელს დააარსა „კათოლიკური ასოციაცია", რომელიც მოითხოვდა კათოლიკებისა და პროტესტანტების პოლიტიკურ გათანაბრებას და კათოლიკებისათვის საარჩევნო ხმის მოპოვებას. 1826 წელს მან შეძლო კათოლიკების დახმარებით პარლამენტში მოხვედრა და 1829 წელს იგი გახდა ინგლისის პარლამენტში ირლანდიის ფრაქციის ხელმძღვანელი. 1840 წელს დააარსა **„რიპილერების ასოციაცია"**, რომელიც მოითხოვდა ინგლის-ირლანდიის 1801 წელს უნიის გაუქმებას და ირლანდიის ავტონომიური პარლამენტის აღდგენას. მიუხედავად მთავრობის მიერ აკრძალვისა, მან დაიწყო მთელს ირლანდიაში ხალხთა შეკრებები და მიტინგების ჩატარება. ერთ-ერთი მიტინგის ჩატარების დროს, იგი დააკავეს და სასამართლოს გადასცეს. თუმცა, ლორდთა პალატამ, სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და ამით მთავრობამ იგი მოკავშირედ გაიხადა.

ი. ჭავჭავაძე, დ. ო' კონელის დახასიათებისას წერს, რომ ირლანდიას გამოუჩნდა:

„ის ერთგული შვილი, რომელსაც დღევანდლამდე მადლობელი ერი ირლანდიისა თითქმის სასოებით იხსენიებს. იგი იყო ოცდახუთი წლის კაცი, უკვე გამოჩენილი ადვოკატი დუბლინში, ირლანდიის სატახტო ქალაქში, და სახელად ერქვა დანიელ ოკონნელი. 1800 წელს ოკონნელი გულმხურვალედ, მხნედ და მედგრად წინაღუდგა ირლანდიის გაერთებას ინგლისთან. მას შემდეგ, რაკი 1809 წელს შეადგინა საზოგადოება, ეგრეთწოდებული „კავშირი კათოლიკეთა“, თავისის საოცარის მჭერმეტყველობით ასეთი სახელი დაიგდო ირლანდიელთ შორის, რომ მისი სიტყვა ირლანდიისათვის კანონი იყო... 1843 წელს ამ დაუცხრომელმა მოყვარემ თავის ქვეყნისამ სამოცდარვა დიდი და წვრილი მიტინგები (კრება, ანუ ყრილობა ერისა) შეჰყარა, რვა ოქტომბრისათვის ცდილობდა პარლამენტი აღედგინა ირლანდიაში, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, საგანგებო კრება მოეწვივნა, მაგრამ ინგლისმა ჯარი მიუსია და გაუქარწყლა მამულიშვილური წადილი“ (1, ტ.9, გვ.36).

1842 წელს ირლანდიაში, რიპილერების ასოციაში, ჩამოყალიბდა ნაციონალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია „**ახალგაზრდა ირლანდია**“, ყოველკვირეული საგამომცემლო ორგანოთი „Nation“ – „**ერი**“.

ორგანიზაცია დროთა განმავლობაში გაითიშა ორ ნაწილად: ლიბერალებად და რადიკალ-დემოკრატებად. ლიბერალებს მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო მხოლოდ ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ბრძოლა, ხოლო, რადიკალ-დემოკრატები კი, – მოითხოვდნენ გლეხთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ირლანდიის განთავისუფლებას ინგლისის ბატონობისაგან და რევოლუციური მოძრაობის გაზრდას. 1847 წელს, ორგანიზაციის წევრები, გამოეყო რიპილერების ასოციაციას და შექმნეს ირლანდიის კონფედერაცია, რომლებიც მოითხოვდნენ სამხედრო ავჯანყებას და გლეხი-ფერმერების მიერ, მსხვილ მიწათმფლობელთა (ლენდროველთა) მიწების ჩამორთმევას. 1848 წელს, რევოლუციურად განწყობილი ხალხთა მოთხოვნით, მოაწყვეს არა წესიერად მოფიქრებული ავჯანყება, რომელიც გამოიხატა ძირითადათ მხოლოდ ფერმერთა რაზმების შეტაკებით პოლიციელებთან, ინგლისის მთავრობამ ეს ავჯანყება ადვილად დაამარცხა. ავჯანყების მონაწილენი ხანგრძლივი დროით გადაასახლეს და „Nation“ აკრძალეს. „ახალგაზრდა ირლანდიაც“ დაიშალა.

ამ მარცხის შემდეგ, ფერმერების გაერთიანებები მაინც განაგრძობენ მოქმედებას. 1850 წლიდან დაწყებული, ისინი ღებულობენ მხარდაჭერას და ფულად დახმარებას საზღვარგარეთიდან, ძირითადათ აშშ-დან, სადაც გახიზნულნი იყვნენ ირლანდიელები. 1858 წელს აშშ-ში შეიქმნა გაერთიანება „**ირლანდიის**

რევოლუციური ძმობა“, რომელიც „**ფენიების**“ სახელით არის ცნობილი. მასში გაერთიანებულნი იყვნენ: დაჭერისგან გადარჩენილნი და გადასახლებიდან გამოქცეულნი 1848 წლის აჯანყებულთა მონაწილენი, მუშები, ხელოსნები, მოსამსახურენი და ინტელიგენცია.

წერილში, „ირლანდია და ინგლისი“, ირლანდიის შესახებ ილია წერს, რომ:

„ასეთმა ყოფამ არყოფამ და ინგლისის ძალმომრეობამ აიძულა ირლანდიელნი შეედგინათ ირლანდიის გარეთ, უშიშროების გამო, საზოგადოება, რომლის წევრთ „ფენიები“ ეწოდებათ. ბუდე და ბინა ამ საზოგადოებას ამერიკაში აქვს. ირლანდიელთ ფენიებს საგნადა აქვთ ღონე და ქონება იმოდენა შემოიკრიბონ, რომ ორასი ათასი კაცი შეათობიარაღონ, გადმოიყვანონ ირლანდიაში, დაიხსნან ირლანდია და რესპუბლიკა გამართონ. ამათ, რა თქმა უნდა, დიდძალი მომხრენი თვით ირლანდიაში ჰყავთ. მოქმედება მათი სახუმარი არ არის და ინგლისს ძალიან ეფიქრება იმათგან. – იქვე, ილია შენიშნავს, – ფენია, ფინა, ანუ ფიონა გამოჩენილი გმირი ყოფილა ირლანდიისა 1700 წ. წინად და ფენიებმა იმის საპატიოდ და სახსოვრად დაირქვეს მისი სახელი“ (1, ტ.9, გვ.37).

„ფენიები“ მიზნად ისახავდნენ ირლანდიის განთავისუფლებას შეიარაღებული აჯანყების გზით. მაგრამ, ინგლისის მთავრობამ, სხვადასხვა საშუალებებით, ზოგიერთი ირლანდიელთა მოსყიდვით, ზოგიერთი მათი მოთხოვნის დათმობით, შეძლო, ირლანდიის საზოგადოების მაღალი წოდების ზოგი წევრების გადმობირება და ირლანდიის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაშლა. ამდაგვარი მოქმედებებით, ინგლისმა, 1867 წელს შეძლო, ირლანდიის სხვადასხვა საგრაფოში მოწყობილი აჯანყებების ჩახშობა.

ირლანდიელები განაგრძობდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ყალიბდებოდა სხვადასხვა გაერთიანებები, საზოგადოებები და საიდუმლო ჯგუფები.

XIX საუკუნის შუა წლებში, ინგლისის პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ზემოთ მოხსენებული უილიამ გლადსტონი, რომელიც ცდილობდა თავის მხარეზე გადმობირებია ირლანდიის უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენლები და ამავე დროს დაეშალა ირლანდიის ნაციონალური მოძრაობა. ილიას შეხედულებაზე უ. გლადსტონისა და მის მიერ გატარებული კანონების შესახებ, ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

XIX საუკუნის ბოლო წლებში, ყველა ქვეყანაში დაიწყო აგრარული კრიზისი. რაც გამოწვეული იყო საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად, სასოფლო-სამეურნეო საქონელზე ფასების დაცემაში. ისედაც გაჭირვებული ირლანდიის გლეხობა უფრო გაღატაკდა. ამას თან დაემატა, მოუსავლიანობა და დაიწყო შიმშილობა.

ყველაფერმა ამან გამოიწვია პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლებისა და მიწათმოქმედთა დაახლოება და ერთმანეთთან დაკავშირება.

1869 წელს, ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წევრმა, ინგლისის პარლამენტის ირლანდიის ოპოზიციის ხელმძღვანელმა, ი ს ა კ ბ ა ტ ტ მ ა (Butt) (1813–1879), წამოაყენა „ჰომრულის“ გეგმა, რომლის მიხედვით, ინგლისის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ, უნდა შექმნილიყო ირლანდიის პარლამენტისა და მმართველობის ეროვნული დაწესებულებები. მის მიერვე 1870 წელს დაარსდა **„ირლანდიის თვითმმართველობის ასოციაცია“**, რომელიც შემდგომში გახდა **„ჰომრულის ლიგა“**.

1877 წ. „ჰომრულის ლიგის“ ხელმძღვანელი გახდა, ზემოთ ნახსენები, ირლანდიის პოლიტიკური მოღვაწე, 1875 წლიდან ინგლისის პარლამენტის წევრი, ჩარლზ პარნელი. მისი შემწეობით 1879 წელს შეიქმნა ირლანდიის გლეხთა საადგილმამულო ლიგა, რომელიც ინგლისის მთავრობისაგან მოითხოვდა მიწის რეფორმას – ინგლისის მთავრობას უნდა შეესყიდა ლენდროდებისაგან მიწის ნაკვეთები და გადაეცა ან მიეყიდა ირლანდიელ ფერმერებისათვის. 1881 წელს ლიგამ ინგლისის მთავრობას როგორც იქნა გამოგლიჯა მიწის შესახებ კანონი. ამის შემდეგ, ამავე წელსვე მთავრობამ ლიგა დახურა, ხოლო ხელმძღვანელები დაიჭირა. ჩ. პარნელი ჩასვეს ციხეში. მან, 1882 წელს, ციხეში, შეუთანხმდა ინგლისის მთავრობას, რომ იგი გააუქმებდა მიწის კანონს და შეეცდებოდა მშვიდობიანობის დამყარებას ლედროველებთან, ხოლო მთავრობა სამაგიეროდ, აუქმებდა საგანგებო მდგომარეობას ირლანდიაში და გაანთავისუფლებდა დაპატიმრებულ ლიგის წევრებს. ამ ხელშეკრულებამ უკმაყოფილება გამოიწვია ირლანდიაში. კონსერვატორებმა, ინგლისის სახელმწიფო სათავეში მოსვლის შემდეგ, ჰომრულზე უარი თქვეს და პარლამენტში რამდენჯერმე ჩაშალეს ჰომრულის ბილის (კანონპროექტის) მიღება და ამავე დროს შეეცადნენ მისი ღირსების შელახვას, ვითომცდა მისი პირადი ცხოვრების ამორალური საქციელის გამო. 1890 წელს ჰომრულის ხელმძღვანელობიდან იგი გადააყენეს. ამდენი ცილისწამებისა, მის წინააღმდეგ გამოსვლებისა და ხალხში სახელის გატეხვის გამო, ამ ცნობილ ორატორსა და ირლანდიის თავისუფლებისათვის მებრძოლს, ჯანმრთელობა შეერყა და ახალგაზრდა (45 წლის) გარდაიცვალა.

1886 წელს დაწერილ წერილში, ილია ირლანდიასა და ჩ. პარნელის შესახებ წერს:

„ირლანდიის ნატვრის განხორციელებისათვის ირლანდიის ერს ორი სხვადასხვა გზა აქვს ამორჩეული. ერთი დასი მონატრულთა იძახის, რომ კანონიერს

საპარლამენტო გზას დავადგეთო და ამ გზით მშვიდობიანად, სისხლდაუღვრელად ავიხდინოთ ჩვენი გულითადი ნატვრაო. ამ გზას დაადგა სახელოვანი პარნელი თვისის დასითა. მეორენი იძახიან, რომ ინგლისის ერთან ჩვენ მშვიდობიანის გზით, ლაპარაკით და მიტინგებით ვერას გავხდებითო, და თუნდაც გავხდეთ, ეგ გზა დიდს ხანს, დიდს ხარჯს და დიდს მეცადინეობას თხოულობსო და მინამდე ჩვენ ჩვენი დაგვემართებაო! ვიდრე გლადსტონი დამარცხდებოდა და იმედი იყო, რომ სამშვიდობო გზით ირლანდია თავისას მიიღებს, დასი პერნელისა დიდად გაძლიერდა და დიდძალი მომხრე მოიპოვა ირლანდიაში... დღეს კეთილგონიერი და შორსმჭვრეტელი პარნელი კვლავ ჰქადაგებს მშვიდობიანად იყავითო, ავკაცობას, წვასა და ხოცვას დაეხსენითო, ეხლა წაგებული ჩვენი საქმე დღესა თუ ხვალ კვლავ მოიგებაო, მაგრამ არც წინააღმდეგი დასია გულხელდაკრეფილი და მაინც თავისას იძახის“ (1, ტ.9, გვ.205).

ირლანდიელები განაგრძობდნენ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და ბოლოს და ბოლოს, 1921 წლის 6 დეკემბერს დაიდო ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთს შორის საზავო ხელშეკრულება, რომელმაც დაადასტურა „ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს (ეირეს)“ შექმნა. მან დომინიონის უფლებები მიიღო. ამ ხელშეკრულებამ გამოიწვია ირლანდიელთა აღშფოთება და დაიწყო ავჯანყებები, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. 1949 წელს ირლანდია დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა და გამოეყო დიდ ბრიტანეთს. მაგრამ ირლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე, ოლსტერი, დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ დარჩა. იქ ინგლისელების შეიარაღებული ძალებია განლაგებული. 1972 წელს, დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა ის უშუალოდ ლონდონს დაუმორჩილა. მაგრამ, ჩრდილოეთ ირლანდიაში, მიუხედავად დიდი ბრიტანეთის დამსჯელი ზომების მიღებისა, დღესაც მიმდინარეობს მშრომელთა გამოსვლები თავიუფლებისათვის.

ილია ჭავჭავაძე, მეორე წერილში „ირლანდია და ინგლისი“, ირლანდიის მიწათმფლობელობის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„ეკონომიურის წყობის შესახები საქმე დღეს პირისპირ წარმომდგარია მარტო ინგლისში ირლანდიის გამო. ეგ საქმე მიწათმფლობელობის საქმეა. ირლანდია ამ მხრით დიდს იარას წარმოადგენს ინგლისის სახელმწიფო ტანზედ და გლადსტონის სამინისტროს სამერმისო სახელი და დიდება ამ იარის მორჩენაზედ არის დამოკიდებული. მთელი ევროპა განცვიფრებით შეჰყურებს ეხლა ინგლისს და დიდის სურვილით ელოდება თუ,— გლადსტონი როგორ უწამლებს

ამ მწვავს, მრავალკეცს და ღრმაფესვიან იარას და როგორ გადაარჩენს ინგლისს საშინელ განსაცდელისაგან“ (1, ტ.9, გვ.11).

ილია აღნიშნავს, რომ მანამ სანამდე ინგლისი დაისაკუთრებდა ირლანდიას, მანამდე მიწათმფლობელობა ირლანდიაში თემობრივი ყოფილა. თვითეულ თემს თავისი მამული ჰქონია და ამ მამულს განაგებდა თემის უფროსი. როდესაც თემის მმართველი გარდაიცვლებოდა „მის სამაგიეროდ არჩევანით დააყენებდნენ ხოლმე ახალსა. ამ სახით თვითეულს მკვიდრს ირლანდიისას სამართალი მიუძღოდა მამული ეხმარა სათემოში სხვასთან თანასწორ. ამბობენ, დღესაც თურმე არიან ოჯახები, რომელთ წინაპართაც ეგ თემის უფროსობა ჰქონიათ. ირლანდიელნი თურმე დიდს პატივსა სცემენ ამისთანა ოჯახებს დღესაც და ხშირად თავისის ხარჯითაც ინახვენო“ (1, ტ.9, გვ.26).

როდესაც ინგლისი შეიჭრა ირლანდიაში, ინგლისელებმა თავისი მიწისმფლობელობის წეს-კანონების დამკვიდრება დაიწყეს ირლანდიაში და რა თქმა უნდა, – ილიას თქმით, – თუ „თვით ინგლისის მკვიდრთა“, ამ წესს ვერ გაუძლეს, „აბა როგორ გაუძლებდა დაპყრობილი ირლანდია, სადაც ბატონობა სხვა ტომმა, ესე იგი ინგლისმა დაიჭირა“ (1, ტ,9. გვ.27).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ინგლისელებმა ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოართვეს მიწები და დაურიგეს პროტესტანტებს, „ეკლესიებს, მონასტრებს და ინგლისის ლორდებს. რეფორმაციის შემდეგ, – წერს ილია, – კათოლიკეთა მონასტრები გააუქმეს, მამულები სულ ჩამოართვეს, სახასოდ შერიცხეს, და იქამდე მივიდა გაბოროტება, რომ ირლანდიაში სრულად აეკრძალათ კათოლიკებს დაესაკუთრებინათ ან ხელში სჭეროდათ მამული მფლობელობითა. ამის ძალით ჩამორთმეული მამულები ან სულ დაჰყიდეს, ან მიუბოძეს დიდგვართა ინგლისელ პროტესტანტთა და მაიორატობა დაუწესეს... პურიტანების რევოლუციის დროს ყელამდე ვალით ავსებულმა პარლამენტმა ერთი მილიონი ჰექტარი ვალში მისცა სულ ინგლისელებს. და როცა კათოლიკენი საბოლოოდ დამარცხდნენ – კონნაუტს და კლერს დაასახლეს, და პროტესტანტების მეტს სხვას არავის მიანიჭეს ნება აქ საგრაფოების ქალაქებში დასახლებულიყო“ (1, ტ.9, გვ.27).

ილია გადმოგვცემს, რომ ადრე, ინგლისელებამდე, ირლანდიელებს სკოლები გამართული ჰქონიათ ღია ცის ქვეშ. რომელიმე ხის ქვეშ მოგროვდებოდნენ ბავშვები და „უსმენდა თავის ოსტატს“. „1830 წელს, ესეც აუკრძალეს და ვალად დასდეს შვილები მარტო პროტესტანტის სკოლებში ჰგზავნონ ხოლმე სასწავლებლად. გარდა მაგისა, პროტესტანტის სკოლებისა და სამღვდელოებ-

ისათვის კათოლიკენი ირლანდიელნი ეგრეთწოდებულს „ათისთავს“ იხდიდნენ 1838 წლამდე. 1832 წლამდე ირლანდიელთ კათოლიკეთ ნება არა ჰქონდათ პარლამენტში წევრად კათოლიკე ამოერჩიათ“ (1, ტ.9, გვ.28).

ირლანდიაში მიწა-წყალი ინგლისის ლორდების ხელში აღმოჩნდა „და ხალხს ხელიდამ გამოაცალეს“. ასე, რომ მთელი ირლანდიის მიწები „რამდენსამე დიდ გვარეულობის ხელში“ აღმოჩნდა. ირლანდიაში მიწა-წყლის ასეთ განაწილებას, ილია სამი მიზეზით ხსნის:

„ჯერ ხომ პროტესტანტობა, რომელსაც მთავრობა ხელს უწყობდა მიწათმფლობელობის საქმეში; მერე – მაიორატობა, რომელიც აქ გააკანონეს, რომ არამცდაარამც მამული პროტესტანტის, ესე იგი ინგლისელის გვარეულობიდამ არ გასულიყო; და მესამე – რაც თვითონ მკვიდრთა ირლანდიელთა მამულები ეჭირათ, სულ ლორდები საღალე მამულებად იცნეს. ამ მამულების საღალეობა ჯერ კანონიერს ხელშეკრულობაში მოაქციეს, მერე – საიჯარო ვადადადებულ ხელშეკრულობაში. რაკი ვადები გაუვიდათ, ლორდებმა ჭკუა იხმარეს და ეგ საიჯარო მამულები მკვიდრს ირლანდიელებს იეფად დაუთმეს, ოღონდ იჯარის ქაღალდით ნუ შევეკვრით ერთმანეთსაო. მკვიდრნი ირლანდიელნი იეფობას დაჰხარბდნენ და უქაღალდოთ ჭერა დაიწყეს მამულებისა. აქედამ ძნელი აღარ იყო მიწათმფლობელს ლორდს ბოლოს მამულის გაცემა თავის ნებაზედ დაემყარებინა. ამ თვითნებობას ინგლისელები „at will“-სა ეძახიან და ამან მოუღო კიდეც ბოლო ირლანდიის მკვიდრთა“ (1, ტ.9, გვ.28).

ამ სამი მიზეზის გარდა, ილია მეოთხე მიზეზსაც ასახელებს, რის გამოც ირლანდიელებმა მიწები დაკარგეს. ილია წერს:

„ამ განსაკუთრებითს მიზეზებს ერთი კიდევ ზედ დაემატა. ინგლისსა და შოტლანდიაში მოჭარბებული ძალ-ღონე და სიხარბე იყო „ჯენტრისა“ (წვრილთა მამულის პატრონთა), სულ ირლანდიას მიესია, დასაჭერად იმ ადგილებისა, რაც კიდევ ხელში შერჩენოდა გლეხთა წოდებასა, რადგანაც ამათ პროტესტანტობა უპირატესობას აძლევდა ირლანდიაში, კანონი და მთავრობა ხელს უმართავდა – იქაურებისათვის მიწები ჩამოერთვათ, და თვითონ რიგი ინგლისის მიწათმფლობელობისა, ძვალსა და რბილში გამჯდარი, იმისთანა იყო, რომ რიცხვით უმცირესთა ხელში მოგროვება ჰქონდა საგნად და მიდრეკილებად; ყოველის ამით ინგლისის ჯენტრს მარჯვი მოუვიდა, და რაც ლორდებმა დააკლეს, ამათ შეუსრულეს... ამგვარმა მიწათმფლობელობამ მთელი მიწათმომქმედი ირლანდია უმიწოდ დააგდო, და დღეს ეს უმიწობა ჰღაღადებს იმ საშინელის ხმითა,

რომელმაც ირლანდიისაკენ ასეთის ზრუნვით და ფიქრით მოახედა აქამომდე ყურმძიმე პარლამენტი ინგლისისა და თვით ინგლისის ერი“ (1, ტ.9, გვ.29).

ილია წერს, რომ ირლანდიის მიწების სამი მეოთხედი, ლორდებს ჩაუვარდათ ხელში და „მამულების ჭერა და გაცემა მარტო მემამულეთა ნებაზედ“ იყო დამოკიდებული. ირლანდიელი იძულებული იყო ლორდისაგან აეღო მიწის ნაკვეთი ღალით ან იჯარით. ვინაიდან რაც უფრო მეტ მიწის ნაკვეთს გასცემდა ლორდი, მით უფრო მეტ შემოსავალს ღებულობდა, „სიხარბემ ლორდებს ისე დაანამცეცებინა მიწები და იმოდენა მეღალენი აჩნდნენ ამის გამო, რომ თვითონ ლორდი ღალის აკრეფას ვეღარ ასდიოდა. ამ გარემოებამ აიძულა ლორდები ერთი კაცი ვინმე აეჩინათ ისეთი, რომ ლორდისათვის ერთიანი ღალა ეძლია და თვითონ ეკრიფა ღალა წვრილთა მემამულეთაგან. ამისთანა კაცს იურიდიული სახელი დაერქვა: ირლანდიაში midleman – შუაკაცი და ინგლისში facksman – ამკრეფი კაცი. ამ შუაკაცებმა, რასაკვირველია, რომ მეტს გამორჩნენ ლორდის მამულს, უფრო დააკუწმაწეს მიწები და ისე აძლიეს გაჭირვებულ გლეხს“ (1, ტ.9, გვ.30). ამან კი ირლანდიაში გამოიწვია მიწის ფასების სიძვირე და ფერმერების სიმრავლე.

„გარდა მაგისა, ირლანდიაში ერთი საოცარი ამბავი მოხდა, – წერს ილია, – რომ მთელნი მეცნიერნი გააბრუა“ (1, ტ.9, გვ.31). ეს საოცრება, გამოიხატა იმაში, რომ ირლანდიაში, „74 წლის განმავლობაში ირლანდიის ხალხმა 4,5 ჯერ იმატა.“ ამის გამო ირლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა დარჩა უმიწოდ. ვინაიდან ირლანდიაში „მრეწველობა არ არსებობდა“, „მიწის ღალამ აიწია, მუშის ფასმა იმავე მიზეზით საშინლად დაიწია“. „ამ ყოფამ საშინელს სიღატაკეში ჩააგდო ირლანდიის მკვიდრი ერი“ (1, ტ.9, გვ.32).

ილიას თქმით, ირლანდიაში XVII საუკუნის დასაწყისში, გაჩნდა კარტოფილი და „ირლანდიის ჰავამ და მიწამ ძალიან მოიხდინა და იქ დიდი მოსავალი იცის“-ო და „კარტოფილის თესვა და მოყვანა შეიქმნა ერთადერთ წყაროდ ხალხის ცხოვრებისად“ და სწორედ ეს კარტოფილი გახდა მიზეზი იმ უბედურებისა, რაც ირლანდიას თავს დაატყდა 1847 წელს. ამ წელს, „გაჩნდა კარტოფილის სნეულება და ამ ერთადერთმა საკვებმა და სარჩომ ირლანდიის მიწათმოქმედისამ ისე იკლო, რომ მთელი ირლანდია გაათახსირა. ამ წლის უბედურებას ხალხმა უწოდა „დიდი შიმშილი“ და წელიწადს – „შავი წელიწადი“. სამი წელი ზედიზედ საშინელი მოუსავლობა იყო. 1847 წლიდამ 1861 წლამდე ვეღარ მობრუნდა მოსავალი კარტოფილისა და ირლანდია პირქვე დაამხო“ (1, ტ.9, გვ.34).

ამის გამო ნაწილი ხალხისა შიმშილით გაწყდა და ნაწილმა კი სხვა ქვეყნებს შეაფარა თავი, ძირითადათ ამერიკაში გაიხიზნა. ილია წერს, რომ:

„მთავრობა ინგლისისა ამ გახიზვნას ხელს უწყობდა და უხაროდა, რომ ამოდენა მშიერ-მწყურვალს, უბინაო, უმამულო ხალხს თავიდამ იცლიდა, და ამერიკასაც თავის მხრით არა ნაკლებ უხაროდა, რომ აუარებელ ტიტველა მინდვრებს პატრონს და მკეთებელს აუჩენდა“ (1, ტ.9, გვ.34).

ილია, ირლანდიის ამ უბედურებაში ჩავარდნას, ადანაშაულებს თვით ინგლისის მთავრობას. იგი წერს:

„გახიზნულმა ირლანდიელმა ცხადად დაუმტკიცა ქვეყანას, რომ თავისის უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება და თვისება კი არ არის, როგორც ამტკიცებენ დღესაც ზოგიერთი მომხრენი მემამულეებისა, არამედ იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდამ გამოაცალა მამული და ცარიელზედ დასვა. ირლანდიაში იმისთანა თვისების ხალხიაო, ამბობდნენ და ამბობენ დღესაც ბევრნი, რომ არასგზით მათი ბედი არ გასწორდებაო; ირლანდიელნი ლოთები არიანო, მცონარნი, წინდაუხედავნი, მფლანგავნი, ბედოვლათები, უმეცარნიო. იქნება ესეც იყო, მაგრამ ამას კი ივიწყებენ, რომ ბუდე ამისთანა თვისებისა სიღარიბეა და სიღარიბე, მიწათმომქმედის ერის უმამულობაა“ (1, ტ.9, გვ.34).

ილიას, ამ სიტყვების დასამტკიცებლად, მოჰყავს მაგალითები ამერიკაში გახიზნულ ირლანდიელთა ცხოვრებიდან. იგი წერს, რომ ამერიკაში გახიზნულმა ირლანდიელებმა, „თავის ბინიდამ, სამშობლოდამ აყრილმა და უცხო ქვეყანაში ახლად დაშენებულმა“, თავის ქვეყანაში დარჩენილებს გამოუგზავნა დასახმარებლად სამას ოცდახუთი მილიონი ფრანკი. „ეს მაგალითები უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა უღონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა ეს სიკეთე ხელიდამ გამოსცლია“ (1, ტ.9, გვ.35).

ილიას გადმოცემით, ირლანდიელნი, რომელნიც თავის ქვეყნის ეკონომიურის წყობაზე ფიქრობდნენ, ინგლისის მთავრობისაგან მხოლოდ ერთს ითხოვდნენ, რომ მამულების იჯარით ჭერის ვადა პატარა მომატებული ყოფილიყო“ და როგორც ეტყობა ამისათვისაც ვერ მიუღწევიათ.

1886 წელს ილია აქვეყნებს კიდევ ოთხ წერილს ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის შესახებ. წერილებში განიხილავს ძირითადათ ინგლისის პრე-

მიერ-მინისტრის უილიამ გლადსტონის პროექტს. ილია წერს, რომ უ. გლადსტონის ეს პროექტი, ერთი შეხედვით:

„აქ როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის. საერთო საიმპერიო ხარჯის გაწერაში, სამხედრო საქმის მოწყობილობაში, საკოლონიო პოლიტიკაში და სხვა ამისთანა საყოველთაო საქმეში ირლანდია მოვალე იქნება დაემორჩილოს საერთო ინგლისის პარლამენტსა, საცა არც ერთი წარმომადგენელი და მოსარჩლე არ ეყოლება. იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, საცა არავითარი მოვალეობა, მკვიდრთათვის დადგენილი, მკვიდრთა დაუკითხავად შესაძლებელი არ არის, ეს საერთო პარლამენტიდამ გამოკლება ირლანდიელთა – ჭეშმარიტის ლიბერალობის წინააღმდეგია“ (1, ტ.9, გვ.195).

ილიას თქმით, ამ პროექტით გამოდიოდა, რომ ირლანდიას ეძლეოდა უფლება ჰყოლოდა საკუთარი პარლამენტი, მიეხედავად იმისა, რომ იგი ითვლებოდა ინგლისის შემადგენელ ნაწილად, „საიმპერიო პარლამენტში“ ხმა და წარმომადგენლობა არ ეყოლებოდა.

უ. გლადსტონის ამ პროექტს წინ აღუდგა ინგლისის პარლამენტის წარმომადგენელი, შემდგომში დიდი ბრიტანეთის კოლონიების მინისტრი, რადიკალი, ჯოზეფ ჩემბერლენი (Chamberlain) (1836–1914). ილია წერს, რომ ამ საკითხში ჯ. ჩემბერლენი მართალი იყო და უ. გლადსტონი „ბოლოს დაჰყვა ჩემბერლენის აზრს“.

მეორე წერილში ილია ისევ ეხება ამ პროექტს ირლანდიის შესახებ და წერს, რომ პროექტმა გამოიწვია ინგლისელთა აზრთა ორად გაყოფა და თანდათან გლადსტონს მომხრეები შეემატნენ. ილია ასე ახასიათებს ამ პროექტს:

„გლადსტონის პროექტი წარმომდინარეობს იმ დედააზრიდამ, რომ სამართალია ძალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს და ყოველს თავის მოქმედებას, ერთმანეთში განწყობას და მოთავსებას სამართალი უნდა სათავედ ჰქონდესო. ღობე, მარტო იმ მიზეზით, რომ დაბალია, არას დროს არ უნდა გადალახულ იქმნასო, ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭისაგან არავინ არ უნდა იყოსო გამოკლებული მარტო იმ მიზეზით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შუამავალი, მოციქული, მარტო სიმართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა რა სხვა რამე“ (1, ტ.9, გვ.199).

უ. გლადსტონის მოწინააღმდეგე კონსერვატორების დასს ხელმძღვანელობდა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1885–1892) წლებში, მარკიზი, რო-

ბერტ სოლსბერი (Salisbury) (1830–1903). ილია წერს, რომ იგი ირლანდიის შესახებ ამბობდა:

„საცა ძალაა, იქ სამართალს ხმა და ხელი არა აქვსო. რადგანაც ირლანდია ჩვენ იარად აგვჩენიაო, მის მოსარჩენად თავს რაზედ ვიტკიებთო? ავიღოთ და როგორც ხორცმეტი ამოვჭრათ და გადავაგდოთო. ხომ ინგლისს ერთ ლუკმადაც არ ეყოფაო!... მარტო ძალადობა და მუშტია ამ საქმიდამ ჩვენი მხსნელიო და, თუ გაჭირდა, ავიღოთ და მთელი ირლანდია თავისის ქვეყნიდამ ავყაროთ და კანადაში გადავასახლოთო“ (1, ტ.9, გვ.200).

ილია წერს, რომ „ამისთანა წინდაუხედავმა ქცევამ, თუ სიტყვამ კონსერვატორებისამ ბევრი ავნო თვით კონსერვატორებს და ბევრს აუხილა თვალი სასარგებლოდ გლადსტონის პროექტისა“ (1, ტ.9, გვ.200).

ირლანდიასა და ინგლისის მდგომარეობა დახლართული იყო და ამას ილია შემდეგნაირად აღნიშნავს:

„ყოველივე ეს გარემოება ძალიან უნდა აღონებდეს სალუსბერის სამინისტროს იმ დროს, როცა ერთის მხრით ირლანდია ასე ხმამაღლად ჰღაღადებს, და მეორეს მხრით საგარეო საქმეთა პოლიტიკა ასე აშლილი და აწეწილია არა-სასარგებლოდ ინგლისისსა“ (1, ტ.9, გვ.208).

ირლანდიის საქმე ერთ-ერთი მთავარი საკითხია ინგლისში და „როგორც პარლამენტში, ისეც პარლამენტს გარეთ“, „ირლანდიის საქმე დღითიდღე მეტს თანაგრძობას ჰპოულობს ინგლისის ერში“.

ასე ახასიათებს ილია ჭავჭავაძე ინგლისს, შოტლანდიას და ირლანდიას. მათ საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

წერილში, „ევროპა 1886 წელს“, ილია ჭავჭავაძე, დიდი ბრიტანეთის შემდეგ, ახასიათებს მესამე დიდ სახელმწიფოს ევროპაში, **„ავსტრო-ვენგრიას“**.

მისი გადმოცემით, საფრანგეთის იმპერატორის (1852–1870) ნაპოლეონ III-ის (შარლ ლუი ნაპოლეონ ბონაპარტი) (Napole'on III) (1808–1873) პოლიტიკის გამო, ეროვნების საკითხმა ევროპაში „ძლიერ გაშალა ფრთები“. გააერთიანა იტალია და გერმანიაც, და ეხლა სლავიანებზე მიდგა ჯერი.

ილია წერს, რომ სლავიანები განაწილებულნი არიან რუსეთში, ავსტრიასა და ოსმალეთში. მაგრამ, ვინაიდან ოსმალეთი დასუსტდა და „ანდერძი უკვე აგებული აქვს“, ევროპის სახელმწიფოები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, „დიდი ლუკმა მაინც მოიჭრას თავისთვის“.

ავსტრია ცდილობს არ დაუშვას, რომ სლავები „ხელიდან გამოეცალოს“, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ სლავების გარეშე „თითქმის ცარიელზედ უნდა დასჯდეს და პირველხარისხოვან სახელმწიფოს ტახტიდამ კარგა ძირს ჩამოხტეს. ამისთანა ყოფაში ჩავარდნას, რა თქმა უნდა, ავსტრია არ მოინდომებს, და არც სხვა სახელმწიფონი მიიყვანენ საქმეს აქამდე, რადგანაც ეგრეთწოდებული „უღელი ევროპის სასწორისა“ გამრუდდება და ერთმხრივ გადაიწევს დანარჩენთა საფრთხალად და სამუქაროდ. აქედამ ცხადია – ჯერ ისა, რომ ავსტრიისა და რუსეთის შორის მეტოქეობა ევროპაში იქიდამ წარმომდინარეობს, რომ ერთსაც უნდა სლავიანთა დედააზრის მატარებელი და განმახორციელებელი იყოს, და ამიტომაც ყოველ შემთხვევაში ესარჩლება, ჰფრთხილობს არავის გააქელვინოს და ეხლანდელი ძლიერება მაინც შეარჩინოს“ (1, ტ.9, გვ.84).

ილია გადმოქვცემს, რომ ავსტრო-უნგრეთი შესდგება „სამი გვარ-ტომობის ერისაგან“: „ვენგრები ანუ მადიარები, ნემენცები და სლავიანები“. ო. ბისმარკის პოლიტიკამ ავსტრია გერმანიას ჩამოაცალა და ამის გამო ეს სახელმწიფო, იძულებული გახდა დაყრდნობოდა მასში მცხოვრებ ეროვნებებს შორის უფრო „ძლიერ“ და უფრო „მომზადებულ“ მადიარებს, „და იმაზედ დაემყარებინა თვისი პოლიტიკური აგებულება და კეთილდღეობა... რადგანაც ერთის მხრით ძველი ტრადიციები ჰაბსბურგის გვარეულობისა, რომელიც დღეს ჰხელმწიფობს ავსტრო-ვენგრიაში, ნემენცობას არ ავიწყებს ავსტრიასა, და უამისოდაც ავსტრიის ნემეცობა ასე თუ ისე ძლიერად ზედმოქმედობს საქმეთა მიმდინარეობაზედ, და მეორეს მხრით მადიაროობა ძლიერი აღმოჩნდა თავისის ეროვნებურის ძალღონიერობითა,– ამიტომაც ავსტრია იძულებული შეიქმნა გაორთავებულიყო, თუ ესე შეიძლება თქმა: ორ ცალკე მომქმედ ნაწილად გაიყო, ერთი იმიერ-ლეიტანია და მეორე ამიერ-ლეიტანია (ცისლეიტანია და ტრანსლეიტანია). ორსავე ნაწილს ცალ-ცალკე სამინისტრო აქვს, ცალ-ცალკე პარლამენტი თვითეულის საკუთარ საქმეების გამგეობისა და მმართველობისათვის. ერთობა ამ ორთა ნაწილთა შორის განხორციელებულია ჯერ იმითი, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ, და მეორე იმითი, რომ ჯარი და სახელმწიფო ფინანსები საერთოა და საერთო სახელმწიფო საქმეებში ერთად იღვწიან და მოქმედობენ“ (1, ტ.9, გვ.85).

ავტორის თქმით, ავსტრიაში მყოფი „ნემენცები“, „გერმანიისაკენ ძალიან მიიზიდებიან. ესეც ერთი თოკის წვერია, რომელიც ხელთ უპყრია ბისმარკსა და რომელიც ჰხლართავს ერთმანეთში ავსტრო-ვენგრიის და გერმანიის საქმეებსა“ (1, ტ.9, გვ.86).

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ავსტრო-ვენგრია ხმელეთ-ზეა მომწყვდეული და ზღვაზე გასასვლელი არ აქვს, და ამიტომ ის ცდილობს როგორმე „ზღვისაკენ გასასვლელი გაიხსნას ადრიატიკის ზღვითა“, და ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე ტრენტონი და ტრიესტი როგორმე შემოიერთოს, მაგრამ აქ უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა იტალიელები არიან.

ილიას ეს წერილი საინტერესოა იმითაც, რომ ავტორი სვამს მეტად მტკივნეულ და ამავე დროს ყველა სახელმწიფოსათვის საყურადღებო საკითხს, რომელიც დღევანდელ დღესაც კი დღის წესრიგში დგას და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ამ საკითხების გადაწყვეტისათვის. ეს საჭირბოროტო საკითხი არის, ერთ სახელმწიფოში მოხვედრილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარების გამო, ეროვნებები და მათი ურთიერთ კავშირი.

ილია წერს, რომ ავსტრიაში ნემენცები, ვენგრები და სლავიანები ერთმანეთს ებრძვიან პირველობისათვის. სლავიანებში გამოჰყოფს ჩეხებს და ახასიათებს მათ როგორც „ერთად თავმოყრილ, გონებითაც ძალიან წარმატებულს“, „გამოღვიძებულ, განათლებულ და ცნობაში მოსულ ერს“, და ამავე დროს „დაუღალავნი მებრძოლნი თავისის გვარტომობის არსებობისათვის“. და ჩეხების საქმე „მეტად აფიქრებს ავსტრიის ნემენცებს“ (1, ტ.9, გვ.88).

გამწვავდა მდგომარეობა ავსტრიაში, უნგრეთის საკითხის გამო. ილიას თქმით:

„დღევანდელმა მიმართულებამ პოლიტიკისამ აქაც მოუვლინა დიდძალი ნაღველი ამ ქვეყნის სვებედის გამგებელთა. აქაური მთავრობა გერმანიის პოლიტიკამ იძულებული გაჰხადა ვენგერთა პალატაში შეეტანა ახალი სამხედრო კანონპროექტი. აპილპილდა ამაზედ მთელი ვენგრია და საქმე იქამდე გამწვავდა, რომ თუ მთავრობამ არა დაუთმო-რა, ლამის ერთი ნახევარი ავსტრო-ვენგრიის იმპერიისა მეორეს დაეჯახოს. ეს აშლილობა, მართალია, გამოწვეულია ეროვნების სახელითა, მაგრამ დღეს მაინც დიდი შინაგანი სატკივარია და დიდად სანაღვლელია, რომ წამალი რამ დაედოს“ (1, ტ.9, გვ.53).

ილიას აზრით, ეროვნებათა საკითხი ავსტრიაში, „ეს მძიმე და შესანიშნავი“ საქმე უნდა გადაწყდეს ისე, რომ „არც გვარტომობას ევნოს რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა.“ „დღევანდლამდე კაცობრიობა თითქმის დარწმუნებულია, რომ თუ ერთმა გვარტომის ერმა მეორე არა ჰყლაპა, ერთობა, ერთიანობა სახელმწიფოსი შეუძლებელიაო. თუმცა ახალმა ისტორიამ ბევრი მაგალითები უჩვენა ქვეყანას ამისი წინააღმდეგი, მაგალითებრ, ჩრდილო ამერიკის შტატები, შვეიცარია, საცა სხვადასხვა გვარტომის ერნი ისე სამართლიანად და მშვიდობიანად ერთმანეთში მოთავსებული არიან, რომ ერთობა სახელმ-

წიფოსი არამცთუ ჰკარგავს რასმე, არამედ მტკიცედ და ფეხმაგრად ჰსდგას“ (1, ტ.9, გვ.86). ასევე ეგონათ, რომ თუ სახელმწიფოში სხვადასხვა „რჯულის მკვიდრნი არიან“, ამ სახელმწიფოს ერთობა შეუძლებელიაო. ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და შვეიცარიამ აჩვენა, რომ ეს აზრი მცდარია. ილია აღნიშნავს, რომ:

„სახელოვანმა რეფორმაციამ და მისმა მომდევარმა დრომ თვალსაჩინოდ დაანახვა ქვეყანას, რომ სხვადასხვაობა სარწმუნეობისა მართლადა არ უშლის სახელმწიფოს ერთობას და ძლიერებას, ამისი მაგალითები მრავალი გვიდგა თვალწინ. რაკი კაცობრიობა ამას გადაურჩა და დაიძრა გვარტომობის დედააზრი, ჯერი გვარტომობის საქმეზედ მისდგა.

ამისი რთული, მრავალწვერი ნასკვი ყველაზედ მეტად აქ, ავსტრიაში, გამოინასკვა და ავსტრიის დღევანდელი შინაური ტკივილი ეგ არის. ეგ ტკივილი მთელს აგებულებაში აქვს გამჯდარი ამ სახელმწიფოს და ისეთი ძნელი ტკივილიც არის, რომ შესაძლოა, ავსტრია ან სულ თან გადაიტანოს, თუ რიგიანი წამალი ვერ მოუხერხდა, ან სულ გამოაცოცხლოს, და როგორც ჯანმრთელი, საღი სახელმწიფო, ახლად გადახალისებული, ფეხ-და ფესვმაგრად დააყენოს. გამოჰხსნის თუ არა ამ ძნელს ნასკვსა, ან როგორ გამოჰხსნის? – აი საკითხავი, რომელსაც ავსტრიამ გადაწყვეტილი, მოჭრილი პასუხი უნდა მისცეს დღესა, თუ ხვალ“ (1, ტ.9, გვ.87).

ილია ჭავჭავაძის აზრით, ევროპაში „მეოთხე სახელმწიფო“ „**იტალია არის**“. რომელსაც „ხმა აქვს ცოტად თუ ბევრად გავლენიანი.“ იგი ამბობს, რომ იტალია პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ევროპაში „ნაჭერ-ნაჭერად დანაწილებული ქვეყნები შემოიკრიბა და გაერთდა.“ ილია აღფრთოვანებულია იტალიელი მამულიშვილებით. მათი გმირობით, თავდადებით და სულისკვეთებით. იგი ასახელებს პოლიტიკურ მოღვაწესა და დიპლომატს, სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრს, ნაციონალური გამანთავისუფლებელი მოძრაობის – რისორჯიმენტოს ერთ-ერთ ხელმძღვანელს კამილო კავურს (Kavour) (1810–1861), რომელიც იბრძოდა დამჯრობლების წინააღმდეგ იტალიის გაერთიანებისათვის. ცნობილია, რომ ილია აღტაცებული იყო იტალიის სახალხო გმირის ჯუზეპე გარიბალდით (Garibaldi) (1807–1882), მისი სურათი მის სამუშაო ოთახს ამშვენებდა.

იტალიის გამთლიანებისა და მისი პატრიოტების შესახებ, ილია წერდა:

„აუსრულდათ დიდის ხნის სანატრელი საქმე საოცარ გმირებს იტალიის მამულიშვილობისას. იმოდენა მაგალითი ახოვნებისა, დიდსულოვნებისა, თავ-

დადებისა, რამოდენაც იტალიის გმირთ გამოიჩინეს თავისის ქვეყნის გაერთებისათვის, ბევრს სხვა ერს არ გამოუჩენია. მრავალმა გამოჩენილმა კაცმა იტალიისამ თავი შეაკლა, მრავალმა თავისი საკუთარი ბედნიერება მტლად დაუდო ამ დიდს საქმეს შეერთებისას, და, მათმა ღვაწლმა და თავის სამშობლოსათვის დაქცეულმა სისხლმა ამაოდ არ ჩაუარათ. დღეს იტალია გაერთიანებულია და კარგა მოზრდილს სახელმწიფოს შეადგენს, თვით იტალიელთა თავმოსაწონებელსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის ხმის მქონებელსა. ამ შეერთების მახლობელი განმახორციელებელი ორი კაცი იყო: ერთი კავური და მეორე გარიბალდი. პირველი იყო ჭკუა და მეორე – ხმალი იტალიისა“ (1, ტ.9, გვ.89).

ილია გადმოგვცემს, რომ მის დროს, ზოგიერთი იტალიის მიწა-წყალი ჯერ კიდევ ხელთ უპყრიათ მის მეზობლად მდებარე სახელმწიფოებს და, რა თქმა უნდა, ყველა იტალიელი ოცნებობს მის დაბრუნებაზე, მაგრამ ვინაიდან ევროპაში სხვადასხვა ვითარების გამო, იტალიას ჯერ არ აქვს ამის საშუალება და ჯერჯერობით „ბევრი არა შეუძლია რა, რომ წინ აღუდგეს ავსტრიასა და მის მოსარჩლე გერმანიას“, ამიტომ ის იძულებულია ეძებოს მომხრეები და მათ დაუზავდეს. ხოლო ასეთი სახელმწიფოები არიან საფრანგეთი და ინგლისი.

იტალიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი და „მოსარჩენი სატკივარია“ მის შიგნით, რომში, მდებარე „სახელმწიფო სახელმწიფოში“, თავის სრასასახლეში“, მჯდარი რომის პაპი, რომელიც იტალიის მეფესთან „უძრახად არის“, არც „იტალიის გაერთებას“ აღიარებს და არც იტალიის გაერთიანებულ სახელმწიფოს ცნობს. ოღონდ კი მას არავინ შეეხოს. ილია წერს, რომ „ვისაც იტალიის წყენა, ვნება უნდა, მაშინვე რომის პაპის საქმის გაფუებას და გასიებას უქადის ხოლმე და ამ ხერხს ყველაზედ კარგად ბისმარკი ჰხმარობს დღესა... ევროპაში ბევრი იმისთანა კათოლიკეა, რომელიც მარტო რომის პაპის სახელს ჰლოცულობს, და საკმაოა ერთმა იმისთანა კაცმა და სახელმწიფომ, როგორიც დღეს ბისმარკი და გერმანიაა, პაპს ხელი მიაწოდოს, მხარი მისცეს, – რომ ყურმოჭრილი კათოლიკობა წამოექომაგოს ფულით და კაცით მითომდა დაჩაგრულს პაპსა, და იტალიის შინაური, თუ გარეული საქმეები საშიშრად აწეწოს“ (1, ტ.9, გვ.94).

პაპს, „სასულიერო ხელმწიფებობის“ გარდა, „საერო ხელმწიფებაც ეჭირა იტალიაში“ და სწორედ ამით იყო საშიში იტალიისათვის და როდესაც გერმანიამ ნაპოლეონ III ტყვედ აიყვანა, „მაშინ იტალიამ დრო იხელთა, რომი დაიჭირა უსისხლოდ და ყოველივე ნიშანწყალი საერო ხელმწიფებისა გაუქრო რომის პაპსა“ (1, ტ.9, გვ.93) .

ილია ასე ახასიათებს რომის პაპს:

„იტალიას ერთი იმისთანა სატკივარი აქვს გვამში, რომელიც სხვა ქვეყანას თავის დღეში არცა ჰქონებია და, იმედია, არც ოდესმე ექნება. ჯერ მინამ იტალია გაერთებოდა და სატახტო ქალაქს დიდ და სახელოვანს რომში გაიკეთებდა, იტალიაში ერთი უცნაური წყობილება იყო, რომში იჯდა და დღესაცა ზის მთელის მსოფლიოს კათოლიკეთა მღვდელმთავარი, რომელიც ერთს დროს ისეთი ძლიერი იყო, რომ მეფენი და ხელმწიფენი მის წინაშე მუხლს იდრეკდნენ და როგორც მთხოვარენი ელოდნენ მის დერეფანში მოწყალებასა. იქამდინ მორჭმული და ძალოვანი იყო იგი, რომ იტალიაში საერო ხელმწიფებაც ხელთ ეპყრა და სასულიერო მოძღვარი ამრიგად ხორცის ბატონადაც შეიქმნა. მეტის წყურვილმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ რომის პაპი არამცთუ სააქაო ბედნიერებას ურიგებდა, რასაკვირველია ჯეროვანის სასყიდელით, არამედ საიქიოსათვისაც იმისთანა სიგელს აძლევდა ადამიანს, რომ ამ სიგელის მქონებელისათვის სამოთხე ღია იყო. რეფორმაციამ, ერთის უბრალო ბერმონაზონისაგან ატეხილმა, ეს ადამიანის ცდომილებაზედ აშენებული ძლიერება და დიდება ძირით თხემამდე შეარყია; ახალმა დრომ, რეფორმაციისაგან ფრთაასხმულმა, კარგა აბრუ გაუტეხა რომის პაპსა, და ბოლოს ხომ იქამდეა საქმე მისული, რომ რომის პაპი ბრძანდება დღეს თავის კვირინალში თითქმის უმწედ და უნუგეშ. ერთი დღე არავის შეჰრჩენიაო, ნათქვამია. სწორედ ესე დაემართა რომის პაპსაც და ესეც დაემართება ყველას, ვინც ცდომაზედ დაამყარებს თავის დიდებასა“ (1, ტ.9, გვ.92).

ილია იტალიის შესახებ წერს, რომ იტალიაში მუშების „აშლილობა“ გამოიწვია, „შეთოფიარაღებამ“, რის გამოც „დღედადღე მატულობს ხარჯი მხედრობის შესანახავად და გასაძლიერებლად“ და „ლუკმაპური ილაჯი გაუწყდა ერსა“ (1, ტ.9, გვ.52).

მწერლის თქმით, „როცა იტალიის პარლამენტის დეპუტატმა რიკოტიმ შეიტყო, რომ სამხედრო მინისტრი ჯარის გაძლიერებას თხოულობსო, წინადადება შეიტანა პარლამენტში, მთავრობას ეკითხოსო, რა მდგომარეობაშია ევროპის პოლიტიკური საქმეებიო. მინისტრმა, იმ დროს საგარეო მინისტრმა, იურისტმა, პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ პასკუა სტანისლაო მანჩინიმ (1817-1886), მთავრობის სახელით უპასუხა, რომ ამ საზოგადო გარემოებათა გამო, რომელშიაც იმყოფება დღეს ევროპაო, წინასწარ თქმა რისამე ძნელი რამ არისო, მაგრამ მე კი ვფიქრობო, რომ თუ **ნიშნებია ერთმანეთთან შეჯახებისა**, იმის იმედიც არისო, რომ მშვიდობიანობა არ შეირყესო. – ილია აღნიშნავს, რომ

– ყველამ კარგად იცის, რომ ომიანობის ხმის დაყრას ყოველი დიპლომატი ძალიან ერიდება მაშინაც კი, როცა ომი ცხვირწინ უდგათ. მაგრამ ესეც კი ვიცით, რომ მშვიდობიანობა ძირიანად შერყეულია. სჩანს, ეხლა საქმე საზღვარს იქით გასულა, რომ იტალიის დიპლომატი ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე საგანზედ ჰოსაც ამბობს და არასაც და გადაწყვეტილად და მოჭრით არ აღიარებს მშვიდობიანობის შეურყევლობას“ (1, ტ.9, გვ.69).

წერილში, „საპოლიტიკო მიმოხილვა“, ილია იტალიის შესახებ აღნიშნავს, რომ თუ ის მიემხრობა გერმანიას, მაშინ ის იძულებული იქნება ავსტრიასაც „მიუდგეს და მაშინ ხელი უნდა აიღოს იმ იტალიელების გამოხსნაზედ, რომელნიც ჯერ კიდევ ავსტრიის ქვეშევრდომად არიან. თუ გერმანია დაჰპირდება იტალიას, მაგ გულისწადილს აგისრულებო, მაშინ ავსტრია გადაუდგება გერმანიას და ეგ ვერაფერი საქმე იქნება ბისმარკისათვის. ბისმარკმა ამის გამო არ იცის, საიდამ მოუაროს იტალიას, რომ მიიმხროს“ (1, ტ.9, გვ.72). ილიას თქმით, ო. ბისმარკმა დააპირა „პაპის საერო უფლებების აღდგენა“, მაგრამ ამანაც არ გასჭრა.

მწერალი ამბობს, რომ, იტალიის მომხრობა მარტო საფრანგეთსა და რუსეთს შეუძლია. „ამისათვის საჭიროა მარტო დაჰპირდნენ იტალიას იმ ადგილებს, რომელთ მკვიდრნი ნამდვილი იტალიელები არიან და ავსტრიას კი ძალმომრეობით უჭირავს. იმ ადგილების ხელში ჩაგდება დიდი ხნის სანატრელია იტალიისათვის“ (1, ტ.9, გვ.72).

როგორც ეტყობა იტალიასთან დაახლოების მიზნით, საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, იმ დროს, საგარეო საქმეთა და პრემიერ მინისტრი ლეონ გამბეტა (Gambetta) (1838–1882), ჩასულა იტალიაში. მან მოახერხა ზავის შეკვრა „თუ არა, არ ვიცით. მხოლოდ ზოგიერთი ნიშნებია ვიფიქროთ, რომ ამ საქმეში გამბეტას მარცხი არ მოსვლია“ (1, ტ.9, გვ.73).

წერილში, „ევროპა 1886 წელს“, ილია, იტალიის შესახებ აღნიშნავს, რომ:

„საფრანგეთს უჭირავს ზედ იტალიის საზღვარზედ ნიცცა და სავოია, რომლის მკვიდრნი წმინდა იტალიელები არიან და რომელნიც ნაპოლეონ III-მ ჩამოართვა იტალიას თავის გასამრჯელოდ, რადგანაც გაერთებისათვის იტალიას შეეწია. შვეიცარიასაც უჭირავს იტალიელ მკვიდრთაგან დასახლებული ქვეყანა, გარდა ამისა ავსტრიასაც იტალიის ტიროლი, ტორენტო და ტრიესტი ადრიატიკის ზღვის პირად. ამ მოკლე აღწერილობიდამ ჰსჩანს, თუ საგარეო საქმეებში იტალიას ვისთან უნდა ჰქონდეს საქმე და რაზედ უნდა ეჭიროს თვალი, როცა ევროპის სახელმწიფონი ერთმანეთს აეშლებიან“ (1, ტ.9, გვ.90).

ავტორის თქმით, როგორც გერმანიასა და საფრანგეთს, იტალიასაც, ამ ბოლო დროს ისე გაუჭირდა საქმე, რომ „საქონლის გასასაღებლად“, „საკოლონიო პოლიტიკას“ ჩაჰკიდა ხელი და „ამ სახით ზღვათა მფლობელსა ინგლისს მოცილედ გაუხდნენ“ (1, ტ.9, გვ.79).

ი. ჭავჭავაძე, 1886 წლის წერილში, მოკლედ ახასიათებს ევროპის „მეორეხარისხოვან სახელმწიფოებსაც“, რომლებიც „თავის ქერქშია და აქეთ-იქით არ იწევს თავისის საზღვრების განზედ გადგმისათვის, რაც უნდა პატარა იყოს, მაინც შედარებით ბედნიერად ჰცხოვრობს. ამგვარნი სახელმწიფონი არიან მეორე და მესამე ხარისხისანი. რაკი გარეთ უღონობის გამო ხელი არ მიუწვდებათ, რადგანაც მცირენი არიან, ამიტომაც მთელს თავის დროს და მზრუნველობას შინაურ საქმეებს, შინაურობის წარმატებას და კეთილდღეობის გაძლიერებას ახმარებენ“ (1, ტ.9, გვ.94).

ავტორის გადმოცემით, ამ მცირე სახელმწიფოებში, „ერი მადლობელია თვისის მთავრობისა, მთავრობა მადლიერია თვისის ერისა; ამბოხი, შუღლი, არეულობა უცნობია ამ ბედნიერთა სახელმწიფოთათვის. თუ რამ აუტყდებათ შინ თვითეულს მათგანს, მაშინვე მშვიდობიანად, ერთმანეთში მორიგებით, სამართლიანად ათავებენ საქმეს და სხვათა ქვეყნების ბედის წაღმა-უკუღმა ტრიალს შორიდამ შესქერიან“. თუმცა, ილიას თქმით: „იქნება მადაც ჰქონდეთ, იქნება არც სიხარბე აკლდეთ, მაგრამ ბობოლების შიშით თავის ქერქში არიან და სხვისას არ ეტანებიან“ (1, ტ.9, გვ.95). ერთგვარი შიში მათაც აქვთ თავიანთი სიმცირის გამო, რადგან მათ „გვერდით დიდი დევები უწვანან“ და რადგან „დღეს ქვეყნიერებას ის კანონი ამოქმედებს, რომელსაც ჩვენში „მიეცეს და მიემატოს“-ს ეძახიან, იგი შიში უსაბუთო არ არის“ და „ერთმა რომელიმე ბობოლა სახელმწიფომ თავისი ხარბი ყბა არ დააღოს და მათი გადაყლაპვა არ მოიწადინოს, როგორც სვავმა ბელურა ჩიტისა“ (1, ტ.9, გვ.96).

ასეთ მდგომარეობაში და ასეთ შიშში არიან **ჰოლანდია** და **ბელგია**, „ერთსაც და მეორესაც გვერდით დიდი დევები უწვანან, მერე ისე, რომ შუაში არც ზღვა უდევთ, არც უზარმაზარი მთები, ერთის ლაზათიანად პირის დაღების მეტი არ არის საჭირო: ერთიცა და მეორეც შარშანდელ თოვლსავით აშრებიან“ (1, ტ.9, გვ.96).

ილია ჭავჭავაძის ეს წინასწარმეტყველება, დაადასტურა შემდგომმა დრომ და მოვლენებმა.

ილიას აზრით, ამ მცირე სახელმწიფოებს შორის: „ყველაზედ უფრო მშვიდობიანად და ტკბილად მცხოვრებნი შვეციაა და ნორვეგიაა ჩრდილოეთ

ევროპაში, სამხრეთ-დასავლეთზედ პორტუგალიაა და თითქმის სამხრეთზედ შვეიცარია. სანატრელია სწორედ იმათი მყუდრო, გულდინჯი, აუმღვრეველი დღეთა მდინარება“ (1, ტ.9, გვ.95). ხოლო, დანარჩენ სახელმწიფოებს შორის, „ნაკლებ მშვიდობიანად არიან შინაობაში ბელგია, ისპანია და დანია.“ ავტორის თქმით, ბელგიაში ორი დასი ებრძვის ერთმანეთს ძალაუფლებისათვის: ერთი დასია, რომის პაპის მომხრენი ეგრეთ წოდებულნი „კლერიკალები“ და „მეორეს მხრით – ლიბერალები. ამათს განხეთქილებას საქმე ზოგჯერ აღრევამდე მიჰყავს ხოლმე, და რომ ბელგიას იმისთანა სამმართველო აგებულება არა ჰქონდეს – როგორიც დღესა აქვს, და ზედიზედ ორი ხელმწიფე, ერთი წინანდელი და ერთი ეხლანდელი, ჭკვიანი და კეთილგონიერებით სავსენი არ შეჰხვედროდა, – ან სხვის ლუკმად გახდებოდა, ან რევოლუციის გაუქრობელ თორნედ“ (1, ტ.9, გვ.96).

ილია წერს, რომ „მეორეხარისხოვან“ სახელმწიფოთა შორის, „ყველაზედ უფრო ძლიერია“ **ესპანეთი**. მაგრამ, „მისი მოუსვენარი შვილები“, „ჰრევენ მის შინაურს საქმეებს“ და „აბრკოლებენ საქმეთა მსვლელობას“. ესპანეთში, უამრავი დასებია და „სხვადასხვა გვარეულობის მომხრენი“ და არის მათ შორის გაუთავებელი დავა და ბრძოლები. „ამა ყოფაში ჩავარდნილი, აგრე საშინლად არევ-დარეული და დაულაგებელი შინაური საქმეები, სადღა მოიცლის ისპანიას საგარეო მოქმედებისათვის“. საკოლონიო პოლიტიკის გამო, ის ევროპისათვის ვერ იცლის, „თუ ამისთანა საქმედ არ ჩავთვლით მის მიდრეკილებას პორტუგალიის შემოერთებისათვის. საკოლონიო პოლიტიკის გამო კი ბისმარკმა ცხვირში ძმარი ადინა ისპანიას, მერე ასეთნაირად, რომ კინაღამ ომიც არ ასტყდა. კაროლინის კუნძულების ხელში ჩაგდება ბისმარკისაგან გულში ტკივილად ჩარჩა ისპანიასა, და იქნება ისე მთავრობას არა, როგორც თითონ ისპანიის თავმომწონე ერსა“ (1, ტ.9, გვ.97).

ილია ახასიათებს **დანიას**, როგორც „კარგად გაწყობილსა და საკმაოდ რიგიანად მომართულ“ სახელმწიფოს. ავტორის გადმოცემით, დანიის შინაური საქმეები, „ჩვეულებისამებრ მშვიდობიანად აღარ მიმდინარეობს“. მთავრობა და დეპუტატები ერთმანეთთან „დატაკებულნი არიან“ და „დავჯახება ზოგჯერ ქუჩაშიაც გადადის და ჩხუბს ასტეხს ხოლმე.“

რაც შეეხება მის საგარეო მდგომარეობას, ის ბისმარკის „პოლიტიკის ფარგლებში მოემწყვდა“ და რა თქმა უნდა „არ ახეირა: კაი მოზრდილი ქვეყანა წაართვა.“ ბისმარკმა, „დანიაზედ რომ გაილაშქრა, თავისი მტერ-მოყვარე

ავსტრია მოიშველა, ჩამოართვა დანიას შლეზვიგ-გოლშტინია და ავსტრიას პირში ჩალა გამოავლო“ (1, ტ.9, გვ.99).

„დანია მას აქეთ ძალიან გულნატკენია და არ შეიძლება არ ვიფიქროთ, რომ თუ სადმე ბისმარკს საქმე გაუჭირდა და საპოლიტიკო ბარდებში ძალიან და უიმედოდ გაება, დანიამაც ხელი არ გამოიღოს და ზღვევის სურვილი არ მოიკლოს, ეს აშკარაა. ამიტომაც, საცა რამ ატყდება გერმანიის წინააღმდეგ, ამტეხელი დანიასაც სახეში იქონიებს ხოლმე“ (1, ტ.9, გვ.97).

წერილში, „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“ რომელიც ილიამ დაწერა 1890 წელს, განიხილავს **პორტუგალიის** საგარეო და საშინაო ვითარებას. მას ახასიათებს, როგორც დღევანდელ დღეს, პატარა და უღონო სახელმწიფოს, რომელიც „ერთს დროს დიდ ამბავში ყოფილა. მისი გაბედულნი და გულსრულნი მკვიდრნი ერთს დროს განთქმულნი იყვნენ ზღვებზე სავაჭროდ სიარულითა და დიდძალი სიმდიდრე და ქონება შეჰქონდათ თავის ქვეყანაში. ამ ბედნიერ ხანაში პორტუგალიამ ბევრი ადგილი დაიჭირა თავის გათამამებულ მკვიდრთა გულმოდგინეობით და მხნეობითა და ბევრი ახალშენი (კოლონია) აიჩინა შორეულ ქვეყნებში, საცა-კი მიაწვდინა თავისი ხომალდი, თავისი გემი.“ მაგრამ, „ერთი დრო არავის შერჩენია“ და პორტუგალიამაც დაკარგა თავისი დიდება და დღეს თუ „ევროპის საქმეთა აშლილობა ასე თუ ისე ააწიოკებს ევროპას, პორტუგალიის ხსენებაც-კი არსად არის ხოლმე“ (1, ტ.9, გვ.57).

პორტუგალიის შესახებ, ილია წერს, რომ „ამ პატარა ქვეყანას თავისი საკუთარი მეფე ჰყავს და თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს“ და იყო „ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი და ყოვლად უნაღველი გარედამ“. მას შერჩა ზოგიერთი დაპყრობილი ადგილი და ერთ-ერთი იყო აფრიკაშიც, რომელიც „ეჭირა ეს ქვეყანა, თუმცა ბევრს არას ჰრჩებოდა და უქმად ეგდო ასე, რომ თითქმის თავმინებებული იყო პორტუგალიისაგან“. და სწორედ, ამ აფრიკული ქვეყნის ხელში ჩაგდება დააპირა ინგლისმა და დაიძაბა ურთიერთობა ინგლისსა და პორტუგალიას შორის. საქმე იქამდე დაიძაბა, რომ „ყოველივე აღებ-მიცემობა ამოჰკვეთეს ინგლისთან“.

ეს წერილი საყურადღებოა იმით, რომ ავტორი მსჯელობს მცირე ერზე და წარმოსთქვამს შესანიშნავ სიტყვებს, რომელიც გულს ეფინება ყველა პატარა ერის წარმომადგენელს:

„ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოება-

დაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავს-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი. პორტუგალიამ სწორედ ამისთანა დიდგულოვნობა და დიდსულოვნობა გამოიჩინა და ამით მთელის ქვეყნის თანაგრძნობა და პატივი მოიპოვა. პატარაა ეს პორტუგალია, მაგრამ ამ მხრით-კი კარგი ყოფილა“ (1, ტ.9, გვ.59).

ხოლო, რაც შეეხება თვითონ იმ აფრიკულ ქვეყანას, რომლის გამო ატყდა ინგლისსა და პორტუგალიას შორის დავა, ილია წერს, რომ: „მაგდენი არაფერია არც პორტუგალიის და არც ინგლისის სასახელოდ. ერთი კაცმა ჰკითხოს ერთსაცა და მეორესაც, ნეტა ვის ტაბლაზე ჰჩხუბობენ? იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას. იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ, და რაო ჩემოო? რა თქმა უნდა, ერთმაცა და მეორემაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორისავ ხელით ღმერთს მადლობას შესწირავენ, კარგად თუ ავად ამ წუთისსოფელს თითონ გაუძღვებიან, არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალად ცხონებას არ ინდომებენ, მაგრამ რას იზმენ საწყლები? ორთა-შუა მომწყვდეულან და უილაჯობით ვაის გაურბიან. იმის არ მცოდნენი, რომ ვუის შეეყრებიან. ერთისა და მეორისაგან იმ გზითვე იჩაგრებიან, რა გზითაც დღეს იჩაგრება პორტუგალია ინგლისისაგან. – ამ წერილს ავტორი ამთავრებს სიტყვებით, – „სამართალიო, იძახის პორტუგალია. ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდამაც მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები – იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე“ (1, ტ.9, გვ.60).

ი. ჭავჭავაძემ ცალკე წერილი მიუძღვნა ბალკანეთის სახელმწიფოებს. წერილში, „ბალკანეთის საქმეები“, რომელიც მან დაწერა 1886 წელს, ეხება **ბულგარეთს, რუმინეთს, სერბეთს, ჩერნოგორიას და საბერძნეთს**. იგი მოკლედ გადმოსცემს მათ მდგომარეობას და ურთიერთ დამოკიდებულებას.

მწერალი აღნიშნავს, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების აშლილობა, „დიდ სახელმწიფოთა“ შეშფოთებას გამოიწვევს, რადგან „ამ საქმისათვის მადა გაღვიძებული აქვთ, მაგრამ ჯერ მზად არ არიან“. მისი აზრით, ამ სახელმწიფოებს შორის ყველაზე უფრო მძლავრი გახდა „ბოლგარია“. ის გაძლიერდა „აღმოსავლეთ-რუმელიის“ შემოერთების შემდეგ. ის „თითქმის ერთი-

ორად გადიდდა, ერთი-ორად იმატა. ეს კიდევ არაფერი. საქმე ის არის, რომ ამით სტამბოლს კარგა მანძილზედ დაუახლოვდა..“ (1, ტ.9, გვ.130). მანამდე „სერბია, ბოლგარია და საბერძნეთი თითქმის ტოლები იყვნენ სივრცით, ღონით და შეძლებით.“ ამ სახელმწიფოებს ახსოვთ, რომ სანამ მათ „ბოლოს მოუღებდა ოსმალო“, ერთ დროს ძლერ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.

ბულგარეთის შესახებ, ილია ჭავჭავაძემ, 1886 წ. გამოაქვეყნა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, ერთი მეტად საყურადღებო წერილი, „სამეგრელოს მთავრის კანდიდატობა ბოლგარეთში“.

ამ წერილში, როგორც სათაურიდანვე ჩანს, მწერალი ეხება, 1853წ-დან, სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, ნიკო (ნიკოლოზი) დადიანს (1847–1903).

ცნობილია, რომ 1886 წლის 21 აგვისტოს, ბულგარეთში, რუსოფილმა ოფიცრებმა ბულგარეთში მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება, ბულგარეთის მთავარი (1879–1886) ალექსანდრე ბატენბერგი (Battenberg) (1857–1886) ტახტიდან ჩამოაგდეს და ბულგარეთიდან გააძევეს. რუსეთის მთავრობამ, ბულგარეთის მთავრის კანდიდატად წამოაყენა, რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე, 1877 წლიდან კავალერიის პოლკოვნიკი, ნიკოლოზ დადიანი. ხოლო, მოწინააღმდეგეთა მხრიდან, ავსტრო-უნგრეთის კანდიდატი იყო, გერმანელ საგვარეულოს, საქსენ-კობურგ-გოთას (Sachsen-Coburg-Cotha) წარმომადგენელი, „**პრინცი კობურგი**“.

ილიას წერილიდან ჩანს, რომ ნიკო დადიანის მხარეზე ყოფილა რუსეთი, გერმანია, ოსმალეთი და ბულგარეთის რეგენტობა. ხოლო „პრინცი კობურგისა“ – „ავსტრო-ვენგრია“ და ინგლისი. ილიას აზრით, რადგან „სულთანმა თავადი მეგრელიისა ოფიციალურად გამოაცხადა თავის კანდიდატად, როგორც რუსეთის მიერ მოწონებული, და მოწადინებული ბულგარია დღეს ისეთს მდგომარეობაშია, ნამეტნავად მისი რეგენტობა, რომ სულთანის წყენას არ შეიძლება არ მოერიდნენ. სულთანი ოსმალეთისა ჯერ კიდევ ბოლგარიის მბრძანებელად და ბატონად ითვლება და ამიტომაც მასზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. ამ მხრით ბოლგარია ეცდება ოსმალეთთან მაინც საქმე არ წაიხდინოს, როგორც წაიხდინეს რუსეთთან და ესეთი ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო შემოიწყრომეს“ (1, ტ.9, გვ.246).

ილია წერს, რომ „პრინც კობურგ-გოთას“ კანდიდატობას ეწინააღმდეგება, ბულგარეთის კონსტიტუცია, ვინაიდან „ბოლგარია მართლმადიდებელის სარწმუნოებას აღიარებს, 1879 წლის ტირნოვის კონსტიტუცია ამბობს, რომ ბოლგარიის მთავარი და მისნი შემდგომნი სხვა რჯულისა ვერ იქნებიან თუ არ

მართლმადიდებელისანი... პრინცი კობურგისა, ვითარცა კათოლიკე, ესე იგი სხვა რჯულის მექონი, არ შეიძლება ამორჩეულ იქმნას, თუ რჯულს არ გამოიცვლის და მართლმადიდებლობას არ მიიღებსო“ (1, ტ.9, გვ.247).

წერილის ბოლოს, ილია წერს, რომ თუ რომელი გახდება ბოლგარიის მთავარი, ამას დრო გვიჩვენებსო.

ბულგარეთის მთავარი გახდა 1887 წ. „პრინცი კობურგი“, ხოლო, 1908 წელს გამოცხადდა ბულგარეთის მეფედ, ფერდინანდ I კობურგი (1861–1948), საქსენ-კობურგ-გოთას (Sachsen-Coburg-Gota) საგვარეულოს წარმომადგენელი.

ილიას თქმით, სერბიასა და ჩერნოგორიას ყოფს ავსტრო-ვენგრია, და ისინი, ეს ორივე მხარე „ერთისა და იმავე შთამომავლობის ერსა“ წარმოადგენენ. ყველა ეს სამივე სახელმწიფოები: სერბია, ბოლგარია და საბერძნეთი, „ცდილობდნენ აქეთ-იქით გაწევ-გამოწევას და სანატრელ მერმისს.“ ამიტომაც, ბალკანეთის სახელმწიფოებს აშინებთ ბულგარეთის გაძლიერება და ევროპის სახელმწიფოებისაგან „სერბია თხოულობდა, მეც იმოდენა შემმატეთ, რაც ბოლგარიას შეემატაო და ხმასაც არ ამოვიღებო. ევროპამ ეს არა ჰქმნა, და მეტი რა გზა იყო, სერბიამ ხმალს ხელი გაიკრა.

საბერძნეთიც ამასვე იძახის დღეს და იგი, კაცით, ფულით, ქონებით – ილევა, ყელამდი ვალში შედის და ამბობს: უსისხლოდ ვერ ავიტან ბოლგარიის გაძლიერებასა.“ და ესეც, როგორც სერბეთი, ევროპის სახელმწიფოებისაგან თხოულობს, „ან ჩვენც გაგვაძლიერეთ იმოდენად, რამოდენად გაძლიერდა ბოლგარიაო“, „ან ხმალს ქარქაშში არ ჩავაგებთო“ (1, ტ.9, გვ.132).

წერილში, „აშლილობა კრიტის კუნძულზე“, ილია აღნიშნავს, რომ კრიტის კუნძულის მკვიდრი ქრისტიანი ბერძნები და მაჰმადიანები, „ვერა ჰრიგდებიან ერთმანეთში“.

ისტორიიდან ცნობილია, რომ კრეტას კუნძული, რომლის სიგრძე სულ 260 კმ-ია და სიგანე 56 კმ. წარმოადგენდა, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ქვეყნებისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობათა დამაკავშირებელ, ჯერ კიდევ, ძვ. წ. III–II ათასწლეულებში, ეგეოსის კულტურის ცენტრს. ამიტომაც ყველა ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას. ძვ. წ. XXI–XX სს-ში აქ დაარსდა უძველესი სახელმწიფოები ევროპაში, ცენტრები, **კნოსოსი, ფესტოსი** და სხვა. კუნძულს, დროთა განმავლობაში იპყრობდნენ **დორიელები** და **აქაველები**. ძვ. წ. IV ს-დან დაწყებული კუნძულზე იქმნებოდა არაერთი ქალაქი-სახელმწიფოები, პოლისები, რომლებიც ელინურ, ძველბერძნულ, კულტურაში მნიშნელოვან ადგილს იკავებდნენ. ძვ. წ. 67 წელს რომაელებმა დაიპყრეს. ახ. წ.

395 წლიდან მოყოლებული, კრეტას კუნძული ხელიდან ხელში გადადიოდა ბიზანტიასა, არაბებსა და ჯვაროსნებს შორის. ბოლოს კი, 1715 წელს ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. XIX საუკუნის დასაწყისიდან, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობები დაიწყო და საბოლოოდ, 1913 წელს, ლონდონის საზავო ხელშეკრულებისა და საბერძნეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით კრეტას კუნძული საბერძნეთს დაუბრუნდა. მაგრამ დავა, ამ კუნძულის გამო, ამ ორ სახელმწიფოს შორის არ შეწყვეტილა, რადგან აქ ცხოვრობდნენ ბერძნები და ჩასახლებული მუსულმანები.

ილიას დროს, კრეტას კუნძულზე გამანთავისუფლებელი გამოსვლები მიმდინარეობდა. ამიტომაც იგი აღნიშნავს, რომ „კრიტის კუნძულს თვალი საბერძნეთისაკენ უჭირავს.

ის აზრი, რომ მკვიდრნი მისნი სისხლითა და ხორცით ეკუთვნიან საბერძნეთის ერსა და სრულიად უცხონი არიან ოსმალთათვის, რა თქმა უნდა დიდ პატივსადებ საბუთს აძლევს გულიც საბერძნეთისაკენ იქონიონ. ესეთი მიმართულება კრიტელთა სურვილისა ახალი ამბავი არ არის ევროპისათვის საზოგადოდ და არც საბერძნეთისათვის ცალკე.

გრძნობა სამართლიანობისა, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში კრიტელთა მხარეზედ არის და ამ მომხრეობას თხოულობს თვით ჭეშმარიტი და განწმენდილი ზნეობაც“ (1, ტ.9, გვ.133).

ილია წერს, რომ კრიტის „ხანგრძლივმა თავგანწირვამ“ ნაწილობრივ შედეგი გამოიღო, „ევრეთწოდებულ ხალეპის კონვეციამდე“ მიაღწია, რომლის გადაწყვეტილებით „ოსმალეთს – ცოტა არ იყოს – თვითნებობა ჩამოერთვა და შეეხუთა“, მაგრამ „ამ ბოლო ხანებში ოსმალომ ამაებს ყური აღარ ათხოვა“ და ძველებურად განაგრძო კრიტელთა ჩაგვრა. რის გამოც „მთელი კუნძული და მისთა მკვიდრთა ხელი ხმალს იკრეს თავის დარღვეულ სამართლიანობის აღსადგენად, ასე რომ რამდენიმე შემთხვევაც იყო ომისა კრიტელთა და ოსმალთა ჯარს შორის“ (1, ტ.9, გვ.134).

მწერალი განაგრძობს კრეტას შესახებ მსჯელობას და ამბობს, რომ რა თქმა უნდა საბერძნეთი ცდილობს ამ კუნძულის შემოერთებას, მაგრამ „ევროპის დაუკითხავად ეს ვერ გაუბედნია“. ხოლო, ევროპის პოლიტიკაში, ილიას აზრით, „არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯიბრი, ცილობა და ხარბობა, რომელიც დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას,

სვე-ბედს დაჩაგრულის კრიტისას ჰხუთავს, აბრკოლებს და ხელიდამ არ აცლის ოსმალეთს, რომელიც – რაკი ესეა – ყურსაც არ იბერტყავს“ (1, ტ.9, გვ.133).

„რაკი ევროპაზედ მიდგება საქმე, აქ ნაძირალი გრძნობანი ევროპის პოლიტიკისა თავს წამოჰყოფენ და საბერძნეთს ის დაემართება, რაც კოზაკს, როცა აქლემები წაიკიდებიან. ეს კარგად იცის საბერძნეთმა და ჰფრთხილობს – სამართლიანმა სურვილმა თავის შვილთა შემოერთებისამ უდრო-უდროოდ არ წაიტყუოს და მით არ ააწეწინოს ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის საქმე, რომელშიაც ყველას, როგორც თაფლში, თავისი ხელი ურევია. თვით ევროპაც შიშობს ამ აწეწვას, რადგანაც ჯერ აღმოსავლეთის საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისათვის მზად არ არის. აი მიზეზი, რის გამოც კრიტის საქმე ჯერ-ხანად არც ჰოა და არც არა, და ამ ჰო-არაობაში მოგებული რჩება მარტო ბრალიანი ოსმალეთი და უბრალო კრიტი კი იჩაგრება“ (1, ტ.9, გვ.135).

ი. ჭავჭავაძემ არა ერთი წერილი გამოაქვეყნა აზიის ქვეყნების შესახებ. განიხილავდა აზიის ქვეყნების ადრინდელ და ეხლანდელ მდგომარეობას. მისი თქმით, აზია, რომელიც ადრე ითვლებოდა ცივილიზაციის კერად, სადაც „ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა“, დღეს ის ჩრდილშია მოქცეული და თუკი ვინმე ევროპაში ახსენებს, მხოლოდ იმისთვის, რომ მისი სიმდიდრე, ან „მისი რომელიმე მხარე“ ჩაიგდოს ხელში „და ყურმოჭრილ ყმად იყმოს იმ მხარის მემკვიდრენი.“

„ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის,– წერს ილია,– ვინც მარტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდლობას – ავია თუ კარგი – ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს – რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო“ (1, ტ.9, გვ.114).

ილიას აზრით, აზიის ქვეყნები, თავის ადგილ-სამყოფელში ჩაიკეტა, „გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო.“ **ჩინეთი** და **იაპონია**, გამოეთიშა სამყაროს, არავინ არ გაიკარეს და თავის არემარეს კედელიც კი შემოალვეს. ხოლო **სპარსეთი**, „ამ ტყუილს თავმოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა“, ის „სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა

და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმოდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ჰხადიდა“ (1, ტ.9, გვ.115).

დღევანდელ დღეს, „აზიამ დაინახა უპირატესობა ევროპისა... და აქმომდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისას ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას“. ჩინეთი, რომელიც ყველაზე უფრო ჩაკეტილი იყო და ყველაზე „უფრო ეურჩებოდა ევროპიდამ შუქის შემოსევას და მოფენას“, ფრთხილად გაუღო კარი ევროპას, რადგან მათი „ერის უფროს-ერთობა მაინც ურჩობს და ჰთაკილობს სხვისაგან ჭკუის სწავლებას, სხვის ცივილიზაციას, სხვის ავკარგიანობას“.

ი. ჭავჭავაძე, ერთ დროს განვითარებულ და მძლავრ სახელმწიფოს **ჩინეთის** შესახებ წერს, რომ დღევანდელ დღეს, „ეს უბედური ჩინეთი, თუმცა ტანით და ხორცით ერთი რაღაც უზარმაზარი ვეშაპია“, მაგრამ მას შემდეგ, როდესაც „შედარებით პატარა ქვეყანამ, იაპონიამ, დაამარცხა ეს უშველებელი ჩინეთი“, „ევროპის დიდთა სახელმწიფოებმა დაბალი ღობე დაინახა“ და ეს „უღონო ჩინეთი დღეს ხელში სათამაშო ბურთად გაუხდათ.“ „ვისაც-კი არ ეზარება, ყველა ზედ მიჰსევია, ყურში ხელსა ჰკიდებს და ბავშვსავით ციბრუტივით ატრიალებს“, და მათს „შორის შური, მტრობა და სიხარბე არ იყოს, არც ერთს აწ ზედმისეულს სახელმწიფოს ცალკე არ გაუჭირდებოდა ეს უზარმაზარი, მაგრამ ულონო ქვეყანა ფეხქვეშ ამოედო და ამ ყოფით ზედ შესჯდომოდა სახედნად. დიდ სახელმწიფოთა ერთმანეთის ჯიბრი და ცილობა ინახავს დღეს ჩინეთს და იხსნის ამ უბედურებისაგან“ (1, ტ.9, გვ.177).

„იაპონია ამ მხრით უფრო გაბედულად ირჯება“. ის დაეწაფა ევროპის განათლებას, ევროპის „წესსა და რიგს“, და ცდილობს, რომ „ევროპაშივე სწავლამიღებული ახალგაზრდობა“ ჰყავდეს. სპარსეთმაც ევროპის ცივილაზაციას კარი გაუღო. სპარსეთის შაჰის შესახებ, ილია მოგვითხრობს, რომ მან „რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანასი ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს.“(1, ტ.9, გვ.115).

ილია ჭავჭავაძემ სპარსეთის, (21, III, 1935 წლიდან ეწოდება ირანის ისლამური რესპუბლიკა), შესახებ, 1889 წელს დაწერა წერილი, „დღევანდელი სპარსეთი“, სადაც მკითხველს ამცნობს რუსულ გაზეთში გამოქვეყნებულ ერთერთი კორესპონდენტის მონათხრობს სპარსეთის შესახებ. მისი გადმოცემით, „დღევანდელი სპარსეთი ის სპარსეთი არ არის, რაც აქამომდე იყო“. მართალია სპარსეთი მუსულმანური სახელმწიფოა, მაგრამ „თითო-ოროლა“ სასულიერო წოდებისამ „დაინახა, რომ თუმცა ევროპა ურჯულო ქვეყანაა, მაგრამ იქ ბევრი

იმისთანა წესი და რიგია, რომელსაც კაცმა ცხვირის მაღლა აწევით გვერდს არ უნდა გაუაროს, პირიქით, უნდა დინჯის თვალით დაუკვირდეს და აწონ-დაწონვით მისჩხრიკოს, – რა არის იქიდამ კარგი მისაღები და შემოსატანი და რა არის უარსაყოფი და განსადევნი“ (1, ტ.9, გვ.117).

ამ კორესპონდენტის გადმოცემით, ეხლა სპარსელები მოგზაურობენ ევროპაში. ეცნობიან მის ცხოვრებას, ახალგაზრდები ღებულობენ განათლებას ევროპის სასწავლებლებში და ცდილობენ, რომ სპარსეთი „თანდათან და ნელნელა“ დაეწიოს ევროპას და იძახიან, რომ: „სპარსეთიც საპატიო ადგილს დაიჭერს სხვათა განათლებულ ერთა შორის“ (1, ტ.9, გვ.118).

ილიას თქმით, ირანის შაჰი (1848-1896) ნასერ ალ-დინ შაჰ ყაჯარი (1831–1896) ცდილობს, რომ სპარსეთს, როგორც „შინაგანად“, ასევე „გარეგანს ცხოვრებასაც დაეტყო“-ს რამე. მისი ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომ „შეისწავლონ კანონები საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა და ოსმალეთისა, რომ იქიდამ ამოიღონ ყოველივე ის, რაც გამოადგება სპარსეთს საკეთილოდ“, რომ განახორციელონ რეფორმები. ამ წერილს, ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„აი სადამდე გაღვიძებულია დღეს სპარსეთი მისაღებად ყოველის ახალის კეთილისა, რომ თვით მოლებიც-კი ჰღაღადებენ ამასა... რაკი ამას ამბობს რეფორმების თაობაზედ სპარსელი სასულიერო კაცი, სჩანს თვით ხალხსა და ქვეყანაში ეს წყურვილი განახლებისა და რეფორმებისა კარგა ფეხმოკიდებულია“ (1, ტ.9, გვ.121).

1886 წელს „ივერიაში“, დაიბეჭდა ჩვენთვის საყურადღებო, მცირე მოცულობის წერილები, „მაჰმადიანთა გაერთების საკითხი“. წერილში ილია აღნიშნავს, რომ „რადგანაც ჩვენი მოსაზღვრენი თითქმის სულ მაჰმადიანები არიან, ამიტომ მეტი არ იქნება ჩვენთვის, რომ ამ დიდის აზრის მოძრაობას, რომელიც სულ სხვა მერმისს უქადის მაჰმადიანობას, ყური ვადევნოთ და მისი ვითარება დაწვრილებით შევიტყოთ“ (1, ტ.9, გვ.124).

მწერალი წერს, რომ „მუსლემანები, მაჰმადის რჯულის მადიდებელნი, კარგა ბლომა ნაწილს შეადგენენ კაცობრიობისას ქვეყანაზედ. ოსმალეთი და სპარსეთი ორი თვალსაჩინო სახელმწიფოა მაჰმადის რჯულისა, რომელთაც მთელი მაჰმადიანობა შეჰყურებს, როგორც მაჰმადის მოძღვრებისა და დროშის მფარველსა“ (1, ტ.9, გვ.122). და ამათ რომ ერთმანეთის მიმართ სარწმუნეობის მხრივ მტრული დამოკიდებულება არ ჰქონდეთ, მაშინ „მაჰმადის რჯულს უფრო მტკიცე ზღუდე ექნებოდა“ და პოლიტიკურადაც უფრო მძლავრნი იქნებოდნენ.

სპარსელი შიიტები, საჯაროდ შეურაცხყოფენ „ოსმალოებს“, სუნიტებს; ხოლო, სუნიტები-კი სპარსელებს „აჯამებს“ ეძახიან, ნიშნად ზიზღისა და ძულებისა.“

ილიას გადმოცემით, „შორსმხედველთა“ ზოგიერთმა მაჰმადიანებმა იგრძნეს, რომ სარწმუნეობის განხეთქილება მათ „არც ერთს მხარეს კეთილს არ დააყრის და თვით მაჰმადიანობასაც ძირს მოუთხრის“ და მოინდომეს „რჯულის ხელახლად“ გაერთიანება. ოსმალეთის სულთანის (1512–1520) სელიმ I იავუზის (Selim I Yavuz) (1467/68 ან 1470/71–1520), ხოლო შემდეგ, ირანის შაჰის (1736–1747) ნადირ-შაჰ ავშარის (1688–1747) დროს უცდიათ „ეს შეერთება მომხდარიყო“ მაგრამ, „ეს აზრი ვერ განხორციელდა“. ილია წერს, რომ მისი დროინდელი ოსმალეთის სულთანი (1876–1909) აბდულ-ჰამიდ II (აბდ ალ-ჰამიდ II) (1842–1918), ცდილობს შეარიგოს სუნიტები და შიიტები, და „ერთს გაერთებულს რჯულს ქვეშ შეაერთოს“, მაგრამ ჯერჯერობით ამით არაფერი გამოდისო. მისი აზრით, ამ საქმედან შეიძლება არაფერი გამოვიდეს, რადგან შეიძლება სპარსეთმა და თურქეთმა ხელშეკრულება დაამტკიცოს, მაგრამ „იმისთანა საქმეში, როგორც რელიგიაა, სარწმუნეობაა, რჯულია, რასაკვირველია – ულემობას, სამღვდელოებას, მთავრობას – ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი კი არა. საქმე თითონ ერია, ნამეტნავად მაჰმადის მადიდებელი ერი, რომელიც ჩვეულია – სახელმწიფო წყობილება, პოლიტიკა, და ერთობ ყველაფერი ქვეყნიერობაზედ, მარტო სარწმუნოებას დაუმორჩილოს, ქვეშ დაუყენოს და ანაცვალოს“ (1, ტ.9, გვ.126).

დღევანდელ დღესაც გრძელდება ამ ორ მაჰმადიანურ სარწმუნეობებს შორის დაპირისპირება და ისინი ერთმანეთს ანადგურებენ.

1888 წელს ილიამ დაწერა მეტად საყურადღებო წერილი, რომელიც ეხება ებრაელებს. ამ მცირე მოცულობის წერილში, „ებრაელთა საკითხზე“, ილია აღწერს მის დროში და ძველად ებრაელების მდგომარეობას და თანაუგრძნობს ამ ყველასაგან დაჩაგრულს, ისტორიულად დატანჯულ ერს. მისი თქმით, ის სიძულვილი ამ ერის მიმართ, რაც ადრე იყო, დღესაც გრძელდება. იგი წერს:

„არც ერთს ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხედია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდამ გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება. აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურს ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ყოველნაირის საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ

გახდეს მსხვერპლი ძულებისა და წამებისა. ამდენი ხანია ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაელებს არ გამოეცადოს. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწვალებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს. სდევნიდნენ ებრაელებს – ვითარცა ერს, სდევნიდნენ – ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, სდევნიდნენ – ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი“ (1, ტ9, გვ.248).

ილია აღნიშნავს, რომ ებრაელთა მიმართ ეს „ანტისემიტური“ სიძულვილი, ესე იგი ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი“. ასეთი მოძრაობა ჩანს ავსტრიასა და გერმანიაში, „ისეთ წრეშიაც კი, რომლისგანაც ნაკლებად მოსალოდნელი და საფიქრებელი იყო“. მწერლობისა და განათლების საზოგადოების ერთ ნაწილში. ანტისემიტური მოძრაობა სხვა ქვეყნებში თანდათან გაძლიერდა და იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ გერმანიის ხელისუფლება „ძალიან დაუფიქრებია“.

მწერლის გადმოცემით, გაზეთებში იბეჭდებოდა „ებრაელთა ყოფა-მდგომარეობის“ შესახებ, სადაც აღნიშნავდნენ, რომ „მიზეზი ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი-კი არ არის, არამედ ეკონომიური ძლიერება ებრაელთა კაპიტალისტებისა, რომლების ხელში გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოებისაო. ამ გარემოებას არა მარტო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, არამედ პოლიტიკურიცაო, და თუ ებრაელთა ეკონომიურს გაძლიერებას თავის დროზე არ შევებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიშიო. კაპიტალის ხელში მოექცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთაო. ყველანი იმასა სჩივიან, რომ ანტისემიტური მიმართულება თანდათან უფრო და უფრო ძლიერდება, ნამეტნავად განათლებულს საზოგადოებაშიო“ (1, ტ.9, გვ.249). ამ წერილს, ილია შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად საფიქრებელია, რადგანაც განათლებულს საზოგადოებას დიდი გავლენა აქვს ევროპის ყოფა-ცხოვრებაზე. ამ ნაწ-

ილს საზოგადოებისას შეუძლიან თავისი კვალი დააჩნიოს ებრაელთა ბედსა და უბედობას“ (1, ტ.9, გვ.250).

რუსეთში, მართალია ოფიციალურად გაუქმდა ებრაელების ყოველგვარი უფლებების შეზღუდვა და 1934 წ. ხაბაროვსკში შეიქმნა ებრაელთა ავტონომიური ოლქი, მაგრამ დღესაც გრძელდება მათ წინააღმდეგ არაოფიციალური გამოსვლები.

XIX ს-ის დასასრულს წარმოიშვა სიონიზმი, 1897 წელს სიონისტთა I ყრილობაზე გამოცხადდა და დამტკიცდა მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია. დღავანდელ დღეს, სიონისტთა მთავარი ცენტრებია აშს-სა და ისრაელში. მათი მთავარი მოთხოვნაა ებრაელების პალესტინაში თავმოყრა.

გაეროს გადაწვეტილებით, 1947 წ-ის 29 ნოემბერს, შეიქმნა პალესტინის მიწა-წყალზე ისრაელის, დიდი ბრიტანეთის სამანდატო სახელმწიფო. ხოლო 1948 წ-ის 14 მაისს, გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით გამოცხადდა დამოუკიდებელი ისრაელის სახელმწიფო.

უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ებრაელები მრავალჯერ არიან მოხსენებულნი და ისიც, რომ საქართველოში არ ყოფილა ანტისემიტური გამოსვლების არც ერთი შემთხვევა. მათ მიმართ არასოდეს არ მომხდარა და მათ არ განუცდიათ ეროვნული და სარწმუნეობრივი დევნა და ჩაგვრა. პირიქით, ქართულ ისტორიულ წყაროებიდან ჩანს, რომ ისინი თანასწორი უფლებებითა და მდგომარეობით სარგებლობდნენ ქართველებთან ერთად. მათ შორის იყვნენ ყმები, გლეხები, რომლებიც ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, მიწათმფლობელნი, ხელოსნები, მოიჯარები, დიდვაჭრები. მაგრამ, ისინი ძირითადათ მაინც ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. შეიძლება ითქვას, რომ დროთა განმავლობაში, საქართველოში, ჩამოყალიბდა ქართველ ებრაელთა ჯგუფი, რომელმაც შემოინახა ძველი იუდაიზმის დოგმებთან ერთად, ძველი ქართული შეხედულებები, ყოფაქცევები და წეს-ჩვევები, ტრადიციები.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ძვ. წ. 586 წელს, ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II-ემ ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღო და მიწასთან გაასწორა იერუსალიმი და მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონში გადაასახლა, ნაწილი ებრაელებისა საქართველოში გაიხიზნა. ხოლო, ზოგიერთი ისტორიკოსების მტკიცებითა და ქართლის მოქცევის ქრონიკის მიხედვით, საქრთველოში ებრაელები შემოსულან ძვ. წ. 169 წელს. ქართულ წყაროებში, მოხსენებულია, რომ ჩვ. წ-მდე მცხეთასა და ურბნისში ყოფილა „უბანი ჰური-

ათა“ და ჰქონიათ „ბაგინი ჰურიათა“, ესე იგი თავიანთი სამლოცველო ტაძრები — სინაგოგა.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ ებრაელები საქართველოში რამდენიმე ნაკადათ გადმოსახლებულან და დასახლებულან როგორც ლიხსაქეთ, ისე ლიხსიქეთ საქართველოში. მათი სასულიერო წოდების გამგეობა მცხეთაში ყოფილა. ებრაელები პირველად საქართველოში დასახლებულან, ხოლო, პირველი საუკუნის შემდეგ, ისინი გადასულან სხვადასხვა ქვეყნებში: დაღესტანში, სპარსეთში, ავღანეთში, ქურთისტანში და სხვ.

საქართველოში დასახლებულმა ებრაელებმა სამშობლო ენად, თავის საკუთარ ძველ ენასთან ერთად ქართული ენა მიიღეს და საქართველოს თვლიდნენ როგორც ძველ თავიანთ სამშობლოს. სადაც კი მიდიოდნენ ყველგან ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ, მათ მიერ მიღებული ქართული წეს-ჩვეულებები.

XIX ს. დასაწყისში საქართველოში გადმოსახლდნენ ევროპელი ებრაელები. მათ შესახებ საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-გამავრცელებელი ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე (1854–1931) წერდა:

„ევროპის ებრაელნი, უმეტესად გერმანულის კილო-კავის ენით ლაპარაკობენ. ამათი რიცხვი საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისიდან გამრავლდა. იგინი მისდევდნენ უმეტესად მესაათეობას, ოქრო-მჭედლობას და ვაჭრობას. დღეს მათი რიცხვი მთელს საქართველოში დიდია, ნამეტურ თბილისს. იშვიათად, რომ ამათშიაც ქართული ენის მცოდნე არ ნახოთ. ნამეტურ ვინც კი საქართველოში დაბადებულან, იმათ აუცილებლად იციან ქართული ენა, თვით ურიის დალალ დედაკაცებმაც იციან ქართული. ქართველთა და მთლად მცხოვრებთათვის ესენიც უვნებელი ხალხია. მათში განათლებულთ რიცხვიც დიდია, თბილისში მათ აქვსთ ორი სინაგოგა. მათი კაცი, ქალი და ყმაწვილიც კი სულ შრომას მისდევენ და მით სცხოვრობენ... მოქალაქე ებრაელთა გარდა არიან ჯარისკაცნიც. მათი რიცხვი დიდია, უმეტეს იგინი მუსიკის სწავლას მისდევენ“ (55, გვ.690.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან ისრაელში დაბრუნებული ქართველი ებრაელები, დღესაც არ წყვეტენ საქართველოსთან და ქართველებთან ურთიერთობას.

ილია ჭავჭავაძეს აქვს დაწერილი 1889 წელს ერთი წერილი, „მმართველობის შეცვლა ბრაზილიაში“, სადაც მკითხველს მოკლედ მოუთხრობს **ბრაზილიის** შესახებ. მის მდებარეობას, ისტორიას, მომხდარ ამბებსა და ვითარებას.

მისი გადმოცემით, ბრაზილია აღმოაჩინეს 1499 წ. XIX საუკუნის დასაწყისამდე. ბრაზილია ხელიდან ხელში გადადიოდა ესპანეთსა და პორტუგალიას შორის. მან 1822 წ. შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება და იმპერატორად გამოცხადდა „მემკვიდრე პორტუგალიის მეფისა“ პედრუ I (Pedro) (1798–1834). მიუხედავად იმისა, რომ მის დროს 1824 წ. ბრაზილიის კონსტიტუცია იქნა მიღებული და 1825 წ. პორტუგალია იძულებული გახდა ბრაზილია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეღიარებინა, მისმა „მმართველობამ ბევრი სამდურავი გამოიწვია“ და ბრაზილიაში წარმოიქმნა რესპუბლიკის მომხრეთა დასი. „ამ რესპუბლიკის მომხრეთა დასს ფარუპილიასებს ეძახიან“ (1, ტ.9, გვ.252). იმპერატორსა და რესპუბლიკელებს შორის მოხდა დაპირისპირება და ბოლოს, საქმე „იქამდე მივიდა, რომ დონ-პედრო I-მა მოიხადა გვირგვინი და გადასცა თავის შვილს, რომელიც მაშინ სულ ხუთის წლისა იყო და რომელიც ამ გზით გაიმპერატორდა დონ-პედრო II დ'ალკანტარიო-ს სახელით“ (1, ტ.9, გვ.252). ასე და ამგვარად 1831 წ. გახდა ბრაზილიის იმპერატორი პედრუ II (1825–1891).

ილია ახასიათებს მას როგორც საყვარელსა და ტკბილ კაცს, რომელმაც თავისუფლება მისცა ჟურნალ-გაზეთებს, მწერლობას „და ამის გამო ჟურნალ-გაზეთობა და მწერლობა გაძლიერდა და განკარგდა.“ იგი „დიდი მოყვარული იყო და დიდი მზრუნველი ერის განათლებისა... ეს შემდეგი ამბავისაგანაც სჩანს, როგორც გაზეთები იუწყებიან: როცა პარაგვაისთან ომს შემდეგ ბრაზილიის ერმა მოიწადინა ძეგლი დაედგა იმპერატორისათვის, დონ-პედრო II-მ ისურვა, რომ ძეგლისათვის მოგროვილ ფულით პირველდაწყებითი სკოლები გაემართათ“ (1, ტ.9, გვ.254).

მის დროს, „არც გზები და სხვა სასარგებლო საქმენი დარჩნენ წარუმატებლად“. ხელი შეუწყო რკინისგზების გაყვანას, „წინათ თითქმის არაფრის გამსყიდავი ბრაზილია იმოდენად გაძლიერდა დონ-პედროს ხელში, რომ ამ ბოლოს ხანებში ყოველწლივ 700 მილიონის საქონელსა ჰყიდის გარეთ.“ პირველად დაარსდა სასოფლო ბანკები.“ იმატა „მკვიდრთა სარჩო-საბადებელი“ და „მათმა ქონებამ“. ბანკებში „მისაბარებლად და შესანახავად შეტანილ იქმნა მკვიდრთაგან თხუთმეტ მილიონამდე. გავიდა კიდევ ათი წელიწადი და ამ ფულმა აიწია ორმოცდახუთ მილიონამდე.“ 1871 წელს მან გააუქმა მონობა, გამოსცა კანონი, „რომ თავისუფალ არიან ყველა ბავშვები, მონათაგან შთამომავალნი.“ ამის გამო, მის წინააღმდეგ ამხედრდნენ უკმაყოფილო „პლანტატორები, სახელდობრ მონების პატრონები“, „რაკი ხელიდამ გამოეცალათ მუქთა მუშა და რაკი ეხლა

სხვისის ოფლითა და ამაგით ცხოვრება აღარ შეუძლიანთ“. პლანტატორებმა და რესპუბლიკელებმა 1889 წელს, „ბრაზილიის სატახტო ქალაქს რიო-დე-ჟანეიროში რევოლუცია“ მოახდინეს და „უსისხლო, წყნარი და მშვიდობიანი, დონ-პედრო II დაუთხოვნიათ იმპერატორისაგან და რესპუბლიკა დაუწესებიათ, ჯერ-ხანად მაინც“. ამ წერილს ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„მაინც მონარქიები როგორღაც ვერა ჰხეირობენ ამერიკაში და, თუ არა ვცდებით, ეს ბრაზილია ერთადერთი მონარქია იყო მთელს ამერიკაში“ (1, ტ.9, გვ.255).

რა თქმა უნდა, საბჭოურ ლიტერატურაში, სულ სხვანაირად იყო დახასიათებული პედრუ II-ის მოღვაწეობა: „რესპუბლიკური და აბოლიციონისტური მოძრაობის პირობებში მიმართავდა მმართველობის ლიბერალურ მეთოდებს. სასტიკად უსწორდებოდა სახალხო აჯანყებებს. მის დროს ბრაზილია ეომებოდა (1851–52) არგენტინას. 1865–70 სათავეში ედგა ბრაზილიის, არგენტინის და ურუგვაის კავშირს პარაგვაის წინააღმდეგ. პარაგვაის ომმა გააუარესა ბრაზილიის ეკონომიური მდგომარეობა. 1888 მაისში პ. II, იძულებული გახდა გამოეცხადებინა მონობის გაუქმება. 1889 ჩამოაგდეს რესპუბლიკელებმა ანტიმონარქიული მოძრაობის შედეგად“ (15, ტ.8, გვ.10).

როგორც ამ წერილების განხილვიდან დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე, საკმარისად კარგად ერკვეოდა და იცნობდა მაშინდელი სახელმწიფოების როგორც საგარეო, ასევე საშინაო მდგომარეობას, მათ პოლიტიკურ ვითარებას. იგი ცდილობდა ქართველი მკითხველისათვის მიეწოდებინა გაზეთ „ივერიის“ საშუალებით ყოველი იმდროინდელი ცნობები ამ სახელმწიფოების შესახებ. ამხელდა ამ ქვეყნების მესვეურთა შენიღბულ პოლიტიკის აზრებსა და ზრახვებს, როგორც ზემოთ, ჩვენს მიერ განხილული წერილებიდან დავინახეთ, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა დაჩაგრულ მცირე ერებს და მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. იგი ოცნებობდა იმ დროზე, როდესაც რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული ერები და მათ შორის ქართველი ხალხიც, განთავისუფლდებოდნენ იმპერიის მარწუხებიდან, მოიპოვებდნენ დამოუკიდებლობას და ბოლოს და ბოლოს მიიღებდნენ სანატრელ თავისუფლებას.

თავი მეოთხე

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის, მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ

ზემოთ ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძეს, არ დარჩენილა საქართველოში დარგი, რაზედაც მეტ-ნაკლებად არ მიექცია ყურადღება და არ განეხილა ესა თუ ის საკითხი. ხოლო, ვინაიდან საქართველო მაინც აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა და მისი ეკონომიკა დამყარებული იყო ძირითადათ სასოფლო მეურნეობაზე, ამიტომაც ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას. მან არაერთი წერილი მიუძღვნა ამ დარგს, და საერთოდ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას, მის ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებას.

წერილში, „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ აღნიშნავს, რომ საჭიროა ლიტერატურის გარდა, ჩვენმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ხალხის ადათს, მის წეს-ჩვეულებას და ძირფესვიანად უნდა შეისწავლოს „მდაბიო ხალხის ცხოვრება“, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და იურიდიულ ცხოვრების უკეთ წარმართვას.

ილია წერდა:

„მდაბიო ხალხის გონებითი თუ სხვაგვარი საუნჯე მარტო იმის ლექსებში ანუ პოეზიაში როდი გამოიხატება, არა, ეს საუნჯე უხვად დათესილი და დარჩენილია ისეთს ნაწარმოებებში, რომელნიც სრულებით არ ეკუთვნიან პოეზიის სფეროს. ამ გვარია, მაგალითებთ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიურს და იურიდიულ ცხოვრებას.

ყველას, ვისაც კი უცხოვრია მდაბიო ხალხში, ეცოდინება, რომ ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს... ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს, — რაგვარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის ეკონომიურ და იურიდიულ ურთიერთობის შესახებ. ეს სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახვებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სასამართლოზედ, ერთურთის დამოკიდებულებაზედ და სხვა.

სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა

ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადრებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერს სტოვებენ. სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ,— რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ (1, ტ.4, გვ.191).

ილიას აზრით, იმისთვის, რომ ჩვენს ხალხს დაეძლია გაჭირვება, სიღატაკე, სიღარიბე და ის „უმეცრება“ რომელიც გავრცელებულია ჩვენში, საჭირო იყო „ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“, ეს არის ცოდნა, განათლება და სწავლა, და ამისთვის მოითხოვდა ილია სკოლების გახსნას. „სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განათლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად“ (1, ტ.4, გვ.340).

იგი მოითხოვდა მთავრობისაგან და საზოგადოებისაგან, რომ გახსნილიყო სამეურნეო სკოლები, „სოფლად დამართულნი“. ვინაიდან „მთელი ამიერკავკასია ძველთაგანვე სცხოვრებს და თავს იკავებს მარტო იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მიწასა და მიწათმოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყარო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა — საადგილმამულო მრეწველობაა და ამაზეა მთლად აგებული სრული ძალღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბეგარის გაძღოლისა გაუჭირებლად და უნაკლულოდ“ (1, ტ.4, გვ.342).

ილია წერს, რომ მხოლოდ ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს, რომ „აქაურმა ერთად-ერთმა მრეწველობამ, ერთად-ერთმა ერის სარჩო-საბადებლის წყარომ გზა გაიხსნას, ავალა იქონიოს და, რამოდენადაც შესაძლოა, უფრო უხვად იდინოს ერის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის“ (1, ტ.4, გვ.342).

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეკონომიური განვითარების ერთადერთ გზად მიიჩნევდა მიწათმოქმედებისა და სასოფლო მეურნეობის ცოდნას. ამიტომაც იყო, რომ როდესაც საქართველოში საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა და პედაგოგმა ილია წინამძღვრიშვილმა წინამძღვარიანთ-კარში, თავისი ხარჯით, თავისივე მამულში, 1883 წელს გახსნა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, ილია ჭავჭავაძე აღტაცებითა და სიხარულით შეხვდა ამ სკოლის გახსნას. მით უმეტეს, რომ იმ დროს ჩვენში არ არსებობდა სასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდობას სასოფლო-სამეურნეო განათლებას მისცემდა. ილია წერილში, „წინამძღვრი-

ანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა“, აღნიშნავდა, რომ „ეს ყოვლისფრით შემკული, ეს ფრიად სასარგებლო სკოლა, ესე კარგად და ცნობიერად დაწყობილი, ესე კარგად მიმდინარე სასწავლებელი, დღეს ერთის კაცის ზნეობითს ძალღონეზედ ტრიალებს“, და გაკვირვებული წერს, თუ „როგორ გაუძღვა და თავი და ბოლო როგორ მოაბა მაგ მარტოხელმა, ქონებით უღონო კაცმა“ და იგი მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ ხელი შეაშველოს და სახსარით დაეხმაროს ამ სკოლას, „ცხოვრებისა და არსებობისათვის“. რადგან, „აქ ყოველი გროში დიდის მადლობით მიიღება და ჩვენის ქვეყნის მოზარდს ყმაწვილს მოჰხმარდება მისდა და ჩვენდა საკეთილდღეოდ“ (1, ტ.4, გვ.347).

ჩვენ ზევით არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ქვეყნის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად საქმედ თვლიდა სწავლა-განათლებას. იგი არაერთ ნაწერებსა და წერილებში მოუწოდებდა ხალხს სწავლისაკენ. რადგან „სწავლა განათლება საჭიროა ყველასათვის“ და სთხოვდა ხალხს, განსაკუთრებით თავად-აზნაურობას, რომ „თავის შვილების სწავლა-განათლებას თავის ჯიბით მიეშველოს“. რადგან, „ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავ-კარგიანობის გასაძღოლად,— ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ“ (1, ტ.4, გვ.354).

მეორე ადგილას, პირდაპირ აცხადებს, რომ:

„ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უქონლობის მიზეზია. სწავლა-განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფრის დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავიდან სიმდიდრის წყარო მოვადინოთ“ (1, ტ.4, გვ.357). უსწავლელი, უცოდინარი, ხომ ყველაფერს მოკლებულია და იგი ყოველთვის „მცოდნე კაცის“ „ყურმოჭრილი ყმა“ არის. მწერლის თქმით:

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონებისა და სარჩოს მოსაპოვებლად. რასაც მცოდნე კაცი ერთს საათში მოიამაგებს, იმას უცოდინარი მოანდომებს ოთხ-ხუთ საათს. შესაძლოა კაცს სიმდიდრე თვალ წინ ედოს და ვერა ჰხედავდეს უცოდინარობით და ან ჰხედავდეს და არ იცოდეს, როგორ და რა გზით აიღოს და შინ შეიტანოს, და მცოდნე კაცი-კი ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარშიაც არ მოეჩვენება“ (1, ტ.4 გვ.359).

ილია მოითხოვდა, რომ უმაღლეს სამეურნეო სკოლებში უფლება მიეცად ესწავლად ქალებსაც. „რადგანაც გლეხთა ქალები მრავალგან თითქმის იმ-

დენსა მუშაობენ მიწას, რამდენსაც თვით მამაკაცნი. ამ შემთხვევაში საგანგებო სამეურნეო წესდების ცოდნა და სწავლა ფრიად დაეხმარება გლეხის ოჯახობას, რომელმაც ხშირად სულ უბრალო დამაბრკოლებელის მიზეზის მოშორებაც-კი არ იცის თავიდან“ (1, ტ.4, გვ.375).

საქართველოს ეკონომიკის შესახებ მსჯელობისას, ილია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოკიდებული იყო მიწაზე და ამ მიწის დამმუშავებელ გლეხზე, რომლის მთავარი სამუშაო იარაღი იყო გუთანი. მისი აზრით, ქვეყანაზე ოქროსა და ხმალს გარდა, „არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაც – გუთანია“ (1, ტ.5, გვ.121).

ილია აღნიშნავს, რომ ის ქვეყნები, რომელნიც მხოლოდ ხმალზე ესე იგი ძალაზე იყვნენ დამოკიდებულნი, განადგურდნენ, ვინაიდან მათ ხელში მხოლოდ ხმალი ეჭირათ, „გუთანი კი არა“. ამავე დროს, ილიას აზრით, მარტო გუთანი, რომ გვეჭიროს ხელში, ეს არაფრის მომასწავებელია, რადგან:

„გუთანს ცოდნა უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა – სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის-მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, – სამეურნეო სკოლაა“ (1, ტ.5, გვ.123).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXV-ში, იგი წერს.

„წყარო ეკონომიურის არსებობისა აქაურ მკვიდრთათვის სამეურნეო წარმოებაა. მასზე არის დამოკიდებული ქვეყნის ღონე, როგორც სახელმწიფო ხარჯის გასაძღოლად, ისეც თავისთავის საცხოვრისად.“ და ამისათვის „ერთი ძლიერი და გამონაცადი საშუალება ამ შემთხვევაში არის გავრცელება მიწათ-მომქმედთა შორის სამეურნეო ცოდნისა, თუნდაც პრაქტიკულად. უკეთესი გამავრცელებელი კიდევ სამეურნეო სკოლებია სოფლებში“ (1, ტ.5, გვ.308).

წერილში, „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ გამო“ ილია აღნიშნავდა, რომ:

„სოფლის მეურნეობას, ადგილ-მამულის პატრონობის წარმოებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით. იმიტომ, რომ ჩვენში სხვა თვალსაჩინო ეკონომიური წარმოება არა არის რა, თვინიერ სოფლის მეურნეობის წარმოებისა. თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამყარებული. ჩვენ ვიმეორებთ, რომ ეს ყველგან ესეა და ნამეტნავად ჩვენში მეთქი. ხალხის სიმდიდრეზედ კიდევ დაფუძნებულია ყოველის მთავრობის სულიერი და ხორციელი კეთილდღეობა. აქედამ ადვილად მისახდომია, რომ მთელს ევროპაში ყოველის ხალხის მთავრობას დიდი ყურადღება, დიდი ზრუნვა აქვს მიქცეული თავისის ხალხის სოფლის მეურნეობაზედ და დიდს ფულსაც ხარჯავენ, რომ მაგ უმთავრესს წყაროს ხალხის სიმდიდრისას ფართო, რიგიანი და შეუფერხებელი დენა ჰქონდეს...

რომ მართლა მთავრობის ყურადღება და ზრუნვა ფუჭს გულისტკივილად არ იქცეს, მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავის ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელს საჭიროებას დღემუდამ ჰსცნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გასწვდება“ (2, ტ.VI, გვ.44).

არა ერთ წერილში, ილია აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში, მთავარი ხელშემწყობი იყო „მიწა და გუთანი“, მით უმეტეს საქართველოსათვის. საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში, ილიას თქმით, ერთ-ერთ მთავარ ადგილს იკავებდა გუთანი. იგი წერდა:

„ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უვლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია. რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს“ (1, ტ.5, გვ.176).

მეორე ადგილას, მწერალი აცხადებს:

„ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე,— მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერთად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი“ (1, ტ.5, გვ.173).

საქართველოში, არქეოლოგირი გათხრების შედეგად, დადასტურდა, რომ უძველეს დროში, მიწათ-მოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების გამო, საკმარისად კარგად განვითარებული ყოფილა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები და მიწათმოქმედება. როგორც ირკვევა, აქ, ხდებოდა ხელოვნური მორწყვაც. განვითარებული ყოფილა მესაქონლეობაც.

ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„ვინც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია... მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად ბრძოლის ამბები ვიცოდით, ეხლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა კი არა, არამედ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებითგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასა სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია“ (6, ტ.V, გვ.12).

1883 წლის წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XX, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ჩვენში, ძირითადი დარგი იყო და დღესაც რჩება — მიწათმოქმედება. იგი წერს;

„ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მომქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი — იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთან“ (1, ტ.5, გვ.237).

საქართველოს ეკონომიკისა და ქართველი ხალხის შესახებ მსჯელობისას, მწერალი გაკვირვებული სვამს კითხვას, თუ როგორ შეძლო ამ მცირე მოცუ-

ლობის ქვეყანამ, ამ მცირე ერმა, მრავალ საუკუნოვან ისტორიაშიო, ამდენ გამუდმებულ ომებთან მაჰმადიანურ და სხვა სახელმწიფოებთან, თავის გადარჩენა? რა ეკონომიურ ძალების გამოყენებით შეძლო ჩვენმა ქვეყანამ ფეხზედ დადგომა? და საერთოდ ამ ძალებს „საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“ და ამ შეკითხვების პასუხს, თვითონვე იძლევა.

„ჩვენა გვგონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძღოლია მტერს ასე თუ ისე“ (1, ტ.4, გვ.177).

ილია თვლის, რომ „როგორც ყველგან სხვაგან“, „ჩვენს ეკონომიურ წყობაშიც“, ორი სახის მიმართულება იყო: „ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა ისე, რომ სოფლის წრეში ყოფილი მამულები, მიწა, მინდორი, ტყე – საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო; მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უსწორ-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვრებოდა“ (1, ტ.4, გვ.177).

ი. ჭავჭავაძე, არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ ჩვენი გლეხისათვის მთავარი მასაზრდოებელი წყარო იყო და დღესაც რჩება მიწა. წერილში, „ცხოვრება და კანონი“, იგი წერს, რომ ჩვენი გლეხი, დღენიადაგ იმის ფიქრშია და ცდაში, რომ ცოტა ეკონომიურად მომაგრდება თუ არა, შეიძინოს მიწა, ესე იგი უძრავი ქონება – ადგილ-მამული და მისი ბატონ-პატრონი გახდეს. ამის დასამტკიცებლად, ილიას სამი მაგალითი მოჰყავს:

1. ჩვენი გლეხი, თუკი ის გადაწყვეტს მიწის ნაკვეთის შეძენას, „მას არა ფასი არ აინტერესებს, უკან არ დაიხევს.“

2. იმ დროს, როდესაც „კანონი საკუთრების სიმტკიცისათვის მფარველობას არც ჰპირდებოდა და არც უწევდა... მამულის სყიდვაში მაინც უკან არ იხევდა და მაინც მამულს ყიდულობდა“.

3. გლეხობამ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ „შეისყიდა თავისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან“, და თანხა, „თავისის საკუთარის ჯიბიდამ მისცა“, და „მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა“. და შემდეგ წერს:

„ნუთუ ეს მაგალითები არ ამტკიცებს მას, რომ ჩვენებურს გლეხში დიდი მიდრეკილებაა მამულის შეძენისადმი“ (1, ტ.6, გვ.27).

ილიას აზრით, მეცნიერთა გამოკვლევით, რაც ადამიანი გაჩნდა დედამიწაზე და ჩამოყალიბდა საზოგადოება, წარმოიშვა ორი სახის ურთიერთ დამოკიდებულება, რომელიც მკვეთრად აისახა მიწის მფლობელობაში: პირადი და საზოგადო. ყველა ქვეყანაში, „ეკონომიური მსვლელობა და განვითარება ყველგან ერთგვარი და ერთნაირი“ იყო. ადამიანთა საზოგადოების დასაწყისში, პირველყოფილ თემურ წყობილების დროს, საკუთრების შესახებ, ილია წერს:

„მეცნიერთა გამოკვლევით, საკუთრებას ორი ელემენტი აქვს: ერთი საზოგადოებრივი, ანუ თემობრივი, და მეორე კერძობრივი. ყველგან პირველ-ჟამურ თემთა შორის – აზიაში, აფრიკაში, თუ ევროპაში – თემობრივს თვისებას საკუთრებისას სჭერია უპირველესი ადგილი. ინდოელებს, სლავიანებს, გერმანელებს,– მიწა სათემო საკუთრებად ჰქონიათ ისე, როგორც დღეს რუსეთშია და იავას კუნძულზედა. თვითეულს თემის კაცის სახლობას წილადხდომილი მიწა სჭერია დროებით. დროგამოშვებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაიბრუნებდა ხოლმე და ხელახლად დაყოფდა წილისყრით თემის კაცებს, რომ თვითეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებული იყო, მეტნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეღობილი ჰქონდა; მიწის მშრომელი და მიწისმფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო. უმამულობა ამგვარს წყობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა“ (1, ტ.6, გვ.119).

დროთა განმავლობაში, ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ამ ორი წყობიდან ერთ-ერთზე გადასვლა და მასზე დაყრდნობა და ცხოვრებაში ერთი სახის წყობის გატარება, ყოვლად შეუძლებელია. ყველაფერი ზოგადი, საზიარო, მით უმეტეს მიწის მფლობელობაში, როგორც ხდებოდა საბჭოთა კავშირის დროს, ეგრეთ-წოდებულ „კოლმეურნეობის“ სახით, არ გაამართლა, დაიშალა და იმის ხსენებაც აღარ არის. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კერძო და საზოგადო მიწის მფლობელობა უნდა იყოს ურთიერთ შეთანხმებული. ჩვენ,

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ილია ჭავჭავაძეს, როდესაც წერილში, „ხიზნების საქმე“, რომელიც შესდგება XVI ნარკვევებისაგან, აღნიშნავს, რომ:

„რომელი ერიც გინდა აიღოთ მთელს ქვეყნიერებაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, და ან მეორე მთელი არსება მიწათმფლობელობის საქმისა, რომელიც შეადგენს დღევანდელს ტკივილს ყველა ერისას და ყველა სახელმწიფოებისას, იმაში მდგომარეობს თუ, — რომელი ნაწილი საკუთრებისა გაძლიერდეს და გაუფლდეს კაცთა ეკონომიურს ცხოვრებაში: პირადი თუ ზოგადი. ეს ორი ელემენტი იბრძვის დღეს ქვეყნიერობაზედ და ეგრეთწოდებული საადგილმამულო, სამიწაწყლო საქმე (аграрный вопрос) მარტო ეგ ორთა-შუა ბრძოლაა და სხვა არა-რა“ (1, ტ.6, გვ.141).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიას თქმით, პირველად, პირველყოფილ ადამიანთა წყობილების დროს, უმეტესად საზოგადო საკუთრება სჭარბობდა, მაგრამ, შემდგომში, „სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისებების მიზეზთა გამო“, თანდათან საზოგადო საკუთრებას გამოეყო პირადი, კერძო საკუთრება. ხოლო, ამ „პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობითა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა, ესე იგი იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადაუდებელი, და რომელსაც სხვა არა ჰქონდა-რა, გარდა ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა“ (1, ტ.6, გვ.142).

ბატონყმობის დროს, პირისპირ შეახვედრა ერთმანეთს მემამულე, მიწის მფლობელი და მიწის დამმუშავებელი, „მიწათმომქმედი“, „მუშაკაცი“. „მიწათ-პატრონი“ იძულებული გახდა „მოჰრიგებოდა“ მიწის დამმუშავებელს და მისთვის დაეთმო საკუთარი მიწის ნაკვეთი, „თორემ მიწაც უქმად დარჩებოდა და ხელიცა. თქმა არ უნდა, თითონ მორიგება შესაძლო იყო მარტო იმ პირობით, რომ საკუთრების კერძო, პირადის ელემენტს დაეთმო რამ ზოგად ელემენტისათვის.

სწორედ ამაში აქვს დასაწყისი ყოველგვარს სახეს სხვისა მიწის ხმარებისას მთელს ქვეყნიერებაზედ“ (1, ტ.6, გვ.143).

ილია, ამავე წერილის IV ნარკვევში, ამ საკითხს უფრო აზუსტებს და იძლევა განმარტებას:

„მეცნიერთაგან გამოძიებულია, რა ხნიდამ ჩამოვარდა იგი წესი სხვისა მიწის ხმარებისა, რომელსაც სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა სახელი ჰქვიან და ჩვენში კი — ხიზნობა. დასაბამი საშუალ-საუკუნეებია, როცა მონასტრებმა და მსხვილმა მებატონეებმა დიდძალი მიწა-წყალი ასე თუ ისე ხელში მოიგდეს.“

მონასტრებმა და მებატონეებმა დაიწყეს მიწების ნაწილის გაცემა, „დასაბინავებელს ადგილს, სახნავ-სათესს, ტყეს და საძოვარს იმ პირობით-კი, რომ მონასტრებისათვის მორიგებული სამსახური გაეწიათ და ღალა ეძლიათ. ამნაირად მონასტრებს ყოველწლივ ცოტა თუ ბევრ შემოსავალი ჰქონდათ იმ მიწა-წყლისაგან, რომელნიც უამისოდ არას იძლეოდნენ და, უხელოდ დარჩენილნი, მუქთად ეყარნენ. სხვილთა მემამულეთაც ამავე სახით დაასახლეს თავისი უკაცო მამულები და მონასტრის პირობანივე დაუდვეს მიწათმომქმედთა“ (1, ტ.6, გვ.146).

ილია, VI ნარკვევში, იძლევა განმარტებას, თუ რას ნიშნავს და რას წარმოადგენს ხიზანი.

ხიზნობა, „წარმოსდგა ერთის მხრით იქიდამ, რომ მიწას ხელი არა ჰყვანდა საკეთებლად, და მეორეს მხრით – ხელს მიწა არა ჰქონდა. მაშასადამე, ყოვლთ უწინარეს, ხიზნობა იმისთანა აგებულებაა, რომელმაც შეაზავა და ერთად შეჰყარა მიწა და ხელი, დროთა ვითარებისა გამო განცალკევებული და ერთმანეთს მოშორებული“ (1, ტ.6, გვ.151).

მისი თქმით: „მფლობელობა მიწისა, რომელსაც ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმიწო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილნებური, ეკონომიურს ანგარიშზედ აშენებული“ (1, ტ.6, გვ.152). და ბოლოს, ილია დასკვნის სახით გადმოგვცემს ხიზნობის არსსა და ბუნებას. იგი წერს, რომ:

„ხიზნობა არის:

1. ერთგვარი სახე სხვისა მიწის ხმარებისა თავისუფალ კაცისაგან;

2. დაფუძნებული და დამყარებული ჩვეულებაზედ;

3. იმ ბუნებისა და მიმართულებისა, რომ ღალა და სამსახური უცვალებელ იყოს და ამასთანავე თითონ ხმარება მიწისა უსათუოდ ვადადაუდებელი;

4. ხანგრძლივობა ვადისა დამყარებული უნდა იყოს ეკონომიურს ანგარიშზედ და არა რჯულიერების მუდმივობაზედ;

და 5. მფარველი იმათის ზნეობრივობისა და ქონებრივის ინტერესებისა, რომელნიც ხიზნობით ერთმანეთზედ დამოკიდებულნი არიან და რომელთაც თვითნებობა შეზღუდულია საზღაურითა, თუ ვინიცობაა ერთი მეორის დაუკითხავად და უნებურად მოშლის ხიზნობასა. ხოლო უკანასკნელი მისაღწევი საგანი და მიდრეკილება ხიზნობისა იგია, რომ შეიძინოს სიკეთე, ღირსება და უპირატესობა დაწერილის კანონისა.

აი, ჩვენის ფიქრით, ხიზნობის არსება, რომელიც წარმოგვიდგინა ისტორიულმა მსვლელობამ მის დედააზრისამ, მიზეზმა მისის მოვლენისამ, ბუნებამ მის ეკონომიურ ხელშეკრულობისამ, ზნეობრივმა და ქონებრივმა ინტერესმა ამ

ხელშეკრულობით ერთმანეთთან დამოკიდებულთა, და ბოლონდელმა მისმა მისაღწევმა საგანმა, რომლისაკენაც იგი დღეს მიიზიდება“ (1, ტ.6, გვ.157).

ილია წერილში, ,,კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, წერს, რომ ყველა სოფელში, ,,ერთი ნაწილი მიწებისა, უფრო უკეთესნი, უფრო შემუშავებულნი და უფრო მომცემნი, მკვიდრთა გლეხთაგან სათვითოოდ დაჩემებულნი არიან, კერძოდ განსაკუთრებულნი და საშვილიშვილოდ დაჭერილნი. ამგვარს მიწებს ზოგან ნაფუძრებს ეძახიან და უფრო ხშირად კი საბლის მამულებს... ამისთანა მიწები მემკვიდრეობით გადადის ერთიდამ მეორეზედ“ (1, ტ.6, გვ.181). მიწების მეორე ნაწილი, ,,ზოგან ,,სასოფლოდ“ წოდებულნი, ზოგან ,,საზოგადოდ“, ზოგან ,,სათემოდ“ და ზოგან ,,სახასოდაც“, იმისთანა მიწებია, რომელიც ნაყოფიერებით პირველებზედ ნაკლებია, სოფელს მოშორებული და არავისგან არდაჩემებული. აქ ვინც პირველად და ყველაზედ უწინ გუთანს მოჰკიდებს და მოხნავს, მოხნული მიწა იმ წელიწადს იმისია, მეორე წელიწადს სხვა ჰხნავს და ჰხმარობს. ყოველს მკვიდრს სოფლისას ნება აქვს, საცა კი სხვას დაასწრობს, იქ მოხნას და რამდენიც უნდა, იმოდენა მოხნას“ (1, ტ.6, გვ.182).

ილიას თქმით, ჩვენი გლეხისათვის, ,,ოჯახის-შვილობა, ეკონომიური წელმაგრობა, ბინის მკვიდრად ერთს ადგილას მოკიდება... იდეალია ცხოვრებისა“ (1, ტ.6, გვ.211).

ილიას თქმით, ჩვენი გლეხი, რუსი გლეხისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი მიჯაჭვული არის მიწაზე, მასზეა დამოკიდებული მისი ცხოვრება და მომავალი.

წერილში, ,,კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, აღნიშნავს, რომ ჩვენს გლეხს, თუ ძალიან არ გაუჭირდა, ის თავის ადგილ-მამულს, ადვილად არ დატოვებს და სხვაგან საცხოვრებლად ადგილის ძებნას არ დაიწყებს. იმ მიწაზე, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ, აშენებდნენ ბაღებსა და ვენახებს და სადაც ,,მის მამა-პაპას თვისი ოფლი მოუდენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ“, და მის გულში ღრმად არის ,,ჩაჭდეული“,,,რომ ვენახი, ხეხილის ბაღი, სალაროა მის წინაპართა ჯაფისა, გარჯისა და მხნეობისა“, ,,ამიტომაც ძნელია ჩვენის გლეხკაცობისათვის ადგილიდამ დაძვრა. ამიტომაც იშვიათია ჩვენში უბინაოდ ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაულობა, რომელსაც „бродяжничество“ ჰქვიან. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს ,,მკვიდრი“ ჰქვიან და არა ,,დგმური“, როგორც ზოგიერთს ენაშია... თუმცა ჩვენს სახასო გლეხობას სასოფლო მამული სოფლისად მიაჩნია საერთოდ, და ამ აზრს არა შემთხვევაში არ ეურჩება, მაგრამ ამასთანავე თავისი საკომლო ადგილ-მამული საშვილიშვილოდ ეგულება. აქ ერთის მხრით – საშვილიშვილოდ გულვება

მამულისა და – მეორეს მხრით – მამულების დაყოფვა, მაშასადამე, თითქმის თავისად არ-გამოლოდინება, ერთმანეთს ეპირისპირებიან, ვითარცა წყალი და ცეცხლი. პირველი შეხედვით საოცარია, როგორ მოუთავსებია ჩვენს გლეხკაცობას ორი ამისთანა ერთმანეთის დამშრეტი საგანი? მაგრამ, აბა ნახეთ, რა ჭკვიანურად, რა წინდახედულობით ერთი მეორესთან მოურიგებია და შეუთვისებია!

ჩვენს გლეხობას, რომელსაც უწამებია, რომ სოფელი სოფლისაა და ამასთანავე საშვილიშვილოდ გამოლოდინება მამულისა გულში ჩარჩენია, ვადა არ დაუდვია მიწების დაყოფისათვის... თითონ სიტყვაც „საშვილიშვილო“, გლეხკაცისაგან ასე შეყვარებული და ასე ხშირად ხმარებული, სხვა არა არის რა, გარდა ორის თაობის დროთა სიგრძის აღნიშვნისა: შვილისა და შვილისშვილისა, თითქო ამას იქით გლეხკაცის თვალი აღარ სწვდებაო“ (1, ტ.6, გვ.189).

ილია ჭავჭავაძე, ამავე წერილში, ასევე აღნიშნავს ჩვენი გლეხის დამოკიდებულებას კერძო საკუთრების და სათემო მიწებისადმი. იგი წერს:

„ჩვენმა გლეხკაცობამ რაც კარგი რამ არის კერძო საკუთრებისა და სათემო მფლობელობაში, ერთსაც ჩამოათალა და მეორესაც და ერთად შეადუღა. იმით, რომ ჩვენმა გლეხკაცობამ მამულების დაყოფვას ვადა არ დაუდვა და დროთა მსვლელობას კი არა, იმისთანა გარემოებაზედ მიაგდო საქმე, რომელიც კაცმა წინათვე არ იცის, როდის გამოიჩენს თავს და გვიან-გვიანაც იჩენს, – მიწათმფლობელობას ხანგრძლივობაც კერძო საკუთრებისა საკმაოდ შეარჩინა და სათემო მფლობელობის სამართლიანი სასწორიც არამცთუ უღელში არ გადასტეხა, არამედ გაუმრუდებლად შეიმაგრა ხელში“ (1, ტ.6, გვ.190).

ილიას აზრით, ჩვენი გლეხი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ტოვებს თავის საცხოვრებელ ადგილ-მამულს, თუ იგი იძულებული არ იქნა. „აყრა და სხვაგან გადასვლა იმისთანა მიზეზს უნდა მიეწეროს, რომელსაც ხალხის თვალში აღარა მოევლება-რა, აღარა ეშველება-რა.“ და ეს ხდება, როგორც ყველგან, მხოლოდ, ხალხის გამრავლებისა და ამის გამო, ადგილ-მამულის სიმცირისას.

„ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოვლადშემძლებელის გრძნობის ძალითა, რომელსაც სამშობლოს ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, იმიტომ რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებასა და მოთმინებასა ბუნებითვე აქვს დადებული სამზღვარი და ამიტომაც უღონოა ამგვარის ჭიდილისათვის. როცა სიცოტავე ადგილ-მამულისა ვეღარ უძღვება ხალხს, როცა ვეღარა ჰკვებავს, მაშინ სხვა რა გზაა, თუ არ აყრა და სხვაგან ძებნა ახალის ბედისა“ (1, ტ.8, გვ.302).

ილია აღნიშნავს, რომ მის დროს, ხალხის აყრა და გადასახლება მომხდარა რაჭაში. მწერალი მიმართავს მთავრობას და ხალხსაც, საზოგადოებას, რომ რაჭველებს დაეხმაროს, საცხოვრებელი ფართი გამოუყონ, „ახოები გამოიღოს და ნაკლებულობა სახნავ-სათესებისა ამით შეივსოს“ და იქვე დასძენს, რომ „შრომისმოყვარე და დაუზარებელი“ რაჭველები ამ ადგილს „ხუთ-ექვს წელიწადში, წალკოტად გადააქცევს“, „თვითონაც იხეირებს და სხვასაც ახეირებს“ (1, ტ.8, გვ.304).

რა თქმა უნდა ხელუხლებელი, ცარიელი კერძო მიწა, არაფრის მაქნისია, თუ ის არ დაამუშავე, არ იშრომე და ამ შრომის შედეგად დოვლათი არ შექმენი, თუ გინდ ეს მხარე, ეს ადგილი ბუნებით ნაყოფიერი მიწა იყოს.

მწერალი, წერილში, „ცხოვრება და კანონი“ წერს:

„ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს რომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინცდამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზედ“ (1, ტ.6, გვ.7).

მისი თქმით, ქვეყნის სიმდიდრე დამოკიდებული არის ბუნებაზე, მიწაზე, ჰავაზე და რაც მთავარია თვითონ ადამიანსა და მის გარჯაზე.

„სიმდიდრეს ქვეყნისას შეადგენს ის ძალ-ღონე ჰავისა და მიწისა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის მოცემის მრავალგვარიანობას, და რამოდენადაც ეს მრავალგვარიანობა დიდია, იმდენად მდიდარია ქვეყანა. ამ საბუთით ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება“ (1, ტ.7, გვ.164).

ილია ჭავჭავაძე, არა ერთ მის ნაწარმოებებსა თუ წერილებში, ყოველთვის იცავდა გლეხებს. როგორც ცნობილია, იგი ებრძოდა და ყოველთვის გამოდიოდა ბატონყმობის წინააღმდეგ. მას თვლიდა საერთოდ ქვეყნის განვითარების შემაფერხებლად და როდესაც საქართველოში გამოცხადდა ბატონყმობის გაუქმება, მან მოითხოვა გლეხებისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემა. ილიას თანამედროვე, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ქრისტეფორე მამაცაშვილის

გადმოცემით, თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე, როდესაც იხილებოდა გლეხთა განთავისუფლების შესახებ საკითხი, უმიწოდ თუ მიწიანად, ილია გამოსულა ამ კრებაზე სიტყვით. ქ. მამაცაშვილი წერს:

„ოქმების წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, და ხმა მაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორში ვმსახურობდი, ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარშემოვერტყათ და ბატონ-ყმობის მოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი ახლოს მივსდევდით ილიას და მზათ ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი...

ილია გრიგოლის ძე თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადარჩა სიკვდილს გლეხთა ინტერესების დაცვის გამო და შემდეგშიაც არას დროს არ უღალატნია თავის რწმენისათვის.

განსვენებული მგოსანი მუდმივი მომხრე იყო წოდებრივ გათანასწორებისა“ (4, გვ.67).

ილია ჭავჭავაძის მიერ თავად-აზნაურობის კრებაზე წარმოთქმული სიტყვის მოკლე ჩანაწერი, დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“.

1864 წლის დადგენილებას, ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ილია სიხარულით შეხვდა. მისი თანამედროვე მიხეილ შამანაური, იხსენებს ილიასთან დაკავშირებით ერთს მაგალითს „რომელიც ნათლად გვიდასტურებს, რომ ილია გლეხებს მუდამ გვერდში ედგა, მათ ბედნიერებას შეჰხაროდა, მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა და მუდამ მათი დამხმარე იყო“ (5, გვ.175).

მისივე გადმოცემით, როდესაც იგი მუშაობდა ახმეტაში მდივნის თანამდებობაზე და ამოწმებდა ბატონყმობასთან დაკავშირებით სხვადასხვა სიგელებს, სადაც აღნიშნული იყო, თუ რომელ მეკომურ გლეხებს გადაეცათ მამულები, მას უნახავს სიგელი, რომელშიც აღნიშნული ყოფილა ილია ჭავჭავაძის მიერ გლეხ გონდაურებისათვის მამულის გადაცემა. მას დაუბარებია გლეხები საქმის გამოსარკვევად. მიხეილი წერს:

„გამოცხადნენ ჩვენთან გონდაურებიც და ჩვენ შეკითხვაზე გაგვიმარტეს, რომ ისინი, დღიდან ბატონყმობის გადავარდნისა, უკვე მესაკუთრე გლეხებად არიან

და დროებით ვალდებულ გლეხებთან არაფერი საერთო არა აქვთ; საქმე ის არის, რომ მაშინ ილია, ჯერ სრულიად ისევ ახალგაზრდა, მოსულა ჩვენს მამებთან და უთქვამს: ძმებო, ბატონ-ყმობის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება მე თქვენზე მეტად გამიხარდა; ნიშნად ჩემი სიხარულისა, ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალა თუ ხარჯი მე არ მინდა. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთო. გახარებულმა ბევრი გველაპარაკა, ბევრი დაგვარიგა და თანაც საბუთი მოგვცა და წავიდაო. რაკიღა ილიას მიერ გაცემული საბუთი დაკარგული აღმოჩნდა, ჩვენ გლეხების განცხადება ოფიციალურად შევამოწმეთ და სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა, გონდაურებს არავისთვის ღალა არ ეძლიათ, გარდა სახაზინო გადასახადისა, როგორც მიწის მესაკუთრე გლეხებს.

მე ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება, ჰფანტავს იმ ბურუსს და ჭორებს, რაც ილიას ირგვლივ იყო შექმნილი. ჩვენ ვიცით, რომ ილიას თავისი პირადი მამული არ ჰქონდა, რაც ჰქონდა, ისიც სულ სხვას აჩუქა, თვითონ კი მაშინ ცხოვრება უჭირდა“ (5, გვ.175).

ილია წერილში, „ცხოვრება და კანონი“, საქართველოში, ბატონყმობის გაუქმებას შემდეგნაირად ახასიათებს:

„1864 წ. მოხდა ჩვენში ყმების განთავისუფლება. მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარა ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. განთავისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ეგვანებოდა. რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტოვეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის. აი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად,

რამოდენადაც იმედი გვქონდა. რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზედ, თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა. მცირემ, მაგრამ უკეთესმა, ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგაო, რომ უსათუოდ უნდა გავშველდეთო, ისა სჯობიაო, ეხლავე ისე გავშველდეთო, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარა დარჩეს რაო. რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა. ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ. რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევაზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედააზრიც სრულად უარჰყო.

ჩვენის საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულად პირველთა დედააზრი და ირჩივა საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო“ (1, ტ.6, გვ.9).

ეგ „კლანჭგამოსადები რამ“, აღმოჩნდა ჩვენთან შემოღებული – მეოთხედობა, რომელიც აკავშირებდა გლეხსა და ბატონს ერთმანეთთან. ილია მეოთხედობის შესახებ წერს, რომ „ჩამოვარდა მეოთხედობა –ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი“ (1, ტ.6, გვ10).

მწერლის ახსნა-განმარტებით, მეოთხედობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მებატონის მიერ გაცემული მამულიდან, გლეხს უნდა მებატონისათვის მიეცა ამ მიწაზე მოყვანილი მოსავლის მეოთხედი. ამის გამო მოხდა გლეხსა და ბატონს შორის „წეწვა და გლეჯა“, უსიამოვნება და საჩივრები. მებატონე იძულებული იყო, რომ „ან გლეხის კეთილსინიდისიანობას უნდა დამყარებოდა. ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფადა.“ ეს კიდევ ხარჯს მოითხოვდა. ხოლო, „გლეხი უფრო ცუდს დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის, როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ – შიში ჰკლავდა, მეტს წამომედავებიანო“ (1, ტ.6, გვ.10).

მწერალი ასახელებს კიდევ ერთ კანონს რომელიც „საშფოთო და სადავიდარაბო“ გახდა გლეხსა და ბატონს შორის. ამ კანონის ძალით, „გლეხს კანონმა

კისრად დასდვა, რომ უსათუოდ რგებულის მიწების ნახევარი ყოველწლივ მოხნული უნდა გქონდესო“ (1, ტ.6, გვ.12).

ამ დავიდარების მოსაგვარებლად, მთავრობის მიერ მოცემულ „წესდებაში ორი გზა არის ნაჩვენები ბატონ-ყმობის საქმის უკეთ დაბოლოებისათვის. პირველი და უკეთესი ის, რომ გლეხს ღონისძიება აქვს – მთავრობისაგან დანიშნული მამული შეისყიდოს, და მეორე ის – რომ ვიდრე ეს მოხდება, ეგ მეოთხედი ერთს განსაზღვრულ და გადაკვეთით გადაჭრილ გადასახადად უნდა იქცეს“ (1, ტ.6, გვ.12).

მისივე თქმით, თუ წინათ გლეხი სახელმწიფო ხარჯს იხდიდა მის მიერ მოყვანილ მოსავლის ნაწილით, დღეს მას უხდება სახელმწიფო ხარჯის გასტუმრება ფულით და ამის გარდა მრეწველობის ნაწარმი, ყოველდღიური საჭიროებისათვის, შეიძინოს ფულის საშუალებით. ამიტომ ფულის შოვნა, „მეტად გაძლიერებულ საჭიროებად შეიქმნა.“ ილია წერს, რომ „ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი საეკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძღოლად ჩვენში“ (1, ტ.7, გვ.63).

ილია წერს, რომ ვინაიდან „ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მიწათმოქმედებაა“ (1, ტ.7, გვ.64), სწორედ ამ ეკონომიურმა მდგომარეობამ, კერძო მიწათმოქმედებამ ჩვენში წარმოქმნა ორი დაპირისპირებული წოდება, ანუ ორი კლასი: თავად-აზნაურული და გლეხობა. საზღვარგარეთ, სადაც ამ ბოლო დროს, წარმოიქმნა ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ანუ მუშათა კლასი, როგორც ჩვენთან, ასევე იქაც, ამ ორ კლასის ურთიერთ დამოკიდებულებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედ-იღბალი.

ილია ჭავჭავაძის აზრით, „საქართველო გვიან გამოვიდა განვითარების სარბიელზე, ამიტომ არსებითად სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად დარჩა, რომლის ძირითად მშრომელ მასას წარმოადგენდა არა პროლეტარიატი, არამედ გლეხობა“ (26, გვ.306).

ილია ამბობდა, რომ ჩვენთან, ისე როგორც რუსეთშიც, მრეწველობას წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის, საჭიროა განვითარდეს სხვა მრეწველობაც და ვაჭრობაც, „რომელიც ჰქმნის სიმდიდრეს ერისას და თვით ვაჭრობასაც ჰკვებავს და ასაზრდოებს.

ერთი ამისთანა მრეწველობა არის მიწათმოქმედება, სასოფლო მრეწველობა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის მთელი მეურნეობა და ავლადიდება ერისა რუსეთში და ჩვენში საკუთრივ“ (1, ტ.7, გვ.486).

ილია აღნიშნავს,რომ ჩვენთან,მატერიალური წარმოების მთავარი შემოსავლის წყარო, მიწათმოქმედება ჩამორჩენილია. მიუხედავად იმისა, რომ „ერთადერთი ღონე ჩვენის ქონების გაძლიერებისა ჯერ ხანად მარტო მიწათმოქმედებაა ჩვენში... რომელიც დღეს ჩვენ ასე თუ ისე პურს გვაჭმევს, ისეთ მდგომარეობაშია, რომ, თუ გზა და საფუძველი არ გამოეცალა, ისიც ხელიდამ წაგვივა და ჩაუვარდება სხვას, ჩვენზე უფრო მხნეს, ჩვენზე უფრო მცდელს, მცოდნეს და გამჭრიახს კაცს“ (1, ტ.7, გვ.40).

ი. ჭავჭავაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობას. იგი არა ერთ ნაშრომში აღნიშნავდა მის უაღრესად დიდ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისათვის და ვინაიდან იგი ერთად-ერთი ეკონომიური შემოსავლის წყარო იყო, იგი მოითხოვდა, რომ ამ დარგისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ. მისი თქმით, ჩვენში, ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არის თბილისი და ქუთაისი, აქაც-კი, ჯერ-ჯერობით წარმოებები არ არის და „წარმოადგენს მარტო ბაზარს“, სადაც ხდება სოფლის ნაწარმის გასაღება და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონლის გასაღება. მცირე ქალაქებში კი, თავმოყრილნი არიან „ათასი წურბელა“, რომელნიც აღარიბებენ სოფელს და მის მოსახლეობას. წერილში, „ჩვენი სოფლის მეურნეობა და შეკავშირების საჭიროება“, ილია წერს, რომ:

„ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარს შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე...

რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინც...

კაცმა, რომ თვალი დააკვირვოს ჩვენს სოფელს, დაინახავს, რომ ეკონომიურად გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელთბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწივ-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის“ (1, ტ.7, გვ.31).

ი. ჭავჭავაძეს, საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ დონის ასამაღლებლად, ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნდა საკრედიტო ბანკის დაარსება. იგი დიდ

მნიშვნელობას ანიჭებდა ბანკის მოქმედებას, რომელიც მხარში ამოუდგებოდა ეკონომიურად ჩვენს მოსახლეობას და დადებითად იმოქმედებდა ეროვნულ-კულტურულ კეთილდღეობის განვითარებაზე.

1872 წელს სათავადაზნაურო კრებაზე, ილიამ აღნიშნა, რომ: „1867 წელსა თავადაზნაურობამ გამოჰსთქვა სურვილი ბანკის დაწესებისა იმ აზრით, რომ დაიხსნას ჩვენი ქვეყანა სიღარიბისაგან და უმეცრებისაგან. იგი აზრი სავსეა მშვენიერებითა, პატიოსნებითა, დიდსულოვანებითა და ნაყოფიერებითა. ამა ძვირფასის აზრის გონიერებითსა შესრულებაზედ დამოკიდებულია ჩვენის ეკონომიურის მოღვაწეობის იგი განცხოველება და გაძლიერება, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ ნივთიერ კეთილდღეობამდე და სიმდიდრემდე და ამის გამო ზნეობის სიკეთემდეცა“ (2, ტ.VI, გვ.13). ხოლო 1875 წ. თფილისის თავადაზნაურობის კრებაზე, ილიამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს, რომ მაგ ფულს ერთი გროშიც არ დაეკარგოს, სესხმა ფული ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდამ უფრო ბევრი წილი ჩვენის ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს და ზოგი კიდევ ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვივნულან და არა იმათ, ვინს გულდაღმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელები დაუკრეფნიათ, პირი დაულიათ და ჰყვირიან მასვით და მაჭამეთო. ერთის სიტყვით, ჩვენმა თავადაზნაურობამ, რომელმაც ისეთი სამაგალითო მსხვერპლი მოიტანა საერთო სიკეთისათვის, რომელმაც ეგრე კეთილშობილურად შესწირა თავისის ქვეყნის სიკეთეს ის, რაც შეეძლო და რომელიც, ჩვენდა სასიქადულოდ, ამაღლდა იმ ღვთიურის და ბრწყინვალე აზრამდე, რომ თვითეული ყველასათვის უნდა იყოსო და ყველა თვითეულისათვის, – ამ თავადაზნაურობამ დააწესა ბანკი ჩვენს ფულს ფული მოაგებინოსო, ეს მოგება გაუწყვეტლივ იყოსო და ამ მოგებით შეუწყვეტელი, მუდამა წყარო გაუჩინოსო ჩვენს ქვეყანას საერთო გაჭირების სახსნელად, – და თუ ჩვენგანი ვინმე მოვა და გეტყვითო, წაღები გამიცვდა და შემიკერეთო, ის ხარაზთან გაგზავნეთო.

ეს არის, ბატონებო, უმთავრესი აზრი, რომელიც თავადაზნაურობამ ქვაკუთხედად დაუდვა ბანკსა“ (2, ტ. VI, გვ.19).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ III, რომელიც მან დაწერა 1879 წელს, აღნიშნავს, რომ ბანკი მხარში ამოუდგება ყოველმრივ უკიდურეს გაჭირვებულ დღეში ჩავარდნილ ჩვენს ქვეყანას, ყველაფერზე იმედ გაცრუებულ, ზნეობით დაცემულს, რომელსაც „ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა“, და „მოედ-

ნად დაგვრჩა ჩვენი ქონების წრე და ბილიკად – გზა ქონების შეძენისა, ანუ გაფლანგვისა... სხვა ღონე რომ არ იყო შველისა, ერთმა ჩვენმა კეთილის-მყოფელმა კაცმა ამ ბილიკს და მოედანს დააკვირვა თვალი და სთქვა: ცოტა რამ არის, მაგრამ ამისი გამოყენებაც შეიძლებაო, რომ ჩვენმა თვითმოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთები შეისხასო. სთქვა და თავის სასახელოდ აასრულა კიდეც, ამაზედ აშენდა ბანკების საქმე.

ამ საქმეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ კიდეც“ (1, ტ.5, გვ.49).

ბანკის მუშაობას საქართველოში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია დიდ მნიშვნელობას აძლევდა. იგი შემდეგნაირად ახასიათებდა ბანკის ღონისძიებას:

„გავსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რა მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის, ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ... ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეგ საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის, დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“ (1, ტ.5, გვ.49).

1875 წელს საქართველოში გაიხსნა თბილისის საადგილმამულო ბანკი. მის თავმჯდომარედ აირჩიეს, ბანკის ორგანიზატორი, ილია ჭავჭავაძე, რომელიც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, და მხოლოდ თავმჯდომარეობის მოვალეობას თავი დაანება, მიუხედავად ბანკის წევრთა თხოვნისა, როდესაც რეაქციულად განწყობილმა თავად-აზნაურებმა მოითხოვეს ბანკის თანხა გამოეყენებიათ გლეხთა მოძრაობის ჩასახშობად.

წერილში, „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი“, ილია ჭავჭავაძე, პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავს ქართული საადგილმამულო ბანკის, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, „ქართული დრამატული საზოგადოების“ დამაარსებლის, საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ლიტერატორისა და მთარგმნელის დიმიტრი ყიფიანის (1814–1887) მიმართ. იგი წერს:

„უსამართლობა, უმადურობა იქნება ჩვენს მიერ, რომ არა ვთქვათ, რა სამსახური გაუწია ბ-ნმა დიმიტრი ყიფიანმა ჩვენს ქვეყანასა. პირველ მას მოუვიდა ფიქრად ბანკი დაეარსებინა და დიდი ღვაწლი, დიდი მხნეობა, დიდი მეცადინეობა იხმარა ამ სასახელო ფიქრისა და აზრის განხორციელებისათვის. მან დაიყოლია ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობა, რომ ფული შეეწირათ ბანკის დაარსებლად. მან მარტომ იდვა ეგ კისრად და მარტომ შეასრულა თვისის სახელის სასიქადულოდ. იგი მაშინ იყო გუბერნიის მარშლად, და უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენის ფიქრით, არც ერთს მარშალს არც მანამდე, არც მერმედ, ასეთი დიდი ღვაწლი, ასეთი დიდი სამსახური არ გაუწევია ჩვენის ქვეყნისათვის, რაც უნდა სთქვან იმათ, ვინც ბანკის დაარსებაში ბოროტსა ჰხედვენ. ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ ბანკი დიდი საქმეა ჩვენის ქვეყნისათვის და ამ დიდი საქმის დამწყები, მეთაური და შესაძლოდ მქმნელი ბ-ნი დიმიტრი ყოფიანია. სახელი და დიდება ბანკის დაარსებისა განუშორებელ იქმნება მის სახელთანა“ (1, ტ.7, გვ.418).

ილია ჭავჭავაძის მოღვაწება ბანკში და მისი დამოკიდებულება ბანკის საკითხებთან, რომელსაც მან არაერთი წერილი მიუძღვნა, ეს ფართო და ვრცელი თემაა, ამავე დროს მოითხოვს ამ დარგის საქმიანობის ცოდნას, განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას და მოითხოვს მის მიერ წამოყენებული საკითხების დაკვირვებით გაშუქებას. ამიტომ ჩვენ, ბანკის საკითხებს არ გავარჩევთ და არ განვიხილავთ. მხოლოდ შევეხებით და ისიც ზოგადად, ილიას წერილებში აღნიშნულ ბანკის საკითხებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XIV, რომელიც მან დაწერა 1882 წელს, კმაყოფილებას გამოთქვამს ბანკში ჩატარებულ კრებაზე, სადაც განუხილავთ საქმეები, რომელიც „ქვეყანას შეეხებოდა“. კრებაზე მოუსმენიათ წინადადებები, რომელიც ფინანსთა მინისტრს წარმოუდგენია განსახილველად: „მასზედ, თუ რა შემწეობა შეუძლიან აღმოუჩინოს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკმა გლეხთა — მამულების შესყიდვაში და ეგ შემწეობა რა ახალს წესსა და რიგს მოითხოვს. ამ საგანზედ წარმოდგენილი იყო ბანკის მმართველისაგან ვრცლად დაწერილი წინადადება, რომელშიაც ნაჩვენები იყო ის ნაკლი, რაც საადგილ-მამულო კრედიტს სჭირს საზოგადოთ რუსეთში და რაც აბრკოლებს საქართველოში ცალკედ“ (1, ტ.5, გვ.153). და მეორე საკითხი იყო წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.

წერილში, „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“, ილია მოსახლეობას აუწყებს, რომ ჩვენთან, საქართველოში, უნდა გაიხსნას „საგლეხკაცო საადგილმამულო ბანკი“, რომლის მთავარი საქმიანობა იქნება გლეხებისათვის დახმარების გაწევა

მამულების შეძენისათვის. ბანკი სესხად გასცემს თანხას, რომ გლეხმა შეიძინოს მიწა „და ამნაირად ნასყიდი მამული გირაოდ იქონიოს ნასესხის გადახდამდე“ (1, ტ.7, გვ.422). იქვე იძლევა განმარტებას, რომ სესხი გაიცემა როგორც ცალკე გლეხზე, ასევე ამხანაგობებზეც, ცალკე სოფლისა და სოფელში მომქმედ საზოგადოებებზეც, სადაც გაერთიანებულნი იქნება რამდენიმე სოფელი. თვითეული სასყიდელი მამულის სახეობაზე იქნება დამოკიდებული სესხის რაოდენობა.

თვითეული გლეხი, წინასწარ უნდა მოურიგდეს მამულის პატრონს, ორივემ უნდა მოაწეროს ხელი „მორიგეობის პირობას“ და უნდა გაფორმდეს ნოტარიუსთან, ან მომრიგებელ მოსამართლესთან, ანდა სათემო მმართველთან. მსესხებელმა, ბანკისაგან ნასესხებ თანხაზედ, ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს გარკვეული თანხა. იმ შემთხვევევაში თუ გლეხმა თავის დროზე ვერ დაფარა ბანკში შესატანი დავალიანება „ნასესხის მოსაშორებლად“, მაშინ ბანკი „ჰყიდის გირაოდ მიღებულს გლეხკაცისაგან ნასყიდს მამულს“. თუ არა და, გლეხმა უნდა გადაიხადოს ყოველ თვეში გარკვეული საურავი. აქვე ილია შენიშნავს, რომ „ეს არასასიამოვნო საჭიროება მართლა აუცილებელია“ ბანკის არსებობისათვის.

ილია წერს, რომ ზოგიერთი შეღავათი აქვს გლეხს „მამულის სყიდვაში“, ჯერ ერთი, რომ „ბანკი ვადაზედ შესატან ფულს ყოველს ექვსს თვეზედ წინ კი არა სთხოვს გლეხკაცობას, როგორც სხვა ბანკები, არამედ სესხის დღიდგან ექვსის თვის შემდეგ. ეს საკმაოდ საგრძნობელი შეღავათია, იმიტომ რომ გლეხკაცს, რომელიც მამულსა ჰყიდულობს ბანკისგან ნასესხის ფულით, ისე ებღერტება ჯიბე, რომ ყოველი გროში მისთვის სანატრელია, და სად შეუძლიან იმავე დროს ნასესხის ფულის სარგებელი ექვსის თვისა წინათვე გაიღოს. ექვსის თვის შემდეგ კი სულ სხვაა, საკმაო დრო აქვს ან ნასყიდს მამულს გამორჩეს რამ, ან თავის მარჯვენასა, გროში გროშს შეიკეცოს და შესატანი გადაიხადოს“ (1, ტ.7, გვ.426). გარდა ამისა, ჯარიმა ეპატიება გლეხს, „თუ ჯეროვანი მოწმობა მთავრობის მოხელეობისა მიიტანა ბანკში მასზედ, რომ შესატანი ფული დააგვიანა რაიმე უბედურების გამო. – კიდევ – ერთი შეღავათიც ეძლევა მამულის გამოსახსნელად გასყიდვისაგან. ამისთანა გლეხკაცმა უნდა წარუდგინოს საბუთი ბანკსა, რომ ნარჩენს ფულს მოიშორებს ან მით, რომ იჯარით გასცა მამული, ან მით, რომ ნაწილს მამულისას ჰყიდის, ან სასოფლოდ ახვნევინებს მამულს, ან სხვა რაიმე გზით, რომელსაც ბანკი საბუთად შეიწყნარებს“ (1, ტ.7, გვ.427). კიდევ ერთ შეღავათს სთავაზობს ბანკი გლეხს, რომ იგი „არავითარს ხარჯს არა სწევს სახელმწიფოდ არც სესხის აღებაში, არც მამულის სყიდვაში, ყოველივე ქაღალდი მამულის სყიდვის თაობაზედ თავისუფ-

ალია ყოველ გადასახადისაგან, არც ღერბის ფული, არც დასამტკიცებელი, არც სამწერლო მასალები (Канцелярские пошлины) არ ერთმევა გლეხკაცს ამ შემთხვევაში“ (1, ტ.7, გვ.427).

ილია განიხილავს ბანკის ძირითად წესდებებს და ბოლოს დასძენს, რომ ეს წესდებები მიღებულია რუსეთისათვის, ხოლო ჩვენთან, ჩვენი გლეხისათვის უნდა შეიცვალოსო. იგი წერს:

„აშკარაა, რომ ეგ წესდება, შეუცვლელად ჩვენში გადმოტანილი, არ შეფარდებული, არ შეწონილი ჩვენის ქვეყნის ვითარებასთან, იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რის შემძლებელიც არის. და იმოდენად ფეხს ვერ გაიდგამს, რამოდენადაც სასურველია ჩვენებურ გლეხკაცობისათვის. რუსეთი სულ სხვა ქვეყანაა, იქაურს გლეხკაცს სულ სხვა გზა აქვს ცხოვრებისა და აქაურს სხვა. თითონ მეურნეობაც აქაური და იქაური სულ სხვაა და ეს სხვაობა უნდა იქმნას იმ ხიდად, რომელიც აქაურმა საგლეხკაცო ბანკმა უნდა გაიდვას ჩვენში სავლელად და სამოქმედოდ“ (1, ტ.7, გვ.427).

ილია, ჩამოთვლის, მისი აზრით, ამ წესდების რამდენიმე ნაკლოვან მხარეს, რის გამოც ჩვენი გლეხისათვის, ბანკის წესდებები უნდა შეიცვალოსო. იგი ამბობს, რომ სესხის აღება მეტად გაჭიანურებულია, ქაღალდების მიწერ-მოწერა, ფორმალობაა, საქმის გაჯანჯღლებაა, მეტს ხარჯსა და დროს მოითხოვს, აქეთ-იქით „სიარულს ითხოვს, და ყოველ ამით უძნელებს გლეხკაცს ბანკის კარამდე მისვლას“. „გლეხკაცი საქმის კაცია, დრო და მოცდენა ძვირად უღირს“ (1, ტ.7, გვ.428).

მეორე წესი, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთის, მამულის შეფასებას, ჩვენთვის, საქართველოს პირობებისათვის, მიუღებელია. ვინაიდან, მწერლის აზრით, ჩვენში, ერთი და იგივე, ერთნაირი ნიხრით მამულის შეფასება შეუძლებელია, რადგან ჩვენი ქვეყანა მთიანი მხარეა და „აქ მთა-ბარიანი ადგილმდებარეობა ჩვენის ქვეყნისა სრულიად სცვლის ამ გარემოებასა და ერთისა და იმავე სოფლის წრეშიაც-კი შეუძლებლად ჰხდის ერთისა და იმავე ფასის დადგენასა. ამიტომაც ჩვენში საგლეხკაცო ბანკი ვერ მოახერხებს ნორმალურს დაფასებას და უნდა მარტო სპეციალურის დაფასებით იხელმძღვანელოს, ესე იგი, ყოველი ცალკე მამული ცალკე მოსჩხრიკოს, გასინჯოს და ფასი ისე დაადოს. ამ მხრითაც საგლეხკაცო ბანკი ჩვენში ჰსაჭიროებს ჩვენის ქვეყნის შესაფერი წესები შემოიღოს“ (1, ტ.7, გვ.431).

ილია წერს, რომ რუსეთის სამხრეთ რაიონებისათვის, იქ სადაც ვენახებია, ფინანსთა სამინისტროში განიხილებოდა საკითხი ხანგრძლივი ვადიანი სესხის შესახებ და „საერთო წესის შემოღებისათვის ვენახების დაგირავების თაობაზე“.

ჩვენი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებიდან გამომდინარე, ბანკმა უნდა გასცეს გრძელვადიანი სესხი, ვინაიდან გრძელვადიანი სესხი, ბანკს აძლევს საშუალებას „გაასესხოს ფული გირავნობის ფურცლებითა იმდენი, რამდენსაც მამულის ღირებულება შესძლებს და აიტანს“ (1, ტ.7, გვ.501).

ილია დაწვრილებით განიხილავს მოკლე და გრძელვადიან სესხის საკითხს და ბოლოს გამოაქვს დასკვნა, რომ:

„მოკლევადიანი სესხი, 3-ის წლით აღებული, ამ უკანასკნელს შემწეობას არ მისცემს მამულის პატრონს, იმიტომ რომ შემოსავლის გაძლიერებისათვის მამულის განკარგებაა საჭირო და მამულის განკარგება კიდევ დიდის ხნით ფულის დახაფრებას თხოულობს. უძრავი ქონება, ვენახი იქნება თუ სხვა რამ, იმისთანა ბუნებისაა, რომ მასზე მიქცეული ფული პატრონს გვიან, დიდის ხნის განმავლობაში უბრუნდება თავისის სარგებლით, ისიც ერთბაშად არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით. ამიტომაც თვითონ საადგილმამულო კრედიტი, რომელიც დაფუძნებულია მარტო უძრავ ქონებაზე, ამ უძრავ ქონების ბუნებაზევეა ზედგამოჭრილი: იგიც ჰთხოულობს სესხის დაბრუნებას ერთბამად კი არა, ცოტ-ცოტაობით, ნაწილ-ნაწილ და თანდათანობით.

ვენახები კაი მოზრდილ ლუკმას ქონებისას წარმოადგენს ჩვენში, და თუ კანონი გრძელვადიან საკრედიტო საგნად გაჰხდის ამ დიდფასიან მამულს, მაშინ ვენახი, ვითარცა ამ მხრითაც გამოსაყენებელი ქონება, თავისს სრულს ეკონომიურს მნიშვნელობას მიიღებს და ეს გარემოება, ცოტა არ იყოს, ფასს მოუმატებს“ (1, ტ.7, გვ.502).

ავტორის თქმით, ჩვენთან, გრძელვადიანი კრედიტი უნდა იყოს იქ, სადაც ქონება ადვილად არ ფუჭდება, საიმედოა და იქ, სადაც ხანგრძლივობას იტანს. ასეთი ქონება-კი მხოლოდ მიწაა. ხოლო კრედიტის მომპოვებელი, ვინაიდან იგი „სიკვდილის შვილია“, მას ვერავინ ენდობა, და არც მის წარმოებას. რადგან მასზე დახარჯული კაპიტალის დაბრუნება ერთბაშად არ ხდება.

მისივე განმარტებით ერთადერთი ქონება, რომელიც იძლევა საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობას, არის „ეკონომიური ბუნება მიწისა“. წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XX, იგი წერს: „მიწა ჩვენშიაც, როგორც ყოველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, ვიდრე სხვა-გვარი ქონება, იმიტომ, რომ საზოგადო წარმოების გამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თითონ მიწა კი არც მატულობს, არც იზრდება, რაც ბუნებას გაუჩენია – მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა, დღეს

გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთი-ორად მეტის ფასისა გახდეს. ამაზედ თითონ ჩვენშიაც დარწმუნდებიან, ვისაც ახსოვს, რა ღირდა უწინ მიწა ჩვენში და რა ღირს დღეს. გარდა ამისა, არ არის ქვეყნიერობაზედ სხვა-გვარი ქონება, რომ ორმოც და ორმოც-და-ათს წელიწადს გასძლოს მთლად, დაუკლებლად, როგორც მიწა სძლებს. ამიტომაც მარტო ეგ-გვარი ქონება ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობას. შემდეგ, ილია იძლევა საადგილ-მამულო კრედიტის ახსნა-განმარტებას:

„ამ სახით, საადგილ-მამულო კრედიტი არის იმისთანა კრედიტი, რომელიც 1) ხანგრძლივია, 2) ერთბამად არა თხოულობს კაპიტალის დაბრუნებას, არამედ აცლის, რომ კაცმა იმ წარმოების მიხედვით, რაზედაც მიქცეულია კრედიტი, თანდათან და ნელ-ნელად გადაიხადოს ყოველწლივ სამსახური კრედიტისა გაძლიერებულის შემოსავლისაგან და 3) რომელიც, თუ არ მიწის იმედით, სხვა არაფრით არ მოიპოვება და არაფერს ვერ მიენდობა.

ამ სამს პირობას გარეთ არ არის და ვერც იქნება საადგილ-მამულო კრედიტი, ამის მოცემის მეტი არა შეუძლიან რა“ (1, ტ.5, გვ.239).

წერილში, „კრედიტი საქართველოს მევენახეთათვის“, ილია ამბობს, რომ როდესაც სამინისტროში განიხილებოდა საკითხი ბანკის წესდების შესახებ, მაშინ სამინისტრომ უარჰყო ის მუხლი, „რომელიც ვენახებსაც ჰხადიდა სათავდებოდ ხანგრძლივის სესხისა.“ რადგანაც, მათი განმარტებით, „ვენახი იმისთანა ქონებაა, რომლის ღირებულება იმოდენად სავენახე ადგილზე არ არის დაფუძნებული, რამოდენადაც პატრონის პირადის გარჯასა და მხნეობაზეო.“ ილია ნაწილობრივ ეთანხმება სამინისტროს გადაწყვეტილებას, რადგან „ვენახი ძვირფასი ქონებაა მხოლოდ მაშინ, როცა მართლა ვენახია“ (1, ტ.7, გვ.500). ხოლო თუ ის მოუვლელია, მაშინ ბანკი იზარალებს, რადგან თანხას „ველარ ამოაღებინებს“.

წერილში, „საგლეხო ბანკის საკითხისათვის“ მწერლის განმარტებით, რუსეთის საბანკო წესდებაში, ვენახი საერთოდ არ არის ნახსენები. ჩვენში კი, „ვენახები გლეხკაცისათვის დიდი რამ არის“ და ბანკი „თუ გლეხკაცს შემწეობას არ მისცემს ვენახი იყიდოს, ეს ძალიან შეუშლის ხელსა და გლეხკაცს უკან დააყენებს“ (1, ტ.7, გვ.431).

ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთერთ ძირითად წამყვან დარგს მევენახეობას. მან არაერთი წერილი მიუძღვნა მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას ჩვენში, ღვინის დაყენებასა და ღვინით ვაჭრობის შესახებ, ვაზის მოვლა-პატრონობის შესახებ.

არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს, ილია ჭავჭავაძის შემდეგ, საქართველოს მევენახეობის დარგში ჩატარებული, ჩვენი დიდი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული, საფუძვლიანი გამოკვლევები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო პირველი მეცნიერი-მკვლევარი, რომელმაც აღწერა და შეისწავლა ქართული მევენახეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის ანუ მემტილეობის და მემინდვრეობის დარგები, და აღწერა ქართული ვაზის ჯიშები, ქვესახეობები და მათი საქართველოში გავრცელების ადგილები და კლასიფიკაცია. თვითეული ვაზის ნაყოფის – ყურძნის ჯიშის ხნიერების მიხედვით მათი სახესხვაობა და წარმოშობა. მოცემული აქვს ადგილობრივი, შემოტანილი და საქართველოდან სხვა ქვეყნებში გავრცელებული ვაზის ჯიშები. იგი მოგვითხრობს საქართველოში გავრცელებულ სოფლის მეურნეობის ნაწარმის შესახებაც. აღწერილი, შესწავლილი და დახასიათებული აქვს ქართველ სოფლის მეურნეობის მოღვაწეთა, ძველი საუკუნეებიდან მოყოლებული გამოცდილებანი და მოვლა-პატრონობის წესები. ესე იგი, შეიძლება ითქვას, რომ მას გამოკვლეული და შესწავლილი აქვს საქართველოს მევენახეობის, მელვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობისა და მემინდვრეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი. ამავე დროს, არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს, ის შრომის უნარიანობა, რომელიც მან გასწია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით ტერმინოლოგიის დადგენაში. მის მიერ შექმნილი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, ფართო მოცულობის ორ ტომეული, არის უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი.

ი. ჯავახიშვილი, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე წიგნის წინასიტყვაობაში წერს:

„ვინც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და იმ ხანაში, რომელსაც ეს წიგნი ეხება, მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად ბრძოლის ამბები ვიცოდით, ეხლა უკვე ვრწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა კი არა, არამედ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებითგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია“ (6, ტ.V, გვ.12).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ქართული სოფლის მეურნეობის მეცნიერების სხვადასხვა დარგებისა და სოფლის მეურნეობის ეკომომიური მეცნიერების ფუძემდებლებად.

მეცნიერთა მიერ, წერილობითი წყაროების თანახმად (ბერძნული, სპარსული, ქართული და სხვ.) დამტკიცებულია, რომ ვაზი საქართველოში გავრცელებული ყოფილა ჩვენს წელთაღრიცხვამდე უძველეს დროს.

ძველი ბერძენი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი (ApollÕnios ho Rhodios) (დაახლ. ძვ. წ. 295–215) პოემაში, ,,არგონავტიკა". აღწერს, ,,კოლხთა მბრძანებლის", მედეას მამის, მეფე აიეტის სასახლეს, სადაც ზღურბლის წინ მაღალ ხეებზე შემოხვეული ყოფილა ვაზის ლერწები:

,,ვაზის ლერწები მწვანე გვირგვინად დახვეულიყვნენ, შეფოთლილები;
დრო იყო ვაზის ყვავილობისა, აღმა ასული ამკობდა სვეტებს,
დაბლა კი ოთხი მარად უშრობი წყარო შადრევანად მოჩუხჩუხებდა, –
ჰეფესტო ღმერთის ხელით გათხრილი მიწის გულიდან მორაკრაკენი.
ერთი მათგანი რძის წყარო იყო, მეორე ღვინის, ხოლო მესამე
სურნელოვანი ზეთისა გახლდათ, მეოთხე – წყაროს წყალი ანკარა" (52, გვ.123).

ძვ. ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (StrabÕn) ,,გეოგრაფია"-ში აღნიშნავს, რომ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ყოფილა ვაზი. ხოლო, ძვ. ბერძენ სწავლულსა და ისტორიკოსს ქსენოფონტეს (XenophÕntos) (დაახლ. ძვ. წ. 435/431–355/354) მოთხრობილი აქვს, რომ საქართველოში აყენებდნენ ღვინოს, რომელიც ,,სურნელოვანი და საამო" იყო და ინახავდნენ ქვევრებში, ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი, ისტორიკოსი, იურისტი და დიპლომატი პროკოპი კესარიელი (Prokopios Kaesariensis) (დაახლ.507–562) აღნიშნავდა, რომ: მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახები აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყნებში გასაყიდად" და სხვა.

არქეოლოგებმა, საქართველოს მიწა-წყალზე, სხვადასხვა ადგილას აღმოაჩინეს უამრავი ქვევრები და ვაზის არსებობის დამადასტურებელი ძეგლები. საქართველო აღიარებულ იქნა მეღვინეობა-მევენახეობის ისტორიულ სამშობლოდ.

,,კახეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანისდროინდელი ვენახის სასხლავები, რომლებიც 3 ათასი წლისაა, კიდევ უფრო ადრეულია თიხის ჭურჭლები, დოქები, ხელადები, ჯამები და სხვა...

მევენახეობა-მეღვინეობის სიძველეს საქართველოში ამტკიცებს ასპინძის რაიონში ვარძიის გამოქვაბულში აღმოჩენილი ქვევრები და ქვის კედლებზე ამოჩუქურთმებული ვაზის მტევნები.

მცხეთაში, მეფეთა აკლდამაში აღმოჩენილია მოჭედილი ვერცხლის ჭურჭელი, რომელზეც გამოსახულია ქალიშვილი მტევნით ხელში, ოქროს საყურეებით, შემკული ყურძნის მტევნებითა და ვაზის ფოთლებით.

საქართველოში ვენახისა და ღვინის გავრცელების შესახებ ბევრი საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მოგზაურმა შარდენმაც იგი წერს, რომ არსად იმისთანა ქვეყანა არ მოიპოვება, სადაც იმდენსა და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც საქართველოში...

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს გ. წერეთლის დასკვნით, ღვინო უნდა იყოს გავრცელებული მსოფლიოში საქართველოდან, ვინაიდან თვით განსხვავებულ სისტემის ენებშიც კი ღვინო მსგავსი სიტყვებით აღინიშნება, მაგ., ქართულად ღვინო, მეგრულად ღვინი, ბერძნულად ოინოს, ლათინურად ვინიუმ, სომხურად გინი, რუსულად ვინო, გერმანულად ვაინ, არაბულად ვაინუნნ. ამ მოსაზრებას იზიარებენ აგრეთვე ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორები დ. ტაბიძე და ა. ნეგრული“ (49, გვ.4).

არქეოლოგების მიერ, აღმოჩენილ იქნა ზემო-რაჭაში, მინდაციხესთან, ძველ დროში, კლდეში გამოჭრილი უზარმაზარი ქვევრი (ვარაუდით 700 დეკალიტრამდე, ანუ 7 000, 5 ლიტრამდე). საქართველოში აღმოჩენილი წიპწები ძვ. წ. VI–III საუკუნეს განეკუთვნება.

ი. ჯავახიშვილი წერს:

„ძველი საქართველოს ეკონომიკაში, მეტადრე სასოფლო მეურნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებითგანაც ჩანს, რომ მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად, მთა და ბარად, გაყოფა, როგორც დავრწმუნდით (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., I, 293-294), სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული: სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული. მევენახეობას ქართველი ერის სოციალური წესწყობილებისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა...

ამას გარდა, მევენახეობა-მეღვინეობას ძველი საქართველოს საგარეო ვაჭრობაშიც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა: ქართული ღვინო უძველეს დროითგანვე საექსპორტო საგანს შეადგენდა. ეს გარემოება საქართველოს მეზობლებმა და მტრებმაც კარგად იცოდნენ და, საქართველოსთან ბრძოლის დროს, ქართველი ერის თავგანწირული წინააღმდეგობისა და ქედმოუხრელობითი სულისკვეთების დასაძლევად, მათ არა ერთხელ სწორედ ამ სამეურნეო დარგის განადგურებისათვის მიუყვიათ ხელი.

ცნობილია, რომ მევენახეობა-მეღვინეობა სასოფლო მეურნეობის უმაღლესი დარგია, მისი წესიერი და ნაყოფიერი წარმოებისათვის განსაკუთრებული ცოდნაც არის საჭირო და დიდი დაკვირვებისა და შორს-გამჭვრეტელობის ნიჭიც უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ ამ რთული საქმის პირნათლად გაძღოლა შეეძლოს“ (6, ტ V, გვ.303).

ილია ჭავჭავაძე ვაზის შესახებ წერდა, რომ ჩვენთან, ძველი დროიდანვე მისდევენ მევენახეობას, რადგან „ბუნება და ნიადაგი სრულიად ხელს უწყობს ვაზის გაშენებას“ (1, ტ.7, გვ.149). რა თქმა უნდა „თუ ამინდი ხელს უწყობს და წელიწადი კარგი შეხვდა“, ვენახი „დიდძალს მოგებას იძლევა“ (1, ტ.7, გვ.167). ქართლ-კახეთში თანდათან ხდება ვენახის გამრავლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ვენახი უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე სახნავ-სათესი. გლეხმა დაინახა, რომ ვენახით „გაუძღვება მისის რჩენის საჭიროებასა. ამაში უნდა მოიპოვებოდეს მიზეზი ვენახების გამრავლებისა ჩვენში“ (1, ტ.7, გვ.168).

მწერალი აღნიშნავდა, რომ ის ერი, რომელიც ვაზს უვლის და პატრონობს, მისით ხარობს და თავს ევლება, იქ, ასეთ ერში ავზნეობა, ავაზაკობა და სხვა რამ ასეთი გამოხდომები ნაკლებად ხდება. ასეთ ერს ვერ შესწამებ ბარბაროსობას და ველურობას.

წერილში, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები“, ილია გადმოგვცემს, რომ ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთები, ზოგიერთნი „ბრძენიც“, რომლებიც ჩვენს შესახებ დიდის ამბით წერენ „ველური მოსახლეობა, ველური ქვეყანა“ («дикое население, дикая страна»), და „თითქო ამერიკა აღმოაჩინესო“, ყოველგვარი „საქმის ღრმად შინჯვისა“, თავის გამოჩენის მიზნით, რომელთაც „ღმერთს არ უღირსებია უნარი ჭკუათა მოძრაობისა“, „სხვა რა უნდა ჰქნან, თუ არ გავიდნენ ამისთანა გაცვეთილ ლათაიებითა“ (1, ტ.6, გვ.202). ავტორი ასეთ „ბრძენ“ ლიტერატორებსა და მეცნიერებს უპასუხებს შემდეგი სიტყვებით:

„მართალია, აქაური მკვიდრნი სხვებზე უკან ჩამორჩენილია ძალიან, ბევრი რამ აკლია, ბევრი რამ აქვს სანატრელი თვისის ნაკლის შესავსებად, მაგრამ ბარბაროსობასა და ველურობაზე ძალიან შორს არიან წინ წაწეული. სხვა რომ არა ვთქვათ რა, მარტო ის ამბავი, რომ აქაურმა ერმა პურისა და ქერის ხვნა-თესვის გარდა ვაზის მოვლა მაინც იცის კარგად თუ ავად, იცის ღვინის დაყენება, ჰქმნის ამ ერს სხვასთან შედარებით, თუ სხვა ყოველი გარემოება ერთნაირია, უფრო წინ წასულად გონებითად და აქედამ ზნეობითაც. ვაზი, ვენახი, ვით ხვნა-თესვაზე უმაღლესი და ურთულესი კულტურა მიწათმოქმედებისა, და ამასთან შეერთებული ღვინის დაყენება, უფრო მეტს გონების გარჯას და მოხერხების ძალას ჰთხოულობს, ვიდრე ხვნა-თესვა პურისა და ქერისა. აქ გონებას, საზრიანობას, ხერხის უნარსა უფრო მეტი სარბიელი აქვს ვარჯიშობისა და აქედამ გახსნისა და წარმატებისაც.

გარდა ამისა, ვენახი ხომ ერთის დღისა და წლის საქმე არ არის. იგია ნაყოფი დიდის ხნის ჯაფისა და შრომისა, იგია თავნი, ნელ-ნელა მოგროვილი მამა-პაპის ოფლის ღვრითა და თითქმის უტყვი ისტორიაა მთელის ოჯახის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებისა და ნაშრომ-ნაღვაწისა.

იმ ერს, რომლის შინაური მოწყობილობა ამისთანა ვითარებას წარმოადგენს, ვერ შეეწამება ბარბაროსობა და ველურობა იმოდენად მაინც, რომ ამით გამოიხსნას ნასკვი იმისთანა ავზნეობისა, რომელიც კაცს ავაზაკადა ჰქმნის“ (1, ტ.6, გვ.202).

წერილში, „მევენახე გლეხთა მდგომარეობა“, ილია აღწერს განსხვავებას მხვნელ-მთესველსა და მევენახეს შორის. მისი თქმით, გამრავლების გამო, ხალხს სახნავ-მიწები აღარ ყოფნის. ამიტომ მოსახლეობა იძულებული ხდება, რომ „სახნავ-სათესი მიწა იმისთანა სამუშაოდ უნდა აქციოს“, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიიღოს. ასეთი საშუალება კი ვენახია. მაგრამ, „ხვნა-თესვა იმისთანა რამ არის, რომ თუმცა ცოტას იძლევა, მაგრამ რასაც იძლევა, უფრო საიმედოა და მშრომელს უფრო ნაკლებ გაუმტყუნდება ხოლმე. ხვნა-თესვას მოსავლის იმდენი განსაცდელი, ფათერაკი არა სდევს, რამდენადაც ვენახისას. გარდა ამისა, რომ სულაც მოუცდეს გლეხკაცსა, უფრო ადვილად ასატანია, ვიდრე ვენახის მოსავლის მოცდენა“ (1, ტ.7, გვ.168). ხვნა-თესვაზე დახარჯული სახსრები, უფრო ნაკლებია ვიდრე ვენახსზე. ამის გარდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ „ხვნა-თესვის მოსავლის ხელაღებით მოცდენა ძნელი და იშვიათი შემთხვევაა, ვენახის კი უფრო ადვილია და ხშირი, ჯერ მარტო იმ მიზეზით, რომ ხვნა-თესვის მოსავალზედ კარგა გვიან მოდის მოსავალი ვენახისა და, მა-

შასადამე, ამინდის ცვლილებისა თუ სხვა განსაცდელის ქვეშ უფრო დიდხანს იმყოფება“ (1, ტ.7, გვ.168).

გარდა ამისა, ვენახის მფლობელს, ვენახის შენახვა დიდი თანხა უჯდება და ამავე დროს მოსავლის მიღება დამოკიდებულია „მრავალ განსაცდელზე“, „რომელიც თან სდევს ვენახის მოსავალს“, ამის გამო არის, რომ „ვენახის მიმდევარი გლეხი შეძლებით უფრო უღონოა, ვიდრე ხვნა-თესვის ამყოლი.“ გლეხს, რომ წელი მოუცდეს, იგი იძულებული ხდება „ვალში ჩაიფლას“, ხოლო, „ერთხელ ჩაფლული ძნელად თუღა იხსნის ვალისაგან თავსა“. მაგრამ გლეხს იმედი აქვს, რომ კარგი მოსავლის შემთხვევაში, იგი ფიქრობს, რომ „ვალსაც ერთბაშად გავუძღვები და ვახშსაცაო“. გარდა ამისა ის „სოფლის წურბელაც, რომელიც მარტო ფულის ბღარტობით ჰცხოვრობს და ქვეყანას იმის მეტი მისგან არა ემუნათება რა“, ვენახის პატრონს სესხს „ადვილად“ აძლევს, „რადგანაც ფულის პატრონი ყოველთვის წინდახედული და ანგარიშიანი კაცია, იმან კარგად იცის, რომ თუ წელიწადი ემარჯვა, დიდს ღონეს აძლევს გლეხკაცსა, და თუ არა, ფული შესაძლოა დიდ ხანს დაებანდოს და გაებას. ცალკე ამ იმედიანის სიხარბით, ცალკე ფულის დიდ ხანს დაბანდების შიშით, იმოდენა სარგებელს დაუდებს ხოლმე პირობად, რომ კაცი ჰკვირობს, საღის ჭკუის პატრონი ამ სარგებელს როგორა ჰკისრულობსო“ (1, ტ.7, გვ.170). სწორედ, ამ ზემოთ ჩამოთვლილ პირობების გამო ზოგიერთი თვლის, რომ ვენახის მფლობელი უფრო ღარიბად ცხოვრობს ვიდრე მხვნელ-მთესველი. ილია გაკვირვებული კითხულობს, „ნუთუ ჩვენში უმოსავლობა ვენახისა სჭარბობს მოსავლიანობას?“ (1, ტ.7, გვ.171). და შემდეგ გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „კარგი იქნებოდა, რომ სოფლად მცხოვრებმა მიხვედრილმა კაცმა თვალი დააკვირვოს ამ საოცარს ამბავს და თავისი აზრი ამ საგნის შესახებ გაგვიზიაროს. ეს მეტისმეტად საინტერესო საქმე იმად ჰღირს, რომ კაცმა ჯაფა გასწიოს და ზედმიწევნით გამოიძიოს. მართლა და, როგორ არ უნდა ეოცოს კაცსა, რომ ადამიანს მეტი სახსარი ჰქონდეს თავის რჩენისა და ის მეტი ჭირად გადაჰქცეოდეს, ანუ უკეთ ვსთქვათ, სიმდიდრე სიღარიბის მიზეზად გახდომოდეს“ (1, ტ.7, გვ.171).

ილია წერს, რომ ჩვენი მთავარი ეკონომიური შემოსავლის წყარო სოფლის მეურნეობა იყო და არის დღესაც, იგი სხვებთან შედარებით ჩამორჩენილია. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით ჩვენს ქვეყანას ყველაფერი აქვს: „ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა, მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენადაც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველს სფეროში ღონივრად გაიწივ-გამო-

იწიოს წარმატებისა და კეთილ მდგომარეობისათვის“ (1, ტ.7, გვ.32). იმისათვის, რომ ერი გაძლიერდეს და ბუნების ეს სიმდიდრე სრულად მოვიხმაროთ, საჭიროა გავაძლიეროთ ის წარმოება, „რომელსაც მიწათმოქმედება ჰქვიან, ანუ ერთიანი სახელი „სოფლის მეურნეობა“. მისი თქმით, სწორედ ეს „სოფლის მეურნეობა“, „ჩვენში ჯეროვანს სიმაღლეზე არა სდგას. ამას ბევრი მიზეზი აბრკოლებს, ზოგი სოციალური, ზოგი იურიდიული, ზოგი წმინდა ეკონომიური“ (1, ტ.7, გვ.32).

ილია განიხილავს ეკონომიურ მიზეზს. მისი აზრით, ჩვენ გარჯა და მხნეობა არ გვაკლია, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენთვის ამას „ბევრი არაფერი შეუმატნია“.

„რომ დავაკვირდეთ ჩვენებურ მიწათმოქმედებას, დავინახავთ, რომ ამას ჩვენში ორი დიდი ღონე აკლია: ერთი ცოდნა და მეორე სამუშად გადადებული ქონება. ერთიცა და მეორეც იგი განძია, ურომლისოდაც არავითარი წარმოება საზოგადოდ და მიწათმოქმედება საკუთრად ფეხსაც წინ ვერ წარსდგამს. ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია, (капитал) იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას“ (1, ტ.7, გვ.32). დღეს, თვითეული ჩვენგანი, ცალ-ცალკედ, მხოლოდ „დღიურ ლუკმაზე“ ფიქრობს და მას „სადღა აქვს დრო და მოცალეობა, გონება და ქონება, რომ ერის საერთო განკარგებას და გაძლიერებას მოახმაროს, შესწიროს“ (1, ტ.7, გვ.33).

წერილში, „ჩვენი სოფლური მეურნეობის შესაძლებლობანი და ბიუროკრატიზმი“, აღნიშნავდა, რომ საერთოდ ამიერკავკასია და მით უმეტეს ჩვენი ქვეყანა, ბუნებით მდიდარია, სადაც ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქიც კი ხარობს, მაგრამ მაინც სოფლის მეურნეობა დაბალ დონეზეა, რადგან მის განვითარებას ხელს უშლის ის ფორმალური დამოკიდებულება საქმისადმი, რომელიც გავრცელებულია რუსეთის იმპერიაში, ჩვენ კი დამოკიდებულნი ვართ მასზე. იგი წერს:

„რა თქმა უნდა, რომ ამგვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უქმად არ ჩაივლის და დიდს სარფას მისცემს როგორც ჩვენს ქვეყანას, ისეც მთელს სახელმწიფოს, თუ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი მარტო თეთრს ქაღალდზედ არ დაიკარგა და შავის მელნით არ მოირწყა. ამისთანა საქმეში არ მცოდნე კაცი, თუნდა გულმოდგინეცა, ვერასფერს გააწყობს მიწერ-მოწერის მეტს და ამ მიწერ-მოწერაში ისე აურევ-დაურევს დავთრებს, რომ ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ყველას დაავიწყდება და დარჩება სახსოვრად მარტო უშველებელ

ზვინი ქალალდებისა, რომელიც მარტო იმას გვიმოწმებს თუ, რა გზით ვინ გაუხმო ძირი ქინაქინის ხესაც და ჩაის ბუჩქსაც... ამისთანა საქმეს, როგორც ახალის სიმდიდრის გზის გახსნაა, საქმიანი, მოხერხებული, გამრჯელი, საქმეში დაოსტატებული კაცი უნდა. ამისათვის საკმარისი არ არის მარტო დიპლომი, რომელიც ყოველთვის არა ჰმოწმობს, რომ მის პატრონს ჯეროვანი ცოდნა აქვს, და თუნდაც ჰმოწმობდეს, საქმე მარტო ცოდნა კი არ არის, გამოცდილებაა. ჩვენ აქ სიტყვას „გამოცდილებას“ მთელის თავისის ვრცელის მნიშვნელობით ვხმარობთ. ჯერ ხომ კაცს თავისი ცოდნა უნდა თვითონ საქმეში ეცადოს, და მერე ზედმიწევნით ნახული და ნაცადი ჰქონდეს, რა ბუნებასთანა აქვს საქმე და რა ხალხთანა. ადგილობრივი ბუნებისა და ხალხისა თუ არა იცის-რა, იგი ამისთანა საქმეში, როგორც ახალის რისამე გასაჩენად შემოღებაა, ერთს ნაბიჯსაც უმარცხოდ ვერ გადასდგამს“ (1, ტ.7, გვ.59). და ამავე დროს იგი ყოველივე საქმეს არა თუ გააფუჭებს, სხვასაც გულს აუყრის და აუცრუებს.

ილია ჭავჭავაძე, ჩვენი სოფლის მეურნეობის დარგების შესახებ მსჯელობისას ამბობს, რომ ჩვენი მიწათმოქმედების დარგების ჩამორჩენის მიზეზი, „არავისაგან არ არის ხოლმე სახეში მიღებული და ამიტომაც გაჭირვების და სატკივარის წამალს იქ ვდებთ, საცა სატკივარის ბოლოა და არა სათავე. საცა შედეგია და არა მიზეზი. ეს იმასა ჰგავს, რომ კაცმა მღვრიედ მდინარე ნაკადული წყალისა ბოლოდამ ეცადოს დასწმინდოს ხოლმე და არა სათავიდამვე, თუ მაინცდამაინც დაწმენდა უნდა“ (1, ტ.7, გვ.61). ეს მიზეზი კი არის ის, რომ ჩვენში მიწათმოქმედება ხდება ძველებურად, და თუკი ადრე ამას „თავის პატივსადები საბუთი ჰქონდა“, ეხლა „ზარალის მეტი არა მოაქვს-რა“. ამიტომ საჭიროა, გამოიცვალოს „მიწათმოქმედების გზა და მიმართულება ჩვენში“ (1, ტ.7, გვ.62).

მწერალი ჩვენში სოფლის მეურნეობის და მიწათმოქმედების ჩამორჩენას ხსნის ჩვენი ისტორიული ვითარებით. ვინაიდან საქართველოს გარშემო ეხვია გამუდმებით მტრები და მუდამ თავდაცვაზე ფიქრობდა, ის იძულებული იყო „შინ ჩაკეტილიყო“, გზები შეკრული ჰქონდა, „არამცთუ სხვა ქვეყნებს, თავისას საკუთარ ნაწილებსაც-კი თვალს და ხმას ძლივ მიაწვდიდა ხოლმე“, და ის ძალაუნებურად იძულებული იყო, რომ რაც მას სჭირდებოდა საცხოვრებლად თვითონვე ეწარმოებია. ილიას აზრით კი, დღევანდელ დღეს მდგომარეობა შეიცვალა და მიწათმოქმედებაც ახალი გზით უმდა წავიდეს და განვითარდეს.

ილია ჭავჭავაძე, არავის უფლებას აძლევდა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის აუგად ხსენებას, რომლებიც სოფლის მეურნეობაში უცოდინარობას გვწამებდნენ.

ერთ-ერთ ასეთ ვაი-მეცნიერს, რომელსაც მოსკოვში რუსულ ენაზე გამოუცია წიგნი, „კახეთის გასაჭირისა და უმთავრესი მოთხოვნილებანი“ („О главнейших нуждах и потребностях Кахетии“), სადაც იგი წერს, რომ „ჩვენ არც ადგილის შერჩევა გვცოდნია სავენახედ და ვენახის კეთებაც ადამის-ჟამური გვქონია“ და საერთოდ „ქართველებმა არა იციან-რა“-ო, ამაზე, ილია, ასეთ პასუხს აძლევს:

„ერთი ეს ფიქრად მაინც როგორ არ მოუვიდა ბ-ნს ავტორს, რომ რამდენი საუკუნეა, რაც საქართველოში ვენახობას მისდევენ, და რა ღმერთი გაგვიწყრებოდა, ადგილის ამორჩევაც ვერ გვესწავლა. ჩვენ კი გვგონია, რომ ადგილის ამორჩევაზედ ჩვენ აბუჩად ვერავინ ვერ აგვიგდებს, ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავთ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდამ კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვემოწმება ამას. თუნდ ეგეც არ იყოს, ბ-ნმა ავტორმა აიღოს რომელიმე სოფელი და მიგვითითოს იმისთანა ადგილზედ, რომელიც იმ ადგილზედ უკეთესია, საცა დღეს ვენახებია... ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ რომ ვენახის კეთება ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგს არჩევისათვის რამდენისამე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ვინც ცოტაოდნად მცოდნეა ჩვენის ვენახის პატრონებისა, ის გვიმოწმებს, რომ თითქმის არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრით ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია“ (1, ტ.7, გვ.78).

ილია გაკვირვებული კითხულობს: „რაში მდგომარეობს ეს ადამის-ჟმური წესი, არც ამას გვეუბნება, უსათუოდ იმავ მოსაზრების ძალით, რომ ძველი ხალხია, უკან ჩამორჩომილი, და რა დიდი ლარი და ხაზილა უნდა, რომ ადამის-ჟამური წესი ექმნებათო“ (1, ტ.7, გვ.79).

ილიას აზრით, „ადამის-ჟმური წესი“, ეს „მიწის კეთებაა ვენახისათვის – ბარვა და თოხნაა და ამაზედ დამოკიდებული გაწმენდა ვენახისა, დაწვენა და დამუხლვა ვაზისა; სხვა რა რა არის, გვიბძანონ“ (1, ტ.7, გვ.79). შემდეგ, განაგრძობს ილია. ჩვენ გლეხზე იმისი თქმა, რომ მან ბარვა და თოხნა არ იცის და ვაზის მოვლა, ეს „მთქმელის მტკნარი უმეცრება იქნება და არა ჩვენის ხალხისა. მართალია, ჩვენში ეგრეთ-წოდებული „პლანტაჟით“ მომზადება მიწისა ვენახისათვის არ არის ჯერ შემოღებული, და თუ არის, კანტიკუნტად, და არც ლარზე

ჩაყრა ვაზისაა ჩვენში გახშირებული, მაგრამ სხვაფრივ ვენახის მიწის კეთება და მოვლა, რომელიც არსებითს საჭიროებას შეადგენს ვენახის კარგად კეთებისას, ჩვენში საკმაოდ კარგად იციან, იმოდენად კარგად, რომ რომელს ევროპიელსაც ეს ჩვენებური ცოდნა წინ არ წაუმძღვარებია და თავის ჭკუით უკეთებია ჩვენში ვენახი, გაშენებულიც კი ამოვარდნია“ (1, ტ.7, გვ.79).

შემდეგ, ამ „სხვისით მოლაპარაკე მეცნიერნი“-ს გასაგონად წერს:

„ჩვენ ამით იმისი თქმა არ გვინდა, რომ ვითომც ჩვენებურად ვენახისათვის მიწის კეთებას სანატრელი აღარა ჰქონდეს-რა, ეგ ტყუილი ბაქიობა იქნება. ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ ჩვენებურს კეთებას მიწისას ვენახებისათვის ბევრი თავისი საკუთარი მიზეზი და საბუთი აქვს, გამოცდილებით შემოწმებული და მეცნიერთაგანაც ჭკვად მისაღები... თუ ზოგი რამ აკლია ჩვენს ხალხს ვენახისათვის მიწის კეთების საქმეში, ზოგიც იმისთანა რამ იცის, რომ სხვასაც ასწავლის. ურიგო არ იქნება მსურველმა ისწავლოს მისგან ეგ ზოგი რამ და ტყუილის აბრუთი გაზვიადებული არ იძახოდეს: ადამის-ჯმური წესიაო. არა, ბატონებო, თავიდათავი ტკივილი ჩვენის ღვინის საქმისა იქ არ არის, საცა ესე ადვილად ჰპოულობენ ჩვენი სხვისით მოლაპარაკე მეცნიერნი“ (1, ტ.7, გვ.79).

ილია ჭავჭავაძის ნარკვევებისა და წერილების გაცნობისას სოფლის მეურნეობის შესახებ, ჩვენ დავინახავთ, რომ იგი საკმარისად კარგად ერკვეოდა და იცნობდა, ჩვენი სოფლის მეურნეობის საკითხებს, მით უმეტეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგს. მის მიერ წამოყენებული წინადადებები და მეთოდები, დროთა განმავლობაში მიღებულ იქნა და ჩვენს მევენახეობაში დამკვიდრდა და ფართოდ ჰპოვა გამოყენება. როგორც ჩანს, მწერალი იცნობდა რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერების ნაშრომებს და მათ მიღწევებს სოფლის მეურნეობის დარგში და ცდილობდა ამ წესების შემოტანას და დანერგვას ჩვენში, რომ გლეხებს ნაკლები შრომა დაეხარჯათ და ამავე დროს შედარებით უხვი მოსავალი მიეღოთ.

წერილში, „მცენარეთა შენაცვლების საკითხი მევენახეობაში“, ილია განიხილავს მიწის დამუშავების ერთ-ერთ ხერხს, რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება მევენახეობაში.

„ივერიაში“ გამოქვეყნებულ სვიმონ ვეზიროვის წერილში, რომელიც ეხებოდა ვაზის ავადმყოფობას, ილიას თქმით, ავტორი ამბობს, რომ ვაზი, ერთსა და იმავე ადგილას მყოფი, თანდათან სუსტდება და ადვილად ზიანდება. იგი თავისი გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან ფიქრობდა, რომ ამის მიზეზი არის ნიადაგის გამოფიტვა, ესე იგი მიწის მოღალვა და გაღარიბება, რის გამოც ვაზი

საკმარისი რაოდენობით ველარ საზრდოობს და ამიტომ, მოსავალიც თანდათან კლებულობს.

სხვა მცენარეებსაც იგივე ემართებათო.

ილია წერს, რომ ავტორის მიერ მოყვანილი „საბუთები", „ძალიან ჭკუაზედ ახლო არიან" და „კაცმა უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს პატივცემულ ავტორის აზრსა."

ილიას თქმით, ეს მიწათმოქმედების კანონი ჩვენში ყველამ კარგად იცის და სვამს კითხვას: „როგორ მოუხერხდეს ნაყოფთ-ცვლა ვენახსა?" თუ მიწის გამო ვენახი მოსავალს აღარ მოგვცემს, მასზე დახარჯულ ხარჯს ველარ აანაზღაურებს და „გაგვაღარიბებს", მაშინ „რისღა მაქნისია" ვენახი? „რა თქმა უნდა, — ამბობს მწერალი, — ვენახების გაკაფვას ამ შემთხვევაში ვერავინ ვერ ურჩევს ვენახის პატრონსა, ხოლო ამ ნაყოფთა ცვლის საჭიროებას-კი ჭკუადასმით ჩაფიქრება უნდა იმ მხრით, რომ როგორმე ეშველოს ვაზისაგან მოღლილ მიწას, თავისი ძალღონე დაუბრუნდეს იმ გზით, რომ მცენარეც შეეცვალოს და არც ვაზი გადაიკაფოს" (1, ტ.7, გვ.174).

ილიას აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება ერთ-ერთი ხერხით, რომელმაც შეიძლება, რომ გაამართლოს. იგი წერს:

„ამ საგანზედ ერთი აზრი მოგვივიდა ჩვენ და იქნება შესაწყნარებელი გამოდგეს, ამიტომაც საჭიროდ ვხედავთ აქ წარმოვსთქვათ. იქნება შესაძლებელი იყოს, იმისთანა მცენარე რამ მოინახებოდეს, რომ ვაზებს შუა მოვიყვანოთ და მოღალულს მიწას ის სამსახური გაუწიოს, რაც საჭიროა ვაზის სახეიროდ და იმის საზრდოს მოჭარბებისათვის. მინამ ამ სარჩიელს მივიღებდეთ, ჯერ რასაკვირველია, საჭიროა გამოვარკვიოთ: ნაყოფთ-ცვლაში რა მოქმედობს მიწის გაღონიერებაზედ წინანდელ მცენარისათვის? ანუ, უკეთ ვსთქვათ, ბუნება ამზადებს მიწას წინანდელ მცენარისათვის მით, რომ მიწა იმ მცენარისათვის ისვენებს, თუ თითონ შეცვლილი მცენარე ამზადებს მით, რასაც იგი სტოვებს მიწაში? თუ ეს უკანასკნელია, მაშინ ჩვენი სარჩიელი თავის საბუთს ჰპოულობს და, მაშასადამე, შესაძლოა, გამოგვადგეს კიდეც. არ იქნება მეტი, რომ ამ მხრითაც ჩაუკვირდეს კაცი დღევანდელს გაჭირებას ვენახებისას, რაკი გულს დავაჯერებთ, რომ მიზეზი გაჭირებისა მიწის მოღალვაა და სახსარი ხსნისა ნაყოფთცვლა" (1, ტ.7, გვ.175).

ილიას ამ მოსაზრებას, დღესაც იყენებენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, და მით უმეტეს მევენახეობაში, განსაკუთრებით იმ ადგილებში სადაც ნაკელის ნაკლებობაა, ან სხვა ორგანული სასუქების შეტანა გლეხობას ძვირი

უჯდება. მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ მწვანე სასუქების (სიდერაცია) გამოყენება ხელს უწყობს ვენახის გაძლიერებას, მისი ორგანული ნივთიერებებით გამდიერებას და აგრეთვე სარეველა ბალახების განადგურებასაც. მეცნიერებმა გამოავლინეს ისეთი მცენარეები, (ძირითადათ პარკოსანი: ბარდა, სამყურა, იონჯა და სხვა; და არაპარკოსნებიდან – შვრია, მდოგვი და სხვა), რომლებიც ნიადაგს ამდიდრებენ.

ა. ჭავჭავაძე, წერილებში შეეხო ვაზის დაავადებებსაც და იძლევა რჩევებსაც, თუ როგორ შეიძლება ამ დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა.

„ფილოქსერა, ეს ყველა ჭირზედ უდიდესი ჭირი ვაზისა, ჰლამის მოედოს ჩვენს ქვეყანას“. იმ დროს, როდესაც „სხვადასხვა კომიტეტები და კრებანი, აგრეთვე მთავრობა და სახელმწიფო მოხელენი, სწუხან და ჰფიქრობენ“, ამ მავნებლის მოსპობის შესახებ, „რომელიც გვიქადის ჩვენის ვენახების თავიდამ ბოლომდე ამოგდებასა და აოხრებას, ჩვენ თვითონ გულზედ ხელი დაგვიკრებია და ყურსაც არ ვიბერტყავთ, თითქო აქ არაფერია, თითქო არაფრის შიშია, რომ ერთი უდიდესი წყარო ჩვენის სიმდიდრისა, ჩვენის ცხოვრებისა, დაგვიშრეს და სრულად მოგვესპოს. ჩვენი განუყრელი უბედურება ის არის, რომ სულ სხვის იმედითა ვცხოვრობთ, სულ სხვისაგან მოველით შველას და ჩვენ თითონ-კი ხელს არა ვძრავთ, რომ თავს ვუშველოთ“ (1, ტ7, გვ.177).

მწერალი მიმართავს საზოგადოებას, რომ ამ დაავადების წინააღმდეგ, მთავრობასთან ერთად, დროზე უნდა იზრუნონ, თავად-აზნაურობამ, „მოიწვიონ მცოდნე კაცები და წამალი დასდონ ამ ჭირსა“. თორემ, რაც საფრანგეთს დაემართა, „საცა ასი-ათას დღიურობით მოუხდათ ვენახების გადაკაფვა და ვაზების ძირიანად ამოთხრა და დაწვა“,. ჩვენც იგივე დაგვემართება. „დროა გონზედ მოვიდეთ და დაუვიწყრად გვახსოვდეს, რომ რასაც კაცი თავის თავს თავის მხნეობით უშველის, იმას სხვა ვერ უშველის“ (1, ტ.7, გვ.178).

წერილში, „მოსავლის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ“ ისევ ეხება ფილოქსერას და წერს, რომ „ერთმა თვალთუჩინარმა მწერმა, ფილოქსერამ ხომ თითქმის სრულიად ამოაგდო ვაზი დასავლეთს ევროპაში. მთავრობა მილლიონობით ჰხარჯავს ფულს ამ „პაწია მტრებთან“ საბრძოლველად, მაგრამ მაინც ვერას აჰსვლია. ყოველ წელს მავნებელი მწერი უფრო და უფრო მტრულობს, მრავლდება და ხშირად სრულიად ახალი, უცნობი მწერი იჩენს თავსა. ჩვენშიაც ამასა ვხედავთ...

ფილოქსერა თვალთუჩინარი მწერია და ამასთან ბრძოლა მართლა რომ ძნელია და ამისთანა მტერთან საბრძოლველად კი, როგორც ხაშმის ჭიაა, ადვილი

საშუალება გვაქვს და ამ საშუალებას თითონ ბუნება გვიჩვენებს. მხოლოდ ჩვენი უმეცრება გვიშლის გამოვიყენოთ ის, რაც ბუნება გვაძლევს, ვინ არ იცის, რომ ვერა ჯარი ვერ ასდის ისე კალიას, როგორც ერთი ფრინველი, სახელდობრ, ტარბი, რომელიც დაუცხრომელი მტერია კალიისა და საშინლადაცა ჰშუსრავს ხოლმე. და აქამდინ თავში არავის მოსდის, რომ შეისწავლოს დაწვრილებით ყოფა-ცხოვრება და გააშენოს ჩვენში ეს ფრიად სასარგებლო ფრინველი... ყველა მწერს თავისი ტარბი ჰყავს, თავისი დაუცხრომელი მტერი – ფრინველი, და მხოლოდ ჩვენი უმეცრობა, უცოდინარობაა იმის მიზეზი, რომ ვერ მოგვიხმარია ის, რაც თვითონ ბუნება გვაძლევს. ჩვენი სამეურნეო საზოგადოების და განათლებულ კაცების მოვალეობაა, გაავრცელოს ხალხში ცოდნა სასარგებლო ფრინველების ცხოვრებისა, თვისებისა და გამრავლებისა და ამით ხალხს სახსარი მისცეს, რომ მავნებელი მწერი თავიდამ აიცილოს“ (2, ტ.VII, გვ.563–565).

საყურადღებოა ილიას მეორე წერილიც ვაზის ერთ-ერთი სნეულების ნაცარის შესახებ, რომელიც სადაც კი გაჩნდა, „კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზედ“. ილიას თქმით, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში არავინ არ გამოიძია არც მისი გავრცელების მიზეზი და „არც ვითარება“. მწერალი გაკვირვებული წერს, რომ ნუთუ „თვალყურ-სადევნებელი არ იყო თუნდ ის ამბავი“, რომ, ნაცრისაგან ზიანდებოდა ხან ერთი და ხან მეორე ადგილას ვენახები, კახეთში, იმერეთში და ხან ქართლში, ხოლო სამეგრელოში თითქმის სულ გაანადგურა ვენახები. იმისათვის მაინც უნდა მიექციათ ყურადღება, რომ ერთს წელიწადს, ერთსა და იმავე ადგილას, ზოგი ვენახი ნაცრისაგან ზიანდებოდა, ზოგი კი არა. ზოგჯერ ერთ წელიწადს გადარჩენილი ვაზი, მეორე წელიწადს ისევ ზიანდებოდა. მწერალი გაკვირვებული წერს, რომ:

„საკვირველია! ამოდენა ხალხში ერთი იმისთანა კაცი როგორ არ გამოგვიჩნდა, რომ თავისთავად დაჰკვირვებოდა ამ სენსა და აქაურ ბუნების მიხედვით მისი ვითარება თვითონაც ცოტად თუ ბევრად გაეგო და სხვებისათვისაც გაეგებინებინა!.“ (1, ტ.7, გვ.180).

ამავე წერილში, ილია ეხება ერთ-ერთ მწერს კალიას, რომელიც დროდადრო საქართველოში გამოჩნდება ხოლმე და დიდ ზიანს აყენებდა და სხვათა შორის დღესაც აყენებს სოფლის მეურნეობას, მით უმეტეს ვენახს. მწერლის თქმით: „ამ ოცდაათის წლის განმავლობაში ეს ბატონი კალია არა ერთხელ სწვევია ჩვენს ვენახებსა და გადუკორტნია ვაზის კვირტი. კახეთმა კარგად იცის, ეს პატარა სულიერი რამოდენა წანახდენს, რამოდენა ზარალს იძლევა.“ და მიუხედავად ამისა, ჩვენ „უღონობა, უთაურობა და უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ.“ „ერთმა

კაცმაც ხელი არ გაანძრია, თითი არ შეატოკა, რომ ეს პატარა მწერი თავიდამ მოიშოროს.“ და შემდეგ, გულდაწყვეტილი წერს:

„საყოველთაო ჭირია და საყოველთაოდ ჰთხოულობს გამკლავებასა და შეჭიდებას. თქვენგან არ გვიკვირს: სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა! კალიამაც-კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის წყეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანლობამ, ასე იცის იმ საყოველთაო გრძნობის არ ქონვამ, რომელიც საკრებულო არსებას უნდა ჰქონდეს აზარმაცსავით, რომ ამ წუთისოფლის საპალნე ადვილად ასწიოს და ჰზიდოს“ (1, ტ.7, გვ.181).

ილია ამბობს, რომ ამის გარდა ვაზს ბევრი „ახალი ჭირი“ დაატყდა თავს: „ობი, მილდიუ, ჟანგი, ფილოქსერა და სხვა ბევრი ჭიაღუა მიესია ვაზს და ჰლამის ბოლო მოუღოს. წარმოუდგენელია, რამ-სიდიდე უბედურება დაგვატყდება თავს, თუ მართლა ჩვენს ქვეყანაში ამოწყდება ვაზი.“ და ჩვენ კი, „არას დავდევთ და ყველაფერი ღვთის ანაბრობაზედ მიგვიგდია“, ყურსაც „არ ვიბერტყავთ და ვიძახით: როგორც მოვიდა თავისთავად, ისეც თავისთავად წავაო“ (1, ტ.7, გვ.182).

ილია აღნიშნავს, რომ საზღვარგარეთ, ზოგიერთი მკვლევარნი და მეცნიერნი, იმედს იძლევიან ვაზის განკურნებისა. მაგალითად, საფრანგეთში, ერთ-ერთი მეცნიერის დაკვირვებით, ვაზის დაავადებები სითბოს ცვალებადობაზე ყოფილა დამოკიდებული. მისი მტკიცებით, საფრანგეთში, ამინდის დათბობასთან ერთად ვაზის დაავადებები ქრება. ილია ამ აზრს, ეჭვის თვალით უყურებს და წერს, რომ: „იქნება ყოველივე ეს გამართლდეს საფრანგეთისათვის და ჩვენთვის-კი არა, რადგანაც ბუნება ჩვენის ქვეყნისა სხვაა და საფრანგეთისა სხვაა. იქ შეიძლება ერთი მიზეზი იყოს და აქ მეორე“ (1, ტ.7, გვ.183).

ი. ჭავჭავაძე, წერილში „ვენახების წამლობის შესახებ“, აფრთხილებს ხალხს, რომ ამ მავნებლების, ნაცარისა და „ნამეტნავად მილდიუ“-ს წინააღმდეგ საჭიროა წინასწარ ღონისძიებების ჩატარება. გაზაფხულის დადგომისთანავე, სანამ ვაზი კვირტს გამოიტანს და აყვავდება, ვენახს უნდა ჩაუტარდეს წამლობა. თორემ თუ დაავადებებმა თავი იჩინა, მერე „ყოველივე ღონე თითქმის უქმია და ყოველივე ჭიდილი უიმედოა.“ მავნებლების საწინააღმდეგო ბრძოლის ჩატარებისათვის მართალია მთავრობამ და ბანკმაც თანხა გამოყო, „მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში“. ამიტომ საჭიროა, თვითონ ვენახის პატრონებმაც „გაიკრან ჯიბეს“ ხელი. „მართალია, ბევრს არაფერს იპოვნიან ამ ჯიბეებში, მაგრამ ეს ისეთი საქმეა, რომ სხვაგან უნდა დაიკლონ, აქ არა დაზოგონ-რა და ერთი საყოვ-

ელთაო სახსარი რამ იღონონ და ამ ურთიერთობით გაძლიერდნენ ერთმანეთის საშველად“ (1, ტ.7, გვ.185).

თუ რა ყურადღებით ეკიდებოდა ილია მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას, ეს კარგად ჩანს მის უბის წიგნაკიდანაც, სადაც მას ჩაუწერია: „ჭია-ღუას გასაწყვეტი წამალი“ და წამლის დამზადების წესი. და იქვე იძლევა რჩევას, რომ „წამალი უნდა შეასხას ან ღრუბლიან დღეს, ან დილით ძალიან ადრე, თორემ მზე მაშინვე გადაახმობს ფოთოლსა“ (21, გვ.209).

ილია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მეღვინეობას და ღვინის წარმოებას. მან, არა ერთ წერილში განიხილა ამ დარგის სხვადასხვა საკითხები: როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში ღვინის დაყენების წესები, მეღვინეების გამოცდილებები და ღვინის ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საქართველოში, მეღვინეობის დარგი უძველეს დროიდან იყო გავრცელებული. ი. ჯავახიშვილი წერდა:

„ცხადია, რომ ასეთი მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორიც საფერავი, რქაწითელი, ხიხვი, თავკვერი, კაბისტონი, მცვივანი, ჩინური და ბევრი სხვაც არის, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმა-შეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო. უხვი ამპელოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზ-ყურძნის ჯიშების სიმრავლე ისევე, როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომჟღავნებული დაკვირვების ნიჭი, ქართული ვაზ-ყურძნის ჯიშების მაღალხარისხოვან თვისებებთან ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს დაასკვნას, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოდნისა და საქმიანობის დონეც უეჭველია მაღალი უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ კაცობრიობის კულტურის ერთი საყურადღებო და საინტერესო საკითხთაგანი მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველი სამშობლოს საკითხია, რომელზეც ბევრი რამეა დაწერილი. დაბადებაში აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას, როგორც ვიცით, მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერკავკასია მიაჩნია... მაგრამ, თუ კაცობრიობის კულტურის ამ დარგის თავდაპირველ სამშობლოზე ჯერ მოსაზრების გამოთქმა არ შეიძლება, ყველაფერი, რაც ამ წიგნში უკვე გამოირკვა, ხომ მაინც ცხადყოფს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული“ (6, ტV, გვ.616).

„ყველაფერი ცხადყოფს, რომ ქართველი მიწისმომქმედი მევენახეობას გატაცებით მისდევდა. ეს გასაგებიც არის, რადგან მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა...

საგულისხმოა, რომ პურის ნაკლებობის, სიძვირისა და შიმშილობის დროს მდაბიო ხალხი ძველ საქართველოში ყურძნითა და ხილით იკვებებოდა...

უფრო მეტად ფასობდა, რა თქმა უნდა, ღვინო, რომელიც მარტო ადგილობრივ, მხოლოდ თვით საქართველოშიც კი არ საღდებოდა, არამედ, ქართული ღვინის მაღალი ღირსების გამო, უცხოეთშიც გაჰქონდათ და საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძვირფას საექსპორტო საგანს წარმოადგენდა ისეთ ხანაშიც კი, როდესაც ჩვენი ქვეყანა კულტურულად და ეკონომიურად უკვე საგრძნობლად იყო დასუსტებული. მაგალითად, შარდენის მოწმობით, არსად იმდენსა და იმაზე უკეთეს ღვინოს არ სვამდნენ, როგორც საქართველოში. ჩვენი ქვეყნითგან ღვინო თურმე XVII ს-ში სომხეთში, მიდიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანშიც კი სპარსეთის მეფისათვის სასმელად ყოველწლიურად ბევრი გაჰქონდათ (Voyages en Perse, II, 128).

თუ ასეთი ვითარება ყოფილა შაჰ-აბაზისაგან განადგურებულსა და გაღატაკებულ საქართველოში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენი მნიშვნელობა ექნებოდა ღვინის ექსპორტს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმ დროს, როდესაც იგი პოლიტიკურადაც ძლიერი იყო და კულტურულადაც. მევენახეობა-მეღვინეობის საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაც და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაა, რომ თემურ-ლენგმა XVI ს. დამლევს და შემდგ XVII ს. დამდეგს შაჰ-აბაზმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს“ (6, ტ.V, გვ.618).

საქართველოში, რომ უძველეს დროიდან მევენახეობა-მეღვინეობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქართველ გლეხს მოუშენებია ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით:

„საქართველოს ყველა თემში ჯერჯერობით ყურძნის 250 სახელწოდება გვექმნება აღნუსხული, ხოლო თუ თეთრსა და შავ-წითელსა და სხვა სახესხვაობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რიცხვი 287 იქმნება“ (6, ტ.V, გვ.527).

დღევანდელ დღეს ჯერ-ჯერობით დადგენილია და გამოკვლეულია საქართველოში გავრცელებული 575-ზე მეტი ვაზის ჯიში. „საქართველოში ვა-

ზის 500-მდე ადგილობრივი ჯიშია. მათგან ყველაზე გავრცელებულია: საღვინე ჯიშებიდან – საფერავი, რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, გორული მწვანე, ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, ალექსანდროული, წულუკიძის თეთრა, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვ; სუფრის ჯიშებიდან: – გორულა, წითელი ბუდეშური, თითა, კლარჯული; ახალგამოყვანილი ჰიბრიდული ჯიშებიდან – ქართული საადრეო, ივერია, თბილისური, სახალხო თეთრი, ვარძია, მუსკატური რქაწითელი, კოლხური და სხვ; საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე შემოტანილი ჯიშები – ალიგოტე, პინო, შარდონე, კაბერნე, კიროვაბადული სუფრისა, შასლა თეთრი, ყარაბუბურნუ (ბულგარული), ხალილი. ფილოქსერაგამძლე ვაზის ჯიშებიდან – რიპარიაXრუპესტრი 3309, რიპარიაXრუპესტრის 3306, რიპა-რიაXრუპესტრის 101-14, ბერლანდიერიXრიპარია 420ა, ბერლანდიერიXრიპარია 5ბბ, შასლაXბერლანდი-ერი41ბ, რუპესტრის დულო და სხვ“ (10, ტ.4, გვ.268).

საქართველოში მზადდება სხვადასხვა ქართული სამარკო თეთრი და წითელი ღვინოები:

სუფრის მშრალი ღვინოები: თეთრი – წინანდალი, გურჯაანი, ნაფარეული, ბახტრიონი, მანავი, ვაზისუბანი, ციცქა, ცოლიკაური, რქაწითელი, ტიბაანი, თელავი, სვირი და სამება. წითელი – თელიანი, ნაფარეული, ყვარელი და მუკუზანი და სხვ.

სუფრის მშრალი ორდინალური ღვინოები: თეთრი – ჰერეთი, გარეჯი, გელათი, კახეთი, დიმი, ბოდბე და შუამთა, წითელი – საფერავი და სხვ.

ნახევრადმშრალი ღვინოები: თეთრი – აგუნა, ანაკოფია, თბილისური. წითელი – საჩინო, მთაწმინდა, ფიროსმანი და ბარაკონი და სხვ.

ნახევრადტკბილი ღვინოები: თეთრი – ახმეტა, ტვიში, თეთრა, ჩხავერი, სავანე, ალაზნის ველი და ფსოუ. წითელი – ხვანჭკარა, ოჯალეში, ქინძმარაული, ახაშენი, თავკვერი, უსახელური, ალაზნის ველი, ალადასტური, ლისნი, აფსნი და სხვ.

მაგარი (პორტვეინი) ღვინოები: თეთრი – კარდანახი, ანაგა, სიღნაღი, ივერია, ტარიბანი, ლელო და მარაბდა. წითელი – კოლხეთი და სხვ.

სადესერტო ღვინოები: თეთრი – საამო, ხიხვი, აფხაზეთის თაიგული. წითელი – სალხინო და სხვ.

ი. ჯავახიშვილის გამოკვლევით, საქართველოში ვაზს აშენებდნენ სამეურნეო დანიშნულებისა და გამძლეობის მიხედვითაც. მარტო რაჭა, „თავისი 24 საღვინე ჯიშ-სახესხვაობით თითქოს ამპელოლოგიურს საცდელ ვენახს წარმოადგენდა“ (6, ტ.V, გვ.607). ბუნებრივი პირობების გამო, ძველთაგანვე, ძირითადათ დასავლეთ

საქართველოში გავრცელებული იყო მაღლარი ვენახი, ხოლო აღმოსავლეთში – დაბლარი. „მაღლარი ზოგან იმერეთშიც ყოფილა, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მოსალოდნელი არ იყო“ (6, ტ.V, გვ.354). მაღლარ ვაზს „აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობისა და ეკონომიკისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა“ (6, ტ.V, გვ.351). კახეთის ტყეებში გავრცელებულ მაღლარი ვენახის არსებობას, ი. ჯავახიშვილი უკავშირებს შაჰ-აბაზისაგან კახეთის აოხრებას, რადგან გაუკაცრიელებულ ნასოფლარებში, „უპატრონობისა და მოუვლელობის გამო დაბლარი ვაზები გაველურებულ-გაგარეულებულა“ (6, ტ.V, გვ.352).

საგულისხმოა, რომ ზოგიერთ მეცნიერთა მტკიცებით, აჭარაში 57-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული და თვით ტერმინი „აჭარა“, წარმოშობილია „მაჭარიდან“. ამის შესახებ ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი წერს:

„ყველა ავტორმა თავისი აზრი გამოთქვა აჭარის ეტიმოლოგიის შესახებ, ყველა თავისებურად აშუქებს ამ საკითხს, იგი არც ისე იოლი საკითხი არის. აქ მკითხაობა არ გამოდგება. ჩვენ ვიცით, რომ უნდა ვეძიოთ ამ მოვლენაში ეკონომიურ-წარმოებითი საფუძვლები. ვფიქრობთ, რომ სიტყვა აჭარა – წარმოიშვა მაჭარიდან, რადგან ამ ხეობის, კერძოდ, ქედის მევენახეობა ძლიერ განვითარებული ყოფილა და მისმა მაჭარმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა თავის დროზე“ (14, გვ.80). მეორე ადგილას ამბობს, რომ:

„აჭარაში მევენახეობა განთქმული და შემოსავლიანი დარგი ყოფილა. ვაზის მოშენება და მეღორეობა ძველად გლეხის ოჯახს კარგ შემოსავალს აძლევდა. შემდეგ ეს ორი დარგი ოსმალთა დროს მოისპო. ქედის რაიონისათვის მევენახეობა მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა. მართალია, აჭარის სხვა რაიონებშიც მისდევდნენ ვაზის მოშენებას, მაგრამ ქედა ამ დარგში წამყვანი იყო. ღვინო ქედის რაიონისათვის ძირითად საექსპორტო საქონლად ითვლებოდა. ამ კეთილშობილ ვაზს მრავალჯერ წილად ხვდა გაველურება. ამის შესახებ ცნობას ჯერ კიდევ ადრე, გეოგრაფი სტრაბონი, ხოლო შემდეგ ვახუშტი ბატონიშვილიც და სხვები გვაწვდიან. ვაზი ოსმალთა მეოხებით გაველურდა, როცა ყურანმა აჭარლებს ღვინის დალევა აუკრძალა...

ქედაში მევენახეობა უძველესი დროიდან ყოფილა სამეურნეო თვალსაზრისით განვითარებული“ (14, გვ.23).

შ. ძიძიგური სიტყვა „ღვინო“-ს შესახებ წერს:

„გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სიტყვა ქართულიდან იყოს სემიტურში წაღებული“ (გ. წერეთელი).

აქ შეიძლება დავასახელოთ სიტყვა ღ ვ ი ნ ო, რომელიც ასეთ ეჭვს იწვევს. როგორც ვიცით, ეს სიტყვა გავრცელებულია სხვადასხვა სისტემის ენაში: რუს. вино, გერმ. wein, ინგლ. wine, ფრანგ. vin, ლათ. vinum, ბერძნ. otvoξ და სხვ. სემიტურში ასეთი ფორმებია გავრცელებული: არაბ. wayn, ებრ. yayin, ასურულ-ბაბილონური tnu და სხვ.

ინდოევროპიესტები აღიარებენ, რომ ეს სიტყვა არაა ძირეულად ინდოევროპიული, იგი ნასესხებიაო (ტომსონი). სემიტოლოგებსაც ეს სიტყვა არ მიაჩნიათ სემიტური წარმოშობის სიტყვად (ლაგარდი, ჰომელი, გენეზიუსი).

ხომ არ არის ეს სიტყვა ქართული წარმოშობისა? ამას ვარაუდობდა ნ. მარი.

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ადვილი შესაძლებელია, ეს სიტყვა სემიტურში ქართულიდან იყოს შესული... თუ გავიხსენებთ ბიბლიაში არსებულ ძველ გადმოცემას, რომელიც გვამცნობს, რომ ამიერკავკასია ვენახისა და ღვინის სამშობლოა, სერიოზული საფუძველი გვექნება, გამორიცხულად არ ჩავთვალოთ შესაძლებლობა, რომ ისეთი სიტყვა, როგორიც არის ღ ვ ი ნ ო და თვით საგანი იმით აღნიშნული, ქართულიდან იყოს მთელ მსოფლიოში გავრცელებული“ (აკად. გ. წერეთელი)“ (40. გვ.114).

ამ აზრს ეთანხმებიან სხვა მეცნიერებიც.

ი. ჭავჭავაძე, წერილში „ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი“ წერდა: რომ საქართველოში, თუ ქინაქინის ხისა და ჩაის ბუჩქი გაშენდება, ეს რა თქმა უნდა კარგი იქნება, ჩვენს ქვეყანას რაც „ცოტად თუ ბევრად გაამდიდრებს“, „კარგია და სანატრელია“, მაგრამ „ეს ქინაქინის ხე და ჩაის ბუჩქი ხვალინდელი ქათამია და ის დღევანდელი კვერცხი კი, რომელიც ხელთ გვიპყრია, დაუდევრობით ლამის გაგვილაყდეს. სამერმისო მერმისს მივანდოთ და სადღეისოდ კი უკეთესი და უფრო ჭკუას ახლო იქნებოდა გვეფიქრა მასზედ, რაც დღეს ხელთა გვაქვს და რაც ჰლამის სიმდიდრის კარგა მოზრდილ წყაროდ გადაექცეს ჩვენს ქვეყანასა, თუ კი ხელშემწყობი ეყოლება.

ეგ წყარო ღვინოა. ამიტომაც ამ საგნის ვითარების გამოძიება და გამოკვლევა და ყოველ ამის დაწვრილებით ცოდნა მეტი არ იქნება ჩვენთვის“ (1, ტ.7, გვ.156).

ილია განაგრძობს ღვინის შესახებ საუბარს და წერს, რომ:

„დიდი სიმდიდრე თუ არ მოაქვს ღვინის მოსავალს ჩვენი ხალხისათვის, ცოტა შველას მაინც აძლევს, შრომა და ჯაფა მუქთად არ მისდით. შინ სახმარებლად თავისი საკუთარი ღვინო აქვს, ჭირსა და ლხინში ღვინის ყიდვა არ უნდება და მეტ ხარჯში არ შედის. მარტო ესეც საკმაოა, რომ ჩვენი ხალხი

გულმოდგინეთ მოჰყოლოდა ღვინის წარმოებას და თავი არ დაენებებინა ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი იმისთანა ბედნიერი კუთხეა, სადაც ღვინო ისე უხვად მოდის, რომ ხალხს არამცთუ შინ სახმარებლად ჰყოფნის, არამედ გასასყიდადაც ბევრი რჩება. ღვინო აქ დიდს შველას აძლევს ხალხსა, ათასგვარ გაჭირვებაში უმართავს ხელსა, ბევრს ხარჯსა და გადასახადს აშორებს თავიდან“ (1, ტ.7, გვ.149).

ილია აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ყოფა-ცხოვრება მიწათ-მოქმედების ძირითადათ ორი დარგისაგან: ღვინისა და საპურე მარცვლისაგან შედგება. და, რომ ამ დარგებს, ჩვენ დიდი ხანია ვადგივართ. მაგრამ ჩვენ ისე შევეჩვიეთ ამ ხანგრძლივ წარმოებებს, რომ ჩვენ ჩვეულებრივ ამბავად მიგვაჩნია, რომ ჩვენთვის არავის „არა უსწავლებია-რა“ და „არავითარი გამოცდილება“ არ მიგვიღია. მწერალი, ჩვენს ასეთ მდგომარეობას ხსნის შემდეგი გარემოებით:

„ჩვენმა ძველმა ისტორიამ არ მოგვაცალა, რომ ცოდნა სწავლის გზა გვეკაფნა და ჩვენის სულისა და გულის ძალით მეცნიერების ახო გამოგველო უმეცრების ბარდებით და ჯაგით მოცულს არემარეზედ. ამ მხრით ძალიან ჩამოვრჩით დანარჩენს კაცობრიობას, რომელიც დღეყოველ ცოდნისა და სწავლის წარმატებასა და წინ სვლაში იყო. სახელოვანმა და საოცარმა ნამოქმედარმა კაცობრიობის ცოდნისამ და სწავლისამ ისე მოგვასწრო ჩვენ, როგორც საბნელეთიდამ უეცრად მზეზედ გამოსულსა. მეტის სინათლისა და შუქისაგან თვალთ დაგვიბნელდა. ძალოვანმა მეცნიერებამ, რომლის ნაღვაწი ჩვენს უვიცობას ხშირად სასწაულად მიაჩნდა და მიაჩნია, ისე დაიბრიყვა ჩვენი ჭკუა და გონება, ისე თავბრუ დაასხა, რომ ერთიცა და მეორეც ყურმოჭრილ ყმად გაიხადა და როგორც ტყვე გაჰბაწრა“ (1, ტ.7, გვ.73).

ილიას თქმით, თუ ვინმე „უცხო ქვეყნიდამ მოვიდოდა ჩვენში“, „სწავლული თუ უსწავლელი“, იმას შევყურებდით და უსმენდით. ამიტომაც, ისინი ვინც თავის ქვეყანაში „ვერა გაეკეთებინა-რა“, ჩვენთან ჩამორბოდნენ, ჭკუას გვასწავლიდნენ, გვარიგებდნენ და ჩვენც უჯერებდით. ისე ჩანდა, თითქოს ისინი ჩვენთან შედარებით „დიდი ოსტატები“ იყვნენ, ხოლო ჩვენ, „ჩვენი აღარაფერი ვიწამეთ“. ჩვენს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას არაფრად ვაგდებდით. მწერალი გულდაწყვეტილი წერს:

„ამ გარემოებას ერთი არავინ ჩაუფიქრდა და არა სთქვა: კაცო, იქნება ჩვენშიაც იყოს ერთი რამ კარგი, სხვისის სიტყვით ყველაფერს რატომ ეს ხელაღებით ვიწუნებთ!..

ეგ ჩვენის უმეცრების, უცოდინარობის ბრალია“ (1, ტ.7, გვ.75).

ზოგიერთმა აქაურმა „ფეხის ხმის ამყოლებმა“, ჩვენის ღვინის კეთებაც კი დაიწუნეს და თუ მათ დაუჯერებთ, „ჩვენებური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო“, ჩვენ არ ვიცით „ევროპიულის წესით“ ღვინის დაყენებაო. ჩვენ არ შეგვიძლია „ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება“, ვერც შამპანურს, კონიაკს და სხვა „დიდ ფასიან“ სასმელებს ვაკეთებთო. ისინი, არც იმას აქცევენ ყურადღებას და არც იკვლევენ იმის მიზეზს, თუ „ჩვენი ერი“ რატომ და რა მიზეზით „უფრთხის და ერიდება“ ევროპიულის წესით ღვინის დაყენებას. ილია ამის გამო და ამათ გასაგონად წერს, რომ:

„ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსადებია, ჭკვად მისაღებია? ამას გამოძიება, გამოკვლევა უნდა და უამისოდ ჩვენებურ ღვინოზედ წუნის დადება, ღვინის ჩვენებურად კეთების აბუჩად აგდება, მოშლილის წისქვილის რახუნია და კადნიერებაა. ნურავინ ნუ იფიქრებს, ვითომც ჩვენ ამით იმის თქმა გვინდოდეს, რომ ჩვენს კეთებას და დაყენებას ღვინისას არა აკლია-რა. ჩვენ ამას ვერ ვიტყვით. ბევრი რამ აკლია, ამას თქმა არ უნდა. მხოლოდ იგი ნაკლი ჩვენის ღვინისა, რომელსაც ჩვენებურს ღვინოს წუნად უთვლიან ჩვენნი შინაურნი თუ გარეულნი ოსტატები, სწორედ იგი ნაკლი ღირსებაა ჩვენის ღვინისა, და თუ ჩვენი ღვინო ოდესმე გზას გაიხსნის საქვეყნო ბაზრისას, სწორედ ამ ღირსების წყალობით გაიხსნის, თუ ძალადმაცხოვნე შინაურ ოსტატების ზედმოსევას და ქადაგება ღვთისა და თქვენის წყალობით გადავურჩით“ (1, ტ.7, გვ.76).

ილიამ, ღვინის ქართულად და ევროპიულად დაყენების წესები აღწერა ვრცელ ნარკვევში, „ღვინის ქართულად დაყენება“. სადაც დაწვრილებით აღწერილი აქვს ღვინის ხარისხიანობა, გამძლეობა, ღირსება, სარგებლიანობა და „რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა“. ღვინის სარგებლიანობის შესახებ წერს, რომ ღვინო „კარგად ჰმოქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზედ“, ამავე დროს იხმარება როგორც სამკურნალო საშუალებად. მოჰყავს მეცნიერთა გამონათქვამები ღვინის სარგებლიანობის შესახებ.

ყურძნის, მისი წვენის და ღვინის სარგებლიანობის, მისი დიდი მნიშვნელობის ადამიანის კვებისა და მკურნალობის შესახებ, უძველესი დროიდან არის ცნობილი და არა ერთ მეცნიერს და ექიმს აღუნიშნავთ თავიანთ გამოკვლევებსა და ნაშრომებში.

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ანტიკური მედიცინის რეფორმატორის, ძველი საბერძნეთის ექიმის ჰიპოკრატეს (Hippokrates) (ძვ. წ. 460–ძვ. წ. 377/356) მიმდევარმა, წარმოშობით ბერძენმა, რომაელმა ექიმმა, ასკლეპიადემ (Asklepiades) (ძვ. წ. 128–56) „თავის თხზულებაში სთქვა: „ღმერთთა ძლიერე-

ბამა არა მგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამაო“. ეს ასკლეპიადი პირველი იყო, რომ სხვადასხვაგვარს სნეულებას უფრო ღვინით სწამლობდა.“ მის მაგალითს აჰყვნენო:

ტომას საიდენჰამი (Sydenham) (1624–1689) – ინგლისელი ექიმი, კლინიკური მედიცინის დამაარსებელი;

ჰუფელანი (Hufeland) (1762–1836) – გერმანელი ექიმი, გერონტოლოგიის დამფუძნებელი;

ჯონ ბროუნი (Brown John) (1735–1788) – შოტლანდიელი ექიმი. „რომელმაც მთელი სკოლა მკურნალობისა შეადგინა ინგლისში და მისი ღვინით წამლობა დღესაც ცნობილია მისისავე სახელით „ბროუნიზმი“.

უილიამ სტოუქსი (W. Stoukes) (1804–1878) – ირლანდიელი ექიმი. რომელიც „დუბლინში სახადს და საოფლეს ღვინით“ არჩენდა; და სხვები (1, ტ.7, გვ.83).

ყურძნის სამკურნალო თვისებას აღნიშნავდა, ავლუს კორნელიუს ცელსუსი (Celsus Aulus Corneilus) (დაახ. ძვ. წ. 25–დაახ.–ახ. წ. 50) – რომაელი მეცნიერ-ენციკლოპედისტი. რომელიც წერდა, თხზულებაში, დღემდე შემორჩენილ რამოდენიმე ნაწილში „მედიცინის შესახებ“, რომ ყურძენი და თაფლი აწყნარებს და აძინებს ადამიანს, იცავს დაავადებებისაგან და სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ცნობილია, რომ ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებშიც მოცემულია ყურძნისა და ღვინის სამკურნალო და სასარგებლო თვისებები.

X–XI სს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მწერალი, მქადაგებელი და ბოლნისის ეპისკოპოსი, იოანე ბოლნელი, თავის ცნობილ ქადაგებაში, „ღვინისმსმელთა და მომთვრალეთათვის“, აღნიშნავს, რომ „ღვინო არის სალხინო და სამკურნალო პროდუქტი“.

XI საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლშიც, ქანანელის „უსწორო კარაბადინშიც“ მოცემულია ყურძნის და ღვინის სამკურნალო სარგებლიანობის შესახებ.

„უსწორო კარაბადინში“ ქანანელი წერს, რომ ღვინის „ზომიერად მისი სმა უძილობას, სიგამხდრეს შველის, მელანქოლიასა და მოწყენილობას აქარვებს და სხვა“ (49, გვ.5-6).

XVI საუკუნის ქართულ ენციკლოპედიურ სამედიცინო წიგნში, რომელიც, „ორი ოსმალური კარაბადინისაგან ერთი ქართული საექიმო წიგნი შეადგინა და საქართველოში გამოგზავნა“ ოსმალეთში გაქცეულმა ქართლის ხანმა

(1569–1578), დავით XI, (დაუთ-ხანი), აღნიშნულია ყურძნის სამკურნალო თვისებები (15, ტ.3, გვ.336).

XVII ს. მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანიც (1658–1725) აღნიშნავდა ღვინის სარგებლობიანობას.

საქართველოში იკვლევდნენ, მკურნალობდნენ და დღესაც აგრძელებენ ამ მხრივ მუშაობას მეცნიერები და მკვლევარები:

ალექსანდრე ალადაშვილი (1876–1950) – თერაპევტი;

დიმიტრი ტაბიძე (1901–1965) – ბიოლოგი და აგრონომ-მევენახე;

იოველ ქუთათელაძე (1887–1963) – ფარმაკო-ქიმიკოსი;

ანა ჟღენტი (1895–1976) – თერაპევტი;

ალექსი მინდაძე (1911–1985) – ნევროპათოლოგი;

ალექსანდრე მაკარიძე (1910–1990) – ფსიქიატრი და სხვები.

„საქართველოში ყურძნით მკურნალობა პირველად დაიწყო აკადემიკოსმა ა. ალადაშვილმა. მან გამოიკვლია ყურძნის წვენის გავლენა სეკრეციის, სისხლის მიმოქცევის სისტემისა და ღვიძლის ზოგიერთ ფუნქციაზე, ნაღვლის შემადგენლობაზე, სისხლის ფიზიკურ თვისებებსა და დაავადებული თირკმელის ფუნქციაზე. ამ საკითხებზე აკადემიკოსმა ა. ალადაშვილმა გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა, რომლებშიც დაასკვნის, რომ პასტერიზებული ყურძნის წვენი სრულიად იდენტურად და დადებითად მოქმედებს აღნიშნული ორგანოების ფუნქციებზე, მათი პათოლოგიური მდგომარეობის დროს“ (49, გვ.13).

ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოში ღვინოს, ძმარს და არაყს ხმარობდნენ ადამიანის სამკურნალოდ და წამლების დასამზადებლად.

ილია ჭავჭავაძე, წერილში, „ღვინის ქართულად დაყენება“, ღვინის სარგებლობის შესახებ წერს, რომ ღვინოს მარგებლად ჰხდის „მარტო ერთი ყოვლადშემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი...

ღვინოს მარგებელ და სასარგებლო სასმელადა ჰხდის მარტო ერთი ბუნება და ვერავინ ვერ გვეტყვის, რომ აქ, ღვინის კეთებაში ბუნებას კაცმა ავჯობოს“ (1, ტ.7, გვ.85).

ილია აღნიშნავს: „რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით, – ამბობს ერთი მწერალი, – ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებელზედ გაცილებით უმჯობესი

და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა. ერთი ყლაპი კარგის ღვინისა გამოახალისებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა“ (1, ტ.7, გვ.84).

ილიას თავის სიტყვების დასამტკიცებლად მოჰყავს, ფრანგი აგროქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებლისა და ქიმიკოსის ჟან ბუსსენგოს (Boussingault) (1802–1887) „რომლის ღვინის ანალიზები უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა და რომელიც ამ საქმეში ავტორიტეტად ითვლება“, სამეცნიერო მოხსენებაში წარმოთქმული სიტყვები:

„თუმცა მეცნიერებამ ამ უკანასკნელს დროში ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, მაგრამ ძნელად ითქმის,რომ შესაძლო იყოს ბუნებურ ღვინის მსგავსი რამ განგებ გააკეთოს ადამიანის ოსტატობამ და ხელმაო. ეგ იმიტომაო, რომ ბუნებურის ღვინის გემო, სუნი (ბუკეტი) და ჯანის შესახები კეთილმოქმედება, დამოკიდებულია იმისთანა ნივთიერებაზედ, რომელიც ჯერ ჩვენგან გამოცნობილი და მიგნებული არ არისო. გერმანიის რჯულდება პირდაპირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება და სხვა არა-რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს-რაო. მართალია სხვადასხვაგვარი ოსტატობა ღვინის კეთებისა, მაგალითებრ, შაპტალიზაცია, გალლიზაცია, პეტიონიზაცია და სხვა აკრძალული არ არის, მაგრამ ამ ოსტატობით ნაკეთები სასმელი არ შეიძლება კაცმა ჰყიდოს, თუ ჭურჭელზედ ზედ წარწერილი არ იქნება, რა გზით არის ნაკეთებიო, საფრანგეთის კანონები წყალის ჩამატებასაც კი ღვინოში ფალსიფიკაციას ეძახიან, ესე იგი ყალბის ღვინის კეთებასა. – ილია შენიშვნაში წერს, – „Journal des Debats“ 10 თებერვალს 1884 წელსა ამბობს, – რომ არა კანონი არ უშლის კაცს ღვინოში რამდენიც უნდა წყალი ჩაურიოს, ოღონდ-კი, თუ ჰყიდის ამისთანა ღვინოს, მუშტარი არ მოატყუოს და ღვინის მაგიერ წყალ-ღვინო არ მიაჩეჩოსო. ერთის სიტყვით, გამსყიდველმა უნდა გამოაცხადოს ხოლმე, ღვინოში ამდენი წყალია განგებ დასხმული და ამდენი ღვინოო“ (1, ტ.7, გვ.85).

მწერლის თქმით, მართალია ადამიანმა შექმნა ღვინის დაყენების სხვადასხვა „ოსტატობა“, როგორც არის ღვინის „დაფერვა“ ანუ ღვინის ფერის მიცემა ფუქსინი დარიშხანისა და რკინის შაბიამანის საშუალებით, ან წყალწყალა ღვინოში „გოგირდის მჟავის (серная кислота)“ ჩარევა, წყლის დაფარვის გამო და „ამით მუშტრის მოტყუება“, მაგრამ, ეს ღვინის წახდენაა და არა ნამდვილი ღვინის დაყენება.

„არა, შორს ჩვენგან ამისთანა ღვინის კეთება! – წერს ილია, – ყოველს იმას, რასაც კაცი თავისგნით ყურძნის წვენში უმატებს, წყალია, შაქარია, თუ გადაწმენდილი არაყი და ან სხვა რამ, ჩვენს ღვინის წახდენად ჩავთვლით“ (1, ტ.7, გვ.87).

ილიას თქმით, ღვინის მყიდველი ორი სახისაა და ამის მიხედვითაც ღვინის კეთებაც ორნაირია. ერთი, როდესაც მყიდველი თავისთვის ყიდულობს და მეორე, ღვინოს ყიდულობს, რომ გაჰყიდოს და ფული მოიგოს. ეს „მეორე ღვინის ვაჭარია.“

პირველი თხოულობს ნამდვილ, „ბუნებურ“, „შეურევნელ“, „წმინდა ყურძნის წვენის ღვინოს.“ ხოლო, მეორე, ღვინის ვაჭარი, „მარტო იმას დაეძებს, რომ სასმელი ერთნაირის ფერისა, ერთნაირის გემოსი, ერთნაირად გამძლე იყოს ყოველს შემთხვევაში და იმოდენად ჰგვანდეს ღვინოსა, რომ პირდაპირს მხმარებელზედ გაასაღოს ხოლმე ღვინის სახელითა. ყოველივე ეს შეუძლებელია ბუნებურ ღვინისათვის, თუ წამლებით შეკეთებული და შერევნილი არ არის“ (1, ტ.7, გვ.88).

პირველ შემთხვევაში, ღვინის დამყენებელი ცდილობს, რომ ყურძნის წვენს „მოაშოროს ყოველივე ის, რაც თვითონ ბუნებას უშლის ყურძნის წვენის ბუნებურ ღვინოდ სრულად და სავსებით შექმნასა და იმ ყურძნის წვენშივე არსებულთა და მომქმედთა ძალთა ბუნებისასა ხელი შეუწყოს, ხელი მოუმართოს.“ ღვინის დამყენებელმა უნდა იცოდეს რომელ ადგილას რა ღვინო იცის და რა სავენახე ადგილია. ღვინის დამყენებელმა უნდა წინასწარ გაითვალისწინოს, რომ „ბუნებური ღვინო სახვადასხვა არის და ეგ სხვადასხვაობა დამოკიდებულია მიწის სხვადასხვაობაზედ.“ იქვე, მწერალი შენიშნავს, რომ:

„ჩვენ აქ ამაზედ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ ჯერ ჩვენში – ღვთის მადლით, – ღვინოს მკეთებელი და ვენახისა ერთი და იგივე მომქმედია, ამიტომაც რაც ვენახის პატრონის ავკარგიანობას უჭირს, ის ღვინის მკეთებელსაც, და რაც ღვინის მკეთებელს, ის ვენახის პატრონსაცა“ (1, ტ.7, გვ.88).

ილია აღწერს, თუ რომელ მიწაზედ რანაირი ღვინო დგება. მისი თქმით, ღვინის დაყენებაზე მოქმედებს ყურძნის მოკრეფის დრო, ამინდის სითბოც და „ჰავასაც, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის“. მართალია ადამიანი ამინდს ვერ შეცვლის, მაგრამ „მიწის ამორჩევა და განოყიერება – გაღონიერება-კი მის ხელთ არის“. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის დაყენებისათვის, ვენახში სასუქის შეტანას და სასუქის რაობას. ჩვენი გლეხი ერიდება სასუქების ხმარებას, რადგან მან კარგად

იცის, რომ სასუქი „ჰვნებს ღვინოსა“ და „ღვინოს გემოს აძლევს და ახდენსო“. ჩვენში, „ძროხის პატივი ვენახის სასუქად ყველაზედ უკეთესად ცნობილია.“

ილია წერს, რომ ჩვენში, ყურძნის კრეფას იწყებენ ღვინობის (ოქტომბერი) თვის ნახევრიდან. საზღვარგარეთ, ყურძნის მარცვლის შაქრიანობის გამოსარკვევად ხმარობენ „სხვადასხვა იარაღსა და ღონისძიებას“. ჩვენში კი ხდება ხელით, „გაჭყლეტენ მარცვალს თითებ-შუა, და თუ თითები წვენის გამო ერთმანეთს ეწებება და ეს დაწებება დღედადღე უფრო მატულობს, ამბობენ, ყურძენს ჯერ კიდევ „წებო“ ემატებაო და დაცლა, დახანება უნდაო, იმიტომ რომ ამ წებოს მეტნაკლებობაზედ დამოკიდებულია ღვინის სიკეთე.“ ამ ორ ღონისძიებათა გამო მარტო ის ითქმის, რომ ევროპიული უფრო ხერხიანია და მეორე უფრო სადა და უბრალო, ყურძნის კარგად დამწიფების და შემოსვლის საცოდნელად კი ორივე გამოსადეგია. რა თქმა უნდა, რომ ჩვენებურმა კაცმა ის ევროპული იარაღი შემოიღოს, უკეთესი იქნება. ხოლო ეგ იმას არ ჰნიშნავს, რომ ჩვენებურად ღვინის კეთებაში დავიწყებული იყოს, ან არ ვიცოდეთ იგი წესი, იგი მოთხოვნილება, რომელიც გვეუბნება, რომ ყურძნის დაკრეფას დრო უნდა შეერჩიოსო.“

ილია წერს, რომ ჩვენთან ვინც ყოფილა და შეუსწავლია ჩვენი „ვენახის კეთება“, „ჩვენ ბევრს ვერავინ რას დაგვიწუნებს.“ „კიდევაც გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვენახის და ნამეტნავად ვაზის მოვლაში ჩვენებური კაცი სხვას არამცთუ ჩამოუვარდება, ზოგში სხვას ასწავლის კიდეც.“ ყურძნის მოკრეფით „თავდება ვენახის მკეთებლობა და იწყება მკეთებლობა ღვინისა“ (1, ტ.7, გვ. 91).

ილია ამბობს, რომ მეცნიერებამ მართალია „ბევრი ღონისძიება აღმოუჩინა კაცს ყალბის ღვინის გაკეთებისათვის, მაგრამ იმავ მეცნიერებამ ბევრი სხვა ღონეც მისცა ადამიანს, რომ ბუნებური ღვინო ჯეროვანად კეთდებოდეს“ (1, ტ.7, გვ.91).

მწერალი აღწერს თუ როგორ ხდება საქართველოში ღვინის დაყენება. მისი თქმით, ჩვენთან ცდილობენ, რომ ყურძენს კლერტი შეუნარჩუნონ და ისე დაწურონ, რადგან „ამაზედ იმას ამბობენ, რომ კლერტით მარცვალი უფრო კარგად და ჩქარაც ისრისება, ფეხქვეშ დაწურვას ამ გზით ჰშველის და უხდებაო. გარდა ამისა კლერტის შერჩენა იმისათვისაც საჭიროაო, რომ დაწმინდავების დროს, როცა ღვინოს ქუდს გაუტეხენ და დაურევენ, კლერტი ძირს ჩადის და ლექი ღვინისაც ძირს ჩააქვსო. ამის გამო ღვინო მალე დაწმინდავდება ხოლმეო. — ამ წესის შესახებ, ილია წერს, რომ — ეს არ ვიცით, რამდენად მართალია და ამას მარტო გამოძიება გამოაჩენს. ხოლო ეს კი ცნობილია მეცნიერთაგან, რომ

კლერტზედ დადუღებული ღვინო პირსა ჰბლანდავს, თუმცა ესეც კი მართალია, რომ კლერტზედ დადუღებული ღვინო, ესე იგი ჩვენებური ღვინო, უფრო ადრე და მალე დაწმინდავდება ხოლმე, ვიდრე უკლერტო“ (1, ტ.7, გვ.91).

მწერლის აზრით, ჩვენში ღვინოს დაწმენდას იმიტომ ჩქარობენ, რომ „ჩვენს ფულით ხელმოკლე კაცს მალე უნდა ნაკეთარის ფულად ქცევა, რომ შემდეგის სამუშაოსათვის და ცხოვრებისათვის სახსარი და ღონე იქონიოს. იმას თანხა არა აქვს, რომ ხელი მოინაცვლოს“ (1, ტ.7, გვ.92). და შემდეგ დასძენს, რომ მართალია, ასეთნაირად დამზადებული ღვინო დიდხანს არ სძლებს, მაგრამ ვინაიდან ღვინო ჩქარა საღდება, რადგან ჩვენთან „ღვინო იშვიათი სანუგბარი არ არის და ღვინის სმა თითქმის საჭიროებად არის გადაქცეული“, ამიტომ გლეხი ღვინოს შენახვაზე აღარ ფიქრობს. „ჩვენის ფიქრით, – წერს ილია, – გემოსათვის უკლერტოდ ღვინის დაყენება სჯობია, თუმცა ჩვენებურს ხალხს ძალიან უყვარს ის პირის მბლანდველი თვისება ჩვენებურის ღვინისა და უმაგისოდ ღვინის განგებ ნაკეთებს ეძახის,“ (1, ტ.7. გვ.92). „ყოველ ამით იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც ჩვენში კლერტის გამოცლა არ იცოდნენ. იციან, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მარტო იმ ადგილებში იციან, საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება თითქმის დაუწმენდავი“ (1, ტ.7, გვ.93).

ჩვენთან, განაგრძობს მწერალი, სამაჭრე ღვინის დაყენებისათვის, დაწურვისთანავე კლერტს დასადუღებლად ან სულ არ აძლევენ, ან ძალიან ცოტას, „და რაკი ესეა, უმიზეზოდ არ იქნება.“ მისი ვარაუდით, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ „ვინ იცის, იქნება კლერტზედ ნადუღი ღვინო უფრო გამძლეც იყოს. ამას გვანიშნებს ის ამბავი, რომ საღვინე წვენს ყურძნისას უკლერტოდ არ ადუღებენ და სამაჭრეს კი ადუღებენ; სჩანს აქ საქმე ღვინის გამძლეობაზეა მიმდგარი და გადაჭრით თქმა გამოუძიებლივ ძნელია და მეტი არ იქნება, რომ გამოძიებულ იქმნას კლერტის თვისება ამ მხრით“ (1, ტ.7, გვ.93).

ილია განაგრძობს თხრობას და წერს, რომ ჩვენთან მტევანს გაფუჭებულ მარცვალსაც არ აცლიან, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენთან არ იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღვინის დასაყენებლად საღ ყურძენს. „ეს ჩვენს უვიცობას“ კი „არ უნდა მიეწეროს“ არამედ „აქ სხვა მიზეზია და დიდათ პატივსადებიცა“ არის, ამის მიზეზია ღვინის დაბალი ფასი, რის გამოც მელვინე ძლივს ისტუმრებს საზოგადო და ვენახის ხარჯს. თუ ღვინოს გააძვირებს, მაშინ მას „არავინ მიეკარება“. ასე, რომ „საქმეში არხმარებული ცოდნა უცოდინარობას არა ჰნიშნავს“ (1, ტ.7, გვ.94). „ჩვენში ვინ ოხერი იქნება თავისის ქონება

ზედ გადააყოლოს ღვინის კეთებასა, რომლის საეკონომიო მნიშვნელობა მარტო სარფა და გამორჩომაა და სხვა არა-რა“ (1, ტ.7, გვ.95).

ილიას გადმოცემით, სულ სხვა მდგომარეობაა ევროპასა და რუსეთში, იქ ძირითადათ ღვინოს შემძლებელი და მდიდარი ხალხი სვამს. ამიტომ ღვინო იქ გამძლე უნდა იყოს, რომ გზა აიტანოს და მუშტარს ელოდოს და უცადოს. ხოლო „შინაურ მსმელთათვის“, რომ ღვინო ჩქარა მომზადდეს, ხმარობენ „ბევრს გვარ ოსტატობას“. იქ ყურძნის წვენი იმდენივეა, რამდენიც მაგალითად, „კვრინჩხის წვენში“ შერეული წამლები და შემდეგ მწერალი დასძენს, რომ „ეს ოსტატობა იქ ძალიან კარგად იციან.“ საზრვარგარეთ მტევანს გაფუჭებულ მარცვალსაც აცლიან სანამ დაწურავდნენ.

ილია ჭავჭავაძე აღწერს, თუ როგორ ხდება ჩვენთან და საზღვარგარეთ ყურძნის დაწურვა და საწნახელებს. მისი გადმოცემით, ევროპაშიც ყურძენს „ბევრგან ფეხითა სწურავენ“, ხოლო ეხლა, ხშირად, „საქაჯავს“ (Пресс) ხმარობენ. თუმცა, თვითონ ევროპიელნი „მართლად მეცნიერნი“ ამტკიცებენ, რომ „ფეხით წურვა ყურძნისა ბევრით სჯობნის საქაჯავით წურვასაო. იმათი სიტყვით, ფეხით წურვისაგან უფრო თანაბრად ისრისება ყურძნის მარცვალი და წიპწა მარცვლისა, ესე იგი კურკა ყურძნისა, არ იჭყლიტებაო. საქაჯავს უამისოდ ვერას გზით ვერ გადაურჩება წიპწაო და გაჭყლეტილი წიპწა-კი ღვინოს წკლარტავსო და ამწარებსო“ (1, ტ.7, გვ.95). ასე, რომ ჩვენში მიღებული ფეხით წურვა, უფრო სარგებლიანია, ვიდრე პრესით წურვაო.

მწერალი აღნიშნავს, რომ ჩვენში, გამოწურულ ყურძნის წვენს ყოფენ სამ ნაწილად და ასხამენ სამ სხვადასხვა ჭურჭელში. პირველ ჭურჭელში, ქვევრში, ასხამენ, საწნახელიდან პირველად გამოწურულ წვენს, რომელიც მეტ წყალსა და ჭუჭყს შეიცავს და უფრო მღვრიეა და ღია ფერისაა. მეორე ქვევრში, ისხმება, ამის შემდეგ გამოსული წვენი რომელიც უფრო მუქი და ტკბილი ხდება. ხოლო, მესამე ქვევრში ხდება შემდეგი წვენის ჩასხმა, რომელიც უფრო მუქი, „სქელი და წებოვანი“ ხდება.

„ამ სამ წვერად დაყოფას ტკბილისას თავისი ცხადი აზრი და საბუთი აქვს. ამგვარად განცალკევებას სხვადასხვა სიწმინდისა, ფერისა და სისქის ტკბილისას, ცოტა თუ ბევრი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს ღვინის სიკეთეზედაც“ (1, ტ.7, გვ.97). წვენის ჩასხმა ჭურჭელში, ერთსა და იმავე დღეს უნდა მოხდეს, რადგან „ის ბუნებური მოქმედება, რომელსაც ჩვენში დუღილს ეძახიან“, იწყება წვენის ჭურჭელში მოხვედრის დღიდან და რაც მთავარია, დუღილის დაგვიანება იწვევს ღვინის „სხვადასხვა გვარისა და ხარისხს“.

ყურძნის გამოწურულ წვენში არის ბუნებით მოცემული ის ნივთიერებები, რომელიც იწვევს ყურძნის წვენის დუღილს. ილიას მოჰყავს ცნობილი ფრანგი მეცნიერის, მიკრობიოლოგისა და ქიმიკოსის, თანამედროვე მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის ფუძემდებლის, ლუი პასტერის (Pasteur) (1822–1898) მტკიცებულება, რომ ის ნივთიერებები, რომელიც იწვევს წვენის დუღილს, იმყოფება ყურძნის მარცვლების კანზე მტვერსავით ჰაოსავით, მიწებებული. ამიტომ, – წერს ილია, – ყურძნის წვენს უნდა მიეცეს ჭაჭა, რადგან, „ვინც ჭაჭას არ ჩააყოლებს ტკბილს, იგი იმას აკლებს, რაც დუღილსა შველის და ხელს უმართავს, იმიტომ რომ, თუმცა ნაწურს ტკბილს, ნამეტნავად ფეხით ნაწურს, იგი ამადუღებელი ჰაო გაჰყვება, მაგრამ უფრო მეტი კი ზედ ჭაჭას შერჩება და ამიტომაც უჭაჭობა უნდა აუძლურებდეს დუღილსა და მით აგვიანებდეს და ახანებდეს... რა თქმა უნდა, რომ ჭაჭის მიცემა ტკბილის კარგად და მალე ადუღებისა და დადუღებისათვის ეგრე მეცნიერულად არ არის მიგნებული ჩვენში, როგორც პასტერს მიუგნია, მაგრამ გამოცდილებით კი უცვნია ჩვენებურს კაცს, რომ ღვინის კარგად ადუღებისათვის ჭაჭა საჭიროა“ (1, ტ.7, გვ.99). გარდა ამისა, ჭაჭა ღვინოს ფერსაც აძლევს, „თუ ნამეტნავად კანი კარგად გასრესილია. ეს ვიცით და ჭაჭას სხვათა შორის ამისათვისაც ჩავაყოლებთ ხოლმე ტკბილსა. ხოლო, ეს-კი ზოგჯერ გვავიწყდება, რომ რაკი ღვინოს დავურევთ და ჭაჭა ძირს წავა და დაილექება, მას შემდეგ ჭაჭა აღარც შემდეგი ჩუმის დუღილისათვის არის საჭირო, აღარც საფერავად და თუ არ ახდენს, აღარს ჰშველის“ (1, ტ.7, გვ.100).

ილია აღნიშნავს, რომ ჩვენთან, თეთრ ღვინოსაც ჭაჭაზედ აყენებენ და თუკი „ევროპიელნი წითელის ღვინისათვის ტკბილს უსათუოდ ჭაჭაზედ ადუღებენ, თეთრის ღვინის ჭაჭაზედ დაყენება რად უნდა გვეყვედრებოდეს და არცოდნაში გვეთვლებოდეს!“ მით უმეტეს, რომ ასეთი ღვინო „მოსწონს ჩვენს ხალხსა და დღევანდელს ბაზარსა.“ ილიას მოჰყავს, პედაგოგის, ბოტანიკოსის, ღვინის ექსპერტის ლუი-ვენსანი ტარდანის (1787– 1836) სიტყვები, რომ: „კლერტი ღვინოს კეთილსუნოვანებას ჰმატებს და გამძლეობის ღონეს აძლევს. კლერტში ერთგვარი ნაწევარია (Дубильное вещество), რომელიც ამ სამსახურს უწევს ღვინოსა. უამისოდ კეთილ-სუნოვანება და გამძლეობა იმოდენად არ გამოჰყვება თურმე ღვინოს... ღვინის გემოსაც-კი უფრო სასიამოვნოდა ჰხდის ის სიმჟავე, რომელიც ენასა ჰკბენს და კლერტისაგან წარმოსდგებაო“ (1, ტ.7, გვ.100).

ილია განაგრძობს თხრობას ჭაჭის შესახებ და წერს:

„ჩვენში კარგად იციან, რომ გადაჭარბებული ჭაჭა და კლერტი ღვინოს ავნებს. ამაზედ იტყვიან ხოლმე, „დასწვავსო“ ღვინოს. მაშასადამე თუ ესეა, რომ კლერტი ღვინის გემოს არამც თუ აფუჭებს, აკეთებს კიდეც, და ამას გარდა სხვა სიკეთეც მოაქვს რაღა საბუთი აქვთ წუნი დასდონ ჩვენს ღვინის კეთებას ამ მხრითა! თუ ეს კლერტის ჩაყოლება შეცდომაა, და თუ ამისთანებში იმისთანა მეცნიერი ჰცდება, როგორც ტარდანია, ჩვენ ეს შეცდომა რად უნდა გვეკიჟინოს აბრუგაზვიადებულ გაბედვით და კადნიერებითა!“ (1, ტ.7, გვ.101).

ილია, ღვინის დუღილის შესახებ წერს, რომ როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენშიც, ღვინის ორგვარი დუღილი იციან: დახურული და ახდილი. აღწერს თუ რას წარმოადგენს ეს დუღილი და რომელ ადგილებში და რის გამოც იყენებენ ამ წესებს. ამის გარდა განიხილავს, როგორც საზღვარგარეთ, ასევე „ღვინის გამძლეობისათვის რა ღონეა ჩვენში მიღებული“. და აღწერს ღვინის ჭურჭლებს. მწერლის თქმით საზღვარგარეთ ღვინოს ინახავენ ბოთლებში. ხოლო ჩვენთან კი ქვევრებში. იგი აღნიშნავს, რომ ბოთლებში ჩამოსხმულ ღვინოს, „მართალია, ამ გზით ღვინოს გამძლეობა ეძლევა და რაც ხანი გადის, უფრო და უფრო კეთდება, ხოლო ხანს ღვინისას, მის გამძლეობას, თავისი საზღვარი აქვს, და თუ ღვინო ამ საზღვარს გადასცილდა, ეკარგება თავისი გემო, ღირსება და ფასი“ (1, ტ.7, გვ.115). ხოლო, ჩვენთან, ღვინოს ქვევრში ინახავენ. „ჩვენ ჩვენს მეცადინეობას ბოთლებში გადაღებამდე არა ვჭიმავთ, იმიტომ რომ სახეში არა გვყავს, ვისთვის და რისთვის ავიკვიატოთ ამოდენა დავიდარაბა და ვაი-ვაგლახი. ჩვენ ღვინის ქვევრში შენახვის იქით აღარ მივდივართ, რადგანაც ჩვენის ეხლანდელის ბაზრის მიხედვით – ეგ მეტი ციებ-ცხელებაა. ბაბა უტკივარს თავს განგებ ვინ აიტკიებს მარტო ცარიელ სახელისათვის, ნამეტნავად იმისთანა საქმეში, საცა სახელთან ერთად გამორჩომის იმედიც ამოქმედებს კაცსა, როგორც მაგალითებრ ყოველს საეკონომიო მოღვაწეობაში საერთოდ და ღვინოში საკუთრივ“ (1, ტ.7, გვ.115).

ილია აღწერს ღვინის შენახვის წესებს და ბოლოს ამბობს, რომ:

„ღვინის შენახვისათვის ჩვენგანაც იმოდენად ცნობილია, რამოდენადაც ევროპაში, და იმოდენადვე დაკმაყოფილებულია, ხოლო სხვადასხვა გზით-კი. იქ მარანს აკეთებენ იმისთანას, რომ ღვინის ჭურჭელი განსაცდელს მოარიდონ, ჩვენ-კი თვითონ ჭურჭელს იმისთანას ვაკეთებთ და ისე ვინახავთ, რომ უმარნოდაც არა განსაცდელი არ ერჩოდეს“ (1, ტ.7, გვ.121).

ილია ჭავჭავაძე შემდეგი სიტყვებით ამთავრებს „ბუნებურ“ ღვინის შესახებ საუბარს.

„ეს ჩვენი გრძელი საუბარი მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ზოგიერთს უმთავრესს მოქმედებას ჩვენში ღვინის კეთებისას, ჩვენის შეძლებისამებრ, მიზეზი ავუხსენით და საბუთი ვუპოვეთ და ვეცადენით დაგვემტკიცებინა, რომ არც ერთი და არც მეორე უვიცობისაგან არ არის წარმომდგარი. პირიქით, რაც საჭიროა ბუნებურის ღვინისათვის, ჩვენ იგი ყოველი გვცოდნია, რადგანაც ჩვენებურს თვითეულს მოქმედებას იქ მივყევართ, საცა მიდიან ევროპიელნი, როცა ბუნებურის ღვინის დაყენება ჰსურთ. და თუ ამ სვლაში რაიმე მეტნაკლებობაა ჩვენსა და მათ შორის, ეგ იმ რთულ გარემოებათა ბრალია, რომელთა კრებულიც ხშირად ცოდნას უკან აყენებს და გამორჩომისათვის ათმობინებს ადგილსა. ესეთი ძალა აქვს საეკონომიო ძალასა“ (1, ტ.7, გვ.123).

ამავე წერილში, ილია ჭავჭავძე საუბრობს ყალბი ღვინის კეთების შესახებ. იგი აღწერს ყალბი ღვინის კეთების სხვადასხვა ხერხებს და ამბობს, რომ ასეთი ღვინის დაყენებაში „ევროპიელნი უანგარიშო მანძილზედ ჩვენზედ წინ არიან. რაც დღევანდლამდე მეცნიერებას ამ საგნის გამო აღმოუჩენია, სულ ყოველი ხელთა აქვთ ევროპიელთ ოსტატებსა.“ თუმცა, თვითონ „ევროპიელნი“ მეცნიერები აღნიშნავენ, რომ „ამ მარგებელს და სასიამოვნო სასმელს ადამიანისას, — ჰრყვნის, აფუჭებს და ხშირად სნეულების მიზეზად და ზოგჯერ საწამლავადაც ჰხდის“ (1, ტ.7, გვ.124). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილიას შემდგომ, მით უმეტეს, საბჭოთა წყობილებისა და მის შემდეგაც, ჩვენთანაც ჰპოვა ღვინის გაყალბების ფართოდ გავრცელებამ და იქამდე მივიდა საქმე, რომ ძირითადათ, უშაქროდ, წყლის ჩარევის და სხვადასხვა ქიმიური მინარევების გარეშე, ღვინოს აღარ აყენებდნენ.

ილიას გადმოცემით, „ღვინის გაბერვებისათვის“, ანუ ყალბი ღვინის კეთების ერთ-ერთი ხერხი, რომელსაც „ჩვენი მეცნიერნი მაინც კეთებას ეძახიან“, ხოლო, საზღვარგარეთ კი „პეტიოტიზაციას“, აღმოუჩენია, აღმოსავლეთ საფრანგეთის ისტორიული ოლქის ბურგუნდიის მაცხოვრებელს, რომელიც ცნობილი იყო თავისი ვენახებითა და ღვინით, მეღვინე პეტიოს (Petiot) 1854 წელს. ამ ხერხით, ღვინის დადუღების შემდეგ, ამოღებულ ჭაჭაზე ასხამენ გარკვეული რაოდენობის წყალს და აყრიან შაქარს, რომლის ხელახლა, „ერთსა და იმავე ჭაჭისაგან სამჯერ ოთხჯერ გამოხდის“ შემდეგ, შეიძლება მივიღოთ „ღვინის მსგავსი რამ სასმელი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ წესის მომხრე მეცნიერებიც კი „იძულებულნი არიან სთქვან, რომ ყველა შაქარი უწყინარ ღვინოს არ აკეთებსო. უსათუოდ ყურძნის შაქარი უნდა, თორემ სხვა... დუღილში მეტად მაწყინარს ალკოჰოლს იძლევა და დიდად ჰვნებს ადამიანის აგებულებასაო;

თვითონ შაქრის ლერწმის შაქრის თაობაზედაც კი გადაჭრით ვერ ითქმის, რომ უვნებელია, როცა ღვინოშია ჩარეულიო“ (1, ტ.7, გვ.132). რადგან შაქარი, „ალკოჰოლად არ-გადაქცეული“, გროვდება ადამიანის სხეულში და იწვევს სხვადასხვა დაავადებებს, მაგალითად „ევრეთწოდებული რუსულად „პოდაგრა“ და ეს ავადმყოფობა ემართებათ არამარტო იმათ „ვინც უზომოდა ჰსმენ“, არამედ იმათაც, „ვისაც ზომიერად ყოველდღე, მაგრამ ხანგრძლივად კი, ევროპიული განგებ შაქრით ნაკეთები ღვინოები უსვამს“ (1, ტ.7, გვ.135).

არა ერთი მკვლევარი და მეცნიერი აღნიშნავდა ადამიანისთვის, ბუნებრივი ღვინის და მით უმეტეს ყალბი ღვინის უზომოდ მიღების დროს გამოწვეულ მავნებლობას.

XI საუკუნის სამედიცინო ძეგლში „უსწორო კარაბადინში“ ქანანელი წერდა, რომ: „ბევრი ღვინის სმითა გული აევსების და ძარღვებში სენს შეიქმს“. „საზომსა ზედა შუას და არ მოაჭარბოს და თუ მოაჭარბა, მაშინ სარგებელი მისი სავნებელი იქნებაო“.

XV საუკუნის პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი, სამედიცინო წიგნის „სამკურნალო წიგნი-კარაბადინის“ ავტორი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი აღნიშნავდა: „ბევრი ღვინის სმით გული აევსების და ძარღვებში სენს შეიქმს... მისგან ბევრი სენი დაემართების, თვის თავსა ბნედას შეიქმს“.

მწერალი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი (1658–1725) მიიჩნევდა, რომ: „ღმერთმან დაბადა ღვინო კაცთათვის სასმელად და სამკურნალოდ და არა თუ სამთვრალოდ და გასაშმაგებლად, სასნეულოდ და სასიკვდილოდ“ (49, გვ.6).

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ალკოჰოლის მიღების დროს და მით უმეტეს ჭარბად მიღებისას, ალკოჰოლი ადამიანში იწვევს ნერვიული სისტემის მოშლას, შრომის უნარიანობისა და მახსოვრობის დაქვეითებას, თანდათან ხდება სასიცოცხლო ორგანოებისა და ფუნქციების ნორმალური მოქმედების რღვევა და ბოლოს სიკვდილიც. მეცნიერებმა ცდებით დაადგინეს, რომ ჭარბად მიღებული ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს მემკვიდრეობაზე და შთამომავლობაზე.

ცნობილმა გერმანელმა ფსიქიატრმა ემილ კრეპელინმა (Kraepelin) (1856–1926) დაამტკიცა, რომ მშობლების მიერ, ალკოჰოლის ბავშვებისათვის მიცემისას, თავისი „გადამეტებული მზრუნველობისა და საქმის უცოდინარობის გამო წამლავენ მათთვის ყველაზე ძვირფას არსებას – შვილებს, მით, რომ

აძლევენ მათ ისეთ საშუალებას, რომლითაც ბავშვი ყეყეჩდება, ხდება მძინარე, ეცლება ენერგია და დროთა განმავლობაში მახინჯდება...

როგორც ცნობილია, მოზარდი თაობის ნერვიული სისტემა სუსტია, ამიტომ ალკოჰოლი მათზე მოქმედებს უფრო ძლიერად და ჩქარა, ვიდრე მოზრდილებზე" (49, გვ.40).

ჩვენ, ალკოჰოლის მავნე მოქმედების შესახებ საუბარს აღარ გავარგძელებთ. ევოლუციური ჰისტოლოგიის ერთერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ ხლოპინი (1897–1961) მეცნიერის, ექიმის, საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ნიკოლოზ პიროგოვისადმი (1810–1881) „მიძღვნილ ექიმთა მე-9 შეკრებაზე თავის მოხსენებაში „აქვს თუ არა კვებითი ღირებულება ალკოჰოლს", გადაჭრით ილაშქრებს მის წინააღმდეგ. ავტორს საჭიროდ მიაჩნია სპირტის ხმარება მხოლოდ სამედიცინო მიზნით" (49, გვ.44).

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „ეს საკვირველი აღმონაჩენი, რომლის გამო ბ-ნმა პეტიომ სახელი გაითქვა", ჩვენში დიდი ხანია ცნობილია. პეტიომ „თავისთავად მიაგნო იმას, რაც ჩვენში დიდი ხანია მიგნებული იყო და არის დღესაც, და იქნება ჩვენი მიგნებული რამდენისამე საუკუნის ხნისაც იყოს და ევროპამ კი მარტო 1854 წელს მიაგნო...

წყლის დასხმა ჭაჭაზედ ჩვენც ძალიან კარგად ვიცით. ზომაც ვიცით, რამდენიც უნდა. ისიც ვიცით, რომ წყალდასხმული ჭაჭა დულილსაც დაიწყებს, თუმცა ძალიან სუსტად. ბალღს ვერ იპოვით ჩვენში, რომ ამ გზით ღვინის გაბევრება არ იცოდეს და ამისთანა ღვინის სახელი არ გითხრას. ამას ჩვენში „შამანს" ეძახიან და მდაბიო ხალხი, მუშა სვამს" (1, ტ.7, გვ.133).

აქვე მწერალი აღნიშნავს,რომ პეტიოს მიერ მიღებულ სასმელს საფრანგეთში „პიკეტს" ეძახიან და ამ სასმელს ამზადებენ „მხოლოდ შავი ყურძნის ჭაჭისაგან". ხოლო, ჩვენთან „თეთრის ყურძნის ჭაჭისაგანაც „შამანს" აკეთებენ და ამას იქით თუ აღმოჩენა უნდა ჩვენს მეცნიერებს, ესეც აღმოაჩინონ" (1, ტ.7, გვ.134).

განსხვავება ჩვენს „შამანსა" და პეტიოს წესს შორის მხოლოდ ის არის, რომ პეტიო ჭაჭასა და წყალს შაქარს უმატებს.

ილიას თქმით, ჩვენთან „ბალღმაც" კი იცის, რომ შაქრით „გატკბილებული წყალი უფრო კარგად აადუღებს და კარგს შამანს დააყენებს" და აქვე სვამს კითხვას: „რატომ არა ვხმარობთ ამისათვის ჩვენ შაქარსა, როგორც პეტიო, და მარტო წყალსა ვჯერდებით?" და თვითონვე იძლევა პასუხს:

„იქ, სადაც შაქარი ხილადაც კი ძნელი საშოვარი იყო დღემდე მაინც, ვინ გიჟი იქნებოდა შამანზედ ეხმარა ის, რაც ხილად და წამლადაც კი სანატრელი ჰქონდა. ეს ერთი. მეორე: ვისთვის უნდა გაეწია ეს დიდი ხარჯი შაქრისა? განა ჩვენში დღესაც კი ერთი ვაჭარი ღვინისა ფეხს შეადგამს იმ მარანში, საცა შაქარ-წყლით ღვინოს აკეთებენ? ან ვისაც გინდათ უჩვენეთ პეტიოს შამანი, აუხსენით რა გზით არის ნაკეთები, და თუმცა ყველანი ამტკიცებენ, რომ შაქარ-წყლით ნაკეთები შამანი მშვენიერის გემოსი, სუნისა და მაგარიც არისო, მაგრამ არა გვგონია, სასყიდლად ახლო გაუაროს ვინმემ“ (1, ტ.7, გვ.134).

აქედან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძე ამბობს, რომ:

„ამ სახით, პეტიოტიზაციით ღვინის გაბევრება ჩვენშიაც სცოდნიათ, მაგრამ ჩვენ უფრო უწყინარი სასმელი გვიკეთებია მაგ გზით, ვიდრე გამოჩენილს პეტიოსა. იმიტომ რომ ჩვენს შამანს განგებ გარედამ მიცემული შაქარი არ ურევია. თუ სწორედ გვკითხავთ კი, ჩვენებური შამანიც და პეტიოს „პიკეტიც“ ორივე ღმერთმა შეინახოს. ორივე ყალბობად მიგვაჩნია თუმცა ჩვენ ის სიმართლე მიგვიძღვის, რომ შამანი ღვინის სახელით გარეთ არ გამოგვაქვს გასასყიდად და არავის ვატყუებთ“ (1, ტ.7, გვ.136).

ი. ჭავჭავაძე განიხილავს, ევროპაში გავრცელებულ, ღვინის მაგვარ სასმელის დაყენების წესს, როდესაც მაჭარში ჩაურევენ ალკოჰოლს. ამისათვის იხმარება „ჭაჭისა ანუ თვითონ ღვინისაგან გამოხდილი და განგებ გადაწმენდილი არაყი“. რასაც „ეძახიან ალკოჰოლიზაციას“. ამის შესახებ ილიას მოჰყავს ფრანგი ქიმიკოსის, ერთ-ერთი აგროქიმიის დამფუძნებლის ჟან ბატისტ ბუსსენგოს (1802-1887) სიტყვები, სადაც იგი ამბობს, რომ „თუ ღვინოს 18% ალკოჰოლი აქვს, ანუ მეტი, იგი ბუნებურ ღვინოდ აღარ ჩაითვლებაო, იმიტომ რომ ამოდენა ალკოჰოლიანი წვენი ყურძნისა დულილის უნარს ჰკარგავს და წვენში ნამყოფი შაქარი ალკოჰოლად აღარ გადადისო. იგი პირდაპირ ამბობს, რომ ამ სიმაგრის ღვინო ბუნებური არ არისო“ (1, ტ.7, გვ.136).

არაყის სიმაგრეს მნიშვნელობა არ აქვს. ილია წერს, რომ „რაც უნდა ძალიან კარგი არაყი იშოვოთ ამისათვის, მაინც განგებ ჩამატებული არაყი ღვინოს უფრო ახდენს, ვიდრე აკეთებს.“ და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მეცნიერთა მტკიცებულებანი.

ილია, ფრანგი ქიმიკოსის შარლ ფრედერიკ ჟერარის, გერჰარდტის (Gerhardt) (1816–1856) გამოკვლევათა დაყრდნობით წერს, რომ „რაც უნდა წმინდა არაყი ჩაუმატოთ ღვინოს, თუნდ ასს წილში ერთი, ან ორი წილი,

ღვინო ამით კი არა კეთდება, არამედ, რაც დრო გადის, უფრო ფუჭდება და ფუჭდება“ (1, ტ.7, გვ.136).

ილიას მოჰყავს, მეორე, ფრანგი ქიმიკოსის ჟან დიუმას (Dumas) (1800–1884) მტკიცება, რომ:

„ჭარბად მიცემული არაყი პირველშივე აფუჭებს ღვინოსა; ზომიერად და ნაკლებად მიცემული კი – ნელ-ნელა, თანდათან დროთა მიმავლობაშიო; რაც უნდა ცოტა არაყი მიემატოს, ღვინოს თავის-დღეში არა ჰრგებსო და ადრე იქნება თუ გვიან ძლიერ მავნებელს ცვლილებას მოახდენსო.“

ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს, რომ პარიზის საექიმო აკადემიის სენატის კომისიას, შეუსწავლია, თუ როგორ მოქმედებს ადამიანზე ევროპის სხვადასხვა შეზავებული ღვინოები, სადაც კი შერეული იყო „გადაწმენდილი არაყი (სპირტი)“ და ამ გამოძიების დადგენილებაზე დაყრდნობით წერს, რომ:

„ევროპის ღვინოები, რომელშიაც კი ურევენ გადაწმენდილ არაყსა (სპირტსა), იმოდენად მაწყინარია, იმ სნეულებასვე უჩენს კაცს, რასაც ცუდი, დაბალი, გაუწმენდავი არაყი, იმიტომ რომ გადაწმენდილი არაყი აფუჭებს ღვინოში იმას, რაც კი ძლიერ სასარგებლო არის კაცის აგებულებისათვისო. მთელის საფრანგეთის, იტალიის, ვენგრიის და ისპანიის ღვინოები სულ გაფუჭებულია ღვინის მკეთებელთაგან და ამიტომ მაწყინარიაო. ეს არის მიზეზი, რომ ის კაციც, რომელიც ცუდს, გაუწმენდავს არაყსა სვამს და ისიც რომელიც ამ ევროპის ღვინოებსა ჰხმარობს სასმელად, ერთისა და იმავე სენით სნეულდებიანო“ (1, ტ.7, გვ.139).

ილია გადმოგვცემს, რომ ღვინის გამძლეობის გასადიდებლად, საზღვარგარეთ, ადამიანის მოწამლვასაც არ ერიდებიან და ღვინოში უმატებენ გლიცერინსა და სალიცილის მჟავასაც. ამის გამო, საფრანგეთში, სასმელში გლიცერინის მიცემა სასტიკად აუკრძალავთ, ხოლო, 1881 წლის 23 თებერვალს, პარიზის პრეფექტს გამოუცია, „პარიზისათვის სავალდებულო ბრძანება, რომ სალიცილის მჟავე არ იქმნას ხმარებული არც სასმელში რაშიმე, არც ხორაგეულობაში“ (1, ტ.7, გვ.128).

საბოლოოდ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვინც ბუნებრივ ღვინოს აყალბებს და სწამლავს, ილიას თქმით, ისინი „გამორჩომას ანაცვალებენ ერის ჯამრთელობას“ (1, ტ.7, გვ.129).

ჭავჭავაძის თქმით, შეურეველ, ბუნებრივ ღვინის მკეთებელს, ყოველთვის ჰყავს და ეყოლება ის მუშტარი, რომელიც „წმინდა ყურძნის წვენის ღვინოს ირჩევს, ვიდრე განგებ წამლებით შეზავებულს და გაკეთებულს, რაც უნდა ეს უკანასკნელი თვალისა და გემოსათვის უფრო სამაცდურო იყოს პირველზედ“

და „რაც უნდა ყალბს ღვინოზედ დაბალი იყოს.“ მწერალი გადმოგვცემს, რომ ევროპაში, ნამდვილ, სუფთა ღვინოს დიდი ფასი აქვს, რაც ღვინის მკეთებელს საშუალებას აძლევს, ღვინის დაყენებას „უფრო ბევრი ფული მოახმაროს, უფრო უკეთესი იარაღი და ჭურჭელი ახმაროს, გარემოება უფრო სახერხული მოუწყოს, რომ მართალს ღვინოს მთელი თავისი ბუნებური თვისება და ღირსება შეარჩინოს როგორც სიკეთისა, ისეც გამძლეობისათვის... ეგ მარტო საეკონომიო მიზეზით აიხსნება: იქ დიდს ხარჯს კეთებისას დიდი ფასი ჰფარავს და მოგებასაც აძლევს“ (1, ტ.7, გვ.142). ხოლო ჩვენთან, საქართველოში, ღვინო შედარებით უფრო იაფია და „ძვირად არ უჯდება ღვინის მკეთებელს.“ „ჩვენებური ღვინო, მარტო ჩვენს შინაურს ვიწროდ შემოფარგლულს ბაზარში მომწყვდეული, დიდს ხარჯს კეთებისას ვერ აიტანს და ზარალის მეტი არა გამოვა-რა. ამას უნდა მიეწეროს ზოგიერთი ჩვენი უხერხულობა ღვინის კეთებაში და არა იმას, ვითომ არ ვიცოდეთ, რა გზით შესაძლოა ღვინის კარგად დაყენება და კეთება. ეს ერთი. მეორე მიზეზი, ისევ საეკონომიო თვისებისა, ის არის, რომ ჩვენში ღვინო საყოველთაო სახმარი სასმელია: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ჩვეულია ღვინის სმასა. ამის გამო აქ ჩვენში ღვინის კეთების საეკონომიო ანგარიში უფრო მრავალთათვის უნდა იყოს დაჭერილი, ვიდრე ევროპაში“ (1, ტ.7, გვ.142). სადაც ნამდვილ ღვინოს, მიუხედავად ღვინის სიძვირისა, ერის სიმრავლის გამო უფრო მეტი გასავალი აქვს. იქ ნამდვილ ღვინოს „მარტო მდიდარი კაცი თუ სვამს და ეღირსება. რაკი მუშტარი ღვინისა ერის სიმრავლეა, მაშასადამე არა-მდიდარი ხალხი,— ღვინო, თუ იეფი არ არის, უნდა ჰშიშობდეს, რომ გაუსყიდველი დარჩება“ (1, ტ.7, გვ.143).

ილიას თქმით, ჩვენს ღვინოს რუსეთის ბაზარი ეხსნება და ამ დიდ ბაზარში ჩვენმა ღვინომ ფეხი უნდა მოიკიდოს. ამისთვის საჭიროა, რომ რუსეთში შემოტანილ ევროპის ყალბ ღვინოებს, „ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ“ და მაშინ „ჩვენი გამარჯვება უეჭველია, იმიტომ რომ არ არის ქვეყანაზედ კაცი, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს, რაც უნდა ეს ყალბი სამაცდურო იყოს. ჩვენს ღვინოებს სხვა იმედი არ უნდა ჰქონდეს გაუძლოს ევროპიულ ღვინოების ცილობასა: ყალბის ღვინის კეთებაში ჩვენ ევროპას ვერ დავეწევით, გასწრობას ვინღა იტყვის. მაშასადამე ერთიღა დაგვრჩენია: მართლის ღვინის კეთებას ნუ ვუღალატებთ... მარტო მართალი ღვინოები გავიტანოთ ბაზარში“ (1, ტ.7, გვ.144).

ი. ჭავჭავაძემ წერილში, „ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხი“, წერს, რომ ჩვენს ღვინოს, „რომ საბაზრო საქონლის თვისება მიეცეს, რომ სა-

ქართველოს გარეთაც მუშტარი აიჩინოს, ბაზარი გაიმართოს," ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენ ღვინოს, „ჩვენის მარნიდამ ბაზრამდე" თავისი გემო, ფერი და სუნი შევუნარჩუნოთ. მანამდე, „ნურავის ჰგონია, რომ ღვინის აღებ-მოცემობამ ჩვენში ჩვენი სასურველი გზა გაიკაფოს."

ილია წერს, რომ აქამდე, ჩვენი ღვინო აქვე იყიდებოდა და რაც მოდიოდა, იმავე წელსვე საღდებოდა. ამიტომ ჩვენი მეღვინე ღვინის გამძლეობაზე აღარ ფიქრობდა. მაგრამ ეხლა, როდესაც ვენახის ფართობი გაიზარდა და ამის გამო მოსავლის მატებამ, შინაური ბაზრის მოთხოვნილებას გადააჭარბა და „ბაზარი ველარ იტევს მთელს ჩვენი ქვეყნის მოსავალს". მაგრამ, „ამ თხუთმეტს-ოცს წელიწადში", მოუსავლიანობამ გამოიწვია ის, რომ ჩვენთან ღვინო გაძვირდა იმოდენად, რომ დაბალი ხალხი, რომელსაც ღვინის სმა პირველ საჭიროებად მიაჩნდა და რომელიც შეძლებისდაგვარად ჰხარჯავდა, გაუფრთხა ღვინოს და მიეტანა უფრო იეფს პივას და იმას შეეჩვია... ღვინის სიძვირემ ყველგან შეამოკლა ღვინის ხარჯვა და სმა." თუმცა, „ამ ორს-სამ წელიწადში მოსავლის მატებამ, ისა ჰქმნა, რომ დღეს ღვინო ბევრია და მყიდველი-კი ცოტა". ილიას აზრით, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია, „რომ ჩვენმა ღვინომ ბაზარი იშოვოს რუსეთში და სხვა ქვეყნებში".

ილია წერდა, რომ სხვა ქვეყნებში კონკურენციის, „ცილობის გაწევა საქვეყნო ვაჭრობაში ძნელია." ამიტომ, ჩვენ „მიწათმოქმედება და საზოგადოდ სოფლის მეურნეობა სხვა იმისთანა საგანზე უნდა მიიქცეს," რომ ამ ცილობას გაუძლოს. „ადგილი და ჰავა ამის ნებას გვაძლევს... მაგალითად ღვინო. ამაში ჩვენ ბევრნი მოცილენი ვერ ამოგვიჩნდებიან და თუ ამოგვიჩნდებიან, აქაურის ღვინის სიკეთე – ღონეს გვაძლევს ბრძოლისათვის და იმედს გამარჯვებისას" (1, ტ.7, გვ.219).

ი. ჭავჭავაძე ცდილობდა ჩვენი მეღვინეებისათვის მიეწოდებინა ახალი მეცნიერული აღმოჩენები და დაენერგა ჩვენში, რომელიც ღვინოს ხარისხს გააუმჯობესებდა და გამძლეობას გაზრდიდა. ამ მხრივ, საინტერესოა მისი წერილი, „ელექტრონის გამოყენება მეღვინეობაში". ავტორის თქმით, „ჩვენებურმა ღვინომ მუშტარი უნდა იმატოს, ბაზარი გაიდიდოს და მარტო შინაურ ბაზარს არ დასჯერდეს", გარეთ, საზღვარგარეთ ბაზარში ფეხი უნდა მოიკიდოს. ხოლო, ამისათვის საჭიროა, რომ „ჩვენებურს ღვინოს გამძლეობა ჰქონდეს, საჭიროა ღვინომ სასმელად თავი დაიჭიროს და არ წახდეს", და სწორედ, ჩვენს ღვინოს ეს აკლია. ჩვენი მეღვინე დარწმუნებული არ არის, რომ მის მიერ გაყიდული ღვინო, დიდხანს გაძლებს და მყიდველამდე, ბაზრამდე მიაღწევს „იმავე ღირსებით", „რა

ღირსებითაც მარნიდამ ისტუმრებს“. „ერთი სიტყვით, – ასკვნის ილია, – ჩვენებური ხელშეუწყობელი ღვინო სავაჭრო საქონელი არ არის“ (1, ტ.7, გვ.190).

ილია წერს, რომ თუ ღვინოს „ხელს არ შეუწყობთ სნეულდება, ავადმყოფობს“, „იძღვრევა, თავის პირვანდელ ფერსა და გემოს ჰკარგავს“. მეცნიერთა გამოკვლევით, ეს ხდება სხვადასხვა მიკრობების გამო, რომლებიც ღვინოში იმყოფებიან. ამიტომ ღვინო, რომ არ წახდეს, ფერი და გემო შეინარჩუნოს, ის მავნებელი მიკრობები რომლებიც ღვინოს ახდენენ, უნდა მოისპოს. მეცნიერებმა „ამისი წამალიც“ იპოვეს. ჩვეულებრივ წყალსაც კი უჩნდება მიკრობები, რომლებიც მას ღირსებას უკარგავს. საფრანგეთში ჩაუტარებიათ ცდები და ელექტრონის საშუალებით წყალი ამ მიკრობებისაგან გაუწმენდიათ. ელექტრონის ცდები ჩაუტარებიათ ღვინოზეც და „გასაშტერებელი“ შედეგები მიუღიათ, „ღვინოს ეძლევა ყოველივე სიკეთე ძველის ღვინისა და დიდი გამძლეობა. სუსტი ღვინოც, რომელიც სასიამოვნო სასმელია, რადგანაც ცხარე არ არის, და რომელიც ძალიან მალე ფუჭდება, იგიც-კი ელექტრონის შემდეგ გასაძლისად კეთდება და დიდ ხანს იჭერს თავს. ამასთან ღვინო ისეთია თურმე, როგორც ანკარა წყარო“ (1, ტ.7, გვ.192).

ილია ურჩევს ჩვენ მეღვინეებს, რომ ყურადღება მიაქციონ ამ გამოგონებას, გამოიყენონ და „შეეცადონ ამ გზით ჩვენებურს ღვინოს ის ადგილი დააჭერინონ საქვეყნო ბაზარში, რის ღირსიც არის თვისის ბუნებურ სიკეთითა და მით მუშტარი მოიმატონ“ (1, ტ.7, გვ.192).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია, მოუწოდებდა და უმტკიცებდა საზოგადოებას, რომ შეექმნათ ამხანაგობები, რადგან „ცალკე გამრჯელობისა“, „მის განზრახულს დიდი მანძილი ცხოვრებისა არა აქვს“.

წერილში, „ჩვენი ღვინოების საბაზროდ ქცევის საკითხები“, ილია აღნიშნავს და მიესალმება საზოგადოებაში გამოთქმულ სურვილს, „რომ ეგ შეერთებული შეძლება და ძალ-ღონე საფუძვლად დაედოს სხვათა შორის ღვინის საქმესაც ჩვენში“ (1, ტ.7, გვ.186).

ილია ამბობს, რომ ზოგიერთის აზრით, „ყველაზედ უწინარეს ფული არის საჭიროო საქმის დაწყებისათვის.“ მას, ეს აზრი შეცდომად მიაჩნია. რადგან, „ფული, როგორც ყოველივე ეკონომიური ძალ-ღონე, ისეთი თვისებისაა, რომ თითონ ეძებს საქმეს, თითონ მიეზიდება საქმისაკენ, რადგანაც უქმად დება ეწინააღმდეგება ეკონომიურს ბუნებას ყოველი ეკონომიურის საგნისას და მაშასადამე ფულისაც“ (1, ტ.7, გვ.188). თუ თავიდანვე, დასაწყისიდანვე, კარგად და საიმედოდ ააგებთ საქმეს, ღვინოს გამძლეს გახდით, შეუნარჩუნებთ ბუნებ-

რივ თვისებებს და საბაზრო საქონლად გახდით, „მაშინ ბაზარიც დიდი ექნება ღვინოს და მოგებასაც აღებმიცემობისას წინ ბევრი არა დაუდგება-რა“, რადგან „ესეთია ბუნება ფულისა, როგორც ყოველ საეკონომიო ნივთისა,— იქით მიიზიდება, საცა გამორჩენა და ხეირია.“ და ამ წერილს ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„კიდევ ვიტყვით: ფულზედ ნუ ჰფიქრობთ, ოღონდ თითონ საქმეს საიმედო საფუძველი დაუდეთ და ფული თითონ მოგნახავთ“ (1, ტ.7, გვ.189).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXV, ილია ჭავჭავაძე განიხილავს საქართველოში არაყის საკითხს. მისი ბაჟისა და მასთან დაკავშირებულ წესებს.

მწერალი აღნიშნავს,რომ საქართველოში არაყის გამოხდა ძირითადად ღვინის წარმოებაზეა დამოკიდებული, რადგან ჩვენთან „არაყს ხდიან განსაკუთრებით ჭაჭისაგან“, ვინაიდან „ჭაჭა სხვაფრივ არასფერში გამოსადეგი არ არის“. ხოლო, პურსა და სხვა ხორბლეულს, რომელიც „ხალხისა და ქვეყნისათვის საჭმელად აუცილებლად საჭიროა“, არაყისა და სპირტის (მწერალი წერილებში უწოდებს გამოხდილ არაყს) გამოსახდელად არ ხმარობს. ამიტომ, „ამ გარემოებას უნდა მიემართა აქაური კანონმდებლობა ბაჟისა, გადასახადის და წესების შედგენის დროს, რომ არაყის ხდას ჭაჭისაგან დიდი შეღავათი მისცემოდა, დიდი ფართო გზა, და გაძლიერებულიყო“ (1, ტ.5, გვ.300). ხოლო, პურისაგან კი შეიზღუდოს. ილია წერს, რომ ადრე:

„ხალხს ამ წარმოების წყალობით იმოდენა გამორჩომა ჰქონდა, რომ თითქმის ამის გამორჩომით უძღვებოდა სახელმწიფო ხარჯსა. ეხლა კი ეგ წყარო, რომელიც ხალხს უძლიერებდა ღონეს ხარჯის გადახდისას, მოსწყდა, იმიტომ რომ ეხლანდელის აქციზის სიმძიმეს ვერ უძლებს არამც თუ იეფის ფასის ქვაბი, რომელიც ასე თუ ისე ადვილად მოსაპოებელია გლეხკაცის მიერ, არამედ ძლივს იტანს თითონ ძვირფასი ქარხანაცა, რომელსაც გლეხკაცი ხელსაც ვერ მიაწვდენს და რომელიც მარტო ფულიანის კაცისათვის არის შესაძლებელი“ (1, ტ.5, გვ.301).

ილიას გადმოცემით, ჭაჭიდან არაყის გამოხდაზე უარყოფითი გავლენა იქონია ძვირად ღირებულმა არაყის გამოსახდელმა ქარხნებმა. ვინაიდან ხორბლისაგან ამზადებენ არაყს და მეორის მხრივ, ქარხნის პატრონები ერთმანეთს ურიგდებიან და ჭაჭის არაყის ფასს სწევენ. გლეხი, რომელიც ჭაჭიდან არაყს ხდიდა, იძულებული ხდება „ჭაჭაც ჩალის ფასად ჰყიდოს“ და „ვეღარ ძალუძს თითონ ხადოს ჭაჭის არაყი“. ამან იმ ადგილებში „საცა ხალხი ვენახობას

მისდევს“, გამოიწვია ამ ხალხის გაღარიბება, რაც „აშკარად დაეტყო ხალხის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებასა.“ ამიტომაც, წერს ილია:

„საჭიროა ხელახლად გადისინჯოს აქციზის წესები და ახალი კანონები მიიმართოს იმაზედ, რომ ჭაჭის არაყის ხდას ფართო, დაუბრკოლებელი გზა გაეხსნას, უპირატესობა და ყოველივე შემწეობა მიეცეს“ (1, ტ.5, გვ. 302).

1892 წლის წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXVIII, ილია ჭავჭავაძე გახარებული წერს: „ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვით-გამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში – არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის. მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თავისათვისაო, სხვა უფრო არ იქნებაო“ (1, ტ.5, გვ.336) და ჩვენმა ხალხმა საქმეს მოჰკიდა ხელი. ერთ-ერთ საქმედ, ილია ღვინის საქმეს თვლის, რომელიც დაიწყო „მედგრად და ჰლამის განხორციელდეს“. ვენახის მფლობელებმა დაინახეს, „რომ ჩვენებურ ღვინოს ღირსეული მერმისი,მოელის“. მიხვდნენ, რომ ვაჭრების მიერ გაფუჭებულ ღვინოს „ბაზარი არ აქვს“ და ამის გამო აკლდება ფასი და „გამორჩომა ვაჭარსა რჩება“, ხოლო დარჩენილი თანხა გლეხს ძლივძლივობით ვენახის სახარჯოდ ჰყოფნის, „დაიძრა აზრი ამ უნუგეშო ყოფისაგან გამოსახსნელად. ჰფიქრობენ, მოქმედობენ, ირჯებიან, რომ ამ სატკივარს ჯეროვანი წამალი მოუპოვონ და იმედია, რომ მეცადინეობა ამ შემთხვევაში უქმად არ ჩაუვლით“ (1, ტ.5, გვ.338).

ილია ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ჩვენი მთავარი საქმიანობა სოფლის მეურნეობაში და შემოსავლის წყარო წარმოადგენდა ღვინო და პური. წერილში, „ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი“, იგი წერს: „ჩვენ, ქართველები, პურისა და ღვინის პატრონები ვართ, ესე იგი, პურისა და ღვინის გამსყიდველნი ერთის მხრით,და მეორეს მხრით მსყიდველნი ყოველს იმისა, რაც ერთობ საჭიროა საყოველდღეო ცხოვრებისათვის“ (1, ტ.7, გვ.8).

ქართველები მიხვდნენ, რომ ვაჭრების ხელში არიან ჩავარდნილები, რომლებიც „ტყავს ორგზით გვაძრობენ“, მიხვდნენ, რომ ამ გაჭირვებიდან ერთად ერთი გამოსავალი არის ის, რომ ჩვენ თვითონ ჩვენს თავს უნდა მივხედოთ, „რომ ეკონომიური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ“ (1, ტ.7, გვ.9).

თანდათან ჩვენში ხდება საერთო აზრის ჩამოყალიბება, საზოგადოებისა და ამხანაგობების წარმოქმნა. მწერლის აზრით სწორედ ეს არის ერთადერთი სწორი გზა ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გამოსასწორებლად. მას, მაგალითად მოჰყავს გერმანიის „ღვინის დამყენებელი ამხანაგობის“ საქმიანობა. აღწერს მათ აწყობილ საქმიანობას, თუ როგორ მუშაობენ და რა წარმატებებსაც ღებულობენ. მწერალი მოწადინებულია, რომ ჩვენთანაც ამდაგვარი ამხანაგობები შეიქმნას.

ი. ჭავჭავაძემ,ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა ამიერკავკასიაში „ორი საზოგადოების: ერთი ამიერკავკასიის ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არყის ხდისა; და მეორე – ბაღეულობისა და ბოსტნეულობის კეთებისა“, ჩამოყალიბებას. საძოგადოებებს „საფუძვლად დაუდვია აქციონერობა“. ამ საზოგადოებების ჩამოყალიბება მოუნდომებია მეისნერს. რომელსაც, საზოგადოებების ჩამოყალიბების გეგმები წარუდგენია მთავარმმართებლისათვის, ხოლო, მას კი განსახილველად გადაუგზავნია სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომელსაც უნდა ეთქვა: „მოუხდება ამიერ-კავკასიას ეს პროექტი, თუ არა“ (მეისნერის შესახებ ჩვენ ზევით აღვნიშნეთ). ილიას თქმით: მეისნერი „ცდილობს ერთის მხრით დააჯეროს აქციონერები, რომ დიდი მოგება გექნებათო, და მეორეს მხრით – ვენახებისა და ბაღების თუ ბოსტნების პატრონები, რომ თქვენს საქონელს დიდი ფასი, ფართო ბაზარი გაეხსნებაო და კაი ვაჭარი ეყოლებაო“ (1, ტ.5, გვ.189).

საზოგადოებას, მეისნერის პროექტის განსახილველად და „თავისი აზრის დასასკვნელად“ შეუქმნია კომისია, „რადგანაც ერთიცა და მეორეც ქვეყნისათვის მეტად მძიმე საგანს შეეხებაო“ (1, ტ.5, გვ.189).

მწერალი გადმოგვცემს თვითეული კომისის წევრთა აზრს ამ პროექტთან დაკავშირებით. ერთის მხრით, ამ საქმისათვის მეისნერის მიერ გამოყოფილი თანხა, ღვინის საქმიანობასთან დაკავშირებით 2,5 მილიონი, ჩვენი ქვეყნისათვის თითქოს სასარგებლო იყო, მაგრამ, სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

ილია დაწვრილებით განიხილავს მეისნერის პროექტს საპოლიტიკო ეკონომიის მხრივ. მისი თქმით: „ზოგს სიხარულით ფეხზედ არ აყენებს, აბა ეხლა გავმდიდრდებითო, და ზოგს შიშით აკაკნკალებს, აბა ეხლა დავიღუპებითო“ (1, ტ.5, გვ.207). მწერალი, განიხილავს „აღებ-მიცემობის“ საკითხს, ღვინის ვაჭრობას, პროექტიდან გამომდინარე ღვინის ბაზრისა და ფულის საკითხს, ღვინის ფასსა და ღირებულებას, და ბოლოს განიხილავს მეისნერის პროექტის „მესამე დაპირებას“, „სახელდობრ ისა, რომ ღვინოს მე გავაკეთებ, თქვენ ოღონდ ვენახები აკეთეთ და ბევრი ყურძენი მოიყვანეთო. ეს რომ მდაბიურად ვთარგ-

მნოთ, ეს არის: „დღეს თქვენ ვენახების მკეთებელიცა ხართო და ღვინისაცაო. რაკი ორივე წარმოება ხელთ გიჭირავთ, სჩანს ერთიდამაც რასმე ხეირს ხედავთ და მეორიდამაცაო. მოდით, ერთი წარმოება მაგ ორისაგან მე დამითმეთო, ისეთი, რომელიც უფრო ფაქიზია და სამუშაოდ უფრო ადვილი, ესე იგი ღვინის კეთებაო“. ილია დაცინვით წერს: მერე ჩვენ რას გვაძლევთ მის სამაგიეროს, სახელდობრ – იმის სანაცვლოდ, რაც ღვინის კეთება ვენახის კეთებასთან ერთად ჩვენ ხეირს გვაძლევდა, ვკითხავთ ჩვენ? არაფერსაო. თქვენი ხეირი ეს იქნებაო, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვენი ღვინოო, იმასაც თქვენ კი არ დაგალევინებთ, რუსეთში გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნება და სახრავი კი ჩემიო. თქვენ მარტო ვენახის კეთებაც გეყოფათო.

აი ყოველთვის ამისთანა შედეგი აქვს, როცა ეგრეთ-წოდებული კაპიტალობრივი წარმოება თავს ამოჰყოფს ხოლმე ქვეყანაში და ფეხს მოიკიდებს“ (1, ტ.5, გვ.229).

ილია ამბობს, რომ როდესაც ქვეყანაში „უმაღლეს წოდებათა ხელში“ კაპიტალი გროვდება, იმავ დროს „ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს“ და საბოლოოდ დასკვნის სახით წერს:

„ამ სახით, რა მხრითაც უნდა მივუდგეთ ბ-ნ მეისნერის პროექტს, რომელი აღთქმა და დაპირება არ გავსინჯოთ, ვნახავთ, რომ მასში ჩვენი საჭეირო არა არის-რა და სავნებელი კია, ასეც იცნო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბოლოს და უარჰყო იგი პროექტი“ (1, ტ.5, გვ.230).

როდესაც საქართველოში ჩამოყალიბდა ხილის და ბოსტნეულის გამსაღებელი საზოგადოება, ილია მიესალმა ამ საზოგადოების ჩამოყალიბებასაც და აღნიშნა, რომ ამ საზოგადოებას გადაუწყვეტია ხილისა და ბოსტნეულით ვაჭრობა, „რიგიანსა და სწორ გზაზედ დააყენონ“, და რაც მთავარია, „როგორც მოწარმოენი ხილისა და ბოსტნეულობისა, ისეც ამაების მუშტრები, ჩარჩების ხელიდან დაიხსნან და სყიდვა-გაყიდვაში არც ერთი აზარალონ და არც მეორე“ (1, ტ.7, გვ.28). მწერალი იმედს გამოთქვამს, რომ ეს ახლად წამოწყებული, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე არ დაიშლება და საზოგადოება განაგრძობს თავის მუშაობას. მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს. ილიას დამოკიდებულება საზოგადოების (ამხანაგობის, კოოპერირების) შესახებ ჩვენ ზევით აღვნიშნეთ.

საზოგადოების წევრებს მოუწვევიათ კრება, განუხილავთ წესდების გეგმები, სხვადასხვა საკითხები და მიზნად დაუსახავთ, რომ ხილისა და ბოსტნეულის გარდა, თუ „საქმის წარმატება ამის ღონეს მისცემს“, „ხორბლეულობის ვაჭრობასაც ხელი მოჰკიდონ.“

„ღმერთმა ჰქმნას, – წერს მწერალი, – რომ ეს საზოგადოება შესდგეს. არ არის მიზეზი, რომ კაცმა იმედი არ იქონიოს ამისთანა საზოგადოებაზედ. თუ ჩვენი საკუთარი თვითმოქმედება და თანაგრძნობა მხარს მისცემს. საქმე ის არის, რომ ჩვენმა მემამულეებმა პირველშივე გული არ გაიტეხონ და პირველშივე სულითა და გულით მიეგებნენ ამ დაწყობილებას. ყველგან ამ გზით ჰშველებიათ. ამ გზით დაუხსნიათ თავი იმ გაჭირებულ მდგომარეობისაგან, როგორშიაც დღეს ჩვენა ვართ ჩაცვივნულნი. აქ მარტო საკუთარი სურვილია საჭირო, რომ ჩვენს თავს ჩვენვე ვუშველოთ... შეერთებული ღონეა ერთადერთი სახსარი, რომელიც ჩვენ ჯერ ამისთანაებში არ გვიცდია და რომელსაც ყველგან გაუმარჯვნია. საცა-კი უცდიათ. მოვიწვევთ ჩვენს მემამულეებს, რომ რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, რადგანაც დიდად საიმედო და სასარგებლო საქმეა“ (1, ტ.7, გვ.29).

წერილში, „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირი“, ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ჩვენ უყურადღებოთ დავტოვეთ ჩვენი ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი ადგილი უკავია ყველგან და მით უმეტეს ჩვენთან. მასზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის „წინ წაწევა“, სიმდიდრე და წარმატება. დღევანდელ დღეს ცხოვრება შეიცვალა, „გარშემო ყველაფერი შეიცვალა“. მიუხედავად იმისა, „რომ ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებარეობით, მიწით მდიდარია და შემძლებელია გაგვამდიდროს, ქონებით გაგვაძლიეროს, გაგვაღონიეროს“, ჩვენ მაინც „ღარიბნი და ღატაკნი“ ვართ. მწერლის თქმით, დღევანდელ დღეს „თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას“, ამ „არსებობისათვის ბრძოლაში და დაუნდობელ ომში“, ის „ღონემიხდილ ლომს“ ემსგავსება და უეჭველად დამარცხდება.

ჩვენმა ერმა ამ სიღარიბეს თავი, რომ დააღწიოს საჭიროა ის, „რის მოცემაც შეუძლიან ჩვენს მდიდარს ქვეყანას, საცა ჰავა და მიწა ასე ხელს უმართავს კაცს, რომ რაც სულსა და გულს უნდა, კაცმა გაიჩინოს, გამოიღოს ბაზარში გასატანად“, მწერლის აზრით, ჩვენ ის უნდა მოვიყვანოთ და რუსეთში გავიტანოთ, რაც იქ არ მოდის და „იქიდამ ის ვეზიდოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იაფიც არის“ (1, ტ.7, გვ.41).

ილია წერილში წერს, რომ „თელავის თავად-აზნაურობას ეს საჭიროება უგვრძნია და საგნად შემდგარ ამხანაგობისა დაუდვია განკარგება და გაძლიერება მიწათმოქმედებისა“ (1, ტ.7, გვ.42).

ამ საზოგადოებას სამუშაო გეგმა შეუდგენია და წარუდგენია, „საცა ჯერ არს“, დასამტკიცებლად. გეგმის თანახმად, მთავარი მიზანი ყოფილა, რომ ჩარჩისა

და ვაჭრის გარეშე, სოფლის მეურნეობის ჭირნახული უშუალოდ მიეწოდებინა მომხმარებლისათვის. მწარმოებლისგან პირდაპირ შეეძინა და შემდეგ, შედარებით იაფად მიეყიდნა სოფლისათვის „საშინაო სახმარი და სასყიდელი“. ამის გარდა, ამ „მეურნეთა კავშირს“ მიზნად დაუსახავს, „განკარგება და წარმატება სოფლის მეურნეობისა კახეთში“ (1, ტ.7, გვ.46).

ავტორი აღნიშნავს, რომ „იმას რასაც რუსეთი სხვა თბილ ქვეყნიდამ ეზიდება და რასაც ზედ ალევს არა ერთსა და ორს მილიონს მანეთსა. ის ყოველისფერი თუ არა, ბევრი მაინც ჩვენში ადვილად მოვა, ოღონდ ამისი ხელი ვიცოდეთ, ამისი ცოდნა გვქონდეს“ (1, ტ.7, გვ.46) და სწორედ ამ ცოდნის გასავრცელებლად „კავშირს“ განუზრახავს გამოსცეს წიგნები, ჟურნალები, გაზეთი და ბროშურები. გარდა ამისა, „კავშირს“ განუზრახავს მიწების შეძენა, სადაც, „გაიჩენს ხალხში გასავრცელებლად“ საუკეთესო ხილ-ბოსტანს და პირუტყვს, რომ „პირუტყვთშენება განკარგდეს ჩვენში და კაი ჯიშის პირუტყვი გამრავლდეს“ (1, ტ.7, გვ.47).

გარდა ამ საქმიანობისა, „კავშირს“ განუზრახავს „სხვა საგნებიცა“: „ქარხნებისა და ფაბრიკების გამართვა, იეფ კრედიტის დაარსება სოფლის მეურნეობის ტექნიკის განკარგებისათვის და მკვიდრთა ხელის გამართვისათვის“ (1, ტ.7, გვ.48).

ილია წერს, რომ ამ „კავშირის“ ჩამოყალიბება და ამ სახით საზოგადოების დაარსება, „სასიხარულო ნიშანია ჩვენის გამოფხიზლებისა, ჩვენის დაძინებულის აზრის დაძვრისა და მოქმედებისა“ (1, ტ.7, გვ.52). მწერალი აღნიშნავს სამუშაო გეგმის ნაკლსაც და ბოლოს ამ წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ კი იმოდენად დიდი და კარგი გვგონია თვით დედააზრი, რომ ვისურვებთ ამ „კავშირის“ მიერ დაწყებულ საქმისათვის ყოველსავე სიკეთეს და გამარჯვებას“ (1, ტ.7, გვ.55).

ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძე, ყოველთვის მოხარული იყო, როდესაც საქართველოში ყალიბდებოდა სხვადასხვა საზოგადოებები და ხალხს მოუწოდებდა, რომ ჩემოეყალიბებინათ ამხანაგობები, კოოპერატივები. იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობაში მეწარმეთა გაერთიანებებსა და საზოგადოებების წარმოქმნას. რადგან, მისი აზრით, ეკონომიურად ჩამორჩენილ ჩვენს ქვეყანას, ამ მდგომარეობიდან, გამოიყვანდა მხოლოდ ამხანაგობების ჩამოყალიბება. რომლებიც წინ აღუდგებოდნენ საქართველოში შემოჭრილ უცხო კაპიტალს. წინააღმდეგობას გაუწევდნენ ზოგიერთთა კერძო მფლობელთა სიხარბეს, მტაცებლობას და ბოროტმოქმედებას.

წერილში, ,,კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების შესახებ", წერს, რომ სოფლის მეურნეობის წარმოებას, ,,დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სიმდიდრისათვის ყველგან და ჩვენში უფრო განსაკუთრებით", (1, ტ.7, გვ.257). რადგან, ,,თავი და ბოლო ხალხის ცხოვრებისა, საზრდოებისა, სიმდიდრისა, მაგაზედ არის დამოკიდებული" (1, ტ.7, გვ.258).

წერილში, იგი საუბრობს ამ საზოგადოების საქმიანობის შესახებ. განიხილავს საერთოდ, ქვეყნების: ბელგიის, პრუსიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის, სოფლის მეურნეობის საზოგადოებების საქმიანობებისა და მთავრობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. საზოგადოებების დანიშნულებასა და ამავე დროს რჩევას იძლევა, თუ როგორ უნდა იყოს აწყობილი ეს საზოგადოებები.

ილია წერს, რომ იგი სიხარულით შეხვდა ცნობას ,,კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების" პრეზიდენტად თ. დიმიტრი ჯორჯაჯისა და სეკრეტარად ხატისოვის დანიშვნას და მას სჯერა, რომ ,,ჩვენი აქამდის მკვდარი ,,საზოგადოება" გამოცოცხლდება და რაიმე სარგებლობას შესძენს ჩვენს ქვეყანას... რომ ,,საზოგადოებამ" ვალდებული სამსახური გაუწიოს კავკასიას საერთოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ" (1, ტ.7, გვ.257) და, რომ ეს საზოგადოება ,,უნდა იყოს ჭეშმარიტი წარმომადგენელი ადგილობრივთა მიწათმოქმედთა და სასოფლო მეურნეობის მეწარმეთა, რომ ამ გზით მთავრობას საშუალება ჰქონდეს სცნოს ნამდვილი, უტყუარი და აუცილებელი საჭიროება ჩვენის მეურნეობისა. მეორეს მხრით – იგი უნდა იყოს შუამდგომი მთავრობის წინაშე, რომ საცა საჭიროა, მთავრობას მუდამი მზრუნველობა და შემწეობა იქით მიჰმართოს. მხოლოდ მაშინ ეს საზოგადოება გაუწევს ჯეროვანს სამსახურს თვით მთავრობასა და, მთავრობის შემწეობით, ქვეყანასაც" (1, ტ.7, გვ.261).

ი. ჭავჭავაძე განიხილავს საქართველოს ტყესთან დაკავშირებულ საკითხებსაც. იგი არა ერთ წერილში აღწერს საქართველოს ტყეების მდგომარეობას, მთავრობის მოხელეთა განუკითხაობას და ჩვენი მოსახ-ლეობის დამოკიდებულებას ტყის მიმართ.

წერილში, ,,ჩვენი გლეხობა და ტყეებით სარგებლობის საქმე", ილია აღნიშნავს, რომ გლეხები გამოთქვამენ საყვედურს სახელმწიფო ტყეების გამგებლობისა და მოხელეების მიმართ. იმის გამო, რომ ტყის მცველები ,,დაუსჯელად ხალხს ტყავს აძრობენ ტყის ხმარების აუცილებლობის გამო." მისი აზრით, ტყის გამგეობა შეიქმნა ამ მოხელეთა გამდიდრებისათვის და ,,გლეხის განადგურებისათვის". ხოლო, მთავრობა კი იმის მაგივრად, რომ გლეხთა ჩივილს ყურადღება მიაქციოს, ის არავითარ ზომებს არ ღებულობს ამ მოხელეების

წინააღმდეგ. ჩვენი გლეხობა, ძირითადათ შეშაზეა დამოკიდებული. მას ბევრი შეშა სჭირდება, პურის გამოსაცხობად, შენობების ასაგებად, ღობეებისა და ჭიგოებისათვის. „ჩვენებურის გლეხისათვის ტყე ისე საჭიროა, როგორც არსებითი პური. უტყეოდ ჩვენებური გლეხკაცი ვერ დადგება ისე, როგორც უპუ-როდ.“ ეს იციან სახელმწიფოს გამგეობის წარმომადგენლებმა, „ამით სარგებლობენ და უბედურს, უნუგეშოს, და მაინც ქვეყნის მაცხოვრებელს გლეხს ტყავს აძრობენ, როცა კი ხელში ჩაუვარდებათ“ (1, ტ.8, გვ.197).

გლეხმა ერთი ურემი ფიჩხი, რომ მოიტანოს, სამ მოხელეს: „ლესნიჩის“, „ობიესჩიკს“ და „პოლესოვჩიკს“, „ხახა უნდა დაულბონ ყოველს შემთხვევაში“ და ნებართვა ისე აიღოს. „და გულში ჰსწყევლის თავისის გაჩენის დღესაც და ამ სამს პირდაღებულს მგელს, მასზედ მისულს“ (1, ტ.8, გვ.198) და დროა ბოლო მოეღოს მეტყევეების თავხედობას და ტყეთა გამგეობების ბოროტმოქმედებას და დავიცვათ გლეხობა ტყეთა მცველთა თვითნებობისაგან.

წერილში, „ჩვენი მესაქონლეობის საჭიროებანი“, ილია წერს, რომ ჩვენი გლეხები ზამთარში, როდესაც გლეხებს საქონლის შენახვა უჭირთ, „საქონლის პატრონები ტყესაც არა ზოგავენ“, ისინი ტყიდან ნეკერს ეზიდებიან და იმითი კვებავენ საქონელს. ეს კი იწვევს ტყის გაჩანაგებას. „ამიტომაც ამ ბოლო ხანებში ნეკერს აღარავინ აჭრევინებს ტყეში. ამ მხრივ, როგორც სახელმწიფო ტყეები, ისეც საბატონონი, შეკრულია, ნამეტნავად იმ ადგილებში, საცა მებატონე დღევანდელ ქათამს არ ამჯობინებს და იმ განძს, რომელსაც ტყე წარმოადგენს, ხვალინდელ დღისათვის ინახავს და უფრთხილდება“ (1, ტ.7, გვ.231) და ტყეც ამ მხრივ დაცულია. ხოლო, საქონლის პატრონი, საზამთროდ, „ცოტაა თუ ბევრი, საჭმელს ზაფხულშივე უგროვებს და საზამთროდ უნახავს“ (1, ტ.7, გვ.232).

ილია წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XII, საუბრობს ტყით სარგებლობის კანონის შესახებ და მოითხოვს ამ კანონის შეცვლას და საერთოდ გაუქმებას, რომ ის გახდეს „ჩვენის გლეხკაცობის ცხოვრების შესაფერი.“ მწერალი აღნიშნავს, რომ დღეს მომქმედი ტყით სარგებლობის კანონი, წარმოდგენილია რუსეთის პირობებისათვის, ხოლო ჩვენთვის ეს კანონი გამოუსადეგარია, რადგან არ ითვალისწინებს ადგილობრივ მოთხოვნილებებს. მწერლის თქმით, „ჩვენი გლეხკაცი კერასა ხმარობს“, ხოლო რუსი „ფეჩსა“. ამით, რუსი ოთახს ათბობს და ისე თბება, „ჩვენი კაცი-კი ცეცხლა-პირას“. ჩვენ გლეხს ვენახისათვის „სარი და ჭიგვა უნდა“ და „ეს თვალად ესეთი მცირე გარემოება, არსებითად იმოდენად პატივსადები და მიუცილებელი მიზეზია, რომ არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის მიხედვით ტყის ხმარების საქმე სულ სხვა საფუძველზედ

არ ააგოს. უტყეობა მეტად მძიმე ტკივილია ჩვენის ერისათვის და თუ უნდათ, რომ ერმა მართლა სიკეთე რამ იგრძნოს ცვლილებისა, ამაში გულმტკივნეული და უხვად შველა უნდა. ადვილი საშველიც არის, თუ სურვილი იქნება. ჩვენა გვგონია, რომ მთავრობა არამც თუ დაჰკარგავს რასმე, რომ ტყეების საქმე რიგიანად მომართოს, არამედ მოიგებს კიდეც, იმიტომ – რომ შესაძლოა ტყის პატრონობის ხარჯი ძალიან შეიმოკლოს და შემოსავალს კი თითქმის არა მოაკლდეს-რა, ერს ხომ შეღავათი მიეცემა და მიეცემა“ (1, ტ.5, გვ.137).

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXV, რომელიც ილიამ დაწერა 1883 წელს, აღნიშნავს, რომ საქართველოში ჩამოსულა სახელმწიფო ქონებათა მინისტრი და თავად-აზნაურობას მისთვის წარუდგენია „წერილობით ჩვენის ქვეყნის დარდი“, რომ მინისტრმა იცოდეს „რა საგანზედ უნდა მიექცეს მთავრობის ყურადღება“. წერილი შვიდი ნაწილისაგან, ანუ როგორც მწერალი წერს, შვიდი საგნისაგან ყოფილა შემდგარი. წერილის მეხუთე საგანი ეხებოდა „კერძო მფლობელთა ტყეების დაცვას“.

ილიას გადმოცემით, წერილში თავად-აზნაურებს აღუნიშნავთ, რომ ვინაიდან ტფილისის გუბერნიაში ტყეები უმოწყალოდ იკაფება, შეიძლება უბედურება მოხდეს. უწყლოობით მინდვრები და მამულები ხრიოკებად იქცევა. ის „ძლიერი გვალვები“, რომელიც ამ ბოლო დროს გახშირდა, „წინამორბედია ამ საუბედურო მერმისისა“. ამიტომ ტყეს გაფრთხილება უნდა. უნდა შეწყდეს ტყის „ხელაღებით კაფვა“. ამის შესახებ, სამინისტროს შეუდგენია წესდება, რომლის მიხედვით დაცული იქნება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ტყეები. თავად-აზნაურობა სთხოვდა მინისტრს, „რომ იგი წესდება ტფილისის გუბერნიაშიც შემოიტანოს და აამოქმედოს.“

მეექვსე საკითხი, ეხებოდა სახელმწიფო ტყეებიდან შეშისა და სხვა მასალის გამოზიდვას.

წერილში, აღნიშნული ყოფილა, რომ ვინაიდან მკვიდრი, ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადათ ტყეზეა დამოკიდებული, რადგან მას სჭირდება შეშა გასათბობად და თონისათვის, და გარდა ამისა, მომეტებულ ნაწილს ტფილისის გუბერნიისას ვენახები აქვთ და მათ სჭირდებათ „ჭიგო, სარი, მარგილი და ღობე“. ამიტომ საჭიროა, რომ სახელმწიფო ტყით ხმარების შესახებ კანონმდებლობა, „შეეფეროს აქაურთა მკვიდრთა შინაურს, საოჯახოს და სამეურნეო მოთხოვნილებასა და იგი ხმარება იმოდენად გაუადვილდეთ და გაუიეფდეთ, რამდენადაც შესაძლებელია ერთის მხრით ტყის გაფრთხილებისათვის და მეორეს მხრით გლეხკაცობის ჯიბისათვის“ (1, ტ.5, გვ.307).

როგორც დავინახეთ, ილია თხოულობდა ტყეებისათვის ყურადღების მიქცევას და ისეთი კანონების შემოღებას, რომელიც ტყეს დაიცავდა განადგურებისაგან, გაითვალისწინებდა ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც და მოსახლეობასაც შეღავათი ექნებოდა.

ილია ჭავჭავაძე თავის ნარკვევებსა და წერილებში აღნიშნავდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მარცვლოვანი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წამყვან დარგს – ხორბლეულს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო როგორც ხორბლის მხარე. მეცნიერთა მიერ დადასტურებულია საქართველოში ხორბლის მრავალი ჯიშის არსებობა და აღიარებულია საქართველო როგორც ხორბლის მთელი რიგი ჯიშების სამშობლოდ.

„საქართველოში აღწერილია 14 ბუნებრივი სახეობა. ეს რეგიონი ხორბლის ბევრი კულტურული სახეობის წარმოშობის პირველადი გენოცენტრია და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის გამოირჩევა ენდემური (T. georgicum, T. cartlicum, T. timopheevi, T. macha, T. zhukovskvi) და სხვა სახეობათა (T. monococcum, T. dicoccum, T. aestivum, T. compactum) მრავალფეროვნებით. თუ ზემოაღნიშნულს დაემატება ენდემური სახეობების საფუძველზე მიღებული 5 ახალი სახეობა (T. tinonovum, T. ungicidum, T. militinae, T. flausbergeri) აღმოჩნდება, რომ გვარში შემავალ სახეობათა 65%-ზე მეტი საქართველოზე მოდის. გარდა ამისა, საქართველოში აღწერილია ხორბლის 150-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიში. ამავე დროს საქართველო ცნობილია იმუნური ხორბლის სამშობლოდ“ (15, ტ.11, გვ.498).

ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანას მოჰყავს კარგა ბლომად პური, ქერი, სიმინდი და ღვინო. ადრე, როდესაც საქართველოს გარშემო მტრები ეხვეოდა და გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდა, ის იძულებული იყო, რომ „ჩვენი საკუთარი პური გვქონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულობა“ (1, ტ.7, გვ.62).

მწერალი წერდა, რომ ჩვენი ხორბალი საკმარისად კარგი ხარისხის იყო და არის დღესაც.

„ჩვენებური მიწა და ჰაერი ყოველს განკარგებას სასოფლო წარმოებისას ხელს უწყობს და ყოველგვარს პურს მოიყვანს ჩვენში მაღალის ხარისხიდამ დაწყებულს დაბალ ხარისხის პურამდე. ეს დღესაც არის ჩვენში და კეთილად განწყობილი ვაჭრობა უფრო გააძლიერებს შემდეგისათვის“ (1, ტ.7, გვ.204).

მწერლის თქმით, რუსეთიდან შემოტანილი პური, „უფრო იაფი უჯდება აქაურს მხმარებელსა, ვიდრე ჩვენი ჩვენ გვივჯდება, და ამის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ, ან ზარალით ვყიდოთ ჩვენი ნაამაგარი, ან ორმოებში დავალპოთ.“ და ამიტომ უნდა მოვიყვანოთ ისეთი ძვირფასი „რამ მოსავალი... რომლის შეძლებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც ყოველთვის მუშტარი ჰყავს რუსეთში და საზღვარგარეთაც“ (1, ტ.7, გვ.46).

მეორე წერილში, ილია ისევ განიხილავს პურეულის საკითხს და დაბეჯიდებით ამტკიცებს, რომ დღეს პურის მოყვანა ჩვენში, „დიდი შეცდომაა, პურს, თუ უწინ როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგველო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინიგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორი კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდამ მოვიტანოთ ჩვენი სამყოფი პური,— რუსეთს აღარ ვიტყვით,— უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით.“ (1, ტ.7, გვ.64).

წერილში, „პურეულით ვაჭრობის საქმე ჩვენში“, ილია წერს, რომ „პურის, როგორც სააღებმიცემო საგანის, ერთი უდიდესი ნაკლულევანება ის არის, რომ დიდი საპალნე ცოტა ფულს აყენებს: თითონ მძიმეა, ბევრს ადგილს იჭერს გადატანაში და ფასი კი ცოტა აქვს, ასე რომ ხშირად გადატანა პურის ფასადვე ჯდება“ (1, ტ.7, გვ.204). მართალია, რკინიგზით გადატანა ადვილია, მაგრამ რუსეთსა და ჩვენთანაც, „საქონლის გადატან-გადმოტანის წესები მეტად ხელს უშლის გადამტანელს და მერე თითონ ფასიც გადატანისა ძვირია.“ ამას ემატება კიდევ გზების მოუწესრიგებლობა და „გზის ბაჟი“. ეს კი იწვევს პურის სიძვირეს (1, ტ.7, გვ.205). მაგრამ, ეს სიძვირე არაფერს აძლევს არც მიწისმომქმედს და არც „თითონ მწარმოებელს“. რადგან, მწერლის განმარტებით, „პური მარტო ვაჭრობისათვის ძვირდება და აღებმიცემობას სამძიმოდ უხდება; ცილობას ველარ იტანს და საქვეყნო ბაზარში უქმად ჰრჩება. ბაზარში რომ გასავალი არა აქვს, მწარმოებელი იძულებულია შინ მოელოდინოს მუშტარსა, და წახდენის შიშმა და გაჭირვების სიმწვავემ ჩალის ფასად გააღებინოს დიდის ოფლით მონაგარი ჭირნახული“ (1, ტ.7, გვ.206). „ჩვენებური პური ცილობას ვერ გაუწევს ამერიკის პურს.“ რადგან, ამერიკიდან შემოტანილი პური ევროპაში გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე აქედან გატანილი. მწერალი აღნიშნავს, რომ დღეს რუსეთში, რომელიც აქამდე ითვლებოდა პურის ბელტად,

ისმის ჩივილი პურის ვაჭრობის გამო, რადგან რუსებმა ვერ შეძლეს საბაზროდ პურის გატანა საზღვარგარეთ. ამის მიზეზი კი, ერთის მხრივ არის ის, რომ რუსეთმა ველარ გაუწია „ცილობა“ ამერიკას, ინდოეთსა და ავსტრალიას. ხოლო, მეორე კი არის ის, რომ ამ წლებში ევროპაში მოუსავლიანობამ პურის მოთხოვნილება გაზარდა თვითონ რუსეთშიც. ხოლო, ამან ჩვენზე იმოქმედა იმით, რომ „1886 წელს დასავლეთი ევროპა იძულებული“ შეიქმნა სადმე ეშოვა პური და ამის გამო „მოაწყდა ამისთანა უგზო-უკვლო ქვეყანას, როგორიც ჩვენი მხარეა, რომელსაც პურის მიტანა საქვეყნო ბაზარში თითონ პურის ღირებულებაზედ მეტი უჯდება“ (1, ტ.7, გვ.213).

წერილში, „ჭირნახულის მომყვანთა გაერთიანებულ ამხანაგობათა შესახებ“, ილია აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც „ჩვენს ჭირნახულს დიდი ბაზარი და გასავალი გაეხსნა, როცა, მაგალითებრ, პურს, ქერს, სიმინდს დიდძალი მუშტარი მოაწყდა საზღვარგარეთიდამ და როცა ჩვენებურმა ღვინომ ფეხი გაიდგა და მოიკიდა რუსეთში“, მოხდა ფასების დაწევა, რადგან ევროპის ნავსადგურებიდან ხორბლის გატანას ბაჟი დაედო. ხოლო, აზიის ქვეყნებიდან ხორბლეულობის შემოტანაზე კი „ახსნილი იყო“. ამის გამო და გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენს ქვეყანას მოაწყდა „დიდძალი მუშტარი“, რამაც გამოიწვია ხორბალზე ფასის მატება. „მაგრამ მაინც იქამდე ვერ მივიდა, რომ მიწათმომქმედს ხარჯი, გარჯა გაუსწოროს და ცოტა რამეც მოაგებინოს. ჩვენებურს ღვინოს კი, რომელმაც, როგორცა ვსთქვით, რუსეთში კაი ფართო გზა გაიხსნა, და რომელსაც ამ მიზეზით ფასი უნდა მოჰმატებოდა, ვერაფერი დახლი მოაქვს დღესაც მიწათმომქმედისათვის“ (1, ტ.7, გვ.18).

ილია წერს, რომ ჩვენი პური, რომელიც ჩვენთან „ნამეტანია და მოჭარბებული“, ცდილობს საქვეყნო „ბაზრის მოედანზედ თავისი შესაფერი ადგილი დაიჭიროს“. მაგრამ, „საქვეყნო ბაზარში დიდი ცილობაა, რომელსაც მეცნიერნი „კონკურენციას“ ეძახიან“. ხოლო, იმისათვის რომ ჩვენმა ხორბალმა ამ „ცილობას“ გაუძლოს, საჭიროა ორი პირობა: „ერთი რომ თვისებით და ღირსებით სხვაზედ კარგი იყოს და მეორე სხვაზედ იეფი, თვისებისა და ღირსების კვალობაზედ“ (1, ტ.7, გვ.204). მწერლის თქმით, ჩვენებური ხორბალი თვისების და ღირსების მხრივ „სხვას არ ჩამოუვარდება“, „და თუ დღეს მაინცდამაინც ამ მხრით აკლია რამ, საქმე ადვილად გასასწორებელია“, რადგან ჩვენი მიწა და ჰავა ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ, ჩვენს გლეხს პურის მოყვანა ძვირი უჯდება. რადგან, ხორბლის „გადატან-გადმოტანის“ სიძვირის გამო, ჩვენში და მით უმეტეს რუსეთში, მამასისხლად უჯდება; და „წესებიც მეტად ხელს უშლის

გადამტანებელს... ფასს კიდევ როგორმე აუვიდოდა კაცი, რომ წესები არა ჰხუთავდნენ და საქონლის მოძრაობას არ აბრკოლებდნენ“ (1, ტ.7, გვ.205). ამიტომ, „ჩვენ მარტო, იმას უნდა ვეცადოთ, – პური იმოდენად მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს ჩვენ და ჩვენს შინაურს ბაზარს ეყოს“ (1, ტ.7, გვ.218).

ილია აღნიშნავდა, რომ ჩვენში ვაჭრობა ძირითადათ ჩარჩების ხელშია ჩავარდნილი, რომელთაც „რასაკვირველია, თავიანთი კერძო სარგებლობა, თავიანთი ინტერესები აქვთ სახეში და არა ხალხის კეთილდღეობა“. და ამიტომ, ამ ჩარჩებს თავი, რომ დავაღწიოთ, საჭიროა საზოგადოებამ თავის ხელში აიღოს ყიდვა-გაყიდვის საქმე და ამით „დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას ყველა, კერძო კაცი იქნება თუ საზოგადოება, ვინც იკისრებს და მოახერხებს, რომ მწარმოებელმა პირდაპირ ჩარჩების უშუამავლოდ გარდასცეს თავის ნაწარმოები მომხმარებელს“ (1, ტ.7, გვ.222).

მწერალი გაკვირვებულია რუსეთის მოხელეთა მოქმედების გამო. იმ დროს, როდესაც რუსეთში მოუსავლიანობის გამო ხალხი შიმშილით იხოცება, ამ დროს კი აქვე, საქართველოში, „პური ჰდევს ჩვენში უქმად“ და არ შეაქვთ დამშეულ რუსეთში. იგი მოუწოდებს და ურჩევს გლეხობას, რომ ვისაც შეუძლია „ჯერ ჭირნახული“ არ გაჰყიდოს, რადგან რუსეთში, ხალხს, ჯერ კიდევ, ეტყობა, შერჩენილი აქვს წლევანდელი პური და რაც დრო გავა ეს ხორბლის მარაგი დაილევა, შიმშილი თანდათან მოიმატებს და რუსეთის მთავრობა იძულებული გახდება პური ჩვენგან შეისყიდოს.

ილია ჭავჭავაძემ განიხილა საქართველოში სიმინდის მდგომარეობაც. წერილში, „სიმინდის საქმე იმერეთში“, იგი წერს, რომ „სიმინდი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ და იმერეთში საკუთრივ ერთი იმისთანა სარჩოა, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ერთი თავის საკვებად ჰხმარობს, ჰყიდის კიდეც და ამით თავის ყოველდღიურს საჭიროებას უძღვება“ (1. ტ.7, გვ.224).

როგორც ცნობილია, სიმინდის სამშობლოს წარმოადგენს ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა. პირველად, სიმინდი, (Zea mays), როგორც კულტურული მცენარე, გავრცელებულა მექსიკაში. მისი წარმომავლობის სახეობა დადგენილი არ არის. ამერიკაში ითვლებოდა ძირითად მარცვლეულ სასურსათო მცენარედ. დღევანდელ დღესაც, ამერიკაში სიმინდი ითვლება ძირითად მარცვლეულ კულტურად. აშშ-ის სასაქონლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების მხრივ ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს სიმინდს.

ევროპაში პირველად სიმინდი, XV საუკუნის ბოლოს, მეზღვაურმა ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე კ ო ლ უ მ ბ მ ა (ლათ. Columbus, იტალ. Colombo, ესპ. Colon)

(1451–1506) შემოიტანა. მას რგავდნენ როგორც იშვიათ საბაღო დეკორატიულ მცენარედ. XVII საუკუნეში გავრცელდა აზიასა და აფრიკაში. XVII-ის დასაწყისში შემოვიდა საქართველოში. ხოლო აქედან-კი – რუსეთში.

ნათეს ფართობის მიხედვით, ხორბლის შემდეგ, სიმინდს, მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში.

საქართველოში მიღებულია სიმინდის ახალი ჯიშები.

ილია, სიმინდს ახასიათებს როგორც პურის და სხვა ხორბლეულის მაგიერ საჭმელს და რომ ის „თუ კარგად მომზადებულია, ჭვავსა და სხვა პურზე ნაკლებ ნოყიერი არ არის.“

მწერლის გადმოცემით, მოუსავლიანობამ ევროპასა და რუსეთში, ჩვენს ქვეყანაზე გავლენა იქონია – სიმინდს ფასი აეწია. მაგრამ, უეცრად რუსეთის მთავრობამ გამოსცა განკარგულება, „რომლის ძალითაც აკრძალულ იქმნა“, „ხორბლის გარდა, ყოველ სხვაგვარ ხორბლეულობის საზღვარგარეთ გატანა“. ამ განკარგულების გამო, „აქაური სიმინდის პატრონები“, ზარალში ჩაცვივდნენ, რადგან „ძირს დაწეულ ფასადაც“ კი, ველარ ასაღებენ სიმინდს. ილია გაკვირვებული წერს, რომ იმ დროს, როდესაც რუსეთში შიმშილობაა, „ხალხი საჭმელად თითქმის ბალახსა ჰხმარობს, აიკრძალა გარეთ გატანა სიმინდისა მარტო იმ მიზეზით, რომ შინაც საჭიროა, და აქ ამოდენა სიმინდი თითქმის ჩალის ფასადაც არავის მიაქვს“, რომ „მიაწოდონ დამშეულს ხალხსა“ (1, ტ.7, გვ.224).

„საკვირველი უნდა იყოს ის ამბავი, რომ აქაურს სიმინდს მუშტარი არ უჩნდება რუსეთში. საცა სიმშილმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ზოგიერთი რუსეთის გაზეთები სწუხან, ჩვენს ტყეებში დიდი ძალი რკო იღუპება უქმადაო, მაშინ, როდესაც შესაძლოა ხალხს საჭმელად გამოადგესო“ (1, ტ.7, გვ.227). ამ დროს კი მის გვერდით სიმინდი არის, „არ იციან სად და როგორ გაასაღონ“, და მას ყურადღებას არავინ აქცევსო.

ილია ამას ხსნის რუსეთის ხელისუფალთა გულცივ, შეუბრალებელ დამოკიდებულებას თავისივე ხალხის მიმართ და იმედს გამოთქვამს, რომ „შიმშილი რუსეთში ახალ მოსვლამდე გაძლიერდება და მაშინ, გინდათ თუ არა, მოიხედვენ ჩვენსკენაც და, ვისიც ჯერ არს, იმის ყურადღებას მიიქცევს ამ უგზო-უკვლობით წამალის დასადებად“ (1, ტ.7, გვ.227).

წერილში, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები“, რომელიც ილიამ დაწერა 1897 წელს, როგორც სათაურიდანვე ჩანს, იგი ეხება ჩვენი ცხოვრების ნაკლოვან მხარეს და ამის გამომწვევ მიზეზებს.

მწერალი აღნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოების, ცხოვრების ერთ-ერთი ეკონომიური ნაკლი, რომელიც ჩვენს ხალხს „თავში გვცემს“, არის, ბოლო დროს გავრცელებული „ავაზაკობა ძარცვა-მტაცებლობა“, რომელმაც „ისე გაბედვით გამოიდო თავი ჩვენში, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩა ამიერკავკასიაში, – ავაზაკთა სარბიელად არ გამხდარიყოს... ესეთს თამამს და კადნიერს ავაზაკობას, ძარცვა-გლეჯას, როგორც ეხლაა, ესე ყველგან მოდებულს და თავაღებულს, ძნელად თუ ვინმე მოსწრებია უწინ“ (1, ტ.6, გვ.201). ილია, ამ ავაზაკობის ძირითად გამომწვევ მიზეზად, თვლის 1891 წლის რუსეთში მომხდარ მოუსავლიანობას და ამასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ გამოცემულ, მისი აზრით, არასწორ კანონებს.

„1891 წელს რომ რუსეთში შიმშილი იყო და აქაურებს აუკრძალეს სიმინდისა და პურის საზღვარგარეთ გატანა, ამ გარემოებამ ისეთი ამბავი დააწია ჩვენს მხარეს, რომ მისი შედეგი დღესაც თავში გვცემს. საქმე ის არის, რომ პური და სიმინდი შინ შეგუბდა ამ აკრძალვის გამო, შინაურმა ბაზარმა ვერ დაიტია და ამის გამო ფასი ისე დაფოლდა, რომ მას აქეთ სულ კლებაშია და ვეღარ აიწია. ბევრმა ხელი აიღო ხვნა-თესვაზე, რადგანაც ხელს არ აძლევდა...

საკმაოა წარმოვიდგინოთ, რა გაჭირვებაში უნდა ჩაცვივნულიყვნენ ის მკვიდრნი, რომელთ ავლა-დიდება და ერთადერთი სარჩო-საბადებელი მარტო ხვნა-თესვაა ამა თუ იმა მიზეზით... ჯერ რომ მისს ჭირნახულს ფასი არა აქვს და მერე თუნდაც ფასი ჰქონდეს, ბაზრამდე ხელი არ მიუწვდება უგზო-უკვლობის გამო. ამ ორ გარემოების გამო იგი კარგ გზებზე დაშორებულნი ადგილები, საცა მარტო ხვნა-თესვაა, იგი მკვიდრნი, რომელნიც მარტო ამ ხვნა-თესვას შეჰყურებენ, უნუგეშოდ და უილაჯოდ დარჩენილნი არიან და ფულის შოვნის გზა და კვალი დახშული აქვთ, ფული-კი საჭიროა, თუნდ მარტო იმისათვის, რომ სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში თოკს უჭირებს და სახლ-კარს უწიოკებს, თუ დროზე არ მოიხერხა. აი, ჩვენის ფიქრით, იგი გაჭირვების თორნე, რომელიც აცხობს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას, სხვის საკუთრებაზე მიმართულს. საზოგადოდ ქურდობის და ავკაცობის ძირეული და მუდამი ბუდე ეს გაჭირვებაა, რომელიც კაი კაცობას ხელს უცრის და ავკაცობას აბედვინებს“ (1, ტ.6, გვ.209).

ავაზაკობის გამომწვევი მიზეზების გამორკვევა, ილიას თქმით, „რთული საქმეა“, მაგრამ, ჩვენში, ამის გამომწვევი ძირითადი, „თავდაპირველი“ მიზეზი, მაინც გაჭირვებაა და გამორჩენა „ხვნა-თესვისაგან და ამ ხელობის ავ-კარგად მოწყობილებას საშინაოდ და საბაზროდ.“ რადგან, „ჩვენში მარტო ხვნა-თესვის

ადგილებიდამ გამოდის უფროს-ერთი ავაზაკი და საცა ახვა ხელობაა გავრცელებული, მაგალითებრ, მევენახეობა და ამისთანა რამ, იქიდამ ავაზაკად კაცის გავარდნა ან სულ არ არის, ან ძალიან იშვიათია...

ამის მაგალითი თვით ქუთაისის გუბერნიაც არის, საცა ავაზაკობამ თავი იჩინა უფრო მას მერმეთ, რაკი ვაზის სნეულებამ, ბამბისა და აბრეშუმის ჭირმა და ვაგლახმა ხელი ააღებინა იქაურ მკვიდრთ ამაების მუშაობაზე და მიაჩემა მარტო იმას, რაც ხვნასა და თესვას მოაქვს და რაც ფულის გამორჩენისათვის და ერთობ ხეირისა და სარფისათვის პირველებზე მეტად შორს არის, ან სრულიად უილაჯოა.“ სწორედ ეს არის „იგი უძლეველი გარემოება, რომლის ზედმოქმედება ვერ გამკლავებია უვიცი გონება და ვერ უძლებს სიმაგრე ხასიათისა ყოველ მხრით უნუგეშოდ დარჩენილ“ ადამიანს (1, ტ.6, გვ.210).

ილია, ხვნა-თესვის მიმდევარ ერს, ახასიათებს როგორც უფრო მშვიდობიანს, საკუთრების პატივცემელს, უფრო მორიდებულს და თავდაჭერილს. მაგრამ, მისი თქმით, ეს ხდება მხოლოდ იქ, „საცა ხვნა-თესვის ნაამაგევს ან შინა აქვს ბაზარი, ან გარეთ, და გზაც იეფი და კარგი აქვს საპალნის საზიდავად.“ ხოლო, „ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში მხვნელ-მთესველს არც შინა აქვს ბაზარი, არც გარეთ, არც გზა აქვს და არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს. ჩვენში დღეს მარტო ხვნა-თესვა კაცს ვერ აცხოვრებს გაუჭირვებლად. ხვნა-თესვის ნაამაგევს ფასი არა აქვს იმოდენა, რომ შრომის ხარჯი ამოაღებინოთ, და თუნდა ჰქონდეს, უგზო-უკვლობით ბაზარში ვერ გაიტანთ უომისოდ, რომ ზედ თავისი არ წააგლისოდ. ცხოვრება-კი ჰთხოულობს ფულსა სახარჯოდ წუთის-სოფლის ჭირბოროტის გასაძღოლად“ (1, ტ.6, გვ.220).

ავაზაკობისა და ქურდობის გამომწვევ მიზეზებს შორის, მწერალი, „ეკონომიურ უღონობის“ გარდა, ასახელებს იმედს, –„არავინ გამომეკიდებაო“. ადგილობრივი მოხელეების უნიათობა და საქმისადმი გულგრილობა. ილიას თქმით, „პოლიციის მოხელე ყოველთვის უნდა იყოს „на чеку“, რუსები რომ იტყვიან, როგორც საზოგადოების, ისეც უფროსების წინაშე“ (1, ტ.6, გვ.225).

ილიას აზრით, კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ჩვენში ავაზაკობას და ქურდობას „ათამამებს და ამხნევებს“, არის „დახანება საქმის გარჩევისა სამსაჯულოს მიერ.“ რადგან, „ქურდობისა და ავაზაკობის მოხდენის დღიდამ გარჩევის დღემდე იმოდენა ხანი გადის, რომ დაზიანებულსაც ლოდინით გულს უტეხს, მოწმესაც ავიწყდება ზოგიერთი წვრილმანი, არსებითი გარემოება ნახულისა, ხშირად გეში და კვალი დანაშაულისა იშლება და იკარგება და ამით სიცხადე

და საბუთიანობა აკლდება საქმეს... ამისთანა საქმეში მინამ თორნე ცხელია – პური უნდა გამოცხვეს“ (1, ტ.6, გვ.227).

ილიას აზრით, უნდა შეიცვალოს მართლმსაჯულების გარემოება და საქმის წარმოების წესი.

მწერალი ასახელებს კიდევ ერთ გარემოებას ავაზაკობის მომძლავრებისა, ის რომ „მკვიდრი მოსახლეობა უიარაღოა და მას არ შეუძლია თავის დაცვა. ავაზაკს შიში არა აქვს უიარაღო კაცისა, უიარაღო სოფლისა. იცის, რომ წინ არავინ დაუდგება, არავინ გაუძალიანდება, არავინ გამოეკიდება, არავინ გამოუდგება და რამ უნდა შეუშალოს ხელი? ისიც მიდის და არხეინად ჰთარეშობს“ (1, ტ.6, გვ.233). ამიტომ, ილიას თქმით, სოფლის საზოგადოების ნაწილს უნდა დაურიგდეს იარაღი და ნება მიეცეს იარაღის ხმარებისა, „რომ საჭიროების დროს მოიხმარონ“.

მწერალი ამბობს, რომ „ეს საეკონომიო და საზნეო საჭიროებანი გაკვრით“ მოიხსენია. რა თქმა უნდა, „აღმოკვეთა ამა მიზეზთა მთლად არ აღმოკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას, მაგრამ უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს-რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოგება იქნება“ (1, ტ.6, გვ.237).

ილია ჭავჭავაძემ, ლეწვა და მკასაც მიაქცია ყურადღება და აღნიშნა, რომ „ერთი უდიდესი ხარჯი, ძლიერი ჯაფა საქონლისა და კაცისათვის ჩვენში, ლეწვაა“ (1, ტ.5, გვ.181). იგი წერს, რომ მიწათ-მოქმედებაში დახარჯული დიდი ხარჯი სამ-გვარი სახისაა: „ერთი ხვნისა, მეორე მკისა და მესამე ლეწვისა“. მწერლის თქმით, საჭიროა მიწის დამუშავებისათვის ხელის შეწყობა. ამისათვის საჭიროა სამი რამ: პირველი, საჭიროა მისი შრომა გაადვილდეს. „მიწა იმოდენად შეკეთდეს, რომ რაც შეიძლება დიდი გამოსავალი მისცეს მშრომელსა. მეორე იმ გზით, რომ თუმცა მიწის გამოსავალი იმავე ზომით იყოს, მხოლოდ მისის შემუშავების ხარჯი – რაც შეიძლება – შემოკლდეს. მესამე იმ გზით, რომ ეს ორივე ღონე ერთად მიქცეული იყოს მიწის სამოქმედოდ. ყველაზედ სრული მიწათ-მოქმედება ამ უკანასკნელ გზაზედ დგას“ (1, ტ.5, გვ.176).

ილია მოუწოდებს საზოგადოებას, რომ გლეხის შრომის გაადვილებისათვის საჭიროა შემოვიტანოთ ახალი სასოფლო მანქანები და იარაღები, რომლის საშუალებითაც მიწის დამუშავებაზე დროც ნაკლები დაიხარჯება და ხარჯიც. ილია წერს, რომ:

„გლეხები ამბობენ, რომ მკა და ლეწვა რომ ეგრე გაადვილდეს, დიდძალი ხალხი ხელს მოჰკიდებს ხვნასო, და ვინც აქამომდე ერთს ღღიურს ხნავდაო,

ის ერთი-ორად, ერთი-სამად მოხნავსო, რადგანაც ამ წყეულ კალოს და მკასა იმოდენა ხარჯსა და დროს აღარ მოანდომებსო. მართალია, მიწები დაძვირდებაო, მაგრამ ეგეთი გაადვილებული მკა და ლეწვა მიწის სიძვირეს ადვილად ავგატანინებსო. ერთი-ორად რომ მეტი მიწა შემუშავდეს მაინც ჩვენს ქვეყანაში პურისა და სხვა ამ-გვარის მოსაყვანად, მაშინ ჩვენი ქვეყანა არამც თუ პურს და ქერს სხვიდამ მოიტანს, არამედ თითონ უწილადებს სხვასაცა“ (1, ტ.5, გვ.182).

წერილში,,,შინაური მიმოხილვა“ XVI, მწერალი ამბობს, რომ საჭიროა ახალი გუთანი შევიძინოთ, რომელიც ,,ჩვენის მიწის შესაფერ სამსახურს“ გაგვიწევს და ,,არც ძალიან ძვირი იყოს და არც ისეთი რთული, რომ გატეხის და მოშლის შემდეგ ძნელად გაკეთდეს და გაიმართოს“ (1, ტ.5, გვ.177). ამავე წერილში აღწერს ახალ ანგლო-ბულგარულ გუთანს და ურჩევს გლეხებს მის შეძენას. მისი გადმოცემით, ჩვეულებრივ გუთანთან შედარებით ადვილად სახმარია და უფრო ადვილად ხნავს. ბელტს უფრო კარგად აბრუნებს და თუ ადრე რვა და ათი უღელი ხარი სჭირდებოდა, ეხლა სამი უღელიც კმაროდა. აქვე აღწერს ახალ სამკალ მანქანას, რომელიც მკიდა როგორც მაღალზე, ასევე დაბალზე, ,,როგორც სამართებელი“ და ამავე დროს მოუმკალს არც ერთ თავთავს არ უშვებდა. მანქანას სჭირდებოდა მხოლოდ ორი უღელი ხარი. ამ მანქანით შეიძლებოდა ძნის დაწყობა ისე, რომ ,,კაცი ხელით ვერ დააწყობს“. ეს მანქანა მკიდა ,,ოც-და-ერთის დღისა და ნახევრისა ორ-დღე-ნახევარში“. ილიას თქმით, ,,ღირს, რომ კაცმა ეს მაშინა იქონიოს. უსათუოდ ერთი-სამად იაფად დაისვამს მკასა, გარდა ამისა, ჩქარა მომკავს კაცი და მუშის უშოვარობაზე აღარ დაღონდება და შეწუხდება“ (1, ტ.5, გვ.180). ილია საუბრობს ახალ სალეწ მანქანაზეც და წერს, რომ ეს მანქანა ,,თურმე ათის საათის განმავლობაში ლეწს 450 ათეულს, ანიავებს პურს, აცხავებს, არკვევს, ტომრებში აწყობს და ტომრები კიდევ თვითონვე გადააქვს ახლო მიტანილს ურემზედ. უნდება თურმე რვა ცხენი და თექვსმეტი მარჯვე მუშა. მაშინა ისეა თურმე მოწყობილი, რომ საცა გნებავთ იქ წაიღებთ ხარებით თუ ცხენებით და ალეწვინებთ“ (1, ტ.5, გვ.181). ილია აღნიშნავს, რომ ამერიკაში გახშირდა ,,სამიწათმოქმედო მაშინებისა“, რომლებიც პურის მოყვანის ხარჯს ამცირებს და არ არის დარჩენილი მიწის სამუშაობისა, რომ ,,მაშინით არა კეთდებოდეს.“ ,,თითონ მოსავალიც პურისა დიდია, იმიტომ, რომ“ იქ ამ საქმეს ,,ცოდნით ეკიდებიან“ და ,,ყოველს სახსარს და ღონეს მეცნიერებისას ჰხმარობენ შემოსავლის განდიდების და გაძლიერებისათვის“. გარდა ამისა, იქ ,,ყოველი კუნჭული ამერიკისა რკინისგზით არის შეერთებული ნავსადგურებთან და რკინისგზებით პურის გადატანა დაუყოვნებელია, სწრაფია და იეფი, –

მარტო ეს გარემოება საკმაოა დააფოლოს ჩვენი პური საქვეყნო ბაზარში და იქიდამ როგორც მეტიჩარა გამოდევნოს. ამასთან ისიც დაუმატეთ, რომ ამერიკის მიწათმომქმედს დაუჯერებლად იეფი კრედიტი აქვს სახელმწიფოსაგან, ასე რომ გაჭირების დროს მიწათ-მომქმედი სუბუქად და ადვილად ხელს ინაცვლებს. ამას ისიც ზედ დაურთეთ, რომ დიდს აღებ-მიცემობაში საზოგადოდ და პურისაში საკუთრივ პატიოსნება და ნამუსიც დიდს საქონლად მიაჩნიათ ამერიკაში“ (1, ტ.7, გვ.216).

როგორც დავინახეთ, ილიას კრიტიკული წერილებისა და ნარკვევების ნაწილობრივ გაცნობიდან, მწერალი ცდილობდა და მოუწოდებდა სოფლის მეურნეობის მესვეურებს, შეძლებისდაგვარად შეეძინად და დაენერგათ სასოფლო მანქანები და ახალი იარაღები სოფლის მეურნეობაში, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა შრომის შემსუბუქება, მოსავლის გადიდება, ხარჯის შემცირება და ამავე დროს მოსავლის გადატან-გადმოტანა.

ილია ჭავჭავაძე შეეხო საქართველოში ბამბის საკითხსაც. მან განიხილა ბამბის მდგომარეობა რუსეთში და მისი განვითარების შესაძლებლობანი საქართველოში.

გარეული ბამბის მცენარე გვხვდება ამერიკის, აფრიკის და აზიის ტროპიკულ ოლქებში. როგორც ვარაუდობენ, მისი დამუშავება დაუწყიათ გაცილებით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ცნობილია, რომ ბამბას ამუშავებდნენ ძველი სახელმწიფოები: მექსიკასა და პერუში, ინდოეთსა და ჩინეთში, შემდეგ გავრცელებულა სპარსეთსა და ეგვიპტეში. ევროპაში, პირველად გამოჩნდა საბერძნეთში ჩვ. წ. II საუკუნეში. ხოლო, დასავლეთ ევროპაში შემოუტანიათ არაბებს X საუკუნეში. X–XI საუკუნეებში, ჯვაროსნული ლაშქრობების დროს ბამბა ჩნდება ვენეციასა და ბალკანეთში. პირველად, ბამბის გადამამუშავებელი მარტივი წარმოება წარმოიქმნა XIII საუკუნეში ვენეციაში, 1534 წელს – ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ რუანაში, ხოლო, 1580 წელს – ლიონში. ამავე დროსვე ბამბის წარმოებები ჩნდება ინგლისში და ნიდერლანდში. XVIII ს. II ნახევარში დაიწყო ბამბის გადამამუშავებელი მანქანური წარმოება ინგლისში. ამავე დროსვე ჩნდება ბამბის წარმოება რუსეთშიც.

ბუნებრივი ჰავის ხელშემწყობი პირობების გამო და საკმაო რაოდენობის მიწის ფართობმა, ხელი შეუწყო ბამბის წარმოების სწრაფ განვითარებას, აშშ-ში, ინდოეთსა და ეგვიპტეში.

ადრე, რუსეთში ბამბეულის ქსოვილი შემოჰქონდათ საზღვარგარეთიდან, XIX საუკუნეში დიდი რაოდენობით შემოდიოდა ბამბა შუა აზიის: კოკანდის, ბუხა-

რისა და ხივის საბანოებიდან. აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს მკვეთრად შემცირდა ამერიკიდან ბამბის გაზიდვა, რის გამოც მსოფლიო ბაზარზე ბამბა მკვეთრად გაძვირდა.

საკუთარი მოთხოვნილება რომ დაეკმაყოფილებინა რუსეთი იძულებული გახდა საკუთარი ბამბა გაეჩინა. ამიტომ შუა და ცენტრალური აზიის მიწა-წყალზე მდებარე, ეგრეთ წოდებული თურქესტანის სახელმწიფოებისა და ამიერკავკასიის დაპყრობილ სახელმწიფოებში, დააპირა ბამბის მოყვანა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის მთავრობამ, დაისახა მიზნად, კოლონიებში ბამბის მოყვანა და ამ სახელმწიფოების ბამბის ბაზად გადაქცევა. ახალი ჯიშების გამოყენებამ, საშუალება მისცა ბამბის გავრცელებას. რუსეთში ბამბის გადამამუშავებელი საწარმოები გაჩნდა XIX ს-ის ბოლოს. რუსეთში, ცნობილი საფეიქრო მრეწველი კაპიტალისტები იყვნენ მოროზოვები, რომლებმაც შეჰქმნეს მანუფაქტურის ამხანაგობები მთელს რუსეთში. 1820 წელს, გლეხმა სავვა მოროზოვმა (1770–1862) შვილებთან ერთად, ბატონისაგან გამოისყიდა თავისუფლება და დააარსა რუსეთში პირველი საფეიქრო ფაბრიკა. 1885 წ. ტიმოთე მოროზოვის (გარ. 1889) დროს, ქ. ნიკოლსკის საფეიქრო ფაბრიკაში, მოხდა რუსეთში პირველი მასიური ორგანიზებული მუშათა გამოსვლა, რომელიც გამოწვეული იყო ხელფასის დაკლებისა და ჯარიმების დაწესების გამო. მთავრობა იძულებული გახდა სამხედრო ძალის გამოყენებით აჯანყება ჩაეხშო, რომლის დროსაც 600-მდე მუშა დააპატიმრეს და 33 გაასამართლეს. მოროზოვების საგვარეულოდან, ცნობილი პიროვნება იყო სავვა ტიმოთეს-ძე მოროზოვი (1862–1903) – ქიმიკოსი, სამხატვრო თეატრის მეცენატი. თანაუგრძნობდა რევოლუციონერებს.

საქართველოში ბამბის თესვა-მოყვანა დაიწყეს XIX ს-ის II ნახევარში. თუმცა, ნაწარმის გადაზიდვის სიძვირისა და გზების მოუწყობლობის გამო, მალე შეწყდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ განახლდა ბამბის მოყვანა და დაიწყო განვითარება. 1870 წელს თბილისში გაიხსნა ბამბის ძაფსართავი და საქსოვი ფაბრიკა. 1939 წ. საქართველოში ბამბის თესვა სხვადასხვა მიზეზების გამო საერთოდ შეწყდა. საქართველოს ბამბის მრეწველობა მთლიანად დამოკიდებული გახდა შუა აზიის რესპუბლიკების ნედლეულზე.

ილია ჭავჭავაძემ წერილში, „ბამბის მოყვანის საქმე და ბაზრის საკითხი“, აღნიშნა, რომ ბამბის მრეწველობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც „საერო ეკონომიკისათვის“, ასევე სახელმწიფოსათვის. რუსეთში, ბამბის გადასამუშავებლად და დასამზადებლად, დიდძალი ფაბრიკა და ქარხნებია, სადაც „რამდენიმე

ასი ათასი მუშა-კაცი მუშაობს“, და ეს „მრეწველობა ინახავს და ჰკვებავს რამდენიმე ასი ათას მუშა კაცს თავის სახლეულობითა და ცოლ-შვილითა“, და „თანხა, რომელსაც ამ საქმეში რუსეთი ყოველწლივ ატრიალებს, რამდენსამე ასს მილიონს მანეთს იჭერს“ (1, ტ.7, გვ.195). მაგრამ, თვითონ ეს „მასალა“, ბამბა, რუსეთს შემოაქვს საზღვარგარეთიდან და ყოველ წელს უჯდება „75 მილიონი მანეთი ოქროს ფული“. მწერალი აღნიშნავს, რომ რუსეთის მესვეურებმა გადაწყვიტეს „თავისი საკუთარი ბამბა გაიჩინოს“, იმ ადგილებში, სადაც „ჰავა, ადგილ-მდებარეობა და თითონ ადგილი ხელს უწყობს ბამბის მოყვანისათვის“ (1, ტ.7, გვ.196). ილია წერს, რომ საქართველოში ასეთი ადგილები არის კახეთსა და იმერეთში. აქ 1862 და შემდგომ წლებში მოჰყავდათ ბამბა და კაი ფასადაც იყიდებოდა. მაგრამ ეს იყო „ალალბედობისა და შემთხვევის მოწყალება“, რადგან შემდეგში, ბამბის მოყვანა შეწყდა და „მის მოსაყვანად თითქმის ხელი აიღეს“.

მწერალი მოგვითხრობს, რომ ბამბის უდიდესი ბაზარი ჩრდილოეთ ამერიკაა, საიდანაც ღებულობდა ბამბას რუსეთი. ხოლო, როდესაც ამერიკაში ომი დაიწყო და „აუარებელი ქონება მეფაბრიკეებისა და მექარხნეებისა შთანთქა და თითონ ფაბრიკები და ქარხნები ინგლისისა და რუსეთში პირქვე დაემხო“, შეიქმნა ბამბის კრიზისი. ინგლისმა, ბამბის კრიზისის დაწყებისთანავე „ყოველი ღონე“ განახორციელა, რომ საკუთარი ბამბა ქონოდა. მთავრობამ და კერძო პირებმა, „დიდძალი ფული დაატრიალეს ამის გულისათვის“ და შედეგიც მიიღეს, „ინგლისი ცოტად თუ ბევრად“ დაიმედებულია, რომ რაც არ უნდა მოხდეს ამერიკაში, მას ბამბა ექნება და „ფაბრიკა და ქარხნები არ მოუცდება“ (1, ტ.7, გვ.198).

ილია ამბობს, რომ თუ უნდა რუსეთს საკუთარი ბამბა ჰქონდეს, ასევე უნდა მოიქცეს და სადაც ბამბა მოდის ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ ხალხს ხელი შეუწყოს და დაეხმაროს. ჩვენი სამეურნეო საზოგადოებისათვის, სოვდაგარ მოროზოვს გამოუგზავნია ბამბის თესლი, მაგრამ, თესლი გამოუსადეგარი აღმოჩენილა და შრომაც ტყუილუბრალოდ დახარჯულა. „დროც მოცდა და ადგილიც“. მთავრობას ორი პიროვნება გაუგზავნია ამერიკაში ამ დარგის შესასწავლად, რომ შემდეგ „შემწეობა აღმოუჩინონ მიწათ-მოქმედთა.“ ავტორის აზრით, მარტო ეს ღონისძიება არ კმარა. მთავარი არის, რომ მთავრობამ ხელი შეუწყოს ბამბის მომყვანს, გადაზიდვის ხარჯი შეუმციროს, გზები გამოაკეთოს, რკინიგზა და ნაოსნობა მოაწესრიგოს. „საჭიროა ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ 1) მისი ბამბა რუსეთის ბაზარში გავა და 2) ფასი გამოსარჩომი ექმნება. საცა საქონელს ბაზარი არა აქვს და ამასთანაც გამორჩომა რამ, იქ ყოველივე ცდა ამაოა. თუ მართლა სასურველია რუსეთისათვის, რომ ამიერკავკასიამ

თავისი ბამბა მიაშველოს, საქმე ისე უნდა მოაწყონ, რომ ამ სურვილს ასრულების გზაც მისცენ.“

მწერალი წერს, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს შიდა-აზიიდან მოსკოვამდე ბამბის შეღავათით გადაზიდვის შესახებ. ასეთივე განკარგულებაა საჭირო „ჩვენის მხრის ბამბისათვისაც. თუ ვისმე ჰსურს ბამბის მოყვანას ჩვენში ფეხი აადგმევინოს იმოდენად, რამოდენადაც სასურველია. თორემ... სად გაუძლებს ამოდენა ხარჯს ჩვენებური ბამბა?“ (1, ტ.7, გვ.200).

ილია ჭავჭავაძე განიხილავდა ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხს, რომელიც მის დროსაც და დღევანდელ დღესაც წარმოადგენს, ჩვენი მიწათმოქმედების მორწყვა.

ცნობილია, რომ ძველად საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა მორწყვის საქმეს, რომელიც განაპირობებდა უხვ მოსავლიანობას. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მატერიალურ-კულტურული ნაშთები ამტკიცებენ, რომ IX–X სს. საქართველოში განვითარებული და მაღალ დონეზე აყვანილი იყო სარწყავი არხებისა და წყალსადენების მშენებლობები, რაც განაპირობებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამავე დროს მოსახლეობის წყლით მომარაგებას. ცნობილია, რომ XI–XII სს-ში სახელმწიფოს მიერ გაყვანილი იყო სარწყავი არხები და წყალსადენები: ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მიდამოებში, მუხრანში, სამგორში, სხალტბა-შიოღვიმის, ნადარბაზევის, ვარძიის, დმანისის, გეგუთის, ალაზნის არხები და თბილისის წყალსადენები. რომელთა შესწავლა მიგვითითებს მათს მეტად რთულსა და მაღალ ოსტატობას, მშენებლობის მაღალ დონეს და აგრეთვე ჰიდროტექნიკის განვითარებას.

ი. ჯავახიშვილი სარწყავი მიწების შესახებ წერდა:

„საქართველოს მიწა-წყალი, უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის უაღრესად გამოსადეგი იყო. ნოტიობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმ. საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული“ (10, ტ.III, გვ.93).

ი. ჭავჭავაძე წერილში, „მორწყვის საქმე წინათ და ეხლა“, აღნიშნავს, რომ ამიერკავკასია ისეთი ქვეყანაა, რომ „შეუძლიან დიდძალი სიმდიდრე იქონიოს“, მაგრამ მას ერთი ნაკლი აქვს, ის „უწყლო და მშრალია“, „ნამეტნავად სურამს

აქეთ“; და ამიტომაც წინათ ჩვენს ქვეყანაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სარწყავ არხებს. იგი წერს:

„ჩვენთა მამა-პაპათა ძალიან კარგად იცოდნენ ყადრი წყლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და ამიტომაც, როგორც კანონმდებლობა ჩვენი, ისეც ზნე-ჩვეულება, წყლის არხებით გაყვან-გამოყვანისათვის დიდს უფლებას აძლევდა კაცსა. წყლის გაყვანას ვერავითარი მიზეზი ვერ დააბრკოლებდა, ოღონდ-კი თვით ბუნებას ხელი შეეწყო. ეკლესიაც რომ დახვედროდა წინ არხსა, კანონი ნებას იძლეოდა თვით ეკლესია გაეჭრა და წყალი გაეყვანათ,“ (1, ტ.7, გვ.67).

ილიას გადმოცემით, ჩვენმა ხალხმა თავის ენაშიც-კი შეინარჩუნა წყლის სიყვარული. „წყალობა, შემიწყალე, მიწყალობა, მიწყალე“ – ყველა ამ სიტყვებით, ჩვენმა ხალხმა გამოხატა წყლისადმი დამოკიდებულება. იგი წერს:

„ყველა ამ სიტყვებში მარტო ის ისმის, რომ წყალი მომეც, წყალი მომმადლეო. წყალის შევედრება, წყალის მომადლება, ჩვენს ქართველს კაცს უპირველეს სავედრებლად და სახვეწარად ჰქონია გამხდარი.

ამიტომაც, საითაც კი მიიხედავთ ჩვენში, ყველგან ნახავთ ნაშთს ზოგან უზარმაზარის არხისასაც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმაოა ვანიშნოთ უშველებელი არხი ფშავის არაგვიდამ წამოღებული, რომლის კვალი დღესაც ატყვია თბილისიდამ დაწყებული თითქმის ფშავის არაგვის დიდ არაგვთან შესართავამდე, და მეორე არხი კიდევ ალაზნის მარჯვენა მხარეზედ. ეტყობა ჩვენს მამა-პაპას არაფერი არ დაუზოგავთ, რომ არ შეჰშინებიან და ამოდენა არხების გაჭრისათვის თავი დაუდვიათ“ (1, ტ.7, გვ.67).

მაგრამ, დროთა განმავლობაში, სხვადასხვა გარემოებათა გამო, ჩვენი ისტორიული უკუღმართობის შედეგად, ჩვენმა ხალხმა, ვეღარ მიაქცია ამ არხებს ყურადღება და ის თანდათან მოიშალა და მის გარშემო უწინ აყვავებული ადგილები გავერანდა და განადგურდა. მწერალი გულდაწყვეტილი წუხილს გამოთქვამს:

„გაუქმდა ეს არხები და მრავალი სხვა. ის დღეა და ეს და გულამომწვარს დედამიწას მოაკლდა ცხოველმყოფელი ცვარი წყლისა, კაცის მხნეობით მოდენილი. გავერანდა მდიდარი მამულები, აოხრდა, და იქ, საცა ქვეყანა წალკოტსავით ჰყვავოდა, დღეს მჭლე ძეძვი ძლივსღა მოდის. ამაოდ ჩაიარა ამოდენა შრომამ, ამოდენამ ჯაფამ, და დღეს ეს დიდი ნაამაგევი ჩვენთა მამა-პაპათა, მიწით ამოვსილი და ამომშრალი, გულსაკლავად გვანიშნებს – რანი ვყოფილვართ უწინ და რანი ვართ დღეს“ (1, ტ.7, გვ.68).

წერილში, ილია აღნიშნავს, რომ კავკასიის მეფის ნაცვალსა და მთავარსარდალს ალექსანდრე ბარიატინსკის (1815–1879) ყურადღება მიუქცე-

ვია სარწყავი წყლისათვის და მას ინგლისელ ინჟინრებისათვის დაუვალებია ამ საქმის მოგვარება. მაგრამ, „ეს საქმე მას აქეთ ხელუხლებელი დარჩა, ჩვენდა სამწუხაროდ.“

ილიას ყურადღება მიუქცევია, რუსულ ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილისათვის, სადაც, ავტორი წერდა, რომ „დროა, დიდი ხანია დროა, ხელი მოვკიდოთ ამიერკავკასიაში რწყვის საქმეს. საჭირო არ არის ჩვენთვის ინდოეთის დაპყრობა, – ჩვენ ჩვენი ინდოეთი გვაქვს ამიერკავკასიის ვაკეებზედ.“ თუ, მტკვრისა და არაქსის მიდამოებს მორწყავთო, რომლის შედეგად, გაღონიერდება მიწები, გაიზრდება ძვირფასი მცენარეები, მოსავალიც გაიზრდება და „რომ ამიერკავკასიაში რწყვის საქმე მოეწყოს, ჩვენ შევიძენთ მილიარდ მანეთზედ მეტს ქონებას და მაინც არა ნაკლებ იმისა, რაც გერმანიამ დავლა წაართვა საფრანგეთს 1871 წელსო“ (1, ტ.7, გვ.69). „თქმა არ უნდა, – წერს ილია, – რომ მართლა დროა, ამ ჩვენდა სამწუხაროდ, დაძინებულმა საქმემ ჩვენდა სასიხარულოდ გაიღვიძოს. არხების გაჭრა აქ დიდი საქმეა, სხვა არაფერი მიზეზი არ არის, რომ ამ საქმეს ბოლო არ მოედგას.“ მისი თქმით, რუსეთში, მდინარეები დაბლა მიედინება და იქიდან „წყლების ამოყვანა მაღლა და იქიდამ მიშვება“ ძნელია, საჭიროა მანქანები და სხვადასხვა მოწყობილობები, ხოლო, „ჩვენში ეს არ დასჭირდებათ, რადგანაც თითქმის ყველა ჩვენებურს წყალს სათავე მაღალი აქვს და კარგი ავალა. ამიტომაც ჩვენში ოღონდ არხი იყოს, წყალი ადვილად და გაუჭირებლად მიეგდება და წავა“ (1, ტ.7, გვ.69).

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ჩვენი ქვეყნის მესაქონლეობა და საძოვრებიც.

არქეოლოგიური გათხრები, ისტორიული წყაროები და ძეგლები ადასტურებენ, რომ საქართველოში უძველესი დროიდან განვითარებული ყოფილა, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მესაქონლეობა. არა ერთ ისტორიულ წყაროში გადმოცემულია, რომ საქართველოდან გაჰყავდათ საქონელი, დამარცხებული სამთავროები გადასახადს იხდიდნენ საქონლის სახით, საქართველოს და ფეოდალთა მეურნეობაში, და აგრეთვე მთიან მხარეებში მოხსენებულია საქონლის ჯოგები. იგი წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს. ძველ დროსვე, ხალხური სელექციით შეიქმნა ქართული ცხენი (კახური, თუშური, მეგრული), ხევსურული და მეგრული ძროხა, იმერული და თუშური ცხვარი, დასავლურქართული თხა, (რომელიც იძლევა შესანიშნავ მატყლს), თიანეთური ინდაური, კახური ღორი და საქვეყნოდ ცნობილი ქართული რუხი მთის ფუტკარი.

ილიამ, მესაქონლეობას სპეციალური წერილი, „ჩვენი ქვეყნის მესაქონლეობის საჭიროებანი“, მიუძღვნა. სადაც მან წუხილით აღნიშნა, ჩვენში საძოვრების მოუგვარებლობა, რაც ხელს უშლიდა მესაქონლეობის განვითარებას, გავრცელებას და მოშენებას. „საძოვრების საქმის დაულაგებლობა, მოუწყობლობა, ერთი უდიდესი ნაკლია ჩვენის საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა. ამისთანა ადგილას, როგორც ჩვენი ქვეყანაა, საცა ჰავა, ამინდი, ნებას აძლევს კაცს საქონელი გამოჰკვებოს თითქმის მთელს ზამთარ-ზაფხულს გარეთ მინდორში, ეს ნაკლი ძლიერ უნდა ხელს უშლიდეს მიწათმოქმედსა და დიდს ზიანს აძლევდეს“ (1, ტ.7, გვ.231). მუშა-საქონლის, რომელიც ყოველდღე მიწათმოქმედთან იმყოფება, გამოკვება შედარებით ადვილია, რადგან ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში საქონელი იკვებება სოფლის თავისუფალ მიწებზე. ხოლო ის გლეხები, რომლებიც საქონლის მოშენებით ცხოვრობენ, დიდ გაჭირვებას განიცდიან, ვინაიდან ამ „დიდძალ“ „საქონელს ბევრი საკვები სჭირდება მთელი წლის მანძილზე“. მაგრამ, „ჩვენებურს სოფელს საკმაო ადგილი არა აქვს არც შინ, არც გარეთ, არც ზამთრობით, არც ზაფხულობით“. ხოლო, „სათიბის უქონლობის გამო ამ საჭმლის წინასწარ მოგროვება შეუძლებელია, და რადგანაც ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა ადგილების ჰავა და ამინდი ნებას აძლევს კაცს მთელი ზამთარ-ზაფხული გარეთ ჰკვებოს საქონელი,— ამიტომაც ჩვენებური მოსაშენ საქონლის პატრონები ზამთრობით ყიშლაღებზედ გარეკენ ხოლმე საქონელსა საძოვრად და ზაფხულობით იალაღებზედ. ამ იძულებულ წასვლა-მოსვლაში დიდძალი ხარჯი უნდებათ. ხარჯს კიდევ როგორმე გაუძლებდნენ, რომ ამ ხარჯის გაღებაში რაიმე წესი და რიგი იყოს. ჭირი ის არის, რომ საქონლის პატრონმა არ იცის, სად რა ხარჯი მოელის, ვის როგორ უნდა გაუძღვეს“ (1, ტ.7, გვ.232). მწერალი აღწერს იმ გამოუვალ მდგომარეობას, რაშიც არიან ჩავარდნილები საქონლის პატრონები და მწყემსები. ყველგან უხდებათ გადახდა: გზატკეცილზე გავლისას, ხიდებზე გადასვლის ბაჟისა, თვითეული მემამულეების მამულზე გადასვლისას, როდესაც ყარაულები „წინ გადაუდგებიან ხოლმე და რაც გუნებაში მოსდით, იმას ართმევენ. წართმევა ხომ წართმევაა და ზედ ერთვის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და ზოგჯერ იარაღის ხმარებამდინაც მიაღწევს ხოლმე საქმე“ და „საძოვრის სახდელი ფული, რომელიც ყოველს წელს ჰმატულობს“. მწერლის თქმით, „ამისთანა ყოფა შეუწყნარებელია და ბოლო უნდა მოეღოს“. რადგან „ჩვენში მოსაშენ საქონლის ყოლა და შენახვა უფრო სახელისათვის არის, ვიდრე სახრავისათვის“ (1, ტ.7, გვ.233).

წერილის მეორე ნაწილში, ილია წერს, რომ საქართველოში ბევრი ისეთი ადგილია, სადაც სახნავ-სათესი მიწები მცირეა, აქ ხვნა-თესვით „კაცი ვერას გახდება“. სამაგიეროდ აქ, „მთებში მშვენიერი საძოვრები, იალაღებია, რომელიც ხელს უწყობს საქონლის მოშენებას... და ეს შეადგენს ერთს უმთავრესს წყაროს იქაურ გლეხის კეთილდღეობისას“ (1, ტ.7, გვ.234). მაგრამ, „საქონლის მოშენება ადვილი საქმე არ არის. საქონელს მუდამ უკან დევნა და ერთის ადგილიდამ მეორეში გადაყვანა უნდა.“ და ამ გადასვლა-გადმოსვლის დროს წუხდება როგორც საქონელი, ასევე მისი პატრონიც.

წერილში, საზოგადოების ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები“, ილია აღნიშნავს, რომ საქონლის მოშენებისათვის საჭიროა ფართე საძოვრები. მაგრამ, ხალხის გამრავლების გამო, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები და სა-ბალახოც თანდათან მცირდება. „პირუტყვთ-შენებაც შეცოტავდა უადგილობისა და სიძვირის გამო. ეხლა გლეხს სამუშაო საქონლის შენახვაც უჭირდება და სანაშენოდ ვიღა რასმეს გაჰბედავს ხელი გასძრას და თავი აიტკივოს“ (1, ტ.6, გვ.207).

ილია თხოვნით მიმართავს ვისაც ეს ეხება, რომ ეს მესაქონლეობის საქმე როგორმე მოაგვაროს, „თორემ ეს კარგა მოზრდილი წყარო ჩვენის ერის ცხოვ-რებისა თანდათან უკან დაიწევს და გაშრობამდე მივა.“ და რჩევას იძლევა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს საქონლის პატრონთა მდგომარეობა და აქვე შენიშნავს, რომ ეს არცთუ ადვილი საქმეა, მაგრამ რაც შესაძლებელია ის უნდა გაკეთდესო.

„ჩვენის ფიქრით, დიდი შეღავათი იქნება საქონლის პატრონებისათვის, რომ საქონლის სასიარულო გზები აიხსნას ყოველის გადასახადისა და ბაჟისაგან, და თუ აქ შეუძლებელია რაიმე წესი და რიგი დაიდვას კერძოდ სამფლობელო მამულების შესახებ, ხაზინამ მაინც დაუთმოს რამ იმოდენად მაინცა, რომ შესაძ-ლოდ იქმნას საქონლის ყოლა, და საიდამაც მოევლება, უნდა მოევლოს. უამისოდ გაჭირდა საქონლის ყოლა და ეს საკმაოდ დიდი სახსარი ცხოვრებისა ჰლამის გაქარწყლდეს“ (1, ტ.7, გვ.233).

„ურიგო არ იქნება... გზატკეცილებზე დაწესებული ბაჟი გზად მიმავალ საქონელზე სრულიად გადაეგდოთ; ან თუ არ შეიძლება, ცოტად მაინც შეემსუ-ბუქებინათ ეს გადასახადი და ამით შეღავათი მიეცათ საქონლის პატრონებისა-თვის. აგრეთვე ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთხელვე გადაწყვეტილიყო და ყველას სცოდნოდა, – აქვთ ნება სოფლებს დაიჩემონ ის გზები, რომელიც იმათ ახლო მიდის, და მახტა აიღონ გზად მიმავალ საქონელზე, თუ არა. ამით საქონ-

ლის პატრონსაც შეღავათი მიეცემა, რომ თავის საქმე უკეთესად წაიყვანოს, და ბევრს უწესობას, კაცისკვლასაც, ბოლო მოეღება“ (1, ტ.7, გვ,236).

ი. ჭავჭავაძე, ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოსვლას. ასევე სიხარულით მიესალმა და აღნიშნა, ქართული ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალ „მეურნის“ გამოსვლას. რომელიც გამოდიოდა (1888–1898) თბილისსა და ქუთაისში.

გაზეთ „ივერიაში“, 1888 წელს, დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი, „გაზეთი „მეურნე“.

მან აღნიშნა, რომ „სალიტერატურო მოღვაწეობა საერთოდ და ჟურნალ-გაზეთობის საქმე საკუთრივ ჯერ კიდევ მსხვერპლს მოითხოვს მოღვაწისაგან“. გარდა იმისა, რომ შრომა, ჯაფა, დრო და ჟამი სჭირდება ჟურნალ-გაზეთების გამოცემას, მან უნდა „თავისი ცოტად თუ ბევრად შეძლებული ჯიბეც ზედ დააბერტყოს“, და „ამიტომაც, როცა ჩვენში კაცი ვინმე თავს იმეტებს და ჟურნალ-გაზეთობას ხელსა ჰკიდებს, დიდის პატივისცემით სახსენებელია, და უმადურობად მიგვაჩნია, თუ ვინმე გულისტკივილით და სიყვარულით არ მოექცა ამისთანა ცოტად თუ ბევრად თავგანწირულს კაცსა,“ (1, ტ.8, გვ.275). და მადლობას უხდის გაზეთ „მეურნეს“ გამომცემელსა და რედაქციას და წერს:

„სახელი და დიდება იმ კაცს, ვინც ეგ ფრიად საჭირო საქმე ითავა და არ შეუშინდა არც ჯაფას, არც ხარჯს, არც გულღვარძლობას ზოგიერთისას, რომელსაც ჩვენში წესად აქვს კიცხვაკილვით პირველ ხანაშივე გული მოუკლას საქმის დამწყებსა, ხალისი გაუფუჭოს და უმადურობის შხამი გადაასხას წმინდა საქმეს“ (1, ტ.8, გვ.276).

ილია ამბობს, რომ რა თქმა უნდა, „მეურნის“ რედაქცია ყველას გულს ვერ მოუგებს და ამიტომ, სთხოვს ყველა კეთილისმყოფელს ჩვენი ქვეყნისას, თავისი რჩევა და აზრი გაუზიაროს, და იმედს გამოთქვამს, რომ „თვითონ „მეურნეც“ თავისის სიკეთით და წარმატებით თავს მოაწონებს მამულის პატრონებს და მომვლელებს და „მეურნე“ თავის დროზედ საყვარელ გაზეთად შეიქმნება და აუცილებელ საჭიროებად ყოველს ოჯახისათვის სოფელში“ (1, ტ.8, გვ.277).

ყველასათვის ნათელია და ცხადია, თუ რა დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიურ წინსვლისათვის და ქვეყნის სიძლიერისათვის წესიერად მოწყობილი გზები. ამიტომაც ყველგან დიდ ყურადღებას აქცევდნენ გზათა მშენებლობას. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, გზების მშენებლობა ფართოდ იყო გაშლილი ამერიკის მიწა-წყალზე, ძვ. წ. I ათასწლეულში. დღემდე შემორჩენილია ინკების მიერ გაყვანილი მოკირწყლული და კლდეში გაჭრილი

გზები. ჩვ. წ-მდე პოლიტიკური, კულტურული და ვაჭრობის გაფართოების გამო სახელმწიფოებს შორის, იზრდებოდა სახმელეთო გზების მნიშვნელობა. ძვ. წ. IV–V სს-ში ასურელები და ხეთები აგებდნენ ქვის საფრიან გზებს. ცნობილია, აქემენიდთა სახელმწიფოს (ძვ. წ. 558–ძვ. წ. 330) ეგრეთ წოდებული „სამეფო გზა“, რომელიც ძველ სპარსულ სახელმწიფოს აკავშირებდა მცირე აზიასთან და ირანთან. ევროპაში ცნობილია ძვ. წ. IV ს-ში რომში გაყვანილი „აპიუსის გზა“, რომელიც მოკირწყლული იყო ოთხკუთხა ქვებით, გზის ორივე მხარეს გასდევდა ამაღლებული გზები ფეხით მოსიარულეებისათვის და არხები. რომაელებმა მთელს დასავლეთ ევროპაში გაიყვანეს გზები. მათ მიერ ალპებში გაყვანილი გზა სიგანეში 3,5 მ-დე იყო. ცნობილი იყო საკონტინენტთაშორისო, ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზა, ეგრეთწოდებული „აბრეშუმის დიდი გზა“, რომელიც აკავშირებდა ჩინეთს რომთან. ის წარმოადგენდა ორ განშტოებას: შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვების გავლით. ძირითადად ამ გზებზე გადაჰქონდათ მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი, რომაელ წარჩინებულთათვის. ერთი, ჩრდილოეთის გზა გადადიოდა საქართველოზე. ამ გზით ვაჭრობა ხორციელდებოდა ძვ. წ. II ს-დან. მეორე გზა უზბეკეთიდან ჩრდილოეთ ირანზე გავლით მიემართებოდა შუამდინარეთისაკენ, ხოლო იქიდან კი ხმელთაშუა ზღვის ნაპირისაკენ.

საქართველოშიც განვითარებული ყოფილა გზათა მშენებლობა. მეცნიერთა მტკიცებით, ეს გზები თავდაპირველად შიდა-საკომუნიკაციოდ იყო განკუთვნილი. შემდგომ დროს, როდესაც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა და ვაჭრობა გაიზარდა, საქართველოში წარმოიშვა იმ დროისათვის (ძვ. წ. III–II სს.) კარგად მოწყობილი საერთაშორისო სატრანზიტო გზები.

ცნობილია, რომ საქართველოშიც გზების მშენებლობაზე სახელმწიფო ზრუნავდა. ძვ. წ. I ს. სტრაბონი აღნიშნავდა, რომ მდინარე რიონზე ყოფილა 120 ხიდი. განსაკუთრებით გზების მშენებლობა აღინიშნებოდა IX–XII სს-ში. ჩვენამდე შემორჩენილია ამის დამადასტურებელი მრავალი ნაშთები. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესების დროს გზების მშენებლობაც შესუსტდა. XVIII–XIX სს-ში გზების მშენებლობა ისევ აღსდგა.

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძეს არ გამოეპარებოდა ეს საკითხი და მან არა ერთხელ აღნიშნა წერილებში ჩვენს ქვეყანაში გზების მოწყობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

წერილში, „ჩვენი ეკონომიური საჭიროებანი და გზების საკითხი“, იგი წერს:

„კარგი გზების უქონლობა შესამჩნევი ნაკლულევანებაა ხალხის ცხოვრებაში, გზების უქონლობა ხელს უშლის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობას, უკან აყენებს, აფერხებს მის ცხოვრების წინ მსვლელობას. გზები უადვილებს ხალხს ერთი-ერთმანეთში მისვლა-მოსვლას, აღებ-მიცემას, ნაწარმოების გასაღებას. ეს მარტივი და ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტებაა... ეს ჭეშმარიტება აღიარებულია; დიდი ხანია ყველგან შეიგნეს, თუ რა სამსახურს უწევს ხალხს, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ცხოვრების განკარგებისათვის კარგად შეკეთებული გზები, და ამიტომ დიდს ყურადღებასაც აქცევენ ამ საჭიროებას.. (აქ ტექსტი ამოღებულია ცენზურის მიერ).

სხვა მიზეზთა შორის, რომელნიც ხელს უწყობენ ხალხის კეთილდღეობას, არა-ნაკლები ადგილი უჭირავს ამ უკანასკნელ გარემოებასაც, ე. ი. რიგიანად მოწყობილ და მისვლა მოსვლის გასაადვილებელ გზების სიმრავლეს. ამ გზების სიმრავლეს უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ ეკონომიური ცხოვრება ასე წინ არის წასული ზემოთნათქვამ ქვეყნებში“ (1, ტ.7, გვ.246).

ილია აღწერს საქართველოში არსებულ გზების მდგომარეობას. მას უწოდებს „საცოდავ გზებს“ და წერს, რომ „არც ერთ ქვეყანას ისე არ ეჭირვება კარგი გზები,როგორც საქართველოს“. ვინაიდან ის მთიანი მხარეა,ნიაღვრები აფუჭებენ გზებს, რაც ხელს უშლის ხალხის ურთიერთკავშირს. მას, მაგალითად, მოჰყავს კახეთის მდგომარეობა. მისი თქმით, არსებული კახეთის გზა გაყვანილია უადგილო ადგილას,მოწყვეტილია სოფლებს და ამიტომ მოსახლეობა იძულებულია ისევ ძველ „უსწორ-მასწორო“ გზებით ისარგებლოს. ამის გამო კახელებს ვერ გამოაქვთ გასაყიდათ „თავიანთი ნაშრომ-ნაღვაწი“ და ის უფუჭდებათ, „ახლო-მახლო კი ფასი არა აქვს“. მოსავალს, რომელიც „ასე უხვად მოდის კახეთში, გასავალი ექნებოდა ქალაქში, რომ კარგი გზები იყოს და ჩამოტანადა ღირდეს. ეხლა კი ტყეულუბრალოდა რჩება, ვერც პატრონი სარგებლობს და ვერც სხვა“ (1, ტ.7, გვ.247).

ხოლო, მეორე კახეთის გზა, გომბორზე, დაწყებულია „და აქამდინ სისრულეში ვერ არის მოყვანილი“. „ეს მშვენიერი, ყოვლის სიმდიდრით ბუნებისაგან უხვად შემკული მხარე ჩვენის ქვეყნისა, რიგიან გზატკეცილსაც კი მოკლებულია, რკინისგზაზე ხომ ვინღა რას ამბობს“ (1, ტ.7, გვ.247).

ილია წერს, რომ ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის კარგ გზებს, მით უმეტეს რკინიგზას; და ამის დამადასტურებლად მოჰყავს, შავი ქვის მრეწველების მაგალითი.

მისი თქმით, როდესაც კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელსა და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს (1882–1890) წლებში, ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვს (1820– 1893) ჩამოუვლია ყვირილაზე, შავი-ქვის მრეწველებს უთხოვიათ ,,მის ბრწყინვალებისათვის", რომ ეშუამდგომლა მას ,,სადაც საჭიროა", რათა რკინიგზა გაეყვანათ ჭიათურამდე. ვინაიდან მადნებიდან შავი-ქვის ,,გადმოზიდვის ქირამ ძალიან აიწია". მასაც შემწეობა აღუთქვამს.

ილიამ, წერილში, ,,კახეთის რკინისგზა", აღნიშნა ,,სასიამოვნო ამბავი", რომ აპირებენ როკის ხეობაზედ რკინიგზის გაყვანას კავკავიდამო, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში უნდა დამთავრდესო. იგი სიხარულით ამბობს. რომ ,,ამ სახით ქართლს, მაგ ერთგულს და ჭირნახულს დედას ჩვენის ქვეყნისას, ერთი სახსარი კეთილდღეობისა და აღყვავებისა კიდევ მოჰმატებია... ღმერთმა მშვიდობაში და ბედნიერებაში მოახმაროს ჩვენს მრავალტანჯულ დედა ქართლსა".

ილია გადმოგვცემს, რომ ,,დედა-ქართლის შვილთაგან ერთი პატარა, ლამაზი და მდიდარი" ქვეყანა, კახეთი, რომელიც ,,ყოვლისფრით შემკული და უხვად მომადლებული... რომ არა გვგონია ბუნებით, ჰავით და გარემოცულობით ამისთანა შემკული სხვა რომელიმე ქვეყანა იყოს არამც თუ ამიერ და იმიერ კავკასიაში, არამედ მთელს რუსეთის იმპერიაში", დღეს, გზების უქონლობისა და ისიც, რაც არის, მოუწესრიგებელი გზების გამო ,,უნუგეშოდ დარჩომილია".

მწერლის თქმით, კახეთი, რომლის ,,აქაურის ჰაერის და მიწის თვისება ისეთია, რომ ყოველისფერის მოყვანა შესაძლოა, რაც-კი ადამიანის სულსა და გულს მოესურვება, თუმცა ეს ნაწილი ჩვენის ქვეყნისა ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, ძველად თითქმის ბოღაზი ყოფილა, თუ არ მთელის საქართველოსი, მის უდიდესის ბაზარის ტფილისისა... ამას გარდა აქედამ მოდიოდა არაყი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, ბამბა, (ილია შენიშვნაში წერს, რომ ,,ეხლა არის მთელი ადგილები, რომელსაც ბრინჯიანი, ბამბიანი და სხვა ამგვარი სახელები შერჩენიათ"), მშვენიერი სახელგანთქმული კახური აბრეშუმი, მშვენიერი სურნელოვანი თამბაქო, სამღებრო და სამკურნალო (სააფთიაქო) ყვავილები და ბალახი, აუარებელი ხილი, აუარებელი მატყლი, საკლავი საქონელი და მებრვე სხვანი.

ხოლო ყოველ ამა მადლით აღსავსე ეს ქვეყანა, ეს თვალ-მარგალიტი საქართველოსი, დღეს ამ განწირულებამდია მისული, რომ ყოველისფერისათვის თავი დაუნებებია და მარტო ღვინოსღა შესჩერებია. ამისი პირდაპირი მიზეზი გზების უქონლობაა" (1, ტ.7, გვ.242).

„ჩვენს ხალხს კარგად ესმის გზების სარგებლობა. წინათაც უკისრნია გზების გაკეთება და ის ყოველთვის მზად არის, ოღონდ საქმის რიგიანი მაჩვენებელი და წარმართველი ჰყვანდეს“ (1, ტ.7, გვ.248).

მწერლის გადმოცემით, რკინიგზამ, რომელიც ზღვიდამ-ზღვამდეა გაყვანილი და გორის მაზრას შუაზე ყოფს,,,გააადვილა ნაშრომ-ნაღვაწის ზიდვა-გადატანა.“ ხოლო საქართველოს სამხედრო გზამ, რომელმაც „დუშეთის მაზრას თავიდამ ბოლომდე გაუარა, გზატკეცილმა ბორჯომიდამ აბასთუმნამდე ახალქალაქის და ახალციხის მაზრა მოუახლოვა ბაზარს.“

უწინ, გზების უვარგისობის გამო, ყველანი ერთნაირ პირობებში იყვნენ., ერთნაირად იტანჯებოდნენ. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა და კარგ გზებთან ახლო მდებარე მცხოვრებელთ, „მეტისმეტად გაუადვილდათ და გაუეფთად ბაზარში მიტანა საქონლისა“. და ამავე დროს შეუმოკლდათ დახარჯული დრო. ხოლო, „სხვა აქეთ-იქით გზები-კი ასეთი არის, რომ მათზე სიარული ერთი ჭირი და ბოროტია, ნამეტნავად გასასყიდად დანიშნულის საზიდავად და გადასატან-გადმოსატანად“ (1, ტ.6, გვ.208). და ასეთ დღეში აღმოჩნდა კახეთი.

ილიას გადმოცემით, კახეთის მესვეურთ მოუთხოვიათ საკუთარი რკინიგზა, რომელიც თბილისს დააკავშირებდა. მაგრამ, ზოგნი, ამის წინააღმდეგ გამოსულან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ: „კახეთი ვერ გაუძღვება რკინისგზის ხარჯსაო და მაშასადამე რკინისგზა თავის ხარჯსაც ვერ ააყენებს და ზარალში იქნებაო... კახეთს იმოდენა გარეთ გასატანი საქონელი არა აქვსო, რომ მისთვის ღირდეს რკინისგზის გაყვანაო. იქაურთ მკვიდრთა არც იმოდენა მისვლა-მოსვლა ექნებათ, რომ ამან დაჰფაროს ზარალიო“ (1, ტ.7, გვ.244). მწერლის აზრით, კახეთის შესახებ ამდაგვარი მსჯელობა „იმისთანა ქვეყანაზედ, როგორც კახეთია“, შეცდომაა. იგი წერს:

„საცა ბუნებური გარემოება, თვისება ჰავისა და მიწისა ხელშემწყობია ადამიანისა, იქ ერთადერთი მიზეზი მოქმედების, მრეწველობის გაძლიერების, ადვილად და იეფად მისაწვდენი ბაზარია. მიეცით ამნაირს ქვეყანას იეფი და სწრაფი გზა საქონლის გასატანად, გასასაღებლად, და მაშინ ჰნახავთ, დღეს უნუგეშოდ ყოფილი მხარე ხვალ რამ-სიგანედ გადიშლის ფრთებს და რა მრავალფერს საქონელს გამოიტანს საქვეყნო ბაზარში. ვისაც გაკვრით მაინც მოუხვედრებია თვალი კახეთისათვის, იგიც-კი უარს ვერა ჰყოფს, რომ ამ მართლა-და ბუნებითად ბედნიერს უმცროს სახლიკაცს ქართლისას ბუნებური ძალი და ღონე არ შესწევდეს ქადილისა, ოღონდ გზა მომეციოთო და მე გიჩვენებთ – რა ვარ დღეს,

რა ვიქნები ხვალა და რა მრავალფერის სიმდიდრით გამოვალ მოედანზედაო“ (1, ტ.7, გვ.245).

კახეთის რკინიგზის გაყვანა მოუთხოვია თავად-აზნაურობას, საქართველოში ჩამოსულ გზათა მინისტრისათვის. როგორც ეტყობა თავად-აზნაურთა ამ მოთხოვნას, დიდ აყალ-მაყალი გამოუწვევია საზოგადოებაში. ილია წერს, რომ „ამ ენით მითქმა-მოთქმას ზედ დაერთო კალმით მითქმა-მოთქმაც. არც აქაურმა რუსულმა გაზეთებმა ყური მოუყრუეს ამ საქმეს და ხშირი საუბარი გამართეს“ (1, ტ.7, გვ.249).

კახეთის რკინიგზის საქმის გამო, შემდგარა კომისია, რომელსაც მთავრობისათვის უნდა მოეხსენებია: თავად-აზნაურობა თანახმა იყო თუ არა გზის გაყვანისა, თვითონ ითავებდა გზის გაყვანას, და თვითონვე ისარგებლებდა გზის შემოსავლით თუ არა. როგორც ეტყობა, კომისია თანახმა იყო გზის გაყვანისა და ამ საქმისათვის ბანკიდან მოუთხოვია ათას ხუთასი თუმანი. ილია მიმართავს და მოუწოდებს თავად-აზნაურობას, რომ ამ „მითქმა-მოთქმას“ ყურს ნუ დაუგდებენ, გზა უსათუოდ უნდა გაკეთდეს და ურჩევს, რომ „გზა მოახვედრონ იმ ადგილებს, რომელნიც ჩვენთვის სასურველია და ქვეყნისათვის უფრო მომეტებულად სახეირო“ იქნება. ხოლო, თავად-აზნაურების მიერ აღებული „ეგ ფული“ უნდა „შესწიროს ქვეყანასა და ხალხსა.“ „განა ამით, – წერს ილია, – თავად-აზნაურობა თავის პატიოსან დანიშნულებას არ აასრულებს ქვეყნის წინაშე? ნუთუ თავად-აზნაურობას ჰგონია, რომ ქვეყნისა და ხალხისათვის გაწირვა რისამე და ამით ხალხის გულის მოგება, ხალხში კეთილად ხსენება, ხალხში აბრუს გაძლიერება მისთვის არაფრის მაქნისია? ყოველივე ეს იგი ღონეა, რომლის მეოხებითაც თავად-აზნაურობა თავის არსებობის მიზეზსაც ნათლად დაანახვებს ხალხს და თავის ბედნიერების, შემძლებლობის ბურჯსაც მკვიდრად ააგებს. ეს ისეთი ფასდაუდებელი განძია, რომ მის მოსაპოვებლად ათას ხუთასი თუმანი-კი არა, არაფერი არ უნდა დაზოგოს თავად-აზნაურობამა, რომელმაც სულ ყოველთვის გულში უნდა იქონიოს, რომ მარტო ამ გზით და სხვა არაფრით არ შეუძლიან გაუძლოს ამ წუთისოფლის ბედის ტრიალსა და მრავალგვარ საჭირბოროტოდ ზედმოსევასა“ (1, ტ.7, გვ.254).

სახელმწიფო, რომ გაძლიერდეს, ეკონომიურად მომძლავრდეს და განვითარდეს, მას მშვიდობიანი, მყუდრო და წყნარი ვითარება უნდა ჰქონდეს, როგორც გარე სამყაროსთან, ასევე მის შიგნით. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ნაწილობრივი ვითარება შეექმნა საქართველოს XIX საუკუნეში, ისიც მცირე ხნით, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების დამთავრების შემდეგ,

როდესაც საქართველოში დროებით, შედარებით მშვიდობა დამყარდა. ქვეყანამ დაიწყო ნელ-ნელა წინსვლა და განვითარება. გამოცოცხლება დაეტყო სოფლის მეურნეობასაც. სოფლის მეურნეობაში იწყება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, დანადგარების, შემოზიდვა და გამოყენება. და რაც მთავარია, საქართველოში შეიქმნა პირობები მოსახლეობის ზრდისა. ყალიბდებოდა ფერმერული მეურნეობები, წვრილი კერძო წარმოებები, ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა, ამქარული ხელოსნობა, რომელიც თანდათან გადადიოდა წვრილ კაპიტალისტურ წარმოებაში. იწყებს ზრდას გლეხური სავაჭრო მრეწველობა, ხოლო, ამის შემდეგ ხდება ჩამოყალიბება მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები. იქმნება სამთამადნო და სამთო-საქარხნო წარმოებები; და ამავე დროს შედარებით მსხვილი მანუფაქტურული საწარმოები მანქანური ტექნიკითა და დანადგარებით. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოში შედარებით მშვიდობა დამყარდა და რუსეთი აქ მყარად დამკვიდრდა, დაიწყო ისეთი დარგების განვითარება, რომელიც რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ემსახურებოდა და რომელიც მხოლოდ მას სჭირდებოდა.

ილია ჭავჭავაძე, წერილებსა და ნარკვევებში აღნიშნავდა XIX საუკუნეში საქართველოში მომხდარ ცვლილებებს, საქართველოში კაპიტალიზმის შემოჭრას – მის დადებით და ამავე დროს, მის უარყოფით მხარეებს. იგი საქართველოში მომხდარ ცვლილებებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

წერილში, ,,მეცხრამეტე საუკუნე", რომელიც დაწერა 1879 წელს, იგი წერდა:

„წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალ საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერებას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს" (1, ტ.5, გვ.7).

,,ერთი სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა...

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს" (1, ტ.5, გვ.9).

ილია ჭავჭავაძე, ამ წარმატებებთან ერთად ხედავდა, რომ ადამიანი თავს მაინც უბედურად თვლიდა, და უნდოდა, რომ ხალხისთვის შთაეგონა, რომ ის დრო წავიდა, როდესაც ხმალი იყო საჭირო და მით თავს ვიცავდით და აქამდე მოვაღწიეთ. ეხლა მდგომარეობა შეიცვალა, წერდა ილია, თუ ვერ გავუგეთ, ვერ შევიგნეთ დღევანდელი დღის ყოფა-ცხოვრება, ალღო და მხარი ვერ აუბით, მაშინ:

„შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“ (1, ტ.5, გვ.13).

ილია ამჩნევდა, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდანვე, საქართველოში დაიწყო როგორც რუსეთის, ასევე უცხოელი მეწარმეების შემოსვლა, რომელთა ხელში თანდათან ექცეოდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები. ხოლო, რუსეთი ცდილობდა ამიერკავკასიაში და მით უმეტეს საქართველოში, თვითონ ჩაეგდო ხელში ვაჭრობა და ამით უფრო მეტად განემტკიცებინა თავისი კოლონიური ბატონობა. ამიტომ, მწერალი აღწერდა ამ მდგომარეობას და მოუწოდებდა ჩვენი ქვეყნის შეძლებულ საზოგადოების წარმომადგენელთ თავის ხელში აეღოთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეები და მისი მრეწველობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია განიხილავდა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოპოვებულ ბუნებრივ სიმდიდრეებზე აგებულ მრეწველობას. რადგან დანარჩენი, სხვა მრეწველობა ჩვენთან, თავისი სიმცირის გამო, ყურადღების ღირსი არ იყო.

ილია წერილებში აღნიშნავდა, რომ ჩვენი ცხოვრებისა და ქვეყნის გაძლიერებისათვის საჭირო იყო ყურადღების მიქცევა ეკონომიკისათვის. ის უნდა გამხდარიყო ჩვენთვის პირველი საზრუნავი. ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერება გამოიწვევდა ცხოვრების გაუმჯობესებას. იგი წერდა:

„ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამისთანა გაჭირებამ თვალი აუხილა ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაში ჩახედვისათვის. დღეს თვითეული ჩვენგანი ჰგრძნობს, რომ აქამომდე მივიწყებულს ეკონომიურს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სხვა საზრუნავთა შორის; რომ ეკონომიკური ცხოვრების მოედანზე უნდა ვეძიოთ ღონე ჩვენის გაძლიერებისა, ტანში გამართვისა და აქ უნდა გავისარჯნეთ და ვიამაგოთ“ (1, ტ.7, გვ.8).

ილიას თქმით, სწორედ ამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მხარეს ექცეოდა ნაკლები ყურადრება, მიუხედავად იმისა, რომ:

„დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადასდგამს, რაც გინდ საავსე ჰქონდეს

გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოევლინებიან-კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეითად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს? ეს თუ შეუძლებელი არ არის, დიდად საეჭვოა მაინც იქ, საცა ერი ღატაკია, უძლური და მარტო დღიურ ლუკმის საშოვნელად გაწირული“ (1, ტ.7, გვ.36).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია წერს, რომ ამ უყურადღებობის გამო ხდება, რომ ჩვენს ქვეყანაში უცხოეთიდან მოსულნი, ჩვენს ეკონომიკას ხელში იგდებენ და ჩვენს „ნაშრომ-ნაღვაწს“ ეპატრონებიან. ისინი მდიდრდებიან, ჩვენ-კი, ამას ყურადრებას არ ვაქცევთ, შორიდან უყურებთ, ამის გამო ჩვენ ღარიბნი ვრჩებით და თანდათან ვღატაკდებით. დღევანდელმა დრომ აჩვენა, რომ დღეს ცხოვრებას წარმართავს ერთ-ერთი მძლავრი იარაღი ფული. ამაზეა დამოკიდებული დღევანდელი ჩვენი ცხოვრება და მომავალი. ეს არის ჩვენი ცხოვრების სიკეთეც და უბედურებაც.

„ქადილი ოქრო-ვერცხლისა, რომ ყველაფერი ჩემიაო, ყველაფერს ვიყიდიო, გამართლდა ქვეყნის საუბედუროდ. ეხლა რაც არის-ფულია და სხვა არაფერი. უფულო ერი ერთაშორის და უფულო კაცი ცალკე ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა“ (1, ტ.7, გვ.10).

მწერალი გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ: „საფაბრიკო და საქარხნო წარმოების მოედანი... დღეს ჩვენში საგრძნობლად ხელთ არავის ჩაუგდია.“ და „მოედანი ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა სხვას დავუთმეთ.“ და ამის მიზეზი ის არის, რომ:

„ეკონომიური ბუნება ქონებისა ის არის,— უძრავი ქონებაა, თუ მოძრავი, რომ უხეირო და უმცდელ კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერო ბუნებურ კანონსა“ (1, ტ.7, გვ,40).

ილია ჭავჭავაძე წერილებსა და ნარკვევებში აღნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მდიდარ, ფულიან ხალხს წარმოადგენდნენ ძირითადათ ვაჭრები და სოვდაგრები, რომლებიც „მარტო ერთის ჯიბიდამ მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ“ და ამათგან, „არც ერთს ფულიანს კაცს გუნებაშიც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე“ (1, ტ.7, გვ.265). მათი ძირითადი საქმიანობა და ფიქრი, იმისაკენ არის

მიმართული, რომ როგორმე ხალხი მოატყუოს და „რაც შეიძლება ბევრი გამოჰგლიჯოს“. მას ისიც კი არ „ესმის, რომ ერთხელ მისგან მოტყუებული მუშტარი მისთვის სამუდამოდ დაკარგულია, არც იმის გაგება აქვს, თუ მცოდინარის და ჭკუაფხიზელის პატიოსანის ვაჭრის უტყუარი და სამართლიანი მოგება რაში მდგომარეობს“ (1, ტ.7, გვ.266).

ილია სასაცილოდ იგდებს ამ ვაი ჩარჩებსა და ქორვაჭრებს, და აღნიშნავს, რომ „უკეთესნი ვაჭარნი დღეს ჩვენში უცხო ქვეყნელები არიან“ და ხოლო, ჩვენი „ქებულნი ვაჭარნი“, ქვეყნისათვის და ხალხისათვის, არაფრის გამკეთებელნი და არც „შორსმჭვრეტელნი“ არიან. იგი წერს, რომ ჩვენს ფულიან კაცებს, „სიცილადაც არ ეყოთ“, ქალაქში ცხენის-რკინიგზის გამართვა. „რასაც მოიგებენ, ჩვენ წილს ნუ დაგვიდებენო, იძახოდნენ უმეცრების კმაყოფილებით და დაცინვით ჩვენი ფულიანი კაცები“. და როდესაც დაინახეს სხვა „ქვეყნიდან მოსულმა“ როგორ „გამართა“ და „რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინღა წამოაჭყიტეს თვალები და წუწუნებდნენ: „ვაი, ეს საქმე ხელიდამ როგორ გავუშვითო“ (1, ტ.7, გვ.267).

ილიას თქმით, ჩვენ ფულიანებს, ხელიდან გამოეცალათ „ჩვენის წყარო სიმდიდრისა“, შავი-ქვის სამადნო. უცხოელებმა, „ეს აუარებელი სიმდიდრე ხელიდამ გამოსტაცეს“ და ხელში ჩაიგდეს. „ესეთივე საქმე დაემართათ შაქრის ქარხნის გამო, რომელსაც ეხლა სხვიდგან მოსულები ჰმართავენ სკრაში“. და „ჩვენი სოვდაგრები კი დუქანში თვლემას ვერ მოჰშორებიან, ტიბიკონი არ უწერთ“. იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, „ჩვენის სოვდაგრების უთაურობით“ ნავთის საქმეც. ასევე ხელიდან გამოეცლებათ ჩვენს ფულიანებს, ჩვენი ღვინის საქმე, რომელსაც „დიდი ბაზარი ექნება მთელს რუსეთში“.

მწერალი წერს, რომ „საითაც გინდათ მიიხედეთ და ყველგან ჰნახავთ, რომ ჩვენებურს ფულიანებს არც გონება უჭრით, არც თვალი, რომ სანახავი დაინახონ და ნამდვილს წყაროს სიმდიდრისას ხელი ჩაავლონ თავის სახეიროდ ცალკე და ქვეყნის საკეთილოდ ერთობ“ (1, ტ.7, გვ.268).

ილიას გადმოცემით, ალგეთზე, თავად დ. ზ. ბარათაშვილის მამულში აღბულაღში, აღმოჩენილა „მშვენიერი ქვა სალითოგრაფიო და საკირე ქვა“, „წყარო სიმდიდრისა“. რომელსაც დიდი ფასი აქვს ევროპასა და რუსეთში.

ეს ქვა „ალგეთის ნაპირზედ ერთს უშველებელს, ტიტველა კლდეს წარმოადგენს“ და ამ ქვის დამუშავება, „მოჭრა და გათლა ქვისა მეტად ადვილი“ იქნება და „იეფიცა“. „ამისთანა კარგის და ხელშემწყობ გარემოებით მოცულს მადანს სალითოგრაფიო ქვისას კაცი ნატვრითაც ვერ ინატრებს.“ თ. ბარათაშვილს, ამ

ქვის „ერთი ნიმუში პარიზში გაუგზავნია, რადგანაც იქაურს ვაჭრებს და სოვდაგრებს, რომელთათვისაც საინტერესოა ეს საქმე, მოუთხოვნიათ იგი ნიმუში“ და ამ ქვას, „აღტაცებაში მოუყვანია მცოდნე კაცნი“ ევროპაში. ილია სინანულით წერს, რომ: „ამ სახით ეს წყაროც აუარებელის სიმდიდრისა ჩაუვარდებათ ხელში ევროპიელთა..“ (1, ტ.7, გვ.269).

ილია ჭავჭავაძე წერილში, „შავი-ქვის მრეწველობის მიმდინარე საქმეებზე“, განიხილავს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ბუნებრივი სიმდიდრის, შორაპნის მაზრის, შავი-ქვის, მანგანუმის საკითხს.

მწერალი წერს, რომ შავი-ქვის მადნების საქმე, ეს ჩვენი საერთო სატკივარია და „შავი-ქვის წარმოების საქმეს იგივე ემართება, რაც ყველა ჩვენს საზოგადო საქმეს.“ იგი აკრიტიკებს და საყვედურს გამოთქვამს წარმოების ხელმძღვანელების საქმიანობის მიმართ. ამავე დროს, მოურიდებლად ამხელს ჩვენი საზოგადოების ნაკლსა და უუნარობას.

„ჩვენი უმთავრესი უბედურება საზოგადოდ ის არის, რომ ნამდვილის საქმიანობის უნარი არა გვაქვს. ვერც ერთს საქმეს ბოლოს ვერ გავატანთ ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ლაპარაკი გვიყვარს, სიტყვით ოქროს კოშკებს დავსდგამთ, მთებს შევსძრავთ, და თუკი საქმე საქმეზე მიდგა, მაშინვე ყველა უკან ვსდგებით, ცალ-ცალკე ვიფანტებით, შორიდამ გულგრილად ვუცქერით საქმესა და თან კიდეც ვკვირობთ, რატომ ჩვენში არაფერი საქმე არა ხერხდებაო. ვიმეორებთ, ყვირილით კი ბევრსა ვყვირით და ძალიან ხმამაღლაცა, ყველას ვარწმუნებთ, რომ გულწრფელად გვსურს რაიმე საქმის გაკეთება და საქმით კი ხელსაც არა ვძრავთ. პირველ დაწყებაში ბევრი ჰაი-ჰუი ვიცით, ვცხარობთ, ვყვირით, ვჩხუბობთ, და მინამდე საქმემდის მივალთ, ჩალასავით აპილპილებული ჩალასავით ჩავქრებით ხოლმე“ (1, ტ.7, გვ.270).

ილიას თქმით, ამის მიზეზი არის, ჩვენი „შური, მტრობა, ცრუ თავმოყვარეობა, წვრილმანობა... კაცის ღირსებას ფასს არა ვდებთ, კაცის ღვაწლს პატივს არა ვცემთ, არავის ვენდობით, გულწრფელობას არაფერში ვიჩენთ. ყოველთვის ვცდილობთ მეზობელს რითიმე ვუმტროთ, გაჭირება მივაყენოთ, ლუკმა პირიდამ გამოვგლიჯოთ და თუ შეიძლება სრულიად დავამხოთ, გავაღატაკოთ, მიწასთან გავასწოროთ.“ სწორედ ეს გვიშლის ხელს, როგორც საზოგადო საქმეში, ასევე ცხოვრებაში, რომ „რიგიანად ვიცხოვროთ“. ეს ჩვენი უმეცრების ბრალიაო, — აცხადებს მწერალი და განაგრძობს, — ჩვენ არ გვესმის ის მარტივი ჭეშმარიტება, „რომ ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამყარებული; რომ მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება,

ვერ აშენდება.“ დღევანდელ დღეს, „სულ სხვა ქვაკუთხედს უდებენ ადამიანის ცხოვრების აგებულებას: ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთო“ (1, ტ.7, გვ.271).

მწერალი მიმართავს შავი-ქვის მწარმოებლებს, მოუწოდებს და რჩევას აძლევს მათ, რომ:

„ბუნებას სიმდიდრე მოუცია,— რაღა გინდათ? აიღეთ და ისარგებლეთ, მოიხმარეთ ღვთისაგან მოცემული სიკეთე! ჯერ საქმე ისე მოაწყეთ, რომ ეს წყარო სიმდიდრისა რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს, მეტს ხალხს მიედინოს. არ იცით, საქმეს როგორ მოუაროთ? ცოდნა არა გაქვთ? მოიწვიეთ საქმის მცოდნე კაცები, ისინი გიჩვენებენ გზას. არა გაქვთ ფული? ოღონდ საქმეს გულით და გულდადებით მოეკიდენით, აჩვენეთ ქვეყანას, რომ საქმის ერთგულება შეგიძლიანთ და ფულს არავინ დაგიჭერთ“ (1, ტ.7, გვ.271).

ილია წერს, რომ დღევანდელი დღის გადასახედიდან ჩანს, რომ შავი-ქვის მმართველებს, თავიანთი შურით, მტრობით, წვრილმანობით, „შავი-ქვის საქმე დღეს იქამდე მიუყვანია, რომ ლამის შავმა-ქვამ მართლა „შავი-ქვა და ნაცარ-ცხელი“-ღა მოუტანოს თვით მწარმოებელსაც, მადნის პატრონსაც და მუშასაცა, ლამის ეს ღვთისაგან მონიჭებული სიმდიდრე და სიკეთე ჭირად და უბედურებად გადაექცეს ჩვენის საკუთარის ავზნეობითა და ავგულობითა.“ მისი თქმით, თუ კი მწარმოებლები წესიერად ააწყობენ საქმეს და ამ „ავზნეობას და ავგულობას“ თავს დაანებებენ, მაშინ „საქმე ამით მოიგებდა და წარიმატებდა საყოველთაო საკეთილოდ!...“ რაც შეეხება, მწარმოებელთა ჩივილს, უფულობის გამო, მწერალი პასუხად წერს: „განა ფული ამ ავზნეობას არ უფრთხის? ამ ყოვლად სახეირო და სასარგებლო საქმეს ფული განა არ მოედინებოდა, თუ რომ ავზნეობის შიში და რიდი არ ჰქონიყო?... ფული იმისთანა ბუნებისაა, რომ თვითონ თავისთავად მიიზიდება ხოლმე ამისთანა გამოსარჩენ საქმისაკენ, თუკი დაიმედებული იქნება, რომ პატიოსან კაცის ხელში ჩავარდება, საქმეს მოხმარდება და არა სიხარბეს და ანგარობას ავზნეობისას“ (1, ტ.7, გვ.272).

ილია ყოველთვის მოუწოდებდა ჩვენს ხალხს, რომ ის ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც მოიპოვებოდა ჩვენთან, წესიერად მოგვეხმარა, საქმე ისე აგვეწყო, რომ სარგებელი ქონოდა როგორც მწარმოებელს, ასევე ხალხს.

ამ მხრივ, საყურადღებოა მისი წერილი, „ნავთის საქმე კავკასიაში“. სადაც აღნიშნავს, რომ ამიერკავკასია ბუნებრივი სიმდიდრეებით მდიდარია, და „ეს მშვენიერი კუნჭული დედამიწისა, შავისა და თეთრის (კასპის) ზღვის შუა მდებარე, თითქო საბუდარია, რომელშიაც უანგარო და გულუხვი ბუნება, როგორც კრუხი,

ჩამჯდარა, და დაუღალავად, განუწყვეტლივ, შეუფერხებლად სჩეკს ყოველგვარს სიმდიდრესა.“ მიუხედავად ამისა, აქაური ხალხი, „მაინც ღარიბია და ღარიბი“, და ის სიმდიდრე, რომელიც ასე უხვად ბუნებამ გვიწყალობა და გვაქვს, „ჭირად გადაგვექცევა ხოლმე“. ასეთ, ერთ-ერთ სიმდიდრედ, იგი თვლის ნავთს, რომელმაც უამრავი ქონება და შეძლებული „თან ჩაიტანა და მიწასთან გაასწორა“. მწერლის თქმით, „მთელს ქვეყანაზე ყველაზედ გამოჩენილი ადგილები ნავთისა სულ ორია: ერთი ამერიკა და მეორე ჩვენი კავკასია“ (1, ტ.7, გვ.273).

მწერლის გადმოცემით, ნავთი კავკასიაში ბევრგან არის, ჩვენშიც არის, „ტფილისის ახლო, კახეთში მთელი ტბებია“. მაგრამ ჩვენთან, ნავთის ამოღებამ „თავი ვერ დაიჭირა“. რადგან ბაქოში, „ნავთი აუარებელია, დიდი თხრა და ვაი-ვაგლახი არ უნდა იმის ამოღებას“. „ბაქოში ნავთი ისე ღრმად ჩასვლას არ ითხოვს, რადგანაც დედამიწის ზედაპირზედ ახლოა ნავთი... ჭას ცოტად თუ ბევრად ამოსთხრიან, ნავთი შადრევანად სცემს და უხარჯოდ და უშრომელად თავის-თავად ამოდის“ (1, ტ.7, გვ.276). ამიტომ, ბაქოს ნავთი, უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ჩვენი, „ადგილობრივი გაუწმენდელი და პირდაპირ ამოღებული ნავთი“ (1, ტ.7, გვ.274).

ილია ადარებს ბაქოსა და ამერიკის ნავთის საბადოებს, მის ღირებულებას, მრეწველობას და ბოლოს წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს ნავთის ამოღება ადვილია, ევროპასთან ახლოა და გატანა იოლია, ხოლო ამერიკის ნავთის მისაღებად „მიწაში ღრმად ჩასვლას ითხოვს“ და ევროპასთან მოცილებულია, ბაქოს ნავთს, „ამერიკის ნავთის ცილება კი ვერ აუტანია, როცა ევროპაში გააქვთ“ (1, ტ.7, გვ.276).

ბაქოს ნავთი, რომელიც „იმოდენა ამოდის, რომ ლამის წარღვნას მთელი ბაქო“ და სადაც ველარ ასწრებენ მის ამოღებას, გაწმენდას და შენახვას, მას „ბაზარი ვერ გაუხსნია და ვერ შეუქმნია“. ნავთი, რომელიც „ამერიკაში სიმდიდრის წყაროდ ითვლება, ჩვენში სიღარიბის მიზეზად შერაცხულია“. „რა არის ამის მიზეზი? – კითხულობს ავტორი და თვითონვე პასუხს იძლევა, – ყველაზე უწინარეს ისა, რომ სატექნიკო ცოდნა არა აქვთ აქაურს მენავთეებს. ამ უცოდინარობის ბრალია, რომ ჭიდამ ამოღებულ ნავთს ჰხდიან და გადაწმენდავენ ხოლმე მარტო სანათებლად ხმარებისათვის, და რაც ამ გამოხდას და გადაწმენდას გადარჩება, იმის გამოყენება არ იციან ჩვენმა მექარხნეებმა... ნავთის გამონახადი, რომელიც ეხლა უცოდინარობით ტყუილუბრალიდ ჰფუჭდება და გადიყრება ხოლმე, მრავალგვარად გამოსაყენია და გამოსარჩომი, თუ კაცს ცოდნა და ხერხი ექნება. საქმე იმაშია, რომ შავი ნავთი მარტო იმით კი არ

არის სახეირო და გამოსარჩომი, რომ სანათებელ ნავთად გადიწმენდება, არამედ იმიტომაც, რომ დანარჩენ გამონახადიდამ შეიძლება კიდევ ბევრი რამ სხვა საბაზრო ნივთიც გამოიხადოს, მეტად კაი ფასად გასასაღებელი... ყოველივე ეს ბაქოში მეტად ცოტა კეთდება დღეს, ჯერ, რასაკვირველია, იმიტომ, რომ მექარხნეებმა ამისი ხელი ან სულ არ იციან, ან ძალიან ცოტად იციან, და მეორე იმიტომ, რომ აქაც, გადასატანს ღონეს მოკლებულნი არიან“ (1, ტ.7, გვ.278).

მწერლის გადმოცემით, „ამერიკაში ყოვლის ოსტატობით და ცოდნით ეკიდებიან ამ საქმეს... იქ დანარჩენ გამონახადსაც ბევრს რასმეს ჰრჩებიან, ასე, რომ თითქმის თვითეული ნაწილი გამონახადისა სხვა რაიმე საფასურს და სასარგებლო ნავთს იძლევა. იქ არა იკარგება-რა, ჩვენში ათში შვიდი ფუთი ტყუილუბრალოდ გადასაყრელია“ (1, ტ.7, გვ.279).

ილია წერს, ბაქოში, რომ ამერიკელებსავით გამოიყენონ ნავთის გამონახადი, მას მაინც ვერ გაასაღებენ, რადგან რუსეთში, „აქამომდე საქმე ისე ვერ მოუწყვიათ, რომ რუსეთმა თვითონვე მოიხმაროს თავისი საკუთარი სიმდიდრე“ (1, ტ.7, გვ.279). ძირითადათ ამის მიზეზი არის ის, რომ ამოდენა ნავთის საზღვარგარეთ გატანის საშუალება არ არის. ის ერთადერთი რკინიგზა რომელიც მუშაობს ბაქოსა და ბათუმს შორის, ვეღარ აუდის ნავთის გადატანას და ამავე დროს ძვირიც ჯდება. ამიტომ დაისვა საკითხი, რომ ბაქოს ნავთის გატანა მოხდეს მილების საშუალებით ბათუმამდე. ატყდა დავა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვინ უნდა გაიღოს თანხა, რა დაჯდება მილების გაყვანა, ბაქოს ნავთის მარაგის შესახებ, რა სარგებელს მოუტანს მილებით ნავთის გადაზიდვა და რა თანხა უნდა დააწესოს რკინიგზამ, რომ ნავთის გადაზიდვით არ იზარალოსო.

წერილს, ილია ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„ამ სახით, საუბარი და ბაასი დიდია... მინამ ან ერთისაგან გამოვა წყალობა, ან მეორისაგან, ნავთის მწარმოებელთ სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთა ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთ. მოდით და ნუ გაოცდებით!.“ (1, ტ.7, გვ.282).

მეორე წერილში, „ნავთის ბაჟი“, ილია წერს, რომ:

„იყო დრო, როცა ნავთის ხმარება საწვავად მარტო შეძლებულს ხალხს შეეძლო. მას შემდეგ, რაც ბაქოში ასეთი აუარებელი ნავთი აღმოჩნდა, ეს სანათი დიდად გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში და საყოველთაო საჭიროებად გარდაიქცა. ხალხი ეხლა ნავთს სხვა ყოველგვარ სანათს ამჯობინებს. დიდი ხანი არ გაივლის, რომ ნავთი სრულიად განსდევნის ქონსა და ზეთსა, რომელიც უწინ დიდს პატივში იყო... ჩვენში, სადაც ნავთი ასე იეფია, საგრძნობელ შეღავათს

მისცემს ხალხსა, და რაც უფრო კიდევ მეტად გაიეფთება ნავთი, მით უფრო უკეთესი იქნება. ვისაც-კი ხალხის ეკონომიური წარმატება აფიქრებს, რასაკვირველია, თანაუგრძნობს ამ მოვლენას“ (1, ტ.7, გვ.283).

მწერალი ამხელს ნავთის მესვეურებსა და მწარმოებლებს, რომლებიც „სულ სხვასა ფიქრობენ“, მათ, „მხოლოდ თავიანთი ჯიბე აწუხებთ. მხოლოდ თავიანთ კერძო ინტერესებს მსხვერპლად სწირავენ მას. ნავთის მწარმოებელნი და მეტადრე დიდნი მწარმოებელნი სწორედ გაუმაძღარ სვავებად გარდაიქცნენ“ (1, ტ.7, გვ.283).

ნავთის მწარმოებელთ მთავრობისაგან მოუთხოვიათ ნავთზე ბაჟის დადება, რაც ავტორის აზრით, არის „ცბიერი და იდუმალი განზრახვა“ და მათი „ხრიკები“. ნავთზე ბაჟის დადება გამოიწვევს ისედაც ცარიელ ხალხის ჯიბის, „უფრო მეტად დაცარიელებას“.

წერილში, „ადგილობრივ შავ ნავთზე და უცხოეთიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადების საკითხის გამო“, ილია ამბობს, რომ ამერიკიდან შემოტანილ ნავთზე ბაჟის დადება, გამოიწვევდა რუსეთის ბაზარში ამერიკის ნავთის განდევნას და ამავე დროს, წვრილი ნავთის მეწარმეების გაუქმებას და გაღატაკებას. ვინაიდან, წვრილი მეწარმენი, უფრო იაფად ჰყიდნენ თავიანთ მიღებულ დაუმუშავებელ შავ ნავთს, ვიდრე ღირდა ქარხნების მიერ გამოშვებული „გაწმენდილი და გამოხდილი“ ნავთი და რასაკვირველია ღარიბი ხალხი ასეთ ნავთს უფრო ეტანებოდა და ამით „ცილებას“ უწევდა „დიდფულიანებს“. ამიტომაც, „მდიდრებმა ეს ღონე მოიგონეს, რომ შავ ნავთს ბაჟი დაედოს... მაშინ ნავთის წარმოებისაგან მარტო ის იხეირებს და გამორჩომას ჰნახავს, ვინც დიდსა და ძვირფასს ქარხანას იქონიებს, და რადგანაც წვრილს მწარმოებელს ნავთისას მაგისი ღონე და შეძლება არა აქვს, უნდა თუ არა, ფარ-ხმალი ძირს უნდა დაჰყაროს და გულზედ ხელები დაიკრიფოს“ (1, ტ.7, გვ.290).

რუსეთის ბაზრიდან, რომ მთავარი ნავთის მოცილე ჩამოიშორონ, „რომლის ნავთი გზას არ აძლევს ბაქოს ნავთსა საქვეყნო ბაზარში... ამიტომაც სთხოვენ მთავრობას, ამერიკის ნავთს ფუთზედ ერთი მანეთი ბაჟი დაადეთ, რომ რუსეთში შემოტანა გაუძნელდეთ ამერიკელებსო“ (1, ტ.7, გვ.291).

ამრიგად, ნავთის ქარხნის მეპატრონეები „შემოიცლიან წვრილებს, რომელნიც დღეს კრიჭაში უდგანან, რაკი ამერიკასაც ბაჟით გზას გადაუღობავენ, მაშინ ბურთიც იმათ დარჩებათ უცილოდ და მოედანიც და მაშინ მშვიდობით იეფობავ ნავთისავ“ (1, ტ.7, გვ.292).

წერილში, ,,ნავთის საქმის მომავალი კავკასიაში'', ილია, აღნიშნავს, რომ ზოგიერთის აზრით, ბაქოში ნავთი მალე გათავდება და ,,ნავთის წყაროები შრებაო''. იგი ამ აზრს შეცდომას უწოდებს და ასაბუთებს, რომ ეს ასე არ არის და ამ წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

,,ტყუილი და უსაბუთო შიშია, ვითომც ბაქოში ნავთს აღსასრულის დღე დასდგომია, და თუნდ ესეც მოხდეს, ჩვენს ქვეყანაში ნავთი მაინც არ შესწყდება და ეხლა თითქმის უქმად მყოფი ადგილები ნავთისა დედოფლის წყაროზე, ნავთლუღსა, ქუთაისს ახლო, გურიასა და სხვაგან ბევრგან, გზას გაიხსნის საქვეყნო აღებ-მიცემობისა და ბაზრისათვის'' (1, ტ.7, გვ.296).

როგორც დრომ აჩვენა, ილიას აზრი ბაქოს ნავთის შესახებ გამართლდა და ბაქოში დღევანდელ დღესაც ნავთს ღებულობენ.

საბოლოოდ, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ილია ჭავჭავაძე ხედავდა და გრძნობდა, რომ საქართველოს უნდა გაევლო კაპიტალისტური წარმოების ის გზა, რომელიც სხვა ქვეყნებმა გაიარეს. კაპიტალისტური წარმოება, რომელიც თანდათან შემოდიოდა და ფეხს იდგამდა ჩვენთან, აუცილებელი მოვლენა იყო და საქართველოს უნდა გაევლო. ოღონდ ამას, ჩვენი ქვეყნისათვის, სწორი მიმართულება უნდა ჰქონოდა და ამიტომ ილია ცდილობდა, ჩვენი ქვეყნის აღმავლობისათვის ხელი შეეწყო, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და წარმოების სწორ გზაზე დაყენებას. მისი აზრით, საქრთველოს რაც შეიძლება მალე უნდა გაევლო ეს გარდამავალი გზა, რომ განვითარებული ქვეყანა გამხდარიყო.

თავი მეხუთე

ილია ჭავჭავაძე და რელიგია

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან:

მამული, ენა და სარწმუნეობა. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (1, ტ.3, გვ.26).

დრამატურგი კიტა ბუაჩიძე (1914–2000) წერდა:

„იმას არ ეთქმის ადამიანი,
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.
დეე სუყველამ იბედნიეროს
თავის სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყვნენ ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში!

აკაკი.

წინათ რელიგია გვინახავდა, რელიგია იყო ჩვენი მფარველიც და ჩვენი პატრონიც, ქრისტეს მცნებებს ვეწირებოდით...

ახლა რელიგია დავივიწყეთ, ქრისტეც დავივიწყეთ, უფრო სწორად – დაგვავიწყებინეს ისე, რომ მაინცდამაინც რაიმე წინააღმდეგობა არც გაგვიწევია... წარმართებად ვიქეცით, ოღონდ იმ განსხვავებით,– წარმართები სხვების მიმართ იყვნენ წარმართები, ჩვენ კი ჩვენსავე მიმართ ვართ... მაგრამ წარმართებიც კი უფრთხილდებოდნენ „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“, სამშობლოს ისინიც ეთაყვანებოდნენ, ჩვენ კი..“ (56, გვ. 19).

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას რელიგიასთან, ჩვენ კიდევ ნაწილობრივ შევეხებით მომდევნო წიგნში (წიგნი II), როდესაც განვიხილავთ მის მხატვრულ ნაწარმოებებს და ზოგიერთ წერილებს. როგორც მატერიალისტი, ერთის მხრივ, იგი უნდა იყოს ღვთის არსებობისა და ყოველგვარი რელიგიის წინააღმდეგი, ესე იგი ათეისტი. მაგრამ, მეორეს მხრივ, მის ნაწერებში ჩვენ ხვდებით ღმერთზე, ქრისტეზე და საერთოდ ღვთაებრივ რწმენისადმი მოკრძალებას. მით უმეტეს, მის ადრინდელ ნაწერებში. მაშ ისმის კითხვა, როგორ შეიძლება პიროვნება

ერთი და იმავე დროს, ერთის მხრივ აღიაროს მატერიალისტური დებულებები და ამავე დროს აღიარებდეს ქრისტიანულ მორალს. ესე იგი იყოს ათეისტი და ამავე დროს იყოს იდეალისტი?

ხომ არ ვარდებოდა ილია ურთიერთ წინააღმდეგობაში?

ზოგიერთი მეცნიერნი, ვითომდა ილია ჭავჭავაძის ამ „გაორმაგებას“ შეცდომას უწოდებდნენ და სხვადასხვა მიზეზებით ხსნიდნენ. მაგ. პ. რატიანი წერს:

„დავსვათ კითხვა: რამ აიძულა მატერიალისტი ილია ჭავჭავაძე გადაეხვია სწორი გზიდან და ღმერთთან შერიგების გზები ეძია? რა იყო ამის მიზეზი?“ — და თვითონვე სცემს პასუხს:

„ჩვენის აზრით, ამის მიზეზი იგივე იყო, რა მიზეზმაც მისი სხვა თეორიული შეცდომები და მისი ეთიკის აბსტრაქტულობა გამოიწვია. ილია ჭავჭავაძეს არ სწამდა მეცნიერება მეცნიერებისათვის. მას იგი მიაჩნდა მხოლოდ როგორც იარაღი ხალხის სამსახურისათვის. ამის შესაბამისად იგი არც სთვლიდა საჭიროდ დაემალა, რომ თავის თეორიას, თავის მოძღვრებას უყურებდა როგორც იარაღს ერის ცხოვრების გასაუმჯობესებლად და რადგან ქართველი ერის მაშინდელი მდგომარეობა მოითხოვდა, მისი აზრით, ერთიანობას რადაც არ უნდა დამჯდარიყო, ამიტომ იგი ცდილობდა თავისი თეორია, მსოფლმხედველობა შეეგუებინა და დაექვემდებარებინა ერის საარსებო ინტერესებისათვის, ე. ი. რეალური ცხოვრების ინტერესებისათვის.

ქრისტიანულ რელიგიაში ი. ჭავჭავაძე ხედავდა ძალას, რომელსაც შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა ქართველი ხალხის ინტერესებისათვის. რელიგია, ღმერთი მას სჭირდებოდა როგორც იარაღი ქართველი ხალხის გაერთიანებისათვის, როგორც საყრდენი თავისი აზრებისა და მოქმედებისათვის“ (24, გვ.109).

ჩვენის აზრით, თვით ეს მეცნიერები უშვებდნენ შეცდომებს, როდესაც ილიას ამ გაორმაგების შესახებ საუბრობენ. ესენი ან ვერ ხვდებოდნენ, ან განგებ თვალს ხუჭავდნენ, მაშინდელი ვითარებისა და შემდგომი დროის პოლიტიკური აზროვნების გამო. პ. რატიანის მიერ წარმოთქმული სიტყვები ილიას მიმართ, დაშვებული „თეორიული შეცდომები“, არ არის სწორი და სინამდვილეს არ წარმოადგენს. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ არ გავითვალისწინებთ მაშინდელ საქართველოს მდგომარეობას, მაშინდელ საზოგადოებას, და არა თუ მაშინდელს, არამედ დღევანდელ დროსაც კი, სწორედ, რომ ეს იქნებოდა და არის კიდევაც „თეორიული შეცდომები“, ილიას მსოფლმხედველობისა.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა რასაც და რაზედაც წერდა!

არა თუ ილიას დროს, არამედ დღევანდელ დღესაც-კი, როდესაც მორწმუნე პიროვნებას, მორწმუნეთა საზოგადოების ნაწილს მიაჩნდა და მიაჩნია ხვთის წინააღმდეგ გამოსვლა უდიდეს ბოროტებად და ამის გამო მზადაა მათი გაგებით ურწმუნო ფეხქვეშ გათელოს და მოსპოს, ღმერთისა და თავისი რელიგიის გულისათვის ძმა-ძმას, მამა-შვილს არ ინდობს და თავის ადამიანობასაც კარგავს. ჩვენ მხარს უჭერთ და სწორადაც მიგვაჩნია ილიას მიმართ, ვ. გაგოიძის მიერ წარმოთქმული სიტყვები:

„ილია ჭავჭავაძეს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მაშინ მოუხდა, როდესაც საქართველო ბატონყმობის ტკბილ ძილში იმყოფებოდა და ყოველივე სიტყვა ან საქმე, რომელიც მას ამ ძილისაგან გამოაფხიზლებდა, ფასდებოდა როგორც ღვთის საქმის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, როგორც უმაღლესი ბოროტება. ასეთ პირობებში საზოგადო მოღვაწეს დიდი სიფრთხილე მართებდა რათა თავისი მოქმედებით ხალხის რწმენა კი არ შეერისხა, არამედ თანდათანობით თვალები აეხილა მისთვის და ამ გზით ისე შთაენერგა მასში მისი რწმენის საწინააღმდეგო აზრები და იდეები, რომ მათი სიმპათია დაემსახურებინა და ყურადღება და მხარდაჭერა მოეპოვებია. ამიტომ პირდაპირი გალაშქრება რელიგიის წინააღმდეგ იმიტომ კი არ იყო შეუძლებელი, რომ ამის საშუალებას ცენზურა არავის მისცემდა, არამედ იმიტომაც, რომ შეუმუშავდებოდა უღმერთოს სახელი, რაც იმ პერიოდის საქართველოში წარმოადგენდა ყოველგვარ უარყოფით თვისებით შემკულ ადამიანის სინონიმს“ (26, გვ.232).

სხვათა შორის, არა თუ ილიას დროს, არამედ დღესაც კი თითქმის იგივე მდგომარეობაა რელიგიის მიმართ დამოკიდებულება როგორც ყველგან, ასევე საქართველოშიც. დღევანდელ დღეს, როდესაც მეცნიერება იმდენად განვითარდა, რომ ადამიანმა მარსზედაც დადგა ფეხი, დღეს, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც „მეცნიერებამ სასწაულები მოახდინა“ და „რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, დღეს შესაძლებელი გახდა“ და დღეს, როდესაც „ყოვლად-მძლეველი გონება ადამიანისა... თავისი სასწაულთ მოქმედება გამოაჩინა“, არა თუ ჩვენს ქვეყანაში, არამედ, ჩვენზე უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ხელაპყრობით ღმერთს ევედრებიან და სთხოვენ შველას. დღევანდელ დღესაც, როდესაც საზოგადოებრივ ცნობიერებაში ისეა გამსჭვალული და გამჯდარი ღმერთისადმი თაყვანისცემა, ღმერთის შემძლეობა და შეუვალობა, რომ მისი გულისთვის თავსაც სწირავენ. ამიტომ, სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ ილია ჭავჭავაძე იძულებული იყო და ცენზურის გამოც, თავისი მოსაზრებები შეფარვით გამოეხატა.

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა რწმენის საკითხში,ჩვენ შეგვიძლია ორ ნაწილად წარმოვიდგინოთ: ადრინდელი, ესე იგი ახალგაზრდობის დრო, 60-იანი წლების დასაწყისი, პეტერბურგში გატარებული ადრინდელი დრო, როდესაც მის მსოფლმხედველობაში იდეალიზმი სჭარბობდა, და იწყებდა ლიტერატურულ, მეცნიერულ, პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლას; და შემდგომი, მომდევნო დრო, ისევ პეტერბურგში ყოფნისას, როდესაც მის მსოფლმხედველობაში მატერიალისტური აზროვნება და ათეისტური შეხედულებები შემოიჭრა და განვითარდა; და რომელსაც ილია ეს შეხედულებები ცდილობდა სიცოცხლის ბოლომდე გაეტარებინა.

გ. ჯიბლაძე ილია ჭავჭავაძის შესახებ წერს:

„ავიღოთ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საკითხი. 60-იან წლებში მატერიალიზმით დაინტერესებული ილია ჭავჭავძე აღიარებს მატერიალისტურ დებულებებს, თუმცა მხატვრულ შემოქმედებაში იხსენიებს ღმერთსაც და ქრისტესაც. მაგრამ ღმერთისა და ქრისტეს სახელის ხსენება რომ მარტოოდენ იდეალისტებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი, მაშინ ძველი დროის მატერიალისტები, მათ შორის, მეცხრამეტე საუკუნის ის მატერიალისტები, რომლებიც ხშირად იხსენიებდნენ ერთსაც და მეორესაც, იდეალისტებად უნდა გამოგვეცხადებინა. რელიგია სხვა ძალა იყო, სხვა სამოსელი ჰქონდა, ის კვებავდა იდეალიზმს, მაგრამ ბევრი მატერიალისტიც არ შორდებოდა ქრისტიანულ მორალს, თუმცა თავისი მოძღვრებით აშკარად უპირისპირდებოდა დოგმატიზმსა და იდეალიზმს. ეს მომენტი მით უფრო გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის ადრინდელი მსოფლმხედველობის დახასიათების დროს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცით ის დიდი იდეური ჭიდილი, რასაც ახალგაზრდა თერგდალეული განიცდიდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე... ცხოვრებასთან ჭიდილში ყალიბდებოდა ილია ჭავჭავაძის მთელი მსოფლმხედველობა, რომელიც სინამდვილის პასიური ჭვრეტიდან თანდათან აქტიურ პოზიციას იკავებდა“ (22, ნაწ.II, გვ.441).

ილია ჭავჭავაძემ ბავშვობა და დაწყებითი სწავლის დრო რელიგიურ გარემოცვაში გაატარა. ასე, რომ როგორც ყველა მაშინდელი ახალგაზრდა, ისიც გამსჭვალული იყო ღმერთისადმი თაყვანისცემითა და რელიგიური მოძღვრებით. ილია თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ მისი პირველი მასწავლებელი იყო „სოფლის მთავარი“ – ესე იგი სოფლის მთავარდიაკონი, რომელიც „სოფლის გლეხკაცობის შვილებსა და მას ასწავლიდა წერა-კითხვას“ და „მომხიბვლელი თქმით“ მოუთხრობდა „საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის

ამბებსა“. ამის შემდეგ მიაბარეს პანსიონში, ხოლო 15 წლისა, თბილისის გიმნაზიის მოსწავლე გახდა. როგორც ცნობილია, გიმნაზიაში მოსწავლეებს საღმრთო რჯულსა და საღმრთო ისტორიას აზეპირებდნენ. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ილია 1857 წელს ხდება პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი და აქედან იწყება მასში, თანდათან, რელიგიური რწმენისაგან განთავისუფლება და მისი მსოფლმხედველობის გარდატეხა. აქ ეცნობა ილია ევროპის და რუსეთის ახალ იდეებს, ფილოსოფიურ მოძღვრებებს, სოციალური საკითხების ახსნა-განმარტებებს და მასში ხდებოდა აზროვნებისა და მსოფლმხედველობის ცვლილება, მიიღო მატერიალისტური მიმართულება და შემდგომ, საბოლოოდ დაკარგა ღმერთისადმი რწმენა. ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების განხილვა რელიგიის მიმართ, ამ საკითხის გაგება, ეს არც თუ ისე რთულია, როგორც ამას წარმოგვიდგენენ ზოგიერთი ლიტერატორები და კრიტიკოსები.

იმ დროს, როდესაც მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძე, (ჩვენ ზემოთ არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული), საქართველოში მძვინვარებდა სასტიკი ცენზურა, რომელიც სდევნიდა ყოველგვარ როგორც პოლიტიკურ, ასევე იდეოლოგიურ აზრების გამოხატვას არსებულ წყობილების საწინააღმდეგოდ. ამიტომაც ილია იძულებული იყო თავისი აზრები რელიგიის შემწეობით ფარულად გამოეთქვა და საზოგადოების აღშფოთებაც როგორღაც დაეცხრო. იგი რელიგიასაც იყენებდა პოლიტიკურ ბრძოლაში და ცდილობდა, რომ რელიგიაც ჩაეყენებინა ეროვნულ და სოციალურ კეთილდღეობის სამსახურში.

ილია ჭავჭავაძე თავის ნაწერებში, წერილებსა და ნარკვევებში, (ლიტერატურული მოღვაწეობის საწყისი დროის გარდა), აზრებს გამოხატავდა ისე, რომ თუ, კაცი დაუკვირდებოდა, რელიგიის იდეოლოგიისაგან სინამდვილეში აღარაფერი რჩებოდა. ყველა მისი ნაწერი და ნაშრომი, გამსჭვალულია მატერიალისტური იდეებით. კრიტიკულად უდგებოდა და აკრიტიკებდა ეკლესიასაც, მღვდელსაც და თვით ღმერთის მცნებასაც. ამავე დროს, აღნიშნავდა ქრისტიანული რელიგიის იმ დადებით მნიშვნელობას, რომლის შემწეობითაც საქართველომ თავის სახე შეინარჩუნა გარეშე მუსულმანურ სამყაროს თავდასხმებისაგან.

სტუდენტობის დროინდელ, ადრე დაწერილ ლექსებიდან („სანთელი“, „სიზმარი“, „ლოცვა“ და სხვ.), ჩანს ილიას ძველი მსოფლმხედველობის რღვევა. იგი აცხადებს, რომ ღვთაების მიერ შექმნილი ბუნება და ადამიანი, სიკვდილის შემდეგ კი არ განაგრძობს ცხოვრებას, არამედ მისგან რჩება მხოლოდ „გამხმარი მტვერი“. ხოლო 1859 წელს დაწერილ ლექსში „გავსწორდეთ, ბედო!“, ახალგაზრდა პოეტი ხმამაღლა აცხადებს, რომ ღმერთისადმი რწმენამ მას სი-

ცოცხლეში მოუკლა ნუგეში და ტკბილი ოცნებები, მას ბედი თავის ნებაზედ ათამაშებდა, რაც გულზედ ატყვია მისი ბრჭყალები. მაგრამ ამიერიდან „წარვიდნენ დღენი შენის უფლების“ და მან უარყო ღმერთი. იგი თვითონ შექმნის თავის ბედს და თვითონ იბატონებს მასზედ და ეუბნება ღმერთს:

„დროა დავცალოთ ჩვენ ადგილები...
შენს დუდუკზედა აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და – შენ კი იხტუნე“ (1, ტ.1, გვ.40).

ერთი წლის შემდეგ, დაწერილ დაუმთავრებელ დრამატულ პოემაში „ირაკლი“, პოეტმა ახალგაზრდა ირაკლის სახით აშკარად გამოხატა თავისი შეხედულებები სარწმუნეობის მიმართ. იგი საბოლოოდ უარყოფს ღმერთის არსებობას, ღმერთის მოქმედებებს, აკრიტიკებს სარწმუნეობის მოძღვრებას. უარყოფს მოსაზრებას, რომ ეს ქვეყანა „ბაღია ღვთისა“, უარყოფს შეხედულებას ღმერთის მიერ სამყაროსა და ადამიანის შექმნას. სხვადასხვა საკითხების განხილვის შემდეგ, ირაკლი აკრიტიკებს შეხედულებას ღმერთის მიერ ადამიანის სიყვარულს, რადგან იგი ჩვენგან თხოულობს მისდამი გამუდმებით ლოცვას და აცხადებს, რომ რაღაა ის სიყვარული, თუ კი ღმერთი სამაგიეროს გადახდას ითხოვს და პირადაპირ უცხადებს ღმერთს:

„თუ შენ გიყვარვართ, რაღად ითხოვ ჩვენგან ლოცვასა,
სიყვარულშია ალაგიცა არ აქვს თხოვნასა,
შენ დესპოტი ხარ! გიყვარს ხვეწნა და თაყვანისცემა,
მაგრამ მათ ჩემგან შენი სიბრძნე ნუ ელოდება“ (1, ტ.I, გვ.350).

ირაკლის თქმით, განმარტოებული, მარტოდ-მარტოდ მყოფი ღმერთი, არ შეიძლება, რომ იყოს ბედნიერი, რადგან მშვენიერება მხოლოდ მიწიერია, მიწიერი ცხოვრება, მიწიერი სილამაზე, არის ის, რომლისკენაც მიისწრაფვის ადამიანი და არა უკვდავ სულსა და ღმერთისაკენ. ყოველი ადამიანი თვითონ არის თავისი ბედის გამგებელი. იგი აცხადებს:

„ჩვენი სამოთხეც, ჯოჯოხეთიც თითონ ვართ ჩვენა“ (1, ტ.I, გვ.351).

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი შესანიშნავი პოემა „განდეგილი“ წარმოადგენს ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ნაწარმოებს, სადაც დაგმობილია ცხოვრებისაგან განდგომა და სიცოცხლე განსახიერებულია ახალგაზრდა ქალის სახით, რომელიც მარადიულია. მღვდელი, განდეგილი, რომელიც გამოექცა მიწიერ ცხოვრებას, საზოგადოებას და თავი შეაფარა მიუვალ მყინვარში გამოკვეთილ ტაძარს

და რომელიც „დღე-და-ღამ“ ხატზე დაყრდნობილი მხოლოდ ლოცვა-ვედრებაში ატარებს, უპირისპირდება მასთან შემთხვევით მოხვედრილ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა მწყემს ქალს, რომელსაც ვერ წარმოუდგენია ასე განმარტოებით ცივ მყინვარში ცხოვრება და იგი საბოლოოდ ანადგურებს განდეგილის შინაგან და სულიერ სამყაროს, მის რელიგიურ რწმენას. ჩვენ აღარ გავაგრძელებთ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ შემოქმედებაში რელიგიის შესახებ მსჯელობას (ილიას ლიტერატურული შემოქმედება განხილულია შემდგომ II წიგნში).

როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა იდეოლოგიამ მეტად დიდი მნიშვნელობა იქონია ქართველი ხალხის გაერთიანებასა და გადარჩენაში. როგორც ვ. გოგუაძე აღნიშნავს „ამიტომ, მან ისარგებლა ძველი გამოცდილებით და მიუხედავად თეორიულად რელიგიისადმი სრულიად უარყოფითი განწყობილებისა, მან, როგორც პრაქტიკულმა მოღვაწემ, გარკვეული კომპრომისის დამყარება სცადა მასთან. ამასთან... ამ „კომპრომისის“ საფუძველს წარმოადგენდა ძირეული ცვლილება არსებულ ეკლესიისა და სამღვდელოებაში, რელიგიური მოძღვრების ჩაყენება ყოველდღიური ცხოვრების სამსახურში. ეკლესიის საკითხი მან პოლიტიკური ღირებულების საკითხად აქცია, ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამოცანას დაუკავშირა. 900-იან წლებში, როდესაც ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად დასვა საქართველოსათვის თვითმმართველობის მინიჭების აუცილებლობის საკითხი, დიდი გულმოდგინებით მოკიდა ხელი აგრეთვე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის (დამოუკიდებლობის) საკითხსაც, რამდენადაც მან ეს უკანასკნელი საკითხი განუყრელად დაუკავშირა პირველს. ამიტომ ცხადია, რომ მას ქართული ეკლესიის ავტოკეფალია აინტერესებდა პოლიტიკური და არა წმინდა რელიგიური თვალსაზრისით. „უნდა ითქვას,— წერს ქრ. რაჭველიშვილი — რომ ქართულ ეკლესიის საკითხს მაშინ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა... რადგან თვითმპყრობელობა ეკლესიასაც ქართველთა რუსიფიკაციის მიზნებისათვის იყენებდა, ამიტომ ილია ჭავჭავაძისათვის — ეს იყო ერთ-ერთი რგოლთაგანი ეროვნულ უფლებათათვის ბრძოლისა. „ (26, გვ.241). ასე, რომ ილიას აზრით, რელიგიასაც უნდა მიეღო მონაწილეობა და ეხლაც უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა ქართველი ხალხის გაერთიანების საქმეში, რადგან მან კარგად იცოდა, რომ გაერთიანების გარეშე, კლასებად დაყოფილი ქართველობა დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა და რუსეთის კოლონიურ მონობისაგან თავს ვერ დააღწევდა. სწორედ ეს იყო მთავარი დედააზრი ილიას მოქმედებაში და ამისკენ მიილტვოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამას მოუწოდებდა

და უმტკიცებდა ქართველ ხალხს, რომ გაერთიანებულიყვნენ. თუმცა ზოგიერთნი ილიას ამ მოწოდებას ვერ გებულობდნენ, უფრო სწორად არ გებულობდნენ და არც ცდილობდნენ ილიას ამ მოწოდების გაგებას. ზოგიერთი საბჭოთა კრიტიკოსი განაგრძობდა ილიას კრიტიკას და მის ამ მოთხოვნას ერთ-ერთ მთავარ ნაკლად და შეცდომად თვლიდნენ. რადგან კლასთა შორის შერიგებას ისინი მიუღებლად თვლიდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეურიგებლობა, დღევანდელ დღესაც გრძელდება და იმის მაგივრად, რომ ერთად, ერთ დროშის ქვეშ, ერთად დავიცვათ მამული, ზოგიერთები, თავისი პატივმოყვარეობისა და თავმოყვარეობის გამო და ეგრათ წოდებული „რუსოფილები", ცალ-ცალკე ვიწევით და ერთმანეთის მტრობით „ვერთობით". ამით კი სარგებლობს რუსეთი და ცდილობს თავისი მიზანი (საქართველოს დაპყრობა) განახორციელოს.

როგორც ზევით არაერთხელ აღვნიშნეთ, მოწინავე ქართველი ახალგაზრდობა გაეცნო რა ევროპის ახალ იდეებსა და ფილოსოფიის საკითხებს, ეზიარნენ მატერიალისტურ საკითხებსაც.

1858 წელს, ნათესავის ნენესათვის გაგზავნილი წერილი „წერილი ნენე დიმიტრის ასულ ანდრონიკაშვილისადმი" ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ წერილში ჩანს ილიას დამოკიდებულება რელიგიისადმი, მას ამ დროს, როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ სწამდა ღმერთიც და საიქიოს არსებობაც.

„მწერდი, ელენეს ამბავი მომწერეო. როგორათაც ელენე, აგრეთვე მისი მეუღლე ილიკო, სასახლეში დიდის პატივით მიიღესო, ძალიან პატივით, მეტი რომ არ შეიძლება, ასე ამბობენ. კარგათაც ცხოვრობენ, მაგრამ ეხლა ძალიან შეწუხებულნი არიან ორნივ თავის ქალის სიკვდილზედ. რა უგრძნო რამ არის სიკვდილი; აბა, პატარა გაუშლელ კოკორსაც აშორებს დედის გულს და მიაქვს საუკუნოთ. თუმცა ყველა ჩვენგანი დარწმუნებული არის, რომ საიქიო უფრო ტკბილია თავის განუსაზღვრელ ნეტარებით, ნუგეშით და სიწმინდით, თუმც დარწმუნებული ვართ, რომ ის გაუშლელი კოკორი გასაშლელათ უფრო მშვენიერს ბაღნარში გადასახლდა, მაგრამ მაინცა დედა შესაბრალისია შვილის საუკუნოს განშორებაზედ. ელენე ძალიან ჰსწუხს, როგორათაც დედა, რომელსაც წაერთვა ერთი ძვირფასი ამა ცრუ-სოფლის ნუგეში; ცოცხლები იყვნენ, თორემ ღმერთი მოწყალეა, ერთი დაჰკარგა, სხვას აჩუქებს ღმერთი" (1, ტ.10, გვ.13).

რამდენიმე ხნის შემდეგ, მასში მოხდა გარდატეხა და მან საბოლოოდ დაკარგა ღმერთისადმი რწმენა. ერთ-ერთ წერილში, რომელიც მან მისწერა 1872 წელს დავით ერისთავს, აღნიშნავდა, რომ მისთვის, ილიასთვის, ღმერთის ხსენებაც კი სასაცილოა, ვინაიდან ყველამ იცოდა, რომ პირადად მას ღმერთი არ

სწამდა. „მე ოცდაორი ივლისიდამ ოცდაექვსამდე შინ ვიქნები. თუ ღმერთი გწამს (რა კაცს გიხსენებ ღმერთსა!...), გადმოდი ერთი მასლაათით სული მოვიბრუნოთ“ (1, ტ.10, გვ.34). ხოლო, მეორე წერილში, რომელიც მისწერა ილიამ ამავე წელსვე, კირილე ლორთქიფანიძეს, პირდაპირ აცხადებს, რომ როგორც თვითონ, მასაც ღმერთი არ სწამს. „დღეს მივყავ ხელი გლახის ნაამბობის გაგრძელებას. ღვთით, რომელიც შენ არ გწამს, დასრულდება“ (1, ტ.10, გვ.28).

ვ. გოგუაძე ამ წერილების შესახებ აღნიშნავს, რომ დ. ერისთავისადმი მიწერილ წერილში „ის არის საყურადღებო, რომ ილია ჭავჭავაძე თავისთავს ისეთ ადამიანადა სთვლის, რომლისაგან ღმერთის ხსენება სასაცილოც კია, რადგან იგი მას არა სწამს... ჩანს, რომ ასეთი ათეისტური განწყობილების ყოფილა არა მარტო ილია ჭავჭავაძე, არამედ დავით ერისთავიც, რომლისადმიც ეს წერილია მიმართული, რადგან თუ არა ეს, ასეთი ტონით არ იქნებოდა იგი დაწერილი“. მეორე წერილის შესახებ იგი წერს, რომ: „ჩანს, ამ პერიოდში ათეისტური განწყობილება არამც თუ ჩაქრა ქართველ 60-იანელებში, არამედ უფრო გაშლილა და ამ თვალსაზრისზე მდგარან არა მარტო ილია ჭავჭავაძე და დავით ერისთავი, არამედ სხვებიც, კერძოდ, კირილე ლორთქიფანიძეც... ეს ორივე გამოთქმა, როგორც თავისი თავის, ისე ლორთქიფანიძის მიმართ, აშკარად ლაპარაკობს იმ ათეისტური განწყობილების შესახებ, რომელიც გავრცელებული ყოფილა 70-იანი წლების ქართულ პროგრესულ აზროვნებაში“ (26, გვ.251).

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ რელიგიის მიმართ ილია ჭავჭავაძის შეხედულებაზე, ჩვენ უნდა განვიხილოთ მისი ერთ-ერთი, 1889 წელს შექმნილი, შესანიშნავი ნაშრომი „აი ისტორია“. სადაც გადმოცემული აქვს თავისი მოსაზრებები რელიგიის საწყისს დროზე, რელიგიის წარმოქმნაზე, სხვადასხვა სარწმუნეობებზე და ღმერთებზე, ცივილიზაციისა და საქართველოში სარწმუნეობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

ეს ნაშრომი, ჩვენთვის იმითაც არის საყურადღებო, რომ ილია ჭავჭავაძე ახსნა-განმარტებას იძლევა და ამავე დროს მეცნიერულად ასაბუთებს რელიგიურ რწმენისა და ღმერთის წარმოშობის მიზეზებს. მისი აზრით, ისტორია თვითონ განაგებს და განსაზღვრავს მოვლენებს და რელიგიის სხვადასხვა მიმართულების ჩამოყალიბებასა და მის განვითარებას. ილია, ყოველ მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, მოვლენების ახსნა-განმარტებას ასაბუთებს მეცნიერების გამოკვლევებითა და გამოთქმებით, რომლებიც თავიანთ დარგში, სათანადოთ ცნობილ პიროვნებებად ითვლებოდნენ:

მაქს ვებერი (Weber) (1864-1920) – სოციოლოგი, ისტორიკოსი, ეკონომისტი და იურისტი.

ჯონი ლებბოკი (Lubbock) (1834–1915) – არქეოლოგი, ეთნოგრაფი და ზოოლოგი;

ჰერბერტ სპენსერი (Spenser) (1820–1903) – ფილოსოფოსი და სოცი-ოლოგი, პოზიტივიზმის ერთ-ერთი მამამთავარი;

ფრანსუა ლენორმანი (Lenjrmand) (1837– 1883) – აღმოსავლეთმცოდნე;

ედვარდ ტეილორი (ტაილორი) (Tylor) (1832–1917) – ეთნოგრაფი და კულტუროლოგი;

ალექსი უვაროვი (1825–1884) – არქეოლოგი და სხვები.

ილიას აზრით, რელიგიისადმი რწმენა ჩამოყალიბდა პორველყოფილი ადამიანის გონებაში, იმის გამო, რომ იგი ვერ ხსნიდა მის გარშემო არსებულ წარმოქმნილ ბუნების მოვლენებს, ეძებდა იმ ძალას თუ რა ქმნიდა ბუნების ამ ცვალებადობას და ამიტომ ქმნიდა ღმერთებს, ვინაიდან მისი გონების წარმოსახვით ეს ძალა, ღმერთი, ყოვლის შემძლებელი იყო.

დღევანდელ დღესაც, ხალხთა ველური ტომები, (სხვათა შორის არა ველური ტომებიც), ბუნების მოვლენებს ხომ ღმერთებს მიაწერენ. ბუნების ძალების მოვლენების აუხსნელობამ გამოიწვია ადამიანის გონებაში რელიგიური რწმენის ჩამოყალიბება, მრავალღმერთობა, კერპობა და ერთ ღმერთობა. ხოლო, საზოგადოების თანდათან განვითარების შედეგად, ადამიანი რელიგიური თვალსაზრისითაც უფრო აზუსტებდა და ქმნიდა სხვადასხვა ღმერთებს. მისი გონების სისუსტის გამო, რადგან ბუნების ძალების მოქმედებას ვერ ხსნიდა, ღმერთებს უკავშირებდა ცას, მზეს, მნათობებს და სხვა, ილიას თქმით, საერთო გარემო პირობების გამო, ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში ერთნაირი ღმერთების წარმოსახვა სხვადასხვა სახელწოდებებით. ილია წერს:

„ვისაც შედარებითის მეთოდით უსინჯავს სხვადასხვა რჯულნი, რომელთა ცნობაც მეცნიერებას დღეს ხელთა აქვს, იმას ეცოდინება, რომ ძალნი სოფლის მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიჰშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალნი კაცის გონებისათვის მოუწვდომელნი და გამოუცვნელნი არიან. გონება-კი ადამიანის, იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც

გინდა იდგეს კაცი,— ველურია თუ განათლებული,— ყოველთვის წინ უდგა ამ მრავალფერ ქვეყანაში ჭირვეული საკითხი: საიდამ რაა და როგორ? ტეილორი ამბობს, რომ ესეთი საკითხები მარტო განათლებულის კაცის კუთვნილებას არ შეადგენს და ველურს კაცსაც ისე აეკვიატება ხოლმე, როგორც მეცნიერებით გონებაგახსნილსაო.

რაკი ესეა და ბუნების დიდნი მოვლენანი უმეცნო კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქმნას ახლად ფეხადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლად-შემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რის მიზეზი და სათავეც თითონ ვერ გამოუცვნია და ვერ მისწვდომია. აქედამ არის წარმომდგარი ის, რომ უწინდელ დროების ერნი, და ეხლაც ველურნი, ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქმნიან და ღმერთი ხომ ყოვლად-შემძლებელია... სხვადასხვა რჯულთა, სხვადასხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა თუ საგანში ცალკე მიუწვდომელი ძალი უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად...

ამიტომაც ერთისა და იმავე თვისებისა და მნიშვნელობის ღმერთნი, ხოლო სახელების სხვაობით-კი ყველა ერში მოიპოვებიან. შედარებითი მითოლოგია საოცარის, მაგრამ უტყუარის საბუთებით გვიმტკიცებს ამას“ (1, ტ.4, გვ.116–117).

ილია ჭავჭავაძე გაეცნო რა სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომებს, საბოლოოდ გამოაქვს დასკვნა, რომ სარწმუნეობამ, რელიგიურმა რწმენამ, თანდათან, ადამიანის გარემოების ცვალებადობის შესაბამისად, ერთნაირი რელიგიური განვითარების საფეხურები განვლო.

ილიას აზრით, პირველი სარწმუნეობა, წარმოადგენდა ცისადმი თაყვანისცემას და ეს იყო ცა, **ერთ ღმერთობა (მონოთეიზმი)**, ყველა სარწმუნეობისათვის საწყისი.

ადამიანთა შემდგომი გონების, აზროვნების და იდეის განვითარების შედეგად წარმოიქმნა **მრავალ-ღმერთობა (პოლითეიზმი)**. ეს იყო სარწმუნეობის განვითარების მეორე საფეხური, როდესაც ადამიანმა თაყვანი სცა მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს.

„ამ ორ ხანაში ადამიანს წარმოდგენილი აქვს ღვთაება განყენებულად; აქ ღვთაება იდეაა, აზრია და მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს“ (1, ტ.4, გვ.108).

დროთა განმავლობაში თანდათან ადამიანს გონება, აზრი უვითარდება და სარწმუნეობაც განიცდის განვითარებას. იგი უკვე ამ უხილავ ღმერთებს აძლევს ხილულ სახეს და თაყვანს სცემს. ესე იგი ქმნის კერპებს. თვითეული კერპი წარმოადგენს უხილავ ღმერთს. ეს არის სარწმუნეობის განვითარების ახალი დრო, ადამიანის გონებისა და აზროვნების განვითარების ახალი ხანა, როდესაც მის წარმოდგენაში წარმოსდგა უხილავი ღმერთი ხილული სახით და მან მისცა ღმერთებს ადამიანის მსგავსი გამოსახულება. ილია წერს:

„დიდი დრო გადის, ვიდრე ადამიანი ცალკე გამოარკვევს ხილულ ბუნებისაგან უხილავ, ხორცუსხმელს ღმერთებს და ხილულად და ხორცსხმულად გარდაქმნის სალოცავად. კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა – ან გამოხატულობით, ან გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნეობის განვითაერებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველდაწყებით ბუნების რჯულს რომ შეედაროს. ადამიანს დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ-წაწევა განვითარების გზაზედ, ვიდრე კერპთმსახურებამდე მიაღწევდა.

კერპთმსახურებაო, – ამბობს ლებბოკი, – უცილობლად წარმოადგენს უკვე უმაღლესს ხარისხს სარწმუნოებისასა და ერთობ მოასწავებს გონების განვითარებას, აღმატებულობას, იმაზედ გაცილებით შორს, რასაც წარმოადგენს პირუტყვთა და ცის მნათობთა თაყვანისცემა. კერპობა არისო ნივთიერად გამოხატულობა ღმერთებისა და კერპთმსახურება კაცობრიობის წარმატულობის უმაღლესს ხარისხს გვიმტკიცებსო“ (1, ტ.4, გვ.109).

ამ დროის ადამიანი, უკვე ყოველ ბუნების მოვლენას და ამ მოვლენის აღთქმულ კერპს, რომელიც წარმოადგენს უხილავ ღმერთს, აძლევს რაღაც აზრს. პირველყოფილი ადამიანის გონებაში, უხილავ ძალებს მიეცათ ადამიანზე ზემოქმედების ჯადოსნური უნარი, მატერიალისტურ საგნებს აძლევდნენ და მიაწერდნენ ზებუნებრივ თვისებებს. ჩამოყალიბდა პირველყოფილი რელიგიის ნაირსახეობა: **ანიმიზმი, ტოტემიზმი** და **ფეტიშიზმი**.

ანიმიზმი, პირველყოფილი საზოგადოების რელიგიის, სულისა და აზროვნების რწმენაა, როდესაც პირველყოფილი ადამიანის აზრით, ზებუნებრივი, ზეგრძნობითი ძალები ახდენდნენ გავლენას არა თუ ადამიანისა და ცხოველების სიცოცხლეზე, არამედ გარე სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე. „ანიმისტური წარმოდგენები დაედო საფუძვლად რელიგიურ რწმენებს; საერთოდ, ანიმიზმი ახასიათებს ყოველგვარ რელიგიას“ (48, გვ.28).

ტოტემიზმი, ესეც რელიგიის უძველესი ერთ-ერთი ნაირსახეობაა. იგი წარმოიშვა გვაროვნული წყობილების დროს, როდესაც ადამიანი ცხოველს, მცენარეს

ან გარე სამყაროს და ბუნების რაიმე მოვლენას უკავშირებდა რაიმე საგანს, მის გამოსახულებას და სიმბოლოს თვლიდა მის წინაპრად. აგრეთვე ადამიანთა ჯგუფს. ტოტემათ მიღებულ ან არჩეულ საგნის დაზიანება, მოკვლა, მისთვის ზიანის მიყენება ან შეჭმა სასტიკად აკრძალული იყო. ტოტემი ითვლებოდა ადამიანთა დამცველად. ტოტემიზმი, გვაროვნული წყობილების დაშლის შემდეგ ქრება. ტოტემიზმის გადმონაშთები შემორჩენილია დღევანდელ დღეს მომქმედ რელიგიებში, მითებსა, ზღაპრებსა და ფოლკლორში. ტოტემიზმი დღესაც მოქმედებს აბორიგენელ ტომებში.

„ტოტემიზმი გავრცელებულია ავსტრალიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, მელანეზიის, პოლინეზიის, აფრიკის ტომებს შორის. ტოტემიზმის გადმონაშთები შემორჩენილია განვითარებულ რელიგიებში (ღმერთი როგორც მორწმუნეთა მამა, წმინდა და უწმინდური ცხოველები; ზიარება როგორც ღმერთის სხეულის მიღება), ფოლკლორში (ზღაპრები ცხოველებთან ადამიანების საქორწინო და ნათესაური ურთიერთობების შესახებ)“ (48, გვ.572).

ფეტიშიზმიც პირველყოფილი რელიგიის ერთ-ერთი სახესხვაობაა. ამ დროს, მატერიალურ საგნებს თაყვანს სცემენ, რომელსაც ზებუნებრივ თვისებას მიაწერენ. ფეტიშად მიიჩნევდნენ საგნებს, გამოსახულებებს, რომელსაც შემთხვევით ამოირჩევდნენ, ან აღიარებდა ჯადოქარი ან ქურუმი. ფეტიშიზმი ვლინდება თითქმის ყველა თანამედროვე რელიგიაში.

თანდათან, დროთა განმავლობაში, ადამიანის წარმოსახვაში, ამ მრავალ ღმერთთა შორის, ყალიბდება ერთი უზენაესი სამეული, ხოლო შემდეგ სხვა უმცროსი, დაბალ საფეხურზე მდგომი, მეორე ხარისხოვანი ღმერთები.

როგორც ცნობილია, თანდათან წარმოიშვა მრავალღმერთიანობა (პოლითეიზმი – ბერძ. poly – ბევრი, theos – ღმერთი) და ერთღმერთიანობა (მონოთეიზმი – ბერძ. monos – ერთი). პირველყოფილი ადამიანის დაბალი განვითარების საზოგადოების დაშლის შემდეგ, როდესაც პირველყოფილმა ტომებმა უსულო საგნებისადმი თაყვანისცემა, სულებისადმი რწმენა, შეცვალეს სხვადასხვა რწმენით. ამ ღმერთების სათავეში მოექცა უზენაესი ღვთაება, მაგრამ ეს მეუფე ღმერთი არის მხოლოდ არსებით, მაგრამ ამავე დროს იგი სამპიროვანია ანუ „სამგვამოვანი“. ესე იგი ფაქტიურად მასში გაერთიანებულია სამი ერთნაირი სიძლიერის წარმოსახვითი ღმერთი. **ქრისტიანობაში** – წმინდა სამება (მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა), მოციქულთა თაყვანისცემა, ღვთისმშობლისა და წმინდა კულტები. შემდეგში, თანდათან „მონარქიის შექმნამ თავდაპირველად გამოიწვია ერთის თაყვანისცემა, ერთი ღმერთის კულტი, მაგრამ

ამასთანავე სხვა ღმერთების არსებობასაც აღიარებდნენ. ამის შემდეგ ღმერთების პანთეონიდან გამოიყოფა ერთიანი ყოვლისშემძლე ღმერთი – მიწიერი ღმერთის ასლი; მტკიცდება მონოთეიზმი. მაგრამ მონოთეიზმი წმინდა სახით არ არსებობს. თვით ისეთ მონოთეისტურ რელიგიაშიც კი როგორიცაა ისლამი და იუდაიზმი, შეიმჩნევა პოლითეიზმის ნაკვალევი, რომ არაფერი ვთქვათ ქრისტიანობაზე, მისი სამებით, ღვთისმშობლით და მრავალი წმინდანით“ (48, გვ.457).

ილიას, უზენაესი სამეულების შესახებ მსჯელობისას მოჰყავს ფ. ლენორმანის მეცნიერულად დამტკიცებული სიტყვები, ვანისა და არზრუმის მიდამოებში აღმოჩენილ ასურულ ლურსმულ წარწერის შესახებ, სადაც აღწერილია თუ როგორ თაყვანს სცემდნენ „ერთს უზანესს სამეულს (ტრიადას). ყველა წარწერა ჯერ იწყება ამ სამსამობის, თუ სამეულ ღმერთების მიმართ სავედრებელთა და მერე იხსენიებიან სხვა უმცირესნი, მეორე ხარისხის ღმერთებიო“ (1, ტ.4, გვ.110).

თუ რას ნიშნავს და რას წარმოადგენდა ღმერთების ეს უზენაესი „სამეულობა“, შედარებითი მითოლოგიის გამოყენების საშუალებით, ილია თვითონვე იძლევა განმარტებას:

„ბევრს ერს ქვეყნიერებაზედ – ზოგან მიბაძვით, ზოგან დამოუკიდებლად, – თვისის სარწმუნეობის ღმერთნი წარმოდგენილნი ჰყოლიათ გუნდ-გუნდად, უფროს-უმცროსობის და მაღალ-დაბალის ხარისხებით. თითო გუნდში მოუქცევიათ სამ-სამი ღმერთი თანასწორის ხარისხისა. ზოგან ამისთანა სამეული გუნდი ორია, ზოგან სამიც არის, და ამ სამეულთაგან წარმოშობილ არიან დანარჩენი დაბალის ხარისხის ღმერთნი.“ მაგალითად, წერს ილია: „ბაბილონსა და ქალდეაში ორი ამისთანა სამეული გუნდი იყო.“ უმაღლესი ღმერთების სამეულს წარმოადგენდა უზენაესი ღმერთი „ანუ“.

ილიას მოჰყავს მ. ვებერის სიტყვები: „პირველშობილი, უუძველესი ღმერთთა შორის, მამა ღმერთთა, მპყრობელი საუკუნისა“ (უკუნი = ბნელი, საუკუნე = საბნელე, საბნელეთი). ეს „ანუ“ იყო ღმერთი ცისა; მისი საბრძანებელი უძრავი ცაა, უძრავის ვარსკვლავებით. მეორე ღმერთი ამ სამეულისა „ეა“-ა და მოასწავებს შემოქმედობის ძალს ღვთაებისას, და მესამე – „ბელ“, გამჩენელი ზესკნელისა და გამგებელი ვარსკვლავთა მსვლელობისა ცის სივრცეზედ.“ ილია განაგრძობს და წერს: „ამ პირველ-ხარისხოვან სამეულისაგან ჩამოდიან მეორე სამეულის ღმერთნი: „სინ“, ღმერთი მთვარისა, ძე „ბელ“-ისა, მანათობელი და გამათბობელი დედამიწისა; „ბინ“, ანუ „რამან“ (სირიული „რიმონ“) ღმერთია ატმოსფეროსი,

წვიმისა, ჭექა-ქუხილისა და ელვის მომავლინებელი; და მესამე – „სამას“ ღმერთია მზისა, მპყრობელი ცისა, ძე „სინ“-ისა“ (1, ტ.4, გვ.110).

ამდაგვარი „სამეულობა“ სწამებიათ თურანელებსაც, ეგვიპტელებსაც და სხვებსაც.

როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძე ღმერთის წარმოშობას უკავშირებს ადამიანის დაინტერესებას ბუნების ძალების მიმართ, ამ ძალების გაურკვევლობას და ამიტომ პირველყოფილმა ადამიანმა ბუნების ამ მოვლენების ახსნა დაუკავშირა ღმერთს.

მისი თქმით, ღმერთის წარმოშობის ეს მოვლენა, ყველა ერისათვის დედამიწაზე ერთნაირი იყო და „სარჯულო ფილოსოფიის“ ერთნაირი განვითარების გზა გაიარა.

ისტორიას ბევრი რამ არ შეუნახავს, ჯერჯერობით დაფარულია და უცნობია ჩვენთვის. ამიტომ „გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის – შეიტყოს სასურველი, გაიგოს, აიხსნას უტყუარად და შეუცდომლად, მაგრამ ამისათვის ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად“ (1, ტ.4, გვ.27).

ადამიანი ცდილობს გაიგოს „პირველდაწყებითი მდგომარეობა თვითეულის ერისა“, „საიდამ წამოსულა, როგორ უვლია და სადამდე მისულა“. იგი ცდილობს გამოიკვლიოს და გაიგოს სარწმუნეობის წარმოშობაც და განვითარებაც. ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა, იკვლევდა და ეძიებდა, „თუ რა მდგომარეობაში იყო კაცობრიობა საზოგადოდ, ან თვითეული ერი ცალკე – მეტნაკლებობით“ (1, ტ.4, გვ.28).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია დიდ ყურადღებას აქცევდა ისტორიის ერთერთ დარგს არქეოლოგიას. იგი დიდი სიხარულით აღნიშნავდა თბილისში, სიონის სასულიერო ტაძართან, სასულიერო წოდების მიერ, საისტორიო მუზეუმის დაარსებას. მან, ამის შესახებ გაზეთ „ივერიაში“ 1889 წ. დაბეჭდა წერილი „საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“, სადაც აღნიშნავდა, რომ:

„ვინ არ იცის, რამოდენა ძველი ნაშთია გაფუჭებული აქა-იქ ეკლესიებში, მონასტრებში, რა დიდძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო-ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენის ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში იმდენი იკარგება, ჰფუჭდება და იღუპება. ეხლა-კი, რაკი მუზეუმი არის, ყოველი ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგა გამგებელთა ხელში

ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა, იმას აღარ ვიტყვით, რომ დღეის იქით შიგ ჩვენს დედა-ქალაქში შეიკრიბება ეგ ძველი ნაშთები, კაი ბინა ექნება, ყოველი ნივთი თუ ნაწერი, წესსა და რიგზედ გარიგებული და ამ გზით ყოველის მოწადინესათვის ადვილად ხელმისაწვდენი, და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად გამოსაყენი იქნება...

„ყოვლად წმინდის ღვთის-შობლის ძმათა“ საბჭოს საეკლესიო-საარქეოლოგიო ნაწილი მუზეუმისა ჩაუბარებია იმისთანა კაცთათვის, რომელთა შორის უფროს-ერთნი ცნობილ არიან, ვითარცა მცოდნენი და მკვლევარნი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისა“ (1, ტ.4, გვ.205).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წერილებიდან, „აი ისტორია“-დან ჩანს, რომ ილია სანამ დაწერდა ამ ნარკვევს, იგი გაეცნო ცნობილი მეცნიერების ნაშრომებს. ილია აღნიშნავს, რომ სამთავროს საფლავების აღმოჩენილ მასალების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ ეს საფლავები საოჯახო სამარხები ყოფილან და ყველა ერს ერთგვარი, ერთნაირი ჩვეულება ჰქონიათ, რაც გამოიხატებოდა საიქიო ცხოვრების რწმენაში. ვინაიდან ადამიანის გონება ვერ ხსნიდა და ვერ საზღვრავდა მიზეზს სიკვდილისას, თუ რატომ უქრებოდა მას სიცოცხლე, ამიტომ მისი ფიქრით ადამიანი დროებით სწყვეტდა აქ დედამიწაზე არსებობას, ცხოვრებას და სხვა ადგილას აგრძელებდა სიცოცხლეს, ესე იგი ხდებოდა მისი ცხოვრების გაგრძელება. ეს ცრუ რწმენა წარმოადგენდა ყველა დანარჩენ ცრურწმენათა საწყისს, რომელიც დაკავშირებული იყო გარდაცვალებასთან. რადგან ადამიანი და საერთოდ ყოველი გარდაცვლილი იმ საიდუმლო ქვეყანაში განაგრძობდა ცხოვრებას, ამიტომ წარმოიშვა ჩვეულება მკვდრისათვის ისეთივე პირობების შექმნა, როგორც სიცოცხლეში იმყოფებოდა და ამის გამო ატანდნენ საფლავში ყველაფერს, რაც მას აქ ჰქონდა.

მეცნიერთა გამოკვლევით, აღნიშნავს ილია:

„შედარებითი მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია სარჯულო ფილოსოფიისა, და ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად გადაქცეული, ყველა ერს იმისთანა ხანა ჰქონია, როცა სიკვდილი ჰგონებია დროებითი განსვენება, მიცვალება, მიბარება და არა სამუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა კაცობრიობას დღევანდლამდე შერჩა, ხოლო სხვა სახით. დღესაც გვწამს, რომ, როცა იქნება, მკვდრეთით აღვსდგებით, მეორედ მოვალთ; აქედამ იმ დროს მეორედ მოსვლას ვეძახით. ეხლა გვწამს, რომ სიკვდილით სააქაოს

ვშორდებით, პირველყოფილ დროს-კი სიკვდილს ისე უყურებდნენ, როგორც განგრძობას სააქაო ცხოვრებისას. ამასთანავე ეგონათ, რომ ადამიანი სიკვდილს შემდეგაც ისე სცხოვრობს, როგორც ცოცხლობის დროს, ისეთივე საჭიროება აქვს, ისეთივე სურვილი, ისეთივე წყენა და სიამოვნება, შიმშილი და წყურვილი“ (1, ტ.4, გვ.125).

დღემდე შემორჩენილი ჩვეულებები: ადამიანთა სულის შეწირვა, მიცვალებულის ტაბლა, ცხოველების შეწირვა და სხვა წესები, ეს ყველა წეს-ჩვეულება, ცრურწმენა, გამოწვეული არის საიქიო ცხოვრების რწმენიდან, ეს არის ძირითადი მთავარი რწმენა, რომელიც მიცვალებასთან არის დაკავშირებული. ეს ცრუ რწმენის წეს-ჩვეულებები ყველა ერმა გამოიარა. გარდა ამისა ძველს სამყაროში, მიცვალებულ სულს, რომ იქ, საიქიოში, ყველაფერი ისევე ჰქონოდა როგორც აქაურ სიცოცხლეში ჰქონდა, ატანდნენ სახმარ იარაღს, ცხენს, ხარს, მოსამსახურეებს, ცოლსაც კი და შვილსაც.

ილია, ჰ. სპენსერის ნაშრომის, „საფუძვლიანი სოციოლოგიის“ მიხედვით წერს:

„სპენსერი, როცა ამ მკვდრისათვის საჭმელ-სასმელზედ და მოსამსახურეების თან ჩაყოლებაზედ ლაპარაკობს, გვეუბნება, რომ ორი მიზეზი იყო ამისთანა წესისა და რიგისაო: ერთი ისა, რომ საჭმელ-სასმელი არ მოაკლდეს მიცვალებულის სულსაო და მეორე ისა, რომ მოსამსახურე და ცოლი იქაცა ჰყვანდესო. ეს პირველ ხანებში სამარხი რიგი იყოო და მერე თანდათან რჯულის წესად შეიქმნაო“ (1, ტ.4, გვ.127).

ილია, გადმოგვცემს, რომ დღემდე არის შემორჩენილი ზოგიერთ ერში და სარწმუნეობაში მიცვალებულთა დაწვა, რომელიც ადრე გავრცელებული იყო.

„ლებბოკი ამბობს, რომ ეს დაწვა მიცვალებულისათვის გადადებულის მსხვერპლისა – ადამიანია, თუ პირუტყვი – ყველა ძველ რჯულში მოიპოვებაო. ეს წესი წარმოადგენსო აუცილებელ საფეხურს ყოველის რჯულის განვითარების კიბეზედაო. იგი გვარწმუნებს, რომ არც ერთი რჯული არ არის, რომ ეს გზა არ გამოევლოსო. ლებბოკიც თანახმაა სპენსერისა, რომ ეს წესი ჯერ სამარხი წესი იყოო და მერე რჯულის წესად გადაიქცაო... ლებბოკი გვიხსნის, საიდამ წარმოსდგა ჩვეულება მკვდრისათვის გადადებულ შესაწირავის დაწვისა. იგი ამბობს, რომ ჯერ, რასაკვირველია, ეგონათ, მკვდრის სულნი მართლა სჭამენ შეწირულსაო და მერე, როცა არა ერთხელ და ორჯერ ნახეს, რომ შეწირული ხელუხლებლად რჩება და სულთაგან არ იჭმევა, აშკარაა ის აზრი ებადებათ, რომ სულნი მარტო სულიერ ნაწილს შეწირულისას იწირვენო.

აქედამ არის წარმომდგარი წვა შესაწირავისა, რომლის გამოც ხორციელი ნაწილი, სულთათვის უვარგისი, სრულიად იწვის, და სულიერი-კი, ბოლის სახით, მაღლა ადის, ვითომდა სულის სახმარად და სარგოდ.

იმავე გრძნობამ, იმავე მიზეზმა, რომელმაც ადამიანს ჩააგონა პირუტყვის შეწირვაო, ამბობს ლებბოკი, მიიყვანა ადამიანი შეწირვის უმაღლესს ხარისხამდე, ესე იგი კაცის მსხვერპლად შეწირვამდეო... ეს მსხვერპლად გაწირვა ადამიანისა ჩვეულებად ჰქონია ყოველს ერს მთელს ამ ქვეყნიერებაზედაო. ამის გამო სრულიად უსამართლო იქნება მივაწეროთ ეს ამბავი ადამიანის გამხეცებულობასაო. პირიქით, იგი გვანიშნებს ღრმასა და ღრმად გამსჭვალულს გრძნობას სარწმუნეობისას, მხოლოდ უკუღმართად და შეცდომილად მიმართულსაო“ (1, ტ.4, გვ.128).

როგორც დავინახეთ, ილიამ ამ ნარკვევში, „აი ისტორია“-ში, წარმოადგინა და აღწერა რელიგიის ანუ სარწმუნეობის, ღმერთის წარმოსახვა და გაჩენა. ამავე დროს, ამ ნაწარმოებში ჩანს მისი უარყოფითი დამოკიდებულება საერთოდ სარწმუნეობისადმი და კერძოდ, საიქიო ცხოვრებისადმი.

მისი აზრით, ქართული „სიტყვა „მიცვალება“, „მიცვალებული“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულად გაარარებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ, თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან“ (1, ტ.4, გვ.91). ილია პირდაპირ ამბობს, რომ სიცოცხლის აღსასრულია სიკვდილი და სიკვდილის შემდეგ გარდაცვლილი გარდაიქცევა სხვა სახის მატერიალურ ნივთიერებად, დაიშლება და გაიხრწნება.

„აი ისტორიის“ მეშვიდე და მეთოთხმეტე თავებში, ილია განიხილავს ცეცხლ-მსახურებას.

„მეცნიერთა სიტყვით ცეცხლ-მსახურება მეტად გავრცელებული და თითქმის მთელს ქვეყნიერებაზედ მოფენილი საყოველთაო რჯული ყოფილა. ცეცხლ-მსახურება ისე ხშირიაო, ამბობს ლებბოკი, რომ თითქმის მთელს მსოფლიოს რჯულად ჩაითვლებაო... არა ყოფილა არც ერთი ქვეყანა, ცოტად მაინც ცნობილიო, განაგრძობს იგი, რომ ეგ ცეცხლ-მსახურება რჯულს წესად არ ჰქონებოდესო“ (1, ტ.4, გვ.140).

ჯ. ლებბიკის თქმით, ეს ცეცხლ-მსახურება გავრცელებული ყოფილა ყველგან, სადაც კი ადამიანს უცხოვრია. „ამერიკაში თითქმის ყველგან შენიშნულია

ეგევე, ასე რომ თვით ველურთა შორისაც გავრცელებულიაო. რასაკვირველია, ამის შემდეგ, რომ ეგ რჯული ჩვენშიაც ყოფილიყოს.

ესე ერთმანეთზე დაშორებული ერთა შორის ერთისა და იმავე წესის არსებობა ცხადად გვიმტკიცებს იმას, რომ ცეცხლ-მსახურება შესაძლოა რომელსამე ქვეყანაში თავისითაც დაფუძნდეს, ერთმანეთის მიუბაძველად“ (1, ტ.4, გვ.141).

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ეს წერილი, „აი ისტორია“, იმითაც არის საინტერესო, რომ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე აღწერს ჩვენს ძველ ისტორიას, ჩვენში გავრცელებულ რწმენებსა და სარწმუნეობის ჩვევებს.

ილია წერს, რომ საქართველოში მეცნიერებს ჩაუტარებიათ არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი და აღმოუჩენიათ „ბევრი და ფრიად შესანიშნავი არქეოლოგიური ნაშთი. აღმოჩენილია კომენტსა და კობანს (ვლადიკავკასის მხარეა), სტეფან-წმინდას ანუ ყაზბეგს, დილიჟანს, წალკას, სართიჭალას და სხვ. ყოველს ამაში ყველაზედ ძვირფასნი ნაშთნი პოვნილია კობანს, დილიჟანს და ნამეტნავად სამთავროს...

სამთავროს საფლავები ძალიან კარგად გამოძიებულნი არიან იმისთანა მცოდნესაგან, როგორიც უვაროვია. ამ გამოძიებისაგან სჩანს, რომ სამთავროს საფლავები ორ-გვარნი კი არ არიან... არამედ სამგვარნი. უუძველესი საფლავები რიყის ქვით არის აგებული და მოწყობილი, მეორეა – აკლდამები დიდროვანის კლდის ქვისა და მესამე – უშველებელის აგურისა. ამაებში ნაპოვნი ნივთები კულტურის ნაშთნი არიან“ (1, ტ.4, გვ.102).

„სამთავროს საფლავებმა ბევრი რამ იმისთანა აღმოაჩინა, რომელიც ჰმოწმობს უწინდელ ქართველების კულტურის ასე თუ ისე სიდიდეს და სიმაღლეს“ (1, ტ.4, გვ.103).

ილია აღნიშნავს, რომ როგორც სხვაგან, სხვა ერებში, საქართველოშიც გავრცელებული ყოფილა კერპმსახურება, რაც მტკიცდება ლენორმანის მიერ აღმოჩენილი ასურელთა ლურსმული წარწერებიდან. ქართველ ტომებსაც სწამებიათ „სამეულობა ღმერთებისა“.

„შესანიშნავი ამ სამეულღმერთების გამო ის არის, რომ ქართველებს არამც თუ ასურელთა ეპოქაში, მერეც, მცხეთის გაძლიერების დროს, ეს სამეულობა არ დაუკარგავთ. ამას ამტკიცებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ფარნავაზის დროსაც სამეულ ღმერთებს გვისახელებს: „არმაზს, გაიმს და გაცის“ და უმატებს, რომ ამასთანავე „ქართლოსის“ საფლავსა ჰლოცულობდნენ და ჰფიცავდნენო“ (1, ტ.4, გვ.112).

ასურულ ლურსმნულ წარწერაში, ხორზაბადის სასახლის ბარელიეფზე, ლენორმანის თქმით, მოთხრობილია, რომ მათ, ესე იგი ასურელებს, გაუძარცვავთ საკერპო ტაძარი „ქალდისა“ და ნადავლის სახით წამოუღიათ დიდძალი განძი. ეს გაძარცული „იქაური მკვიდრნი, რომელთაც ლენორმანი ქართველებად ჰრაცხს, არამც თუ ენითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ სარწმუნეობითაც ერთნი იყვნენო, თუმცა-კი პოლიტიკურად ცალ-ცალკე დაყოფილ თემებს წარმოადგენენო“ (1, ტ.4, გვ.109).

ეს „ქალდი“, „ქალდისი“ ითვლებოდა „სამეულში“ უმაღლეს ღმერთად და წარმოადგენდა მთვარის კერპს.

ილიას ვარაუდით, ლურსმულ წარწერაში მოხსენებული მთვარის ღმერთი „ქალდი“, „ქალდისი“, შეიძლება იყოს „ქართლისი“, რომელიც შემდეგ, თანდათან „ბიზანტიის ზედგავლენით, „ქართლოსად“ გადაკეთდა და რომელიც ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველყოფილ წინაპარად, და რომელსაც ქართველნი მერეც თაყვანსა სცემდნენ, როგორც ჩვენი მატიანე გვაუწყებს“ (1, ტ.4, გვ.113).

ილიას ეს მოსაზრება, რომ საქართველოში უპირველესი ღმერთი მთვარის ღმერთი ითვლებოდა, შემდეგში დადასტურდა.

ჯ.ავახიშვილი ამის შესახებ წერს: „დამტკიცებულია, რომ მთვარე ქართველების უმთავრეს და ძლიერ ღვთაებად ითვლებოდა“ (6, ტ.I, გვ.97).

„სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია; ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომის უძველეს რწმენად უნდა ჩაეთვალოს“ (6, ტ.I, გვ.99).

ილია, ქართული სარწმუნეობის შესახებ აღნიშნავს, რომ ქართველ ტომებსაც ჰქონიათ პირველყოფილი სარწმუნეობა, რომელიც აისახებოდა ერთი ღმერთის სახით. რწმენის შემდგომი განვითარების შედეგად, ქართველებს მრავალ-ღმერთობა შემოუღიათ, ხოლო შემდგომ – კერპთმსახურება დაუწყიათ.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ჩვენს ღმერთთა ერთობლიობაში, ილიას თქმით, ორი სამეული ღმერთი ყოფილა, ერთი ასურელთა დროს და მეორე კი – მცხეთისა. ილია წერს:

„აშკარაა, ეს სამეულობა ღმერთებისა ჩვენშიაც, როგორც ბევრგან სხვაგან, ჩვენის ადრინდელის სარწმუნეობის გარკვეულს სისტემას მოასწავებს“ (1, ტ.4, გვ.113).

მისი თქმით, ჩვენს მატიანეში, „ქართლის ცხოვრება“-ში, დასახელებული სამეული ღმერთები: „არმაზი, გაიმი და გაცი“, გამოძიებულ უნდა იქნეს „თუ რა მნიშვნელობის ღმერთნი არიან“ და „რას მოასწავებენ“. ამ სამი ღმერთის გარდა, სხვა ღმერთებიც და კერპებიც გვქონია: „ბოჩი“, „ზადენი“, „აინინა“, „დანინა“ და „აფროდიტე“. რომელთა შესახებ წერს, რომ: „სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, – თვითეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენენ“ (1, ტ.4, გვ.115).

ილია ფიქრობს, რომ „თუ არ საკუთრივ მეათე საუკუნიდამ ქრისტეს წინათ, მეცხრიდამ მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპთმსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე“ (1, ტ.4, გვ.118).

როგორც ყველგან, საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული მკვდრისთვის პატივის მიგება.

აქაც ცდილობდნენ მიცვალებულისათვის ისე ეპატრონათ, რომ საიქიოში არა დაკლებოდათ რაიმე. ამიტომაც თან აყოლებდნენ საფლავში იარაღს, სამკაულებს, სუფთა ტანისამოსით მორთავდნენ, საფლავზე საკლავს კლავდნენ და სხვა.

ილიას თქმით, ეს სარწმუნეობის მიცვალებულთა წეს-ჩვეულებანი ჩვენში დღესაც არის შემორჩენილი. მკვდრის ხსენებაზედ ღვინის გადაქცევა მიწაზედ, პურის ჩასველება ღვინოში, წელიწადში ერთხელ სასაფლაოზე ხორაგის და ტაბლას მიტანა და სხვა. ილია წერს:

„ჩვენი კოლიო, წანდილი, ქელეხი, მკვდრის სულისათვის საკლავის დაკვლა სხვა არა არის-რა – გარდა იმისი, რომ ნაშთია იმ რწმენისა, ვითომც სული მიცვალებულისა არ მოგვიშივდესო და საზრდო მივაწოდოთო. ამ რწმენის ნიშნებს ბევრს სხვა ჩვეულებაშიც ი პოვის კაცი, თუ გონება გაადევნა“ (1, ტ.4, გვ.127).

წერილში, ილია აღნიშნავს, რომ ჩვენმა სახელოვანმა მებრძოლმა მეფემ ვახტანგ I გორგასალმა „მიანიჭა ჩვენს ეკლესიას თვითმყოფადობა, დაიხსნა ანტიოქიის დამოუკიდებლობისაგან“ (1, ტ.4, გვ.64).

რას წარმოადგენდა ქართველებისათვის სარწმუნეობა, კერძოდ ქრისტიანობა?

ილია ჭავჭავაძეს კარგად ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ისტორია. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან დაიწყო მისი განხილვა და რა თქმა უნდა, მან ყურადღება მიაქცია რელიგიის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში. ქრისტიანობას, ხომ მეტად დიდი ადგილი ეკავა საქართველოში. სარწმუნეობის უარყოფით მხარეებთან ერთად, იგი ბევრ დადებით ნიშნებსაც ხედავდა მასში.

სარწმუნეობის ეს ნიშნები შესანიშნავად აქვს აღწერილი ილიას, როდესაც მსჯელობს თამარ მეფეზე და მის დროინდელ საქართველოზე. იგი წერს:

„სრა-სასახლის მორთულობისა რა მოგახსენოთ და რაც შეეხება მონასტრებისა და ტაძრების განდიდება გაშენებასა და ერთობ ამაებზე დიდს ხარჯსა, სწორედ ამაშია დიდი სიბრძნე თამარისა, თუ მართლა ესენი მოუხდენია. ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნეობითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნეობისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისათვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნეობისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად“ (1, ტ.4, გვ.65).

ჩვენ განვიხილეთ წერილის „აი ისტორია“-დან ზოგიერთი ადგილები, სადაც ილია ჭავჭავაძე სარწმუნეობისა და ქრისტიანობის შესახებ მსჯელობდა და როგორც დავინახეთ, ამ ნარკვევში მას აღწერილი აქვს სარწმუნეობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

ჩვენის აზრით, სავსებით სწორად ახასიათებს ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებებს რელიგიის შესახებ.

„ილია ჭავჭავაძე სავსებით სწორად სვამს საკითხს რელიგიური რწმენის ისტორიულობის შესახებ და მისი წარმოშობის პირვანდელ მიზეზსაც სწორად ხედავს ადამიანის სისუსტეში ბუნების ძალთა წინაშე, მის უუნარობაში, აეხსნა მოვლენათა წარმომშობი მიზეზები, სავსებით სწორია აგრეთვე ის აზრიც, რომ რელიგიური რწმენის განვითარება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორი იყო გარემო, რომელშიც ადამიანებს უხდებოდათ ცხოვრება და ამიტომ, რელიგიის ადრინდელი განვითარების ისტორიული საფეხურები: ერთღმერთობა, მრავალღმერთობა და კერპობა კი არ განსაზღვრავდნენ საზოგადოების განვითარებას, მის პროგრესს, არამედ, პირიქით, იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდებოდა

საზოგადოება, ვითარდებოდა მისი გონებაც და, მაშასადამე, ვითარდებოდა მისი რელიგიური თვალსაზრისიც, ვითარდებოდა იმ გაგებით, რომ ადამიანი თანდათანობით უფრო აკონკრეტებდა წარმოდგენას ღმერთების შესახებ, რომელსაც თითონ ქმნიდა ბუნების იმ ძალთა ზემოქმედების შედეგად, რომელთა ახსნა-გაგებისათვის მისი გონება ჯერ კიდევ სუსტი, უძლური იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე საერთო მიზეზებში, ადამიანთა საერთო გარემო პირობებში ხედავს ილია ჭავჭავაძე იმის მიზეზებსაც, რომ სხვადასხვა ხალხსა და ქვეყნებში ჩნდებოდა ერთნაირი რელიგიური რწმენა, ერთნაირი ღმერთები, თუმცა შეიძლება განსხვავებულ სახელებში იყოს ისინი გამოხატული“ (26, გვ.256).

წერილში, „ოსმალოს საქართველო“, ილია ჭავჭავაძე გადმოგვცემს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქრისტიანობის რწმენის შენარჩუნებას მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულ ქართველობისათვის. ის იყო ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ძალა ქართველი ხალხის გადარჩენასა და შეკავშირებაში. ამიტომაც დამპყრობლები პირველ რიგში ცდილობდნენ ამ ძალის, ქრისტიანობის მოსპობას საქართველოში.

ილია ჭავჭავაძეს, წერილში, გადმოცემული აქვს საქართველოს ერთ-ერთი მხარის, ტაო-კლარჯეთის მედგარ ბრძოლას დამყრობლების წინააღმდეგ.

ილია წერს, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, „წმინდა ნინოს მოსვლამდე“, დაიწყო სამცხე-კლარჯეთში „ანდრია მოციქულის მოძღვრებითა“. აქედან დაწყებული, ქრისტიანობა წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ ძალას, მტრებით გარემოცულ ამ კუთხის გადარჩენაში; და როდესაც ჩვ. წ. 586 წ. ბიზანტიის ნებართვით სამცხე-კლარჯეთში ქართველი კათალიკოსი დაინიშნა „ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთ-მთავართა ზედა... მთელს საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა, სულიერად მაინც, თუ არ ხორციელად“ (1, ტ.4, გვ.10).

შემდეგში, პოლიტიკურად გართულებულმა მდგომარეობამ, გარეშე მტრების შემოსევებმა, განსაკუთრებით არაბების დროს, დაიწყო ქრისტიანობის სარწმუნეობის შესუსტება და მაჰმადიანობის გავრცელება.

ტაო-კლარჯეთის შესახებ, ილია წერს, რომ:

„ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღწვოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილია მრავალი დიდ-მშვენიერნი, თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდი-

ოდნენ საბერძნეთში სწავლის მისაღებად. ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰფენდნენ სწავლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისა ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აშენებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებლებს მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ეხლანდელის ოსმალოს საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვნენ... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს“ (1. ტ.4, გვ.11).

როგორც ცნობილია, საქართველოს საუკუნეების განმავლობაში არ ჰქონია მოსვენებით ცხოვრება. მაჰმადიანურ სამყაროსაგან გარემოცული, ის იძულებული იყო თავი დაეცვა. თუმცა ერთმორწმუნე ბიზანტიასაც არ დაუკლია მისთვის ხელი და ყოველთვის იყურებოდა საქართველოსაკენ და ცდილობდა მისი მიწების დაპყრობას. ბოლოს, როდესაც მუსულმანებმა ბიზანტია გაანადგურეს, მათ შეძლეს ამ შესანიშნავი მხარის დაპყრობა და დაიწყეს სისხლ-დაცლილი ქართველობის გამაჰმადიანება.

ილია, ასე აღწერს იმ დროის სამცხე-საათაბაგოს:

„ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველივე საღმთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესიოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იდუმალად თურმე“ (1, ტ.4, გვ.13).

მაგრამ, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მუსულმანური სამყაროს მიერ გარშემორტმული თავდაუზოგავი ბრძოლისა, ქართველი ყოველთვის იყო ქრისტიანული სარწმუნეობის გამო დატანჯული, იგი მაინც იყო სხვა სარწმუნეობის

მიმართ დამთმობი და დამცველიც, პატივცემული და შემწყნარებელიც. ამის შესახებ ილია წერს:

„ქართველმა, თავისის სარწმუნეობისათვის ჯვარ-ცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნეობისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნეობის დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნეობისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა“ (1, ტ.4, გვ.13).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ქართველი ხალხის სათაყვანებელი მეფე დავით IV აღმაშენებელი სხვადა-სხვა რელიგიის მიმართ შემწყნარებლობით გამოირჩეოდა და მფარველობას უწევდა როგორც ქრისტიანებს, ასევე არაქრისტიანულ რელიგიებსაც. როგორც სომხები, ასევე სხვა სარწმუნეობის წარმომადგენლები, ერთხმად აღნიშნავდნენდა აღიარებდნენ, რომ ისინი თავს თავისივე ქვეყანაში ისე თავისუფლად არ გრძნობდნენ, როგოც საქართველოში. დავითი კარგად იცნობდა როგორც ქართულ, ასევე სხვა ერის ლიტერატურასა და სარწმუნეობების მოძღვრებებსაც. იგი პატივცემის ნიშნად შედიოდა ეკლესიებსა და მეჩეთებში; ისმენდა ქადაგებებსა და ღებულობდა მონაწილეობას ამ ეკლესიების წარმომადგენლებთან კამათში.

ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ თუ როგორ ახასიათებდა ილია დავით აღმაშენებელს:

„დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართმადიდებელის სარწმუნეობისა, დიდი პატივფისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნეობისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნეობის ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნეობისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!“ (1, ტ.4, გვ,180).

როგორც ვხედავთ, დავითის დროს ერთ სახელმწიფოში, იმყოფებოდნენ სხვადასხვა სარწმუნეობის წარმომადგენლები და თავს კარგადაც გრძნობდნენ. საერთოდ, საქართველოში, საუკუნეების განმავლობაში არასდროს არ ყოფილა

სხვადასხვა სარწმუნეობების შეურაცხყოფა, დამცირება და შევიწროვება. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ სხვადასხვა სარწმუნეობების წარმომადგენლები.

წერილში, „შინაური მიმოხილვა“ VII, ილია ამტკიცებს, რომ სახელმწიფოში შეიძლება იმყოფებოდნენ სხვადასხვა ერისა და სარწმუნეობის წარმომადგენელნი და ამით სახელმწიფო არ დაირღვევა; და ის თვალსაზრისი, რომ სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია რელიგიურ რწმენაზე, მან ეს აზრი უარყო, რადგან ეს არის მცდარი შეხედულება. მისი თქმით, სახელმწიფოს არავითარი კავშირი არ აქვს რელიგიასთან. ილია წერს, რომ ზოგიერთები:

„იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნეობისა და ერთობის კავშირს საძირკვლიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის“ (1, ტ.5, გვ.81).

1895 წლის წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XXIX, ილია ეხება ცხოვრებას და წერს, რომ სანამ ადამიანი ცხოვრობს, მისი მიზანი უნდა იყოს მისწრაფება ბედნიერებისაკენ, სიამოვნებისაკენ, რომ „ლხინსა და სიხარულს არ იყოს მოკლებული“, და თუ არა ეს მიზანი, მაშინ „ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება“. მისი თქმით:

„ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივ-კი – დამწევიც და გამქცევიც – ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან – ხელი მომიმართეო“ (1, ტ.5, გვ.341).

ჩვენს ცხოვრებაში, დღესაც, სწორედ რომ ასე ხდება, ქვეყნის დამქცევი, წამგლეჯი, მკვლელი, მძარცველი და გაძარცულიც, ძლიერი და უძლურიც, მდიდარი და ღარიბი, ყველა დაიარება ეკლესიაში, დიდის ამბით სანთელს უნთებს ხატს, და სხვადასხვა სარწმუნეობის წარმომადგენლები, ღმერთს ევედრება და სთხოვს შემწეობას.

ჩვენი ცხოვრება, ორი მდინარის ნაკადისაგან შედგება, წერს ილია:

„ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს – სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინც სჩივის და ჰღაღადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღწვოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავლი“ (1, ტ.5, გვ.342).

რა არის ადამიანის ღირსება, ადამიანის ცხოვრება, როგორც ცალკეულ პიროვნებისა, ისე ერისა, რომელიც დაუღალავად მიისწრაფვის წინ ცხოვრების გზაზედ? ილია ამის შესახებ ამბობს:

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა“ (1, ტ.5, გვ.342).

წერილს, „შინაური მიმოხილვა“ XXVIII, რომელიც ილიამ დაწერა 1893 წლის 1 იანვარს, ჩვენის აზრით, სათაურად შეიძლება დარქმეოდა „ნატვრა-ვედრება“.

ეს წერილი, ვედრებაა ქართველი კაცისა, რომელიც ევედრება ღმერთს და სთხოვს, რომ ამ ახალი წლის შემდეგ, მან საქართველო გააძლიეროს, ბედნიერება, დღეგრძელობა მოუტანოს და რაც მთავარია, „თვითეული ჩვენგანი, – გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, – სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც სიკეთისათვის ბრძოლაში თვითეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოვებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცისაგან ჰრიგდება და კეთდება“ (1, ტ.5, გვ.339).

ეს წერილი შედგება სამი ფურცლისაგან, მაგრამ, ამ მოკლე წერილს როდესაც კითხულობთ, გრძნობთ, რომ ყოველი წინადადება ისეა აზრობრივად დალაგებული, ყოველი სიტყვა ერთმანეთზე მიჯრით აწყობილი, რომ ძნელია რაიმე

მოაკლო და გამოტოვო. ეს ღმერთისადმი ღაღადი, ხვეწნა, მუდარა და ნატვრა, ყოველი ქართველის ვედრებაა და თხოვნაა.

ილია წერს:

„შემოვდგი ფეხიო, გწყალობდეს ღმერთიო, იძახის დღეს დაბადებული ახალი წელიწადი. გწყალობდეთ ღმერთი, ვიძახით ჩვენც და ზედ ვუმატებთ, ღვთის წყალობასთან ერთად წყალობა მოიღოს ჩვენზე ჩვენმა მხნეობამაც, ჩვენმა გამრჯელობამაც და ფრთა-ასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ, დღეს-აქამომდე სასიხარულოდ და სასიქადულოდ.

ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხდის მთელი ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან ხადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად“ (1, ტ.5, გვ.335).

ილიას თქმით, ერმა, რომ იარსებოს, წინ წავიდეს და დღეგრძელი იყოს, ამისათვის საჭიროა გვქონდეს თვითდაჯერება, მოქმედება და იმედი მომავლისა. საჭიროა შრომა, თვითგამრჯელი იყო და ღმერთიც ასეთს შველის და სწყალობს. მარტო ღვთისათვის ხელაპყრობილი ვედრება, ხვეწნა, მუდარა და ნატვრა საქმეს არ შველის.

„დიაღ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმომქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის“ (1, ტ.5, გვ.336).

თუ თვითეული ცალ-ცალკე და ყველანი ერთად, იმედიანად საქმეს მოვკიდებთ ხელს, მაშინ „ტაატით“, მდოვრედ, მაგრამ მაინც ნაყოფს გამოიღებს და ერი ეკონომიურად მომძლავრდება. ილია წერს, რომ:

„მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი უღლადი, ყოვლთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად“ (1, ტ.5, გვ.337).

ილია სიხარულით აღნიშნავს, რომ ეხლა ხალხი გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ ღმერთი აქ არაფერ შუაშია, და თვითონ მოჰკიდა ხელი საქმეს და თუ აქამომდე სხვები ხარობდნენ ჩვენი ქვეყნის სიკეთით, ეხლა თვითონ ჩვენები „ირჯებიან“ და „მოქმედებენ“. და თუ ჩვენ თვითონ არ გავისარჯენით, ვერც ღმერთი და ვერც ვერავინ ვერ გვიშველის. ამ წერილს მწერალი შემდეგი სიტყვებით ამ-თავრებს:

„სიკეთისათვის ბრძოლაში თვითეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოვებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყ-ანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება“ (1, ტ.5, გვ.340).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ რუსეთის ხელისუფლება ყოველ მხრივ ცდი-ლობდა საქართველოს დამორჩილებას. ხოლო, ვინაიდან სარწმუნეობას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, ამიტომაც ქართული ეკლესიაც რუსეთის ეკლესიას შეუერთდა და ეკლესიაშიც თავისი წესწყობილება დაამყარა.

ილიას აზრით, როგორც ყველა მშრომელი და მოქალაქე, ეკლესიაც და სამღვდელოებაც უნდა ჩაბმულიყო ქვეყნისათვის სასარგებლო საერთო სა-ქმეში. ამიტომაც იყო, რომ იგი მწვავედ აკრიტიკებდა მის დროინდელ როგორც ეკლესიას, ასევე სამღვდელოებასაც. იგი მოითხოვდა სასულიერო საქმეში მკვეთრ ცვლილებებს, რომ აღკვეთილიყო სასულიერო პირებისა და მღვდლების თვითნებობა. მღვდლები, იმის მაგივრად, რომ საერო საქმეში ჩამდგარიყვნენ, ეზრუნათ მრევლისათვის, ექადაგად ის ქრისტიანული სარწმუნეობის მცნება და ებრძოლად ყოველგვარი უსამართლობის, უზნეობის, ხალხის ჩაგვრის და ყმობის წინააღმდეგ, რაც იყო ჩადებული ადამიანისათვის სასარგებლო და კარგი სარ-წმუნეობაში, ამის მაგივრად ეს ღმერთ მსახურნი, მხოლოდ თავის თავისათვის

ზრუნავდნენ, თვითონვე ხალხს ძარცვავდნენ და სარწმუნეობას ამოფარებულნი ყოველგვარ სისაძაგლეს ჩადიოდნენ.

ილია წერდა:

„ჩვენს სამღვდელოებას დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენის ქვეყნის წინაშე. რასაკვირველია, ამას ჩვენს ეხლანდელს სამღვდელოებაზედ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით. ჩვენ ვამბობთ, ჩვენის მამა-პაპის სამღვდელოებაზედ, იმ დროის სამღვდელოებაზედ, როცა ღვთის მსახური კაცი იყო ქვეყნის და ჩვენის ერის მსახურიცა; როცა იგი ჭირში პირველი მეშველი იყო, უკეთესი მამა, გულშემატკივარი დამრიგებელი, მაღალის ზნეობის მაგალითი, გამკითხავი ყოველის უძლურისა და დავრდომილისა, გამკიცხავი ყოველის ბოროტისა და უკაცურობისა, უშიშარი მქადაგებელი ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, თავდადებული და თავგამომეტებული რჯულისა და ერისათვის! ჩვენი ისტორია სავსეა სახელოვანის მოღვაწეობით იმ ნეტარხსენებულის სამღვდელოებისა. წარვიდნენ ის მამა-პაპამი და თან გაჰყვნენ ის სახელოვანნი ღვთის მსახურიცა, რომელთაც საქართველოს გაქრისტიანების დღიდამ ამ საუკუნის დასაწყისამდე ხელთ ეპყრათ ჩვენის ერის სწავლა და მეცნიერება. მწიგნობრობის, მეცნიერების, სწავლისა და განათლების დროშა მათ ეჭირათ ხელში და ამ გონებითს სიმდიდრეს ისე კი არ ეპყრობოდნენ, როგორც ძუნწი ფულისა, არამედ გულუხვად, თავდადებით ახმარებდნენ ერს, ავრცელებდნენ ყველგან, რაც კი ხელი და ღონე მიუწვდებოდათ. დიახ, იყო დრო, როცა განათლებით და სწავლით დაწინაურებული სამღვდელოება წინ მიუძღოდა ერს უანგაროდ განათლების და წარმატების გზაზედ. ეხლა კი სულ სხვაა. დღეს სამღვდელოებას თითქმის დავიწყებული აქვს ჩვენის უწინდელის სამღვდელოების ღვაწლი საქართველოს ეკლესიისა და ქვეყნისათვის. დღეს ყოველი საკუთარის სტომაქისათვის ღა იღწვის და საკუთარის სარგებლობის დევნაშია გართული. ორიოდე პატივცემულნი გვამნი ძლივსღა მოჩანან ჩვენს სამღვდელოთა შორის ისეთნი, რომელთაც შერჩენიათ ძველთა მამა-მთავართა გულმტკივნეულობა ჩვენის ქვეყნისადმი. ორიოდღა არიან, რომელთ მოქმედებაზედაც შეიძლება კაცი სიამოვნებით შეჩერდეს და ტკივილით წარმოსთქვას: ჯერ კიდევ მსახური მართლა ღვთის მსახურებისა არ წარწყმედილა ჩვენშიო“ (2, ტ.VI, გვ.171).

ილია წერილში, „შინაური მიმოხილვა“ XII-შიაც, ისევ ეხება მღვდლებს და აღნიშნავს, რომ:

„დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა. ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან,

რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან. ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს“ (1, ტ.5, გვ.136).

ი. ჭავჭავაძე ამავე დროს მოითხოვდა სასულიერო სემინარიის ძირეულად გარდაქმნას, ვინაიდან სემინარიაში მღვდლების აღზრდა მიმდინარეობდა რუსულად და არა დედაენაზე. თანაც, სემინარიის სასწავლო გეგმა ისე იყო შედგენილი, რომ „არ-სწავლება“ არისო. ამის გამო ერის მოძღვრების საქმე „უქმეაო“. ამიტომ ჩვენი საეკლესიო კათედრა დაცარიელებულია, გაუქმებულია და დამუნჯებულიაო; და თუ ასე გაგრძელდა, „მოძღვრების საქმეც იქამდის მივა, რომ ჩვენი ერი იძულებული შეიქმნება „პერევოჩიკის“ შემწეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა“ (1, ტ.5, გვ.109).

ილია აუცილებლად მოითხოვდა ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის შემოღებას. რადგან, „უენო მოძღვარი მოძღვრებას ვერ იზამს“. ამიტომ, ამაზე მთავრობამ უნდა იზრუნოს, რადგან, მისი უწმინდესი მოვალეობაა, რომ „ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადოს, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყსოს გააგებინოს რამე და თითონაც სამწყსოსი გაიგონ. მოძღვრის ფარ-ხმალი ენაა. თუ ენა არ ეცოდინება, უქმია მისი თანამდებობა. ენა ერისა იმოდენად საჭიროა ერის მოძღვრისათვის, რომ სამღვდელოებამ თითონაც არ ინდომოს, მთავრობამ ძალად უნდა მოანდომებინოს, და თუ მაგისათვის საჭიროა ხარჯი, თითონ მთავრობამ უნდა იკისროს. ნუთუ აქაური მმართველობა სამღვდელოებისა ჰფიქრობს, რომ თუ თითონ მღვდლებმა ამისათვის ფული არ გამოიღეს, საქმე ამით უნდა გათავდეს! ნუთუ ამ მიზეზით უნდა ამოიკვეთოს ქართული ენის სახსენებელი საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა შორის! ნუთუ ჰგონიათ, რომ სარწმუნეობის საქმეს ამით არა დაუშავდება-რა ჩვენში! ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი“ (1, ტ.5, გვ.110).

როგორც ვხედავთ ილია ჭავჭავაძე ზრუნავდა მღვდლების აღზრდაზე, რადგან მისთვის მთავარი საზრუნავი იყო, რომ ეკლესიაც და ხალხის სასულიერო მოძღვარიც ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში. იგი ცდილობდა, რომ სარწმუნეობაც, რელიგიაც, ეკლესიაც და სამღვდელოებაც გამოეყენებინა, როგორც პოლიტიკურად, ასევე სოციალურად, თავის მიზნებისათვის.

საახალწლო წერილები: „ღმერთმა ნუ დაგაბეროთ“ და „საახალწლოდ“, რომლებიც ილიამ დაწერა 1895–98 წლებში, ეს არის პოემა, სიბერისა, სიკვდილისა და ახალშობილ სიცოცხლეზე.

მწერალი აღწერს, ძველი წლის წასვლას და ახალი წლის მოსვლას. ძველ წელიწადს ადარებს სიკვდილს, ხოლო ახალ წელს – ახლად დაბადებულ „უმანკოებით სავსე მშვენიერ ღიმილითა“ ბავშვს.

ძველი წელიწადი, მისი თქმით არის „უგემური, უმადური, უმადლო, ილაჯგაწყვეტილი და პირგამშრალი ბებრუცანა“, რომელსაც „საზარელი სახე ჰქონდა ამ მიცვალებულ ბებერსა: კბილები ჩამტვრეული, პირის-სახის კანი მეშსავით შემხმარი, დამჭკნარ ლეღვსავით დანაოჭებული, წელწახრილი, ხელ-ფეხ-გაშეშებული, თვალებ-ჩაცვივნული, უსულო, უგულო, უსისხლო და უსიცოცხლო“; და ეს ძველი წელიწადი „ჩავაბარეთ მის გაუმაძღარს პატრონს, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, და საუკუნოება ჰქვიან“, რომელიც „გაუმაძღარია და ბევრად-ბევრი მაგისთანა წელიწადი გადაუყლაპავს“ და რომელიც „რომის პაპსავით შეუცდომელი გამკითხავია, და თუ უწინდელ დიამბეგსავით დაუქრთამებელი არ არის, მაინც უანგაროა“ (1, ტ.3, გვ.370).

მწერალი ახასიათებს, ძველსა და ახალ წელიწადს, ანუ სიკვდილსა და სიცოცხლეს, და ამბობს, რომ ძველი წელიწადი უკვე სიკვდილია, ხოლო ახალი კი სიცოცხლეა.

სიკვდილი, ხომ სიცოცხლის დასასრულია. ილიას უნდა, რომ ხალხსა შეაგნებინოს, რომ სიკვდილის შემდეგ აღარაფერია, რომ სიკვდილის შემდეგ ხდება სხეულის სახეცვლილება, – ერთი სახის ცოცხალი ფორმის ნივთიერება გარდაიქმნება მეორე სახის მატერიალურ ნივნიერებად და არა როგორც სარწმუნეობა ამტკიცებს, რომ იქ, სადღაც სული იმყოფება და ცხოვრება გრძელდება. იგი წერს:

„იქ გახრწნილებაა, აქ აღყვავება, იქ მზე ჰშლის, ალპობს და ჰხრწნის, აქ ჰბადავს, ჰზრდის და აკოკრებს, იქ მომწყდარია წყარო ცხოვრებისა, აქ დუღს და ჩუხჩუხებს, იქ სამარეა, აქ აკვანი“ (1, ტ.3, გვ.371).

ილიას თქმით, ჩვენ, ჩვეულების თანახმად „სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალის-წლისას“ და სიმართლის ნარევი იუმორით წერს, რომ „აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და

შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას-სამოც-და-ხუთი დღე და სამას-სამოც-და-ხუთის დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა-კი აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო!.. ხუმრობაა, მთელი სამას-სამოც-და-ხუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამას-სამოც-და-ხუთი თორმეტ-საათიანივე ღამე!.. წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია“ (1, ტ.3, გვ.377) და ეს ჩვენი სიცოცხლე წაიღო თან.

ილია დაცინვით ამბობს, რომ ახალი წლის დადგომისას ჩვენ ჩვეულების თანახმად „ერთმანეთისათვის ვნატრულობთ“: „ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“ და იქვე წერს, რომ: „რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდამ ერთი ფეხის გადადგმა-ღაა სიკვდილამდე, და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ასეა, აბა ეხლა სთარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა, ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც-კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?“ (1, ტ.3, გვ.379).

ილია ასე ახასიათებს სიბერეს:

„სიბერე ყველას ჭირზედ უფრო ძნელი ჭირია. სხვა ჭირი ან მოვა, ან არა, სათუო საქმეა. სიბერეს კი სად გაექცევა ადამიანი? დღეს იქნება თუ ხვალე უსათუოდ მოცოცდება თავის-თავად და ჩვენდა დაუკითხავად იასაულად ჩაგვიდგება ტანში, ვერც ვერავინ გადაუდგება წინ, ვერც ვერავინ გადაურჩება“ (1, ტ.3, გვ.371). სხვა ჭირს შეიძლება როგორღაც მოუაროს კაცმა, „სიბერეს კი წამალი არა აქვს“. სიბერე კი სიკვდილით მთავრდება. სიკვდილი გარდაუვალია, „მოვა, კარებს დაგიკაკუნებთ, თუ არ გაუღეთ, ისე შემოგეპარებათ, რომ ვერც-კი გაიგოთ, ვერავინ ვერ წაუვა ხელიდამ“ (1, ტ.3, გვ.371).

მწერლის თქმით, სიბერე, ხომ გარდაუვალი ავადმყოფობაა, რომელსაც ვერსად ვერ გაექცევი, ეს ხომ სიცოცხლის დასასრულია.

„სიბერე, ბატონებო, რაც გინდა სთქვით, სენია, და სენი ტკბილი იყოს, თუნდა მწარე, ორივე ღმერთმა დასწყევლოს. სხვისა არ ვიცი და მე-კი ღმერთმა თავის-დღეში ნუ დამაბეროს. ღმერთმა ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მომაკლოს, არ მომიშალოს, ვინემ პირში სული მიდგა... სიცოცხლე არავის მოსჭარბდება. მეც

დიდი ხნით სიცოცხლე მინდა თქვენთვისაც და ჩემთვისაც“ (1, ტ.3, გვ.373).

თუ კი ნატვრაა, არა სჯობია, რომ ისეთი რამ ვინატროთ რაც კარგია. თუ კაცი ნატრულობს, ისეთი რამ უნდა ინატროს, რაც სინამდვილეს შეეფერება და ნამდვილად აგისრულდება და მოხდება. მწერლის თქმით:

„არც იმისთანა ნატვრა უნდა, რაც უიმისოდაც არ აგვცდება, და არც იმისთანა, რასაც თითონ ბუნება უარყოფს და არ გვითმობს. სიჭაბუკე ბუნებითად წარმავალია, მოკლე ხნით მოსული სტუმარია, დილით მოვა და საღამოთი მიდის და, როგორ შეიძლება ადამიანს სამუდამოდ შეჰრჩესო, მეტყვიან? მართალი ბრძანებაა. სიჭაბუკე მოკლე ხნის სტუმარია. ხოლო ვიკითხოთ: ვისთვის და რისთვის? მარტო ხორცისათვის. დროთა-ბრუნვა მარტო ხორცს ერჩის, ხორცსა სძლევს. ხორცს მაგისათვის არც ფარი აქვს, არც ხმალი. ადამიანი ხატებაა ღვთაებისა განა ხორცითა? ადამიანს ხორცის გარდა ერთი რამ სხვა მოჰმადლებია, რომლითაც იგი ადამიანობს ვით კერძო ღვთისა. ეს ერთი – სული და გულია, უჭკნობლობის ნიჭით და ღონით დალოცვილი... საქმე ის არის, ხორცთან ერთად არ დაგიბერდეს სული და გული, სულით და გულით ყოველთვის ჭაბუკი იყო, და მაშინ ფარიც ხელთ გექნება მოსაგერად და ხმალიც სატევრად“ (1, ტ.3, გვ.373).

ამიტომაც, ილია წერს, რომ: „ეხლა-კი შემიძლიან ჩემებურად მოგილოცოთ ახალი წელიწადი: მაშ ღმერთმა თქვენც თავის-დღეში ნუ დაგაბეროთ, ღმერთმა ყოვლად შემძლებელი, ცხოველმყოფელი სიჭაბუკე არ მოგაკლოთ, არ მოგიშალოთ, ვინემ ცოცხალ ხართ. – და მოჰყავს ფშაური ხალხური ლექსი:

„ვინემ ცოცხალ ვართ, ეგრე ვქნათ,
ვახაროთ ჩვენსა იასა,
მოვკვდებით, გაუხარდება
სამარის კარსა ჭიასა“.

მაგრამ, ისევ და ისევ ჩვეულების თანახმად, არ დაბერების თქმაზე, „ღვთის გმობად“ ჩათვლიან და გეტყვიან: „ნუ აწყენინებ ღმერთსა, ნუ იწყევლი თავსაო.“ და ამის გამო, მწერალი ამბობს: „რა ძნელი ყოფილა ჩვეულება“ (1, ტ.3, გვ.374).

ილია ჭავჭავაძეს, ქვეყნის და ერის სიბერე შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ამ შემთხვევაში, ერიც და ქვეყანაც გაქრება და განადგურდება. იგი წერს:

„ღმერთმა ნუ ქნას, ერის სიბერე ერის აღგვაა დედამიწის ზურგიდამ. შორს ჩვენგან სიბერე! ერს ერთი სული, ერთი გული აქვს, ხოლო ხორცი იმდენი, რამდენიც ცალკე ადამიანია. როგორც ყველასი ერთად და ერთს დროს დაბერება არ შეიძლება, ისეც ერისა... ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბაღ-

ნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის და მის მაგიერ სხვა მოდის, თითონ ბაღნარი-კი არის და არის მუდამ მწვანე, მუდამ დაუჭკნობელი, მუდამ ყვავილოვანი, ია-ზამბახ-ვარდ-გაშლილი“ (1, ტ.3, გვ.375).

ილია, ცდილობს ხალხს როგორმე შეაგნებინოს, რომ გარდაცვალების შემდეგ, იმ ქვეყნიერების რწმენა და მასზე ზრუნვა, როგორც ამას სარწმუნეობა ქადაგებს, და ამ არარაობისათვის გასწირო შენი ცხოვრება, შენი სიცოცხლე, ეს უდიდესი დანაშაულია. მართალია, ამბობს მწერალი, ხანდისხან ბუნებაში ისე ხდება, რომ ცა მოიღრუბლება, ია და ზამბახიც დაჭკნება, ბულბულიც აღარ გალობს, „მაგრამ ბაღნარი მაინც ბაღნარია, მაინც ჰყვავის, მაინც ფშვენს, მაინც სიცოცხლის ძარღვი დაუღალავად უცემს სიცოცხლისათვისვე და ემზადება კარგის დღისათვის, სხვა უკეთეს დროსათვის. აბა ახლა მაშინ ნახეთ ერი, როცა ფირუზის ფრად გადაწმენდილი ცა, უღრუბლო და შუქმოფენილი, თავის უშველებელ ფრთებს ხედ გადმოშლის ხოლმე, როგორც ფრინველი თავის ბღარტებს; მაშინ ნახეთ ის ტურფა საბაღნარო, რომელსაც მე სული და გული ერისა დავარქვი, რა ყვავილების კონას შეჰკრავს.“ და აქვე ილია ჭავჭავაძე კითხულობს:

„ნუთუ გინდათ ეს სული და გული დაგვიბერდეს! ღმერთმა ნუ ქნას“ (1, ტ.3, გვ.375).

ილია გვეუბნება, რომ ადამიანმა ყოველი წუთი, ყოველი დღე უბრალოდ არ უნდა დაკარგოს, ვინაიდან, ეს დაკარგული დრო სიცოცხლის წუთებია. ამიტომ კაცმა უნდა იშრომოს, იმოქმედოს, რადგან, ყველაზე დიდი ბედნიერება ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. ამიტომ, ადამიანისათვის, გულ-ხელ დაპყრობილი ჯდომა და ჩვეულების თანახმად, მარტო ძახილი:

„შემოვდგი ფეხი და გწყალობდეს ღმერთიო“ და გვგონია, რომ, რაკი ესა ვთქვით, ციდამ მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს, და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, – ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს, მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა“ (1, ტ.3, გვ.379).

დღეები მიდიან, მიდიან წლებიც და გვაკლდება ჩვენი სიცოცხლის ნაწილიც, რადგან ბუნების მიერ ასეა განსაზღვრული, და მას ვერავინ ვერ შეცვლის.

წერილში, „საახალწლოდ“, ილია ეხება ერთ-ერთ საკითხს, ცნებას – ბედს, ბედისწერას. რომელსაც რელიგია წარმოადგენს როგორც ზებუნებრივ ძალას, რაზედაც დამოკიდებულია ყველა მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც

წინასწარ არის დადგენილი ღვთაების მიერ და ყველაფერი გარდაუვალია, შეუძლებელია მისი შეცვლა და გარდაქმნა. ასე, რომ ეს რაღაც ბრმა ძალები, ბედი, წინასწარ არის დაგეგმილი ადამიანის დაბადებისთანავე განგების მიერ და მისი შეცვლა ადამიანის მიერ შეუძლებელია. ყველა თანამედროვე რელიგია აღიარებს ბედისწერას, ოღონდ სხვადასხვა სახესხვაობით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, უძველესი დროიდანვე აღიარებდნენ ბედისწერას. ქართველთა რელიგიის თანახმად, ბავშვის დაბადებისთანავე ცაზე წარმოიქმნებოდა მისი ვარსკვლავი, რომელიც წარმართავდა მის ცხოვრებას და ახალშობილის შუბლზე, „ბედის მწერალი“ აწერდა მისი ცხოვრების მომავალს, რომლის შეცვლა შეუძლებელი იყო.

ილია ჭავჭავაძე ამ მოსაზრებას უარყოფს, ისევე როგორც საერთოდ ღმერთის არსებობას, რელიგიას და საერთოდ ბედის მცნებას. იგი წინააღმდეგია ყოველგვარი ღვთაების ზეგავლენის მოქმედებისა ადამიანის ცხოვრებაზე. მწერალი ცდილობდა შთაეგონა ხალხისთვის, რომ განგება არაფერ შუაშია და თვითონ ადამიანია თავისი ბედის შემქმნელი, თავისი ბედნიერება თვითონ მასზეა და მის მოქმედებაზეა დამოკიდებული. ილია წერს, რომ:

„მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარსა ბედისას?..

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდამ ჩაკეტას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისათვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსულნი დღენი-კი აღარა“ (1, ტ.3, გვ.377).

წერილში, „ცისკარი 1857 წლიდან – 1862 წლამდინა“, ილია წერს, რომ ყოველმა ადამიანმა, საზოგადოებამ უნდა იცოდეს რისთვის ცხოვრობს, უნდა ჰქონდეს რაიმე მისწრაფება და მიზანი, უნდა იბრძოდეს ამ მიზნის მისაღწევად, უნდა ჰქონდეს „ერთი იდეალი“.

„ვაი იმ ხალხს, რომელმაც არ იცის, რისთვის ცხოვრობს, რომელიც ხავსს იკიდებს ერთს დამპალს გუბეში და არ იცის, რომ გუბეს გარეთ მინდვრებია

ამწვანებული და ჰაერი ცხოვრების მიმნიჭებული; უფრო ვაი იმ საზოგადოებას, რომელმაც არამც თუ ეს, ისიც არ იცის, რომ უნდა ცხოვრობდეს უთუოდ რისთვისმე!“ (1, ტ.3, გვ.452).

გუბეში მჯდარნი, ჩვენს ამ უკუღმართ ცხოვრებას, ჩვენს გაჭირვებას, ყველაფერს ბედს ვაბრალებთ, ასეთი ბედი გვქონებიაო, ვამბობთ ჩვენ და ბედის შესახებ, ილია პირდაპირ აცხადებს:

„რა ვქნათ? ავბედისანი ვართო, ვიტყვით ხოლმე. „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო“, ნათქვამია. ბედი რა არი? ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა. ჩვენი თავის მტრები ჩვენ თვითონვე ვართ, ამის ღვიარება ჩვენ გულს გვიძმარებს და ამიტომაც ყველაფერს ბედს ვაბრალებთ. რა მიზეზია, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ვმტრობთ. ათასია, ჩვენ საუბედუროდ. მაგრამ... ეს ხომ ვიცით, რომ მამა-პაპით ეგ თავის მტრობა კაცს არ დაჰყვება ხოლმე, მაშასადამე, ჩვენის ბუნების თვისებაში არა ყოფილა. ესეც გვეყოფა სათქმელად, რომ მიზეზს მივაგნოთ..“ (1, ტ.3, გვ.452).

მიზანს, რომ მივაღწიოთ და ამ უბედურების მიზეზსაც, რომ მივაგნოთ და ცხოვრება ისე მოვაწყოთ როგორც ჩვენ გვინდა, მიუხედავად ცხოვრების სიძნელისა და ეკონომიური სირთულეებისა, ამისთვის საჭიროა, რომ გვქონდეს ცოდნა. ილიას თქმით, მხოლოდ მცოდნე და განათლებული კაცი შეებრძოლება ცხოვრებას და თავის ბედსაც ის განაგებს.

წერილში, „ისევ განათლების საკითხებზე“, ილია საუბრობს გერმანელის შესახებ და წერს:

„გერმანელმა იცის, რომ შვილის კაცად გამოსვლა, მაძღრად ყოფნა და უტკივრად რჩენა სწავლა-განათლებაზეა დამოკიდებული, იცის, რომ ცოდნა ვენახზედ უკეთესი ვენახია, ხოდაბუნზე უკეთესი ხოდაბუნია, უფრო მომცემი, უფრო საიმედო და დაუსეტყვავი... გერმანელისათვის ცოდნა, სწავლა-განათლება აუცილებელი საჭიროებაა... იგი საცა მიდის, ყველგან ჰპოულობს საქმეს, და რაკი ცოდნა აქვს... ჩვენებურ უცოდინარს ხელიდამ აცლის საქმესაც და ლუკმასაც, ძალ-მომრეობით და უნამუსობით-კი არა პირისპირ ომით, პირისპირ ბრძოლით, ერთის სიტყვით – იმ ფაქიზისა და წმინდა იარაღით, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ცხოვრების მოედანზედ ყოველთვის უძლეველია და გამარჯვებული“ (1, ტ.4, გვ.363).

„ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია“ (1, ტ.4, გვ.365).

როგორც ვხედავთ, ილიას აზრით, არავითარი ბედისწერა არ არსებობს, თვითეული ადამიანი თვითონვე ქმნის თავის ბედს.

წერილში, ,,საახალწლოდ", ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ყოველ-წელს, ქრისტიანული სარწმუნეობის თანახმად, ჩვენ ვხვდებით და აღვნიშნავთ იესო ქრისტეს შობის დღეს. ილია წერს, რომ ამ დღის აღნიშვნა მისთვის არის გასაგები, რადგან ქრისტიანული სარწმუნეობის თანახმად, ,,ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშის-მცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი" (1, ტ.3, გვ.376).

აქ შეიძლება ჩვენ დავსვათ კითხვა, თუ კი ილიამ იცის, რომ ღმერთი არ არსებობს და ადამიანმა თავისი გონების სისუსტის გამო შეჰქმნა იგი, მაშინ რატომ აქებს და ადიდებს ქრისტეს? ამაზე პასუხის გაცემა შეიძლება, თვით მისი ნაწერებიდან. მის დროს თავადაზნაურობას, ხალხს, ეკლესიას და სამღვდელოებასაც დავიწყებული ჰქონდათ სარწმუნეობის, ქრისტიანული მოძღვრების ის წმინდა აზრი რაც ამ მოძღვრებაში იყო ჩადებული და საჭირო იყო ამ მოძღვრების აღდგენა, განვითარება, რომ ეკლესია და სამღვდელოება ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძეს ხშირად მოჰყავდა სარწმუნოების მოძღვრებიდან ის ადგილები და აზრები სადაც საუბარი იყო კეთილგონიერებაზე, ადამიანის მიმართ პატივცემაზე, სხვის მიმართ სიყვარულზე და სისპეტაკეზე. ილია წერს:

,,ვით მამა ზეცის იყავ შენც სრულიო", უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არის აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში!.. იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიაღწიო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაუგონია და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძგერს" (1, ტ.3, გვ.376).

მართალია, ადამიანი ყოველ წელს, ,,დღევანდელი დღით გამწარებული კაცი", მომავალის იმედით ხვდება, მაგრამ თუ ადამიანმა ხელი არ გაანძრია და რაიმე არ მოიმოქმედა ეს იმედი იმედად დარჩება და ყოველი წელი ერთი და იგივე

იქნება. მაგრამ ვინაიდან ცხოვრება წინ მიდის, ცხოვრებისა და ერის სიბერე არ ხდება, და ადამიანის სიბერეს მხოლოდ სიკვდილი მოსდევს, ამიტომ ილიას ლოცვა ახალი წლისა ეხება სიჭაბუკეს და იგი ილოცება:

„მაშ გაუმარჯოს დაუჭკნობელ სიჭაბუკეს, აწ და მარადის“ (1, ტ.3, გვ.375).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძე მკაცრად აკრიტიკებდა ეკლესიასაც და მღვდლებსაც, მათი შეუფერებელი მოქმედების გამო ხალხის მიმართ. ხოლო, იმ საეკლესიო მოღვაწეებს, რომლებიც ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავდნენ, ყოველთვის დიდის რიდითა და პატივისცემით აღნიშნავდა მათს მოქმედებას.

1896 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის „სიტყვა, თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“.

გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) (1825–1896) წარმოადგენდა მოწინავე პიროვნებას. იგი იყო მოაზროვნე, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და ფსიქოლოგი. საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად, სარწმუნეობის საშუალებითა და ქადაგებით იბრძოდა ხალხის კეთილდღეობისათვის და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ილია ჭავჭავაძე დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მას და მიაჩნდა იდეალურ მღვდელმთავრად. გაბრიელს თვლიდა ისეთ პიროვნებად, რომელიც ძველი ბერძენის გადმოცემით: „არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწურთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისი სახელის ხსენებითაცაო“ (1, ტ.4, გვ.251).

ეხება რა მის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ილია შემდეგი სიტყვებით ახასიათებს მას:

„თვითეული წამი მისის ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მაღლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისი სამართლიანის განკითხვითა“ (1, ტ.4, გვ.252). ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ მთავარი დამსახურება გაბრიელისა არის ის, რომ იგი როგორც „ღრმად-მორწმუნე“ იყო, ასევე „ღრმად-მიწევნილი მეცნიერი“ და ზოგიერთის აზრი, რომ არ შეიძლება მეცნიერებისა და სარწმუნეობის შეთავსება, „იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა“ (1, ტ.4, გვ.252).

მწერლის თქმით, ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მუდამ ეძებს „სულიერ და ხორციელ თვალისათვის“ გზას.

„ერთის ბრძნისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე ვერ დაინახავ“ და „ამ ორს სამფლობელთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე. რომელიც ასე იშვიათია ამ წუთის სოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელმთავარი“ (1, ტ.4, გვ.252).

ისინი, ვინც სიბრძნეს ერთსა და იმავე დროს სწვდებოდნენ როგორც ხვთისა, ასევე ბუნებისმეტყველებას, არიან გენიოსები; და სწორედ, ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა გაბრიელ ეპისკოპოსი. „იგი სარწმუნეობას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნეობდა, თუ ასე ითქმის, და მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული.“(1, ტ.4, გვ.253).

ილია ჭავჭავაძე, თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაშრომში, „ქვათა ღაღადში“, სარწმუნეობის შესახებ წერს:

„რა თქმა უნდა, ყოველს ერს თავისი სარწმუნეობა მართლმადიდებელი ჰგონია და ამაში ვერც ვერავინ შეუვა. სარწმუნეობა სინდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი“ (1, ტ.8, გვ.190).

მისი თქმით, ყოველმა ერმა, თვითეულმა ადამიანმა, უნდა იწამოს მხოლოდ ერთი სარწმუნეობა, თუ კი მას სინამდვილეში ეს სარწმუნეობა სწამს. იგი წერს:

„სარწმუნეობა, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორთვალა და ორგულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს იგი ერთთვალა და ერთგულაა,— თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლმადიდებლად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნეობისა, საკუთარის სარწმუნეობის შერყევაა, უარყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნეობისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტანად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყევლად მოსავია მარტო იმ სარწმუნეობისა, რომელსაც აღიარებს და გულში ატარებს. უამისოდ სარწმუნეობა სარწმუნეობა – კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს“ (1, ტ.8, გვ.191).

ილიას პოეზიისა, მხატვრული ლიტერატურისა, წერილებისა და ნარკვევების განხილვის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია საბოლოოდ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძე გვევლინება როგორც ათეისტურად მოაზროვნე პიროვნება. მან უარყო ღმერთის არსებობა, უარყო საერთოდ ღმერთის მცნება, რელიგია და ამავე დროს სცადა აეხსნა რელიგიური რწმენისა და ღმერთის მცნების წარმოშობის მეცნიერული ახსნა. იგი რელიგიას პრაქტიკულად უდგებოდა და

ცდილობდა მის გამოყენებას ცხოვრებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ცდილობდა, რომ ის ჩაეყენებია საერთო ბრძოლის სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ იგი რელიგიურ მოძღვრებას ხანდისხან დადებითად ახასიათებდა, რელიგიური მოძღვრების დებულებებსაც ხშირად იყენებდა, მის ნაწარმოებებში, მაგრამ სინამდვილეში, იგი აღარც რელიგია იყო და აღარც ღმერთი. რელიგიურ მოძღვრებასაც და ღმერთსაც იყენებდა ხალხის ცხოვრებისა და ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის და ამავე დროს თავისი მიზნებისათვის — პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის და მონობისაგან თავის დაღწევისათვის.

თავი მეექვსე

ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა საკითხების შესახებ

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ საქართველოში თითქმის არ დარჩენილა რაიმე დარგი, რომ ილია ჭავჭავაძეს ყურადღება არ მიექციოს და არ განეხილოს.

1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ქართული ხალხური მუსიკა“, სადაც მსჯელობს ევროპიულ, აზიურ და ქართული მუსიკის შესახებ და მადლობას უხდის საზოგადო მოღვაწეს, პედაგოგსა და ფოლკლორისტს ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილს (1860–1904), რომელმაც 1885 წელს ჩამოაყალიბა ხალხური სიმღერის გუნდი, „ქართული ხორო“ და გამართა კონცერტი, რომლის ლოტბარი იყო ჩეხი მომღერალი (ტენორი) იოსებ რატილი (ნავრატილი) (1840–1912). ამ გუნდმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ სასიმღერო შემოქმედების აღორძინებას და განვითარებას.

არქეოლოგიური აღმოჩენებითა და წერილობითი წყაროების საშუალებით, მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქართული მუსიკა განეკუთვნება უძველეს დროს და საქართველოში მუსიკალური კულტურის მაღალი დონე ყოფილა და, რომ სამუსიკო საკრავები განეკუთვნება ძვ. წ. XV – XIV საუკუნეებს.

ისტორიკოსი ნინო მაისურაძე აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველთა სასიმღერო შემოქმედება. ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII – IV სს. ისტორიულ საბუთებში გვხვდება ცნობები შრომის, სალაშქრო და საფერხულო სიმღერების შესახებ. ჩვენამდე მოღწეული მრავალი სიმღერის არქაული სამუსიკო აღნაგობა და წარმართული შინაარსის ტექსტი გვაფიქრებინებს, რომ ქართველ ხალხს ამ პერიოდისათვის უნდა ჰქონოდა სხვა ჟანრის სიმღერებიც“ (50, გვ.291). მეცნიერები ასაბუთებენ, რომ უძველეს დროსაც-კი მრავალხმიანი ხალხური სიმღერები ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, უძველესი ქართული მუსიკის შესწავლისას, ი. ჯავახიშვილის ნაშრომი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, რომელიც წარმოადგენს, უძველესი დროის ქართული მუსიკის ერთ-ერთ შესანიშნავ გამოკვლევას.

ი. ჯავახიშვილი წერს, რომ:

„წარმართობის ხანაშიც, IV ს. ძვ. წ. ქართველურ ტომთა შორის საერო მუსიკა, მაგ., სამხედრო და საცეკვაო სიმღერები, ძალიან გავრცელებული ყოფილა. ჭანების ტომები ომსაც კი თურმე საომარი სიმღერა-ცეკვით იწყებდნენ.

უეჭველია, საერო მუსიკა ასევე დანარჩენ ქართველ ტომებსაც უნდა ჰქონოდათ და ჰქონიათ კიდეც. ეს ცხადად მტკიცდება თუნდაც დღევანდლამდე დაცული არაერთი ქართული ხალხური სიმღერით, რომელთა ჰანგებიც და სიტყვებიც უხსოვარი დროის ანარეკლს შეიცავს“ (50, გვ.223).

მეტად საინტერესოა, პ. ინგოროყვას აღმოჩენა, ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეგრეთწოდებული რიტმული პოეზიის ნიმუშები, სადაც მოცემულია ძველი ქართული სანოტო სისტემები.

„ქართული ხალხური მუსიკის განვითარებისა და ჩამოყალიბების ხანგრძლივი გზა, რომელიც ათასწლეულებს მოიცავს, მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის ეთნიკურ ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპს“ (50, გვ.72).

თანამედროვეთა მოგონებებიდან ცხადი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძეს ძალიან უყვარდა ქართული ხალხური სიმღერები. გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი არტურ ლაისტი (Leist) (1852– 1927), რომელიც ი. ჭავჭავაძის მოწვევით 1884 წელს საქართველოში ჩამოვიდა, ხოლო 1892 წლიდან საქართველოში დამკვიდრდა და აქვე გარდაიცვალა, იგონებს:

„ილიას უყვარდა ხალხური სიმღერები და როცა საგურამოში თავისი სახლის აივანზე ჩამოვჯდებოდა, სიამოვნებით უგდებდა ყურს ბაღში მომუშავე გლეხების სიმღერას. ილია რომ მართლა ძლიერ გრძნობდა ხალხუსი სიმღერების სიმშვენიერეს, იმ მომხიბვლელ ლექსებში ჩანს, რომელშიც აღწერილია ალაზნის ველი...

თვითონ ილია არასოდეს არ მღეროდა. ძალიან იშვიათად თუ მინახავს, როგორც სხვებს სჩვევიათ ხოლმე, რომელიმე საყვარელი ჰანგი თუნდაც დაბალი ხმით ემღეროს. მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა ზოგიერთი ჰანგი“ (3, გვ.462).

ზემოთ ნახსენებ წერილში, ილია წერს, რომ:

„ჩვენ მუსიკობაში თავს არა ვსდებთ, იმიტომ რომ ამ ხელოვნებისა ჩვენ არა ვიცით-რა.

ჩვენ ამ კონცერტის გამო ზოგიერთი ფიქრები აგვეშალა და, ვიდრე თვით კონცერტის თაობაზედ ვიტყოდეთ რასმე, გვსურს ზოგიერთი ჩვენი ფიქრი გამოვსთქვათ, რამოდენადაც შესაძლოა“ (1, ტ.3, გვ.145).

ილიას მოჰყავს გერმანული მწერლის და განმანათლებლის, კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის გოტჰოლდ ლესინგის (Lessing) (1729–1781) სიტყვები, რომ: „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია – მეტყველი მუსიკაო“. ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებს სიმღერას:

„სიმღერა, გალობა, სხვა არა არის-რა, გარდა ბედნიერად შექსოვილი პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილ-სიტყვაობას და წყობილ-სიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალკ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდან ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას“ (1, ტ.3, გვ.145).

მწერლის თქმით, სიმღერა არის მწყობრი ხმა, შეერთებული მწყობრ სიტყვასთან და „ეგ ღვთაებრივი ნიჭი ბუნებამ, მარტო ადამიანს მოჰმადლა და იგი ნიჭი იმოდენად ძვირფასად მიაჩნია კაცობრიობას, რომ არ არის ცას ქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ემოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის სულში ბუნებისაგან ჩარგული, არ ეხეირებინოს და ცოტად თუ ბევრი ყვავილები არ გამოეხსნევინებინოს... ყოველს ეს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს“ (1, ტ.3, გვ.146). შემდეგ, განაგრძობს და წერს, რომ სიმღერა „იგი უტყვი პოეზია, რომელსაც ლესსინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცთ-შეუსხმელი, სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ-გამორკვეული, – იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა“ (1, ტ.3, გვ.146). მისი აზრით, მუსიკის მხრივ, „ზოგი ერი ძალიან წინ არის წასული“. „ევროპამ ამ მხრით“ გაუსწრო აზიას და „დღეს ევრუპიული მუსიკა დიდად გაბრწყინებულია, გაწმენდილია, დახელოვნებულია, და რა თქმა უნდა, ქვეყნიერობაზედ უპირატესობს“ (1, ტ.3, გვ.148). ხოლო, რაც შეეხება აზიურ მუსიკას, იგი სულ სხვაა, „სულ სხვა ძარღვი აქვს“ და „ამ ორთა მუსიკათა შორის ბუნებითი, არსებითი სხვადასხვაობა არის. სულ სხვა ძარღვი აქვს ერთს და სულ სხვა ძარღვი აქვს მეორეს, და თუმცა ერთი ისე განკარგებული, შეკეთებული და დახელოვნებული არ არის, როგორც მეორე, მაგრამ არა გვგონია – ერთმა მეორეს სძლიოს და გზა დაათმობინოს; აზიური მუსიკაც იმ-რიგადვე თავის გზაზედ იდგება და ივლის, როგორც ევროპიული თავის გზაზედ მდგარა და უვლია“ (1, ტ.3, გვ.148).

ილია ახასიათებს ქართულ სიმღერას და გალობას და წერს, რომ ქართული სიმღერა და გალობა არც ევროპიულს და არც აზიურს არ ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ისტორიულად დაკავშირებული იყო აზიასთან და აზიის ცივილიზაციასთან და განიცდიდა აზიის კულტურის გავლენას, ქართული

მუსიკა და მით უმეტეს საერო მუსიკა განსხვავებულია აზიურ მუსიკისაგან. მათ საერთო არაფერი აქვთ. ქართული „საერო სიმღერა თვით-ნაჩენია თავით, თავისით-მყოფია, თვით-მოარულია“. მისი „ძირი“ და „ფერი“ სულ სხვაა და ამიტომაც ჩვენი მუსიკა გაუგებარია აზიელებისათვის.

ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ამ ბოლო დროს, ჩვენი მუსიკის თვითმყოფადობამ მიიზიდა „მუსიკის მცოდნე“ უცხო ქვეყნის კაცნი. ცდილობენ შეისწავლონ „ქართული სიმღერების სიკეთე და სიტკბოება“ და „გადაიღონ ნოტებზედ საყოველთაოდ საცნობელად“. ამ მხრივ ჩვენი „ყმაწვილ კაცებიც ჰშრომობენ“ და სწორედ ამის მაჩვენებელი იყო ქართული ჩამოყალიბებული გუნდის მიერ, ი. რატილის ლოტბარობით წარმოდგენილი „ქართული საერო სიმღერები ნოტებზე გადმოღებული“. ილია მოუწოდებს თეატრის საზოგადოებას, რომ „დრამატიულმა დასმა ეს ახალი საქმე, ხოროთი გალობა ქართულის ხმებისა, ზედ გადააბას წარმოდგენებსა!... ეს ორი საქმე ერთმანეთს შეავსებს და ერთმანეთს უშველის ამრავალფეროს სიამოვნება და, მაშასადამე, თეატრში მოსიარულე საზოგადოებაც ამრავლოს და ბლომად მოიწვიოს. ეს გაერთება ორის ერთ-გვარად სასურველ და სანატრელ სიამოვნებისა ერთსაც ახეირებს და მეორესაც, როცა ორივე და-ძმურად ერთად მოწვეულ იქნებიან ჩვენდა გასართობად“ (1, ტ.3, გვ.151).

ამავე წელსვე ილიამ, „ივერიაში“ დაბეჭდა, ფელეტონების სახით, წერილები „ქართული თეატრი“. სადაც, განხილულია ქართული თეატრის სხვადასხვა საკითხები და გამოთქვამს მის შეხედულებებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. პ. ინგოროყვას თქმით: „წერილები ეხება 80-იანი წლების ქართული სცენის კორიფეებსა და სხვა მსახიობთა თამაშს. წერილში მოხსენებული მსახიობებია:

ლადო (ვლადიმერ სარდიონის ძე) მესხიშვილი (1857–1920);

ვასო (ვასილ ალექსის ძე) აბაშიძე (1854–1926);

მაკო (მარიამ მიხეილის ასული) საფაროვ-აბაშიძისა (1860–1940);

ნატო (ნატალია მერაბის ასული) გაბუნია-ცაგარელისა (1859–1910);

კოტე (კონსტანტინე დიმიტრის ძე) ყიფიანი (1849–1921);

დავით აწყურელი (დავით მერაბის ძე გამყრელიძე), (გ. 1920);

ბაბო (ბარბარე ანდრიას ასული) ხერხეულიძე-ავალიშვილისა (1851–1900);

კონსტანტინე მაქსიმეს ძე (კონსტანტინე მაქსიმეს ძე მძინარიშვილი) (?–?);

მსახიობი ქალები ლეონიძისა და თამარიშვილისა (1, ტ.3, გვ.487).

ი. ჭავჭავაძე წერილში „თეატრის როლი ერის ცხოვრებაში“ აღნიშნავს თეატრის მნიშვნელობას „ჩვენი ერის ცხოვრებაში“. იგი წერს:

„თეატრი ბევრს შემთხვევაში მარტო ხელოვნების მსახური არ არის. ადგილი, დრო და გარემოება მას ზოგჯერ სხვა სამსახურსაც კისრად სდებს და ამ მხრით თეატრი დაუფასებელი რამ არის და ჩვენ არ ვიცით სხვა მისებრ უებარი საშუალება, რომელიც ეგრე გამარჯვებულად, სასწრაფოდ და პირდაპირ მოქმედებდეს ადამიანის უკეთესთა გრძნობათა გამოფხიზლებასა და მოძრაობაზედ. ამიტომაც დიდი ღვაწლია ჩვენ წინაშე იმათი, ვინც ჩვენს თეატრს წინ წაუძღვება და მის მრავალგვარს მნიშვნელობას ყოველმხრივ გზას გაუკაფავს და გაუხსნის“ (2, ტ.V, გვ.241). ამავე წერილში მწერალი წუხილს გამოთქვამს, იმის გამო, „რომ ჩვენი ეგრედ წოდებული მაღალი საზოგადოება როგორღაც ჰთაკილობს ქართულს თეატრსა და მეტისმეტად გულგრილად ექცევა... ჩვენს თეატრს მარტო ღარიბი ხალხი ინახავს, მარტო ეგრედ წოდებული მდაბიო ხალხი, რომელიც ამ შემთხვევაში, როგორ ბევრ სხვაში, უფრო გულშემატკივარია, უფრო მგრძნობიარეა, უფრო ხელის შემწყობია და სულისა და გულის უფრო მიმდევარია, უფრო ამყოლია“ (2, ტ.V, გვ.242).

მწერალი აღნიშნავს, რომ „ჩვენის თეატრის საქმე“ და „ჩვენი დრამატიული დასი უფრო და უფრო კეთდება და ეს სიკეთე უფრო და უფრო იზიდავს თეატრის მოყვარეს საზოგადოებას, რომელიც ეხლა, ცოტა არ იყოს, ხალისიანად დადის თეატრში. ღმერთმა ჰქმნას, რომ საზოგადოებამ არტისტებს არ უღალატოს და არტისტებმა საზოგადოებას“ (1, ტ.3, გვ.108).

ილია წერს, რომ „ვერაფერი ხელობაა თეატრის რეცენზენტობა“. მან უნდა პატიოსნად და სინდისიერად აღნიშნოს „სასცენო ხელოვნების მიმავლობაში“ ავიცა და კარგიც. თუ კარგი რამ არის სათქმელი „რეცენზენტი სიხარულით და სიამოვნებით ჰკისრულობს კარგის თქმასა“, მაგრამ, თუ „სიმართლე ავალებს“ და არ შეუშინდება ავის თქმას, მაშინ „ვაი უბედურს“, მას აუმხედრდება „მთელი ჯგუფი“ თეატრისა. „არც ერთს ადამიანს ქვეყნიერებაზედ გრძნობა თაკილობისა ისე გაძლიერებული არა აქვს, როგორც, მაგალითებრ, ავტორსა, არტისტსა და სხვა ამათთანა ხალხსა, რომელთაც საქმე კაცის გონებასა და სულთანა აქვთ. ყველაფერს შეგინდობთ ავტორი, არტისტი, ოღონდ ავტორობას, არტისტობას კი ნუ დაუწუნებთ, რაც გინდა გულწრფელად და სიკეთის სურვილით გამოთქმული იყოს თქვენ მიერ წუნი.“ რეცენზენტის მიერ წუნი და ქებაც უნდა იყოს სამართლიანი. „ამ მხრით უნდა აიწონ-დაიწონოს სიმართლის სასწორზედა“ და „ამ წრეს გადაცილებული, ორივე სათაკილოა და ტყუილად ქებულმა კაცმაც ისე უნდა იწყინოს, როგორც ტყუილად დაწუნებულმაცა.“ მწერალი ამბობს, რომ „განათლებულს, მაღალზნეობის კაცს მართლად შენიშნული

წუნი უფრო ნაკლებ ეთაკილება, ვიდრე ტყუილი ქება-დიდება; გაუნათლებელს სულმოკლეობას კი პირიქით სულ სხვა მადა აქვს ამაებისათვის“ (1, ტ.3, გვ.111).

ილია აქებს ზემოთ მოხსენებულ თვითეულ მსახიობს. მათ თამაშს სცენაზე, მათს ნიჭიერებას, ხელოვნებას, მათს „ჭკვიანურად და ლაზათით“ შესრულებას „თავისის როლისა“ და ამავე დროს მიუთითებს მათ ნაკლულოვანებაზე. მწერალი წერს, რომ, „ჩვენ ის გვიხარიან, რომ ჩვენი არტისტები კარგნი არიან და ამით საბუთს გვაძლევენ ბევრი მოვსთხოვოთ და დავავალოთ“ (1, ტ.3, გვ.99).

წერილები საინტერესოა იმითაც, რომ მწერალი მსჯელობს სათეატრო თხზულებისა და ამ თხზულებათა თარგმნის შესახებ. იგი ამბობს, რომ „ჩვენის თეატრის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ ჩვენ სათეატრო თხზულებანი არა გვაქვს. რომ ჩვენი საკუთარი, ჩვენ მიერ ქმნილი, ჩვენის ცხოვრებიდამ ამოღებული თხზულებანი არა გვაქვს“ და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ „მწერალი არა გვყავს“. რაც შეეხება „თარგმნილსა და გადმოკეთებულს სხვა ენიდამ... საკმაოდ ბევრი აქვს ჩვენს თეატრსა“. მაგრამ რაც არის ისიც „ყოვლად ულირსია“. „ჩვენი მთარგმნელი, – განაგრძობს ილია, – სათოფე ნადირსავით გაისისწვრივებს ხოლმე, ივლის, ივლის და ზედ კი წააწყდება მარტო ცუდსა, უფერულსა, რომელიც არც სააქაოსია და არც საიქიოსი. თავის გასამართლებლად დაუჟინიათ, სასაცილოაო და იმიტომ ვსთარგმნეთო. განა თავი და ბოლო სათეატრო თხზულებისა მარტო სიცილია და სხვა არაფერი?!“ (1, ტ.3, გვ.117). ილია კითხულობს, „განა სიცილი საგანია ხელოვნებისა! სიცილიც არის და სიცილიცა. უაზრო, უმიზეზო სიცილი ლაზღანდარაობაა“ – წერს იგი. სიცილს აზრი უნდა ჰქონდეს და „ეს ხშირად ავიწყდებათ ჩვენს საკუთარს ავტორებსაც, მთარგმნელებსაც და ზოგჯერ ზოგ-ზოგ ნიჭიერ არტისტებსაც“ (1, ტ.3, გვ.121). ილიას თქმით, მთარგმნელმა უნდა იქონიოს მხედველობაში ის, რომ „როცა სასცენო ხელოვნება სხვისის ცხოვრების ხატსა ჰკიდებს ხელს ჩვენს სცენაზედ გადმოსატანად“, მან ან უნდა „სხვისი ცხოვრება, ხასიათი, ან ზნე-ჩვეულება“ უცვლელად გადმოიტანოს, ან უნდა „მარტო აზრი, საგანი აიღოს“ და ჩვენს ცხოვრებას, ხასიათს და ზნე-ჩვეულებას შეუთავსოს.

წერილში, „ახალი დრამების გამო“, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „ჩვენმა ღარიბმა სცენამ რამდენიმე ახალი პიესა მოიპოვა და ჩვენმა სათეატრო დასმა ეს ახალი პიესები ითამაშა“ (1, ტ.3, გვ.185). მწერლის თქმით, ორივე ეს პიესა: „მტარვალი“ და „ქართვლის დედა“, ისტორიული უნდა ყოფილიყო. მაგრამ არცერთ ამ დრამაში ეს არ ჩანს. რადგან „ერთიც და მეორეც წარმოგვიდგენს მარტო წარსულს ამბავს, ავტორისგან მოგონილს და მასზე აშენებულს ადამი-

ანთა ერთმანეთსზე ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც ყოველს დროს და ჟამს, ყოველს ეპოქას ერთნაირად მიეჩემება. აქ ისტორიული მარტო ის არის, რომ ავტორები გვეუბნებიან: საქართველოს თავს წარმოსდგომია მტერი და ყოველგან მუსრს ავლებსო. ეს მტრისაგან ჟლეტა-მუსრვა დღეს ჩვენთვის კარგა ხნის წარსულია და ის დრამები ამით თუ არიან ისტორიულნი, თორემ სხვა თვისება მართლა ისტორიულისა, ჩვენის ფიქრით, არ მოეპოვება არც ერთს მათგანს" (1, ტ.3, გვ.185).

მწერალი ამბობს, რომ როდესაც დრამის დამწერი ხელს ჰკიდებს ისტორიული პიესის წერას, იგი წინასწარ უნდა მოემზადოს, უნდა „უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა" და „თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად და დასანახავად... ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი – თუნდ ნიჭიერიც – ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს" (1, ტ.3, გვ.186). ილია აკრიტიკებს დრამის ავტორებს და დაწვრილებით განიხილავს ორივე პიესას და ბოლოს ამბობს, რომ „შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამომეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ. ჩვენის ავტორების საერთო ნაკლულოვანება ეს არის, და ეს ისეთი ნაკლულოვანებაა, რომ იგი და დრამა ერთმანეთში ვერ მოთავსდება, როგორც ცეცხლი და წყალი" (1, ტ.3, გვ.194).

ასევე, ილია აკრიტიკებს საზაფხულო თეატრში წარმოდგენილ დრამატურგისა და პოეტის უილიამ შექსპირის (1564–1616) „ტრაღედია „ვენეციელი ვაჭარი", თარგმნილი დ. ი. ყიფიანის მიერ". რომელსაც „დიდძალი მაყურებელი დაესწრო". მისი თქმით: „ქართულს სცენას ბევრი მიმყოლი და მაყურებელი ეყოლება, თუ რომ რიგიანად გაიმართებ და მოეწყობა.

ეს ხომ ასე იყო, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენსას ვიტყვით. ჯერ მინამ წარმოადგენდნენ, ჩვენ გვიკვირდა, რომ ჩვენის სცენის მოყვარეთა ეგ ტრაღედია ამოარჩივეს წარმოსადგენად. ჩვენ ამით წუნს კი არა ვსდებთ თვით ტრაღედიას, ანუ მის თარგმანს, რადგანაც ტრარედიაც ნაქებია და თარგმანიც საკმაოდ კარგია. ჩვენ მარტო იმის თქმა გვინდა, რომ ეგ ტრაღედია სცენისათვის ისე მოსახერხებელი არ არის, როგორც საჭიროა. ამიტომაც მაგ ტრაღედიას ძალიან იშვიათად ნახავთ სცენაზედ არამც თუ რუსეთში, არამედ სხვაგანაც, და თუ ნახავთ, ან ცალკედ ამოღებულს და სცენისათვის გადაკეთებულს...

ეს ერთი იმისთანა მიზეზია, რომლის გამოც წარმოდგენილი სამს აპრილს „ვენეციელი ვაჭარი“ ვერ უნდა გამოსულიყო კარგად. მეორე მიზეზი, სწორედ მოგახსენოთ, თვით მოთამაშეების ბრალია. მოთამაშენი ვერ იყვნენ კარგად შერჩეულნი, ზოგი სრულიად არ ვარგოდა. ზოგიერთი ხელებს ისე ულმერთოდ და უალაგოდ იქნევდა, თითქო მკლავების სავარჯიშოდ არის მოწვეულიო; ზოგმა კიდევ როლი არ იცოდა... რა დაგვემართა ქართველებს! ეს როლების უცოდინარობა რა ღვთის წყრომაა!“ (2, ტ.V, გვ.185).

მეორე წერილში, ილია წერს, რომ პიესა უნდა შეირჩეს მისი შინაარსის მიხდვითაც.

„მართლადა და სხვა რა სახელი დავარქვათ იმ უფერულ, გაცვეთილ და სიცოცხლე მოკლებულ პიესას, როგორც „ახლანდელი სიყვარულია“, თუ არა წყალწყალა ღვინო? რას მოასწავებს? რას ეუბნება ეს პიესა ან ჭკუას, ან გრძნობას? ქალის მიერ ძალად შერთვას ბებრის კაცისას?

ეს ისეთი ძველი, აშმორებული და ათასჯერ დაღეჭილი ამბავია, რომ ამაზედ არა ერთხელ თქმულა და თქმულა უფრო უკეთესად!

თეატრის გამგეობამ ახალი ხილიც მოგვართო ნობათად, თუმცა ეს ახალი ხილიც მკვახე, უგემო და ცოტა დაჭიანებულიც გამოდგა... ეს გახლდათ უკბილო, უგემოვნებო ოხუნჯობა დაბალის ხარისხისა, უმნიშვნელო სიტყვების მიხლა-მოხლა და არა გონების მახვილობა, რომელიც აზრების ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს... დარწმუნებული ვართ, რომ ვინც ერთხელ ნახა, „მომრიგებელი მოსამართლე“, მეორედ აღარ მოისურვებს ამის ნახვასა“ (2, ტ.V, გვ.238).

ილია წერილებში აღნიშნავდა მსახიობების, მწერლებისა და მოღვაწეების დამსახურებას ქართული თეატრის წინაშე. მან განსაკუთრებულად აღნიშნა თეატრში „სამშობლოს“ წარმოდგენა, სადაც ასრულებდა ქართველი „დიდსულოვანის და დიდგულოვანის“, „ნამდვილი გმირის“, სვიმონ ლეონიძის როლს, მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე (1866–1942). იგი აქებს მის თამაშს, როგორც „ფრიად ჭკვიანური, გრძნობიერი“ და „უმეტნაკლებო“ შემსრულებელი როლისა. მისი „ყოველი სიტყვა თავის ადგილას ისეთის შესაფერის კილოთი იყო თქმული, როგორც ეკუთვნოდა“ და მან ისეთი „ბუნებით სავსე კილო იხმარა ბ-ნმა გამყრელიძემ, რომ პირველ ხარისხოვან არტისტსაც ხშირად გაუძნელდება“. როგორც ეტყობა ხალხს მოსწონებია მისი თამაში სცენაზე, რადგან, მწერლის გადმოცემით, ხალხს ბევრჯერ გამოუწვევია „ტაშის კვრით თამაშის დროს“ და მერეც (1, ტ.3, გვ.196).

წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. ილია აღნიშნავს გიორგი ერისთავის და ქართველი დრამატურგის ზურაბ ანტონოვის (1820–1854) მოღვაწეობას და დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე და წერს, რომ „თ. გ. ერისთავს ორი დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენს წინაშე. ერთი ის, რომ ჟურნალი შეჰქმნა და ამით ღონისძიება მიეცა ჩვენთა აზრთა დენას შინიდამ გარეთ გამოსულიყო საქვეყნოდ და მწყურვალისთვის აზრთა წყარო ესმია...

მეორე ღვაწლი გ. ერისთავისა ის იყო, რომ შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა... მართალია, მისი კალამი უფრო სათავადიშვილო არემარეში ატარებდა ჩვენს გონებას, მაგრამ მისგანვე ფრთა-ასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებულ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის“ (1, ტ.3, გვ.221).

ამავე წერილში ილია ახასიათებს ქართულ მწერლობას და ქართველ მწერლებს. იგი აღნიშნავს, რომ წინა საუკუნეების ქართული, „ცოტად თუ ბევრად სახელოვანი მწერლობა“, „მეთვრამეტე საუკუნიდამ შესწყდა ამ საუკუნის ოცდაათიან წლებამდე“. ოცდაათიან წლებში „ხელახლად ფეხადგმული“ მწერლობა, „პირველ ხანს უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი“. რადგან იმ დროს არ იყო არც ჟურნალ-გაზეთები და არც „ჩვეულება ცალკე წიგნად გამოცემისა“. იმ დროს მხოლოდ „ლირიკა“ იყო, „რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს“ გვიგალობდა, „ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“. ამ დროის მწერლობას, ილია უწოდებს „მგალობელ მწერლობას“, რადგან „საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა“ და იგი თავის-თავში ჩაიკეტა; და მწერალსაც „სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი – თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა და ჭკუა-გონების ხედვისა“ (1, ტ.3, გვ.207).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ილია ჭავჭავაძემ არაერთი წერილი მიუძღვნა რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლებს: ა. ჭავჭავაძეს, გ. ორბელიანს, ნ. ბარათაშვილს, ვ. ორბელიანს და სხვა მწერლებს. წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ილია, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ახასიათებს და გა-

ნიხილავს მის შემოქმედებას. მას უწოდებს „ტკბილ მთქმელს“, ხოლო მის პოეზიას – სიყვარულის და ტრფიალების პოეზიას და ამბობს, რომ „ამ ტკბილ მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთ-წოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რასაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება:

ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა,
მის ყვავილთა ფერხით ჰლახავს გზაზედა,
რომელნი სჭკნებიან
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“ (1. ტ. 3, გვ. 207).

მიუხედავად იმისა, რომ „პოეტი უჩივის ამ ყოფას“, მას მაინც იმედი აქვს „და უქადის, რომ დრო მოვა და სხვა იქნებაო“. იგი „სწუხს, მარტო იმას, რომ ვაი თუ მე ვეღარ მოვესწროო, იმას ვსტირიო, ამბობს იგი:

...ვაჰ, თუ ვესწრა ვერ,
თვარა-ღა ჟამი, გულთ მაამი, კვლავცა იქნების“ (1, ტ.3, გვ.207).

ილია, ა. ჭავჭავაძის გამგრძელებლად თვლის გრიგოლ ორბელიანს. იგი წერს, რომ „პირველ ხანებში თ. ალექ. ჭავჭავაძის გზას დაადგა თ. გრ. ორბელიანიცა.“ ამბობს, რომ „პირველმან ამან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს“...

თითქო იგრძნოო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი...

წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოველი კეთილი თანა წარიღეს!..

რა კეთილი? ერთგულება და სარწმუნეობაო, რომელნიც ქართვლის თვისებას შეადგენდაო, და რომელსაც იგი უსათუოდ ვეღარ ჰპოულობდა თვის გარშემო; ვაჟკაცობა და მამაცობაო, რომელნიც ქართვლის სახელს აღარ ადიდებდნენ უწინდელებრ“ (1, ტ.3, გვ.209).

ილია ჭავჭავაძე წერს, რომ გრიგოლმა „ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისეც ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა...

ცხადად დასანახია, რამოდენად ჩააღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლე პოეზიისა თ. გრ. ორბელიანმა“ (1, ტ.3, გვ.210). ხოლო, გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, იგი ასე ამკობს მას:

„იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ – სასოებით მისი მსმენელნი...

იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!...

იგი იყო კაცი, რომელმაც ღაღადებით წარმოსთვა:

იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,

არის სადმე სიმწრით ცხოვრება

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:

რომ ჩვენ განვახლდეთ,

სულით ავმაღლდეთ...

და განქრეს ბნელი უმეცრებისა. . .

შენ განვლე შენის ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალი.

შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყვანდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები.

მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულის-შვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო!“ (1, ტ.3, გვ.247).

ილია ჭავჭავაძე,ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ წერს,რომ იგი „უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას... მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“ (1, ტ.3, გვ.211). ილია ახასიათებს ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას და ბოლოს ამბობს, რომ „ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნობისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“...

მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა,

სად სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის...

თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული ნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრეთ-წოდებული „ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათქვამია:

რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?“ (1, ტ.3, გვ.219).

ვახტანგ ორბელიანის შესახებ, ილია წერს, რომ „მან სამოციან წლებიდამ მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა და როგორც ამ წლების ხანაში, ისეც მერმე, თითქმის მარტო ერთი სფერო აუჩინა თავის პოეზიას და მით მოიპოვა სახელი და ადგილი ჩვენს აზრთა მსვლელობის ისტორიაში“ (1, ტ.3, გვ.222).

მწერალმა ცალკე წერილი მიუძღვნა ვახტანგ ორბელიანს, სადაც მოკლედ გადმოგვცემს ვახტანგის ბიოგრაფიას და განიხილავს მის შემოქმედებას. მისი გადმოცემით, ვახტანგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა თავისი ცოდნითა და გონება-გახსნილობით. მას „სიყვარული წიგნთა კითხვისა არ მოჰკლებია სიკვდილამდე.“ – წერს ილია და ამ წერილს, „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“, ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლიან მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა... იგი წარსული უყვარს, როგორც ფუძე ჩვენის მომავლისათვის „დიდს წარსულს დიდი მომავალი ექნება“ – ამბობს იგი.

* * *

დასასრულ, მეტი არ იქნება აღვნიშნოთ ის, რომ თ. ვახტანგ ორბელიანი ნამდვილი ლირიკოსია რომანტიულ სკოლისა, ეგრედ-წოდებულ „რომანტიზმს“ იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენელი. ერთად-ერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეურეველია და აუჭრელებელი. „რომანტიზმს“ ევროპის პოეზიაში იმ ხანებში დიდი ადგილი ეჭირა და მისი უდიდესი დედა-ბოძი იყო, ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი,

რომლის თხზულებათა კითხვა თ. ვახტანგ ორბელიანს, როგორც სჩანს მის ლექსებიდან, ხშირად ჰყვარებია“ (1, ტ.3, გვ.243).

წერილში, „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ილია, რაფიელ ერისთავის შესახებ წერს, რომ მან პირველად, „ჯერ ბატონყმობის [გადავარდნის] ჩუჩუნიც არსად იყო“, ხმა ამოიღო და იკითხა: „ვის უპყრია ძალი“? იგი ხედავს ადამიანთა გულქვაობას და გლახაკს ათქმევინებს: „მე პურს ვსთხოვო, ის ქვას მიდებს ხელშია“!

„რაფიელ ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“ (1, ტ.3, გვ.224).

„ივერიაში“ დაიბეჭდა ილიას წერილები: „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“, და „მოკლე ბიოგრაფია იოსებ დავითაშვილისა“, სადაც ახასიათებს, თვითნასწავლ პოეტს, იოსებ დავითაშვილს (1850-1887) და მის შემოქმედებას. მწერალი მასზე ამბობს, რომ იგი იყო გლეხის შვილი. „საკვირველი თავმდაბალი, უწყინარი“ და „უბოროტო კაცი.“ თავისი ქვეყნის, ქართული ლიტერატურისა და სიტყვიერების მოყვარული. მან კარგად იცოდა მუშის გასაჭირი და ამიტომაც ამბობდა, რომ:

„მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი
მუშის გულის-პასუხები“ (1, ტ.3, გვ.161).

„დავითაშვილი სულ ამას იძახის ტკბილისა და მშვიდობიანის სიტყვითა, რომ ჩვენი, მუშა-ხალხის ხსნა სწავლა და განათლებააო.“ ილიას გადმოცემით, იგი ლუკმა-პურს შოულობდა ჩუქურთმების ჭრის ხელობითა, და სულ ამას ჩიოდა, რომ „უსწავლელი რომ ვარ, ქვეყნის ბარგი ვარო“. ამ წერილს, ილია შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „იგი იყო კაცი, რომელსაც ცოტად თუ ბევრად განწმენდილი ჰქონდა თვალნი გლეხთა გულის საიდუმლოთა მნახველად. ყურნი – გლეხთა გულის-ძგერის უცნაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი – გლეხთა მაჯის-ცემის შემტყობად და ენა – ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად. გული ერისა იგივ ზესკნელი და ქვესკნელია და ამიტომაც თვალისა, ყურის და ხელის იქამდინ მიწვდენა, – ხვედრია მარტო რჩეულის კაცისა და ერთი მათგანი იყო იგიც“ (1, ტ.3, გვ.163).

ილია ჭავჭავაძის წერილის „ვისრამიანის“ შესახებ, პ. ინგოროყვა გვატყობინებს, რომ: „1884 წელს ილია ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით პირველად იქმნა გამოქვეყნებული ძველი ქართული მწერლობის ცნობილი ძეგლი „ვისრამიანი“.

ამ გამოცემის წინასიტყვაობის პირველი პროექტი დაუწერია პეტრე უმიკაშვილს და გადაუცია განსახილველად ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც გამოცემის მთავარი ხელმძღვანელისათვის“. ილიას დაუწერია ახალი ტექსტი, სადაც გამოთქვამდა მოსაზრებას, „რომ ვისრამიანი უნდა მომდინარეობდეს ირანული ლიტერატურული პროტოტიპიდან. ხოლო თანარედაქტორებს (კერძოდ ალ. სარაჯიშვილს) ილიას მიერ გამოთქმული მოსაზრება არ გაუზიარებიათ და ილიას ტექსტის ეს ადგილი შეუსწორებიათ“ (1, ტ.3, გვ.509).

„ვისრამიანი“ წარმოადგენს ქართული ლიტერატურის სიტყვაკაზმულ ძეგლს. ამ ნაწარმოებს ქართველი მკითხველი, XIX საუკუნეშიც, ქართულ თხზულებად თვლიდა. შემდგომში, ილია ჭავჭავაძის მოსაზრება გამართლდა და დადგინდა, რომ „ვისრამიანი“ გადმოუთარგმნია პროზად XII ს, I ნახევარში, ვარაუდით, მეცნიერს, ფილოსოფოს და მწერალს სარგის თმოგველს, XI საუკუნის სპარსელი პოეტის ფახრ ალ-დინ ასად გორგანის სამივჯნურო პოემა „ვის ო რამინი“.

ილია ჭავჭავაძე ამ ნაწარმოების შესახებ წერს, რომ „ვისრამიანი“, „შესანიშნავი განძია ქართულის ლიტერატურისა“ და ეკუთვნის თამარ მეფის დროს, რასაც მოწმობს „ენის სიკეთე, სიცხოველე და კილო“; და შემდეგ გამოთქვამს მოსაზრებას:

„არ ვიცით ვისრამიანი საკუთარი ქართული თხზულებაა, თუ ნათარგმნია. ამ საგანზედ ჩვენში სამგვარი აზრია გავრცელებული.

ზოგნი ამბობენ, რომ საკუთარი ქართული თხზულებაა, და მას ამყარებენ, პირველ, იმაზედ, რომ მეტად თვალსაჩინო მაგალითებია წმინდა ქართულის ჩვეულებისა შიგ მოყვანილიო... მეორე, იმაზედ, რომ ენა მეტად ფაქიზია, მკაფიო, სიტყვების გაწყობა ფრაზაში (არც ერთგან) თითქმის არ ჰღალატობს წმინდა ქართულს ენასაო...

ზოგნი ამბობენ, რომ თუმცა თვითონ ამბავი ვისისა და რამინისა სპარსულია, მაგრამ ეგ ამბავი ქართველს მწერალს (მხოლოდ) გაუგონია და თვითონ (მხოლოდ შინაარსი) აუღია და თავისით დაუწერიაო...

მესამე აზრი [და უფრო საბუთიანი] ის არის, რომ ვისრამიანი თარგმანია და არა საკუთარი ქართული თხზულება...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში ამ შესანიშნავის თხზულების სრული ვითარება გამოუძიებლად არ დარჩება, მით უფრო, რომ ეს თხზულება ამისი ღირსია და, ჩვენის ფიქრით, სასახელოც იმ ერისათვის, რომელსაც იგი პირველად შეუქმნია“ (1, ტ.3, გვ.474).

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდნენ „მესამე დასის“ წარმომადგენლები. მას კიცხავდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, მწერლობასაც უწუნებდნენ და როგორც თავადთა წარმომადგენელს მიწასთან ასწორებდნენ.

1905 წელს, „ივერიაში“ დაიბეჭდა №68 დამატების სახით ილიას ვრცელი წერილი „ნუთუ“ (პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

ყოველკვირეული ჟურნალი „მოგზაური“ შეიქმნა 1905 წელს, რომლის გამოცემასაც სინამდვილეში ხელმძღვანელობდა ფ. მახარაძე და თანამშრომლობდნენ როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკებიც.

წერილიდან ირკვევა, რომ „მოგზაურის“ №13-ში დაბეჭდილი ყოფილა კორესპონდენცია, სადაც თითქოს, საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა, „ბოიკოტი გამოუცხადეს აქაურ მემამულეებს – ილია ჭავჭავაძეს, გივი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილს“ და „ამათთვის მიუბაძნია ჭოპორტის საზოგადოებასაც“. ილია წერს, „რომ უფრო გააძლიეროს ამ „ბოიკოტის“ მნიშვნელობა ჩემდა სამარცხვინოდ, ავტორი დიდის რიხით და პათოსით შემოგვძახის: „ასე გასინჯეთ, ი. ჭავჭავაძეს ჰყავდა (ვაიო ჩემს შერცხვენას!) ერთი დედაბერი მექათმედ. იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, – რატომ დედაშენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო, და კაცი იძულებული იყო ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედაბერიო“ (1, ტ.9, გვ.277). შემდეგ, ავტორი, უყენებს ოთხ ბრალდებას, ილიას თქმით: „რომელთა შორის ერთი თითქმის კაცისკვლაა“. ავტორის თქმით:

ერთი დანაშაული ყოფილა: თითქოს ილიას ერთ-ერთი გლეხი გაულანძღია;

მეორე – „ბუნტის ჩასაქრობათ“ ილიას მთავრობისაგან ჯარი უთხოვია;

მესამე – თითქოს ილია და „არც სტავროპოლსკი გლეხებს ნებას არ აძლევს ზეზე სადგომის აგებას“;

მეოთხე – თითქოს ილიას თავის მამულიდან ზამთარში გლეხებს წყაროს წყლით სარგებლობის ნებას არ აძლევდა და მისი დავალებით მოურავებს გლეხები გაულახავთ და მათთვის კოკებიც დაუმტვრევიათ.

„ივერიის“ რედაქცია, ილიასაგან მოითხოვდა თავის მართლებას და ილიამაც გასცა პასუხი, რედაქციასაც, კორესპონდენტსაც და გამოააშკარავა მათი დაფარული ზრახვები.

ილია წერს, რომ „ყოველივე თავისისთავის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია“, სიფრთხილით და წინდახედულად უნდა მოიქცეს და ბრმად არ უნდა აჰყვეს „ვიღაც ორს ასოს ქვეშ მიმალულ კორესპონდენტის ფეხის ხმას“.

პატივი უნდა სცეს ადამიანის ღირსებას, პატიოსნებას და ყოველივე იმას, „რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“. „ყოველივე ცალკე“ კაცმა და რედაქციამ, „ეჭვი მაინც უნდა შეიტანის იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინდისს, წმიდათაწმიდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ.

ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია, მერე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს“ (1, ტ.9, გვ.270).

შემდეგ, ილია წარმოთქვამს სიტყვებს, რომელიც ეხება ჩვენს დღევანდელი დღის ყოფა-ცხოვრებას, განსაკუთებით ჩვენს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს და რედაქტორებს.

„ბევრი კაცი და იქნება იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭვება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუხებლობას ადამიანისა, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამომვლელი საერთოდ და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ, ლაფში ამოსვაროს თავიდამ და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, – ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

ნუთუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიშარი კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის, ნუთუ ეს არის იგი მადლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეტანებით.

ეს ხომ, თავისუფლება-კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაპატიოსნებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც-კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით.

ნუთუ ეს ამისთანა შემძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით“ (1, ტ.9, გვ.270).

ილიამ, ზემოთ დასახელებულ ბრალდებას უპასუხა და ამ პასუხით მიწასთან გაასწორა კორესპონდენტიც და რედაქციაც. ყოველი მისი „თავის მართლება“ ასახავს რედაქციისა და კორესპონდენტის ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებას, რომ ორივეს მხოლოდ უნდოდა, ილია ჭავჭავაძის სახელის გატეხვა და ლაფში ამოსვრა. „მაგრამ – თვით ილიას სიტყვებით,– საფანელი დაჰკლებია და ვერ მოუხერხებია. ვერ მოუხერხებია იმიტომ, რომ ტყუილსაც და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია“ (1, ტ.9, გვ.276).

ბოლოს ამ წერილს, „ნუთუ?“, ილია შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუსდიათ და, საცა პატიოსანი ჭკუა და წმინდა გული უნდა ხელმწიფებდეს, ჭია-ღუა ბეზღობისა ჰჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს.

ბეზღობა, ჯაშუშობა, სამართლიანად ცნობილია ვითა ყოვლად საზიზღარი საქციელი და უტყუარი, უცილობელი მაჩვენებელია მაბეზღარის და ჯაშოშის გულჭუჭყიანობისა, სულმდაბლობისა და ერთობ ზნედაცემულობისა...

დასასრულ, კიდევ ხელმეორედ მოგახსენებთ: არის ზოგიერთი იმისთანა კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდა იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო“ (1, ტ.9, გვ.303).

პირველი წიგნის ბოლოთქმა

ამით ვამთავრებთ ჩვენ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემოქმედების, კერძოდ, წერილების განხილვას, სადაც ჩანს ზოგადად მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ასახულია მის დროინდელ საქართველოში მეტად რთული სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება და მისი შეხედულებები სხვადასხვა საკითხებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არ არის გამომზეურებული და გამოვლენილი მთლიანად მისი წერილები.

ეს ჩვენი მოკრძალებული შეხედულებები ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული წერილების შესახებ გვინდოდა მკითხველისათვის გაგვეზიარებინა. ვინაიდან მის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღევანდელ დღესაც ძალაში რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, თბილისი, (1951–1957).
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრაბული, ოც ტომად, თბ., (1987-1991).
3. ილიას სამრეკლო, თბ., 1987.
4. ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება, თბ., 1989.
5. ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში, თბ., 1987.
6. ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., (1979–1982).
7. ი. ჯავახიშვილი,ქართველი ერის ისტორია,ოთხ ტომად,თბ.,(1960–1967).
8. ი. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლაისტი, ისტორიული რარიტეტები, თბ., 1989.
9. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, თბ., (1970–1980).
11. საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად, თბ., 2012.
12. საქრთველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, თბ., 1980.
13. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, ტომი I, თბ., 1958.
14. ხ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978.
15. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თერთმეტ ტომად, თბ., (1975–1987).
16. ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა: ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.
17. ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, თხუტმეტ ტომად, თბ., (1950–1963).
18. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, თბ., 1964.
19. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტომი 3, თბ., 1954.
20. გ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959.
21. ტ. სართანია, ილია ჭავჭავაძე, თბ., 2000.
22. გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, ნაწილი I, II, თბ., (1983–1984).
23. გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1978.
24. პ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ, 1954.
25. ი. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1955.
26. ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბ., 1962.

27. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვა ტომად, თბ., (1958–1967).
28. შ. ბადრიძე, წიწამურის ტრაგედიის გამოცანები, თბ., 1991.
29. ქართული მწერლობა, წიგნი I, თბ., 1984.
30. ქართული მწერლობა, ტ. X, თბ., 2002.
31. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984.
32. ს. ცაიშვილი, ნაკვესები, თბ., 1989.
33. ჯ. ღვინჯილია, პოეტური ენერგია, თბ., 1983.
34. ქართული პოეზია, ტ.4, თბ., 1975.
35. ლ. სანიკიძე, „მესამე დასის“ საქართველო, ნაკვეთი I, თბ., 1989.
36. ლ, სანიკიძე, დედა ისტორია, ნაკვეთი მეორე, თბ., 1986.
37. ლ. სანიკიძე, კეისარიადა, თბ., 1989.
38. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.
39. ზ. ქაფიანიძე, კაცობრიობის პირველი ანბანი, თ. მიბჩუანი, მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა, თბ., 1997.
40. შ. ძიძიგური, ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1969.
41. ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1957.
42. ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ.I, თბ., 1958.
43. ი. ვართაგავა, ქართველ მწერალთა სილუეტები, თბ., 1956.
44. აწმყო, შობილი წარსულისაგან, ტ. I, თბ., 1991.
45. მ. ზანდუკელი, თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში, ტბ., 1928.
46. ზ. ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1978.
47. საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ.4, ტბ., 1925.
48. ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987.
49. გ. ამბროლაძე, ყურძნის პროდიქტები ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში, თბ., 1981.
50. ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.
51. ზ. აბაშიძე, მ. ბახტაძე, ო. ჯანელიძე, საქართველო და ქართველები, თბ. 2015.
52. აპოლონიუს როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975.
53. ჰეროდოტე, ისტორია I, II, თბ., (1975–1976).
54. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1988.
55. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1904.

56. კ. ბუაჩიძე, შავი წიგნი, თბ., 1990.
57. ვ. ხარჩილავა, სისხლიანი ქრონიკები, ანტონოვ-ოვსენკო, ლავრენტი ბერია, თბ., 1991.
58. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ.I, თბ., 1954.
59. ი. სტალინი, თხზულებანი, ტ.12, თბ., 1953.
60. ნიკოლოზ დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი. http://www.georoyal.qe/?MtD=5&TID=91&id=2211
61. Советский энциклопедический словарь, Москва, 1949.
62. З. Авалишвили, присоединение Грузии к России, 1906 г.

მადლობას ვუხდი ყველას ამ წიგნის გამოცემის საქმეში თანადგომისათვის.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. . .15

1. საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობა ილიამდე. XIX ს-ის პირველი ნახევარი. 15
2. საქართველოს მდგომარეობა ილია ჭავჭავაძის დროს. 44
3. რუსეთი, საქართველო და რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში განხორციელებული ცენზურა.. 49
4. ილია ჭავჭავაძის დროინდელი მარქსიზმი საქართველოში. 56

თავი მეორე. ქართული ენა და ილია ჭავჭავაძე. 156

1. ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები ენის შესახებ. 169
2. ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი. 238

თავი მესამე. ილია ჭავჭავაძე და ისტორია.. 242

1. ილია ჭავჭავაძე და ისტორიის საკითხები 242
2. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. 250
3. ილია ჭავჭავაძე და რუსეთი. 294
4. ილია ჭავჭავაძე უცხოეთის ქვეყნების შესახებ. 375

თავი მეოთხე. ილია ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიკის, მეურნეობის და მრეწველობის შესახებ. 456

თავი მეხუთე. ილია ჭავჭავაძე და რელიგია. 561

თავი მეექვსე. ილია ჭავჭავაძე სხვადასხვა საკითხების შესახებ. 602

პირველი წიგნის ბოლოთქმა. 619

გამოყენებული ლიტერატურა. 620